Karl Marx, Friedrich Engels, Vladimir Lenin, Joseph Stalin, Enver Hoxha

5 Classics of Marxism

Comintern (Stalinist-Hoxhaists)

http://ciml.250x.com

Georgian Section

www.joseph-stalin.net

SHMG Press

Karl Marx Press of the Georgian section of
Comintern (SH) – Stalinist-Hoxhaists Movement of Georgia

ლენინი

ლენინი

თხზულებანი

1

ი ბ ე ჭ დ ე ბ ა
რკპ(ბ) IX ყრილობისა
და სსრკ საბჭოების
II ყრილობის
დადგენილებით

ИНСТИТУТ МАРКСА-ЭНГЕЛЬСА-ЛЕНИНА при ЦК ВКП(б)

В. И. ЛЕНИН

СОЧИНЕНИЯ

Издание четвертое

ОГИЗ
ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО
ПОЛИТИЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ
1941

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის
ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი

ვ. ი. ლენინი

თხზულებანი

გამოცემა მეოთხე

სახელგამი
პოლიტიკური ლიტერატურის სექტორი
1948

ვ. ი. ლენინი

ტომი

1

1893 — 1894

წინასიტყვაობა მეოთხე გამოცემისათვის

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს — ენგელს — ლენინის ინსტიტუტი უშვებს ვ. ი. ლენინის თხზულებათა ახალ, მეოთხე გამოცემას.

ვ. ი. ლენინის თხზულებათა პირველი გამოცემა განხორციელდა ბოლშევიკების პარტიის IX ყრილობის დადგენილებით. ეს გამოცემა გამოვიდა 1920 — 1926 წლების პერიოდში 20 ტომის — 26 წიგნის შემადგენლობით (VII, XI, XII, XIV, XVIII და XX ტომები ორ-ორი ნაწილისაგან შესდგებოდა).

ეს გამოცემა იყო ლენინის ლიტერატურული მემკვიდრეობის ერთად შეკრების პირველი ცდა. გასაკვირველი არ არის, რომ მასში ბევრი რამ გამოტოვებული აღმოჩნდა. ასე, მაგალითად, მასში შეტანილი არ იყო ლენინის ბევრი სტატია ბოლშევიკური გაზეთებიდან: «ისკრა», «ვპერიოდი», «პროლეტარი», «სოციალ-დემოკრატი», «ზვეზდა», «პრავდა». ლენინის ნაწარმოებთა ტომებად დალაგების მხრივ გატარებული არ იყო ერთიანი პრინციპი — ქრონოლოგიურ დალაგებას სცვლიდა თემატიკური, და პირიქით.

1924 წლის იანვარში სსრ კავშირის საბჭოების II ყრილობამ გამოიტანა გადაწყვეტილება ლენინის თხზულებათა გამოცემის შესახებ, და ამ გადაწყვეტილების თანახმად 1925 წელს დაწყებულ იქნა ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეორე და მასალის შემადგენლობითა და განლაგებით მისთანავე, მაგრამ გაიაფებული მესამე გამოცემა. ორივე ეს გამოცემა 1932 წელს დამთავრდა.

თხზულებათა მეორე-მესამე გამოცემანი მნიშვნელოვნად შევსებული და გაფართოებული იყო პირველ გამოცემასთან

შედარებით. მაგრამ ამ გამოცემებსაც არსებითი ნაკლოვანებები ჰქონდათ. ლენინის ტექსტში გამოტოვებულია ცალკეული ადგილები, თვით ტექსტი ზოგჯერ განსხვავდება პირველწყაროებისაგან. ლენინის ნაწარმოებთა განაწილება ტომებად ხშირად გარეგანი და შემთხვევითი ნიშნების მიხედვითაა ჩატარებული. ლენინის წერილები დალაგებულია განსაზღვრული წესისა და თანმიმდევრობის დაუცავად. ყველა ტომი გადატვირთულია სხვადასხვა დამატებებითა და სარედაქციო საცნობარო მასალებით, რომლებსაც უკავიათ მათი შემადგენლობის ერთი მეხუთედიდან ერთ მესამედამდე, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში თავისი მოცულობით ისინი ლენინის ტექსტის ნახევარს სჭარბობენ. ამ გამოცემებში დაშვებული იყო აგრეთვე «მავნებლური ხასიათის უაღრესად უხეში პოლიტიკური შეცდომები ლენინის თხზულებათა ზოგიერთი ტომის დამატებებსა, შენიშვნებსა და კომენტარიებში» (საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება «საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის» გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ»).

მ ე ო თ ხ ე გ ა მ ო ც ე მ ა ამოცანად ისახავს წინა გამოცემების ნაკლოვანებათა გამოსწორებას და ლენინის ლიტერატურული მემკვიდრეობის რაც შეიძლება სრული კრებულის მოცემას. ეს გამოცემა შეიცავს ვ. ი. ლენინის იმ ნაწარმოებებს, რომლებიც შესული იყო მეორე-მესამე გამოცემებში, აგრეთვე მის იმ ნაწარმოებებს, რომლებიც გამოქვეყნდა ლენინის კრებულებში, «პრავდაში», «ბოლშევიკში», «პროლეტარსკაია რევოლუციაში» და სხვა ბეჭდვითს ორგანოებში მეორე-მესამე გამოცემათა გამოსვლის შემდეგ.

თხზულებათა მეოთხე გამოცემაში დამატებით შეტანილია ლენინის 500-ზე მეტი დოკუმენტი, რომლებიც არ შესულა თხზულებათა მეორე-მესამე გამოცემებში, 70 ნაბეჭდ ფურცელზე მეტის საერთო მოცულობით.

ლენინის ახალი მასალები, რომლებიც თხზულებათა მეოთხე გამოცემაში შევიდა, მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეური საგანძურის შემდგომ შევსებას წარმოადგენენ.

ამ მასალათა შორის არის ბოლშევიკური პარტიის ისტორიის ყველა პერიოდის დოკუმენტები.

მეოთხე გამოცემაში შედის ვ. ი. ლენინის ერთ-ერთი ყველაზე ადრინდელი ნაშრომი — 1893 წლის განთქმული რეფერატი «ეგრეთწოდებული ბაზრების საკითხის გამო», მიმართული ნაროდნიკობისა და მაშინ ახლად ჩასახული «ლეგალური მარქსიზმის» პირველ გამოვლინებათა წინააღმდეგ.

შეტანილია აგრეთვე ახალი დოკუმენტები, რომლებიც ახასიათებენ ლენინის მოღვაწეობას ძველი «ისკრის» პერიოდში. მათ შორის არის: სტატია «ჟურნალ «სვობოდას» შესახებ», თეზისები «ანარქიზმი და სოციალიზმი», «ძირითადი თეზისი ესერების წინააღმდეგ» და ესერების წინააღმდეგ მიმართული ზოგიერთი სხვა მასალა.

პირველი რევოლუციის პერიოდის იმ ლენინისეული მასალებიდან, რომლებიც მეოთხე გამოცემაში შევიდა, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ვ. ი. ლენინის სტატია «ჩვენი ამოცანები და მუშათა დეპუტატების საბჭო», დაწერილი 1905 წლის ნოემბრის პირველ რიცხვებში. ამ სტატიაში ლენინმა გაშალა კონკრეტული პროგრამა პროლეტარული პარტიის მოქმედებისა 1905 წლის რევოლუციის გადამწყვეტ ეტაპზე, როდესაც შეიარაღებული აჯანყება მომწიფდა. მასში ლენინმა პირველად მოგვცა შეფასება საბჭოებისა, როგორც ზრდისა და მომწიფების პროცესში მყოფი აჯანყების ორგანოსი, როგორც ახალი ხელისუფლების ჩანასახისა, როგორც ხალხის რევოლუციური ელემენტების დიქტატურის ორგანოსი.

მეოთხე გამოცემაში შედის 1905 — 1906 წლების ისეთი მასალები, როგორიც არის «პროექტი რ.ს.-დ.მ.პ. III ყრილობის რეზოლუციისა კავკასიის ამბების გამო», რეცენზია გაზეთ «პროლეტარიატის ბრძოლაზე», სტატიები — «რევოლუცია რუსეთში», «მუშათა კლასის პირველი ნაბიჯები», «ორ ბრძოლას შუა», «მუშათა პარტიის ამოცანები და გლეხობა», ფურცელი «პირველი მაისი», ნაწყვეტი ნაშრომის—«სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში» — ბოლოსიტყვაობიდან.

უფრო სრულად, ვიდრე წინა გამოცემებში, წარმოდგენილია ლენინის ის დოკუმენტები, რომლებიც რეაქციის წლებს ეკუთვ-

ნიან და აშუქებენ ლენინის ბრძოლას ლიკვიდატორობის წინააღმდეგ მარჯვნივ და «მარცხნივ». მოყვანილია ახალი მასალები — გამოსვლები და რეზოლუციების პროექტები, — რომლებიც გვიჩვენებენ ლენინის ხელმძღვანელობითს მუშაობას «პროლეტარის» გაფართოებული რედაქციის 1909 წლის თათბირზე, რომელმაც დიდი როლი შეასრულა მარქსიზმის თეორიის დარგში ყველა ჯურის გადაგვარებულთაგან და წვრილბურჟუაზიული ფრაზიორებისაგან ბოლშევიკური რიგების გაწმენდის საქმეში. მეოთხე გამოცემაში შეტანილი «ღია წერილი ყველა სოციალ-დემოკრატ პარტიელს», «იუდუშკა ტროცკის სირცხვილის ალმურის შესახებ», ცენტრალური კომიტეტის წევრებისადმი მიწერილი წერილები აშუქებენ ბოლშევიზმის ისტორიის ერთ-ერთ გადამწყვეტ ეტაპს — ლენინის ბრძოლას პრაღის კონფერენციის მოწვევისათვის.

მოცემულია პირველი იმპერიალისტური ომის წინ რევოლუციური აღმავლობის პერიოდის ბევრი ახალი მასალა: «გადაშალეთ ბანქო», «წინათ და ახლა», «არალეგალური პარტია და ლეგალური მუშაობა», ««ლუჩისა» და «პრავდის» მკითხველთა საყურადღებოდ», «მუშათა მასა და მუშათა ინტელიგენცია» და სხვა სტატიები, რომლებიც რევოლუციური პუბლიცისტიკის ნიმუშებს წარმოადგენენ. შეტანილია ლენინის მთელი რიგი ახალი წერილები «პრავდის» რედაქციისადმი, რომლებიც ასახავენ კონკრეტულ ლენინურ ხელმძღვანელობას ბოლშევიკური პრესის მიმართ.

მეოთხე გამოცემაში შესულია ლენინის ახალი მასალები იმპერიალისტური ომის პერიოდისა: წერილები, რეზოლუციების პროექტები, თეზისების მონასახები და სხვ., რომლებიც აშუქებენ საერთაშორისო მუშათა მოძრაობის უმნიშვნელოვანეს პრობლემებს, ლენინის ბრძოლას ციმერვალდის გაერთიანებისა და ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფის შიგნით თანმიმდევრულ-მარქსისტული, ინტერნაციონალისტური ხაზისათვის ომის, ზავისა და რევოლუციის საკითხებში.

მეოთხე გამოცემაში შესულია ახალი მასალა, რომელიც ახასიათებს ბოლშევიკური პარტიის მიერ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებას. ეს არის ბოლშევიკების

აპრილის კონფერენციის დოკუმენტები — ლენინის გამოსვლა საბჭოების საკითხზე და მის მიერ დაწერილი რეზოლუციები: ომის შესახებ, დროებითი მთავრობისადმი დამოკიდებულების შესახებ, აგრარულ საკითხზე, პარტიული პროგრამის გადასინჯვის შესახებ, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების შესახებ, ნაციონალურ საკითხზე, მიმდინარე მომენტის შესახებ და სხვ. გარდა ამისა, იბეჭდება «შესავალი რ.ს.-დ.მ.პ.(ბ) VII («აპრილის») სრულიად რუსეთის კონფერენციის რეზოლუციებისადმი», რომელიც ლენინმა რეზოლუციებთან ერთად გამოაქვეყნა გაზეთ «სოლდატსკაია პრავდაში» 1917 წლის მაისში. ოქტომბრის რევოლუციის ისტორიის ახალი მასალებიდან შეტანილია აგრეთვე ამ პერიოდის მთელი რიგი სტატიები «პრავდიდან», რომლებიც ლენინის სააგიტაციო ოსტატობის ნიმუშს წარმოადგენენ: «კიდევ და კიდევ სიცრუე», «ჯაჭვის სიმაგრეს განსაზღვრავს მისი ყველაზე სუსტი რგოლის სიმაგრე», «ვის დასცინით? თქვენს თავს დასცინით!», «მმართველი და პასუხისმგებელი პარტიები», «მთელი ძალაუფლება საბჭოებს!».

ახალ გამოცემაში შეტანილია ლენინის «ლურჯყდიანი რვეული» — «მარქსიზმი სახელმწიფოს შესახებ», რომელიც შეიცავს მოსამზადებელ მასალებს ლენინის ნაშრომისათვის «სახელმწიფო და რევოლუცია».

მეოთხე გამოცემაში შეტანილი ლენინის ახალი მასალები ოქტომბრისშემდგომი პერიოდისა — ბარათები, დეპეშები, საქმიანი წერილები, დეკრეტებისა და დადგენილებების მოკლედ შედგენილი პროექტები, მიმართვები და მოწოდებანი — ახასიათებენ ვლადიმირ ილიას-ძის ყოვლისმომცველ მოღვაწეობას ისტორიაში პირველი საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელობის დარგში, უცხოელი ინტერვენტებისა და ბურჟუაზიულ-მემამულური კონტრრევოლუციის წინააღმდეგ სოციალისტური სამშობლოს თავდაცვის ორგანიზაციის, სოციალისტური მშენებლობის ხელმძღვანელობის დარგში.

მეოთხე გამოცემაში შეტანილია ლენინის მრავალი დოკუმენტი, რომლებიც დაკავშირებულია ამხანაგ სტალინის მოღვაწეობასთან. ისინი უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებული

იყო პერიოდულ პრესაში და ლენინის კრებულებში. ასეთია, მაგალითად, დოკუმენტები: 1912 წლის 27 დეკემბრის «წერილი ი. ბ. სტალინს», «რწმუნება ი. ბ. სტალინს უკრაინის სახალხო რესპუბლიკასთან მოლაპარაკების საწარმოებლად», «ი. ბ. სტალინის დანიშვნა სამხრეთ რუსეთში სასურსათო საქმის ხელმძღვანელად», დეპეშები ი. ბ. სტალინისადმი 1918 წლის 8 და 11 ივნისის, 1918 წლის 7 ივლისის თარიღით, 1919 წლის 14 იანვრის დეპეშა ი. ბ. სტალინისა და ფ. ე. ძერჟინსკისადმი, 1919 წლის 20 მაისის, 1920 წლის 16 და 19 თებერვლის დეპეშები ი. ბ. სტალინისადმი, 1920 წლის 2 აგვისტოს «წერილი ი. ბ. სტალინს», აგრეთვე მთელი რიგი სახელმწიფო და პარტიული დოკუმენტები, რომლებიც ლენინისა და სტალინის მიერ ერთად არის შედგენილი. ყველა ეს მასალები ახასიათებენ ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ბელადების — ლენინისა და სტალინის იდეურ თანამშრომლობას, მათს ხელმძღვანელობას პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოსადმი.

ჩამოთვლილ ნაწარმოებთა გარდა მეოთხე გამოცემაში ცალკე ტომებად შეტანილია «ფილოსოფიური რვეულები», «რვეულები იმპერიალიზმზე», «რვეულები აგრარულ საკითხზე» და «წერილები თავისიანებისადმი», რომლებიც წინათ ქვეყნდებოდა ლენინის კრებულებში და ცალკე წიგნებად, მაგრამ თხზულებათა მეორე-მესამე გამოცემებში არ შესულა.

თხზულებათა მეოთხე გამოცემისათვის ლენინის ნაწარმოებთა ტექსტი ხელახლა შედარებულია პირველწყაროებთან: ლენინის ხელნაწერებთან, ლენინის ნაშრომების იმ გამოცემებთან და განმეორებითს გამოცემებთან, რომლებიც პირადად მის მიერ იყო მომზადებული დასაბეჭდად, გაზეთებსა და ჟურნალებში მოთავსებულ იმ სტატიებთან, რომლებიც მის სიცოცხლეში გამოქვეყნდა, მის მიერ რედაქტირებულ სტენოგრამებთან და ა. შ. მეორე-მესამე გამოცემათაგან განსხვავებით თხზულებათა მეოთხე გამოცემაში ლენინის ტექსტი მოცემულია უვარიანტებოდ.

ვ. ი. ლენინის ნაწარმოებთა და მიწერ-მოწერის დალაგების რიგი თხზულებათა მეოთხე გამოცემაში ქრონოლოგიურია. მასალების დალაგების ქრონოლოგიური პრინციპისაგან ზო-

გიერთი არაარსებითი გადახვევა დაშვებულია მხოლოდ იმ მცირერიცხოვან შემთხვევებში, როდესაც ეს ნაკარნახევია აუცილებლობით — შენარჩუნებულ იქნას მთლიანობა და ორგანული კავშირი ლენინის ნაწარმოებებს შორის. ტომების შიგნით ყველა მასალა დალაგებულია მათი დაწერის ან გამოქვეყნების თარიღების მიხედვით, ხოლო სიტყვები და მოხსენებები — გამოსვლათა თარიღების მიხედვით.

ლენინის ნაშრომები ტომებად დალაგებულია პარტიის ისტორიის იმ მეცნიერული პერიოდიზაციის საფუძველზე, რომელიც მოცემულია «საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში».

წერილები და დეპეშები, რომლებიც გამოქვეყნებული იყო ლენინის მიერ ან გათვალისწინებული იყო მის მიერ გამოსაქვეყნებლად, შეტანილია შესაბამის ტომებში მათი დაწერის ან გამოქვეყნების დროის მიხედვით. წერილები, რომლებიც ლენინის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა, თხზულებათა ცალკე ტომებს შეადგენენ. აქ შედის ბევრი წერილი, მოთავსებული მეორე-მესამე გამოცემათა ძირითად ტომებში, მიწერ-მოწერა ამ გამოცემათა XXVIII და XXIX ტომებიდან, აგრეთვე მეოთხე გამოცემაში დამატებით შეტანილი მიწერ-მოწერა. ლენინის მთელი მიწერ-მოწერა, რომელიც შეტანილია ცალკე ტომებში, დალაგებულია ზუსტი ქრონოლოგიური რიგით.

საცნობარო მასალა თხზულებათა მეოთხე გამოცემის ტომებისათვის განისაზღვრება ფაქტიური ცნობებით, რაც აუცილებლად საჭიროა თანამედროვე მკითხველისათვის ლენინის ნაწარმოებთა შესწავლისას, და შესდგება შემდეგი ნაწილებისაგან: 1) ტომის მოკლე წინასიტყვაობა; 2) უცხო სიტყვებისა და ფრაზების სიტყვა-სიტყვითი თარგმანი; 3) შენიშვნები ფაქტიური ცნობებით ყრილობების, კონფერენციებისა და ბეჭდვითი სიტყვის ორგანოების შესახებ, ფსევდონიმებისა და პარტიული მეტსახელების გაშიფრვით, ლენინის მიერ ციტირებულ მარქსისა და ენგელსის ნაწარმოებებზე მითითებით; 4) ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მოკლე თარიღები.

მეოთხე გამოცემაში ყველაზე სრულად ხორციელდება ამხანაგ სტალინის მითითება, მოცემული მის მიერ ჯერ კიდევ

1923 წელს სპეციალურ მიმართვაში ბოლშევიკების პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით. ამხანაგი სტალინი ხაზგასმით აღნიშნავდა იმის აუცილებელ საჭიროებას, რომ გულმოდგინედ შეიკრიბოს და პარტიისა და ხალხის კუთვნილებად გახდეს ლენინის ყველა ნაწარმოები, ყველა არსებული დოკუმენტი და მასალა, რომლებიც ახასიათებენ ვლადიმირ ილიას-ძე ლენინის მოღვაწეობას ბოლშევიკური პარტიის შექმნისათვის, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებისათვის, მსოფლიოში პირველი საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობისათვის, პროლეტარიატის საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელობისათვის. ამ მიმართვაში ნათქვამი იყო, რომ ჩვენ «არ უნდა დავივიწყოთ ის, რომ ყოველ პატარა ნაგლეჯ ქაღალდს, სადაც კი ვ. ი. ლენინის ხელმოწერა ან მის მიერ გაკეთებული ნიშანია, შეუძლია უდიდესი განძი შეიტანოს მსოფლიო რევოლუციის ბელადის პიროვნებისა და მოღვაწეობის შესწავლაში და დაგვეხმარება გავერკვეთ იმ გზაზე მდგომ ამოცანებსა და სიძნელეებში, რომლითაც მივდივართ ჩვენ ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით».

თხზულებათა მეოთხე გამოცემა ვ. ი. ლენინის ლიტერატურული მემკვიდრეობის ყველაზე სრულ გამოცემას წარმოადგენს.

ლენინის იდეური მემკვიდრეობა ფასდაუდებელია. ლენინის სახელი, მისი საქმეები, მისი მოძღვრება საუკუნეებსა და ათასეულ წლებს იცოცხლებენ. ლენინის იდეებზე, მის ნაწარმოებებზე აღიზარდნენ და იზრდებიან მილიონობით მებრძოლნი კომუნიზმისათვის.

ვ. ი. ლენინის თხზულებათა ახალი, მეოთხე გამოცემის გამოსვლა დიდი მოვლენაა ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა ხალხის იდეურ ცხოვრებაში, წინგადადგმული ახალი ნაბიჯია მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდაში, კომუნიზმისათვის ბრძოლის დიადი იდეური იარაღით ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ინტელიგენციის კადრების შეიარაღების საქმეში.

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული
მარქს — ენგელს — ლენინის ინსტიტუტი.

წინასიტყვაობა პირველი ტომისათვის

წინამდებარე ტომი შეიცავს ვ. ი. ლენინის ოთხ ნაწარმოებს («ახალი სამეურნეო მოძრაობანი გლეხთა ცხოვრებაში», «ეგრეთწოდებული ბაზრების საკითხის გამო», «რანი არიან «ხალხის მეგობრები» და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?», «ნაროდნიკობის ეკონომიური შინაარსი და მისი კრიტიკა ბ-ნ სტრუვეს წიგნში»), რომლებიც დაწერილია მის მიერ 1893 — 1894 წლებში, მისი რევოლუციური მოღვაწეობის დაწყებითს პერიოდში, რუსეთში რევოლუციური მუშათა პარტიის შექმნისათვის ბრძოლის პირველ წლებში.

აღნიშნულ ნაწარმოებებში, რომლებიც მიმართულია ნაროდნიკებისა და «ლეგალური მარქსისტების» წინააღმდეგ, ლენინმა მოგვცა რუსეთის XIX საუკუნის დასასრულის საზოგადოებრივ-ეკონომიური წყობილების მარქსისტული ანალიზი და ჩამოაყალიბა რუსეთის პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის მთელი რიგი საპროგრამო დებულებები და ამოცანები.

ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეოთხე გამოცემაში პირველად არის შეტანილი მისი რეფერატი «ეგრეთწოდებული ბაზრების საკითხის გამო». ეს ნაშრომი ლენინის მიერ დაწერილია 1893 წლის შემოდგომაზე; მისი ხელნაწერი სამუდამოდ დაკარგულად ითვლებოდა და ნახულ იქნა მხოლოდ 1937 წელს და პირველად მაშინ გამოქვეყნდა.

ლენინის ნაშრომი «რანი არიან ხალხის მეგობრები» თხზულებათა წინამდებარე გამოცემაში იბეჭდება 1894 წლის

ჰექტოგრაფიული გამოცემის ახალი ეგზემპლარის მიხედვით, რომელიც მარქს — ენგელს — ლენინის ინსტიტუტმა მხოლოდ 1936 წელს მიიღო და ვ. ი. ლენინის თხზულებათა წინა გამოცემებში არ ყოფილა მხედველობაში მიღებული. ეს ეგზემპლარი შეიცავს მრავალ სარედაქციო შესწორებას, რომლებიც, როგორც სჩანს, შეტანილია ლენინის მიერ, როდესაც იგი ამ წიგნს ამზადებდა საზღვარგარეთ გამოსაცემად ნაბეჭდი სახით. ყველა ეს შესწორება შეტანილია წინამდებარე გამოცემაში. ამრიგად, ამ ტომში მოცემულია ზუსტი ტექსტი ნაწარმოებისა «რანი არიან «ხალხის მეგობრები» და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?».

ვ. ი. ლენინი

1890 — 1891

ახალი სამეურნეო მოძრაობანი გლეხთა ცხოვრებაში

(ვ. ე. პოსტნიკოვის წიგნის გამო — «სამხრეთ-რუსეთის გლეხური მეურნეობა») [1]

დაწერილია 1893 წ. გაზაფხულზე.
პირველად დაიბეჭდა 1923 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

1 ტ. 1

Новыя хозяйственныя явленія въ крестьянской жизни.

По поводу книги В. Б. Постникова — „Юрьевское крестьянское хозяйство“

I

Вышедшая въ прошломъ году книга В. Б. Постникова — „Юрьевское крестьянское хозяйство“ (Москва, 1891 г. Стр. XXXII + 391) представляетъ изъ себя чрезвычайно подробное и обстоятельное описаніе крестьянскаго хозяйства въ губерніяхъ Тверской, Псковской и Екатеринославской, преимущественно же въ шестиполяхъ (сѣверныхъ) уѣздовъ Тверской губерніи. Описаніе это основано, въ 1° — и главнымъ образомъ — на земско-статистическомъ изслѣдованіи трехъ указанныхъ губерній; въ 2° на лично имъ наблюденіяхъ автора, изслѣдованныя имъ отчасти по этому случаю[1], отчасти

[1] Авторъ служилъ чиновникомъ по особымъ изысканіямъ въ Тверской губерніи.

პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა: «ახალი სამეურნეო მოძრაობანი გლეხთა ცხოვრებაში». — 1893 წ.
დაპატარავებულია

I

ვ. ე. პოსტნიკოვის წიგნი «სამხრეთ-რუსეთის გლეხური მეურნეობა» (მოსკოვი, 1891 წ. გვ. XXXII + 391), რომელიც მესამე წელია რაც გამოიცა, წარმოადგენს თავრიდის, ხერსონისა და ეკატერინოსლავის გუბერნიების, განსაკუთრებით კი თავრიდის გუბერნიის კონტინენტური (ჩრდილოეთით მდებარე) მაზრების გლეხური მეურნეობის ფრიად დაწვრილებითს და საფუძვლიან აღწერას. ეს აღწერა დამყარებულია, ჯერ-ერთი, — და უმთავრესად — აღნიშნული სამი გუბერნიის საერობო-სტატისტიკურ გამოკვლევებზე; მეორეც, ავტორის პირად დაკვირვებებზე, რაც მას ნაწილობრივ სამსახურის მოვალეობის გამო * მოუხდენია, ნაწილობრივ კი სპეციალურად იმ მიზნით, რომ შეესწავლა გლეხური მეურნეობა 1887 — 1890 წლებში.

იმის ცდა, რომ მთელი რაიონის საერობო-სტატისტიკური გამოკვლევანი ერთი მთლიანი სახით ჩამოყალიბდეს და მათი შედეგები სისტემატური ფორმით გადმოიცეს, თავისთავად უდიდეს ინტერესს წარმოადგენს, რადგან საერობო სტატისტიკა [2] დიდძალ და მეტად დაწვრილებითს მასალას იძლევა გლეხობის ეკონომიური მდგომარეობის შესახებ, მაგრამ ამას ისეთი ფორმით იძლევა, რომ საზოგადოებისათვის ეს გამოკვლევანი თითქმის უკვალოდ იკარგებიან: საერობო-სტატისტიკური კრებულები ცხრილების მთელ ტომებს წარმოადგენენ (ჩვეულებრივ თითო მაზრაზე ცალკეული ტომია დაწერილი), და მარტო მათი შეჯამება საკმაოდ ზოგადი და გასაგები რუბრიკების სახით სპეციალურ მუშაობას მოითხოვს. საერობო სტატისტიკის ცნობების შეჯამებისა და დამუშავების საჭიროება კარგა ხანია

* ავტორი მოხელედ მსახურობდა თავრიდის გუბერნიის სახაზინო ბიწების მოწყობის საქმეზე.

იგრძნობა. ამ მიზნით უკანასკნელ ხანებში დაიწყეს «საერობო სტატისტიკის შედეგების» გამოცემა. ამ გამოცემის გეგმა ასეთია: იღებენ გლეხური მეურნეობის დამახასიათებელ რომელიმე კერძო საკითხს და ცალკეულ გამოკვლევას უძღვნიან ყველა იმ ცნობათა შეჯამებას, რაც კი ამ საკითხის შესახებ საერობო სტატისტიკაში მოიპოვება; ერთად უყრიან თავს იმ ცნობებს, რომლებიც შეეხება რუსეთის შავნიადაგიან სამხრეთსაც და არაშავნიადაგიან ჩრდილოეთსაც, წმინდა სამიწათმოქმედო გუბერნიებსა და სარეწაო გუბერნიებს. ამ გეგმით არის შედგენილი «შედეგების» ორი გამოცემული ტომი; პირველი ტომი «გლეხურ თემს» შეეხება (ვ. ვ.), მეორე — «გლეხთა იჯარას არასანადელო მიწებზე» (ნ. კარიშევი)[3]. საეჭვოა, რომ სწორი იყოს შეჯამების ამგვარი ხერხი: ჯერ-ერთი, საჭირო ხდება ერთად შეაჯამო ყველა მონაცემი, რომელიც სხვადასხვა ეკონომიურ პირობებში მყოფ სხვადასხვა სამეურნეო რაიონს შეეხება (ამასთან თვითეული რაიონის ცალკე დახასიათება უდიდეს სიძნელეს შეიცავს, ვინაიდან საერობო გამოკვლევანი დამთავრებული არ არის და მრავალი მაზრა გამოტოვებულია: ამ სიძნელემ უკვე «შედეგების» მე-2 ტომში იჩინა თავი; უნაყოფო გამოდგა კარიშევის ცდა — საერობო სტატისტიკის ცნობები სხვადასხვა განსაზღვრული რაიონების მიხედვით დაელაგებინა); მეორეც, სრულიად შეუძლებელია ცალკე ასწერო გლეხური მეურნეობის ერთი რომელიმე მხარე და სხვა მხარეებს არ შეეხო; საჭირო ხდება ხელოვნურად გამოჭყო განსაზღვრული საკითხი, ამით კი წარმოდგენის მთლიანობა იკარგება. გლეხთა არასანადელო მიწების იჯარა ეთიშება სანადელო მიწების იჯარას, საერთო ცნობებს გლეხების ეკონომიურ დაჯგუფებაზე, სათესი ფართობის ოდენობაზე; ამ იჯარას იხილავენ ისე, როგორც მხოლოდ გლეხური მეურნეობის ნაწილს, მაშინ როდესაც იგი ხშირად კერძომფლობელობითი მეურნეობის წარმოების განსაკუთრებულ წესს წარმოადგენს. ამიტომ, ჩემი აზრით, უმჯობესი იქნებოდა საერობო სტატისტიკის ცნობების შეჯამება ერთნაირ სამეურნეო პირობებში მყოფი განსაზღვრული რაიონის მიხედვით.

გაკვრით გამოვთქვამ რა ჩემს აზრს, თუ საერობო-სტატისტიკურ გამოკვლევათა შეჯამების რომელი ხერხია უფრო მართებული,—აზრს, რასაც აღმიძრავს «შედეგებისა» და პოსტნიკოვის წიგნის ერთმანეთთან შედარება, ამასთანავე უნდა შევნიშნო, რომ პოსტნიკოვს, სწორედ რომ ვთქვათ, არც დაუსახავს შ ე ჯ ა მ ე ბ ი ს მიზნები: იგი უკანა რიგში აყენებს ციფრულ მასალას და მთელ ყურადღებას აღწერილობის სისრულესა და სიმკვეთრეს აქცევს.

თავის აღწერილობაში ავტორი თითქმის თანაბარი ყურადღებით ჩერდება ეკონომიური, ადმინისტრაციულ-იურიდიული (მიწათმფლობელობის ფორმები) და ტექნიკური (გამიჯვნის საკითხი; მეურნეობის სისტემა; მოსავალი) ხასიათის საკითხებზე, მაგრამ მას განზრახვა ჰქონდა — პირველი სახის საკითხები წინა რიგში დაეყენებინა.

«უნდა ვაღიარო, — ამბობს ბ-ნი პოსტნიკოვი წინასიტყვაობაში, — რომ უფრო ნაკლები ყურადღებით ვჩერდები გლეხური მეურნეობის ტექნიკაზე, ვიდრე ეს შესაძლებელი იყო, მაგრამ ამას იმიტომ ჩავდივარ, რომ ეკონომიური ხასიათის პირობები, ჩემი აზრით, უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობენ გლეხურ მეურნეობაში, ვიდრე ტექნიკა. ჩვენს პრესაში... ჩვეულებრივ უგულვებელჰყოფენ ეკონომიურ მხარეს... ძალიან ცოტა ყურადღება ექცევა ისეთი ძირითადი ეკონომიური საკითხების გამოკვლევას, როგორიც არის ჩვენი გლეხური მეურნეობისათვის აგრარული და მიწების გამიჯვნის საკითხები. ეს წიგნი სწორედ ამ საკითხების, განსაკუთრებით კი აგრარული საკითხის გამორკვევას უთმობს მეტ ადგილს» (წინასიტყვაობა, გვ. IX).

სავსებით ვიზიარებ რა ავტორის შეხედულებას ეკონომიური და ტექნიკური საკითხების შედარებითს მნიშვნელობაზე, მეც განზრახვა მაქვს ჩემს სტატიაში ბ-ნ პოსტნიკოვის შრომის მხოლოდ ის ნაწილი გადმოვცე, სადაც გლეხური მეურნეობა პოლიტიკურ-ეკონომიური მხრით არის გამოკვლეული*.

* ასეთი გადმოცემა ზედმეტად არ მიმაჩნია, ვინაიდან თითქმის შეუმჩნეველი დარჩა ბ-ნ პოსტნიკოვის წიგნი, რომელიც ჩვენს ამ ბოლო წლების ეკონომიურ ლიტერატურაში ერთ-ერთ უთვალსაჩინოეს მოვლენას წარ-

ამ გამოკვლევის მთავარ პუნქტებს ავტორი წინასიტყვაობაში შემდეგნაირად ახასიათებს:

«ამ ბოლო დროს გლეხურ მიწათმოქმედებაში მანქანების დიდი რაოდენობით გამოყენება და შეძლებული გლეხობის მეურნეობის ფარგლების შესამჩნევად გაფართოება ახალ ფაზას უქმნის ჩვენს აგრარულ ცხოვრებას; ამ ფაზის განვითარებას, უეჭველია, ახალ ძალას შეჰმატებს ამა წლის მძიმე სამეურნეო პირობები. გლეხის შრომის ნაყოფიერება და ოჯახის სამუშაო უნარი საგრძნობლად მატულობს მეურნეობის ფარგლების ზრდა-ხა და მანქანების ხმარებასთან ერთად, რასაც დღემდე მხედველობაში არ იღებდნენ, როცა განსაზღვრავდნენ იმ ფართობს, რომლის დამუშავებაც გლეხის ოჯახს შეუძლია...

გლეხურ მეურნეობაში მანქანების ხმარება არსებითს ყოფაცხოვრებითს ცვლილებებს იწვევს: იგი ამცირებს მუშა-ხელის საჭიროებას მიწათმოქმედებაში და გლეხებისათვის უფრო საგრძნობელს ხდის მიწათმოქმედების დატვირთვას ჭარბი მოსახლეობით, რასაც ჩვენში აქვს ადგილი; ყოველივე ეს კი ხელს უწყობს იმ ოჯახების რიცხვის ზრდას, რომელნიც ზედმეტნი ხდებიან სოფლისთვის, იძულებული არიან გარეთ ეძებონ სამუშაო და ფაქტიურად უმიწაწყლო ოჯახებად იქცნენ. ამასთანავე გლეხურ მეურნეობაში რთული მანქანების შემოღება, მიწათმოქმედების არსებული ხერხებისა და მისი ექსტენსიურობის პირობებში, გლეხის კეთილდღეობას ისეთ სიმაღლეზე აყენებს, რომელზედაც დღემდე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა. ამ გარემოებაშია მოცემული გლეხთა ცხოვრების ახალ სამეურნეო მოძრაობათა ძლიერების საწინდარი. წინამდებარე წიგნის უახლოეს ამოცანას შეადგენს სამხრეთ-რუსეთის გლეხობაში ამ მოძრაობათა აღნიშვნა და გამორკვევა» (წინასიტყვაობა, გვ. X).

ვიდრე იმის გადმოცემაზე გადავიდოდე, თუ რაში მდგომა-

მოადგენს. შეიძლება ეს გარემოება ნაწილობრივ იმითაც აიხსნება, რომ ავტორი, თუმცა სცნობს ეკონომიური საკითხების დიდ მნიშვნელობას, მაგრამ ძალიან ნაწყვეტ-ნაწყვეტად გადმოგვცემს მათ და თავის გადმოცემას სხვა საკითხების დეტალებით ამძიმებს.

რეობს, ავტორის აზრით, ეს ახალი სამეურნეო მოძრაობანი, კიდევ ორი შენიშვნა უნდა გავაკეთო.

პირველი, — ზემოთ უკვე ითქვა, რომ პოსტნიკოვი იძლევა ცნობებს ხერსონის, ეკატერინოსლავისა და თავრიდის გუბერნიების შესახებ, მაგრამ საკმაოდ დაწვრილებით არის მოცემული მხოლოდ ის ცნობები, რომლებიც ამ უკანასკნელ გუბერნიას შეეხება, ისიც მთელ გუბერნიას კი არა: ავტორი არ იძლევა ცნობებს ყირიმზე, რომელიც რამოდენიმედ განსხვავებულ სამეურნეო პირობებშია მოქცეული, და კმაყოფილდება თავრიდის გუბერნიის მარტოოდენ სამი, ჩრდილოეთით მდებარე კონტინენტური მაზრით: ბერდიანსკის, მელიტოპოლისა და დნეპროვსკის მაზრებით. მეც მხოლოდ ამ სამი მაზრის ცნობებს დავჯერდები.

მეორეც, თავრიდის გუბერნია, რუსებს გარდა, დასახლებულია აგრეთვე გერმანელებითა და ბულგარელებით, თუმცა მათი რიცხვი, რუს მოსახლეობასთან შედარებით, დიდი არ არის: დნეპროვსკის მაზრაში 19 586 კომლია, გერმანელი კოლონისტები კი შეადგენენ 113 კომლს, ე. ი. სულ 0,6%-ს. მელიტოპოლის მაზრაში 34 978 კომლია, გერმანელები და ბულგარელები კი შეადგენენ (1 874 + 285 =) 2 159 კომლს, ე. ი. 6,1%-ს. დასასრულ, ბერდიანსკის მაზრაში 28 794 კომლია; ამათში კოლონისტები 7 224 კომლია, ე. ი. 25%. სულ სამივე მაზრის 83 358 კომლში კოლონისტები 9 496 კომლია, ე. ი. დაახლოებით 1/9. მაშასადამე, საერთოდ კოლონისტების რიცხვი მეტად მცირეა, ხოლო დნეპროვსკის მაზრაში — სრულიად უმნიშვნელოც. ავტორი დაწვრილებით აგვიწერს კოლონისტთა მეურნეობას და ამ უკანასკნელს ყოველთვის გამოჰყოფს ხოლმე რუსი მოსახლეობის მეურნეობისაგან. მე გამოვტოვებ ყველა ამ აღწერილობას და მხოლოდ რუსი გლეხების მეურნეობას შევეხები. მართალია, ციფრულ მონაცემებში რუსები და გერმანელები შეერთებულია, მაგრამ ამ უკანასკნელთა რიცხვი იმდენად უმნიშვნელოა, რომ მათი მიმატება ვერ შესცვლის საერთო თანაფარდობას; ასე რომ სავსებით შესაძლებელია ამ ცნობების მიხედვით დავახასიათოთ რუსი გლეხობის მეურნეობა. თავრიდის გუბერნიის რუსი მოსახლეობა, რომელიც

ამ მხარეში უკანასკნელი 30 წლის მანძილზე დასახლდა, რუსეთის სხვა გუბერნიების გლეხობისაგან მხოლოდ თავისი მეტი შეძლებულობით განირჩევა. ამ მხარეში თემური მიწათმფლობელობა, ავტორის სიტყვით, «ტიპიური და მტკიცეა» *; ერთი სიტყვით, კოლონისტების გამოკლებით, თავრიდის გუბერნიის გლეხური მეურნეობა არსებითად არაფრით განსხვავდება რუსი გლეხის საერთო ტიპის მეურნეობისაგან.

II

«ამჟამად — ამბობს პოსტნიკოვი — სამხრეთ-რუსეთის ყოველი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი სოფელი (ალბათ იგივე შეიძლება ითქვას რუსეთის დანარჩენი ადგილების უმეტესობის შესახებ) იმდენად მრავალფეროვანია თავისი მოსახლეობის ცალკეულ ჯგუფთა ეკონომიური მდგომარეობის მიხედვით, რომ ძალიან ძნელია ილაპარაკო ცალკეული სოფლების, როგორც მთლიანი ერთეულების, კეთილდღეობაზე და ეს კეთილდღეობა საშუალო ციფრებით გამოხატო. ამგვარი საშუალო ციფრები გლეხობის ეკონომიური ვითარების ზოგიერთ საერთო განმსაზღვრელ პირობას აღნიშნავენ, მაგრამ არავითარ წარმოდგენას არ იძლევიან სინამდვილეში არსებულ ეკონომიურ მოვლენათა მთელ მრავალფეროვნებაზე» (გვ. 106).

ცოტა ქვევით პოსტნიკოვი კიდევ უფრო გარკვევით გამოსთქვამს თავის აზრს:

«ეკონომიური კეთილდღეობის მრავალფეროვნება — ამბობს ის — მეტისმეტად აძნელებს მოსახლეობის საერთო შეძლებულობის საკითხის გადაწყვეტას. იმ პირთ, ვისაც გავლით სახელდახელოდ უნახავს თავრიდის გუბერნიის დიდი სოფლები, ჩვეულებრივ დასკვნა გამოაქვთ, თითქოს ადგილობრივი გლეხები ძალიან შეძლებულნი იყვნენ; მაგრამ განა შეიძლება სოფელს შეძლებული უწოდო, როდესაც ნახევარი გლეხობა მდიდრებისაგან შესდგება, მეორე ნახევარი კი მუდმივ სიღატაკეშია? მერე რა ნიშნების მიხედვით უნდა განისაზღვროს

* მხოლოდ ხუთ სოფელშია კომლობრივი მიწათმფლობელობა.

ამა თუ იმ სოფლის შეძლებულობის მეტ-ნაკლებობა? ცხადია, საშუალო ციფრები, რომელნიც მთელი სოფლის ან რაიონის მოსახლეობის ვითარებას ახასიათებენ, საკმარისი არ არის აქ გლეხის დოვლათიანობაზე რაიმე დასკვნის გამოსატანად. ამის შესახებ რომ წარმოდგენა ვიქონიოთ, საჭიროა მრავალი მონაცემის შეერთება და მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ი ს ჯ გ უ ფ ე ბ ა დ დ ა-ყ ო ფ ა» (გვ. 154).

ერთი შეხედვით, გლეხებს შორის დიფერენციაციის ფაქტის ამგვარ აღნუსხვაში თითქოს ახალი არაფერია: ეს აღნიშნულია თითქმის ყველა იმ თხზულებაში, რომელიც კი საერთოდ გლეხურ მეურნეობას ეხება. მაგრამ საქმე ისაა, რომ ჩვეულებრივ, იხსენიებენ რა ამ ფაქტს, მნიშვნელობას როდი აძლევენ მას, არაარსებით ანდა შემთხვევით ფაქტადაც კი სთვლიან, შესაძლებლად მიაჩნიათ გლეხური მეურნეობის ტიპზე ილაპარაკონ, ამ ტიპს საშუალო ციფრებით ახასიათებენ, მსჯელობენ სხვადასხვა პრაქტიკულ ღონისძიებათა მნიშვნელობაზე მთელი გლეხობის მიმართ. პოსტნიკოვის წიგნში პროტესტი მოსჩანს ამგვარ შეხედულებათა წინააღმდეგ. იგი აღნიშნავს (და არაერთხელ) «თემის შიგნით ცალკეულ კომლთა ეკონომიური მდგომარეობის მეტისმეტ სხვადასხვაობას» (გვ. 323) და ილაშქრებს იმ «მიდრეკილების» წინააღმდეგ, რომ «გლეხობას შევხედოთ, როგორც მთლიანსა და ერთგვაროვან ერთეულს, როგორადაც იგი დღემდეც წარმოდგენილი ჰყავს ჩვენს ქალაქის ინტელიგენციას» (გვ. 351). «უკანასკნელი ათეული წლის საერობო-სტატისტიკურმა გამოკვლევებმა გამოარკვიეს, — ამბობს იგი — რომ ჩვენი თემი სრულიადაც არ წარმოადგენს ისეთ ერთგვაროვან ერთეულს, რანაირადაც ეხატებოდათ იგი ჩვენს პუბლიცისტებს 70-იან წლებში, და რომ უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში ამ თემში ხდებოდა მოსახლეობის დიფერენციაცია ჯგუფებად, რომელნიც ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ეკონომიური დოვლათიანობის მხრივ» (გვ. 323).

თავის აზრს პოსტნიკოვი ამტკიცებს მრავალი მონაცემით, რომლებიც მთელ წიგნშია გაფანტული, და ჩვენც ახლა უნდა შევუდგეთ ყველა ამ მონაცემთა სისტემატურად შეჯამებას,

რათა შევამოწმოთ ამ აზრის სისწორე, რათა გადავწყვიტოთ საკითხი, თუ ვინ არის მართალი — «ქალაქის ინტელიგენცია», რომელიც გლეხობას უყურებს, როგორც ერთგვაროვან ერთეულს, თუ პოსტნიკოვი, რომელიც ამტკიცებს, მრავალგვარობა ფრიად დიდიაო? შემდეგ — რამდენად ღრმაა ეს მრავალგვარობა? ხელს უშლის თუ არა იგი იმას, რომ მოვახდინოთ გლეხური მეურნეობის საერთო დახასიათება პოლიტიკურ-ეკონომიური მხრით, მარტო საშუალო მონაცემთა მიხედვით? შეუძლია თუ არა მას შესცვალოს პრაქტიკულ ღონისძიებათა მოქმედება და გავლენა გლეხობის სხვადასხვა ფენათა მიმართ?

ვიდრე მოვიყვანდეთ ციფრებს, რომლებიც მასალას იძლევიან ამ საკითხების გადასაჭრელად, უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა ამგვარი ცნობა პოსტნიკოვს აღებული აქვს თავრიდის გუბერნიის საერობო-სტატისტიკური კრებულებიდან. თავდაპირველად საერობო სტატისტიკა აღწერების დროს კმაყოფილდებოდა საერთო თემობრივი ცნობებით და არა ჰკრებდა ცნობებს გლეხთა თვითეული კომლის შესახებ. მაგრამ მალე შენიშნეს ამ კომლთა ქონებრივი მდგომარეობის სხვადასხვაობა და დაიწყეს კომლობრივი აღწერა, — ეს პირველი ნაბიჯი იყო გლეხების ეკონომიური მდგომარეობის უფრო ღრმად შესწავლისაკენ. შემდგომი ნაბიჯი იყო კომბინაციური ცხრილების შემოღება: ემყარებოდნენ რა იმ შეხედულებას, რომ თემის შიგნით გლეხთა ქონებრივი განსხვავებანი უფრო ღრმაა, ვიდრე გლეხთა სხვადასხვა იურიდიული ჯგუფების განსხვავებანი, სტატისტიკოსებმა იწყეს გლეხების ეკონომიური მდგომარეობის ყველა მაჩვენებელთა დაჯგუფება ამა თუ იმ ქონებრივი განსხვავების მიხედვით, — მაგალითად, გლეხებს ანაწილებდნენ ჯგუფებად ნათეს დესეტინათა რიცხვის, მუშა-პირუტყვის რაოდენობის მიხედვით, კომლზე სანადელო სახნავი მიწის რაოდენობისა და სხვ. მიხედვით.

თავრიდის საერობო სტატისტიკა გლეხებს აჯგუფებს ნათეს დესეტინათა რიცხვის მიხედვით. პოსტნიკოვის აზრით, ამგვარი დაჯგუფება უფრო «მოხერხებულია» (გვ. XII), ვინაიდან «თავრიდის მაზრების მეურნეობის პირობებში ნათესის სიდიდე

გლეხთა კეთილდღეობის ყველაზე არსებითს ნიშანს წარმოადგენს» (გვ. XII). «სამხრეთ-რუსეთის ველ-მინდვრიან მხარეში — ამბობს პოსტნიკოვი — გლეხებს შორის სხვადასხვაგვარ არასამიწათმოქმედო სარეწთა განვითარება ჯერჯერობით შედარებით უმნიშვნელოა; სოფლის მოსახლეობის დიდი უმრავლესობის მთავარ მოსაქმეობას ამჟამად პურეულის თესვაზე დამყარებული მიწათმოქმედება შეადგენს». «საერობო სტატისტიკის ცნობებით, თავრიდის გუბერნიის ჩრდილო მაზრებში მარტოდ-მარტო სარეწებს სოფლის მკვიდრი მოსახლეობის 7,6% მისდევს; გარდა ამისა, მოსახლეობის 16,3% საკუთარ მიწათმოქმედებასთან ერთად დამხმარე სარეწებსაც მისდევს» (გვ. 108). მართლაც-და, რუსეთის დანარჩენი ადგილებისთვისაც კი გაცილებით უფრო სწორია გლეხების დაჯგუფება ნათესის ოდენობის მიხედვით, ვიდრე საერობო სტატისტიკოსების მიერ მიღებული დაჯგუფების სხვა რომელიმე საფუძველი, მაგალითად, კომლზე სანადელო მიწის ან სანადელო სახნავის დესეტინათა რაოდენობის მიხედვით: ერთი მხრით, სანადელო მიწის რაოდენობა პირდაპირ არ გვიჩვენებს, თუ რა შეძლება აქვს კომლს, იმიტომ რომ ნადელის სიდიდე განისაზღვრება «რევიზიით» აღრიცხულ სულთა* ანუ ოჯახში მყოფ მამრობითი სქესის წევრთა რაოდენობით და მხოლოდ არაპირდაპირ არის დაკავშირებული ოჯახის პატრონის შეძლებულობასთან; დასასრულ, იმიტომ, რომ შეიძლება გლეხი არც კი სარგებლობდეს სანადელო მიწით, აქირავებდეს მას, და თუ ინვენტარი არ გააჩნია, ვერც ისარგებლოს ამ მიწით. მეორე მხრით, თუ მოსახლეობა უმთავრესად მიწათმოქმედებას მისდევს, მაშინ ნათესი ფართობის განსაზღვრა საჭიროა წარმოების აღსარიცხავად, იმის გამოსარკვევად, თუ რამდენ პურს ხმარობს გლეხი, რამდენს ყიდულობს და ჰყიდის, ვინაიდან ამ საკითხების გაურკვევლად გლეხური მეურნეობის ფრიად მნიშვნელოვანი მხარე გაუშუქებელი დარჩება, ნათელი არ იქნება მისი სამიწათმოქმედო მეურნეობის ხასიათი, ამ მეურნეობის მნიშვნელობა სხვა საშოვართან შედარებით და სხვ. დასასრულ, გლეხების დაჯგუფების საფუძვლად იმიტომ უნდა ავიღოთ სწორედ ნათესი ფართობი,

რომ შესაძლებლობა გვქონდეს — ოჯახის მეურნეობა შევადაროთ გლეხთა ეგრეთწოდებულ სამიწათმფლობელო და სამიწათმოქმედო ნორმებს, სასურსათო (Nahrungsfläche) და სამუშაო (Arbeitsfläche) ნორმებს. ერთი სიტყვით, დაჯგუფება ნათესის მიხედვით მარტო მოხერხებული კი არა, არამედ საუკეთესო და აუცილებლად საჭიროცაა.

ნათესის სიდიდის მიხედვით თავრიდის გუბერნიის სტატისტიკოსები გლეხებს 6 ჯგუფად ჰყოფენ: 1) არმთესველნი; 2) მთესველნი 5 დესეტინამდე; 3) — 5-დან 10 დესეტინამდე; 4) 10-დან 25-მდე; 5) 25-დან 50-მდე და 6) — 50-ზე მეტი დეს. მთესველნი კომლზე. სამ მაზრაში ამ ჯგუფების თანაფარდობა კომლთა რაოდენობის მიხედვით ასეთია:

| კომლთა პროცენტები | | |

პოსტნიკოვი ასეთ ცხრილს იძლევა (მასში ნაჩვენები სამი სხვადასხვა თანრიგის მიწების ჯამი ავტორს არ გამოუანგარიშნია (გვ. 145)):

გლეხების ჯგუფები	კომლზე საშუალოდ მოდის სახნავი მიწა დესეტინობით											
	ბერდიანსკის მაზრა				მელიტოპოლის მაზრა				დნეპროვსკის მაზრა			
	სანადელო	ნაყიდი	ჯარიმა ანგებული	ს ულ	სანადელო	ნაყიდი	ჯარიმა ანგებული	ს ულ	სანადელო	ნაყიდი	ჯარიმა ანგებული	ს ულ
არმთესველნი	6,8	3,1	0,09	10	8,7	0,7	—	9,4	6,4	0,9	0,1	7,4
მთესვ. 5 დ-მდე	6,9	0,7	0,4	8,0	7,1	0,2	0,4	7,7	5,5	0,04	0,6	6,1
» 5—10 »	9	—	1,1	10,1	9	0,2	1,4	10,6	8,7	0,05	1,6	10,3
» 10—25 »	14,1	0,6	4	18,7	12,8	0,3	4,5	17,6	12,5	0,6	5,8	18,9
» 25—50 »	27,6	2,1	9,8	39,5	23,5	1,5	13,4	38,4	16,6	2,3	17,4	36,3
50-ზე მეტი დ.	36,7	31,3	48,4	116,4	36,2	21,3	42,5	100	17,4	30	44	91,4
მაზრაში	14,8	1,6	5	21,4	14,1	1,4	6,7	22,2	11,2	1,7	7,0	19,9

«ეს ციფრები გვიჩვენებენ, — ამბობს პოსტნიკოვი, — რომ თავრიდის მაზრებში გლეხების უფრო შეძლებული ჯგუფი არა მარტო მეტი სანადელო მიწით სარგებლობს, რაც, 'შეიძლება, ოჯახების დიდი შემადგენლობის მიზეზითაც ხდებოდეს, არამედ იმავე დროს ეს ჯგუფი არის მომეტებულად მიწის მყიდველიც და იჯარით ამღებიც» (გვ. 146).

ამის გამო, მე მგონია, საჭიროა მხოლოდ შევნიშნოთ, რომ ნადელის ზრდა დაბალი ჯგუფიდან მაღალი ჯგუფისაკენ არ შეიძლება სავსებით აიხსნას ოჯახთა შემადგენლობის გა-

დიდებით. პოსტნიკოვი სამი მაზრისათვის იძლევა ოჯახების შემადგენლობის შემდეგს ცხრილს ჯგუფების მიხედვით:

	1 ოჯახზე საშუალოდ მოდის					
	ბერდიანსკის მაზრა		მელიტოპოლის მაზრა		დნეპროვსკის მაზრა	
	ორივე სქესის სული	მომუშავე	სული	მომუშავე	სული	მომუშავე
არმთესველნი	4,5	0,9	4,1	0,9	4,6	1
მთესველნი 5 დ-მდე	4,9	1,1	4,6	1	4,9	1,1
» 5 — 10 »	5,6	1,2	5,3	1,2	5,4	1,2
» 10 — 25 »	7,1	1,6	6,8	1,5	6,3	1,4
» 25 — 50 »	8,2	1,8	8,6	1,9	8,2	1,9
» 50-ზე მეტი დ.	10,6	2,3	10,8	2,3	10,1	2,3
მაზრებში	6.6	1,5	6,5	1.5	6.2	1,4

ეს ცხრილი გვიჩვენებს, რომ კომლზე სანადელო მიწის რაოდენობა დაბალი ჯგუფიდან მაღალი ჯგუფისაკენ გაცილებით უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე ოჯახის ორივე სქესის წევრთა და მომუშავეთა რიცხვი. ამის საილუსტრაციოდ მოგვყავს ცხრილი, ამასთან დნეპროვსკის მაზრის დაბალი ჯგუფისათვის ციფრებად ას-ასს ვიღებთ:

	სანადელო მიწა	მომუშავე	ორივე სქესის სული
არმთესველნი	100	100	100
მთესველნი 5 დ-მდე	86	110	106
» 5 — 10 »	136	120	117
» 10 — 25 »	195	140	137
» 25 — 50 »	259	190	178
» 50-ზე მეტი დ.	272	230	219

ცხადია, რომ ნადელის სიდიდეს, გარდა ოჯახის შემადგენლობისა, კომლის დოვლათიანობაც განსაზღვრავს.

გლეხების სხვადასხვა ჯგუფში ნაყიდი მიწის რაოდენობის ცნობებს რომ ვაკვირდებით, ვხედავთ, რომ მიწებს ყიდულობენ

თითქმის მარტოოდენ მაღალი ჯგუფები, რომელთაც 25 დესეტინაზე მეტი ნათესი აქვთ, და — უმთავრესად — ყველაზე მეტის მთესველნი, რომელთაც კომლზე 75 დეს. ნათესი მოსდით. მაშასადამე, ცნობები ნაყიდი მიწების შესახებ სავსებით ადასტურებენ პოსტნიკოვის აზრს გლეხობის ჯგუფთა სხვადასხვაობის შესახებ. ისეთი ცნობა, მაგალითად, რომელიც ავტორს 147 გვერდზე მოჰყავს, როცა ამბობს: «თავრიდის მაზრების გლეხებმა 96 146 დეს. მიწა იყიდესო», — სრულიადაც არ ახასიათებს მოვლენას: თითქმის მთელი ეს მიწა უმნიშვნელო უმცირესობის ანუ, როგორც პოსტნიკოვი ამბობს, «შეძლებული» გლეხების ხელშია, რომელნიც ყველაზე მეტად არიან უკვე უზრუნველყოფილნი სანადელო მიწით; ასეთები კი მოსახლეობის $^1/_5$-ზე მეტს არ შეადგენენ.

იჯარაზეც იგივე უნდა ითქვას. ზემოთ მოყვანილ ცხრილში ნაჩვენებია იჯარით აღებული მიწის — სანადელო და არასანადელო მიწების — საერთო ციფრი. გამოდის, რომ საიჯარო მიწის ოდენობა სრული სისწორით იზრდება იმისდა კვალად, რაც უფრო მეტად არის უზრუნველყოფილი გლეხი, რომ, მაშასად., რაც უფრო უკეთ არის უზრუნველყოფილი გლეხი თავისი მიწით, მით უფრო მეტ მიწას იღებს იგი იჯარით და, ამგვარად, ხელიდან აცლის უღარიბეს ჯგუფებს მათთვის აუცილებელ მიწის ფართობს.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს მოვლენა საერთოა მთელი რუსეთისათვის. პროფ. კარიშევი, აჯამებს რა ცნობებს გლეხთა არასანადელო მიწების იჯარის შესახებ მთელ რუსეთში, სადაც კი საერობო-სტატისტიკური გამოკვლევანი მოიპოვება, საერთო კანონად აღიარებს საიჯარო მიწის სიდიდესა და მოიჯარის შეძლებულობას შორის არსებულ პირდაპირ დამოკიდებულებას*.

მაგრამ პოსტნიკოვი კიდევ უფრო დეტალურ ციფრებს

---

* «შედეგები რუსეთის ეკონომიური გამოკვლევისა საერობო სტატისტიკის მონაცემთა მიხედვით». ტ. II. ნ. კ ა რ ი შ ე ვ ი. გლეხთა იჯარა არასანადელო მიწებზე. დორპატი. 1892. გვ. 122, 133 და სხვ.

იძლევა იჯარის (არასანადელო და სანადელო მიწებისა ერთად) განაწილების შესახებ; მომყავს ეს ციფრები:

	ბერდიან-სკის მაზრა			მელიტოპო-ლის მაზრა			დნეპროვ-სკის მაზრა		
	სახნავი მიწა			სახნავი მიწა			სახნავი მიწა		
	მოიჯარე კომლთა %	მოიჯარე კომლზე	1 დეს. ფასი	მოიჯარე კომლთა %	მოიჯარე კომლზე	1 დეს. ფასი	მოიჯარე კომლთა %	მოიჯარე კომლზე	1 დეს. ფასი
მთესველნი 5 დ-მდე	18,7	2,1	11	14,4	3	5,50	25	2,4	15,25
» 5 — 10 »	33,6	3,2	9,20	34,8	4,1	5,52	42	3,9	12
» 10 — 25 »	57	7	7,65	59,3	7,5	5,74	69	8,5	4,75
» 25 — 50 »	60,6	16,1	6,80	80,5	16,9	6,30	88	20	3,75
» 50-ზე მეტი დ.	78,5	62	4,20	88,8	47,6	3,93	91	48,6	3,55
მაზრებში	44,8	11,1	5,80	50	12,4	4,86	56,2	12,4	4,23

ჩვენ აქაც ვხედავთ, რომ საშუალო ციფრებს მოვლენის დახასიათება სრულიად არ შეუძლიათ: თუ, მაგ., ვიტყვით, რომ დნეპროვსკის მაზრაში გლეხების 56% იჯარას მიმართავსო, ამით ჩვენ მეტად არასრულ წარმოდგენას ვიძლევით ამ იჯარაზე, იმიტომ რომ იმ ჯგუფებში, რომელთაც საკუთარი მიწა საკმაო არ მოეპოვებათ (როგორც ეს ქვემოთ იქნება ნაჩვენები), მოიჯარეთა % გაცილებით ნაკლებია — პირველ ჯგუფში მხოლოდ 25%, მაშინ როდესაც მაღალი ჯგუფი, რომელიც სავსებით უზრუნველყოფილია თავისი მიწით, თითქმის მთლიანად (91%) იჯარას მიმართავს. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია განსხვავება იჯარით აღებულ დესეტინათა რაოდენობისა, რაც თითო მოიჯარე კომლზე მოდის: მაღალი ჯგუფი მიწას 30 — 15 — 24-ჯერ მეტი რაოდენობით იღებს იჯარით, ვიდრე დაბალი ჯგუფი. ცხადია, ეს თვით იჯარის ხასიათსაც სცვლის, იმიტომ რომ უმაღლესი ჯგუფისათვის ეს უკვე კომერციული საქმეა, ხოლო დაბალი ჯგუფისათვის, შესაძლოა, ისეთი ოპერაცია იყოს, რომელიც უკიდურესი გაჭირვებით არის გამოწვეული. უკანასკნელ მოსაზრებას ადასტურებს ცნობები საიჯარო ფასის შესახებ:

თურმე დაბალი ჯგუფები უფრო მეტს იხდიან მიწაში, ზოგჯერ ოთხჯერ მეტსაც, ვიდრე მაღალი ჯგუფი (დნეპროვსკის მაზრაში). ამის გამო უნდა გავიხსენოთ, რომ საიჯარო მიწის ოდენობის შემცირების მიხედვით საიჯარო ქირის ზრდაც მარტო ჩვენი სამხრეთის განსაკუთრებულ თვისებას როდი შეადგენს: კარიშევის შრომა ამ კანონის საერთო გამოყენების შესაძლებლობას ამტკიცებს.

«თავრიდის მაზრებში — ამბობს პოსტნიკოვი ამ ცნობების გამო — მიწების იჯარას უმთავრესად მისდევენ შეძლებული გლეხები, რომელთაც საკმაო რაოდენობით აქვთ სანადელო და საკუთარი მიწა; განსაკუთრებით უნდა ითქვას ეს არასანადელო მიწების, ე. ი. სამფლობელო და სახაზინო მიწების იჯარაზე, რომლებიც უფრო მოშორებითაა სოფლებზე. არსებითად ეს სავსებით ბუნებრივიც არის: უფრო დაშორებული მიწების იჯარისათვის საჭიროა საკმაო მუშა-პირუტყვის ყოლა, ხოლო ნაკლებად შეძლებულ გლეხებს აქ თავისი სანადელო მიწების დასამუშავებლადაც კი არ გააჩნიათ საჭირო რაოდენობით პირუტყვი» (გვ. 148).

არ უნდა ვიფიქროთ, რომ იჯარის ამგვარი განაწილება დამოკიდებული იყოს ცალკეულ პირთა მიერ მიწის იჯარით აღებაზე. საქმე ოდნავაც არ იცვლება, როდესაც მიწას საზოგადოება იღებს საიჯაროდ, — არ იცვლება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მიწის განაწილებაც იმავე საფუძვლით, ე. ი. «ფულის მიხედვით» ხდება.

«სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს საგადასახადო დავთრების მიხედვით — ამბობს პოსტნიკოვი — 1890 წელს სამი მაზრის 133 852 დესეტინა სახაზინო მიწიდან, რაც იჯარით იცემოდა კონტრაქტების დადებით, გლეხთა საზოგადოებების სარგებლობაში იმყოფებოდა 84 756 დეს. გამოსადეგი მიწა, ე. ი. მთელი ფართობის დაახლოებით 63%. მაგრამ გლეხთა საზოგადოებების მიერ იჯარით აღებული მიწა მეკომურთა შედარებით მცირე რიცხვის სარგებლობაში იყო, ისიც უპირატესად შეძლებულთა ხელში. ერობის მიერ მოხდენილი

კომლობრივი აღწერა ამ ფაქტს საკმაო სიმკვეთრით გვიჩვენებს» (გვ. 150)*:

გლეხების ჯგუფები	ბერდიანსკის მაზრა			მელიტოპოლის მაზრა			დნეპროვსკის მაზრა			სამივე მაზრაში			
	რიცხვი			რიცხვი			რიცხვი			რიცხვი			
	მოიჯ. კომლ.	საიჯ. მიწ. დეს.	მოიჯ. კომლ-ზე	მოიჯ. კომლ.	საიჯ. მიწ. დეს.	მოიჯ. კომლ-ზე	მოიჯ. კომლ.	საიჯ. მიწ. დეს.	მოიჯ. კომლ-ზე	მოიჯ. კომლ.	საიჯ. მიწ. დეს.	%%-ით	მოიჯ. კომლ-ზე
მთესვ. 5 დ-ე	39	66	1,7	24	383	16	20	62	3,1	83	511	1	6,1
» 5—10 »	227	400	1,8	159	776	4,8	58	251	4,3	444	1 427	3	3,2
» 10—25 »	687	2 642	3,8	707	4 569	6,4	338	1 500	4,4	1 732	8 711	20	5,0
» 25—50 »	387	3 755	9,7	672	8 564	12,7	186	1 056	5,7	1 245	13 375	30	10,7
» 50-ზე მეტი დ.	113	3 194	28,3	440	15 365	34,9	79	1 724	21,8	632	20 283	46	32,1
ჯამი . .	1 453	10 057	7	2 002	29 657	14,8	681	4 593	6,7	4 136	44 307	100	10,7

«ამრიგად, — დაასკვნის პოსტნიკოვი — დნეპროვსკის მაზრაში შეძლებულ გლეხთა ჯგუფის სარგებლობაში იყო მთელი საიჯარო სახნავი მიწის $^1/_2$-ზე მეტი, ბერდიანსკისაში — $^2/_3$-ზე მეტი, ხოლო მელიტოპოლის მაზრაში, სადაც სახაზინო მიწა ყველაზე მეტად იცემა საიჯაროდ, — იჯარით აღებული ფართობის $^4/_5$-ზე მეტიც კი. ყველა ამ მაზრაში კი უღარიბეს გლეხთა (10 დესეტინამდე სახნავი მიწის მთესველთა) ჯგუფის ხელში იყო სულ 1 938 დეს., ანუ იჯარით აღებული მიწების 4%-მდე» (გვ. 150). შემდეგ ავტორს მოჰყავს მთელი რიგი მაგალითები იმისა, თუ როგორ არათანაბრად არის განაწილებული საზო-

* ამ ცხრილის უკანასკნელი სვეტი (სამი მაზრის შეჯამებითი ცნობები) პოსტნიკოვს არ მოჰყავს. ცხრილის შესახებ იგი შენიშნავს, რომ «საიჯარო პირობებით გლეხებს უფლება აქვთ იჯარით აღებული მიწის მხოლოდ $^1/_3$ ნაწილი მოხნან».

გადოებათა მიერ იჯარით აღებული მიწები, მაგრამ ამ მაგალითების აქ მოყვანა ზედმეტია.

პოსტნიკოვის ამ დასკვნების გამო, რომ იჯარა მოიჯარეთა ქონებრივ შეძლებაზეა დამოკიდებულიო, ფრიად საინტერესოა აღინიშნოს საერობო სტატისტიკოსთა საწინააღმდეგო აზრი.

წიგნის დასაწყისში პოსტნიკოვმა მოათავსა თავისი სტატია: «საერობო-სტატისტიკური მუშაობის შესახებ თავრიდის, ხერსონისა და ეკატერინოსლავის გუბერნიებში» (გვ. XI — XXXII). აქ იგი, სხვათა შორის, იხილავს თავრიდის ერობის მიერ 1889 წელს გამოცემულ «თავრიდის გუბერნიის სამახსოვრო წიგნაკს», რომელშიც მოკლედ არის შეჯამებული მთელი გამოკვლევის ცნობები. არჩევს რა ამ წიგნის იმ განყოფილებას, რომელიც იჯარას შეეხება, პოსტნიკოვი ამბობს:

«ჩვენს მიწით მდიდარ სამხრეთ და აღმოსავლეთ გუბერნიებში საერობო სტატისტიკამ გამოავლინა საკმაოდ თვალსაჩინო პროცენტი შეძლებული გლეხობისა, რომელიც, საკუთარი კარგა მოზრდილი ნადელის გარდა, სხვა მიწებსაც ბლომად იღებს იჯარით. აქ მეურნეობა მიზნად ისახავს არა მარტო ოჯახის საკუთარ საჭიროებათა დაკმაყოფილებას, არამედ ერთგვარი ნაჭარბის, შემოსავლის მიღებასაც, რითაც გლეხები აუმჯობესებენ თავიანთ შენობებს, იძენენ მანქანებს, დამატებით ყიდულობენ მიწებს. ეს სურვილი საკმაოდ ბუნებრივია და არავითარ ცოდვას არ შეიცავს, ვინაიდან მასში ჯერ კიდევ არავითარი კულაკური ელემენტი არ არის გამოხატული». [კულაკური ელემენტები აქ მართლაც არ არის, მაგრამ ექსპლოატაციის ელემენტები უეჭველად არის: შეძლებული გლეხები რომ იჯარით იღებენ მიწას იმ რაოდენობით, რაც მათს საჭიროებას ბევრად აღემატება, ამით ისინი ღარიბებს ხელიდან აცლიან მიწას, რომელიც მათ სურსათისათვის სჭირდებათ; მეურნეობის ფარგლებს რომ აფართოებენ, ისინი საჭიროებენ დამატებითს მუშა-ხელს და დაქირავებას მიმართავენ.] «მაგრამ ერობის ზოგიერთ სტატისტიკოსს, როგორც სჩანს, ასეთი მოვლენები გლეხთა ცხოვრებაში რაღაც უკანონო რამედ მიაჩნია; ამიტომ ისინი ცდილობენ შეამცირონ მათი მნიშვნელობა და დაამტკიცონ, რომ გლეხის

იჯარა უმთავრესად სურსათის ნაკლებობით არის გამოწვეული, და თუ შეძლებული გლეხები ბევრ მიწას იღებენ კიდეც იჯარით, ასეთ მოიჯარეთა პროცენტი მაინც გამუდმებით კლებულობს ნადელის სიდიდის ზრდასთან ერთადო» (გვ. XVII), — «სამახსოვრო წიგნაკის» შემდგენელმა, ბ-მა ვერნერმა, ამ აზრის დასამტკიცებლად დააჯგუფა ნადელის ოდენობის მიხედვით მთელი თავრიდის გუბერნიის გლეხები, რომელთაც 1 — 2 მუშა-ხელი და 2 — 3 სული მუშა-პირუტყვი ჰყავთ. გამოვიდა, რომ «ნადელის სიდიდესთან თანაბრად მცირდება მოიჯარე კომლთა პროცენტი და უფრო ნაკლები თანაბრობით მცირდება იჯარით აღებული მიწის რაოდენობა კომლზე» (გვ. XVIII). პოსტნიკოვი სავსებით სამართლიანად ამბობს, რომ ამგვარი ხერხი სრულიადაც არ არის დამამტკიცებელი, რადგანაც გლეხების ნაწილი (მხოლოდ ისინი, ვისაც 2 — 3 სული მუშა-პირუტყვი ჰყავს) თვითნებურად არის გამოყოფილი, ამასთან გამოტოვებულია სწორედ შეძლებული გლეხობა; გარდა ამისა, თავრიდის გუბერნიის კონტინენტური მაზრებისა და ყირიმის შეერთება შეუძლებელია, ვინაიდან იქ იჯარის პირობები ერთნაირი არ არის: ყირიმში მოსახლეობის $^1/_2$—$^3/_4$ უმიწაწყლოა (ე. წ. მოღალენი), ჩრდილოეთ მაზრებში კი — მხოლოდ 3 — 4%. ყირიმში თითქმის ყოველთვის ადვილად შეიძლება საიჯარო მიწის შოვნა; ჩრდილოეთ მაზრებში კი ზოგჯერ ეს შეუძლებელია. საინტერესოა აღინიშნოს, რომ სხვა გუბერნიების ერობათა სტატისტიკოსებსაც ემჩნეოდათ ასეთივე (რა თქმა უნდა, ერთნაირად უნაყოფო) ცდა — მიეჩქმალათ გლეხთა ცხოვრების ისეთი «უკანონო» გამოვლინებანი, როგორიც არის იჯარა შემოსავლის მიღების მიზნით. (იხ. კარიშევის ხსენებული თხზულება.)

ამრიგად, თუ კი არასანადელო მიწის იჯარის განაწილება გლეხებში გვიჩვენებს გლეხთა ცალკეულ მეურნეობათა შორის არსებულ არა მარტო რაოდენობითს განსხვავებას (ბევრ მიწას იღებს იჯარით, ცოტა მიწას იღებს იჯარით), არამედ თვისობრივსაც (იჯარით იღებს მიწას სურსათის ნაკლებობის გამო; იჯარით იღებს მიწას კომერციული მიზნით), — მაშინ იგივე უფრო მეტად შეიძლება ითქვას სანადელო მიწის იჯარის შესახებ.

«1884 — 1886 წლების კომლობრივი აღწერით, — ამბობს პოსტნიკოვი, — თავრიდის გუბერნიის სამ მაზრაში მთელი სანადელო სახნავი მიწა, რომელსაც გლეხები გლეხებისგანვე იღებენ იჯარით, აღრიცხულია 256 716 დესეტინა, რაც აქ გლეხების მთელი სანადელო სახნავი მიწის $^1/_4$-ს შეადგენს; ამაში კიდევ არ შესულა ის ფართობი, რომელსაც გლეხები ქირით აძლევენ სოფლად მობინადრე «რაზნოჩინცებს», აგრეთვე სოფლის მწერლებს, მასწავლებლებს, სასულიერო პირებსა და სხვებს, რომელნიც გლეხობის შემადგენლობას არ ეკუთვნიან და კომლობრივ აღწერაში არ არიან მოყოლილნი. მიწების მთელი ეს მასა თითქმის მთლიანად შეძლებულ გლეხთა ჯგუფებს აქვთ იჯარით აღებული, რასაც შემდეგი ციფრები ცხადჰყოფენ. აღწერით აღნუსხულია იმ სანადელო სახნავი მიწის დესეტინათა რაოდენობა, რაც მეკომურებს მეზობლებისაგან აქვთ იჯარით აღებული:

კომლზე	10 დესეტინამდე	მთესველთ	16 594	დეს., ე. ი.	6%
»	10-დან 25 »	»	89 526	» »	35
»	25-ზე მეტი დეს.	»	150 596	» »	59
		ს ულ	256 716	დეს.	100%

ამ გაქირავებული მიწის მეტი ნაწილი კი, ისევე როგორც მიწის გამქირავებელთა რიცხვიც, არმთესველ, უმეურნეო და მცირემთესველ გლეხთა ჯგუფს ეკუთვნის. ამრიგად, თავრიდის მაზრების გლეხობის მნიშვნელოვანი ნაწილი (მთელი მოსახლეობის დაახლოებით $^1/_3$-მდე) ზოგი სურვილის უქონლობის გამო, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში იმის გამო, რომ არ გააჩნია მეურნეობის გაძღოლისათვის საჭირო პირუტყვი და ინვენტარი, ვერ ეწევა მთელი თავისი სანადელო მიწის ექსპლოატაციას, აქირავებს მას და მით ადიდებს გლეხობის მეორე, უფრო შეძლებული ნახევრის მიწათსარგებლობას. მიწის გამქირავებელთა უმრავლესობა, უეჭველია, ეკუთვნის იმ მოსახლეთა რიცხვს, რომელთა მეურნეობა მოშლილია, დაქვეითების გზაზეა დამდგარი» (გვ. 136—137).

ნათქვამს ადასტურებს შემდეგი ცხრილი, რომელიც ეხება «თავრ. გუბ. ორ მაზრას (მელიტოპოლის მაზრის შესახებ საერობო სტატისტიკა ცნობებს არ იძლევა); იგი გვიჩვენებს ნადელე-

ბის გამქირავებელ მოსახლეთა შედარებითს რიცხვს და მათ მიერ გაქირავებული სანადელო სახნავი მიწის პროცენტს» (გვ. 135):

	ბერდიანსკის მაზრა		დნეპროვსკის მაზრა	
	სანადელო მიწის გამქირავ. მოსახლეთა %	გაქირ. სანად. მიწის %	სანადელო მიწის გამქირავ. მოსახლეთა %	გაქირ. სანად. მიწის %
არმთესველნი	73	97	80	97,1
მთესველნი 5 დ-მდე	65	54	30	38,4
» 5 — 10 »	46	23,6	23	17,2
» 10 — 25 »	21,5	8.3	16	8,1
» 25 — 50 »	9	2,7	7	2,9
» 50-ზე მეტი დ.	12,7	6.3	7	13,8
მაზრებში	32,7	11,2	25,7	14,9

გლეხთა მიწათმფლობელობიდან და მიწათსარგებლობიდან გადავიდეთ ინვენტარის განაწილებაზე. მუშა-პირუტყვის რაოდენობის შესახებ გლეხთა ჯგუფების მიხედვით პოსტნიკოვი ასეთ ცნობებს იძლევა — ერთად სამივე მაზრისათვის:

	სულ		1 კომლზე საშუალოდ მოდის			
	ცხენი	ხარი	მუშა-პირუტყვი	დანარჩენი პირუტყვი*	სულ*	იმ კომლთა %, რომელთაც მუშა-პირუტყვი არა ჰყავთ
არმთესველნი	—	—	0.3	0,8	1,1	80,5
მთესველნი 5 დ-მდე	6 467	3 082	1.0	1,4	2,4	48.3
» 5 — 10 »	25 152	8 924	1,9	2,3	4,2	12,5
» 10 — 25 »	80 517	24 943	3,2	4,1	7,3	1,4
» 25 — 50 »	62 823	19 030	5.8	8,1	13,9	0.1
» 50-ზე მეტი დ.	21 003	11 648	10,5	19.5	30	0.03
სულ	195 962	67 627	3,1	4,5	7,6	—

თავისთავად ეს ციფრები არ ახასიათებენ თანრიგს, — ეს დახასიათება მოყვანილი იქნება ქვემოთ, მიწათმოქმედების ტექნიკის აღწერისა და გლეხების ეკონომიურ თანრიგებად დაყოფის დროს. აქ მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ იმდენად დიდია განსხვავება გლეხების ჯგუფებს შორის მუშა-პირუტყვის რაოდენო-

* მსხვილფეხა პირუტყვზე რომ გადავიყვანოთ.

ბის მხრივ, რომ მაღალ ჯგუფებს გაცილებით მეტი პირუტყვი ჰყავთ, ვიდრე ამას ოჯახის საჭიროება მოითხოვს, ხოლო დაბალ ჯგუფებს — ისე ცოტა (განსაკუთრებით მუშა-პირუტყვი), რომ მეურნეობის დამოუკიდებელი წარმოება შეუძლებელი ხდება.

სავსებით ამგვარივეა მკვდარი ინვენტარის განაწილების ცნობებიც. «კომლობრივი აღწერა, რომლითაც გლეხური ინვენტარი გუთნებად და ბუკერებად იქნა აღრიცხული, შემდეგ ციფრებს იძლევა მაზრების მთელი მოსახლეობისათვის» (გვ. 214):

	იმ კომლთა %,		
	რომელთაც სახნავი იარაღი არა აქვთ	რომელთაც მხოლოდ ბუკერი აქვთ	რომელთაც გუთანი და სხვა იარაღი აქვთ
ბერდიანსკის მაზრა	33	10	57
მელიტოპოლის »	37,8	28,2	34
დნეპროვსკის »	39,3	7	53,7

ეს ცხრილი გვიჩვენებს, გლეხების რა დიდი ჯგუფია მოკლებული საშუალებას—დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ლ ა დ გაუძღვეს მეურნეობას. თუ როგორია საქმის ვითარება მაღალ ჯგუფებში, ამას გვიჩვენებს შემდეგი ცნობები იმ ინვენტარის რაოდენობის შესახებ, რაც ნათესის მხრივ განსხვავებულ ჯგუფებში მოდის თითო კომლზე:

	კომლზე მოდის ინვენტარი					
	ბ ე რ დ ი ა ნ ს კ ი ს მ ა ზ რ ა		მ ე ლ ი ტ ო პ. მ ა ზ რ ა		დ ნ ე პ რ ო ვ. მ ა ზ რ ა	
	გადასაზ. ინვენტ. («ბრიჩკა» და სხვ.)	სახნავი ინვ. (გუთ. და ბუკერი)	გადასაზ. ინვ.	სახნავი ინვ.	გადასაზ. ინვ.	სახნავი ინვ.
მთესვ. 5—10 დ-მდე	0,8	0,5	0,8	0,4	0,8	0,5
» 10—25 »	1,2	1,3	1,2	1	1	1
» 25—50 »	2,1	2	2	1.6	1.7	1,5
» 50-ზე მეტი დ.	3,4	3,3	3,2	2,8	2,7	2,4

ინვენტარის რაოდენობის მხრივ უმაღლესი ჯგუფი უდაბლესს (5 დესეტინამდე მთესველთა ჯგუფი ავტორმა სრულებით გამოსტოვა) 4 — 6-ჯერ აღემატება; მუშა-ხელის რიცხვით* კი ამავე ჯგუფს იგი $^{23}/_{12}$-ჯერ აღემატება, ე. ი. უფრო ნაკლებ,

* იხ. ზემოთ—ცხრილი ოჯახთა შემადგენლობისა ჯგუფების მიხედვით.

ვიდრე ორჯერ. აქედანაც უკვე ცხადია, რომ მაღალმა ჯგუფმა მუშების დაქირავებას უნდა მიჰყოს ხელი, მაშინ როდესაც დაბალ ჯგუფში მეკომურთა ნახევარი მოკლებულია სახნავ ინვენტარს (N. B. * ეს «დაბალი» ჯგუფი — ქვემოდან მესამეა) და, მაშასადამე, მას საშუალებაც არა აქვს დამოუკიდებლად იმეურნეოს.

ცხადია, მიწისა და ინვენტარის რაოდენობის ზემოთ ნაჩვენები განსხვავება იწვევს ნათესი ფართობის სიდიდის განსხვავებასაც. ნათეს დესეტინათა ის რაოდენობა, რაც 6 ჯგუფის თითო კომლზე მოდის, ზემოთ იყო მოყვანილი. თავრიდის გუბერნიის გლეხობის ნათესი ფართობის საერთო რაოდენობა ჯგუფებს შორის შემდეგნაირად ნაწილდება:

	ნათესი დესეტ.	%-ით	
მთესველნი 5 დ-მდე	34 070	2,4	მოსახლ. 40%-ს ნათესის 12% აქვს
» 5—10 »	140 426	9,7	
» 10—25 »	540 093	37,6	» 40%-ს » 38% »
» 25—50 »	494 095	34,3	» 20%-ს » 50% »
» 50-ზე მეტი დ.	230 583	16	
სულ	1 439 267	100%	

ეს ციფრები თავისთავად მეტყველებენ. უნდა დავუმატოთ მხოლოდ, რომ საშუალო სათეს ფართობად, რითაც ოჯახს შეუძლია მარტო მიწათმოქმედებით იცხოვროს, პოსტნიკოვი კომლზე 16 — 18 დეს. ნათესს ანგარიშობს (გვ. 272).

III

წინა თავში შეჯამებული იყო სხვადასხვა ჯგუფის გლეხთა ქონებრივი უზრუნველყოფის დონისა და მათი მეურნეობის სიდიდის დამახასიათებელი ცნობები. ახლა საჭიროა შეჯამდეს ცნობები, როლებიც გაგვირკვევენ სხვადასხვა ჯგუფის გლეხთა მეურნეობის ხასიათს, მეურნეობის გაძღოლის წესსა და სისტემას.

უწინარეს ყოვლისა შევჩერდეთ პოსტნიკოვის იმ დებულებაზე, რომ «გლეხის შრომის ნაყოფიერება და ოჯახის სამუშაო უნარი საგრძნობლად მატულობს მეურნეობის ფარგლების ზრდასა და მანქანების გამოყენებასთან ერთად» (გვ. X). ავტორი ამ დებულე-

* — Nota bene — ყურადღება მიაქციეთ. რ ე დ.

ბას ამტკიცებს იმის გამოანგარიშებით, თუ რამდენი მუშა-ხელი და მუშა-პირუტყვი მოდის სხვადასხვა ეკონომიურ ჯგუფში გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ უ ლ ნათეს ფართობზე. ამასთან ოჯახთა შემადგენლობის ცნობებით სარგებლობა შეუძლებელია, რადგან «ქვედა ეკონომიური ჯგუფები თავის მომუშავეთა ნაწილს მოჯამაგირეებად გზავნიან, ხოლო ზედა ჯგუფები მოჯამაგირეებს ქირაობენ» (გვ. 114). თავრიდის საერობო სტატისტიკა არ იძლევა დაქირავებული და მოქირავნეებად გაგზავნილი მუშების რიცხვს; ამიტომ პოსტნიკოვი დაახლოებით ანგარიშობს ამ რაოდენობას, ემყარება რა საერობო სტატისტიკის ცნობებს მუშების დამქირავებელ კომლთა რაოდენობის შესახებ, აგრეთვე იმის ვარაუდს, თუ რამდენი მუშა-ხელია საჭირო სახნავი მიწის განსაზღვრული ფართობის დასამუშავებლად. პოსტნიკოვი აღიარებს, რომ ამგვარად ნაანგარიშევი ცნობები სავსებით ზუსტი ვერ იქნება, მაგრამ ფიქრობს, რომ მის ვარაუდს შეუძლია შესამჩნევად შესცვალოს მხოლოდ ორი მაღალი ჯგუფის ოჯახთა შემადგენლობა, რადგან დანარჩენ ჯგუფებში ნაქირავებთა რიცხვი დიდი არ არისო. მკითხველს შეუძლია შეამოწმოს ამ შეხედულების სისწორე, თუ ერთმანეთს შეადარებს ოჯახთა შემადგენლობის ზემომოყვანილ ცნობებს და ქვემოთ მოყვანილ ცხრილს:

	თავრიდის გუბერნიის სამ მაზრაში				
	მ უ შ ე ბ ს			1 კომლზე მოდის	
	ქირა-ობდნენ	აქირა-ვებდნენ	სხვაობა	ოჯახის წევრი	მომუ-შავე (მოქირავნეებთან ერთად)
არმთესველნი	239	1 077	— 838	4,3	0,9
მთესველნი 5 დ-მდე	247	1 484	— 1 237	4,8	1,0
» 5—10 »	465	4 292	— 3 827	5.2	1.0
» 10—25 »	2 846	3 389	— 543	6,8	1.6
» 25—50 »	6 041	—	+ 6 041	8,9	2.4
» 50-ზე მეტი დ.	8 241	—	+ 8 241	13,3	5
ს უ ლ	18 079	10 242	+ 7 837	—	—

ამ უკანასკნელი სვეტისა და ოჯახთა შემადგენლობის ცნობების შედარებისას ჩვენ ვხედავთ, რომ პოსტნიკოვს რამოდენიმედ შეუმცირებია დაბალ ჯგუფებში მუშების რიცხვი, ხოლო

მაღალ ჯგუფებში გაუდიდებია. რადგან მისი მიზანია — დაამტკიცოს, რომ მეურნეობის ფარგლების ზრდასთან ერთად მცირდება მუშების რიცხვი ნათესის განსაზღვრულ ფართობზე, ამიტომ ავტორის დაახლოებითი გამოანგარიშება უფრო შეასუსტებდა, ვიდრე გააძლიერებდა ამ შემცირებას.

ამ წინასწარი გაანგარიშების შემდეგ, პოსტნიკოვს მოჰყავს ასეთი ცხრილი ნათესი ფართობის თანაფარდობისა მომუშავეების, მუშა-პირუტყვის, შემდეგ კი — საერთოდ მოსახლეობის რაოდენობასთან გლეხთა სხვადასხვა ჯგუფში (გვ. 117):

	ნათესი ერთ წყვილ მუშა-პირუტყვზე		100 დეს. ნათესზე მოდის			
			კომლი	სული (მოქირავნეებთან ერთად)	მომუშავე	მუშა-პირუტყვი (სულობით)
ნთეს

და არც შეიძლება იმის უარყოფა, რომ ამ დასკვნას მართლაც დიდი მნიშვნელობა აქვს — ჯერ-ერთი, ჩვენი გლეხობის ეკონომიური ყოფისა და სხვადასხვა ჯგუფთა მეურნეობის ხასიათის შესწავლის დროს; მეორეც, წვრილი და მსხვილი კულტურის თანაფარდობის საერთო საკითხის გამორკვევის დროს. ეს უკანასკნელი საკითხი ბევრ ავტორს ძალიან არეულ-დარეული აქვს, და ამ არევ-დარევის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ერთიმეორეს ადარებდნენ არაერთგვაროვან, ისეთ მეურნეობებს, რომელნიც სხვადასხვა საზოგადოებრივ პირობებში არიან ჩაყენებულნი და ერთიმეორისაგან თვით მეურნეობის გაძღოლის ტიპით განირჩევიან; მაგ., ერთმანეთს ადარებდნენ მეურნეობებს, რომელთაც შემოსავალი სოფლის მეურნეობის პროდუქტთა წარმოების საშუალებით შემოსდით, და იმ მეურნეობებს, რომელნიც შემოსავალს სხვა მეურნეობათა მიწის გაჭირვების ექსპლოატაციით იღებენ (მაგ., გლეხთა და მემამულეთა მეურნეობანი 1861 წლის რეფორმის უშუალოდ მომდევნო ეპოქაში). პოსტნიკოვს სრულებით არ მოსდის ასეთი შეცდომა; მას არ ავიწყდება შედარების ძირითადი წესი: რომ შესადარებელი მოვლენანი ერთგვაროვანი უნდა იყვნენ.

ავტორი უფრო დაწვრილებით ამტკიცებს თავის დებულებას თავრიდის მაზრების მიმართ, რისთვისაც მოჰყავს ცნობები, ჯერ-ერთი, თვითეული მაზრისათვის ცალკე; მეორეც, ცალკე რუსი მოსახლეობის შესახებ, სახელდობრ მისი ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფის — ყოფილი სახელმწიფო გლეხების შესახებ (გვ. 273 — 274):

ერთ წყვილ მუშა-პირუტყვზე ნათესი დესეტინა მოდის

	საერთოდ მაზრებში			ყოფ. სახელმწ. გლეხთა ჯგუფში		
	ბერდ.	მელიტ.	დნეპრ.	ბერდ.	მელიტ.	დნეპრ.
მთესველნი 5 დ-მდე	8,9	8,7	4,3	—	—	—
» 5—10 »	8.9	8,7	6.8	8.9	9.1	6,8
» 10—25 »	10,2	10,6	9,7	10.3	10,9	9,6
» 25—50 »	11,6	12.4	12,3	12,3	12,8	11,9
» 50-ზე მეტი დ.	13,5	13.8	15,7	13,7	14.3	15
საშუალოდ	10,7	11,3	10.1	—	—	—

დასკვნა იგივეა: «მცირე ზომის მეურნეობაში მუშა-პირუტყვის შედარებითი რიცხვი ნათესის განსაზღვრულ ფართობზე $1^1/_2$ — 2-ჯერ აღემატება ასეთსავე რიცხვს «სრულ» გლეხურ მეურნეობაში. იმავე კანონს ააშკარავებს კომლობრივი აღწერა ყველა დანარჩენი, უფრო წვრილი ჯგუფებისთვისაც, როგორიც არიან ყოფ. საბატონო გლეხები, მოიჯარენი და სხვ., აგრეთვე ამ კუთხის ყველა, თუნდაც სულ პატარა რაიონისათვის, რომლის ფარგლები ერთ თემს (ვოლოსტს) ანდა ერთ სოფელსაც კი არ სცილდება» (გვ. 274).

ნათესის სიდიდესა და მეურნეობის ხარჯებს შორის არსებული თანაფარდობა წვრილი მეურნეობებისათვის არასასარგებლო გამოდის აგრეთვე სხვაგვარი ხარჯების მიმართაც, როგორიცაა მკვდარი ინვენტარისა და პროდუქტიული პირუტყვის შენახვა.

ზემოთ ჩვენ დავინახეთ, თუ რა სისწრაფით იზრდება ქვედა ჯგუფიდან ზედა ჯგუფისაკენ როგორც ერთის, ისე მეორის რაოდენობა თითო კომლზე. ეს ინვენტარი რომ განსაზღვრულ ნათეს ფართობზე გავიანგარიშოთ, მივიღებთ მის შ ე მ ც ი რ ე ბ ა ს ქვედა ჯგუფიდან ზედა ჯგუფისაკენ (გვ. 318):

	100 დესეტინა ნათესზე მოდის			
	პროდუქტ.		გუთანი და ბუკერი	«ბრიჩკა»
	პირუტყვი			
მთესველნი 5 დ-მდე	42	სული	4,7	10
» 5—10 »	28,8	»	5,9	9
» 10—25 »	24,9	»	6,5	7
» 25—50 »	23,7	»	4,8	5.7
» 50-ზე მეტი დ.	25,8	»	3,8	4,3
ს ა მ ი ვ ე მ ა ზ რ ა შ ი:	25,5	სული	5,4	6,5

«ეს ცხრილი გვიჩვენებს, რომ კომლზე ნათესობის ზრდასთან ერთად ყველაზე მსხვილი ინვენტარი (დასამუშავებელი და გადასაზიდი იარაღი) რიცხვობრივ პროგრესიულად კლებულობს ნათესის განსაზღვრულ ფართობზე; ამიტომ მაღალი ჯგუფების მეურნეობაში ნიადაგის დასამუშავებელ იარაღთა და გადასაზიდ საშუალებათა შესანახი ხარჯი დესეტინობრივ შედარებით ნა-

კლები უნდა იყოს. კომლზე 10 დესეტინამდე ნათესის მქონეთა ჯგუფი ერთგვარ გამონაკლისს შეადგენს: მას შედარებით ნაკლები სამუშაო იარაღები აქვს, ვიდრე შემდგომს, კომლზე 16 დეს. ნათესის მქონეთა ჯგუფს, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ჯგუფში ბევრი საკუთარი ინვენტარით კი არ მუშაობს, არამედ ნაქირავებით, რაც სრულებით არ ამცირებს საინვენტარო ხარჯებს» (გვ. 318).

«საერობო სტატისტიკა — ამბობს პოსტნიკოვი — უდავო სიაშკარივით გვიჩვენებს, რომ რაც უფრო დიდია გლეხის მეურნეობის ფარგლები, მით უფრო ნაკლები მოსდის სახნავი მიწის განსაზღვრულ ფართობს ინვენტარი, მუშა-ხელი და მუშა-პირუტყვი» (გვ. 162).

«წინა თავებში უკვე ნაჩვენები იყო, — შენიშნავს ქვემოთ პოსტნიკოვი, — რომ თავრიდის მაზრებში ამ მოვლენას ადგილი აქვს გლეხთა ყველა ჯგუფში და ამ კუთხის ყველა რაიონში. გლეხურ მეურნეობაში ეს მოვლენა, საერობო სტატისტიკის ცნობებით, თავს იჩენს სხვა გუბერნიებშიც, სადაც მიწათმოქმედება გლეხური მეურნეობის ასეთსავე მთავარ დარგს წარმოადგენს. ამრიგად, ეს მოვლენა ფართოდ არის გავრცელებული და იღებს კანონის სახეს, რომელსაც დიდი ეკონომიური მნიშვნელობა ეძლევა, რადგან ეს კანონი საგრძნობლად აქარწყლებს წვრილი სამიწათმოქმედო მეურნეობის ეკონომიურ აზრს» (გვ. 313).

პოსტნიკოვის უკანასკნელი შენიშვნა ცოტა არ იყოს ნაადრევია: იმის დასამტკიცებლად, რომ წვრილი მეურნეობა აუცილებლად იდევნება მსხვილის მიერ, საკმარისი როდია უკანასკნელის მეტი სარგებლიანობის (პროდუქტის მეტი სიიაფის) ცხადყოფა; ამისათვის საჭიროა კიდევ იმის ცხადყოფა, რომ ფულადი (უფრო ზუსტად: სასაქონლო) მეურნეობა სჭარბობს ნატურალურს, რადგან ნატურალური მეურნეობის დროს, როდესაც პროდუქტი ბაზარზე კი არ გადის, არამედ მწარმოებლის საკუთარ საჭიროებას ხმარდება, იაფი პროდუქტი ვერ შეხვდება ბაზარზე ძვირ პროდუქტს, ამიტომ ვერც გამოდევნის ამ უკანასკნელს. თუმცა ამაზე უფრო დაწვრილებით ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.

იმის დასამტკიცებლად, რომ ზემოდადგენილი კანონი მთელი რუსეთისთვისაა გამოსაყენებელი, პოსტნიკოვი იღებს იმ მაზრებს, სადაც საერობო სტატისტიკამ დეტალურად მოახდინა მოსახლეობის ეკონომიური დაჯგუფება, და ანგარიშობს სახნავი ფართობის ოდენობას, რაც ერთ წყვილ მუშა-პირუტყვზე და ერთ მომუშავეზე მოდის სხვადასხვა ჯგუფში. დასკვნა წინანდებური გამოდის: «რომ მცირე ზომის გლეხურ მეურნეობაში სახნავ ფართობზე სამუშაო ძალის შესანახად $1^1/_2$ — 2-ჯერ მეტი ხარჯი უნდა იქნას გაწეული, ვიდრე უფრო მოზრდილ მეურნეობაში» (გვ. 316). ეს სწორია როგორც პერმის (გვ. 314), ისე ვორონეჟის გუბერნიისათვის, როგორც სარატოვის, ისე ჩერნიგოვის გუბერნიისათვის (გვ. 315), ასე რომ პოსტნიკოვმა, უეჭველია, დაამტკიცა მთელ რუსეთზე ამ კანონის გავრცელების შესაძლებლობა.

ახლა გადავიდეთ გლეხური მეურნეობების სხვადასხვა ჯგუფთა «შემოსავლისა და გასავლის» (თავი IX) და ბაზართან მათი დამოკიდებულების საკითხზე:

«თვითეულ მეურნეობაში, — ამბობს პოსტნიკოვი, — რომელიც კი დამოუკიდებელ ერთეულს წარმოადგენს, ტერიტორიის ფართობი შემდეგი 4 ნაწილისაგან შესდგება: ერთი ნაწილი იძლევა საზრდოს მეურნის ოჯახისა და მეურნეობაში მცხოვრები მუშების გამოსაკვებად; ეს—მეურნეობის ს ა ს ა ზ რ დ ო ო ფართობია ვიწრო მნიშვნელობით; მეორე ნაწილი საკვებს აძლევს მეურნეობაში მომუშავე პირუტყვს, და შეიძლება მას ს ა კ ვ ე ბ ი ფართობი ეწოდოს. მესამე ნაწილი შესდგება სამოსახლო მიწისა, გზებისა და გუბურებისაგან და სხვ., აგრეთვე სათესი ფართობის იმ ნაწილისაგან, რომელიც სათეს თესლეულს იძლევა; ამას შეგვიძლია ს ა მ ე უ რ ნ ე ო ფართობი ვუწოდოთ, რადგან იგი განურჩევლად მთელ მეურნეობას ემსახურება. დასასრულ, მეოთხე ნაწილი იძლევა თესლეულს და მცენარეულს, რაც, ნედლი თუ გადამუშავებული სახით, მეურნეობიდან ბაზარზე გასასაღებლად უნდა გავიდეს. ესაა მეურნეობის ს ა ბ ა ზ რ ო ანუ ს ა ვ ა ჭ რ ო ფართობი. ტერიტორიის დაყოფა ზემოთ ჩამოთვლილ ოთხ ნაწილად თვითეულ კერძო მეურნეობაში განისა-

ზღვრება არა იმით, თუ რაგვარი მცენარეული მოჰყავთ, არამედ იმით, თუ რა უახლოესი მიზნისთვის მოჰყავთ ის.

მეურნეობის ფულადი შემოსავალი განისაზღვრება მისი ტერიტორიის სავაჭრო ნაწილით; რაც უფრო დიდია ეს უკანასკნელი ფართობი და რაც უფრო მეტია მასზე მოყვანილი პროდუქტების შედარებითი ღირებულება, მით უფრო მეტ მოთხოვნილებას უყენებენ სოფლის მეურნენი ბაზარს, მით უფრო დიდია შრომის ის რაოდენობა, რომელიც შეუძლია ქვეყანას თავისი ბაზრის რაიონში დააბანდოს მიწათმოქმედების გარეშე, მით უფრო მეტი სახელმწიფოებრივი (საგადასახადო) და კულტურული მნიშვნელობა აქვს ქვეყნისათვის მის სოფლის მეურნეობას, ასევე მით უფრო მეტია თვით მეურნის წმინდა შემოსავალიც და ის რესურსებიც, რაც მას სოფლის მეურნეობაში ხარჯების გაწევისა და გაუმჯობესებისათვის სჭირდება» (გვ. 257).

პოსტნიკოვის ეს მსჯელობა სავსებით სწორი იქნებოდა, მასში რომ ერთი, საკმაოდ არსებითი შესწორება ყოფილიყო შეტანილი: ავტორი ლაპარაკობს იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს მეურნეობის სავაჭრო ფართობს საერთოდ ქვეყნისათვის, მაშინ როდესაც, ცხადია, ლაპარაკი შეიძლება იყოს მხოლოდ ისეთ ქვეყანაზე, სადაც ფულადი მეურნეობა სჭარბობს, სადაც პროდუქტების დიდი ნაწილი ს ა ქ ო ნ ლ ი ს ფორმას იღებს. ამ პირობის დავიწყება, მისი მიჩნევა ისეთ რამედ, რაც თავისთავად იგულისხმება, ზედმიწევნით იმის გამოუკვლევლობა, თუ რამდენად მისაყენებელია იგი ამა თუ იმ ქვეყნისათვის, — ეს ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის შეცდომის დაშვება იქნებოდა.

მთელი მეურნეობიდან მისი საბაზრო ფართობის გამოყოფას დიდი მნიშვნელობა აქვს. შინაგანი ბ ა ზ რ ი ს ა თ ვ ი ს მნიშვნელობა აქვს არა მწარმოებლის შემოსავალს საზოგადოდ (რომლითაც, ე. ი. შემოსავლით, ამ მწარმოებლის კეთილდღეობა განისაზღვრება), არამედ მის მხოლოდდამხოლოდ ფ უ ლ ა დ შემოსავალს. ფულადი სახსრების ქონება სრულიადაც არ განისაზღვრება მწარმოებლის კეთილდღეობით: გლეხი, რომელიც თავის მიწის ნაკვეთზე სავსებით საკმარისი რაოდენობით იღებს

პროდუქტებს საკუთარი მოხმარებისათვის, მაგრამ ნატურალურ მეურნეობას ეწევა, — კეთილდღეობით სარგებლობს, ფულადი სახსრები კი არ გააჩნია; ნახევრადგაპარტახებული გლეხი, რომელიც თავის ნაკვეთზე მისთვის საჭირო პურის მხოლოდ მცირეოდენ ნაწილს იღებს და შემთხვევითი «საშოვრებით» შოულობს პურის დანარჩენ რაოდენობას (თუნდაც უფრო ცოტას და მდარე ხარისხისას), — კეთილდღეობით არ სარგებლობს, მაგრამ ფულადი სახსრები კი აქვს. აქედან ცხადია, რომ არავითარი ფასი არ შეიძლება ჰქონდეს ყოველგვარ მსჯელობას ბაზრისათვის გლეხური მეურნეობებისა და მათი შემოსავლიანობის მნიშვნელობაზე, თუ კი ეს მსჯელობა შემოსავლის ფულადი ნაწილის აღრიცხვაზე არ იქნება დამყარებული.

იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად დიდია სხვადასხვა ჯგუფის გლეხთა მეურნეობაში ნათესი ფართობის ზემოთ აღნიშნული ოთხი ნაწილი, პოსტნიკოვი ჯერ პურის წლიურ მოხმარებას ანგარიშობს და ორთაშუა რიცხვად სულზე 2 ნაოთხალ პურის მარცვალს ვარაუდობს (გვ. 259), რაც ნათესი ფართობის $^2/_3$ დესეტინას შეადგენს სულზე. შემდეგ საკვებ ფართობად თითო ცხენზე $1^1/_2$ დესეტინას ანგარიშობს, ხოლო სათესლეულო ფართობად — სახნავი ტერიტორიის 6%-ს და შემდეგს ცნობებს იღებს* (გვ. 319):

	100 დეს. ნათესიდან მოსდის ფართობს				ფულადი შემოსავალი	
	სამეურნეოს	სასაზრდოს	საკვებს	სავაჭროს	1 დეს. ნათესზე	1 კომლზე (მანეთები)
მთესველნი 5 დ-მდე	6	90,7	42,3	— 39	—	—
» 5—10 »	6	44,7	37,5	+ 11,8	3,77	30
» 10—25 »	6	27,5	30	36,5	11,68	191
» 25—50 »	6	17	25	52	16,64	574
» 50-ზე მეტი დ.	6	12	21	61	19,52	1 500

* ფულადი შემოსავლის გამოსარკვევად პოსტნიკოვი ასე იქცეოდა: საფუძვლად იღებდა, რომ მთელ სავაჭრო ფართობზე ყველაზე ძვირი პურეული — ხორბალი მოჰყავთ, და, რახან მისი საშუალო მოსავალი და ფასი იცოდა, ამის მიხედვით გამოჰყავდა ამ ფართობიდან მიღებულ ფასეულობათა რაოდენობა.

«აღნიშნული განსხვავება მეურნეობის ფულადი შემოსავლისა ცალკეულ ჯგუფებში — ამბობს პოსტნიკოვი — საკმაოდ ასურათებს მეურნეობის სიდიდის მნიშვნელობას, მაგრამ სინამდვილეში ნათესთა შემოსავლიანობის ეს განსხვავება ჯგუფების მიხედვით უფრო მეტი უნდა იყოს, რადგან მაღალ ჯგუფებში მეტი მოსავალიც უნდა ვივარაუდოთ დესეტინაზე და გასაღებული პურის მეტი ღირებულებაც.

შემოსავლიანობის აღრიცხვისას აქ ჩვენ ანგარიშში მეურნეობის მთელი ფართობი კი არ შევიტანეთ, არამედ მხოლოდ სახნავი ნაწილი, იმიტომ რომ არ მოგვეპოვება იმის ზუსტი ცნობები, თუ რამდენი საკვები ხმარდება ამა თუ იმ სახის პირუტყვს თავრიდის მაზრების გლეხურ მეურნეობათა დანარჩენი მიწებიდან; მაგრამ რადგანაც ფულადი შემოსავალი სამხრეთ-რუსეთის გლეხისა, რომელიც მარტოოდენ მიწათმოქმედებას მისდევს, თითქმის მთლიანად ნათეს ფართობზეა დამოკიდებული, ამიტომ მოყვანილი ციფრები საკმაო სიზუსტით გვიხატავენ სხვადასხვა ჯგუფის გლეხთა მეურნეობის ფულადი შემოსავლის განსხვავებას. ეს ციფრები გვიჩვენებენ, თუ რა დიდად იცვლება ეს შემოსავალი ნათესის ოდენობის მიხედვით. ის ოჯახი, რომელსაც 75 დეს. ნათესი აქვს, წლიურად 1 500-მდე მანეთს ფულად შემოსავალს იღებს, $34^1/_2$ დეს. ნათესის მქონე ოჯახს წელიწადში 574 მან. შემოსდის, $16^1/_3$ დეს. ნათესის მქონეს კი — მხოლოდ 191 მან. 8 დესეტინის მთესველი ოჯახი მხოლოდ 30 მანეთს იღებს, ე. ი. ისეთ თანხას, რაც საკმარისი არ არის მეურნეობის ფულადი ხარჯების დასაფარავად, თუ სხვა გარესაშოვარი არ იქნა. რა თქმა უნდა, მოყვანილი ციფრები ჯერ კიდევ არ გვიჩვენებენ მეურნეობიდან აღებულ რენტას; ამ უკანასკნელის გამოსაანგარიშებლად ამ ციფრებს უნდა გამოვაკლოთ მეურნეობის მთელი ფულადი ხარჯები — გადასახადები, ინვენტარის, შენობების ხარჯები, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის შეძენა და სხვ. მაგრამ ეს ხარჯები მეურნეობის ფარგლების გადიდების პროპორციულად როდი იზრდება. ოჯახის შესანახი ხარჯები იზრდება ოჯახის წევრთა რაოდენობის პროპორციულად, ხოლო

ოჯახის შემადგენლობის ზრდა, როგორც ცხრილიდან სჩანს, გაცილებით უფრო ნელა მიმდინარეობს, ვიდრე ნათესი ფართობის ზრდა ჯგუფებში. რაც შეეხება ყველა სხვა სამეურნეო ხარჯებს (მიწის გადასახადისა და საიჯარო ქირის გადახდა, შენობებისა და ინვენტარის შეკეთება), ეს ხარჯები, ყოველ შემთხვევაში, მეურნეობის ფარგლების პროპორციულობაზე მეტად არ იზრდება, მაშინ როდესაც მეურნეობის საერთო ფულადი შემოსავალი, როგორც წინა ცხრილი გვიჩვენებს, ნათესის სიდიდის პირდაპირ პროპორციულზე უფრო მეტად იზრდება. ამასთანავე ყველა ეს სამეურნეო ხარჯი ფრიად მცირეა მეურნეობის იმ მთავარ ხარჯთან შედარებით, რაც სამუშაო ძალის შენახვას ხმარდება. ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია ფორმულით გამოვსახოთ ის მოვლენა, რომ გლეხურ მეურნეობაში მიწათმოქმედების რენტა პროგრესიულად მცირდება დესეტინაზე ამ მეურნეობის ფარგლების შემცირებისდა კვალად» (გვ. 320).

ამრიგად, პოსტნიკოვის მონაცემებით ჩვენ ვხედავთ, რომ სხვადასხვა ჯგუფში გლეხთა სამიწათმოქმედო მეურნეობა ბაზართან დამოკიდებულების მხრივ არსებითად განსხვავდება ერთიმეორისაგან: მაღალი ჯგუფები (რომელთაც კომლზე 25 დესეტინაზე მეტი ნათესი აქვთ) უკვე კომერციულ მეურნეობას ეწევიან; პურის მოყვანის მიზანია შემოსავლის მიღება. დაბალ ჯგუფებში კი, პირიქით, მიწათმოქმედება ვერ აკმაყოფილებს ოჯახის აუცილებელ საჭიროებებს (ეს შეეხება იმ მთესველებს, რომელნიც კომლზე 10 დესეტინამდე მიწას ამუშავებენ); ზუსტად რომ გამოვიანგარიშოთ ყველა სამეურნეო ხარჯი, ალბათ აღმოჩნდება, რომ მეურნეობა ასეთ ჯგუფებში ზარალით სწარმოებს.

ფრიად საინტერესოა აგრეთვე ვისარგებლოთ პოსტნიკოვის მიერ მოყვანილი ცნობებით იმ საკითხის გადასაჭრელად, თუ რანაირ დამოკიდებულებაშია გლეხობის სხვადასხვაგვაროვან ჯგუფებად გათიშვა იმ მოთხოვნილების ფარგლებთან, რასაც ბაზარს უყენებენ? ჩვენ ვიცით, რომ ამ მოთხოვნილების ფარგლები დამოკიდებულია მიწის სავაჭრო ფართობის სიდიდეზე, ეს უკანასკნელი კი იზრდება მეურნეობის ფარგლების გადიდე-

ბასთან ერთად; მაგრამ მაღალ ჯგუფებში მეურნეობის ფარგლების ამ ზრდის პარალელურად ხომ მცირდება ეს ფარგლები დაბალ ჯგუფებში. კომლთა რაოდენობით დაბალი ჯგუფები მაღალ ჯგუფებზე ერთიორად მრავალრიცხოვანი არიან: თავრიდის მაზრებში პირველნი 40%-ს შეადგენენ, მეორენი კი — მარტო 20%-ს. ხომ არ გამოდის, საერთოდ და მთლიანად, რომ ზემოაღნიშნული მეურნეობითი გათიშვა ამცირებს ბაზრის მიმართ მოთხოვნილების ფარგლებს? სწორედ რომ ითქვას, ჩვენ უფლება გვაქვს უარყოფითად ვუპასუხოთ ამ კითხვას მარტო აპრიორული მოსაზრებებითაც: საქმე იმაშია, რომ დაბალ ჯგუფებში მეურნეობის ფარგლები ისე მცირეა, რომ მიწათმოქმედებით შეუძლებელია ოჯახის ყველა საჭიროების დაკმაყოფილება; შიმშილით რომ არ დაიხოცნენ, ამ დაბალი ჯგუფის წარმომადგენელნი იძულებულნი გახდებიან ბაზარზე გაიტანონ თავიანთი სამუშაო ძალა, რომლის გაყიდვა მათ განსაზღვრულ ფულადს სახსრებს მისცემს და ამრიგად გააწონასწორებს (რამოდენიმედ) მოთხოვნილების იმ შემცირებას, რაც მეურნეობის ფარგლების შემცირებით მოხდება. მაგრამ პოსტნიკოვის მონაცემები შესაძლებლობას იძლევიან უფრო ზუსტად ვუპასუხოთ დასმულ კითხვას.

ავიღოთ ნათესი ფართობის ესა თუ ის ოდენობა, მაგ., 1 700 დეს. და წარმოვიდგინოთ მისი ორნაირი განაწილება: ჯერ-ერთი, ეკონომიურად ერთგვაროვან გლეხობაში და, მეორეც, სხვადასხვაგვაროვან ჯგუფებად გათიშულ გლეხებს შორის, როგორ ჯგუფებსაც ამჟამად თავრიდის მაზრებში ვხედავთ. პირველ შემთხვევაში, საშუალო გლეხურ მეურნეობაზე რომ 17 დეს. ნათესი ვივარაუდოთ (როგორც ეს ნამდვილად არის კიდეც თავრიდის მაზრებში), მივიღებთ 100 მეურნეობას, რომელნიც სავსებით იკმაყოფილებენ მიწათმოქმედებით თავის საჭიროებებს. ბაზრის მიმართ წაყენებული მოთხოვნილება იქნება $191 \times 100 = 19\,100$ მანეთი. — მეორე შემთხვევა: 1 700 დეს. ნათესი იმავე 100 კომლს შორის განაწილებულია სხვანაირად, სახელდობრ ისე, როგორც ნამდვილად არის განაწილებული ნათესი ფართობი თავრიდის მაზრების გლეხებს შორის: 8 კომლს

სრულებით არა აქვს ნათესი, 12-ს ოთხ-ოთხი დესეტინა აქვს დათესილი; 20-ს—რვა-რვა; 40-ს—თექვსმეტ-თექვსმეტი; 17-ს—34 და 3-ს — 75 დეს. თვითეულს (სულ გამოდის 1 651 დეს. ნათესი, ე. ი. 1 700 დესეტინაზე ნაკლებიც კი). ასეთი განაწილების დროს გლეხების მეტად მნიშვნელოვან ნაწილს (40%-ს) საშუალება არ ექნება საკმაო შემოსავალი მიიღოს თავისი მიწიდან ყველა საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. მარტო ისეთი მეურნეობანი რომ ავიღოთ, რომელთაც 5 დესეტინაზე მეტი ნათესი აქვთ კომლზე, მაშინ ბაზრის მიმართ წაყენებული ფულადი მოთხოვნილების ოდენობა შემდეგი იქნება: $20 \cdot 30 + 40 \cdot 191 + 17 \cdot 574 + 3 \cdot 1\,500 = 22\,498$ მ. ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ, მიუხედავად მთელი 20 კომლის გამოტოვებისა [რომელნიც, უეჭველია, ასევე იღებენ ფულად შემოსავალს, ოღონდ თავისი პროდუქტების გაყიდვით კი არა], მიუხედავად ნათესი ფართობის შემცირებისა 1 603 დესეტინამდე — ბაზრისადმი წაყენებული ფულადი მოთხოვნილების საერთო ფარგლები მაინც გადიდდა.

უკვე ნათქვამი იყო, რომ დაბალი ეკონომიური ჯგუფების გლეხები იძულებული არიან თავიანთი სამუშაო ძალა გაჰყიდონ; პირიქით, მაღალი ჯგუფების წარმომადგენლებმა ეს სამუშაო ძალა უნდა იყიდონ, რადგან საკუთარი მუშა-ხელი უკვე საკმარისი აღარაა მათი ნათესის დიდი ფართობის დასამუშავებლად. ახლა ჩვენ უფრო დაწვრილებით უნდა შევჩერდეთ ამ მნიშვნელოვან მოვლენაზე. პოსტნიკოვი ამ მოვლენას თითქოს არ აკუთვნებს «გლეხთა ცხოვრებაში ახალ სამეურნეო მოძრაობათა» რიცხვს (ყოველ შემთხვევაში, არ იხსენიებს მას წინასიტყვაობაში, სადაც რეზიუმეს უკეთებს თავისი შრომის შედეგებს), მაგრამ ეს მოვლენა გაცილებით მეტი ყურადღების ღირსია, ვიდრე მანქანების შემოღება ანდა ნახნავის გაფართოება შეძლებულ გლეხთა ჯგუფში.

«თავრიდის მაზრებში უფრო შეძლებული გლეხობა — ამბობს ავტორი — საერთოდ მნიშვნელოვნად სარგებლობს დაქირავებული მუშებით და თავის მეურნეობას ისეთ ფართობზე ეწევა, რაც დიდად აღემატება თვით ოჯახთა სამუშაო უნარს.

ასე, მაგ., სამ მაზრაში გლეხების ყველა ჯგუფში 100 ოჯახზე დაქირავებულ მუშებს იყენებენ:

ნათესის არმქონენი	3,8%
მთესველნი 5 დესეტინამდე	2,5
» 5—10 »	2,6
» 10—25 »	8,7
» 25—50 »	34,7
» 50-ზე მეტი დეს.	64,1
სულ	12,9%

ეს ციფრები გვიჩვენებენ, რომ დაქირავებული მუშები უმთავრესად ჰყავთ შეძლებულ მეურნეებს, რომელთაც უფრო მეტი ნათესი ფართობი მოეპოვებათ» (გვ. 144).

ერთმანეთს რომ ვადარებთ ზემომოყვანილ ცნობებს ჯგუფების მიხედვით იმ ოჯახების შემადგენლობის შესახებ, რომელთაც დაქირავებული მუშები არა ჰყავთ (ცალცალკე სამ მაზრაში) და რომელთაც დაქირავებული მუშები ჰყავთ (სამ მაზრაში ერთად), ვხედავთ, რომ კომლზე 25-დან 50 დესეტინამდე ნათესის მქონე მეურნეები დაქირავების საშუალებით ადიდებენ სამუშაო ძალას თავიანთ მეურნეობაში დაახლოებით $^1/_3$-ით (ოჯახზე მუშის 1,8 — 1,9-დან 2,4-მდე), ხოლო კომლზე 50 დეს. ნათესზე მეტის მქონე მეურნეები მუშების რიცხვს თითქმის ერთიორად იდიდებენ (2,3-დან 5-მდე), — ამაზე უფრო მეტადაც კი, ავტორის ანგარიშით: მისი ვარაუდით, ისინი დაახლოებით 8 241 მუშას უნდა ქირაობდნენ (გვ. 115), მაშინ როდესაც საკუთარი მომუშავე 7 129 კაცი ჰყავთ. დაბალ ჯგუფებს რომ მეტად მნიშვნელოვანი რაოდენობით უნდა გაჰყავდეთ ქირაზე თავიანთი მუშები, — ეს უკვე იქიდანაც სჩანს, რომ სამიწათმოქმედო მეურნეობა საჭირო რაოდენობით ვერ აძლევს მათ პროდუქტებს საკუთარ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. სამწუხაროდ, ჩვენ არ მოგვეპოვება იმის ზუსტი ცნობები, თუ რამდენი მუშა გადის თავისი ოჯახიდან ქირაზე. ამ რაოდენობის არაპირდაპირი მაჩვენებელი შეიძლება იყოს იმ მეურნეთა რიცხვი, რომელნიც იჯარით აქირავებენ თავიანთ ნადელებს: ზემოთ მოყვანილი იყო პოსტ-

ნიკოვის განცხადება, რომ თავრიდის მაზრებში მოსახლეობის დაახლოებით $^1/_3$ ვერ ეწევა მთლიანად თავისი სანადელო მიწების ექსპლოატაციასო.

IV

ზემოთ მოყვანილი ცნობებიდან სჩანს, რომ პოსტნიკოვმა სავსებით დაამტკიცა თავისი დებულება ცალკეულ კომლთა ეკონომიურ მდგომარეობაში არსებულ «უდიდეს მრავალფეროვნებაზე». ეს მრავალფეროვნება ვრცელდება არა მარტო გლეხების ქონებრივი უზრუნველყოფის დონესა და მათი ნათესების სიდიდეზე, არამედ სხვადასხვა ჯგუფთა მეურნეობის ხასიათზედაც კი. ეს კიდევ ცოტაა. თურმე ტერმინები: «მრავალფეროვნება», «დიფერენციაცია» საკმარისი არ ყოფილა მოვლენის სრული დახასიათებისათვის. თუ ერთ გლეხს 1 სული მუშა-პირუტყვი ჰყავს, მეორეს კი — 10, ამას დიფერენციაციას ვუწოდებთ, მაგრამ თუ ერთი გლეხი, მისი უზრუნველმყოფელი ნადელის გარდა, ათეული დესეტინობით იღებს იჯარით მიწას იმ ერთადერთი მიზნით, რომ შემოსავალი მიიღოს მისი ექსპლოატაციით, და ამით საშუალებას ართმევს მეორე გლეხს — იჯარით აიღოს ის მიწა, რომელიც მას თავისი ოჯახის გამოსაკვებად სჭირდება, — ცხადია, აქ ჩვენ გაცილებით უფრო დიდ მოვლენასთან გვაქვს საქმე; ასეთ მოვლენას «გათიშვა» (გვ. 323), «ეკონომიური ინტერესების ბრძოლა» (გვ. XXXII) უნდა ვუწოდოთ. პოსტნიკოვი ხმარობს ამ ტერმინებს, მაგრამ სათანადოდ ვერ აფასებს მთელ მათს მნიშვნელობას; ასევე ვერ ამჩნევს იგი იმას, რომ ეს უკანასკნელი ტერმინებიც ვერ არის საკმარისი. მოსახლეობის გაღატაკებული ჯგუფის სანადელო მიწის იჯარით აღება, მოჯამაგირედ დაქირავება გლეხისა, რომელიც თავის მეურნეობას აღარ ეწევა, — ეს უკვე მარტო გათიშვა როდია, ეს პირდაპირი ექსპლოატაციაა.

ვცნობთ რა ღრმა ეკონომიურ გათიშვას თანამედროვე გლეხობაში, ჩვენ ვეღარ დავჯერდებით გლეხების მარტო დაყოფას რამდენიმე ფენად ქონებრივი უზრუნველყოფის დონის მიხედვით. ასეთი დაყოფა საკმარისი იქნებოდა, მთელი ეს

ზემოაღნიშნული მრავალფეროვნება რომ რაოდენობრივი განსხვავებით ამოიწურებოდეს. მაგრამ ეს ასე როდია. თუ გლეხების ერთი ნაწილისათვის მიწათმოქმედების მიზანს კომერციული გამორჩენა შეადგენს, შედეგს კი — დიდი ფულადი შემოსავალი, ხოლო მეორე ნაწილს — მიწათმოქმედება ოჯახის აუცილებელ მოთხოვნილებებსაც კი ვერ უკმაყოფილებს, თუ გლეხების მაღალი ჯგუფები თავიანთი მეურნეობის გაუმჯობესებას დაბალი ჯგუფების გაჩანაგებაზე ამყარებენ, თუ შეძლებული გლეხობა შესამჩნევად სარგებლობს დაქირავებული შრომით, ხოლო ღარიბი გლეხობა იძულებული ხდება თავისი სამუშაო ძალა გაჰყიდოს, — ცხადია, ეს უკვე თვისობრივი განსხვავებაა, და ახლა ჩვენი ამოცანაა — დავაჯგუფოთ გლეხობა თვით მათი მეურნეობის ხასიათში არსებულ განსხვავებათა მიხედვით (მეურნეობის ხასიათად ვგულისხმობთ არა ტექნიკის, არამედ ეკონომიკის განსაკუთრებულ თვისებებს).

პოსტნიკოვმა ძალიან ცოტა ყურადღება მიაქცია ამ უკანასკნელ განსხვავებებს; ამიტომ თუმცა იგი სცნობს იმის საჭიროებას, რომ «მოსახლეობა უფრო ზოგადად დანაწილდეს ჯგუფებად» (გვ. 110) და ცდილობს ამგვარი დანაწილების მოხდენას, მაგრამ მისი ცდა, როგორც ახლავე დავინახავთ, არ შეიძლება სავსებით წარმატებულად ჩაითვალოს.

«ეკონომიურ ჯგუფებად მოსახლეობის უფრო ზოგადი დანაწილებისათვის — ამბობს პოსტნიკოვი — ჩვენ სხვა ნიშნით ვისარგებლებთ; თუმცა ეს ნიშანი სხვადასხვა ადგილისათვის ერთნაირი ეკონომიური მნიშვნელობისა არ არის, მაგრამ იგი უფრო ეთანხმება იმ დაყოფას ჯგუფებად, როგორსაც თვით გლეხები ახდენენ და რაც საერობო სტატისტიკოსების მიერაც არის აღნიშნული ყველა მაზრაში. ეს დაყოფა ხდება იმისდა კვალად, თუ რამდენად დამოუკიდებელნი არიან მოსახლენი მეურნეობის გაძღოლის საშუალებებში, კომლზე მუშა-პირუტყვის რაოდენობის მიხედვით» (გვ. 110).

«ამჟამად სამხრეთ-რუსეთის რაიონის გლეხობა, მოსახლეთა მეურნეობრივი დამოუკიდებლობის ოდენობისა და ამავე დროს

მეურნეობის გაძღოლის საშუალებათა მიხედვით, შეიძლება შემდეგ სამ მთავარ ჯგუფად დაიყოს:

1) გუთნეულიანი ანუ გუთნეულის პატრონი მეკომურნი, ე. ი. ისეთნი, ვისაც სრული გამართული გუთანი ანდა მისი მაგიერი სახნავი იარაღი აქვს და ვინაც მინდვრის მუშაობაში საკუთარი პირუტყვით მიდის იოლად, — არც ქირაობს პირუტყვს და არც სხვებს უამხანაგდება ხვნაში. გუთნური ან ბუკერული სისტემის დროს ასეთ მეურნეებს ჰყავთ 3 — 2 წყვილი ანდა მეტი მუშა-პირუტყვი და, ამის შესაბამისად, 3 მოზრდილი მუშა ან, ყოველ შემთხვევაში, 2 მოზრდილი მუშა და ერთიც ნახევარმუშა.

2) ნახევარგუთნეულის პატრონნი ანუ შეამხანაგებით მომუშავენი, ე. ი. ისეთი მეკომურნი, რომელნიც ერთმანეთს უამხანაგდებიან მინდვრის მუშაობაში, რადგან საკმაო რაოდენობით არ გააჩნიათ დამოუკიდებლად შესაბმელი პირუტყვი. ასეთ მეურნეებს ჰყავთ ერთი ან $1^1/_2$ წყვილი, ზოგჯერ კი 2 წყვილი მუშა-პირუტყვიც კი და, ამის შესაბამისად, ერთი ან ორი მოზრდილი მუშა. თუ ნიადაგი ძნელი დასამუშავებელია და გუთანში (ან მის შემცვლელ ბუკერში) შესაბმელად 3 წყვილი მუშა-პირუტყვია საჭირო, ასეთი მეურნენი აუცილებლად უნდა შეამხანაგდნენ, თუნდაც 2 წყვილი მუშა-პირუტყვი ჰყავდეთ.

3) უგუთნეულო მეკომურნი ანუ «ქვეითნი», რომელთაც სულ არა ჰყავთ საქონელი, ანდა ერთი სული მუშა-პირუტყვი ჰყავთ (მეტწილად ცხენი, რადგან ხარები ჩვეულებრივ უღლობით ჰყავთ და მხოლოდ წყვილ-წყვილად არიან შესაბმელნი). ისინი სხვის საქონელს ქირაობენ სამუშაოდ ანდა თავის მიწას აქირავებენ მოსავლის წილის მისაღებად და სრულებით არ გააჩნიათ ნათესი.

ჩვეულებრივ თვით გლეხები ახდენენ ამგვარ დაჯგუფებას გლეხის ცხოვრების იმ ძირითადი სამეურნეო ნიშნის მიხედვით, როგორიც ამ შემთხვევაში მუშა-პირუტყვის რაოდენობა და შებმულობის საშუალებაა. მაგრამ ამ დაჯგუფებაში დიდი ვარიაციებია როგორც ზემოთ დასახელებული თვითეული ცალკე ჯგუფის ფარგლებს შიგნით, ისე თვით ჯგუფების ურთიერთშორის დანაწილებაშიც» (გვ. 121).

ამ ჯგუფების რიცხვობრივი შემადგენლობა %-ულად კომლთა საერთო რიცხვის მიმართ ამგვარია (გვ. 125):

	I	II	III	
	საკუთარი პირუტყვით მომუშავენი	შეამხანაგებით მომუშავენი	დაქირავებ. პირუტყვით მომუშავენი	ვისაც ნათესი არა აქვს
ბერდიანსკის მაზრა	37	44,6	11,7	6,7
მელიტოპოლის »	32,7	46,8	13	7,5
დნეპროვსკის »	43	34,8	13,2	9

ამ ცხრილთან ერთად ავტორი იძლევა კომლთა დაჯგუფებას არსებული მუშა-პირუტყვის რაოდენობის მიხედვით, რათა გამოარკვიოს გუთნეულის შემადგენლობა აღნიშნულ მაზრებში:

	კომლთა რიცხვი მათი საერთო რაოდენობის %-ულად			
	ვისაც მუშა-პირუტყვი ჰყავს			ვისაც მუშა-პირუტყვი არა ჰყავს
	4 და მეტი სული	2—3 ს.	1 სული	
ბერდიანსკის მაზრა	36,2	41,6	7,2	15
მელიტოპოლის »	34,4	44,7	5,3	15,6
დნეპროვსკის »	44,3	36,6	5,1	14

მაშასადამე, თავრიდის მაზრებში სრული გუთნეული მოითხოვს კომლზე არანაკლებ 4 სულს მუშა-პირუტყვს.

პოსტნიკოვის ამგვარი დაჯგუფება სავსებით მოხერხებულად ვერ ჩაითვლება, პირველყოვლისა იმიტომ, რომ თვითეული ამ სამი ჯგუფის ფარგლებში ძლიერი განსხვავება არსებობს:

«გუთნეულის პატრონ მეურნეების ჯგუფში — ამბობს ავტორი — სამხრეთ-რუსეთში ჩვენ დიდ სხვადასხვაობას ვხედავთ: დიდგუთნეულიან შეძლებულ გლეხებთან ერთად არსებობს მცირეგუთნეულიანი უფრო ღარიბი გლეხობაც. პირველთა გუთნეული თავის მხრივ იყოფა სრულ გუთნეულად (6 — 8 და მეტი სული მუშა-პირუტყვი) და არასრულ გუთნეულად (4 — 6 სული)... «ქვეითი» მეკომურების კატეგორიაც დოვლათიანობის მხრივ დიდ სხვადასხვაობას შეიცავს» (გვ. 124).

პოსტნიკოვის მიერ მიღებული დანაწილების მეორე უხერხულობა იმაში მდგომარეობს, რომ, როგორც უკვე ზემოთ იყო

ნაჩვენები, საერობო სტატისტიკა მოსახლეობის დაჯგუფებას ახდენს არა მუშა-პირუტყვის რაოდენობის, არამედ ნათესი ფართობის სიდიდის მიხედვით. ამიტომ, საშუალება რომ გვექნეს — ზუსტად გამოვხატოთ სხვადასხვა ჯგუფის ქონებრივი მდგომარეობა, საჭირო ხდება ავიღოთ დაჯგუფება ნათესის სიდიდის მიხედვით.

ამ ნიშნის მიხედვით პოსტნიკოვი მოსახლეობას სწორედ ასევე სამ ჯგუფად ჰყოფს: მცირემთესველი მეურნენი, — რომელთაც 10 დესეტინამდე ნათესი აქვთ ან სულ არ მოეპოვებათ ნათესი; საშუალო-მთესველნი, — რომელთაც 10 — 25 დეს. ნათესი აქვთ, და ბევრისმთესველნი, — რომელთაც კომლზე 25 დესეტინაზე მეტი ნათესი აქვთ. პირველ ჯგუფს ავტორი «ღარიბს» უწოდებს, მეორეს — საშუალოს და მესამეს — შეძლებულს.

ამ ჯგუფების რიცხვობრივ შემადგენლობაზე პოსტნიკოვი ამბობს:

«საერთოდ თავრიდის გლეხებში (უკოლონისტებოდ) ბევრისმთესველნი შეადგენენ კომლთა საერთო რიცხვის დაახლოებით $^1/_6$-ს, საშუალო ნათესის პატრონნი — 40%-მდე, ხოლო 40%-ზე ცოტა მეტს იძლევიან მცირემთესველნი არმთესველებთან ერთად. თავრიდის მაზრების მთელ მოსახლეობაში კი (კოლონისტების ჩათვლით) ბევრისმთესველებს ეკუთვნის მოსახლეობის $^1/_5$ ნაწილი, ანუ დაახლოებით 20%, საშუალო-მთესველებს — 40% და მცირემთესველებს არმთესველებთან ერთად — დაახლოებით 40%» (გვ. 112).

მაშასადამე, გერმანელების მიმატება ძალიან ცოტათი სცვლის ჯგუფების შემადგენლობას, ასე რომ უმართებულობად ვერ ჩაგვეთვლება, თუ მთელი მაზრის საერთო ცნობებით ვისარგებლებთ.

ჩვენი ამოცანა ახლა ისაა, რომ რაც შეიძლება ზუსტად დავახასიათოთ თვითეული ამ ჯგუფის ეკონომიური მდგომარეობა ცალცალკე და ამგვარად შევეცადოთ გამოვარკვიოთ გლეხობაში არსებული ეკონომიური სხვადასხვაობის ფარგლები და მიზეზები.

პოსტნიკოვს ეს ამოცანა არ დაუსახავს; ამიტომ მის მიერ მოყვანილი ცნობები განირჩევა მეტისმეტი გაფანტულობით, ხოლო მისი საერთო აზრი ჯგუფების შესახებ — არასაკმაო გარკვეულობით.

დავიწყოთ დაბალი ჯგუფით — ღარიბთა ჯგუფით, რომელსაც თავრიდის მაზრების მოსახლეობის $^2/_5$ ეკუთვნის.

თუ რამდენად ღატაკია სინამდვილეში ეს ჯგუფი, ამის საუკეთესო მაჩვენებელია მუშა-პირუტყვის (სოფლის მეურნეობაში წარმოების მთავარი იარაღის) რაოდენობა. თავრიდის გუბერნიის სამივე მაზრაში მუშა-პირუტყვის საერთო რიცხვი 263 589 სულს უდრის; აქედან დაბალ ჯგუფს 43 625 სული ჰყავს (117 გვ.), ანუ სულ 17%, საშუალოზე $2^1/_3$-ჯერ უფრო ნაკლები. ცნობები იმ კომლთა %-ის შესახებ, რომელთაც მუშა-პირუტყვი არა ჰყავთ, ზემოთ იყო მოყვანილი (80% — 48% — 12% დაბალი ჯგუფის სამ ქვედანაყოფში). პოსტნიკოვმა ამ ცნობების მიხედვით დასკვნა გამოიყვანა, რომ «იმ მეკომურთა %, რომელთაც საკუთარი საქონელი არა ჰყავთ, მნიშვნელოვანია მხოლოდ იმ ჯგუფებში, რომელთაც ნათესი არ მოეპოვებათ, ანდა კომლზე 10 დესეტინამდე ნათესი აქვთ» (გვ. 135). ამ ჯგუფის ნათესის რაოდენობა შეესაბამება პირუტყვის რაოდენობას: მთელი 962 933 დეს. მიწიდან (სამივე მაზრაში) საკუთარი მიწა ითესება 146 114 დეს., ანუ 15%. იჯარით აღებული მიწის მიმატება ნათესს 174 496 დესეტინამდე ადიდებს, მაგრამ რადგან ამასთან ერთად დიდდება სხვა ჯგუფების ნათესიც, და დიდდება უფრო მეტად, ვიდრე დაბალი ჯგუფისა, ამას ის შედეგი მოსდევს, რომ დაბალი ჯგუფის ნათესი მთელი ნათესის მხოლოდ 12%-ს შეადგენს, ე. ი. ნათესის $^1/_8$ მოდის მოსახლეობის $^3/_8$-ზე და უფრო მეტზედაც. თუ გავიხსენებთ, რომ ავტორი ნორმალურ (ე. ი. ოჯახის ყველა მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელ) ნათესად თავრიდელი გლეხის სწორედ საშუალო ნათესს სთვლის, მაშინ ადვილად დავინახავთ, თუ როგორ მშრალზეა გამორიყული ეს ჯგუფი, რომელსაც საშუალოზე $3^1/_3$-ჯერ უფრო ნაკლები ნათესი აქვს.

სავსებით ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში ამ ჯგუფის სამიწათმოქმედო მეურნეობა ფრიად სავალალო მდგომარეობაში იმყოფება: ჩვენ ზემოთ ვნახეთ, რომ თავრიდის მაზრების მოსახლეობის 33 — 39% -ს — მაშასადამე, დაბალი ჯგუფის უდიდეს უმრავლესობას — სრულიად არ გააჩნია სახნავი იარაღი. ინვენტარის უქონლობა გლეხებს აიძულებს ხელი აიღონ მიწაზე, იჯარით გასცენ თავიანთი ნადელი: პოსტნიკოვის ვარაუდით მიწის ამგვარ გამქირავებელთა (უეჭველად, უკვე მთლად მოშლილი მეურნეობის პატრონთა) რიცხვი მოსახლეობის $^1/_3$-მდე შეადგენს, ე. ი. ღარიბი ჯგუფის ისევ და ისევ მნიშვნელოვან უმრავლესობას. გაკვრით შევნიშნავთ, რომ ეს მოვლენა ნადელების «გაყიდვისა» (გლეხების ჩვეულებრივი გამოთქმა რომ ვიხმაროთ) აღნიშნულია საერობო სტატისტიკის მიერ ყველგან და ფრიად შესამჩნევ ფარგლებშიც. პრესამ, რომელმაც ეს ფაქტი აღნიშნა, უკვე გამონახა კიდეც მისი საწინააღმდეგო საშუალება — ნადელების განუსხვისებადობა. პოსტნიკოვი სრულიად სამართლიანად ილაშქრებს ამგვარი ზომების გამოსადეგობის წინააღმდეგ, რომელნიც ამხელენ მათი ავტორების წმინდა-ჩინოვნიკურ რწმენას უფროსების განკარგულებათა ყოვლადშემძლებლობისადმი. «უეჭველია, — ამბობს პოსტნიკოვი,— რომ მიწების იჯარით გაცემის მარტო აკრძალვა ვერ მოსპობს ამ მოვლენას, რომლის ფესვები მეტად ღრმად არის გამდგარი გლეხთა ყოფაცხოვრების ახლანდელ ეკონომიურ წყობაში. გლეხს, რომელსაც არ გააჩნია ინვენტარი და სახსრები საკუთარი მეურნეობისათვის, ფაქტიურად არ შეუძლია ისარგებლოს თავისი ნადელით, მან მიწა უნდა მიაქირავოს სხვა გლეხებს, რომელთაც საშუალებანი მოეპოვებათ მეურნეობის გასაძღოლად. მიწების გაქირავების პირდაპირი აკრძალვა ხალხს აიძულებს — ეს გაქირავება ფარულად, უკონტროლოდ და, ალბათ, მიწის გამქირავებლისათვის უფრო საზარალო პირობებში მოახდინოს, ვიდრე ამჟამადაა, იმიტომ რომ გამქირავებელი იძულებულია გააქირავოს მიწა. შემდეგ, გლეხებზე დარჩენილ სახაზინო გადასახადთა გასასტუმრებლად, მათი ნადელები უფრო ხშირად გაქირავდება სოფლის სამსჯავროს[6] განაჩენით,

ამგვარი გაქირავება კი ძალიან ნაკლებად იქნება სასარგებლო ღარიბი გლეხებისათვის» (გვ. 140).

ღარიბთა მთელ ჯგუფს ემჩნევა მეურნეობის სრული დაცემა:

«არსებითად — ამბობს პოსტნიკოვი — თავიანთი სამეურნეო მდგომარეობის მხრივ დიდად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან არმთესველი მოსახლენი და მცირემთესველნი, რომელნიც თავიანთ მიწას სხვისი, დაქირავებული პირუტყვით ამუშავებენ. პირველნი თანასოფლელებს აძლევენ იჯარით მთელს თავიანთ მიწას, მეორენი — მიწის მხოლოდ ერთ ნაწილს, მაგრამ როგორც ერთნი, ისე მეორენი ან მოჯამაგირეებად არიან თავიანთ თანასოფლელებთან, ანდა საკუთარ სახლკარში ცხოვრობენ და გარესამუშაოს, მეტწილად სამიწათმოქმედო სამუშაოსვე მისდევენ. ამიტომ გლეხების ორივე კატეგორია — არმთესველნი და მცირემთესველნი — შეიძლება ერთად განვიხილოთ; ერთნიც და მეორენიც იმ მოსახლეთა რიცხვს ეკუთვნიან, რომელნიც თავიანთ მეურნეობას ჰკარგავენ, უმეტეს შემთხვევაში უკვე გაპარტახებულნი არიან ან პარტახდებიან, რომელთაც არ გააჩნიათ მეურნეობის საწარმოებლად საჭირო მუშა-პირუტყვი და ინვენტარი» (გვ. 135).

«თუ უმეურნეო და არმთესველი ოჯახები უმეტეს შემთხვევაში წარმოადგენენ გაჩანაგებულ მეურნეობებს, — ამბობს ცოტა ქვევით პოსტნიკოვი, — მცირემთესველნი, რომელნიც თავიანთ მიწას აქირავებენ, პირველების კანდიდატები არიან. ყოველივე მნიშვნელოვანი მოუსავლობა ანდა შემთხვევითი უბედურება, როგორიცაა ხანძარი, ცხენის დაკარგვა და სხვ., ამ ჯგუფის მეურნეთა ერთ ნაწილს უმეურნეოთა და მოჯამაგირეთა რიგებისაკენ ერეკება. ის მეურნე, რომელიც რაიმე მიზეზით მუშა-პირუტყვს ჰკარგავს, პირველ ნაბიჯს სდგამს დაქვეითებისაკენ. მიწის დამუშავება სხვისი, დაქირავებული პირუტყვით ბევრ რასმე შემთხვევითს, უწესრიგოს შეიცავს და ჩვეულებრივ ნახნავების შემცირებას იწვევს. ასეთ გლეხს სოფლის ადგილობრივი შემნახველ-გამსესხებელი სალაროები და თანასოფლელები უარს ეუბნებიან სესხის მიცემაზე [შენიშვნაში: «თავ-

რიდის მაზრების დიდ სოფლებში ძალიან ბევრია შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობანი, რომელნიც სახელმწიფო ბანკიდან აღებული სესხით მოქმედებენ; მაგრამ ამ სალაროებიდან სესხით მხოლოდ შეძლებული და უზრუნველყოფილი მეკომურნი სარგებლობენ»]; სესხს მას ჩვეულებრივ უფრო მძიმე პირობებში აძლევენ, ვიდრე «წელმაგარ» გლეხებს. «რანაირად უნდა მიეცეს სესხი, — ამბობენ გლეხები, — როცა გადახდის თავი არ აქვსო». რახან გლეხი ერთხელვე ჩაეფლობა ვალებში, პირველ უბედურებისთანავე ჰკარგავს მიწასაც, განსაკუთრებით — თუ მასზე დარჩენილი სახაზინო გადასახადიც ირიცხება» (გვ. 139).

თუ რამდენად დიდია სამიწათმოქმედო მეურნეობის დაცემა ღარიბი გლეხების ჯგუფში, ეს ყველაზე უკეთ სჩანს იმ გარემოებიდან, რომ ავტორი უარსაც კი ამბობს — პასუხი გასცეს კითხვაზე, სახელდობრ რანაირი წესით სწარმოებს მათში მეურნეობა. იმ მეურნეობებში, სადაც კომლზე 10 დესეტინაზე ნაკლები ნათესია, — ამბობს იგი, — «მიწათმოქმედება მეტად შემთხვევითს პირობებში იმყოფება, რომ შეიძლებოდეს მისი დახასიათება რაიმე განსაზღვრული ხერხით» (გვ. 278).

გლეხთა დაბალი ჯგუფის მეურნეობის ზემომოყვანილი დახასიათებანი, მათი მრავალრიცხოვანობის მიუხედავად, სრულიად არ არის საკმარისი: ეს დახასიათებანი მარტოოდენ უარყოფითია, მაგრამ დადებითი დახასიათებაც ხომ უნდა იყოს. აქამდე მხოლოდ ის გვესმოდა, რომ ამ ჯგუფის გლეხები დამოუკიდებელ მიწათმოქმედ-მეურნეთა რიცხვს ვერ მიეკუთვნებიან, რადგან მათი მიწათმოქმედება სრულიად დაქვეითებულია, რადგან მათი ნათესი ფართობი მეტად არასაკმაოა და, ბოლოს, იმიტომ, რომ მათი მიწათმოქმედების წესები შემთხვევითი ხასიათისაა: «რაიმე წესის დაცვა ნათესობაში — შენიშნავენ სტატისტიკოსები ბახმუტის მაზრის აღწერის დროს — შეუძლიათ მხოლოდ მდიდარ და შეძლებულ მეურნეებს, რომელნიც თესლეულის მხრივ გაჭირვებას არ განიცდიან, ღარიბები კი სთესავენ იმას, რაც ხელთა აქვთ, სადაც და როგორც მოუხდებათ» (გვ. 278). მაგრამ ხომ არ შეიძლება შემთხვევითი იყოს არსებობა გლეხობის მთელი იმ მასისა, რომელსაც დაბალი ჯგუფი

შეიცავს (თავრიდის სამ მაზრაში 30 ათას კომლზე მეტი და 200 ათას სულზე მეტი ორივე სქესისა). თუ კი ისინი თავიანთი საკუთარი მეურნეობით ვერ საზრდოობენ, მაშ რითი ცხოვრობენ? უმთავრესად თავიანთი სამუშაო ძალის გაყიდვით. ზემოთ ჩვენ ვნახეთ, რომ პოსტნიკოვი ამ ჯგუფის გლეხებზე ამბობდა — ისინი მოჯამაგირეობით და გარესაშოვრებით არსებობენო. რადგან სამხრეთ-რუსეთში თითქმის სრულიად არ მოიპოვება სარეწები, ეს საშოვრები უმეტეს შემთხვევაში სამიწათმოქმედო ხასიათისაა და, მაშასადამე, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე დაქირავებას წარმოადგენს. იმის უფრო დაწვრილებით დასამტკიცებლად, რომ დაბალი ჯგუფის გლეხთა მეურნეობის მთავარი თვისება სწორედ შრომის გაყიდვაა, განვიხილოთ ეს ჯგუფი იმ თანრიგთა მიხედვით, რომლებზედაც ჰყოფს მას საერობო სტატისტიკა. არმთესველ მოსახლეებზე ლაპარაკიც ზედმეტია: ესენი მთლიანად მოჯამაგირეები არიან. მეორე თანრიგში ჩვენ ვხედავთ უკვე მხვნელ-მთესველებს, რომელთაც კომლზე 5 დესეტინამდე ნათესი აქვთ (საშუალოდ 3,5 დეს.). ნათესი ფართობის ზემოთ მოყვანილი დანაწილება — სამეურნეო, საკვებ, სასაზრდოო და სავაჭრო ფართობად — გვიჩვენებს, რომ ამ ზომის ნათესი სრულიად არ არის საკმაო. «პირველ ჯგუფს, რომელსაც კომლზე 5 დესეტინამდე ნათესი მოსდის, — ამბობს პოსტნიკოვი — თავის ნათესებში არ მოეპოვება საბაზრო, სავაჭრო ფართობი; ამ ჯგუფის არსებობა შესაძლებელია მხოლოდ გარესაშოვრით, რასაც მოჯამაგირეობა და სხვა საშუალებანი იძლევიან» (გვ. 319). რჩება უკანასკნელი თანრიგი — ის მეურნენი, რომელთაც კომლზე 5 — 10 დეს. ნათესი აქვთ. იბადება კითხვა: რანაირ დამოკიდებულებაშია ამ ჯგუფის გლეხების დამოუკიდებელი სამიწათმოქმედო მეურნეობა ეგრეთწოდებულ «საშოვრებთან»? ამ კითხვას რომ სწორი პასუხი გაეცეს, აუცილებლად საჭიროა ხელთ გვქონდეს გლეხთა რამდენიმე ტიპიური ბიუჯეტი, რაც ამ ჯგუფის მეურნეებისათვის არის დამახასიათებელი. პოსტნიკოვი სავსებით სცნობს ბიუჯეტების თაობაზე ცნობების საჭიროებასა და მნიშვნელობას, მაგრამ აღნიშნავს, რომ «ასე-

თი ცნობების შეკრება მეტად საძნელოა, მრავალ შემთხვევაში კი სტატისტიკოსებისათვის პირდაპირ შეუძლებელიცაა» (გვ. 107). ძალიან ძნელია დაეთანხმო ამ უკანასკნელ შენიშვნას: მოსკოველმა სტატისტიკოსებმა შეჰკრიბეს რამდენიმე ფრიად საინტერესო და დაწვრილებითი ბიუჯეტი (იხ. «მოსკ. გუბ. სტატისტ. ცნობათა კრებული». სამეურნეო სტატისტიკის განყოფილება. VI და VII ტომები); ვორონეჟის გუბერნიის ზოგიერთ მაზრაში, როგორც თვით ავტორი აღნიშნავს, ცნობები ბიუჯეტების შესახებ კომლობრივაც კი არის შეკრებილი.

ძალიან სამწუხაროა, რომ პოსტნიკოვის საკუთარი ცნობები ბიუჯეტების შესახებ მეტად არასაკმაოა: მას მოჰყავს გერმანელი კოლონისტების 7 ბიუჯეტი და რუსი გლეხისა — მხოლოდ ერთი, ამასთან ყველა ბიუჯეტი ბობოლა მთესველებისაა (minimum-ი — რუსი გლეხისა — 39½ დეს. ნათესი), ე. ი. ისეთი ჯგუფისა, რომლის მეურნეობა საკმაოდ ნათლად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ საერობო სტატისტიკაში არსებული ცნობების მიხედვით. პოსტნიკოვი მწუხარებას გამოსთქვამს, რომ მან «ვერ შესძლო ჩამოვლის დროს დიდი რაოდენობით შეეკრიბა გლეხთა ბიუჯეტები», და დასძენს, რომ «ამ ბიუჯეტების ზუსტად განსაზღვრა — საერთოდ ადვილი საქმე როდია. თავრიდელები საკმაო გულახდილობით იძლევიან ცნობებს თავიანთი მეურნეობის შესახებ, მაგრამ მეტწილად თვით მათაც არ იციან საკუთარი შემოსავლისა და ხარჯების ზუსტი ციფრები. კიდევ უფრო კარგად ახსოვთ გლეხებს თავიანთი ხარჯების საერთო ციფრი, ანდა ყველაზე დიდი შემოსავალი და ხარჯი, მაგრამ წვრილმანი ციფრები თითქმის ყოველთვის უქრებათ მეხსიერებიდან» (გვ. 288). მაინც უმჯობესი იქნებოდა რამდენიმე ბიუჯეტის შეკრება, თუნდაც წვრილმანი ცნობების გამოკლებით, ვიდრე შეკრება «90-მდე აღწერილობისა» სამეურნეო ვითარების «შეფასებით», როგორც ეს ავტორმა მოიმოქმედა, რადგან ამ ვითარებას საკმარისად ნათელჰყოფენ ერობის მიერ ჩატარებული კომლობრივი აღწერები.

ბიუჯეტების უქონლობის გამო, აღნიშნული ჯგუფის მეურნეობის ხასიათის გამოსარკვევად ჩვენ ხელთ მხოლოდ ორნაირი

ცნობებია: ჯერ-ერთი, პოსტნიკოვის გაანგარიშება კომლზე ნათესის იმ რაოდენობის შესახებ, რაც საშუალო ოჯახის გამოსაკვებად არის საჭირო; მეორეც, ცნობები ნათესი ფართობის 4 ნაწილად დაყოფისა და ადგილობრივი გლეხების ფულადი ხარჯების საშუალო რაოდენობის შესახებ (ოჯახზე წლიურად).

დაწვრილებითი გამოანგარიშების მიხედვით, თუ რამდენი დეს. ნათესია საჭირო ოჯახის სარჩენად, სათესად და პირუტყვის გამოსაკვებად, პოსტნიკოვს ასეთი საბოლოო დასკვნა გამოჰყავს:

«საშუალო შემადგენლობისა და დოვლათის გლეხურ ოჯახს, რომელიც მარტოოდენ მიწათმოქმედებით ცხოვრობს და რომელსაც თავისი ბალანსი უდეფიციტოდ გამოჰყავს, საშუალო მოსავლის დროს თავის ნათეს ფართობში უნდა ჰქონდეს: ოჯახის $6^1/_2$ წევრის სარჩენად 4 დეს., 3 მუშა-ცხენის გამოსაკვებად $4^1/_2$ დეს., თესლეულის ასაღებად $1^1/_2$ დეს. და ბაზარზე მარცვლეულის გასაყიდად 6 — 8 დეს., — სულ 16 — 18 დესეტინა ნათესი. ...საშუალო თავრიდელს კომლზე 18 დესეტინამდე ნათესი აქვს, მაგრამ თავრიდის 3 მაზრის მოსახლეობის 40%-ს 10 დესეტინაზე ნაკლები ნათესი აქვს კომლზე; და თუ ეს მოსახლეობა მაინც მისდევს მიწათმოქმედებას, ეს მხოლოდ იმის გამო, რომ თავისი შემოსავლის ნაწილს შოულობს გარესამუშაოებით და თავისი მიწის გაქირავებით. მოსახლეობის ამ ნაწილის სამეურნეო მდგომარეობა არანორმალურია, მერყეევია, იმიტომ რომ უმეტეს შემთხვევაში მას არ შეუძლია რაიმე მარაგი იქონიოს დამშეული წლისათვის» (გვ. 272).

რადგან აღნიშნულ ჯგუფში ნათესის საშუალო ოდენობა კომლზე 8 დესეტინას უდრის, ე. ი. საჭირო რაოდენობის (17 დეს.) ნახევარზე ნაკლებს, ამიტომ უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ ამ ჯგუფის გლეხები თავიანთი შემოსავლის მეტ ნაწილს «საშოვრებით», ე. ი. თავიანთი შრომის გაყიდვით შოულობენ.

მეორე ანგარიში: პოსტნიკოვის ზემომოყვანილი ცნობებით ნათესი ფართობის განაწილების შესახებ, 8 დესეტინა ნათესიდან — 0,48 დესეტინა თესლეულისათვის იქნება საჭირო; 3 დეს. — პირუტყვის გამოსაკვებად (ამ ჯგუფში კომლზე სამი კი

არა, ორი სული მუშა-პირუტყვი მოდის); 3,576 დეს. — ოჯახის სარჩენად (ოჯახის შემადგენლობაც საშუალოზე ნაკლებია — დაახლ. $5^1/_2$ სული, და არა $6^1/_2$), ასე რომ სავაჭრო ფართობისათვის რჩება ერთ დესეტინაზე ნაკლები (0,944), რომლის შემოსავალს ავტორი 30 მანეთად ვარაუდობს. მაგრამ თავრიდელისათვის აუცილებელი ფულადი ხარჯების ჯამი გაცილებით უფრო დიდია. ფულადი ხარჯების რაოდენობის შესახებ ცნობების შეკრება გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე ბიუჯეტების ცნობებისაო, ამბობს ავტორი, ვინაიდან ხშირად თვითონ გლეხები ანგარიშობენ ამგვარ ხარჯებს. ამ ანგარიშით გამოდის, რომ:

«საშუალო შემადგენლობის, ე. ი. ისეთი ოჯახისათვის, რომელიც შესდგება მომუშავე ქმრისა, ცოლისა და 4 ბავშვისა და მოზარდისაგან, თუ ეს ოჯახი მეურნეობას საკუთარ, დაახლოებით 20 დესეტინა მიწაზე ეწევა და იჯარას არ მიმართავს, აუცილებელი ფულადი ხარჯების თანხას თავრიდელები წელიწადში 200 — 250 მანეთით განსაზღვრავენ. 150 — 180 მან. თანხა იმ ფულადი ხარჯის მინიმუმად ითვლება, რომელიც პატარა ოჯახს უნდა ჰქონდეს, თუ იგი ამასთანავე ყველაფერში ხელმოჭერით იქნება. ამ ციფრზე ნაკლები წლიური შემოსავალი უკვე შეუძლებლად ითვლება, ვინაიდან ამ ადგილებში სოფლის მუშა, თავის ცოლთან ერთად, მოჯამაგირეობით წელიწადში 120 მან. შოულობს, ამასთან სურსათ-სანოვაგე და ბინა მუქთი აქვს, არაფერი ეხარჯება პირუტყვის, ინვენტარის შესანახავად და სხვ. და, ამის გარდა, კიდევ ცოტა რამეს «დამატებით» იღებს თავის თანასოფლელებზე გაქირავებული მიწიდან» (გვ. 289). რახან ეს ჯგუფი, რომელზედაც ლაპარაკი გვაქვს, საშუალოზე დაბალია, ამიტომ ავიღოთ ფულადი ხარჯის მინიმალური და არა საშუალო თანხა, ისიც minimum-ის უდაბლესი ციფრი, — 150 მანეთი, რაც «საშოვრებმა» უნდა მისცეს გლეხს. ამნაირი ვარაუდით, აღნიშნული ჯგუფის გლეხს საკუთარი მეურნეობა აძლევს (30 + 87,5* =) 117,5 მან., ხოლო თავისი შრომის გაყიდვა — 120 მანეთს. მაშასადამე, კვლავ ვხედავთ,

* სასაზრდოო ფართობის $3^1/_2$ დეს. მისცემს 25 მანეთის ღირებულებას თითო დესეტინაზე (25×3,5 = 87,5) — პოსტნიკოვის გაანგარიშება, გვ. 272.

რომ ამ ჯგუფის გლეხებს დამოუკიდებელი სამიწათმოქმედო მეურნეობით შეუძლიათ დაჰფარონ თავიანთი მინიმალური ხარჯების მხოლოდ ნახევარზე ნაკლები*.

ამრიგად, დაბალი ჯგუფის ყველა ქვედანაყოფის მიხედვით მეურნეობის ხასიათის განხილვას იმ უეჭველ დასკვნამდე მივყევართ, რომ თუმცა გლეხების უმრავლესობას მცირე ნათესი აქვს, მაგრამ მათი ცხოვრების მთავარ წყაროს მაინც თავისი სამუშაო ძალის გაყიდვა წარმოადგენს. ამ ჯგუფის ყველა გლეხი უფრო დაქირავებული მუშაა, ვიდრე მიწათმოქმედი-მეურნე.

პოსტნიკოვს არ დაუსვამს ეს საკითხი — თუ რა ხასიათისაა დაბალი ჯგუფის გლეხთა მეურნეობა, და არ გამოურკვევია გარესაშოვართა დამოკიდებულება თავის მეურნეობასთან, — ეს გარემოება მისი შრომის დიდ ნაკლს შეადგენს. ამის გამო მას საკმაოდ ვერ აქვს გარკვეული ის, ერთი შეხედვით, უცნაური მოვლენა, რომ დაბალი ჯგუფის გლეხები, რომელთაც ძალიან

* ბ-ნ იუჟაკოვის გაანგარიშება 1885 წ. № 9 «რუსკაია მისლში» [7] («სახალხო მიწათმფლობელობის ნორმები») სავსებით ადასტურებს ამ დასკვნას. ნადელის სასურსათო, ე. ი. უდაბლეს ნორმად კომლზე თავრიდის გუბერნიისათვის იგი 9 დეს. ნათესს სთვლის. მაგრამ ბ-ნი იუჟაკოვი ნადელზე მხოლოდ მარცვლეული პროდუქტებით გამოკვებასა და გადასახადებს ანგარიშობს, რადგან ფიქრობს, რომ დანარჩენი ხარჯები საშოვრებით იფარება. საერობო სტატისტიკის ბიუჯეტები ამტკიცებენ, რომ მეორე სახის ხარჯი ყველა ხარჯის ნახევარზე მეტს შეადგენს. ასე, მაგალითად, ვორონეჟის გუბერნიაში გლეხის ოჯახის საშუალო ხარჯი 495,39 მანეთს უდრის, — ამაში ნატურალური ხარჯიც შედის და ფულადიც. ამ თანხიდან 109,10 — პირუტყვის შენახვას ხმარდება [N. B. იუჟაკოვი პირუტყვის შენახვას სახნავების ხარჯზე კი არ ანგარიშობს, არამედ სათიბებისა და სხვა დამხმარე მიწებისაზე], 135,80 — მცენარეული საჭმლით კვებას და გადასახადებს, და 250,49 — დანარჩენ ხარჯებს: ტანისამოსი, ინვენტარი, იჯარა, სხვადასხვა საოჯახო ხარჯი და სხვ. [24 ბიუჯეტი «ოსტროგ. მაზრის სტატ. ცნობების კრებულში»]. — მოსკოვის გუბერნიაში ოჯახის წლიური საშუალო ხარჯი 348,83 მან. უდრის, აქედან 156,03 — მარცვლეული პროდუქტებით კვება და გადასახადები, 192,80 — დანარჩენი ხარჯები. [მოსკოველი სტატისტიკოსების მიერ შეგროვილი 8 ბიუჯეტის მიხედვით გამოყვანილი საშუალო ბიუჯეტი, — l. c.] (loco citato — ციტირებულ ადგილას. რ ე დ.).

ცოტა აქვთ თავიანთი მიწა, ხელს იღებენ ამ მიწაზე, აქირავებენ მას; ამის გამო მან მეურნეობის საერთო ხასიათს ვერ დაუკავშირა ის თვალსაჩინო ფაქტი, რომ დაბალი ჯგუფის გლეხებს წარმოების საშუალებათა (ე. ი. მიწისა და ინვენტარის) რაოდენობა საშუალოზე გაცილებით ნაკლები აქვთ. რადგან წარმოების საშუალებათა საშუალო რაოდენობა, როგორც დავინახეთ, ოჯახის სწორედ რომ მხოლოდ აუცილებელ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას უზრუნველჰყოფს, ამიტომ აღნიშნული ხელმოკლეობა უეჭველი აუცილებლობით აიძულებს ღარიბ გლეხებს თავიანთი შრომის გამოსაყენებლად სხვის წარმოების საშუალებებს მიმართონ, ე. ი. თავი გაიყიდონ.

გადავდივართ მეორე — საშუალო ჯგუფზე; ეს ჯგუფიც მოსახლეობის 40%-ს შეადგენს. ამ ჯგუფს ეკუთვნიან კომლზე 10-დან 25 დესეტინამდე ნათესის მქონე მეურნენი. ტერმინი «საშუალო» ამ ჯგუფისათვის სავსებით გამოსაყენებელია, თუმცაღა იმ შესწორებით, რომ მისი წარმოების საშუალებანი საშუალოზე რამდენადმე (ცოტათი) ნაკლებია: მთელი გლეხობისათვის საშუალოა 17 დეს. ნათესი, ამ ჯგუფის გლეხებს კი 16,4 დეს. ნათესი მოსდით კომლზე. პირუტყვი საშუალოდ 7,6 სულია, მათ კი 7,3 სული ჰყავთ კომლზე (მუშა-პირუტყვი საშუალოდ 3,1 სულია, მათ კი 3,2 ჰყავთ). მთელი სახნავი მიწა [სანადელო, ნაყიდი და იჯარით აღებული] საშუალოდ 20 — 21 დესეტინაა კომლზე (მაზრობლივ), მათ კი 17 — 18 დეს. აქვთ. რომ შევადაროთ ნათეს დესეტინათა კომლობრივი რაოდენობა იმ ნორმას, რომელსაც პოსტნიკოვი იძლევა, დავინახავთ, რომ ამ ჯგუფს მეურნეობა საკუთარ მიწაზე გაჭირვებით აძლევს იმდენს, რამდენიც გამოსაკვებად არის საჭირო.

ყველა ამ მონაცემთა მიხედვით, თითქოს, შეიძლებოდა გვეფიქრნა, რომ ამ ჯგუფის გლეხების მეურნეობა ყველაზე უფრო მტკიცე უნდა იყოს: მეურნეობის საშუალებით გლეხი ყველა თავის ხარჯს ისტუმრებს; იგი მუშაობს არა შემოსავლის მისაღებად, არამედ მხოლოდ უპირველეს მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ნამდვილად კი ჩვენ სწორედ ამის საწინააღმდეგოს ვხედავთ: ამ ჯგუფის გლეხთა მეურნეობა მეტისმეტად არამტკიცეა.

პირველყოფლისა ირკვევა, რომ ამ ჯგუფში საკმარის ოდენობას წარმოადგენს ნათესის საშუალო ზომა — 16 დესეტინა. მაშასადამე, ის მეურნენი, რომელთაც 10-დან 16-მდე დეს. ნათესი აქვთ, მიწათმოქმედებით ვერ ჰფარავენ ყველა ხარჯს და ისინიც იძულებული ხდებიან საშოვრებს მიმართონ. პოსტნიკოვის ზემომოყვანილი დაახლოებითი გაანგარიშებიდან ჩვენ ვხედავთ, რომ ამ ჯგუფის გლეხები 2 846 მუშას ქირაობენ, ხოლო 3 389-ს, ე. ი. 543 კაცით მეტს აქირავებენ. მაშასადამე, ამ ჯგუფის მეურნეობათა დაახლოებით ნახევარი სავსებით ვერ არის უზრუნველყოფილი.

შემდეგ, ამ ჯგუფში კომლზე 3,2 სული მუშა-პირუტყვი მოდის, მაშინ როდესაც გუთნეულისათვის, როგორც ზემოთ დავინახეთ, 4 სულია საჭირო. მაშასადამე, ამ ჯგუფის მეურნეთა მნიშვნელოვან ნაწილს მიწის დამუშავების დროს საკუთარი პირუტყვით იოლად წასვლა არ შეუძლია და სხვას უნდა შეუამხანაგდეს. შეამხანაგებით მიწის დამმუშავებელთა რიცხვი ამ ჯგუფშიც ნახევარზე ნაკლები არ არის: ამას ის გვაფიქრებინებს, რომ გუთნეულიან მეურნეობათა საერთო რიცხვი 40%-მდეა; აქედან 20% შეძლებულ მაღალ ჯგუფს ავსებს, ხოლო დანარჩენი 20% საშუალო ჯგუფზე მოდის, ასე რომ საშუალო ჯგუფის ნახევარს მაინც გუთნეული არ გააჩნია. პოსტნიკოვი არ იძლევა ამ ჯგუფში შეამხანაგებით მიწის დამმუშავებელთა ზუსტ რიცხვს. საერობო სტატისტიკის კრებულებს რომ მივმართოთ, შემდეგ ცნობებს ვნახავთ (ორი მაზრის შესახებ) *.

დათესილ დესეტინათა საერთო რიცხვიდან ამუშავებენ:

	მთლად ჯგუფში 10—25 დეს. ნათესით		თავისი პირუტყვით		სხვასთან შეამხანაგებით		დაქირავებით		სხვა საშუალებით	
	კომლ.	ნათესი დესეტ.	კომლ.	დესეტ.	კომლ.	დესეტ.	კომლ.	დესეტ.	კომლ.	დესეტ.
მელიტ. მაზრა	13 789	226 389,21	4 218	79 726,55	9 201	141 433,26	321	4 405,8	49	773,3
დნეპრ. »	8 234	137 343,75	4 029	71 125,2	3 805	61 159,05	320	4 352,5	50	707,25

* «მელიტ. მაზრის სტატისტ. ცნობათა კრებული» (თავრიდის გუბერნიის კრებულის I ტომის დამატება). სიმფ. 1885. გვ. ბ 195. «დნეპრ. მაზრის სტატისტ. ცნობათა კრებული» (თავრიდის გუბერნიის კრებულის II ტომი). სიმფ. 1886. გვ. ბ 123.

ამრიგად, ორივე მაზრაში საშუალო ჯგუფის კომლთა მხოლოდ უმცირესობა ამუშავებს მიწას თავისი პირუტყვით: მელიტოპოლის მაზრაში — ოჯახების $^1/_3$-ზე ნაკლები; დნეპროვსკის მაზრაში — $^1/_2$-ზე ნაკლები. მაშასადამე, შეამხანაგებით მომუშავეთა რიცხვი, რაც ზემოთ სამივე მაზრისათვის არის აღებული ($^1/_2$), არამც თუ გადაჭარბებული არაა, არამედ ფრიად მცირეც უნდა იყოს. რა თქმა უნდა, უკვე ის გარემოება, რომ საკუთარი პირუტყვით შეუძლებელია მიწის დამუშავება, საკმაოდ ახასიათებს მეურნეობის ნაკლებ სიმტკიცეს, მაგრამ საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ პირუტყვით შეამხანაგების აწერილობა, რასაც პოსტნიკოვი იძლევა; სამწუხაროდ, იგი ძალიან ცოტა ყურადღებას აქცევს ამ, როგორც ეკონომიური, ისე ყოფაცხოვრებითი მხრივ საინტერესო, მოვლენას.

«იმ მეკომურებს, რომელნიც პირუტყვის შეერთებით მუშაობენ,— ამბობს პოსტნიკოვი,— სამუშაო ფართობის ნორმა უფრო მცირე აქვთ [ვიდრე იმ გლეხებს, რომელნიც თავიანთი პირუტყვით მუშაობენ] მექანიკის იმავე კანონის გამო, რომლის მიხედვითაც ერთად შებმული სამი ცხენი იმაზე სამჯერ მეტ წევას არ იძლევა, რამდენიც ერთ ცხენს შეუძლია მოგვცეს. ერთმანეთთან შეამხანაგებულნი შეიძლება სოფლის სხვადასხვა ბოლოზე ცხოვრობდნენ (უმთავრესად ნათესავები შეამხანაგდებიან ხოლმე); შემდეგ, ორ მეკომურს (ზოგჯერ სამი მეურნეც შეერთდება ხოლმე) მინდვრის ნაკვეთები რიცხვით ორჯერ მეტი აქვს, ვიდრე ერთს. ყოველივე ეს ადიდებს გზის ხარჯებს. [შენიშვნაში: «მიწების გაყოფის დროს თვითეული კომლი სულადობის მიხედვით მთლიან მიწის ნაჭერს იღებს განსაზღვრულ ფართობზე; ამიტომ მცირერიცხოვან ოჯახს უფრო პატარა ნაკვეთები ხვდება. თავრიდის გუბერნიაში შეამხანაგების პირობები მეტად სხვადასხვანაირია. თუ ერთ-ერთ მხარეს ბუკერი აქვს, მას ერთი დესეტინით მეტს უხნავენ, მაგ., ერთს — 10 დესეტინას, მეორეს — 11 დესეტინას, ანდა ბუკერის უქონელს აკისრებენ მთელ მის შესაკეთებელ ხარჯებს მუშაობის დროს. ასევეა, როდესაც შეამხანაგდებიან რიცხვობრივად არათანაბარი მუშა-პირუტყვის პატრონები: ზოგიერთთან ერთი

დღით მეტს ხნავენ და სხვ. სოფ. კამენკაში ბუკერის პატრონს გაზაფხულის განმავლობაში აძლევენ ფულად 3-დან 6 მანეთამდე. უთანხმოებანი შეამხანაგებულთა შორის საერთოდ ძალიან ხშირია».] თანხმობის მოგვარებაზეც საკმაო დრო იკარგება; ისეც ხდება, რომ მუშაობის დამთავრებამდე ეს შეთანხმება ირღვევა ხოლმე. ფარცხვის დროს შეამხანაგებულებს ზოგჯერ ცხენები დააკლდებათ; ამ შემთხვევაში ცხენებს გამოუშვებენ ხოლმე ბუკერიდან, — ზოგს წყალს აზიდვინებენ, ზოგს კი აფარცხვინებენ. სოფ. იუზკუიში მე გადმომცეს, რომ ხშირად შეამხანაგებულნი ბუკერით დღეში ამუშავებენ არა უმეტეს ერთი დესეტინისა, ე. ი. ორჯერ ნაკლებს ნორმასთან შედარებით› (გვ. 233).

ცოცხალი ინვენტარის ნაკლებობას ემატება მკვდარი ინვენტარის სიმცირეც. ზემოთ მოყვანილი ცხრილი იმ ინვენტარის რაოდენობისა, რაც ერთ კომლზე მოდის სხვადასხვა ჯგუფში, გვიჩვენებს, რომ საშუალო ჯგუფში ყველა მაზრაში კომლზე მოდის არანაკლებ 1 ცალი სახნავი ინვენტარისა. მაგრამ ნამდვილად ამ ჯგუფის ფარგლებშიც კი ინვენტარის განაწილება თანაბარი არ არის. სამწუხაროდ, პოსტნიკოვი არ იძლევა საამისო ცნობებს, და ჩვენ იძულებული ვართ საერობო სტატისტიკის კრებულებს მივმართოთ. დნეპროვსკის მაზრაში 8 227 კომლიდან 1 808-ს სრულებით არა აქვს სახნავი იარაღი; მელიტოპოლის მაზრაში — 13 789-დან 2 954-ს არა აქვს; პირველ მაზრაში სახნავი იარაღის უქონელ ოჯახთა % უდრის 21,9%-ს; მეორეში — 21,4%-ს. უეჭველია, ის მეკომურნი, რომელთაც სახნავი იარაღი არ გააჩნიათ, თავიანთი ეკონომიური მდგომარეობით უახლოვდებიან დაბალ ჯგუფს, ხოლო ის მეკომურნი, რომელთაც ერთზე მეტი იარაღი აქვთ კომლზე, — მაღალს. უფრო მეტია იმ მეკომურთა რიცხვი, რომელთაც გუთანი არა აქვთ: დნეპროვსკის მაზრაში 32,5% და მელიტოპოლისაში — 65,5%. დასასრულ, პურეულის ამღები მანქანები (რომელთაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვთ სამხრეთ-რუსეთის გლეხის მეურნეობაში, ვინაიდან ხელით მოსავლის ასაღებად იქ მუშები არა ჰყოფნით და მიწის გრძელნაკვეთიანობის გამო

პურის ზიდვაც მთელი თვეობით ჭიანურდება) — ამ ჯგუფის მეურნეებს უკვე სრულიად უმნიშვნელო რაოდენობით მოეპოვებათ: დნეპროვსკის მაზრაში მთელ ჯგუფზე მოდის 20 სათიბი და სამკალი მანქანა (1 ცალი 400 კომლზე); მელიტოპოლის მაზრაში — $178^1/_2$ (1 ცალი 700 კომლზე).

ამ ჯგუფის გლეხების მეურნეობის საერთო სისტემას პოსტნიკოვი ასე გვიხატავს:

«მეკომურნი, რომელთაც ოთხზე ნაკლები მუშა-პირუტყვი ჰყავთ, აუცილებლად შეამხანაგდებიან ხოლმე მინდვრებისა და ნათესების დასამუშავებლად. ამგვარ მეკომურთ ოჯახში ან ორი მომუშავე ჰყავთ, ანდა ერთი. ასეთ მეურნეთა შედარებითი სამუშაო უნარიანობის შემცირება გამოწვეულია თვით მეურნეობის ნაკლები ფარგლებით, შეამხანაგებით და ინვენტარის ნაკლებობით. შეამხანაგებულნი უფრო ხშირად ხნავენ პატარა, სამსახნისიანი ბუკერით, რომელიც უფრო ნელა მუშაობს. თუ ასეთი მეურნენი პურის მოსავალს მოიწევენ მეზობლებისაგან ნაქირავები მანქანით, ისინი ამ მანქანას მაშინ იღებენ, როდესაც მეზობელს უკვე მომკილი აქვს თავისი პური. ხელით პურის მკა უფრო მეტ ხანს გრძელდება, ზოგჯერ დღიური მუშების დაქირავებას მოითხოვს და უფრო ძვირადაც ჯდება. მარტოხელა მეურნეს მუშაობისაგან აცდენს ყოველი სასწრაფო საოჯახო საქმე, ანდა საზოგადოებრივი მოვალეობის ასრულება. თუ მარტოხელა-მეკომური შორ მანძილზე მიდის მინდვრის სამუშაოზე, სადაც გლეხები ხშირად მთელ კვირას რჩებიან თესვისა და ხვნის ერთ ჯერზე მოსათავებლად, იგი რამდენჯერმე უნდა დაბრუნდეს შინ, რომ დახედოს სოფელში დარჩენილ ოჯახს» (გვ. 278). ასეთი მარტოხელა-მეკომურნი (რომელთაც ერთი მომუშავე ჰყავთ) ამ ჯგუფში უმრავლესობას შეადგენენ; ეს სჩანს პოსტნიკოვის მიერ მოყვანილი შემდეგი ცხრილიდან, რომელიც გვიჩვენებს ოჯახების მომუშავეთა შემადგენლობას თავრიდის გუბერნიის სამივე მაზრის მხვნელ-მთესველთა სხვადასხვა ჯგუფში (გვ. 143).

	ოჯახი, რომელსაც არა ჰყავს მუშა მამაკაცი	100 კომლზე მოდის ერთმუშიანი ოჯახი	ორმუშიანი ოჯახი	ოჯახი სამითა და მეტი მუშით
არმთესველნი	19	67	11	3
მთესველნი 5 დ-მდე	9	77,6	11,7	1,7
» 5—10 »	4,2	74,8	17,7	3,3
» 10—25 »	1,7	59	29	10,3
» 25—50 »	1,2	40	35,7	23,1
» 50-ზე მეტი დ.	0,9	25	34,3	39,8
სულ	4,3	60,6	24,6	10,5

ეს ცხრილი გვიჩვენებს, რომ საშუალო ჯგუფში ოჯახების $^3/_5$-ს თითო მომუშავე ჰყავს ანდა სულ არა ჰყავს მომუშავე *.

მაღალ ჯგუფთან საშუალო ჯგუფის დამოკიდებულებისა და საერთოდ მისი მეურნეობის სიმტკიცის საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ დნეპრ. მაზრის სტატისტიკურ ცნობათა კრებულიდან ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ არის განაწილებული ჯგუფებს შორის გლეხების ხელში მყოფი მიწის მთელი ფართობი და კერძოდ ნათესი ფართობი**. ვღებულობთ შემდეგ ცხრილს:

ეკონომიური ჯგუფები	ჯგუფის შემადგ. ოჯახების %	სანადელო სახნავი		ნაყიდი მიწა		იჯარით აღებული მიწა		იჯარით გაცემული მიწა	ჯგუფის მთელი მიწათსარგებლობა		ნათესი ფართობი	
		დესეტ.	%	დესეტ.	%	დესეტ.	%		დესეტ.	%	დესეტ.	%
ღარიბი ჯგუფი	39,9	56 444,95	25,5	2 003,25	6	7 838,75	6	21 551,25	44 735,7	12,4	38 439,25	11
საშუალო	41,7	102 793,7	46,5	5 376	16	48 397,75	35	8 311	148 256,45	41,2	137 343,75	43
შეძლებული	18,4	61 844,25	28	26 530,75	78	81 645,95	59	3 039,25	166 981,7	46,4	150 614,45	46
სულ	100	221 082,9	100	33 910	100	137 882,45	100	32 901,5	359 973,85	100	326 387,45	100

* თავისი დებულების დასადასტურებლად, თუ რა მნიშვნელოვანი უპირატესობებით სარგებლობენ მეურნეობაში დიდოჯახიანი (ე. ი. მრავალმუშიანი) მეკომურნი მარტოხელა მეკომურეებთან შედარებით, — პოსტნიკოვი ასახელებს ტრიროგოვის ცნობილ წიგნს: «თემი და გადასახადი».

** ცნობები მთელ დნეპროვსკის მაზრას შეეხება, ჩათვლილია ის სოფლებიც, რომელნიც «ვოლოსტებზე» არ არიან მიწერილნი. — «მთელი მი-

ამ ცხრილიდან სჩანს, რომ სანადელო სახნავი მიწის რაოდენობის მიხედვით საშუალო ჯგუფი ყველაზე წინ იდგა: მის ხელთ იყო მიწის 46,5%. სანადელო მიწის სიმცირემ გლეხები აიძულა იჯარისათვის მიემართნათ, რის წყალობითაც გლეხთა მიწათსარგებლობის ფართობი საერთოდ ერთნახევარზე მეტად გაიზარდა. საშუალო ჯგუფში მიწის რაოდენობა ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ა დ ა ც გაიზარდა, მაგრამ შ ე დ ა რ ე ბ ი თ შემცირდა: მას მთელი მიწის ფართობის მხოლოდ 41,2% დარჩა, ნათესისა კი — 43%; პირველი ადგილი დაიჭირა მაღალმა ჯგუფმა. მაშასადამე, არა მარტო დაბალი, არამედ საშუალო ჯგუფიც განიცდის პირდაპირ შევიწროებას მაღალი ჯგუფის მხრივ, რომელიც ხელიდან აცლის მათ მიწას.

ყოველივე ზემოთქმული უფლებას გვაძლევს შემდეგნაირად დავახასიათოთ საშუალო ჯგუფის ეკონომიური მდგომარეობა. ამ ჯგუფს ეკუთვნიან ის მეურნე-მიწათმოქმედნი, რომელნიც მარტოოდენ თავიანთი საკუთარი ნათესის შემოსავლით ცხოვრობენ; ამ ნათესის ზომა თითქმის უდრის ადგილობრივი გლეხობის საშუალო ნათესს (ანდა რამდენადმე უფრო ნაკლებია) და ძლივს ჰყოფნის ოჯახის აუცილებელ საჭიროებათა დაკმაყოფილებას. მაგრამ ცოცხალი და მკვდარი ინვენტარის ნაკლებობა და მისი არათანაბარი განაწილება სიმტკიცეს ართმევს ამ ჯგუფის გლეხთა მეურნეობას, მერყეევად ჰხდის მას, განსაკუთრებით მაღალი ჯგუფის მიერ დაბალი და საშუალო ჯგუფების განდევნის გაძლიერებული ტენდენციის გამო.

გადავდივართ უკანასკნელ — მაღალ ჯგუფზე, რომელიც შეძლებულ გლეხობას მოიცავს. ამ ჯგუფს მიეკუთვნება თავრიდის მაზრების მოსახლეობის $^1/_5$, რომელსაც კომლზე 25 დესეტინაზე

წათსარგებლობის» სვეტის ცნობები ჩემს მიერ არის გამოანგარიშებული: შეერთებულია სანადელო, იჯარით აღებული და ნაყიდი მიწების მთელი რაოდენობა; გამოკლებულია იჯარით გაცემული მიწები. — დნეპროვსკის მაზრა იმიტომაა აღებული, რომ იქ თითქმის მთლიანად რუსი მოსახლეობაა.

მეტი ნათესი აქვს. თუ მართლა რამდენად მდიდარია სხვებთან შედარებით ეს ჯგუფი მუშა-პირუტყვითაც, ინვენტარითაც, სანადელო და სხვა მიწებითაც, — ამის შესახებ საკმაო ცნობები იყო მოყვანილი ზემოთ. იმის საჩვენებლად, თუ სახელდობრ რამდენად შეძლებულნი არიან ამ ჯგუფის გლეხები საშუალო გლეხებთან შედარებით, კიდევ მოვიყვანთ მხოლოდ ცნობებს ნათესების შესახებ: დნეპროვსკის მაზრაში შეძლებულთა ჯგუფს კომლზე 41,3 დეს. ნათესი მოსდის, ხოლო საშუალოდ მთელ მაზრაში — 17,8 დეს., ე. ი. უფრო ნაკლები, ვიდრე ორჯერ. საერთოდ საკითხის ეს მხარე, ბევრისმთესველ გლეხთა მეტი შეძლებულობა, პოსტნიკოვს საკმაო სისრულით აქვს გაშუქებული, მაგრამ მას თითქმის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია მეორე, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი საკითხისათვის: რა მნიშვნელობა აქვს ამ ჯგუფის მეურნეობას საერთოდ რაიონის სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში და რა ფასად უჯდებათ (სხვა ჯგუფებს) მაღალი ჯგუფის ეს წარმატება.

საქმე იმაშია, რომ ეს ჯგუფი ძალიან მცირერიცხოვანია: სამხრეთის ყველაზე უფრო მდიდარ ოლქში — თავრიდის გუბერნიაში, იგი მოსახლეობის მხოლოდ 20 %-ს შეადგენს. ამიტომ შეიძლებოდა გვეფიქრნა, თითქოს ამ ჯგუფის მნიშვნელობა მთელი ამ კუთხის მეურნეობაში დიდი არ უნდა იყოს *. ნამდვილად კი სწორედ ამის საწინააღმდეგო მოვლენას ვხედავთ: სოფლის მეურნეობის პროდუქტთა საერთო წარმოებაში ეს შეძლებული უმცირესობა უპირატეს როლს თამაშობს. თავრიდის გუბერნიის სამ მაზრაში მთელი ნათესი ფართობიდან (1 439 267 დეს.) შეძლებული გლეხობის ხელში 724 678 დესეტინაა, ე. ი. ნახევარზე მეტი. რა თქმა უნდა, ეს ციფრები სრულიადაც არ გამოხატავენ ზუსტად მაღალი ჯგუფის უპირატესობას, რადგან შეძლებულ გლეხებს გაცილებით მეტი

* ასეთი შეცდომა ემართება, მაგალითად, ბ-ნ სლონიმსკის, რომელიც სტატიაში პოსტნიკოვის წიგნის შესახებ ამბობს: «გლეხების შეძლებული ჯგუფი იკარგება ღარიბთა საერთო მასაში და ზოგ ადგილას თითქოს სრულიადაც არა სჩანს» («ვესტნიკ ევროპი», 1893 წ., № 3, გვ. 307).

მოსავალი მოსდით, ვიდრე ღარიბებსა და საშუალოებს, რომელნიც, პოსტნიკოვის ზემომოყვანილი დახასიათებით, არ ეწევიან რაიმე წესიერ მეურნეობას.

ამრიგად, პური უმთავრესად მაღალი ჯგუფის გლეხებს მოჰყავთ, და ამიტომ (რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და რასაც განსაკუთრებით ხშირად უგულვებელჰყოფენ) სოფლის მეურნეობის ყოველნაირი დახასიათებანი, სააგრიკულტურო გაუმჯობესებათა შესახებ გამოთქმული აზრები და სხვ. — უმთავრესად და ყველაზე მეტად (ზოგჯერ მარტოოდენაც) შეძლებულ უმცირესობას შეეხება. ავიღოთ, მაგალითად, ცნობები გაუმჯობესებული იარაღების გავრცელების შესახებ.

პოსტნიკოვი თავრიდელი გლეხის ინვენტარზე შემდეგს გვაცნობებს:

«გლეხის ინვენტარი, მცირეოდენი გამონაკლისით, იგივეა, რაც კოლონისტ-გერმანელებს აქვთ, მაგრამ უფრო ნაკლებ მრავალფეროვანია, ღირსებით ცოტა ნაკლები და ამიტომ უფრო იაფიც. გამონაკლისს შეადგენს დნეპროვსკის მაზრის სამხრეთ-დასავლეთი, მეჩხრად და მცირედ-დასახლებული ნაწილი, რომელსაც აქამდე შენარჩუნებული აქვს მალოროსიული პირველყოფილი ინვენტარი — ხის მძიმე გუთანი და რკინისკბილებიანი ხის ერქვანი. თავრიდის მაზრების დანარჩენ რაიონებში გლეხები ყველგან ხმარობენ გაუმჯობესებულ, რკინის გუთნებს. გუთანთან ერთად ნიადაგის დამუშავების საქმეში პირველხარისხოვანი ადგილი უჭირავს აგრეთვე ბუკერს, რომელიც მრავალ შემთხვევაში გლეხისთვის ერთადერთ სახნავ იარაღს წარმოადგენს. მაგრამ უფრო ხშირად ბუკერს გუთანთან ერთად ხმარობენ... ფარცხი ყველგან ხისაა, რკინისკბილებიანი; ფარცხი ორნაირია: ორცხენიანი, რომელიც 10 ფუტის სიგანის კვალს ავლებს, და ერთცხენიანი — ერთ საჟენამდე სიგანის კვალით... ბუკერი წარმოადგენს სამ-, ოთხ- და ხუთსახნისიან იარაღს... ძალიან ხშირად ბუკერს წინ მიმაგრებული აქვს პატარა სათესი, რომელიც ბუკერის მოძრავი ბორბლის ბრუნვით მუშაობს. ბუკერი რომ მიწას აბრუნებს, ეს სათესი ამ დროს აბნევს თესლს. ნიადაგის დასამუშავებელ სხვა იარაღთაგან, თუმცა იშვიათად,

გლეხებში გვხვდება კიდევ ხის საგორებელი, რომლითაც დათესვის შემდეგ ნიადაგი იტკეპნება. სამკალი მანქანები განსაკუთრებით ამ უკანასკნელ 10 წელში გავრცელდა გლეხობაში. გლეხების სიტყვით, შეძლებულ სოფლებში კომლთა თითქმის ნახევარს მოეპოვება ეს იარაღები... სათიბი მანქანა გაცილებით უფრო იშვიათად გვხვდება გლეხებში, ვიდრე სამკალი... ასევე ნაკლებად არის გავრცელებული გლეხებში ცხენის ფოცხი და სალეწი. სანიავებლებს საყოველთაოდ ხმარობენ... ტვირთის გადასაზიდად ხმარობენ მხოლოდდამხოლოდ გერმანულ «ბრიჩკასა» და «მაჟარს», რომლებიც ახლა ბევრ რუსულ სოფელში კეთდება... სალეწად ყველგან დაკბილულ, მეტ-ნაკლები სიგრძის ქვის კევრებს ხმარობენ» (გვ. 213 — 215).

იმის გასაგებად, თუ როგორ არის განაწილებული ეს ინვენტარი, უნდა მივმართოთ ერობის სტატისტიკურ კრებულებს, თუმცა არც იქ მოიპოვება სრული ცნობები: თავრიდის სტატისტიკოსებს აღწერაში შეჰქონდათ მხოლოდ გუთნები და ბუკერები, სამკალი და სათიბი მანქანები და «დელიჟნები» (ე. ი. «ბრიჩკები» ან «მაჟარები»). მელიტოპოლისა და დნეპროვსკის მაზრების შესახებ ცნობათა შეჯამების დროს გამოდის, რომ გუთნებისა და სწრაფსახნავი იარაღების საერთო რიცხვიდან (46 522) გლეხების მაღალი ჯგუფის ხელშია 19 987, ე. ი. 42,9%; «ბრიჩკების» საერთო რიცხვიდან (59 478) ამ ჯგუფს აქვს 23 747, ე. ი. 39,9%; დასასრულ, სამკალ და სათიბ იარაღებში (3 061) — 2 841, ე. ი. 92,8%.

ზემოთ მოყვანილი იყო ცნობები, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ შრომის ნაყოფიერება გლეხობის მაღალ ჯგუფებში გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე დაბალსა და საშუალო ჯგუფებში. ვნახოთ ახლა, ტექნიკის რა განსაკუთრებული თვისებებითაა გამოწვეული ბობოლა მთესველთა მეურნეობის ეს თავისებურება.

«გლეხების მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის სიდიდე — ამბობს პოსტნიკოვი — მნიშვნელოვნად განსაზღვრავს აგრეთვე მიწათმოქმედების სისტემასა და ხასიათს. სამწუხაროდ, ჩვენი სოფლის გლეხური მეურნეობის მკვლევარნი დღემდე ნაკ-

ლებად სწავლობდნენ დამოკიდებულებას პირველსა და მეორეს შორის; ამ მკვლევარებს ხშირად გლეხური მეურნეობა სოფლის მოსახლეობის ყველა ფენაში ჯერაც ერთგვაროვანად აქვთ წარმოდგენილი. მე განზე ვტოვებ მიწათმოქმედების სისტემას და შევეცდები მოკლე დასკვნა გავუკეთო გლეხების ცალკეულ ჯგუფთა მეურნეობის ტექნიკის ამ განსაკუთრებულ თვისებებს, რამდენადაც ეს ჩემთვის გამოაშკარავდა თავრიდის მაზრების შემოვლის დროს.

იმ მეკომურთ, რომელნიც საკუთარი პირუტყვით მუშაობენ და სხვის პირუტყვს არ იხმარიებენ, მეურნეობაში ჰყავთ 4 — 5 — 6 და მეტი სული მუშა-პირუტყვი*, ამასთან მათი სამეურნეო მდგომარეობა ბევრ სხვადასხვაობას წარმოადგენს. ოთხსახნისიან ბუკერში 4 სული პირუტყვი უნდა შეიბას, ხუთსახნისიანში კი უკვე 5 სულია საჭირო. მოხვნას ფარცხვა მოსდევს, და თუ მეურნეს ზედმეტი ცხენი არა ჰყავს, მას მინდვრის დაფარცხვა უხდება ხვნასთან კვალდაკვალ კი არა, არამედ ხვნის მოთავების შემდეგ, ე. ი. თესლს მიწა უკვე რამოდენიმედ გამშრალი გადაეყრება; ეს გარემოება კი თესლის ზრდისათვის ხელსაყრელი არ არის. თუ სახნავი მიწები სოფელზე დიდი მანძილითაა დაშორებული და საჭიროა იქ წყლისა და საკვების მიზიდვა, მაშინაც ზედმეტი ცხენის უყოლობა აფერხებს მუშაობას. ყველა ამ შემთხვევაში, როდესაც მუშა-პირუტყვის სრული კომპლექტი არ არის, დრო იკარგება და თესვა გვიანდება. როდესაც მუშა-პირუტყვი მეტი რაოდენობითაა და მუშაობა მრავალსახნისიანი ბუკერით სწარმოებს, გლეხი უფრო ჩქარა ასწრებს თესვას, უკეთესად იყენებს ხელსაყრელ ამინდს და უფრო ნოტიო მიწას აფარებს თესლს. ამგვარად საგაზაფხულო თესვის ტექნიკის უპირატესობანი იმ «სავსე ოჯახის» პატრონის მხარეზეა, რომელსაც ექვსი სული მუშა-პირუტყვი ჰყავს, შვიდი ხომ უფრო უკეთესია. თუ 7 ცხენი ჰყავს, გლეხს შეუძლია ერთ და იმავე დროს ამუშაოს ხუთსახნისიანი ბუკერი და 2 ფარცხი.

---

* შეძლებული ჯგუფის გლეხებს კომლზე 6 — 10 სული მუშა-პირუტყვი ჰყავთ (იხ. ზემოთ).

ასეთ მეურნესო — ამბობენ გლეხები — «მუშაობაში ხელი არ ეშლებაო».

უფრო მნიშვნელოვანია ამ მეურნეთა მდგომარეობის განსხვავება იმ პერიოდში, რომელიც პურის მკას მოსდევს, როდესაც ადგილობრივ მეურნეობაში, თუ კარგი მოსავალია, საჭირო ხდება სამუშაო ძალის უდიდესი დაჭიმვა. 6 სული მუშა-პირუტყვის პატრონი ერთ და იმავე დროს ეზიდება პურს, ლეწავს კიდეც, მას არ უხდება ძნების ზვინებად დადგმა, რითაც, რა თქმა უნდა, იზოგება დრო და სამუშაო ძალა» (გვ. 277).

ამ ბობოლა მთესველთა მეურნეობის საბოლოოდ დასასურათებლად უნდა აღინიშნოს კიდევ, რომ ხვნა-თესვა მიწათმოქმედთა ამ ჯგუფისათვის, პოსტნიკოვის თქმით, «კომერციულ» საქმეს წარმოადგენს. ავტორის ამ დახასიათებას სავსებით ადასტურებენ ზემომოყვანილი ცნობები სავაჭრო ფართობის სიდიდის შესახებ, რადგან ნათესი ფართობის მეტი ნაწილი იძლევა ბაზარზე გასატან პროდუქტს, სახელდობრ 52% მთელი ფართობისა 25-დან 50 დესეტინამდე ნათესის მქონე მეურნეობებში და 61% — 50 დესეტინაზე მეტი ნათესის მქონე მეურნეობებში. ამასვე მოწმობენ ცნობები ფულადი შემოსავლის ოდენობის შესახებ: შეძლებული ჯგუფის ამ შემოსავლის minimum-იც კი — კომლზე 574 მანეთი — ერთიორად და უფრო მეტადაც აღემატება აუცილებელი ფულადი ხარჯების თანხას (200 — 250 მ.); ამგვარად იქმნება ზედმეტი თანხა, რომელიც გროვდება და მეურნეობის გაფართოებასა და გაუმჯობესებას ხმარდება. როგორც პოსტნიკოვი ამბობს (გვ. 188), «ყველაზე შეძლებულ გლეხებში, რომელთაც კომლზე 50 დესეტინაზე მეტი ნათესი აქვთ», «მეცხოველეობის ერთი დარგთაგანიც კი — სქელმატყლიანი ცხვრების მოშენება — უკვე საბაზრო ხასიათს იღებს».

ახლა გადავიდეთ მეორე საკითხზე, რომელიც აგრეთვე საკმაოდ არაა დამუშავებული პოსტნიკოვის მიერ (ამ საკითხს იგი თითქმის არც კი შეჰხებია): როგორ ზეგავლენას ახდენენ გლეხთა უმცირესობის სამეურნეო წარმატებანი მასაზე? ცხადია, სავსებით უარყოფითს: ზემომოყვანილი ცნობები (განსაკუთრებით იჯარის შესახებ) ამას საკმაოდ ამტკიცებენ, ასე რომ

შეგვიძლია აქ მხოლოდ ამ ცნობების შეჯამებას დავჯერდეთ. თავრიდის გუბერნიის სამივე მაზრაში გლეხებს იჯარით აღებული აქვთ მთლად 476 334 დეს. მიწა (სანადელო და არასანადელო); აქედან შეძლებულ ჯგუფს 298 727 დეს., ე. ი. $^3/_5$-ზე მეტი (63%) აქვს. ღარიბ ჯგუფს წილად მხოლოდ 6% ჰხვდება, და საშუალოს — 31%. მხედველობაში თუ მივიღებთ, რომ იჯარას უმეტესად — თუ მარტოოდენ არა — ორი დაბალი ჯგუფი საჭიროებს (ზემომოყვანილი ცნობები დნეპროვსკის მაზრაში გლეხების ჯგუფებს შორის მიწის ფართობის განაწილების შესახებ გვიჩვენებენ, რომ მაღალი ჯგუფის მარტო სანადელო სახნავები თითქმის საკმარისია ნათესის «ნორმალური» ფარგლებისათვის), მაშინ გასაგები იქნება, თუ მიწის რა დიდ სივიწროვეს უნდა განიცდიდნენ ეს უკანასკნელნი იმის გამო, რომ შეძლებული გლეხები კომერციული მიზნით აფართოებენ სახნავ მიწებს *.

სულ მთლად ასეთსავე დასკვნას იძლევა სანადელო მიწების იჯარის განაწილებაც, რომელზედაც ცნობები ზემოთ არის მოყვანილი. იმის საჩვენებლად, თუ რა მნიშვნელობა აქვს ნადელების იჯარას სხვადასხვა ჯგუფის გლეხებისათვის, მოვიყვანოთ ამ მოვლენის აღწერა პოსტნიკოვის თხზულების IV თავიდან.

«სანადელო მიწა — ამბობს იგი — ამჟამად ფართო სპეკულაციის საგანს წარმოადგენს სამხრეთ-რუსეთის გლეხთა ყოფაცხოვრებაში. მიწას აგირავებენ და სესხს იღებენ თამასუქებით, რომლებიც ძალიან გავრცელებულია აქ, თავრიდელ გლეხებში; ამასთან მიწის შემოსავალი ფულის გამსესხებლის ხელში რჩება ვალის გასტუმრებამდე; მიწა ქირავდება ან იყიდება ერთი, ორი წლით და უფრო დიდი ვადითაც — 8, 9 და 11 წლით; ნადელების ასეთი გაქირავება ფორმალურად დასტურდება

* «გერმანელი ავიწროებს ადგილობრივ გლეხს... იმით, რომ ართმევს მას მიჯნასთან მდებარე მიწას, რომელიც ამ გლეხს შეეძლო იჯარით აეღო ანდა ეყიდნა» (გვ. 292) — ამბობს პოსტნიკოვი. ცხადია, ამ მხრივ შეძლებული რუსი გლეხი გერმანელ კოლონისტს უფრო უახლოვდება, ვიდრე თავის ღატაკ თანამემამულეს.

თემისა და სოფლის სამმართველოების მიერ. კვირა და უქმე დღეობით დიდ სოფლებში სოფლის სამმართველოების შენობის წინ შევხვედრივარ დიდძალ ახმაურებულ ხალხს. რომ შევკითხებივარ, თუ რა მიზეზით შეკრებილან, მიპასუხებდნენ: გამასპინძლებაა და ნადელების გაყიდვა, და ამ გაყიდვას სოფლის ხელისუფალნი დავთრებში ამოწმებენო... სხვის სარგებლობაში გადასაცემად ნადელების წინაგაყიდვას მიმართავენ როგორც იმ სოფლებში, სადაც მიწები განაწილებულია სარევიზიო სულთა მიხედვით და მიწის არავითარი ძირითადი გადამიჯვნა არ ხდება, აგრეთვე იმ სოფლებშიც, სადაც მიწები განაწილებულია არსებულ სულთა რაოდენობის მიხედვით და სადაც ძირითადი გადამიჯვნა სწარმოებს, ოღონდ ამ სოფლებში წინაგაყიდვის ვადა ჩვეულებრივ უფრო მოკლეა და მისი ხანგრძლივობა მიწის გადამიჯვნამდეა ნავარაუდევი; ეს გადამიჯვნა აქ ამ ბოლო დროს მეტწილად წინასწარვეა ხოლმე განსაზღვრული სოფლის განაჩენით. ამჟამად სამხრეთ-რუსეთის სოფლებში სანადელო მიწების ამ წინაგაყიდვაში თავმოყრილია უაღრესად სასიცოცხლო ინტერესები ადგილობრივი შეძლებული გლეხობისა, რომელიც ასე მრავალრიცხოვანია აქ, განსაკუთრებით თავრიდის მაზრებში. სხვათა შორის, ეს წინაგაყიდვა შეადგენს ერთ-ერთ მთავარ პირობას მიწების ფართო დახვნისას, რასაც აქ შეძლებული თავრიდელი გლეხები მისდევენ და დიდ ეკონომიურ გამორჩენასაც იღებენ. სწორედ ამიტომაა, რომ შეძლებული გლეხები ახლა ასე გაფაციცებით ადევნებენ თვალყურს მათს ცხოვრებაში მომხდარ ყოველივე ცვლილებას, რასაც შეუძლია ხელიდან გამოაცალოს მათ მიწის — ისიც მახლობლად მდებარე მიწის — ასეთი, მეტწილად იაფი, იჯარა» (გვ. 140). შემდეგ მოთხრობილია, თუ როგორ მოითხოვა მელიტოპოლის მაზრის საგლეხო საქმეთა საკრებულომ [8], რომ ნადელების გაქირავების ყოველი ცალკეული შემთხვევა სოფლის ყრილობის თანხმობით ხდებოდეს, როგორ შევიწროვდნენ გლეხები ამ განკარგულებით და როგორ მოხდა, რომ «ამის შედეგი ჯერჯერობით ისაა, რომ სოფლის სამსჯავროებში გაჰქრა

მიწების სახელშეკრულებო დავთრები, თუმცა არაოფიციალური წიგნების სახით ამ დავთრების წარმოება, ალბათ, ისევ გრძელდება» (გვ. 140).

მიუხედავად იმისა, რომ შეძლებული გლეხები დიდძალ მიწას იღებენ იჯარით, ისინი წარმოადგენენ მიწების თითქმის ერთადერთ მყიდველებსაც: დნეპროვსკის მაზრაში — მათ ხელშია მთელი ნაყიდი მიწის 78%, მელიტოპოლისაში — 48 099 დესეტინიდან 42 737 დესეტინა, ე. ი. 88%.

ბოლოს, იმავე თანრიგის გლეხობა კრედიტითაც მარტოდმარტო სარგებლობს: დამატებით ავტორის ზემომოყვანილი შენიშვნისა სამხრეთ-რუსეთის სასოფლო სალაროების შესახებ, მათ დასახასიათებლად შემდეგ ადგილს მოვიყვანთ:

«ის სასოფლო სალაროები და შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობანი, რომლებიც ახლა ჩვენში შიგადაშიგაა გავრცელებული — მაგ., თავრიდის გუბერნიის სოფლებში მათი რიცხვი მეტად დიდია, — დახმარებას უმთავრესად შეძლებულ გლეხებს უწევენ. უნდა ვიფიქროთ, მათი დახმარება არსებითია. არაერთხელ გამიგონია თავრიდელი გლეხებისაგან, სადაც ეს ამხანაგობები არსებობენ, ასეთი სიტყვები: «მადლობა ღმერთს, ახლა ჩვენ ურიებს დავაღწიეთ თავი», მაგრამ ამას დოვლათის პატრონი გლეხები ამბობენ. ხელმოკლე გლეხი თავდებს ვერ შოულობს და ვერც სესხით სარგებლობს» (გვ. 368). კრედიტის ასეთი მონოპოლიზაცია მოულოდნელს არაფერს შეიცავს: საკრედიტო გარიგება — ეს იგივე ყიდვა-გაყიდვაა ფულის გადახდის ვადის გაგრძელებით. მეტად ბუნებრივია, რომ ფულის გადახდა მხოლოდ ქონების პატრონს შეუძლია, სამხრეთ-რუსეთის გლეხობაში კი საამისო სახსარი მხოლოდ შეძლებულ უმცირესობას გააჩნია.

რომ სრულად დავახასიათოთ მეურნეობა ამ ჯგუფისა, რომელიც თავისი საწარმოო მოქმედების შედეგებით აღემატება ყველა დანარჩენ, ერთად აღებულ ჯგუფს, უნდა გავიხსენოთ მხოლოდ, რომ ეს ჯგუფი «მნიშვნელოვნად» სარგებლობს დაქირავებული შრომით, რომლის მიმწოდებლად იძულებული არიან დაბალი ჯგუფის წარმომადგენელნი გამოვიდნენ. ამის

გამო საჭიროა შევნიშნოთ, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დაქირავებული შრომის ზუსტი აღრიცხვა უდიდეს სიძნელეს წარმოადგენს, რომელიც, ვგონებთ, ჯერ კიდევ ვერ დაუძლევია ჩვენს საერობო სტატისტიკას. რადგან მიწათმოქმედება მოითხოვს არა მუდმივსა და თანაბარს მუშაობას მთელი წლის განმავლობაში, არამედ მხოლოდ გაძლიერებულ მუშაობას დროის განსაზღვრულ პერიოდში, ამიტომ მარტო მუდმივი დაქირავებული მუშების აღრიცხვა სრულიადაც ვერ გამოხატავს დაქირავებული შრომის ექსპლოატაციის დონეს; დროებითი მუშების (ხშირად ნარდად მომუშავეების) აღრიცხვა კი ძალიან ძნელია. ანგარიშობდა რა თვითეულ ჯგუფში დაქირავებულ მუშათა დაახლოებითს რიცხვს, პოსტნიკოვი შეძლებულ ჯგუფში სამუშაო ნორმად ერთ მომუშავეზე 15 დეს. ნათესს იღებდა*. პოსტნიკოვის თხზულების VII თავში, სადაც ავტორი დაწვრილებით იხილავს, თუ რა სიდიდისაა ნამდვილად სამუშაო ფართობი, სჩანს, რომ ამგვარი ნორმა მისაღწევია მხოლოდ მაშინ, როდესაც პურის მოსავლის აღება მანქანის საშუალებით სწარმოებს. ამავე დროს შეძლებულ ჯგუფშიც კი სამკალი მანქანების რაოდენობა დიდი არ არის: მაგ., დნეპროვსკის მაზრაში 10 კომლზე დაახლოებით 1 სამკალი მანქანა მოდის, ასე რომ, თუნდაც მხედველობაში მივიღოთ ავტორის განცხადება — მანქანების პატრონები თავისი მუშაობის მოთავებისას მანქანებს აქირავებენო, მაინც გამოვა, რომ გლეხების უმეტესი ნაწილი იძულებული ხდება უმანქანოდ წავიდეს იოლად და, მაშასადამე, დღიური მუშები დაიქირაოს. ამიტომ მაღალ ჯგუფში დაქირავებული შრომით სარგებლობა უფრო დიდი უნდა იყოს, ვიდრე ამას ავტორი ანგარიშობს, ასე რომ ამ ჯგუფის გლეხების მიერ მიღებული დიდი ფულადი შემოსავალი უმთავრესად (თუ მთლიანად არა) წარმოადგენს შემოსავალს კ'ა პ ი ტ ა ლ ი დ ა ნ ამ ტერმინის იმ სპეციფიკური მნიშვნელო-

* 1,8 — 2,3 მუშაზე ეს 27 — 34,5 დესეტინას შეადგენს, ხოლო შეძლებული ჯგუფის გლეხები 34,5 — 75 დეს. სთესავენ. მაშასადამე, ამ ჯგუფის საერთო დახასიათება ისაა, რომ მისი მეურნეობის ფარგლები ბევრად აღემატება ოჯახის სამუშაო ნორმას.

ბით, რომელსაც მას მეცნიერული პოლიტიკური ეკონომია აკუთვნებს.

დასკვნა რომ გავუკეთოთ მე-3 ჯგუფზე ნათქვამს, მივიღებთ მის შემდეგს დახასიათებას: შეძლებული გლეხობა, რომელსაც წარმოების საშუალებანი საშუალოზე გაცილებით მეტი აქვს და რომლის შრომაც, ამის გამო, მეტი ნაყოფიერებით განირჩევა, მთელს რაიონში სოფლის მეურნეობის პროდუქტების მთავარი, დანარჩენ ჯგუფებთან შედარებით უპირატესობის მქონე, მწარმოებელია; თავისი ხასიათით, ამ ჯგუფის მეურნეობა კომერციულია და მეტად მნიშვნელოვნად არის დამყარებული დაქირავებული შრომის ექსპლოატაციაზე.

ადგილობრივი მოსახლეობის სამივე ჯგუფის მეურნეობაში არსებულ პოლიტიკურ-ეკონომიურ განსხვავებათა ეს მოკლე მიმოხილვა დამყარებულია იმ მასალის სისტემატიზაციაზე, რომელიც პოსტნიკოვის წიგნში მოიპოვება სამხრეთ-რუსეთის გლეხური მეურნეობის შესახებ. ჩემი აზრით, ეს მიმოხილვა ამტკიცებს, რომ გლეხური მეურნეობის შესწავლა (პოლიტიკურ-ეკონომიური მხრით) ყოვლად შეუძლებელია ისე, თუ გლეხობა ჯგუფებად არ დანაწილდა. როგორც ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, პოსტნიკოვს ეს შეგნებული აქვს, და იგი საყვედურსაც კი უცხადებს საერობო სტატისტიკას, რომ უკანასკნელი ამ დაყოფას არ ახდენს, რომ მისი კომბინაციები, მიუხედავად უხვი ციფრებისა, «ნათელი არაა», რომ ეს სტატისტიკა «ხეებს იქით ტყეს ვერ ხედავს» (გვ. XII). არა გვგონია, პოსტნიკოვს საერობო სტატისტიკის მიმართ ამგვარი საყვედურის თქმის უფლება ჰქონდეს, რადგან თვითონ მას არ მოუხდენია გლეხების სისტემატური დანაწილება «ნათელ» ჯგუფებად, თუმცა ეჭვს გარეშეა, რომ ავტორის მოთხოვნილება მართებულია. რახან აღიარებულია, რომ ცალკეულ მეურნეობათა შორის არსებობს არა მარტო რაოდენობრივი, არამედ თვისობრივი განსხვავებანიც*, ცხადია, უკვე აუცი-

* მეურნეობის ხასიათი—თვითმოხმარებითია, კომერციული; შრომის ექსპლოატაციის ხასიათია—თავისი სამუშაო ძალის გაყიდვა, როგორც მთავარი წყარო არსებობისა, და სამუშაო ძალის ყიდვა, როგორც აუცი-

ლებლად საჭიროა გლეხების დაყოფა იმგვარ ჯგუფებად, რომელნიც ერთიმეორისაგან განსხვავდებიან არა «დოვლათის» მხრივ, არამედ მეურნეობის საზოგადოებრივ-ეკონომიური ხასიათით. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საერობო სტატისტიკა არ დააყოვნებს ამის შესრულებას.

V

პოსტნიკოვი არ სჯერდება გლეხობაში არსებული ეკონომიური განსხვავების აღნიშვნას და ამ მოვლენის გაძლიერებაზე მიუთითებს:

«ჯგუფების მიხედვით გლეხთა დოვლათიანობის სხვადასხვაობა — ამბობს იგი — ჩვენში ყველგან არის და ძველთაგანვე არსებობდა, მაგრამ ამ უკანასკნელ ათეულ წლებში გლეხთა მოსახლეობის ეს დიფერენციაცია ძალიან მკვეთრად იჩენს თავს და, როგორც სჩანს, პროგრესიულად იზრდება» (გვ. 130). 1891 წლის მძიმე სამეურნეო პირობებს, ავტორის აზრით, ამ პროცესისათვის ახალი ბიძგი უნდა მიეცა.

იბადება კითხვა: რა მიზეზებითაა გამოწვეული ეს მოვლენა, რომელიც ასეთ დიდ გავლენას ახდენს გლეხთა მთელ მოსახლეობაზე?

«თავრიდის გუბერნია — ამბობს პოსტნიკოვი — ევროპის რუსეთში ერთ-ერთი გუბერნიათაგანია, სადაც მიწა ბევრია; აქ გლეხებს მეტი მიწები აქვთ მიზომილი, აქ ყველგან არსებობს თემური მიწათმფლობელობა, მიწა ასე თუ ისე თანაბრად არის განაწილებული სულადობის მიხედვით, და სოფლის მოსახლეობა თითქმის მარტო მიწათმოქმედებას მისდევს; და მაინც, კომლობრივი აღწერა აქაც გვიჩვენებს, რომ სოფლის მოსახლეობის 15%-ს სრულიად არა ჰყავს მუშა-პირუტყვი, ხოლო მოსახლეობის $^1/_3$-ს საკმაო ინვენტარი არ გააჩნია თავისი საანდელო მიწის დასამუშავებლად» (გვ. 106). «რაზეა დამოკიდებული — კითხულობს ავტორი — ასეთი დიდი სხვადასხვაობა

ლებელი შედეგი ნათესის გაფართოებისა ოჯახის სამუშაო უნარიანობის ფარგლებს იქით.

ჯგუფებს შორის და, კერძოდ, რით აიხსნება, მიუხედავად მეურნეობის განსაკუთრებით სამიწათმოქმედო ხასიათისა, ასეთი დიდი პროცენტი უნათესო და უმუშაპირუტყვო მეკომურეებისა, როგორიც ამჟამად ამ რაიონში მოიპოვება?» (გვ. 130).

პოსტნიკოვს ამ მოვლენის მიზეზების ძიებაში სულ მთლად ერევა გზა (საბედნიეროდ, დიდი ხნით არა), და იგი მოჰყვება მსჯელობას «უქნარობაზე», «ლოთობაზე», ხანძარსა და ცხენის ქურდობაზეც კი. დასკვნა მაინც ის გამოდის, რომ ამ მიზეზებში როდი «მდგომარეობს საქმის ყველაზე არსებითი მხარე». სწორედ ასევე ვერაფერს გვეუბნება ოჯახების ობლობა, ე. ი. მოზრდილ მომუშავეთა უყოლობა: თავრიდის მაზრებში უმეურნეობო ოჯახების (ე. ი. ვისაც ნათესი არა აქვთ) საერთო რიცხვში ობოლ ოჯახთა რაოდენობა მხოლოდ 18%-ს უდრის.

«უმეურნეობობის მთავარი მიზეზები — დაასკვნის ავტორი — გლეხების ეკონომიური ყოფაცხოვრების სხვა ფაქტორებში უნდა ვეძებოთ» (გვ. 134). სახელდობრ, პოსტნიკოვის აზრით, «ცალკეულ მეკომურებში გლეხური მეურნეობის დაცემის გამომწვევ ზემოაღნიშნულ მიზეზებს შორის ყველაზე ძირითად მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომელიც, სამწუხაროდ, დღემდე ნაკლებად არის გამორკვეული ჩვენი საერობო სტატისტიკის მიერ; ესაა ნ ა დ ე ლ ე ბ ი ს დ ა ქ უ ც მ ა ც ე ბ ა და გლეხთა მიწათსარგებლობის ფარგლების შეზღუდულობა, გლეხური მეურნეობის საშუალო ოდენობის შემცირება» (გვ. 141). «რუსეთის ეკონომიური სიღარიბის ძირითადი მიზეზი — ამბობს ავტორი — გლეხთა მიწათმფლობელობისა და მეურნეობის სიმცირეა, რაც საშუალებას არ იძლევა მთლიანად იქნას გამოყენებული გლეხის ოჯახის სამუშაო უნარი» (გვ. 341).

რომ განვმარტოთ პოსტნიკოვის ეს დებულება, — რომელიც ფრიად არაზუსტად არის გამოთქმული, რადგან თვით ავტორმა ხომ გამოარკვია, რომ საშუალო სიდიდის გლეხური მეურნეობა (17 — 18 დეს. ნათესი) საკმარისია ოჯახის გაუჭირვებელი არსებობის უზრუნველსაყოფად და რომ მეურნეობის სიდიდის მხრივ მთელი გლეხობის საერთო, ხელაღებითი დახასიათება შეუძლებელია, — უნდა გავიხსენოთ, რომ ზემოთ მან გამოიყვანა

ზოგადი კანონი გლეხის შრომის ნაყოფიერების ზრდისა იმისდაკვალად, თუ რამდენად იზრდება მეურნეობის ფარგლები. ავტორის ანგარიშით, ოჯახის სამუშაო ძალის (და მუშა-პირუტყვის) სრული უტილიზაცია მხოლოდ მაღალ ჯგუფებში ხდება შესაძლებელი: მაგალითად, თავრიდის მაზრებში ამას მხოლოდ შეძლებული გლეხები ახერხებენ; მოსახლეობის დიდი უმრავლესობა «მიწას უნაყოფოდ სჩიჩქნის» (გვ. 340) და ამაოდ ხარჯავს უამრავ ძალას.

მიუხედავად იმისა, რომ ავტორმა სავსებით დაამტკიცა შრომის პროდუქტიულობის დამოკიდებულება მეურნეობის სიდიდეზე და ფრიად მცირე ნაყოფიერება შრომისა გლეხთა დაბალ ჯგუფებში, — მაინც უმართებულოა დავინახოთ ამ კანონში (პოსტნიკოვი ამ კანონს უწოდებს რუსეთის მიწათმოქმედების დატვირთვას ჭარბი მოსახლეობით, მიწათმოქმედების გადატვირთვას შრომით) გლეხობის დაშლის მიზეზი: საკითხი ხომ სწორედ ისაა, თუ რატომ დაიშალა გლეხობა ასეთ განსხვავებულ ჯგუფებად, ხოლო მიწათმოქმედების დატვირთვა ჭარბი მოსახლეობით უკვე გულისხმობს ამგვარ დაშლას; თვით წარმოდგენა ამ სიჭარბეზე ავტორმა შეადგინა, როდესაც ერთმანეთს შეადარა წვრილი და მსხვილი მეურნეობანი და მათი შემოსავლიანობა. ამიტომ არ შეიძლება ჭარბი მოსახლეობით მიწათმოქმედების დატვირთვის დასახელება იმ კითხვის საპასუხოდ, თუ «რაზეა დამოკიდებული ასეთი დიდი სხვადასხვაობა ჯგუფებში?» როგორც სჩანს, ამას პოსტნიკოვიც გრძნობს, მაგრამ მას გარკვეულად არ დაუსახავს ამოცანა — გამოეკვლია ამ მოვლენის მიზეზები; ასე რომ მის შენიშვნებს ერთგვარი ნაწყვეტ-ნაწყვეტობა ახასიათებს: დაუმთავრებელ, არაზუსტ დებულებებთან ერთად იგი სწორ აზრებსაც გამოსთქვამს. ასე, მაგალითად, იგი ამბობს:

«არ უნდა მოველოდეთ, რომ ის გააფთრებული ბრძოლა, რომელიც ახლა სოფლად მიწათმფლობელობის ნიადაგზე სწარმოებს, ხელს უწყობდეს მომავლისათვის მოსახლეობაში თემობრივობისა და თანხმობის საფუძვლების განვითარებას. და ეს ბრძოლა როდია დროებითი მოვლენა, შემთხვევითი პირობებით

გამოწვეული... იგი ჩვენ გვესახება არა ბრძოლად თემობრივ ტრადიციებსა და იმ ინდივიდუალიზმს შორის, რომელიც ამჟამად სოფლად ვითარდება, არამედ ეკონომიურ ინტერესთა უბრალო ბრძოლად, რომელიც, არსებული მიწის სიმცირის გამო, საბედისწეროდ უნდა დამთავრდეს მოსახლეობის ერთი ნაწილისათვის» (გვ. XXXII).

«საკმაოდ ნათელი ჭეშმარიტებაა, — ამბობს პოსტნიკოვი მეორე ადგილას, — რომ მიწის სიმცირისა და მეურნეობის სიპატარავის დროს, როდესაც არც სარეწები მოიპოვება საკმაოდ, არ შეიძლება გლეხობაში დოვლათი იყოს, და ყოველივე ის, რაც კი მეურნეობრივად სუსტია, ასე თუ ისე, ადრე თუ გვიან, განზე იქნება გადასროლილი გლეხური მიწათმოქმედებიდან» (გვ. 368).

ამ შენიშვნებში გაცილებით უფრო სწორი პასუხია კითხვაზე, ამასთანავე ისეთი პასუხი, რომელიც სავსებით ეთანხმება მოსახლეობის დიფერენციაციის ზემოაღნიშნულ მოვლენას. პასუხი ასეთია: უმეურნეო ოჯახების მრავლად გაჩენა და მათი რიცხვის გადიდება განისაზღვრება გლეხობაში არსებული ეკონომიურ ინტერესთა ბრძოლით. რა ნიადაგზე და რა საშუალებით სწარმოებს ეს ბრძოლა? რაც შეეხება საშუალებებს, ასეთად უნდა ჩაითვალოს არა მარტო, ანდა არა იმდენად, მიწის გამო შეცილება (როგორც ეს შეიძლებოდა გვეფიქრნა პოსტნიკოვის ახლახან მოყვანილი შენიშვნებიდან), რამდენადაც წარმოების ხარჯების შემცირება, რაც თან სდევს მეურნეობის ფარგლების გადიდებას, — ამის შესახებ კი ზემოთ საკმაოდ ითქვა. რაც შეეხება ბრძოლის წარმოშობის ნიადაგს, ამას საკმაოდ ნათლად გვიჩვენებს პოსტნიკოვის შემდეგი შენიშვნა:

«არის სამეურნეო ფართობის განსაზღვრული minimum-ი, რომლის ქვევითაც გლეხური მეურნეობა ველარ დაიწევს, ვინაიდან მეურნეობის წარმოება მაშინ საზარალო ხდება და ზოგჯერ შეუძლებელიც. ოჯახისა და პირუტყვის (?) გამოსაკვებად მეურნეობაში საჭიროა განსაზღვრული სასაზრდოო ფართობი; მეურნეობა, რომელსაც გარესარეწები არა აქვს, ანდა მცირედად აქვს, საჭიროებს კიდევ განსაზღვრულ საბაზრო ფართობს მისი პროდუქტების გასასაღებლად, რათა გლეხის

ოჯახს ფულადი სახსრები შემოსდიოდეს გადასახადთა გასასტუმრებლად, ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის შესაძენად, აუცილებელი სამეურნეო ხარჯების გასაწევად იარაღებსა, შენობებზე და სხვ. თუ კი გლეხის მეურნეობის ფარგლები ამ მინიმუმზე დაბლა იწევს, მაშინ მისი წარმოება შეუძლებელი ხდება. ამ შემთხვევაში გლეხი უფრო ხელსაყრელად მიიჩნევს — თავი დაანებოს მეურნეობას და მოჯამაგირედ დადგეს, რადგან ამ უკანასკნელის ხარჯები უფრო ნაკლებია, მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება კი უფრო მეტად შეიძლება, თუნდაც საერთო შემოსავალი ნაკლებიც იყოს» (გვ. 141).

თუ, ერთი მხრით, გლეხი ხელსაყრელად სთვლის თავისი ნათესების გაცილებით უფრო მეტად გაფართოებას, ვიდრე მისი ოჯახის პურის საჭიროება მოითხოვს, ეს იმიტომ ხდება, რომ მას შეუძლია გაჰყიდოს თავისი პროდუქტი. თუ, მეორე მხრით, გლეხი ხელსაყრელად სთვლის თავი მიანებოს მეურნეობას და მოჯამაგირედ დადგეს, ეს იმიტომ ხდება, რომ მის მოთხოვნილებათა მეტი ნაწილის დასაკმაყოფილებლად საჭიროა ფულადი ხარჯების გაწევა, ე. ი. პროდუქტების გაყიდვა*; და რადგან ეს გლეხი, თავისი მეურნეობის პროდუქტების გაყიდვისას, ბაზარზე ხვდება მეტოქეს, რომელთანაც ბრძოლის ძალა მას არ შესწევს, მას ისღა დარჩენია, რომ თავისი საშუალო ძალა გაჰყიდოს. ერთი სიტყვით, ნიადაგი, რომელზედაც ზემოაღწერილი მოვლენანი აღმოცენდებიან, არის გასაყიდი პროდუქტის წარმოება. გლეხობაში ეკონომიურ ინტერესთა ბრძოლის წარმოშობის ძირითადი მიზეზია ისეთი წყობილების არსებობა, რომლის დროსაც საზოგადოებრივი წარმოების რეგულატორს ბაზარი წარმოადგენს.

---

* შეად. ზემომოყვანილი ცნობები ნათესის სასაზრდოო და სავაჭრო ფართობის შესახებ (მხოლოდ ამ ფართობთა შემოსავალი ხმარდება მიწათმოქმედის, და არა მიწათმოქმედების საჭიროებათა დაკმაყოფილებას. ე. ი. იგი წარმოადგენს შემოსავალს ამ სიტყვის საკუთარი მნიშვნელობით, და არა წარმოების ხარჯებს), აგრეთვე ცნობები თავრიდელი გლეხის საშუალო ფულადი ხარჯის შესახებ ოჯახის გამოსაკვებად საჭირო პურის რაოდენობასთან დაკავშირებით (2 ნაოთხ. ორივე სქესის თვითეულ სულზე).

ამთავრებს რა «გლეხთა ცხოვრებაში ახალ სამეურნეო მოძრაობათა» აღწერას და მათი განმარტების ცდას, პოსტნიკოვი გადადის იმ პრაქტიკულ ღონისძიებათა გადმოცემაზე, რომელთა საშუალებითაც უნდა გადაიჭრას «აგრარული საკითხი». ამ სფეროში ჩვენ ავტორს აღარ გავყვებით, ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ ეს არ შედის ჩვენი სტატიის გეგმაში; მეორეც, იმიტომ, რომ პოსტნიკოვის თხზულების ეს ნაწილი ყველაზე სუსტია. ეს სავსებით გასაგები იქნება, თუ გავიხსენებთ, რომ ყველაზე მეტი წინააღმდეგობა და აზრის დაუმთავრებლობა ავტორს სწორედ მაშინ ეტყობოდა, როდესაც იგი ცდილობდა აეხსნა სამეურნეო პროცესები; ხოლო ამ პროცესების სრულად და ზედმიწევნით აუხსნელად რაიმე პრაქტიკულ ღონისძიებათა დასახელებაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

ეგრეთწოდებული გაზრების საკითხის გამო[9]

დაწერილია 1893 წ. შემოდგომაზე.
პირველად დაიბეჭდა 1937 წელს
ჟურნალ «ბოლშევიკში», № 21

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

По поводу так-называемаго вопроса о рынках

I

Могутъ ли у насъ въ Россіи развиваться и вообще развиться капитализмъ, когда масса народа бѣдна и обѣднѣла не больше? Вопросъ это разрѣшается исторіей внутренняго рынка, а разореніе крестьянства подрываетъ этотъ рынокъ, чрезвычайно совершенно закрѣпляя его и сдѣлавъ невозможнымъ организацію капиталистическаго производства. Забавно, кстати, что превращаетъ нашу крестьянскую хозяйственную мѣлочь непосредственныхъ производителей въ товарную, спекулятивную, такъ называемую содѣйствуетъ себѣ рынокъ, но можно ли допустить, чтобы на счетъ фермеровъ остатковъ натуральнаго хозяйства у нашъ-нашихъ крестьянъ могло раз-

Пірველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა
«ეგრეთწოდებული ბაზრების საკითხის გამო». — 1893 წ.
დაპატარავებულია

I

შეიძლება თუ არა ჩვენში, რუსეთში, განვითარდეს და სავსებით განვითარდეს კაპიტალიზმი, როდესაც ხალხის მასა ღარიბია და სულ უფრო მეტად ღარიბდება? კაპიტალიზმის განვითარებისათვის ხომ აუცილებლად საჭიროა ფართო შინაური ბაზარი, გლეხობის გაჩანაგება კი ძირს უთხრის ამ ბაზარს, იმას უქადის, რომ სრულიად დახუროს იგი და შეუძლებელი გახადოს კაპიტალისტური წესების ორგანიზაცია. მართალია, ამბობენ, რომ, როცა კაპიტალიზმი ჩვენი უშუალო მწარმოებლების ნატურალურ მეურნეობას სასაქონლო მეურნეობად აქცევს, ამით ის ბაზარს იქმნის თავისთვისო, მაგრამ განა წარმოსადგენია იმის დაშვება, რომ ჩვენში ნატურალური მეურნეობის საცოდავი ნაშთების ანგარიშზე ნახევრად-მათხოვარ გლეხებში შეიძლება განვითარდეს ის ძლიერი კაპიტალისტური წარმოება, როგორსაც დასავლეთში ვხედავთ? განა ცხადი არ არის, რომ, უკვე მარტოოდენ მასის გაღარიბების გამო, ჩვენი კაპიტალიზმი წარმოადგენს რაღაც უსუსურს და უნიადაგოს, რომელსაც უნარი არ შესწევს ქვეყნის მთელი წარმოება მოიცვას და ჩვენი საზოგადოებრივი მეურნეობის საფუძველი გახდეს?

ასეთია ის საკითხები, რომელთაც წამდაუწუმ აყენებს ჩვენი ლიტერატურა რუსი მარქსისტების წინააღმდეგ; მოსაზრება ბაზრის უქონლობის შესახებ ერთ-ერთი უმთავრესი საბუთია რუსეთისადმი მარქსის თეორიის მიყენების შესაძლებლობის

წინააღმდეგ. სხვათა შორის, ამ საბუთის უარყოფას მიეძღვნა რეფერატი «ბაზრების საკითხი», რომლის განხილვაც ჩვენ მოგვიხდება.

II

რეფერენტის ძირითად დებულებას შეადგენს ვარაუდი «კაპიტალისტური წარმოების საერთო და განსაკუთრებული ბატონობის» შესახებ. გამოდის რა ამ დებულებიდან, რეფერენტი გადმოგვცემს «კაპიტალის» II ტომის XXI თავის შინაარსს (განყოფილება მე-3 — «საზოგადოებრივი ერთობლივი კაპიტალის რეპროდუქცია და მიმოქცევა»).

მარქსი აქ ამოცანად ისახავს გამოიკვლიოს, როგორ ანაზღაურებს საზოგადოებრივი წარმოება პროდუქტის იმ ნაწილს, რომელიც ხმარდება მუშებისა და კაპიტალისტების პირად საჭიროებათა დაკმაყოფილებას, და იმ ნაწილს, რომელიც ხმარდება პროდუქტიული კაპიტალის ელემენტების შექმნას. ამიტომ, თუ I ტომში, ინდივიდუალური კაპიტალის წარმოებისა და რეპროდუქციის გამოკვლევისას, შეიძლებოდა დავკმაყოფილებულიყავით კაპიტალისა და პროდუქტის შემადგენელი ნაწილების ანალიზით მათი ღირებულებისდა მიხედვით— [პროდუქტის ღირებულება, როგორც «კაპიტალის» I ტომშია ნაჩვენები, შესდგება c-საგან (მუდმივი კაპიტალი) $+ v$ (ცვალებადი კაპიტალი) $+ m$ (ზედმეტი ღირებულება)], — აქ უკვე საჭიროა მხედველობაში მივიღოთ პროდუქტის დაყოფა მისი მატერიალური შემადგენლობის მიხედვით, იმიტომ რომ პროდუქტის ის ნაწილი, რომელიც კაპიტალის ელემენტებისაგან შესდგება, არ გამოიყენება პირადი მოხმარებისათვის, და პირიქით. ამიტომ მარქსი მთელ საზოგადოებრივ წარმოებას — და, მაშასადამე, მთელ საზოგადოებრივ პროდუქტსაც, — ჰყოფს ორ ქვეგანაყოფად: I) წარმოება წარმოების საშუალებებისა, ე. ი. პროდუქტიული კაპიტალის ელემენტებისა, — საქონლისა, რომელიც შეიძლება დაიხარჯოს მხოლოდ პროდუქტიულ მოხმარებაზე, და II) წარმოება მოხმარების საშუალებებისა, ე. ი.

საქონლისა, რომელიც იხარჯება მუშათა კლასისა და კაპიტალისტთა კლასის პირად მოხმარებაზე.

გამოკვლევის საფუძვლად აღებულია შემდეგი სქემა [არაბული ციფრები ნიშნავს ფასეულობის ერთეულებს — მაგალითად, მილიონობით მანეთს, ხოლო რომაული — საზოგადოებრივი წარმოების აღნიშნულ ქვეგანაყოფებს. ზედმეტი ღირებულების ნორმა აღებულია 100 %-ად]:

$$\begin{array}{l} \text{I } 4000\,c + 1000\,v + 1000\,m = 6000 \\ \text{II } 2000\,c + 500\,v + 500\,m = 3000 \end{array} \left\{ \begin{array}{l} \text{კაპიტალი} = 7500 \\ \text{პროდუქტი} = 9000 \end{array} \right\}$$

ჯერ დავუშვათ, რომ საქმე გვაქვს მარტივ რეპროდუქციასთან, ე. ი. დავუშვათ, რომ წარმოება არ ფართოვდება, მუდამ რჩება რა წინანდელი მოცულობის ფარგლებში; ეს იმას ნიშნავს, რომ მთელ ზეღირებულებას[10] კაპიტალისტები ხარჯავენ არაპროდუქტიულად, პირად საჭიროებებზე, და არა დაგროვებისათვის. ასეთ პირობებში ცხადია, ჯერ-ერთი, ის, რომ II 500 v და II 500 m უნდა მოიხმარონ II ქვეგანაყოფისვე კაპიტალისტებმა და მუშებმა, იმიტომ რომ ეს პროდუქტი არსებობს იმ მოხმარების საშუალებათა ფორმით, რომლებიც განკუთვნილია პირად საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. შემდეგ, I 4000 c თავისი ნატურალური ფორმით უნდა მოიხმარონ I-ვე ქვეგანაყოფის კაპიტალისტებმა, რადგან წარმოების ოდენობის უცვლელობის პირობა მოითხოვს შემდგომი წლისთვის იმავე კაპიტალის შენარჩუნებას წარმოების საშუალებათა საწარმოებლად; მაშასადამე, კაპიტალის ამ ნაწილის ანაზღაურებაც არ წარმოადგენს არავითარ სიძნელეს: პროდუქტის შესაბამისი ნაწილი, რომელიც ქვანახშირის, რკინის, მანქანებისა და სხვ. ნატურალური ფორმით არსებობს, გაცვლილი იქნება იმ კაპიტალისტებს შორის, რომლებიც წარმოების საშუალებათა წარმოებას ეწევიან, და მათთვის წინანდებურად მუდმივი კაპიტალის როლს შეასრულებს. ამრიგად რჩება I (v + m) და II c. I 1000 v + I 1000 m — პროდუქტი, რომელიც არსებობს წარ-

მოების საშუალებათა ფორმით, ხოლო II 2000 c — მოხმარების საშუალებათა ფორმით. I-ლი ქვეგანაყოფის მუშებმა და კაპიტალისტებმა (მარტივი რეპროდუქციის, ე. ი. მთელი ზეღირებულების მოხმარების პირობისას) უნდა მოიხმარონ მოხმარების საშუალებები 2000 ღირებულებისა [1000 (v) + +1000 (m)]. II ქვეგანაყოფის კაპიტალისტებმა, რათა შესაძლებლობა ჰქონდეთ წარმოება წინანდელი მოცულობით განაგრძონ, უნდა შეიძინონ წარმოების საშუალებები 2000-ისა, რათა აინაზღაურონ თავისი მუდმივი კაპიტალი (2000 II c). აქედან ცხადია, რომ I v + I m უნდა გადაიცვალოს II c-ზე, იმიტომ რომ უამისოდ შეუძლებელია წარმოება წინანდელი მოცულობით. მარტივი რეპროდუქციის პირობას წარმოადგენს I-ლი ქვეგანაყოფის ცვალებადი კაპიტალისა და ზეღირებულების ჯამის ტოლობა II ქვეგანაყოფის მუდმივ კაპიტალთან: I (v + m) = II c. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს კანონი ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: მთელი წლის განმავლობაში ხელახლა წარმოებული მთელი ღირებულების ჯამი (ორივე ქვეგანაყოფში) უნდა უდრიდეს იმ პროდუქტის საერთო ღირებულებას, რომელიც მოხმარების საშუალებათა ფორმით არსებობს: I (v + m) + II (v + m) = II (c + v + m).

სინამდვილეში, რასაკვირველია, მარტივი რეპროდუქცია შეუძლებელია როგორც იმიტომ, რომ მთელი საზოგადოების წარმოება არ შეიძლება ყოველ წელს წინანდელი მოცულობით დარჩეს, ისე იმიტომაც, რომ დაგროვება კაპიტალისტური წესების კანონია. ამიტომ განვიხილოთ, თუ როგორ ხდება საზოგადოებრივი წარმოება გაფართოებული მოცულობით ანუ დაგროვება. დაგროვების დროს კაპიტალისტები ზეღირებულების მხოლოდ ნაწილს ხარჯავენ პირად საჭიროებებზე, მეორე ნაწილი კი იხმარება ნაყოფიერად, ე. ი. ქცევა პროდუქტიული კაპიტალის ელემენტებად წარმოების გაფართოებისათვის. ამიტომ დაგროვების დროს ტოლობა I (v + m) და II c-ს შორის შეუძლებელია: საჭიროა, რომ I (v + m) მეტი იყოს II c-ზე, იმისათვის, რომ ზეღირებულების ნაწილი I ქვეგანაყოფში (I m) მოხმარების საშუალებებზე კი არ გადაიცვალოს, არამედ გამო-

ყენებულ იქნას წარმოების გაფართოებისათვის. ამრიგად ვღებულობთ:

ა. მარტივი რეპროდუქციის სქემა:

$$\text{I } 4000\ c + 1000\ v + 1000\ m = 6000.$$
$$\text{II } 2000\ c + 500\ v + 500\ m = 3000.$$
$$\text{I } (v + m) = \text{II } c.$$

ბ. გამოსავალი სქემა დაგროვებისათვის:

$$\text{I } 4000\ c + 1000\ v + 1000\ m = 6000.$$
$$\text{II } 1500\ c + 750\ v + 750\ m = 3000.$$
$$\text{I } (v + m) > \text{II } c.$$

ახლა ვნახოთ, როგორ უნდა მიმდინარეობდეს საზოგადოებრივი წარმოება დაგროვების პირობისას.

პირველი წელი.

$$\left.\begin{array}{l} \text{I } 4000\ c + 1000\ v + 1000\ m = 6000. \\ \text{II } 1500\ c + 750\ v + 750\ m = 3000. \end{array}\right| \left.\begin{array}{l} \text{კაპიტალი} = 7250 \\ \text{პროდუქტი} = 9000 \end{array}\right\}$$

I (1000 v + 500 m) გადაიცვლება II 1500 c-ზე (როგორც მარტივი რეპროდუქციის დროს).

I 500 m გროვდება, ე. ი. ხმარდება წარმოების გაფართოებას, იქცევა კაპიტალად. თუ მივიღებთ წინანდელ დანაწილებას მუდმივ და ცვალებად კაპიტალად, მაშინ მივიღებთ

$$\text{I } 500\ m = 400\ c + 100\ v.$$

დამატებითი მუდმივი კაპიტალი (400 c) თვით I პროდუქტშია (მისი ნატურალური ფორმაა წარმოების საშუალებები); ხოლო დამატებითი ცვალებადი კაპიტალი (100 v) მიღებულ უნდა იქნას II ქვეგანაყოფის კაპიტალისტებისაგან, რომლებმაც, მაშასადამე, აგრეთვე დაგროვებას უნდა მიჰყონ ხელი: ისინი თავისი ზეღირებულების (II 100 m) ნაწილს გადასცვლიან წარ-

მოების საშუალებებზე (I 100 v) და წარმოების ამ საშუალებებს გადააქცევენ დამატებითს მუდმივ კაპიტალად. მაშასადამე, მათი მუდმივი კაპიტალი გაიზრდება 1500 c-დან 1600 c-მდე; მის დასამუშავებლად საჭიროა დამატებითი სამუშაო ძალა — *50 v*, — რომელიც აღებულ უნდა იქნას ისევ II ქვეგანაყოფის კაპიტალისტთა ზეღირებულებიდან.

თუ I და II ქვეგანაყოფის დამატებითს კაპიტალს შევუერთებთ თავდაპირველს, მივიღებთ პროდუქტის ასეთ განაწილებას:

$$\text{I } 4400\ c + 1100\ v + (500\ m) = 6000.$$
$$\text{II } 1600\ c + 800\ v + (600\ m) = 3000.$$

ფრჩხილებში ჩასმული ზეღირებულება ნიშნავს კაპიტალისტთა სამომხმარებლო ფონდს, ე. ი. ზეღირებულების იმ ნაწილს, რომელიც ხმარდება არა დაგროვებას, არამედ კაპიტალისტების პირად საჭიროებებს.

თუ წარმოება წინანდებურად წავა, წლის დამლევს მივიღებთ:

$$\begin{array}{l} \text{I } 4400\ c + 1100\ v + 1100\ m = 6600 \\ \text{II } 1600\ c + 800\ v + 800\ m = 3200 \end{array} \left\{ \begin{array}{l} \text{კაპიტალი} = 7900 \\ \text{პროდუქტი} = 9800 \end{array} \right\}$$

I (1100 v + 550 m) გადაიცვლება II 1650 c-ზე, ამასთან დამატებითი 50 c აღებულ უნდა იქნას 800 II m-დან [ამასთან *c*-ს გადიდება 50-ით იწვევს *v*-ს გადიდებას 25-ით].

შემდეგ 550 I m-ის დაგროვება ხდება წინანდებურად:

$$550\ \text{I}\ m = 440\ c + 110\ v$$
$$165\ \text{II}\ m = 110\ c + 55\ v.$$

თუ ახლა თავდაპირველ კაპიტალს შევუერთებთ დამატებითს [I 4400 c-ს — 440 c-ს; I 1100 v-ს — 110 v-ს. II 1600 c-ს —

50 c-ს და 110 c-ს; ხოლო II 800 v-ს — 25 v-ს და 55 v-ს], მივიღებთ:

$$\text{I } 4840\ c + 1210\ v + (550\ m) = 6600$$
$$\text{II } 1760\ c + 880\ v + (560\ m) = 3200$$

წარმოების შემდგომი მოძრაობისას მივიღებთ:

$$\text{I } 4840\ c + 1210\ v + 1210\ m = 7260 \left\{\begin{matrix}\text{კაპიტალი} = 8690\\ \text{პროდუქტი} = 10780\end{matrix}\right\}$$
$$\text{II } 1760\ c + 880\ v + 880\ m = 3520$$

და ასე შემდეგ.

აი — არსებითს ხაზებში — შედეგები მარქსის გამოკვლევებისა საზოგადოებრივი ერთობლივი კაპიტალის რეპროდუქციის საკითხზე. ეს გამოკვლევანი (ამის აღნიშვნა აუცილებელია) აქ გადმოცემულია უაღრესად შემოკლებული სახით; გამოტოვებულია ძალიან ბევრი რამ, რაც მარქსს დაწვრილებით აქვს ანალიზირებული, — მაგალითად, ფულის მიმოქცევა, ანაზღაურება ძირითადი კაპიტალისა, რომელიც თანდათან იცვითება და სხვ. — იმიტომ რომ ყველაფერ ამას პირდაპირი კავშირი არა აქვს განსახილველ საკითხთან.

III

მერე რა დასკვნები გამოჰყავს რეფერენტს მარქსის ამ გამოკვლევებიდან? სამწუხაროდ, იგი არ იძლევა თავისი დასკვნების სავსებით ზუსტ და გარკვეულ ფორმულირებას, ასე რომ მე თვითონ მიხდება დასკვნა გამოვიტანო მათ შესახებ იმ ზოგიერთი შენიშვნის მიხედვით, რომლებიც არც თუ სავსებით შეესაბამებიან ერთმანეთს. ასე, მაგალითად, ჩვენ ვკითხულობთ:

«ჩვენ აქ დავინახეთ, — ამბობს რეფერენტი, — როგორ ხდება დაგროვება I ქვეგანაყოფში, წარმოების საშუალებებისათვის წარმოების საშუალებათა წარმოებაში: ...ეს დაგროვება ხდება როგორც მოხმარების საგნების წარმოების მოძრაობისაგან

დამოუკიდებლად, ისე თვით პირადი მოხმარებისაგან დამოუკიდებლად, ვისიც არ უნდა იყოს იგი» (ფურცელი $^{15}/_{3}$).

რა თქმა უნდა, მოხმარების საგნების წარმოებისაგან დაგროვების «დამოუკიდებლობაზე» უკვე იმიტომაც არ შეიძლება ლაპარაკი, რომ წარმოების გაფართოებისათვის საჭიროა ახალი ცვალებადი კაპიტალი, და, მაშასადამე, მოხმარების საგნებიც; ავტორს, ალბათ, ამ გამოთქმით სურდა მხოლოდ ხაზი გაესვა სქემის იმ თავისებურებისათვის, რომ I c-ს — I ქვეგანაყოფის მუდმივი კაპიტალის — რეპროდუქცია ხდება II ქვეგანაყოფთან გაცვლა-გამოცვლის გარეშე, ე. ი. საზოგადოებაში ყოველწლიურად, ვთქვათ, ქვანახშირის განსაზღვრული ნაწილის წარმოება ხდება თვით ქვანახშირისავე ამოსაღებად. რასაკვირველია, ეს წარმოება (ქვანახშირისა ქვანახშირის ამოსაღებად) მთელი რიგი შემდგომი გაცვლა-გამოცვლით დაუკავშირდება მოხმარების საგნების წარმოებას: — სხვაგვარად ვერც ქვანახშირის მრეწველები იარსებებდნენ და ვერც მათი მუშები.

მეორე ადგილას რეფერენტი უკვე გაცილებით უფრო სუსტად ლაპარაკობს: «კაპიტალისტური დაგროვების **მთავარი** მოძრაობა — ამბობს იგი — ხდება და ხდებოდა (სულ ადრინდელი პერიოდების გამოკლებით) რომელიმე უშუალო მწარმოებლებისაგან დამოუკიდებლად, მოსახლეობის რომელიმე ფენის პირადი მოხმარებისაგან დამოუკიდებლად» (ფ. 8). აქ უკვე მითითებაა მხოლოდ წარმოების საშუალებათა წარმოების სიჭარბეზე მოხმარების საგნების წარმოების მიმართ კაპიტალიზმის ისტორიულ განვითარებაში. ასეთი მითითება კიდევ მეორდება: «თუ კაპიტალისტური საზოგადოებისათვის, ერთი მხრით, ტიპიურია დაგროვება დაგროვებისათვის, პროდუქტიული მოხმარება და არა პირადი, მეორე მხრით — მისთვის **ტიპიურია** სწორედ წარმოების საშუალებათა წარმოება წარმოების საშუალებებისათვის» (ფ. $^{21}/_{2}$). თუ ამ მითითებებით ავტორს ის უნდოდა ეთქვა, რომ კაპიტალისტური საზოგადოება სხვა, მისი წინამორბედი ეკონომიური ორგანიზაციებისაგან, განსხვავდება სწორედ მანქანებისა და მათთვის საჭირო საგნების (ქვანახშირის, რკინისა და სხვ.) განვითარებით, მაშინ ეს სავსებით სწორია.

ტექნიკის სიმაღლის მხრივ კაპიტალისტური საზოგადოება ყველა სხვა საზოგადოებაზე მაღლა დგას, ხოლო ტექნიკის პროგრესი სწორედ იმაში გამოიხატება, რომ ადამიანის შრომა სულ უფრო და უფრო მეტად იხევს უკანა რიგში მანქანათა შრომის წინაშე.

ამიტომ, იმის ნაცვლად, რომ რეფერენტის არასაკმაოდ ნათელი განცხადებები გავაკრიტიკოთ, სჯობს პირდაპირ მარქსს მივმართოთ და ვნახოთ, შეიძლება თუ არა მისი თეორიიდან გამოვიყვანოთ დასკვნა I-ლი ქვეგანაყოფის «სიჭარბეზე» II-ის მიმართ, და როგორი აზრით უნდა გავიგოთ ეს სიჭარბე.

მარქსის ზემომოყვანილი სქემიდან არავითარი დასკვნის გამოყვანა არ შეიძლება I-ლი ქვეგანაყოფის სიჭარბეზე II-ის მიმართ: იქ ორივე პარალელურად ვითარდება. მაგრამ ეს სქემა მხედველობაში არ იღებს სწორედ ტექნიკურ პროგრესს. როგორც ეს მარქსმა «კაპიტალის» I ტომში დაამტკიცა, ტექნიკური პროგრესი იმაში მდგომარეობს, რომ ცვალებადი კაპიტალის შეფარდება მუდმივისადმი $\left(\frac{v}{c}\right)$ თანდათან მცირდება, მაშინ როდესაც სქემაში ეს შეფარდება მიღებულია როგორც უცვლელი.

უკვე თავისთავად გასაგებია, რომ თუ სქემაში ამ ცვლილებას შევიტანთ, მივიღებთ წარმოების საშუალებათა უფრო სწრაფ ზრდას მოხმარების საგნებთან შედარებით. მიუხედავად ამისა, მე ვფიქრობ, ზედმეტი არ იქნება ამ გაანგარიშების მოყვანა, ჯერ-ერთი, სიცხადისათვის, მეორეც, ამ დებულებიდან შესაძლებელი უმართებულო დასკვნების გამოყვანის თავიდან ასაცილებლად.

[ქვემომოყვანილ ცხრილში დაგროვების ნორმა მიღებულია უცვლელი: ზეღირებულების ნახევარი გროვდება და ნახევარიც პირადად მოიხმარება.]

[ქვემომოყვანილი სქემა შეიძლება გამოვტოვოთ და პირდაპირ გადავიდეთ მისგან გამოყვანილ დასკვნებზე შემდგომ გვერდზე. ასო **დ**. ნიშნავს დამატებითს კაპიტალს, რომელიც ხმარდება წარმოების გაფართოებას, ე. ი. ზეღირებულების იმ ნაწილს, რომელიც გროვდება.]

1-ლი წელი) I 4000 c+1000 v+1000 m = 6000..... v : (c+v) = 20,0%
II 1500 c+ 750 v+ 750 m = 3000..... » » » 33,3%

I (1000 v+ 500 m) = II 1500 c

დ. I 500 m = 450 c+50 v ..... » » » $\frac{1}{10}$

↙

დ. II 60 m = 50 c+10 v ..... » » » $\frac{1}{6}$

I 4450 c+1050 v+(500 m) = 6000
II 1550 c+ 760 v+(690 m) = 3000

მე-2 წელი) I 4450 c+1050 v+1050 m = 6550 ..... » » » 19,2%
II 1550 c+ 760 v+ 760 m = 3070 ..... » » » 32,9%

I (1050 v+ 525 m) = II 1575 c

II (1550 c+25 m)

↙

დ. II 28 m = 25 c+ 3 v ..... » » » დაახლ. $\frac{1}{9}$

დ. I 525 m = 500 c+25 v ..... » » » დაახლ. $\frac{1}{21}$

↙

დ. II 28 m = 25 c+ 3 v ..... » » » დაახლ. $\frac{1}{9}$

I 4950 c+1075 v+(525 m) = 6550
II 1602 c+ 766 v+(702 m) = 3070

მე-3 წელი) I 4950 c+1075 v+1075 m = 7100 ..... » » » 17,8%
II 1602 c+ 766 v+ 766 m = 3134 ..... » » » 32,3%

I (1075 v+537$\frac{1}{2}$m) = II 1612$\frac{1}{2}$ c

II (1602 c+10$\frac{1}{2}$ m)

↙

დ. II 11$\frac{1}{2}$ m = 10$\frac{1}{2}$ c+ 1 v ..... » » » დაახლ. $\frac{1}{12}$

დ. I 537$\frac{1}{2}$ m = 517$\frac{1}{2}$ c+20 v ..... » » » დაახლ. $\frac{1}{26}$

↙

დ. II 22 m = 20 c+2 v ..... » » » $\frac{1}{11}$

I 5467$\frac{1}{2}$ c+1095 v+(537$\frac{1}{2}$ m) = 7100

II 1634$\frac{1}{2}$ c+ 769 v+(730$\frac{1}{2}$ m) = 3134

მე-4 წელი) I 5467$\frac{1}{2}$ c+1095 v+1095 m = 7657$\frac{1}{2}$ ..... » » » 16,7%
II 1634$\frac{1}{2}$ c+ 769 v+ 769 m = 3172$\frac{1}{2}$ ..... » » » 32,0%

და ასე შემდეგ.

ახლა ერთმანეთს დავუპირისპიროთ ამ სქემიდან გამოყვანილი დასკვნები საზოგადოებრივი პროდუქტის სხვადასხვა ნაწილის ზრდის შესახებ:

	წარმოების საშუალებები		წარმოების საშუალებები		მოხმარების საშუალებ.		მთელი საზოგად. პროდუქტი	
	წარმოებ. საშუალებ.	%	მოხმარ. საშუალებ.	%		%		%
1-ლი წელი	4 000	100	2 000	100	3 000	100	9 000	100
მე-2 წელი	4 450	111,25	2 100	105	3 070	102	9 620	107
მე-3 წელი	4 950	123,75	2 150	107,5	3 134	104	10 234	114
მე-4 წელი	5 467½	136,7	2 190	109,5	3 172	106	10 828½	120

ამრიგად ჩვენ ვხედავთ, რომ ყველაზე უფრო სწრაფად იზრდება წარმოების საშუალებათა წარმოება წარმოების საშუალებებისათვის, შემდეგ წარმოების საშუალებათა წარმოება მოხმარების საშუალებებისათვის და ყველაზე ნელა — მოხმარების საშუალებათა წარმოება. ამ დასკვნამდე მისვლა შეიძლებოდა «კაპიტალის» II ტომში მოყვანილ მარქსის გამოკვლევათა გარეშეც იმ კანონის საფუძველზე, რომ მუდმივ კაპიტალს აქვს უფრო სწრაფი ზრდის ტენდენცია, ვიდრე ცვალებადს: დებულება წარმოების საშუალებათა უაღრესად სწრაფი ზრდის შესახებ ამ კანონის უბრალო გადასხვაფერებაა მთელი საზოგადოებრივი წარმოებისადმი შეფარდებით.

მაგრამ, იქნებ, საჭიროა კიდევ შემდგომი ნაბიჯის გადადგმა? თუ ჩვენ ვუშვებდით, რომ v-ს შეფარდება $c+v$-სადმი თანდათან მცირდება, რატომ არ უნდა დავუშვათ, რომ v ნუ-

ლად იქცევა, რომ მუშების იგივე რაოდენობა საკმარისი რჩება წარმოების საშუალებათა მეტი რაოდენობისათვის? მაშინ ზეღირებულების ის ნაწილი, რომელიც გროვდება, პირდაპირ შეუერთდება I ქვეგანაყოფის მუდმივ კაპიტალს, და საზოგადოებრივი წარმოების ზრდა მოხდება მხოლოდდამხოლოდ წარმოების საშუალებებისათვის საჭირო წარმოების საშუალებათა ხარჯზე II * ქვეგანაყოფის სრული შეფერხების დროს **.

რასაკვირველია, ეს უკვე იქნებოდა სქემების ბოროტად გამოყენება, იმიტომ რომ ასეთი დასკვნა დამყარებულია წარმოუდგენელ ვარაუდებზე და ამიტომაც არაა სწორი. განა დასაშვებია, რომ ტექნიკის პროგრესი, რომელიც ამცირებს *v*-ს შეფარდებას *c*-სადმი, გამოხატულებას ჰპოვებს მხოლოდ I ქვეგანაყოფში, ხოლო II-ს სრულ უძრაობაში დასტოვებს? შეესაბამება თუ არა კაპიტალისტური საზოგადოების კანონებს, საზოგადების, რომელიც თვითეული კაპიტალისტისაგან დაღუპვის მუქარით მოითხოვს წარმოების გაფართოებას, რომ II ქვეგანაყოფში სრულებით არ ხდებოდეს დაგროვება?

ამრიგად, ერთადერთი სწორი დასკვნა, რომელიც შეიძლება გამოვიტანოთ მარქსის ზემომოყვანილი გამოკვლევებიდან, ის იქნება, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში წარ-

---

* მე იმის თქმა კი არ მინდა, რომ ასეთი მოვლენა აბსოლუტურად შეუძლებელი იყოს, როგორც ცალკეული შემთხვევა. მაგრამ აქ ხომ ლაპარაკია არა კაზუსებზე, არამედ კაპიტალისტური საზოგადოების განვითარების ზოგად კანონზე.

** განსამარტებლად სქემაზე გაჩვენებთ, რაზეა ლაპარაკი:

I 4000 c+1000 v+1000 m = 6000
II 1500 c+ 750 v+ 750 m = 3000
I (1000 v+500 m) = II 1500 c
I 500 m გროვდება და უერთდება I 4000 c-ს:
I 4500 c+1000 v+(500 m) = 6000
II 1500 c+ 750 v+ 750 m = 3000
I 4500 c+1000 v+1000 m = 6500
II 1500 c+ 750 v+ 750 m = 3000
I (1000 v+500 m) = II 1500 c
I 500 m წინანდებურად გროვდება და ა. შ.

მოების საშუალებათა წარმოება უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მოხმარების საშუალებათა წარმოება. როგორც უკვე ვთქვით, ეს დასკვნა პირდაპირ გამომდინარეობს იმ საყოველთაოდ ცნობილი დებულებიდან, რომ კაპიტალისტური წარმოება განუზომლად უფრო მაღალ განვითარებულ ტექნიკას ჰქმნის წინანდელ დროსთან შედარებით *. მარქსი — სპეციალურად ამ საკითხზე — მხოლოდ ერთ ადგილას გამოსთქვამს თავის აზრს სრული გარკვეულობით, და ეს ადგილი სავსებით ადასტურებს მოყვანილი ფორმულირების სისწორეს:

«კაპიტალისტური საზოგადოების განსხვავება ველურებისაგან მდგომარეობს არა იმაში, რაშიც მას სენიორი ხედავს, — თითქოს სწორედ ველურის პრივილეგიას და თავისებურებას წარმოადგენს თავისი შრომის ისეთი ხარჯვა, რომელიც არ აძლევს მას არავითარ ისეთ პროდუქტებს, რომელთაც შეეძლოთ შემოსავლად, ე. ი. მოხმარების საშუალებებად გადაქცეულიყვნენ, — არამედ განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ

α) კაპიტალისტური საზოგადოება მის განკარგულებაში არსებული წლიური სამუშაო დროის მეტ ნაწილს ხარჯავს [Nota bene **] წარმოების საშუალებათა (ergo *** — მუდმივი კაპიტალის) საწარმოებლად, რომელთაც არ შეუძლიათ შემოსავლად გადაიქცნენ არც ხელფასის ფორმით და არც ზეღირებულების ფორმით, მაგრამ შეუძლიათ იარსებონ მხოლოდ კაპიტალის სახით» («Das Kapital», II Bd., Seite 436) ****.

---

* ამიტომ მოყვანილი დასკვნა შეიძლება ჩამოვაყალიბოთ კიდევ რამდენადმე სხვანაირად: კაპიტალისტურ საზოგადოებაში წარმოების ზრდა (და, მაშასადამე, «ბაზრისაც») შეიძლება ხდებოდეს ან მოხმარების საგნების ზრდის ანგარიშზე, ან — და ეს — უმთავრესად — ტექნიკის პროგრესის, ე. ი. მანქანური შრომის მიერ ხელით შრომის განდევნის ანგარიშზე, — რადგან *v*-ს და *c*-ს შეფარდების შეცვლა გამოხატავს სწორედ ხელით შრომის როლის შემცირებას.

** — დაიხსომეთ. რ ე დ.

*** — მაშასადამე. რ ე დ.

**** — «კაპიტალი», ტ. II, გვ. 436.[11] რ ე დ

IV

ახლა ვიკითხოთ, რა დამოკიდებულება აქვს ზემოთ გადმოცემულ თეორიას «ბაზრების ყბადაღებულ საკითხთან»? ის ხომ გამოდის ვარაუდიდან «წარმოების კაპიტალისტური წესის საერთო და განსაკუთრებული ბატონობის» შესახებ, ხოლო «საკითხი» სწორედ იმაში მდგომარეობს, «შესაძლებელია თუ არა» რუსეთში კაპიტალიზმის სრული განვითარება. მართალია, ამ თეორიას შესწორება შეაქვს ჩვეულებრივს წარმოდგენაში კაპიტალიზმის განვითარების შესახებ, მაგრამ ცხადია, რომ იმის გარკვევა, თუ ს ა ე რ თ ო დ როგორ ვითარდება კაპიტალიზმი, ჯერ კიდევ ოდნავადაც არ სწევს წინ საკითხს რუსეთში კაპიტალიზმის განვითარების «შესაძლებლობის» (და აუცილებლობის) შესახებ.

მაგრამ რეფერენტი არ კმაყოფილდება მარქსის თეორიის გადმოცემით კაპიტალისტურად მოწყობილი საზოგადოებრივი ერთობლივი წარმოების მსვლელობის შესახებ. იგი აღნიშნავს, რომ საჭიროა განვასხვავოთ «ორი ა რ ს ე ბ ი თ ა დ ს ხ ვ ა დ ა-ს ხ ვ ა გ ვ ა რ ი მომენტი კაპიტალის დაგროვებაში: 1) კაპიტალისტური წარმოების განვითარება სიფართით, როდესაც ის მოიცავს შრომის უკვე მზამზარეულ სფეროებს, სდევნის რა ნატურალურ მეურნეობას, და ფართოვდება უკანასკნელის ხარჯზე; და 2) კაპიტალისტური წარმოების განვითარება, თუ შეიძლება ასე ითქვას, სიღრმით, როდესაც მისი გაფართოება ხდება ნატურალური მეურნეობისაგან დამოუკიდებლად, ე. ი. წარმოების კაპიტალისტური წესის საერთო და განსაკუთრებული ბატონობის დროს». ჯერჯერობით ნუ დავიწყებთ ამ დაყოფის გაკრიტიკებას და პირდაპირ იმის განხილვაზე გადავიდეთ, თუ რას გულისხმობს ავტორი კაპიტალიზმის სიფართით განვითარებაში: ამ პროცესის გარკვევამ, რომელიც მდგომარეობს ნატურალური მეურნეობის კაპიტალისტურით შეცვლაში, უნდა დაგვანახვოს, როგორ «მოიცავს მთელ ქვეყანას» რუსეთის კაპიტალიზმი.

რეფერენტი კაპიტალიზმის სიფართით განვითარებას შემდეგი სქემით გვისურათებს:



A — კაპიტალისტები; *W* — უშუალო მწარმოებლები.
a, a_1, a_{11} — კაპიტალისტური საწარმოები.
ისრები უჩვენებენ გაცვლა-გამოცვლის პროცესში მყოფი საქონლის მოძრაობას.
c, v, m — საქონლის ღირებულების შემადგენელი ნაწილები.
I, II — საქონლის ნატურალური ფორმა: I — წარმოების საშუალებები; II — მოხმარების საშუალებები.

«A. და W. ადგილების არსებითი განსხვავება — ამბობს რეფერენტი — იმაში მდგომარეობს, რომ A-ში შედიან მწარმოებლები — კაპიტალისტები, რომლებიც პროდუქტიულად ხარჯავენ თავის ზეღირებულებას, W-ში კი — უშუალო მწარმოებლები, რომლებიც თავის ზეღირებულებას (მე აქ ვგულისხმობ პროდუქტის ფასეულობის ნაჭარბს წარმოების საშუალებათა და კვების აუცილებელ საშუალებათა ღირებულების მიმართ) არაპროდუქტიულად ხარჯავენ.

თვალი გავადევნოთ ისრებს სქემაზე და ადვილად დავინახავთ, როგორ ვითარდება კაპიტალისტური წარმოება A-ში W-ს მოხმარების ხარჯზე, თანდათან იპყრობს რა მას». კაპიტალისტური *a* საწარმოს პროდუქტი მოხმარების საგნების

სახით ეგზავნებათ «უშუალო მწარმოებლებს»; მის სანაცვლოდ «უშუალო მწარმოებლები» აბრუნებენ მუდმივს კაპიტალს (c) წარმოების საშუალებათა სახით და ცვალებადს კაპიტალს (v) მოხმარების საშუალებათა სახით, ხოლო ზეღირებულებას (m) დამატებითი პროდუქტიული კაპიტალის ელემენტების სახით: $c_1 + v_1$. ეს კაპიტალი იხარჯება ახალი კაპიტალისტური საწარმოს a_1 დასაარსებლად, რომელიც სწორედ ასევე უგზავნის თავის პროდუქტს მოხმარების საგნების სახით «უშუალო მწარმოებლებს» და ა. შ. «კაპიტალიზმის სიფართით განვითარების ზემომოყვანილი სქემიდან სჩანს, რომ მთელი წარმოება უმჭიდროესად არის დამოკიდებული «საგარეო» ბაზრების მოხმარებაზე, მასების მოხმარებაზე (ამასთან საერთო თვალსაზრისით სავსებით სულერთია, სად იმყოფებიან ეს მასები, — იქვე კაპიტალისტების გვერდით, თუ სადღაც ოკეანეს იქით). ცხადია, წარმოების გაფართოება *A*-ში, ე. ი. კაპიტალიზმის განვითარება ამ მიმართულებით, დამთავრდება, როგორც კი ყველა უშუალო მწარმოებელნი *W*-ში საქონელმწარმოებლებად გადაიქცევიან, ვინაიდან, როგორც ზემოთ დავინახეთ, ყოველი ახალი საწარმო (ან ძველის გაფართოება) ნავარაუდევია *W*-ს მომხმარებელთა ახალი ფენისათვის. გაცვეთილი წარმოდგენა — ამბობს დასასრულ რეფერენტი — კაპიტალისტურ დაგროვებაზე, ე. ი. კაპიტალისტურ რეპროდუქციაზე გაფართოებული მასშტაბით, კმაყოფილდება მხოლოდ ასეთი შეხედულებით საგანზე, ეჭვიც არა აქვს რა კაპიტალისტური წარმოების სიღრმით განვითარებაზე, უშუალო მწარმოებლების რომელიმე ქვეყნისაგან დამოუკიდებლად, ე. ი. ეგრეთწოდებული საგარეო ბაზრებისაგან დამოუკიდებლად».

ყოველივე ზემონათქვამიდან შეიძლება მხოლოდ იმას დავეთანხმოთ, რომ ეს წარმოდგენა კაპიტალიზმის სიფართით განვითარებაზე და მისი საილუსტრაციო სქემა სავსებით შეესაბამება გაცვეთილ, ნაროდნიკულ შეხედულებებს საგანზე.

მართლაც, ძნელია უფრო რელიეფურად და თვალსაჩინოდ გამოხატო გაცვეთილ შეხედულებათა მთელი უაზრობა და უშინაარსობა, ვიდრე ეს მოყვანილ სქემაშია გაკეთებული.

«გაცვეთილი წარმოდგენა» ჩვენს კაპიტალიზმს ყოველთვის განიხილავდა როგორც რაღაც «სახალხო წყობილებისაგან» მოწყვეტილს, მისგან განზე მდგომ რამეს, — სწორედ ისევე, როგორც ეს სქემაშია გამოხატული: იქიდან სრულებით არა სჩანს, თუ რაში მდგომარეობს ორი «ადგილის» — კაპიტალისტურისა და სახალხოს — კავშირი. რატომ საღდება *A*-დან გაგზავნილი საქონელი *W*-ში? რა იწვევს *W*-ს ნატურალური მეურნეობის გადაქცევას სასაქონლო მეურნეობად? გაცვეთილი შეხედულება არასდროს არ იძლეოდა პასუხს ამ კითხვებზე, განიხილავდა რა გაცვლა-გამოცვლას როგორც რაღაც შემთხვევითს რამეს, და არა როგორც მ ე უ რ ნ ე ო ბ ი ს განსაზღვრულ ს ი ს ტ ე მ ა ს.

შემდეგ, გაცვეთილი შეხედულება არასდროს არ გ ა ნ მ ა რ ტ ა ვ დ ა იმას, საიდან და როგორ წარმოიშვა ჩვენებური კაპიტალიზმი — სწორედ ისევე, როგორც ამას არც სქემა განმარტავს: საქმის ვითარება ისეა წარმოდგენილი, თითქოს კაპიტალისტები საიდანღაც გარედან არიან მოსულნი და არა იმავე «უშუალო მწარმოებლების» წრიდან. გაუგებარი რჩება, სად შოულობენ კაპიტალისტები a, a_1 და სხვ. საწარმოებისათვის საჭირო «თავისუფალ მუშებს». ყველამ იცის, რომ სინამდვილეში ეს მუშები სამუშაოდ აჰყავთ სწორედ «უშუალო მწარმოებელთაგან», მაგრამ სქემიდან ოდნავადაც არა სჩანს, რომ სასაქონლო მეურნეობა, მოიცავს რა *W*-ს «ადგილს», იქ ჰქმნიდეს თავისუფალი მუშების კონტინგენტს.

ერთი სიტყვით, ეს სქემა — სწორედ ისევე, როგორც გაცვეთილი შეხედულებაც — სრულებით არაფერს არ ხსნის ჩვენი კაპიტალისტური წესების მოვლენებში და ამიტომაც არაფრად არ ვარგა. იმ მიზანს, რომლის გულისთვისაც ეს სქემაა შედგენილი, — იმის განმარტებას, თუ როგორ ვითარდება კაპიტალიზმი ნატურალური მეურნეობის ხარჯზე, მოიცავს რა მთელ ქვეყანას, — ის სრულებით ვერ აღწევს, იმიტომ რომ, როგორც ამას თვით რეფერენტიც ხედავს, — «თუ თანმიმდევრულად გავყვებით შეხედულებას, რომელსაც განვიხილავთ, საჭიროა დავასკვნათ, რომ წარმოების კაპიტალისტური წესის საყოველთაო განვითარებამდე ვერასგზით ვერ მივა საქმე».

ამის შემდეგ მხოლოდ ისღა დაგვრჩენია — გაკვირვება გამოვთქვათ, რომ ავტორი, თუნდაც ნაწილობრივ, თვითონ ემხრობა ამ შეხედულებას, როცა ამბობს, რომ «კაპიტალიზმი თავისი ჩვილობის პერიოდებში მართლაც (?) ვითარდებოდა ასეთი უაღრესად იოლი (sic!? *) საშუალებით (უაღრესად იოლით იმიტომ, რომ აქ ხელში იგდებენ შრომის მზამზარეულ დარგებს), ნაწილობრივ ის ამ მიმართულებით ახლაც ვითარდება (??), რამდენადაც დედამიწაზე კიდევ მოიპოვება ნატურალური მეურნეობის ნაშთები და რამდენადაც მოსახლეობა იზრდება».

მართლაც, ეს არის კაპიტალიზმის განვითარების არა «უაღრესად იოლი» საშუალება, არამედ უბრალოდ — პროცესის «გაგების უაღრესად იოლი საშუალება», იმდენად «უაღრესად იოლი», რომ უფრო სწორი იქნება მას სრული გაუგებლობა ვუწოდოთ. რუსეთის ყველა ჯურის ნაროდნიკები დღევანდლამდე იქცევენ თავს ამ «უაღრესად იოლი» ხერხებით: არასდროს არ ფიქრობენ რა იმაზე, რომ გ ა ნ მ ა რ ტ ო ნ, როგორ წარმოიშვა ჩვენებური კაპიტალიზმი და როგორ არსებობს ის, ისინი კმაყოფილდებიან ჩვენი წესების «მტკივნეული ადგილის», კაპიტალიზმის, დაპირისპირებით «ჯანსაღისადმი» — უშუალო მწარმოებლებისადმი, «ხალხისადმი»; პირველი ისმება მარცხნივ, მეორე — მარჯვნივ, და მთელი ღრმააზროვნებაც მთავრდება სანტიმენტალური ფრაზებით იმის შესახებ, თუ რაა «საზიანო» და რაა «სასარგებლო» «ადამიანთა თანაცხოვრებისათვის».

V

ზემომოყვანილი სქემა რომ გავასწოროთ, საჭიროა დავიწყოთ იმ ცნებათა შინაარსის გარკვევით, რომლებზედაც აქ ლაპარაკია, სასაქონლო წარმოებად იგულისხმება საზოგადოებრივი წარმოების ისეთი ორგანიზაცია, როდესაც პროდუქტებს აწარმოებენ ცალკეული, განკერძოებული მწარმოებლები, ამასთან თვითეული სპეციალდება ერთი რომელიმე პროდუქტის გამომუშავებაზე, ასე რომ საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა

* — ასე!? რ ე დ.

დასაკმაყოფილებლად საჭიროა ყიდვა-გაყიდვა პროდუქტებისა (რომლებიც ამის გამო საქონლად იქცევიან) ბაზარზე. კაპიტალიზმად იგულისხმება სასაქონლო წარმოების განვითარების ის სტადია, როდესაც საქონლად იქცევიან უკვე არა მარტო ადამიანის შრომის პროდუქტები, არამედ თვით ადამიანის სამუშაო ძალაც. ამრიგად, კაპიტალიზმის ისტორიულ განვითარებაში მნიშვნელოვანია ორი მომენტი: 1) უშუალო მწარმოებლების ნატურალური მეურნეობის გადაქცევა სასაქონლო მეურნეობად და 2) სასაქონლო მეურნეობის გადაქცევა კაპიტალისტურ მეურნეობად. პირველი გარდაქმნა იმის გამო ხდება, რომ ჩნდება შრომის საზოგადოებრივი დანაწილება — განკერძოებულ, ცალკეულ მწარმოებელთა დასპეციალება [*NB*: ეს სასაქონლო მეურნეობის აუცილებელი პირობაა] მრეწველობის მარტოოდენ ერთი დარგის დასაკავებლად. მეორე გარდაქმნა იმის გამო ხდება, რომ ცალკეული მწარმოებლები, თვითეული განკერძოებულად აწარმოებს რა საქონელს ბაზრისათვის, კონკურენციის ურთიერთობაში დგებიან: თვითეული ცდილობს უფრო ძვირად გაჰყიდოს, უფრო იაფად იყიდოს, და ამის აუცილებელი შედეგია ძლიერის გაძლიერება და სუსტის დაცემა, უმცირესობის გამდიდრება და მასის გაღატაკება, რაც იწვევს დამოუკიდებელი მწარმოებლების გადაქცევას დაქირავებულ მუშებად და ბევრი წვრილი საწარმოსი — მცირერიცხოვან მსხვილ საწარმოებად. ამრიგად სქემა ისე უნდა იქნას შედგენილი, რომ დაგვანახვოს ორივე ეს მომენტი კაპიტალიზმის განვითარებაში და ის ცვლილებები, რომელთაც ეს განვითარება ახდენს ბაზრის სიდიდეში, ე. ი. იმ პროდუქტების რაოდენობაში, რომლებიც საქონლად იქცევიან.

ქვემომოყვანილი სქემაც სწორედ ამ გეგმით არის შედგენილი: ყველა გარეშე ვითარება აბსტრაჰირებულია, ე. ი. მიღებულია როგორც უცვლელი (მაგალითად, მოსახლეობის რაოდენობა, შრომის ნაყოფიერება და ბევრი სხვა რამ), რათა ანალიზი გავუკეთოთ კაპიტალიზმის განვითარების მ ა რ ტ ო ო დ ე ნ აღნიშნული მომენტების ზეგავლენას ბაზარზე.

ᲡᲥᲔᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲔᲑᲐ:

I — II . . . — VI — მწარმოებლები.

a, в, c — მრეწველობის დარგები (მაგალითად, მიწათმოქმედება, მომპოვებელი და დამამუშავებელი მრეწველობა).

$a = b = c = 3$. პროდუქტთა ღირებულების სიდიდე $a = b = c$ უდრის 3-ს (ღირებულების სამ ერთეულს), რომელთაგან *1* მოდის ზეღირებულებაზე *.

სვეტში «ბაზარი» იწერება გასაყიდი (და საყიდელი) პ რ ო დ უ ქ ტ ე ბ ი ს ღირებულების ოდენობა; ფრჩხილებში ჩასმულია გასაყიდი (და საყიდელი) სამუშაო ძალის (=ს. ძ.) ღირებულების ოდენობა.

ისრები, რომლებიც მიიმართებიან ერთი მწარმოებლიდან მეორისაკენ, ნიშნავს, რომ 1-ლი მეორის დაქირავებული მუშაა.

ნავარაუდევია მ ა რ ტ ი ვ ი რ ე პ რ ო დ უ ქ ც ი ა: მთელ ზეღირებულებას კაპიტალისტები არაპროდუქტიულად ხარჯავენ.

	მწარმოებლები	წარმოება: მრეწველობის დარგები a	в	c	ს/ულ	ნატურალ. მოხმარება
1.	I	a	в	c	9	9
	II	a	в	c	9	9
	III	a	в	c	9	9
	IV	a	в	c	9	9
	V	a	в	c	9	9
	VI	a	в	c	9	9
	სულ	6a	6в	6c	54	54
3.	I	a	—	2c	9	6
	II	a	2в	—	9	6
	III	a	—	2c	9	6
	IV	a	2в	—	9	6
	V	a	—	2c	9	6
	VI	a	2в	—	9	6
	სულ	6a	6в	6c	54	36
5.	I	2a	—	6c	24	11
	II	$^1/_2$a	—	—	$1^1/_2$	$1^1/_2$
	III	$^1/_2$a	—	—	$1^1/_2$	$1^1/_2$
	IV	2a	6в	—	24	11
	V	$^1/_2$a	—	—	$1^1/_2$	$1^1/_2$
	VI	$^1/_2$a	—	—	$1^1/_2$	$1^1/_2$
	სულ	6a	6в	6c	54	28

* ღირებულების ის ნაწილი, რომელიც მუდმივ კაპიტალს ანაზღაურებს, მიღებულია როგორც უცვლელი და ამიტომ სათვალავში არ შედის.

ბაზარი		მწარმოებელნი	წარმოება				ნატურ. ფასდ.	ბაზარი		
ჰყიდის	ყიდულობს		მრეწველობის დარგები			ჯამი		ჰყიდის	ყიდულობს	
			a	в	c					
—	—	I	a	—	2c	9	6	3	3	2.
—	—	II	a	$^6/_5$в	$^4/_5$c	9	$8^2/_5$	$^3/_5$	$^3/_5$	
—	—	III	a	$^6/_5$в	$^4/_5$c	9	$8^2/_5$	$^3/_5$	$^3/_5$	
—	—	IV	a	$^6/_5$в	$^4/_5$c	9	$8^2/_5$	$^3/_5$	$^3/_5$	
—	—	V	a	$^6/_5$в	$^4/_5$c	9	$8^2/_5$	$^3/_5$	$^3/_5$	
—	—	VI	a	$^6/_5$в	$^4/_5$c	9	$8^2/_5$	$^3/_5$	$^3/_5$	
—	—	სულ	6a	6в	6c	54	48	6	6	
3	3	I	a		6c	21	10	11	3 (+8 ს. ძ.)	4.
3	3	II	a	—	—	3	3	(4 ს. ძ.)	4	
3	3	III	a	—	—	3	3	(4 ს. ძ.)	4	
3	3	IV	a	6в	—	21	10	11	3 (+8 ს. ძ.)	
3	3	V	a	—	—	3	3	(4 ს. ძ)	4	
3	3	VI	a	—	—	3	3	(4 ს. ძ.)	4	
18	18	სულ	6a	6в	6c	54	32	22 (+16 ს. ძ.)	22 (+16 ს. ძ.)	
13	3 (+10 ს. ძ.)	I	6a	—	—	18	6	12	6 (+6 ს. ძ.)	6.
(5 ს. ძ.)	5	II	a	—	—	—	—	(6 ს. ძ.)	6	
(5 ს. ძ.)	5	III	—	6в	—	18	6	12	6 (+6 ს. ძ.)	
13	3 (+10 ს. ძ.)	IV	—	—	—	—	—	(6 ს. ძ.)	6	
(5 ს. ძ.)	5	V	—	—	6c	18	6	12	6 (+6 ს. ძ.)	
(5 ს. ძ.)	5	VI	—	—	—	—	—	(6 ს. ძ.)	6	
26 (+20 ს. ძ.)	26 (+20 ს. ძ.)	სულ	6a	6в	6c	54	18	36 (+18 ს. ძ.)	36 (+18 ს. ძ.)	

ახლა განვიხილოთ ეს სქემა, რომელიც გვიჩვენებს თანმიმდევრულ ცვლილებებს 6 მწარმოებლისაგან შემდგარი თემის მეურნეობის სისტემაში. სქემაში მოყვანილია 6 პერიოდი, რომლებიც გამოხატავენ ნატურალური მეურნეობის კაპიტალისტურ მეურნეობად გადაქცევის სტადიებს.

1-ლი პერიოდი. გვყავს 6 მწარმოებელი, რომელთაგან თვითეული თავის შრომას ხარჯავს მრეწველობის სამივე დარგში (*a*-ში, *b*-ში და *c*-ში). მიღებული პროდუქტი (9 თვითეულ მწარმოებელს: $a + b + c = 9$) იხარჯება თავის თავზე თავისსავე მეურნეობაში. ამიტომ ჩვენ გვაქვს ნატურალური მეურნეობის წმინდა სახე; ბაზარზე პროდუქტები სრულებით არ გადის.

მე-2 პერიოდი. I-ლი მწარმოებელი იცვლის თავისი შრომის ნაყოფიერებას: იგი სტოვებს მრეწველობა *b*-ს, და დროს, რომელსაც წინათ მრეწველობის ამ დარგში ხარჯავდა, ხარჯავს მრეწველობა *c*-ში. ერთი მწარმოებლის ასეთი სპეციალიზაციის გამო დანარჩენნი ამცირებენ *c* წარმოებას, რადგან I-მა მეპატრონემ ნაჭარბი აწარმოვა საკუთარი მოხმარების მიმართ, და აძლიერებენ *b* წარმოებას, რათა აწარმოონ პროდუქტი I-ლი მწარმოებლისათვის. წარმოშობილი შრომის დანაწილება გარდუვალად იწვევს სასაქონლო წარმოებას: I-ლი მწარმოებელი ჰყიდის 1 *c*-ს და ყიდულობს 1 *b*-ს, დანარჩენი მწარმოებლები ჰყიდიან 1 *b*-ს (ყოველი ხუთთაგანი $^1/_5$ b-ს) და ყიდულობენ 1 *c*-ს (თვითეული $^1/_5$ c-ს); ბაზარზე შემოდის პროდუქტის რაოდენობა, ღირებული *6*-ად. ბაზრის სიდიდე ზუსტად შეესაბამება საზოგადოებრივი შრომის სპეციალიზაციის დონეს: დასპეციალდა ერთი *c*-ს ($1\ c = 3$) და ერთი *b*-ს ($1\ b = 3$) წარმოება, ე. ი. საზოგადოებრივი ერთობლივი წარმოების ერთი მეცხრედი ნაწილისა [$18\ c\ (= a = b)$], და ბაზარზე შემოვიდა საზოგადოებრივი ერთობლივი პროდუქტის $^1/_9$.

მე-3 პერიოდი. შრომის დანაწილება წინ მიდის, სავსებით მოიცავს რა მრეწველობის *b* და *c* დარგებს: სამი მწარმოებელი მოსაქმეობს მხოლოდ *b* მრეწველობით, სამი — მხოლოდ *c* მრეწველობით. თვითეული ჰყიდის 1 c-ს (ან 1 b-ს), ე. ი. ღირებულების 3 ერთეულს და ყიდულობს აგრეთვე 3-ს — 1 *b*-ს

(ან 1 *c*-ს). შრომის დანაწილების ეს გაძლიერება იწვევს ბაზრის ზრდას, სადაც ახლა უკვე შემოდის ღირებულების 18 ერთეული. ბაზრის სიდიდე ისევ-ისე ზუსტად შეესაბამება საზოგადოებრივი შრომის სპეციალიზაციის (= დანაწილების) დონეს: დასპეციალდა 3 *b*-ს და 3 *c*-ს წარმოება, ე. ი. საზოგადოებრივი წარმოების $^1/_3$, და ბაზარზეც შემოდის საზოგადოებრივი პროდუქტის $^1/_3$.

მე-4 პერიოდი გამოხატავს უკვე კაპიტალისტურ წარმოებას: სასაქონლო წარმოების კაპიტალისტურ წარმოებად გარდაქმნის პროცესი სქემაში არ შესულა და ამიტომ ცალკე უნდა იქნას აწერილი.

წინა პერიოდში თვითეული მწარმოებელი უკვე საქონელმწარმოებელს წარმოადგენდა (მრეწველობის *b* და *c* დარგებში, რადგან მხოლოდ მათ შესახებაა სწორედ ლაპარაკი): თვითეული მწარმოებელი ცალკეულად, განკერძოებულად, სხვა მწარმოებელთაგან დამოუკიდებლად, აწარმოებდა ბაზრისათვის, რომლის სიდიდე, რასაკვირველია, არცერთმა მათგანმა არ იცოდა. საერთო ბაზრისათვის მომუშავე განცალკევებულ მწარმოებელთა ამ ურთიერთობას კონკურენცია ეწოდება. თავისთავად გასაგებია, რომ ასეთ პირობებში წონასწორობის მიღწევა წარმოებასა და მოხმარებას (მიწოდებასა და მოთხოვნას) შორის შესაძლებელია მხოლოდ მთელ რიგ მერყეობათა შემდეგ. უფრო დახელოვნებული, თაოსანი, ძლიერი მწარმოებელი კიდევ უფრო მეტად გაძლიერდება ამ მერყეობათა გამო, — სუსტი და დაუხელოვნებელი გაისრისება მათ მიერ. მცირეოდენთა გამდიდრება და მასის გაღატაკება — ასეთია კონკურენციის კანონის გარდუვალი შედეგები. საქმე იმით თავდება, რომ გაკოტრებული მწარმოებლები ჰკარგავენ მეურნეობრივ დამოუკიდებლობას და დაქირავებულ მუშებად შედიან თავისი ბედნიერი მეტოქის გაფართოებულ საწარმოში. სწორედ ეს მდგომარეობა არის გამოხატული სქემაშიც. მრეწველობის *b* და *c* დარგები, წინათ ყველა 6 მწარმოებელს შორის განაწილებული, ახლა თავმოყრილია 2 მწარმოებლის ხელში (I-ლისა და IV-ის). დანარჩენი მწარმოებლები მათთან მუშაობენ დაქირავებით,

იღებენ რა უკვე თავიანთი შრომის არა მთელ პროდუქტს, არამედ ზეღირებულების გამოკლებით, რომელსაც მეპატრონე ითვისებს [მოგაგონებთ, რომ ზეღირებულება, ვარაუდით, უდრის პროდუქტის $^1/_3$-ს, ასე რომ ვინც 2 *b*-ს (=6) აწარმოებს, მეპატრონისგან მიიღებს $^2/_3$-ს — ე. ი. 4-ს]. შედეგად ვიღებთ შრომის დანაწილების გაძლიერებას — და ბაზრის ზრდას, სადაც შემოდის უკვე 22, მიუხედავად იმისა, რომ «მასა» «გაღარიბდა»: — (ნაწილობრივ) დაქირავებულ მუშებად გადაქცეული მწარმოებლები ახლა იღებენ სულ პროდუქტს არა 9-ს თვითეული, არამედ მხოლოდ 7-ს, — 3-ს ის იღებს დამოუკიდებელი მეურნეობისაგან (სამიწათმოქმედოსგან — *a* მრეწველობა) და 4-ს — დაქირავებული შრომისაგან (2 *b*-ს ან 2 *c*-ს წარმოებისაგან). ამ მწარმოებლებმა, რომლებიც უკვე უფრო დაქირავებულ მუშებს წარმოადგენენ, ვიდრე დამოუკიდებელ მეპატრონეებს, დაჰკარგეს შესაძლებლობა ბაზარზე გაიტანონ თავიანთი შრომის რაიმე პროდუქტი, იმიტომ რომ გაკოტრების გამო მათ დაჰკარგეს წარმოების საშუალებები, რომლებიც საჭიროა პროდუქტის გამომუშავებისათვის. ისინი იძულებული გახდნენ «საშოვრებისათვის» მიემართნათ, ე. ი. ბაზარზე გაეტანათ თავიანთი სამუშაო ძალა და ამ ახალი საქონლის გაყიდვით მიღებული ფულით ეყიდათ თავისთვის საჭირო პროდუქტი.

სქემიდან სჩანს, რომ II და III, V და VI მწარმოებლები ჰყიდიან თვითეული 4 ერთეული ღირებულების სამუშაო ძალას და ყიდულობენ იმავე თანხის მოხმარების საგნებს. რაც შეეხება მწარმოებლებს — კაპიტალისტებს, I-ლს და IV-ს, თვითეული მათგანი აწარმოებს პროდუქტს 21-ისას; აქედან თვითონ ხარჯავს 10-ს [3 (=a) + 3 (= c-ს ან b-ს) + 4 (2 *c*-ს ან 2 *b*-ს ზეღირებულება)], და ჰყიდის 11-ს; საქონელს კი ის ყიდულობს 3-ისას (*c* ან *b*) + 8 (სამუშაო ძალა).

უნდა შევნიშნოთ, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ ვერ ვიღებთ აბსოლუტურ შესაბამისობას საზოგადოებრივი შრომის სპეციალიზაციის დონესა (დასპეციალდა წარმოება 5 *b*-ს და 5 *c*-ს, ე. ი. თანხა 30-ისა) და ბაზრის სიდიდეს შორის (22), — მაგრამ სქემის ეს უსწორობა დამოკიდებულია მარტივი რეპროდუქციის

დაშვებაზე *, ე. ი. დაგროვების უქონლობაზე, რის გამოც აღმოჩნდა სწორედ, რომ ზეღირებულება, რომელიც მუშებს ერთმევათ (4 — თვითეული კაპიტალისტის მიერ), მთლიანად ნ ა ტ უ რ ი თ იხარჯება. რადგან კაპიტალისტურ საზოგადოებაში დაგროვების უქონლობა შეუძლებელია, ამიტომ ქვემოთ შეტანილი იქნება შესაფერი შესწორება.

მე-5 პერიოდი. საქონელმწარმოებელთა დაშლა გავრცელდა სამიწათმოქმედო მრეწველობაზეც (*a*): დაქირავებულ მუშებს, რომლებიც უმთავრესად სხვის სამრეწველო საწარმოებში მუშაობდნენ, აღარ შეეძლოთ მეურნეობის განგრძობა და გაღატაკდნენ: მათ შერჩათ სამიწათმოქმედო მეურნეობის მხოლოდ საცოდავი ნაშთები, წინანდელი რაოდენობის $^1/_2$-ის მოცულობით (რომელიც, ჩვენი ვარაუდით, საკმარისი იყო სწორედ ოჯახის საჭიროებათა დასაფარავად) — სავსებით ისევე, როგორც ჩვენი გლეხების — «მიწათმოქმედთა» უზარმაზარი მასის ახლანდელი ნათესები წარმოადგენენ დამოუკიდებელი სამიწათმოქმედო მეურნეობის მხოლოდ საცოდავ ნამცეცებს. *a* მრეწველობამაც სწორედ ასევე დაიწყო კონცენტრაცია მცირერიცხოვან მსხვილ საწარმოებად. რადგან ახლა დაქირავებულ მუშებს აღარ შეუძლიათ თავისი პურით გაიტანონ თავი, ამიტომ ხელფასი, რომელიც მცირდებოდა მუშების დამოუკიდებელი სამიწათმოქმედო მეურნეობის არსებობისას, იზრდება, აძლევს რა მუშას ფულად სახსრებს პურის საყიდლად (თუმცა უფრო ნაკლები რაოდენობით, ვიდრე ის ხარჯავდა, როცა თვითონ იყო მეპატრონე): ახლა მუშა თვითონ აწარმოებს $1^1/_2$-ს (= $^1/_2$ a) და დამატებით ყიდულობს 1-ს, იღებს რა სულ $2^1/_2$-ს, ნაცვლად წინანდელი 3-ისა (=a). მეპატრონეები — კაპიტალისტები, რომლებმაც თავიანთ სამრეწველო საწარმოებს შემოუერთეს გაფართოებული სამიწათმოქმედო მეურნეობა, ახლა აწარმოებენ თვითეული 2 *a*-ს (=6), რომელთაგან 2 გადადის მუშების ხელში ხელფასის სახით, ხოლო 1 ($^1/_3$ a) — ზეღირებულება — რჩებათ მათ. კაპიტალიზმის განვითარებას, რომელსაც ეს სქემა

* ეს თანაბრად შეეხება მე-5 და მე-6 პერიოდებსაც.

გამოხატავს, თან ახლავს «ხალხის» «გაღარიბება» (მუშები სულ უკვე ხარჯავენ თვითეული $6^1/_2$-ს, და არა 7-ს, როგორც მე-4 პერიოდში) და ბაზრის ზრდა, სადაც უკვე შემოდის 26. მწარმოებელთა უმრავლესობის «სამიწათმოქმედო მეურნეობის დაცემამ» გამოიწვია სამიწათმოქმედო პროდუქტთა ბაზრის არა შემცირება, არამედ გადიდება.

მე-6 პერიოდი. დამთავრება მოსაქმეობის სპეციალიზაციისა, ე. ი. საზოგადოებრივი შრომის დანაწილებისა. მრეწველობის ყველა დარგები გამოიყვნენ და ცალკეულ მწარმოებელთა სპეციალობად იქცნენ. დაქირავებულმა მუშებმა სავსებით დაჰკარგეს დამოუკიდებელი მეურნეობა და უკვე მხოლოდდამხოლოდ დაქირავებული შრომით არსებობენ. შედეგი ისევ იგივეა: კაპიტალიზმის განვითარება [დამოუკიდებელი მეურნეობა თავისთვის საბოლოოდ განდევნილია], «მასის გაღარიბება» [თუმცა ხელფასი გაიზარდა კიდეც, მაგრამ მუშების მოხმარება შემცირდა $6^1/_2$-დან 6-მდე: ისინი თვითეული აწარმოებენ 9-ს (3 a, 3 b, 3 c) და $^1/_3$-ს მეპატრონეს აძლევენ, როგორც ზეღირებულებას] და შემდგომი ზრდა ბაზრისა, სადაც ახლა შემოდის უკვე საზოგადოებრივი პროდუქტის $^2/_3$ (36).

VI

გამოვიყვანოთ ახლა დასკვნები, რომლებიც მოყვანილი სქემიდან გამომდინარეობს.

პირველი დასკვნა იმაში მდგომარეობს, რომ «ბაზრის» ცნება სრულიად განუყოფელია შრომის საზოგადოებრივი დანაწილების — ამ, როგორც მარქსი ამბობს, «ყოველი სასაქონლო [და, მაშასადამე, — დავუმატებთ ჩვენ — აგრეთვე კაპიტალისტური] წარმოების საერთო საფუძვლის» — ცნებისაგან. «ბაზარი» ჩნდება იქ და იმდენად, სადაც და რამდენადაც ჩნდება შრომის საზოგადოებრივი დანაწილება და სასაქონლო წარმოება. ბაზრის სიდიდე განუყრელად დაკავშირებულია საზოგადოებრივი შრომის სპეციალიზაციის დონესთან.

«საქონელი საყოველთაო, საზოგადოებრივად-აღიარებულ ეკვივალენტურ ფორმას იძენს მხოლოდ ფულის სახით, ფული

კი სხვის ჯიბეშია. ის რომ იქიდან ამოვიღოთ, საქონელი უპირველეს ყოვლისა სახმარ ღირებულებას უნდა წარმოადგენდეს ფულის მფლობელისათვის, და, მაშასადამე, შრომა, რომელიც ამ საქონლის წარმოებაზე დაიხარჯა, უნდა დაიხარჯოს საზოგადოებრივად-სასარგებლო ფორმით, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უნდა გახდეს შრომის საზოგადოებრივი დანაწილების წევრად. მაგრამ შრომის დანაწილება თავისთავად წარმოადგენს ბუნებრივად აღმოცენებულ საწარმოო ორგანიზმს, რომლის ქსოვილები გადახლართულან და ახლაც იხლართებიან საქონელმწარმოებელთა ზურგს უკან. შესაძლებელია, რომ საქონელი წარმოადგენდეს შრომის იმ ახალი სახის პროდუქტს, რომლის დანიშნულებას შეადგენს დააკმაყოფილოს ახლად წარმოშობილი მოთხოვნილება ანდა თავისი გამოჩენით პირველად შეჰქმნას ახალი მოთხოვნილება. რაიმე განსაკუთრებული მოქმედება შრომის პროცესში,—მოქმედება, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენდა ერთი და იმავე საქონელმწარმოებლის მრავალ ფუნქციათაგან,—დღეს, შეიძლება, მოსწყდება ამ პროცესს, დამოუკიდებელი ხდება და, სწორედ ამის გამო, თავის ნაწილობრივ პროდუქტს დამოუკიდებელი საქონლის სახით გზავნის ბაზარზე» («Das Kapital», I Bd., S. 85*. ხაზგასმა ჩემია).

ამრიგად, კაპიტალისტური საზოგადოების არსებობის დროს, ბაზრის განვითარებას საზღვარი ედება საზოგადოებრივი შრომის სპეციალიზაციის საზღვრებით. ხოლო ეს სპეციალიზაცია, თავისი არსებით, უსაზღვროა—სწორედ ისევე, როგორც ტექნიკის განვითარებაც. იმისათვის, რომ გაიზარდოს ნაყოფიერება ადამიანის შრომისა, რომელიც მიმართულია, მაგალითად, მთელი პროდუქტის რომელიმე ნაწილაკის დამზადებისაკენ, საჭიროა, რომ მოხდეს ამ ნაწილაკის წარმოების სპეციალიზაცია, იქცეს განსაკუთრებულ წარმოებად, რომელსაც საქმე ექნება

*—«კაპიტალი», ტ. I, გვ. 85.[12] რედ.

მასობრივ პროდუქტთან და ამიტომ დაუშვებს (და გამოიწვევს) მანქანების გამოყენებას და სხვ. ეს ერთი მხრით. მეორე მხრით კი, კაპიტალისტურ საზოგადოებაში ტექნიკის პროგრესი მდგომარეობს შრომის განსაზოგადოებაში, ეს განსაზოგადოება კი უცილობლად მოითხოვს წარმოების პროცესის სხვადასხვა ფუნქციათა სპეციალიზაციას, მათს გადაქცევას დაქუცმაცებული, ერთეულადი ფუნქციებიდან, რომლებიც ყოველ საწარმოში, ამ წარმოებას რომ ეწევა, თავისებური სახით მეორდებიან,— განსაზოგადოებულ, ერთს, ახალ საწარმოში თავმოყრილ და მთელი საზოგადოების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის გათვალისწინებულ ფუნქციებად. მოვიყვან მაგალითს.

«უკანასკნელ ხანებში ჩრდილო-ამერიკის შტატებში ხის დამამუშავებელი ქარხნები სულ უფრო და უფრო სპეციალდებიან, «ჩნდება ქარხნები, რომლებიც აკეთებენ, მაგალითად, მხოლოდ-დამხოლოდ ცულის ტარებს, ან ცოცხის ტარებს, ან გასაშლელ მაგიდებს... სამანქანო საქმე შეუჩერებლივ წინ მიდის, განუწყვეტლივ იგონებენ ახალ მანქანებს, რომლებიც ამარტივებენ და აიაჟებენ წარმოების განსაზღვრულ მხარეს... მაგალითად, ავეჯეულობის საქმის ყოველი დარგი გადაიქცა სპეციალობად, მოითხოვს განსაკუთრებულ მანქანებს და განსაკუთრებულ მუშებს... ეტლის კეთების საქმეში ბორბლის ფერსოებს ამზადებენ განსაკუთრებულ ქარხნებში (მისური, არკანზასი, ტენესი), ბორბლის მანებს ინდიანასა და ოჰაიოში, მორგვებსაც სპეციალურ ქარხნებში კენტუკსა და ილინოისში. ყველა ამ ცალკეულ ნაწილს ყიდულობენ განსაკუთრებული ქარხნები, რომელთა სპეციალობას შეადგენს მთელი ბორბლები. ამრიგად, მთელი ათეული ქარხანა იღებს მონაწილეობას რომელიმე იაფი ეტლის გაკეთებაში» (ბ-ნი ტვერსკოი: «ათი წელი ამერიკაში». «ვესტნიკ ევროპი» 1893, 1.— ციტატა მომყავს ნიკ.—ონის[13] წიგნის მიხედვით, გვ. 91, შენიშ. 1).

აქედან სჩანს, რარიგად არასწორია იმის მტკიცება, თითქოს ბაზრის ზრდა კაპიტალისტურ საზოგადოებაში, გამოწვეული საზოგადოებრივი შრომის სპეციალიზაციით, მაშინვე უნდა დამთავრდეს, როგორც კი ყველა ნატურალური მწარმოებელნი

საქონელმწარმოებლებად გადაიქცევიან. რუსეთის საეტლო წარმოება უკვე დიდი ხანია სასაქონლო წარმოებად გადაიქცა, მაგრამ რაღაც ბორბლის ფერსოებს ჯერ კიდევ თვითეულ საეტლო (ან საბორბლე) საწარმოში ცალკე აკეთებენ; ტექნიკა დაბალია, წარმოება დაქუცმაცებულია მწარმოებელთა მასას შორის. ტექნიკის პროგრესმა უნდა გამოიწვიოს წარმოების სხვადასხვა ნაწილის სპეციალიზაცია, მათი განსაზოგადოება და, მაშასადამე, ბაზრის გადიდებაც.

აქ უნდა შევნიშნოთ. ყოველივე ზემოთქმულს სრულებითაც არ მივყევართ იმ დებულების უარყოფამდე, რომ კაპიტალისტურ ერს არ შეუძლია იარსებოს საგარეო ბაზრების გარეშე. კაპიტალისტური წარმოების დროს წარმოებასთან მოხმარების წონასწორობის მიღწევა ხდება მხოლოდ მთელ რიგ მერყეობათა გზით; რაც უფრო მსხვილია წარმოება, რაც უფრო ფართოა იმ მომხმარებელთა წრე, რომლებისთვისაც ის ნავარაუდევია, მით უფრო ძლიერია ეს მერყეობანი. ამიტომ გასაგებია, რომ როდესაც ბურჟუაზიულმა წარმოებამ განვითარების მაღალ დონეს მიაღწია, მას უკვე აღარ შეუძლია მოთავსდეს ნაციონალური სახელმწიფოს ჩარჩოებში: მეტოქეობა კაპიტალისტებს აიძულებს სულ უფრო და უფრო გააფართოონ წარმოება და გამოიძებნონ საგარეო ბაზრები პროდუქტის მასობრივად გასაღებისათვის. ცხადია, საგარეო ბაზრების საჭიროება კაპიტალისტური ერისათვის ისევე ნაკლებ არღვევს იმ კანონს, რომ ბაზარი შრომის საზოგადოებრივი დანაწილების მარტივ გამოხატულებას წარმოადგენს სასაქონლო მეურნეობის დროს და რომ, მაშასადამე, მას შეუძლია ზრდა ისევე დაუსრულებლივ, როგორც შრომის დანაწილებასაც, — როგორც კრიზისები ნაკლებ არღვევენ ღირებულების კანონს. გულშემატკივრობა ბაზრების მიმართ რუსულ ლიტერატურაში მხოლოდ მაშინ გაჩნდა, როდესაც ჩვენებურმა კაპიტალისტურმა წარმოებამ თავის განსაზღვრულ დარგებში (მაგალითად, ბამბეულის მრეწველობა) სრულ განვითარებას მიაღწია, თითქმის მთელი შინაური ბაზარი მოიცვა და მცირერიცხოვან უდიდეს საწარმოებად ჩამოყალიბდა. რომ ბაზრების შესახებ მითქმა-მოთქმისა და

«საკითხების» აღძვრის მატერიალურ საფუძველს წარმოადგენს სწორედ ჩვენი მსხვილი კაპიტალისტური მრეწველობის ინტერესები, — ამის საუკეთესო დამამტკიცებელია ის ფაქტი, რომ ჩვენს ლიტერატურაში ჯერ არავის უწინასწარმეტყველებია ჩვენი შინამრეწველობის დაღუპვა «ბაზრების» გაქრობის გამო, თუმცა შინამრეწველობა მილიარდ მანეთზე მეტ ფასეულობას ჰქმნის და იმავე გაღატაკებული «ხალხისთვის» მუშაობს. გოდება ბაზრების ნაკლებობის გამო ჩვენი მრეწველობის დაღუპვის შესახებ — სხვას არას წარმოადგენს, თუ არა თეთრი ძაფით ნაკერ ხერხს ჩვენი კაპიტალისტებისას, რომლებიც ამით ზეგავლენას ახდენენ პოლიტიკაზე, თავისი ჯიბის ინტერესებს (თავისი «უძლურების» მორცხვი შეგნებით) აიგივებენ «ქვეყნის» ინტერესებთან და უნარს იჩენენ წაუბიძგონ მთავრობას დაპყრობითი კოლონიური პოლიტიკის გზისაკენ, ომშიც კი ჩაითრიონ ოგი, ასეთი «სახელმწიფო» ინტერესების დაცვის გულისთვის. ნაროდნიკული უტოპიზმისა და ნაროდნიკული გულუბრყვილობის სწორედ მთელი ეს უძირო უფსკრულია საჭირო, რომ გოდება ბაზრების შესახებ — სავსებით გამაგრებული და უკვე თავგასული ბურჟუაზიის ეს ნიანგის ცრემლები — ჩვენი კაპიტალიზმის «უძლურების» დამამტკიცებლად მიიჩნიო!

მეორე დასკვნა იმაში მდგომარეობს, რომ «ხალხის მასის გაღარიბება» (ბაზრის შესახებ ყველა ნაროდნიკულ მსჯელობათა ეს უსათუო წევრი) არა თუ ხელს არ უშლის კაპიტალიზმის განვითარებას, არამედ, პირიქით, სწორედ მის განვითარებას გამოხატავს, კაპიტალიზმის პირობას წარმოადგენს და აძლიერებს მას. კაპიტალიზმისათვის საჭიროა «თავისუფალი მუშა», და გაღარიბება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ წვრილი მწარმოებლები დაქირავებულ მუშებად იქცევიან. მასის ამ გაღარიბებას თან სდევს მცირერიცხოვან ექსპლოატატორთა გამდიდრება, წვრილ საწარმოთა გაკოტრებასა და დაქვეითებას თან სდევს უფრო მსხვილ საწარმოთა გაძლიერება და განვითარება; ორივე პროცესი ხელს უწყობს ბაზრის ზრდას: «გაღარიბებული» გლეხი, რომელიც წინათ თავისი მეურნეობით არსებობდა, ახლა ცხოვრობს «საშოვრებით», ე. ი. თავისი

სამუშაო ძალის გაყიდვით; მას ახლა მოხმარების აუცილებელი საგნების ყიდვა უხდება (თუნდაც უფრო ნაკლები რაოდენობით და უფრო ცუდი ხარისხისა); მეორე მხრით, წარმოების ის საშუალებები, რომლებისგანაც ეს გლეხი თავისუფლდება, თავს იყრის უმცირესობის ხელში, იქცევა კაპიტალად, და წარმოებული პროდუქტიც უკვე ბაზარზე გადის. მხოლოდ ამით აიხსნება ის მოვლენა, რომ რეფორმისშემდგომ ეპოქაში ჩვენი გლეხობის მასობრივ ექსპროპრიაციას თან ახლდა ქვეყნის საერთო ნაყოფიერების არა შემცირება, არამედ გადიდება* და შინაური ბაზრის ზრდა: საყოველთაოდ ცნობილია ის ფაქტი, რომ უდიდესად გაიზარდა მსხვილი ფაბრიკებისა და ქარხნების წარმოება, რომ მნიშვნელოვნად გავრცელდა შინამრეწველური სარეწები — ერთნიც და მეორენიც უმთავრესად შინაური ბაზრისათვის მუშაობენ — ასევე გადიდდა შინაურ ბაზრებზე გამოტანილი პურის რაოდენობაც (პურის ვაჭრობის განვითარება ქვეყნის შიგნით).

* ეს შეიძლება სადავოდ მოგვეჩვენოს მხოლოდ სამიწათმოქმედო მრეწველობის მიმართ. «პურის წარმოება აბსოლუტურ უმოძრაობას განიცდის», ამბობს, მაგალითად, ბ-ნი ნ. —ონი. ეს დასკვნა მას გამოჰყავს მხოლოდ 8 წლის (1871 — 1878 წწ.) მონაცემებზე დაყრდნობით. ვნახოთ ცნობები უფრო ხანგრძლივი პერიოდისა: 8 წელი, რასაკვირველია, მეტისმეტად მცირეა. შევადაროთ ცნობები 60-იანი წლებისა. [«სამხედრო-სტატ. კრებული», 1871], 70-ისა [ნ.—ონის ცნობები] და 80-ისა [«კრებული ცნობებისა რუსეთის შესახებ», 1890]. ცნობები ეხება ევროპის რუსეთის 50 გუბერნიას და მოიცავს ყოველგვარ პურეულს, კარტოფილის ჩათვლით.

საშუალო წლიური / წლები	დათესილია		აღებულია		მოსავალი ერთი	მოსახლეობა (ათასებად)	
	ათას ჩეტვერტებად		(თესლის გამოკლებით)				
1864 — 1866 წწ. (3)	71 696	100	151 840	100	3,12	61 421 (1867 წ.)	100
1871 — 1878 წწ. (8)	71 378	99,5	195 024	128,4	3,73	76 594 (1876 წ.)	124,7
1883 — 1887 წწ. (5)	80 293	111,9	254 914	167,8	4,17	85 395 (1886 წ.)	139,0

მესამე დასკვნა — წარმოების საშუალებათა წარმოების შნიშვნელობის შესახებ — მოითხოვს შესწორების შეტანას სქემაში. როგორც უკვე აღნიშნული იყო, ამ სქემას სრულიადაც არა აქვს იმის პრეტენზია, რომ სრულად გამოხატავდეს კაპიტალიზმის განვითარების მთელ პროცესს, ის მხოლოდ იმას გამოხატავს, თუ როგორ გავლენას ახდენს ბაზარზე ნატურალური მეურნეობის შეცვლა სასაქონლო მეურნეობით და ამ უკანასკნელისა — კაპიტალისტურით. ამიტომაც იყო იქ აბსტრაჰირებული დაგროვება. ამავე დროს სინამდვილეში კაპიტალისტური საზოგადოება ისე ვერ იარსებებს, თუ არ დააგროვა, რადგან მეტოქეობა თვითეულ კაპიტალისტს აიძულებს, გაკოტრების მუქარით, გააფართოოს წარმოება. წარმოების ასეთი გაფართოება სქემაშიც იყო გამოხატული: I-მა მწარმოებელმა, მაგალითად, მე-3 და მე-4 პერიოდთა შუალედის განმავლობაში თავისი წარმოება *c* გააფართოვა ერთი-სამად: 2 *c*-დან 6 *c*-მდე; წინათ იგი მარტო მუშაობდა საწარმოში, — ახლა ორი დაქირავებული მუშით მუშაობს. ცხადია, რომ წარმოების ეს გაფართოება დაუგროვებლად ვერ მოხდებოდა: საჭირო იყო განსაკუთრებული სახელოსნოს აშენება რამდენიმე კაცისათვის, წარმოების იარაღების შეძენა მეტი რაოდენობით, მეტი რაოდენობის ნედლეულის შესყიდვა და ბევრ. სხვ. იგივე ითქმის IV მწარმოებლის მიმართაც, რომელმაც გააფართოვა წარმოება *b*. ცალკეულ საწარმოთა ამ გაფართოებას, წარმოების კონცენტრაციას გარდუვალად უნდა გამოეწვია (ან გაეძლიერებინა — ეს სულერთია) წარმოების საშუალებათა წარმოება კაპიტალისტებისათვის: მანქანების, რკინის, ქვანახშირისა და სხვ. წარმოების კონცენტრაციამ გაადიდა შრომის ნაყოფიერება, ხელით შრომა შესცვალა მანქანური შრომით და განდევნა მუშების განსაზღვრული ნაწილი. მეორე მხრით, ვითარდებოდა ამ მანქანებისა და წარმოების სხვა საშუალებათა წარმოებაც, რომელთაც კაპიტალისტები მუდმივ კაპიტალად აქცევენ, ეს უკანასკნელი კი ახლა უკვე ცვალებადზე უფრო სწრაფად იზრდება. მაგალითად, მე-4 პერიოდი რომ შეგვედარებინა მე-6 პერიოდისათვის, მივიღებდით წარმოების საშუალებათა წარ-

მოების გადიდებას $1^1/_2$-ჯერ (რადგან 1-ლ შემთხვევაში გვაქვს 2 კაპიტალისტური საწარმო, რომლებიც მუდმივი კაპიტალის გადიდებას მოითხოვს, უკანასკნელში კი — 3): ეს ზრდა რომ შეგვედარებინა მოხმარების საგნების წარმოების ზრდასთან, მივიღებდით წარმოების საშუალებათა წარმოების სწორედ იმ უაღრესად სწრაფ ზრდას, რომლის შესახებაც ზემოთ იყო ლაპარაკი.

წარმოების საშუალებათა უაღრესად სწრაფი ზრდის ამ კანონის მთელი აზრი და მნიშვნელობა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ხელით შრომის შეცვლა მანქანური შრომით,— საერთოდ ტექნიკის პროგრესი მანქანური ინდუსტრიის დროს,— მოითხოვს ქვანახშირისა და რკინის, ამ ნამდვილ «წარმოების საშუალებებისათვის საჭირო წარმოების საშუალებათა» მოპოვების წარმოებათა გაძლიერებით განვითარებას. რეფერენტმა რომ ვერ გაიგო ამ კანონის აზრი და პროცესის გამომხატველი სქემების გამო რომ მას პროცესის ნამდვილი შინაარსი გამოეპარა, ეს ნათლად სჩანს მისი ასეთი განცხადებიდან: «გარედან შეხედვით წარმოების საშუალებებისათვის წარმოების საშუალებათა ასეთი წარმოება სრულიად უაზროდ მოსჩანს, მაგრამ პლიუშკინის მიერ ფულისთვის ფულის შეგროვებაც ხომ [sic!] აგრეთვე (?!!) სრულიად უაზრო პროცესი იყო. ვინაიდან არც იმათ და არც მან არ უწყიან, რასა იქმოდნენ». სწორედ ნაროდნიკები მთელ ძალღონეს სძაბავენ, რათა დაამტკიცონ ეს — უაზრობა რუსული კაპიტალიზმისა, რომელიც, თითქოს, ხალხს აღატაკებს, მაგრამ არ იძლევა წარმოების მაღალ ორგანიზაციას. ეს, რასაკვირველია, ზღაპარია. მანქანური შრომით ხელის შრომის შეცვლაში «უაზრო» არაფერია: პირიქით, სწორედ ამაში მდგომარეობს ადამიანთა ტექნიკის მთელი პროგრესიული მუშაობა. რაც უფრო მეტად ვითარდება ტექნიკა, მით უფრო მეტად იდევნება ადამიანის ხელით შრომა, იცვლება რა მთელი რიგი სულ უფრო და უფრო რთული მანქანებით: ქვეყნის საერთო წარმოებაში სულ უფრო მეტს ადგილს იჭერენ მანქანები და მათ გასაკეთებლად საჭირო საგნები *.

* ამიტომ გასაგებია, რომ კაპიტალიზმის განვითარების გაყოფა სიფართით და სიღრმით განვითარებად — არ არის სწორი: მთელი განვითა-

ამ სამ დასკვნას საჭიროა დავუმატოთ კიდევ ორი შენიშვნა.

ჯერ-ერთი, ზემოთქმული სრულიად არ უარჰყოფს იმ «წინააღმდეგობას წარმოების კაპიტალისტურ წესში», რომლის შესახებ მარქსი შემდეგს ამბობს: «მუშები, როგორც საქონლის მყიდველნი, მნიშვნელოვანნი არიან ბაზრისათვის. მაგრამ კაპიტალისტურ საზოგადოებას იმის ტედენცია აქვს, რომ შეუზღუდოს ხელფასი მათ, როგორც თავიანთი საქონლის — სამუშაო ძალის — გამყიდველთ, ფასის მინიმუმით» («Kapital», Bd. II, S. 303, № 32 *). ზემოთ უკვე აღნიშნული იყო, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში არ შეიძლება არ იზრდებოდეს საზოგადოებრივი წარმოების ის ნაწილიც, რომელიც მოხმარების საგნებს აწარმოებს. წარმოების საშუალებათა წარმოების განვითარება მხოლოდ გადასდებს აღნიშნულ წინააღმდეგობას, მაგრამ ვერ სპობს მას. მისი მოსპობა შეიძლება მხოლოდ თვით წარმოების კაპიტალისტური წესის მოსპობასთან ერთად. მაგრამ თავისთავად იგულისხმება, რომ ამ წინააღმდეგობის მიჩნევა რუსეთში კაპიტალიზმის სრული განვითარების დაბრკოლებად (როგორც ეს ნაროდნიკებს სჩვევიათ) — უკვე სრული უაზრობაა; — თუმცა ეს უკვე საკმაოდ განმარტებულია სქემით.

მეორეც, კაპიტალიზმისა და «ბაზრის» ზრდას შორის თანაშეფარდების განხილვის დროს შეუძლებელია მხედველობიდან გავუშვათ ის უეჭველი ჭეშმარიტება, რომ კაპიტალიზმის განვითარება გარდუვალად იწვევს მთელი მოსახლეობისა და მუშა პროლეტარიატის მოთხოვნილებათა დონის ზრდას. ამ ზრდას საერთოდ ჰქმნის პროდუქტთა გაცვლა-გამოცვლის

რება ერთნაირად სწარმოებს შრომის დანაწილების ხარჯზე; ამ მომენტებს შორის «არსებითი» განსხვავება არ არის. მათ შორის ნამდვილად არსებული განსხვავება კი გამოწვეულია ტექნიკის პროგრესის სხვადასხვა სტადიით. კაპიტალისტური ტექნიკის განვითარების დაბალი სტადიები — მარტივი კოოპერაცია და მანუფაქტურა — ჯერ კიდევ არ იცნობენ წარმოების საშუალებებისათვის წარმოების საშუალებათა წარმოებას: ის ჩნდება და უდიდეს განვითარებას აღწევს მხოლოდ უმაღლესი სტადიის — მსხვილი მანქანური ინდუსტრიის დროს.

* — «კაპიტალი», ტ. II, გვ. 303, შენიშ. 32 [14]. რ ე დ.

გახშირება, რასაც მივყევართ ქალაქისა და სოფლის, სხვადასხვა გეოგრაფიული ადგილებისა და სხვ. მცხოვრებთა შორის უფრო გახშირებულ შეჯახებამდე. ამასვე იწვევს მუშა პროლეტარიატის შემჭიდროებაც და შექუჩებულობაც, რაც ამაღლებს მის შეგნებასა და ადამიანური ღირსების გრძნობას და შესაძლებლობას აძლევს მას წარმატებით იბრძოლოს კაპიტალისტური წესების მტაცებლური ტენდენციების წინააღმდეგ. მოთხოვნილებათა გაზრდის ამ კანონმა მთელი ძალით იჩინა თავი ევროპის ისტორიაში — შეადარეთ, მაგალითად, XVIII საუკუნის დასასრულის და XIX საუკუნის დასასრულის ფრანგი პროლეტარი ან 1840-იანი წლების ინგლისელი მუშა* და თანამედროვე. იგივე კანონი თავის მოქმედებას იჩენს რუსეთშიც: სასაქონლო მეურნეობისა და კაპიტალიზმის სწრაფმა ზრდამ რეფორმისშემდგომ ხანაში გამოიწვია «გლეხობის» მოთხოვნილებათა დონის გადიდებაც: გლეხებმა «უფრო სუფთად» ცხოვრება დაიწყეს (ტანსაცმლის, ბინისა და სხვ. მხრით). ეს, უსათუოდ პროგრესიული, მოვლენა რომ კრედიტში უნდა ჩაეწეროს სწორედ რუსულ კაპიტალიზმს და სხვას არაფერს, — ამას ამტკიცებს თუნდაც უკვე ის საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი (რასაც ჩვენი შინამრეწველური სარეწებისა და საერთოდ გლეხთა მეურნეობის ყველა მკვლევარი აღნიშნავს), რომ სამრეწველო ადგილების გლეხები იმ გლეხებზე გაცილებით «უფრო სუფთად» ცხოვრობენ, რომლებიც მარტოოდენ მიწათმოქმედებას ეწევიან და რომელთაც კაპიტალიზმი თითქმის არ შეჰხებია. რასაკვირველია, ეს მოვლენა უპირველეს ყოვლისა და ყველაზე იოლად იჩენს თავს «ცივილიზაციის» წმინდა გარეგნული, დასანახი მხარის გადაღებაში, მაგრამ მხოლოდ პირწავარდნილ რეაქციონერებს, მსგავსად ბ-ნ ვ. ვ-ისა, შეუძლიათ ცრემლები ღვარონ ამ მოვლენის გამო და მასში ვერაფერი დაინახონ, გარდა «დაცემისა».

* შდრ. Fr. Engels (ფრ. ენგელსი. რ ე დ.). «მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში 1844 წელს». ეს არის მდგომარეობა უსაშინელესი და ბინძური სიღატაკისა (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) და ადამიანური ღირსების გრძნობის სრული დაცემისა.

VII

იმის გასაგებად, თუ სახელდობრ რაში მდგომარეობს «ბაზრების საკითხი», ყველაზე უმჯობესია შევადაროთ ნაროდნიკული და მარქსისტული წარმოდგენა იმ პროცესზე, რომელსაც ასურათებენ **1-ლი** (გაცვლა-გამოცვლის შესახებ *A* ადგილის კაპიტალისტებსა და *W* ადგილის უშუალო მწარმოებლებს შორის) და **მე-2** (6 მწარმოებლის ნატურალური მეურნეობის კაპიტალისტურ მეურნეობად გადაქცევის შესახებ) სქემები.

თუ 1-ლ სქემას მივიღებთ — ვერაფრის გარკვევას ვერ შევძლებთ. რატომ ვითარდება კაპიტალიზმი? საიდან ჩნდება ის? იგი წარმოდგენილია რაღაც «შემთხვევით რამედ», მისი წარმოშობა მიეწერება ან იმას, რომ «ჩ ვ ე ნ არა იმ გზით მივდიოდით»..., ანდა ხელისუფალთა მხრით «დანერგვას». რატომ «ღარიბდება მასა»? არც ამაზე იძლევა პასუხს სქემა, და ნაროდნიკებიც, პასუხის ნაცვლად, კმაყოფილდებიან სანტიმენტალური ფრაზებით «საუკუნეებით დაკანონებული წყობილების» შესახებ, სწორი გზიდან გადახვევის შესახებ და სხვა წვრილმანებით, რომელთა გამოგონებაში ასე დახელოვნებულია განთქმული «სუბიექტური მეთოდი სოციოლოგიაში».

კაპიტალიზმის განმარტების არცოდნა და უტოპიებისათვის უპირატესობის მიცემა სინამდვილის შესწავლისა და გარკვევის წინაშე იმას იწვევს, რომ კაპიტალიზმის მნიშვნელობა და ძალა უარყოფილია. ეს — თითქოს რაღაც უიმედო ავადმყოფია, რომელსაც ვერსაიდან ძალა ვერ მოუკრებია განვითარებისათვის. და ჩვენც ამ ავადმყოფის მდგომარეობაში უმნიშვნელო, თითქმის შეუმჩნეველ გაუმჯობესებას შევიტანთ, თუ ვიტყვით, რომ მას შეუძლია განვითარდეს «წარმოების საშუალებებისათვის წარმოების საშუალებათა» წარმოების ხარჯზე. ამისთვის ხომ საჭიროა კაპიტალიზმის ტექნიკის განვითარება*, «ჩვენ» კი «ვხედავთ», რომ სწორედ ეს განვითარება არ არის. ამისათვის

* ესე-იგი წვრილი სამრეწველო ერთეულების შეცვლა მსხვილებით, ხელით შრომის განდევნა მანქანური შრომით.

საჭიროა, რომ კაპიტალიზმმა მთელი ქვეყანა მოიცვას, ჩვენ კი ვხედავთ, რომ «კაპიტალიზმის საყოველთაო განვითარებამდე საქმე ვერასგზით ვერ მივა».

პირიქით, თუ მე-2 სქემას მივიღებთ, ჩვენ უკვე არც კაპიტალიზმის განვითარება და არც ხალხის გაღარიბება შემთხვევით რამედ აღარ მოგვეჩვენება. ეს — საზოგადოებრივი შრომის დანაწილებაზე დამყარებული სასაქონლო მეურნეობის ზრდის აუცილებელი თანამგზავრებია. ბაზრის საკითხი სავსებით ჰქრება, იმიტომ რომ ბაზარი სხვა არაფერია, თუ არ შრომის ამ დანაწილებისა და სასაქონლო წარმოების გამოხატულება. კაპიტალიზმის განვითარება გვეხატება უკვე არა მარტო შესაძლებლად [რაც საუკეთესო შემთხვევაში * შეეძლო რეფერენტს დაემტკიცებინა], არამედ აუცილებლადაც, იმიტომ რომ ტექნიკის პროგრესს, რაკი საზოგადოებრივი მეურნეობა უკვე შრომის დანაწილებაზე და პროდუქტის სასაქონლო ფორმაზეა დამყარებული, არ შეუძლია კაპიტალიზმის გაძლიერება და გაღრმავება არ გამოიწვიოს.

ახლა ვიკითხოთ, რატომ მაინცდამაინც მეორე შეხედულება უნდა მივიღოთ? რაში მდგომარეობს მისი სისწორის კრიტერიუმი?

რუსეთის თანამედროვე ეკონომიური სინამდვილის ფაქტებში.

მე-2 სქემაში სიმძიმის ცენტრს წარმოადგენს სასაქონლო მეურნეობიდან კაპიტალისტურზე გადასვლა, საქონელმწარმოებელთა დაშლა კაპიტალისტებად და პროლეტარიატად. და თუ ჩვენ მივმართავთ რუსეთის თანამედროვე საზოგადოებრივი მეურნეობის მოვლენებს, დავინახავთ, რომ მთავარი ადგილი სწორედ ჩვენი წვრილი მწარმოებლების დ ა შ ლ ა ს უჭირავს. თუ მიწათმოქმედ-გლეხებს ავიღებთ, — აღმოჩნდება, რომ, ერთი მხრით, გლეხები მასობრივად სტოვებენ მიწას, ჰკარგავენ მეურნეობრივ დამოუკიდებლობას, პროლეტარებად იქცევიან;

* ესე-იგი იმ შემთხვევაში, თუ ის სწორად შეაფასებდა და სწორად გაიგებდა წარმოების საშუალებათა წარმოების მნიშვნელობას.

მეორე მხრით, გლეხები მუდამ აფართოებენ სახნავს და გაუმჯობესებულ კულტურაზე გადადიან. ერთი მხრით, გლეხები ჰკარგავენ სამიწათმოქმედო ინვენტარს (ცოცხალსა და მკვდარს), — მეორე მხრით, გლეხები იძენენ გაუმჯობესებულ ინვენტარს, იწყებენ მანქანების შეძენას და სხვ. [შეად. **ვ. ვ.** «პროგრესიული მიმდინარეობანი გლეხურ მეურნეობაში»]. ერთი მხრით, გლეხები სტოვებენ მიწას, ჰყიდიან ნადელებს, იჯარით სცემენ მათ, — მეორე მხრით, გლეხებივე იღებენ იჯარით ნადელებს და ხარბად ყიდულობენ კერძომფლობელურ მიწებს. ყველაფერი ეს — საყოველთაოდ ცნობილი, ძალიან დიდი ხნის დადგენილი ფაქტებია*, რომელთა ერთადერთი ა ხ ს ნ ა მდგომარეობს სასაქონლო მეურნეობის კანონებში, მეურნეობის, რომელიც ჩვენს «თემურ» გლეხობასაც შლის ბურჟუაზიად და პროლეტარიატად. ავიღოთ შინამრეწველნი, — აღმოჩნდება, რომ რეფორმისშემდგომ ხანაში არამც თუ ჩნდებოდა ახალი სარეწები და უფრო სწრაფად ვითარდებოდა ძველები [ეს მოვლენა შედეგია მიწათმოქმედი გლეხობის ეს-არის ახლა აღნიშნული დაშლისა, შედეგია შრომის გაძლიერებული საზოგადოებრივი დანაწილებისა**], არამედ გარდა ამისა შინამრეწველთა მასაც სულ უფრო და უფრო ღარიბდებოდა, სიღატაკეში ვარდებოდა და ჰკარგავდა მეურნეობრივ დამოუკიდებლობას, მაშინ როდესაც უმნიშვნელო უმცირესობა ამ მასის ხარჯზე მდიდრდებოდა, უზარმაზარ კაპიტალებს აგროვებდა, იქცეოდა შემსყიდველებად, რომლებიც ხელში იგდებდნენ გასაღებას და, ბოლოსდაბოლოს, ჩვენი შინამრეწველური სარეწების უდიდეს უმრავლესობაში ჰქმნიდნენ მ ს ხ ვ ი ლ ი წ ა რ მ ო ე ბ ი ს უკვე საკუთრებით კაპიტალისტურ ს ა შ ი ნ ა ო ს ი ს ტ ე მ ა ს.

ჩვენს წვრილ მწარმოებელთა შორის ამ ორი პოლარული მიმდინარეობის არსებობა თვალსაჩინოდ გვიჩვენებს, რომ

---

* თვით გლეხებმა ძალიან მოსწრებულად უწოდეს ამ პროცესს «გ ა ნ-გ ლ ე ხ ე ბ ა». [იხ. «ნიჟნი-ნოვგოროდის გუბ. სასოფლო-სამეურნეო მიმოხილვა 1892 წლისა». ნ.—ნ., 1893. ნაკვ. III, გვ. 186—187.]

** ამ მოვლენის უგულვებელყოფაში მდგომარეობს ბ-ნ ნიკოლაი—ონის ერთ-ერთი უდიდესი თეორიული შეცდომა.

კაპიტალიზმი და მასის გაღარიბება არამც თუ არ გამორიცხავენ, არამედ, პირიქით, აპირობებენ ურთიერთს, — და ურყევად ამტკიცებს, რომ კაპიტალიზმი უკვე ამჟამად რუსეთის სამეურნეო ცხოვრების ძირითად ფონს წარმოადგენს.

აი რატომ არ იქნება პარადოქსი იმის თქმა, რომ «ბაზრების საკითხის» გადაჭრა სწორედ გლეხობის დაშლის ფაქტში მდგომარეობს.

არ შეიძლება აგრეთვე არ აღვნიშნოთ, რომ უკვე თვით ყბადაღებული «ბაზრების საკითხის» (გაცვეთილ) დაყენებაში მთელი რიგი უაზრობანი იმალება. ჩვეულებრივი ფორმულირება (იხ. § 1) უკვე პირდაპირ უაღრესად წარმოუდგენელ ვარაუდებზეა აგებული, — თითქოს საზოგადოების სამეურნეო წესები შეიძლება შექმნილ ან მოსპობილ იქნან პიროვნებათა რომელიმე ჯგუფის, — «ინტელიგენციის» ან «მთავრობის» ნება-სურვილით (იმიტომ რომ სხვანაირად არც შეიძლებოდა ასეთი კითხვის დასმა: «შეიძლება» თუ არა კაპიტალიზმი განვითარდეს? «უნდა» განვლოს თუ არა რუსეთმა კაპიტალიზმი? «საჭიროა» თუ არა თემის შენარჩუნება? და ა. შ.), — თითქოს კაპიტალიზმი გამორიცხავდეს ხალხის გაღარიბებას, — თითქოს ბაზარი რაღაც კაპიტალიზმისაგან განცალკევებული და დამოუკიდებელი რამ იყოს, მისი განვითარების რაღაც განსაკუთრებული პირობა.

ამ უაზრობათა გამოუსწორებლად შეუძლებელია საკითხის გადაჭრა.

წარმოვიდგინოთ, მართლაც, რომ ვინმეს აზრად მოუვიდა კითხვაზე: «შეიძლება თუ არა რუსეთში განვითარდეს კაპიტალიზმი, როდესაც ხალხის მასა ღარიბია და სულ უფრო მეტად ღარიბდება?» ასე უპასუხოს: «დიახ, შეიძლება, იმიტომ რომ კაპიტალიზმი განვითარდება არა მოხმარების საგნების ხარჯზე, არამედ წარმოების საშუალებათა ხარჯზე». ცხადია, ასეთ პასუხს საფუძვლად უდევს სრულიად სწორი აზრი, რომ კაპიტალისტური ერის საერთო ნაყოფიერების ზრდა უმთავრესად ხდება წარმოების საშუალებათა ხარჯზე (ე. ი. უფრო მეტად წარმოების საშუალებათა ხარჯზე, ვიდრე მოხმარების

საგნებისა), მაგრამ კიდევ უფრო ცხადია, რომ ასეთ პასუხს იოტის ოდენადაც არ შეუძლია წინ წასწიოს საკითხის გადაჭრა, ისე როგორც არ შეიძლება სწორი დასკვნის მიღება სილოგიზმიდან, თუ მცირე დებულება სწორია, მაგრამ დიდი — უაზროა. ასეთი პასუხი (ერთხელ კიდევ ვიმეორებ) უკვე გულისხმობს, რომ კაპიტალიზმი ვითარდება, მთელ ქვეყანას მოიცავს, გადადის უმაღლეს ტექნიკურ სტადიაში (მსხვილ მანქანურ ინდუსტრიაში), მაშინ როდესაც საკითხი აგებულია სწორედ კაპიტალიზმის განვითარებისა და წარმოების მსხვილი ფორმის მიერ წვრილის შეცვლის შესაძლებლობის უარყოფაზე.

«ბაზრების საკითხი» უნაყოფო სპეკულაციების სფეროდან «შესაძლებელისა» და «მართებულის» შესახებ გადაყვანილ უნდა იქნას სინამდვილის ნიადაგზე, იმის შესწავლისა და გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი ს ნიადაგზე, თუ როგორ ეწყობა რუსეთის სამეურნეო წესები და რატომ ეწყობა ისინი სწორედ ასე, და არა სხვაგვარად.

მე დავკმაყოფილდები ცოტაოდენი მაგალითების მოყვანით ჩემს ხელთ არსებული მასალიდან, რათა კონკრეტულად ცხადვყო, თუ სახელდობრ როგორი სახის მონაცემები უდევს საფუძვლად წინა გადმოცემას.

რათა დაგანახვოთ წვრილ მწარმოებელთა დაშლა და მათს წრეში არა მარტო გაღარიბების პროცესის, არამედ მსხვილი (შედარებით), ბურჟუაზიული მეურნეობის შექმნის პროცესის არსებობაც, მოვიყვან ცნობებს ევროპის რუსეთის სამი წმინდა სამიწათმოქმედო მაზრის შესახებ, რომლებიც სხვადასხვა გუბერნიებს ეკუთვნიან: თავრიდის გუბერნიის დნეპროვსკის მაზრის, სამარის გუბერნიის ნოვოუზენსკის მაზრისა და სარატოვის გუბერნიის კამიშინის მაზრის შესახებ. ცნობები ამოღებულია საერობო-სტატისტიკური კრებულებიდან. არჩეული მაზრების არატიპიურობაზე შესაძლებელ მითითებათა თავიდან ასაცილებლად (ჩვენს განაპირა მხარეებში, სადაც ბატონყმობა თითქმის არ ყოფილა და უმთავრესად დასახლებული იყო უკვე

რეფორმისშემდგომი ხანის, «თავისუფალი» წესწყობილების დროს, დაშლა მართლაც უფრო სწრაფად ხდებოდა, ვიდრე ცენტრში) შემდეგს ვიტყვი:

1) თავრიდის გუბერნიის სამი კონტინენტური მაზრიდან დნეპროვსკის მაზრა იმიტომ არის არჩეული, რომ ის სულ ერთიანად რუსულია [კოლონისტ მეკომურთა 0,6%], დასახლებულია მეთემური გლეხებით.

2) ნოვოუზენსკის მაზრისათვის ცნობები აღებულია მხოლოდ რუსი (თემური) მოსახლეობის შესახებ [იხ. «ნოვოუზენსკის მაზრის სტატისტიკურ ცნობათა კრებული», გვ. 432—439. სვეტი *a*], მასთან შეტანილი არ არიან ეგრეთწოდებული «ხუტორელები», ე. ი. ის მეთემური გლეხები, რომლებიც თემიდან გამოვიდნენ და ცალკე დასახლდნენ ნაყიდ ან იჯარით აღებულ მიწაზე. ფერმერული მეურნეობის* ამ პირდაპირ წარმომადგენელთა მიმატება მნიშვნელოვნად გააძლიერებდა დაშლას.

3) კამიშინის მაზრისათვის ცნობები აღებულია მხოლოდ ველიკორუსული (თემური) მოსახლეობის შესახებ.

გლეხთა ჯგუფები მიწადმფლობელობის ხედვით	დნეპროვსკის მაზრა					ნოვოუზენსკის მაზრა					კამიშინის მაზრა				
	კომლთა რიცხვი	%	ნათესის რაოდ. დეს.	%	ერთ კომლზე ნათესი დეს.	კომლთა რიცხვი	%	ნათესის რაოდ. დეს.	%	ერთ კომლზე ნათესი დეს.	კომლთა რიცხვი	%	ნათესის რაოდ. დეს.	%	ერთ კომლზე ნათესი დეს.
ღარიბ. ჯგ.	7 880	40	38 489	11	4,8	10 604	37	36 007	8	3,4	9 518	54	29 194	20	3,1
					10,9					7,75					5,7
საშუალ. ჯგ.	8 234	42	137 344	48	16,6	10 757	38	126 986	29	12	6 980	39	52 735	35	10,6
შეძლ. ჯგ.	3 643	18	150 614	46	41,3	7 014	25	284 069	63	40,5	2 881	17	67 844	45	23,5
ს უ ლ	19 757	100	326 397	100	17,5	28 375	100	449 062	100	15,9	17 174	100	149 708	100	8,7

* მართლაც, 2 294 ხუტორელს 123 252 დეს. ნათესი აქვს (ე. ი. 1 მეურნეზე საშუალოდ 53 დეს.). მათ ჰყავთ 2 662 დაქირავებული მუშა (და

კრებულებში დაჯგუფება მოხდენილია — დნეპროვსკის მაზრაში — ნათეს დესეტინათა რაოდენობის მიხედვით ერთ კომლზე, სხვა მაზრებში კი — მუშა-პირუტყვის რაოდენობის მიხედვით.

ღ ა რ ი ბ ჯგუფს მიეკუთვნება — დნეპროვსკის მაზრაში — ის კომლები, რომლებიც არ სთესენ ან 10 დეს. ნათესი აქვთ კომლზე; ნოვოუზენსკისა და კამიშინის მაზრებში — ის კომლები, რომელთაც არა ჰყავთ მუშა-პირუტყვი ან 1 სული მუშა-პირუტყვი ჰყავთ. ს ა შ უ ა ლ ო ს — კომლები 10 — 25 დეს. ნათესით თვითეულ კომლზე დნეპროვსკის მაზრაში; ნოვოუზენსკის მაზრაში — კომლები 2 — 4 სული მუშა-პირუტყვით; კამიშინის მაზრაში — კომლები 2 — 3 სული მუშა-პირუტყვით. შ ე ძ ლ ე ბ უ ლ თ ა ჯგუფს — ის კომლები, რომელთაც აქვთ 25 დესეტინაზე მეტი ნათესი (დნეპროვსკის მაზრა) ანდა ჰყავთ 4 სულზე მეტი მუშა-პირუტყვი თვითეულ კომლზე (ნოვოუზენსკის მაზრა) და 3 სულზე მეტი (კამიშინის მაზრა).

ამ ცნობებიდან ნათლად სჩანს, რომ ჩვენს სამიწათმოქმედო და თემურ გლეხობაში მიმდინარეობს არა გაღარიბებისა და გაჩანაგების პროცესი საერთოდ, არამედ ბურჟუაზიად და პროლეტარიატად დაშლის პროცესი. გლეხთა უდიდესი მასა (ღარიბთა ჯგუფი) — საშუალოდ დაახლოებით $^1/_2$ — ჰკარგავს მეურნეობრივ დამოუკიდებლობას. მის ხელშია უკვე ადგილობრივ გლეხთა მთელი სამიწათმოქმედო მეურნეობის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი — ნათესი ფართობის რაღაც 13% (საშუალოდ); ერთ კომლზე მოდის 3 — 4 დესეტინა ნათესი. რომ ვიმსჯელოთ იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს ასეთი ნათესი, ვიტყვით, რომ თავრიდის გუბერნიაში გლეხურ კომლს იმისათვის, რომ მხოლოდდამხოლოდ დამოუკიდებელი სამიწათმოქმედო მეურნეობით იარსებოს და ეგრეთწოდებულ «საშოვ-

---

234 მუშა-ქალი). ცხენები და ხარები მათ ჰყავთ > 40 000. ძალიან ბევრი აქვთ გაუმჯობესებული იარაღები: იხ. «ნოვოუზენსკის მაზრის სტატისტიკურ ცნობათა კრებული», გვ. 453.

რებს» არ მიმართოს, აუცილებლად უნდა ჰქონდეს 17 — 18 დესეტინა* ნათესი. ცხადია, რომ დაბალი ჯგუფის წარმომადგენლები არსებობენ უკვე გაცილებით უფრო არა თავიანთი მეურნეობით, არამედ საშოვრებით, ე. ი. თავიანთი სამუშაო ძალის გაყიდვით. და თუ ჩვენ მივმართავთ უფრო დაწვრილებითს ცნობებს, რომლებიც ახასიათებენ ამ ჯგუფის გლეხთა მდგომარეობას, დავინახავთ, რომ სწორედ ის იძლევა ყველაზე მეტ კონტინგენტს ისეთი გლეხებისას, რომლებიც სტოვებენ მეურნეობას, იჯარით სცემენ ნადელებს, მოკლებულნი არიან სამუშაო ინვენტარს და საშოვრებზე მიდიან. ამ ჯგუფის გლეხობა — ჩვენი სოფლის პროლეტარიატის წარმომადგენლები არიან.

მაგრამ, მეორე მხრით, იმავე მეთემური გლეხებიდან გამოიყოფა სრულიად სხვა ჯგუფი დიამეტრულად საწინააღმდეგო ხასიათისა. უმაღლესი ჯგუფის გლეხთა ნათესები 7 — 10-ჯერ აღემატება დაბალი ჯგუფის ნათესებს. თუ ამ ნათესებს (23—40 დეს. კომლზე) შევადარებთ ნათეს დესეტინათა იმ «ნორმალურ» რაოდენობას, რომლის საშუალებითაც ოჯახს შეუძლია გაუჭირვებლად იცხოვროს მარტო თავისი სამიწათმოქმედო მეურნეობით, დავინახავთ, რომ პირველნი ამ უკანასკნელთ 2 — 3-ჯერ აღემატებიან. ცხადია, რომ ეს გლეხობა მიწათმოქმედებას ეწევა უკვე შემოსავლის მისაღებად, პურით ვაჭრობისათვის. იგი აგროვებს მნიშვნელოვან დანაზოგს და იყენებს მას მეურნეობის გაუმჯობესებისა და კულტურის ამაღლებისათვის, იძენს, მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო მანქანებსა და გაუმჯობესებულ იარაღებს: მაგალითად, ნოვოუზენსკის მაზრაში საერთოდ მეურნეთა 14%-ს აქვს გაუმჯობესებული სამიწათმოქმედო იარაღები; უმაღლესი ჯგუფის გლეხებს კი — მეურნეთა 42%-ს აქვს გაუმჯობესებული იარაღები (ასე რომ უმაღლესი ჯგუფის გლეხებზე მოდის მაზრის გაუმჯობესებული

* სამარისა და სარატოვის გუბერნიებში ეს ნორმა ერთნახევარჯერ უფრო დაბალი იქნება — ადგილობრივი მოსახლეობის ნაკლები შეძლებულობის გამო.

სამიწათმოქმედო იარაღების მქონე კომლთა მთელი რაოდენობის 75%) და მათ ხელში თავმოყრილია «გლეხობის» ხელში მყოფი ყველა გაუმჯობესებული იარაღის 82%*. უმაღლესი ჯგუფის გლეხებს თავიანთი საკუთარი სამუშაო ძალებით უკვე არ შეუძლიათ თავი გაართვან თავიანთ ნათესებს და ამიტომ მუშების დაქირავებას მიმართავენ: მაგალითად, ნოვოუზენსკის მაზრაში უმაღლესი ჯგუფის მეურნეთა 35%-ს ჰყავთ მუდმივი დაქირავებული მუშები (იმათ ჩაუთვლელად, რომელთაც, მაგალითად, მკის დროს ქირაობენ და სხვ.); ასევეა დნეპროვსკის მაზრაშიც. ერთი სიტყვით, უმაღლესი ჯგუფის გლეხები უკვე უეჭველად ბურჟუაზიას წარმოადგენენ. მათი ძალა უკვე ემყარება არა სხვა მწარმოებელთა ძარცვას (როგორც მევახშეებისა და «კულაკების» ძალა), არამედ წარმოების დამოუკიდებელ ორგანიზაციას**: ამ ჯგუფის ხელში, რომელიც გლეხობის სულ $^1/_5$ ნაწილს შეადგენს, თავმოყრილია ნათესი ფართობის $^1/_3$-ზე მეტი [მე ვიღებ სამივე მაზრის ნათესთა საერთო საშუალო სიდიდეს]. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ამ გლეხების შრომის ნაყოფიერება (ე. ი. მოსავალი) განუზომლად უფრო მაღალია, ვიდრე მიწის მჩიჩქვნელ დაბალი ჯგუფის პროლეტარებისა, — არ შეიძლება ის დასკვნა არ გამოვიყვანოთ, რომ პურის წარმოების მთავარ მამოძრავებელს სოფლის ბურჟუაზია წარმოადგენს.

მერე რა გავლენა უნდა მოეხდინა გლეხობის ამ გათიშვას ბურჟუაზიად და პროლეტარიატად [ნაროდნიკები ამ პროცესში «მასის გაღარიბების» გარდა ვერაფერს ვერ ხედავენ] «ბაზრის» სიდიდეზე, ე. ი. პურის იმ წილის სიდიდეზე, რომელიც საქონლად იქცევა? ცხადია, ეს წილი მნიშვნელოვნად უნდა გაზრდილიყო, იმიტომ რომ უმაღლესი ჯგუფის გლეხთა პურის მასა დიდად აღემატებოდა მათს საკუ-

---

* სულ მაზრაში გლეხობის ხელშია 5 724 გაუმჯობესებული იარაღი.

** რომელიც, რა თქმა უნდა, ემყარება აგრეთვე ძარცვას, მაგრამ უკვე არა დამოუკიდებელი მწარმოებლების, არამედ მუშების ძარცვას.

თარ საჭიროებებს და ბაზარზე გადიოდა; მეორე მხრით, დაბალი ჯგუფის წარმომადგენლებს დამატებით უნდა ეყიდათ პური იმ ფულადი საშუალებებით, რასაც საშოვრები აძლევდა მათ.

ამ საკითხზე ზუსტი ცნობების მოსაყვანად ჩვენ მოგვიხდება მივმართოთ უკვე არა საერობო-სტატისტიკურ კრებულებს, არამედ ვ. ე. პოსტნიკოვის თხზულებას: «სამხრეთ-რუსეთის გლეხური მეურნეობა». საერობო სტატისტიკის ცნობების მიხედვით პოსტნიკოვი აგვიწერს თავრიდის გუბერნიის 3 კონტინენტური მაზრის (ბერდიანსკის, მელიტოპოლისა და დნეპროვსკის მაზ.) გლეხურ მეურნეობას და ანალიზს უკეთებს ამ მეურნეობას გლეხების სხვადასხვა ჯგუფთა მიხედვით [რომლებიც ნათესი ფართობის სიდიდის მიხედვით დანაწილებული არიან 6 კატეგორიად: 1) რომლებიც არ სთესენ; 2) რომლებიც სთესენ 5 დესეტინამდე; 3) 5-დან 10 დესეტინამდე; 4) 10-დან 25 დესეტინამდე; 5) 25—50 დეს. და 6) 50 დეს. ზევით]. იკვლევს რა სხვადასხვა ჯგუფთა დამოკიდებულებას ბაზრისადმი, ავტორი თვითეული სამიწათმოქმედო მეურნეობის ნათეს ფართობს ჰყოფს 4 შემდეგ ნაწილად: 1) სამეურნეო ფართობი — ასე უწოდებს პოსტნიკოვი ნათესი ფართობის იმ ნაწილს, რომელიც იძლევა დასათესად საჭირო თესლეულს; 2) სასაზრდოო ფართობი — იძლევა პურს მომუშავის ოჯახისა და მუშების გამოსაკვებად; 3) საკვები ფართობი — საკვებს იძლევა მუშა-პირუტყვისათვის და, ბოლოს, 4) სასაქონლო ანუ საბაზრო ფართობი — იძლევა იმ პროდუქტს, რომელიც იქცევა ბაზარზე გასაყიდ საქონლად. გასაგებია, რომ მხოლოდ უკანასკნელი ფართობი იძლევა ფულად შემოსავალს, დანარჩენნი კი — ნატურალურს, ე. ი. იძლევიან იმ პროდუქტს, რომელიც თვით მეურნეობაში იხარჯება.

ახლენს რა გლეხობის სხვადასხვა ჯგუფთა ნათესებში თვითეული ამ ფართობის სიდიდის აღრიცხვას, პოსტნიკოვი შემდეგ ცხრილს იძლევა:

	100 დეს. ნათეს ფართობზე მოდის				ფულადი შემოსავ.		თავრიდის გუბ. სამ მაზრაში		ნათესის საშუალო/ სიდიდე ოვინეულ/ ჯგუფში
	სამეურნეო	სასაზრდო	საკვები	სასაქონლო	1 დეს. ნათესზე	ერთ კომლზე	ნათესის რაოდენობა დეს-ბით	მათგან სასაქონლო ფართობი	
					(მან.)				
ვინც სთესს 5 დ-მდე	6	90,7	42,3	—39	—	—	34 070	—	3,5 დ.
» 5—10 »	6	44,7	37,5	+11,8	3,77	30	140 426	16 851	8
» 10—25 »	6	27,5	30	36,5	11,68	191	540 093	194 433	16,4
» 25—50 »	6	17,0	25	52	16,64	574	494 095	256 929	34,5
» 50 დ. მეტს	6	12,0	21	61	19,52	1 500	230 583	140 656	75
სულ	6			42			1 439 267	608 869	17—18 დეს.

შენიშვნა ცხრილისათვის:

1) პოსტნიკოვი უკანასკნელის წინა სვეტს არ იძლევა; იგი ჩემს მიერ არის გამოანგარიშებული.

2) ფულადი შემოსავლის სიდიდეს პოსტნიკოვი განსაზღვრავს იმ ვარაუდით, რომ მთელ სასაქონლო ფართობზე ხორბალია დათესილი, და აკლებს პურის საშუალო მოსავლიანობას და საშუალო ფასს.

ამ ცნობებიდან ჩვენ ვხედავთ, რომ რაც უფრო მსხვილი ხდება მეურნეობა, მით უფრო მეტად იძენს ის სასაქონლო ხასიათს, პურის მით უფრო მეტ ნაწილს აწარმოებს გასაყიდად [12 — 36 — 52 — 61%-ს ჯგუფების მიხედვით]. მთავარი მთესველნი, 2 უმაღლესი ჯგუფის გლეხები (მათ ხელშია მთელი ნათესის ½-ზე მეტი), მთელი თავიანთი სამიწათმოქმედო პროდუქტის ნახევარზე მეტს [52 და 61%-ს] ჰყიდიან.

ბურჟუაზიად და პროლეტარიატად გლეხობის გათიშვა რომ არ მომხდარიყო, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნათესი ფართობი რომ ყველა «გლეხს» შორის «გათანაბრებულად» ყოფი-

ლიყო განაწილებული, მაშინ ყველა გლეხი მიეკუთვნებოდა საშუალო ჯგუფს (რომელიც 10 — 25 დეს. სთესს), და ბაზარზე გავიდოდა მთელი პურის მხოლოდ 36%, ე. ი. 518 136 დეს. ნათესის პროდუქტი (1 439 267-ის 36%=518 136). ახლა კი, როგორც ცხრილიდან სჩანს, ბაზარზე გადის მთელი პურის 42%, 608 869 დესეტინის პროდუქტი. ამრიგად, «მასის გაღარიბებამ», გლეხთა 40%-ის მეურნეობის სრულმა დაქვეითებამ (ღარიბთა ჯგუფი, ე. ი., რომელიც სთესს 10 დესეტინამდე), სოფლის პროლეტარიატის შექმნამ, — გამოიწვია ის, რომ ბაზარზე გატანილ იქნა 90 ათასი* დესეტინა ნათესის პროდუქტი.

მე სრულიადაც არ მინდა ვთქვა, რომ «ბაზრის» გადიდება გლეხობის დაშლის გამო ამით განისაზღვრებოდეს. სრულიადაც არა. ჩვენ დავინახეთ, მაგალითად, რომ გლეხები იძენენ გაუმჯობესებულ იარაღებს, ე. ი. თავიანთ დანაზოგს «წარმოების საშუალებათა წარმოებაზე» ხარჯავენ. ჩვენ დავინახეთ, რომ პურის გარდა ბაზარზე გამოვიდა კიდევ სხვა საქონელი — ადამიანის სამუშაო ძალა. ყოველივე ამას მე მხოლოდ იმიტომ არ ვიხსენიებ, რომ ეს მაგალითი ვიწრო და სპეციალური მიზნით მოვიყვანე: მეჩვენებინა, რომ ჩვენში, რუსეთში, მასის გაღატაკება ნამდვილად იწვევს სასაქონლო და კაპიტალისტური მეურნეობის გაძლიერებას. განზრახ ავირჩიე ისეთი პროდუქტი, როგორიცაა პური, რომელიც ყველგან და ყოველთვის ყველაზე უფრო გვიან და ყველაზე უფრო ნელა ებმება სასაქონლო მიმოქცევაში. ამიტომ ადგილიც აღებული იყო მხოლოდდამხოლოდ სამიწათმოქმედო.

ახლა ავიღებ მეორე მაგალითს, რომელიც ეხება წმინდა სამრეწველო ოლქს, მოსკოვის გუბერნიას. გლეხური მეურნეობა ერობის სტატისტიკოსების მიერ აწერილია «მოსკოვის გუბერნიის სტატისტიკურ ცნობათა კრებულის» VI და VII ტომებში, რომლებიც შინამრეწველურ სარეწთა მთელ რიგ საუცხოო ნარკვევებს შეიცავენ. მე დავკმაყოფილდები ერთი ადგილის

* 90 733 დეს. = მთელი ნათესი ფართობის 6,3%-ს.

მოყვანით ნარკვევიდან «მაქმანის სარეწი»*, რომელიც განმარტავს, თუ რატომ იყო, რომ რეფორმისშემდგომ ხანაში განსაკუთრებით სწრაფად ვითარდებოდნენ გლეხთა სარეწები.

მაქმანის სარეწი გაჩნდა მიმდინარე საუკუნის 20-იან წლებში პოდოლსკის მაზრის ვორონოვოს თემის 2 მეზობელ სოფელში. «1840-იან წლებში ის ნელნელა ვრცელდება სხვა მახლობელ სოფლებში, თუმცა ჯერ კიდევ ვერ ედება დიდ რაიონს. სამაგიეროდ 60-იანი წლებიდან დაწყებული, განსაკუთრებით უკანასკნელი 3—4 წლის განმავლობაში, სწრაფად ვრცელდება გარშემო მდებარე ადგილებში».

32 სოფლიდან, სადაც ამჟამად ეს სარეწი არსებობს, ის წარმოიშვა

2	სოფელში	— 1820 წ.
4	»	— 1840 წ.
5	»	— 1860-იან წწ.
7	»	— 1870—1875.
14	»	— 1876—1879.

«თუ ჩავუკვირდებით იმ მიზეზებს, რომლებიც იწვევენ ასეთ მოვლენას, — ამბობს ნარკვევის ავტორი, — ე. ი. სწორედ უკანასკნელ წლებში სარეწის მეტისმეტად სწრაფად გავრცელების მოვლენას, დავინახავთ, რომ, ერთი მხრით, ამ ხნის განმავლობაში გლეხთა საყოფაცხოვრებო პირობები მნიშვნელოვნად გაუარესდა, ხოლო, მეორე მხრით, მოთხოვნილება მოსახლეობისა — მისი იმ ნაწილისა, რომელიც უფრო ხელსაყრელ პირობებში იმყოფება — საგრძნობლად გაიზარდა».

ამის დასადასტურებლად ავტორი მოსკოვის საერობო სტატისტიკიდან იღებს შემდეგ ცნობებს, რომლებიც მე მომყავს ცხრილის სახით**:

* «მოსკ. გუბ. სტატისტიკურ ცნობათა კრებული». სამეურნეო სტატისტიკის განყოფილება. ტ. VI, ნაკვ. II. მოსკოვის გუბერნიის სარეწები, ნაკვ. II. მოსკოვი, 1880.

** მე გამოვტოვე ცნობები ძროხების განაწილების შესახებ (დასკვნა იგივეა) და დავუმატე პროცენტული გაანგარიშება.

პოდოლსკის მაზრის ვორონოვოს თემი:

ვორონოვოს თემში	მეკომურთა რიცხვი	რაოდენობა		ორივე სქესის 100 სულზე მოდიოდა			მეკომურთა რიცხვი					მეურნეთა ცხენების რიცხვი				ნადელიან მეკომურთა რიცხვი			
		ცხენები	ძროხები	ცხენები	ძროხები	წვრილფეხა პირუტყვი	უცხენონი	ერთცხენიანნი	ორცხენიანნი	სამცხენიანნი	სამ ცხენზე მეტიანნი	ერთცხენიანნი	ორცხენიანნი	სამცხენიანნი	სამ ცხენზე მეტიანნი	ს უ ლ	ამუშავებ. ნადელს: პირადად	ამუშ. ნადელ.	არ მისდევენ პურის თესვას
1869 წ.	1 283	1 473	1 472	22	22	30	276	567	298	70	22	567	596	210	100	1 067	900	92	75
იყო							22%	46%	24%	6%	2%	39%	40%	14%	7%		84%	9%	7%
1877 წ.	1 244	1 607	1 720	25	27	38	319	465	313	95	52	465	526	285	231	1 166	955	5	196
იყო							26%	37%	25%	8%	4%	29%	33%	18%	14%		82,5%	0,5%	17%

«ეს ციფრები — განაგრძობს ავტორი — მჭევრმეტყველურად მოწმობენ, რომ ამ თემში ცხენების, ძროხებისა და წვრილფეხა პირუტყვის საერთო რაოდენობა გაიზარდა, მაგრამ კეთილდღეობის ეს ზრდა წილად ხვდათ ცალკეულ პიროვნებებს, სახელდობრ იმ მეურნეთა კატეგორიას, რომელთაც 2 — 3 და მეტი ცხენი ჰყავთ თვითეულს...

...მაშასადამე, ჩვენ ვხედავთ, რომ იმ გლეხთა რაოდენობის ზრდასთან ერთად, რომელთაც არც ძროხა ჰყავთ და არც ცხენი, იზრდება იმათი რიცხვიც, რომლებიც თავს ანებებენ მიწის დამუშავებას: არა ჰყავთ პირუტყვი, არა აქვთ საკმაო სასუქიც; მიწა იფიტება და მისი დათესვა არ ღირს; იმისათვის, რომ თავისი თავიც გამოჰკვებონ, ოჯახიც და შიმშილით არ დაიხოცონ, არ კმარა, რომ მარტო მამაკაცებმა მისდიონ სარეწს, — ისინი ხომ წინათაც მისდევდნენ მას სამიწათმოქმედო სამუშაოთაგან თავისუფალ დროს — საჭიროა, რომ ოჯახის სხვა წევრებმაც ეძებონ გარესაშოვარი...

... ჩვენს მიერ ცხრილებში მოყვანილმა ციფრულმა მონაცემებმა სხვა მოვლენაზეც მიგვითითეს; ამ სოფლებში, დაბებში გაიზარდა აგრეთვე იმ ადამიანთა რიცხვი, რომელთაც 2 — 3 ცხენი, ძროხა ჰყავთ. მაშასადამე, ამ გლეხთა კეთილდღეობა გაიზარდა, ჩვენ კი ამავე დროს განვაცხადეთ, რომ «ამადაამ

სოფლის ქალები, ბავშვები სულ ერთიანად სარეწს მისდევენ». მაშ რით უნდა ავხსნათ ასეთი მოვლენა?.. ამ მოვლენაში რომ გავერკვეთ, ჩვენ უნდა ვნახოთ, თუ როგორ ცხოვრებას ეწევიან ეს სოფლები, უფრო ახლოს გავეცნოთ მათს ოჯახურ ვითარებას და მაშინ, შეიძლება, გავერკვეთ, თუ რით არის გამოწვეული ეს ძლიერი მისწრაფება გასასაღებლად საქონლის წარმოებისადმი?

ჩვენ აქ, რა თქმა უნდა, ვერ დავიწყებთ დაწვრილებით იმის გამოკვლევას, თუ რა ბედნიერ ვითარებაში ხდება ის, რომ გლეხური მოსახლეობიდან თანდათანობით დაწინაურდებიან ხოლმე უფრო ძლიერი პიროვნებები, ოჯახები, რა პირობები ჰქმნიან მათს კეთილდღეობას და რა საზოგადოებრივი პირობების გამო ხდება, რომ ამ კეთილდღეობას, რაკი ერთხელ გაჩნდა, შეუძლია სწრაფად გაიზარდოს და კიდევაც იზრდება იმდენად, რომ მნიშვნელოვნად განასხვავებს სოფლის მცხოვრებთა ერთ ნაწილს მეორისაგან. საკმარისია თვალი გავადევნოთ ამ პროცესს და მივუთითოთ გლეხური სოფლის ერთ-ერთ უაღრესად ჩვეულებრივ მოვლენაზე. სოფლად ესა და ეს გლეხი თავის თანასოფლელებში ჯანსაღ, ღონიერ, ფხიზელ, გამრჯელ კაცად ითვლება; მას დიდი ოჯახი ჰყავს, მეტწილად ვაჟიშვილები, რომლებიც ასეთივე მაგარი აგებულებისა და კარგი მიმართულებისანი არიან; ყველანი ერთად ცხოვრობენ, არ იყოფიან; მიწას იღებენ 4—5 სულზე. გასაგებია, რომ მის დასამუშავებლად მაინც არ არის საჭირო ოჯახის ყველა მუშახელი. აი 2—3 ვაჟი მუდამ საშოვარზე მიდის ან ადგილობრივ ეწევა სარეწს, და მხოლოდ თიბვის დროს მოკლე ხნით მიატოვებენ ხოლმე ისინი სარეწს და ოჯახს ეხმარებიან მინდვრის სამუშაოებში. ოჯახის ცალკეულ წევრთა მიერ ნაშოვნი ფული კი არ ქუცმაცდება, არამედ საერთო კუთვნილებას შეადგენს; სხვა ხელსაყრელ პირობებში შემოსავალი მნიშვნელოვნად აღემატება ხარჯებს, რაც საჭიროა ოჯახის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ჩნდება დანაზოგი, რის გამო ოჯახს საშუალება ეძლევა უკეთეს პირობებში მოჰკიდოს ხელი სარეწს: შეუძლია ნედლი მასალა ნაღდ ფულზე იყიდოს პირველი ხე-

ლიდან, გამზადებული საქონელი მაშინ გაჰყიდოს, როცა მეტი ფასი აქვს, შეუძლია გვერდი აუხვიოს სხვადასხვა «მომცემთ», ვაჭრებსა და ვაჭარ-ქალებს და სხვ.

შესაძლებელი ხდება დაიქირაონ ერთი-ორი მუშა, ან სამუშაო დაურიგონ შინ ღარიბ გლეხებს, რომელთაც შესაძლებლობა დაჰკარგეს სავსებით დამოუკიდებლად აწარმოონ რაიმე საქმე. ამ და სხვა მსგავს პირობათა გამო, ჩვენს მიერ დასახელებულ ძლიერ ოჯახს შესაძლებლობა აქვს მოგება მიიღოს არა მარტო თავისი საკუთარი შრომისაგან. აქ ჩვენ, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევებს კი არ ვეხებით, როცა ასეთ ოჯახთა წრიდან ვითარდებიან პიროვნებები, რომლებიც ცნობილი არიან კულაკების, სოფლის წურბელების სახელწოდებით, არამედ განვიხილავთ მხოლოდ უაღრესად ჩვეულებრივ მოვლენებს გლეხურ მოსახლეობაში. კრებულის II ტომსა და VI ტომის 1 ნაკვეთში მოთავსებული ცხრილები ნათლად გვიჩვენებენ, თუ როგორ ხდება, რომ გლეხობის ერთი ნაწილის მდგომარეობის გაუარესებისდა კვალად უმეტეს შემთხვევაში იზრდება მისი მეორე, მცირე ნაწილის ან ცალკეული წევრების კეთილდღეობა.

სარეწის ზრდასთან ერთად ურთიერთობა გარემო ქვეყანასთან, ქალაქთან, ამ შემთხვევაში მოსკოვთან, უფრო ხშირდება, და სოფელში ნელნელა იჭრება მოსკოვის ზოგიერთი წესები და თავს იჩენს თავდაპირველად სწორედ ამ უფრო შეძლებულ ოჯახებში. ხმარებაში შემოდის სამოვარი, აუცილებლად საჭირო მინისა და ქაშანურის ჭურჭლეული, «უფრო სუფთა» ტანსაცმელი. თუ გლეხის ტანსაცმლის ეს სისუფთავე პირველად იმაში გამოიხატება, რომ ქალამნების ნაცვლად ის ჩექმებს იცვამს, ქალების ბაშმაკები და დაბალყელიანი ჩექმები, ასე ვთქვათ, აგვირგვინებენ უფრო სუფთა ტანსაცმელს; მათ უპირველეს ყოვლისა იტაცებს ლაპლაპა, ჭრელი ჩითეულობა, თავსაფრები, შალის სახიანი წამოსასხამები და სხვა ამგვარი სამკაული...

...გლეხის ოჯახში «ძველთა-ძველი დროიდან» შემოღებულია, რომ ცოლი მოსავს ქმარს, თავის თავსაც და ბავშვებსაც... ვიდრე თავის სელს სთესავდნენ, ნაკლები ფულის ხარჯვა

უხდებოდათ ტანსაცმლისათვის საჭირო მასალისა და საგნების საყიდლად, და ამ ფულსაც ქათმის, კვერცხების, სოკოების, კენკრის, ძაფის დარჩენილი შულოს ან ტილოს ზედმეტი ნაჭრის გაყიდვით შოულობდნენ. დანარჩენი ყველაფერი შინ მზადდებოდა. სწორედ ასეთი პირობებით, ე. ი. ყველა იმ ნაწარმოების შინ დამზადებით, რაც გლეხ-ქალს მოეთხოვებოდა, და იმით, რომ ამას ხმარდებოდა მთელი მათი, მინდვრის სამუშაოებისაგან თავისუფალი დრო, აიხსენება ამ შემთხვევაში ვორონოვოს თემის სოფლებში სამაქმანო სარეწის მეტისმეტად ნელი განვითარება. მაქმანებს ჰქსოვდნენ უმთავრესად უფრო უზრუნველყოფილი ან უფრო მრავალწევრიანი ოჯახების ქალიშვილები, სადაც საჭირო არ იყო, რომ ყველა ქალს ემუშავნა სელის რთვაზე ან ტილოს ქსოვაზე. მაგრამ იაფმა ჩითეულმა, მიტკალმა, ნელნელა დაიწყო ტილოს განდევნა; ამას სხვა პირობებიც დაერთო თან: ხან სელი არ მოდის, ხან მოესურვება — ქმარს შილაიას ხალათი შეუკეროს, თავისთვისაც ლამაზად მორთული «ქურქი» (სარაფანი) შეიკეროს, და აი ნელნელა იდევნება ან ძალიან იკვეცება გლეხური ტანსაცმლისათვის საჭირო სხვადასხვა ტილოების, თავსაფრების შინ ქსოვის ჩვეულება. თვით ტანსაცმელიც იცვლება, ნაწილობრივ შინ დამზადებული ქსოვილების განდევნისა და ფაბრიკებში დამზადებული ქსოვილებით მათი შეცვლის ზეგავლენით...

...ამით აიხსნება მოსახლეობის უმრავლესობის აუცილებელი მისწრაფება გასასაღებლად საქონლის წარმოებისადმი და თვით ბავშვების მიზიდვა ასეთს წარმოებაში».

გულისყურიანი მეთვალყურის ეს უზაკველი მოთხრობა თვალსაჩინოდ გვიჩვენებს, თუ როგორ მიმდინარეობს ჩვენს გლეხურ მასაში საზოგადოებრივი შრომის დანაწილების პროცესი, როგორ იწვევს ეს სასაქონლო წარმოების [და, მაშასადამე, აგრეთვე ბაზრის] გაძლიერებას, და ამ სასაქონლო წარმოებას, თავისთავად, ე. ი. სწორედ იმ ურთიერთობათა გამო, რომლებშიც იგი მწარმოებელს აყენებს ბაზრისადმი, როგორ მივყევართ იქამდე, რომ ადამიანის სამუშაო ძალის ყიდვა-გაყიდვა «უაღრესად ჩვეულებრივ მოვლენად» ხდება.

VIII

დასასრულ, შეიძლება, ზედმეტი არ იქნება დავასურათოთ სადავო საკითხი, — მგონი, მეტისმეტად გადატვირთული უკვე აბსტრაქციებით, სქემებითა და ფორმულებით, — «გაცვეთილ შეხედულებათა» ერთ-ერთი უახლესი და უთვალსაჩინოესი წარმომადგენლის მსჯელობათა განხილვით.

მე ვლაპარაკობ ბ-ნ ნიკოლაი—ონზე *.

რუსეთში კაპიტალიზმის განვითარების უდიდეს «დაბრკოლებას» იგი ხედავს შინაური ბაზრის «შეკვეცაში», გლეხთა სყიდვითი უნარიანობის «შემცირებაში». სარეწების კაპიტალიზაციამ — ამბობს იგი — განდევნა ნაკეთობათა შინაური წარმოება; გლეხი იძულებული გახდა ტანსაცმელი ეყიდნა. ამისთვის რომ ფული ეშოვნა, გლეხმა მიმართა მიწების გაძლიერებით ხვნას და სანადელო მიწის არასაკმარისობის გამო ეს ხვნა დიდად გააფართოვა გონივრული მეურნეობისათვის ნაგულისხმევ ფარგლებს იქით; მან საშინელ ოდენობამდე აიყვანა საიჯარო მიწების ქირა — და ბოლოსდაბოლოს ის გაღატაკდა. კაპიტალიზმმა თვითონ გაითხარა თავისი სამარე, «სახალხო მეურნეობა» 1891 წლის საშინელ კრიზისამდე მიიყვანა და... შეჩერდა, რადგან აღარ დაურჩა ნიადაგი, აღარ შეეძლო განეგრძო «სვლა იმავე გზით». როცა შეიგნო, რომ «**ჩვენ** გადავუხვიეთ საუკუნეებით დაკანონებულ სახალხო წყობილებას», რუსეთიც ახლა ელოდება... ხელისუფალთა განკარგულებას «თემში მსხვილი წარმოების დანერგვის» შესახებ.

რაში მდგომარეობს ამ (რუსეთის ნაროდნიკებისათვის) «მარად ახალი» თეორიის უაზრობა?

იმაში ხომ არა, რომ მის ავტორს არ ესმის «წარმოების საშუალებებისათვის წარმოების საშუალებათა წარმოების» მნიშვნელობა? რა თქმა უნდა, არა. ბ-ნი ნიკ. — ონი კარგად იცნობს ამ კანონს და იმასაც კი იხსენიებს, რომ მან თავი იჩინა

* რასაკვირველია, აქ ლაპარაკიც კი შეუძლებელია მთელი მისი თხზულების განხილვაზე — ამისთვის განსაკუთრებული შრომაა საჭირო, — ლაპარაკია მხოლოდ ე რ თ-ე რ თ ი მისი საყვარელი არგუმენტის განხილვაზე.

ჩვენშიც (გვ. 186, 203 — 204). მართალია, თავისი უნარის გამო — თვითონვე გაიმათრახოს თავი წინააღმდეგობებით, იგი ზოგჯერ (შეად. გვ. 123) ივიწყებს ამ კანონს, მაგრამ ცხადია, რომ მსგავს წინააღმდეგობათა გამოსწორება სრულიადაც ვერ გამოასწორებდა ავტორის ძირითად (ზემომოყვანილ) მსჯელობას.

მისი თეორიის უაზრობა იმაში მდგომარეობს, რომ მას არ შეუძლია ახსნას ჩვენებური კაპიტალიზმი და თავის მსჯელობას მის შესახებ წმინდა ფიქციებზე აშენებს.

«გლეხობას», რომელიც გაღატაკდა საფაბრიკო პროდუქტების მიერ შინაური პროდუქტების განდევნით, ბ-ნი ნიკ. —ონი განიხილავს როგორც რაღაც ერთგვაროვანს, თავის შიგნით სოლიდარულს, რომელიც, როგორც ერთი კაცი, ისე ეხმაურება ცხოვრების ყოველგვარ მოვლენებს.

არაფერი ამის მსგავსი არ არსებობს სინამდვილეში. სასაქონლო წარმოება რუსეთში ვერც კი შეიქმნებოდა, საწარმოო ერთეულთა (გლეხურ კომლთა) განკერძოებულობა რომ არ ყოფილიყო, და ყველამ იცის, რომ ჩვენი გლეხი მართლაც თვითეული ცალცალკე და სხვებისაგან დამოუკიდებლად ეწევა მეურნეობას; იმ პროდუქტებს, რომლებიც მის კერძო საკუთრებად იქცევა, აწარმოებს პირადად თავის რისკზე და თავისი პასუხისმგებლობით; «ბაზართან» ურთიერთობას იჭერს ცალცალკე.

ვნახოთ, როგორია საქმის ვითარება «გლეხობაში».

«რადგან ფული ესაჭიროება, გლეხი უზომოდ აფართოებს სახნავს და ღატაკდება».

მაგრამ სახნავის გაფართოება შეუძლია მხოლოდ შეძლებულ გლეხს, რომელსაც აქვს თესლი დასათესად, საკმაო რაოდენობის ცოცხალი და მკვდარი ინვენტარი. ა ს ე თ ი გლეხები (ისინი კი, როგორც ვიცით, უმცირესობას წარმოადგენენ) მართლაც ადიდებენ ნათესებს და იმ ზომამდე აფართოებენ თავიანთ მეურნეობას, რომ მუშების დაუქირავებლად ვერც კი ართმევენ მას თავს. გლეხების უმრავლესობას კი სრულებით არ შეუძლია მეურნეობის გაფართოებით დაიკმაყოფილოს ფულის საჭიროება,

რადგან არავითარი მარაგი არ მოეპოვება და არც წარმოების საშუალებები აქვს საკმაოდ. ასეთი გლეხი ფულის საშოვნელად «საშოვრებზე» მიდის, ე. ი. ბაზარზე გააქვს უკვე არა თავისი პროდუქტი, არამედ თავისი სამუშაო ძალა. საშოვრებზე წასვლა, ბუნებრივად, იწვევს სამიწათმოქმედო მეურნეობის შემდგომ დაცემას, და ეს გლეხი იმით ამთავრებს, რომ თავის მიწის ნაკვეთს იჯარით აძლევს თემის მდიდარ წევრს, რომელიც აფართოებს თავის მეურნეობას და, გასაგებია, თვითონ კი არ მოიხმარს იჯარით აღებული მიწის ნაკვეთიდან მიღებულ პროდუქტს, არამედ ბაზარზე გზავნის მას. ხდება «ხალხის გაღარიბება», კაპიტალიზმის ზრდა და ბაზრის გადიდება. მაგრამ ესეც ცოტაა. ჩვენს მდიდარ გლეხს, რომელიც სავსებით გართულია თავისი გაფართოებული სამიწათმოქმედო მეურნეობით, უკვე წინანდებურად აღარ შეუძლია თავისთვის აწარმოოს — ვთქვათ, ფეხსაცმელი: მისთვის უფრო ხელსაყრელია იყიდოს ის. რაც შეეხება გაღარიბებულ გლეხს, მასაც უხდება ნაყიდი ფეხსაცმელი იხმაროს: თავის მეურნეობაში მას არ შეუძლია მისი დამზადება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ აღარა აქვს თავისი მეურნეობა. ჩნდება მოთხოვნილება ფეხსაცმელზე და მიწოდება პურისა, რომელიც ჭარბად მოჰყავს ყაირათიან გლეხს, თავისი მეურნეობის პროგრესიული მიმდინარეობით ასე რომ უჩვილებს გულს ბ-ნ ვ. ვ-ს. მეზობელი შინამრეწველნი, რომლებიც ფეხსაცმელს ამზადებენ, ისეთივე მდგომარეობაში ვარდებიან, როგორშიც ახლა მიწათმოქმედნი იყვნენ: პური რომ იყიდოს, რომელსაც მეტისმეტად ცოტას იძლევა დაქვეითების გზაზე დამდგარი მეურნეობა, საჭიროა წარმოების გაფართოება. და ისევ-ისე, რასაკვირველია, წარმოებას მხოლოდ ისეთი შინამრეწველი აფართოებს, რომელსაც დანაზოგი გაუჩნდა, ე. ი. უმცირესობის წარმომადგენელი; მას შეესაძლებლობა ეძლევა დაიქირაოს მუშები ან შინ დაურიგოს სამუშაო ღარიბ გლეხებს. შინამრეწველთა უმრავლესობის წარმომადგენლებისათვის კი ფიქრიც ზედმეტია საწარმოს გაფართოებაზე: ისინი მოხარული იქნებიან, თუ მათ «სამუშაოს მისცემს» გამდიდრებული შემსყიდველი, ე. ი. თუ ისინი იპოვნიან

თავისი ერთადერთი საქონლის — სამუშაო ძალის მყიდველს. ვიღებთ ისევ ხალხის გაღარიბებას, კაპიტალიზმის ზრდასა და ბაზრის გადიდებას; ახალი ბიძგი ეძლევა შრომის საზოგადოებრივი დანაწილების შემდგომ განვითარებას და გაღრმავებას. სად დასრულდება ეს მოძრაობა? ამის თქმა არავის არ შეუძლია, სწორედ ისევე, როგორც იმისა, თუ სად დაიწყო ის; თუმცა ეს არც არის მნიშვნელოვანი. მნიშვნელოვანია ის, რომ ჩვენს წინაშეა ერთი ცოცხალი ორგანული პროცესი, სასაქონლო მეურნეობის განვითარებისა და კაპიტალიზმის ზრდის პროცესი. სოფლად მიმდინარე «განგლეხება» გვიჩვენებს ამ პროცესის დასაწყისს, მის ჩასახვას, მის ადრეულ სტადიებს; ქალაქად მსხვილი კაპიტალიზმის არსებობა გვიჩვენებს ამ პროცესის დასასრულს, მის ტენდენციებს. სცადეთ ამ მოვლენების ერთმანეთისაგან მოწყვეტა, სცადეთ მათი განხილვა ცალცალკე და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, — და თქვენც თავსა და ბოლოს ვერ მიაბამთ თქვენს მსჯელობას, ვერ შესძლებთ ახსნათ ვერც ერთი და ვერც მეორე მოვლენა, ვერც ხალხის გაღარიბება და ვერც კაპიტალიზმის ზრდა.

მაგრამ ამასთანავე უმეტეს ნაწილად ისე ხდება, რომ მსგავს უთავბოლო მსჯელობათა ავტორები, ვერ ხსნიან რა პროცესს, გამოკვლევას სწყვეტენ და აცხადებენ, რომ მათ მიერ ერთნაირად ვერგაგებული ორი მოვლენიდან ერთ-ერთი [და მასთან, რა თქმა უნდა, სწორედ ის, რომელიც ეწინააღმდეგება «კრიტიკულად მოაზროვნე პიროვნების ზნეობრივად განვითარებულ გრძნობას»] — «უაზროა», «შემთხვევითია», «ჰაერშია გამოკიდულია».

სინამდვილეში კი, რასაკვირველია, «ჰაერში გამოკიდულია» მარტოოდენ მათი საკუთარი მსჯელობანი.



ша. „Разрѣшеніе“ въ деревнѣ наступаетъ
лишь начало этого процесса, зародившагося, его
ранняя стадія; „кризисъ“ капитализма въ городѣ
наступаетъ лишь конецъ этого процесса, его
завершеніе. Попробуйте разорвать эти явленія,
попробуйте разсмотрѣть ихъ отдѣльно и независимо
другъ отъ друга, — и вы не сможете въ
своемъ разсужденіи свести концы съ концами,
не сможете объяснить ни того ни другого явленія,
ни обнаруженія народа, ни роста капитализма.

Вотъ этимъ одинаково бывалымъ бывалымъ кажется,
что авторъ подобнаго разсужденія безъ
начала и безъ конца, не умѣя отличить про-
цесса, обрываетъ изслѣдованіе заявленіемъ, что
одно изъ двухъ, одинаково непонятныхъ или явле-
ній [„кризисъ конечно уже имѣетъ то, кото-
рое противорѣчитъ, нарушенію равновѣсію
глубокаго кризисъ явленіяхъ смѣшанныхъ] —
„нелѣпо“, „случайно“, „вышло въ воздухѣ“.

На самомъ дѣлѣ, разрѣшеніе „вышло въ воз-
духѣ“ одни только изъ составныхъ разсужде-
ній.

უკანასკნელი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა
«ეგრეთწოდებული ბაზრების საკითხის გამო». — 1893 წ.
დაპატარავებულია.

რანი არიან «ხალხის მეგობრები» და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?

(პასუხი «რუსკოე ბოგატსტვოს» სტატიებზე მარქსისტების წინააღმდეგ) [15]

დაწერილია 1894 წლის
გაზაფხულს — ზაფხულში.
პირველად დაიბეჭდა 1894 წელს

იბეჭდება 1894 წლის
ჰექტოგრაფიული გამოცემის
მიხედვით

ნაკვეთი I

«რუსკოე ბოგატსტვომ»[16] ლაშქრობა გამართა სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ. ჯერ კიდევ გასული წლის № 10-ში ამ ჟურნალის ერთ-ერთმა მეთაურმა, ბ-მა ნ. მიხაილოვსკიმ, განაცხადა, «პოლემიკას» ვიწყებთ «ჩვენი ეგრეთწოდებული მარქსისტების ანუ სოციალ-დემოკრატების» წინააღმდეგო. შემდეგ დაიბეჭდა სტატიები ბ-ნ ს. კრივენკოსი: «კულტურულ მარტოხელათა შესახებ» (№ 12) და ბ-ნ ნ. მიხაილოვსკისა: «ლიტერატურა და ცხოვრება» (№№ 1 და 2 «რ. ბ.», 1894 წ.). რაც შეეხება ჟურნალის საკუთარ შეხედულებებს ჩვენს ეკონომიურ სინამდვილეზე, ეს შეხედულებანი ყველაზე სრულად ბ-მა ს. იუჟაკოვმა გამოხატა სტატიაში: «რუსეთის ეკონომიური განვითარების საკითხები» (№№ 11 და 12). ეს ვაჟბატონები საერთოდ თავიანთ ჟურნალში პრეტენზიას აცხადებენ — «ხალხის» ნამდვილი «მეგობრების» იდეებისა და ტაქტიკის გამომხატველნი ვართო, ნამდვილად კი სოციალ-დემოკრატიის დაუძინებელი მტრები არიან. მაშ ვცადოთ დავუკვირდეთ ამ «ხალხის მეგობრებს», მათ მიერ მარქსიზმის გაკრიტიკებას, მათს იდეებს, მათს ტაქტიკას.

ბ-ნი ნ. მიხაილოვსკი ყველაზე მეტ ყურადღებას აქცევს მარქსიზმის თეორიულ საფუძვლებს და ამიტომ სპეციალურად ჩერდება ისტორიის მატერიალისტური გაგების გარჩევაზე. ზოგადად მოჰყავს რა იმ ფართო მარქსისტული ლიტერატურის შინაარსი, რომელიც ამ დოქტრინას გადმოსცემს, ბ-ნი მიხაილოვსკი ასეთი ტირადით იწყებს თავის კრიტიკას:

«უწინარეს ყოვლისა — ამბობს ის — თავისთავად იბადება კითხვა: რომელ თხზულებაში გადმოსცა მარქსმა თავისი მატერიალისტური გაგება ისტორიისა? «კაპიტალში» მან მოგვცა ნიმუში ლოგიკური ძალის შეერთებისა ერუდიციასთან,

როგორც მთელი ეკონომიური ლიტერატურის, ისე სათანადო ფაქტების გულმოდგინედ გამოკვლევასთან. მან დღის სინათლეზე გამოიყვანა ეკონომიური მეცნიერების დიდიხნის დავიწყებული ანდა დღეს ყველასათვის უცნობი თეორეტიკოსები და უყურადღებოდ არ დაუტოვებია უწვრილმანესი დეტალებიც კი რომელიმე საფაბრიკო ინსპექტორების მოხსენებებსა და ექსპერტების ჩვენებებში, რაც სხვადასხვა სპეციალურ კომისიებში იყო წარდგენილი; ერთი სიტყვით, გადაჰქექა დიდძალი ფაქტიური მასალა ნაწილობრივ თავისი ეკონომიური თეორიების დასასაბუთებლად, ნაწილობრივ კი მათ საილუსტრაციოდ. თუ მან შეჰქმნა «სრულიად ახალი» გაგება ისტორიული პროცესისა, ახსნა კაცობრიობის მთელი წარსული ახალი თვალსაზრისით და შეაჯამა ყველა დღემდე არსებული ფილოსოფიურ-ისტორიული თეორია, ყველაფერი ეს გააკეთა, რა თქმა უნდა, ასეთივე გულმოდგინეობით: მართლაც გადახედა და კრიტიკული ანალიზი გაუკეთა ისტორიული პროცესის ყველა ცნობილ თეორიას, დაამუშავა მსოფლიო ისტორიის უამრავი ფაქტი. შედარება დარვინთან, რაც ასე ჩვეულებრივია მარქსისტულ ლიტერატურაში, კიდევ უფრო განგვიმტკიცებს ამ აზრს. რას წარმოადგენდა დარვინის მთელი მუშაობა? რამდენიმე განმაზოგადებელ, ურთიერთშორის უმჭიდროესად შეკავშირებულ იდეას, რაც აგვირგვინებს ფაქტიური მასალის მთელ მონ-ბლანს. სადღაა მარქსის სათანადო ნაშრომი? იგი არ არსებობს. და არა თუ არ არსებობს მარქსის ასეთი ნაშრომი, ამგვარი რამ არ მოიპოვება მთელს მარქსისტულ ლიტერატურაშიც, მიუხედავად მთელი მისი რაოდენობრივი სიმრავლისა და გავრცელებულობისა».

მთელი ეს ტირადა მეტისმეტად დამახასიათებელია იმის გასაგებად, თუ რა ნაკლებად ესმით «კაპიტალი» და მარქსი საზოგადოებაში. შეშინებულნი გადმოცემის უდიდესი დამაჯერებლობით, ეს ადამიანები იხრებიან მარქსის წინაშე, აქებენ მას, ამავე დროს კი სრულიად ივიწყებენ დოქტრინის ძირითად შინაარსს და, თითქოს აქ არაფერიაო, განაგრძობენ «სუბიექტური სოციოლოგიის» ძველ სიმღერებს. არ შეიძლება

არ გავიხსენოთ ამის გამო ზედგამოჭრილი ეპიგრაფი, რომელიც კაუტსკიმ წაუმძღვარა თავის წიგნს მარქსის ეკონომიური მოძღვრების შესახებ:

Wer wird nicht einen Klopstock loben?
Doch wird ihn jeder lesen? Nein.
Wir wollen weniger erhoben
Und fleissiger gelesen sein! *

სწორედ ასეა! უკეთესი იქნებოდა, ბ-ნი მიხაილოვსკი ნაკლებ აქებდეს მარქსს და მეტი გულმოდგინეობით კითხულობდეს მას, ან, უკეთ, უფრო სერიოზულად უფიქრდებოდეს იმას, რასაც კითხულობს.

«მარქსმა «კაპიტალში» მოგვცა ნიმუში ლოგიკური ძალის შეერთებისა ერუდიციასთან» — ამბობს ბ-ნი მიხაილოვსკი. ბ-მა მიხაილოვსკიმ ამ ფრაზაში მოგვცა ნიმუში ბრწყინვალე ფრაზის შეერთებისა უშინაარსობასთანო, — შენიშნა ერთმა მარქსისტმა. და ეს შენიშვნა სრულიად სამართლიანია. მართლაც, რაში გამოიხატა მარქსის ეს ლოგიკური ძლიერება? რა შედეგები მოგვცა მან? როცა ბ-ნ მიხაილოვსკის ზემომოყვანილ ტირადას კითხულობ, შეიძლება იფიქრო, რომ მთელი ეს ძლიერება მიმართული ყოფილა «ეკონომიური თეორიებისაკენ» ამ სიტყვის მეტად ვიწრო მნიშვნელობით, — და მეტი არაფერი. და — რათა უფრო ძლიერ აღნიშნოს იმ ასპარეზის ვიწრო ფარგლები, რომელზედაც მარქსი თავის ლოგიკურ ძალას იჩენდა, ბ-ნი მიხაილოვსკი ხაზს უსვამს «უწვრილმანეს დეტალებს», «გულმოდგინეობას», «ყველასათვის უცნობ თეორეტიკოსებს» და სხვ. ისე გამოდის, თითქოს მარქსს არაფერი არსებითად ახალი, მოხსენიების ღირსი არ შეეტანოს ამ თეორიების აგების ხერხებში, თითქოს მას ეკონომიური მეცნიერების საზღვრები დაეტოვებინოს ისეთივე, როგორიც წინანდელი ეკონომისტების დროს იყო, არ გაეფართოებინოს ისინი, არ შემოეტანოს

* — ვინ არ აქებს კლოპშტოკს? მაგრამ განა ყველა კითხულობს მას? არა. ჩვენ გვინდა, რომ ნაკლებ გვაქებდნენ, სამაგიეროდ კი მეტი გულმოდგინეობით კითხულობდნენ ჩვენს ნაწერებს! (ლესინგი). რ ე დ.

თვით ამ მეცნიერების «სრულიად ახალი» გაგება. მაგრამ ამასთანავე ყველამ, ვისაც კი «კაპიტალი» წაუკითხავს, იცის, რომ ეს სრულებით არ არის მართალი. არ შეიძლება ამის გამო არ გავიხსენოთ ის, რასაც სწერდა მარქსის შესახებ ბ-ნი მიხაილოვსკი 16 წლის წინათ, როცა უგვანო-ბურჟუაზიულ ბ-ნ ი. ჟუკოვსკის[17] ეკამათებოდა. არ ვიცით, დრო იყო მაშინ სხვანაირი, თუ გრძნობები უფრო ახალგაზრდული, მხოლოდ უნდა ითქვას, რომ ბ-ნ მიხაილოვსკის სტატიის ტონიც და შინაარსიც სულ სხვაგვარი იყო.

— «ამ თხზულების საბოლოო მიზანია — გვიჩვენოს თანამედროვე საზოგადოების განვითარების კანონი (დედანშია: Das oekonomische Bewegungsgesetz — მოძრაობის ეკონომიური კანონი)» — ამბობს კ. მარქსი თავისი «კაპიტალის» შესახებ და მტკიცე თანმიმდევრობით იცავს თავის პროგრამას», — ასეთ აზრს გამოსთქვამდა ბ-ნი მიხაილოვსკი 1877 წელს. მაშ ახლო განვიხილოთ ეს — კრიტიკოსის აღიარებით — მტკიცე თანმიმდევრობით დაცული პროგრამა. პროგრამა იმაში მდგომარეობს, რომ «გვიჩვენოს თანამედროვე საზოგადოების განვითარების ეკონომიური კანონი».

უკვე თვით ეს ფორმულირება პირისპირ გვიყენებს რამდენიმე საკითხს, რომელნიც განმარტებას მოითხოვენ. რატომ ლაპარაკობს ამას მარქსი «თანამედროვე (modern)» საზოგადოებაზე, როცა ყველა ეკონომისტი მარქსამდე საზოგადოებაზე ლაპარაკობდა საერთოდ? რა აზრით ხმარობს ის სიტყვას «თანამედროვე», რა ნიშნების მიხედვით გამოჰყოფს განსაკუთრებულად ამ თანამედროვე საზოგადოებას? და შემდეგ — რას ნიშნავს ეს: საზოგადოების მოძრაობის ეკონომიური კანონი? ჩვენ ხშირად გვსმენია ეკონომისტებისაგან — და ეს, სხვათა შორის, ერთ-ერთი საყვარელი იდეაა იმ წრის პუბლიცისტებისა და ეკონომისტებისა, რომელსაც «რუსკოე ბოგატსტვო» ეკუთვნის, — რომ მხოლოდ ფასეულობათა წარმოება ემორჩილება მარტოოდენ ეკონომიურ კანონებს, მაშინ როდესაც განაწილება ვითომდა დამოკიდებულია პოლიტიკაზე, იმაზე, თუ რა ზემოქმედებას მოახდენს ხელისუფლება, ინტელიგენცია და

სხვ. საზოგადოებაზე. მაშ რა აზრით ლაპარაკობს მარქსი საზოგადოების მოძრაობის ეკონომიურ კანონზე, თანაც იქვე ამ კანონს Naturgesetz — ბუნების კანონს — უწოდებს? როგორ უნდა გავიგოთ ეს, როცა ესოდენ მრავალმა ჩვენებურმა სოციოლოგმა მთელი გროვა ქაღალდი გადაალია იმაზე წერას, რომ საზოგადოებრივ მოვლენათა სფერო ცალკე გამოიყოფა ბუნებრივ-ისტორიულ მოვლენათა სფეროსაგან, რომ ამიტომ პირველთა გამოსაკვლევადაც საჭიროა გამოვიყენოთ სრულიად განსაკუთრებული «სუბიექტური მეთოდი სოციოლოგიაშიო»?

ყველა ეს გაუგებრობანი ბუნებრივად და აუცილებლად იბადებიან, და, რა თქმა უნდა, მხოლოდ სრულიად უმეცარ ადამიანს შეუძლია მათი გვერდის ავლა, როცა «კაპიტალზე» ლაპარაკობს. ამ საკითხებში რომ გავერკვეთ, მოვიყვანოთ წინასწარ კიდევ ერთი ადგილი «კაპიტალის» იმავე წინასიტყვაობიდან, — სულ რამდენიმე სტრიქონით ქვევით:

«ჩემი თვალსაზრისი იმაში მდგომარეობს, — ამბობს მარქსი, — რომ ეკონომიური საზოგადოებრივი ფორმაციის განვითარებას მე ისე ვუყურებ, როგორც ბუნებრივ-ისტორიულ პროცესს» [18].

საკმაოა უბრალო დაპირისპირება თუნდაც ზემომოყვანილი ორი ადგილისა წინა სიტყვაობიდან, რათა დავინახოთ, რომ სწორედ ამაში მდგომარეობს «კაპიტალის» ძირითადი იდეა, რომელიც, როგორც მოვისმინეთ, ტარდება მტკიცე თანმიმდევრობით და იშვიათი ლოგიკური ძლიერებით. აღვნიშნოთ უწინარეს ყოვლისა ორი გარემოება ყოველივე ამის გამო: მარქსი ლაპარაკობს მხოლოდ ერთ «საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციაზე», კაპიტალისტურზე, ე. ი. ამბობს, რომ მხოლოდ ამ ფორმაციის განვითარების კანონი გამოიკვლია და არა სხვა რომელიმესი. ეს ერთი. ხოლო მეორეც, აღვნიშნოთ მარქსის მიერ მისი დასკვნების გამომუშავების ხერხები: ეს ხერხები, როგორც ეს-არის ახლა გავიგონეთ ბ-ნ მიხაილოვსკისაგან, მდგომარეობდა «სათანადო ფაქტების გულმოდგინედ გამოკვლევაში».

ახლა გადავიდეთ «კაპიტალის» ამ ძირითადი იდეის განხილვაზე, რომლისთვისაც ასე მოხერხებულად სცადა გვერდის

ავლა ჩვენმა სუბიექტურმა ფილოსოფოსმა. რაში მდგომარეობს სახელდობრ ეკონომიური საზოგადოებრივი ფორმაციის ცნება? და როგორ შეიძლება ჩაითვალოს და უნდა ჩაითვალოს კიდეც ამ ფორმაციის განვითარება ბუნებრივ-ისტორიულ პროცესად? — აი საკითხები, რომელნიც ახლა ჩვენს წინაშე დგანან. მე უკვე აღვნიშნე, რომ ძველი (არა რუსეთისათვის) ეკონომისტებისა და სოციოლოგების თვალსაზრისით საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციის ცნება სრულიად ზედმეტია: ისინი მსჯელობენ საზოგადოებაზე საერთოდ, ეკამათებიან სპენსერებს იმის შესახებ, თუ რა არის საერთოდ საზოგადოება, როგორია საერთოდ საზოგადოების მიზანი და არსი და სხვ. ამგვარ მსჯელობაში ეს სუბიექტური სოციოლოგები ეყრდნობიან იმის მაგვარ საბუთებს, რომ საზოგადოების მიზანი — ყველა მისი წევრის სარგებლობაა, რომ ამიტომ სამართლიანობა ამა და ამ ორგანიზაციას მოითხოვს, და რომ ამ იდეალური ორგანიზაციისათვის შეუფერებელი წესები («სოციოლოგიამ უნდა დაიწყოს ერთგვარი უტოპიით» — ეს სიტყვები სუბიექტური მეთოდის ერთ-ერთი ავტორის, ბ-ნ მიხაილოვსკისა, მშვენივრად ახასიათებენ მათი მეთოდების არსს) არანორმალური არიან და მოსპობილ უნდა იქნანო. «სოციოლოგიის არსებითს ამოცანას — მსჯელობს, მაგალითად, ბ-ნი მიხაილოვსკი — შეადგენს იმ საზოგადოებრივი პირობების გამორკვევა, რომლებშიც ადამიანის ბუნების ესა თუ ის მოთხოვნილება დაკმაყოფილებას ჰპოვებს». თქვენ ხედავთ, რომ ამ სოციოლოგს აინტერესებს მხოლოდ ისეთი საზოგადოება, რომელიც ადამიანის ბუნებას აკმაყოფილებს, და სრულიადაც არა რაღაც საზოგადოებრივი ფორმაციები, რომელნიც ამასთან შეიძლება დამყარებული იქნენ ისეთს, «ადამიანის ბუნებისათვის» შეუფერებელ მოვლენაზე, როგორიცაა უმრავლესობის დამონება უმცირესობის მიერ. თქვენ ხედავთ აგრეთვე, რომ ამ სოციოლოგის თვალსაზრისით ლაპარაკიც კი არ შეიძლება იმაზე, რომ საზოგადოების განვითარება ბუნებრივ-ისტორიულ პროცესად მივიჩნიოთ. («სოციოლოგმა, რომელმაც რაიმე სასურველად ან არასასურველად სცნო, უნდა აღმოაჩინოს პირობები ამ სასურველის

განსახორციელებლად ან არასასურველის მოსასპობად» — «ამა და ამ იდეალების განსახორციელებლად», — მსჯელობს იგივე ბ-ნი მიხაილოვსკი.) კიდევ მეტი, არ შეიძლება ლაპარაკი განვითარებაზეც კი, არამედ მხოლოდ სხვადასხვა გადახრაზე «სასურველისაგან», «დეფექტებზე», რაც ისტორიაში ხდებოდა იმის... იმის გამო, რომ ადამიანები უჭკუონი იყვნენ, არ შეეძლოთ იმის კარგად გაგება, რას ითხოვს ადამიანის ბუნება, არ შეეძლოთ აღმოეჩინათ პირობები ასეთი გონივრული წესების განსახორციელებლად. ცხადია, მარქსის ძირითადი იდეა საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციათა განვითარების ბუნებრივ-ისტორიული პროცესისა საფუძველშივე არყევს ამ ბავშვურ მორალს, რომელიც პრეტენზიას აცხადებს სოციოლოგიის სახელწოდებაზე. როგორღა შეიმუშავა მარქსმა ეს ძირითადი იდეა? ეს მან მოახდინა იმით, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დარგიდან გამოჰყო ეკონომური დარგი, ყველა საზოგადოებრივი ურთიერთობიდან გამოჰყო წ ა რ მ ო ე ბ ი თ ი ურ თ ი ე რ თ ო ბ ა ნ ი, როგორც ძირითადი, პირვანდელი, ყველა დანარჩენი ურთიერთობის განმსაზღვრელი. თვით მარქსმა ასე გადმოგვცა ამ საკითხზე თავისი მსჯელობის მსვლელობა:

«პირველი ნაშრომი, რომელიც მე დავიწყე ჩემში აღძრული ეჭვების გასაფანტავად, იყო კრიტიკული განხილვა ჰეგელის სამართლის ფილოსოფიისა. ამ ნაშრომზე მუშაობამ იმ დასკვნამდე მიმიყვანა, რომ უფლებრივი ურთიერთობანი სწორედ ისევე, როგორც პოლიტიკური ფორმები, არ შეიძლება გამოყვანილ და ახსნილ იქნან მარტოოდენ იურიდიული და პოლიტიკური საფუძვლებით; კიდევ უფრო ნაკლებ შეიძლება მათი ახსნა და გამოყვანა ადამიანის სულის ეგრეთწოდებული ზოგადი განვითარებიდან. მათი ფესვები მარხია მხოლოდდამხოლოდ მატერიალურ, ცხოვრებითს ურთიერთობებში, რომელთა ერთობლიობას ჰეგელი, მე-18 საუკუნის ინგლისელი და ფრანგი მწერლების მსგავსად, «სამოქალაქო საზოგადოებას» უწოდებს. სამოქალაქო საზოგადოების ანატომია კი პოლიტიკურ ეკონომიაში უნდა ვეძებოთ. ის შედეგები, რაც მე ამ უკანასკნელის შესწავლამ მომცა, მოკლედ შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყა-

ლიბდეს. მატერიალური წარმოების დროს ადამიანებს უხდებათ ერთმანეთთან განსაზღვრულ ურთიერთობებში, წ ა რ მ ო ე ბ ი თ ს ურ თ ი ე რ თ ო ბ ებ შ ი ჩადგომა. ეს უკანასკნელნი ყოველთვის შეესაბამებიან წარმოების განვითარების იმ საფეხურს, რომელსაც ამ დროს მათი ეკონომიური ძალები აღწევენ. ამ წარმოებით ურთიერთობათა ერთობლიობა შეადგენს საზოგადოების ეკონომიურ სტრუქტურას, რეალურ საფუძველს, რომელზედაც პოლიტიკური და იურიდიული ზედნაშენია აღმართული და რომელსაც საზოგადოებრივი ცნობიერების განსაზღვრული ფორმები შეესაბამება. ამრიგად, წარმოების წესი განაპირობებს ცხოვრების სოციალურ, პოლიტიკურ და წმინდა სულიერ პროცესებს. მათი არსებობა არა თუ დამოკიდებული არ არის ადამიანის ცნობიერებაზე, არამედ, პირიქით, უკანასკნელი თვით არის დამოკიდებული მათზე. მაგრამ თავისი განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე ეს ძალები ეჯახებიან ადამიანთა წარმოებითს ურთიერთობებს. ამის გამო ეს ურთიერთობანი უკვე ეწინააღმდეგებიან იმასაც, რაც შეადგენს წარმოებით ურთიერთობათა იურიდიულ გამოხატულებას, ე. ი. ქონებრივ წესებს. მაშინ წარმოებითი ურთიერთობანი უკვე აღარ შეესაბამებიან საწარმოო ძალების განვითარებას და იწყებენ მათს შეზღუდვას. აქედან წარმოიშობა საზოგადოებრივი გადატრიალების ეპოქა. ეკონომიური საფუძვლის ცვლილებასთან ერთად მეტი თუ ნაკლები სიჩქარით იცვლება მთელი უზარმაზარი ზედნაშენი, რომელიც მასზეა აღმართული. ამ გადატრიალებათა განხილვის დროს ყოველთვის საჭიროა ზუსტად განვასხვავოთ ერთმანეთისაგან მატერიალური ცვლილება წარმოების პირობებში, რომელიც აღნიშნულ უნდა იქნას ბუნებისმეტყველურ-მეცნიერული სისწორით, და იურიდიულ, პოლიტიკურ, რელიგიურ, მხატვრულ და ფილოსოფიურ, ერთი სიტყვით — იმ იდეოლოგიურ ფორმათა ცვლილება, რომლებითაც აზრი შეჯახების შესახებ იჭრება ადამიანის ცნობიერებაში და სადაც ფარული ბრძოლა სწარმოებს ამის გამო. ცალკეულ ადამიანზე ჩვენ არ ვმსჯელობთ იმის მიხედვით, თუ რას ფიქრობს თვითონ იგი თავის თავზე; მაგრამ არც გადატ-

რიალებათა ეპოქაზე მსჯელობა შეიძლება მისი საკუთარი თვითშეგნების მიხედვით. პირიქით, ეს თვითშეგნება ახსნილ უნდა იქნას მატერიალური ცხოვრების წინააღმდეგობებით, წარმოების პირობებსა და საწარმოო ძალებს შორის არსებული კონფლიქტით... ზოგადად განხილული აზიური, ანტიკური, ფეოდალური და უახლესი ბურჟუაზიული წარმოებითი წესები შეიძლება განხილულ იქნან როგორც პროგრესული ეპოქები საზოგადოების ეკონომიურ ფორმაციათა ისტორიაში»[19].

ეს იდეა მატერიალიზმისა სოციოლოგიაში უკვე თავისთავად გენიალური იდეა იყო. რასაკვირველია, ჯერჯერობით ეს მხოლოდ ჰიპოთეზი იყო, მაგრამ ისეთი ჰიპოთეზი, რომელიც პირველად ჰქმნიდა ისტორიული და საზოგადოებრივი საკითხებისადმი ზუსტი მეცნიერული თვალსაზრისით მიდგომის შესაძლებლობას. მანამდე სოციოლოგები, ვერ ახერხებდნენ რა ისეთ უმარტივეს და პირვანდელ ურთიერთობათა დანახვას, როგორიცაა წარმოებითი ურთიერთობანი, პირდაპირ ხელს ჰკიდებდნენ პოლიტიკურ-იურიდიული ფორმების გამოკვლევასა და შესწავლას, ეჯახებოდნენ იმ ფაქტს, რომ ეს ფორმები კაცობრიობის ამა თუ იმ იდეებიდან წარმოიშობიან ამა თუ იმ დროს — და ამაზე ჩერდებოდნენ; ისე გამოდიოდა, თითქოს საზოგადოებრივ ურთიერთობას ადამიანები შეგნებულად ჰქმნიან. მაგრამ ეს დასკვნა, რომელმაც თავისი სრული გამოხატულება ჰპოვა Contrat Social-ის[20] იდეაში (რომლის კვალი მეტად ემჩნევა უტოპიური სოციალიზმის ყველა სისტემას), სრულიად ეწინააღმდეგებოდა ყველა ისტორიულ დაკვირვებას. არასოდეს არ ყოფილა, და არც ახლა არის, რომ საზოგადოების წევრებს წარმოედგინოთ იმ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობა, რომლებშიც ისინი ცხოვრობენ, როგორც რაღაც გარკვეული, მთლიანი, გამსჭვალული ამა და ამ საწყისით; პირიქით, მასა შეუგნებლად ეგუება ამ ურთიერთობებს და მას იმდენად ვერ წარმოუდგენია ისინი, როგორც განსაკუთრებული ისტორიული საზოგადოებრივი ურთიერთობანი, რომ, მაგალითად, გაცვლა-გამოცვლის ურთიერთობათა ახსნა, რომლებშიც ადამიანები

მრავალი საუკუნის განმავლობაში ცხოვრობდნენ, მხოლოდ სულ უკანასკნელ დროს იყო მოცემული. მატერიალიზმმა მოსპო ეს წინააღმდეგობა იმით, რომ უფრო გააღრმავა ანალიზი ადამიანის თვით ამ საზოგადოებრივი იდეების წარმოშობის გამოსარკვევად; და მისი დასკვნა, რომ იდეათა მსვლელობა საგანთა მსვლელობაზეა დამოკიდებული, ერთადერთი შეესაბამება მეცნიერულ ფსიქოლოგიას. გარდა ამისა, ამ ჰიპოთეზმა მეორე მხრივაც პირველად აიყვანა სოციოლოგია მეცნიერების სიმაღლეზე. მანამდე სოციოლოგებს უჭირდათ საზოგადოებრივ მოვლენათა რთულ ქსელში მნიშვნელოვანი და არამნიშვნელოვანი მოვლენების გარჩევა (ესაა სუბიექტივიზმის საფუძველი სოციოლოგიაში), მათ არ იცოდნენ, როგორ ეპოვათ ობიექტური კრიტერიუმი ასეთი განსაზღვრისათვის. მატერიალიზმმა მოგვცა სრულიად ობიექტური კრიტერიუმი იმით, რომ გამოჰყო «წარმოებითი ურთიერთობანი», როგორც საზოგადოების სტრუქტურა, და შესაძლებელი გახადა ამ ურთიერთობათა მიმართ გამოყენებული ყოფილიყო ის ზოგადმეცნიერული კრიტერიუმი განმეორებითობისა, რომლის გამოყენების შესაძლებლობას სოციოლოგიაში სუბიექტივისტები უარჰყოფდნენ. სანამ ისინი იდეოლოგიური საზოგადოებრივი ურთიერთობებით (ე. ი. ისეთი ურთიერთობებით, რომელნიც ჩამოყალიბებამდე ადამიანთა ცნობიერებაში* გაივლიან) კმაყოფილდებოდნენ, მათ არ შეეძლოთ შეემჩნიათ განმეორებითობა და სისწორე სხვადასხვა ქვეყნის საზოგადოებრივ მოვლენებში, და მათი მეცნიერება საუკეთესო შემთხვევაში მხოლოდ ამ მოვლენების აწერა, ნედლი მასალის შერჩევა იყო. მატერიალურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ანალიზმა (ე. ი. ისეთ ურთიერთობათა, რომელნიც ისე ყალიბდებიან, რომ ადამიანთა ცნობიერებაში არ გაივლიან: პროდუქტების გაცვლა-გამოცვლის დროს ადამიანები შედიან წარმოებითს ურთიერთობაში, ისე რომ არც კი აქვთ შეგნებული, რომ აქ საზოგადოებრივი წარმოებითი ურთიერთობაა) — მატერიალურ

* ესე-იგი, რასაკვირველია, ყოველთვის ლაპარაკია ს ა ზ ო გ ა დ ო ებ რ ი ვ და არა რაიმე სხვა ურთიერთობათა შეცნობაზე.

საზოგადოებრივ ურთიერთობათა ანალიზმა ერთბაშად მოგვცა შესაძლებლობა შეგვენიშნა განმეორებითობა და სისწორე და საზოგადოებრივი ფორმაციის ერთ ძირითად ცნებად განგვეზოგადებინა სხვადასხვა ქვეყნის წესები. მხოლოდ ასეთმა განზოგადებამ შეგვაძლებინა გადავსულიყავით საზოგადოებრივი მოვლენების აწერისაგან (და მათი შეფასებისაგან იდეალის თვალსაზრისით) მათს მტკიცე მეცნიერულ ანალიზზე, რომელიც, მაგალითისათვის რომ ვთქვათ, გამოაცალკევებს იმას, რაც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანას მეორისაგან განასხვავებს, და რომელიც იკვლევს იმას, რაც მათ საერთო აქვთ.

დასასრულ, მესამეც, ამ ჰიპოთეზმა პირველად კიდევ იმიტომ შეჰქმნა მეცნიერული სოციოლოგიის შესაძლებლობა, რომ მხოლოდ საზოგადოებრივი ურთიერთობის დაყვანამ წარმოებითს ურთიერთობამდე და საწარმოო ძალთა სიმაღლეზე ამ უკანასკნელის აყვანამ მოგვცა მტკიცე საფუძველი იმისათვის, რომ საზოგადოებრივ ფორმაციათა განვითარება წარმოვიდგინოთ როგორც ბუნებრივ-ისტორიული პროცესი. და თავისთავად იგულისხმება, რომ ასეთი შეხედულების გარეშე საზოგადოებრივი მეცნიერებაც არ შეიძლება იყოს. (მაგალითად, სუბიექტივისტები სცნობდნენ ისტორიული მოვლენების კანონშესაბამისობას, მაგრამ ვერ ახერხებდნენ იმას, რომ მათი ევოლუცია განეხილათ, როგორც ბუნებრივ-ისტორიული პროცესი, — და ეს სწორედ იმიტომ, რომ ჩერდებოდნენ ადამიანის საზოგადოებრივ იდეებსა და მიზნებზე, ვერ ახერხებდნენ რა ამ იდეებისა და მიზნების დაყვანას მატერიალურ საზოგადოებრივ ურთიერთობამდე.)

მაგრამ აი მარქსი, რომელმაც 40-იან წლებში გამოსთქვა ეს ჰიპოთეზი, ხელს ჰკიდებს მასალის ფაქტიურ (ეს nota bene*) შესწავლას. ის იღებს ერთ-ერთ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციას — სასაქონლო მეურნეობის სისტემას — და უამრავი მასალის საფუძველზე (რომელსაც ის, სულ ცოტა, 25 წლის განმავლობაში სწავლობდა) იძლევა ამ ფორმაციის

* კარგად დაიხსომეთ.

მოქმედებისა და განვითარების კანონების ფრიად დაწვრილებითს ანალიზს. ეს ანალიზი შეზღუდულია მარტოოდენ წარმოებითი ურთიერთობებით საზოგადოების წევრებს შორის: მარქსი საქმის ვითარების ასახსნელად არასოდეს არ მიმართავს ისეთ მომენტებს, რომელნიც ამ წარმოებით ურთიერთობათა გარეშე დგანან, და შესაძლებლობას გვაძლევს დავინახოთ, თუ როგორ ვითარდება საზოგადოებრივი მეურნეობის სასაქონლო ორგანიზაცია, როგორ იქცევა ის კაპიტალისტურ ორგანიზაციად, ჰქმნის რა ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის ანტაგონისტურ (უკვე წარმოებით ურთიერთობათა ფარგლებში) კლასებს, როგორ ანვითარებს იგი საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერებას, და მით ისეთი ელემენტი შემოაქვს, რომელიც შეურიგებელ წინააღმდეგობაში ვარდება თვით ამ კაპიტალისტური ორგანიზაციის საფუძვლებთან.

ასეთია «კაპიტალის» ჩ ო ნ ჩ ხ ი. მაგრამ მთელი საქმე იმაშია, რომ მარქსი არ დაკმაყოფილდა ამ ჩონჩხით, რომ იგი არ დასჯერდა მარტოოდენ «ეკონომიურ თეორიას» ჩვეულებრივი აზრით, რომ — ხ ს ნ ი დ ა რა მოცემული საზოგადოებრივი ფორმაციის წყობასა და განვითარებას მ ხ ო ლ ო დ დ ა მ ხ ო ლ ო დ წარმოებითი ურთიერთობებით — იგი, მიუხედავად ამისა, ყველგან და მუდამ თვალს ადევნებდა ამ წარმოებითი ურთიერთობებისადმი შესაფერ ზედნაშენებს, სისხლსა და ხორცს ასხამდა ჩონჩხს. სწორედ იმიტომ ჰქონდა «კაპიტალს» ასეთი უდიდესი წარმატება, რომ «გერმანელი ეკონომისტის» ამ წიგნმა მკითხველს მთელი კაპიტალისტური საზოგადოებრივი ფორმაცია უჩვენა როგორც ცოცხალი რამ — მისი საყოფაცხოვრებო მხარეებით, წარმოებითი ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი კლასთა ანტაგონიზმის ფაქტიური სოციალური გამოხატულებით, ბურჟუაზიული პოლიტიკური ზედნაშენით, რომელიც კაპიტალისტთა კლასის ბატონობას იცავს, თავისუფლების, თანასწორობისა და სხვ. ბურჟუაზიული იდეებით, ბურჟუაზიული ოჯახური ურთიერთობით. ახლა გასაგებია, რომ დარვინთან შედარება საავსებით სწორია: «კაპიტალი» სხვას არას წარმოადგენს, თუ არ «რამდენიმე განმაზოგადებელ, ურთიერთშორის უმჭიდ-

როესად შეკავშირებულ იდეას, რაც აგვირგვინებს ფაქტიური მასალის მთელ მონ-ბლანს». და თუ კი ვინმემ, «კაპიტალის» წაკითხვის დროს, შესძლო ვერ შეემჩნია ეს განმაზოგადებელი იდეები, ეს უკვე მარქსის ბრალი არ არის; მან, როგორც დავინახეთ, თვით წინასიტყვაობაშიც კი აღნიშნა ეს იდეები. ეს კიდევ ცოტაა, ასეთი შედარება სწორია არა მარტო გარეგნული მხრით (რამაც, არ ვიცით, რატომ, განსაკუთრებით დააინტერესა ბ-ნი მიხაილოვსკი), არამედ შინაგანითაც. როგორც დარვინმა ბოლო მოუღო შეხედულებას ცხოველებისა და მცენარეების სახეებზე, როგორც სრულიად დაუკავშირებელ, შემთხვევითს, «ღვთის გაჩენილ» და უცვლელ მოვლენებზე, და პირველად დააყენა ბიოლოგია სავსებით მეცნიერულ ნიადაგზე, დაამტკიცა რა სახეთა ცვალებადობა და მემკვიდრეობითობა მათ შორის, — ისევე მარქსმა ბოლო მოუღო შეხედულებას საზოგადოებაზე, როგორც ინდივიდთა მექანიკურ აგრეგატზე, რომელიც შეიძლება ყოველნაირად შეიცვალოს უფროსის ნება-სურვილით (ან, რაც იგივეა, საზოგადოებისა და მთავრობის ნება-სურვილით), რომელიც წარმოიშობა და იცვლება შემთხვევით, და პირველად დააყენა სოციოლოგია მეცნიერულ ნიადაგზე, — შეიმუშავა საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციის ცნება, როგორც მოცემულ წარმოებით ურთიერთობათა ერთობლიობისა, და დაამტკიცა, რომ ამგვარი ფორმაციების განვითარება ბუნებრივ-ისტორიული პროცესია.

ახლა — «კაპიტალის» გამოსვლის დროიდან — ისტორიის მატერიალისტური გაგება უკვე ჰიპოთეზი კი არა, მეცნიერულად დამტკიცებული დებულებაა, და ვიდრე ჩვენ არ გვექნება რომელიმე საზოგადოებრივი ფორმაციის — სახელდობრ საზოგადოებრივი ფორმაციისა და არა რომელიმე ქვეყნის ან ხალხის, ანდა თვით კლასის და სხვ. ყოფა-ცხოვრების — არსებობისა და განვითარების მეცნიერულად ახსნის მეორე ცდა, რომელიც სწორედ ისევე შესძლებდა წესრიგი შეეტანა «სათანადო ფაქტებში», როგორც ეს მატერიალიზმმა შესძლო მოეხდინა, მეორე ცდა, რომელიც სწორედ ისევე შესძლებდა მოეცა განსაზღვრული ფორმაციის ცოცხალი სურათი მის ზუსტ მეცნიერულ

ახსნასთან ერთად, — მანამდე ისტორიის მატერიალისტური გაგება საზოგადოებრივი მეცნიერების სინონიმი იქნება. მატერიალიზმი წარმოადგენს არა «უმთავრესად მეცნიერულ გაგებას ისტორიისას», როგორც ბ-ნი მიხაილოვსკი ფიქრობს, არამედ მის ერთადერთ მეცნიერულ გაგებას.

და ახლა — წარმოგიდგენიათ იმაზე უფრო სასაცილო კურიოზი, ვიდრე ის, რომ აღმოჩნდნენ ადამიანები, რომელთაც იმდენი შესძლეს, რომ «კაპიტალი» წაიკითხეს და იქ მატერიალიზმი ვერ ნახეს! სად არის იგი? — კითხულობს გულწრფელი გაკვირვებით ბ-ნი მიხაილოვსკი.

მას წაუკითხავს «კომუნისტური მანიფესტი» და ვერ შეუმჩნევია, რომ თანამედროვე წესების ახსნა — იურიდიულისაც, პოლიტიკურისაც, ოჯახურისაც, რელიგიურისაც, ფილოსოფიურისაც — იქ მოცემულია მატერიალისტური, რომ თვით სოციალისტური და კომუნისტური თეორიების კრიტიკა მათს ფესვებს ეძებს და პოულობს ამა და ამ წარმოებითს ურთიერთობებში.

მას წაუკითხავს «ფილოსოფიის სიღატაკე» და ვერ შეუმჩნევია, რომ პრუდონის სოციოლოგიის გარჩევა იქ ხდება მატერიალისტური თვალსაზრისით, რომ კრიტიკა სულ სხვადასხვა ისტორიულ საკითხთა იმ გადაწყვეტისა, რასაც პრუდონი აყენებდა, მატერიალიზმის პრინციპებიდან გამოდის, რომ თვით ავტორის მითითებანი, თუ სად უნდა ვეძებოთ საფუძველი ამ საკითხების გადასაჭრელად, მუდამ შეიცავენ წარმოებითი ურთიერთობების დამოწმებას.

მას წაუკითხავს «კაპიტალი» და ვერ შეუმჩნევია, რომ მის წინაშეა ნიმუში ერთი — ამასთან ურთულესი — საზოგადოებრივი ფორმაციის მეცნიერული ანალიზისა მატერიალისტური მეთოდის მიხედვით, ნიმუში საყოველთაოდ ცნობილი და უბადლო. და აი ის ზის და მაგრად ჩაფიქრებულა ღრმააზროვან საკითხზე: «რომელ თხზულებაში გადმოსცა მარქსმა თავისი მატერიალისტური გაგება ისტორიისა?»

ყველა, ვინც მარქსს იცნობს, ამაზე მეორე კითხვით უპასუხებდა: რომელ თხზულებაში არ გადმოუცია მარქსს თავისი

მატერიალისტური გაგება ისტორიისა? მაგრამ ბ-ნი მიხაილოვსკი, ალბათ, მარქსის მატერიალისტური კვლევა-ძიების შესახებ გაიგებს მხოლოდ მაშინ, როცა ის სათანადო ნომრით აღნიშნული იქნება რომელიმე კარეევის რომელიმე ისტორიოსოფიულ ნაშრომში შემდეგი სათაურით: «ეკონომიური მატერიალიზმი».

მაგრამ განსაკუთრებით კურიოზული ისაა, რომ ბ-ნი მიხაილოვსკი ბრალს სდებს მარქსს იმაში, რომ მან არ «გადასინჯა (sic! *) ისტორიული პროცესის ყველა ცნობილი თეორია». ეს უკვე სავსებით სასაცილო რამ არის. რაში-ღა მდგომარეობდა ამ თეორიების ცხრა მეათედი? წმინდა აპრიორულ, დოგმატურ, აბსტრაქტულ აზრთწყობაში იმის შესახებ, თუ რა არის საზოგადოება, რა არის პროგრესი? და სხვ. (განგებ ისეთ მაგალითებს ვიღებ, რომლებიც ახლოა ბ-ნ მიხაილოვსკის სულსა და გულთან.) მაგრამ ასეთი თეორიები ხომ უვარგისი არიან უკვე იმიტომ, რომ ისინი არსებობენ, უვარგისი არიან თავიანთი ძირითადი მეთოდების, თავიანთი სრული და გამოუვალი მეტაფიზიკურობის გამო. დაწყება საკითხებით — რა არის საზოგადოება, რა არის პროგრესი? — ეს ხომ ბოლოდან დაწყებას ნიშნავს. საიდან მიიღებთ წარმოდგენას საზოგადოებასა და პროგრესზე საზოგადოდ, როცა თქვენ ჯერ კიდევ არცერთი საზოგადოებრივი ფორმაცია არ შეგისწავლიათ კერძოდ, თვით ეს ცნებაც კი ვერ დაგიდგენიათ, ვერც კი შესდგომიხართ რომელიმე საზოგადოებრივ ურთიერთობათა სერიოზულ ფაქტიურ შესწავლას, ობიექტურ ანალიზს? ეს ყველაზე თვალსაჩინო ნიშანია მეტაფიზიკისა, რომლითაც ყოველი მეცნიერება იწყებდა: სანამ არ იცოდნენ, თუ როგორ შესდგომოდნენ ფაქტების შესწავლას, ყოველთვის თხზავდნენ a priori** ზოგად თეორიებს, რომლებიც ყოველთვის უნაყოფო რჩებოდნენ. მეტაფიზიკოსი-ქიმიკოსი, რომელმაც ჯერ არ იცოდა ფაქტიურად ქიმიური პროცესების გამოკვლევა, თხზავდა თეორიას იმის შესახებ, თუ რა ძალაა ქიმიური თვისობა? მეტაფიზიკოსი-ბიოლოგი მსჯე-

* — ასე! რ ე დ.

* — წინასწარ, ცდისაგან დამოუკიდებლად. რ ე დ.

ლობდა იმაზე, თუ რა არის სიცოცხლე და სასიცოცხლო ძალა? მეტაფიზიკოსი-ფსიქოლოგი მსჯელობდა იმაზე, თუ რა არის სული? აქ უკვე თვით მეთოდი იყო უაზრო. არ შეიძლება მსჯელობა სულის შესახებ, თუ კერძოდ ფსიქიკური პროცესები არ ახსენი: პროგრესი აქ სწორედ იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ უკუაგდო ზოგადი თეორიები და ფილოსოფიური მსჯელობანი იმის შესახებ, თუ რა არის სული, და შესძლო მეცნიერულ ნიადაგზე დააყენო იმ ფაქტების შესწავლა, რომელნიც ამა თუ იმ ფსიქიკურ პროცესებს ახასიათებენ. ამიტომ ბ-ნ მიხაილოვსკის მიერ წამოყენებული ბრალდება სავსებით იმასა ჰგავს, რომ მეტაფიზიკოსმა-ფსიქოლოგმა, რომელიც მთელ თავის სიცოცხლეში «გამოკვლევებს» სწერდა საკითხზე, თუ რა არის სული? (და არცერთი, თუნდაც უმარტივესი, ფსიქიკური მოვლენის ზუსტად ახსნა კი არ იცოდა)— ბრალი დასდოს მეცნიერ ფსიქოლოგს იმაში, რომ მან არ გადასინჯა ყველა ცნობილი თეორია სულის შესახებ. მან, ამ მეცნიერმა ფსიქოლოგმა, უკუაგდო ფილოსოფიური თეორიები სულის შესახებ და პირდაპირ ხელი მიჰყო ფსიქიკური მოვლენების მატერიალური სუბსტრატის — ნერვული პროცესების — შესწავლას და, ვთქვათ, მოგვცა ამა თუ იმ ფსიქიკური პროცესის თუ პროცესების ანალიზი და განმარტება. და აი, ჩვენი მეტაფიზიკოსი-ფსიქოლოგი კითხულობს ამ შრომას, აქებს— კარგად არის აწერილი პროცესები და კარგად არის შესწავლილი ფაქტებიო, — მაგრამ როდი კმაყოფილდება. მოითმინეთ, გაიძახის იგი აღელვებული, როცა ირგვლივ ესმის მსჯელობა ფსიქოლოგიის სრულიად ახალ გაგებაზე ამ მეცნიერის მიერ, მეცნიერული ფსიქოლოგიის განსაკუთრებულ მეთოდზე,— მოითმინეთ, ცხარობს ფილოსოფოსი, — მერე რომელ თხზულებაშია გადმოცემული ეს მეთოდი? ამ შრომაში ხომ «მხოლოდ ფაქტებია»? მასში სიტყვაც არ არის თქმული «სულის შესახებ ყველა ცნობილი ფილოსოფიური თეორიის» გადასინჯვაზე? ეს სრულებით არაა შესაფერისი ნაშრომი!

სწორედ ასევე «კაპიტალიც», რა თქმა უნდა, შესაფერისი ნაშრომი არ არის სოციოლოგ-მეტაფიზიკოსისათვის, რომელიც

ვერ ამჩნევს იმის შესახებ აპრიორულ მსჯელობათა უნაყოფობას, თუ რა არის საზოგადოება, და რომელსაც არ ესმის, რომ შესწავლისა და ახსნა-განმარტების მაგივრად ასეთი მეთოდებით საზოგადოების ცნების სახით გვაპარებენ ან ინგლისელი ჩარჩის ბურჟუაზიულ იდეებს, ან რუსი დემოკრატის მეშჩანურ-სოციალისტურ იდეალებს, — და მეტს არაფერს. ამიტომაც ყველა ეს ფილოსოფიურ-ისტორიული თეორია ჩნდებოდა და ჰქრებოდა კიდეც, როგორც საპნის ბუშტი, საუკეთესო შემთხვევაში ისინი თავისი დროის საზოგადოებრივი იდეებისა და ურთიერთობათა სიმპტომებს წარმოადგენდნენ და იოტის ოდენადაც წინ არ სწევდნენ ადამიანის მიერ თუნდაც რაიმე ცალკეულ, მაგრამ სამაგიეროდ ნამდვილ (და არა «ადამიანის ბუნებისათვის შესაფერ») საზოგადოებრივ ურთიერთობათა გ ა გ ე ბ ა ს. გიგანტური ნაბიჯი, რომელიც ამ მხრივ მარქსმა წინ გადასდგა, სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ მან უკუაგდო მთელი ეს ზოგადი მსჯელობანი საზოგადოებასა და პროგრესზე და სამაგიეროდ მოგვცა მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ი ანალიზი ე რ თ ი საზოგადოებისა და ე რ თ ი პროგრესისა — კაპიტალისტურისა. და ბ-ნი მიხაილოვსკი მას ბრალს სდებს იმაში, რომ თავიდან დაიწყო და არა ბოლოდან, ფაქტების ანალიზით და არა საბოლოო დასკვნებით, კერძო, ისტორიულად გარკვეულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა შესწავლით და არა ზოგადი თეორიებით იმის შესახებ, თუ რაში მდგომარეობს ეს საზოგადოებრივი ურთიერთობანი საერთოდ! და იგი კითხულობს: «სადღაა სათანადო ნაშრომი?» ჰოი, ყოვლად ბრძენო სუბიექტურო სოციოლოგო!!

ჩვენი სუბიექტური ფილოსოფოსი რომ მარტო გაკვირვებით დაკმაყოფილებულიყო იმ საკითხზე, თუ რომელ თხზულებაშია დასაბუთებული მატერიალიზმი, — ეს კიდევ არც ისეთი უბედურება იქნებოდა. მაგრამ ის — იმისდა მიუხედავად, რომ ვერსად ვერ ნახა ისტორიის მატერიალისტური გაგების არა თუ დასაბუთება, არამედ მისი გადმოცემაც კი (შეიძლება, სწორედ იმიტომ, რომ ვერ ნახა) — ამ დოქტრინას ისეთ პრეტენზიებს მიაწერს, როგორიც მას არასოდეს არ განუცხადებია.

მოჰყავს რა ბლოსის ციტატა იმის შესახებ, რომ მარქსმა შოგვცა ისტორიის სრულიად ახალი გ ა გ ე ბ ა ო, იგი სრულიად უცერემონიოდ მსჯელობს ქვემოთ იმის შესახებ, თითქოს ეს თეორია პრეტენზიას აცხადებდეს, რომ მან «კაცობრიობას მისი წარსული აუხსნა», «კაცობრიობის მთელი (sic !!?) წარსული» განმარტა და სხვ. ეს ხომ მთლად სიყალბეა! თეორია პრეტენზიას აცხადებს მხოლოდ ერთი, კაპიტალისტური, და არა სხვა რომელიმე, საზოგადოებრივი ორგანიზაციის ახსნაზე. თუ მატერიალიზმის გამოყენებამ ერთი საზოგადოებრივი ფორმაციის ანალიზისა და ახსნისათვის ასეთი ბრწყინვალე შედეგები მოგვცა, სრულიად ბუნებრივია, რომ მატერიალიზმი ისტორიაში იქცევა უკვე არა ჰიპოთეზად, არამედ მეცნიერულად შემოწმებულ თეორიად; სრულიად ბუნებრივია, რომ ასეთი მეთოდის აუცილებლობა ვრცელდება დანარჩენ საზოგადოებრივ ფორმაციებზეც, რომელნიც, შეიძლება, არც ყოფილან სპეციალური ფაქტიური შესწავლისა და დეტალური ანალიზის საგანი, — სწორედ ისევე, როგორც ტრანსფორმიზმის იდეა, რომელიც დამტკიცებულ იქნა ფაქტების საკმაო რაოდენობის მიმართ, ვრცელდება ბიოლოგიის მთელ დარგზე, თუნდაც ცხოველთა და მცენარეთა ცალკეული სახეების მიმართ ჯერ კიდევ შეუძლებელიც იყოს მათი ტრანსფორმაციის ფაქტის ზედმიწევნით დამტკიცება. ისევე, როგორც ტრანსფორმიზმი სრულიადაც არ აცხადებს იმის პრეტენზიას, რომ ახსნას სახეთა წარმოშობის «მთელი» ისტორია, არამედ მხოლოდ ცდილობს მეცნიერულ სიმაღლეზე აიყვანოს ამ ახსნის მეთოდები, სწორედ ასევე მატერიალიზმსაც ისტორიაში არასოდეს პრეტენზია არ განუცხადებია, რომ ყველაფერი აეხსნა, არამედ მხოლოდ ცდილობდა მიეთითებინა, მარქსის სიტყვით რომ ვთქვათ («კაპიტალი»), «ერთადერთი მეცნიერული» მეთოდი ისტორიის ახსნისა[21]. ამის მიხედვით შეგვიძლია განვსაჯოთ, თუ პოლემიკის რა გონებამახვილ, სერიოზულ და წესიერ ხერხებს ხმარობს ბ-ნი მიხაილოვსკი, როცა ის ჯერ აყალბებს მარქსს, მიაწერს რა მატერიალიზმს ისტორიაში «ყველაფრის ახსნის», «ყველა ისტორიული ციხე-კოშკისათვის გასაღების» პოვნის

უგუნურ პრეტენზიებს (ეს პრეტენზიები, რა თქმა უნდა, ერთბაშად და ფრიად გესლიანად უარჰყო მარქსმა თავის «წერილში»[22] მიხაილოვსკის სტატიების გამო), შემდეგ იმანჭება ამ, მის მიერვე შეთხზული, პრეტენზიების გამო და, ბოლოს, სისწორით მოჰყავს რა ენგელსის აზრები, — სისწორით იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში მოცემულია ციტატა და არა თავისი სიტყვებით გადმოცემა, — რომ პოლიტიკური ეკონომია, როგორც ის მატერიალისტებს ესმით, «ჯერ კიდევ შესაქმნელია», რომ «ყველაფერი, რაც მისგან მივიღეთ, განისაზღვრება» კაპიტალისტური საზოგადოების ისტორიითო[23], — ისეთი დასკვნა გამოჰყავს, რომ «ამ სიტყვებით მეტად ვიწროვდება ეკონომიური მატერიალიზმის მოქმედების არე»! რა უსაზღვროდ გულუბრყვილო ან რა უსაზღვროდ გულზვიადი უნდა იყოს ადამიანი, რომ წარმოიდგინოს — ასეთი ოინბაზობა შეუმჩნეველად ჩაივლისო! ჯერ მარქსი გააყალბა, შემდეგ მანჭვა-გრეხა დაიწყო საკუთარი ტყუილის გამო, მერე სწორი აზრები მოიყვანა — და ახლა იმდენ თავხედობას იჩენს, რომ აცხადებს — ეს აზრები ავიწროებენ ეკონომიური მატერიალიზმის მოქმედების არესო!

როგორი ხარისხისა და თვისობრიობისაა ბ-ნ მიხაილოვსკის ეს მანჭვა-გრეხა, — შეიძლება დავინახოთ შემდეგი მაგალითიდან: «მარქსი არსად არ ასაბუთებს მათ» — ე. ი. ეკონომიური მატერიალიზმის თეორიის საფუძვლებსო — ამბობს ბ-ნი მიხაილოვსკი. «მართალია, მარქსმა ენგელსთან ერთად განიზრახა დაეწერა ფილოსოფიურ-ისტორიული და ისტორიულ-ფილოსოფიური ხასიათის თხზულება და დასწერა კიდეც (1845 — 1846 წლებში), მაგრამ იგი არასოდეს არ ყოფილა დაბეჭდილი[24]. ენგელსი ამბობს: «ამ თხზულების პირველ ნაწილს შეადგენს ისტორიის მატერიალისტური გაგების გადმოცემა, რომელიც გვიჩვენებს მხოლოდ, თუ რამდენად არასაკმარისი იყო ჩვენი ცოდნა ეკონომიური ისტორიის სფეროში». ამრიგად — ასკვნის ბ-ნი მიხაილოვსკი — «მეცნიერული სოციალიზმის» და ეკონომიური მატერიალიზმის თეორიის ძირითადი პუნქტები აღმოჩენილ იქნა და შემდეგ გამოითქვა კიდეც «მანიფესტში»

ისეთ დროს, როცა, ერთ-ერთი მისი ავტორისავე აღიარებით, ასეთი საქმისათვის მათ სუსტი ცოდნა ჰქონდათ».

რა მშვენიერია ასეთი კრიტიკა, არა! ენგელსი ამბობს, რომ მათ სუსტი ცოდნა ჰქონდათ ეკონომიურ «ისტორიაში» და ამიტომაც არ ბეჭდავდნენ ისინი თავიანთ «ზოგადი» ისტორიულ-ფილოსოფიური ხასიათის თხზულებას. ბ-ნი მიხაილოვსკი ამას ისეთნაირად ასხვაფერებს, თითქოს მათ სუსტი ცოდნა ჰქონოდეთ «ისეთი საქმისათვის», როგორიცაა «მეცნიერული სოციალიზმის ძირითადი პუნქტების» შემუშავება, ე. ი. «ბურჟუაზიული» წყობილების მეცნიერული კრიტიკა, რომელიც უკვე «მანიფესტში» იყო მოცემული. ორში ერთი: ან ბ-ნ მიხაილოვსკის არ შეუძლია გაიგოს განსხვავება მთელი ისტორიის ფილოსოფიის მოცვის ცდასა და ბურჟუაზიული რეჟიმის მეცნიერულად ახსნის ცდას შორის, ანდა იგი ფიქრობს, რომ მარქსსა და ენგელსს საკმაო ცოდნა არ ჰქონდათ პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის. და ამ შემთხვევაში იგი დიდ სისასტიკეს იჩენს, რომ არ გვაცნობს თავის მოსაზრებებს ამ არასაკმარისი ცოდნის შესახებ, თავისი შესწორებებისა და დამატებების სახით. მარქსისა და ენგელსის გადაწყვეტილება, რომ ისტორიულ-ფილოსოფიური ნაშრომი არ გამოექვეყნებინათ და მთელი ძალღონე ერთი საზოგადოებრივი ორგანიზაციის მეცნიერული ანალიზისათვის მოეხმარათ, მხოლოდ მათს უაღრეს მეცნიერულ კეთილსინდისიერებას მოწმობს. ბ-ნ მიხაილოვსკის გადაწყვეტილება — მანჭვა-გრეხით გადმოსცეს ეს დამატება, რომ, აქაო-და, მარქსი და ენგელსი თავიანთ შეხედულებათა გადმოცემის დროს თვითვე აღიარებდნენ თავიანთ არასაკმარის ცოდნას მათ გამოსამუშავებლადო, მხოლოდ მის პოლემიკურ ხერხებს ახასიათებს, რომელნიც არც ჭკუას მოწმობენ და არც წესიერების გრძნობას.

მეორე ნიმუში: «ეკონომიური მატერიალიზმის, როგორც ისტორიული თეორიის, დასასაბუთებლად მეტი გააკეთა მარქსის alter ego-მ* — ენგელსმა — ამბობს ბ-ნი მიხაილოვსკი. —

* — მეორე მე-მ, ორეულმა. რ ე დ.

მას აქვს სპეციალური ისტორიული შრომა: «ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა მორგანის შეხედულებებთან დაკავშირებით (im Anschluss)». ეს «Anschluss»-ი მეტისმეტად შესანიშნავია. ამერიკელი მორგანის წიგნი გამოვიდა მრავალი წლის შემდეგ, რაც მარქსმა და ენგელსმა, მორგანისაგან სრულიად დამოუკიდებლად, შეიმუშავეს ეკონომიური მატერიალიზმის საფუძვლები». და აი, «ეკონომიური მატერიალისტები მიემხრნენ» ამ წიგნს და ამასთანავე, რადგან წინაისტორიულ ხანაში არ იყო კლასთა ბრძოლა, მათ ისეთი «შესწორება» შეიტანეს ისტორიის მატერიალისტური გაგების ფორმულაში, რომ განმსაზღვრელ მომენტს მატერიალურ ფასეულობათა წარმოების გვერდით წარმოადგენს თვით ადამიანის წარმოებაო, ე. ი. ბავშვთწარმოება, რომელიც უპირველეს როლს თამაშობს პირველყოფილ ეპოქაში, როცა შრომა თავისი ნაყოფიერების მხრივ ჯერ კიდევ მეტად განუვითარებელი იყო.

«მორგანის უდიდესი დამსახურება იმაში მდგომარეობს, — ამბობს ენგელსი, — რომ მან ჩრდილო-ამერიკელი ინდიელების გვაროვნულ კავშირში აღმოაჩინა გასაღები ძველ ბერძენთა, რომაელთა და გერმანელთა ისტორიის უმნიშვნელოვანესი, დღემდე გადაუჭრელი გამოცანებისა» [25].

«ამრიგად — მეტყველებს ამის გამო ბ-ნი მიხაილოვსკი — 40-იანი წლების ბოლოს აღმოჩენილ და გამოცხადებულ იქნა ისტორიის სრულიად ახალი, მატერიალისტური და ჭეშმარიტად მეცნიერული გაგება, რომელმაც ისტორიული მეცნიერებისათვის იგივე გააკეთა, რაც დარვინის თეორიამ გააკეთა თანამედროვე ბუნებისმეტყველებისათვის». მაგრამ ეს გაგება — იმეორებს კიდევ ერთხელ ბ-ნი მიხაილოვსკი — არასოდეს არ ყოფილა მეცნიერულად დასაბუთებულიო. «იგი არა თუ არ იყო შემოწმებული ფაქტიური მასალის დიდსა და მრავალფეროვან ასპარეზზე («კაპიტალი» «არ არის შესაფერისი» ნაშრომი: იქ მხოლოდ ფაქტები და დაწვრილებითი გამოკვლევებია!), არამედ საკმაოდაც კი არ იყო დასაბუთებული სხვა ფილოსოფიურ-ისტორიული სისტემების თუნდაც კრიტიკისა და გამორიცხვის გზით». ენგელსის წიგნი — «Herrn E. Düh-

rings Umwälzung der Wissenschaft»* — «მხოლოდ გაკვრით გამოთქმული გონებამახვილი ცდებიაო», და ბ-ნი მიხაილოვსკი ამიტომ შესაძლებლად სთვლის სრულიად აუხვიოს გვერდი მრავალ არსებითს საკითხს, რომლებიც ამ თხზულებაშია აღძრული, მიუხედავად იმისა, რომ ეს «გონებამახვილი ცდები» მეტად გონებამახვილად ააშკარავებენ იმ სოციოლოგიათა უშინაარსობას, რომელნიც «უტოპიებით იწყებენ»; მიუხედავად იმისა, რომ ამ თხზულებაში მოცემულია ზედმიწევნითი კრიტიკა იმ «ძალმომრეობის თეორიისა», რომლის მიხედვით პოლიტიკურ-იურიდიული წესები განსაზღვრავენ ეკონომიურს, და რომელსაც ასე გულმოდგინედ ატარებენ «რუსკოე ბოგატსტვოს» ბბ. პუბლიცისტები. მართლაც, ხომ ბევრად უფრო ადვილია რამდენიმე უშინაარსო ფრაზის წამოსროლა თხზულების შესახებ, ვიდრე სერიოზულად გარჩევა თუნდაც ერთი საკითხისა, რომელიც იქ მატერიალისტურად არის გადაჭრილი; ეს ამასთანავე სახიფათოც არ არის, იმიტომ რომ ცენზურა, ალბათ, არასოდეს ნებას არ დართავს ამ წიგნის თარგმანის გამოქვეყნებას, და ბ-ნ მიხაილოვსკის შეუძლია გონებამახვილი უწოდოს მას ისე, რომ არაფრის შეეშინდეს თავისი სუბიექტური ფილოსოფიისათვის.

კიდევ უფრო დამახასიათებელი და საგულისხმიეროა (იმის საილუსტრაციოდ, რომ ენა ადამიანს მიცემული აქვს თავისი აზრების დასაფარავად — ან უშინაარსობისათვის აზრის ფორმის მისაცემად) მარქსის «კაპიტალის» შეფასება. ««კაპიტალში» არის ბრწყინვალე ფურცლები ისტორიული შინაარსისა, **მ ა გ რ ა მ** (ეს შესანიშნავი «მაგრამ»! ეს «მაგრამ»-იც კი არ არის, არამედ ის შესანიშნავი «mais»-ა, რომლის თარგმანი ნიშნავს: «საკუთარ თავს ვერ გადაახტებიო») ისინი უკვე თვით წიგნის ამოცანის მიხედვით ერთ განსაზღვრულ ისტორიულ პერიოდთან არიან დაკავშირებულნი და კი არ ამტკიცებენ ეკონომიური მატერიალიზმის ძირითად დებულებებს, არამედ უბრალოდ

* — «გადატრიალება მეცნიერებაში, მოხდენილი ბ-ნ ე. დიურინგის მიერ» («ანტი-დიურინგი»). რ ე დ.

ეხებიან ისტორიულ მოვლენათა განსაზღვრული ჯგუფის ეკონომიურ მხარეს». სხვა სიტყვებით: «კაპიტალი» — რომელიც სწორედ რომ მხოლოდ კაპიტალისტური საზოგადოების შესწავლისადმი არის მიძღვნილი — იძლევა ამ საზოგადოებისა და მისი ზედნაშენების მატერიალისტურ ანალიზს, **«მ ა გ რ ა მ»** ბ-ნი მიხაილოვსკი ამჯობინებს გვერდი აუხვიოს ამ ანალიზს: თურმე ნუ იტყვით, საქმე აქ ეხება მხოლოდ «ერთს» პერიოდს, მას კი, ბ-ნ მიხაილოვსკის, სურს ყველა პერიოდი განიხილოს, მაგრამ ისე განიხილოს, რომ კერძოდ არცერთზე არაფერი არა სთქვას. გასაგებია, რომ ამ მიზნის მისაღწევად — ე. ი. ყველა პერიოდის განსახილველად, ისე რომ არსებითად არცერთს არ შეეხო — მხოლოდ ერთი გზა არსებობს: გზა ზოგადი ადგილების და «ბრწყინვალე», ცარიელი ფრაზებისა. და ბ-ნ მიხაილოვსკის ვერავინ ვერ შეედრება ფრაზებით თავის დაძვრენის ხელოვნებაში. გამოდის, რომ არ ღირს არსებითად (ცალკე) შევეხოთ მარქსის გამოკვლევებს იმიტომ, რომ ის, მარქსი, «კი არ ამტკიცებს ეკონომიური მატერიალიზმის ძირითად დებულებებს, არამედ უბრალოდ ეხება ისტორიულ მოვლენათა განსაზღვრული ჯგუფის ეკონომიურ მხარეს». რა ღრმააზროვნებაა! — «კი არ ამტკიცებს», არამედ «უბრალოდ ეხება»! — მართლაც, როგორ უბრალოდ შეიძლება ყოველი საკითხის მიფუჩეჩება ფრაზის შემწეობით! მაგალითად, თუ მარქსი მრავალჯერ გვიჩვენებს, თუ როგორ ხდება, რომ სამოქალაქო თანასწორუფლებიანობას, თავისუფალ ხელშეკრულებასა და უფლებრივი სახელმწიფოს სხვა ამგვარ საწყისებს საფუძვლად უდევს საქონლის-მწარმოებელთა ურთიერთობა, — ეს რას ნიშნავს? ამტკიცებს იგი ამით მატერიალიზმს, თუ «უბრალოდ» ეხება? ჩვენი ფილოსოფოსი მისთვის ჩვეული თავმდაბლობით თავს იკავებს არსებითი პასუხისაგან და პირდაპირ გამოჰყავს დასკვნები თავისი «გონებამახვილი ცდებისაგან», რაც ბრწყინვალედ ლაპარაკში და არაფრის თქმაში მდგომარეობს.

«გასაკვირველი როდია — ამბობს ეს დასკვნა — რომ თეორიისათვის, რომელიც ლამობდა მსოფლიო ისტორია გაეშუქებინა, ძველი საბერძნეთის, რომისა და გერმანელების ისტორია

გამოუცნობელ გამოცანად რჩებოდა 40 წლის შემდეგაც ამ თეორიის წარმოშობის დღიდან; და ამ გამოცანის გასაღები მოგვცა, ჯერ-ერთი, ადამიანმა, რომელიც სრულიად უცხო იყო ეკონომიური მატერიალიზმის თეორიისათვის, არაფერი არ იცოდა მის შესახებ, და მეორეც — არა ეკონომიური ფაქტორის შემწეობით. ცოტა არ იყოს სასაცილო შთაბეჭდილებას იწვევს ტერმინი «თვით ადამიანის წარმოება», ე. ი. ბავშვთწარმოება, რომელსაც ენგელსი ხელს სჭიდებს თუნდ სიტყვიერი კავშირის შესანარჩუნებლად ეკონომიური მატერიალიზმის ძირითად ფორმულასთან. მაგრამ ის იძულებულია აღიაროს, რომ კაცობრიობის ცხოვრება მრავალი საუკუნის განმავლობაში ამ ფორმულის მიხედვით არ ეწყობოდა». მართლაც, მეტად «გასაკვირველად» კამათობთ თქვენ, ბ-ნო მიხაილოვსკი! თეორია იმაში მდგომარეობდა, რომ ისტორიის «გასაშუქებლად» საფუძველი უნდა ვეძებოთ არა იდეოლოგიურ, არამედ მატერიალურ საზოგადოებრივ ურთიერთობაში. ფაქტიური მასალის ნაკლებობის გამო შეუძლებელი იყო ამ მეთოდის გამოყენება ევროპის უძველესი ისტორიის ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენის, მაგალითად, გენტილური ორგანიზაციის[26], ასახსნელად, რომელიც სწორედ ამიტომ გამოცანად რჩებოდა *. მაგრამ აი ამერიკაში მორგანის მიერ შეგროვილი მდიდარი მასალა შესაძლებლობას აძლევს მას — ანალიზი გაუკეთოს გენტილური ორგანიზაციის დედაარსს, და მან ის დასკვნა გამოიტანა, რომ მისი ახსნა იდეოლოგიურ (მაგ., უფლებრივ ან რელიგიურ) ურთიერთობაში კი არ უნდა ვეძებოთ, არამედ მატერიალურში. ცხადია, ეს ფაქტი ბრწყინვალედ ადასტურებს მატერიალისტურ მეთოდს — და მეტი არაფერი. და როცა ბ-ნი მიხაილოვსკი ამ დოქტრინას უ ს ა ყ ვ ე დ ურ ე ბ ს,

* ბ-ნი მიხაილოვსკი აქაც არ უშვებს შემთხვევას მანჭვა-გრეხისათვის; ეს როგორ შეიძლებაო: ისტორიის მეცნიერული გაგება — და ძველი ისტორია — გამოცანაა! თქვენ ყოველი სახელმძღვანელოდან შეგიძლიათ გაიგოთ, ბ-ნო მიხაილოვსკი, რომ გენტილური ორგანიზაციის საკითხი უძნელეს საკითხთა რიცხვს ეკუთვნის და მის ასახსნელად მრავალი თეორია წარმოიშვა.

რომ, ჯერ-ერთი, უძნელესი ისტორიული გამოცანების გასაღები აღმოაჩინა ადამიანმა, რომელიც «სრულიად უცხო იყო» ეკონომიური მატერიალიზმის თეორიისათვისო — ისღა დაგვრჩენია, რომ გავიკვირვოთ, როგორ ვერ არჩევენ ადამიანები იმას, რაც მათ სასარგებლოდ ლაპარაკობს, იმისაგან, რაც მათ სასტიკად ამტყუნებს. მეორეც — მსჯელობს ჩვენი ფილოსოფოსი — ბავშვთწარმოება არა ეკონომიური ფაქტორიაო. მაგრამ სად წაგიკითხავთ თქვენ მარქსისა და ენგელსის ნაწერებში, რომ ისინი უსათუოდ ეკონომიურ მატერიალიზმზე ლაპარაკობდნენ? როცა თავიანთ მსოფლმხედველობას ახასიათებდნენ, ისინი მას უბრალოდ მატერიალიზმს უწოდებდნენ. მათი ძირითადი იდეა (რომელიც სრულიად გარკვეულადაა გამოხატული თუნდაც მარქსის ზემოთ მოყვანილ ციტატაში) იმაში მდგომარეობდა, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობანი ორნაირია — მატერიალური და იდეოლოგიური. უკანასკნელნი მხოლოდ პირველთა ზედნაშენს წარმოადგენენ, პირველნი კი ადამიანის ნებისყოფისა და ცნობიერების გარეშე იქმნებიან, როგორც (შედეგი) ფორმა ადამიანის საქმიანობისა, რომელიც მისი არსებობის შენარჩუნებისაკენ არის მიმართული. პოლიტიკურ-იურიდიული ფორმების ახსნა — ამბობს მარქსი ზემოთ მოყვანილ ციტატაში — უნდა ვეძებოთ «მატერიალურ ცხოვრებითს ურთიერთობებში». ხომ არ ფიქრობს, ნეტავი, ბ-ნი მიხაილოვსკი, რომ ბავშვთწარმოების ურთიერთობანი იდეოლოგიურ ურთიერთობათა რიცხვს ეკუთვნიან? ბ-ნ მიხაილოვსკის განმარტებანი ამ მხრივ იმდენად დამახასიათებელია, რომ ღირს მათზე შეჩერება. «რამდენიც არ უნდა ვიმტვრიოთ თავი «ბავშვთწარმოებაზე» — ამბობს ის — და ვეცადოთ თუნდ სიტყვიერი კავშირი დავამყაროთ ამ «წარმოებასა» და ეკონომიურ მატერიალიზმს შორის, რამდენადაც არ უნდა იყოს ის გადახლართული საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა რთულ ქსელში სხვა მოვლენებთან, მათ შორის ეკონომიურ მოვლენებთანაც, მას თავისი საკუთარი, ფიზიოლოგიური და ფსიქიკური ფესვები აქვს. (ძუძუმწოვარ ბავშვებს ხომ არ მოუთხრობთ, ბ-ნო მიხაილოვსკი, რომ ბავშვთწარმოებას

ფიზიოლოგიური ფესვები აქვს!? რატომ აგდებთ სიტყვას ბანზე?) და ეს მოგვაგონებს, რომ ეკონომიური მატერიალიზმის თეორეტიკოსებმა თავი ვერ გაართვეს არა თუ ისტორიას, არამედ ფსიქოლოგიასაც. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ გვაროვნულმა კავშირმა მნიშვნელობა დაჰკარგა ცივილიზებული ქვეყნების ისტორიაში, მაგრამ საეჭვოა ასეთივე დაჯერებით შეიძლებოდეს ამის თქმა უშუალოდ სქესობრივ და ოჯახურ კავშირზე. ეს კავშირი, რასაკვირველია, ძლიერ იცვლებოდა გართულებული ცხოვრების ზეგავლენით საზოგადოდ, მაგრამ ერთგვარი დიალექტიკური მოხერხებით შეიძლებოდა იმის მტკიცება, რომ არა მარტო იურიდიული, არამედ თვით ეკონომიური ურთიერთობანიც «ზედნაშენს» წარმოადგენენ სქესობრივ და ოჯახურ ურთიერთობებზე. ჩვენ ამას ვერ გამოვუდგებით, მაგრამ თუნდ მემკვიდრეობის ინსტიტუტზე მაინც მივუთითებთ».

როგორც იქნა, გაუღიმა ბედმა ჩვენს ფილოსოფოსს, და ცარიელი ფრაზების სფეროდან * იგი გადავიდა გარკვეულ ფაქტებზე, რომელთა შემოწმება შესაძლებელია და რომელნიც არც ისე ადვილად იძლევიან საქმის არსის «მიფუჩეჩების» საშუალებას. ვნახოთ, როგორ ამტკიცებს მარქსის ეს ჩვენი კრიტიკოსი, რომ მემკვიდრეობის ინსტიტუტი სქესობრივ და ოჯახურ ურთიერთობათა ზედნაშენია. «მემკვიდრეობით გადადის — მსჯელობს ბ-ნი მიხაილოვსკი — ეკონომიური წარმოების პროდუქტები («ეკონომიური წარმოების პროდუქტები»!! რა ცოდნა სჩანს! როგორ კეთილხმოვანია! და რა მოხდენილი ენაა!), და თვით მემკვიდრეობის ინსტიტუტიც რამოდენიმედ ეკონომიური კონკურენციის ფაქტით არის განპირობებული. მაგრამ, ჯერ-ერთი, მემკვიდრეობით გადადის არა მატერიალური ფასეულობანიც, — რაც გამოიხატება მამების სულისკვე-

* მართლაც, სხვა რა სახელი ვუწოდოთ ასეთ ხერხს, როცა მატერიალისტებს უსაყვედურებენ იმას, რომ მათ თავი ვერ გაართვეს ისტორიასო, და არც კი ცდილან გაერჩიათ მრავალთაგან ა რ ც ე რ თ ი, ს წ ო რ ე დ რ ო მ არცერთი მატერიალისტური ახსნა სხვადასხვა ისტორიული საკითხისა, რაც მატერიალისტების მიერ იყო მოცემული? ან როცა ლაპარაკობენ, შეიძლებოდა მტკიცება, მაგრამ ჩვენ ამას ვერ გამოვუდგებითო?

თების მიხედვით ბავშვების აღზრდის მზრუნველობაში». ამრიგად, ბავშვების აღზრდა შედის მემკვიდრეობის ინსტიტუტში! მაგალითად, რუსეთის სამოქალაქო კანონებში არის ისეთი მუხლი, რომ «მშობლები უნდა ცდილობდნენ შინაური აღზრდით მოამზადონ მათი (ბავშვების) ზნე-ჩვეულებები და ხელი შეუწყონ მთავრობის მიზნებს». ამას ხომ არ უწოდებს ჩვენი ფილოსოფოსი მემკვიდრეობის ინსტიტუტს? — «მეორე მხრით კი, — მხოლოდდამხოლოდ ეკონომიური დარგის საზღვრებშიც რომ დავრჩეთ, — თუ მემკვიდრეობის ინსტიტუტი წარმოუდგენელია წარმოების პროდუქტების გარეშე, რომელნიც მემკვიდრეობით გადადიან, ის სწორედ ასევე წარმოუდგენელია «ბავშვთწარმოების» პროდუქტების გარეშეც, — უმათოდ და იმ რთული და გამძაფრებული ფსიქიკის გარეშე, რომელიც უშუალოდ მათ ეკვრის». (არა, თქვენ ყურადღება მიაქციეთ ენას: რთული ფსიქიკა «ეკვრის» ბავშვთწარმოების პროდუქტებს! ეს ხომ მშვენიერებაა!) ამრიგად, მემკვიდრეობის ინსტიტუტი იმიტომ არის ოჯახურ და სქესობრივ ურთიერთობათა ზედნაშენი, რომ მემკვიდრეობა წარმოუდგენელია ბავშვთწარმოების გარეშე! ეს ხომ ნამდვილი ამერიკის აღმოჩენაა! დღემდე ყველა ფიქრობდა, რომ ბავშვთწარმოებით ისევე ნაკლებ შეიძლება აიხსნას მემკვიდრეობის ინსტიტუტი, როგორც საჭმლის მიღების აუცილებლობით — საკუთრების ინსტიტუტი. დღემდე ყველა ფიქრობდა, რომ თუ, მაგალითად, რუსეთში საკარგავების სისტემის[27] აყვავების ხანაში მიწის გადაცემა არ შეიძლებოდა მემკვიდრეობით (რადგან ის მხოლოდ პირობით საკუთრებად ითვლებოდა), ამის ახსნა იმდროინდელი საზოგადოებრივი ორგანიზაციის თავისებურებაში უნდა ვეძებოთ. ბ-ნი მიხაილოვსკი, როგორც სჩანს, ფიქრობს, რომ ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ ფსიქიკა, რომელიც იმდროინდელი მემამულის ბავშვთწარმოების პროდუქტებს ეკვროდა, საკმაოდ რთული არ იყო.

გადაფხიკეთ «ხალხის მეგობარი» — შეგვიძლია ვთქვათ ჩვენ, თუ გადავასხვაფერებთ ცნობილ გამოთქმას — და თქვენ ბურჟუას აღმოაჩენთ. მართლაც, სხვა რა აზრი შეიძლება ჰქონდეს

ბ-ნ მიხაილოვსკის ამგვარ მსჯელობას მემკვიდრეობის ინსტიტუტის კავშირზე ბავშვების აღზრდასთან, ბავშვთწარმოების ფსიქიკასთან და სხვ. — გარდა იმისა, რომ მემკვიდრეობის ინსტიტუტი ისევე მარადიული, აუცილებელი და წმინდაა, როგორც ბავშვების აღზრდა! მართალია, ბ-ნი მიხაილოვსკი შეეცადა გასაძრომი დაეტოვებინა თავისთვის, როცა განაცხადა, რომ «მემკვიდრეობის ინსტიტუტი რამოდენიმედ ეკონომიური კონკურენციის ფაქტით არის განპირობებული» — მაგრამ ეს ხომ მხოლოდ ცდაა საკითხზე გარკვეული პასუხის გაცემისაგან თავის დაღწევისა და ამასთან ცდა უვარგისი საშუალებებით. როგორ შეგვიძლია მხედველობაში მივიღოთ ეს შენიშვნა, როცა ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი იმის შესახებ, თუ სახელდობრ «რამდენად» არის დამოკიდებული მემკვიდრეობა კონკურენციისაგან? როცა სრულიადაც არ არის განმარტებული, სახელდობრ რით აიხსნება ეს კავშირი კონკურენციასა და მემკვიდრეობის ინსტიტუტს შორის? სინამდვილეში მემკვიდრეობის ინსტიტუტი უკვე კერძო საკუთრებას გულისხმობს, ეს უკანასკნელი კი მხოლოდ გაცვლა-გამოცვლის წარმოშობასთან ერთად ჩნდება. მას საფუძვლად უდევს საზოგადოებრივი შრომის უკვე დაწყებული სპეციალიზაცია და პროდუქტების გასხვისება ბაზარზე. სანამ, მაგალითად, ინდიელთა პირველყოფილი თემის ყველა წევრები მათთვის აუცილებლად საჭირო ყველა პროდუქტს ერთად აწარმოებდნენ, — კერძო საკუთრებაც შეუძლებელი იყო. ხოლო როცა თემში შრომის დანაწილება შეიჭრა და თვითეულმა მისმა წევრმა განცალკევებულად მიჰყო ხელი ერთი რომელიმე პროდუქტის წარმოებას და ბაზარზე გაყიდვას, მაშინ გაჩნდა კერძო საკუთრების ინსტიტუტი, როგორც საქონელმწარმოებელთა ამ მატერიალური განკერძოების გამოხატულება. კერძო საკუთრებაც და მემკვიდრეობაც — ისეთი საზოგადოებრივი წყობილების კატეგორიებია, როცა უკვე შეიქმნენ განკერძოებული, წვრილი (მონოგამური) ოჯახები და გაცვლა-გამოცვლამ იწყო განვითარება. ბ-ნ მიხაილოვსკის მაგალითი სწორედ იმის საწინააღმდეგოს ამტკიცებს, რაც მას სურდა დაემტკიცებინა.

ბ-ნ მიხაილოვსკის კიდევ ერთი ფაქტიური მითითება აქვს — და ისიც ერთგვარი მარგალიტია! «რაც შეეხება გვაროვნულ კავშირს — განაგრძობს იგი მატერიალიზმის შესწორებას — ის გაუფერულდა ცივილიზებულ ხალხთა ისტორიაში ნაწილობრივ მართლაც წარმოების ფორმების გავლენის სხივებში (ისევ თავდაძვრენა, მხოლოდ კიდევ უფრო ცხადი. სახელდობრ წარმოების რომელი ფორმების? ცარიელი ფრაზაა!), მაგრამ ნაწილობრივ გაიშალა თავის საკუთარ განგრძობასა და განზოგადებაში — ნაციონალურ კავშირში». ამრიგად, გამოდის, რომ ნაციონალური კავშირი — გვაროვნული კავშირის გაგრძელება და განზოგადება ყოფილა! როგორც სჩანს, ბ-ნი მიხაილოვსკი თავის წარმოდგენებს საზოგადოების ისტორიის შესახებ იმ ბავშვური ზღაპრიდან სესხულობს, რომელსაც გიმნაზიელებს ასწავლიან. საზოგადოებრიობის ისტორიაო — ამბობს ეს გაცვეთილი დოქტრინა — იმაში მდგომარეობს, რომ თავდაპირველად იყო ოჯახი, ყოველი საზოგადოების ეს უჯრედი*, შემდეგ ოჯახი გაიზარდა და ტომად იქცა, ხოლო ტომი — სახელმწიფოდო. თუ ბ-ნი მიხაილოვსკი სერიოზული სახით იმეორებს ამ ბავშვურ აბდაუბდას, ეს — სხვას რომ თავი დავანებოთ — მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ მას მცირეოდენი წარმოდგენაც არა აქვს თუნდ მხოლოდ რუსეთის ისტორიის მსვლელობაზე. თუ შეიძლებოდა ლაპარაკი ძველი რუსეთის გვაროვნულ წყობილებაზე, უეჭველია, რომ უკვე საშუალო საუკუნეებში, მოსკოვის სამეფოს ეპოქაში, ეს გვაროვნული კავშირი უკვე აღარ არსებობდა, ე. ი. სახელმწიფო დამყარებული იყო სრულიადაც არა გვაროვნულ, არამედ ადგილობრივ კავშირებზე: მემამულეები და მონასტრები გლეხებს სხვადასხვა ადგილებიდან ღებულობდნენ, და თემები, რომელნიც ამრიგად იქმნებოდნენ, წმინდა-ტერიტორიულ კავშირებს წარმოადგენ-

* ეს — წმინდა ბურჟუაზული იდეაა: დაქუცმაცებული, წვრილი ოჯახები მხოლოდ ბურჟუაზული რეჟიმის დროს გაბატონდნენ; წინაისტორიულ ხანაში ისინი სრულებით არ ყოფილან. არაფერი არაა ისე დამახასიათებელი ბურჟუასთვის, როგორც თანამედროვე წესების ნიშნების გადატანა ყველა დროსა და ხალხებზე.

დნენ. მაგრამ იმ დროს არც კი შეიძლებოდა ლაპარაკი ნაციონალურ კავშირზე ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით: სახელმწიფო იყოფოდა ცალკეულ «მიწებად», ნაწილობრივ სამთავროებადაც, რომელთაც შენარჩუნებული ჰქონდათ წინანდელი ავტონომიის ცოცხალი ნიშნები, მართვა-გამგეობის თავისებურებანი, ხანდახან თავიანთი განსაკუთრებული ჯარები (ადგილობრივი ბოიარები ომში თავიანთი ლაშქრით მიდიოდნენ), განსაკუთრებული საბაჟო საზღვრები და სხვ. ნამდვილად რუსეთის ისტორიის მხოლოდ ახალ პერიოდს (დაახლოებით მე-17 საუკუნიდან) ახასიათებს ფაქტიური შეერთება ყველა ასეთი ოლქისა, მიწებისა და სამთავროებისა ერთ მთელად. ეს შეერთება, უპატივცემულესო ბ-ნო მიხაილოვსკი, გამოწვეული იყო არა გვაროვნული კავშირით და არა თუნდაც მისი განგრძობითა და განზოგადებით: ეს გამოწვეული იყო ოლქებს შორის გაცვლა-გამოცვლის გაძლიერებით, საქონლის თანდათან მზარდი მიმოქცევით, მცირე ადგილობრივი ბაზრების კონცენტრაციით ერთ სრულიად-რუსეთის ბაზრად. რადგანაც ამ პროცესის ხელმძღვანელნი და განმგებელნი კაპიტალისტი-ვაჭრები იყვნენ, ამ ნაციონალური კავშირის შექმნაც ბურჟუაზიული კავშირის შექმნა იყო და მეტი არაფერი. ორივე თავისი ფაქტიური მითითებით ბ-მა მიხაილოვსკიმ მხოლოდ თავი გაიმტყუნა და არაფერი მოუცია, გარდა ბურჟუაზიულ უგვანობათა ნიმუშებისა, — «უგვანობათა» იმიტომ, რომ მემკვიდრეობის ინსტიტუტს ის ხსნიდა ბავშვთწარმოებით და მისი ფსიქიკით, ხოლო ეროვნებას — გვაროვნული კავშირით; «ბურჟუაზიულის» — იმიტომ, რომ ერთი (გაცვლა-გამოცვლაზე დამყარებული) ისტორიულად განსაზღვრული საზოგადოებრივი ფორმაციის კატეგორიები და ზედნაშენები ისეთივე ზოგად და მარადიულ კატეგორიებად მიიჩნია, როგორც ბავშვების აღზრდა და «უშუალო» სქესობრივი კავშირი.

აქ უაღრესად დამახასიათებელია ის, რომ ჩვენს სუბიექტურ ფილოსოფოსს, როგორც კი სცადა ფრაზებიდან კონკრეტულ ფაქტიურ მითითებებზე გადასვლა, — ნახტომი შეეშალა და ლაფში ჩავარდა. და როგორც სჩანს, იგი თავს მშვენივრად

გრძნობს ამ, არც თუ ისე სუფთა, პოზიციაზე: ზის თავისთვის, იკაზმება და იმავე დროს გარშემო ტალახს აშხეფებს. მაგალითად, მას სურს უარჰყოს ის დებულება, რომ ისტორია კლასობრივი ბრძოლის მთელი რიგი ეპიზოდებია, და აი, აცხადებს რა ღრმააზროვნად: ეს — «უკიდურესობაა», იგი ამბობს: «მარქსის მიერ დაარსებულს მუშათა საერთაშორისო საზოგადოებას [28], რომელიც კლასობრივი ბრძოლის მიზნით იყო მოწყობილი, ხელი არ შეუშლია ფრანგი და გერმანელი მუშებისათვის — ერთმანეთი ეჟლიტნათ და დაერბიათ», რაც იმას ამტკიცებსო, რომ მატერიალიზმმა ანგარიში ვერ გაუსწორა «ნაციონალური თავმოყვარეობისა და ნაციონალური სიძულვილის დემონს». ამგვარი მტკიცება გვიჩვენებს, რომ ჩვენს კრიტიკოსს სრულებით არ ესმის ის, რომ ამ სიძულვილის მთავარ საფუძველს სავაჭრო და სამრეწველო ბურჟუაზიის მეტად რეალური ინტერესები წარმოადგენს, და რომ ლაპარაკი ნაციონალურ გრძნობაზე, როგორც დამოუკიდებელ ფაქტორზე, მხოლოდ საქმის დედაარსის მიფუჩეჩებას ნიშნავს. თუმცა, ჩვენ უკვე დავინახეთ, რა ღრმააზროვანი წარმოდგენა აქვს ეროვნებაზე ჩვენს ფილოსოფოსს. ბ-ნ მიხაილოვსკის არ შეუძლია სხვანაირად მოეპყრას ინტერნაციონალს, თუ არ წმინდა ბურენინისებური [29] ირონიით: «მარქსი მეთაურია მუშების საერთაშორისო საზოგადოებისა, რომელიც, მართალია, დაიშალა, მაგრამ ხელახლა უნდა აღორძინდეს». რა თქმა უნდა, თუ საერთაშორისო სოლიდარობის nec plus ultra*-დ «სამართლიანი» გაცვლა-გამოცვლის სისტემა მიიჩნიე, როგორც ამას მეშჩანური ბანალობით სჯღაბნის «რუსკოე ბოგატსტვოს» № 2-ში შინაური ცხოვრების მექრონიკე, და ვერ შეიგენი, რომ გაცვლა-გამოცვლა, სამართლიანიც და უსამართლოც, ყოველთვის გულისხმობს და შეიცავს ბურჟუაზიის ბატონობას, და რომ გაცვლა-გამოცვლაზე დაფუძნებული სამეურნეო ორგანიზაციის გაუნადგურებლად შეუძლებელია საერთაშორისო შეტაკებათა მოსპობა, — მაშინ გასაგებია ეს კბილთა ღრჭენა ინტერნაციო-

* — უკიდურესი მიჯნა. რ ე დ.

ნალის მიმართ. მაშინ გასაგებია, რომ ბ-ნ მიხაილოვსკის ვერასგზით ვერ შეუთვისებია ის უბრალო ჭეშმარიტება, რომ არ არსებობს ნაციონალური სიძულვილის წინააღმდეგ ბრძოლის სხვა იარაღი, გარდა ჩაგრულთა კლასის ორგანიზაციისა და შეკავშირებისა მჩაგვრელთა კლასის წინააღმდეგ საბრძოლველად თვითეულ ცალკე ქვეყანაში, გარდა ასეთი მუშათა ნაციონალური ორგანიზაციების შეერთებისა ერთ საერთაშორისო მუშათა არმიად საერთაშორისო კაპიტალის წინააღმდეგ საბრძოლველად. რაც შეეხება იმას, რომ ინტერნაციონალს ხელი არ შეუშლია მუშებისათვის — ერთმანეთი ეჟლიტნათ, საკმაოა ბ-ნ მიხაილოვსკის მოვაგონოთ კომუნის ამბები, რამაც დაგვანახვა ორგანიზებული პროლეტარიატის ნამდვილი დამოკიდებულება გაბატონებული კლასებისადმი, რომელნიც ომს აწარმოებდნენ.

ბ-ნ მიხაილოვსკის მთელ ამ კამათში განსაკუთრებით აღმაშფოთებელი სწორედ მისი საპოლემიკო ხერხებია. თუ ის უკმაყოფილოა ინტერნაციონალის ტაქტიკით, თუ არ იზიარებს იმ იდეებს, რომელთა გულისთვის ევროპელი მუშები ირაზმებიან, — დაე პირდაპირ და აშკარად მაინც გააკრიტიკოს ისინი, გადმოსცეს თავისი მოსაზრებანი უფრო მიზანშეწონილი ტაქტიკის, უფრო სწორი შეხედულებების შესახებ. თორემ არავითარი გარკვეული, ნათელი მოსაზრება არ არის გამოთქმული, მხოლოდ აქა-იქ, ფრაზების თვალუწვდენ ზღვაში, გაბნეულია უაზრო დაცინვა. როგორ არ ვუწოდოთ ამას ჭუჭყი? განსაკუთრებით თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ რუსეთში აკრძალულია ინტერნაციონალის იდეებისა და ტაქტიკის ლეგალურად დაცვა? ასეთივეა ბ-ნ მიხაილოვსკის ხერხებიც, როცა ის რუს მარქსისტებს ეკამათება: ის თავს არ იწუხებს იმაზე, რომ კეთილსინიდისიერად და ზუსტად ჩამოაყალიბოს მათი ესა თუ ის დებულებანი, რათა პირდაპირ და გარკვეულად გააკრიტიკოს ისინი, და ამჯობინებს ხელი ჩასჭიდოს მარქსისტული არგუმენტაციის ყურმოკრულ ნაწყვეტებს და შემდეგ ყალბად გადმოსცეს ის. თვით განსაჯეთ: «მარქსი მეტად ჭკვიანი და მეტად სწავლული იყო იმისათვის, რომ ეფიქრნა, თით-

ქოს საზოგადოებრივ მოვლენათა ისტორიული აუცილებლობისა და კანონშეზომილობის იდეა სწორედ მან აღმოაჩინა... დაბალ საფეხურებზე (მარქსისტული კიბისა)* ეს არ იციან (რომ «ისტორიული აუცილებლობის იდეა არის არა მარქსის მიერ გამოგონილი ან აღმოჩენილი ახალი ამბავი, არამედ დიდი ხნის წინათ დადგენილი ჭეშმარიტება») ან, ყოველ შემთხვევაში, ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ გონებრივი ძალებისა და ენერგიის იმ საუკუნეობრივ ხარჯვაზე, რაც ამ ჭეშმარიტების დადგენას მოხმარდა».

გასაგებია, რომ ასეთ განცხადებებს მართლაც შეუძლიათ შთაბეჭდილება მოახდინონ ისეთ ხალხზე, რომელსაც პირველად ესმის მარქსიზმის შესახებ; ამ ხალხის მიმართ ადვილია კრიტიკოსის მიზნის მიღწევა: გაყალბება, მანჭვა-გრეხა და «გამარჯვება» (როგორც ამბობენ, ასე აფასებენ ბ-ნ მიხაილოვსკის სტატიებს «რუსკოე ბოგატსტვოს» თანამშრომლები). ყველა, ვინც ცოტათი მაინც იცნობს მარქსს, მაშინვე დაინახავს ასეთი ხერხების მთელ სიყალბესა და უშინაარსობას. შეიძლება არ დაეთანხმო მარქსს, მაგრამ შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ მან სრულიად გარკვეულად ჩამოაყალიბა თავისი ის შეხედულებები, რომლებიც «ახალი ამბავი» იყო წინანდელი სოციალისტების მიმართ. სიახლე იმაში მდგომარეობდა, რომ წინანდელი სოციალისტები თავიანთ შეხედულებათა დასასაბუთებლად საკმაოდ სთვლიდნენ ეჩვენებინათ მასების ჩაგვრა თანამედროვე რეჟიმის დროს, ეჩვენებინათ ისეთი წყობილების

* ამ უაზრო ტერმინის შესახებ უნდა შევნიშნოთ, რომ ბ-ნი მიხაილოვსკი ცალკე გამოჰყოფს მარქსს (რომელიც მეტად ჭკვიანი და მეტად სწავლულია, რომ ჩვენს კრიტიკოსს შეეძლოს მისი ამა თუ იმ დებულების პირდაპირ და აშკარად გაკრიტიკება), შემდეგ აყენებს ენგელსს («ნაკლებ შემოქმედი გონების პატრონს»), შემდეგ ასე თუ ისე დამოუკიდებელ ადამიანებს, როგორიცაა კაუტსკი, — და დანარჩენ მარქსისტებს. მერე-და, რა სერიოზული მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ამ კლასიფიკაციას? თუ კრიტიკოსი კმაყოფილი არ არის მარქსის პოპულარიზატორებით, — ხელს ვინ უშლის, რომ ისინი მარქსის მიხედვით შეასწოროს? არაფერს ამის მსგავსს ის არ სჩადის. ცხადია, იგი შეეცადა გონებამახვილობა გამოეჩინა, მაგრამ მხოლოდ სიბლაგვე გამოუვიდა.

უპირატესობა, როცა თვითეული მიიღებდა იმას, რაც თვით მან გამოიმუშავა, ეჩვენებინათ ამ იდეალური წყობილების შესაბამისობა «ადამიანის ბუნებასთან», გონიერ-ზნეობრივი ცხოვრების ცნებასთან და სხვ. მარქსი შეუძლებლად სთვლიდა დაკმაყოფილებულიყო ასეთი სოციალიზმით. იგი არ დასჯერდა თანამედროვე წყობილების დახასიათებას, მის შეფასებასა და დაგმობას და მოგვცა მისი მეცნიერული ახსნა: ამ თანამედროვე წყობილებას, რომელიც სხვადასხვანაირია სხვადასხვა ევროპულ და არაევროპულ სახელმწიფოებში, მან გამოუნახა საერთო საფუძველი — კაპიტალისტური საზოგადოებრივი ფორმაცია, რომლის მოქმედებისა და განვითარების კანონებს ობიექტური ანალიზი გაუკეთა (მან დაგვანახვა ექსპლოატაციის ა უ ც ი ლ ე ბ ლ ო ბ ა ამ წყობილებაში). სწორედ ასევე იგი შესაძლებლად არ სთვლიდა დაკმაყოფილებულიყო იმის მტკიცებით, რომ მხოლოდ სოციალისტური წყობილება შეეფერება ადამიანის ბუნებას, — როგორც ამბობდნენ დიდი უტოპისტი სოციალისტები და მათი საცოდავი ეპიგონები, სუბიექტური სოციოლოგები. კაპიტალისტური წყობილების იმავე ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი ანალიზით ის ამტკიცებდა, რომ ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი ა მისი გადაქცევა სოციალისტურ წყობილებად. (ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით იმ საკითხს, სახელდობრ როგორ ამტკიცებდა ამას მარქსი, და როგორ უპასუხებდა ამაზე ბ-ნი მიხაილოვსკი.) აი წყარო აუცილებლობის იმ დამოწმებისა, რასაც ხშირად შეხვდებით მარქსისტების ნაწერებში. ის გაყალბება, რომელიც ბ-მა მიხაილოვსკიმ შეიტანა საკითხში, ცხადია: მან გამოსტოვა თეორიის მთელი ფაქტიური შინაარსი, მთელი მისი არსი და ისე გააშუქა საკითხი, თითქოს მთელი თეორია ამოიწურებოდეს ერთი სიტყვით «აუცილებლობა» («არ შეიძლება მარტო მისი დამოწმება რთულ პრაქტიკულ საქმეებში»), თითქოს ამ თეორიის დ ა მ ტ კ ი ც ე ბ ა მდგომარეობდეს იმაში, რომ ასე მოითხოვს ისტორიული აუცილებლობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მიჩქმალა რა დოქტრინის შინაარსი, მან ხელი ჩასჭიდა მარტო მის სახელწოდებას, და ახლა კვლავ იმანჭება იმ «უშინაარსო წრის» გარშემო, რადაც მან თვითონვე

გადააქცია მარქსის მოძღვრება. ჩვენ, რა თქმა უნდა, ვერ გავყვებით ამ მანჭვა-გრეხას, რადგან უკვე საკმაოდ გავეცანით ამ ამბავს. დაე იხტუნოს ბ-ნ ბურენინის გასართობად და საამებლად (ბურენინმა ტყუილ-უბრალოდ კი არ მოუსვა «ნოვოე ვრემიაში»[30] თავზე ხელი ბ-ნ მიხაილოვსკის), დაე ჯერ თავი დაუკრას და მერე მალვით დაუწკავწკავოს მარქსს: «მისი პოლემიკა უტოპისტებსა და იდეალისტებთან ისეც ცალმხრივიაო», ე. ი. მარქსისტების მიერ მისი საბუთების განუმეორებლადაც. ამ გამოსვლებს ჩვენ სხვა არაფერი შეგვიძლია ვუწოდოთ, გარდა წკავწკავისა, რადგან პირდაპირ ა რ ც ე რ თ ი ფაქტიური, გარკვეული საწინააღმდეგო მოსაზრება, რომლის შემოწმება შეიძლებოდეს, მას არ წამოუყენებია ამ პოლემიკის წინააღმდეგ; ასე რომ, — როგორი სიამოვნებითაც უნდა ჩავბმულიყავით საუბარში ამ თემაზე, ვინაიდან ამ პოლემიკას მეტად მნიშვნელოვანად ვთვლით რუსეთის სოციალისტური საკითხების გადასაჭრელად, — ჩვენ პირდაპირ არ ძალგვიძს პასუხი გავცეთ წკავწკავს და მხოლოდ დაგვრჩენია მხრები ავიჩეჩოთ:

შეხე ფინიას — სჩანს ძლიერია, რომ უყეფს სპილოსს!

ინტერესს მოკლებული არ არის შემდგომი მსჯელობა ბ-ნ მიხაილოვსკისა ისტორიულ აუცილებლობაზე, რადგან ეს მსჯელობა ჩვენს წინაშე ააშკარავებს, თუნდაც ნაწილობრივ, «ჩვენი ცნობილი სოციოლოგის» (სახელწოდება, რომლითაც ბ-ნი მიხაილოვსკი ბ-ნ ვ. ვ-სთან ერთად სარგებლობს ჩვენი «კულტურული საზოგადოების» ლიბერალური წარმომადგენლების თვალში) ნამდვილ იდეურ ავლადიდებას. იგი ლაპარაკობს «კონფლიქტზე ისტორიული აუცილებლობის იდეასა და პირადი მოღვაწეობის მნიშვნელობას შორის»: საზოგადო მოღვაწეები სცდებიან, როცა თავიანთ თავს მოღვაწეებად სთვლიან, მაშინ როდესაც ისინი არიან «ნამოღვაწევნი», «მარიონეტები, რომელთაც საიდუმლო იატაკქვეშეთიდან ათამაშებენ ისტორიული აუცილებლობის იმანენტური კანონები» — ასეთი დასკვნა გამომდინარეობს ამ იდეიდანო, რომელსაც

ამისა გამო «უნაყოფო» და «ბუნდოვანი» ეწოდება. ალბათ, ყოველი მკითხველისათვის როდია გასაგები, საიდან ამოიღო მთელი ეს აბდაუბდა — მარიონეტები და სხვ. — ბ-მა მიხაილოვსკიმ. საქმე ისაა, რომ ეს ერთ-ერთი საყვარელი საბუთია სუბიექტური ფილოსოფოსისა — იდეა კონფლიქტისა დეტერმინიზმსა და ზნეობას შორის, ისტორიულ აუცილებლობასა და პიროვნების მნიშვნელობას შორის. მან ამაზე დასწერა მთელი დასტა ქაღალდი და მრავალი სანტიმენტალურ-მეშჩანური უაზრობა გადმოალაგა, რათა ეს კონფლიქტი ზნეობისა და პიროვნების როლის სასარგებლოდ გადაეჭრა. ნამდვილად კი აქ არავითარი კონფლიქტი არ არის: ის მოგონილია ბ-ნ მიხაილოვსკის მიერ, რომელსაც ეშინოდა (არც თუ უსაფუძვლოდ), რომ დეტერმინიზმი ნიადაგს გამოაცლიდა მისთვის ესოდენ საყვარელ მეშჩანურ მორალს. დეტერმინიზმის იდეა ამტკიცებს ადამიანის მოქმედების აუცილებლობას, უარჰყოფს უაზრო ზღაპარს ნებისყოფის თავისუფლების შესახებ, მაგრამ სრულიადაც არ სპობს არც ადამიანის გონებას, არც სინიდისს, არც მისი მოქმედების შეფასებას. სრულიად პირიქით, მხოლოდ დეტერმინისტული შეხედულების დროსაა შესაძლებელი მკაცრი და სწორი შეფასება, და არა ყველაფრის თავზე მოხვევა თავისუფალი ნებისყოფისათვის. ასევე ისტორიული აუცილებლობის იდეაც სრულიადაც არ უარჰყოფს პიროვნების როლს ისტორიაში: მთელი ისტორია შესდგება სწორედ იმ პიროვნებათა მოქმედებისაგან, რომელნიც უეჭველად მოღვაწეები არიან. ნამდვილი კითხვა, რომელიც პიროვნების საზოგადოებრივი მოღვაწეობის შეფასების დროს წამოიჭრება, იმაში მდგომარეობს, თუ რა პირობებშია უზრუნველყოფილი ამ მოღვაწეობის წარმატება? რაში მდგომარეობს იმის გარანტია, რომ ეს მოღვაწეობა არ დარჩება განცალკევებულ აქტად, რომელიც იკარგება საწინააღმდეგო აქტების ზღვაში? ამაშივე მდგომარეობს ის საკითხიც, რომელსაც სხვადასხვანაირად სწყვეტენ სოციალ-დემოკრატები და დანარჩენი რუსი სოციალისტები: როგორ უნდა ჩააბას მასები იმ მოღვაწეობამ, რომელიც მიმართულია სოციალისტური წყობილების განხორ-

ციელებისაკენ, რომ მან სერიოზული ნაყოფი გამოიღოს? ცხადია, ამ საკითხის გადაჭრა პირდაპირ და უშუალოდ დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ აქვთ წარმოდგენილი რუსეთის საზოგადოებრივ ძალთა დაჯგუფება, კლასთა ბრძოლა, რომლისაგანაც შესდგება რუსეთის სინამდვილე — და ბ-მა მიხაილოვსკიმ ისევ-ისე მხოლოდ შორი-ახლოს შემოუარა ამ საკითხს, ისე რომ არც კი ცდილა სწორად დაესვა ის და ესინჯნა მისი ასე თუ ისე გადაწყვეტა. როგორც ცნობილია, საკითხის სოციალ-დემოკრატიული გადაჭრა დამყარებულია იმ შეხედულებაზე, რომ რუსეთის ეკონომიური წესები წარმოდგენილია როგორც ბურჟუაზიული საზოგადოება, საიდანაც შესაძლებელია მხოლოდ ერთი გამოსავალი, რომელიც აუცილებლად გამომდინარეობს თვით ბურჟუაზიული წყობილების არსიდან, — სახელდობრ, პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ცხადია, სერიოზული კრიტიკა მიმართული უნდა ყოფილიყო სწორედ ან იმ შეხედულების წინააღმდეგ, რომ ჩვენი წესები ბურჟუაზიულია, ანდა ამ წესებისა და მათი განვითარების კანონების არსის შესახებ წარმოდგენის წინააღმდეგ, — მაგრამ ბ-ნი მიხაილოვსკი არც კი ფიქრობს იმაზე, რომ სერიოზულ საკითხებს შეეხოს. იგი ამჯობინებს დაკმაყოფილდეს უშინაარსო ფრაზიორობით იმის შესახებ, რომ აუცილებლობა — მეტად ზოგადი რკალიაო და სხვ. მაგრამ ყოველი იდეა ხომ მეტად ზოგადი რკალი იქნება, ბ-ნო მიხაილოვსკი, თუ გამხმარი ტარანივით მას ჯერ მთელ შინაარსს გამოაცლით და შემდგომ მხოლოდ დარჩენილ ქერცლს დაუწყებთ ჯახირს! ეს დარგი ქერცლისა, რომელიც თანადროულობის მართლაც სერიოზულ, მწვავე საკითხებს ჰფარავს — ბ-ნ მიხაილოვსკის საყვარელი სფეროა, და იგი, მაგალითად, განსაკუთრებული სიამაყით აღნიშნავს, რომ «ეკონომიური მატერიალიზმი უგულებელჰყოფს ან არასწორად აშუქებს გმირებისა და ბრბოს საკითხს». დახეთ — საკითხი იმისა, თუ სახელდობრ რომელი კლასების ბრძოლიდან და რა ნიადაგზე ეწყობა რუსეთის თანამედროვე სინამდვილე — ბ-ნ მიხაილოვსკისათვის, ალბათ, მეტად ზოგადია — და იგი გვერდს უხვევს მას. სამაგიეროდ

იმის საკითხი, თუ რა ურთიერთობაა გმირსა და ბრბოს შორის, სულერთია — მუშების ბრბოა ეს, გლეხების, მეფაბრიკეებისა თუ მემამულეების — ეს საკითხი მას მეტად აინტერესებს. შეიძლება, ეს «საინტერესო» საკითხებიც იყოს, მაგრამ მატერიალისტებისათვის საყვედურის თქმა იმის გამო, რომ ისინი მთელი ძალღონით ცდილობენ ისეთი საკითხების გადაჭრას, რომელთაც პირდაპირი დამოკიდებულება აქვთ მშრომელი კლასის განთავისუფლებასთან, — იმას ნიშნავს, რომ ფილისტერული მეცნიერების მოყვარული იყო, და მეტს არაფერს. მატერიალიზმის «კრიტიკის» (?) დასასრულს ბ-ნი მიხაილოვსკი კიდევ ერთხელ ცდილობს — არასწორად წარმოადგინოს ფაქტები და კიდევ ერთ სიყალბეს სჩადის. ეჭვი შეაქვს რა ენგელსის იმ აზრის სისწორეში, რომ ნაფიცი ეკონომისტები[31] «კაპიტალის» შესახებ განგებ არაფერს ამბობდნენო (ამასთანავე დასასაბუთებლად მოყვანილია კურიოზული მოსაზრება, რომ გერმანიაში მრავალი უნივერსიტეტია!), ბ-ნი მიხაილოვსკი ამბობს: «მარქსს სრულიადაც არ ჰყოლია მხედველობაში მკითხველების სწორედ ეს წრე (მუშები) და ცოტა რამეს მეცნიერ ადამიანებისგანაც ელოდა». სრულიადაც არ არის მართალი: მარქსს მშვენივრად ესმოდა, რა ნაკლები იმედი უნდა გქონდეს მეცნიერების ბურჟუაზიულ წარმომადგენელთა მხრივ მიუდგომლობისა და მეცნიერული კრიტიკისა, და «კაპიტალის» მე-2 გამოცემის ბოლოსიტყვაობაში ამის შესახებ სრულიად გარკვევით გამოსთქვა თავისი აზრი. მარქსი იქ ამბობს: «ის გაგება, რომელიც «კაპიტალს» ჩქარა ხვდა წილად გერმანიის მუშათა კლასის ფართო წრეებში, — საუკეთესო ჯილდოა ჩემი შრომისათვის. ბ-მა მეიერმა, ადამიანმა, რომელიც ეკონომიურ საკითხებში ბურჟუაზიულ თვალსაზრისზე დგას, ერთ ბროშურაში, რომელიც საფრანგეთ-პრუსიის ომის დროს გამოვიდა, სრულიად სწორი აზრი გამოსთქვა, რომ უდიდესი ნიჭი თეორიული აზროვნებისა (der grosse theoretische Sinn), რომელიც გერმანელების მემკვიდრეობით კუთვნილებად ითვლებოდა, სრულიად გაჰქრა ეგრეთწოდებულ განათლებულ კლასებში, მაგრამ სამაგიეროდ ხელახლა აღორძინდა მუშათა კლასშიო»[32].

გაყალბება ეხება ისევ მატერიალიზმს და სავსებით პირველი შაბლონის მიხედვით არის აგებული. «თეორია (მატერიალიზმისა) არასოდეს არ ყოფილა მეცნიერულად დასაბუთებული და შემოწმებული». ასეთია თეზისი. — დასაბუთება: «ისტორიული შინაარსის ცალკეული კარგი ფურცლები ენგელსის, კაუტსკისა და ზოგიერთ სხვათა ნაწერებში (ისევე, როგორც ბლოსის პატივსადებ შრომაში) აგრეთვე არ საჭიროებს ეკონომიური მატერიალიზმის ეტიკეტს, რადგან (შენიშნეთ: «რადგან»!) ნამდვილად (sic!) იქ მხედველობაში მიღებულია საზოგადოებრივი ცხოვრების მთელი ერთობლიობა, თუნდაც ამ აკორდში ეკონომიური სიმის უპირატესობა მოსჩანდეს». დასკვნა...: «მეცნიერებაში ეკონომიურმა მატერიალიზმმა ვერ გაამართლა მოლოდინი».

ნაცნობი ამბავია! თეორიის უსაფუძვლობის დასამტკიცებლად ბ-ნი მიხაილოვსკი ჯერ ამახინჯებს თვით თეორიას, მიაწერს რა მას უაზრო განზრახვას, თითქოს იგი მხედველობაში არ იღებდეს საზოგადოებრივი ცხოვრების მთელ ერთობლიობას, — მაშინ როდესაც, პირიქით, მატერიალისტები (მარქსისტები) პირველი სოციალისტები იყვნენ, რომელთაც წამოაყენეს საკითხი არა მარტო ეკონომიური, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარის ანალიზის აუცილებლობის შესახებ*, — შემდეგ აღნიშნავს, რომ «ნამდვილად» მატერიალის-

* ეს სრულიად ნათლად გამოიხატა «კაპიტალში» და სოციალ-დემოკრატების ტაქტიკაში, წინანდელ სოციალისტებთან შედარებით. მარქსი პირდაპირ მოითხოვდა — ნუ შევიზღუდებით ეკონომიური მხარითო. 1843 წელს მარქსი, სახავდა რა განზრახული ჟურნალის პროგრამას. სწერდა რუგეს: «სოციალისტური პრინციპი საზოგადოდ ისევ-ისე მხოლოდ ერთ მხარეს წარმოადგენს... ჩვენ კი ასეთივე ყურადღება უნდა მივაქციოთ მეორე მხარესაც, ადამიანის თეორიულ არსებობას, მაშასადამე. კრიტიკის საგნად გავხადოთ რელიგია, მეცნიერება და სხვ. ...ისევე, როგორც რ ე ლ ი გ ი ა წარმოადგენს კაცობრიობის თეორიული ბრძოლების აღნუსხვას, პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო კაცობრიობის პრაქტიკული ბრძოლების აღნუსხვაა. ამრიგად, პოლიტიკური სახელმწიფო თავისი ფორმის საზღვრებში sub specie rei publicae (პოლიტიკური თვალსაზრისით) გამოხატავს ყველა სოციალურ ბრძოლას, მოთხოვნილებასა და ინტერესს.

ტები ეკონომიკით «კარგად» ხსნიდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების მთელ ერთობლიობასო (ეს ფაქტი აშკარად ამტკუნებს ავტორს) — და, ბოლოს, დაასკვნის, რომ მატერიალიზმმა «ვერ გაამართლა მოლოდინიო». სამაგიეროდ ფაქტების გაყალბებამ თქვენი მხრით, ბ-ნო მიხაილოვსკი, მშვენივრად გაამართლა მოლოდინი!

აი ყველაფერი ის, რაც ბ-ნ მიხაილოვსკის მოჰყავს მატერიალიზმის «გასაბათილებლად». ვიმეორებ, აქ არ არის არავითარი კრიტიკა, არის მხოლოდ ცარიელი პრეტენციოზული ლაყბობა. ვისაც არ უნდა ჰკითხოთ — რა მოსაზრებები მოიყვანა ბ-მა მიხაილოვსკიმ იმ შეხედულების წინააღმდეგ, რომ წარმოებითი ურთიერთობანი სხვა ურთიერთობათა საფუძველს წარმოადგენენ? რით უარჰყოფდა ის სისწორეს მარქსის მიერ მატერიალისტური მეთოდით შემუშავებული ცნებისას საზოგადოებრივი ფორმაციისა და ამ ფორმაციების განვითარების ბუნებრივ-ისტორიული პროცესის შესახებ? როგორ ამტკიცებდა სხვადასხვა ისტორიული საკითხის მატერიალისტური ახსნის, თუნდაც მის მიერვე დასახელებული მწერლების მიერ მოყვანილი ახსნის, უსწორობას? — ყველამ უნდა უპასუხოს: არავითარი საწინააღმდეგო მოსაზრება არ მოუყვანია, არაფრით არ უარუყვია, არავითარ უსწორობაზე არ მიუთითებია. ის მხოლოდ გარს უვლიდა საკითხს, ცდილობდა ფრაზებით მიეფუჩეჩინა საქმის არსი და გზადაგზა თხზავდა სხვადასხვა უმნიშვნელო ფანდებს.

ძნელია რაიმე სერიოზულს ველოდეთ ასეთი კრიტიკოსისაგან, როცა იგი «რუსკოე ბოგატსტვოს» № 2-ში განაგრძობს მარქსიზმის უარყოფას. მთელი განსხვავება იმაშია, რომ მისი

ამიტომ კრიტიკის საგნად გადაქცევა უაღრესად სპეციალური პოლიტიკური საკითხისა — მაგალითად, წოდებრივი და წარმომადგენლობითი სისტემის განსხვავებისა — სრულიად არ ნიშნავს hauteur des principes-დან (პრინციპთა სიმაღლიდან. რ ე დ.) ძირს დაშვებას, რადგან ეს საკითხი პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ენით გამოხატავს განსხვავებას ადამიანის ბატონობასა და კერძო საკუთრების ბატონობას შორის. მაშასადამე, კრიტიკოსს არა თუ შეუძლია, იგი ვალდებულიც არის ამ პოლიტიკურ საკითხებს შეეხოს (თუმცა ეს საკითხები გატაცებულ სოციალისტს არავითარი ყურადღების ღირსად არ მიაჩნია)» [33].

ოსტატობა სიყალბეში უკვე ამოწურულია და ახლა ის სხვისით სარგებლობს.

იგი ჯერ იმით იწყებს, რომ ენაწყლიანობს საზოგადოებრივი ცხოვრების «სირთულის» შესახებ: აი თუნდაც გალვანიზმი ეკონომიურ მატერიალიზმსაც უკავშირდება, ვინაიდან გალვანის ცდებმა «შთაბეჭდილება მოახდინეს» ჰეგელზეცო. გასაოცარი გონებამახვილობაა! ასეთივე წარმატებით შეიძლება ბ-ნი მიხაილოვსკიც ჩინეთის იმპერატორს დაუკავშიროთ! აქედან რა გამომდინარეობს, გარდა იმისა, რომ არიან ადამიანები, რომელთაც სიამოვნებას ჰგვრის უაზრო ლაპარაკი?!

«საქმეთა ვითარების ისტორიული მსვლელობის არსი, — განაგრძობს ბ-ნი მიხაილოვსკი — რომელიც მიუწვდომელია საზოგადოდ, მიუწვდომელი დარჩა ეკონომიური მატერიალიზმის დოქტრინისთვისაც, თუმცა იგი, როგორც სჩანს, ორ დედაბოძს ეყრდნობა: წარმოებისა და გაცვლა-გამოცვლის ფორმათა ყოვლისგანმსაზღვრელი მნიშვნელობის აღმოჩენას და დიალექტიკური პროცესის უცილობლობას».

ამრიგად, მატერიალისტები დიალექტიკური პროცესის «უცილობლობას» ეყრდნობიან! ესე-იგი თავიანთ სოციოლოგიურ თეორიებს ჰეგელის ტრიადებზე აფუძნებენ. ჩვენს წინაშეა ის შაბლონური დაწამება მარქსიზმისათვის ჰეგელის დიალექტიკისა, რომელიც. თითქოს, უკვე საკმაოდ გაცვეთილია მარქსის ბურჟუაზიული კრიტიკოსების მიერ. ამ ვაჟბატონებს არ ძალუძდათ რაიმე ეთქვათ არსებითად დოქტრინის წინააღმდეგ და ებღაუჭებოდნენ მარქსის გამოთქმის ხერხს, თავს ესხმოდნენ თეორიის წარმოშობას, ფიქრობდნენ, რომ ამით ძირს გამოუთხრიდნენ მის არსს. და ბ-ნი მიხაილოვსკიც არ ერიდება მიმართოს ამგვარ ხერხებს. ამის საბაბი მას მისცა ერთმა თავმა ენგელსის თხზულებიდან დიურინგის წინააღმდეგ. უპასუხებს რა დიურინგს, რომელიც მარქსის დიალექტიკას ესხმოდა თავს, ენგელსი ამბობს, რომ მარქსს არასოდეს აზრადაც არ მოსვლია რაიმე «დაემტკიცებინა» ჰეგელის ტრიადებით, რომ მარქსი მხოლოდ სწავლობდა და იკვლევდა ნამდვილ პროცესს, რომ იგი თეორიის ერთადერთ კრიტერიუმად სი-

ნამდვილესთან მის სისწორეს სცნობდა. ხოლო თუ ზოგჯერ ამასთანავე აღმოჩნდებოდა, რომ რომელიმე საზოგადოებრივი მოვლენის განვითარება მოექცეოდა ჰეგელის სქემაში: დებულება — უარყოფა — უარყოფის უარყოფა, აქ გასაკვირველი არაფერია, ვინაიდან საერთოდ ბუნებაში ეს იშვიათი მოვლენა როდიაო. და ენგელსს მოჰყავს მაგალითები ბუნებრივ-ისტორიული (ხორბლის მარცვლის განვითარება) და საზოგადოებრივი დარგიდან — მსგავსად იმისა, რომ ჯერ იყო პირველყოფილი კომუნიზმი, შემდეგ — კერძო საკუთრება და მერე — შრომის კაპიტალისტური განსაზოგადოებაო; ან კიდევ — ჯერ პრიმიტიული მატერიალიზმი, შემდეგ — იდეალიზმი და, ბოლოს, — მეცნიერული მატერიალიზმიო და სხვ. ყველასათვის ცხადია, რომ ენგელსის არგუმენტაციის სიმძიმის ცენტრი იმაშია, რომ მატერიალისტების ამოცანაა — სწორად და ზუსტად გამოხატონ ნამდვილი ისტორიული პროცესი, რომ დიალექტიკის დაჟინება, მაგალითების შერჩევა, რომელნიც ტრიადის სისწორეს ამტკიცებენ, — სხვა არაფერია, თუ არ იმ ჰეგელიანობის ნაშთი, საიდანაც მეცნიერული სოციალიზმი წარმოიშვა, ნაშთია მის გამოთქმათა ხერხისა. მართლაც, რაკი კატეგორიულად განცხადებულია, რომ ტრიადებით რისიმე «დამტკიცება» უაზრობაა, რომ ამის შესახებ არც კი ფიქრობდა არავინ, — რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს «დიალექტიკური» პროცესების მაგალითებს? განა ცხადი არ არის, რომ ეს მხოლოდ დოქტრინის წარმოშობის აღნიშვნაა და მეტი არაფერი? ბ-ნი მიხაილოვსკი თვითონ გრძნობს ამას, როცა ამბობს, რომ თეორიის წარმოშობა ვერ გამოდგება მისთვის ბრალდების წასაყენებლადო. მაგრამ ენგელსის მსჯელობაში მას რომ დაენახა რაღაც მეტი, ვიდრე თეორიის წარმოშობა, ცხადია, საჭირო იყო იმის დამტკიცება, რომ მატერიალისტების მიერ თუნდ ერთი ისტორიული ს ა კ ი თ ხ ი მაინც არის გადაჭრილი არა სათანადო ფაქტების, არამედ ტრიადების შემწეობით. შეეცადა თუ არა ბ-ნი მიხაილოვსკი ამის დამტკიცებას? სრულიადაც არა. პირიქით, თვით იგი იძულებული იყო აღეარებინა, რომ «მარქსმა ცარიელი დიალექტიკური სქემა იმდენად აავსო ფაქ-

ტიური შინაარსით, რომ შეიძლება ეს სქემა ისე მოეხსნას ამ შინაარსს, როგორც ფინჯანს სახურავი, და არაფერი კი არ შეიცვალოს» (გამონაკლისზე, რომელსაც აქ — მომავლის შესახებ — ბ-ნი მიხაილოვსკი აკეთებს, ჩვენ შემდეგ ვიტყვით). თუ ასეა, რადღა იმტვრევს თავს ბ-ნი მიხაილოვსკი ასეთი არაფრის შემცველი სახურავისათვის? რისთვის ამბობს, რომ მატერიალისტები «ეყრდნობიან» დიალექტიკური პროცესის უცილობლობას? რისთვის აცხადებს იგი, როცა ამ სახურავს ებრძვის, — ამით მეცნიერული სოციალიზმის ერთ-ერთ «დედაბოძს» ებრძვიო, მაშინ როდესაც ეს სრული სიცრუეა?

თავისთავად იგულისხმება, რომ ვერ გამოვეკიდები იმას, თუ როგორ არჩევს ბ-ნი მიხაილოვსკი ტრიადების მაგალითებს, რადგან, ვიმეორებ, ამას არავითარი კავშირი არა აქვს არც მეცნიერულ მატერიალიზმთან, არც რუსულ მარქსიზმთან. მაგრამ საინტერესოა საკითხი: რა საფუძველი ჰქონდა მაინც ბ-ნ მიხაილოვსკის, რომ ასე დაემახინჯებინა მარქსისტების დამოკიდებულება დიალექტიკისადმი? საფუძველი ორი ჰქონდა: ჯერ-ერთი, ბ-ნ მიხაილოვსკის გაუგონია, რომ ზარს რეკავენ, და ის კი არ იცის, რომელი სამრეკლოდან; მეორეც, ბ-მა მიხაილოვსკიმ კიდევ ერთი თაღლითობა ჩაიდინა (ან, უკეთ რომ ვთქვათ, დიურინგისაგან მიითვისა).

Ad 1)*. მარქსისტული ლიტერატურის კითხვის დროს ბ-ნი მიხაილოვსკი მუდამ აწყდებოდა «დიალექტიკურ მეთოდს» საზოგადოებრივ მეცნიერებაში, «დიალექტიკურ აზროვნებას» ისევ საზოგადოებრივი საკითხების სფეროში (მხოლოდ ამ სფეროზეა სწორედ ლაპარაკი) და სხვ. თავისი გულუბრყვილობით (კიდევ კარგი, თუ ეს მხოლოდ გულუბრყვილობაა) მან წარმოიდგინა, თითქოს ეს მეთოდი იმაში მდგომარეობს, რომ ყველა სოციოლოგიურ საკითხს ჰეგელის ტრიადის კანონების მიხედვით სწყვეტს. საქმეს რომ ოდნავ მაინც მეტი ყურადღებით მოპყრობოდა, მას არ შეეძლო არ დარწმუნებულიყო ამ წარმოდგენის უაზრობაში. მარქსი და ენგელსი დიალექტიკურ

* — 1-ლი პუნქტისათვის. რ ე დ.

მეთოდს — წინააღმდეგ მეტაფიზიკურისა — სხვას არას უწოდებდნენ, თუ არ მეცნიერულ მეთოდს სოციოლოგიაში; ეს მეთოდი იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოება განიხილება როგორც ცოცხალი, მუდმივ განვითარებაში მყოფი ორგანიზმი (და არა როგორც რაღაც მექანიკურად შეკოწიწებული რამ, რაც ამიტომ შესაძლებელს ხდის ცალკეულ საზოგადოებრივ ელემენტთა ყოველგვარ თვითნებურ კომბინაციებს), რომლის შესასწავლად აუცილებელია იმ წარმოებით ურთიერთობათა ობიექტური ანალიზი, რომელნიც მოცემულ საზოგადოებრივ ფორმაციას ჰქმნიან, აუცილებელია მისი არსებობისა და განვითარების კანონების გამოკვლევა. ჩვენ ქვემოთ შევეცდებით თვით ბ-ნ მიხაილოვსკის მსჯელობის მაგალითით დავასურათოთ დიალექტიკური მეთოდის დამოკიდებულება მეტაფიზიკურისადმი (ეს უკანასკნელი ცნება უეჭველად შეიცავს სუბიექტურ მეთოდსაც სოციოლოგიაში). ახლა კი მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ყველა, ვისაც კი დიალექტიკური მეთოდის განსაზღვრა და აღწერა წაუკითხავს ენგელსის (კამათში დიურინგის წინააღმდეგ: «სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ»), ან მარქსის ნაწერებში (სხვადასხვა შენიშვნები «კაპიტალისა» და «ბოლოსიტყვაობა» მე-2 გამოცემისათვის; «ფილოსოფიის სიღატაკე»)[34] — დაინახავს, რომ ჰეგელის ტრიადებზე ლაპარაკიც კი არ არის, საქმე მხოლოდ იმაშია, რომ სოციალური ევოლუცია განხილულ იქნას როგორც საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციების განვითარების ბუნებრივ-ისტორიული პროცესი. დასამტკიცებლად მოვიყვან, in extenso*, დიალექტიკური მეთოდის აღწერას «ვესტნიკ ევროპის»[35] 1872 წლის მეხუთე ნომრიდან (შენიშვნა: «კ. მარქსის პოლიტიკურ-ეკონომიური კრიტიკის თვალსაზრისი»)[36]; ამ აღწერიდან მარქსს ციტატა მოჰყავს «კაპიტალის» მე-2 გამოცემის «ბოლოსიტყვაობაში». იქ მარქსი ამბობს, რომ მეთოდი, რომელიც მან «კაპიტალში» გამოიყენა, ცუდად გაიგეს. «გერმანელი რეცენზენტები, რასაკვირველია, გაჰყვიროდნენ ჰეგელისეულ

* — სრულად, მთლიანად. რ ე დ.

სოფისტიკაზე». და აი, თავისი მეთოდის უფრო ნათლად გადმოსაცემად, მარქსს მოჰყავს მისი აღწერა აღნიშნულ შენიშვნაში. მარქსისათვის ერთ რამეს აქვს მნიშვნელობაო — ნათქვამია იქ: სახელდობრ — იმ მოვლენების კანონის აღმოჩენას, რომელთაც ის იკვლევს; ამასთან მისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კანონი ამ მოვლენათა ცვლილებისა, განვითარებისა, მათი გადასვლისა ერთი ფორმიდან მეორეში, საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთი წყობიდან მეორეში. ამიტომ მარქსი ერთ რამეზე ზრუნავს: ზუსტი მეცნიერული კვლევა-ძიებით გამოააშკარაოს საზოგადოებრივ ურთიერთობათა მოცემული წყობის აუცილებლობა, მთელი შესაძლებელი სისრულით აღნიშნოს ის ფაქტები, რომლებიც მისთვის გამოსავალ და დასაყრდენ პუნქტებს წარმოადგენენ. ამ მიზნისათვის სრულიად საკმაოა, თუ იგი, არსებული წყობილების აუცილებლობის დამტკიცების დროს, ამტკიცებს ამასთანავე მეორე წყობილების აუცილებლობასაც, რომელიც გარდუვალად უნდა წარმოიშვას წინანდელიდან, — სულერთია, სწამთ ადამიანებს ეს თუ არა, შეგნებული აქვთ ეს თუ არა. მარქსი საზოგადოებრივ მოძრაობას განიხილავს როგორც ბუნებრივ-ისტორიულ პროცესს, დაქვემდებარებულს ისეთი კანონებისადმი, რომელნიც არა თუ დამოკიდებულნი არ არიან ადამიანების ნებისყოფასა, შეგნებასა და განზრახვებზე, არამედ, პირიქით, განსაზღვრავენ მათს ნებისყოფას, შეგნებასა და განზრახვებს. (ბბ. სუბიექტივისტების საყურადღებოდ, რომლებიც სოციალურ ევოლუციას სთიშავენ ბუნებრივ-ისტორიული ევოლუციიდან სწორედ იმიტომ, რომ ადამიანი ისახავს შეგნებულ «მიზნებს», ხელმძღვანელობს გარკვეული იდეალებით.) თუ შეგნებული ელემენტი ესოდენ ქვემდებარე როლს ასრულებს კულტურის ისტორიაში, თავისთავად ცხადია, რომ კრიტიკას, რომელსაც თავის საგნად თვით ეს კულტურა გაუხდია, ყველაზე ნაკლებ შეუძლია დაეყრდნოს შეგნების რაიმე ფორმას ან შეგნების რაიმე შედეგს. სხვა სიტყვებით, მისი გამოსავალი წერტილი შეიძლება იყოს არა იდეა, არამედ მხოლოდ გარეგანი, ობიექტური მოვლენა. კრიტიკა იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ

ეს ფაქტი შეადაროს და დაუპირისპიროს არა იდეას, არამედ სხვა ფაქტს; მისთვის მნიშვნელოვანია მხოლოდ ის, რომ ორივე ეს ფაქტი რაც შეიძლება ზუსტად იყოს გამოკვლეული, რომ ისინი, ერთიმეორის მიმართ, განვითარების სხვადასხვა მომენტებს წარმოადგენდნენ, ამასთან განსაკუთრებით აუცილებელია, რომ ასევე ზუსტად იყოს გამოკვლეული განსაზღვრულ მდგომარეობათა მთელი რიგი, მათი თანმიმდევრობა და კავშირი განვითარების სხვადასხვა საფეხურებს შორის. მარქსი უარჰყოფს სწორედ იმ იდეას, რომ ეკონომიური ცხოვრების კანონები ერთნაირია წარსულისთვისაც და აწმყოსთვისაც. პირიქით, ყოველ ისტორიულ პერიოდს თავისი საკუთარი კანონები აქვს. ეკონომიური ცხოვრება წარმოადგენს მოვლენას, რომელიც ანალოგიურია განვითარების ისტორიისა ბიოლოგიის სხვა დარგებში. წინანდელ ეკონომისტებს არ ესმოდათ ეკონომიური კანონების ბუნება, როცა მათ ფიზიკისა და ქიმიის კანონებს ადარებდნენ. უფრო ღრმა ანალიზი გვიჩვენებს, რომ სოციალურ ორგანიზმებს შორის ისეთივე ღრმა განსხვავებაა, როგორიც ცხოველებისა და მცენარეების ორგანიზმებს შორის. მარქსმა, ამოცანად დაისახა რა ამ თვალსაზრისით გამოეკვლია კაპიტალისტური ეკონომიური ორგანიზაცია, ამით ნამდვილ მეცნიერულ ფორმულაში ჩამოაყალიბა ის მიზანი, რომელსაც უნდა ისახავდეს ეკონომიური ცხოვრების ყოველი ზუსტი გამოკვლევა. ასეთი გამოკვლევის მეცნიერული მნიშვნელობა მდგომარეობს იმ განსაკუთრებული (ისტორიული) კანონების გამორკვევაში, რომელნიც აწესრიგებენ მოცემული საზოგადოებრივი ორგანიზმის წარმოშობას, არსებობას, განვითარებასა და სიკვდილს და მის შეცვლას სხვა, უფრო მაღალი ორგანიზმით.

აი დიალექტიკური მეთოდის აღწერა, რომელიც მარქსმა ამოსჩხრიკა უამრავი საჟურნალო და საგაზეთო შენიშვნიდან «კაპიტალის» შესახებ და გერმანულად გადათარგმნა იმიტომ, რომ ეს დახასიათება მეთოდისა, როგორც თვითონ ის ამბობს, სრულიად ზუსტია. საკითხავია, ნათქვამია თუ არა იქ თუნდ ერთი სიტყვაც ტრიადებსა, ტრიქოტომიებსა, დიალექტიკური პროცესის უცილობლობაზე და სხვა ამგვარ აბდაუბდაზე, რის

წინააღმდეგაც ასე რაინდულად იბრძვის ბ-ნი მიხაილოვსკი? და მარქსი ამ აღწერის შემდეგ პირდაპირ ამბობს, რომ მისი მეთოდი «პირდაპირ ეწინააღმდეგება» ჰეგელის მეთოდს. ჰეგელის მიხედვით, იდეის განვითარება, ტრიადის დიალექტიკური კანონებით, განსაზღვრავს სინამდვილის განვითარებას. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება, რასაკვირველია, ლაპარაკი ტრიადების მნიშვნელობის, დიალექტიკური პროცესის უცილობლობის შესახებ. ჩემი აზრით კი — პირიქით — ამბობს მარქსი: «იდეალური მხოლოდ ანარეკლია მატერიალურისა». ამრიგად, მთელი საკითხი დაყვანილია «აწმყოს და მისი აუცილებელი განვითარების პოზიტიურ გაგებამდე»: ტრიადებისათვის სხვა ადგილი არ რჩება, გარდა სახურავის და ნაპუჭის როლისა («მე ვკეკლუცობდი ჰეგელის ენით» — ამბობს მარქსი ამავე ბოლოსიტყვაობაში), რომელიც მხოლოდ ფილისტერებისათვის თუ არის საინტერესო. ახლა ვიკითხოთ, როგორღა უნდა განვსაჯოთ ადამიანი, რომელმაც მოისურვა გაეკრიტიკებინა მეცნიერული მატერიალიზმის ერთი «დედაბოძთაგანი», ე. ი. დიალექტიკა, და ყველაფერზე დაიწყო ლაპარაკი, რაც გნებავთ, თვით ბაყაყებსა და ნაპოლეონზე, ოღონდ არა იმაზე, თუ რაში მდგომარეობს ეს დიალექტიკა, არა იმაზე, მართლაც ბუნებრივ-ისტორიულ პროცესს წარმოადგენს საზოგადოების განვითარება თუ არა? სწორია მატერიალისტური გაგება საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციებისა, როგორც განსაკუთრებული სოციალური ორგანიზმებისა, თუ არა? სწორია თუ არა ამ ფორმაციების ობიექტური ანალიზის მეთოდები? მართლა არ განსაზღვრავენ საზოგადოებრივი იდეები საზოგადოებრივ განვითარებას, და თვით განისაზღვრებიან მის მიერ? და სხვ. განა შეიძლება ამ შემთხვევაში მარტოოდენ გაუგებლობა დაეუშვათ?

Ad 2) *. დიალექტიკის ასეთი «კრიტიკის» შემდეგ ბ-ნი მიხაილოვსკი თავს ახვევს მარქსს დამტკიცების ამ ხერხებს ჰეგელის ტრიადის «შემწეობით» და, რა თქმა უნდა, ძლევამოსი-

* — მე-2 პუნქტისათვის. რ ე დ.

ლად ომობს მათ წინააღმდეგ. «მომავლის შესახებ — ამბობს ის — საზოგადოების იმანენტური კანონები მხოლოდდამხოლოდ დიალექტიკურად არის დასმული». (ამაში მდგომარეობს სწორედ ზემოაღნიშნული გამონაკლისი.) მარქსის მსჯელობა ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაციის აუცილებლობაზე, რაც კაპიტალიზმის განვითარების კანონების გამო უნდა მოხდეს, «მხოლოდდამხოლოდ დიალექტიკურ ხასიათს» ატარებს. მარქსის «იდეალი» მიწისა და კაპიტალის თემობრივობის შესახებ — «აუცილებლობისა და უეჭველობის აზრით, მხოლოდდამხოლოდ ჰეგელის სამწევრიანი ჯაჭვის ბოლოზე ჰკიდია».

ეს საბუთი მ თ ლ ი ა ნ ა დ ა ღ ე ბ უ ლ ი ა დიურინგიდან, რომელმაც ის გაატარა თავის «Kritische Geschichte der Nationaloekonomie und des Sozialismus»-ში (3-te Aufl., 1879. S. 486 — 487) *. ამასთან ბ-ნი მიხაილოვსკი ერთი სიტყვითაც არ იხსენიებს დიურინგს. თუმცა, შესაძლებელია, ის დამოუკიდებლად მივიდა მარქსის ასეთ გაყალბებამდე?

დიურინგს მშვენიერი პასუხი გასცა ენგელსმა, და რადგან მას დიურინგის კრიტიკაც მოჰყავს, ჩვენც დავკმაყოფილდებით ენგელსის ამ პასუხით [27]. მკითხველი დაინახავს, რომ იგი სავსებით შეეხება ბ-ნ მიხაილოვსკისაც.

««ეს ისტორიული ნარკვევი (კაპიტალის ეგრეთწოდებული პირვანდელი დაგროვების გენეზისი ინგლისში) — ამბობს დიურინგი — შედარებით საუკეთესო ადგილს წარმოადგენს მარქსის წიგნში და კიდევ უფრო უკეთესი იქნებოდა, რომ, მეცნიერულ ყავარჯენს გარდა, დიალექტიკურ ყავარჯენსაც არ ეყრდნობოდეს. ჰეგელის უარყოფის უარყოფა აქ — უკეთესი და უფრო წათელი საბუთების უქონლობის გამო — ასრულებს როლს ბებია-ქალისას, რომლის წყალობით მომავალი თავისუფლდება აწმყოს წიაღისაგან. ინდივიდუალური საკუთრების მოსპობა, რაც აღნიშნული გზით მე-16 საუკუნიდან მოხდა, პირველ უარყოფას წარმოადგენს. მას მოჰყვება მეორე, რომელიც ხასიათდება როგორც უარყოფის უარყოფა და ამასთან როგორც

* — «კრიტიკული ისტორია ნაციონალური ეკონომიისა და სოციალიზმისა» (მე-3 გამოც., 1879. გვ. 486 — 487). რ ე დ.

«ინდივიდუალური საკუთრების» აღდგენა, მაგრამ უფრო მაღალ ფორმაში, რაც მიწისა და შრომის იარაღების საზოგადო მფლობელობაზეა დაფუძნებული. თუ ამ ახალ «ინდივიდუალურ საკუთრებას» ბ-ნი მარქსი ამასთანავე «სათემო საკუთრებასაც» უწოდებს, სწორედ ამაში იჩენს თავს ჰეგელისეული უმაღლესი ერთიანობა, რომელშიც წინაალმდეგობა მოიხსნება (aufgehoben — სპეციალურად ჰეგელის ტერმინია), ე. ი., ჰეგელის სიტყვათა თამაშით, იმდენადვე დაიძლევა, რამდენადაც შეინარჩუნება..

...ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაცია ამრიგად თითქოს ავტომატური პროდუქტია ისტორიული სინამდვილისა მის მატერიალურ გარეგნულ პირობებში... საეჭვოა თუნდაც ერთმა გონიერმა ადამიანმა დაიჯეროს მიწისა და კაპიტალის სათემო მფლობელობის აუცილებლობა ჰეგელის ისეთი ფოკუსების რწმენის საფუძველზე, როგორიცაა უარყოფის უარყოფა. თუმცა მარქსის წარმოდგენების ბუნდოვანი სიმახინჯე ვერავის ვერ გააკვირვებს, ვინც კი იცის, რის გაკეთება შეიძლება ისეთი მეცნიერული მასალისაგან, როგორიცაა ჰეგელის დიალექტიკა, ან — უკეთ — იცის, როგორი უაზრობანი უნდა გამოვიდეს მისგან. ვინც ამ ოინებს არ იცნობს, იმათთვის პირდაპირ ვიტყვი, რომ პირველი უარყოფა ჰეგელის მიხედვით თამაშობს კატეხიზმოდან ნასესხები შეცოდების ცნების როლს, ხოლო მეორე — იმ უმაღლესი ერთიანობის როლს, რომელსაც მონანიებისაკენ მივყევართ. ანალოგიის ასეთ ფოკუსებზე, რაც რელიგიის დარგიდან არის ნასესხები, — რაღა თქმა უნდა, არ შეიძლება ფაქტების ლოგიკის დაფუძნება... ბ-ნი მარქსი კმაყოფილდება თავისი ბუნდოვანი იდეით ინდივიდუალური და ამავე დროს სათემო საკუთრების შესახებ და თავის ადეპტებს უთმობს ამ ღრმააზროვანი დიალექტიკური გამოცანის გადაწყვეტას». ასე ლაპარაკობს ბ-ნი დიურინგი.

ამრიგად — დაასკვნის ენგელსი — მარქსს არ ძალუძს დაამტკიცოს სოციალური რევოლუციის აუცილებლობა, მიწისა და შრომით შექმნილ წარმოების საშუალებათა სათემო საკუთრების შემოღების აუცილებლობა ისე, რომ ჰეგელის უარყოფის უარყოფას არ მიმართოს; იგი თავის სოციალისტურ თეორიას

ასეთ, რელიგიიდან ნასესხებ, ანალოგიის ფოკუსებზე ამყარებს და იმ დასკვნამდე მიდის, რომ მომავალ საზოგადოებაში იარსებებს საკუთრება, ერთ და იმავე დროს ინდივიდუალურიც და სათემოც, როგორც ჰეგელისეული უმაღლესი ერთიანობა დაძლეული წინააღმდეგობისა *.

თავი დავანებოთ ჯერჯერობით უარყოფის უარყოფას და შევხედოთ ამ «საკუთრებას, რომელიც ერთ და იმავე დროს ინდივიდუალურიც არის და სათემოც». ბ-ნი დიურინგი ამას «ბურუსს» უწოდებს, და ის, — რარიგ გასაკვირველიც არ უნდა იყოს ეს, — ნამდვილად მართალია ამ მხრივ. ოღონდ, საუბედუროდ, ამ «ბურუსში» იმყოფება სრულიადაც არა მარქსი, არამედ ისევ თვით ბ-ნი დიურინგი... მარქსს რომ ჰეგელის მიხედვით ასწორებს, ის თავს ახვევს მას საკუთრების რაღაც უმაღლეს ერთიანობას, რომლის შესახებ მარქსს ერთი სიტყვაც არ უთქვამს.

მარქსი აღნიშნავს: «ეს უარყოფის უარყოფაა. ის ხელახლა ჰქმნის ინდივიდუალურ საკუთრებას, ოღონდ კაპიტალისტური

---

* დიურინგის შეხედულებათა ასეთი ფორმულირება რომ სავსებით შეეფერება ბ-ნ მიხაილოვსკისაც, ამას ამტკიცებს კიდევ შემდეგი ადგილი მისი სტატიიდან: «კ. მარქსი ბ-ნ ი. ჟუკოვსკის სამსჯავროს წინაშე». ეკამათება რა ბ-ნ ჟუკოვსკის, რომელიც ამტკიცებდა, მარქსი კერძო საკუთრების დამცველიაო, ბ-ნი მიხაილოვსკი მიუთითებს მარქსის ამ სქემაზე და შემდეგნაირად განმარტავს მას: «თავის სქემაში მარქსმა შეიტანა ჰეგელის დიალექტიკის ორი საყოველთაოდ ცნობილი ფოკუსი: ჯერ-ერთი, სქემა აგებულია ჰეგელის ტრიადის კანონის მიხედვით; მეორეც, სინთეზისი ემყარება დაპირისპირებულთა იგივეობას: ინდივიდუალური და სათემო საკუთრებისას. მაშასადამე, აქ სიტყვა: «ინდივიდუალურს» განსაკუთრებული, წმინდა პირობითი აზრი აქვს, როგორც დიალექტიკური პროცესის წევრს, და მასზე სრულიად არაფრის დაფუძნება არ შეიძლება». ამას ამბობდა ადამიანი, რომელსაც საუკეთესო განზრახვები ჰქონდა, იცავდა რა რუსი საზოგადოების წინაშე «სანგვინიკოსს» მარქსს ბურჟუა ბ-ნ ჟუკოვსკისაგან. და აი ამ საუკეთესო განზრახვებით იგი ისე განმარტავს მარქსს, თითქოს მარქსი თავის წარმოდგენას პროცესის შესახებ «ფოკუსებზე» აფუძნებდეს! ბ-ნ მიხაილოვსკის შეუძლია აქედან მისთვის სასარგებლო მორალი გამოიტანოს, რომ მარტო კეთილი განზრახვები არავითარი საქმისათვის არ არის საკმარისი.

ხანის მონაპოვართა საფუძველზე — თავისუფალ მუშაკთა კოოპერაციისა და მიწისა და მათ მიერ შექმნილი წარმოების საშუალებების სათემო მფლობელობის საფუძველზე. ცალკეულ პირთა, საკუთარ შრომაზე დაფუძნებული დაქუცმაცებული კერძო საკუთრების გადაქცევა კაპიტალისტურ საკუთრებად, რა თქმა უნდა, გაცილებით უფრო ხანგრძლივ, ძნელ და მძიმე პროცესს წარმოადგენს, ვიდრე ფაქტიურად უკვე წარმოების საზოგადოებრივ პროცესზე დამყარებული კაპიტალისტური კერძო საკუთრების გადაქცევა საზოგადოებრივ საკუთრებად». ესაა და ეს. ამრიგად წესები, შექმნილი ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაციით, დახასიათებულია როგორც ინდივიდუალური საკუთრების აღდგენა მიწისა და თვით მუშაკთა მიერ შექმნილი წარმოების საშუალებების სათემო მფლობელობის «საფუძველზე». ყველასათვის, ვისაც კი გერმანული ენა ესმის (და რუსულიც, ბ-ნო მიხაილოვსკი, რადგან თარგმანი ზედმიწევნით სწორია), ეს იმას ნიშნავს, რომ სათემო საკუთრება ვრცელდება მიწასა და წარმოების სხვა საშუალებებზე, ხოლო ინდივიდუალური საკუთრება — დანარჩენ პროდუქტებზე, ე. ი. მოხმარების საგნებზე. ხოლო რათა საკითხი გასაგები გამხდარიყო თვით ექვსი წლის ბალღებისთვისაც, მარქსი 56 გვერდზე (რუსული გამოც. 30 გვ.) ითვალისწინებს «თავისუფალ ადამიანთა კავშირს, რომლებიც მუშაობენ წარმოების საერთო საშუალებებით და გეგმაშეწონილად ხარჯავენ თავიანთ ინდივიდუალურ სამუშაო ძალებს როგორც ერთ საზოგადოებრივ სამუშაო ძალას», ე. ი. ითვალისწინებს სოციალისტურად მოწყობილ თემს, და ამბობს: «შრომის მთელი პროდუქტი საზოგადოებრივ პროდუქტს წარმოადგენს. ამ პროდუქტის ნაწილი კვლავ გამოიყენება წარმოების საშუალებებად. იგი საზოგადოებრივი რჩება». მაგრამ მეორე ნაწილი იხარჯება კავშირის წევრების მიერ როგორც საარსებო საშუალებანი. «ამიტომ ის უნდა განაწილდეს მათ შორის». ეს ხომ საკმაოდ ნათელი უნდა იყოს თვით ბ-ნ დიურინგისთვისაც.

საკუთრება, როგორც ინდივიდუალური, ისე სათემო ერთ და იმავე დროს, — ეს ბუნდოვანი სიმახინჯე, ეს უაზრობა, რო-

მელიც ჰეგელის დიალექტიკიდან გამომდინარეობს, ეს აბდაუბდა, ეს ღრმააზროვანი დიალექტიკური გამოცანა, რომელსაც მარქსი თითქოს თავის ადეპტებს ანდობს გადასაჭრელად, — ისევ-ისე ბ-ნ დიურინგის მიერ თავისუფლად შეთხზული და მოგონილია...

ახლა ვიკითხოთ, — განაგრძობს ენგელსი, — რა როლს ასრულებს მარქსის ნაწერებში უარყოფის უარყოფა? 791 გვერდზე და შემდ. (რუს. გამოც. 648 გვ. და შემდ.) იგი უპირისპირებს საბოლოო შედეგებს წინა 50 გვერდზე (რუს. გამოც. — 35 გვ.) გადმოცემული ეკონომიური და ისტორიული გამოკვლევისას კაპიტალის ეგრეთწოდებულ პირვანდელ დაგროვებაზე. კაპიტალისტური ხანის დაწყებამდე, ყოველ შემთხვევაში ინგლისში, არსებობდა წვრილი წარმოება, სადაც წარმოების საშუალებანი მშრომელის კერძო საკუთრებას შეადგენდნენ. ეგრეთწოდებული პირვანდელი დაგროვება აქ მდგომარეობდა ამ უშუალო მწარმოებლების ექსპროპრიაციაში, ე. ი. საკუთარ შრომაზე დაფუძნებული კერძო საკუთრების მოსპობაში. ეს მოსპობა იმიტომ გახდა შესაძლებელი, რომ აღნიშნული წვრილი წარმოება ეთავსება წარმოებისა და საზოგადოების მხოლოდ ვიწრო, პრიმიტიულ ჩარჩოებს, და განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე იგი თვით ჰქმნის თავისი თავის მოსპობის მატერიალურ საფუძვლებს. ეს მოსპობა, ინდივიდუალურ და დაქსაქსულ წარმოების იარაღთა გადაქცევა საზოგადოებრივ-კონცენტრირებულ იარაღებად — ჰქმნის კაპიტალის პირვანდელ ისტორიას. როგორც კი მშრომელები პროლეტარებად იქცნენ, ხოლო მათი წარმოების საშუალებანი კაპიტალად, როგორც კი წარმოების კაპიტალისტური წესი საკუთარ ფეხზე დადგა, — შრომის შემდგომი განსაზოგადოება და მიწისა და წარმოების სხვა საშუალებების შემდგომი გადაქცევა (კაპიტალად) და, მაშასადამე, კერძო მესაკუთრეთა შემდგომი ექსპროპრიაციაც ახალ ფორმას იღებს. «ახლა ექსპროპრიირებულ უნდა იქნას უკვე არა მშრომელი, რომელიც თავის მეურნეობას აწარმოებს, არამედ კაპიტალისტი, რომელიც მრავალი მუშის ექსპლოატაციას ეწევა. ეს ექსპროპრიაცია ხდება თვით კაპიტალისტური

წარმოების იმანენტური კანონების თამაშით, კაპიტალების კონ-ცენტრაციის გამო. ერთი კაპიტალისტი სასიკვდილოდ ამარცხებს მრავალთ. ამ კონცენტრაციის ანუ კაპიტალისტთა მცირე რიცხვის მიერ მრავალი კაპიტალისტის ექსპროპრიაციის გვერდით ვითარდება შრომის პროცესის კოოპერაციული ფორმა მუდამ მზარდი მოცულობით, ვითარდება მეცნიერების შეგნებული ტექნოლოგიური გამოყენება, მიწის გეგმაშეწონილი საზოგადოებრივი ექსპლოატაცია, შრომის იარაღების გადაქცევა ისეთ იარაღებად, რომელნიც შეიძლება მხოლოდ სათემოდ იქნან გამოყენებულნი, და წარმოების მთელი საშუალებების ეკონომიზაცია, მათი როგორც კომბინირებული საზოგადოებრივი შრომის თემურ წარმოების საშუალებათა გამოყენებით. კაპიტალის იმ მაგნატების რიცხვის განუწყვეტელ შემცირებასთან ერთად, რომლებიც უზურპატორულად და მონოპოლიურად იყენებენ ამ გარდაქმნის ყველა ხელსაყრელ მხარეს, მასობრივად იზრდება სიღატაკე, ჩაგვრა, მონობა, დეგრადაცია და ექსპლოატაცია, მაგრამ ამასთანავე ძლიერდება მუდამ ზრდაში მყოფი და თვით კაპიტალისტური წარმოების პროცესის მექანიზმით გაწვრთნილი, გაერთიანებული და დარაზმული მუშათა კლასის აღშფოთება. კაპიტალი ხდება წარმოების იმ წესის ბორკილებად, რომელმაც მასთან ერთად და მისი დახმარებით მიაღწია აყვავებას. წარმოების საშუალებათა კონცენტრაცია და შრომის განსაზოგადოება აღწევს იმ წერტილს, როცა ისინი ველარ თავსდებიან მათს კაპიტალისტურ გარსში. ეს უკანასკნელი სკდება. რეკავს კაპიტალისტური კერძო საკუთრების უკანასკნელი საათი. ხდება ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაცია».

და ახლა მკითხველს ვეკითხები: სადაა დიალექტიკურად დაჩუქურთმებული ხლართები და არაბესკები, სადაა ცნებათა აღრევა, რომელსაც ნულამდე დაჰყავს მთელი განსხვავება, სადაა დიალექტიკური სასწაულები მართლმორწმუნეთათვის და ის ფოკუსები ჰეგელის მოძღვრებისამებრ ლოგოსის შესახებ, ურომლისოდაც მარქსს, დიურინგის თქმით, არ შეეძლო ბოლომდე მიეყვანა თავისი მოძღვრების გადმოცემა? მარქსი ისტორიულად ამტკიცებს და აქ მოკლედ ასკვნის, რომ სწორედ ისევე, რო-

გორც ოდესღაც წვრილმა წარმოებამ თავისი განვითარებით შეჰქმნა თავისი მოსპობის პირობები, სწორედ ასევე ახლა კაპიტალისტურმა წარმოებამ თვით შეჰქმნა მატერიალური პირობები, რომელთაგანაც იგი უნდა დაიღუპოს. ასეთია ისტორიული პროცესი, და თუ იგი ამასთანავე დიალექტიკურიც არის, ეს უკვე მარქსის ბრალი როდია, რარიგ ფატალურადაც არ უნდა ეჩვენოს ეს ბ-ნ დიურინგს.

მხოლოდ ახლა, რაკი თავისი ისტორიულ-ეკონომიური მტკიცება დაამთავრა, მარქსი განაგრძობს: «წარმოებისა და მითვისების კაპიტალისტური წესი და, მაშასადამე, კაპიტალისტური კერძო საკუთრებაც, პირველი უარყოფაა საკუთარ შრომაზე დაფუძნებული ინდივიდუალური საკუთრებისა. კაპიტალისტური წარმოების უარყოფა ხდება მის მიერვე, ბუნებრივ-ისტორიული პროცესის აუცილებლობით. ეს — უარყოფის უარყოფაა» და სხვ. (როგორც ზევით იყო მოყვანილი).

ამრიგად, როცა მარქსი ამ პროცესს უარყოფის უარყოფას უწოდებს, ის სრულიადაც არ ფიქრობს ამაში მისი ისტორიული აუცილებლობის დამტკიცება დაინახოს. პირიქით: მას შემდეგ, რაც მან ისტორიულად დაამტკიცა, რომ ეს პროცესი ნაწილობრივ უკვე მართლაც მოხდა, ხოლო ნაწილობრივ კიდევ უნდა მოხდეს, მხოლოდ ამის შემდეგ ახასიათებს მას როგორც ისეთ პროცესს, რომელიც ამასთან ერთგვარი დიალექტიკური კანონის მიხედვით ხდება. ესაა და ეს. ამრიგად, ეს — ისევ-ისე ბ-ნ დიურინგის სრული გადამახინჯებაა, როცა ის ამტკიცებს, თითქოს უარყოფის უარყოფა აქ ბებია-ქალის სამსახურს ასრულებდეს, რომლის შემწეობით მომავალი თავისუფლდება წარსულის წიაღისაგან, ან თითქოს მარქსი მოითხოვდეს, რომ ვინმემ მიწისა და კაპიტალის სათემო მფლობელობის აუცილებლობა იწამოს უარყოფის უარყოფის კანონის რწმენის საფუძველზე» (გვ. 125).

მკითხველი ხედავს, რომ ენგელსის მთელი ეს ჩინებული გამანადგურებელი პასუხი დიურინგის მიმართ სავსებით ეხება ბ-ნ მიხაილოვსკისაც, რომელიც სწორედ ასევე ამტკიცებს, რომ მარქსის მიხედვით მომავალი მხოლოდდამხოლოდ ჰეგელის

ჯაჭვის ბოლოზე ჰკიდია და რომ დარწმუნება მის აუცილებლობაში მხოლოდ რწმენაზე შეიძლება იყოს დაფუძნებულიო*.

მთელი განსხვავება დიურინგსა და ბ-ნ მიხაილოვსკის შორის ორ შემდეგს პატარა მუხლში გამოიხატება: ჯერ-ერთი, მიუხედავად იმისა, რომ დიურინგს ბრაზმოურევლად არ შეუძლია მარქსზე ლაპარაკი, თავისი «ისტორიის» შემდეგს პარაგრაფში მან მაინც აუცილებლად ჩასთვალა იმის აღნიშვნა, რომ მარქსი ბოლოსიტყვაობაში კატეგორიულად უარჰყოფს ბრალდებას მისი ჰეგელიანელობის შესახებ. ბ-მა მიხაილოვსკიმ კი არ მოიხსენია ეს (ზემოთ მოყვანილი) სრულიად გარკვეული და ნათელი განმარტება მარქსის მიერ იმისა, თუ როგორ ესმის მას დიალექტიკური მეთოდი.

მეორე. ბ-ნ მიხაილოვსკის მეორე ორიგინალობა იმაში მდგომარეობს, რომ მან მთელი ყურადღება ზმნების დროთა ხმარებას მიაქცია. რატომ აწმყო დროს ხმარობს მარქსი, როცა მომავალზე ლაპარაკობსო? — ძლევამოსილი სახით კითხულობს ჩვენი ფილოსოფოსი. ამის შესახებ შეგიძლიათ ყოველ გრამატიკაში ამოიკითხოთ, დიდად პატივცემულო კრიტიკოსო: იქ გაიგებთ, რომ აწმყო მაშინ იხმარება მომავლის მაგიერ, როცა ეს მომავალი გარდუვალი და უეჭველი ფორმით არის წარმოდგენილი. მაგრამ რატომ არის ეს, რატომ არის უეჭველი? — შეშფოთებული კითხულობს ბ-ნი მიხაილოვსკი და ცდილობს ისეთი ძლიერი მღელვარება გამოხატოს, რომ თვით გაყალბების გამართლებაც შეიძლებოდეს. — ამის შესახებაც მარქსმა სრულიად გარკვეული პასუხი გასცა. შეიძლება არასაკმარისად ან

* ვფიქრობთ, ზედმეტი არ იქნება ამის გამო აღვნიშნოთ, რომ ენგელსის მთელი ეს განმარტება მოთავსებულია იმავე თავში, სადაც ის მსჯელობს მარცვლის, რუსოს მოძღვრებისა და დიალექტიკური პროცესის სხვა მაგალითების შესახებ. თითქოს, მარტო ამ მაგალითების შედარება ენგელსის (და მარქსისაც, რომელსაც წინასწარ წაუკითხეს ამ თხზულების დედანი) ისეთ ნათელ და კატეგორიულ განცხადებასთან, რომ ლაპარაკიც კი ზედმეტია ტრიადებით რაიმეს მ ტ კ ი ც ე ბ ი ს შესაძლებლობაზე, ან იმაზე, რომ შეპარებულ იქნას ნამდვილი პროცესის გამოხატვაში ამ ტრიადების «პირობითი წევრები», — სრულიად საკმაოა, რომ გავიგოთ მარქსიზმისათვის ჰეგელის დიალექტიკის დაწამების უაზრობა.

შემცდარად ჩასთვალოთ ეს პასუხი, მაგრამ მაშინ საჭიროა ცხადჰყოთ, თუ ს ა ხ ე ლ დ ო ბ რ რ ა შ ი და ს ა ხ ე ლ დ ო ბ რ რ ა ტ ო მ არის იგი შემცდარი, და არა სისულელე ილაპარაკოთ ჰეგელიანელობის შესახებ.

იყო დრო, როცა ბ-მა მიხაილოვსკიმ არა თუ თვით იცოდა, რაში მდგომარეობს ეს პასუხი, არამედ სხვებსაც ასწავლიდა. ბ-ნ ჟუკოვსკის — სწერდა იგი 1877 წელს — საფუძველი ჰქონდა საეჭვოდ მიეჩნია მარქსის აზრთწყობა მომავლის შესახებ, მაგრამ მას «ზნეობრივი უფლება არ ჰქონდა» გვერდი აეხვია შრომის განსაზოგადოების საკითხისათვის, «რასაც მარქსი უდიდეს მნიშვნელობას აძლევს». ჰო, რა თქმა უნდა! ჟუკოვსკის 1877 წელს ზნეობრივი უფლება არ ჰქონდა გვერდი აეხვია საკითხისათვის, ხოლო ბ-ნ მიხაილოვსკის 1894 წელს აქვს ასეთი ზნეობრივი უფლება! შეიძლება — quod licet Jovi, non licet bovi * ?!

არ შემიძლია არ გავიხსენო აქ ერთი კურიოზი ამ განსაზოგადოების გაგების შესახებ, რომელიც ოდესღაც «ოტეჩესტვენნიე ზაპისკიმ»[38] გამოსთქვა. 1883 წლის № 7-ში იქ მოთავსებული იყო «წერილი რედაქციისადმი» ვინმე ბ-ნ «გარეშესი»[39], რომელიც სწორედ ისევე, როგორც ბ-ნი მიხაილოვსკი, მარქსის «აზრთწყობას» მომავლის შესახებ საეჭვოდ სთვლიდა. «არსებითად — მსჯელობს ეს ვაჟბატონი — შრომის საზოგადოებრივი ფორმა, კაპიტალიზმის ბატონობის დროს, იმაში გამოიხატება, რომ რამდენიმე ასი ან ათასი მუშა ლესავს, ურტყამს, ატრიალებს, ადებს, ქვეშ უდებს, ეზიდება და კიდევ მრავალ სხვა ოპერაციას ასრულებს ერთ შენობაში. ამ რეჟიმის ზოგადი ხასიათი კი საუცხოოდ იხატება ანდაზაში: «თვითეული თავისთვის, ღმერთი კი ყველასათვის». რა შუაშია აქ შრომის საზოგადოებრივი ფორმა?»

აი აქ კი ერთბაშად სჩანს, რომ ადამიანს გაუგია, რაშია საქმე! «შრომის საზოგადოებრივი ფორმა» «გამოიხატება» «ერთ

* — რაც იუპიტერისთვის ნებადართულია, ის ხარისთვის აკრძალულია. რ ე დ.

შენობაში მუშაობით»!! და ასეთი ველური აზრების შემდეგ, რაც ერთ-ერთ, ჯერხნობით საუკეთესო, რუსულ ჟურნალშია გამოთქმული, — სურთ დაგვარწმუნონ, რომ «კაპიტალის» თეორიული ნაწილი საყოველთაოდ ცნობილია მეცნიერების მიერ. დიახ, რადგან არაფერი ოდნავ სერიოზული არ ჰქონდა სათქმელი «კაპიტალის» წინააღმდეგ, «საყოველთაოდ ცნობილმა მეცნიერებამ» დაიწყო ლაქუცი მის წინაშე, ამავე დროს კი სრულიად ელემენტარულ უმეცრებას იჩენს და სასკოლო ეკონომიის ძველ ბანალურ აზრებს იმეორებს. იძულებული ვართ ცოტაოდენ შევჩერდეთ ამ საკითხზე, რომ ბ-ნ მიხაილოვსკის დავანახვოთ, თუ რაში მდგომარეობს საქმის არსებითი მხარე, რაც მან, თავისი მუდმივი ჩვეულებისამებრ, სავსებით უყურადღებოდ დასტოვა.

შრომის განსაზოგადოება კაპიტალისტური წარმოების მიერ სრულიადაც არ მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანები ერთ შენობაში მუშაობენ (ეს მხოლოდ ერთი პატარა ნაწილია პროცესისა), არამედ იმაში, რომ კაპიტალების კონცენტრაციას თან სდევს საზოგადოებრივი შრომის სპეციალიზაცია, კაპიტალისტთა რიცხვის შემცირება მრეწველობის ყოველ მოცემულ დარგში და მრეწველობის განსაკუთრებული დარგების გამრავლება; — აგრეთვე იმაში, რომ მრავალი დაქუცმაცებული საწარმოო პროცესი წარმოების ერთ საზოგადოებრივ პროცესში ერთდება. თუ, მაგ., წვრილი მწარმოებლები შინამრეწველური ფეიქრობის ეპოქაში თვით რთავდნენ ნართს და მისგან ქსოვილებს აკეთებდნენ, მაშინ ჩვენ მრეწველობის მცირეოდენი დარგი გვქონდა (რთვა და ქსოვა შეერთებული იყო ერთად). ხოლო როცა კაპიტალიზმის მიერ წარმოების განსაზოგადოება ხდება, მაშინ მრეწველობის განსაკუთრებული დარგების რიცხვი იზრდება: ცალკე სწარმოებს ძაფის ამოხვევა და ცალკე — ქსოვა; წარმოების თვით ეს გამოცალკევება და კონცენტრაცია ახალ დარგებს იწვევს — მანქანების წარმოებას, ქვანახშირის მოპოვებას და სხვ. მრეწველობის თვითეულ დარგში, რომელიც ახლა უფრო სპეციალიზებული გახდა, კაპიტალისტების რიცხვი სულ მცირდება. ეს იმას ნიშნავს, რომ საზოგადოებრივი კავშირი

მწარმოებლებს შორის უფრო და უფრო მტკიცდება, მწარმოებლები მჭიდროვდებიან ერთ მთელად. დაქსაქსული წვრილი მწარმოებლები თვითეულად რამდენიმე ოპერაციას ერთბაშად ახდენდნენ და ამიტომ შედარებით დამოუკიდებელი იყვნენ სხვებისაგან: თუ, მაგ., შინამრეწველი თვით სთესავდა სელს, თვით რთავდა და ქსოვდა, — ის სხვებისაგან თითქმის დამოუკიდებელი იყო. სწორედ ასეთ წვრილ, დაქუცმაცებულ საქონელმწარმოებელთა რეჟიმზე (და მხოლოდ მასზე) მართლდებოდა ანდაზა: «თვითეული თავისთვის, ღმერთი კი ყველასათვის», ე. ი. საბაზრო მერყეობათა ანარქია. სულ სხვაგვარად არის საქმე, როცა კაპიტალიზმის მეოხებით მიღწეულია შრომის განსაზოგადოება. მეფაბრიკე, რომელიც ქსოვილებს ამზადებს, დამოკიდებულია ძაფის ამომხვევი მეფაბრიკისაგან; ეს უკანასკნელი — კაპიტალისტ-პლანტატორისაგან, რომელმაც ბამბა დასთესა, მანქანათმშენებელი ქარხნის, ქვანახშირის მაღაროს მეპატრონისაგან და სხვ. და სხვ. ბოლოს გამოდის, რომ არცერთ კაპიტალისტს არ ძალუძს სხვების დაუხმარებლად არსებობა. ცხადია, რომ ანდაზა — «თვითეული თავისთვის» — ასეთ რეჟიმს სრულებით აღარ შეეფერება: აქ უკვე თვითეული ყველასათვის მუშაობს, და ყველანი თვითეულისათვის (ღმერთისთვის კი ადგილი აღარ რჩება — არც ზეციური ფანტაზიის და არც მიწიერი «ოქროს კერპის» სახით). რეჟიმის ხასიათი სრულებით იცვლება. თუ წვრილ დაქუცმაცებულ საწარმოთა არსებობის რეჟიმის დროს რომელიმე მათგანში მუშაობა ჩერდებოდა, — ეს მხოლოდ საზოგადოების წევრთა მცირე რიცხვს ეხებოდა, არ ახდენდა საერთო არევდარევას და ამიტომ არ იწვევდა არც საერთო ყურადღებას, არც საზოგადოებრივ ჩარევას საქმეში. მაგრამ თუ ასეთი შეჩერება მსხვილ საწარმოში მოხდა, რომელიც უკვე ძლიერ სპეციალიზებულს მრეწველობის დარგს ეკუთვნის და ამიტომ თითქმის მთელი საზოგადოებისათვის მუშაობს და თავის მხრივ მთელი საზოგადოებისაგან არის დამოკიდებული (სიმარტივისათვის მე ვიღებ ისეთ შემთხვევას, როცა განსაზოგადოებამ თავის კულმინაციურ წერტილს მიაღწია) — მაშინ ხომ საქმე უნდა შეჩერდეს საზოგადოების ყველა

დანარჩენ საწარმოში, ვინაიდან მათ აუცილებელი პროდუქტების მიღება შეუძლიათ მხოლოდ ამ საწარმოდან, — მთელი თავიანთი საქონლის რეალიზაცია შეუძლიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ მიწოდებული საქონელი ექნებათ. ამრიგად ყველა წარმოება ერთ საზოგადოებრივ პროდუქტიულ პროცესში ერთდება, ამავე დროს კი თვითეულ წარმოებას ხელმძღვანელობს ცალკეული კაპიტალისტი, რომელიც მას თვითნებურად განაგებს, კერძო საკუთრების სახით იღებს მისგან საზოგადოებრივ პროდუქტებს. ნუთუ ცხადი არ არის, რომ წარმოების ფორმა უკვე შეურიგებელ წინააღმდეგობაში იმყოფება მითვისების ფორმასთან? ნუთუ აშკარა არ არის, რომ უკანასკნელი არ შეიძლება პირველს არ შეეგუოს, არ შეიძლება არ გახდეს ასევე საზოგადოებრივი, ე. ი. სოციალისტური? «ოტეჩ. ზაპისკის» გონებამახვილ ფილისტერს კი ყველაფერი ერთ შენობაში მუშაობამდე დაჰყავს. აი ჭეშმარიტად ცას ქუდით მიებჯინა! (მე აღვწერე მხოლოდ მატერიალური პროცესი, მარტო წარმოებით ურთიერთობათა ცვლილება, და არ შევხებივარ ამ პროცესის სოციალურ მხარეს, — მუშების გაერთიანებას, შემჭიდროებას და ორგანიზაციას, — ვინაიდან ეს გამომდინარე, მეორეხარისხოვანი მოვლენაა.)

თუ საჭირო ხდება რუსეთის «დემოკრატებისათვის» ასეთ საანბანო ჭეშმარიტებათა ახსნა, — ამის მიზეზი ისაა, რომ ისინი ყელამდე ჩაეფლნენ მეშჩანურ იდეებში, რის გამოც სრულებით არ ძალუძთ წარმოიდგინონ სხვა წესები, გარდა მეშჩანურისა.

მაგრამ დავუბრუნდეთ ბ-ნ მიხაილოვსკის. რა სთქვა მან იმ ფაქტებისა და მოსაზრებების წინააღმდეგ, რომლებზედაც მარქსმა დააფუძნა დასკვნა სოციალისტური წყობილების გარდუვალობისა თვით კაპიტალიზმის განვითარების კანონთა გამო? გვიჩვენა თუ არა მან, რომ ნამდვილად — საზოგადოებრივი მეურნეობის სასაქონლო ორგანიზაციის დროს — არ ხდება შრომის საზოგადოებრივი პროცესის სპეციალიზაციის ზრდა, კაპიტალებისა და საწარმოთა კონცენტრაცია, შრომის მთელი პროცესის განსაზოგადოება? არა, მას არ მოუყვანია არცერთი მოსაზრება ამ ფაქტების გასაბათილებლად. შეარყია თუ არა

მან ის დებულება, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებას ახასიათებს ანარქია, რომელიც ვერ ურიგდება შრომის განსაზოგადოებას? მას არაფერი უთქვამს ამის შესახებ. დაამტკიცა თუ არა მან, რომ ყველა კაპიტალისტთა შრომის პროცესის გაერთიანება შრომის ერთ საზოგადოებრივ პროცესში შეიძლება კერძო საკუთრებასთან ერთად არსებობდეს? რომ შესაძლებელია და წარმოსადგენი სხვა გამოსავალი წინაალმდეგობიდან, გარდა მარქსის მიერ ნაჩვენებისა? არა, ერთი სიტყვაც არ უთქვამს მას ამის შესახებ.

მაშ რაზეა დაყრდნობილი მისი კრიტიკა? გაყალბებასა, დამახინჯებასა და ისეთი ფრაზების ნიაღვარზე, რომელნიც სიტყვების რახარუხს წარმოადგენენ — და სხვას არაფერს.

სხვა რა ვუწოდოთ, მართლაც, ასეთ ხერხებს, როცა კრიტიკოსი ჯერ უამრავ აბდაუბდას ლაპარაკობს ისტორიის სამმაგ-თანმიმდევრულ ნაბიჯებზე,—მერე კი სერიოზული სახით აძლევს მარქსს ასეთ კითხვას: «შემდეგ რა იქნება?», ე. ი. როგორ წავა ისტორია პროცესის იმ საბოლოო სტადიის შემდეგ, რომელიც მან დახატა. აი ინებეთ, — მარქსმა თავისი ლიტერატურული და რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყისიდანვე სრულიად გარკვეულად წამოაყენა თავისი მოთხოვნები სოციოლოგიური თეორიისადმი: ის ზედმიწევნით სწორად უნდა გამოხატავდეს ნამდვილ პროცესს—და მეტი არაფერიო (შეად., მაგალითად, «კომუნისტური მანიფესტი» კომუნისტების თეორიის კრიტერიუმის შესახებ [40]). თავის «კაპიტალში» მარქსმა სასტიკად დაიცვა ეს მოთხოვნა: მიზნად დაისახა რა კაპიტალისტური საზოგადოებრივი ფორმაციის მეცნიერული ანალიზი, — მან წერტილი დასვა, როცა დაამტკიცა, რომ ამ ორგანიზაციის განვითარებას, რომელიც ნამდვილად ხდება ჩვენს თვალწინ, ასეთი ტენდენცია აქვს, რომ ის აუცილებლად უნდა დაიღუპოს და სხვა, უფრო მაღალ ორგანიზაციად გადაიქცეს. ხოლო ბ-ნი მიხაილოვსკი გვერდს უვლის მარქსის დოქტრინის მთელ დედაარსს, სულელურად კითხულობს: «შემდეგ რა იქნება?» და ღრმაზროვნულად დასძენს: «გულახდილად უნდა ვაღიარო, რომ საკმაოდ ნათლად არა მაქვს წარმოდგე-

ნილი ენგელსის პასუხი». მაგრამ სამაგიეროდ ჩვენ გულახდილად უნდა ვაღიაროთ, ბ-ნო მიხაილოვსკი, რომ სავსებით ნათლად გვაქვს წარმოდგენილი ასეთი «კრიტიკის» სულისკვეთება და მეთოდები!

ან კიდევ ასეთი მსჯელობა: «საშუალო საუკუნეებში მარქსისებური ინდივიდუალური საკუთრება, დაყრდნობილი საკუთარ შრომაზე, არ იყო არც ერთადერთი, არც უმთავრესი ფაქტორი, თვით ეკონომიურ ურთიერთობათა სფეროშიც კი. მის გვერდით არსებობდა მრავალი სხვა რამ, საითკენაც დიალექტიკური მეთოდი მარქსის გაგებით (და არა ბ-ნ მიხაილოვსკის გაყალბებით?) არ მოითხოვს დაბრუნებას... ცხადია, ყველა ეს სქემა არ გამოხატავს ისტორიული სინამდვილის სურათს, ან კიდევ მხოლოდ მის პროპორციებს, არამედ მხოლოდ აკმაყოფილებს ადამიანის გონების მიდრეკილებას — ყოველი საგანი წარსულის, აწმყოს და მომავლის მდგომარეობაში წარმოიდგინოს». თქვენი გაყალბების ხერხებიც კი, ბ-ნო მიხაილოვსკი, ისე ერთფეროვანია, რომ კაცს გული აერევა! ჯერ მარქსის სქემაში, რომელსაც მხოლოდ იმის პრეტენზია აქვს, რომ კაპიტალიზმის განვითარების ნამდვილი პროცესი გამოხატოს * — და მეტი არაფერი, ბ-მა მიხაილოვსკიმ შეაპარა განზრახვა ტრიადებით ყველაფრის მტკიცებისა, შემდეგ აღნიშნავს, რომ მარქსის სქემა არ შეესაბამება ამ, ბ-ნ მიხაილოვსკის მიერ მისთვის თავზე მოხვეულ გეგმას (მესამე სტადია აღადგენს პირველი სტადიის მხოლოდ ერთ მხარეს, ყველა დანარჩენს კი სტოვებს), და უაღრესი სითამამით დაასკვნის, რომ, «ცხადია, სქემა არ გამოხატავს ისტორიული სინამდვილის სურათს»!

განა წარმოსადგენია სერიოზული კამათი ასეთ ადამიანთან,

---

* საშუალო საუკუნეების ეკონომიური წესების სხვა მხარეები სწორედ იმიტომაა გამოტოვებული, რომ ისინი ფეოდალურ საზოგადოებრივ ფორმაციას ეკუთვნოდნენ, მაშინ როდესაც მარქსი მხოლოდ კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ს სწავლობს. თავისი წმინდა სახით კაპიტალიზმის განვითარების პროცესი მართლაც დაიწყო (მაგ., ინგლისში) წვრილ, დაქუცმაცებულ საქონელმწარმოებელთა და მათი ინდივიდუალური შრომითი საკუთრების რეჟიმით.

რომელსაც (რომ ვიხმაროთ ენგელსის სიტყვები დიურინგზე) გამონაკლისის სახითაც კი არ შეუძლია ციტატის სწორად მოყვანა? განა შეიძლება აქ პასუხის გაცემა, როცა ხალხს არწმუნებენ: სქემა, «ცხადია», არ შეეფერება სინამდვილესო, და არც კი ცდილობენ რაიმე მხრივ მისი უმართებულობის ცხადყოფას?

იმის მაგივრად, რომ კრიტიკულად განიხილოს მარქსისტულ შეხედულებათა ნამდვილი შინაარსი, ბ-ნი მიხაილოვსკი თავის გონებამახვილობას ავარჯიშებს წარსულის, აწმყოს და მომავლის კატეგორიების შესახებ. ენგელსი, მაგალითად, ბ-ნ დიურინგის «მარადიულ ჭეშმარიტებათა» საწინააღმდეგოდ ამბობს, რომ «ჩვენ დღეს გვიქადაგებენ» სამგვარ მორალს: ქრისტიანულ-ფეოდალურს, ბურჟუაზიულს და პროლეტარულს, ასე რომ წარსულს, აწმყოს და მომავალს მორალის თავიანთი თეორიები აქვთო[41]. ბ-ნი მიხაილოვსკი ამის გამო ასე მსჯელობს: «მე ვფიქრობ, რომ ისტორიის ყოველგვარ სამმაგ დაყოფას პერიოდებად სწორედ წარსულის, აწმყოს და მომავლის კატეგორიები უდევს საფუძვლად». რა ღრმააზროვნებაა! მერე ვინ არ იცის, რომ, რა საზოგადოებრივი მოვლენაც არ უნდა განვიხილოთ მისი განვითარების პროცესში, მასში ყოველთვის აღმოჩნდება წარსულის ნაშთი, აწმყოს საფუძვლები და მომავლის ჩანასახი? მაგრამ განა ენგელსი ფიქრობდა, მაგ., დაემტკიცებინა, რომ მორალის ისტორია (იგი ხომ მხოლოდ «აწმყოზე» ლაპარაკობდა) სამი აღნიშნული მომენტით განისაზღვრება? რომ, მაგალითად, ფეოდალურ მორალს წინ არ უსწრებდა მონური მორალი, ხოლო ამ უკანასკნელს — პირველყოფილი კომუნისტური თემის მორალი? ბ-ნი მიხაილოვსკი ჩვენ უშინაარსო ფრაზიორობით გვიმასპინძლდება, იმის მაგივრად, რომ სერიოზულად გააკრიტიკოს ენგელსი, რომელიც შეეცადა თანამედროვე მორალური იდეების მიმდინარეობანი გამოერკვია მათი მატერიალისტური ახსნის შემწეობით!

ბ-ნ მიხაილოვსკის იმ «კრიტიკის» ასეთი ხერხების გამო, რომელიც იწყება განცხადებით, რომ მან არ იცის, რომელ თხზულებაშია გადმოცემული ისტორიის მატერიალისტური

გაგება, — ვფიქრობთ, უსარგებლო არ იქნება გავიხსენოთ, რომ იყო დრო, როცა ავტორი იცნობდა ერთს ამ თხზულებათაგანს და შეეძლო კიდეც მისი უფრო სწორად შეფასება. 1877 წელს ბ-ნი მიხაილოვსკი შემდეგ აზრს გამოსთქვამდა «კაპიტალის» შესახებ: «თუ «კაპიტალს» მოვაშორებთ ჰეგელის დიალექტიკის მძიმე, მოუქნელ და ზედმეტ სახურავს (ეს რა უცნაურობაა? რატომ იყო 1877 წელს «ჰეგელის დიალექტიკა» «ზედმეტი», ხოლო 1894 წელს აღმოჩნდა, რომ მატერიალიზმი ეყრდნობა «დიალექტიკური პროცესის უცილობლობას»?), მაშინ, ამ თხზულების სხვა ღირსებათა გარდა, ჩვენ მასში დავინახავთ საუცხოოდ დამუშავებულ მასალას იმ ზოგადი საკითხის გადასაჭრელად, თუ როგორია ფორმების დამოკიდებულება მათი არსებობის მატერიალური პირობებისადმი, და ამ საკითხის საუცხოოდ დაყენებას განსაზღვრული დარგისათვის». — «ფორმების დამოკიდებულება მათი არსებობის მატერიალური პირობებისადმი» — ეს ხომ სწორედ ის საკითხია საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარის თანაფარდობისა, იდეოლოგიურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ზედნაშენისა მატერიალურ საფუძველზე, რომლის ცნობილ გადაწყვეტაშიც მდგომარეობს მატერიალიზმის დოქტრინა. გავყვეთ ქვევით.

«არსებითად მ თ ე ლ ი «კ ა პ ი ტ ა ლ ი» (ხაზგასმა ჩემია) ეძღვნება იმის გამოკვლევას, თუ როგორ სულ უფრო ვითარდება ერთხელ წარმოშობილი საზოგადოებრივი ფორმა, როგორ აძლიერებს თავის ტიპიურ თვისებებს, იმორჩილებს, ასიმილაციას უკეთებს აღმოჩენებს, გამოგონებებს, წარმოების საშუალებათა გაუმჯობესებებს, ახალ ბაზრებს, თვით მეცნიერებას, აიძულებს მათ მისთვის იმუშაონ და, ბოლოს, როგორ ხდება, რომ მოცემულ ფორმას არ ძალუძს აიტანოს მატერიალური პირობების შემდგომი ცვლილება».

გასაოცარი ამბავია! 1877 წელს «მთელი «კაპიტალი»» მიძღვნილი იყო მოცემული საზოგადოებრივი ფორმის მატერიალისტური გამოკვლევისადმი (სხვას რასღა წარმოადგენს მატერიალიზმი, თუ არ საზოგადოებრივი ფორმების ახსნას მატერიალური პირობებით?), — ხოლო 1894 წელს ვითომ არც კი ვიცით,

სად, რომელ თხზულებაში უნდა ვეძებოთ ამ მატერიალიზმის გადმოცემა!

1877 წელს «კაპიტალში» იყო იმის «გამოკვლევა», თუ როგორ ხდება, რომ «მოცემულ ფორმას (ე. ი. კაპიტალისტურს? ხომ სწორია?) არ ძალუძს აიტანოს მატერიალური პირობების შემდგომი ცვლილება» (ეს დაიხსომეთ), — 1894 წელს კი აღმოჩნდა, რომ არავითარი გამოკვლევა არ არსებობს, ხოლო რწმენა, რომ კაპიტალისტურ ფორმას არ ძალუძს აიტანოს საწარმოო ძალების შემდგომი განვითარება — «მხოლოდდამხოლოდ ჰეგელის ტრიადის ბოლოზე» ჰკიდია! 1877 წელს ბ-ნი მიხაილოვსკი სწერდა, რომ «ანალიზი მოცემული საზოგადოებრივი ფორმის დამოკიდებულებისა მისი არსებობის მატერიალური პირობებისადმი ს ა მ უ დ ა მ ო დ (ხაზგასმა ჩემია) დარჩება ავტორის ლოგიკური სიძლიერისა და უდიდესი ერუდიციის ძეგლად», — 1894 წელს კი იგი აცხადებს: მატერიალიზმის დოქტრინა არასოდეს და არსად შემოწმებული და დასაბუთებული არ ყოფილა მეცნიერულადო!

გასაოცარი ამბავია! მართლაც, რას ნიშნავს ეს? რა მოხდა?

მოხდა ორი გარემოება: ჯერ-ერთი, 70-იანი წლების რ უ ს უ ლ ი, გლეხური სოციალიზმი, რომელიც თავისუფლებას «აბუჩად იგდებდა» მისი ბურჟუაზიულობისათვის, ებრძოდა «ნათელშუბლიან ლიბერალებს», რომლებიც გაძლიერებით ჩქმალავდნენ რუსეთის ცხოვრების ანტაგონისტურობას, და ოცნებობდა გლეხურ რევოლუციაზე, — სრულიად გაიხრწნა და წარმოშვა ის უხამსი მეშჩანური ლიბერალიზმი, რომელიც «გამამხნევებელ შთაბეჭდილებებს» ხედავს გლეხური მეურნეობის პროგრესულ მიმდინარეობაში და ივიწყებს იმას, რომ მას თან სდევს (და განაპირობებს) გლეხობის მასობრივი ექსპროპრიაცია. — მეორეც, 1877 წელს ბ-ნი მიხაილოვსკი ისე იყო გატაცებული თავისი ამოცანით — ლიბერალ კრიტიკოსებისაგან დაეცვა «სანგვინიკოსი» (ე. ი. რევოლუციონერი სოციალისტი) მარქსი, რომ ვერ შეამჩნია მარქსის მეთოდის შეუთავსებლობა მის საკუთარ მეთოდთან. მაგრამ აი მას განუმარტეს ეს შეურიგებელი წინააღმდეგობა დიალექტიკურ მატერიალიზმსა და სუბიექტურ

სოციოლოგიას შორის, — განუმარტეს ენგელსის სტატიებმა და წიგნებმა, განუმარტეს რუსმა სოციალ-დემოკრატებმა (პლეხანოვს მრავალი მეტად მოსწრებული შენიშვნა აქვს ბ-ნ მიხაილოვსკის მიმართ) — და ბ-მა მიხაილოვსკიმ იმის მაგივრად, რომ სერიოზულად გადაესინჯა საკითხი, სულ თავი აიწყვიტა. იმის მაგივრად, რომ მისალმებოდა მარქსს (რაც მან 1872 და 1877 წლებში მოიმოქმედა) [42], იგი ახლა მას უყეფს საეჭვო ღირსების ქებათა შორის, ხმაურობს და ცოფსა ჰყრის რუსი მარქსისტების წინააღმდეგ, რომელთაც არ სურთ დაკმაყოფილდნენ «ეკონომიურად სუსტის დაცვით», საქონლის საწყობებით და გაუმჯობესებებით სოფლად, მუზეუმებით და არტელებით შინამრეწველთათვის და სხვა ამგვარი კეთილგანზრახვითი მეშჩანური პროგრესებით — და სურთ დარჩნენ «სანგვინიკოსებად», სოციალური რევოლუციის მომხრეებად და ასწავლონ, უხელმძღვანელონ და ორგანიზაციულად დარაზმონ ნამდვილი რევოლუციური საზოგადოებრივი ელემენტები.

შორეული წარსულის სფეროში ამ პატარა გადახვევის შემდეგ, ვფიქრობთ, შეიძლება გავათავოთ კიდეც ბ-ნ მიხაილოვსკის მხრივ მარქსის თეორიის «კრიტიკის» გარჩევა. მაშ ვცადოთ შევაჯამოთ და დასკვნები გავუკეთოთ კრიტიკოსის «საბუთებს».

ის დოქტრინა, რომელსაც იგი დანგრევას უპირებდა, ეყრდნობა, ჯერ-ერთი, ისტორიის მატერიალისტურ გაგებას და, მეორეც, დიალექტიკურ მეთოდს.

რაც შეეხება პირველს, კრიტიკოსმა უწინარეს ყოვლისა განაცხადა, რომ მან არ იცის, რომელ თხზულებაშია გადმოცემული მატერიალიზმი. რაკი ვერსად ვერ ნახა ეს, თვითონ დაიწყო შეთხზვა, თუ რა არის მატერიალიზმი. ამ მატერიალიზმის მეტისმეტი პრეტენზიები რომ ეჩვენებინა, მან შეთხზა, თითქოს მატერიალისტები იმის პრეტენზიას აცხადებდნენ, რომ ახსნეს კაცობრიობის მთელი წარსული, აწმყო და მომავალი, — და როდესაც შემდეგ, მარქსისტების ნამდვილი განცხადების მიხედვით, აღმოჩნდა, რომ ისინი ახსნილად სთვლიან მარტოოდენ ერთ საზოგადოებრივ ფორმაციას, — მაშინ კრიტიკოსმა

გადასწყვიტა, რომ მატერიალისტები ავიწროებენ მატერიალიზმის სამოქმედო ასპარეზს და ამით თავიანთ თავსვე იმტყუნებენო. ამ მატერიალიზმის გამომუშავების ხერხები რომ ეჩვენებინა, მან შეთხზა, თითქოს მატერიალისტები თვითვე აღიარებდნენ სისუსტეს თავიანთი ცოდნისას ისეთი საქმისათვის, როგორიც არის მეცნიერული სოციალიზმის შემუშავება, მიუხედავად იმისა, რომ მარქსი და ენგელსი თავიანთი ცოდნის სისუსტეს აღიარებდნენ (1845 — 1846 წწ.) ეკონომიურ ისტორიაში საზოგადოდ, და მიუხედავად იმისა, რომ ეს თხზულება, რომელიც მათი ცოდნის სისუსტეს ამტკიცებდა, მათ არასოდეს არ დაუბეჭდავთ. ასეთი პრელუდიების შემდეგ გვიძღვნეს კრიტიკაც: «კაპიტალი» განადგურებულ იქნა იმით, რომ მხოლოდ ერთ პერიოდს ეხება, მაშინ როცა კრიტიკოსისათვის ყველა პერიოდია საჭიროო, და კიდევ იმით, რომ «კაპიტალი» კი არ ასაბუთებს ეკონომიურ მატერიალიზმს, არამედ მხოლოდ ეხება მასო — ეს არგუმენტები, ცხადია, იმდენად თვალსაჩინო და სერიოზულია, რომ საჭირო გახდა იმის აღიარება, რომ მატერიალიზმი არასოდეს არ ყოფილა მეცნიერულად დასაბუთებულიო. შემდეგ მატერიალიზმის წინააღმდეგ მოყვანილი იყო ის ფაქტი, რომ იმავე მატერიალისტურ დასკვნებამდე მივიდა ადამიანი, რომელიც სრულიად არ იცნობდა ამ დოქტრინას და წინაისტორიულ ხანას სწავლობდა სულ სხვა ქვეყანაშიო. შემდეგ, იმის გამოსააშკარავებლად, რომ ბავშვთწარმოება სრულიად უმართებულოდ აქვს მიტმასნებული მატერიალიზმს, რომ ეს მხოლოდ სიტყვიერი თვალთმაქცობაა, — კრიტიკოსმა დაიწყო მტკიცება — ეკონომიური ურთიერთობანი სქესობრივ და ოჯახურ ურთიერთობათა ზედნაშენს წარმოადგენენო. მითითებებმა, რომლებიც ამასთან სერიოზულმა კრიტიკოსმა მატერიალისტების ჭკუისსასწავლად მოგვცა, გაგვამდიდრეს ღრმააზროვანი ჭეშმარიტებით, რომ მემკვიდრეობა შეუძლებელია ბავშვთწარმოების გარეშე, რომ ამ ბავშვთწარმოების პროდუქტებს «ეკვრის» რთული ფსიქიკა და რომ ბავშვები მამების სულისკვეთების მიხედვით იზრდებიანო. გზადაგზა გავიგეთ აგრეთვე, რომ, თურმე, ნაციონალური კავშირურთიერთობა გვაროვნულის გაგრ-

ძელებასა და ჯანზოგადებას წარმოადგენს. განაგრძო რა თავისი თეორიული კვლევა-ძიება მატერიალიზმის შესახებ, კრიტიკოსმა შენიშნა, რომ მარქსისტების მრავალი საბუთის შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ მასების ჩაგვრა და ექსპლოატაცია «აუცილებელია» ბურჟუაზიული რეჟიმის დროს და რომ ეს რეჟიმი «აუცილებლად» უნდა გადაიქცეს სოციალისტურ რეჟიმად, — და აი მანაც არ დააყოვნა გამოეცხადებინა, რომ აუცილებლობა — მეტად ზოგადი რკალია (თუ არ ვიტყვით იმას, სახელდობრ რას სთვლიან ადამიანები აუცილებლად) და ამიტომ მარქსისტები — მისტიკოსები და მეტაფიზიკოსები არიანო. კრიტიკოსმა განაცხადა აგრეთვე, რომ მარქსის პოლემიკა იდეალისტებთან «ცალმხრივია», ამავე დროს კი ერთი სიტყვაც არ უთქვამს იმის შესახებ, თუ როგორია ამ იდეალისტთა შეხედულებანი სუბიექტურ მეთოდზე და როგორ მიმართებაშია მათთან მარქსის დიალექტიკური მატერიალიზმი.

რაც შეეხება მარქსიზმის მეორე დედაბოძს — დიალექტიკურ მეთოდს — საკმაო გახდა თამამი კრიტიკოსის ერთი ბიძგი, რათა ეს დედაბოძი დაემხო. ბიძგი მეტად მარჯვე იყო: კრიტიკოსი მეტისმეტად ჯახირობდა და მთელი ძალღონით ცდილობდა იმის გაბათილებას, თითქოს ტრიადებით რისამე დამტკიცება შეიძლება, — მაგრამ არაფერი სთქვა იმის შესახებ, რომ დიალექტიკური მეთოდი სრულიადაც არ მდგომარეობს ტრიადებში, რომ ის სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იდეალიზმისა და სუბიექტივიზმის მეთოდებს უარჰყოფს სოციოლოგიაში. მეორე ბიძგი სპეციალურად მარქსის წინააღმდეგ იყო მიმართული: სახელოვან ბ-ნ დიურინგის შემწეობით კრიტიკოსმა მარქსს შეაპარა წარმოუდგენელი აბდაუბდა, — თითქოს ის კაპიტალიზმის დაღუპვის აუცილებლობას ტრიადებით ამტკიცებდა, — და შემდეგ ძლევამოსილად შეებრძოლა ამ აბდაუბდას.

აი «ჩვენი ცნობილი სოციოლოგის» ბრწყინვალე «გამარჯვებათა» ეპოპეა! განა «ჭკუისსასწავლი» (ბურენინი) არ არის ამ გამარჯვებათა ჭვრეტა?

არ შეიძლება არ შევეხოთ აქ კიდევ ერთ გარემოებას, რომელსაც პირდაპირი დამოკიდებულება არა აქვს მარქსის დოქ-

ტრინის კრიტიკასთან, მაგრამ მეტად დამახასიათებელია იმის გასარკვევად, თუ როგორია კრიტიკოსის იდეალები და როგორ ესმის მას სინამდვილე. ესაა მისი დამოკიდებულება მუშათა მოძრაობისადმი დასავლეთში.

ზემოთ მოყვანილი იყო ბ-ნ მიხაილოვსკის განცხადება, რომ მატერიალიზმმა მოლოდინი ვერ გაამართლა «მეცნიერებაში» (შეიძლება, გერმანელ «ხალხის მეგობრების» მეცნიერებაში?), მაგრამ ეს მატერიალიზმიო — მსჯელობს ბ-ნი მიხაილოვსკი — «მართლაც მეტად ჩქარა ვრცელდება მუშათა კლასში». როგორღა ხსნის ამ ფაქტს ბ-ნი მიხაილოვსკი? «რაც შეეხება იმ წარმატებას, რომლითაც ეკონომიური მატერიალიზმი სარგებლობს, ასე ვთქვათ, თავისი ფართო — ამბობს ის — გავრცელებით კრიტიკულად შეუმოწმებელი სახით, ამ წარმატების სიმძიმის ცენტრი იმყოფება არა მეცნიერებაში, არამედ ცხოვრების პრაქტიკაში, რომელიც მყარდება პერსპექტივებით მომავლისაკენ». სხვა რა აზრი უნდა ჰქონდეს ამ ტლანქ ფრაზას პრაქტიკის შესახებ, რომელიც «მყარდება» პერსპექტივებით მომავლისაკენ, გარდა იმისა, რომ მატერიალიზმი თითქოს იმიტომ კი არა ვრცელდება, რომ სწორად ხსნიდეს სინამდვილეს, არამედ იმიტომ, რომ მან პირი იბრუნა ამ სინამდვილისაგან პერსპექტივისაკენ? და შემდეგ ნათქვამია: «ეს პერსპექტივები მათ შემთვისებელ გერმანიის მუშათა კლასისა და მისი ბედის გულშემატკივართაგან არ მოითხოვენ არც ცოდნას, არც კრიტიკული აზროვნების მუშაობას. ისინი მხოლოდ რწმენას მოითხოვენ». სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მატერიალიზმისა და მეცნიერული სოციალიზმის ფართო გავრცელება იმაზეა დამოკიდებული, რომ ეს დოქტრინა მუშებს უკეთეს მომავალს უქადის! საკმაოა სულ ელემენტარული ცოდნა სოციალიზმის და მუშათა მოძრაობის ისტორიისა დასავლეთში, რომ ამ განმარტების მთელი უაზრობა და სიყალბე დაინახო. ყველამ იცის, რომ არსებითად არავითარი მომავლის პერსპექტივები მეცნიერულ სოციალიზმს არასოდეს არ დაუხატავს: იგი კმაყოფილდებოდა იმით, რომ თანამედროვე ბურჟუაზიული რეჟიმის ანალიზს იძლეოდა, სწავლობდა კაპიტალისტური საზოგადოებრივი ორ-

განიზაციის განვითარების ტენდენციებს — და მეტი არაფერი. «ჩვენ არ ვეუბნებით ქვეყანას — სწერდა მარქსი ჯერ კიდევ 1843 წელს, და მან ზუსტად შეასრულა ეს პროგრამა — ჩვენ არ ვეუბნებით ქვეყანას: «თავი დაანებე ბრძოლას; მთელი შენი ბრძოლა — არარაობაა», ჩვენ მას ბრძოლის ჭეშმარიტ ლოზუნგს ვაძლევთ. ჩვენ მხოლოდ ვუჩვენებთ ქვეყანას, სახელდობრ რისთვის იბრძვის ის, შეგნება კი ისეთი რამაა, რაც ქვეყანამ თვითონ უ ნ დ ა შეიძინოს, სურს მას ეს თუ არა»[43]. ყველამ იცის, რომ, მაგალითად, «კაპიტალი» — ეს მთავარი და ძირითადი თხზულება, რომელიც გადმოსცემს მეცნიერულ სოციალიზმს, — მხოლოდ ზოგადად და გადაკვრით ლაპარაკობს მომავალზე, კვალდაკვალ მისდევს მხოლოდ იმ ელემენტებს, რომელნიც დღესვე არსებობენ და რომელთაგან მომავალი წყობილება წარმოიშობა. ყველამ იცის, რომ მომავლის პერსპექტივების მხრით განუზომლად უფრო მეტს იძლეოდნენ წინანდელი სოციალისტები, რომლებიც მეტად დეტალურად ხატავდნენ მომავალ საზოგადოებას, სურდათ რა მოეხიბლათ კაცობრიობა ისეთი წყობილების სურათით, როცა ადამიანებს არ დასჭირდებათ ბრძოლა, როცა მათი საზოგადოებრივი ურთიერთობანი დაყრდნობილი იქნებიან არა ექსპლოატაციაზე, არამედ პროგრესის ჭეშმარიტ საფუძველზე, რაც ადამიანის ბუნების პირობებს შეესაბამება. მაგრამ — მიუხედავად იმისა, რომ ამ იდეებს უნიჭიერესი ადამიანების, რწმენით გამსჭვალული სოციალისტების მთელი რაზმი იცავდა, — მათი თეორიები ცხოვრების გარეშე რჩებოდა, ხოლო მათი პროგრამები — სახალხო პოლიტიკურ მოძრაობათა გარეშე, ვიდრე მსხვილმა მანქანურმა ინდუსტრიამ პოლიტიკური ცხოვრების ორომტრიალში არ ჩაითრია მუშა პროლეტარიატის მასები და ვიდრე აღმოჩენილ არ იქნა მისი ბრძოლის ჭეშმარიტი ლოზუნგი. ეს ლოზუნგი აღმოჩენილ იქნა «არა უტოპისტის, არამედ მკაცრი, ალაგ-ალაგ მშრალი მეცნიერის» — მარქსის მიერ, როგორც ახასიათებდა მას ბ-ნი მიხაილოვსკი შორეულ წარსულში — 1872 წელს, — აღმოჩენილ იქნა არა რაღაც პერსპექტივების, არამედ თანამედროვე ბურჟუაზიული რეჟიმის მეცნიერული ანალიზის შემწეობით, ამ რეჟიმის

არსებობის დროს ექსპლოატაციის ა უ ც ი ლ ე ბ ლ ო ბ ი ს გამორკვევით, მისი განვითარების კანონების გამოკვლევის გზით. ბ-ნ მიხაილოვსკის შეუძლია, რა თქმა უნდა, დაარწმუნოს «რუსკოე ბოგატსტვოს» მკითხველები, რომ ამ ანალიზის შეთვისება არ მოითხოვს არც ცოდნას და არც აზრის მუშაობას, მაგრამ ჩვენ უკვე დავინახეთ თვით მის მაგალითზე (და კიდევ უფრო მეტად დავინახავთ მის თანამშრომელ ეკონომისტის[44] მაგალითზე) ამ ანალიზით დადგენილ ანბანურ ჭეშმარიტებათა ისეთი უხეში გაუგებლობა, რომ ასეთ განცხადებას, თქმა არ უნდა, მხოლოდ ღიმილის გამოწვევა თუ შეუძლია. უდავო ფაქტად რჩება ის გარემოება, რომ მუშათა მოძრაობა ვრცელდება და ვითარდება სახელდობრ იქ და იმდენად, სადაც და რამდენადაც ვითარდება მსხვილი კაპიტალისტური მანქანური ინდუსტრია; — ხოლო სოციალისტური დოქტრინა წარმატებას აღწევს სწორედ იმ შემთხვევაში, როცა ის სტოვებს მსჯელობას საზოგადოებრივ პირობებზე, რომელნიც ადამიანის ბუნებას შეესაბამებიან, და ხელს ჰკიდებს თანამედროვე საზოგადოებრივ ურთიერთობათა მატერიალისტურ ანალიზს, ექსპლოატაციის ახლანდელი რეჟიმის აუცილებლობის გამორკვევას.

ბ-ნი მიხაილოვსკი ჯერ შეეცადა გვერდი აეხვია მუშათა წრეში მატერიალიზმის წარმატების ნამდვილი მიზეზებისათვის იმით, რომ მოგვცა პირდაპირ ჭეშმარიტების საწინააღმდეგო დახასიათება «პერსპექტივებისადმი» ამ დოქტრინის დამოკიდებულებისა, ახლა კი მეტად უხამსად, მეშჩანურად დასცინის დასავლეთ-ევროპის მუშათა მოძრაობის იდეებსა და ტაქტიკას. როგორც დავინახეთ, მან ვერ შესძლო პირდაპირ ვერცერთი საბუთის მოყვანა მარქსის იმ მტკიცების წინააღმდეგ, რომ კაპიტალისტური წყობილება აუცილებლად გადაიქცევა სოციალისტურ წყობილებად შრომის განსაზოგადოების გამო, — ამისდა მიუხედავად ბ-ნი მიხაილოვსკი სრულებით მოურიდებლად დასცინის იმას, თითქოს «პროლეტართა არმია» ამზადებს კაპიტალისტების ექსპროპრიაციას, «რის შემდეგ უკვე შესწყდება ყოველივე კლასობრივი ბრძოლა და დედამიწაზე მშვი-

დობა და კაცთა შორის სათნოება დამყარდება». მან, ბ-მა მიხაილოვსკიმ, იცის სხვა, ბევრად უფრო მარტივი და საიმედო გზები სოციალიზმის განსახორციელებლად: საჭიროა მხოლოდ, რომ «ხალხის მეგობრებმა» უფრო დაწვრილებით აღნიშნონ «სასურველი ეკონომიური ევოლუციის» «ნათელი და გარდუვალი» გზები — და მაშინ ამ ხალხის მეგობრებს უეჭველად «მიიწვევენ» «პრაქტიკული ეკონომიური პრობლემების» გადასაწყვეტად (იხ. ბ-ნ იუჟაკოვის სტატია: «რუსეთის ეკონომიური განვითარების საკითხები», «რ. ბ.» № 11), ჯერჯერობით კი... ჯერჯერობით მუშებმა უნდა მოითმინონ, ხალხის მეგობრებს დაენდონ და «უსაფუძვლო გულზვიადობით» არ დაიწყონ დამოუკიდებელი ბრძოლა ექსპლოატატორების წინააღმდეგ. სურს რა საბოლოოდ გაანადგუროს ეს «უსაფუძვლო გულზვიადობა», ჩვენი ავტორი პათოსით ილაშქრებს წინააღმდეგ «ამ მეცნიერებისა, რომელიც თითქმის რომ ჯიბის ლექსიკონში ეტევა». მართლაც, რა საშინელებაა: მეცნიერება — და სოციალ-დემოკრატიული ბროშურები, რომელნიც გროშები ღირან და ჯიბეში ეტევიან!! განა ცხადი არ არის, რამდენად უსაფუძვლოდ გულზვიადნი არიან ის ადამიანები, რომლებიც მხოლოდ იმდენად აფასებენ მეცნიერებას, რამდენადაც იგი ექსპლოატირებულთ ასწავლის დამოუკიდებელ ბრძოლას განთავისუფლებისათვის, ასწავლის — ერიდონ ყოველგვარ «ხალხის მეგობრებს», რომლებიც ჩქმალავენ კლასთა ანტაგონიზმს და ცდილობენ მთელი საქმე აიღონ თავის თავზე; ამ მეცნიერებას კი სოციალ-დემოკრატები იძლევიან იაფფასიან გამოცემებში, რაც ასეთ სირცხვილში აგდებს ფილისტერებს. სულ სხვა იქნებოდა, მუშებს რომ თავიანთი ბედი «ხალხის მეგობრებისათვის» მიენდოთ; ისინი მათ უჩვენებდნენ ნამდვილ, მრავალტომიან, საუნივერსიტეტო და ფილისტერულ მეცნიერებას, დაწვრილებით გააცნობდნენ მათ საზოგადოებრივ ორგანიზაციას, რომელიც ადამიანის ბუნებას შეეფერება, ოღონდ საჭირო იქნებოდა... რომ მუშები დათანხმებულიყვნენ დაეცადათ და თვითონ არ დაეწყოთ ბრძოლა ასეთი უსაფუძვლო გულზვიადობით!

———

ვიდრე გადავიდოდეთ ბ-ნ მიხაილოვსკის «კრიტიკის» მეორე ნაწილზე, რომელიც მიმართულია უკვე არა მარქსის თეორიის წინააღმდეგ საზოგადოდ, არამედ რუსი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ კერძოდ, ჩვენ ერთგვარი გადახვევა მოგვიხდება. საქმე ისაა, რომ ბ-ნი მიხაილოვსკი, — სწორედ ისევე, როგორც მარქსის გაკრიტიკების დროს, არამც თუ არ შეეცადა ზუსტად გადმოეცა მისი თეორია, არამედ პირდაპირ დაამახინჯა იგი,— სწორედ ისევე უკვე სავსებით უღმერთოდ აყალბებს რუსი სოციალ-დემოკრატების იდეებს. აუცილებელია ჭეშმარიტების აღდგენა. ეს ყველაზე უფრო ადვილი მოსახერხებელია, თუ წინანდელი რუსი სოციალისტების იდეებს სოციალ-დემოკრატების იდეებს დავუპირისპირებთ. პირველთა იდეების გადმოცემას ვიღებ ბ-ნ მიხაილოვსკის სტატიიდან, რომელიც დაბეჭდილი იყო 1892 წლის «რუსკაია მისლის» № 6-ში, სადაც ის ასევე მარქსიზმზე ლაპარაკობდა (და ლაპარაკობდა — ვამბობ მისდა სასაყვედუროდ — წესიერი ტონით, არ ეხებოდა ისეთ საკითხებს, რომელთა განხილვა ცენზურას დაქვემდებარებულ პრესაში მხოლოდ ბურენინისებურად შეიძლება,—მარქსისტებს ტალახში არ სვრიდა) და მის წინააღმდეგ — ან, ყოველ შემთხვევაში, თუ წინააღმდეგ არა, პარალელურად მაინც — თავის შეხედულებებს გადმოსცემდა. მე, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ მინდა არც ბ-ნ მიხაილოვსკის შეურაცხყოფა, ე. ი. მისი ჩარიცხვა სოციალისტებში, არც რუსი სოციალისტებისა, მათდამი ბ-ნ მიხაილოვსკის გათანაბრებით: ოღონდ ვფიქრობ, რომ ისინი არსებითად ერთნაირად ა ს ა ბ უ თ ე ბ ე ნ თავიანთ აზრებს, განსხვავება მხოლოდ რწმენათა სიმტკიცესა, პირდაპირობასა და თანმიმდევრობაშია.

ბ-ნი მიხაილოვსკი «ოტეჩესტვენიე ზაპისკის» იდეების გადმოცემის დროს სწერდა: «ზნეობრივ-პოლიტიკური იდეალების შემადგენლობაში ჩვენ შეგვქონდა ის, რომ მიწა ეკუთვნის მიწათმოქმედს და შრომის იარაღები — მწარმოებელს». გამოსავალი წერტილი, როგორც ხედავთ, უაღრესად კეთილგანზრახვითია, სავსეა მეტად კეთილი სურვილებით... «ჩვენში ჯერ კიდევ არსებული საშუალოსაუკუნეობრივი ფორმები

შრომისა* მეტად შერყეულია, მაგრამ ჩვენ არავითარი საბუთი არა გვქონდა საკუთარი ბოლო მოგვეღო მათთვის რომელიმე დოქტრინის გულისათვის, ლიბერალური იქნებოდა ეს დოქტრინა თუ არალიბერალური».

გასაოცარი მსჯელობაა! რომელიც გნებავთ «შრომის ფორმების» შერყევა ხომ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ ისინი სხვა რომელიმე ფორმებით შეიცვალა; ხოლო ჩვენს ავტორს არც კი უცდია (ისევე, როგორც ეს არ უცდია არცერთ მის თანამოაზრეს) მოეცა ამ ახალი ფორმების ანალიზი და მათი ახსნა-განმარტება, აგრეთვე გამოერკვია ამ ახალი ფორმებით ძველი ფორმების განდევნის მიზეზები. კიდევ უფრო უცნაურია ტირადის მეორე ნაწილი: «ჩვენ არავითარი საბუთი არა გვქონდა ბოლო მოგვეღო ამ ფორმებისთვის დოქტრინების გულისათვის». რა საშუალებანი გვაქვს «ჩვენ» (ე. ი. სოციალისტებს — იხ. ზემომოყვანილი შენიშვნა) იმისათვის, რომ «ბოლო მოვუღოთ» შრომის ფორმებს, ე. ი. გარდავქმნათ მოცემული წარმოებითი ურთიერთობანი საზოგადოების წევრებს შორის? ნუთუ სისულელე არ არის აზრი დოქტრინის მიხედვით ამ ურთიერთობათა გადაკეთების შესახებ? მოვუსმინოთ ქვევით: «ჩვენი ამოცანა ის კი არ არის, რომ აუცილებლად «თვითმყოფი» ცივილიზაცია აღვზარდოთ საკუთარი ნაციონალური წიაღიდან, მაგრამ არც ისაა, რომ მთლიანად გადმოვიტანოთ ჩვენზე დასავლეთის ცივილიზაცია ყველა მისი წინააღმდეგობით: რაც კარგია, ყოველი მხრიდან უნდა ავიღოთ, საიდანაც კი შეიძლება, ხოლო ჩვენი იქნება ეს კარგი თუ სხვისი — ეს უკვე პრინციპის საკითხი კი არ არის, არამედ პრაქტიკული მოსახერხებლობისა. თითქოს, ეს იმდენად მარტივი, ნათელი და გასაგებია, რომ ლაპარაკიც კი ზედმეტია». და მართლაც,

* «შრომის საშუალოსაუკუნეობრივ ფორმებად — განმარტავდა ავტორი მეორე ადგილას — უნდა ვიგულისხმოთ არა მარტო სათემო მიწათმფლობელობა, შინამრეწველობა და საარტელო ორგანიზაცია. ყოველივე ეს, უეჭველად, საშუალოსაუკუნეობრივი ფორმებია, მაგრამ მათ უნდა დაერთოს მშრომელის საკუთრებაში არსებული მიწის ანდა წარმოების იარაღების ყველა სახე».

რა უბრალო რამაა ეს! კარგი რამ ყველგან «ავიღოთ» — მორჩა და გათავდა! საშუალოსაუკუნეობრივი ფორმებიდან «ავიღოთ» ის, რომ წარმოების საშუალებანი ეკუთვნის მშრომელებს, ხოლო ახალი (ე. ი. კაპიტალისტური) ფორმებიდან «ავიღოთ» თავისუფლება, თანასწორობა, განათლება, კულტურა. და ლაპარაკიც ზედმეტია! სოციოლოგიის სუბიექტური მეთოდი აქ ისეა, როგორც ხელის გულზე: სოციოლოგია იწყებს უტოპიით — რომ მიწა ეკუთვნის მშრომელს — და უჩვენებს სასურველის განხორციელების პირობებს: კარგის «აღება» აქედან და კიდევ იქიდან. ეს ფილოსოფოსი წმინდა მეტაფიზიკურად უცქერის საზოგადოებრივ ურთიერთობას, როგორც ამა თუ იმ ინსტიტუტების უბრალო მექანიკურ აგრეგატს, ამა თუ იმ მოვლენების უბრალო მექანიკურ შეკოწიწებას. იგი ცალკე იღებს ერთ-ერთ ასეთ მოვლენას — რომ მიწა ეკუთვნის მიწათმოქმედს საშუალოსაუკუნეობრივ ფორმებში — და ფიქრობს, რომ შეიძლება მისი ისევე გადატანა ყოველგვარ სხვა ფორმებში, როგორც აგურის გადატანა ერთი შენობიდან მეორეზე. მაგრამ ეს ხომ საზოგადოებრივ ურთიერთობათა შესწავლას კი არ ნიშნავს, არამედ შესასწავლი მასალის დამახინჯებას: სინამდვილე ხომ არ იცნობს მიწათმოქმედისადმი ამ მიწის კუთვნილებას, ცალკე და დამოუკიდებელი სახით, როგორც თქვენ აიღეთ: ეს მხოლოდ ერთ-ერთი რგოლია იმდროინდელი წარმოებითი ურთიერთობისა, რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ მიწა გაყოფილი იყო მსხვილ მიწათმფლობელებს, მემამულეებს შორის, რომ მემამულეები გლეხებს ამ მიწას აძლევდნენ მათი ექსპლოატაციისათვის, ასე რომ მიწა თითქოს ნატურალური ხელფასი იყო: ის გლეხს აძლევდა აუცილებელ პროდუქტებს, რათა მას შესძლებოდა ზედმეტი პროდუქტის შექმნა მემამულისათვის; იგი წარმოადგენდა ფონდს, რათა გლეხებს ბეგარა ეკისრნათ მემამულის სასარგებლოდ. რატომ არ გაჰყვა ავტორი კვალდაკვალ ამ წარმოებით ურთიერთობათა სისტემას, დაკმაყოფილდა ერთი მოვლენის ამოგლეჯით და ამრიგად წარმოგვიდგინა ის სრულიად ყალბი გაშუქებით? იმიტომ რომ ავტორმა არ იცის, როგორ მოეპყრას საზოგადოებრივ

საკითხებს: იგი (ვიმეორებ, რომ ბ-ნ მიხაილოვსკის მსჯელობას ვიყენებ მხოლოდ როგორც მაგალითს მ თ ე ლ ი რუსული სოციალიზმის კრიტიკისათვის) სრულიადაც მიზნად არ ისახავს ა ხ ს ნ ა ს იმდროინდელი «შრომის ფორმები», წარმოგვიდგინოს ისინი, როგორც წარმოებით ურთიერთობათა ერთგვარი სისტემა, როგორც ერთგვარი საზოგადოებრივი ფორმაცია. მისთვის, მარქსის ენით რომ ვთქვათ, უცხოა დიალექტიკური მეთოდი, რომელიც გვავალებს — საზოგადოებას ვუცქიროთ, როგორც ცოცხალ ორგანიზმს მის არსებობასა და განვითარებაში.

იგი სრულებით არ კითხულობს, თუ რა მიზეზებმა გამოიწვიეს შრომის ძველი ფორმების განდევნა ახლებით, და ამ ახალი ფორმების შესახებ მსჯელობის დროს საკუთარი იმავე შეცდომას იმეორებს. მისთვის საკმაოა იმის აღნიშვნა, რომ ეს ფორმები «არყევენ» მიწის კუთვნილებას მიწათმოქმედისადმი, ე. ი., უფრო ზოგადად რომ ვთქვათ, გამოიხატებიან იმაში, რომ მწარმოებელი ეთიშება წარმოების საშუალებებს, — და გაკიცხვა ამისი, როგორც იდეალთან შეუფერებელისა. და აქაც მისი მსჯელობა სრულიად უაზროა: ის ჰგლეჯს ერთს მოვლენას (გაბოგანოებას) და არც კი ცდილობს წარმოიდგინოს იგი წარმოებით ურთიერთობათა უკვე მეორე სისტემის წევრად, რა სისტემაც დამყარებულია ს ა ს ა ქ ო ნ ლ ო მ ე უ რ ნ ე ო ბ ა ზ ე, რომელიც აუცილებლად წარმოშობს კონკურენციას საქონელმწარმოებლებს შორის, უთანასწორობას, ერთთა გაღატაკებას და სხვების გამდიდრებას. მან აღნიშნა ერთი მოვლენა—მასის გაღატაკება, მიჩქმალა მეორე — უმცირესობის გამდიდრება, — და ამით ისეთ მდგომარეობაში ჩაიყენა თავი, რომ ვერც ერთი გაიგო და ვერც მეორე.

და აი ასეთ ხერხებს უწოდებს იგი — «პასუხების ძიებას ცხოვრების საკითხებზე მათს სისხლხორცშესხმულ ფორმაში» («რ. ბ.» № 1, 1894 წ.), მაშინ როდესაც, სწორედ პირიქით, ვერ შესძლო და არც სურდა რა აეხსნა სინამდვილე, პირდაპირ შეეხედა მისთვის თვალებში,—ის სამარცხვინოდ გაექცა ცხოვრების ამ საკითხებს, ცხოვრებისა, სადაც სწარმოებს შეძლებულთა ბრძოლა უქონელთა წინააღმდეგ, და გულუბრყ-

ვილო უტოპიების სფეროს შეაფარა თავი; ამას ის უწოდებს— «პასუხების ძიებას ცხოვრების საკითხებზე მათი მწვავე და რთული რეალური სინამდვილის იდეალურად დაყენებაში» («რ. ბ.» № 1), მაშინ როდესაც ნამდვილად მას არც კი უცდია ამ რეალური სინამდვილის ანალიზისა და ახსნა-განმარტების მოცემა.

ამის მაგივრად მან მოგვცა უტოპია, შეთხზული ცალკე ელემენტების უაზროდ ამოგლეჯით სხვადასხვა საზოგადოებრივი ფორმაციიდან — საშუალოსაუკუნეობრივი ფორმაციიდან ერთი რამ აიღო, «ახალი» ფორმაციიდან— მეორე და სხვ. ცხადია, ასეთ საფუძველზე დამყარებული თეორია ნამდვილი საზოგადოებრივი ევოლუციის გარეშე უნდა დარჩენილიყო იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ჩვენს უტოპისტებს ხომ ცხოვრება და მოქმედება უხდებოდათ არა ისეთ საზოგადოებრივ ურთიერთობაში, რომელიც შეკოწიწებულია აქა-იქ აღებული ელემენტებისგან, არამედ ისეთში, რომელიც განსაზღვრავს გლეხის დამოკიდებულებას კულაკისადმი (ყაირათიანი გლეხისადმი), შინამრეწველისა შემსყიდველისადმი, მუშისა მეფაბრიკისადმი და რომელიც სრულებით ვერ გაიგეს მათ. მათი ცდები და ჭაპანწყვეტა, რომ ეს ვერგაგებული ურთიერთობანი თავიანთი იდეალის მიხედვით გადაეკეთებინათ, აუცილებლად მარცხით უნდა დამთავრებულიყო.

აი, სულ ზოგადად — ნარკვევი სოციალიზმის საკითხის იმ მდგომარეობისა რუსეთში, როცა «რუსი მარქსისტები გაჩნდნენ».

მათ დაიწყეს სწორედ წინანდელი სოციალისტების სუბიექტური მეთოდების კრიტიკით; არ დაკმაყოფილდნენ რა ექსპლოატაციის აღნიშვნითა და მისი გაკიცხვით, მათ მოისურვეს მისი ა ხ ს ნ ა ც. რახან ხედავდნენ, რომ რუსეთის რეფორმისშემდგომი დროის მთელი ისტორია მდგომარეობს მასის გაღატაკებასა და უმცირესობის გამდიდრებაში, რომ ადგილი აქვს წვრილ მწარმოებელთა გიგანტურ ექსპროპრიაციას საყოველთაო ტექნიკურ პროგრესთან ერთად; რახან ამჩნევდნენ, რომ ეს პოლარული მიმდინარეობანი იბადებიან და ძლიერდებიან იქ და იმდენად, სადაც და რამდენადაც ვითარდება და მტკიცდება სასაქონლო მეურნეობა, — მათ არ შეეძლოთ არ დაესკვნათ, რომ საქმე აქვთ საზოგადოებრივი მეურნეობის ბურჟუა-

ზიულ (კაპიტალისტურ) ორგანიზაციასთან, რომელიც აუცილებლად ჰბადებს მასების ექსპროპრიაციასა და ჩაგვრას. მათს პრაქტიკულ პროგრამას პირდაპირ განსაზღვრავდა ეს რწმენა: ის გამოიხატებოდა იმაში, რომ მიმხრობოდნენ პროლეტარიატის ამ ბრძოლას ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ღარიბი კლასების ბრძოლას შეძლებულთა წინააღმდეგ, რაც რუსეთის ეკონომიური სინამდვილის მთავარ შინაარსს შეადგენს, დაწყებული მივარდნილი სოფლით და გათავებული უახლესი გაუმჯობესებული ფაბრიკით. როგორ მიმხრობოდნენ? — პასუხი მათ ისევ თვით სინამდვილემ უკარნახა. კაპიტალიზმმა მრეწველობის მთავარი დარგები მსხვილი მანქანური ინდუსტრიის საფეხურზე აიყვანა; ამრიგად წარმოების განსაზოგადოების შემწეობით მან შეჰქმნა ახალი წესების მატერიალური პირობები და იმავე დროს წარმოშვა ახალი სოციალური ძალა: ფაბრიკა-ქარხნების მუშების კლასი, ქალაქის პროლეტარიატი. ეს კლასი ისეთსავე ბურჟუაზიულ ექსპლოატაციას განიცდის, როგორიცაა თავისი ეკონომიური არსებით რუსეთის მთელი მშრომელი მოსახლეობის ექსპლოატაცია, — მაგრამ ეს კლასი განსაკუთრებულ ხელსაყრელ პირობებშია ჩაყენებული თავისი განთავისუფლების მხრივ: ის არაფრით არ არის უკვე დაკავშირებული ძველ, სავსებით ექსპლოატაციაზე აგებულ საზოგადოებასთან; თვით მისი შრომის პირობები და ცხოვრების ვითარება რაზმავს მას, აიძულებს იაზროვნოს, შესაძლებლობას აძლევს პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზზე გამოვიდეს. ბუნებრივია, რომ სოციალ-დემოკრატებმა მთელი თავიანთი ყურადღება ამ კლასს მიაპყრეს, მთელი იმედები მასზე დაამყარეს, თავიანთი პროგრამა მისი კლასობრივი თვითშეგნების განვითარებას შეუგუეს, მთელი თავიანთი მოღვაწეობა იქით წარმართეს, რომ ხელი შეუწყონ მას აღსდგეს და პირდაპირი პოლიტიკური ბრძოლა დაიწყოს თანამედროვე რეჟიმის წინააღმდეგ და ამ ბრძოლაში ჩააბას მთელი რუსეთის პროლეტარიატი.

ახლა ვნახოთ, როგორ ომობს ბ-ნი მიხაილოვსკი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ. რა საბუთები მოჰყავს მას მათი

თეორიული შეხედულებების საწინააღმდეგოდ? მათი პოლიტიკური სოციალისტური მოღვაწეობის საწინააღმდეგოდ?

მარქსისტების თეორიულ შეხედულებებს კრიტიკოსი შემდეგნაირად გადმოსცემს:

«ჭეშმარიტება — თითქოს, მარქსისტების თქმით — იმაში მდგომარეობს, რომ ისტორიული აუცილებლობის იმანენტური კანონებით რუსეთი განავითარებს თავის კაპიტალისტურ წარმოებას, მთელი მისი შინაგანი წინააღმდეგობებით, მსხვილი კაპიტალების მიერ მცირე კაპიტალების შთანთქმით, ამასობაში კი მიწას მოწყვეტილი გლეხი პროლეტარად გადაიქცევა, გაერთიანდება, «განსაზოგადოვდება», და საქმე ისე მოეწყობა, რომ გაბედნიერებულ კაცობრიობას შეეძლება მზამზარეულად იგემოს ცხოვრების სიტკბოება».

ერთი შეხედეთ, — მარქსისტები, ამრიგად, არაფრით არ განსხვავდებიან «ხალხის მეგობრებისაგან» სინამდვილის გაგებაში, განსხვავდებიან მხოლოდ მომავლის წარმოდგენაში: სჩანს, ისინი სრულებით არაფერს არ აკეთებენ აწმყოსთვის, არამედ მხოლოდ «პერსპექტივებით» მოქმედებენ. შეუძლებელია ეჭვის შეტანა იმაში, რომ სწორედ ასეთია ბ-ნ მიხაილოვსკის აზრი: მარქსისტებიო — ამბობს იგი — «სავსებით დარწმუნებული არიან, რომ მათ მიერ მომავლის განჭვრეტაში არაფერია უტოპიური, არამედ ყოველივე აწონილ-დაწონილი და გამოზომილია მკაცრი მეცნიერების წესების მიხედვით», და, ბოლოს, კიდევ უფრო ნათლად: მარქსისტებს — «სწამთ აბსტრაქტული ისტორიული სქემის შეურყევლობა და აღიარებენ მას».

ერთი სიტყვით, ჩვენ საქმე გვაქვს მარქსისტების მიმართ იმ უაღრესად ბანალურ და უხამს ბრალდებასთან, რომლითაც დიდი ხანია ფონს გადის ყველა, ვისაც არ შეუძლია რაიმე არსებითი წამოაყენოს მათ შეხედულებათა წინააღმდეგ. «მარქსისტები აღიარებენ აბსტრაქტული ისტორიული სქემის შეურყევლობას»!!

მაგრამ ეს ხომ თავიდან ბოლომდე ტყუილი და მოგონილია!

არცერთ მარქსისტს არსად და არასოდეს არ მოუყვანია ის საბუთი, რომ რუსეთშიც «უნდა იყოს» კაპიტალიზმი, «რადგან» იგი დასავლეთში იყოო და სხვ. არცერთ მარქსისტს

არასოდეს არ დაუნახავს მარქსის თეორიაში რაიმე საყოველთაოდ სავალდებულო ფილოსოფიურ-ისტორიული სქემა, რაღაც ამა თუ იმ საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციის ახსნაზე მეტი. მხოლოდ სუბიექტურმა ფილოსოფოსმა, ბ-მა მიხაილოვსკიმ, ერთადერთმა შესძლო გამოეჩინა მარქსის ისეთი გაუგებლობა, რომ მას ზოგადი ფილოსოფიური თეორია მიაწერა, რის პასუხადაც მარქსისაგან სრულიად გარკვეული განმარტება მიიღო — მისამართი შეგცდათო. არასოდეს არცერთ მარქსისტს თავისი სოციალ-დემოკრატიული შეხედულებანი სხვა რამეზე არ დაუმყარებია, თუ არ სინამდვილესთან და მოცემულ, ე. ი. რუსეთის, საზოგადოებრივ-ეკონომიურ ურთიერთობათა ისტორიასთან შესაბამისობაზე, და არც შეეძლო დაემყარებინა, იმიტომ რომ ეს მოთხოვნა თეორიისადმი სრულიად ნათლად და გარკვეულად არის წარმოდგენილი და მთელი მოძღვრების ქვაკუთხედადაა დადებული თვით «მარქსიზმის» დამფუძნებლის — მარქსის მიერ.

რა თქმა უნდა, ბ-ნ მიხაილოვსკის შეუძლია, რამდენიც ნებავს, უარჰყოს ეს განცხადებანი იმით, რომ მან «საკუთარი ყურებით» გაიგონა სწორედ აბსტრაქტული ისტორიული სქემის აღიარება. მაგრამ რა საქმე გვაქვს ჩვენ, სოციალ-დემოკრატებს, ან ვინმე სხვას, იმასთან, რომ ბ-ნ მიხაილოვსკის თავისი მოსაუბრეებისაგან ათასნაირი აბსურდული აბდაუბდა მოუსმენია? განა ეს მხოლოდ იმას არ ამტკიცებს, რომ იგი სწორედ თავის შესაფერ მოსაუბრეებს ირჩევს, და მეტს არაფერს? ადვილი შესაძლებელია, რა თქმა უნდა, რომ ეს გონებამახვილი მოსაუბრეები გონებამახვილი ფილოსოფოსისა თავიანთ თავს მარქსისტებს, სოციალ-დემოკრატებს და სხვ. უწოდებდნენ, — მაგრამ ვინ არ იცის, რომ ამჟამად (როგორც, ეს უკვე დიდი ხანია შემჩნეულია) ყოველ არამზადას უყვარს «წითელი» ტანსაცმლით მოკაზმვა?* და თუ ბ-ნი მიხაილოვსკი იმდენად შორსმჭვრეტელია, რომ

* ყველაფერი ეს დაწერილია იმ ვარაუდით, რომ ბ-ნ მიხაილოვსკის ნამდვილად მოუსმენია აბსტრაქტულ ისტორიულ სქემათა აღიარება და არაფერი არ გაუყალბებია. მაგრამ აუცილებლად საჭიროდ მიმაჩნია ამის გამო შევნიშნო: როგორც მიყიდია, ისე ვყიდი.

არ შეუძლია ასეთი «მოკაზმული» ადამიანების გარჩევა მარქსისტებისაგან, ან თუ მან იმდენად ღრმად გაიგო მარქსი, რომ ვერ შეამჩნია მის მიერ უდიდესი სიძლიერით წამოყენებული კრიტერიუმი მთელი მისი დოქტრინისა (ჩამოყალიბება «იმისა, რაც ჩვენს თვალწინ ხდება»),—ეს ისევ-ისე მხოლოდ ბ-ნ მიხაილოვსკის უჭკუობას ამტკიცებს, და მეტს არაფერს.

ყოველ შემთხვევაში, როცა ბ-ნი მიხაილოვსკი პრესაში პოლემიკას იწყებდა «სოციალ-დემოკრატების» წინააღმდეგ, — მას მხედველობაში უნდა ჰყოლოდა სოციალისტების ის ჯგუფი, რომელიც დიდი ხანია უკვე ამ სახელს ატარებს და ატარებს მხოლოდ ის, ასე რომ მასში სხვების არევა შეუძლებელია, და რომელსაც თავისი ლიტერატურული წარმომადგენლები ჰყავს — პლეხანოვი და მისი წრე[45]. და იგი რომ ასე მოქცეულიყო, — ასე კი, ცხადია, უნდა მოქცეულიყო ყოველი ოდნავ მაინც რიგიანი ადამიანი, — და მიემართა თუგინდ პირველი სოციალ-დემოკრატიული თხზულებისათვის, პლეხანოვის წიგნისათვის: «ჩვენი უთანხმოებანი», — იქ ის პირველ გვერდზევე წაიკითხავდა ავტორის კატეგორიულ განცხადებას წრის ყველა წევრის სახელით:

«ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ გვსურს დავფაროთ ჩვენი პროგრამა დიდი სახელის ავტორიტეტით» (ე. ი. მარქსის ავტორიტეტით). გესმით თქვენ რუსული ენა, ბ-ნო მიხაილოვსკი? გესმით თუ არა განსხვავება აბსტრაქტული სქემების აღიარებასა და რუსეთის საქმეებზე მსჯელობის დროს მარქსის ყოველგვარი ავტორიტეტის უარყოფას შორის?

გესმით თუ არა, რომ, როცა თქვენი მოსაუბრეებისაგან იღბლად მოსმენილი პირველი მსჯელობა მარქსისტულად გააღეთ და უყურადღებოდ დასტოვეთ სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთი გამოჩენილი წევრის მიერ მთელი ჯგუფის სახელით დაბეჭდილი განცხადება, — თქვენ უპატიოსნოდ მოიქეცით?

შემდეგ კიდევ უფრო გარკვეულად არის განცხადებული:

«ვიმეორებ, — ამბობს პლეხანოვი, — რომ ყველაზე თანმიმდევარ მარქსისტებს შორის შესაძლებელია უთანხმოება არსებობდეს თანამედროვე რუსეთის სინამდვილის შეფასების სა-

კითხში»; ჩვენი დოქტრინა — «პირველი ცდაა ამ მეცნიერული თეორიის გამოყენებისა მეტად რთულ და დახლართულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ანალიზისათვის».

თითქოს, ძნელია უფრო ნათლად ლაპარაკი: მარქსისტები მარქსის თეორიიდან უეჭველად სესხულობენ მხოლოდ ძვირფას ხერხებს, ურომლისოდაც შეუძლებელია საზოგადოებრივ ურთიერთობათა გარკვევა, და, მაშასადამე, ამ ურთიერთობათა შეფასების კრიტერიუმს ხედავენ სრულიადაც არა აბსტრაქტულ სქემებში და სხვა ამგვარ აბდაუბდაში, არამედ მის სისწორესა და სინამდვილესთან შესაბამისობაში.

ან, შეიძლება, თქვენ გგონიათ, რომ, როცა ავტორი ასეთ რამეს აცხადებდა, ნამდვილად სხვანაირად მსჯელობდა? მაგრამ ეს მართალი არ არის. საკითხი, რომელსაც ის არკვევდა, იმაში მდგომარეობდა, — «უნდა გაიაროს თუ არა რუსეთმა განვითარების კაპიტალისტური ფაზა?» მაშასადამე, ეს საკითხი ფორმულირებული იყო სრულიადაც არა მარქსისტულად, არამედ ჩვენი თანამემამულე სხვადასხვა ფილოსოფოსების სუბიექტური მეთოდების მიხედვით, ფილოსოფოსების, რომელნიც ამ მართებულობის კრიტერიუმს ხედავენ ან ხელისუფალთა პოლიტიკაში, ანდა «საზოგადოების» მოქმედებაში, ან კიდევ იმ საზოგადოების იდეალში, რომელიც «ადამიანის ბუნებას შეეფერება», და სხვა ამგვარ აბდაუბდაში. ახლა საკითხავია: როგორ უნდა ეპასუხნა ასეთ კითხვაზე ადამიანს, რომელიც აბსტრაქტულ სქემებს აღიარებს? ცხადია, ის დაიწყებდა ლაპარაკს დიალექტიკური პროცესის უცილობლობის შესახებ, მარქსის თეორიის ზოგად-ფილოსოფიურ მნიშვნელობაზე, თვითეული ქვეყნისათვის... ფაზის განვლის აუცილებლობის შესახებ, და სხვ. და სხვ.

მერე როგორ უპასუხა პლეხანოვმა?

ისე, როგორც უნდა ეპასუხნა კიდეც მარქსისტს:

მან სრულიად განზე დასტოვა საკითხი მართებულობის შესახებ, როგორც უქმი და მხოლოდ სუბიექტივისტებისათვის საინტერესო, და სულ და მხოლოდ ნამდვილ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ურთიერთობაზე, მის ნამდვილ ევოლუციაზე

ლაპარაკობდა. ამიტომაც არ გასცა მან პირდაპირი პასუხი ასე არასწორად დასმულ კითხვას, და იმის მაგიერ ასე უპასუხა: «რუსეთი დ ა ა დ გ ა კაპიტალისტურ გზას».

ბ-ნი მიხაილოვსკი კი მცოდნის პოზით ლაპარაკობს აბსტრაქტული ისტორიული სქემის აღიარებასა, აუცილებლობის იმანენტურ კანონებსა და სხვა ამგვარ წარმოუდგენელ სისულელეზე! და ამას უწოდებს «პოლემიკას სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ»!!

პირდაპირ ვერ გამიგია, — თუ ეს პოლემისტია, ვისღა ეწოდება ამის შემდეგ უქმად მყეფი?!

არ შეიძლება კიდევ ბ-ნ მიხაილოვსკის ზემოთ მოყვანილი მსჯელობის გამო არ აღვნიშნოთ, რომ იგი ისე გადმოსცემს სოციალ-დემოკრატების შეხედულებებს, თითქოს «რუსეთი გ ა ნ ა ვ ი თ ა რ ე ბ ს თავის საკუთარ კაპიტალისტურ წარმოებას». ცხადია, ამ ფილოსოფოსის აზრით, რუსეთს არა აქვს «თავისი საკუთარი» კაპიტალისტური წარმოება. ავტორი, ალბათ, იზიარებს იმ შეხედულებას, რომ რუსეთის კაპიტალიზმი განისაზღვრება 1,5 მილიონი მუშით, — ქვემოთ ჩვენ კიდევ შევხვდებით ამ ბავშვურ იდეას ჩვენი «ხალხის მეგობრებისას», რომელნიც არ ვიცით სად რიცხავენ თავისუფალი შრომის დანარჩენ ექსპლოატაციას. «რუსეთი განავითარებს თავის საკუთარ კაპიტალისტურ წარმოებას მთელი მისი შინაგანი წინააღმდეგობებით, ამასობაში კი მიწას მოწყვეტილი გლეხი პროლეტარად გადაიქცევა». რაც უფრო შორს შედიხარ ტყეში, მით მეტ ხეებს ხვდები! ამრიგად გამოდის, რომ რუსეთში არ არსებობს «შინაგანი წინააღმდეგობანი»? ე. ი., პირდაპირ თუ ვიტყვით, არ არსებობს ხალხის მასის ექსპლოატაცია ერთი მუჭა კაპიტალისტების მიერ? არ არის მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის გაღატაკება და ერთი მუჭა ადამიანების გამდიდრება? გლეხს მხოლოდ აწი მოელის მიწისაგან მოწყვეტა? მაშ რა არის რუსეთის მთელი რეფორმისშემდგომი დროის ისტორია, თუ არ გლეხობის მასობრივი, ჯერ არსად არ ნახული ინტენსიური ექსპროპრიაცია? დიდი გამბედაობა უნდა ჰქონდეს კაცს, რომ ყველას გასაგონად ასეთი რამ განაცხადოს. და ბ-ნ მიხაილოვსკის

შესწევს ასეთი გამბედაობა: «მარქსი იყენებდა მზამზარეულ პროლეტარიატს და მზამზარეულ კაპიტალიზმს, ჩვენ კი ჯერ კიდევ უნდა შევქმნათ ისინი». რუსეთმა ჯერ კიდევ უნდა შეჰქმნას პროლეტარიატი?! რუსეთში — ერთადერთ ქვეყანაში, სადაც მასების ასეთი უიმედო სიღატაკეა, მშრომელთა ასეთი უტიფარი ექსპლოატაციაა, — რუსეთში, რომელსაც ღარიბთა მდგომარეობის მხრივ ინგლისს ადარებდნენ (და კანონიერადაც), სადაც მილიონობით ხალხის შიმშილი მუდმივი მოვლენაა, მაგ., პურის სულ უფრო და უფრო მზარდ გატანასთან ერთად, — თურმე არ არსებობს პროლეტარიატი!!

მე ვფიქრობ, რომ ბ-ნ მიხაილოვსკის ცოცხლად უნდა დაედგას ძეგლი ამ კლასიკური სიტყვებისათვის! *

მაგრამ ჩვენ ქვემოთაც დავინახავთ, რომ ეს — «ხალხის მეგობრების» მუდმივი და უაღრესად თანმიმდევრული ტაქტიკაა — ფარისევლურად თვალები დახუჭონ რუსეთის მშრომელთა აუტანელ მდგომარეობაზე, მხოლოდ «შერყეულად» დაგვიხატონ ის, ასე რომ საკმაოა «კულტურული საზოგადოებისა» და მთავრობის ღონისძიებანი, რომ ყოველივე ჭეშმარიტი გზით წარიმართოსო. ამ რაინდებს ჰგონიათ, რომ თუ ისინი თვალებს დახუჭავენ იმ ფაქტზე, რომ მშრომელი მასის მდგომარეობა იმიტომ კი არ არის ცუდი, რომ «შეირყა», არამედ იმიტომ, რომ მას ყოვლად უსირცხვილოდ ძარცვავენ ერთი მუჭა ექსპლოა-

---

* მაგრამ, შესაძლებელია, ბ-ნი მიხაილოვსკი აქაც შეეცადოს თავის დაძვრენას: მე სრულებით არ მინდოდა მეთქვა, რომ რუსეთში საერთოდ არ არის პროლეტარიატი, არამედ მხოლოდ ის, რომ მას არა ჰყავს კაპიტალისტური პროლეტარიატიო? — ასეა? მაშ რატომ არ სთქვით ეს მაშინ? მ თ ე ლ ი ს ა კ ი თ ხ ი ხომ სწორედ იმაში მდგომარეობს: არის თუ არა რუსეთის პროლეტარიატი ისეთი, როგორიც დამახასიათებელია საზოგადოებრივი მეურნეობის ბურჟუაზიული ორგანიზაციისათვის, თუ სხვაგვარია? მერე ვინ არის დამნაშავე იმაში, რომ თქვენ მთელი ორი სტატიის მანძილზე ე რ თ ი ს ი ტ ყ ვ ა ც არ გითქვამთ ამ, ერთადერთ სერიოზულ და მნიშვნელოვან, საკითხზე და ამჯობინეთ ყოველგვარი აბდაუბდის ლაყბობა და ამასთან, ვინ იცის რას არა ჩმახავთ?

ტატორები, რომ თუ ისინი სირაქლემებსავით თავს დამალავენ, რათა ეს ექსპლოატატორები არ დაინახონ, — მაშინ ეს ექსპლოატატორები გაჰქრებიანო. და როცა სოციალ-დემოკრატები მათ ეუბნებიან, რომ სინამდვილისთვის პირდაპირ შეხედვის შიში სამარცხვინო სილაჩრეა, როდესაც ისინი გამოსავალ წერტილად ექსპლოატაციის ამ ფაქტს იღებენ და ამბობენ, რომ მისი ერთადერთი შესაძლებელი ახსნა მდგომარეობს რუსეთის საზოგადოების ბურჟუაზიულ ორგანიზაციაში, რომელიც ხალხის მასას პროლეტარიატად და ბურჟუაზიად სთიშავს, და რუსეთის სახელმწიფოს კლასობრივ ხასიათში, რომელი სახელმწიფოც სხვას არას წარმოადგენს, თუ არ ამ ბურჟუაზიის ბატონობის ორგანოს, რომ ამიტომ ერთადერთი გამოსავალია პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ, — მაშინ ეს «ხალხის მეგობრები» მოთქმას იწყებენ: სოციალ-დემოკრატებს სურთ ხალხის გაბოგანოება!! მათ სურთ ჩვენი სახალხო ეკონომიური ორგანიზაციის დანგრევაო!!

ჩვენ ახლა ვუახლოვდებით მთელი ამ, ცოტა რომ ვთქვათ, უწესო «პოლემიკის» ყველაზე უფრო აღმაშფოთებელ ადგილს — სახელდობრ ბ-ნ მიხაილოვსკის მიერ სოციალ-დემოკრატების პოლიტიკური მოღვაწეობის «კრიტიკას» (?). ყველასათვის გასაგებია, რომ ჩვენს ლეგალურ პრესაში შეუძლებელია მუშებს შორის სოციალისტებისა და აგიტატორების მოღვაწეობის პატიოსნად განხილვა, და ცენზურის ქვეშ მყოფ რიგიან პრესას ამ მხრივ მხოლოდ ის შეუძლია, რომ «ტაქტიანად სდუმდეს». ბ-მა მიხაილოვსკიმ დაივიწყა ეს მეტად ელემენტარული წესი და მას არ შერცხვა ესარგებლნა მკითხველი საზოგადოებისადმი მიმართვის მონოპოლიით, რათა სოციალისტები ტალახში გაესვარა.

მაგრამ ამ მოურიდებელი კრიტიკოსის წინააღმდეგ შეიძლება ბრძოლის სხვა იარაღიც გამოინახოს, გარდა ლეგალური ჟურნალისტიკისა!

«რამდენადაც მე მესმის, — ვითომდა გულუბრყვილოდ ამბობს ბ-ნი მიხაილოვსკი, — რუსი მარქსისტები შეიძლება სამ თანრი-

გად დაიყონ: მარქსისტ-მაყურებლებად (პროცესის გულგრილი მაყურებლები), პასიურ მარქსისტებად (მხოლოდ «ამსუბუქებენ მშობიარობის ტანჯვას». მათ «არ აინტერესებთ ადგილმამულიანი ხალხი, მთელი მათი ყურადღება და იმედი იმათკენ არის მიპყრობილი, ვინც უკვე მოწყვეტილია წარმოების საშუალებებს») და აქტიურ მარქსისტებად (რომლებიც პირდაპირ დაჟინებით მოითხოვენ სოფლის შემდგომ გაპარტახებას)».

რა არის ეს?! ხომ არ შეიძლება ბ-მა კრიტიკოსმა არ იცოდეს, რომ რუსი მარქსისტები — ეს არიან სოციალისტები, რომლებიც ემყარებიან ისეთ შეხედულებას სინამდვილეზე, რომ ეს არის კაპიტალისტური საზოგადოება, საიდანაც ერთადერთი გამოსავალია — პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ? როგორ და რა საბუთით ურევს მათ იგი რაღაც უაზრო უხამსობასთან? რა უფლება აქვს (ზნეობრივი, რა თქმა უნდა) მას — მარქსისტები უწოდოს ისეთ ადამიანებს, რომლებიც, ცხადია, არ იზიარებენ მარქსიზმის უაღრესად ელემენტარულ და ძირითად დებულებებს, ადამიანებს, რომლებიც არსად და არასოდეს არ გამოსულან ცალკე ჯგუფის სახით, არასოდეს და არსად არ წარმოუდგენიათ რაიმე განსაკუთრებული თავიანთი პროგრამა?

ბ-მა მიხაილოვსკიმ მთელი რიგი თავდასაძვრენი დაიტოვა ასეთი საზიზღარი ხერხების გასამართლებლად.

«შეიძლება — ოხუნჯობს ის ქარაფშუტულად — ესენი არც არიან ნამდვილი მარქსისტები, მაგრამ ისინი თავიანთ თავს ასეთებად სთვლიან და აცხადებენ კიდეც». სად გამოაცხადეს და როდის? პეტერბურგის ლიბერალურ და რადიკალურ სალონებში? კერძო წერილებში? დაე ასე იყოს. მაშინ ინებეთ და ესაუბრეთ მათ თქვენს სალონებსა და თქვენს კორესპონდენციაში! მაგრამ თქვენ ხომ პრესაში და საჯაროდ გამოდიხართ იმ ადამიანების წინააღმდეგ, რომლებიც (მარქსიზმის დროშით) არასოდეს და არსად არ გამოსულან საჯაროდ. და ამასთანავე თქვენ ბედავთ კიდევ განაცხადოთ, რომ ეკამათებით «სოციალ-დემოკრატებს», თუმცა იცით, რომ ამ სახელს ატარებს მხოლოდ

ე რ თ ი ჯგუფი სოციალისტ რევოლუციონერებისა და მისი არევა სხვებში შეუძლებელია! *

ბ-ნი მიხაილოვსკი მელაკუდობს და წრიალებს მხილებული გიმნაზიელივით: მე აქ სრულებით არაფერ შუაში ვარო, — ცდილობს იგი დაუმტკიცოს მკითხველს — «საკუთარი ყურებით გავიგონე და საკუთარი თვალებით დავინახე». ძალიან კარგი! ჩვენ სიამოვნებით გვჯერა, რომ თქვენ თვალწინ არავინ გყავთ, გარდა უმსგავსი ადამიანებისა და არამზადებისა, მაგრამ რა შუაში ვართ აქ ჩვენ, სოციალ-დემოკრატები? ვინ არ იცის, რომ «ამჟამად, როცა» არა მარტო სოციალისტური, არამედ ყოველი ცოტად თუ ბევრად დამოუკიდებელი და პატიოსანი საზოგადოებრივი მოღვაწეობა პოლიტიკურ დევნას იწვევს,— თვითეულ, ნამდვილად ამა თუ იმ დროშის ქვეშ — ნაროდოვოლ-ცობის, მარქსიზმის ან, თუნდაც, ვთქვათ, კონსტიტუციონალი-ზმის დროშის ქვეშ — მომუშავეზე რამდენიმე ათეული ფრაზიორი მოდის, რომლებიც ამ სახელით თავიანთ ლიბერალურ სილაჩრეს ჰფარავენ, და კიდევ, შეიძლება, რამდენიმე წმინდა წყლის არამზადა, რომლებიც თავიანთ პირად საქმეებს აწყობენ? განა ცხადი არ არის, რომ მხოლოდ სულ მდაბალ უგვანობას შე-ეძლო რომელიმე ამ მიმართულებისთვის ესაყვედურებინა ის

* შევჩერდები თუნდაც მხოლოდ ერთ ფ ა ქ ტ ი უ რ მითითებაზე, რო-მელიც ბ-ნ მიხაილოვსკის მოეპოვება. ყველა, ვისაც კი წაუკითხავს მისი სტატია, დაგვეთანხმება, რომ იგი ბ-ნ სკვორცოვსაც («შიმშილობათა ეკო-ნომიური მიზეზების» ავტორს) «მარქსისტებს» აკუთვნებს. ამავე დროს ეს ვაჟბატონი ასე არ უწოდებს თავის თავს, და საკმარისია სოციალ-დემო-კრატების თხზულებათა სულ ელემენტარული გაცნობა, რათა დაინახოთ, რომ მათი თვალსაზრისით იგი ფრიად უგვანო ბურჟუაა და სხვა არაფერი. როგორი მარქსისტია იგი, როცა მას არ ესმის, რომ ის საზოგადოებრივი წრე, რომლისთვისაც ის თავის პროგრესებს სახავს, — ბურჟუაზიული წრეა, რომ ამიტომ «კულტურის» ყველა «გაუმჯობესებანი», მართლაც შემჩნე-ული გლეხურ მეურნეობაშიც კი, ნიშნავს ბურჟუაზიულ პროგრესს, რო-მელიც აუმჯობესებს უმცირესობის მდგომარეობას და აპროლეტარებს მასებს! როგორი მარქსისტია იგი, როცა მას არ ესმის, რომ სახელმწიფო, რომელსაც იგი მიმართავს პროექტებით, არის კლასობრივი სახელმწიფო, რომელსაც შეუძლია მხოლოდ ბურჟუაზიის დაცვა და პროლეტარიატის შევიწროება!

ფაქტი, რომ მის დროშას ყოველი ვიგინდარა სვრის (ისიც არა საქვეყნოდ და არა აშკარად)? ბ-ნ მიხაილოვსკის მთელი გადმოცემა დამახინჯებათა, შერყვნათა და გადასხვაფერებათა მთლიან ჯაჭვს წარმოადგენს. ზემოთ ჩვენ დავინახეთ, რომ ის «ჭეშმარიტებანი», რომელთაც სოციალ-დემოკრატები ემყარებიან, მან საესებით დაამახინჯა და იმგვარად გადმოსცა, როგორც არცერთ მარქსისტს არსად და არასოდეს არ გადმოუცია და არც შეეძლო გადმოეცა. მას რომ სოციალ-დემოკრატების მიერ რუსეთის სინამდვილის ნამდვილი გაგება გადმოეცა, მას არ შეეძლო არ დაენახა, რომ ამ შეხედულებებთან «შეგუება» შესაძლებელია მ ხ ო ლ ო დ ე რ თ ი ყ ა ი დ ი თ — პროლეტარიატის კლასობრივი თვითშეგნების განვითარებისათვის ხელის შეწყობით, მისი დარაზმვით და შეკავშირებით თანამედროვე რეჟიმის წინააღმდეგ პოლიტიკური ბრძოლისათვის. თუმცა მას კიდევ დარჩა ერთი ფანდი. შეურაცხყოფილი უმანკოების სახით ის ფარისევლურად ზე-აღაპყრობს თვალებს და მოთაფლული ენით ღაღადებს: «მე დიდად მოხარული ვარ, რომ ეს მესმის, მაგრამ ვერ გამიგია, რის წინააღმდეგ აცხადებთ თქვენ პროტესტს» (იგი მართლაც ასე ლაპარაკობს «რ. ბ.» № 2-ში). «დაკვირვებით წაიკითხეთ ჩემი აზრი პასიურ მარქსისტებზე, და თქვენ დაინახავთ, რომ მე ვლაპარაკობ: ეთიკური თვალსაზრისით საწინააღმდეგო არაფერი ითქმის».

და ეს, რა თქმა უნდა, წინანდელი, უბადრუკი ფანდების განმეორებაა და სხვა არაფერი.

ერთი მითხარით, გეთაყვა, რას უწოდებდით იმ ადამიანის მოქმედებას, რომელიც განაცხადებდა, რომ აკრიტიკებს სოციალურ-რევოლუციურ ნაროდნიკობას (სხვა ჯერ კიდევ არ გამოჩენილა — ვიღებ ასეთ პერიოდს), და დაახლოებით ასეთ რამეებს იტყოდა:

«რამდენადაც მე მესმის, ნაროდნიკები სამ თანრიგად განიყოფებიან: თანმიმდევარი ნაროდნიკები, რომლებიც საესებით იღებენ გლეხის იდეებს და მისი სურვილების სრულ შესაბამისად განაზოგადებენ როზგებს, ცოლის ცემა-ტყეპას და საზოგადოდ ახორციელებენ მათრახისა და ჯოხის მთავრობის იმ

უსაზიზღრეს პოლიტიკას, რომელსაც აკი ხალხურ პოლიტიკას უწოდებდნენ; შემდეგ მიდიან მხდალი ნაროდნიკები, რომელთაც არ აინტერესებთ გლეხის აზრი და მხოლოდ ცდილობენ ასოციაციებისა და სხვ. შემწეობით გადმონერგონ რუსეთში მისთვის უცხო რევოლუციური მოძრაობა, — თუმცა ამის წინააღმდეგ ეთიკური თვალსაზრისით არაფერი ითქმის, ეს გზა რომ მოლიპული არ იყოს, რასაც ადვილად შეუძლია გაუთანაბროს მხდალი ნაროდნიკი თანმიმდევარს ანდა გამბედავს; და, ბოლოს — გამბედავი ნაროდნიკები, რომლებიც მთელი სისრულით ახორციელებენ ყაირათიანი გლეხის სახალხო იდეალებს და ამიტომ იწყებენ მიწათმოქმედებას, რათა სრული კულაკები გახდნენ», — ყოველი რიგიანი ადამიანი, რა თქმა უნდა, ამას საზიზღარ და უგვანო დაცინვას უწოდებდა. და თუ ამასთან ადამიანი, რომელმაც ასეთი აზრები გამოსთქვა, ვერ მიიღებდა უარყოფას ნაროდნიკებისაგან იმავე პრესაში; თუ ამასთანავე აღმოჩნდებოდა, რომ ამ ნაროდნიკების იდეების გადმოცემა დღემდე მხოლოდ არალეგალურად ხდებოდა და ამიტომ ბევრს მათ შესახებ ზუსტი წარმოდგენა არ ჰქონდა და ადვილად დაიჯერებდა ყველაფერს, რაც არ უნდა ეთქვათ ნაროდნიკებზე,— მაშინ ყველა დაგვეთანხმებოდა, რომ ასეთი ადამიანი...

თუმცა, შეიძლება, თვით ბ-ნ მიხაილოვსკისაც სავსებით ჯერ კიდევ არ დავიწყნია ის სიტყვა, რომელიც აქ უნდა დაწერილიყო.

მაგრამ კმარა! კიდევ ბევრია ამგვარი ინსინუაცია ბ-ნ მიხაილოვსკის ნაწერებში, მაგრამ მე არ ვიცნობ შრომას, რომელიც უფრო დამღალავი, უფრო უმადური, უფრო მძიმე იყოს, ვიდრე არის ამ ტალახში ხელის ფათური, აქა-იქ გადაკვრით ნათქვამი სიტყვების შეგროვება, მათი დაპირისპირება და თუნდაც ერთი რაიმე სერიოზული პასუხის მოძებნა.

კმარა!

1894 წ. აპრილი.

გამომცემლებისაგან[46]

სტატიის ტექსტში მკითხველი ნახავს შენიშვნებს იმაზე მითითებით, რომ ზოგიერთი საკითხი შემდგომ იქნება გარჩეულიო, ნამდვილად კი ეს გარჩევა მოცემული არ არის.

ამის მიზეზი ისაა, რომ წინამდებარე სტატია მხოლოდ პირველი ნაწილია პასუხისა «რუსკოე ბოგატსტვოს» სტატიებზე მარქსიზმის შესახებ. დროის უკიდურესმა უქონლობამ ხელი შეუშალა ამ სტატიის დროულად გამოსვლას, ამავე დროს კი შემდგომი დაყოვნება ჩვენ შეუძლებლად მიგვაჩნია: ისედაც 2 თვით დავაგვიანეთ. აი რატომ გადავწყვიტეთ ჯერჯერობით ბ-ნ ნ. მიხაილოვსკის «კრიტიკის» განხილვა გამოვუშვათ და არ დავუცადოთ მთელი სტატიის ბეჭდვის დამთავრებას.

მე-2 და მე-3 გამოცემებში, რომლებიც მზადდება, მკითხველი, აქ წარმოდგენილი განხილვის გარდა, იპოვის აგრეთვე «რუსკოე ბოგატსტვოს» სხვა მეთაურების — ბბ. იუჟაკოვისა და ს. კრივენკოს — საზოგადოებრივ-ეკონომიურ შეხედულებათა განხილვასაც, რუსეთის ეკონომიური სინამდვილის ნარკვევთან და აქედან გამომდინარე «სოციალ-დემოკრატების იდეებთან და ტაქტიკასთან» დაკავშირებით.

წინამდებარე გამოცემისათვის [47]

წინამდებარე გამოცემა პირველი გამოცემის ზუსტ გადმონაბეჭდს წარმოადგენს. ჩვენ არავითარი მონაწილეობა არ მიგვიღია ტექსტის შედგენის საქმეში და ვფიქრობთ, რომ უფლება არა გვქონდა რაიმე ცვლილება შეგვეტანა მასში, რის გამოც მხოლოდ საგამომცემლო მუშაობით დავკმაყოფილდით. როცა ამ მუშაობას ვიწყებდით, მოტივად ის რწმენა გვქონდა, რომ წინამდებარე თხზულება ხელს შეუწყობს ჩვენი სოციალ-დემოკრატიული პროპაგანდის ერთგვარ გამოცოცხლებას.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ პროპაგანდის საქმის სამსახურისათვის მზადყოფნა აუცილებელი შედეგი უნდა იყოს სოციალ-დემოკრატიული რწმენისა, და ამიტომ მივმართავთ წინამდებარე ბროშურის ავტორის ყველა თანამოაზრეს — ყოველი ღონისძიებით (განსაკუთრებით, რა თქმა უნდა, ხელახლა გამოცემით) შეუწყონ ხელი როგორც ამ თხზულების, ისე საზოგადოდ მარქსისტული პროპაგანდის ყველა ორგანოს რაც შეიძლება ფართოდ გავრცელებას. დღევანდელი მომენტი განსაკუთრებით ხელსაყრელია ამ საქმისათვის. «რუსკოე ბოგატსტვოს» საქმიანობა ჩვენს მიმართ თანდათან უფრო გამომწვევ ხასიათს ღებულობს. ჟურნალი იქამდე მივიდა თავის მისწრაფებაში — შეაფერხოს საზოგადოებაში სოციალ-დემოკრატიული იდეების გავრცელება, რომ პირდაპირ გვაბრალებს, თითქოს გულგრილობას ვიჩენდეთ პროლეტარიატის ინტერესებისადმი და დაჟინებით ვიცავდეთ მასების გაღატაკებას. ვკადნიერდებით ვიფიქროთ, რომ ასეთი ხერხებით ჟურნალი მხოლოდ ვნებს თავის თავს და ჩვენს გამარჯვებას ამზადებს. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ

ცილისმწამებლებს ყოველგვარი მატერიალური საშუალებები აქვთ თავიანთ ცილისწამებათა უაღრესად ფართო პროპაგანდისათვის. მათს განკარგულებაშია ჟურნალის რამდენიმე ათასი ეგზემპლარი, მათ შეუძლიათ სამკითხველოებისა და ბიბლიოთეკების გამოყენება. ამიტომ, რათა ჩვენს მტრებს დავუმტკიცოთ, რომ პრივილეგიური მდგომარეობის უპირატესობანიც ყოველთვის როდი უზრუნველჰყოფენ ინსინუაციათა წარმატებას, ჩვენ მთელი ჩვენი ძალღონე უნდა გამოვიყენოთ. გამოვთქვამთ სრულ რწმენას, რომ ეს ძალღონე კიდეც მოიპოვება.

1894 წ. ივლისი.

ნაკვეთი III

Выпускъ III.

Что такое „Друзья народа“ и как они воюютъ противъ соціал демократовъ

Сентябрь 1894

Изданіе
провинціальной группы
соціал демократовъ

გარეკანი ვ. ი. ლენინის წიგნის — «რანი არიან «ხალხის მეგობრები» და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?» — ჰექტოგრაფიული გამოცემის III ნაკვეთისა. — 1894 წ.
დაპატარავებულია

დასასრულ გავეცნოთ კიდევ ერთს «ხალხის მეგობარს», ბ-ნ კრივენკოს, რომელიც აგრეთვე პირდაპირ ომში ებმება სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ.

მაგრამ ჩვენ არ გავარჩევთ მის სტატიებს («კულტურულ მარტოხელათა შესახებ» — 1893 წ. № 12-ში და «წერილები გზიდან» — 1894 წ. № 1-ში), როგორც ბბ. მიხაილოვსკისა და იუჟაკოვის მიმართ მოვიქეცით. იქ მათი სტატიების სავსებით გარჩევა აუცილებელი იყო, რათა პირველ შემთხვევაში ნათლად წარმოგვედგინა შინაარსი მათი მოსაზრებებისა მატერიალიზმის და საზოგადოდ მარქსიზმის წინააღმდეგ; მეორე შემთხვევაში — მათი პოლიტიკურ-ეკონომიური თეორიები. ახლა, რათა სრული წარმოდგენა ვიქონიოთ «ხალხის მეგობრებზე», ჩვენ უნდა გავეცნოთ მათს ტაქტიკას, მათს პრაქტიკულ წინადადებებს, მათს პოლიტიკურ პროგრამას. ეს პროგრამა მათ არსად არა აქვთ პირდაპირ გადმოცემული ისეთივე თანმიმდევრობით და სისრულით, როგორც თეორიული შეხედულებანი. ამიტომ მე იძულებული ვარ ეს პროგრამა ჟურნალის სხვადასხვა სტატიებიდან ამოვიღო; ამ ჟურნალს ახასიათებს თანამშრომლების საკმაო სოლიდარობა ურთიერთშორის, ასე რომ წინააღმდეგობებს ადგილი არ ექნება. ბ-ნ კრივენკოს ზემოაღნიშნულ სტატიებს მხოლოდ უპირატესობას მივცემ სხვების წინაშე როგორც იმიტომ, რომ ისინი მეტ მასალას იძლევიან, ისე იმიტომაც, რომ მათი ავტორი ჟურნალისათვის ისეთივე ტიპიური პრაქტიკოსი და პოლიტიკოსია, როგორც ბ-ნი მიხაილოვსკი — სოციოლოგი და ბ-ნი იუჟაკოვი — ეკონომისტი.

მაგრამ, სანამ მათს პროგრამაზე გადავიდოდეთ, აუცილებლად საჭიროდ მიგვაჩნია კიდევ ერთ თეორიულ პუნქტზე შევჩერდეთ. ზემოთ ჩვენ დავინახეთ, როგორ კმაყოფილდებოდა ბ-ნი იუჟაკოვი უშინაარსო ფრაზებით სახალხო იჯარის შესახებ, რომელიც ხელს უწყობს სახალხო მეურნეობას, და სხვ., და ამით ჩვენს მიწათმოქმედთა ეკონომიკის უცოდინარობას ჰფარავდა. სარეწებს იგი არ შეხებია, მხოლოდ მსხვილი საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის ზრდის მაჩვენებელი ცნობებით დაკმაყოფილდა. ახლა ბ-ნი კრივენკო იმეორებს სრულიად ისეთსავე ფრაზებს შინამრეწველურ სარეწთა შესახებ. იგი «ჩვენს სახალხო მრეწველობას», ე. ი. შინამრეწველობას, პირდაპირ უპირისპირებს კაპიტალისტურ მრეწველობას (№ 12, გვ. 180—181). «სახალხო მრეწველობა (sic!) — ამბობს იგი — უმრავლეს შემთხვევაში ბუნებრივად ჩნდება», კაპიტალისტური მრეწველობა კი «ძალიან ხშირად ხელოვნურად იქმნება». მეორე ადგილას ის «წვრილ სახალხო მრეწველობას» უპირისპირებს «მსხვილს, კაპიტალისტურს». თუ იკითხავთ, რაში მდგომარეობს პირველის თავისებურება, — გაიგებთ მხოლოდ, რომ ის «წვრილია» * და რომ შრომის იარაღები აქ შეერთებულია მწარმოებელთან (ამ უკანასკნელ განსაზღვრას ვიღებ ბ-ნ მიხაილოვსკის ზემოთ მოხსენებული სტატიიდან). მაგრამ ეს ხომ ჯერ კიდევ სრულიადაც არ განსაზღვრავს მის ეკონომიურ ორგანიზაციას, და მერე — ეს სრულებით არ არის სწორი. მაგალითად, ბ-ნი კრივენკო ამბობს, რომ «წვრილი სახალხო მრეწველობა დღემდე საერთო წარმოების გაცილებით მეტ ჯამს იძლევა და მეტ მუშა-ხელს აბანდებს, ვიდრე მსხვილი კაპიტალისტური მრეწველობა». ავტორს, სჩანს, მხედველობაში აქვს ცნობები შინამრეწველთა რაოდენობის შესახებ, რაც 4 მილიონამდე აღწევს, ხოლო მეორე ანგარიშით — 7 მილიონამდე.

* მხოლოდ აი რა შეიძლება გავიგოთ კიდევ: «მისგან შეიძლება განვითარდეს ნამდვილი (sic!) სახალხო მრეწველობა», — ამბობს ბ-ნი კრივენკო. «ხალხის მეგობრების» ჩვეულებრივი ხერხია — უქმი და უაზრო ფრაზების გადმოსროლა იმის მაგიერ, რომ სისწორით და პირდაპირ დაახასიათონ სინამდვილე.

მაგრამ ვინ არ იცის, რომ ჩვენი შინამრეწველური სარეწების ეკონომიკის მთავარ ფორმას წარმოადგენს მსხვილი წარმოების საშინაო სისტემა? რომ შინამრეწველთა მასას წარმოებაში უპირავს სრულიადაც არა დამოუკიდებელი მდგომარეობა, არამედ სრულიად დამოკიდებული, დაქვემდებარებული მდგომარეობა, მუშაობს არა თავისი მასალით, არამედ ვაჭრისა, რომელიც შინამრეწველს მხოლოდ ხელფასს უხდის? ცნობები ამ ფორმის სიჭარბის შესახებ ხომ თვით ლეგალურ ლიტერატურაშიც მოჰყავდათ. დავიმოწმებ, მაგალითად, ცნობილი სტატისტიკოსის ს. ხარიზომენოვის ჩინებულ შრომას «იურიდიჩესკი ვესტნიკში»[48] (1883 წ., №№ 11 და 12). ს. ხარიზომენოვმა შეაჯამა ლიტერატურაში არსებული ცნობები ჩვენი შინამრეწველობის შესახებ ცენტრალურ გუბერნიებში, სადაც ის ყველაზე მეტად არის განვითარებული, და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ აქ უეჭველად სჭარბობს მსხვილი წარმოების საშინაო სისტემა, ე. ი. მრეწველობის უეჭველი კაპიტალისტური ფორმა. «დამოუკიდებელი წვრილი მრეწველობის ეკონომიური როლის განსაზღვრის დროს — ამბობს იგი — ჩვენ ასეთ დასკვნებამდე მივდივართ: მოსკოვის გუბერნიაში შინამრეწველობის წლიური ბრუნვის 86,5%-ს იძლევა მსხვილი წარმოების საშინაო სისტემა და მხოლოდ 13,5% ეკუთვნის წვრილ დამოუკიდებელ მრეწველობას. ვლადიმირის გუბერნიის ალექსანდროვის და პოკროვსკის მაზრებში შინამრეწველობის წლიური ბრუნვის 96% მოდის მსხვილი წარმოებისა და მანუფაქტურის საშინაო სისტემაზე, და მხოლოდ 4%-ს წვრილი დამოუკიდებელი მრეწველობა იძლევა».

რამდენადაც ვიცით, არავინ ცდილა უარეყო ეს ცნობები, და არც შეიძლება მათი უარყოფა. როგორ შეიძლება ამ ფაქტების გვერდის ავლა და მიჩქმალვა, ასეთი მრეწველობისათვის კაპიტალისტურის საწინააღმდეგოდ «ხალხურის» დარქმევა და ლაპარაკი, რომ მისგან ნამდვილი მრეწველობა შეიძლება განვითარდესო?

ფაქტების ასეთი პირდაპირი უგულვებელყოფა მხოლოდ ერთი რამით შეიძლება აიხსნას: «ხალხის მეგობრების», ისევე

როგორც ყველა რუსი ლიბერალის, საერთო ტენდენციით, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ისინი აფუჩჩებენ კლასთა ანტაგონიზმს და მშრომელთა ექსპლოატაციას რუსეთში და ყოველივე ამას მხოლოდ უბრალო «დეფექტებად» სახავენ. მაგრამ, შეიძლება, ამის მიზეზი კიდევ საგნის იმ ღრმა ცოდნაშიც იყოს, რასაც, მაგ., ბ-ნი კრივენკო იჩენს, როცა «პავლოვის დანის წარმოებას» — «ნახევრადხელოსნური ხასიათის წარმოებას» უწოდებს. პირდაპირ ფენომენალურია, რა ზომამდე ამახინჯებენ «ხალხის მეგობრები» საქმის ვითარებას! როგორ შეიძლება აქ ხელოსნურ ხასიათზე ლაპარაკი, როცა პავლოვის მედანეები ბაზრისთვის მუშაობენ და არა დაკვეთით? განა ბ-ნი კრივენკო ხელოსნობას არ აკუთვნებს ისეთ წესებს, როცა ვაჭარი ნაწარმს უკვეთს შინამრეწველს, რომ გაგზავნოს იგი ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობაზე? ეს უკვე მეტად სასაცილოა, მაგრამ, ალბათ, ეს ასეა. ნამდვილად კი დანის წარმოებამ ყველაზე ნაკლებ (პავლოვის სხვა წარმოებებთან შედარებით) შეინარჩუნა წვრილი შინამრეწველური ფორმა მწარმოებელთა (მოჩვენებითი) დამოუკიდებლობით: «სუფრისა და სახელოსნო დანის წარმოება* — ამბობს ნ. ფ. ანენსკი — უკვე საგრძნობად უახლოვდება საფაბრიკო ანუ, უფრო სწორად, მანუფაქტურულ წარმოებას»[49]. 396 შინამრეწველიდან, რომლებიც ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნიაში სუფრის დანაზე მუშაობენ — ბაზრისათვის მხოლოდ 62 (16%) მუშაობს, მეპატრონისათვის** — 273 (69%), ხოლო დაქირავებულ მუშად — 61 (15%). მაშასადამე, შინამრეწველთა მხოლოდ $^1/_6$ არ არის დამონებული პირდაპირ მეწარმის მიერ. რაც შეეხება დანის წარმოების სხვა დარგს — დასაკეცი დანის (ჯაყვის) წარმოებას, — იმავე ავტორის სიტყვით, — მას «შუალედი ადგილი უჭირავს სუფრის დანასა და ბოქლომს შორის: ოსტატების უმეტესი ნაწილი

* ყველა დანარჩენთაგან ყველაზე უფრო მსხვილი წარმოება, რომელიც იძლევა 900 ათასი მან. ნაწარმს, მაშინ როდესაც პავლოვის ნაწარმთა საერთო ჯამი 2 750 ათას მან. შეადგენს.

** ესე-იგი ვაჭრისათვის, რომელიც მასალას აწვდის შინამრეწველთ და ჩვეულებრივ ხელფასს აძლევს მათ მუშაობისათვის.

აქ უკვე მეპატრონისათვის მუშაობს, მაგრამ ამასთანავე არის კიდევ საკმაოდ ბევრი დამოუკიდებელი შინამრეწველი, რომელთაც ბაზართან აქვთ საქმე».

სულ ამგვარ დანაზე ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნიაში მუშაობს 2 552 შინამრეწველი, რომელთაგან ბაზრისათვის მუშაობს 48% (1 236), მეპატრონისათვის — 42% (1 058), ხოლო დაქირავებულ მუშებად — 10% (258). მაშასადამე, აქაც დამოუკიდებელი (?) შინამრეწველნი უმცირესობაში იმყოფებიან. და ისინიც, რა თქმა უნდა, ვინც ბაზრისათვის მუშაობენ, დამოუკიდებელნი არიან მხოლოდ გარეგნულად, ნამდვილად კი არანაკლებ არიან დამონებულნი შემსყიდველთა კაპიტალისადმი. თუ ავიღებთ ცნობებს ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნიის მთელი გორბატოვის მაზრის სარეწების შესახებ, სადაც სარეწებს 21 983 მუშაკი, ე. ი. ყველა არსებული მუშაკის* 84,5% მისდევს, მივიღებთ შემდეგ ცნობებს (ზუსტი ცნობები სარეწის ეკონომიკის შესახებ მოიპოვება მხოლოდ 10 808 მუშის შესახებ — ლითონის, ტყავის, სასარაჯო, სამთელავო, ქერელის ძაფსახვევ სარეწებში): შინამრეწველთა 35,6% ბაზრისათვის მუშაობს; 46,7% — მეპატრონისათვის და 17,7% — დაქირავებულია. ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ აქაც მსხვილი წარმოების საშინაო სისტემა სჭარბობს, სჭარბობს ისეთი ურთიერთობა, როცა შრომა დამონებულია კაპიტალის მიერ.

თუ «ხალხის მეგობრები» ასე ადვილად უხვევენ გვერდს ამგვარ ფაქტებს, ეს იმიტომაც ხდება, რომ მათი გაგება კაპიტალიზმისა არ გასცილებია ჩვეულებრივ ვულგარულ წარმოდგენებს — კაპიტალისტი=მდიდარი და განათლებული მეწარმე, რომელიც მსხვილ სამანქანო მეურნეობას უძღვება —

* თვითმყოფი რუსი ეკონომისტები რუსეთის კაპიტალიზმს ზომავენ ფაბრიკის მუშების რიცხვით (sic!) და მოურიდებლად აკუთვნებენ ამ მუშებს და მრავალ მათს მსგავსთ იმ მოსახლეობას, რომელიც სოფლის მეურნეობას ეწევა და განიცდის არა ჩაგვრას კაპიტალის მხრით, არამედ ხელოვნურ დაწოლას «სახალხო წყობილებაზე» (???!!).

და არ სურთ შეიგნონ ამ ცნების მეცნიერული შინაარსი. ჩვენ წინა თავში დავინახეთ, თუ ბ-ნი იუჟაკოვი კაპიტალიზმს პირდაპირ მანქანური ინდუსტრიიდან როგორ იწყებდა და გვერდს უვლიდა მარტივ კოოპერაციას და მანუფაქტურას. ეს საყოველთაოდ გავრცელებული შეცდომაა, რომელსაც, სხვათა შორის, შედეგად მოსდევს ისიც, რომ უგულვებელჰყოფენ ჩვენი შინამრეწველური სარეწების კაპიტალისტურ ორგანიზაციას.

რასაკვირველია, მსხვილი წარმოების საშინაო სისტემა მრეწველობის კაპიტალისტური ფორმაა: ჩვენ აქ გვაქვს ყველა მისი თვისება — სასაქონლო მეურნეობა განვითარების უმაღლეს საფეხურზე, წარმოების საშუალებათა კონცენტრაცია ცალკეულ პირთა ხელში, ექსპროპრიაცია მუშათა მასისა, რომელთაც არა აქვთ წარმოების საკუთარი საშუალებანი და ამიტომ შრომას ეწევიან სხვისი წარმოების საშუალებებით, მუშაობენ არა თავისთვის, არამედ კაპიტალისტისათვის. ცხადია, სარეწის ორგანიზაციის მხრივ ეს — წმინდა კაპიტალიზმია: მსხვილ მანქანურ ინდუსტრიასთან შედარებით მის თავისებურებას წარმოადგენს ტექნიკური ჩამორჩენილობა (აიხსნება უმთავრესად აღმაშფოთებლად დაბალი ხელფასით) და მუშების მიერ პაწაწა მიწის მეურნეობის შენარჩუნება. ეს უკანასკნელი გარემოება განსაკუთრებით აღონებს «ხალხის მეგობრებს», რომლებიც, როგორც ჰეშმარიტ მეტაფიზიკოსებს შეეფარება, შეჩვეული არიან მარტო უშუალო წინააღმდეგობებით აზროვნებას: «ჰო, ჰო — არა, არა, ხოლო დანარჩენი ეშმაკეულისაგან არის».

უმიწაწყლო მუშების არსებობისას — კაპიტალიზმია; მიწას ჰფლობენ — კაპიტალიზმი აღარ არის; და ისინი კმაყოფილდებიან ამ დამამშვიდებელი ფილოსოფიით, — მხედველობიდან უშვებენ მეურნეობის მთელ საზოგადოებრივ ორგანიზაციას, ივიწყებენ იმ საყოველთაოდ ცნობილ ფაქტს, რომ მიწის მფლობელობა სრულიადაც არ სპობს პირუტყვულ სიღატაკეს ამ მიწათმფლობელებისას, რომელთაც ყოვლად უსირცხვილოდ ძარცვავენ სხვა ასეთივე მიწათმფლობელები — «გლეხები».

მათ, მგონია, არც კი იციან, რომ კაპიტალიზმმა — თავისი განვითარების შედარებით დაბალ საფეხურებზე — ვერსად ვერ შესძლო მუშის სრულიად მოწყვეტა მიწისაგან. დასავლეთ ევროპისათვის მარქსმა ის კანონი დაადგინა, რომ მხოლოდ მსხვილი მანქანური ინდუსტრია ახდენს მუშის საბოლოო ექსპროპრიაციას. ამიტომ გასაგებია, რომ მოარული მსჯელობანი ჩვენში კაპიტალიზმის არარსებობის შესახებ, რასაც იმით ასაბუთებენ, რომ «ხალხს მიწა აქვსო», — მოკლებულია ყოველივე აზრს, რადგან მარტივი კოოპერაციისა და მანუფაქტურის კაპიტალიზმი არასოდეს და არსად დაკავშირებული არ ყოფილა მიწისაგან მუშაკის სრულ მოწყვეტასთან, მაგრამ, რასაკვირველია, კაპიტალიზმი მაინც კაპიტალიზმად რჩებოდა.

რაც შეეხება მსხვილ მანქანურ ინდუსტრიას რუსეთში — ამ ფორმას კი სწრაფად ღებულობენ ჩვენი მრეწველობის ყველაზე მსხვილი და მნიშვნელოვანი დარგები, — ჩვენშიც, მთელი ჩვენი თავისებურების მიუხედავად, ამ ინდუსტრიას ისეთივე თვისება აქვს, როგორიც მთელს დანარჩენ კაპიტალისტურ დასავლეთში, ის აბსოლუტურად ველარ ურიგდება მუშის კავშირს მიწასთან. ეს ფაქტი, სხვათა შორის, დაამტკიცა დემენტიევმა[50] ზუსტი სტატისტიკური ცნობებით, საიდანაც მან (სრულიად დამოუკიდებლად მარქსისაგან) ის დასკვნა გამოიყვანა, რომ მექანიკური წარმოება მჭიდროდ დაკავშირებულია მიწისაგან მუშაკის სრულ გათიშვასთან. ამ გამოკვლევამ ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ რუსეთი კაპიტალისტური ქვეყანაა, რომ აქ მშრომელის კავშირი მიწასთან ისე სუსტია და მოჩვენებითი ხასიათისაა, შეძლებულის (ფულის პატრონის, შემსყიდველის, ბობოლა გლეხის, მანუფაქტურისტის და სხვ.) ძლიერება ისე მტკიცეა, რომ საკმარისია კიდევ ტექნიკის ერთი ნაბიჯი — და «გლეხი» (?? რომელიც უკვე დიდი ხანია თავისი სამუშაო ძალის გაყიდვით ცხოვრობს) წმინდა მუშად იქცევა*. მაგრამ ამით სრულებითაც არ ამოიწურება «ხალხის მეგობრების» მიერ ჩვენი შინამრეწველობის ეკონომიური

* მსხვილი წარმოების საშინაო სისტემა არა მარტო კაპიტალისტური სისტემაა, არამედ აგრეთვე უცუდესი კაპიტალისტური სისტემაც, რომე-

ორგანიზაციის უცოდინარობა. მათი წარმოდგენა იმ სარეწებზედაც კი, სადაც მუშაობა «პატრონისათვის» არ სწარმოებს, ისევე ზერელეა, როგორც წარმოდგენა მიწათმოქმედზე (რაც ჩვენ ზევით უკვე დავინახეთ). თუმცა ეს სრულიად ბუნებრივიც არის, როცა პოლიტიკურ-ეკონომიური საკითხების გარჩევას კისრულობენ ისეთი ვაჟბატონები, რომელთაც, როგორც სჩანს, არაფერი გაეგებათ, გარდა იმისა, რომ ქვეყანაზე არსებობს წარმოების საშუალებანი, რომელნიც «შეიძლება» მშრომელებს დაუკავშირდნენ — ეს ძალიან კარგიაო; «შეიძლება» მათ კიდევაც გამოეთიშონ — ეს ძალიან ცუდიაო. ამ ცოდნით შორს ვერ წახვალ.

როცა ბ-ნი კრივენკო იმ სარეწებზე მსჯელობს, რომელთა კაპიტალიზაცია ხდება ან არ ხდება (სადაც «თავისუფლად შეიძლება წვრილი წარმოება არსებობდეს»), ის, სხვათა შორის, აღნიშნავს, რომ ზოგიერთ წარმოებაში «წარმოების ძირითადი ხარჯები» მეტად უმნიშვნელოა და ამიტომ შესაძლებელია იქ წვრილი წარმოების არსებობაო. მაგალითისათვის მას მოჰყავს აგურის წარმოება, სადაც დანახარჯთა ღირებულება შეიძლება 15-ჯერ ნაკლები იყოს ქარხნების წლიური ბრუნვის მიმართო.

რადგან ეს ავტორის თითქმის ერთადერთი ფაქტიური მითითებაა (ვიმეორებ, სუბიექტური სოციოლოგიისათვის ყველაზე მეტად დამახასიათებელია ის გარემოება, რომ მას ეშინია პირდაპირ და ზუსტად დაახასიათოს სინამდვილე და ანალიზი გაუკეთოს მას, — ამჯობინებს მეშჩანობის... «იდეალების» სფეროში ნავარდს), — ჩვენც მას მივმართავთ, რათა გამოვაამჟკარაოთ, რამდენად შემცდარია «ხალხის მეგობრების» წარმოდგენა სინამდვილეზე.

აგურის სარეწის აღწერილობა (აგურის გაკეთება თეთრი თიხისაგან) გვაქვს მოსკოვის ერობის სამეურნეო სტატისტიკაში («კრებული», ტ. VII, ნაკვ. I, ნაწ. 2 და შემდ.). ეს სარეწი უმთავრესად თავმოყრილია ბოგოროდსკის მაზრის სამ თემში,

---

ლიც მშრომელის უმძაფრეს ექსპლოატაციას აერთებს მუშის უმცირეს შესაძლებლობასთან — ბრძოლა აწარმოოს თავისი განთავისუფლებისათვის.

სადაც 233 საწარმოა 1 402 მუშით (567 ოჯახის მუშა* = 41%, და 835 დაქირავებული — 59%) და წლიური წარმოების ჯამი 357 000 მანეთს უდრის. ეს სარეწი დიდი ხანია წარმოიშვა, მაგრამ განსაკუთრებით განვითარდა უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში, რკინიგზის გაყვანის წყალობით, რამაც დიდად გააადვილა გასაღება. რკინიგზის გაყვანამდე უმთავრეს როლს ასრულებდა წარმოების საშინაო ფორმა, რომელიც ახლა ასპარეზს უთმობს დაქირავებული შრომის ექსპლოატაციას. არც ეს სარეწია თავისუფალი წვრილი მრეწველების დამოკიდებულებისაგან მსხვილთაგან გასაღების საქმეში: «ფულადი სახსრების ნაკლებობის» გამო პირველნი უკანასკნელთ ადგილობრივ მიჰყიდიან ხოლმე აგურს (ხანდახან «ნედლს» — გამოუწვავს) საშინლად დაწეულ ფასებში.

მაგრამ ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს ამ დამოკიდებულების გარეშეც გავეცნოთ სარეწის ორგანიზაციას ნარკვევისადმი თანდართული შინამრეწველთა საკომლო აღწერის მიხედვით, — სადაც აღნიშნულია მუშათა რიცხვი და წლიური წარმოების ჯამი თვითეული საწარმოსათვის.

იმის გამოსარკვევად, ვრცელდება თუ არა ამ სარეწზე ის კანონი, რომ სასაქონლო მეურნეობა კაპიტალისტური მეურნეობაა, ე. ი. აუცილებლად კაპიტალისტურად იქცევა განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე, საწარმოები უნდა შევადაროთ მათი სიდიდის მიხედვით: საკითხი სწორედ იმაშია, თუ რა ურთიერთდამოკიდებულება არსებობს წვრილ და მსხვილ საწარმოებს შორის წარმოებაში მათი როლისა და დაქირავებული შრომის ექსპლოატაციის მხრივ. საფუძვლად მუშების რიცხვს ვიღებთ და შინამრეწველთა საწარმოებს სამ ჯგუფად ვყოფთ: I) საწარმოები, რომელთაც 1 — 5 მუშამდე ჰყავთ (ოჯახისანნი და დაქირავებულნი ერთად); II) რომელთაც 6—10 მუშამდე ჰყავთ და III) რომელთაც 10 მუშაზე მეტი ჰყავთ.

---

* «ოჯახის» მუშებად, წინააღმდეგ დაქირავებულებისა, იგულისხმებიან მეპატრონეთა ოჯახების მომუშავე წევრები.

საწარმოთა სიდიდისა, მუშათა შემადგენლობისა და თვითეული ჯგუფის წარმოების ჯამის მიხედვით შემდეგ სურათს ვღებულობთ:

შინამრეწველთა ჯგუფები მუშების რიცხვის მიხედვით	მუშების საშუალო რიცხვი 1 საწარმოზე	პროც. საწარმოებისა და ქირავ. მუშებით	პროც. საწარმოებისა და დაქირავ. მუშებისა	წლიური წარმოება 1 მუშისა	პროცენტ. განაწილ. საწარმოებისა	პროცენტ. განაწილ. მუშებისა	პროცენტ. განაწილ. წარმოების ჯამისა	აბსოლუტური ციფრები საწარმოთა რიცხვი *	აბსოლუტური ციფრები მუშების რიცხვი	აბსოლუტური ციფრები წარმოების ჯამი (მან.)
I. 1 — 5 მუშ.	2,8	25	19	251	72	34	34	167/43	476/92	119 500
II. 6 — 10 »	7,3	90	58	249	18	23	22	43/39	317/186	79 000
III. 10-ზე მეტი მ.	26,4	100	91	260	10	43	44	23/23	609/557	158 500
სულ	6	45	59	254	100	100	100	233/105	1 402/835	357 000

დაუკვირდით ამ ცხრილს და თქვენ დაინახავთ სარეწის ბურჟუაზიულ ანუ, რაც იგივეა, კაპიტალისტურ ორგანიზაციას: იმისდა მიხედვით, რაც უფრო მსხვილი ხდება საწარმოები, იზრდება შრომის ნაყოფიერება** (საშუალო ჯგუფი გამონაკლისს წარმოადგენს), ძლიერდება დაქირავებული შრომის ექსპლოატაცია***, მატულობს წარმოების კონცენტრაცია****.

---

* მნიშვნელი ნიშნავს დაქირავებული მუშების მყოლ საწარმოთა რიცხვს და დაქირავებული მუშების რიცხვს. — იგივეა შემდეგ ცხრილშიც.

** ერთი მუშა წელიწადში I ჯგუფში აწარმოებს 251 მან.; II-ში — 249 მან.; III-ში — 260 მან.

*** იმ საწარმოთა პროცენტი, რომელთაც დაქირავებული მუშები ჰყავთ, I ჯგუფში — 25%; II-ში — 90% და III-ში — 100%; დაქირავებულ მუშათა პროცენტი — 19% — 58% — 91%.

**** I ჯგუფში 72% საწარმოზე მოდის 34% წარმოებისა; II ჯგუფში 18%-ზე — 22%; III ჯგუფში 10%-ზე — 44%.

მესამე ჯგუფს, რომელიც თავის მეურნეობას თითქმის საესებით დაქირავებულ შრომაზე აფუძნებს, ხელში უჭირავს — საწარმოთა მთელი რიცხვის 10%-ის დროს — წარმოების საერთო ჯამის 44%.

წარმოების საშუალებათა ეს კონცენტრაცია უმცირესობის ხელში, რაც უმრავლესობის (დაქირავებული მუშები) ექსპროპრიაციასთან არის დაკავშირებული, გვიხსნის როგორც წვრილი მწარმოებლების დამოკიდებულებას შემსყიდველებისაგან (მსხვილი მრეწველები არიან სწორედ შემსყიდველები), ისე შრომის დაჩაგვრას ამ სარეწში. მაშასადამე, ჩვენ ვხედავთ, რომ მშრომელის ექსპროპრიაციისა და ექსპლოატაციის მიზეზი თვით წარმოებითს ურთიერთობაშია.

რუსი სოციალისტ-ნაროდნიკები, როგორც ცნობილია, საწინააღმდეგო შეხედულებისა იყვნენ: შინამრეწველურ სარეწებში შრომის დაჩაგვრის მიზეზს ისინი ხედავდნენ არა წარმოებითს ურთიერთობაში (რომელსაც აცხადებდნენ ისეთ საფუძველზე დამყარებულ ურთიერთობად, რაც გამორიცხავს ექსპლოატაციას), არამედ მის გარეშე — პოლიტიკაში, სახელდობრ აგრარულ, საგადასახადო პოლიტიკაში და სხვ. საკითხავია, რაზე იყო დაყრდნობილი და რაზეა დაყრდნობილი ეს შეხედულება, რომელმაც ახლა უკვე თითქმის ცრურწმენის სიმტკიცე მოიპოვა? იმაზე ხომ არა, რომ გაბატონებული იყო სხვაგვარი წარმოდგენა წარმოებითს ურთიერთობებზე შინამრეწველურ სარეწებში? სრულიადაც არა. ეს შეხედულება სძლებს მხოლოდ იმიტომ, რომ არ არსებობდა არავითარი ცდა — ზუსტად და გარკვეულად დაეხასიათებინათ ეკონომიური ორგანიზაციის არსებული, ნამდვილი ფორმები; ის სძლებს მხოლოდ იმიტომ, რომ ცალკე არ გამოჰყოფენ წარმოებითს ურთიერთობებს და დამოუკიდებელ ანალიზს არ უკეთებენ მათ. ერთი სიტყვით, ეს შეხედულება სძლებს მხოლოდ საზოგადოებრივი მეცნიერების ერთადერთი მეცნიერული მეთოდის, სახელდობრ — მატერიალისტური მეთოდის უცოდინარობის გამო. ახლა გასაგებია ჩვენი ძველი სოციალისტების მსჯელობათა მსვლელობაც. შინამრეწველური სარეწების მიმართ

ექსპლოატაციის მიზეზს ისინი წარმოებით ურთიერთობათა გ ა-
რ ე შ ე არსებულ მოვლენებში ეძებენ; მსხვილი, საფაბრიკო-
საქარხნო კაპიტალიზმის მიმართ მათ არ შეეძლოთ არ დაენა-
ხათ, რომ ი ქ ექსპლოატაციის მიზეზი სწორედ წარმოებითს
ურთიერთობებშია. იქმნებოდა შეურიგებელი წინააღმდეგობა,
შეუსაბამობა, გაუგებარი ხდებოდა, საიდან შეიძლებოდა წარ-
მოშობილიყო ეს მსხვილი კაპიტალიზმი, — როცა შინამრეწვე-
ლური სარეწების წარმოებითს ურთიერთობებში (რომლებიც
არც კი განხილულა!) არაფერია კაპიტალისტური. დასკვნა ბუ-
ნებრივია: არ ესმოდათ რა შინამრეწველობისა და კაპიტალის-
ტური მრეწველობის ურთიერთკავშირი, პირველს უპირისპი-
რებდნენ მეორეს, როგორც «ხალხურს» — და «ხელოვნურს».
ჩნდება იდეა ჩვენი «სახალხო წყობილებისადმი» კაპიტალიზმის
წინააღმდეგობისა, — იდეა, რომელიც ასე ფართოდ არის გა-
ვრცელებული და რომელიც ამასწინათ რუსეთის საზოგადოებას
შესთავაზა ბ-მა ნიკოლაი —ონმა განახლებული და გაუმჯობესე-
ბული სახით. ეს იდეა ემყარება მხოლოდ რუტინას, — მიუხე-
დავად მისი ფენომენალური ულოგიკობისა: საფაბრიკო-საქარხ-
ნო კაპიტალიზმზე წარმოდგენას ჰქმნიან იმისდა მიხედვით, რაც
არის ის სინამდვილეში, შინამრეწველობაზე კი იმისდა მიხედ-
ვით, რაც იგი «შეიძლება იყოს», პირველზე — წარმოებით ურ-
თიერთობათა ანალიზის მიხედვით, — მეორეზე — ისე, რომ არც
კი ცდილობენ ცალკე განიხილონ წარმოებითი ურთიერთობანი
და პირდაპირ გადააქვთ საქმე პოლიტიკის დარგში. საკმაოა
მივმართოთ ამ წარმოებით ურთიერთობათა ანალიზს, და ჩვენ
დავინახავთ, რომ «სახალხო წყობილება» იმავე კაპიტალისტურ
წარმოებითს ურთიერთობას წარმოადგენს, თუმცა განუვითა-
რებელ, ჩანასახურ მდგომარეობაში, — რომ თუ უარვყოფთ
გულუბრყვილო ცრურწმენას — თითქოს ყველა შინამრეწველნი
თანასწორნი იყვნენ, და მათ შორის არსებულ განსხვავებას
ზუსტად გამოვხატავთ, — აღმოჩნდება, რომ განსხვავება ფაბ-
რიკისა და ქარხნის «კაპიტალისტსა» და «შინამრეწველს» შო-
რის ზოგჯერ ნაკლებია, ვიდრე ორ «შინამრეწველს» შორის
არსებული განსხვავება, — რომ კ ა პ ი ტ ა ლ ი ზ მ ი «ს ა ხ ა ლ ხ ო

წყობილების» წინააღმდეგობას კი არ წარმოადგენს, არამედ მის პირდაპირ, უახლოეს და უშუალო გაგრძელებას და განვითარებას.

თუმცა შეიძლება აღებული მაგალითი შეუფერებლად მიიჩნიონ? იქნებ სთქვან, რომ ამ შემთხვევაში საზოგადოდ მეტად დიდია * დაქირავებულ მუშათა პროცენტი? მაგრამ საქმე იმაშია, რომ აქ მნიშვნელოვანია სრულიადაც არა აბსოლუტური ციფრები, არამედ ურთიერთობანი, რომელთაც ისინი ააშკარავებენ, ურთიერთობანი, რომელნიც არსებითად ბურჟუაზიულია და ასეთებად რჩებიან ძლიერ გამოხატული ბურჟუაზიულობის დროსაც და სუსტად გამოხატული ბურჟუაზიულობის დროსაც.

თუ გნებავთ, ავიღებ მეორე მაგალითს — განგებ სუსტი ბურჟუაზიულობით — ავიღებ (ბ-ნ ისაევის წიგნიდან მოსკოვის გუბერნიის სარეწების შესახებ) მექოთნეობის სარეწს, «წმინდა ოჯახურ სარეწს», ბ-ნ პროფესორის სიტყვებით რომ ვთქვათ. ეს სარეწი, რა თქმა უნდა, შეიძლება წვრილი გლეხური სარეწების წარმომადგენლად ჩაითვალოს: ტექნიკა სრულიად მარტივია, მოწყობილობა სულ უმნიშვნელო, წარმოება იძლევა საყოველთაო და აუცილებელი მოთხოვნილების საგნებს. და აი, შინამრეწველთა კომლობრივი აღწერის მეოხებით, იმავე ცნობებით, როგორც წინა შემთხვევაში იყო, ჩვენ შეგვიძლია შევისწავლოთ ეკონომიური ორგანიზაცია ამ სარეწისაც, რომელიც უეჭველად უკვე სავსებით ტიპიურია რუსეთის უდიდესი რაოდენობის წვრილი, «სახალხო» სარეწებისთვის. შინამრეწველებს ვყოფთ ჯგუფებად: I) რომელთაც 1 — 3 მუშამდე ჰყავთ (ოჯახისანნი და დაქირავებულნი ერთად); II) რომელთაც 4 — 5 მუშა ჰყავთ; III) რომელთაც ჰყავთ 5 მუშაზე მეტი, — და მოგვყავს იგივე გაანგარიშება:

---

* საეჭვოა, ეს სწორი იყოს მოსკოვის გუბერნიის სარეწების მიმართ, მაგრამ დანარჩენი რუსეთის ნაკლებ განვითარებული სარეწების მიმართ, შეიძლება, სამართლიანიც იყოს.

შინამრეწველთა ჯგუფები მუშების რიცხვის მიხედვით	მუშების საშუალო რიცხვი 1 საწარმოზე	პროც. საწარმოებისა და ქირავ. მუშებით		წლიური წარმოება 1 მუშისა	პროცენტ. განაწილ. საწარმოებისა			აბსოლუტური ციფრები საწარმოთა რიცხვი		
						მუშებისა	წარმოების ჯამისა		მუშების რიცხვი	წარმოების ჯამი (მან.)
I. 1 — 3 მუშ.	2,4	39	19	468	60	38	36	72/28	174/33	81 500
II. 4 — 5 „	4,3	48	20	498	27	32	32	33/16	144/29	71 800
III. 5-ზე მეტი მ.	8,4	100	65	533	13	30	32	16/16	134,87	71 500
ს უ ლ	3,7	49	33	497	100	100	100	121/60	452/149	224 800

ცხადია, ურთიერთობანი ამ სარეწშიც — ასეთი მაგალითების მოყვანა კი, რამდენიც გნებავთ, იმდენის შეიძლება — ბურჟუაზიულია: ჩვენ ვხედავთ იმავე დაშლას სასაქონლო მეურნეობის ნიადაგზე, ამასთან ეს დაშლა სპეციფიკურად კაპიტალისტურია; მას მოსდევს დაქირავებული შრომის ექსპლოატაცია, რაც უკვე მთავარ როლს თამაშობს უმაღლეს ჯგუფში, რომლის ხელშიც ყველა საწარმოთა $^1/_8$ ნაწილისა და მუშების 30%-ის არსებობისას თავმოყრილია მთელი წარმოების თითქმის $^1/_3$, საშუალოსთან შედარებით საგრძნობლად მაღალი შრომის ნაყოფიერების დროს. უკვე მარტო ეს წარმოებითი ურთიერთობანი გვიხსნიან შემსყიდველთა გაჩენის ფაქტს და ძალას. ჩვენ ვხედავთ, რომ უმცირესობის ხელში, რომელსაც უფრო მსხვილი და უფრო შემოსავლიანი საწარმოები აქვს და «წმინდა» შემოსავალს ღებულობს სხვისი შრომიდან (მექოთნეების უმაღლეს ჯგუფში 1 საწარმოზე 5,5 დაქირავებული მუშა მოდის), — გროვდება «დანაზოგი», მაშინ როცა უმრავლესობა ღატაკდება, და თვით წვრილ მეპატრონეებს (დაქირავებულ მუშებზე რომ არაფერი ვთქვათ) აღარ ძალუძთ თავის გატანა. გასაგები და აუცილებელია, რომ უკანასკნელნი

პირველთა მონობაში ჩავარდებიან, — აუცილებელია სწორედ აღნიშნულ წარმოებით ურთიერთობათა კაპიტალისტური ხასიათის გამო. ეს ურთიერთობანი იმაში მდგომარეობს, რომ სასაქონლო მეურნეობის მიერ მოწყობილი საზოგადოებრივი შრომის პროდუქტი კერძო პირების ხელში ვარდება და მათ ხელში იქცევა მშრომელის ჩაგვრისა და დამონების იარაღად, მასების ექსპლოატაციის ხარჯზე პირადი გამდიდრების საშუალებად. და არ იფიქროთ, რომ ეს ექსპლოატაცია, ეს ჩაგვრა უფრო სუსტად გამოიხატება იმიტომ, რომ ურთიერთობათა ასეთი ხასიათი ჯერ კიდევ სუსტად არის განვითარებული, რომ კ ა პ ი ტ ა ლ ი ს დაგროვება, რაც მწარმოებელთა გაღატაკების პარალელურად მიმდინარეობს, უმნიშვნელოა. სრულიად პირიქით. ეს იწვევს მხოლოდ ექსპლოატაციის უფრო ტლანქ, ბატონყმურ ფორმებს, იწვევს იმას, რომ კაპიტალი, რომელსაც ჯერ კიდევ არ ძალუძს პირდაპირ დაიმორჩილოს მუშა მისი სამუშაო ძალის ღირებულების უბრალო შესყიდვით, მშრომელს მევახშური შევიწროების ქსელში აბამს, კულაკური ხერხებით იმორჩილებს, და ამის შედეგად ართმევს მას არა მარტო ზედირებულებას, არამედ ხელფასის უდიდეს ნაწილსაც, ამასთანავე გასაქანს არ აძლევს მას, შესაძლებლობას უსპობს, რომ «პატრონი» გამოიცვალოს, აბუჩად იგდებს მას, აიძულებს მოწყალებად მიიჩნიოს ის, რომ მას სამუშაოს «აძლევს» (sic!). — გასაგებია, რომ არცერთი მუშა არასოდეს არ დათანხმდებოდა თავისი მდგომარეობა გაეცვალა რუსი «დამოუკიდებელი» შინამრეწველის მდგომარეობაზე «ნამდვილ», «სახალხო» მრეწველობაში. გასაგებია აგრეთვე, რომ ყველა ღონისძიებანი, ამოჩემებული რუსი რადიკალების მიერ, ან სრულიად არ შეეხებიან მშრომელის ექსპლოატაციას და მის დამორჩილებას კაპიტალისადმი, დარჩებიან რა ერთეულ ექსპერიმენტებად (არტელები), ან გააუარესებენ მშრომელთა მდგომარეობას (ნადელების გაუსხვისებლობა), ანდა, ბოლოს, მხოლოდ გასწმენდენ, განავითარებენ და განამტკიცებენ არსებულ კაპიტალისტურ ურთიერთობას (ტექნიკის გაუმჯობესება, კრედიტები და სხვ.).

მაგრამ «ხალხის მეგობრები» ვერასოდეს ვერ შეიგნებენ იმას, რომ გლეხურ სარეწში, მთელი მისი სიმცირით, საწარმოთა შედარებით უმნიშვნელო მოცულობით და შრომის მეტად დაბალი ნაყოფიერებით, პირველყოფილი ტექნიკისა და დაქირავებულ მუშათა სიმცირის დროს, კ ა პ ი ტ ა ლ ი ზ მ ი არსებობდეს. მათ ვერასგზით ვერ გაუგიათ, რომ კ ა პ ი ტ ა ლ ი განსაზღვრული ურთიერთობაა ადამიანებს შორის, ურთიერთობა, რომელიც ასეთივე რჩება შესადარებელი კატეგორიების მეტი თუ ნაკლები განვითარების მიუხედავად. ბურჟუაზიულმა ეკონომისტებმა ვერასოდეს ვერ შეიგნეს ეს: ისინი მუდამ ეწინააღმდეგებოდნენ კაპიტალის ასეთ განსაზღვრას. მახსოვს, «რუსკაია მისლში» ერთს მათგანს, როცა ლაპარაკობდა ზიბერის წიგნზე (მარქსის თეორიის შესახებ), ეს განსაზღვრა მოჰყავდა (კაპიტალი — ურთიერთობაა), ის გაკვირვების ნიშნებს სვამდა და აღშფოთებული იყო.

ყველაზე უფრო დამახასიათებელი თვისება ბურჟუაზიული ფილოსოფოსებისა — ესაა ბურჟუაზიული რეჟიმის კატეგორიების მიჩნევა მუდმივ და ბუნებრივ კატეგორიებად; ამიტომ ისინი კაპიტალის დასახასიათებლადაც ისეთ განსაზღვრას მიმართავენ, როგორიცაა, მაგალითად, დაგროვილი შრომა, რომელიც შემდგომი წარმოებისათვის გამოიყენება, — ე. ი. განსაზღვრავენ მას როგორც ადამიანთა საზოგადოების მუდმივ კატეგორიას და ამრიგად აფუჩეჩებენ იმ განსაკუთრებულ, ისტორიულად განსაზღვრულ ეკონომიურ ფორმაციას, როცა ეს «დაგროვილი შრომა», სასაქონლო მეურნეობის მიერ მოწყობილი, იმის ხელში ვარდება, ვინც არ შრომობდა, და სხვისი შრომის ექსპლოატაციას ემსახურება. ამიტომაც არის, რომ წარმოებით ურთიერთობათა გარკვეული სისტემის ანალიზისა და შესწავლის მაგივრად ისინი მრავლად იძლევიან ყოველგვარი წყობილების მიმართ გამოსაყენებელ ბანალობას, მეშჩანური მორალის წყალწყალა სანტიმენტალობით შეზავებულს.

აი ახლა შეხედეთ, — რატომ უწოდებენ «ხალხის მეგობრები» ამ მრეწველობას «სახალხოს», რატომ უპირისპირებენ მას კაპიტალისტურს? მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ვაჟბატონები მეშჩა-

ნობის იდეოლოგები არიან და ვერც კი წარმოუდგენიათ, რომ ეს წვრილი მწარმოებლები ცხოვრობენ და მეურნეობას ეწევიან სასაქონლო მეურნეობის სისტემაში (ამიტომ ვუწოდებ მე მათ მეშჩანებს) და რომ მათი დამოკიდებულება ბაზრისადმი აუცილებლად და გარდუვალად ჰყოფს მათ ბურჟუაზიად და პროლეტარიატად. ერთი სცადეთ შეისწავლოთ ჩვენი «სახალხო» სარეწების ნამდვილი ორგანიზაცია, ნაცვლად იმისა, რომ ფრაზები წამოისროლოთ იმის შესახებ, რა «შეიძლება» მათგან გამოვიდეს, — და ჩვენ ვნახავდით, შესძლებდით თუ არა თქვენ გენახათ რუსეთში შინამრეწველობის ისეთი ცოტაოდენ მაინც განვითარებული დარგი, რომელიც კაპიტალისტურად არ იყოს მოწყობილი.

ხოლო თუ თქვენ არ გვეთანხმებით იმაში, რომ ამ ცნების აუცილებელ და საკმაო ნიშნებს წარმოადგენს წარმოების საშუალებათა მონოპოლიზაცია უმცირესობის ხელში, უმრავლესობის განთავისუფლება მათგან და დაქირავებული შრომის ექსპლოატაცია (უფრო ზოგადად რომ ვთქვათ, — კერძო პირების მიერ სასაქონლო მეურნეობით მოწესრიგებული საზოგადოებრივი შრომის პროდუქტის მითვისება, — აი რაშია კაპიტალიზმის არსი), — მაშინ გაისარჯეთ და მოგვეცით «საკუთარი» განსაზღვრა კაპიტალიზმისა და მისი «საკუთარი» ისტორია.

ნამდვილად ჩვენი შინამრეწველური «სახალხო» სარეწების ორგანიზაცია კაპიტალიზმის განვითარების საერთო ისტორიის საუცხოო ილუსტრაციას იძლევა. ის თვალსაჩინოდ გვიჩვენებს მის წარმოშობას, ჩანასახს, მაგალითად, მარტივი კოოპერაციის ფორმით (უმაღლესი ჯგუფი მექოთნეობის სარეწში), შემდეგ გვიჩვენებს, როგორ იქცევა კაპიტალად ცალკე პირების ხელში — სასაქონლო მეურნეობის მეოხებით — დაგროვილი «დანაზოგი», როგორ ხდება მისი საშუალებით ჯერ გასაღების მონოპოლიზაცია («შემსყიდველები» და ვაჭრები) იმის გამო, რომ მხოლოდ ამ «დანაზოგის» პატრონებს აქვთ საბითუმო ვაჭრობისათვის აუცილებელი სახსარი, რაც მათ საშუალებას აძლევს დაუცადონ საქონლის რეალიზაციას შორეულ ბაზრებზე; როგორ იმორჩილებს შემდეგ ეს სავაჭრო კაპიტალი მწარმოებელთა

მასას და აწყობს კაპიტალისტურ მანუფაქტურას, მსხვილი წარმოების კაპიტალისტურ საშინაო სისტემას; როგორ იწვევს, ბოლოს, ბაზრის გაფართოება, კონკურენციის გაძლიერება ტექნიკის განვითარებას, როგორ იქცევა ეს სავაჭრო კაპიტალი ინდუსტრიულ კაპიტალად და აწყობს მსხვილ მანქანურ წარმოებას. და როცა ეს კაპიტალი მაგრდება, მილიონობით მშრომელებს, მთელ რაიონებს იმონებს და უკვე იწყებს მთავრობაზე პირდაპირ და მოურიდებლად ზეგავლენის მოხდენას, თავის ლაქიად ხდის მას, — მაშინ ჩვენი გონებამახვილი «ხალხის მეგობრები» გოდებას იწყებენ «კაპიტალიზმის დანერგვისა» და «ხელოვნურად შექმნის» შესახებ!

მართლაც რომ თავის დროზე მიხვდნენ!

ამრიგად, ბ-ნი კრივენკო თავისი ფრაზებით ხალხური, ნამდვილი, სწორი და სხვ. მრეწველობის შესახებ უბრალოდ შეეცადა მიეჩქმალა ის ფაქტი, რომ ჩვენი შინამრეწველური სარეწები იმავე კაპიტალიზმს წარმოადგენენ მისი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე. ამ ხერხებს ჩვენ საკმაოდ გავეცანით უკვე ბ-ნ იუჟაკოვთან, რომელიც საგლეხო რეფორმის შესწავლის მაგიერ — ლაპარაკობდა ფრაზებს ღირსშესანიშნავი მანიფესტის ძირითადი მიზნის შესახებ და სხვ.; იჯარის შესწავლის მაგიერ — ხალხურს უწოდებდა მას, იმის შესწავლის მაგიერ, თუ როგორ იქმნება კაპიტალიზმის შინაური ბაზარი — ფილოსოფოსობდა მის აუცილებელ დაღუპვაზე ბაზრების უქონლობის გამო, და სხვ.

იმის გამოსააშკარავებლად, თუ რამდენად ამახინჯებენ ფაქტებს ბბ. «ხალხის მეგობრები», კიდევ ერთ მაგალითზე შევჩერდები *. ჩვენი სუბიექტური ფილოსოფოსები ისე იშვიათად

* თუმცა ეს მაგალითი შეეხება გლეხობის დაშლას, რის შესახებაც უკვე ბევრია თქმული, მაგრამ მე აუცილებლად ვთვლი მ ა თ ი ს ა კ უ თ ა რ ი ც ნ ო ბ ე ბ ი გავარჩიო, რათა თვალნათლივ გამოვააშკარაო, რა თავხედური ტყუილია იმის თქმა, თითქოს სოციალ-დემოკრატებს სინამდვილე კი არ აინტერესებდეთ, არამედ «მომავლის განჭვრეტა», და როგორ შარლატნურად იქცევიან «ხალხის მეგობრები», როცა ჩვენთან კამათის დროს გვერდს უვლიან ჩვენს შეხედულებათა არსს და უაზრო ფრაზებით კმაყოფილდებიან.

გვიძღვნიან სწორ მითითებებს ფაქტებზე, რომ უსამართლობა იქნებოდა გვერდი აგვეხვია ერთ-ერთი ამ, მათთვის ყველაზე ზუსტი, მითითებისთვის, — სახელდობრ ბ-ნ კრივენკოს (1894 წ. № 1) მითითებისთვის ვორონეჟის გლეხურ ბიუჯეტებზე. ჩვენ აქ შეგვიძლია, მათ მიერვე არჩეული ცნობების მაგალითზე, აშკარად დავრწმუნდეთ, სინამდვილეზე ვისი წარმოდგენაა უფრო მართებული — რუსი რადიკალებისა და «ხალხის მეგობრებისა», თუ რუსი სოციალ-დემოკრატებისა.

ვორონეჟის ერობის სტატისტიკოსი, ბ-ნი შჩერბინა, ოსტროგოჟსკის მაზრის გლეხური მეურნეობის აღწერის დამატებაში იძლევა ტიპიურ გლეხურ მეურნეობათა 24 ბიუჯეტს და ტექსტში ამუშავებს მათ *.

ბ-მა კრივენკომ უცვლელად გადმოიღო ეს დამუშავებული მასალა, მაგრამ ვერ დაინახა, ან, უკეთ, არ მოისურვა დაენახა, რომ ამ დამუშავების მეთოდები სრულიად უვარგისია იმისათვის, რომ წარმოდგენა ვიქონიოთ ჩვენი მიწათმოქმედ-გლეხების ეკონომიკაზე. საქმე ისაა, რომ ეს 24 ბიუჯეტი აღწერს სრულიად სხვადასხვაგვარ მეურნეობებს — შეძლებულებსაც, საშუალოთაც, ღარიბებსაც, რაზედაც მიუთითებს თვით ბ-ნი კრივენკოც (გვ. 159), მაგრამ ამასთანავე ის, ბ-ნ შჩერბინას მსგავსად, სარგებლობს მხოლოდ ს ა შ უ ა ლ ო ციფრებით, რომელნიც მეურნეთა სულ სხვადასხვა ტიპს აერთებენ, და ამრიგად სრულიად ჰფარავს მათს დაშლას. ჩვენი წვრილი მწარმოებლის დაშლა კი ისეთი საყოველთაო, ისეთი დიდი ფაქტია (რომელსაც დიდი ხანია რუსი სოციალისტების ყურადღებას აქცევენ სოციალ-დემოკრატები. იხ. პლეხანოვის თხზულებანი), რომ ის სავსებით აშკარად იხატება ისეთ მცირერიცხოვან ცნობებშიც კი, ბ-მა კრივენკომ რომ აირჩია. იმის მაგივრად, რომ, როცა გლეხების მ ე უ რ ნ ე ო ბ ა ზ ე ლაპარაკობს, დაჰყოს ისინი თანრიგებად მათი მეურნეობის სიდიდისა

* «კრებული სტატისტიკური ცნობებისა ვორონეჟის გუბ. შესახებ». ტომი II, ნაკვ. II. გლეხური მეურნეობა ოსტროგოჟსკის მაზრაში. ვორონეჟი. 1887. — თვით ბიუჯეტები დამატებებშია, გვ. 42 — 49. დამუშავება— XVIII თავში: «გლეხურ მეურნეობათა შემადგენლობა და ბიუჯეტები».

და მეურნეობის წარმოების ტიპის მიხედვით, — ბ-ნი კრივენკო ბ-ნ შჩერბინასავით მათ ჰყოფს იურიდიულ თანრიგებად — ყოფილ სახელმწიფო და ყოფილ საბატონო გლეხებად, ამასთან მთელ ყურადღებას აქცევს პირველთა მეტს შეძლებულობას უკანასკნელებთან შედარებით, და სრულიად უშვებს მხედველობიდან, რომ განსხვავება გლეხებს შორის თვით ამ თანრიგებში გაცილებით მეტია, ვიდრე განსხვავება თანრიგებს შორის *. ეს რომ დავამტკიცო, ამ 24 ბიუჯეტს სამ ჯგუფად ვყოფ: ა) განსაკუთრებით გამოვყოფ 6 შეძლებულ გლეხს, შემდეგ ბ) 11 საშუალო შეძლების მქონეს (№№ 7—10, 16 — 22 შჩერბინას ცხრილში) და გ) 7 ღარიბს (№№ 11—15, 23 — 24 ბიუჯეტებს შჩერბინას ცხრილში). ბ-ნი კრივენკო, მაგალითად, ამბობს, რომ ყოფილი სახელმწიფო გლეხების ხარჯები 1 მეურნეობაზე შეადგენს 541,3 მან., ხოლო ყოფილი საბატონო გლეხებისა — 417,7 მან. ამასთან იგი უყურადღებოდ სტოვებს იმას, რომ ეს ხარჯები ყველა გლეხისთვის ერთნაირი როდია: ყოფილ სახელმწიფო გლეხებში არის, მაგალ., გლეხი, რომლის ხარჯები 84,7 მან. შეადგენს, და ისეთიც, რომლის ხარჯები ათჯერ მეტია — 887,4 მანეთი (რომ კიდეც გამოვტოვოთ გერმანელი კოლონისტი, რომლის ხარჯები 1 456,2 მან. უდრის). რა აზრი შეიძლება ჰქონდეს ასეთ ოდენობათა შეერთებიდან გამოყვანილ საშუალო ციფრს? თუ ავიღებთ ჩემს მიერ მოყვანილ დაყოფას თანრიგებად, მივიღებთ, რომ შეძლებული გლეხის ხარჯი 1 მეურნეობაზე საშუალოდ 855,86 მან. შეადგენს, საშუალო გლეხისა — 471,61 მან., ღარიბისა კი — 223,78 მან.**.

* უეჭველია, მეურნეობა იმ გლეხისა, რომელიც მხოლოდდამხოლოდ თავისი სამიწათმოქმედო მეურნეობით ცხოვრობს და მოჯამაგირე ჰყავს, — ტიპის მიხედვით განსხვავდება ისეთი გლეხის მეურნეობისაგან, რომელიც მოჯამაგირედ არის და მოჯამაგირეობით შემოსავლის $^3/_4$-ს ღებულობს. ამ 24 მეურნის რიცხვში კი შედიან ერთნიც და მეორენიც. თვით განსაჯეთ, რა «მეცნიერება» იქნება ეს, თუ მოჯამაგირეებს შევუერთებთ იმ მეპატრონეებს, რომელთაც მოჯამაგირეები ჰყავთ, და საერთო საშუალო ციფრებით ვიხელმძღვანელებთ!

** რყევა საშუალო ოჯახის სიდიდეში ბევრად ნაკლებია: ა) 7,83, ბ) 8,36, გ) 5,28 კაცი ერთ ოჯახზე.

განსხვავება დაახლოებით გამოიხატება შეფარდებით: 4 : 2 : 1.

გავყვეთ ქვევით. ბ-ნ კრივენკოს, შჩერბინას კვალდაკვალ, მოჰყავს პირადი მოთხოვნილებისათვის გაწეული ხარჯების სიდიდე გლეხობის სხვადასხვა იურიდიულ თანრიგში: მაგ., ყოფილი სახელმწიფო გლეხების ხარჯი მცენარეულ საჭმელზე წელიწადში 1 მჭამელზე შეადგენს — 13,4 მან., ხოლო ყოფილი საბატონოებისა — 12,2 მან. ამავე დროს კი ეკონომიური თანრიგების მიხედვით ციფრები გვაძლევს: ა) 17,7; ბ) 14,5 და გ) 13,1. ხორცეულისა და რძის საჭმლის ხარჯი 1 მჭამელზე — ყოფილი საბატონო გლეხებისა — 5,2 მან.; ყოფილი სახელმწიფო გლეხებისა — 7,7 მან. თანრიგების მიხედვით: 11,7 — 5,8 — 3,6. ცხადია, ანგარიში იურიდიული თანრიგების მიხედვით მხოლოდ ჰფარავს უდიდეს განსხვავებას და მეტი არაფერი. ცხადია, ამიტომ, რომ იგი არაფრად არ ვარგა. ყოფილი სახელმწიფო გლეხების შემოსავალი უფრო მეტია, ვიდრე ყოფილი საბატონო გლეხებისა, 53,7 %-ითო — ამბობს ბ-ნი კრივენკო: საერთო საშუალოა 539 მან. (24 ბიუჯეტიდან), ამ თანრიგების მიხედვით კი — 600 მანეთზე მეტი და დაახლოებით 400 მ. ამავე დროს შეძლებულობის მიხედვით შემოსავალი ასეთია: ა) 1 053,2 მ.; ბ) 473,8 მ.; გ) 202,4 მ., — ე. ი. რყევა 3 : 2-ის ფარგლებში კი არ არის, არამედ 10 : 2-ისა.

«ყოფილი სახელმწიფო გლეხების მეურნეობათა კაპიტალური ღირებულება 1 060 მ. შეადგენს, ყოფილი საბატონო გლეხებისა კი — 635 მ.», ამბობს ბ-ნი კრივენკო. თანრიგების* მიხედვით კი: ა) 1 737,91 მ.; ბ) 786,42 მ. და გ) 363,38 მ. — რყევა კვლავ 3 : 2-ის ფარგლებში კი არ არის, არამედ 10 : 2-ის ფარგლებში. ავტორმა «გლეხობის» იურიდიულ თანრიგებად დაყოფით ყოველგვარი შესაძლებლობა მოისპო ამ «გლეხობის» ეკონომიკის შესახებ სწორი წარმოდგენის შემუშავებისა.

---

* განსხვავება განსაკუთრებით დიდია ინვენტარით უზრუნველყოფის მხრივ: საშუალოდ ინვენტარის ღირებულება 1 მეურნეობაზე 54,83 მ. უდრის. მაგრამ შეძლებულთა ინვენტარი ორჯერ მეტია — 111,80 მ., ღარიბთა კი სამჯერ ნაკლები — 16,04 მ., საშუალოთა — 48,44 მანეთი.

თუ ჩვენ სხვადასხვა ტიპის გლეხების მეურნეობას შეძლებულობის თვალსაზრისით შევხედავთ, დავინახავთ, რომ შეძლებულ ოჯახებს საშუალოდ შემოსავალი აქვთ 1 053,2 მან. და გასავალი 855,86 მან., ე. ი. წმინდა შემოსავალი 197,34 მან. საშუალო ოჯახს შემოსავალი აქვს 473,8 მან., გასავალი — 471,61 მან. — ე. ი. წმინდა შემოსავალი 2,19 მ. მეურნეობაზე (ეს კრედიტისა და დარჩენილი გადასახადების ჩაუთვლელად) — ცხადია, მას ძლივს გააქვს თავი: 11 მეურნეობიდან 5-ს დეფიციტი აქვს. დაბალი, ღარიბი ჯგუფის მეურნეობა პირდაპირ საზარალოა: 202,4 მ. შემოსავლის დროს გასავალია 223,78 მ., ე. ი. დეფიციტი 21,38 მანეთია*. ცხადია, თუ ამ მეურნეობებს შევაერთებთ და საერთო საშუალო ციფრს ავიღებთ (წმინდა შემოსავალი — 44,11 მან.), სრულიად დავამახინჯებთ სინამდვილეს. მაშინ ჩვენ გვერდს ავუვლით (როგორც აუარა გვერდი ბ-მა კრივენკომ) იმ ფაქტს, რომ ექვსივე შეძლებულ გლეხს, რომელნიც წმინდა შემოსავალს იღებენ, ყველას მოჯამაგირეები ჰყავს (8 კაცი); აღნიშნული ფაქტი გვირკვევს, თუ რა ხასიათისაა მათი სამიწათმოქმედო მეურნეობა (ფერმერობაში გადადის), რომელიც მათ წმინდა შემოსავალს აძლევს და თითქმის სრულიად ათავისუფლებს აუცილებლობისაგან — «სარეწებს» მიმართონ. ეს მეურნეები (ყველანი ერთად) სარეწებით თავიანთი ბიუჯეტის მხოლოდ 6,5%-ს ჰფარავენ (412 მან. 6 319,5 მანეთიდან), ამასთან ეს სარეწები — მარტო ბ-ნ შჩერბინას მითითებით — ისეთია, როგორც «ჭაპანზიდვა» ანდა «ცხვრების შესყიდვაც» კი, ე. ი. ისეთი დარგებია, რომლებიც სხვებისაგან დამოკიდებულებას კი არ მოწმობენ, არამედ, პირიქით, გულისხმობენ სხვების ექსპლოატაციას (სახელდობრ უკანასკნელ შემთხვევაში: დაგროვილი «დანაზოგი» სავაჭრო კ ა პ ი ტ ა ლ ა დ იქცევა). ამ

* საინტერესოა აღინიშნოს, რომ მოჯამაგირეთა — ორისა 7 ღარიბი მეურნიდან — ბიუჯეტი უდეფიციტოა: 99 მ. შემოსავალი და 93,45 მ. გასავალი ოჯახზე. ერთი მოჯამაგირე ცხოვრობს მეპატრონის ხარჯზე, მისი ტანსაცმლით და ფეხსაცმლით.

მეურნეებს 4 სამრეწველო საწარმო აქვთ, რომელნიც 320 მ. (5%) შემოსავალს იძლევიან *.

სხვა ტიპისაა საშუალო გლეხების მეურნეობა: მათ, როგორც დავინახეთ, ძლივს გააქვთ თავი. მიწათმოქმედება ვერ ჰფარავს მათს საჭიროებას, და შემოსავლის 19%-ს მათ ეგრეთწოდებული სარეწები აძლევს. თუ როგორია ეს სარეწები, — ამას ბ-ნ შჩერბინას სტატიიდან ვტყობილობთ. ისინი ნაჩვენებია 7 მეურნისათვის: მხოლოდ ორი ეწევა დამოუკიდებელ სარეწაო შრომას (მკერვალობა და ნახშირის გამოწვა), დანარჩენი 5 — სამუშაო ძალას ჰყიდის («მთიბავად ვიყავი ქვემოთ», «არყისსახდელ ქარხანაში დადის სამუშაოდ», «დღიურად მუშაობს ალოობაზე», «მეცხვარედ ქირავდება», «ადგილობრივ ეკონომიაში მუშაობდა»). ეს უკვე ნახევრადგლეხები, ნახევრადმუშები არიან. გარესამუშაოები სწყვეტს მათ მეურნეობისაგან და მით საბოლოოდ ძირს უთხრის მას.

რაც შეეხება ღარიბ გლეხებს, მათი სამიწათმოქმედო მეურნეობა ხომ პირდაპირ საზარალოა; «სარეწების» მნიშვნელობა ბიუჯეტში კიდევ უფრო იზრდება (ისინი იძლევიან შემოსავლის 24%-ს), და ეს სარეწები თითქმის მთლად (ერთი მეურნის გამოკლებით) სამუშაო ძალის გაყიდვაში გამოიხატება. მათგან ორი უმთავრესად «სარეწს» მისდევს (მოჯამაგირეობა), რაც შემოსავლის $^2/_3$-ს იძლევა.

აქედან ცხადია, რომ ჩვენ საქმე გვაქვს სავსებით დაშლის გზაზე შემდგარ წვრილ მწარმოებელთან, რომლის ზედა ჯგუფები ბურჟუაზიაში გადადიან, უდაბლესნი — პროლეტარიატში. ცხადია, რომ, თუ საშუალო ციფრებს ავიღებთ, ვერაფერს ამის მსგავსს ვერ დავინახავთ და ვერავითარ წარმოდგენას ვერ ვიქონიებთ სოფლის ეკონომიკაზე.

მხოლოდ ამ ფიქტიური საშუალო ციფრების გამოყენებამ მისცა ავტორს ასეთი ხერხის ხმარების საშუალება. ამ ტიპიურ მეურნეობათა ადგილის განსაზღვრისათვის გლეხური მეურნეობის საერთო ტიპში მაზრების მიხედვით, ბ-ნი შჩერბინა იღებს

* იხ. დამატება I (გვ. 357 ამ ტომისა. რ ე დ.).

გლეხების დაჯგუფებას სანადელო მიწების მიხედვით, და ირკვევა, რომ აღებული 24 მეურნეობა (საერთო საშუალო) თავისი კეთილდღეობით მაზრის საშუალო მეურნეობაზე მაღლა დგას დაახლოებით $^1/_3$-ით. ეს გაანგარიშება არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს როგორც იმიტომ, რომ ამ 24 მეურნეს შორის სჩანს დიდი განსხვავება, აგრეთვე იმიტომაც, რომ დაჯგუფება სანადელო მიწის მიხედვით ჰფარავს გლეხობის დაშლას: ავტორის დებულება, რომ «სანადელო მიწა» გლეხის «კეთილდღეობის ძირითად მიზეზს წარმოადგენს» — სრულიად უმართებულოა. ყველამ იცის, რომ მიწის «გათანაბრებითი» განაწილება თემის შიგნით სრულებით ხელს არ უშლის მის უცხენო წევრებს მიწა მიატოვონ, იჯარით გასცენ, გარეთ გავიდნენ და პროლეტარებად იქცნენ, ხოლო მრავალცხენიანებს — მეტი მიწა აიღონ იჯარით და მსხვილი, შემოსავლიანი მეურნეობა აწარმოონ. თუ ავიღებთ, მაგ., ამ 24 ბიუჯეტს, დავინახავთ, რომ ერთი მდიდარი გლეხი, 6 დეს. სანადელო მიწით, 758,5 მან. შემოსავალს იღებს, საშუალო — 7,1 დეს. ნადელით — 391,5 მან. და ღარიბი — 6,9 დეს. ნადელით — 109,5 მანეთს. საერთოდ ჩვენ დავინახეთ, რომ შემოსავლის ფარდობა სხვადასხვა ჯგუფს შორის უდრის შეფარდებას 4 : 2 : 1, მაშინ როცა სანადელო მიწის შეფარდება ასეთია: 22,1 : 9,2 : 8,5 = 2,6 : 1,08 : 1. ეს სრულიად გასაგებია, რადგან ჩვენ ვხედავთ, მაგ., რომ შეძლებული გლეხები, რომელთაც 22,1 დეს. ნადელი აქვთ კომლზე, კიდევ 8,8 დეს. იღებენ იჯარით, მაშინ როცა საშუალონი, რომელთაც ნაკლები ნადელი აქვთ (9,2 დეს.), ნაკლებს იღებენ იჯარით — 7,7 დეს., ხოლო ღარიბნი, კიდევ უფრო ნაკლები ნადელით (8,5 დეს.), სულ იჯარით იღებენ 2,8 დეს. *. ამიტომ, როცა ბ-ნი კრივენკო ამბობს: «სამწუხაროდ, ბ-ნ შჩერბინას მიერ მოყვანილი ცნობები ვერ გამოდგება საქმეთა საერთო ვითარების

* რასაკვირველია, მე არ მინდა ვთქვა, რომ **მარტო** 24 მეურნეობის ცნობებს შეეძლოთ დაერღვიათ დებულება სანადელო მიწის ძირითადი მნიშვნელობის შესახებ. მაგრამ ზემოთ მოყვანილი იყო ცნობები რამდენიმე მაზრის შესახებ, რომლებიც სავსებით უარჰყოფენ მას [51].

სწორ საზომად არა თუ გუბერნიაში, არამედ მაზრაშიც», — ამის საპასუხოდ შეიძლება მხოლოდ ითქვას, რომ ისინი ვერ გამოდგებიან საზომად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მივმართავთ საერთო საშუალოთა გამოანგარიშების უმართებულო ხერხს (აი ამ ხერხისთვის არ უნდა მიემართა ბ-ნ კრივენკოს), საზოგადოდ კი ბ-ნ შჩერბინას ცნობები იმდენად ვრცელი და ძვირფასია, რომ საშუალებას გვაძლევს სწორი დასკვნები გამოვიყვანოთ — და თუ ბ-მა კრივენკომ ასეთი დასკვნები ვერ გამოიყვანა, ამაში ბრალს ვერ დავდებთ ბ-ნ შჩერბინას.

ეს უკანასკნელი, მაგალითად, 197 გვერდზე იძლევა გლეხების დაჯგუფებას არა სანადელო მიწის, არამედ მუშა-პირუტყვის მიხედვით, ე. ი. დაჯგუფებას არა იურიდიული, არამედ სამეურნეო ნიშნის მიხედვით, — და ეს დაჯგუფება სრულ უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ შეფარდება აღებული 24 ტიპიური მეურნეობის სხვადასხვა თანრიგს შორის სავსებით შეესაბამება სხვადასხვა ეკონომიურ ჯგუფთა შეფარდებას მთელ მაზრაში.

ეს დაჯგუფება ასეთია*: (იხ. ცხრილი 260-ე გვ.)

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ საერთოდ და საშუალოდ 24 ტიპიური მეურნეობა უფრო მაღლა დგას, ვიდრე გლეხური მეურნეობის საშუალო სამაზრო ტიპი. მაგრამ თუ ამ ფიქტიურ საშუალოთა მაგივრად ეკონომიურ თანრიგებს ავიღებთ, შედარების შესაძლებლობა მოგვეცემა.

ჩვენ ვხედავთ, რომ მოჯამაგირეები ტიპიურ მეურნეობებში რამოდენიმედ დაბლა დგანან მუშა-პირუტყვის არმყოლ მეურნეებზე, მაგრამ ძალიან უახლოვდებიან მათ. ღარიბი მეურნეები ძალიან უახლოვდებიან ერთი სული მუშა-პირუტყვის მყოლთ (თუ პირუტყვი 0,2-ით ნაკლებია: — ღარიბებს 2,8 ჰყავთ, ერთცხენიანებს 3, — სამაგიეროდ მთელი მიწა, სანადელოც და საიჯაროც, რამოდენიმედ მეტია — 12,6 დეს. წინააღმდეგ 10,7 დესეტინისა). საშუალო მეურნეები სულ ცოტათი დგანან

* ამ 24 ტიპიური მეურნეობის შედარება მეურნეობათა თანრიგებთან მთელ მაზრაში შესრულებულია იმავე წესით, რა წესითაც ბ-მა შჩერბინამ ამ 24 მეურნეობის საშუალო შეადარა ჯგუფებს სანადელო მიწის მიხედვით.

ვორონეჟის გუბერნიის ოსტროგოჟსკის მაზრა

მეურნეთა ჯგუფები მუშა-პირუტყვის რაოდენობის მიხედვით	რიცხვი		1 კომლზე მოდის				კომლთა პროცენტი					
	მეურნეთა	მათი %	მსხვილფ. პირუტყვ. სულადობა	მიწა (დეს.)		საშუალო ოჯახი (სული)	მოჯამაგირიანთა	სავეგ.-სამრ. დაწესებულებებით	ფსახლკარეთა	ემუშაკოთა	რომელნიც მიწას არ ამუშავებენ	უინვენტარეთა
				სანადელო	იჯარ. აღებული							
I. მუშა-პირუტყვის არმყოლი	8 728	26,0	0,7	6,2	0,2	4,6	0,6	4,0	9,5	16,6	41,6	98,5
II. 1 სული მუშა-პირუტყვ.	10 510	31,3	3,0	9,4	1,3	5,7	1,4	5,4	1,4	4,9	2,9	2,5
III. 2—3 სული მუშა-პირუტყვით	11 191	33,3	6,8	13,8	3,6	7,7	8,3	12,3	0,4	1,3	0,4	—
IV. 4 და მეტი სული მუშა-პირუტყვით	3 152	9,4	14,3	21,5	12,3	11,2	25,3	34,2	0,1	0,4	0,3	—
სულ . .	33 581	100,0	4,4	11,2	2,5	6,7	5,7	10,0	3,0	6,3	11,9	23,4
24 ტიპიური მეურნეობიდან* — მოჯამაგირ.			0,5	7,2	0	4,5						
ღარიბნი			2,8	8,7	3,9	5,6						
საშუალონი			8,1	9,2	7,7	8,3						
შეძლებულნი			13,5	22,1	8,8	7,8						
სულ .			7,2	12,2	6,6	7,3**						

* აქ ღარიბებიდან გამოყოფილია ორი მოჯამაგირე (№№ 14 და 15 შჩერბინას ბიუჯეტებში), ასე რომ ღარიბი მხოლოდ ხუთი რჩება.

** ამ ცხრილის შესახებ არ შეიძლება აგრეთვე არ აღინიშნოს, რომ აქ ჩვენ სწორედ ასევე ვხედავთ საიჯარო მიწის რაოდენობის გადიდებას შეძლებულობის ზრდასთან ერთად, მიუხედავად სანადელო მიწის რაოდენობის მომატებისა. ამრიგად, კიდევ ერთი მაზრის ცნობებით მტკიცდება, რომ სწორი არ არის აზრი, თითქოს სანადელო მიწას ძირითადი მნიშვნელობა ჰქონდეს. პირიქით, ჩვენ ვხედავთ, რომ სანადელო მიწის ხვედრი ამ ჯგუფის მთელს მიწათმფლობელობაში მცირდება ჯგუფის შეძლებულობის ზრდასთან ერთად. თუ სანადელო და იჯარით აღებულ მიწას

შაღლა 2 — 3 სული მუშა-პირუტყვის პატრონებზე (მათ პირუტყვი ცოტათი მეტი ჰყავთ; მიწა ცოტათი ნაკლები აქვთ), ხოლო შეძლებული მეურნეები უახლოვდებიან 4 და მეტი სული მუშა-პირუტყვის მყოლთ და ცოტათი დ ა ბ ლ ა დგანან მათზე.

შევაჯამებთ და ამ ჯამის მიმართ სანადელო მიწის პროცენტს გამოვიანგარიშებთ, მივიღებთ ასეთ ციფრებს ჯგუფების მიხედვით: I) 96,8%; II) 85,0%; III) 79,3%; IV) 63,3%. და ეს მოვლენა სრულიად გასაგებია. ჩვენ ვიცით, რომ განმათავისუფლებელი რეფორმის დროიდან მიწა რუსეთში საკონლად იქცა. ვისაც ფული აქვს, ყოველთვის შეუძლია მიწა იყიდოს: საჭიროა სანადელო მიწის ყიდვაც. გასაგებია, რომ ხდება მიწის კონცენტრაცია შეძლებული გლეხების ხელში და ეს კონცენტრაცია უფრო ძლიერ გამოიხატება იჯარაში სანადელო მიწის გასხვისების საშუალოსაუკუნეობრივი შეზღუდვის გამო. «ხალხის მეგობრებს», რომელნიც ამ შეზღუდვას ემხრობიან, არ ესმით, რომ ეს უაზრო რეაქციული ღონისძიება მხოლოდ აუარესებს ღარიბთა მდგომარეობას: გაჩანაგებულმა, ინვენტარს მოკლებულმა გლეხებმა ყოველ შემთხვევაში მიწა უნდა გასცენ იჯარით, და ამ გაცემის (ან გაყიდვის) აკრძალვა ან იმას გამოიწვევს, რომ დაიწყებენ მიწის გაცემას ფარულად და, მაშასადამე, უარეს პირობებში მიწის გამცემისათვის, ან კიდევ ღარიბნი «საზოგადოებას», ე. ი. იმავე კულაკს გადასცემენ მიწას მუქთად.

არ შემიძლია აქ არ მოვიყვანო სავსებით სწორი მსჯელობა გურვიჩისა ამ ყბადაღებული «გაუსხვისებლობის» შესახებ:

«ამ საკითხში რომ გავერკვეთ, უნდა ვნახოთ, ვინ არის გლეხის მიწის მყიდველი. ჩვენ დავინახეთ, რომ ვაჭრები სამეოთხედო მიწის ნაკვეთების მხოლოდ უმცირეს ნაწილს ყიდულობენ. საერთოდ კი, პატარა ნაკვეთებს, რომელთაც თავად-აზნაურები ჰყიდიან, მხოლოდ გლეხები ყიდულობენ. მაშასადამე, ეს საკითხი მხოლოდ გლეხების ურთიერთობას ეხება და არც თავად-აზნაურობისა და არც კაპიტალისტების კლასის ინტერესებს არ ბღალავს. ადვილი შესაძლებელია, რომ ასეთ შემთხვევაში რუსეთის მთავრობა კეთილინებებს და სამოწყალოს გადაუგდებს ნაროდნიკებს. ეს უცნაური შეუღლება (mésalliance) აღმოსავლური პატრიარქალური მეურვეობისა (oriental paternalism) რაღაც მახინჯ სახელმწიფოებრივ-სოციალისტურ პროჰიბიციონიზმთან ალბათ ოპოზიციას გამოიწვევს სწორედ იმათ მხრივ, ვისი გაბედნიერებაც სურთ. რადგან სოფლის დაშლის პროცესი, როგორც სჩანს, შიგნიდან მოდის და არა გარედან, — ამიტომ გლეხთა მიწის გაუსხვისებლობა ღარიბთა იგივე უსასყიდლო ექსპროპრიაცია იქნება თემის მდიდარი წევრების სასარგებლოდ.

ჩვენ ვამჩნევთ, რომ გადასახლებულთა % სამეოთხედო[52] გლეხებს შორის, რომელთაც თავიანთი მიწის გასხვისების უფლება ჰქონდათ,

მაშასადამე, ჩვენ უფლება გვაქვს ის დასკვნა გავაკეთოთ, რომ სულ მაზრაში არის არანაკლებ 0,1 მეურნისა, რომელნიც წესიერ, შემოსავლიან სამიწათმოქმედო მეურნეობას ეწევიან და გარესაშოვრებს არ საჭიროებენ. (ეს შემოსავალი — ფრიად მნიშვნელოვანია ამის აღნიშვნა — ფულში გამოიხატება და, მაშასადამე, მიწათმოქმედების სავაჭრო ხასიათს გულისხმობს.) მეურნეობას ისინი უმთავრესად დაქირავებული მუშების დახმარებით ეწევიან: კომლთა $^1/_4$-ზე არანაკლებს მუდმივი მოჯა-

ბევრად უფრო დიდი იყო, ვიდრე ყოფილ სახელმწიფო გლეხებს შორის სათემო მიწათმფლობელობით: სახელდობრ, რანენბურგის მაზრაში (რიაზანის გუბ.) გადასახლებულთა პროცენტი პირველთა შორის 17%-ს უდრის, მეორეთა შორის — 9%-ს; დანკოვის მაზრაში პირველთა შორის — 12%-ს და მეორეთა შორის — 5%-ს. საიდან წარმოსდგება ეს განსხვავება? ამას ერთი კონკრეტული მაგალითი აგვიხსნის:

«1881 წელს პატარა თემი 5 ოჯახის შემადგენლობით, გრიგოროვის ყოფილი ყმებისა, დანკოვის მაზრის სოფელ ბიგილდინოდან გადასახლდა. თავისი მიწა, 30 დეს., მდიდარ გლეხს მიჰყიდა 1 500 მანეთად. გადასახლებულთ შინ საარსებო საშუალება არ გააჩნდათ, და მათი უმრავლესობა წლიური მუშები იყვნენ» («სტატ. ცნობ. კრებული», ნაწ. II, გვ. 115, 247). ბ-ნ გრიგორიევის ცნობებით («რ ი ა ზ ა ნ ი ს გ უ ბ. გ ლ ე ხ თ ა გ ა დ ა ს ა ხ ლ ე ბ ა ნ ი ») 300 მანეთი — ასეთია გლეხის საშუალო 6-დესეტინიანი ნაკვეთის ფასი — საკმაოა, რომ გლეხის ოჯახმა სამიწათმოქმედო მეურნეობა გაიჩინოს სამხრეთ ციმბირში. ამრიგად, სრულიად გაღატაკებულ გლეხს შესაძლებლობა ექნებოდა თავისი სათემო მიწის ნაკვეთის გაყიდვით მიწათმოქმედი გამხდარიყო ახალ ქვეყანაში. მოკრძალება წინაპართა წმინდა ჩვეულებების წინაშე მაინცდამაინც ვერ შეაფერხებდა ამ ცთუნებას, ყოვლადმოწყალე ბიუროკრატიის საწინააღმდეგო ჩარევა რომ არ ყოფილიყო.

მე, რა თქმა უნდა, პესიმისტობას დამაბრალებენ, როგორც ამ ცოტა ხნის წინათ მაბრალებდნენ ჩემი შეხედულებებისათვის გლეხთა გადასახლებაზე («სევერნი ვესტნ.», 1892, № 5, ბოგდანოვსკის სტატია). ჩვეულებრივ დაახლოებით ასე მსჯელობენ: დავუშვათ, რომ საქმის ვითარება დახატულია ცხოვრებასთან ზუსტად შეფარდებით, როგორც ის არის სინამდვილეში, მაგრამ (გადასახლებათა) მავნე შედეგები გამომდინარეობენ გლეხობის არანორმალური პირობებისაგან, ხოლო ნორმალურ პირობებში წინააღმდეგობას (გადასახლებათა მიმართ) «ძალა არ ექნებოდა». მაგრამ, საუბედუროდ, ეს მართლაც «არანორმალური» პირობები თვითნებურად ვითარდებიან, ხოლო «ნორმალური» პირობების შექმნა გლეხობის კეთილმოსურნეთა ხელთ არ არის» (დასახ. თხზ., გვ. 137) [52].

მაგირეები ჰყავთ, ხოლო კიდევ რამდენ დღიურ მუშას ქირაობენ — არ ვიცით. შემდეგ, მაზრაში მეურნეთა ნახევარზე მეტი ღარიბებია (დაახლ. 0,6: უცხენო და ერთცხენიანი, 26% + 31,3% = 57,3%), რომელთა მეურნეობა პირდაპირ ზარალს იძლევა; მაშასადამე, ისინი ჩანაგდებიან, მუდმივ და უეჭველ ექსპროპრიაციას განიცდიან. ისინი იძულებულნი არიან თავისი სამუშაო ძალა გაჰყიდონ, ამასთან გლეხების დაახლოებით 1/4 ნაწილი უფრო დაქირავებული შრომით ცხოვრობს, ვიდრე მიწათმოქმედებით. დანარჩენი გლეხები — საშუალოებია, ისინი დიდი ვაი-ვაგლახით ეწევიან მიწის მეურნეობას, მუდმივი დეფიციტით, გარესაშოვართა დამატებით და, მაშასადამე, მოკლებული არიან მცირეოდენ მეურნეობრივ სიმყარესაც კი.

მე განგებ შევჩერდი ასე დაწვრილებით ამ ცნობებზე, რათა მეჩვენებინა, რა დამახინჯებულად აქვს წარმოდგენილი სინამდვილე ბ-ნ კრივენკოს. ის დაუფიქრებლად იღებს საშუალო ციფრებს და იყენებს მათ: გასაგებია, რომ გამოდის არა თუ ფიქცია, არამედ პირდაპირი სიყალბეც. ჩვენ დავინახეთ, მაგალითად, რომ ერთი შეძლებული გლეხი (ტიპიური ბიუჯეტებიდან) თავისი წმინდა შემოსავლით (+197,34) ჰფარავს ცხრა ღარიბი კომლის დეფიციტს (—21,38×9=—192,42), ასე რომ მდიდარი გლეხების 10% მაზრაში არა თუ დაჰფარავს ღარიბთა 57%-ის დეფიციტს, არამედ ერთგვარ ნაჭარბსაც მოგვცემს. ხოლო ბ-ნი კრივენკო, რომელიც 24 მეურნეობის საშუალო ბიუჯეტიდან ასეთ ნაჭარბს 44,14 მან. ღებულობს — უკრედიტოდ და უნარჩენებოდ კი — 15,97 მან. — ამიტომ პირდაპირ ლაპარაკობს საშუალო და საშუალოზე დაბლა მდგომ მეურნეთა უბრალო «დაქვეითებაზე». ნამდვილად კი დაქვეითებაზე ლაპარაკი მხოლოდ საშუალო გლეხობის მიმართ თუ შეიძლება *, ხოლო ღარიბთა მასის მიმართ ჩვენ ვხედავთ

* არც ეს იქნება მაინცდამაინც სწორი, იმიტომ რომ დაქვეითება გულისხმობს სიმტკიცის დროებითს და შემთხვევითს დაკარგვას, საშუალო გლეხობა კი, როგორც დავინახეთ, ყოველთვის მერყევ მდგომარეობაში იმყოფება და გაღატაკების პირას არის მისული.

უკვე პირდაპირ ექსპროპრიაციას, რასაც თან სდევს წარმოების საშუალებათა კონცენტრაცია იმ უმცირესობის ხელში, რომელიც შედარებით მსხვილ და მტკიცე მეურნეობებს ჰფლობს.

ამ უკანასკნელი გარემოების უგულვებელყოფამ ხელი შეუშალა ავტორს ამ ბიუჯეტების კიდევ ერთი, მეტად საინტერესო თვისება შეენიშნა: ეს ბიუჯეტები ასევე ამტკიცებენ, რომ გლეხობის დაშლა ჰქმნის შინაურ ბაზარს. ერთი მხრით, უმაღლესი ჯგუფიდან დაბალისაკენ იზრდება მნიშვნელობა სარეწებისაგან მიღებული შემოსავლისა (შეძლებულ, საშუალო და ღარიბ გლეხთა მთელი ბიუჯეტის 6,5% — 18,8% — 23,6%) — ე. ი. უმთავრესად სამუშაო ძალის გაყიდვისაგან. მეორე მხრით, დაბალი ჯგუფებიდან მაღალი ჯგუფებისაკენ იზრდება მიწათმოქმედების სასაქონლო ხასიათი (კიდევ მეტიც: ბურჟუაზიული ხასიათი, როგორც უკვე დავინახეთ), იზრდება გასაყიდი პურის პროცენტი: ყველა მეურნეთა მიწათმოქმედების შემოსავალი თანრიგების მიხედვით: ა) $\frac{3\,861,7}{1\,774,4}$, ბ) $\frac{3\,163,8}{899,9}$, გ) $\frac{689,9}{175,25}$. მნიშვნელი უჩვენებს შემოსავლის ფულადს ნაწილს*, რაც უმაღლესი თანრიგიდან დაბალისკენ შეადგენს 45,9% — 28,3% — 25,4%-ს.

* მიწათმოქმედების ფულადი შემოსავლის გამოსაანგარიშებლად (შჩერბინა მას არ იძლევა) საკმაოდ რთული გაანგარიშება მოგვიხდა. საჭირო გახდა პურეულის მთელი შემოსავლიდან გამოგვეკლო შემოსავალი ჩალისა და ბზისა, რომელიც, ავტორის სიტყვით, პირუტყვის საკვებად იხმარება. ავტორი თვით აკლებს მათ XVIII თავში, მაგრამ მხოლოდ მაზრის ჯამობრივი ციფრებისათვის და არა განხილული 24 მეურნეობისათვის. ამ ჯამობრივი ცნობების მიხედვით მე გამოვარკვიე ხორბლის შემოსავლის პროცენტი (შედარებით პურის მთელ შემოსავალთან, ე. ი. როგორც მარცვლის, ისე ჩალისა და ბზის შემოსავალთან) და იმისგან ამ შემთხვევაში ჩალა და ბზე გამოვაკელი. ეს პროცენტი ჭვავისთვის უდრის 78,98%-ს, პურისთვის — 72,67%-ს, შვრიისა და ქერისთვის — 73,32%-ს, ფეტვისა და უგრეხელისთვის — 77,78%-ს. — შემდეგ უკვე გასაყიდი მარცვლეულის რაოდენობა ირკვეოდა იმ რაოდენობის გამოკლებით, რაც საკუთარ მეურნეობაში იხარჯება.

ჩვენ აქ კვლავ თვალნათლივ ვხედავთ, როგორ იქცევიან კ ა პ ი ტ ა ლ ა დ წარმოების ის საშუალებანი, რომელთაც ექსპროპრიაციაქმნილი გლეხები ეთიშებიან.

გასაგებია, რომ ბ-ნ კრივენკოს ამრიგად გამოყენებული — ან, უკეთ რომ ვთქვათ, დამახინჯებული — მასალიდან არ შეეძლო სწორი დასკვნების გამოტანა. მან ერთი ნოვგოროდელი გლეხის, რკინიგზის ვაგონში გაცნობილი მგზავრის, სიტყვით ასწერა იმ ადგილების გლეხური მეურნეობის ფულადი ხასიათი და იძულებული იყო ის სამართლიანი დასკვნა გაეკეთებინა, რომ სწორედ ეს ვითარება, სასაქონლო მეურნეობის ვითარება «იმუშავებს» «განსაკუთრებულ ნიჭს», წარმოშობს ერთ საზრუნავს: «იაფად აიღოს (სათიბი)», «უფრო ძვირად გაჰყიდოს» (გვ. 156) *. ეს ვითარება «სკოლაა», რომელიც «აღვიძებს (სწორია!) და ამახვილებს კომერციულ ნიჭს». «ჩნდებიან ტალანტები, რომელთაგან გამოდიან კოლუპაევები, დერუნოვები და სხვა სახელწოდების სვავები**, ხოლო გულუბრყვილონი და მიამიტნი უკან რჩებიან, ქვეითდებიან, ღატაკდებიან და მოჯამაგირეებად ხდებიან» (156 გვ.).

ცნობებს სამიწათმოქმედო (ვორონეჟის) გუბერნიის შესახებ, რომელიც სულ სხვა პირობებშია ჩაყენებული, იმავე დასკვნებამდე მივყევართ. თითქოს, საქმე საკმაოდ ნათელია: მკაფიოდ არის გამოხატული სასაქონლო მეურნეობის სისტემა, როგორც ძირითადი ფონი ქვეყნის ეკონომიკისა საზოგადოდ და «თემური» «გლეხობისა» კერძოდ, იხატება ის ფ ა ქ ტ ი ც, რომ ეს სასაქონლო მეურნეობა დ ა ს წ ო რ ე დ ი გ ი სთიშავს «ხალხს» და «გლეხობას» პროლეტარიატად (ღატაკდებიან, მოჯამაგირეებად ხდებიან) და ბურჟუაზიად (სვავები), ე. ი. კაპიტა-

---

* «საჭიროა მუშის იაფად დაქირავება და მისგან სარგებლობის მიღებაო» — სრულიად სამართლიანად ამბობს იქვე ბ-ნი კრივენკო.

** ბ-ნო იუჟაკოვ! ეს რას ნიშნავს: თქვენი ამხანაგი ამბობს, «სვავებად» «ტალანტები» გამოდიანო, თქვენ კი გვარწმუნებდით, ასეთებად ადამიანები მხოლოდ იმიტომ ხდებიან, რომ მათ «არაკრიტიკული ჭკუა» აქვთო? აი ეს კი ვერ არის კარგი, ბატონებო: ერთ და იმავე ჟურნალში ერთიმეორეს უარჰყოფთ!

ლისტურ მეურნეობად იქცევა. მაგრამ «ხალხის მეგობრები» ვერასოდეს ვერ ბედავენ პირდაპირ შეხედონ ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე ს და საკუთარი სახელი უწოდონ საგნებს (ეს მეტად დიდი «სიმკაცრეა»)! და ბ-ნი კრივენკო მსჯელობს:

«ზოგიერთნი ასეთ წესს სრულიად ბუნებრივად სთვლიან (საჭირო იყო დამატება: წარმოებით ურთიერთობათა კაპიტალისტური ხასიათის სრულიად ბუნებრივ შედეგად. მაშინ ეს იქნებოდა «ზოგიერთთა» აზრის ზუსტად გადმოცემა, და მაშინ უკვე შეუძლებელი იქნებოდა ცარიელი ფრაზებით ამ აზრების თავიდან მოცილება, არამედ საჭირო იქნებოდა საქმის გარჩევა არსებითად. როცა ავტორს სპეციალურ მიზნად არ ჰქონია დასახული ბრძოლა «ზოგიერთთა» წინააღმდეგ, მას თვითონვე უნდა აღეარებინა, რომ ფულადი მეურნეობა სწორედ ის «სკოლაა», საიდანაც «ნიჭიერი» სვავები და «გულუბრყვილო» მოჯამაგირეები გამოდიან) და მასში კაპიტალიზმის დაუძლეველ მისიას ხედავენ. (რა თქმა უნდა! იმის აღიარება, რომ ბრძოლის წარმოება საჭიროა სწორედ «სკოლისა» და მასში მოკალათებული «სვავების» და მათი ადმინისტრაციული და ინტელიგენტური ლაქიების წინააღმდეგ — ეს ნიშნავს კაპიტალიზმის მიჩნევას დაუძლეველად. სამაგიეროდ კაპიტალისტური «სკოლის» სრულიად ხელუხლებლად დატოვება სვავებითურთ და ლიბერალური ნახევარზომებით მისი კაპიტალისტური პროდუქტების მოსპობის სურვილი — იმას ნიშნავს, რომ ჭეშმარიტი «ხალხის მეგობარი» იყო!) ჩვენ ამას ცოტა სხვანაირად ვუცქერით. კაპიტალიზმი აქ უეჭველად მნიშვნელოვან როლს ასრულებს, რაც ზემოთაც აღვნიშნეთ (ეს არის სწორედ ზემომოყვანილი მითითება სვავებისა და მოჯამაგირეების სკოლაზე), მაგრამ არ შეიძლება იმის თქმა, რომ მისი როლი ისეთი ყოვლისშემცველი და გადამწყვეტი იყოს, რომ სახალხო მეურნეობაში მომხდარ ცვლილებებში არ იყოს სხვა ფაქტორები, ხოლო მომავალში არავითარი სხვა გამოსავალი» (გვ. 160).

აი ინებეთ! ნაცვლად თანამედროვე წყობილების ზუსტი და პირდაპირი დახასიათებისა, ნაცვლად იმისა, რომ გარკვეული

პასუხი გასცეს კითხვაზე, რატომ ითიშება «გლეხობა» სვავებად და მოჯამაგირეებად, — ბ-ნი კრივენკო კმაყოფილდება უშინაარსო ფრაზებით. «არ შეიძლება იმის თქმა, რომ კაპიტალიზმის როლი გადამწყვეტი იყოსო». — სწორედ ამაშია მთელი საკითხიც, შეიძლება ამის თქმა თუ არა.

თქვენი შეხედულების დასაცავად, თქვენ უნდა გეჩვენებინათ, რომელი სხვა მიზეზები «სწყვეტენ» საკითხს, რომელი სხვა «გამოსავალი» შეიძლება იყოს, გარდა იმისა, რომელსაც სოციალ-დემოკრატები მიუთითებენ — პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლისა სვავების წინააღმდეგ*. მაგრამ არავითარი მითითება არ ხდება. თუმცა, შეიძლება, ავტორი სწორედ ქვემომოყვანილს სთვლის მითითებად? რარიგ სასაცილოც არ იქნებოდა ეს, მაგრამ «ხალხის მეგობრებისაგან» ყველაფერს უნდა მოველოდეთ.

«როგორც დავინახეთ, ჩანაგდებიან უწინარეს ყოვლისა სუსტი მეურნეობანი, რომელთაც ცოტა მიწა აქვთ» — სახელდობრ 5 დესეტინაზე ნაკლები ნადელი. «სახელმწიფო გლეხების ტიპიური მეურნეობანი კი, რომელთაც 15,7 დეს. ნადელი აქვთ, სიმტკიცით განირჩევიან... მართალია, ასეთი შემოსავლის (80 მანეთი წმინდა შემოსავალი) მისაღებად ისინი დამატებით იღებენ იჯარით კიდევ 5 დესეტინას, მაგრამ ეს მხოლოდ იმის მაჩვენებელია, თუ რა ესაჭიროებათ მათ».

რას წარმოადგენს ეს «შესწორება», რომელიც კაპიტალიზმს ყბადაღებულ «მიწის სიმცირეს» უმატებს? იმას, რომ ისინი, ვისაც ცოტა აქვთ, იმასაც ჰკარგავენ, ხოლო შეძლებულნი (15,7

---

* თუ ბურჟუაზიის წინააღმდეგ პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის იდეას ჯერჯერობით მხოლოდ ქალაქის ფაბრიკა-ქარხნის მუშები ითვისებენ და არა სოფლის «გულუბრყვილო და მიამიტი» მოჯამაგირეები, ე. ი. სწორედ ის ადამიანები, რომელთაც დაუკარგავთ ეს ძვირფასი თვისებები, ასე მჭიდროდ დაკავშირებული «საუკუნეობრივ საფუძვლებთან» და «თემურ სულთან», — ეს მხოლოდ ამტკიცებს სისწორეს სოციალ-დემოკრატების თეორიისას რუსეთის კაპიტალიზმის პროგრესული, რევოლუციური მუშაობის შესახებ.

დეს. მფლობელნი) კიდევ მეტს იძენენ *. ეს ხომ უბრალო გადასხვაფერებაა იმ დებულებისა, რომ ერთნი ღატაკდებიან, სხვები მდიდრდებიან!! დროა თავი დაანებოთ ამ უშინაარსო ფრაზებს მიწის სიმცირის შესახებ, რომელნიც არაფერს ხსნიან (რადგან გლეხებს სანადელო მიწას მუქთად კი არ აძლევენ, არამედ ფასით) და მხოლოდ ასწერენ პროცესს, ამასთან არაზუსტად, რადგან საჭიროა ლაპარაკი არა მარტოოდენ მიწაზე, წარმოების საშუალებებზე საზოგადოდ, და არა იმაზე კიდევ, რომ ისინი «ცოტა» აქვთ გლეხებს, არამედ იმაზე, რომ გლეხებს ა თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ე ნ მათგან, რომ ისინი ე ქ ს პ რ ო პ რ ი ა ც ი ა ს გ ა ნ ი ც დ ი ა ნ ზრდადი კაპიტალიზმის მხრივ. «ჩვენ სრულიადაც არ გვინდა ვთქვათ, — ამთავრებს თავის ფილოსოფიას ბ-ნი კრივენკო, — რომ სოფლის მეურნეობას ყოველ პირობებში შეუძლია დარჩეს და უნდა დარჩეს «ნატურალურ» და დამმუშავებელი მრეწველობისაგან განკერძოებულ მეურნეობად (ისევ ფრაზები! განა თქვენ არ იყავით იძულებული აი ახლა გეცნოთ, რომ უკვე ამჟამად არსებობს იმ ფულადი მეურნეობის სკოლა, რომელიც გულისხმობს გაცვლა-გამოცვლას და, მაშასადამე, მიწათმოქმედების განკერძოებას დამმუშავებელი მრეწველობისაგან? რისთვისღა დაგჭირდათ ისევ ეს აბდაუბდა შესაძლებელსა და მართებულზე?), მხოლოდ ვამბობთ, რომ ხელოვნურად განკერძოებული მრეწველობის შექმნა არ არის რაციონალური (საინტერესოა ვიცოდეთ, «განკერძოებულია» თუ არა კიმრელებისა და პავლოველების მრეწველობა? და ვინ, როგორ და როდის «შეჰქმნა ხელოვნურად» იგი?), რომ მშრომელის გამოთიშვა მიწისა და წარმოების იარაღებისაგან ხდება არა მარტოოდენ კაპიტალიზმის, არამედ სხვა ფაქტორების გავლენითაც, რომელნიც წინ უსწრებენ და ხელს უწყობენ მას».

აქ, ალბათ, კვლავ იგულისხმებოდა ღრმააზროვნება იმის შესახებ, რომ თუ მუშა ეთიშება მიწას, რომელიც სვავის ხელში

* მე არას ვამბობ იმ შეხედულების უაზრობაზე, თითქოს ერთნაირი ნადელის მქონე გლეხები ერთმანეთის თანასწორნი იყვნენ და ასევე არ ნაწილდებოდნენ «სვავებად» და «მოჯამაგირეებად».

გადადის, ეს იმიტომ ხდება, რომ პირველს «ცოტა» მიწა აქვს, მეორეს კი — «ბევრიო».

და მსგავსი ფილოსოფია სოციალ-დემოკრატებს ბრალს სდებს «სივიწროვეში», როცა ისინი გადამწყვეტ მიზეზს კაპიტალიზმში ხედავენ!.. მე ერთხელ კიდევ ასე დაწვრილებით სწორედ იმიტომ შევჩერდი გლეხებისა და შინამრეწველების დაშლაზე, რომ საჭირო იყო თვალსაჩინოდ განმარტება, როგორ აქვთ წარმოდგენილი საქმე სოციალ-დემოკრატებს და როგორ ხსნიან მას ისინი. აუცილებელი იყო იმის ჩვენება, რომ სწორედ ის ფაქტები, რომელნიც სუბიექტურ სოციოლოგს ისე აქვს წარმოდგენილი, რომ გლეხები «გაღარიბდნენ», ხოლო «მონადირეებმა» და «სვავებმა» «მოსაგები თავიანთ სასარგებლოდ მიითვალეს», — მატერიალისტის თვალსაზრისით წარმოადგენს საქონელმწარმოებელთა ბურჟუაზიულ დაშლას, ისეთ დაშლას, რაც აუცილებლად გამოწვეულია თვით სასაქონლო მეურნეობის არსებობით. აუცილებელი იყო იმის ჩვენება, თუ რა ფაქტებზეა დაფუძყარებული ის დებულება (რომელიც ზემოთ იყო მოყვანილი, I ნაკვეთში*), რომ ბრძოლა შეძლებულებსა და ღარიბებს შორის ყველგან სწარმოებს რუსეთში, არა მარტო ფაბრიკებსა და ქარხნებში, არამედ თვით ყველაზე მიყრუებულ სოფელშიც, და ყველგან ეს ბრძოლა არის ბრძოლა ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის, რომელნიც სასაქონლო მეურნეობის ნიადაგზე წარმოიშობიან. ჩვენი გლეხებისა და შინამრეწველების დაშლა, განგლეხება, რაც შეიძლება ზუსტად იქნას გამოხატული ისეთი საუცხოო მასალის მეოხებით, როგორიცაა საერობო სტატისტიკა, — ფ ა ქ ტ ი უ რ ა დ ამტკიცებს რუსეთის სინამდვილის სწორედ სოციალ-დემოკრატიული გაგების სისწორეს, რომლის მიხედვით გლეხი და შინამრეწველი წ ვ რ ი ლ მ წ ა რ მ ო ე ბ ე ლ ს წარმოადგენენ ამ სიტყვის «კატეგორიული» მნიშვნელობით, ე. ი. წ ვ რ ი ლ ბ უ რ ჟ უ ა ს. ამ დებულებას შეიძლება ვუწოდოთ ცენტრალური პუნქტი **მუშათა სოციალიზმის** თეორიისა ძველი გლეხური სოციალიზმის მიმართ, რომელსაც არ

* იხ. ეს ტომი, გვ. 217. რ ე დ.

ესმოდა არც სასაქონლო მეურნეობის ის ვითარება, რომელშიც ეს წვრილი მწარმოებელი ცხოვრობს, არც მისი კაპიტალისტური დაშლა ამ ნიადაგზე. ამიტომ, ვისაც სურს სერიოზული კრიტიკა გაუკეთოს სოციალ-დემოკრატიზმს, — მან თავისი არგუმენტაცია სწორედ აქეთ უნდა მიმართოს, ცხადჰყოს, რომ რუსეთი პოლიტიკურ-ეკონომიური მხრით არ წარმოადგენს სასაქონლო მეურნეობის სისტემას, რომ ამ ნიადაგზე როდი ხდება გლეხობის დაშლა, რომ მოსახლეობის მასის ექსპროპრიაცია და მშრომელის ექსპლოატაცია შეიძლება აიხსნას სხვა რამით, და არა ჩვენი საზოგადოებრივი (და მათ შორის გლეხური) მეურნეობის ბურჟუაზიული, კაპიტალისტური ორგანიზაციით.

აბა სცადეთ, ბატონებო!

შემდეგ, არის კიდევ ერთი საფუძველი, რომლის გამო მე ვარჩიე სოციალ-დემოკრატიული თეორიის საილუსტრაციოდ სწორედ გლეხური და შინამრეწველური მეურნეობის ცნობები მომეყვანა. მატერიალისტური მეთოდისაგან გადახვევა იქნებოდა, მე რომ «ხალხის მეგობრების» შეხედულებათა კრიტიკის დროს დავკმაყოფილებულიყავი მათი იდეების დაპირისპირებით მარქსისტული იდეებისადმი. საჭიროა კიდევ «ნაროდნიკული» იდეების ახსნა, მათი **მატერიალური** საფუძვლის გამოაშკარავება ჩვენს თანამედროვე საზოგადოებრივ-ეკონომიურ ურთიერთობაში. ჩვენი გლეხებისა და შინამრეწველების ეკონომიკის სურათები და მაგალითები გვიჩვენებენ, რა არის ეს «გლეხი», რომლის იდეოლოგობა სურთ «ხალხის მეგობრებს». ისინი ამტკიცებენ ჩვენი სოფლის ეკონომიკის ბურჟუაზიულობას და ამით ადასტურებენ მეშჩანობის იდეოლოგებისადმი «ხალხის მეგობრების» მიკუთვნების სისწორეს. ეს კიდევ ცოტაა: ისინი გვიჩვენებენ, რომ ჩვენი რადიკალების იდეებსა და პროგრამებსა და წვრილი ბურჟუაზიის ინტერესებს შორის მეტად მჭიდრო კავშირია. აი ეს კავშირი, რომელიც კიდევ უფრო ნათელი გახდება მათი პროგრამის დეტალურად განხილვის შემდეგ, გვიხსნის, თუ რატომ ასე ფართოდ გავრცელდა ჩვენს «საზოგადოებაში» ეს რადიკალური იდეები; ის მშვენივრად ხსნის აგრეთვე

«ხალხის მეგობრების» პოლიტიკურ ლაქიობასაც და კომპრომისებზე წასვლის მათს მზადყოფნასაც.

ბოლოს, ჩვენ კიდევ ერთი საფუძველი გვქონდა ასე დაწვრილებით შევჩერებულიყავით ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების სწორედ იმ მხარეების ეკონომიკაზე, სადაც კაპიტალიზმი ყველაზე ნაკლებ არის განვითარებული და საიდანაც ნაროდნიკები ჩვეულებრივად მასალას იღებდნენ თავიანთი თეორიებისათვის. ამ ეკონომიკის შესწავლითა და გამოხატვით ყველაზე ადვილი იყო არსებითად გვეპასუხნა ერთ-ერთ იმ ფრიად გავრცელებულ მოსაზრებაზე, რომელსაც ჩვენს საზოგადოებაში გაიგონებთ სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ. გამოდიან რა ჩვეულებრივი იდეიდან «სახალხო წყობილებისადმი» კაპიტალიზმის წინააღმდეგობის შესახებ და ხედავენ რა, რომ სოციალ-დემოკრატები მსხვილ კაპიტალიზმს პროგრესულ მოვლენად სთვლიან, რომ მათ სურთ სწორედ მას დაეყრდნონ თანამედროვე მძარცველური რეჟიმის წინააღმდეგ საბრძოლველად, — ჩვენი რადიკალები ულაპარაკოდ აბრალებენ სოციალ-დემოკრატებს გლეხური მოსახლეობის მასის ინტერესების უგულვებელყოფას, იმას, რომ მათ სურთ «ყოველი გლეხი ფაბრიკის ქვაბში გამოხარშონ» და სხვ.

ყველა ეს მსჯელობა ეყრდნობა სწორედ იმ გასაკვირველად ულოგიკო და უცნაურ ხერხს, რომ კაპიტალიზმის შესახებ მსჯელობენ იმის მიხედვით, თუ რა არის იგი სინამდვილეში, ხოლო სოფლის შესახებ — იმის მიხედვით, თუ რა «შეიძლება იყოს» იგი. გასაგებია, რომ უკეთესი პასუხის გაცემა ამაზე არ შეიძლება, გარდა იმისა, რომ მათ უნდა ვუჩვენოთ ნ ა მ დ ვ ი ლ ი სოფელი, მისი ნ ა მ დ ვ ი ლ ი ეკონომიკა.

ყველამ, ვინც პირუთვნელად, მეცნიერულად შეხედავს ამ ეკონომიკას, უნდა აღიაროს, რომ რუსეთის სოფელი წარმოადგენს წვრილი, დაქსაქსული ბაზრების (ან ცენტრალური ბაზრის პატარა განყოფილებათა) სისტემას, რომლებიც განაგებენ ცალკეული პატარა რაიონების საზოგადოებრივ-ეკონომიურ ცხოვრებას. და თვითეულ ასეთ რაიონში ჩვენ ვხედავთ ყველა იმ მოვლენას, რაც ახასიათებს საერთოდ საზოგადოებრივ-

ეკონომიურ ორგანიზაციას, რომლის რეგულატორი ბაზარია: ჩვენ ვხედავთ ოდესღაც თანასწორ, პატრიარქალურ უშუალო მწარმოებელთა დაშლას მდიდრებად და ღარიბებად, ვხედავთ კ ა პ ი ტ ა ლ ი ს გაჩენას, განსაკუთრებით სავაჭრო კაპიტალისა, რომელიც თავის ქსელში ახვევს მშრომელს და მთელ ძალღონეს სწოვს მას. როცა ადარებთ ჩვენი რადიკალების მიერ გლეხობის ეკონომიკის აღწერას სოფლის სამეურნეო ცხოვრების შესახებ არსებულ პირველწყაროთა ზუსტ ცნობებს, თქვენ გაოცებთ ის გარემოება, რომ შეხედულებათა ამ სისტემაში ადგილი აღარ არის იმ წვრილი ჩარჩების მასისათვის, რომელნიც ბუზებივით ირევიან ყოველ ასეთ ბაზარში, ყველა ამ შიბაებისა, ივაშებისათვის და რას არ უწოდებენ კიდევ მათ ადგილობრივი გლეხები, ყველა ამ წვრილფეხა ექსპლოატატორების მასისათვის, რომელნიც ბატონობენ ბაზრებზე და შეუბრალებლად სჩაგრავენ მშრომელს. მათ ჩვეულებრივ უკან სწევენ: «ესენი უკვე გლეხები კი არა, ჩარჩები არიანო». — დიახ, თქვენ სავსებით მართალი ხართ: ესენი — «უკვე გლეხები არ არიან». მაგრამ სცადეთ და ცალკე ჯგუფად გამოჰყავით ყველა ეს «ჩარჩები», ე. ი., ზუსტი პოლიტიკურ-ეკონომიური ენით რომ ვთქვათ, ისინი, ვინც კომერციულ მეურნეობას ეწევა და თუნდ ნაწილობრივ ითვისებს სხვის შრომას, სცადეთ ზუსტი მონაცემებით გამოხატოთ ამ ჯგუფის ეკონომიური ძალა და მისი როლი რაიონის მთელ მეურნეობაში; სცადეთ შემდეგ საწინააღმდეგო ჯგუფად გამოჰყოთ ყველა ისინი, ვინც აგრეთვე «უკვე გლეხი არ არის», ვინაიდან ბაზარზე გააქვს თავისი სამუშაო ძალა, ვინაიდან მუშაობს არა თავისთვის, არამედ სხვისთვის, — სცადეთ შეასრულოთ მიუკერძებელი და სერიოზული კვლევა-ძიების ეს ელემენტარული მოთხოვნები, და თქვენ დაინახავთ ბურჟუაზიული •დაშლის ისეთ ნათელ სურათს, რომ «სახალხო წყობილების» მითისაგან მხოლოდ მოგონება-ღა დარჩება. წვრილი სოფლელი ექსპლოატატორების ეს მასა საშინელ ძალას წარმოადგენს, საშინელს განსაკუთრებით იმიტომ, რომ ისინი მშრომელებს ცალ-ცალკე, თითო-თითოდ აწვებიან, იმონებენ მათ და თავის დახსნის ყოველ იმედს ართმევენ, საშინელს იმი-

ტომ, რომ ეს ექსპლოატაცია სოფლის სიველურის გამო, რაც გამოწვეულია აღწერილი სისტემის დამახასიათებელი შრომის დაბალი ნაყოფიერებით და კავშირურთიერთობის უქონლობით, წარმოადგენს არა მარტო შრომის გაძარცვას, არამედ პიროვნების აზიურ შებღალვასაც, რასაც მუდამ აქვს ადგილი სოფლად. აი, თუ ამ ნამდვილ სოფელს ჩვენს კაპიტალიზმს შეადარებთ, — მაშინ გაიგებთ, რატომ სთვლიან სოციალ-დემოკრატები პროგრესულად ჩვენი კაპიტალიზმის მუშაობას, როცა იგი ამ წვრილ დაქსაქსულ ბაზრებს ერთ სრულიად-რუსეთის ბაზრად უყრის თავს, როცა უამრავი კეთილმოსურნე წვრილი სვავების ადგილას ჰქმნის მსხვილ «სამშობლოს ბურჯთა» პატარა ჯგუფს, როცა ის ასაზოგადოებს შრომას და ამაღლებს მის ნაყოფიერებას, როცა ის სწყვეტს მშრომელის ამ დამორჩილებას ადგილობრივი წურბელებისადმი და ჰქმნის მსხვილი კაპიტალისადმი დამორჩილებას. ეს დამორჩილება პროგრესულია იმასთან შედარებით — მიუხედავად შრომის ჩაგვრის ყოველგვარი საშინელებისა, მიუხედავად გადაშენებისა, გაველურებისა, ქალების და ბავშვების ორგანიზმის დასახიჩრებისა და სხვ., — რადგან ის ᲐᲚᲕᲘᲫᲔᲑᲡ ᲛᲣᲨᲘᲡ ᲐᲖᲠᲡ, ყრუ და გაურკვეველ უკმაყოფილებას შეგნებულ პროტესტად აქცევს, ხოლო დაქსაქსულ, წვრილმან, უაზრო ჯანყს — ორგანიზებულ კლასობრივ ბრძოლად მთელი მშრომელი ხალხის განთავისუფლებისათვის; ეს ბრძოლა კი თავის ძალას თვით ამ მსხვილი კაპიტალიზმის არსებობის პირობებში პოულობს და ამიტომ მას ᲣᲪᲘᲚᲝᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ იმედი უნდა ჰქონდეს.

პასუხად იმ ბრალდებისა, თითქოს სოციალ-დემოკრატები უგულვებელჰყოფდნენ გლეხობის მასას, სოციალ-დემოკრატებს სრული უფლებით შეუძლიათ მოიყვანონ კარლ მარქსის სიტყვები:

> «კრიტიკამ ბორკილებს იმისთვის კი არ ააცალა მათი შემამკობელი საოცნებო ყვავილები, რომ კაცობრიობამ განაგრძოს ამ ბორკილების ტარება მათი იმ ფორმით, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ ფან-

ტაზიასა და ყოველგვარ სიხარულს, არა-
მედ იმისთვის, რომ მოიცილოს ბორკი-
ლები და ხელი გაუწოდოს ცოცხალ ყვა-
ვილს»[54].

რუსი სოციალ-დემოკრატები ჩვენს სოფელს აცლიან ოცნების ყვავილების სამკაულს, ებრძვიან იდეალიზაციას და ფანტაზიას, აწარმოებენ იმ გამანადგურებელ მუშაობას, რომლისთვისაც ისინი ასე საშინლად სძულთ «ხალხის მეგობრებს», — არა იმისთვის, რომ გლეხობის მასა ახლანდელი ჩაგვრის, გადაშენებისა და დამონების მდგომარეობაში დარჩეს, არამედ იმისთვის, რომ პროლეტარიატმა გაიგოს, როგორია ის ბორკილები, რომელნიც ყოველგან ჰბოჭავენ მშრომელს, გაიგოს, როგორ იჭედება ეს ბორკილები, და შესძლოს მათ წინააღმდეგ ამხედრება, რათა მოიცილოს ისინი და ხელი გაუწოდოს ნამდვილ ყვავილს.

როცა ეს იდეა მათ მიაქვთ მშრომელი კლასის იმ წარმომადგენლებთან, რომელთაც თავიანთი მდგომარეობის გამო მარტოდმარტო შეუძლიათ კლასობრივი თვითშეგნების შეთვისება და კლასობრივი ბრძოლის დაწყება, — მაშინ მათ აბრალებენ, თითქოს მათ სურდეთ გლეხის გამოხარშვა ქვაბში.

და ვინ აბრალებს? —

ადამიანები, რომლებიც მშრომელის განთავისუფლების იმედს «მთავრობასა» და «საზოგადოებაზე» ამყარებენ, ე. ი. სწორედ იმ ბურჟუაზიის ორგანოებზე, რომელმაც თვითონ დაადო ყველგან ბორკილები მშრომელებს!

ასეთი ლოფორთქინები კი იჩაჩხებიან და სოციალ-დემოკრატების უიდეალობაზე ლაყბობენ!

გადავიდეთ «ხალხის მეგობრების» პოლიტიკურ პროგრამაზე, — მათ თეორიულ შეხედულებათა გარჩევას, გვგონია, მეტისმეტად დიდი დრო მოვანდომეთ. რა ზომებით სურთ მათ «ხანძრის ჩაქრობა»? რაში ხედავენ ისინი გამოსავალს, რომელსაც, თითქოს, უმართებულოდ უჩვენებენ სოციალ-დემოკრატები?

«საგლეხო ბანკის რეორგანიზაცია — ამბობს ბ-ნი იუჟაკოვი სტატიაში: «მიწათმოქმედების სამინისტრო» («რ. ბ — ვო», № 10) — საკოლონიზაციო სამმართველოს დაწესება, სახაზინო მიწების იჯარის მოწესრიგება სახალხო მეურნეობის ინტერესებისათვის,... იჯარის საკითხის შემუშავება და მოწესრიგება, — ასეთია პროგრამა სახალხო მეურნეობის აღდგენისა და მისი დაცვისა ახლად წარმოშობილი პლუტოკრატიის ეკონომიური ძალმომრეობისაგან (sic!)». ხოლო სტატიაში: «ეკონომიური განვითარების საკითხები» «სახალხო მეურნეობის აღდგენის» ამ პროგრამას ავსებს შემდეგი «უპირველესი, მაგრამ აუცილებელი ნაბიჯებით»: — «ყველა იმ დაბრკოლებათა დაძლევა, რომელნიც დღეს ჰბოჭავენ სოფლის თემს; ამ თემის განთავისუფლება მეურვეობისაგან, საზოგადოებრივ ხვნა-თესვაზე გადასვლა (სამიწათმოქმედო სარეწის განსაზოგადოება) და მიწიდან მიღებული ნედლეულის თემური დამუშავების განვითარება». ხოლო ბბ. კრივენკო და კარიშევი ამას უმატებენ: «იაფი კრედიტი, მეურნეობის საარტელო ფორმა, საქონლის გასაღების უზრუნველყოფა, სამეწარმეო სარფის თავიდან აცილების შესაძლებლობა (ამაზე განსაკუთრებით ქვევით), უფრო იაფფასიანი ძრავებისა და სხვა ტექნიკურ გაუმჯობესებათა გამოგონება», ბოლოს — «მუზეუმები, საწყობები, საკომისიონერო კანტორები».

ჩაუკვირდით ამ პროგრამას და თქვენ დაინახავთ, რომ ეს ვაჟბატონები სავსებით და მთლიანად დგებიან თანამედროვე საზოგადოების ნიადაგზე (ე. ი. კაპიტალისტური წყობილების ნიადაგზე, რაც მათ შეგნებული არა აქვთ) და უნდათ ფონს გავიდნენ მისი შეკეთებით, მასზე საკერებლის დადებით; მათ არ ესმით, რომ მთელ მათს პროგრესებს — იაფ კრედიტს, ტექნიკის გაუმჯობესებებს, ბანკებს და სხვ. — შეუძლიათ მხოლოდ გაძლიერონ და განავითარონ ბურჟუაზია.

ნიკ. — ონი, რასაკვირველია, სავსებით მართალია, — და ეს ერთ-ერთი მისი ყველაზე უფრო ძვირფასი დებულებაა, რომლის წინააღმდეგ არ შეეძლოთ პროტესტი არ განეცხადებინათ «ხალხის მეგობრებს», — რომ საქმეს ვერ უშველი ვერავითარი რეფორმებით თანამედროვე წესების ნიადაგზე, რომ კრედიტიც,

გადასახლებაც, საგადასახადო რეფორმებიც და მთელი მიწის გადასვლაც გლეხების ხელში — არსებითად არაფერს შესცვლიან, არამედ, პირიქით — გააძლიერებენ და განავითარებენ კაპიტალისტურ მეურნეობას, რომელსაც დღეს აფერხებს ზედმეტი «მეურვეობა», ბატონყმურ გადასახადთა ნაშთები, გლეხების მიმაგრება მიწაზე და სხვ. ეკონომისტებს, რომელთაც კრედიტის ექსტენსიური განვითარება სურთ — ამბობს ის — მსგავსად თ-დ ვასილჩიკოვისა (თავისი იდეებით უეჭველი «ხალხის მეგობარია»), იგივე სურთ, რაც «ლიბერალურ», ე. ი. ბურჟუაზიულ ეკონომისტებს, «მიისწრაფვიან კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებისა და განმტკიცებისაკენ». მათ არ ესმით ჩვენებურ წარმოებით ურთიერთობათა ანტაგონისტურობა («გლეხობაში» ისევე, როგორც სხვა წოდებებში) და იმის მაგივრად, რომ შეეცადონ ფართოდ გამოამზეურონ ეს ანტაგონიზმი, იმის მაგივრად, რომ პირდაპირ მიემხრონ იმათ, ვინც იჩაგრება ამ ანტაგონიზმის გამო, და შეეცადონ დაეხმარონ მას, რომ აღსდგეს საბრძოლველად, — ისინი ოცნებობენ ბრძოლის შეწყვეტაზე ისეთი ღონისძიებებით, რომელნიც ითვალისწინებენ ყველას შერიგებას და გაერთიანებას. გასაგებია, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ყველა ამ ღონისძიებას: საკმარისია გავიხსენოთ დაშლის ზემოთ მოყვანილი მაგალითები, რათა დავრწმუნდეთ, რომ ყველა ამ კრედიტებს *, გაუმჯობესებებს, ბანკებს და სხვა ამგვარ «პროგრესებს» მხოლოდ ის გამოიყენებს, ვისაც წესიერ, მტკიცე მეურნეობასთან ერთად ერთგვარი «დანაზოგი» აქვს, ე. ი. უმნიშვნელო უმცირესობის, წვრილი ბურჟუაზიის წარმომადგენლები. და საგლეხო ბანკისა და სხვა ამგვარ დაწესებულებათა როგორი რეორგანიზაციაც არ უნდა

* ეს იდეა — კრედიტის საშუალებით «სახალხო მეურნეობის», ე. ი. წვრილი მწარმოებლების მეურნეობის ხელისშეწყობისა კაპიტალისტურ ურთიერთობათა არსებობის დროს (ამ ურთიერთობათა არსებობის უარყოფა კი აღარ შეუძლიათ, როგორც დავინახეთ, «ხალხის მეგობრებს»), — ეს უაზრო იდეა, რომელიც გვიჩვენებს თეორიული პოლიტიკური ეკონომიის ანბანურ ჭეშმარიტებათა გაუგებლობას, მთელი სიცხადით გვიჩვენებს, თუ რა უგვანოა თეორია ამ ვაჟბატონებისა, რომლებიც ცდილობენ ორ სკამს შუა ჯდომას.

მოახდინოთ, ამით სრულიად ვერ შესცვლით იმ მთავარ და ძირითად ფაქტს, რომ მოსახლეობის მასა ექსპროპრიირებულია, რომ მისი ექსპროპრიაცია გრძელდება, როცა ამ მასას საშუალებები არა აქვს არა თუ იმისთვის, რომ წესიერი მეურნეობა შემოიღოს, არამედ იმისთვისაც კი, რომ საკუთარი თავი გამოიკვებოს.

იგივე უნდა ითქვას «არტელებისა» და «საზოგადოებრივი ხვნა-თესვის» შესახებ. ბ-ნი იუჟაკოვი ამ უკანასკნელს «სამიწათმოქმედო სარეწის განსაზოგადოებას» უწოდებს. რასაკვირველია, ეს ახირებული რამ არის, იმიტომ რომ განსაზოგადოებისათვის საჭიროა წარმოების ორგანიზაცია არა ერთი რომელიმე სოფლის ფარგლებში, იმიტომ რომ ამისთვის აუცილებელია იმ «სვავთა» ექსპროპრიაცია, რომელთაც მონოპოლიურად ხელში ჩაუგდიათ წარმოების საშუალებანი და განაგებენ რუსეთის ახლანდელ საზოგადოებრივ მეურნეობას. ამისთვის კი საჭიროა ბრძოლა, ბრძოლა და ბრძოლა, და არა უშინაარსო მეშჩანური მორალი.

და ამიტომ ასეთი ღონისძიებანი მათ ხელში იქცევიან თვინიერ ლიბერალურ ნახევარზომებად, რომელნიც უილაჯონი ხდებიან ფილანტროპიული ბურჟუების წყალობათაგან და ბევრად მეტი ზიანი მოაქვთ ექსპლოატირებულთა ჩამოშორებით ბრძოლისაგან, ვიდრე სარგებლობა ცალკეულ პიროვნებათა მდგომარეობის იმ შესაძლებელი გაუმჯობესებისაგან, რომელიც არ შეიძლება არ იყოს სრულიად უმნიშვნელო და მერყევი კაპიტალისტურ ურთიერთობათა საერთო ნიადაგზე. თუ რა საზიზღარ სახეს იღებს ამ ვაჟბატონების მიერ რუსეთის ცხოვრებაში არსებული ანტაგონიზმის მიჩქმალვა, — რაც, რასაკვირველია, იმ უაღრესად კეთილი განზრახვებით სწარმოებს, რომ შესწყვიტონ ნამდვილი ბრძოლა, ე. ი. სწორედ ისეთი განზრახვებით, რომლებითაც მოფენილია ჯოჯოხეთი, — ამას გვიჩვენებს ბ-ნ კრივენკოს შემდეგი მსჯელობა:

«ინტელიგენცია ხელმძღვანელობს მეფაბრიკეების საწარმოებს და მას შეუძლია უხელმძღვანელოს სახალხო მრეწველობას».

მთელი მათი ფილოსოფია ეთანაბრება გოდებას იმ თემაზე, რომ არის ბრძოლა და ექსპლოატაცია, მაგრამ «შეიძლებოდა»

ის არც ყოფილიყო, თუ... თუ არ იქნებოდნენ ექსპლოატატორები. მართლაც, რა უნდოდა ავტორს ეთქვა თავისი უაზრო ფრაზით? განა შეიძლება იმის უარყოფა, რომ რუსეთის უნივერსიტეტები და სხვა სასწავლებლები ყოველწლიურად ისეთ «ინტელიგენციას» (??) ზრდიან, რომელიც მხოლოდ იმას ეძებს, ვინ გამოკვებავს მას? განა შეიძლება იმის უარყოფა, რომ ამ «ინტელიგენციის» შესანახი სახსრები დღეს რუსეთში მხოლოდ ბურჟუაზიულ უმცირესობას მოეპოვება? ნუთუ ბურჟუაზიული ინტელიგენცია რუსეთში გაქრება იმიტომ, რომ «ხალხის მეგობრები» იტყვიან, მას «შეეძლო» არ ემსახურნა ბურჟუაზიისთვისო? დიახ, «შეეძლო», ბურჟუაზიული რ ო მ არ ყოფილიყო. «შეეძლო» ბურჟუაზიული არ ყოფილიყო, რუსეთში «რომ» ბურჟუაზია და კაპიტალიზმი არ ყოფილიყო! არიან ადამიანები, რომელნიც მთელს თავიანთ სიცოცხლეში თავს იქცევენ მარტო ამ «რომ»-ებით და «თუ»-ებით! მაგრამ ეს ვაჟბატონები არა მარტო უარს ამბობენ იმაზე, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა მიანიჭონ კაპიტალიზმს, არამედ საერთოდ არაფერი ცუდის დანახვაც არ სურთ კაპიტალიზმში. თუ ზოგიერთ «დეფექტს» მოვაშორებთ, — მაშინ, შეიძლება, ისინი კაპიტალიზმს საუცხოოდ შეეწყონ. ინებეთ ბ-ნ კრივენკოს შემდეგი განცხადება:

«კაპიტალისტური წარმოება და სარეწთა კაპიტალიზაცია სრულიადაც არ წარმოადგენს ისეთ ჭიშკარს, საიდანაც დამმუშავებელ მრეწველობას შეუძლია მხოლოდ გავიდეს და ხალხს მოშორდეს. რასაკვირველია, მას შეუძლია წავიდეს, მაგრამ შეუძლია აგრეთვე ხალხის ცხოვრებაშიც შევიდეს და ახლო დადგეს სოფლის მეურნეობასა და მომპოვებელ მრეწველობასთან. ამისთვის შესაძლებელია რამდენიმე კომბინაცია და ამას შეიძლება ემსახუროს როგორც სხვა, ისე თვით ეს ჭიშკარიც» (161). ბ-ნ კრივენკოს, — ბ-ნ მიხაილოვსკისთან შედარებით, — ზოგიერთი საუცხოო თვისება აქვს. მაგალითად, გულახდილობა და პირდაპირობა. სადაც ბ-ნი მიხაილოვსკი მთელ ფურცლებს აავსებდა გაშალაშინებული და მოკვეთილი ფრაზებით, იტრიალებდა საგნის ახლოს და თვით მას კი არ შეეხებოდა, იქ საქმიანი და პრაქტიკული ბ-ნი კრივენკო პირდაპირ სჭრის და ურცხვად

ალაგებს მკითხველის წინაშე თავისი მსოფლმხედველობის ყველა აბსურდს მთლიანად. თვით გასინჯეთ: «კაპიტალიზმს შეუძლია ხალხის ცხოვრებაში შევიდეს». ესე-იგი კაპიტალიზმი შესაძლებელია მშრომელისა და წარმოების საშუალებათა გაუთიშავად! ეს მართლაც რომ საუცხოოა; ახლა ჩვენ, ყოველ შემთხვევაში, სრულიად ნათლად გვაქვს წარმოდგენილი, თუ რა სურთ «ხალხის მეგობრებს». მათ სურთ სასაქონლო მეურნეობა უკაპიტალიზმოდ, — კაპიტალიზმი უექსპროპრიაციოდ და უექსპლოატაციოდ, ისე რომ მხოლოდ მეშჩანობა იყოს, რომელიც მშვიდობიანად იცხოვრებს ჰუმანური მემამულეებისა და ლიბერალი ადმინისტრატორების მფარველობის ქვეშ. და ისინი დეპარტამენტის იმ მოხელის სერიოზული სახით, რომელსაც განზრახული აქვს რუსეთის გაბედნიერება, იწყებენ ისეთი წყობილების კომბინაციების შეთხზვას, სადაც მგლებიც მაძღარნი იქნებოდნენ და ცხვრებიც უვნებლად დარჩებოდნენ. წარმოდგენა რომ ვიქონიოთ ამ კომბინაციების ხასიათზე, უნდა მივმართოთ იმავე ავტორის სტატიას № 12-ში («კულტურულ მარტოხელათა შესახებ»): «მრეწველობის საარტელო და სახელმწიფოებრივი ფორმა — მსჯელობს ბ-ნი კრივენკო, რომელმაც, როგორც სჩანს, წარმოიდგინა, რომ ის უკვე «მოწოდებულია» «გადასწყვიტოს პრაქტიკული ეკონომიური პრობლემები» — სრულიადაც არ წარმოადგენს იმას, რაც კი შეიძლება ამ შემთხვევაში წარმოვიდგინოთ. შესაძლებელია, მაგალითად, ასეთი კომბინაცია». და შემდეგ მოთხრობილია, როგორ მივიდა «რ. ბოგატსტვოს» რედაქციაში ტექნიკოსი დონის ოლქის ტექნიკური ექსპლოატაციის პროექტით, რომლის მიხედვითაც უნდა დაარსებულიყო სააქციო საწარმო წვრილი აქციებით (არა უმეტეს 100 მან.). პროექტის ავტორს წინადადება მიეცა—დაახლოებით ამნაირად შეეცვალა ის: «რომ აქციები ყოფილიყო არა ცალკე პირებისა, არამედ სოფლის საზოგადოებებისა, ამასთან მათი მოსახლეობის ნაწილი, რომელიც საწარმოებში იმუშავებს, ჩვეულებრივს ხელფასს მიიღებდა, ხოლო სოფლის საზოგადოებანი უზრუნველჰყოფდნენ მის კავშირს მიწასთან».

დახეთ, როგორი ადმინისტრაციული გენიალობაა! როგორი გულისამჩვილებელი უბრალოებით და სიადვილით შემოაქვთ ხალხურ ცხოვრებაში კაპიტალიზმი და როგორ სპობენ მის მავნე თვისებებს! ოღონდ ისე უნდა მოეწყოს, რომ საზოგადოების მეშვეობით სოფლის მდიდრებმა იყიდონ აქციები* და მოგება მიიღონ საწარმოსაგან, რომელშიც იმუშავებდა «მოსახლეობის ნაწილი», უზრუნველყოფილი მიწასთან კავშირით, — ისეთი «კავშირით», როგორიც საშუალებას არ იძლევა, რომ ამ მიწით იცხოვრო (თორემ ვინ წავიდოდა სამუშევრად «ჩვეულებრივ ხელფასზე»?), მაგრამ საკმაოა იმისთვის, რომ ადამიანი ადგილზე მიამაგროს, დაუმონოს ის სწორედ ადგილობრივ კაპიტალისტურ საწარმოს და წაართვას მეპატრონის გამოცვლის საშუალება. მე ვლაპარაკობ მეპატრონეზე, კაპიტალისტზე — სრული უფლებით, იმიტომ რომ იმას, ვინც ხ ე ლ ფ ა ს ს აძლევს მშრომელს, სხვა სახელს ვერ ვუწოდებთ.

შეიძლება მკითხველმა უკმაყოფილება განაცხადოს ჩემს წინააღმდეგ, რომ ასე დიდხანს შევჩერდი ამ აბდაუბდაზე, რომელიც, თითქოს, არავითარი ყურადღების ღირსი არ არის. მაგ-

* მე ვლაპარაკობ მდიდრების მიერ აქციების ყიდვის შესახებ, — მიუხედავად ავტორის შენიშვნისა, რომ აქციები საზოგადოებებს ეკუთვნის — ვინაიდან იგი მაინც ამბობს, რომ აქციებს ყიდულობენ ფულით, რომელიც მხოლოდ მდიდრებს აქვთ. ამიტომ, საზოგადოებათა მეშვეობით იქნება ეს საქმე წარმოებული თუ არა, — ეს სულ ერთია, ფულის გადახდას შესძლებენ მხოლოდ მდიდრები, სწორედ ისევე, როგორც საზოგადოების მიერ მიწის ყიდვა ან იჯარით აღება სრულიადაც არ სპობს ამ მიწის მონოპოლიზაციას მდიდრების მიერ. შემდეგ, შემოსავალიც (დივიდენდი) ისევ იმან უნდა მიიღოს, ვინც ფულს იხდიდა, — სხვაგვარად აქცია აღარ იქნება აქცია. და ავტორის წინადადება მე იმ მნიშვნელობით მესმის, რომ მოგების განსაზღვრული ნაწილი გადარიცხული იქნება ხოლმე «მუშებისათვის მიწასთან კავშირის უზრუნველსაყოფად». — ხოლო თუ ავტორი გულისხმობს არა ამას (თუმცა ეს აუცილებლად გამომდინარეობს მისი ნათქვამიდან), არამედ იმას, რომ მდიდრებმა იხადონ ფული აქციებისათვის, დივიდენდი კი არ მიიღონ, — მაშინ მისი პროექტი ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ მდიდრებმა ქონება გაუზიარონ ღარიბებს. ეს ძლიერ წააგავს ერთ ანეგდოტურ საშუალებას ბუზების მოსასპობად, რომელიც მოითხოვს, რომ ბუზი დაიჭირონ და დაამწყვდიონ ჭურჭელში, — და ბუზი მაშინვე მოკვდებაო.

რამ ნუ იტყვით. თუმცა ეს აბდაუბდაა, მაგრამ ისეთი აბდაუბდა, რომლის შესწავლა სასარგებლოა და საჭიროც, იმიტომ რომ ის ასახავს რუსეთის ნამდვილ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ურთიერთობებს და ამის გამო ჩვენში ფრიად გავრცელებულ იმ საზოგადოებრივ იდეებს ეკუთვნის, რომელთაც სოციალ-დემოკრატებმა ჯერ კიდევ დიდხანს უნდა გაუწიონ ანგარიში. საქმე ისაა, რომ რუსეთში წარმოების ბატონყმური, ფეოდალური წესიდან კაპიტალისტურზე გადასვლა ჰქმნიდა, და ნაწილობრივ ახლაც ჰქმნის, მშრომელის ისეთ მდგომარეობას, როდესაც გლეხი, მოკლებული შესაძლებლობას — თავი გამოეკვება მიწის შემწეობით და ბ ე გ ა რ ა ე ხ ა დ ა მ ე მ ა მ უ ლ ი ს ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო დ (ბ ე გ ა რ ა ს კ ი ი ს დ ღ ე ს ა ც ი ხ დ ი ს), იძულებული იყო მიემართა «გარეშოვრებისათვის», რომლებიც თავდაპირველად, ძველ მამაპაპურ დროში, ან დამოუკიდებელი სარეწაო შრომის ფორმას ატარებდნენ (მაგ., ჭაპანზიდვა), ან კიდევ დამოკიდებულისა, მაგრამ შედარებით კარგსაფასურიანი იყვნენ სარეწების ფრიად სუსტი განვითარების გამო. ეს მდგომარეობა უზრუნველჰყოფდა გლეხობის ერთგვარ, ახლანდელთან შედარებით, კეთილდღეობას, იმ ყმების კეთილდღეობას, რომელნიც მშვიდობიანად ატარებდნენ დუხჭირ ცხოვრებას ასი ათასი კეთილშობილი პოლიცმეისტერისა და რუსეთის მიწის ახლად წარმოშობილ შემკრებთა — ბურჟუების მფარველობის ქვეშ.

და აი «ხალხის მეგობრები» ამ წყობილების იდეალიზაციას ახდენენ, სულ უბრალოდ უკუაგდებენ მის ბნელ მხარეებს, ოცნებობენ მასზე, — «ოცნებობენ» იმიტომ, რომ ის დიდი ხანია უკვე აღარ არსებობს სინამდვილეში, დიდი ხანია დანგრეულია კაპიტალიზმის მიერ, რომელმაც წარმოშვა მიწათმოქმედი გლეხობის მასობრივი ექსპროპრიაცია და წინანდელი «საშოვრების» მაგივრად მოჭარბებული მუშა-«ხელის» აღვირახსნილი ექსპლოატაცია დაამყარა.

მეშჩანობის ჩვენს რაინდებს სურთ სწორედ მიწასათან გლეხის «კავშირის» შენარჩუნება, მაგრამ არ სურთ ბატონყმობა, — ეს უკანასკნელი კი ერთადერთი უზრუნველჰყოფდა ამ კავშირს და დამსხვრეულ იქნა მხოლოდ სასაქონლო მეურნეობისა და

კაპიტალიზმის მიერ, რომელმაც შეუძლებელი გახადა ეს კავშირი. მათ უნდათ გარესაშოვრები, რომლებიც გლეხს არ მოსწყვეტდნენ მიწას, რომლებიც — ბაზრისათვის მუშაობის დროს — არ წარმოშობდნენ კონკურენციას, არ შეჰქმნიდნენ კ ა პ ი ტ ა ლ ს და არ დაუმონებდნენ მას მოსახლეობის მასებს. სოციოლოგიაში სუბიექტური მეთოდის ერთგულებს, მათ სურთ კარგი იქიდანაც «აიღონ» და აქედანაც, — მაგრამ სინამდვილეში, რასაკვირველია, ეს ბალღური სურვილი იწვევს მხოლოდ რეაქციულ ოცნებობას, რომელიც უგულვებელჰყოფს სინამდვილეს, იწვევს იმას, რომ ამ ადამიანებს არ შეუძლიათ გაიგონ და გამოიყენონ ახალი წესების ნამდვილად პროგრესული, რევოლუციური მხარეები და თანაგრძნობას უცხადებენ ისეთ ზომებს, რომელნიც ამარადისებენ ნახევრად-ბატონყმური, ნახევრად-თავისუფალი შრომის ძველ მამაპაპურ წესებს, — ისეთ წესებს, რომლებიც შეიცავდნენ ექსპლოატაციისა და ჩაგვრის ყველა საშინელებას და არავითარი გამოსავალის შესაძლებლობას არ იძლეოდნენ.

რომ დავამტკიცო სისწორე ამ ახსნა-განმარტებისა, რომელიც რეაქციონერებს აკუთვნებს «ხალხის მეგობრებს», დავიმოწმებ ორ მაგალითს.

მოსკოვის საერობო სტატისტიკაში ჩვენ შეგვიძლია წავიკითხოთ ვინმე ქ-ნ კ-ის (პოდოლსკის მაზრაში) მეურნეობის აღწერა, რომელსაც (მეურნეობას და არა აღწერას) აღტაცებაში მოჰყავდა როგორც მოსკოველი სტატისტიკოსები, ისე ბ-ნი ვ. ვ-ც, თუ მეხსიერება არ მღალატობს (როგორც მახსოვს, იგი ამის შესახებ სწერდა რომელიღაც საჟურნალო სტატიაში).

ეს ყბადაღებული მეურნეობა ქ-ნ კ-ისა ბ-ნ ვ. ორლოვისათვის წარმოადგენს «ფაქტს, რომელიც პრაქტიკულად ზედმიწევნით ამტკიცებს» მის საყვარელ დებულებას, ვითომ «სადაც გლეხური მიწათმოქმედება წესიერ მდგომარეობაშია, იქ კერძო მიწათმფლობელთა მეურნეობაც უკეთ მიდის». ბ-ნ ორლოვის ნაამბობიდან ამ ქ-ნის მამულის შესახებ სჩანს, რომ ეს ქალი მეურნეობას ეწევა ადგილობრივი გლეხების შრომით; გლეხები ამუშავებენ მის მიწას და ამისათვის ზამთარში ღებულობენ მისგან სესხად ფქვილს და სხვ., ამასთან ეს მემამულე ქალი გლე-

ხებს საოცარი მზრუნველობით ექცევა, ეხმარება მათ, ისე რომ ისინი ახლა ყველაზე უფრო რიგიანი გლეხები არიან თემში, მათ პური «თითქმის ახალ მოსავლამდე ჰყოფნით (წინათ შუაზამთრამდეც არ ჰყოფნიდათ)».

საკითხავია, გამორიცხავს თუ არა «საქმის ასეთი დაყენება გლეხისა და მიწათმფლობელის ინტერესების წინააღმდეგობას», როგორც ამას ბბ. ნ. კაბლუკოვი (ტ. V, გვ. 175) და ვ. ორლოვი (ტ. II, გვ. 55 — 59 და სხვ.) ფიქრობენ?[55] ცხადია, რომ არა, ვინაიდან ქ-ნი კ. თავისი გლეხების შრომით ცხოვრობს. მაშასადამე, ექსპლოატაცია სრულიადაც არ არის განდევნილი. ექსპლოატირებულთადმი კეთილი დამოკიდებულების გამო ექსპლოატაციის არდანახვა ეპატიება ქ-ნ კ-ს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ ეპატიება ეკონომისტ-სტატისტიკოსს, რომელიც, ამ შემთხვევით აღტაცებული, სრულიად ემსგავსება დასავლეთის იმ Menschenfreunde-ს *, რომელნიც აღტაცებულნი არიან კაპიტალისტის კეთილი დამოკიდებულებით მუშისადმი, აღფრთოვანებით გადმოგვცემენ შემთხვევებს, როცა მეფაბრიკე ზრუნავს მუშებისათვის, აწყობს მათთვის სამომხმარებლო დუქნებს, ბინებს და სხვ. მსგავსი «ფაქტების» არსებობიდან (და, მაშასადამე, «შესაძლებლობიდან») იმ დასკვნის გამოტანა, რომ ინტერესთა წინააღმდეგობა არ არსებობსო — იმას ნიშნავს, რომ ხეებს იქით ტყე ვერ დაინახო. ეს ერთი.

მეორეც, ბ-ნ ორლოვის ნაამბობიდან ჩვენ ვხედავთ, რომ ქ-ნ კ-ის გლეხებმა «ჩინებული მოსავლის გამო (მემამულემ მათ კარგი თესლი მისცა) გაიჩინეს პირუტყვი» და «წესიერ» მეურნეობას ეწევიან. წარმოიდგინეთ, რომ ეს «წესიერი მეურნენი» გადაიქცენ არა «თითქმის» წესიერ, არამედ სრულიად წესიერ მეურნეებად: პური მათ ჰყოფნით არა «თითქმის» ახალ მოსავლამდე და არა «უმრავლესობას», არამედ ყველას და სავსებით ჰყოფნის. წარმოვიდგინოთ, რომ ამ გლეხებს აღმოაჩნდათ საკმაო მიწა, რომ მათ აქვთ «საძოვარიც და გასადენი ადგილებიც», რაც ახლა მათ არ გააჩნიათ (კარგი წესიერი მეურნეობა ყოფილა!) და რაც

* — «კაცთმოყვარენი», ფილანტროპები. რ ე დ .

მათ იჯარით აქვთ აღებული ქ-ნ კ-საგან სამუშაოს შესრულებით. ნუთუ ბ-ნი ორლოვი ფიქრობს, რომ ამ შემთხვევაში — ე. ი. გლეხური მეურნეობა რომ მართლა წესიერი ყოფილიყო — ეს გლეხები «ყველა სამუშაოს ქ-ნ კ-ის მამულში ბეჯითად, თავის დროზე და სწრაფად შეასრულებდნენ», როგორც ისინი ახლა სჩადიან? ან, შეიძლება, ერთგულება კეთილი ქალბატონისადმი, რომელიც ასე დედაშვილურად სწოვს ძალღონეს წესიერ გლეხებს, არანაკლებ ძლიერი იმპულსი იქნება, ვიდრე დღევანდელი გამოუვალი მდგომარეობა გლეხებისა, რომელთაც არ შეუძლიათ ხომ თავის გატანა საძოვრებისა და გასადენი ადგილების უქონლად?

ცხადია, რომ ასეთივეა არსებითად «ხალხის მეგობრების» იდეები: როგორც მეშჩანობის ნამდვილ იდეოლოგებს, მათ სურთ არა ექსპლოატაციის მოსპობა, არამედ მისი შემსუბუქება, სურთ არა ბრძოლა, არამედ შერიგება. მათი ფართო იდეალები, რომელთა თვალსაზრისით ისინი ასე გულმოდგინედ ანადგურებენ ვიწრო სოციალ-დემოკრატებს, არ შორდება «წესიერ» გლეხობას, რომელიც «ბეგარას» იხდის მემამულეებისა და კაპიტალისტების წინაშე, ოღონდ კი სამართლიანად მოექცნენ მათ მემამულეები და კაპიტალისტები.

მეორე მაგალითი. ბ-ნი იუჟაკოვი თავის საკმაოდ ცნობილ სტატიაში: «სახალხო მიწათმფლობელობის ნორმები რუსეთში» («რუსკაია მისლ», 1885, № 9) გვაცნობდა თავის შეხედულებებს იმის შესახებ, თუ რა ზომის უნდა იყოს «სახალხო» მიწათმფლობელობა, ე. ი., ჩვენი ლიბერალების ტერმინოლოგიით, ისეთი მიწათმფლობელობა, რომელიც გამორიცხავს კაპიტალიზმს და ექსპლოატაციას. ახლა — ბ-ნ კრივენკოს მიერ საქმის ამ საუცხოო განმარტების შემდეგ — ჩვენ ვიცით, რომ ისიც საქმის ვითარებას «ხალხის ცხოვრებაში კაპიტალიზმის შეტანის» თვალსაზრისით უცქეროდა. «სახალხო» მიწათმფლობელობის minimum-ად ის სთვლიდა ისეთ ნადელებს, რომელნიც დაჰფარავდნენ «ხორბლის ულუფასა და გადასახადებს»*, ხოლო დანარჩენი

* იმ შეფარდების დასანახვებლად, რომელიც ამ ხარჯებსა და გლეხის ბიუჯეტის დანარჩენ ნაწილს შორის არსებობს, დავიმოწმებ ოსტროგ.

გლეხმა შეიძლება «საშოვრებითა» შეიძინოსო... სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, იგი პირდაპირ ურიგდებოდა ისეთ წესებს, როცა გლეხი კავშირს ინარჩუნებდა მიწასთან და ორმაგ ექსპლოატაციას განიცდიდა, ნაწილობრივ მემამულისაგან — «ნადელით», ნაწილობრივ კაპიტალისტისაგან — «საშოვრებით». ეს მდგომარეობა წვრილი მწარმოებლებისა, რომლებიც ორმაგ ექსპლოატაციას განიცდიან და ამასთან ისეთ საყოფაცხოვრებო პირობებში არიან ჩაყენებულნი, რომლებიც აუცილებლად წარმოშობენ ჩაგვრას და დაბეჩავებას, უსპობენ მათ არა მარტო გამარჯვების ყოველგვარ იმედს, არამედ დაჩაგრულთა კლასის ბრძოლისაც, — ეს ნახევრად-საშუალოსაუკუნეობრივი მდგომარეობა არის «ხალხის მეგობრების» გონებრივი ჰორიზონტისა და იდეალების nec plus ultra. და აი, როცა კაპიტალიზმი უდიდესი სისწრაფით განვითარდა რუსეთის მთელი რეფორმისშემდგომი ისტორიის მანძილზე და დაიწყო ძველი რუსეთის ამ საძირკვლის — პატრიარქალური, ნახევრად-ბატონყმურ მდგომარეობაში მყოფი გლეხობის — ძირფესვიანად ამოყრა მისი საშუალოსაუკუნეობრივი, ნახევრად-ფეოდალური პირობებისაგან და უახლეს, წმინდა-კაპიტალისტურ პირობებში ჩაყენება, აიძულებდა რა მას დაეტოვებინა შეჩვეული ადგილები და ხეტიალი დაეწყო მთელ რუსეთში სამუშაოს საძებნელად, როცა კაპიტალიზმი არღვევდა ადგილობრივი «სამუშაოს მიმცემისადმი» დამონებას და ააშკარავებდა, თუ რაშია ექსპლოატაციის საფუძველი საზოგადოდ, კლასობრივი ექსპლოატაციისა და არა ამა თუ იმ ასპიტის მხრით ძარცვისა, — როცა კაპიტალიზმმა დაიწყო სულ უფრო გართულებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ორომტრიალში მასობრივად ჩათრევა დანარჩენი დაჩაგრული, დაბეჩავებული, პირუტყვის მდგომარეობამდე გათელილი გლეხური მოსახ-

---

მაზრის იმავე 24 ბიუჯეტს. ოჯახის საშუალო გასავალია 495 მ. 39 კ. (ნატურალურიც და ფულადიც). აქედან 109 მ. 10 კ. მიდის პირუტყვის შენახვაზე, 135 მ. 80 კ. — მცენარეულ საზრდოსა და გადასახადებზე, ხოლო დანარჩენი 250 მ. 49 კ. — დანარჩენ ხარჯებზე — არამცენარეულ საზრდოსა, ტანსაცმელსა, ინვენტარსა, ოჯარაზე და სხვ. პირუტყვის შენახვა ბ-ნ იუჟაკოვს სათიბებისა და დამხმარე მიწების ხარჯში შეაქვს.

ლეობისა, — მაშინ ჩვენმა რაინდებმა მორთეს ოხვრა-კვნესა საძირკვლების დამხობისა და მტვრევის შესახებ. და ისინი ახლაც განაგრძობენ ოხვრა-კვნესას ამ ძველ ბედნიერ დროებაზე, თუმცა ახლა, მგონია, მთლად ბრმა უნდა იყო, რომ ვერ დაინახო ცხოვრების ამ ახალი წყობის რევოლუციური მხარე, ვერ შეამჩნიო, როგორ ჰქმნის კაპიტალიზმი ახალ საზოგადოებრივ ძალას, რომელიც არაფრით არ არის დაკავშირებული ექსპლოატაციის ძველ რეჟიმთან და ისეთ მდგომარეობაში იმყოფება, რომ შეუძლია მის წინააღმდეგ ბრძოლა.

მაგრამ «ხალხის მეგობრებს» ოდნავაც არ ეტყობათ სურვილი თანამედროვე წყობილებაში რაიმე ძირითადი ცვლილების მოხდენისა. ისინი სავსებით კმაყოფილდებიან ლიბერალური ღონისძიებებით არსებულ ნიადაგზე, და ბ-ნი კრივენკო ასეთ ღონისძიებათა გამოგონების ასპარეზზე ჩვენებური პომპადურის ნამდვილ ადმინისტრაციულ ნიჭს იჩენს.

«საზოგადოდ ეს საკითხი — მსჯელობს იგი «ჩვენი სახალხო მრეწველობის» «დაწვრილებით შესწავლისა და ძირითადი გარდაქმნის» საჭიროების შესახებ — მოითხოვს სპეციალურ განხილვას და წარმოებათა დაყოფას ისეთ ჯგუფებად, რომლებიც შეეფარდებიან ხალხურ ცხოვრებას (sic!!), და ისეთებად, რომელთა გამოყენებას რაიმე სერიოზული დაბრკოლება ხვდება».

ჯგუფებად ასეთი დაყოფის ერთ ნიმუშს გვაძლევს იგივე ბ-ნი კრივენკო, რომელიც სარეწებს ჰყოფს ისეთებად, რომელთა კაპიტალიზაცია არ ხდება, ისეთებად, სადაც კაპიტალიზაცია უკვე მოხდა, და ისეთებად, რომელთაც შეუძლიათ «შეეცილონ მსხვილ მრეწველობას არსებობისათვის».

«პირველ შემთხვევაში — სწყვეტს ადმინისტრატორი — წვრილ წარმოებას შეუძლია თავისუფლად იარსებოს» — და თავისუფალი იყოს ბაზრისაგან, რომლის მერყეობა შლის წვრილ მწარმოებლებს ბურჟუაზიად და პროლეტარიატად? თავისუფალი იყოს ადგილობრივი ბაზრების გაფართოებისაგან და მათი მსხვილ ბაზრად გადაქცევისაგან? თავისუფალი იყოს ტექნიკის პროგრესისაგან? ან, შეიძლება, ტექნიკის ეს პროგრესი — სასაქონლო მეურნეობის დროს — არც იქნეს კაპიტალისტური? — უკანასკნელ

შემთხვევაში ავტორი მოითხოვს «წარმოების ორგანიზაციას აგრეთვე მსხვილი ფორმით»: «ცხადია, — ამბობს ის — აქ საჭიროა უკვე წარმოების ორგანიზაცია აგრეთვე მსხვილი ფორმით, საჭიროა ძირითადი და საბრუნავი კაპიტალი, მანქანები და სხვ., ან ამ პირობების გაწონასწორება სხვა რამით: იაფი კრედიტით, ზედმეტი შუამავლობის განდევნით, მეურნეობის საარტელო ფორმით და სამეწარმეო სარფის გარეშე თავის გართმევის შესაძლებლობით, საქონლის გასაღების უზრუნველყოფით, უფრო იაფფასიანი ძრავებისა და სხვა ტექნიკურ გაუმჯობესებათა გამოგონებით, ანდა, ბოლოს, ხელფასის ერთგვარი შემცირებით, თუ ეს ანაზღაურებული იქნება სხვა რაიმე სარფით».

ეს მსჯელობა დიდად საგულისხმოა «ხალხის მეგობრების» დასახასიათებლად, მათი სიტყვიერად ფართო იდეალებით, ნამდვილად კი შაბლონური ლიბერალიზმით. ჩვენი ფილოსოფოსი, როგორც ხედავთ, იწყებს არც მეტი, არც ნაკლები — იმის შესაძლებლობით, რომ საჭირო აღარ იქნეს სამეწარმეო სარფა, და მსხვილი მეურნეობის ორგანიზაციით. ჩინებულია: ეს სწორედ ისაა, რაც სოციალ-დემოკრატებსაც სურთ. მაგრამ როგორ უნდათ ამის მიღწევა «ხალხის მეგობრებს»? უმეწარმეებოდ მსხვილი წარმოების ორგანიზაციისათვის ხომ საჭიროა, ჯერერთი, საზოგადოებრივი მეურნეობის სასაქონლო ორგანიზაციის მოსპობა და მისი შეცვლა თემური, კომუნისტური ორგანიზაციით, როცა წარმოების რეგულატორი იქნებოდა არა ბაზარი, როგორც ეს დღეს არის, არამედ თვით მწარმოებელნი, თვით მუშათა საზოგადოება, როცა წარმოების საშუალებანი კერძო პირების საკუთრება კი არ იქნებოდა, არამედ მთელი საზოგადოებისა. მ ი თ ვ ი ს ე ბ ი ს კერძო ფ ო რ მ ი ს ასეთი შეცვლა, თემური ფორმით მოითხოვს, ცხადია, წ ა რ მ ო ე ბ ი ს ფ ო რ მ ი ს წ ი ნ ა ს წ ა რ გარდაქმნას, მოითხოვს წვრილ მწარმოებელთა წარმოების დაქსაქსული, წვრილი, განცალკევებული პროცესების ე რ თ ს ა ზ ო გ ა დ ო ებ რ ი ვ ს ა წ ა რ მ ო ო პ რ ო ც ე ს ა დ შეერთებას, ერთი სიტყვით, მოითხოვს სწორედ იმ მატერიალურ პირობებს, რომელთაც კაპიტალიზმი ჰქმნის. მაგრამ «ხალხის მეგობრებს» ხომ სრულიადაც არა აქვთ განზრახვა კაპიტალიზმს

დაეყრდნონ. მაშ როგორ ფიქრობენ ისინი იმოქმედონ? არავინ იცის. ისინი ერთ სიტყვასაც არ ამბობენ სასაქონლო მეურნეობის მოსპობაზე: ცხადია, მათს ფართო იდეალებს სრულიად არ ძალუძთ გასცილდნენ საზოგადოებრივი წარმოების ამ სისტემის ჩარჩოებს. გარდა ამისა, სამეწარმეო სარფის მოსასპობად ხომ საჭირო იქნება მეწარმეთა ექსპროპრიაცია, რომელთა «სარფა» სწორედ იქიდან წარმოსდგება, რომ მათ მონოპოლიურად ხელში ჩაიგდეს წარმოების საშუალებანი. ჩვენი სამშობლოს ბურჯების ამ ექსპროპრიაციისათვის ხომ საჭიროა სახალხო რევოლუციური მოძრაობა ბურჟუაზიული რეჟიმის წინააღმდეგ; ამ მოძრაობის გამოწვევა კი შეუძლია მხოლოდ მუშა პროლეტარიატს, რომელიც არაფრით არ არის დაკავშირებული ამ რეჟიმთან. მაგრამ «ხალხის მეგობრებს» აზრადაც არა აქვთ რაიმე ბრძოლის დაწყება, და ვერც წარმოუდგენიათ, რომ შესაძლებელი და აუცილებელია რომელიმე სხვა საზოგადოებრივი მოღვაწეები, გარდა თვით ამ მეწარმეთა ადმინისტრაციული ორგანოებისა. ცხადია, მათ სრულიად არა აქვთ განზრახვა — სერიოზულად გამოვიდნენ «სამეწარმეო სარფის» წინააღმდეგ: ბ-მა კრივენკომ ტყუილ-უბრალოდ წამოროშა. და დაუყოვნებლივ ასწორებს კიდევაც: შეიძლება ხომ «გავაწონასწოროთ» ისეთი რამ, როგორიცაა «სამეწარმეო სარფის გარეშე თავის გართმევის შესაძლებლობა», — «სხვა რამით», სახელდობრ კრედიტით, გასაღების ორგანიზაციით, ტექნიკის გაუმჯობესებითო. მაშ, ყველაფერი სავსებით კარგად მოწყობილა: ბბ. მეწარმეთათვის ისეთი შეურაცხმყოფელი რამის მაგიერ, როგორიცაა «სარფაზე» მათ წმინდა უფლებათა მოსპობა, — გაჩნდნენ ისეთი უწყინარი ლიბერალური ღონისძიებანი, რომელნიც მხოლოდ ხელში მისცემენ კაპიტალიზმს ბრძოლის საუკეთესო იარაღებს და რომელნიც მხოლოდ გააძლიერებენ, განამტკიცებენ და განავითარებენ ჩვენს წვრილ «სახალხო» ბურჟუაზიას. ხოლო რათა არავის ეჭვი არ შეეპაროს იმაში, რომ «ხალხის მეგობრები» მხოლოდ ამ წვრილი ბურჟუაზიის ინტერესებს იცავენ, ბ-ნი კრივენკო კიდევ შემდეგ შესანიშნავ განმარტებას იძლევა. თურმე, სამეწარმეო სარფის მოსპობის «გაწონასწორება» შეიძლება... «ხელფასის შემცირებით»!!! პირველი

შეხედვით შეიძლება მოგეჩვენოს, რომ ეს რაღაც დომხალია. მაგრამ არა. ეს არის მეშჩანობის იდეების თანმიმდევრობითი გატარება. ავტორი ხედავს ისეთ ფაქტს, როგორიც არის მსხვილი კაპიტალის ბრძოლა წვრილთან, და, როგორც ჰეშმარიტი «ხალხის მეგობარი», რასაკვირველია, წვრილი... კ ა პ ი ტ ა ლ ი ს მხარეზე დგება. ამასთან მას გაუგონია, რომ წვრილი კაპიტალისტებისათვის ბრძოლის ერთ-ერთ უძლიერეს საშუალებას ხელფასის შემცირება წარმოადგენს; ეს ფაქტი საკვლევით სწორად არის შემჩნეული, აღიარებული მრავალ წარმოებაში რუსეთშიც, სამუშაო დღის გადიდებასთან ერთად. და აი ის, იმის მოსურნე, რომ რადაც უნდა დაჯდეს გადაარჩინოს წვრილი... კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ ე ბ ი, მოითხოვს «ხელფასის ერთგვარ შემცირებას, თუ იგი ანაზღაურებული იქნება სხვა რაიმე სარფით»! ბატონ მეწარმეთ, რომელთა «სარფაზე» თავდაპირველად თითქოს რაღაც ახირებული რამეები ითქვა, შეუძლიათ სრულიად დამშვიდდნენ. ისინი, მე მგონია, სიამოვნებით დასვამდნენ ფინანსთა მინისტრად ამ გენიოს ადმინისტრატორს, რომელსაც მეწარმეთა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ განზრახული აქვს — ხელფასის შემცირება.

შეიძლება კიდევ იმის მაგალითის მოყვანა, თუ როგორ მოსჩანს «რ. ბოგატსტვოს» ჰუმანურ-ლიბერალურ ადმინისტრატორებში წმინდა წყლის ბურჟუა, როგორც კი საქმე რაიმე პრაქტიკულ საკითხს შეეხება. «რ. ბოგატსტვოს» № 12-ის «შინაური ცხოვრების ქრონიკაში» ლაპარაკია მონოპოლიის შესახებ.

«მონოპოლია და სინდიკატი — ამბობს ავტორი — ასეთია განვითარებული მრეწველობის იდეალები». და შემდეგ იგი გაკვირვებას გამოსთქვამს, რომ ეს დაწესებულებანი ჩვენშიც ჩნდებიან, თუმცა «კაპიტალების ძლიერი კონკურენცია» ჩვენში არ არის. «არც შაქრის, არც ნავთის მრეწველობას ჯერჯერობით სრულებით არ მიუღწევიათ განსაკუთრებული განვითარებისათვის. როგორც შაქრის, ისე ნავთის მოხმარება ჩვენში თითქმის ჩანასახშია, თუ ყურადღებას მივაქცევთ ამ პროდუქტების იმ სრულიად უმნიშვნელო რაოდენობას, რაც ჩვენში ერთ მომხმარებელზე მოდის სხვა ქვეყნებთან შედარებით. თითქოს, განვითარების ასპარეზი მრეწველობის ამ დარგებისათვის ჯერ კიდევ

მეტად დიდია და მას კვლავაც შეუძლია უამრავი კაპიტალი ჩანთქას».

დამახასიათებელია, რომ სწორედ აქ — პრაქტიკულ საკითხზე — ავტორმა დაივიწყა «რ. ბოგატსტვოს» საყვარელი იდეა შინაური ბაზრის შემცირების შესახებ. იგი იძულებულია აღიაროს, რომ ამ ბაზარს ჯერ კიდევ დიდი განვითარება მოელის და არა შემცირება. იგი ამ დასკვნამდე მიდის, მოჰყავს რა შედარება დასავლეთთან, სადაც მოხმარება მეტია. რატომ? — იმიტომ, რომ კულტურა იქ უფრო მაღლა დგას. — მაგრამ რაში მდგომარეობს ამ კულტურის მატერიალური საფუძვლები, თუ არ კაპიტალისტური ტექნიკის განვითარებაში, სასაქონლო მეურნეობისა და გაცვლა-გამოცვლის ზრდაში, რაც ადამიანებს უფრო ხშირად აჯახებს ერთიმეორესთან, ანგრევს ცალკეული კუთხეების საშუალოსაუკუნეობრივ განკერძოებას? ნუთუ საფრანგეთში, მაგალითად, კულტურა ჩვენსაზე უფრო მაღალი იყო დიდი რევოლუციის წინ, როცა იქ ჯერ კიდევ დასრულებული არ იყო ნახევრად-საშუალოსაუკუნეობრივი გლეხობის გათიშვა სოფლის ბურჟუაზიად და პროლეტარიატად? ავტორი რომ მეტი ყურადღებით დაკვირვებოდა რუსეთის ცხოვრებას, მას არ შეეძლო არ შეემჩნია, მაგ., ის ფაქტი, რომ იმ ადგილებში, სადაც კაპიტალიზმი განვითარებულია, გლეხური მოსახლეობის მოთხოვნილებანი ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე წმინდა სამიწათმოქმედო ადგილებში. ამას ერთხმად აღნიშნავს ჩვენი შინამრეწველური სარეწების ყველა მკვლევარი ყველა იმ შემთხვევაში, როცა ეს სარეწები განვითარების ისეთ დონეს აღწევენ, რომ სარეწაო დაღს ასვამენ მოსახლეობის მთელ ცხოვრებას *.

«ხალხის მეგობრები» არავითარ ყურადღებას არ აქცევენ ასეთ «წვრილმანებს», იმიტომ რომ მათთვის აქ საქმე აიხსნება «უბრალოდ» კულტურით ან გართულებული ცხოვრებით საზოგადოდ, ამასთან ისინი არც კი კითხულობენ, რა შეადგენს ამ

* მაგალითისათვის დავიმოწმებ თუნდაც პავლოვის შინამრეწველებს გარშემო მდებარე სოფლების გლეხებთან შედარებით. იხ. გრიგორიევისა და ანენსკის თხზულებანი [56]. — სანიმუშოდ განგებ ვიღებ ისევ სოფელს, რომელშიც, თითქოს, განსაკუთრებული «ხალხური წყობილება» არსებობს.

კულტურისა და ამ გართულების მატერიალურ საფუძვლებს. — აი, მათ რომ მიემართათ თუნდაც ჩვენი სოფლის ეკონომიკისათვის, მაშინ იძულებული იქნებოდნენ ეღიარებინათ, რომ სწორედ გლეხობის დაშლა ბურჟუაზიად და პროლეტარიატად ჰქმნის შინაურ ბაზარს.

ისინი, ალბათ, ფიქრობენ, რომ ბაზრის ზრდა სრულიადაც არ მოასწავებს ბურჟუაზიის ზრდას. «მონოპოლია — განაგრძობს მსჯელობას შინაური ცხოვრების ზემოთ მოყვანილი ქრონიკის ავტორი — ჩვენში საზოგადოდ წარმოების სუსტად განვითარებისას, თაოსნობისა და ინიციატივის უქონლობის გამო ახალ მუხრუჭად გადაიქცევა ქვეყნის ძალების განვითარებისათვის». ლაპარაკობს რა თამბაქოს მონოპოლიის შესახებ, ავტორს იმედი აქვს, რომ «ის სახალხო მიმოქცევიდან ამოიღებს 154 მილიონ მანეთს». აქ უქვე პირდაპირ გამოშვებულია მხედველობიდან ის გარემოება, რომ ჩვენი სამეურნეო წესების საფუძველს წარმოადგენს სასაქონლო მეურნეობა, რომლის ხელმძღვანელი ჩვენშიც, ისე როგორც ყველგან, ბურჟუაზიაა. და იმის ნაცვლად, რომ ილაპარაკოს ბურჟუაზიის შევიწროებაზე მონოპოლიით, ავტორი ლაპარაკობს «ქვეყანაზე», იმის ნაცვლად, რომ ილაპარაკოს სასაქონლო, ბურჟუაზიულ მიმოქცევაზე, ლაპარაკობს «სახალხო» მიმოქცევაზე *. ბურჟუა ვერასოდეს ვერ დაინახავს განსხვავებას ამ ცნებებს შორის, რა დიდიც არ უნდა იყოს იგი. იმის გამოსააშკარავებლად, თუ, მართლაც, რამდენად ცხადია ეს განსხვავება, მე დავიმოწმებ ჟურნალს, რომელსაც ავტორიტეტი აქვს «ხალხის მეგობრების» თვალში, — «ოტეჩესტვენიე ზაპისკის». 1872 წლის № 2-ში, სტატიაში «პლუტოკრატია და მისი საფუძვლები», ჩვენ ვკითხულობთ:

«მარლოს დახასიათებით, პლუტოკრატიის ყველაზე არსებითი ნიშანია სიყვარული სახელმწიფოს ლიბერალური ფორმისადმი, ან, ყოველ შემთხვევაში, შეძენის თავისუფლების პრინციპისადმი. თუ ამ თვისებას ავიღებთ და წარმოვიდგენთ, რა იყო რაღაც

* ამ სიტყვახმარებისათვის მით უმეტეს ბრალი უნდა დავდოთ ავტორს, რომ «რ. ბოგატსტვოს» უყვარს სიტყვა «სახალხოს» ხმარება ბურჟუაზიულის საწინააღმდეგოდ.

8 — 10 წლის წინათ, მაშინ დავინახავთ, რომ ლიბერალიზმის მხრით უდიდეს წარმატებებს მივაღწიეთ... რომელი გაზეთი ან ჟურნალი არ უნდა აიღოთ, — ყველა ისინი, თითქოს, მეტად თუ ნაკლებად შეიცავენ დემოკრატიულ პრინციპს, ყველანი, თითქოს, ხალხის ინტერესებისთვის იბრძვიან. მაგრამ დემოკრატიული შეხედულებების გვერდით და მათს საფარს ქვეშაც კი (ამას ყურადღება მიაქციეთ!) ხშირად, განზრახ თუ უნებლიეთ, პლუტოკრატიული მისწრაფებები ტარდება».

ავტორს მაგალითისათვის მოჰყავს ს.-პეტერბურგისა და მოსკოვის ვაჭრების მიმართვა ფინანსთა მინისტრისადმი, რომელსაც რუსეთის ბურჟუაზიის ეს ფრიად პატივცემული წოდება მადლობას უძღვნის იმისათვის, რომ «მან რუსეთის ფინანსიური მდგომარეობა დააფუძნა ერთადერთი ნაყოფიერი კერძო საქმიანობის რაც შეიძლება მეტ გაფართოებაზე». და სტატიის ავტორი დაასკვნის: «ჩვენს საზოგადოებაში უეჭველად არის პლუტოკრატიული ელემენტები და მისწრაფებანი, და საკმაო რაოდენობითაც».

ხომ ხედავთ — თქვენს წინამორბედთ შორეულ წარსულში, როცა ჯერ კიდევ ცოცხალი და ახალი იყო დიდი განმათავისუფლებელი რეფორმის შთაბეჭდილებანი (ამ რეფორმას, ბ-ნ იუჟაკოვის აღმოჩენით, უნდა გაეთავისუფლებინა «სახალხო» წარმოების განვითარების მშვიდობიანი და სწორი გზები, ნამდვილად კი მხოლოდ პლუტოკრატიის განვითარების გზები გაათავისუფლა), თვითონაც არ შეეძლოთ არ ეცნოთ პლუტოკრატიული, ე. ი. ბურჟუაზიული ხასიათი კერძო თაოსნობისა რუსეთში.

რატომღა დაგავიწყდათ ეს? რატომაა, რომ, როცა ლაპარაკობთ «სახალხო» მიმოქცევასა და «ქვეყნის ძალების» განვითარებაზე «თაოსნობისა და ინიციატივის» განვითარების გამო, თქვენ არ იხსენიებით ამ განვითარების ანტაგონისტურობას? ამ თაოსნობისა და ამ ინიციატივის ექსპლოატატორულ ხასიათს? რასაკვირველია, შესაძლებელიცაა და საჭიროც მონოპოლიებისა და სხვა ამგვარი დაწესებულებების წინააღმდეგ ლაპარაკი, რადგან ისინი, უეჭველად, აუარესებენ მშრომელის მდგომარეობას, — მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყველა ამ საშუალოსაუკუნეობ-

რივ ბორკილებს გარდა მშრომელი შებოჭილია კიდევ უფრო ძლიერი, უახლესი, ბურჟუაზიული ბორკილებით. უეჭველია, მონოპოლიების გაუქმება სასარგებლო იქნება მთელი «ხალხისათვის», იმიტომ რომ, როცა ქვეყნის ეკონომიკის საფუძვლად ბურჟუაზიული მეურნეობა გადაიქცა, — საშუალოსაუკუნეობრივი წესების ეს ნაშთები კაპიტალისტურ სიდუხჭირეს მხოლოდ უმატებენ კიდევ უფრო მწარე — საშუალოსაუკუნეობრივ — სიდუხჭირეს. უეჭველია, მათი მოსპობა აუცილებლად საჭიროა — და რაც უფრო ჩქარა და რადიკალურად მოხდება ეს, მით უკეთესია, — რათა მემკვიდრეობით მიღებული ნახევრად-ბატონყმური ბორკილებისაგან ბურჟუაზიული საზოგადოების გაწმენდით ხელი გაეხსნას მუშათა კლასს, გაუადვილდეს მას ბრძოლა ბურჟუაზიასთან.

აი ასე უნდა სწორედ ლაპარაკი, საგნებისათვის მათი ნამდვილი სახელის დარქმევით, — რომ მონოპოლიებისა და ყოველგვარ სხვა საშუალოსაუკუნეობრივ შეზღუდვათა (მათი რიცხვი კი რუსეთში ლეგიონია) მოსპობა აუცილებლად საჭიროა მუშათა კლასისათვის, რათა მას გაუადვილდეს ბრძოლა ბურჟუაზიული წესწყობილების წინააღმდეგ. ესაა და ეს. მხოლოდ ბურჟუებს შეუძლიათ, საშუალოსაუკუნეობრივ, ბატონყმურ დაწესებულებათა წინააღმდეგ მთელი «ხალხის» ინტერესების სოლიდარობის გულისთვის, — დაივიწყონ ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის ღრმა და შეურიგებელი ანტაგონიზმი ამ «ხალხის» შიგნით.

მაგრამ -უაზრობა იქნებოდა გვეფიქრნა, რომ ამით «ხალხის მეგობრებს» შევარცხვენდით, როცა იმის შესახებ, თუ რა ესაჭიროება სოფელს, ისინი, მაგალითად, ასეთ რამეებს ლაპარაკობენ:

«როცა რამდენიმე წლის წინათ — მოგვითხრობს ბ-ნი კრივენკო — ზოგიერთი გაზეთი იკვლევდა, რომელი პროფესია და როგორი ინტელიგენტები ესაჭიროება სოფელს, სია ძალიან დიდი და მრავალფეროვანი გამოდიოდა და თითქმის მთელ ცხოვრებას მოიცავდა: ექიმებსა და ექიმ-ქალებს ფერშლები მიჰყვებოდნენ, შემდეგ ვეტერინარები, ვეტერინარებს — მასწავლებლები, ბიბლიოთეკებისა და წიგნის ვაჭრობის მომწყობნი, აგრონომები, ტყისმცოდნეები და საზოგადოდ ის ადამიანები, რომელნიც სოფლის მეურნეობას ეწევიან, სულ სხვადასხვა სპეციალობის ტექნი-

კოსები (მეტად ფართო და ჯერ თითქმის ხელუხლებელი დარგი). საკრედიტო დაწესებულებების, საქონლის საწყობების მომწყობნი და ხელმძღვანელნი და სხვ.».

შევჩერდეთ თუნდაც იმ «ინტელიგენტებზე» (??), რომელთა მოღვაწეობა პირდაპირ ეკონომიურ დარგს ეხება, ამ ტყისმცოდნეებსა, აგრონომებსა, ტექნიკოსებზე და სხვ. მართლაც, როგორ ესაჭიროება ეს ადამიანები სოფელს! მაგრამ ეს კია — რომელ სოფელს? — რა თქმა უნდა, მიწათმფლობელთა სოფელს, იმ ყაირათიანი გლეხების სოფელს, რომელთაც «დანაზოგი» აქვთ და შეუძლიათ სამსახურისათვის გასამრჯელო მისცენ ყველა ამ ხელოსნებს, ბ-ნ კრივენკოს მიერ «ინტელიგენტებად» მონათლულთ. ამ სოფელს მართლაც დიდი ხანია სწყურია ტექნიკოსებიც, კრედიტიც, საქონლის საწყობებიც — ამას მოწმობს მთელი ეკონომიური ლიტერატურა. მაგრამ არის სხვა სოფელიც, ბევრად უფრო მრავალრიცხოვანი, რომელიც ზედმეტი არ იქნება ცოტა უფრო ხშირად გაიხსენონ «ხალხის მეგობრებმა», — სოფელი გაპარტახებული და გატიტვლებული, სრულიად გაძარცული გლეხობისა, რომელსაც არამც თუ «დანაზოგი» არა აქვს «ინტელიგენტების» შრომის ასანაზღაურებლად, არამედ პურიც არა აქვს იმდენი, რომ შიმშილით არ ამოწყდეს. და ამ სოფელს გინდათ თქვენ უშველოთ საქონლის საწყობებით!! რას დააწყობენ იქ, ამ საქონლის საწყობებში, ჩვენი ერთცხენიანი და უცხენო გლეხები? თავიანთ ტანსაცმელს? — ტანსაცმელი მათ უკვე 1891 წელს დაუგირავეს სოფლისა და ქალაქის კულაკებს, რომლებმაც მაშინ, თქვენი ჰუმანურ-ლიბერალური რეცეპტის შესასრულებლად, ნამდვილი «საქონლის საწყობები» გამართეს თავიანთ სახლებსა, სამიკიტნოებსა და დუქნებში. რჩება კიდევ მხოლოდ მუშა-«ხელი». მაგრამ ამ საქონლისათვის თვით რუსეთის მოხელეებსაც კი დღემდე ჯერაც არ მოუგონიათ «საქონლის საწყობები»...

ძნელია წარმოვიდგინოთ უფრო თვალსაჩინო დამამტკიცებელი საბუთი ამ «დემოკრატების» უკიდურესი გაუგვანობისა, — ვიდრე ეს გულაჩვილება «გლეხობის» ტექნიკური პროგრესების გამო და თვალის დახუჭვა იმავე «გლეხობის» მასობრივ ექსპროპრიაციაზე. ბ-ნი კარიშევი, მაგალითად, «რ. ბოგატსტვოს» № 2-ში

(«მონასახები», § XII) ლიბერალი კრეტინის აღტაცებით მოგვითხრობს «გაუმჯობესებათა და გაუკეთესებათა» შემთხვევებს გლეხურ მეურნეობაში — «გაუმჯობესებული ჯიშის თესლის» — ამერიკული შვრიის, ვაზა-ჭვავის, კლეიდესდალის შვრიისა და სხვ. — «გავრცელებას გლეხურ მეურნეობაში». «ზოგ ადგილას თესლეულისათვის გლეხებს გამოყოფილი აქვთ მიწის განსაკუთრებული პატარა ნაკვეთები, რომლებზედაც გულდასმით დამუშავების შემდეგ ხელით რგავენ მარცვლეულის შერჩეულ ეგზემპლარებს». «ბევრი და მეტად მრავალფეროვანი სიახლენი» შემოაქვთ «გაუმჯობესებული იარაღებისა და მანქანების დარგში» * — მიწის შემომყრელები, მსუბუქი პატარა გუთნები, სალეწი მანქანები, სანიავებლები, თესლის დამხარისხებლები. აღნიშნულია «გადიდება სხვადასხვა სახის გამანოყიერებელი მასალისა» — ფოსფორიტების, წებოვანი ნაკელის, მტრედის სკინტლისა და სხვ. «კორესპონდენტები მოითხოვენ, რომ სოფლად საჭიროა მოეწყოს ადგილობრივი საერობო საწყობები ფოსფორიტების გასაყიდად», — და ბ-ნი კარიშევი, რომელსაც ციტატა მოჰყავს ბ-ნ ვ. ვ-ის თხზულებიდან: «პროგრესული მიმდინარეობანი გლეხურ მეურნეობაში» (ამ თხზულებას ბ-ნი კრივენკოც ასახელებს), ყველა ამ გულისამაჩუყებელი პროგრესის გამო პირდაპირ პათოსს განიცდის:

«გამამხნევებელ და ამასთან ერთად სამწუხარო შთაბეჭდილებას ახდენენ ეს ცნობები, რომელნიც ჩვენ მხოლოდ მოკლედ გადმოვეცით... გამამხნევებელს — იმიტომ, რომ ეს გაღატაკებული, დავალიანებული და მნიშვნელოვან წილად უცხენოდ დარჩენილი ხალხი დაუღალავად შრომობს, სასოწარკვეთილებაში არ ვარდება, სამუშაოს არ იცვლის, არამედ მიწის ერთგული რჩება, რადგან ესმის, რომ მასში, მიწასთან შესაფერისად მოპყრობაში არის მისი მომავალი, მისი ძალა, მისი სიმდიდრე. (რაღა თქმა

* მოვაგონებ მკითხველს ამ გაუმჯობესებულ იარაღთა განაწილებას ნოვოუზენსკის მაზრაში: (ღარიბ) გლეხთა 37%-ს, 10 ათას კომლს 28 ათასიდან, აქვს 7 იარაღი 5 724-დან, ე. ი. $^1/_8$%! იარაღთა $^4/_5$ მონოპოლიურ მფლობელობაში აქვთ მდიდრებს, რომლებიც კომლთა მხოლოდ $^1/_5$-ს შეადგენენ.

უნდა! თავისთავად ცხადია, რომ სწორედ ეს გაღატაკებული, უცხენოდ დარჩენილი გლეხი ყიდულობს ფოსფორიტებს, დამხარისხებლებს, სალეწ მანქანებს, კლეიდესდალის შვრიის თესლს! **O, sancta simplicitas!*** მაგრამ ამას სწერს ხომ არა ინსტიტუტელი ქალი, არამედ პროფესორი, პოლიტიკური ეკონომიის დოქტორი!! არა, რაც გინდათ სთქვით, მაგრამ მარტო წმინდა უბრალოებით აქ საკითხს ვერ ახსნით.) გაფაციცებით ეძებს ის ამ სათანადო მოპყრობის საშუალებებს, ეძებს ახალ გზებს, დამუშავების ხერხებს, თესლს, იარაღებს, სასუქს, ყოველივეს, რაც კი ხელს შეუწყობდა განაყოფიერებას მის გამომკვებ დედა-მიწისას, რომელიც ადრე თუ გვიან ერთიასად აუნაზღაურებს მას დანახარჯს **... სამწუხარო შთაბეჭდილებას ახდენენ მოყვანილი ცნობები იმიტომ (თქვენ, შეიძლება, ფიქრობთ, რომ «ხალხის მეგობარი» აქ მაინც მოიხსენიებს გლეხობის იმ მასობრივ ექსპროპრიაციას, რომელიც თან სდევს და იწვევს მიწის კონცენტრაციას ყაირათიანი გლეხების ხელში, იწვევს მის გარდაქმნას კ ა პ ი ტ ა ლ ა დ, გ ა უ მ ჯ ო ბ ე ს ე ბ უ ლ ი მეურნეობის საფუძვლად, — იმ ექსპროპრიაციას, რომელიც სწორედ ერეკება ბაზარზე «თავისუფალ» და «იაფფასიან» «მუშა-ხელს», წარმატებას რომ უქმნის მშობლიურ «თაოსნობას» ყველა ამ სალეწი, თესლის დამხარისხებელი და სანიავებელი იარაღების ასპარეზზე? — სრულიადაც არა), იმი-

---

* — ჰოი, წმინდა უბრალოებავ! რ ე დ.

** თქვენ სავსებით მართალი ხართ, პატივცემულო ბ-ნო პროფესორო, რომ გაუმჯობესებული მეურნეობა ე რ თ ი ა ს ა დ აუნაზღაურებს ამ «ხალხს», რომელიც «სასოწარკვეთილებაში არ ვარდება» და «მიწის ერთგული რჩება». მაგრამ ამჩნევთ თუ არა თქვენ, პოლიტიკური ეკონომიის ჰოი დიდებულო დოქტორო, რომ ყველა ამ ფოსფორიტთა და სხვათა შესაძენად «გლეხი» ამ დამშეულ მათხოვართა მასიდან უნდა გამოირჩეოდეს თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი ნაღდი ფულით, ფული კი — ეს ხომ ს ა ზ ო გ ა დ ო ებ რ ი ვ ი შრომის პროდუქტია, რომელიც კერძო პირთა ხელშია; — რომ ამ გაუმჯობესებული მეურნეობისათვის «საზღაურის» მითვისება — ს ხ ვ ი ს ი შრომის მითვისება იქნება; — რომ ამ უხვი საზღაურის წყაროს დანახვა იმ მეპატრონის პირად მუყაითობაში, რომელიც «დაუღალავი შრომით» «ანაყოფიერებს დედა-მიწას», შეუძლიათ მხოლოდ ბურჟუაზიის ყველაზე უმწეო მაჩანჩალებს?

ტომ, რომ... სწორედ თვითონ ჩვენ გვესაჭიროება გაღვიძება. სად არის ჩვენი დახმარება გლეხის ამ მისწრაფებისადმი, რომ თავისი მეურნეობა გააუმჯობესოს? ჩვენთვის არსებობს მეცნიერება, ლიტერატურა, მუზეუმები, საწყობები, საკომისიონერო კანტორები. (მართლაც, ბატონებო, ასეა დასმული ერთიმეორის გვერდით: «მეცნიერება» და «საკომისიონერო კანტორები»... «ხალხის მეგობრები» უნდა შევისწავლოთ მაშინ კი არა, როცა ისინი სოციალ-დემოკრატებს ეომებიან, რადგან ამ შემთხვევისათვის ისინი იცვამენ «მამაპაპური იდეალების» ნაფლეთებიდან შეკერილ მუნდირს, არამედ მაშინ, როცა მათ ჩვეულებრივი ტანისამოსი აცვიათ, როცა ისინი დეტალურად არჩევენ ყოველდღიური ცხოვრების საკითხებს. და მაშინ თქვენ შეგიძლიათ მეშჩანობის ეს იდეოლოგები განჭვრიტოთ მთელი მათი ფერით და სურნელებით.) არის თუ არა რაიმე ამის მსგავსი გლეხისათვის? არის, რასაკვირველია, ემბრიონები, მაგრამ ისინი როგორღაც ნელა ვითარდებიან. გლეხს მაგალითი უნდა, — სად არის ჩვენი საცდელი მინდვრები, სანიმუშო მეურნეობანი? გლეხი ბეჭდვითს სიტყვას ეძებს, — სად არის ჩვენი პოპულარული აგრონომიული ლიტერატურა?.. გლეხი ეძებს სასუქს, იარაღებს, თესლს, — სადა გვაქვს ჩვენ ყოველივე ამის საერობო საწყობები, საბითუმო დამზადება, ყიდვის, გავრცელების გაადვილება?.. სადა ხართ თქვენ, მოღვაწეებო, კერძო და საერობო მოღვაწეებო? წადით და იმუშავეთ, დრო დიდი ხანია მომწიფებულია, და

> გულითად მადლობას გეტყვით თქვენ
> რუსი ხალხი!»

ნ. კარიშევი («რ. ბ-ვო», № 2, გვ. 19).

აი ისინი, წვრილი «ხალხური» ბურჟუების ეს მეგობრები, რომელნიც ასე სტკბებიან თავიანთი მეშჩანური პროგრესებით!

თითქოს, ჩვენი სოფლის ეკონომიკის ანალიზის გარეშეც საკმაოა ყურადღება მიაქციო ჩვენი ახალი ეკონომიური ისტორიის ამ თვალსაჩინო ფაქტს — გლეხურ მეურნეობაში ყველას მიერ აღნიშნულ პროგრესებს «გლეხობის» გიგანტურ ექსპროპრიაციასთან ერთად, — რათა დარწმუნდე, რამდენად უაზროა წარმოდგენა «გლეხობაზე», როგორც თავის შიგნით რაღაც სოლიდარულ

და ერთგვაროვან მთელზე, რათა დარწმუნდე ყველა ამ პროგრესის ბურჟუაზიულობაში! მაგრამ «ხალხის მეგობრები» ყურად არ იღებენ ყოველივე ამას. დაჰკარგეს რა ძველი რუსული სოციალ-რევოლუციური ნაროდნიკობის კარგი მხარეები, მათ მაგრად ჩასჭიდეს ხელი ერთ-ერთ მის დიდ შეცდომას — გლეხობის შიგნით არსებული კლასობრივი ანტაგონიზმის გაუგებლობას.

«70-იანი წლების ნაროდნიკს — მეტად მოსწრებულად ამბობს გურვიჩი — არავითარი წარმოდგენა არ ჰქონია კლასობრივ ანტაგონიზმზე თვით გლეხობაში და ამ ანტაგონიზმს საზღვრავდა მხოლოდდამხოლოდ ურთიერთობით «ექსპლოატატორსა» — კულაკსა ანუ სოფლის წურბელასა — და მის მსხვერპლს, კომუნისტური სულით გამსჭვალულ გლეხს შორის*. გლებ უსპენსკი განმარტოებული იდგა თავისი სკეპტიციზმით და ირონიული ღიმილით უპასუხებდა საერთო ილუზიას. ის საუცხოოდ იცნობდა გლეხობას, მას ჰქონდა უდიდესი არტისტული ტალანტი, რომელიც მოვლენების თვით არსს სწვდებოდა, ამიტომ არ შეეძლო არ დაენახა, რომ ინდივიდუალიზმი გახდა საფუძველი ეკონომიური ურთიერთობისა არა მარტო მევახშესა და მოვალეს შორის, არამედ გლეხებს შორისაც საზოგადოდ. იხ. მისი სტატია «Равнение под одно» «რუსკაია მისლში», 1882 წ., № 1» (დასახ. თხზ., გვ. 106).

მაგრამ, თუ ეს ილუზია შესაწყნარებელი და ბუნებრივიც კი იყო 60-იან და 70-იან წლებში, — როცა ჯერ კიდევ ასე ცოტა მოიპოვებოდა შედარებით ზუსტი ცნობები სოფლის ეკონომიკაზე, როცა სოფლის დაშლის პროცესი ჯერ კიდევ არ იყო ასე მკაფიოდ გამოაშკარავებული, — ახლა საჭიროა განზრახ თვალის დახუჭვა, რომ ეს დაშლა ვერ დაინახო. მეტისმეტად დამახასიათებელია, რომ სწორედ ბოლო დროს, როცა გლეხობის გაღატაკებამ, გვგონია, თავის აპოგეას მიაღწია, ყოველი მხრიდან გვესმის ლაპარაკი პროგრესულ მიმდინარეობაზე გლეხურ მეურ-

* «სოფლის თემის შიგნით წარმოიშვნენ ანტაგონისტური სოციალური კლასები» — ამბობს გურვიჩი მეორე ადგილას (გვ. 104). გურვიჩის ციტატა მე მომყავს მხოლოდ ზემოთ მოყვანილი ფაქტიური ცნობების დამატებად.

ნეობაში. ბ-მა ვ. ვ. (აგრეთვე ყოვლად უეჭველმა «ხალხის მეგობარმა») მთელი წიგნი დასწერა ამის შესახებ. და თქვენ არ შეგიძლიათ მას ფაქტიური უმართებულობა უსაყვედუროთ. პირიქით, არ შეიძლება ფაქტში დაეჭვება, — გლეხობაში ტექნიკური, აგრიკულტურული პროგრესის ფაქტში, მაგრამ სწორედ ასევე უეჭველია გლეხობის მასობრივი ექსპროპრიაციის ფაქტიც. და აი, «ხალხის მეგობრები» მთელ თავიანთ ყურადღებას აქცევენ იმას, თუ როგორ გაფაციცებით ეძებს «გლეხი» დამუშავების ახალ ხერხებს, რომლებიც დაეხმარებოდნენ მას დედა-მიწის განაყოფიერებაში, — და მხედველობიდან უშვებენ მედალის მეორე მხარეს, «გლეხისვე» გაფაციცებით ჩამოშორებას მიწისაგან. ისინი სირაქლემასავით თავს მალავენ, რათა პირდაპირ თვალებში არ შეხედონ სინამდვილეს, რათა არ დაინახონ, რომ მოწმენი არიან სწორედ იმ მიწის კაპიტალად გადაქცევის პროცესისა, რომელსაც გლეხობა შორდება, მოწმენი შინაური ბაზრის შექმნის პროცესისა *. სცადეთ უარჰყოთ ამ ორი პოლარული პროცესის ა რ ს ე ბ ო ბ ა ჩვენს თემურ გლეხობაში, სცადეთ მათი ა ხ ს ნ ა სხვანაირად თუ არ ჩვენი საზოგადოების ბურჟუაზიული ხასიათით! — სად შეუძლიათ! ალილუიას გალობა და ჰუმანურ-კეთილგანწყობილი ფრაზების გადმოშლა — აი მთელი მათი «მეცნიერების», მთელი მათი პოლიტიკური «მოღვაწეობის» ალფა და ომეგა.

და თანამედროვე წყობილების ამ უწყინარ-ლიბერალურ შეკეთებას ისინი მთელ ფილოსოფიადაც კი აქცევენ. «პატარა ცოცხალი საქმე ბევრად სჯობს დიდ უსაქმობას» — ღრმააზროვნად მსჯელობს ბ-ნი კრივენკო. — ეს აზრი ახალიცაა და გონივრულიც. გარდა ამისა — განაგრძობს ის — «პატარა საქმე სრულიადაც არ არის პატარა მიზნის სინონიმი». და «მოღვაწეობის» ასეთი «გაფართოების» ნიმუშად, როცა პატარა საქმე იქცევა «სწორ და

* «დამუშავების ახალი ხერხების» ძიება სწორედ იმიტომ სწარმოებს «გაფაციცებით», რომ ყაირათიან გლეხს უხდება უფრო მსხვილი მეურნეობის წარმოება, რაც შეუძლებელია ძველი ხერხების საშუალებით; — სწორედ იმიტომ, რომ ახალი ხერხების ძიებას აიძულებს კონკურენცია, რადგან მიწათმოქმედება სულ უფრო და უფრო სასაქონლო, ბურჟუაზიულ ხასიათს იღებს.

კარგ» საქმედ, — მოყვანილია ერთი მანდილოსნის მოლვაწეობა სკოლების მოწყობის დარგში, — შემდეგ ადვოკატთა მოლვაწეობა გლეხებს შორის, რითაც იდევნებიან ხრიკიანები, — ადვოკატების განზრახვა — იარონ პროვინციაში საოლქო სასამართლოების გამსვლელ სესიებთან ერთად ბრალდებულთა დასაცავად, — ბოლოს, შინამრეწველური საწყობების ჩვენთვის უკვე ნაცნობი მოწყობა: მოლვაწეობის გაფართოება (დიდი მიზნის დასახვით) აქ უნდა მდგომარეობდეს საწყობების მოწყობაში «ერობათა შეერთებული ძალებით ყველაზე უფრო გაცხოველებულ პუნქტებში».

ყოველივე ეს, რასაკვირველია, მეტად მაღალი, ჰუმანური და ლიბერალური საქმეებია — «ლიბერალური» იმიტომ, რომ ისინი შეურნეობის ბურჟუაზიულ სისტემას გასწმენდენ ყოველგვარ საშუალოსაუკუნეობრივ შევიწროებათაგან და მით მუშას შეუმსუბუქებენ ბრძოლას თვით ამ სისტემის წინააღმდეგ, რომელსაც, რა თქმა უნდა, ასეთი ზომები არამც თუ არ შელახავენ, არამედ, პირიქით, გააძლიერებენ — ყოველივე ამას ჩვენ დიდი ხანია უკვე ვკითხულობთ ყველა რუსულ ლიბერალურ გამოცემაში. ამის წინააღმდეგ გამოსვლა არც კი ეღირებოდა, რომ იძულებული არ გავეხადეთ «რუსკოე ბოგატსტვოს» ვაებატონებს, რომლებმაც დაიწყეს ამ «ლიბერალიზმის უწყინარი საწყისების» წამოყენება სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ და მათთვის მაგალითის მისაცემად, ამასთანავე მათ უსაყვედურებენ «მამების იდეალების» უარყოფას. და ამის გამო ჩვენ არ შეგვიძლია არ ვთქვათ, რომ ყოველ შემთხვევაში სასაცილოა სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ ასეთი ზომიერი და რიგიანი ლ ი ბ ე რ ა ლ უ რ ი (ესე-იგი ბურჟუაზიისათვის სასარგებლო) მოლვაწეობის დასახელება და წამოყენება. ხოლო რაც შეეხება მამებსა და მათს იდეალებს, უნდა შევნიშნოთ, რომ რარიგ შემცდარი და უტოპიურიც უნდა ყოფილიყო რუსი ნაროდნიკების ძველი თეორიები, ისინი ყოველ შემთხვევაში უცილობლად უარყოფით უყურებდნენ ასეთს «ლიბერალიზმის უწყინარ საწყისებს». ამ უკანასკნელ გამოთქმას ვიღებ ბ-ნ ნ. კ. მიხაილოვსკის შენიშვნიდან: «კ. მარქსის წიგნის რუსული გამოცემის გამო» («ოტეჩესტვენიე ზაპისკი», 1872 წ., № 4); ეს შენიშვნა მეტად ცოც-

ხლად, მხნედ და ხალისიანად იყო დაწერილი (შედარებით მის ახლანდელ ნაწერებთან) და ცხარე პროტესტს აცხადებდა იმ წინადადების წინააღმდეგ, რომელიც ამბობდა — ნუ აწყენინებთ ჩვენს ახალგაზრდა ლიბერალებსო.

მაგრამ ეს დიდი ხნის ამბავია, ისე დიდი ხნისა, რომ «ხალხის მეგობრებმა» მოასწრეს ყოველივე ამის საფუძვლიანად დავიწყება და თავიანთი ტაქტიკით თვალსაჩინოდ დაამტკიცეს, რომ სადაც პოლიტიკური დაწესებულებების მატერიალისტური კრიტიკა არ არსებობს და სადაც თანამედროვე სახელმწიფოს კლასობრივი ხასიათის შეუგნებლობაა, — იქ პოლიტიკური რადიკალიზმიდან პოლიტიკურ ოპორტუნიზმამდე მხოლოდ ერთი ნაბიჯი-ღა რჩება.

აი რამდენიმე ნიმუში ამ ოპორტუნიზმისა:

«სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს გარდაქმნამ მიწათმოქმედების სამინისტროდ — აცხადებს ბ-ნი იუჟაკოვი — შეიძლება ღრმა გავლენა იქონიოს ჩვენი ეკონომიური განვითარების მსვლელობაზე, მაგრამ შეიძლება მოხელეების უბრალო გადაყვან-გადმოყვანადაც იქცეს» («რ. ბ.» № 10).

მაშასადამე, ყოველივე დამოკიდებულია იმაზე, თუ ვის «მოიწვევენ» — ხალხის მეგობრებს თუ მემამულეებისა და კაპიტალისტების ინტერესების წარმომადგენლებს. თვით ინტერესები შეიძლება ხელუხლებელიც დარჩეს.

«ეკონომიურად უფრო სუსტის დაცვა ეკონომიურად ძლიერისაგან სახელმწიფოს ჩარევის პირველ ბუნებრივ ამოცანას შეადგენს» — განაგრძობს იქვე იგივე ბ-ნი იუჟაკოვი, და მას იმავე სიტყვებით ბანს აძლევს შინაური ცხოვრების მექრონიკე «რ. ბ — ვოს» მეორე ნომერში. ხოლო რათა არავის ეჭვი არ შეეპაროს, რომ ეს ფილანტროპიული უაზრობა * მას ისევე ესმის, როგორც მის ღირსეულ თანამოძმეებს, მეშჩანობის დასავლეთ-

* უაზრობა იმიტომ — რომ «ეკონომიურად ძლიერის» ძალა, სხვათა შორის, სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მას ხელში უჭირავს პოლიტიკური ძალაუფლება. უამისოდ ის ვერ შესძლებდა თავისი ეკონომიური ბატონობის შენარჩუნებას.

ევროპელ ლიბერალ და რადიკალ იდეოლოგებს, ზემონათქვამს ის კიდევ შემდეგს უმატებს:

«გლადსტონის ლანდბილები[57], ბისმარკისეული მუშათა დაზღვევა[58], საფაბრიკო ინსპექცია, ჩვენი საგლეხო ბანკის იდეა, გადასახლებათა ორგანიზაცია, კულაკობის წინააღმდეგ ზომების მიღება, ყოველივე ეს სახელმწიფოს ჩარევის სწორედ ამ პრინციპის გამოყენების ცდაა ეკონომიურად უფრო სუსტის დასაცავად».

ეს უკვე იმით არის კარგი, რომ გულახდილადაა ნათქვამი. ავტორი აქ პირდაპირ ამბობს, რომ სწორედ ისევე სურს იდგეს არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ნიადაგზე, როგორც ბბ. გლადსტონებს და ბისმარკებს, — სწორედ ისევე სურს შეაკეთოს და შეაკოწიწოს თანამედროვე საზოგადოება (რომელიც ბურჟუაზიულია, რაც მას ვერ გაუგია, როგორც ვერ გაუგიათ ეს გლადსტონებისა და ბისმარკების დასავლეთ-ევროპელ მომხრეებს), და არა იბრძოლოს მის წინააღმდეგ. ამ ძირითად მათს თეორიულ შეხედულებასთან სრულიად შეხმატკბილებულია ის გარემოებაც, რომ ისინი რეფორმების იარაღს ხედავენ იმ ორგანოში, რომელიც ამ თანამედროვე საზოგადოების ნიადაგზე აღმოცენდა და იცავს მასში გაბატონებული კლასების ინტერესებს — სახელმწიფოში. ისინი პირდაპირ სთვლიან მას ყოვლისშემძლედ და ყოველი კლასის მაღლა მდგომად, — ელიან მისგან არა მარტო მშრომელისთვის «მხარდაჭერას», არამედ ნამდვილი, მართებული წყობილების შექმნასაც (როგორც ეს ბ-ნ კრივენკოსაგან გავიგონეთ). თუმცა გასაგებია ისიც, რომ მათგან, როგორც მეშჩანობის ნამდვილი იდეოლოგებისაგან, არც შეიძლება სხვა რამეს მოველოდეთ. ეს ხომ მეშჩანობის ერთ-ერთი ძირითადი და დამახასიათებელი თვისებაა, რომელიც, სხვათა შორის, რეაქციულ კლასად ხდის მას, — რომ წვრილ მწარმოებელს, რომელიც გათიშული და განცალკევებულია თვით წარმოების პირობებით, მიმაგრებულია განსაზღვრულ ადგილსა და განსაზღვრულ ექსპლოატატორზე, არ ძალუძს გაიგოს იმ ექსპლოატაციისა და იმ ჩაგვრის კლასობრივი ხასიათი, რომელთაგან ზოგჯერ ის არანაკლებ არის შევიწროებული, ვიდრე პროლეტარი, არ ძალუძს გაიგოს,

რომ სახელმწიფოც ბურჟუაზიულ საზოგადოებაში არ შეიძლება არ იყოს კლასობრივი სახელმწიფო *.

მაგრამ რატომ მოხდა ეს, დიდად პატივცემულო ბატონო «ხალხის მეგობრებო», რომ დღემდე, — განსაკუთრებული ენერგიით კი თვით ამ განმათავისუფლებელი რეფორმის შემდეგ, — ჩვენი მთავრობა «მხარს უჭერდა, იცავდა და ჰქმნიდა» მხოლოდ ბურჟუაზიასა და კაპიტალიზმს? რატომ მოხდა, რომ ასეთი ცუდი საქმიანობა ამ აბსოლუტური, ვითომდა კლასებზე მაღლა მდგომი მთავრობისა სწორედ იმ ისტორიულ პერიოდს დაემთხვა, რომელსაც შინაურ ცხოვრებაში სასაქონლო მეურნეობის, ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარება ახასიათებს? რატომ ფიქრობთ თქვენ, რომ ამ უკანასკნელ ცვლილებებს შინაურ ცხოვრებაში წინ უსწრებდა მთავრობის პოლიტიკა, და ეს ცვლილებები შემდეგ მოხდნენ, მიუხედავად იმისა, რომ პირველი ცვლილებები ისე ღრმად მიმდინარეობდნენ, რომ მთავრობა ვერც კი ამჩნევდა მათ და მრავალ დაბრკოლებას უქმნიდა, მიუხედავად იმისა, რომ იგივე «აბსოლუტური» მთავრობა, შინაური ცხოვრების სხვა პირობების დროს, «მხარს უჭერდა», «იცავდა» და «ჰქმნიდა» სხვა კლასს?

ოჰ, ასეთ საკითხებს «ხალხის მეგობრები» არასოდეს არ აყენებენ! ყველაფერი ეს ხომ მატერიალიზმი და დიალექტიკაა, «ჰეგელიანობა», «მისტიკა და მეტაფიზიკა». მათ ისე ჰგონიათ, რომ თუ ამ მთავრობას კარგად და უფრო ალერსიანად სთხოვე, მას

* ამიტომ «ხალხის მეგობრებიც» უბოროტესი რეაქციონერები არიან, როცა ამბობენ, სახელმწიფოს ბუნებრივი ამოცანა ეკონომიურად სუსტის დაცვაო (ასე უ ნ დ ა ი ყ ო ს საქმე მათი დედაბრული უხამსი მორალის მიხედვით), მაშინ როცა რუსეთის მთელი ისტორია და შინაური პოლიტიკა იმას მოწმობს, რომ ჩვენი სახელმწიფოს ამოცანაა მხოლოდ მემამულე-მებატონეებისა და მსხვილი ბურჟუაზიის დაცვა და უაღრესად მხეცური დათრგუნვა «ე კ ო ნ ო მ ი უ რ ა დ ს უ ს ტ ე ბ ი ს» თავდაცვის ყოველგვარი ცდისა. და ეს, რასაკვირველია, მისი ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ი ამოცანაა, იმიტომ რომ აბსოლუტიზმი და ბიუროკრატია სულერთიანად გამსჭვალულნი არიან მებატონურ-ბურჟუაზიული სულით და იმიტომაც, რომ ეკონომიურ დარგში ბურჟუაზია მეფობს და მართავს შეუზღუდველად, ხოლო მუშებს «სულს ანაბვინებს».

შეუძლია ყოველივე კარგად მოაწყოსო. ხოლო რაც შეეხება ალერსიანობას, სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ: თვით რუსულ ლიბერალულ პრესაშიც «რ. ბოგატსტვო» განირჩევა იმით, რომ არ შეუძლია ცოტათი მაინც დამოუკიდებლად დაიჭიროს თავი. თვით განსაჯეთ:

«მარილის გადასახადის გაუქმებას, სულობრივი ხარკის გაუქმებას და გამოსასყიდ გადასახდელთა შემცირებას» ბ-ნი იუჟაკოვი «სახალხო მეურნეობის სერიოზულ შემსუბუქებას» უწოდებს. ოღონდაც! — მაგრამ განა მარილის გადასახადის გაუქმებას ათასი ახალი არაპირდაპირი გადასახადის დაწესება და ძველთა გადიდება არ მოჰყვა? განა სულობრივი ხარკის გაუქმებას ყოფ. სახელმწიფო გლეხების გადასახადთა გადიდება არ მოჰყვა, მათი გამოსყიდვაზე გადაყვანის სახით? განა არ დარჩენილა ახლაც, გამოსასყიდ გადასახდელთა ყბადაღებული შემცირების შემდეგ (რომლითაც სახელმწიფომ გლეხებს ის მოგებაც კი არ მისცა, რაც მან გამოსასყიდ ოპერაციაზე მიიღო) — შეუსაბამობა გადასახადებისა მიწის შემოსავლიანობასთან, ე. ი. ბატონყმურ ბეგარათა პირდაპირი ნაშთი? — არაფერია! აქ ხომ მხოლოდ «პირველი ნაბიჯი», «პრინციპია» მთავარი, თორემ... თორემ თხოვნა კიდევ შეიძლება!

მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ ყვავილებია. აი ნაყოფიც:

«80-იანმა წლებმა შეუმსუბუქეს ხალხს ტვირთი (და ეს — აღნიშნული ზომებით) და მით იხსნეს ხალხი საბოლოო გაღატაკებისაგან».

ესეც კლასიკური ფრაზაა თავისი ლაქიური ურცხვობით; ის შეიძლება გვერდში დაუყენოთ მხოლოდ ბ-ნ მიხაილოვსკის ზემოთ მოყვანილ განცხადებას — ჩვენ ჯერ კიდევ უნდა შევქმნათ პროლეტარიატი. არ შეიძლება ამის გამო არ გავიხსენოთ შჩედრინის მიერ ასე მოსწრებულად აწერილი ისტორია რუსი ლიბერალის ევოლუციისა[59]. ეს ლიბერალი იწყებს იმით, რომ ხელისუფალთ რეფორმებს სთხოვს «შეძლებისამებრ»; განაგრძობს იმით, რომ იხვეწება — «ცოტა რამ მაინც გვიბოძეო», ხოლო ამთავრებს მუდმივი და ურყევი პოზიციით «საძაგლობასთან შეფარდებით». და მართლაც, როგორ არ უნდა ვთქვათ «ხალხის მე-

გობრების» შესახებ, რომ მათ დაიჭირეს ეს მუდმივი და ურყევი პოზიცია, როდესაც ისინი, მილიონობით ხალხის შიმშილის ცოცხალი შთაბეჭდილების ქვეშ, პრესაში სწერენ — მთავრობამ ხალხი იხსნა საბოლოო განადგურებისაგანო, თუმცა მთავრობა დამშეულ ხალხს ჯერ ჩარჩული ანგარიშიანობით მიუდგა, ხოლო შემდეგ იმავე ჩარჩული სიმხდალით!! გაივლის კიდევ რამდენიმე წელიწადი, გლეხობის ექსპროპრიაცია კიდევ უფრო ჩქარი ნაბიჯით წავა წინ, მთავრობა მიწათმოქმედების სამინისტროს დაარსებას დაუმატებს ერთი-ორი პირდაპირი გადასახადის გაუქმებას და რამდენიმე ახალი არაპირდაპირი გადასახადის შემოღებას; შემდეგ შიმშილობა მოედება 40 მილიონ ხალხს, — ეს ვაჟბატონები კი სწორედ ასევე დასწერენ: აი ხომ ხედავთ, 40 მილიონი შიმშილობს და არა 50 მილიონიო; ეს იმიტომ, რომ მთავრობამ შეუმსუბუქა ხალხს ტვირთი და ხალხი გადაარჩინა საბოლოო გაღატაკებას, ეს იმიტომ, რომ მან «ხალხის მეგობრებს» დაუჯერა და მიწათმოქმედების სამინისტრო დააარსაო!

მეორე მაგალითი:

«რ. ბ — ვოს» № 2-ში შინაური ცხოვრების მექრონიკე ბჭობს იმის შესახებ, რომ რუსეთი «საბედნიეროდ» (sic!) ჩამორჩენილი ქვეყანაა, «რომელიც ინარჩუნებს ელემენტებს თავისი ეკონომიური წყობილების დასაფუძნებლად სოლიდარობის პრინციპზე»*, — და ამბობს, რომ ამიტომ მას შეუძლია გამოვიდეს «საერთაშორისო ურთიერთობათა დარგში ეკონომიური სოლიდარობის გამტარებლად» და რომ ამის შანსებს რუსეთისათვის აძლიერებს მისი უდავო «პოლიტიკური ძლიერება»!!

სწორედ ევროპის ეს ჟანდარმი, ყოველგვარი რეაქციის მუდმივი და საიმედო დედაბოძი, რომელმაც რუსი ხალხი ისეთ სამარცხვინო მდგომარეობამდე მიიყვანა, რომ მას, შინ დაბეჩავებულს, დასავლეთ ევროპის ერების დაჩაგვრის იარაღად იყე-

* ვის შორის? მემამულესა და გლეხს შორის? ყაირათიან გლეხსა და ბოგანოს შორის? მეფაბრიკესა და მუშას შორის? რომ შევიგნოთ ეს კლასიკური «პრინციპი სოლიდარობისა», უნდა გავიხსენოთ, რომ სოლიდარობა მეწარმესა და მუშას შორის მყარდება «ხელფასის შემცირებით».

ნებდნენ, — ეს ჟანდარმი გამოცხადებულია ეკონომიური სოლიდარობის გამტარებლად!

ეს კი მეტისმეტია! ბბ. «ხალხის მეგობრებმა» ყველა ლიბერალებს გადააჭარბეს. ისინი არა თუ ემუდარებიან მთავრობას, არა თუ ხოტბას ასხამენ, პირდაპირ ლოცულობენ კიდეც ამ მთავრობაზე, ლოცულობენ მუხლის მოყრით, ლოცულობენ ისეთი გულმოდგინებით, რომ შორიდან ცქერით შეძრწუნდები, როცა გესმის მათი უქვეშევრდომილესი შუბლების რახუნი იატაკზე.

გახსოვთ გერმანული განსაზღვრა ფილისტერისა?

Was ist der Philister?
Ein hohler Darm,
Voll Furcht und Hoffnung.
Dass Gott erbarm*.

ჩვენს ვითარებას ეს განსაზღვრა ცოტა არ იყოს არ შეეფერება. ღმერთს... ღმერთს ჩვენში მეორე ადგილი უჭირავს. სამაგიეროდ აი უფროსები — ეს სულ სხვა საქმეა. და თუ ჩვენ ამ განსაზღვრაში სიტყვა «ღმერთის» ადგილას სიტყვა «უფროსებს» ჩავსვამთ, — მივიღებთ რუსი ჰუმანურ-ლიბერალური «ხალხის მეგობრების» იდეური ავლადიდების, ზნეობრივი დონისა და მოქალაქობრივი გაბედულობის უაღრესად ზუსტ გამოხატულებას.

ამ ყოვლად უაზრო შეხედულებას მთავრობაზე «ხალხის მეგობრები» უმატებენ სათანადო დამოკიდებულებას ეგრეთწოდებული «ინტელიგენციისადმი». ბ-ნი კრივენკო სწერს: «ლიტერატურამ»... «მოვლენები» უნდა «დააფასოს მათი საზოგადოებრივი აზრის მიხედვით და წაახალისოს ყოველი აქტიური მიდრეკილება სიკეთისადმი. ის ამტკიცებდა და დღესაც ამტკიცებს მასწავლებლების, ექიმების, ტექნიკოსების არასაკმარისობას, იმას, რომ ხალხი ავადმყოფობს, ღარიბდება (ტექნიკოსები აკლია!), არ იცის წერა-კითხვა და სხვ., და როცა ჩნდებიან ადამიანები, რომელთაც მოსწყინდათ მწვანე მაგიდასთან ჯდომა, სცენის

* — რა არის ფილისტერი? ცარიელი ნაწლავი, აღსავსე შიშითა და იმედით, რომ ღმერთი შეიწყალებს (გოეთე). რ ე დ.

მოყვარეთა წარმოდგენებში მონაწილეობა და წინამძღოლების ქადების ჭამა, ადამიანები, რომლებიც იშვიათი თავგანწირულებით გამოდიან სამუშაოდ (წარმოიდგინეთ: ხომ უარჰყვეს მწვანე მაგიდები, წარმოდგენები და ქადები!) და, მრავალ დაბრკოლებათა მიუხედავად, ლიტერატურა მათ უნდა მიესალმოს».

ორი გვერდის შემდეგ ის გამობრძმედილი მოსამსახურის საქმიანი სერიოზულობით სტუქსავს ადამიანებს, რომლებიც «ყოყმანობდნენ საკითხის წინაშე — წასულიყვნენ თუ არა საერობო უფროსებად, ქალაქისთავებად, ერობის სამმართველოთა თავმჯდომარეებად და წევრებად ახალი დებულების მიხედვით. საზოგადოებაში, რომელსაც განვითარებული აქვს მოქალაქობრივ მოთხოვნილებათა და მოვალეობათა შეგნება (ყური დაუგდეთ, ბატონებო: ეს მართლაც ღირს ცნობილი რუსი პომპადურების, რომელიმე ბარანოვებისა ანდა კოსიჩების სიტყვებად!), წარმოუდგენელი იქნებოდა ასეთი ყოყმანიც, საქმისადმი ასეთი დამოკიდებულებაც, იმიტომ რომ ის ყოველ რეფორმას, თუ კი მასში არის სასიცოცხლო მხარეები, თავისებურად მოუხდენდა ასიმილაციას, ე. ი. გამოიყენებდა და განავითარებდა მის იმ მხარეებს, რომლებიც მიზანშეწონილი არიან; გამოუსადეგ მხარეებს კი მკვდარ ანბანად აქცევდა; ხოლო თუ რეფორმაში სრულიად არ მოიპოვება სასიცოცხლო ძალა, ის სავსებით უცხოგვაროვან სხეულად დარჩებოდა».

ეშმაკმა უწყის, ეს რა არის! რაღაც იაფფასიანი ოპორტუნიზმი და ასე გულზვიადად კი გამოდის! ლიტერატურის მიზანი ის ყოფილა, რომ შეჰკრიბოს სალონის ჭორები ბოროტ მარქსისტებზე, მოწიწებით მიესალმოს მთავრობას საბოლოო გაღატაკებისაგან ხალხის ხსნისათვის, მიესალმოს ადამიანებს, რომელთაც მოსწყინდათ მწვანე მაგიდასთან ჯდომა, ასწავლოს «ხალხს» არ მოერიდოს ისეთ თანამდებობებსაც კი, როგორიცაა საერობო უფროსის თანამდებობა... ამას რას ვკითხულობ? «ნედელიას»[60] თუ «ნოვოე ვრემიას»? — არა, ეს «რუსკოე ბოგატსტვოა», რუსეთის მოწინავე დემოკრატების ორგანო...

და ასეთი ვაჟბატონები მსჯელობენ «მამების იდეალებზე», პრეტენზიას აცხადებენ იმაზე, რომ ისინი, სწორედ ისინი ინა-

ხავენ იმ დროებათა ტრადიციებს, როცა საფრანგეთი მთელ ევროპაში ავრცელებდა სოციალიზმის იდეებს — და როცა ამ იდეების შეთვისება რუსეთში გერცენისა და ჩერნიშევსკის თეორიებსა და მოძღვრებას იძლეოდა. ეს უკვე სრული უმსგავსობაა, რომელიც მეტად აღმაშფოთებელი და შეურაცხმყოფელი იქნებოდა, «რუსკოე ბოგატსტვო» რომ მეტად სასაცილო არ იყოს, ასეთი ჟურნალის ფურცლებზე მოთავსებული მსგავსი განცხადებები მხოლოდ ჰომერულ ხარხარს რომ არ იწვევდეს. დიახ, თქვენ სვრით ამ იდეალებს! მართლაც, რაში მდგომარეობდა ეს იდეალები პირველი რუსი სოციალისტებისა, იმ ეპოქის სოციალისტებისა, რომელიც ასე მოსწრებულად დაახასიათა კაუტსკიმ სიტყვებით:

— «როცა ყოველი სოციალისტი იყო პოეტი და ყოველი პოეტი — სოციალისტი».

— რ წ მ ე ნ ა გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი წ ყ ო ბ ი ს ა დ მ ი, რ უ ს ე თ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს თ ე მ უ რ ი წ ყ ო ბ ი ლ ე ბ ი ს ა დ მ ი; აქედან — რ წ მ ე ნ ა გ ლ ე ხ უ რ ი ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს შ ე ს ა ძ ლ ებ ლ ო ბ ი ს ა — აი რა აღაფრთოვანებდა მათ, რა იწვევდა ათეულ და ასეულ ადამიანთა გმირულ ბრძოლას მთავრობის წინააღმდეგ. და თქვენ არ შეგიძლიათ სოციალ-დემოკრატებს უსაყვედუროთ, რომ ისინი ვერ აფასებდნენ ამ, თავისი დროის საუკეთესო ადამიანების დიდ ისტორიულ დამსახურებას, ღრმა პატივისცემით არ ეპყრობოდნენ მათს ხსოვნას. მაგრამ გეკითხებით: სადღა არის ახლა იგი, ეს რწმენა? — ის აღარ არის, არ არის იმდენად, რომ როცა შარშან ბ-ნი ვ. ვ. შეეცადა ელაპარაკნა იმაზე, რომ თემი სოლიდარული მოღვაწეობისათვის ამზადებს ხალხს, ალტრუისტულ გრძნობათა კერას წარმოადგენსო და სხვ., — თვით ბ-ნ მიხაილოვსკისაც კი შერცხვა და ბ-ნ ვ. ვ-ს მორცხვად უსაყვედურა, რომ «არ არსებობს ისეთი გ ა მ ო კ ვ ლ ე ვ ა, რომელიც ამტკიცებდეს ჩვენი თემის კავშირს ალტრუიზმთან». და მართლაც, ასეთი გამოკვლევა არ არსებობს. მაგრამ მოიგონეთ: — იყო დრო, როცა ადამიანებს ყოველივე გამოკვლევის გარეშე სწამდათ და სწამდათ თავდადებით.

როგორ? რატომ? რა საბუთით?..

— «ყოველი სოციალისტი იყო პოეტი და ყოველი პოეტი — სოციალისტი».

და შემდეგ — დასძენს იგივე ბ-ნი მიხაილოვსკი — ყველა კეთილსინდისიერი მკვლევარი თანახმაა, რომ სოფელი ითიშება, — იგი გამოჰყოფს, ერთი მხრით, პროლეტარიატის მასას, მეორე მხრით — ერთ მუჭა «კულაკებს», რომელთაც ფეხქვეშ გათელილი ჰყავთ დანარჩენი მოსახლეობა. და ბ-ნი მიხაილოვსკი ამ შემთხვევაშიც მართალია: სოფელი მართლაც ითიშება. კიდევ მეტი, სოფელი დიდი ხანია უკვე სრულიად გაითიშა. მასთან ერთად გაითიშა ძველი რუსული გლეხური სოციალიზმიც, რომელმაც, ერთი მხრით, ადგილი დაუთმო მუშურ სოციალიზმს; მეორე მხრით კი — უგვანო მეშჩანურ რადიკალიზმად გადაგვარდა. სხვა რამეს, თუ არ გადაგვარებას, ვერ დაარქმევ ამ ცვლილებას. დოქტრინიდან გლეხური ცხოვრების განსაკუთრებული წყობის შესახებ, ჩვენი განვითარების სრულიად თავისებური გზების შესახებ — წარმოიშვა რაღაც მჭლე ეკლექტიზმი, რომელსაც უკვე აღარ შეუძლია უარჰყოს, რომ სასაქონლო მეურნეობა ეკონომიური განვითარების საფუძველი გახდა, რომ ის კაპიტალიზმად გადაიზარდა, და რომელსაც არ სურს მხოლოდ დაინახოს ბურჟუაზიული ხასიათი ყველა წარმოებითი ურთიერთობისა, არ სურს დაინახოს კლასობრივი ბრძოლის აუცილებლობა ამ წყობილების დროს. პოლიტიკური პროგრამიდან, რომელიც ნავარაუდევია საიმისოდ, რომ გლეხობა აამხედროს სოციალისტური რევოლუციის მოსახდენად თანამედროვე საზოგადოების საფუძვლების წინააღმდეგ* — წარმოიშვა პროგრამა, რომლის მიზანია გლეხობის მდგომარეობის შეკეთება, «გაუმჯობესება» ისე, რომ შენარჩუნებულ იქნას თანამედროვე საზოგადოების საფუძვლები.

* არსებითად, ეს იყო ყველა ჩვენი ძველი რევოლუციური პროგრამის დედააზრი, — თუგინდ ბაკუნისტებითა და მეამბოხეებით დაწყებული, ნაროდნიკებით გაგრძელებული და ნაროდოვოლცებით დამთავრებული, რომელთა შორისაც ხომ სრულიადაც უკანასკნელი ადგილი არ ეკავა რწმენას, რომ მომავალ საერო კრებაში გლეხობა სოციალისტების უდიდეს უმრავლესობას გაგზავნისო.

არსებითად, უკვე ყოველივე ზემონათქვამის მიხედვით შეიძლებოდა წარმოგვედგინა, თუ რა «კრიტიკას» უნდა ველოდეთ «რუსკოე ბოგატსტვოს» ამ ვაჟბატონებისაგან, როცა ისინი ხელს ჰკიდებენ სოციალ-დემოკრატების «განადგურებას». ისინი არც კი ცდილობენ პირდაპირ და კეთილსინდისიერად გადმოსცენ მათი გაგება რუსეთის სინამდვილისა (ცენზურულად ეს საავსებით შესაძლებელი იქნებოდა, თუ განსაკუთრებით დააწვებოდნენ ეკონომიურ მხარეს და ისეთსავე ზოგად, ნაწილობრივ ეზოპურ, გამოთქმებს იხმარდნენ, რომლითაც მთელი მათი «პოლემიკა» სწარმოებდა) და არსებითად რაიმე სთქვან მის საწინააღმდეგოდ, იქიდან გამოყვანილი პრაქტიკული დასკვნების სისწორის საწინააღმდეგოდ. ამის მაგივრად ისინი ამჯობინებენ დაკმაყოფილდნენ ყოვლად უშინაარსო ფრაზებით აბსტრაქტულ სქემებსა და მათდამი რწმენაზე, იმის აუცილებლობის რწმენაზე, რომ ყოველმა ქვეყანამ უნდა განვლოს ფაზა... და ამგვარ აბდაუბდაზე, რომელსაც ჩვენ უკვე საკმაოდ გავეცანით ბ-ნ მიხაილოვსკის ნაწერებში. ამასთან პირდაპირი დამახინჯებებიც გვხვდება. მაგალითად, ბ-ნი კრივენკო აცხადებს, რომ მარქსი «ჩვენთვის შესაძლებლად სცნობდა, თუ ამის სურვილი გვექნებოდა (?!! ამრიგად, გამოდის, რომ მ ა რ ქ ს ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ურთიერთობათა ევოლუცია დამოკიდებულია ადამიანების ნებისყოფასა და შეგნებაზე?? რა არის ეს — უსაზღვრო უმეცრება თუ უმაგალითო თავხედობა?!) და სათანადოდაც ვიმოქმედებდით, თავიდან აგვეცილებინა კაპიტალისტური პერიპეტიები და სხვა, უფრო მიზანშეწონილი გზით გვევლო (sic!!!)».

ჩვენმა რაინდმა ასეთი სისულელის ლაპარაკის შესაძლებლობა მიიღო აშკარა გაყალბების შემწეობით. მოჰყავს რა ციტატა ცნობილი «კ. მარქსის წერილიდან» («იურიდ. ვესტნ.», 1888 წ., № 10) — ის ადგილი, სადაც მარქსი ამბობს, რომ იგი დიდად სცემს პატივს ჩერნიშევსკის, რომელიც რუსეთისთვის შესაძლებლად სთვლიდა — «არ განეცადა კაპიტალისტური წყობილების ტანჯვანი», — ბ-ნი კრივენკო ხურავს ბრჭყალებს, ე. ი. ამთავრებს მარქსის სიტყვების ზუსტად გადმოცემას (რომელიც ასე თავდება: «იგი (ჩერნიშევსკი) მხარს უჭერს საკითხის უკანასკ-

ნელ გადაწყვეტას») — და დასძენს: «მეც — ამბობს მარქსი — ვიზიარებ (ხაზგასმა ბ-ნ კრივენკოსია) ამ შეხედულებებსო» (გვ. 186, № 12).

მარქსი კი ნამდვილად შემდეგს ამბობს: «ჩემს პატივცემულ კრიტიკოსსაც, ყოველ შემთხვევაში, იმდენივე უფლება ჰქონდა ჩემი პატივისცემიდან ამ «დიდი რუსი მეცნიერისა და კრიტიკოსისადმი» ის დასკვნა გამოეტანა, რომ მე ვიზიარებ უკანასკნელის შეხედულებებს ამ საკითხზე, როგორც პირიქით, ჩემი პოლემიკური გამოსვლიდან რუსი «ბელეტრისტისა» და პანსლავისტის[61] წინააღმდეგ დაესკვნა, რომ მათ უარვყოფ» («იურიდ. ვესტნ.», 1888 წ., № 10, გვ. 271).

ამრიგად, მარქსი ამბობს, რომ ბ-ნ მიხაილოვსკის უფლება არ ჰქონდა მიეჩნია ის რუსეთის თავისებური განვითარების იდეის მოწინააღმდეგედ, იმიტომ რომ იგი პატივისცემით ეპყრობა იმათაც, ვინც ამ იდეას იცავს, — ბ-ნი კრივენკო კი ამ სიტყვებს ისე ასხვაფერებს, თითქოს მარქსი «აღიარებდა» ამ თავისებურ განვითარებას. პირდაპირი დამახინჯებაა. მარქსის ზემოთ მოყვანილი სიტყვები სრულიად ნათლად ამტკიცებენ, რომ ის თავს არიდებს არსებითად პასუხის გაცემას: «ბ-ნ მიხაილოვსკის შეეძლო საფუძვლად აეღო ერთი რომელიმე ამ ორ საწინააღმდეგო შენიშვნათაგანი, ე. ი. საბუთი არ ჰქონდა არც ერთზე, არც მეორეზე დაეფუძნებინა თავისი დასკვნები იმის შესახებ, თუ როგორია ჩემი შეხედულება რუსეთის საქმეებზე საზოგადოდ». და ამ შენიშვნებს რომ ყალბი განმარტების საბაბი არ მიეცათ, მარქსმა იმავე «წერილში» პირდაპირ უპასუხა კითხვას, თუ როგორ შეიძლება მისი თეორიის გამოყენება რუსეთის მიმართ. ეს პასუხი განსაკუთრებული სიცხადით გვიჩვენებს, რომ მარქსი გაურბის პასუხს არსებითად, გაურბის გარჩევას რუსეთის მასალებისას, მარტოოდენ რომელთაც შეუძლიათ საკითხის გადაჭრა: «თუ რუსეთი — უპასუხებდა ის — იქით მიისწრაფვის, რომ დასავლეთ-ევროპის ერების მსგავსად კაპიტალისტური ერი გახდეს, — ამ უკანასკნელ წლებში კი ამ აზრით მან თავის თავს ბევრი ზიანი მიაყენა, — ის ამას ვერ მიაღწევს, თუ წინასწარ არ გადააქცია პროლეტარებად თავისი გლეხების მოზრდილი ნაწილი».

თითქოს, ეს უკვე სრულიად ნათელია: საკითხი სწორედ იმაში მდგომარეობდა, მიისწრაფვის თუ არა რუსეთი გახდეს კაპიტალისტური ერი, არის თუ არა მისი გლეხობის გაღატაკება კაპიტალისტური წესების, კაპიტალისტური პროლეტარიატის შექმნის პროცესი; მარქსი კი ამბობს, რომ «თუ» რუსეთი აქეთ მიისწრაფვის, მაშინ აუცილებლად საჭიროა გლეხების მოზრდილი ნაწილი პროლეტარებად იქცესო. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მარქსის თეორია მდგომარეობს განსაზღვრული ქვეყნების სამეურნეო წესების ევოლუციის გამოკვლევასა და ახსნაში, და რუსეთის მიმართ მისი «გამოყენება» შეიძლება მდგომარეობდეს მხოლოდ იმაში, რომ ᲕᲘᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲗ ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ მეთოდისა და ᲗᲔᲝᲠᲘᲣᲚᲘ პოლიტიკური ეკონომიის გამომუშავებული ხერხებით, რათა ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲙᲕᲚᲘᲝᲗ რუსეთის წარმოებითი ურთიერთობანი და მათი ევოლუცია *.

ახალი მეთოდოლოგიური და პოლიტიკურ-ეკონომიური თეორიის შემუშავება მოასწავებდა საზოგადოებრივი მეცნიერების ისეთ გიგანტურ პროგრესს, სოციალიზმისაკენ გადადგმულ ისეთ კოლოსალურ ნაბიჯს, რომ რუსი სოციალისტებისათვის თითქმის მაშინვე, რაც «კაპიტალი» გამოქვეყნდა, მთავარ თეორიულ საკითხად გადაიქცა საკითხი «კაპიტალიზმის ბედისა რუსეთში»; ამ საკითხის გარშემო იმართებოდა უაღრესად მწვავე კამათი, მისი მიხედვით სწყდებოდა უმნიშვნელოვანესი საპროგრამო დებულებები. და ფრიად საგულისხმოა, რომ როცა გაჩნდა (ამ ათიოდე წლის წინათ) სოციალისტების განსაკუთრებული ჯგუფი, რომელიც რუსეთის კაპიტალისტური ევოლუციის საკითხს დადებითად სწყვეტდა და საკითხის ამგვარ გადაჭრას რუსეთის ეკონომიური სინამდვილის მასალებზე ამყარებდა, — მისთვის არსებითად არავის გაუწევია პირდაპირი და გარკვეული კრიტიკა, ისეთი კრიტიკა, რომელიც იმავე ზოგად მეთოდოლოგიურ და

* ვიმეორებ, ეს დასკვნა არ შეიძლებოდა ნათელი არ ყოფილიყო ყველასათვის, ვისაც კი «კომუნისტური მანიფესტი», «ფილოსოფიის სიღატაკე» და «კაპიტალი» წაუკითხავს, და მხოლოდ ბ-ნ მიხაილოვსკისათვის გახდა საჭირო განსაკუთრებული ახსნა-განმარტება.

თეორიულ საფუძვლებს დაემყარებოდა და სათანადო მასალებს სხვაგვარად ახსნიდა.

«ხალხის მეგობრებმა» მთელი ლაშქრობა დაიწყეს მარქსისტების წინააღმდეგ, მაგრამ არც ისინი ასაბუთებენ თავიანთ აზრებს ფაქტიური მასალების გარჩევით. როგორც პირველ სტატიაში დავინახეთ, ისინი ფრაზებით კმაყოფილდებიან. ამასთან ბ-ნი მიხაილოვსკი შემთხვევას არ უშვებს გონებამახვილობა გამოიჩინოს იმის გამო, რომ მარქსისტებს შორის არ არის ერთსულოვნება, რომ ისინი ვერ შეთანხმებულან ერთმანეთშიო. და «ჩვენი ცნობილი» ნ. კ. მიხაილოვსკი ძალიან მხიარულად იცინის თავისი გონებამახვილობის გამო «ნამდვილ» და «არა ნამდვილ» მარქსისტებზე. მარქსისტებს შორის რომ სრული ერთსულოვნება არ არის, ეს მართალია. მაგრამ ეს ფაქტი ბ-ნ მიხაილოვსკის მიერ წარმოდგენილია, ჯერ-ერთი, არასწორად, მეორეც კი, ის ამტკიცებს რუსეთის სოციალ-დემოკრატიის არა სისუსტეს, არამედ სწორედ მის ძალასა და ცხოველმყოფელობას. საქმე ისაა, რომ უკანასკნელ დროს განსაკუთრებით ის გარემოება ახასიათებს, რომ სოციალ-დემოკრატიულ შეხედულებებს სოციალისტები სხვადასხვა გზით ითვისებენ და ამიტომ, თუმცა ერთმანეთს უეჭველად ეთანხმებიან იმ ძირითად და მთავარ დებულებაში, რომ რუსეთი წარმოადგენს ბურჟუაზიულ საზოგადოებას, წარმომდგარს ბატონყმური წყობიდან, რომ მისი პოლიტიკური ფორმა კლასობრივი სახელმწიფოა და რომ ერთადერთი გზა მშრომელის ექსპლოატაციის მოსასპობად პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლაში მდგომარეობს, — მაგრამ მრავალ კერძო საკითხში ისინი ერთმანეთს შორდებიან რუსეთის ცხოვრების ამა თუ იმ მოვლენის დასაბუთების ხერხების მხრივაც და დეტალური ახსნის მხრივაც. ამიტომ მე შემიძლია წინდაწინვე გავახარო ბ-ნი მიხაილოვსკი ასეთი განცხადებით, რომ, მაგ., იმ საკითხებშიც, რომელთაც ამ სახელდახელო შენიშვნებში შევეხეთ, — საგლეხო რეფორმის, გლეხური მიწათმოქმედებისა და შინამრეწველური სარეწების ეკონომიკის, იჯარისა და სხვ. შესახებ — ზემოხსენებული ძირითადი და ყველა სოციალ-დემოკრატისათვის საერთო დებულების ფარგლებში აზრთა სხვადასხვაობა არსე-

ბობს. ერთაზრიანობა იმ ადამიანებისა, რომლებიც კმაყოფილ-დებიან «მაღალ ჭეშმარიტებათა» ერთსულოვანი აღიარებით, მსგავსად იმისა, რომ საგლეხო რეფორმას შ ე ე ძ ლ ო გაეხსნა რუსეთისათვის სწორი განვითარების მშვიდობიანი გზები, — სახელმწიფოს შ ე ე ძ ლ ო მიეწვია არა კაპიტალიზმის ინტერესების წარმომადგენლები, არამედ «ხალხის მეგობრები», — თემს შ ე ე ძ ლ ო განესაზოგადოებინა მიწათმოქმედება დამმუშავებელ მრეწველობასთან ერთად, რომლის მსხვილ წარმოებად გადაქცევას შინამრეწველი შ ე ს ძ ლ ებ დ ა, — ს ა ხ ა ლ ხ ო იჯარა ეხმარებოდა ს ა ხ ა ლ ხ ო მეურნეობასო, — ეს გულისამჩვილებელი და გრძნობის ამშლელი ერთსულოვნება შეიცვალა იმ ადამიანთა უთანხმოებით, რომლებიც ცდილობენ რუსეთის ნ ა მ დ ვ ი ლ ი, ა რ ს ე ბ უ ლ ი ეკონომიური ორგანიზაციის, როგორც განსაზღვრულ წარმოებით ურთიერთობათა სისტემის, ახსნას, მისი ნ ა მ დ ვ ი ლ ი ეკონომიური ევოლუციის, მისი პოლიტიკური და ყოველი სხვა ზედნაშენის ახსნას.

და თუ ასეთი მუშაობა, რომელსაც სხვადასხვა თვალსაზრისით იმ საერთო დებულების აღიარებამდე მივყევართ, რაც უეჭველად განსაზღვრავს სოლიდარულ პოლიტიკურ საქმიანობასაც და ამიტომ უფლებას აძლევს და ავალდებულებს ყველას, ვინც იგი მიიღო, ჩასთვალოს თავისი თავი და უწოდოს თავს «სოციალ-დემოკრატი», — კიდევ სტოვებს უთანხმოებათა ფართო ასპარეზს მთელ რიგ კერძო საკითხებზე, რომლებიც სხვადასხვაგვარად სწყდება, მაშინ ეს, რასაკვირველია, რუსეთის სოციალ-დემოკრატიის მხოლოდ ძალასა და ცხოველმყოფელობას ამტკიცებს *.

---

* იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ დღემდე ს რ უ ლ ი ა დ ა რ ხ დ ე ბ ო დ ა ამ საკითხების გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ა. მართლაც, შეუძლებელია იჯარის საკითხის გადაჭრად ჩაითვალოს იმის მტკიცება, რომ «სახალხო იჯარა ეხმარება სახალხო მეურნეობას», ანდა გლეხების ინვენტარით მემამულეთა მიწების დამუშავების სისტემის ასე წარმოდგენა: «გლეხი უფრო ძლიერი აღმოჩნდა მემამულეზე», რომელმაც «თავისი დამოუკიდებლობა მსხვერპლად შესწირა გლეხის დამოუკიდებლობას»; «გლეხმა მემამულეს ხელიდან გამოჰგლიჯა მსხვილი წარმოება»; «ხალხი გამარჯვებული რჩება

ამავე დროს ამ მუშაობის პირობები ისე ცუდია, რომ უარეს რამეს ძნელად წარმოიდგენ: არ არის და არც შეიძლება იყოს ისეთი ორგანო, რომელიც გააერთიანებდა ცალკეულ სამუშაოებს; კერძო ურთიერთობა ჩვენს პოლიციურ პირობებში მეტად გაძნელებულია. გასაგებია, რომ სოციალ-დემოკრატებს არ შეუძლიათ როგორც საჭიროა მოლაპარაკდნენ და შეთანხმდნენ დეტალებზე, გასაგებია, რომ ისინი ერთიმეორეს ეწინააღმდეგებიან...

მართლაც, როგორ სასაცილოა ეს, არა?

ბ-ნ კრივენკოს «პოლემიკაში» სოციალ-დემოკრატებთან შეიძლება გაუგებრობა გამოიწვიოს იმ გარემოებამ, რომ იგი რაღაც «ნეომარქსისტებზე» მსჯელობს. ზოგი მკითხველი იფიქრებს, რომ სოციალ-დემოკრატებში რაღაც გათიშვის მსგავსი მომხდარა, რომ ძველ სოციალ-დემოკრატებს «ნეომარქსისტები» გამოჰყოფიან. — არაფერი ამის მსგავსი. არავის, არსად და არასოდეს მარქსიზმის გულისთვის რუსეთის სოციალ-დემოკრატების თეორიებისა და პროგრამის კრიტიკა არ უწარმოებია საჯაროდ და სხვაგვარი მარქსიზმი არ დაუცავს. საქმე ისაა, რომ ბბ. კრივენკოს და მიხაილოვსკის მოუსმენიათ სხვადასხვა სალონის ჭორები მარქსისტების შესახებ, ბევრი უნახავთ სხვადასხვა ჯურის ლიბერალები, რომელნიც მარქსიზმით ჰფარავენ თავიანთ ლიბერალურ სიცარიელეს, და მათთვის ჩვეული გონებამახვილობითა და ტაქტით იწყეს მარქსისტების «კრიტიკა» ასეთი ცოდნით. საკვირველი როდია, რომ ეს «კრიტიკა» წარმოადგენს კურიოზებისა და ბინძური გამოსვლების მთელ ჯაჭვს.

«თუ გვსურს თანმიმდევარნი ვიყოთ — მსჯელობს ბ-ნი კრივენკო — ამას დადებითი პასუხი უნდა გავცეთ» (კითხვას: «უნდა ვცდილობდეთ თუ არა კაპიტალისტური მრეწველობის განვითარებას») და «არ უნდა დავერიდოთ არც გლეხების მიწის შეყიდვას, არც დუქნებისა და სამიკიტნოების გახსნას», უნდა «გვახარებდეს მრავალრიცხოვანი მიკიტნების წარმატება თვით-

---

მიწათმოქმედების კულტურის ფორმისათვის ბრძოლაში». ეს ცარიელი ლიბერალური ლაყბობაა «ჩვენი ცნობილი» ბ-ნ ვ. ვ-ისა «კაპიტალიზმის ბედში».

მმართველობაში, ვეხმარებოდეთ გლეხის პურის კიდევ უფრო მრავალრიცხოვან შემყიდველებს».

მართლაც, ეს მთლად სასაცილო რამ არის. სცადეთ უთხრათ ასეთ «ხალხის მეგობარს», რომ მშრომელის ექსპლოატაცია რუსეთში თავისი არსებით ყველგან კაპიტალისტურია, რომ სოფლის ყაირათიანი გლეხები და შემყიდველები კაპიტალიზმის წარმომადგენლებს უნდა მივაკუთვნოთ ამა და ამ პოლიტიკურ-ეკონომიური ნიშნების მიხედვით, რომლებიც ამტკიცებენ გლეხობის დაშლის ბურჟუაზიულ ხასიათს, — და იგი გოდებას მოჰყვება, ამას წარმოუდგენელ ჩმახვას უწოდებს, დაიწყებს ყვირილს დასავლეთ-ევროპის ფორმულებისა და აბსტრაქტული სქემების ბრმად გადმოღებაზე (ამავე დროს დიდი მორიდებით აუხვევს გვერდს «ერეტიკული» დასაბუთების ფაქტიურ შინაარსს). ხოლო როცა საჭიროა იმ «საშინელებათა» გაბერვა, რომლებიც ბოროტ მარქსისტებს მოაქვთ, — მაშინ შეიძლება მაღალი მეცნიერებისა და წმინდა იდეალების უყურადღებოდ დატოვებაც, მაშინ შეიძლება იმის აღიარებაც, რომ გლეხის პურისა და გლეხის მიწის შემყიდველები მართლაც კაპიტალიზმის წარმომადგენლები არიან, და არა მარტო სხვისი ქონების მითვისების «მოყვარულნი».

სცადეთ უმტკიცოთ ამ «ხალხის მეგობარს», რომ რუსეთის ბურჟუაზიას, მარტო მის ხელში წარმოების საშუალებათა კონცენტრაციის გამო, არა თუ ახლაც უკვე ყველგან ხელში უჭირავს ხალხის შრომა, არამედ გავლენასაც ახდენს მთავრობაზე, იწვევს, აიძულებს და განსაზღვრავს რა მისი პოლიტიკის ბურჟუაზიულ ხასიათს, — და იგი მთლად გააფთრდება, დაიწყებს ყვირილს ჩვენი მთავრობის ყოვლისშემძლებლობაზე, იმაზე, რომ მთავრობა მხოლოდ საბედისწერო გაუგებრობისა და უბედური შემთხვევის გამო «იწვევს» სულ კაპიტალიზმის ინტერესების წარმომადგენლებს და არა «ხალხის მეგობრებს», რომ ის ხელოვნურად ნერგავს კაპიტალიზმს... ხოლო ამ ხმაურში თვით არიან იძულებულნი სწორედ კაპიტალიზმის წარმომადგენლებად აღიარონ თვითმმართველობაში მყოფი მიკიტნები, ე. ი. ერთი ელემენტთაგანი იმავე მთავრობისა, რომელიც თითქოს კლასებზე მაღლა დგას. მაგრამ ნუთუ, ბატონებო, კაპიტალიზმის ინტე-

რესები ჩვენში, რუსეთში, წარმოდგენილია მარტოოდენ «თვითმმართველობაში» და მარტოოდენ «მიკიტნებით»?..

რაც შეეხება ბინძურ გამოსვლებს, ასეთები საკმაოდ ვნახეთ ბ-ნ მიხაილოვსკის ნაწერებში და ისევ გვხვდება ბ-ნ კრივენკოს ნაწერებშიც; ამ უკანასკნელს, მაგალითად, სურს გაანადგუროს საძულველი სოციალ-დემოკრატიზმი და მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ «მიდიან ზოგიერთები ქარხნებში (ეს კია — მაშინ, როცა შეუძლიათ დაიკავონ კარგი ტექნიკური და საკანტორო ადგილები) და იქ შესვლას ასაბუთებენ მხოლოდდამხოლოდ კაპიტალისტური პროცესის დაჩქარების იდეით». რასაკვირველია, საჭიროც კი არ არის პასუხი გავცეთ ასეთ, უკვე სავსებით უხამს, რამეებზე. აქ შეიძლება მხოლოდ წერტილი დავსვათ.

განაგრძეთ, ბატონებო, იმავე მიმართულებით, განაგრძეთ გაბედულად! იმპერატორის მთავრობა — სწორედ ის მთავრობა, რომელმაც, როგორც ახლა თქვენგან გავიგონეთ, უკვე მიიღო ზომები (თუმცა დეფექტიანი) ხალხის გადასარჩენად საბოლოო გაღატაკებისაგან, — მიიღებს ზომებს, უკვე ყოველგვარ დეფექტს მოკლებულს, თქვენს გადასარჩენად უხამსობასა და უმეცრებაში მხილებისაგან. «კულტურული საზოგადოება», ქადის ჭამის შემდეგ, სანამ მწვანე მაგიდას მოუჯდებოდეს, კვლავინდებურად ხალისით განაგრძობს საუბარს უმცროს ძმაზე და ჰუმანური პროექტების შეთხზვას მისი მდგომარეობის «გასაუმჯობესებლად»; ამ საზოგადოების წარმომადგენლები სიამოვნებით გაიგებენ თქვენგან, რომ ისინი საერობო უფროსებისა ანდა გლეხის ჯიბის რომელიმე სხვა ზედამხედველების ადგილებზე ყოფნით სამოქალაქო მოთხოვნილებათა და მოვალეობათა განვითარებულ შეგნებას იჩენენ. განაგრძეთ! თქვენთვის უზრუნველყოფილია არა მარტო სიმშვიდე, არამედ მოწონებაც და ქებაც... ბატონ ბურენინების პირით.

დასასრულ, გვგონია, ზედმეტი არ იქნება პასუხი გავცეთ კითხვაზე, რომელიც, ალბათ, თავში მოსვლია უკვე არა ერთ მკითხველს. ღირდა განა ასეთ ვაჟბატონებთან ამდენ ხანს ლაპარაკი? ღირდა განა არსებითად პასუხის გაცემა მთელ ამ ლიბე-

რალურ და ცენზურის მიერ დაცულ სიბინძურეზე, რასაც ისინი პოლემიკას უწოდებენ?

მე მგონია — ღირდა, არა მათი გულისთვის, რასაკვირველია, და არა «კულტურული» საზოგადოების გულისთვის, არამედ იმ სასარგებლო გაკვეთილის გულისთვის, რომელიც შეუძლიათ მიიღონ და უნდა მიიღონ კიდეც ამ ლაშქრობიდან რუსმა სოციალისტებმა. ეს ლაშქრობა ფრიად თვალსაჩინოდ და ფრიად დამაჯერებლად ამტკიცებს, რომ რუსეთის საზოგადოებრივი განვითარების ის ხანა, როცა დემოკრატიზმი და სოციალიზმი ერთ გაუთიშველ, განუყოფელ მთელს წარმოადგენდა (როგორც ეს იყო, მაგ., ჩერნიშევსკის ეპოქაში), სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს. ახლა უკვე სრულიად არავითარი ნიადაგი აღარა აქვს იმ იდეას, — რომელიც დღემდეც აქა-იქ კიდევ სწამთ რუს სოციალისტებს და მეტად მავნებელ გავლენას ახდენს მათს თეორიებზეც და პრაქტიკაზეც, — თითქოს რუსეთში არ არსებობდეს ღრმა, ხარისხობრივი განსხვავება დემოკრატებისა და სოციალისტების იდეებს შორის.

სრულიად პირიქით: ამ იდეებს შორის მთელი უფსკრულია, და დიდი ხანია დროა გაიგონ ეს რუსმა სოციალისტებმა, გაიგონ დემოკრატების იდეებთან სავსებით და საბოლოოდ კავშირის გაწყვეტის გარდუვალობა და აუცილებელი საჭიროება.

მართლაც, ვნახოთ, რა იყო იგი, ეს რუსი დემოკრატი, იმ ხანაში, რომელმაც ზემოაღნიშნული იდეა წარმოშვა, და რად იქცა ის? «ხალხის მეგობრები» საკმაო მასალას გვაძლევენ ასეთი პარალელისათვის.

მეტისმეტად საინტერესოა ამ მხრივ ბ-ნ კრივენკოს გამოსვლა ბ-ნ სტრუვეს წინააღმდეგ; სტრუვემ ერთს გერმანულ გამოცემაში გაილაშქრა ბ-ნ ნიკ. — ონის უტოპიზმის წინააღმდეგ (მისი შენიშვნა — «რუსეთის კაპიტალისტური განვითარების საკითხისათვის», Zur Beurtheilung der kapitalistischen Entwicklung Russlands — გამოქვეყნდა «Sozialpolitisches Centralblatt»-ში[62], III, № 1, 1893 წ. 2 ოქტომბერი). ბ-ნი კრივენკო თავს ესხმის ბ-ნ სტრუვეს იმისათვის, რომ იგი თითქოს «ნაციონალურ

სოციალიზმად» (რომელიც, მისი სიტყვით, «წმინდა უტოპიური ბუნებისაა») სთვლის იმათ იდეებს, ვინც «თემსა და მიწის ნადელს იცავს». ვითომდა სოციალიზმის ამ საშინელ დაწამებას დიდად პატივცემული ავტორი სრულიად გაუაფთრებია:

«ნუთუ — გაიძახის ის — სხვა არავინ ყოფილა (გერცენის, ჩერნიშევსკისა და ნაროდნიკების გარდა), ვინც თემსა და მიწის ნადელს იცავდა. მერე-და, საგლეხო დებულების შემდგენლები, რომლებმაც რეფორმას საფუძვლად დაუდვეს თემი და გლეხების სამეურნეო დამოუკიდებლობა, ჩვენი ისტორიისა და თანამედროვე ყოფაცხოვრების მკვლევარნი, რომლებიც ამ საწყისების სასარგებლოდ ლაპარაკობენ, და თითქმის მთელი ჩვენი სერიოზული და წესიერი პრესა, რომელიც აგრეთვე ამ საწყისებს იცავს, — ნუთუ ყველაფერი ეს იმ შეცდომის მსხვერპლია, რასაც «ნაციონალურ სოციალიზმს» უწოდებენ?»

დამშვიდდით, უპატივცემულესო ბ-ნო «ხალხის მეგობარო»! თქვენ ისე შეგეშინდათ სოციალიზმის ამ საშინელი დაწამებისა, რომ არც კი გაისარჯეთ ყურადღებით წაგეკითხათ ბ-ნ სტრუვეს «პატარა სტატია». და მართლაც, რა აღმაშფოთებელი უსამართლობა იქნებოდა, რომ სოციალისტობა დაგვეწამებინა იმათთვის, ვინც «თემსა და მიწის ნადელს» იცავს! აბა გვითხარით, რა არის აქ სოციალისტური? სოციალიზმი ხომ პროტესტსა და ბრძოლას ჰქვია მშრომელის ექსპლოატაციის წინააღმდეგ, ბრძოლას, მიმართულს ამ ექსპლოატაციის სრული მოსპობისაკენ, — ხოლო «ნადელის დაცვა» იმას ნიშნავს, რომ მომხრე იყო გლეხების მიერ მთელი იმ მიწის გამოყიდვისა, რაც მათს განკარგულებაში იყო. იმ შემთხვევაშიც კი, თუ იცავთ არა გამოყიდვას, არამედ გლეხების ხელში მთელი იმ მიწის აუნაზღაურებლად დატოვებას, რომელიც რეფორმამდე მათს განკარგულებაში იყო, — მაშინაც კი სრულიად არაფერია აქ სოციალისტური, იმიტომ რომ სწორედ მიწის ეს გლეხური საკუთრება (რომელიც ფეოდალური პერიოდის განმავლობაში შემუშავდა) იყო კიდევაც ყველგან დასავლეთში, ისე როგორც ჩვენშიც, რუსეთში *, — ბურჟუაზიული

* ამის დამამტკიცებელია გლეხობის დაშლა.

საზოგადოების საფუძველი. «თემის დაცვა» — ე. ი. მიწის განაწილების ჩვეულებრივ წესებში პოლიციური ჩარევის წინააღმდეგ პროტესტის გამოცხადება, — რა არის აქ სოციალისტური, როცა ყველამ იცის, რომ მშრომელის ექსპლოატაცია მშვენივრად არსებობს და ჩნდება ამ თემის შიგნით? ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ პირდაპირ უსაზღვროდ გააფართოო სიტყვა «სოციალიზმი»: ამრიგად თვით ბ-ნი პობედონოსცევიც[63] ხომ სოციალისტებს უნდა მივაკუთვნოთ!

ბ-ნი სტრუვე სრულებითაც არ სჩადის ასეთ საშინელ უსამართლობას. ის ლაპარაკობს ნ ა რ ო დ ნ ი კ ე ბ ი ს «ნაციონალური სოციალიზმის უტოპიურობაზე», ხოლო ვის სთვლის ის ნაროდნიკებად, — იქიდან სჩანს, რომ მას პლეხანოვის «ჩვენი უთანხმოებანი» მიაჩნია პოლემიკად ნაროდნიკებთან. პლეხანოვი, უეჭველია, ეკამათებოდა სოციალისტებს, ისეთ ადამიანებს, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო «სერიოზულ და წესიერ» რუსულ პრესასთან. ამიტომაც ბ-ნ კრივენკოს არავითარი უფლება არ ჰქონდა თავის თავზე მიეღო ის, რაც ნაროდნიკებს შეეხება. ხოლო თუ მას სურდა აუცილებლად გაეგო ბ-ნ სტრუვეს აზრი იმ მიმართულების შესახებ, რომელსაც თვითონ მისდევს, — მე მიკვირს, რატომ არ მიაქცია მან ყურადღება და ა რ გ ა დ ა თ ა რ გ მ ნ ა «რ უ ს კ ო ე ბ ო გ ა ტ ს ტ ვ ო ს ა თ ვ ი ს» შემდეგი ადგილი ბ-ნ სტრუვეს სტატიიდან:

«იმისდა კვალად, რაც წინ მიდის კაპიტალისტური განვითარება, — ამბობს ავტორი, — ზემოთ აღწერილმა მსოფლმხედველობამაც (ნაროდნიკულმა) ნიადაგი უნდა დაჰკარგოს. ის ან გადაგვარდება (wird herabsinken) რეფორმების საკმაოდ უფერულ მიმართულებად, რომელიც კომპრომისის სულითაა გამსჭვალული და კომპრომისებს ეძებს *, რისთვისაც კარგა ხანია უკვე გვაქვს საიმედო ნიშნები, ან გარდუვალად სცნობს ნამდვილ განვითარებას და გამოიტანს იმ თეორიულ და პრაქტიკულ დასკვ-

* Ziemlich blasse kompromissfähige und kompromisssüchtige Reformrichtung — ეს შეიძლება, მგონია, ასეც გადმოიცეს: კულტუროსნული ოპორტუნიზმი.

ნებს, რომელნიც აუცილებლობით გამომდინარეობენ აქედან, — სხვა სიტყვებით, დაჰკარგავს უტოპიურ ხასიათს».

თუ ბ-ნი კრივენკო ვერ მიმხვდარა, სად გვაქვს ჩვენ ისეთი მიმართულების ნიშნები, რომელსაც მხოლოდ კომპრომისებისათვის შესწევს ძალა, მე მას ვურჩევდი მოეგონებინა «რუსკოე ბოგატსტვო», ამ ჟურნალის თეორიული შეხედულებანი, რომელნიც წარმოადგენენ ნაროდნიკული მოძღვრების ნაფლეთებისა და რუსეთის კაპიტალისტური განვითარების აღიარების შეკოწიწების საცოდავ ცდას, მოეგონებინა მისი პოლიტიკური პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს წვრილი მწარმოებლების მეურნეობის გაუმჯობესებასა და აღდგენას არსებული კაპიტალისტური წესწყობილების ნიადაგზე *.

* საცოდავ შთაბეჭდილებას ახდენს საზოგადოდ ბ-ნ კრივენკოს ცდა ბ-ნ სტრუვეს წინააღმდეგ ბრძოლისა. ეს არის არსებითად რაიმე საწინააღმდეგოს თქმის რაღაც ბავშვური უძლურება და ბავშვურივე ბრაზიანობა. მაგ., ბ-ნი სტრუვე ამბობს, რომ ბ-ნი ნიკ. — ონი «უტოპისტია». ამასთან იგი სრულიად ნათლად მიუთითებს, რად უწოდებს მას ასე: 1) იმიტომ, რომ ის უგულვებელჰყოფს «რუსეთის ნამდვილ განვითარებას»; 2) იმიტომ, რომ მიმართავს «საზოგადოებას» და «სახელმწიფოს» და ვერ გაუგია ჩვენი სახელმწიფოს კლასობრივი ხასიათი. რა უნდა სთქვას ამის წინააღმდეგ ბ-მა კრივენკომ? უარჰყოფს თუ არა ის, რომ ჩვენი განვითარება მართლაც კაპიტალისტურია? ამბობს თუ არა ის, რომ იგი რომელიმე სხვა არის? — რომ ჩვენი სახელმწიფო არ არის კლასობრივი? არა, ის ამჯობინებს სრულებით აუხვიოს გვერდი ამ კითხვებს და სასაცილო განრისხებით ებრძვის მის მიერვე შეთხზულ რაღაც «შაბლონებს». კიდევ ერთი მაგალითი. ბ-ნი სტრუვე ბ-ნ ნიკ. — ონს, კლასობრივი ბრძოლის გაუგებლობის გარდა, უსაყვედურებს დიდ შეცდომებს მის თეორიაში, რომელნიც «წმინდა ეკონომიური ფაქტების» დარგს ეკუთვნიან. ის აღნიშნავს, სხვათა შორის, რომ ბ-ნი ნიკ. — ონი, როცა ჩვენი არამიწათმოქმედი მოსახლეობის სიმცირეზე ლაპარაკობს, «ვერ ამჩნევს, რომ რუსეთის კაპიტალისტური განვითარება სწორედ რომ შეამცირებს ამ განსხვავებას 80%-სა (რუსეთის სოფლის მოსახლეობა) და 44%-ს შორის (ამერიკის სოფლის მოსახლეობა): შეიძლება ითქვას, რომ ამაშია მისი ისტორიული მისია». ბ-ნი კრივენკო, ჯერ-ერთი, აყალბებს ამ ადგილს, როდესაც ლაპარაკობს «ჩვენს» (?) მისიაზე, რომ გლეხები უმიწაწყლოდ დავტოვოთ, მაშინ როცა ლაპარაკია მხოლოდ კაპიტალიზმის ტენდენციაზე სოფლის მოსახლეობის შემცირებისა; მეორეც, არაფერს ამბობს არსებითად (შესაძლებელია თუ არა ისეთი

ნაროდნიკობის გადაგვარება მეშჩანურ ოპორტუნიზმად — ეს საერთოდ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე მეტად დამახასიათებელი და მნიშვნელოვანი მოვლენაა ამ ბოლო დროს.

მართლაც, თუ ავიღებთ «რუსკოე ბოგატსტვოს» პროგრამის შინაარსს, — გადასახლებისა და იჯარის ყველა ამ მოწესრიგებას, ყველა ამ იაფ კრედიტს, მუზეუმებს, საწყობებს, ტექნიკის გაუმჯობესებებს, არტელებსა და საზოგადოებრივ ხვნა-თესვას, — დავინახავთ, რომ ეს პროგრამა მართლაც მეტად გავრცელებულია მთელ «სერიოზულ და წესიერ პრესაში», ე. ი. მთელ ლიბერალურ პრესაში, რომელიც არ ეკუთვნის ბატონყმურ ორგანოებს ანდა რეპტილიებს[64]. ყველა ამ ღონისძიების საჭიროების, სარგებლიანობის, აუცილებლობის, «უვნებლობის» იდეამ ღრმა ფესვები გაიდგა მთელ ინტელიგენციაში და არაჩვეულებრივ ფართოდ გავრცელდა: თქვენ მას შეხვდებით პროვინციულ ფურცლებსა და გაზეთებშიც, ყველა საერობო გამოკვლევაშიც, კრებულებშიც, აღწერებშიც და სხვ. და სხვ. უეჭველია, რომ, თუ ამას ნაროდნიკობად მივიჩნევთ, — ეს უდიდესი და უდავო წარმატებაა.

მაგრამ ეს ხომ სულაც არაა ნაროდნიკობა (ამ სიტყვის ძველი, ჩვეულებრივი მნიშვნელობით), და ეს წარმატება და სიფართით ეს უდიდესი გავრცელება მიღწეულია ნაროდნიკობის შერყვნის ფასით, ჩვენი ლიბერალიზმისადმი მკვეთრად ოპოზიციურად განწყობილი სოციალურ-რევოლუციური ნაროდნიკობის იმ კულტურულსნულ ოპორტუნიზმად გადაქცევის ფასით, რომელიც უერთდება ამ ლიბერალიზმს და მხოლოდ წვრილი ბურჟუაზიის ინტერესებს გამოხატავს.

ამ უკანასკნელში რომ დავრწმუნდეთ, საკმარისია მივმართოთ გლეხებისა და შინამრეწველების დაშლის ზემოთ მოყვანილ სურათებს, — ეს სურათები კი სრულიადაც არ გვიხატავენ რაიმე

კაპიტალიზმი, რომელიც არ იწვევდეს სოფლის მოსახლეობის შემცირებას?) და იწყებს ლაყბობას «მწიგნობრეებზე» და სხვ. იხ. დამატება II (გვ. 364 ამ ტომისა. რ ე დ .).

ერთეულ ან ახალ ფაქტებს, ისინი მხოლოდ წარმოადგენენ ცდას — პოლიტიკურ-ეკონომიური მხრით გამოხატონ «სვავებისა» და «მოჯამაგირეების» ის «სკოლა», რომლის არსებობას ჩვენს სოფელში თვით მოწინააღმდეგენიც არ უარჰყოფენ. ცხადია, «ნაროდნიკული» ღონისძიებებით შეიძლება მხოლოდ წვრილი ბურჟუაზია გაძლიერდეს; ანდა (არტელები და საზოგადოებრივი მოხვნა) ისინი უნდა წარმოადგენდნენ მეტად უმნიშვნელო პალიატივებს, დარჩნენ საცოდავ ექსპერიმენტებად, რომელთაც ასე სათუთად ავრცელებს ყველგან ევროპაში ლიბერალური ბურჟუაზია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ თვით ამ «სკოლას» ეს სრულიადაც არ ეხება. ამავე მიზეზით ასეთი პროგრესების საწინააღმდეგო არაფერი ექნებათ თვით ბბ. ერმოლოვებსა და ვიტეებს[65]. სრულიად პირიქით. კეთილინებეთ, ბატონებო! ისინი თქვენ ფულსაც კი მოგცემენ «ცდებისათვის» — ოღონდ კი «ინტელიგენცია» ჩამოაშორონ რევოლუციურ მუშაობას (ანტაგონიზმის ხაზის გასმა, პროლეტარიატისათვის მისი გარკვევა, ამ ანტაგონიზმის პირდაპირი პოლიტიკური ბრძოლის გზაზე გამოყვანის ცდა) და ანტაგონიზმის მიჩქმალვის, შერიგებისა და გაერთიანების გზაზე დააყენონ. კეთილინებეთ!

შევჩერდეთ რამოდენიმედ იმ პროცესზე, რომელიც ნაროდნიკობის ასეთ გადაგვარებას იწვევდა. თვით თავისი წარმოშობის დროს, თავისი პირვანდელი სახით, ეს თეორია საკმაოდ მწყობრი იყო, — იგი გამოდიოდა წარმოდგენიდან ხალხის ცხოვრების თავისებურ წყობაზე, სწამდა «მეთემური» გლეხის კომუნისტური ინსტინქტები და ამიტომ გლეხობაში ხედავდა სოციალიზმისათვის პირდაპირ მებრძოლს, — მაგრამ მას აკლდა, ერთი მხრით, თეორიული დამუშავება, დამამტკიცებელი ფაქტები რუსეთის ცხოვრებიდან და, მეორე მხრით, გამოცდილება ისეთი პოლიტიკური პროგრამის გამოყენებაში, რომელიც გლეხის ამ ნავარაუდევ თვისებებს დაეყრდნობოდა.

თეორიის განვითარებამაც ეს ორი მიმართულება მიიღო — თეორიული და პრაქტიკული. თეორიული მუშაობა უმთავრესად მიმართული იყო მიწათმფლობელობის იმ ფორმის შესწავლისაკენ, რომელშიც უნდოდათ კომუნიზმის ნასახის დანახვა; ამ

მუშაობამ ფრიად მრავალმხრივი და მეტად მდიდარი ფაქტიური მასალა მოგვცა. მაგრამ ამ მასალამ, რაც უმთავრესად მიწათმფლობელობის ფორმას შეეხებოდა, სრულიად დაჩრდილა მკვლევარებისათვის სოფლის ეკონომიკა. ეს მით უფრო ბუნებრივად მოხდა, რომ, ჯერ-ერთი, მკვლევარებს არ ჰქონდათ მტკიცე თეორია საზოგადოებრივი მეცნიერების მეთოდზე, თეორია, რომელიც გამოარკვევდა წარმოებით ურთიერთობათა გამოყოფისა და ცალკე შესწავლის აუცილებლობას; მეორეც, — დაგროვილი ფაქტიური მასალა პირდაპირ და უშუალო მითითებებს იძლეოდა გლეხობის უახლოეს საჭიროებებზე, უახლოეს გაჭირვებაზე, რომელიც გამანადგურებელ გავლენას ახდენდა გლეხურ მეურნეობაზე. და მკვლევართა მთელი ყურადღება მიქცეული იყო გლეხების ამ გაჭირვების, მცირემიწიანობის, დიდი გადასახადების, უუფლებობის, დაძაბუნებისა და დაბეჩავების შესწავლისაკენ. ყოველივე ეს ისეთი მდიდარი მასალის მიხედვით და წვრილმანი დეტალებით იყო აღწერილი, შესწავლილი და ახსნილი, რომ, რასაკვირველია, ჩვენი სახელმწიფო რომ კლასობრივი სახელმწიფო არ ყოფილიყო, მისი პოლიტიკა რომ მმართველი კლასების ინტერესებით კი არ ყოფილიყო წარმართული, არამედ «ხალხის საჭიროებათა» მიუდგომელი განხილვით, — იგი ათასჯერ უნდა დარწმუნებულიყო ამ გაჭირვების მოსპობის აუცილებლობაში. გულუბრყვილო მკვლევარები, რომელთაც სწამდათ საზოგადოებისა და სახელმწიფოს «გადაჯერების» შესაძლებლობა, სრულიად ჩაიფლნენ მათ მიერ შეგროვილი ფაქტების დეტალებში და მხედველობიდან გაუშვეს ერთი რამ — სოფლის პოლიტიკურ-ეკონომიური სტრუქტურა, მხედველობიდან გაუშვეს ძირითადი ფონი იმ მეურნეობისა, რომელიც მართლაც იჩაგრებოდა ამ უშუალო უახლოესი გაჭირვებებით. ამის შედეგი, ბუნებრივია, იყო ის, რომ მცირემიწიანობით და სხვ. დაჩაგრული მეურნეობის ინტერესების დაცვა გადაიქცა იმ კლასის ინტერესების დაცვად, რომელსაც ხელში ეჭირა ეს მეურნეობა და რომელსაც ერთადერთს შეეძლო გაძლება და განვითარება თემის შიგნით არსებულ საზოგადოებრივ-ეკონომიურ პირობებში, ქვეყნის მეურნეობის არსებული სისტემის დროს.

თეორიულ მუშაობას, მიმართულს იმ ინსტიტუტის შესწავლისაკენ, რომელიც საფუძვლად და ბურჯად უნდა დასდებოდა ექსპლოატაციის მოსპობას, ისეთი პროგრამის გამომუშავება მოჰყვა, რაც გამოხატავს წვრილი ბურჟუაზიის, ე. ი. სწორედ იმ კლასის ინტერესებს, რომელსაც ეს ექსპლოატატორული წესწყობილება ემყარება!

იმავე დროს პრაქტიკული რევოლუციური მუშაობაც სრულიად მოულოდნელი მიმართულებით ვითარდებოდა. რწმენა გლეხის კომუნისტური ინსტინქტებისა, ბუნებრივია, სოციალისტებისაგან მოითხოვდა, რომ მათ უკან დაეყენებინათ პოლიტიკა და «ხალხში წასულიყვნენ». ამ პროგრამის განხორციელებას ხელი მიჰყო მრავალმა ფრიად ენერგიულმა და ნიჭიერმა მუშაკმა, რომლებიც პრაქტიკულად დარწმუნდნენ გლეხის კომუნისტურ ინსტინქტებზე წარმოდგენის გულუბრყვილობაში. მაგრამ გადაწყვეტილი იყო, რომ თავი და თავი გლეხი კი არა, მთავრობა არის, — და მთელი მუშაობა მიმართულ იქნა მთავრობის საწინააღმდეგო ბრძოლაზე, რასაც აწარმოებდნენ უკვე მარტო ინტელიგენტები და ის მ უ შ ე ბ ი, რომლებიც ხანდახან მათ ემხრობოდნენ. თავდაპირველად ეს ბრძოლა სწარმოებდა სოციალიზმისათვის, იმ თეორიაზე დაყრდნობით, რომ ხალხი მზად არის სოციალიზმისათვის და ძალაუფლების უბრალო დაპყრობით შეესაძლებელი იქნება არა მარტო პოლიტიკური, არამედ სოციალური რევოლუციის მოხდენაცო. უკანასკნელ დროს ეს თეორია, როგორც სჩანს, უკვე ყოველივე ნდობას ჰკარგავს, და ნაროდოვოლცებს ბრძოლა მთავრობის წინააღმდეგ იქცევა რადიკალების ბრძოლად პოლიტიკური თავისუფლებისათვის.

მაშასადამე, მეორე მხრივაც მუშაობამ ისეთი შედეგები გამოიწვია, რაც პირდაპირ საწინააღმდეგო იყო მისი გამოსავალი წერტილის მიმართ; მეორე მხრივაც შეიქმნა პროგრამა, რომელიც მხოლოდ რადიკალური ბურჟუაზიული დემოკრატიის ინტერესებს გამოხატავს. სწორედ რომ ვთქვათ, ეს პროცესი ჯერაც არ დასრულებულა, მაგრამ ის, გვგონია, უკვე სავსებით გამოირკვა. ნაროდნიკობის ასეთი განვითარება სრულიად ბუნებრივი და აუცილებელი იყო, რადგან დოქტრინის საფუძველს წარმოადგენდა წმინდა

მითური წარმოდგენა გლეხური მეურნეობის განსაკუთრებულ (თემურ) წყობაზე: სინამდვილის შეხებამ მითი გაჰფანტა, და გლეხური სოციალიზმიდან გამოვიდა წვრილბურჟუაზიული გლეხობის რადიკალურ-დემოკრატიული წარმომადგენლობა.

მივმართავ დემოკრატის ევოლუციის მაგალითებს:

«უნდა ვიზრუნოთ იმაზე, — მსჯელობს ბ-ნი კრივენკო, — რომ სრულყოფილი ადამიანის მაგივრად არ ვიქცეთ სრულიად-რუსეთის უსახო არსებად, რომელიც მხოლოდ კარგი გრძნობების გაურკვეველი დულილით არის გამსჭვალული, მაგრამ მოკლებულია როგორც ჭეშმარიტი თავგანწირულების, ისე ცხოვრებაში რაიმე მტკიცე საქმის გაკეთების უნარს». საუცხოო მორალია; ვნახოთ, რას ხმარდება იგი. «ამ უკანასკნელი მხრით — განაგრძობს ბ-ნი კრივენკო — მე ვიცი ერთი ასეთი საწყენი ფაქტი»: სამხრეთ-რუსეთში ცხოვრობდა ახალგაზრდობა, «რომელიც გამსჭვალული იყო საუკეთესო ზრახვებით და უმცროსი ძმისადმი სიყვარულით; გლეხს დიდი ყურადღებით და პატივისცემით ეპყრობოდნენ; მას თითქმის პირველ ადგილზე დასვამდნენ ხოლმე, მასთან ერთი კოვზით სჭამდნენ, მურაბას და ნამცხვარს სთავაზობდნენ; ყველაფერში მას მეტ ფასს აძლევდნენ, ვიდრე სხვები, აძლევდნენ ფულს — სესხადაც, საჩუქრადაც და ისე უბრალოდაც — უამბობდნენ ევროპულ წყობილებასა და მუშათა ასოციაციებზე და სხვ. იმავე მხარეში ცხოვრობდა ერთი ახალგაზრდა გერმანელიც — შმიდტი, მმართველი ანუ, უკეთ, უბრალო მებაღე, ადამიანი, მოკლებული ყოველივე ჰუმანიტარულ იდეებს, ნამდვილი ვიწრო ფორმალური გერმანული სულით გაჟღენთილი (sic??!!)» და სხვ. და აი, ამ ადგილას 3 — 4 წელი რომ იცხოვრეს, ისინი წავიდ-წამოვიდნენო. გავიდა კიდევ ოციოდე წელი, ავტორმა ხელახლა ინახულა ეს კუთხე და გაიგო, რომ «ბ-ნ შმიდტს» (სასარგებლო მუშაობისათვის მებაღე შმიდტს ბ-ნი შმიდტი დაარქვეს) გლეხებისათვის უსწავლებია მევენახეობა, რომელიც მათ ახლა «ერთგვარ შემოსავალს» აძლევს, 75 — 100 მანეთს წელიწადში; ამიტომ მას «კარგად იხსენიებენ», ხოლო «იმ ბატონებზე, რომლებიც მხოლოდ კარგი გრძნობებით იყვნენ

გამსჭვალულნი გლეხისადმი, მისთვის კი არსებითი (!) არაფერი გაუკეთებიათ, მახსოვრობაც კი არ დარჩენილა».

თუ გამოვიანგარიშებთ, გამოვა, რომ აღნიშნული ამბები ეკუთვნის 1869 — 1870 წლებს, ე. ი. დაახლოებით სწორედ იმ დროს, როცა რუსი სოციალისტ-ნაროდნიკები შეეცადნენ რუსეთში გადმოეტანათ «ევროპული წყობილების» ყველაზე მოწინავე და დიდი თავისებურება — ინტერნაციონალი [66].

ცხადია, ბ-ნ კრივენკოს ნაამბობის შთაბეჭდილება მეტად მკვეთრია, და აი იგი იჩქარის განმარტოს:

«მე, რა თქმა უნდა, ამით არ ვამბობ, — განმარტავს იგი, — თითქოს შმიდტი სჯობდეს ამ ადამიანებს, მხოლოდ ვამბობ, თუ რატომ მოხდა, რომ ყველა დანარჩენი დეფექტის მიუხედავად მან მაინც უფრო მტკიცე კვალი დასტოვა ამ ადგილსა და მოსახლეობაში. (არ ვამბობ, რომ სჯობს, მხოლოდ ვამბობ, რომ უფრო მტკიცე კვალი დასტოვაო, — ეს რა აბდაუბდაა?!) არც იმას ვამბობ, რომ მას რაღაც მნიშვნელოვანი გაეკეთებინოს, — პირიქით, მის მიერ გაკეთებული მომყავს, როგორც ნიმუში სულ პატარა, გზადაგზა შესრულებული საქმისა, რომელიც მას არაფრად უღირდა, მაგრამ უეჭველად სასიცოცხლო საქმისა».

ეს განმარტება, როგორც ხედავთ, მეტად ორაზროვანია, მაგრამ საქმე მის ორაზროვნობაში კი არ არის, არამედ იმაში, რომ ავტორი ერთი მოღვაწეობის უშედეგობას უპირისპირებს მეორის წარმატებას და ამასთან, ეტყობა, ვერც კი წარმოუდგენია, რა ძირითადი განსხვავებაა ამ ორი სახის მოღვაწეობის მიმართულებაში. ამაშია მთელი აზრი, რომელიც ასე დამახასიათებლად ხდის ამ ნაამბობს თანამედროვე დემოკრატის ფიზიონომიის გასარკვევად.

ცხადია, როცა ეს ახალგაზრდები გლეხს «ევროპულ წყობილებასა და მუშათა ასოციაციებზე» ელაპარაკებოდნენ, მათ სურდათ აემხედრებინათ ეს გლეხი საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმების გადასაკეთებლად (შეიძლება, ჩემი ეს დასკვნა ამ შემთხვევაში შემცდარიც იყოს, მაგრამ, ვფიქრობ, ყველა დამეთანხმება, რომ ის კანონიერია, იმიტომ რომ აუკილებლად გამომ-

დინარეობს ბ-ნ კრივენკოს ზემოთ მოყვანილი მოთხრობიდან), სურდათ აემხედრებინათ ის სოციალური რევოლუციისათვის თანამედროვე საზოგადოების წინააღმდეგ, რომელიც წარმოშობს მშრომელის ასეთ საზიზღარ ექსპლოატაციასა და ჩაგვრას — ყოველგვარი ლიბერალური პროგრესების გამო საერთო სიხარულთან ერთად. ხოლო «ბ-ნ შმიდტს», როგორც ნამდვილ მეპატრონეს, მხოლოდ სურდა სხვა მეპატრონეებს დახმარებოდა, რათა მათ თავიანთი საქმეები გაეკეთებინათ — და სხვა არაფერი. ერთი სთქვით, როგორ შეიძლება ამ ორი სახის საქმიანობის შედარება, დაპირისპირება, ისინი ხომ დიამეტრულად საწინააღმდეგო მხრით არიან მიმართულნი? ეს ხომ იმასა ჰგავს, ვინმემ რომ იმ ადამიანის საქმიანობის მარცხი, ვინც ამა თუ იმ შენობის დანგრევას ცდილობდა, შეადაროს იმის საქმიანობის წარმატებას, ვისაც ამ შენობის გამაგრება უნდოდა! ერთგვარი აზრის შემცველი შედარების გასატარებლად უნდა დაკვირვებოდით, რატომ დამთავრდა ასეთი მარცხით ცდა ამ ახალგაზრდობისა, რომელიც ხალხში მიდიოდა, რევოლუციისათვის გლეხების ასამხედრებლად, — იმიტომ ხომ არა, რომ ის ხელმძღვანელობდა შემცდარი წარმოდგენით, თითქოს სწორედ «გლეხობა» იყოს მშრომელი და ექსპლოატირებული მოსახლეობის წარმომადგენელი; ნამდვილად კი გლეხობა არ წარმოადგენს განსაკუთრებულ კლასს (— ეს ილუზიაა, რომლის ახსნა ბატონყმობის დამხობის ეპოქის ანარეკლი ზეგავლენით თუ შეიძლება, იმ ეპოქისა, როდესაც გლეხობა მართლაც გამოდიოდა როგორც კ ლ ა ს ი, მაგრამ მხოლოდ როგორც კლასი ბატონყმური საზოგადოებისა), რადგან თვით მის შიგნით იქმნება ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის კლასები; — ერთი სიტყვით, უნდა გაგერჩიათ ძველი სოციალისტური თეორიები და მათი კრიტიკა სოციალ-დემოკრატების მიერ. ხოლო ბ-ნი კრივენკო ამის ნაცვლად დიდ ჭაპანწყვეტაშია და სურს დაამტკიცოს, რომ «ბატონ შმიდტის» საქმე — «უეჭველად სასიცოცხლო საქმეა». რას ბრძანებთ, დიდად პატივცემულო ბ-ნო «ხალხის მეგობარო», რად ამტვრევთ ღია კარებს? ამაში ვინ შეიტანა ეჭვი? ვენახის გაშენება და 75 — 100

მან. შემოსავლის მიღება — რა შეიძლება იყოს მართლაც ამაზე უფრო სასიცოცხლო? *

და ავტორი იწყებს იმის განმარტებას, რომ თუ ვენახს ერთი მეურნე გააშენებს თავისთვის, — ეს განცალკევებული საქმიანობა იქნება, ხოლო თუ რამდენიმე მეურნე — ეს იქნება განზოგადებული და განვრცობილი საქმიანობა, რომელიც პატარა საქმეს ნამდვილ, სწორ საქმედ აქცევს, როგორც, მაგალითად, ა. ნ. ენგელგარდტი[67] არა მარტო თვითონ იყენებდა ფოსფორიტებს, არამედ სხვებისთვისაც შემოიღო ფოსფორიტების წარმოება. —

მართლაც, რა საუცხოოა ეს დემოკრატი!

ავიღოთ კიდევ მაგალითი იმ მსჯელობათა სფეროდან, რომლებიც საგლეხო რეფორმას შეეხება. როგორ ეპყრობოდა მას დემოკრატი ზემოაღნიშნული ეპოქისა, როცა დემოკრატიზმი და სოციალიზმი განუყოფელი იყო, სახელდობრ ჩერნიშევსკი? მას არ შეეძლო აშკარად გამოეთქვა თავისი შეხედულებანი, და იგი სდუმდა, გადაკრულად კი ასე ახასიათებდა მომავალ რეფორმას:

«წარმოვიდგინოთ, რომ მე დაინტერესებული ვიყავი სახსრების მიღებით იმ სანოვაგის შესანახად, რომლის მარაგიდან თქვენი სადილი კეთდება. თავისთავად იგულისხმება, რომ თუ მე ამას პირადად თქვენდამი კეთილგანწყობილებით ვშვრებოდი, ჩემი გულმოდგინება დაფუძნებული იყო იმ მოსაზრებაზე, რომ სანოვაგე თქვენ გეკუთვნით და მისგან გაკეთებული სადილი საღია და გამოსადეგი თქვენთვის. ახლა წარმოიდგინეთ ჩემი გრძნობები, როცა მე ვიგებ, რომ სანოვაგე სრულიადაც თქვენ არ გეკუთვნით და რომ ყოველ სადილში, რომელიც ამ სა-

* გეცადათ და ამ «სასიცოცხლო» საქმის წინადადებით მიგემართათ იმ ახალგაზრდობისათვის, რომელიც გლეხს ევროპულ ასოციაციებზე მოუთხრობდა! როგორ შეგხვდებოდნენ, როგორ საუცხოოდ გაგიმასპინძლდებოდნენ! თქვენ ისევე საშინლად შეგეშინდებოდათ მათი იდეებისა, როგორც ახლა მატერიალიზმისა და დიალექტიკისა გეშინიათ!

ნოვაგისაგან მზადდება, თქვენ იმდენ ფულს გარ-
თმევენ, რაც **თვით სადილი არა თუ არა ღირს** (ეს დაწერილია
რეფორმამდე. ბბ. იუჟაკოვები კი ახლა გვარწმუნებენ,
რომ რეფორმის ძირითადი პრინციპია გლეხების უზრუნველყო-
ფა!!), **არამედ რის გადახდას თქვენ საზოგადოდ ვერ შესძლებთ
უკიდურესი შევიწროების გარეშე**. რა აზრები მომდის
მე თავში ასეთი, ესოდენ უცნაური აღმოჩენის
დროს?... რა სულელი ვყოფილვარ, რომ ისეთი
საქმისთვის ვზრუნავდი, რომლის სასარგებლოდ
გამოყენებისათვის უზრუნველყოფილი არ არის
პირობები! სულელს გარდა ვინ იქნება, რომ იზ-
რუნოს ამა თუ იმ პირის ხელში საკუთრების შე-
ნარჩუნებაზე, თუ წინასწარ არ დარწმუნდა, რომ
საკუთრება სწორედ ამ პირს შეხვდება, და შეხვ-
დება ხელსაყრელ პირობებში? ...უმჯობესია დაი-
ღუპოს მთელი ეს სანოვაგე, რომელსაც **მხოლოდ
ზიანი მოაქვს** ჩემთვის საყვარელი ადამიანისა-
თვის! **უმჯობესია დაიღუპოს მთელი საქმე, რომელსაც
თქვენთვის მხოლოდ გაღატაკება მოაქვს**!»

მე ხაზს ვუსვამ იმ ადგილებს, რომლებიც უფრო რელიეფუ-
რად გვიჩვენებენ, რა ღრმად და საუცხოოდ ესმის ჩერნიშევსკის
თავისი დროის სინამდვილე, ესმის, თუ რა არის საგლეხო გა-
დასახდელები, ესმის რუსეთის საზოგადოებრივი კლასების ანტა-
გონისტურობა. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ ის ახერ-
ხებდა ცენზურის ქვეშ დაყენებულ პრესაში გამოეთქვა ასეთი
წმინდა რევოლუციური იდეები. თავის არალეგალურ ნაწერებში
იგი იმასვე სწერდა, ოღონდ პირდაპირ. «პროლოგის პროლოგში»
ვოლგინი (რომლის პირითაც ჩერნიშევსკი თავის აზრებს გამო-
სთქვამს) ამბობს:

«დაე გლეხთა განთავისუფლების საქმე მემა-
მულეთა პარტიის ხელში იქნას გადაცემული.
განსხვავება დიდი როდია»*, და მოსაუბრის შენიშვნა-

* ციტატა მომყავს «სოციალ-დემოკრატში»[68] მოთავსებული პლეხა-
ნოვის სტატიიდან: «ნ. გ. ჩერნიშევსკი».

ზე, რომ, პირიქით, განსხვავება უზარმაზარია, ვინაიდან მემამულეთა პარტია წინააღმდეგია გლეხებისათვის შიწის გადაცემისაო, ის გადაჭრით უპასუხებს:

«არა, უზარმაზარი კი არა, უმნიშვნელოა. უზარმაზარი იქნებოდა, გლეხებს რომ მიწა უსასყიდლოდ მიეღოთ. გამოართმევთ კაცს ნივთს თუ დაუტოვებთ მას—ამაში განსხვავებაა, მაგრამ თუ მას ნივთის ფასს გამოართმევთ—სულ ერთია. მემამულეთა პარტიის გეგმა პროგრესისტების გეგმისაგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ უფრო მარტივი და მოკლეა. ამიტომ ის უკეთესიც კი არის. ნაკლები დაბრკოლებებია, ალბათ, ნაკლებ დამამძიმებელიცაა გლეხებისათვის. **გლეხთაგან ვისაც ფული აქვს, ის იყიდის თავისთვის მიწას. ვისაც ფული არა აქვს, ვერც დაავალდებულებ იყიდოს. ეს მხოლოდ გააღატაკებს მათ. გამოყიდვა — იგივე ყიდვაა».**

საჭირო იყო სწორედ ჩერნიშევსკის გენიალობა, რომ ამ დროს, თვით საგლეხო რეფორმის მოხდენის ხანაში (როცა ის დასავლეთშიც კი არ იყო ჯერ კიდევ საკმაოდ გაშუქებული), ასე ნათლად გაეგო მისი ძირითადი ბურჟუაზიული ხასიათი, — გაეგო, რომ უკვე მაშინ რუსეთის «საზოგადოებასა» და «სახელმწიფოში» მეფობდნენ და მმართველობდნენ ისეთი საზოგადოებრივი კლასები, რომელნიც მუდამ მტრულად იყვნენ განწყობილნი მშრომელისადმი და უეჭველად წინასწარ განსაზღვრავდნენ გლეხობის გაღატაკებასა და ექსპროპრიაციას. და ამასთანავე ჩერნიშევსკის ესმოდა, რომ იმ მთავრობის არსებობა, რომელიც ჩვენს ანტაგონისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობას ჰფარავდა, წარმოადგენს საშინელ ბოროტებას, რაც განსაკუთრებით აუარესებს მშრომელთა მდგომარეობას.

«სიმართლე რომ ვთქვათ — განაგრძობს ვოლგინი — უმჯობესია უმიწაწყლოდ გაათავისუფლონ». (ესეიგი თუ ჩვენში მებატონე-მემამულეები ამდენად ძლიერნი არიან, უმჯობესია აშკარად, პირდაპირ გამოვიდნენ და ბოლომდე

სთქვან სათქმელი, ვიდრე იგივე ბატონყმური ინტერესები თვალთმაქცური აწსოლუტური მთავრობის კომპრომისებში დამალონ.)

«საკითხი ისეა დასმული, რომ მე ვერ ვპოულობ მიზეზს გასაცხარებლად იმისთვისაც კი — განთავისუფლებულნი იქნებიან გლეხები თუ არა; მით უფრო ნაკლებ იმისთვის, ვინ გაათავისუფლებს მათ, ლიბერალები თუ მემამულეები. ჩემი აზრით, ეს სულ ერთია. უკეთესიც იქნება, თუ ამას მემამულეები იზამენ».

«უმისამართო წერილებიდან»: «ამბობენ: გლეხები გავათავისუფლოთო... სადაა ძალები ასეთი საქმისათვის? ჯერ კიდევ არ არის ძალები. არ შეიძლება საქმის დაწყება, როდესაც ამისათვის ძალები არ არის. ხომ ხედავთ, საით მიდის საქმე: დაიწყებენ განთავისუფლებას. რა გამოვა — თვითონ განსაჯეთ, რა გამოდის, როდესაც ხელს ჰკიდებ ისეთ საქმეს, რომლის გაკეთება არ შეგიძლია. გააფუჭებ საქმეს — გამოვა სისაძაგლე».

ჩერნიშევსკის ესმოდა, რომ რუსეთის ბატონყმურ-ბიუროკრატიულ სახელმწიფოს არ შეეძლო გლეხების განთავისუფლება, ე. ი. მებატონეების დამხობა, რომ მას შეეძლო მოეხდინა მხოლოდ «სისაძაგლე», საცოდავი კომპრომისი ლიბერალების (გამოყიდვა — იგივე ყიდვაა) და მემამულეების ინტერესებისა, კომპრომისი, რომელიც გლეხებს ატყუებს მოჩვენებითი უზრუნველყოფით და თავისუფლებით, ნამდვილად კი აღატაკებს მათ და მემამულეებს უგდებს ხელში. და ის პროტესტს აცხადებდა, სწყევლიდა რეფორმას, მარცხს უსურვებდა მას, სურდა, რომ მთავრობა გახლართულიყო თავის ეკვილიბრისტიკაში ლიბერალებსა და მემამულეებს შორის და საქმე ისეთი კრახით დამთავრებულიყო, რომელიც რუსეთს კლასთა აშკარა ბრძოლის გზაზე გამოიყვანდა.

ჩვენი თანამედროვე «დემოკრატები» კი ახლა — როცა ჩერნიშევსკის გენიალური წინასწარგანჭვრეტა ფაქტად იქცა, როცა

30 წლის ისტორიამ შეუბრალებლად გააბათილა ყოველგვარი ეკონომიური და პოლიტიკური ილუზიები — ქება-დიდებას უძღვიან რეფორმას, «სახალხო» წარმოების სანქციად სთვლიან მას, იქ როგორიღაც ისეთი გზის შესაძლებლობის დამტკიცების პოვნას ახერხებენ, რომელიც გვერდს აუხვევდა მშრომელისადმი მტრულად განწყობილ საზოგადოებრივ კლასებს. ვიმეორებ, დამოკიდებულება საგლეხო რეფორმისადმი — იმის ყველაზე უფრო თვალსაჩინო დამამტკიცებელია, თუ რა ღრმად გაბურჟუავდნენ ჩვენი დემოკრატები. ამ ვაჟბატონებმა ვერაფერი ისწავლეს, დავიწყებით კი ძალიან ბევრი რამ დაივიწყეს.

პარალელისათვის მივმართავ 1872 წლის «ოტეჩესტვენიე ზაპისკის». ზემოთ მე უკვე მოვიყვანე ამონაწერები სტატიიდან «პლუტოკრატია და მისი საფუძვლები» იმ წარმატებათა შესახებ, რასაც რუსეთის საზოგადოებამ მიაღწია ლიბერალიზმის (რომელიც პლუტოკრატიულ ინტერესებს ჰფარავდა) საქმეში პირველ ათეულ წლებშივე «დიდი განმათავისუფლებელი» რეფორმის შემდეგ.

თუ წინათ ხშირად გვხვდებოდნენ ადამიანები, — სწერდა იგივე ავტორი იმავე სტატიაში, — რომლებიც წუწუნებდნენ რეფორმების გამო და მისტიროდნენ წარსულ დროს, ახლა ასეთები უკვე აღარ არიან. «ყველას მოეწონა ახალი წესები, ყველანი მხიარულად და გულდამშვიდებულად გამოიყურებიან». და შემდეგ ავტორი გვიჩვენებს, თუ «თვით» ლიტერატურაც როგორ «იქცევა პლუტოკრატიის ორგანოდ», როგორ ახორციელებს ის პლუტოკრატიის ინტერესებსა და ზრახვებს «დემოკრატიზმის საფარქვეშ». უფრო ყურადღებით ჩაუკვირდით ამ მსჯელობას. ავტორი უკმაყოფილოა იმით, რომ «ყველანი» კმაყოფილნი არიან რეფორმით შექმნილი ახალი წესებით, რომ «ყველანი» («საზოგადოებისა» და «ინტელიგენციის» წარმომადგენლები, რასაკვირველია, და არა მშრომელები) მხიარულნი და გულდამშვიდებულნი არიან, მიუხედავად ამ ახალი წესების აშკარა, ანტაგონისტური, ბურჟუაზიული თვისებებისა: ხალხი ვერ ამჩნევს, რომ ლიბერალიზმი ჰფარავს მხოლოდ «შეძენის თავისუფლებას», და, რა თქმა უნდა, შეძენისა მშრომელთა მასის ხარჯზე და

მის საზარალოდ. და იგი პროტესტს აცხადებს. სწორედ ეს პროტესტი, დამახასიათებელი სოციალისტისათვის, დასაფასებელია მის მსჯელობაში. ყურადღება მიაქციეთ — ეს პროტესტი დემოკრატიზმით ნიღაბაფარებული პლუტოკრატიზმის წინააღმდეგ ეწინააღმდეგება ჟურნალის საერთო თეორიას: ისინი ხომ უარჰყოფენ ყოველივე ბურჟუაზიული მომენტის, ელემენტებისა და ინტერესების არსებობას საგლეხო რეფორმაში, უარჰყოფენ რუსი ინტელიგენციისა და რუსეთის სახელმწიფოს კლასობრივ ხასიათს, უარჰყოფენ რუსეთში კაპიტალიზმისათვის ნიადაგის არსებობას, — მაგრამ მიუხედავად ამისა მათ არ შეუძლიათ ხელშესახებად არ იგრძნონ კაპიტალიზმი და ბურჟუაზიულობა. და რამდენადაც «ოტეჩესტვენიე ზაპისკი» რუსეთის საზოგადოების ანტაგონისტურობას გრძნობდა და ბურჟუაზიულ ლიბერალიზმსა და დემოკრატიზმს ეომებოდა, — იმდენად ის აკეთებდა საქმეს, რაც საერთო იყო ყველა ჩვენი პირველი სოციალისტებისათვის, რომელთაც თუმცა ვერც კი გაეგოთ ეს ანტაგონისტურობა, მაგრამ გრძნობდნენ მას და უნდოდათ შებრძოლებოდნენ თვით იმ ორგანიზაციას საზოგადოებისას, რომელიც ანტაგონისტურობას ჰქმნიდა; — ამდენად «ოტეჩესტვენიე ზაპისკი» პროგრესული იყო (რა თქმა უნდა, პროლეტარიატის თვალსაზრისით). «ხალხის მეგობრებმა» დაივიწყეს ეს ანტაგონისტურობა, დაჰკარგეს იმის ყოველგვარი ალღო, რომ ჩვენს წმიდა რუსეთშიც «დემოკრატიზმის საფარქვეშ» ნამდვილი ბურჟუები იმალებიან; და ამიტომ ახლა ისინი რეაქციულნი არიან (პროლეტარიატის მიმართ), რადგან აფუჩეჩებენ ანტაგონიზმს, ლაპარაკობენ არა ბრძოლის, არამედ შემრიგებლური კულტუროსნული მოღვაწეობის შესახებ.

მაგრამ ნუთუ, ბატონებო, რუსი ნათელშუბლიანი ლიბერალი, 60-იანი წლების პლუტოკრატიის დემოკრატიული წარმომადგენელი, 90-იან წლებში აღარ არის ბურჟუაზიის იდეოლოგი მხოლოდ იმიტომ, რომ მის შუბლს სამოქალაქო სევდის ნისლი მოეფინა?

ნუთუ ფართო მასშტაბით «შეძენის თავისუფლება», მსხვილი კრედიტის, მსხვილი კაპიტალების შეძენის, დიდ ტექნიკურ გაუმჯობესებათა თავისუფლება, არსებულ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ურთიერთობათა უცვლელობის დროს, მხოლოდ იმიტომ ჰკარგავს ლიბერალურ, ე. ი. ბურჟუაზიულ ხასიათს, რომ მას წვრილი კრედიტის, წვრილი კაპიტალების, წვრილ ტექნიკურ გაუმჯობესებათა თავისუფალი შეძენა სცვლის?

ვიმეორებ, ისინი სხვა აზრს როდი დასდგომიან შეხედულებათა რადიკალური შეცვლის ან ჩვენი წყობილების რადიკალური გადატრიალების გამო. არა, მათ ეს მხოლოდ დაავიწყდათ.

დაჰკარგეს რა ეს ერთადერთი თვისება, რომელიც ოდესღაც პროგრესულს ხდიდა მათს წინამორბედთ, მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელთა თეორიები უნიადაგო იყო, ხოლო მათი შეხედულება სინამდვილეზე — გულუბრყვილო და უტოპიური, «ხალხის მეგობრებმა» მთელი ამ დროის განმავლობაში სრულიად ვერაფერი ვერ ისწავლეს. ამავე დროს კი, რუსეთის სინამდვილის პოლიტიკურ-ეკონომიური ანალიზის გარეშეც კი, უკვე მარტო რუსეთის პოლიტიკურ ისტორიას ამ 30 წლის განმავლობაში ბევრი რამ უნდა ესწავლებინა მათთვის.

იმ დროს, «60-იანი წლების» ეპოქაში, მებატონეთა ძალა მოტეხილი იყო: მათ განიცადეს, მართალია, არა საბოლოო, მაგრამ მაინც ისეთი გადამწყვეტი დამარცხება, რომ სცენიდან უნდა გამქრალიყვნენ. ლიბერალებმა, პირიქით, თავი წამოჰყვეს. დაიწყო ლიბერალური ფრაზების დენა პროგრესსა, მეცნიერებასა, სიკეთეზე, უსამართლობასთან ბრძოლასა, ხალხის ინტერესებსა, ხალხის სინდისსა, ხალხის ძალებზე და სხვ. და სხვ. — იმავე ფრაზებისა, რომელთაც, განსაკუთრებული გულგატეხილობის დროს, დღესაც ანთხევენ ჩვენი მოწუწუნე რადიკალები თავიანთ სალონებში, ხოლო ჩვენი ლიბერალი ფრაზიორები — თავიანთ საიუბილეო სადილებზე, თავიანთი ჟურნალებისა და გაზეთების ფურცლებზე. ლიბერალები იმდენად ძლიერნი აღმოჩნდნენ, რომ «ახალი წესები» თავისებურად გადააკეთეს,— რასაკვირველია, არა სავსებით, მაგრამ მაინც შესამჩნევად.

თუმცა რუსეთში არც მაშინ იყო «აშკარა კლასობრივი ბრძოლის მკვეთრი სინათლე», მაგრამ მაინც მეტი სინათლე იყო, ვიდრე დღეს; ასე რომ მშრომელი კლასის იმ იდეოლოგებსაც კი, რომელთაც წარმოდგენაც არა ჰქონდათ ამ კლასობრივ ბრძოლაზე, რომლებიც ამჯობინებდნენ უკეთეს მომავალზე ეოცნებნათ, ვიდრე საზიზღარი აწმყო ა ე ხ ს ნ ა თ, თვით მათაც არ შეეძლოთ არ დაენახათ, რომ ლიბერალიზმის უკან პლუტოკრატია იმალება, რომ ეს ახალი წყობილება — ბურჟუაზიული წყობილებაა. სწორედ ის გარემოება, რომ ასპარეზიდან განიდევნენ მებატონენი, რომლებიც ყურადღებას აღარ აპყრობინებდნენ კიდევ უფრო აღმაშფოთებელ საჭირბოროტო საკითხებზე, რომლებიც ხელს არ უშლიდნენ დაენახათ ახალი წესები მათი წმინდა (შედარებით) სახით, იძლეოდა ამის განხილვის შესაძლებლობას. თუმცა ჩვენს მაშინდელ დემოკრატებს შეეძლოთ პლუტოკრატიული ლიბერალიზმის დაგმობა, მაგრამ არ შეეძლოთ მისი გაგება და მეცნიერულად ახსნა, არ შეეძლოთ გაეგოთ მისი აუცილებლობა ჩვენი საზოგადოებრივი მეურნეობის კაპიტალისტური ორგანიზაციის დროს, არ შეეძლოთ გაეგოთ ცხოვრების ამ ახალი წყობის პროგრესულობა ძველ ბატონყმურთან შედარებით, არ შეეძლოთ მის მიერ წარმოშობილი პროლეტარიატის რევოლუციური როლის გაგება — და კმაყოფილდებოდნენ «ფრუტუნით» «თავისუფლებისა» და «ჰუმანურობის» ამ წესებზე, რაღაც შემთხვევით მოვლენად სთვლიდნენ ბურჟუაზიულობას, ელოდნენ, რომ «სახალხო წყობილებაში» კიდევ რაღაც სხვაგვარი საზოგადოებრივი ურთიერთობანი უნდა გამოჩენილიყო.

და აი, ისტორიამ მათ უჩვენა ეს სხვაგვარი საზოგადოებრივი ურთიერთობანი. მებატონენი, რომელნიც სავსებით არ გაუნადგურებია მათი ინტერესებით ასე უგვანოდ დამახინჯებულ რეფორმას, გამოცოცხლდნენ (ერთი საათით) და თვალსაჩინოდ გვიჩვენეს, როგორია ეს ჩვენი სხვაგვარი საზოგადოებრივი ურთიერთობანი, ბურჟუაზიულის გარდა, გვიჩვენეს ისეთი აღვირახსნილი, წარმოუდგენლად უაზრო და მხეცური რეაქციის სახით, რომ ჩვენი დემოკრატები შეშინდნენ, ჩაიკე-

ცეს, იმის მაგივრად, რომ წინ წასულიყვნენ და სოციალ-დემოკრატიზმად გადაემუშავებინათ თავიანთი გულუბრყვილო დემოკრატიზმი, რომელსაც შეეძლო ბურჟუაზიულობის შეგრძნობა, მაგრამ არ შეეძლო მისი გაგება, — უკან დაიხიეს, ლიბერალებისაკენ, და ახლა ამაყობენ იმით, რომ მათს წუწუნს... ე. ი., მე მინდოდა მეთქვა, მათს თეორიებსა და პროგრამებს «მთელი სერიოზული და წესიერი პრესა» იზიარებს. თითქოს, გაკვეთილი მეტად მნიშვნელოვანი იყო: მეტად აშკარა ხდებოდა ძველი სოციალისტების ილუზია ხალხის ცხოვრების წყობის თავისებურებაზე, ხალხის სოციალისტურ ინსტინქტებზე, კაპიტალიზმისა და ბურჟუაზიის შემთხვევითს ხასიათზე; თითქოს, შეიძლებოდა უკვე პირდაპირ შეხედვა სინამდვილისათვის და აშკარად აღიარება, რომ რუსეთში არავითარი სხვა საზოგადოებრივ-ეკონომიური ურთიერთობა არ არის და არც ყოფილა, გარდა ბურჟუაზიულისა და დრომოჭმული ბატონყმურისა, რომ ამიტომ არც შეიძლება სოციალიზმისაკენ სხვა გზა იყოს, გარდა მუშათა მოძრაობისა. მაგრამ ამ დემოკრატებმა ვერაფერი ისწავლეს, და მეშჩანური სოციალიზმის გულუბრყვილო ილუზიებმა ადგილი დაუთმეს მეშჩანური პროგრესების პრაქტიკულ ზომიერებას.

ახლა მეშჩანობის ამ იდეოლოგების თეორიები, როცა ისინი გამოდიან როგორც მშრომელთა ინტერესების წარმომადგენლები, პირდაპირ რეაქციულია. ისინი აფუჩეჩებენ თანამედროვე რუსეთის საზოგადოებრივ-ეკონომიურ ურთიერთობათა ანტაგონიზმს და ისე მსჯელობენ, თითქოს საქმეს შეიძლება ეშველოს ზოგადი, ყველასთვის გათვალისწინებული ღონისძიებებით — «ასამაღლებლად», «გასაუმჯობესებლად» და სხვ., თითქოს შეიძლებოდეს შერიგება და გაერთიანება. ისინი რეაქციულნი არიან, როდესაც ჩვენს სახელმწიფოს ისე ხატავენ, თითქოს ის კლასებზე მაღლა იდგეს და ამიტომ რაიმე სერიოზული და პატიოსანი დახმარების გაწევა შეეძლოს ექსპლოატირებული მოსახლეობისათვის.

ისინი რეაქციულნი არიან, დასასრულ, იმიტომ, რომ მათ აბსოლუტურად არ ესმით ბრიოლის აუცილებლობა, იმ თავგამოდებული ბრძოლისა, რომელსაც თვით მშრომელები ეწევიან

თავიანთი განთავისუფლებისათვის. «ხალხის მეგობრებს», მაგალითად, ისე გამოუდით, თითქოს მათ თვითონაც შეუძლიათ, კაცმა რომ სთქვას, ყველაფრის მოგვარება. მუშებს შეუძლიათ დამშვიდებულნი იყვნენ. აი «რ. ბ — ვოს» რედაქციაში ტექნიკოსიც მოვიდა, და მათ ცოტა დააკლდათ — სრულად შეემუშავებინათ ერთ-ერთი «კომბინაცია» «ხალხის ცხოვრებაში კაპიტალიზმის შემოსაღებად». სოციალისტებმა **გადაჭრით** და **საბოლოოდ** უნდა გასწყვიტონ კავშირი ყოველგვარ მეშჩანურ იდეასა და თეორიასთან — **აი უმთავრესი სასარგებლო გაკვეთილი**, რომელიც ამ ლაშქრობიდან უნდა გამოვიტანოთ.

გთხოვთ დაიხსომით, რომ მე ვლაპარაკობ კავშირის გაწყვეტაზე მეშჩანურ იდეებთან, და არა «ხალხის მეგობრებთან» და მათს იდეებთან—იმიტომ რომ არ შეიძლება კავშირი გასწყვიტო იმასთან, რასთანაც ეს კავშირი არასოდეს არ გქონია. «ხალხის მეგობრები» ამ ჯურის მეშჩანურ-სოციალისტური იდეების მხოლოდ ერთ-ერთი მიმართულების ერთი წარმომადგენელთაგანი არიან. და თუ ამ შემთხვევის გამო მე დასკვნას ვაკეთებ მეშჩანურ-სოციალისტურ იდეებთან, ს ა ზ ო გ ა დ ო დ ძველი რუსული გლეხური სოციალიზმის იდეებთან კავშირის გაწყვეტის აუცილებლობის შესახებ, ეს იმიტომ, რომ მარქსიზმის ზრდით დაშინებულ ძველი იდეების წარმომადგენელთა ახლანდელმა ლაშქრობამ მარქსისტების წინააღმდეგ აიძულა ისინი განსაკუთრებით სრულად და რელიეფურად გამოეხატათ მეშჩანური იდეები. როცა ამ იდეებს თანამედროვე სოციალიზმსა და თანამედროვე რუსეთის სინამდვილის ფაქტებს ვუპირისპირებთ, საოცარი სიცხადით ვხედავთ, თუ რამდენად გამოფიტულან ეს იდეები, როგორ დაუკარგავთ მათ ყოველივე მთლიანი თეორიული საფუძველი, — როგორ ჩამოქვეითებულან საცოდავ ეკლექტიზმამდე, სულ ჩვეულებრივ კულტუროსნულ-ოპორტუნისტულ პროგრამამდე. შეიძლება გვითხრან: ეს — სოციალიზმის ძველი იდეების ბრალი კი არ არის საზოგადოდ, არამედ მხოლოდ ამ ვაჟბატონებისა, რომელთაც აკი არავინ არ აკუთვნებს სოციალისტებსო; მაგრამ ასეთი პასუხი სრულიად უმწეო პასუხად მიმაჩნია. მე ყველგან ვცდილობდი დამენახვებინა ძველი თეორიების ასეთი გადაგვარების აუცილებ-

ლობა, ყველგან ვცდილობდი რაც შეიძლება ნაკლები ადგილი დამეთმო კერძოდ ამ ვაჟბატონების კრიტიკისათვის და რაც შეიძლება მეტი — ძველი რუსული სოციალიზმის ზოგადი და ძირითადი დებულებებისათვის. და თუ სოციალისტები იტყოდნენ, რომ ეს დებულებები ჩემს მიერ არასწორად ან არაზუსტად არის გადმოცემული, ანდა ბოლომდე არ არის თქმული, მე შემიძლია ვუპასუხო მხოლოდ უმორჩილესი თხოვნით: კეთილინებეთ, ბატონებო, თვითონ გადმოეცით ისინი, ბოლომდე განმარტეთ როგორც საჭიროა!

დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, სოციალ-დემოკრატებზე უფრო არავინ იქნებოდა მოხარული სოციალისტებთან პოლემიკის წარმოების შესაძლებლობისა.

ნუთუ თქვენ ფიქრობთ, რომ ჩვენთვის სასიამოვნოა ასეთი ვაჟბატონების «პოლემიკაზე» პასუხის გაცემა და რომ ჩვენ ხელს მოვკიდებდით ასეთ საქმეს, მათი მხრით რომ პირდაპირი, დაჟინებული და მკაცრი გამოწვევა არ ყოფილიყო?

ნუთუ თქვენ ფიქრობთ, რომ ჩვენს თავს ძალას არ ვატანთ, როცა ვკითხულობთ, ხელახლა ვკითხულობთ და გულდასმით ვკითხულობთ კაზიონურ-ლიბერალური ფრაზებისა და მეშჩანური მორალის ამ საზიზღარ შენაერთს?

მაგრამ ჩვენი ბრალი ხომ არ არის, რომ ასეთი იდეების დასაბუთებასა და გადმოცემას ახლა მხოლოდ ამგვარი ვაჟბატონები ჰკიდებენ ხელს. გთხოვთ აგრეთვე დაიხსომოთ, რომ მე ვლაპარაკობ ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ი ს მეშჩანურ იდეებთან კავშირის გაწყვეტის აუცილებლობაზე. გარჩეული წვრილბურჟუაზიული თეორიები უეჭველად რეაქციული არიან, რამდენადაც ისინი სოციალისტური თეორიების სახით გვევლინებიან.

მაგრამ თუ ჩვენ მივხვდებით, რომ ნამდვილად აქ სრულიადაც არაფერია სოციალისტური, ე. ი. რომ ეს თეორიები უეჭველად არ განმარტავენ მშრომელის ექსპლოატაციას და ამიტომ აბსოლუტურად არ გამოდგებიან მისი განთავისუფლებისათვის, რომ ნამდვილად ყველა ეს თეორია ასახავს და ახორციელებს წვრილი ბურჟუაზიის ინტერესებს, — მაშინ ჩვენ სხვანაირად უნდა მოვეპყრათ მათ, უნდა დავსვათ საკითხი: რ ო გ ო რ უ ნ დ ა

მოეპყრას მუშათა კლასი წვრილ ბურჟუაზიას და მის პროგრამებს? ამ კითხვაზე შეუძლებელია პასუხის გაცემა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ამ კლასის ორმაგ ხასიათს (ჩვენში, რუსეთში, ეს ორმაგობა განსაკუთრებით ძლიერია წვრილი და მსხვილი ბურჟუაზიის ანტაგონიზმის ნაკლები განვითარების გამო). ის პროგრესულია, რამდენადაც ზოგად-დემოკრატიულ მოთხოვნებს აყენებს, ე. ი. ებრძვის საშუალოსაუკუნეობრივი ეპოქისა და ბატონყმობის ყოველივე ნაშთს; ის რეაქციულია, რამდენადაც იბრძვის თავისი, როგორც წვრილი ბურჟუაზიის, მდგომარეობის შესანარჩუნებლად და ცდილობს შეაჩეროს, უკან მოაბრუნოს ქვეყნის საერთო განვითარება ბურჟუაზიული მიმართულებით. ამგვარი რეაქციული მოთხოვნები, როგორიცაა, მაგალითად, ნადელების ყბადაღებული გაუსხვისებლობა, ისევე როგორც მრავალი სხვა პროექტი გლეხობაზე მეურვეობის დაწესებისა, ჩვეულებრივ ეფარება მშრომელთა დაცვის კეთილსახოვან საბაბს; ნამდვილად კი ისინი, ცხადია, მხოლოდ აუარესებენ მშრომელთა მდგომარეობას და იმავე დროს აძნელებენ მათს ბრძოლას განთავისუფლებისათვის. წვრილბურჟუაზიული პროგრამის ეს ორი მხარე მკაცრად უნდა გავარჩიოთ ერთმანეთისაგან, უარვყოთ ამ თეორიების ყოველგვარი სოციალისტური ხასიათი, ვებრძოლოთ მათს რეაქციულ მხარეებს, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ მათი დემოკრატიული ნაწილი. მაგალითით ავხსნი, როგორ ხდება, რომ მარქსისტების მიერ მეშჩანური თეორიების სრული უარყოფა არა თუ არ გამორიცხავს დემოკრატიზმს მათს პროგრამაში, არამედ, პირიქით, მოითხოვს კიდევ უფრო დაჟინებით მის დაცვას. ზემოთ აღნიშნული იყო სამი ძირითადი დებულება, რომელთაც ყოველთვის იყენებდნენ მეშჩანური სოციალიზმის წარმომადგენლები თავიანთ თეორიებში — მცირემიწიანობა, დიდი გადასახდელები, ადმინისტრაციის მხრით ჩაგვრა.

ამ ბოროტებათა მოსპობის მოთხოვნაში სრულიად არაფერია სოციალისტური, ვინაიდან ისინი ოდნავაც არ იძლევიან ექსპროპრიაციისა და ექსპლოატაციის ახსნას, და მათი მოსპობა სრულიადაც ვერ შეარყევს კაპიტალის მიერ შრომის ჩაგვრას. მაგრამ მათი მოსპობა ამ ჩაგვრას გასწმენდს მისი გამაძლიერებელი სა-

შუალოსაუკუნეობრივი ძველმანისაგან, მუშას გაუადვილებს პირდაპირ ბრძოლას კაპიტალის წინააღმდეგ და ამიტომ როგორც დემოკრატიული მოთხოვნა მეტად ენერგიულ მხარდაჭერას ჰპოვებს მუშებში. გადასახადები და ბეგარა, ზოგადად რომ ვთქვათ, ისეთი საკითხია, რომელსაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას მხოლოდ წვრილი ბურჟუები მისცემენ, მაგრამ ჩვენში გლეხების გადასახადები მრავალი მხრით ბატონყმობის უბრალო ნაშთს წარმოადგენენ: ასეთია, მაგ., გამოსასყიდი გადასახდელები, რომლებიც დაუყოვნებლივ და უეჭველად უნდა გაუქმდეს; ასეთია ის გადასახადები, რომლებიც მხოლოდ გლეხებს და მეშჩანებს აწევს და რომლებისგანაც «კეთილშობილნი» თავისუფალი არიან. სოციალ-დემოკრატები ყოველთვის მხარს დაუჭერენ საშუალოსაუკუნეობრივ დამოკიდებულებათა ამ ნაშთების გაუქმებას, რომელნიც ეკონომიურ და პოლიტიკურ შეფერხებას იწვევენ. იგივე უნდა ითქვას მცირემიწიანობაზეც. მე ზემოთ უკვე ბევრს შევჩერდი მის გამო გოდების ბურჟუაზიული ხასიათის დამტკიცებაზე. მაგრამ უეჭველია, რომ, მაგ., საგლეხო რეფორმამ მიწების ჩამონაჭრების წყალობით პირდაპირ გაძარცვა გლეხები მემამულეების სასარგებლოდ და სამსახური გაუწია ამ უზარმაზარ რეაქციულ ძალას უშუალოდაც (გლეხთა მიწის ჩამოჭრით) და არაპირდაპირაც (ნადელების ოსტატური გამიჯვნით). სოციალ-დემოკრატები უაღრესი ენერგიულობით მოითხოვენ, რომ გლეხებს დაუყოვნებლივ დაუბრუნდეთ წართმეული მიწები და მოხდეს სრული ექსპროპრიაცია მემამულეთა მიწათმფლობელობისა — ბატონყმური დაწესებულებების და ტრადიციების ამ დედაბოძისა. ეს უკანასკნელი პუნქტი, რომელიც ემთხვევა მიწის ნაციონალიზაციას, არაფერს შეიცავს სოციალისტურს, იმიტომ რომ ფერმერული დამოკიდებულებანი, რომლებიც ჩვენში უკვე იქმნება, მხოლოდ უფრო სწრაფად და უხვად გაიშლებოდა მაშინ, მაგრამ ის უაღრესად მნიშვნელოვანია დემოკრატიული აზრით, როგორც ერთადერთი ზომა, რომელიც შესძლებდა საბოლოოდ მოედრიკა კეთილშობილი მემამულეები. ბოლოს, მხოლოდ ბბ. იუჟაკოვებსა და ვ. ვ-ებს შეუძლიათ, რასაკვირველია, ილაპარაკონ გლეხების უუფლებობაზე, როგორც მათი ექსპროპრიაციისა და ექსპლოატაციის მიზეზზე, მაგრამ

ადმინისტრაციის მიერ გლეხობის ჩაგვრა არა თუ უეჭველია, — იგი წარმოადგენს არა უბრალო ჩაგვრას, არამედ გლეხების პირდაპირ აბუჩად აგდებას, როგორც «საძაგელი ბრბოსი», რომელსაც სჩვევია კეთილშობილ მემამულეებს ემორჩილებოდეს, რომელსაც საერთო სამოქალაქო უფლებებით სარგებლობის საშუალება ეძლევა მხოლოდ განსაკუთრებული წყალობის სახით (მაგალითად, გადასახლებანი*) და რომელიც ყოველ პომპადურს შეუძლია ისე გამოიყენოს, როგორც სამუშაო სახლში ჩაკეტილი ადამიანები. სოციალ-დემოკრატები უეჭველად ემხრობიან სამოქალაქო უფლებებში გლეხობის სრული აღდგენის, თავად-აზნაურობის ყოველგვარი პრივილეგიების სრული მოსპობის, გლეხობაზე ბიუროკრატიული მეურვეობის გაუქმებისა და მისთვის თვითმმართველობის მინიჭების მოთხოვნას.

საზოგადოდ, რუსმა კომუნისტებმა, მარქსიზმის მიმდევრებმა, უფრო მეტად, ვიდრე სხვა ვინმემ, უნდა უწოდონ თავიანთ თავს სოციალ-დემოკრატები და თავიანთ მოღვაწეობაში არასოდეს არ დაივიწყონ დემოკრატიზმის უდიდესი მნიშვნელობა**.

რუსეთში საშუალოსაუკუნეობრივ, ნახევრად-ბატონყმურ დაწესებულებათა ნაშთები ჯერ კიდევ ისე უსაზღვროდ ძლიერია (დასავლეთ ევროპასთან შედარებით), ეს ნაშთები ისე მძიმე უღლად აწევს პროლეტარიატს და საზოგადოდ ხალხს, აფერხებს რა

* აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ მებატონის წმინდა-რუსული თავხედობა, რომლითაც ბ-ნი ერმოლოვი, მიწათმოქმედების დღევანდელი მინისტრი, თავის წიგნში: «მოუსავლობა და სახალხო უბედურება» — გადასახლების წინააღმდეგ ილაშქრებს. აქაო-და სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით არ შეიძლება იგი რაციონალურად მივიჩნიოთ, როცა ევროპის რუსეთში მემამულეებს ჯერ კიდევ ესაჭიროებათ თავისუფალი მუშა-ხელიო. — მართლაც, რისთვის არსებობენ გლეხები, თუ არ იმისთვის, რომ თავისი შრომით არჩინონ მუქთახორა მემამულეები და მათი «მაღალწარჩინებული» მაჩანჩალები?

** ეს მეტად მნიშვნელოვანი პუნქტია. პლეხანოვი დიდად მართალია, როცა ამბობს, რომ ჩვენს რევოლუციონერებს «ორი მტერი ჰყავთ: ერთი მხრით, ჯერ კიდევ არა სავსებით აღმოფხვრილი ძველი ცრურწმენანი და, მეორე მხრით, ახალი პროგრამის ვიწრო გაგება». იხ. დამატება III (გვ. 387 ამ ტომისა. რ ე დ.).

პოლიტიკური აზრის ზრდას ყველა წოდებასა და კლასში, — რომ უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს მუშების ბრძოლას ყოველგვარი ბატონყმური დაწესებულებების, აბსოლუტიზმის, წოდებრივობისა და ბიუროკრატიის წინააღმდეგ. აუცილებელია მთელი დეტალებით დავანახვოთ მუშებს, რა საშინელ რეაქციულ ძალას წარმოადგენენ ეს დაწესებულებანი, როგორ აძლიერებენ ისინი კაპიტალის მიერ შრომის ჩაგვრას, როგორ დამამცირებლად ავიწროებენ მშრომელებს, როგორ აფერხებენ კაპიტალის გამოსვლას მისი საშუალოსაუკუნეობრივი ფორმებიდან, რომლებიც შრომის ექსპლოატაციის მხრით არ ჩამორჩებიან უახლეს, ინდუსტრიულ, ფორმებს, მაგრამ ამ ექსპლოატაციას უმატებენ განთავისუფლებისათვის ბრძოლის საშინელ სიძნელეებს. მუშებმა უნდა იცოდნენ, რომ რეაქციის ამ ბურჯების დაუმხობლად * მათ არავითარი შესაძლებლობა არ ექნებათ წარმატებით აწარმოონ ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რადგან მათი არსებობის დროს რუსეთის სოფლის პროლეტარიატი, რომლის მხარდაჭერა აუცილე-

* განსაკუთრებით მნიშვნელოვან რეაქციულ დაწესებულებას, რომელსაც ჩვენი რევოლუციონერები შედარებით ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ, წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ბ ი უ რ ო კ რ ა ტ ი ა, რომელიც de facto (ფაქტიურად, ნამდვილად. რ ე დ.) მართავს კიდეც რუსეთის სახელმწიფოს. ეს ბიუროკრატია, რომლის რიგებს უმთავრესად «რაზნოჩინცები» ავსებენ. თავისი წარმოშობის წყაროს მხრივაც, თავისი დანიშნულებითაც და მოღვაწეობის ხასიათითაც უაღრესად ბურჟუაზიულია, მაგრამ აბსოლუტიზმმა და კეთილშობილი მემამულეების უდიდესმა პოლიტიკურმა პრივილეგიებმა მას განსაკუთრებით მავნე თვისებები მისცა. ესაა მუდმივი ფლიუგერი, რომელიც თავის უმაღლეს ამოცანად ისახავს მემამულისა და ბურჟუას ინტერესების შეთანხმებას. ესაა იუდუშკა, რომელიც თავის მებატონურ სიმპატიებსა და კავშირურთიერთობას მუშებისა და გლეხების მოსატყუებლად იყენებს და «ეკონომიურად სუსტის გამოქომაგების» და კულაკისა და მევახშისაგან დასაცავად მასზე «მეურვეობის» სახით ისეთ ზომებს ატარებს, რომელნიც «საძაგელი ბრბოს» მდგომარეობამდე აქვეითებენ მშრომელებს, ხელფეხშეკრულთ უგდებენ ხელში მებატონე-მემამულეს და მით უფრო უმწეოს ხდიან მათ ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ესაა ფრიად საშიში ფარისეველი, რომელიც გამობრძმედილია რეაქციის დასავლეთ-ევროპელი ოსტატების გამოცდილებით და მოხერხებულად მალავს თავის არაკჩეევისებურ ზრახვებს ხალხთმოყვარულობის ფრაზების საფარველით.

ბელი პირობაა მუშათა კლასის გამარჯვებისათვის, ვერასოდეს ვერ გამოვა იმ დაბეჩავებული, დაჩაგრული ხალხის მდგომარეობიდან, რომელსაც შეუძლია მხოლოდ უაზრო სასოწარკვეთილებაში ჩავარდნა და არა გონიერი, მედგარი პროტესტი და ბრძოლა. და ამიტომ ბრძოლა რადიკალურ დემოკრატიასთან ერთად აბსოლუტიზმისა და რეაქციული წოდებებისა და დაწესებულებების წინააღმდეგ — მუშათა კლასის პირდაპირი ვალდებულებაა, რაც უნდა ჩააგონონ კიდევაც მას სოციალ-დემოკრატებმა, ამავე დროს კი განუწყვეტლივ უნდა ჩააგონონ ისიც, რომ ბრძოლა ყველა ამ დეწესებულებათა წინააღმდეგ საჭიროა მხოლოდ როგორც საშუალება ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლის გაადვილებისა, რომ ზოგად-დემოკრატიულ მოთხოვნათა განხორციელება მუშისათვის საჭიროა მხოლოდ იმ გზის გასაწმენდად, რომელსაც მივყევართ მშრომელთა მთავარ მტერზე — კ ა პ ი ტ ა ლ ზ ე გამარჯვებისაკენ; ეს მტერი თავისი ბუნებით წმინდა დემოკრატიული დაწესებულებაა, მაგრამ ჩვენში, რუსეთში, იგი განსაკუთრებით მზადაა გასწიროს თავისი დემოკრატიზმი და შეუკავშირდეს რეაქციონერებს, რათა დაჩაგროს მუშები და უფრო შეაფერხოს მუშათა მოძრაობის წარმოშობა.

ზემონათქვამი, გვგონია, საკმაოდ გამოხატავს სოციალ-დემოკრატების დამოკიდებულებას აბსოლუტიზმისა და პოლიტიკური თავისუფლებისადმი, აგრეთვე მათს დამოკიდებულებას იმ მიმდინარეობისადმი, რომელიც განსაკუთრებით ძლიერდება უკანასკნელ ხანებში და რომელიც მიმართულია რევოლუციონერთა ყველა ფრაქციის «გაერთიანებისა» და «შეკავშირებისაკენ» პოლიტიკური თავისუფლების მოსაპოვებლად [69].

ეს საკმაოდ ორიგინალური და დამახასიათებელი მიმდინარეობაა.

ორიგინალურია ის იმით, რომ «შეკავშირების» წინადადება არ გამომდინარეობს განსაზღვრული ჯგუფისა ან განსაზღვრული ჯგუფებისაგან, განსაზღვრული პროგრამებით, რომლებიც ერთმანეთს ეთანხმებიან ამასა და ამაში. ეს რომ ასე ყოფილიყო, შეკავშირების საკითხი თვითეული ცალკე შემთხვევის საკითხი იქნებოდა, კონკრეტული საკითხი, რომელსაც გასაერთიანებელი

ჯგუფების წარმომადგენლები გადასწყვეტდნენ. მაშინ შესაძლებელიც არ იქნებოდა განსაკუთრებული «გამაერთიანებელი» მიმდინარეობა. მაგრამ ასეთი არსებობს, და ის გამომდინარეობს უბრალოდ იმ ადამიანებისგან, რომლებიც ძველს ჩამოშორდნენ, ახალს კი ვერაფერს მიეკედლნენ: ის თეორია, რომელსაც დღემდე ეყრდნობოდნენ აბსოლუტიზმის წინააღმდეგ მებრძოლნი, ეტყობა, ინგრევა და თან ანგრევს სოლიდარობისა და დარაზმულობის იმ პირობებსაც, რომლებიც აუცილებელია ბრძოლისათვის. და აი ბატონი «გამაერთიანებელნი» და «მოკავშირენი», ალბათ, ფიქრობენ, რომ ასეთი თეორია მეტად ადვილი შესაქმნელია, ოღონდ მთელი მისი შინაარსი უნდა ამოიწურებოდეს პროტესტით აბსოლუტიზმის წინააღმდეგ და პოლიტიკური თავისუფლების მოთხოვნით, ყველა დანარჩენ სოციალისტურ და არასოციალისტურ საკითხს კი გვერდი უნდა აუხვიოსო. გასაგებია, რომ ეს გულუბრყვილო შეცდომა თვითვე გარდუვალად გაბათილდება ამგვარი გაერთიანების პირველი ცდისთანავე.

მაგრამ ეს «გამაერთიანებელი» მიმდინარეობა დამახასიათებელია იმიტომ, რომ გამოხატავს მებრძოლი, რევოლუციური ნაროდნიკობის პოლიტიკურ-რადიკალურ დემოკრატიზმად გადაქცევის იმ პროცესის ერთ-ერთ უკანასკნელ სტადიას, რომლის (პროცესის) დასახვა მე ვცადე ზემოთ. ყველა არასოციალ-დემოკრატიული რევოლუციური ჯგუფის მტკიცე გაერთიანება აღნიშნული დროშის ქვეშ შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როცა შემუშავდება დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი მოთხოვნების მტკიცე პროგრამა, რომელიც ბოლოს მოუღებს ძველი რუსული თვითმყოფობის ცრურწმენებს. ასეთი დემოკრატიული პარტიის შექმნას სოციალ-დემოკრატები, რასაკვირველია, წინგადადგმულ სასარგებლო ნაბიჯად სთვლიან, და ამას ხელი უნდა შეუწყოს მათმა მუშაობამ, რომელიც ნაროდნიკობის წინააღმდეგ არის მიმართული, ხელი უნდა შეუწყოს ყოველგვარი ცრურწმენებისა და მითების აღმოფხვრას, სოციალისტების დაჯგუფებას მარქსიზმის დროშის ქვეშ და დემოკრატიული პარტიის შექმნას დანარჩენი ჯგუფების მიერ.

ამ პარტიასთან, რა თქმა უნდა, სოციალ-დემოკრატები ვერ «გაერთიანდებოდნენ»: ისინი აუცილებლად სთვლიან მუშების დამოუკიდებელ დარაზმვას განსაკუთრებულ მუშათა პარტიად, — მაგრამ მუშები უაღრესად ენერგიულ დახმარებას გაუწევდნენ დემოკრატების ყოველგვარ ბრძოლას რეაქციულ დაწესებულებათა წინააღმდეგ.

ნაროდნიკობის გადაგვარება წვრილბურჟუაზიული რადიკალიზმის სრულიად ჩვეულებრივ თეორიად, — რასაც (გადაგვარებას) ასე თვალსაჩინოდ მოწმობენ «ხალხის მეგობრები», — გვიჩვენებს, თუ რა უზარმაზარ შეცდომას სჩადიან ისინი, ვისაც მუშებში შეაქვთ აბსოლუტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის იდეა, ამავე დროს კი არ ურკვევენ მათ ჩვენს საზოგადოებრივ ურთიერთობათა ანტაგონისტურ ხასიათს, რომლის ძალითაც პოლიტიკურ თავისუფლებას ემხრობიან ბურჟუაზიის იდეოლოგებიც,—არ ურკვევენ მათ რუსი მუშის, როგორც მთელი მშრომელი მოსახლეობის განთავისუფლებისათვის მებრძოლის, ისტორიულ როლს.

სოციალ-დემოკრატებს ხშირად უსაყვედურებენ იმას, ვითომ მათ სურდეთ მარტო თვითონ ისარგებლონ მარქსის თეორიით, მაშინ როცა მის ეკონომიურ თეორიას ყველა სოციალისტი იზიარებსო. მაგრამ საკითხავია, რა აზრი აქვს განვუმარტოთ მუშებს ღირებულების ფორმა, ბურჟუაზიული წესწყობილების არსი და პროლეტარიატის რევოლუციური როლი, თუ მშრომელის ექსპლოატაცია ჩვენში, რუსეთში, აიხსნება საერთოდ და ყველგან სრულიადაც არა საზოგადოებრივი მეურნეობის ბურჟუაზიული ორგანიზაციით, — არამედ, თუნდაც, მცირემიწიანობით, გადასახდელებით, ადმინისტრაციის მხრივ ჩაგვრით?

რა აზრი აქვს მუშებისათვის კლასობრივი ბრძოლის თეორიის განმარტებას, თუ ეს თეორია ვერ ახსნის მეფაბრიკისადმი მის დამოკიდებულებასაც კი (ჩვენი კაპიტალიზმი ხელოვნურადაა დანერგილი მთავრობის მიერო), რომ არაფერი ვთქვათ «ხალხის» მასაზე, რომელიც არ ეკუთვნის ფაბრიკის მუშების ჩამოყალიბებულ კლასს?

როგორ შეიძლება მიღება მარქსის ეკონომიური თეორიისა მისი დასკვნითურთ — პროლეტარიატის, როგორც კაპიტალიზმის

საშუალებით კომუნიზმის ორგანიზატორის, რევოლუციური როლის შესახებ, როცა ჩვენში კომუნიზმისაკენ გზას ეძებენ კაპიტალიზმისა და მის მიერ შექმნილი პროლეტარიატის გარეშე?

ცხადია, ასეთ პირობებში მუშისადმი მოწოდებით მიმართვა — პოლიტიკური თავისუფლებისათვის იბრძოლეო, იგივე იქნება, რომ მას მოუწოდო — ნარი ჰგლიჯოს მოწინავე ბურჟუაზიის გულისთვის, რადგან არ შეიძლება იმის უარყოფა (დამახასიათებელია, რომ თვით ნაროდნიკები და ნაროდოვოლცები არ უარჰყოფდნენ ამას), რომ პოლიტიკური თავისუფლება ხელსაყრელი იქნება უწინარეს ყოვლისა ბურჟუაზიისათვის, ხოლო მუშებს მიანიჭებს არა მათი მდგომარეობის შემსუბუქებას, არამედ მხოლოდ... მხოლოდ ბრძოლის პირობების შემსუბუქებას... თ ვ ი თ ა მ ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. მე ამას ვამბობ იმ სოციალისტების წინააღმდეგ, რომლებიც არ იზიარებენ სოციალ-დემოკრატების თეორიას, მაგრამ მაინც ეწევიან აგიტაციას მუშათა წრეში, რადგან ემპირიულად დარწმუნდნენ, რომ მხოლოდ იქ შეიძლება რევოლუციური ელემენტების პოვნა. ამ სოციალისტების თეორია ეწინააღმდეგება პრაქტიკას, ისინი მეტად სერიოზულ შეცდომას სჩადიან, როცა მუშებს აშორებენ მათს პირდაპირ ამოცანას — სოციალისტური მუშათა პარტიის მოწყობას*.

ეს შეცდომა ბუნებრივად წარმოიშვა მაშინ, როცა ბურჟუაზიული საზოგადოების კლასობრივი ანტაგონიზმები ჯერ კიდევ

* იმ დასკვნამდე, რომ აუცილებლად საჭიროა ავამხედროთ მუშები აბსოლუტიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, შეიძლება ორი გზით მივიდეთ: ა ნ მუშას უნდა შევხედოთ, როგორც ერთადერთს მებრძოლს სოციალისტური წყობილებისათვის, და მაშინ პოლიტიკური თავისუფლება მისი ბრძოლის შემამსუბუქებელ ერთ-ერთ პირობად მივიჩნიოთ. ასე უცქერიან სოციალ-დემოკრატები. ა ნ მივმართოთ მას უბრალოდ, როგორც ადამიანს, რომელიც ყველაზე მეტად იტანჯება თანამედროვე წყობილებით, აღარაფერი აქვს დასაკარგავი და ყველაზე მეტი გაბედულობით გამოვა აბსოლუტიზმის წინააღმდეგ. მაგრამ ეს ხომ იმის მომასწავებელი იქნება, რომ ის ვაიძულოთ — კუდში მისდიოს ბურჟუაზიულ რადიკალებს, რომელთაც არ სურთ აბსოლუტიზმის წინააღმდეგ მთელი «ხალხის» სოლიდარობის იქით ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის ანტაგონიზმი დაინახონ.

სრულიად განუვითარებელი იყო, დახშული იყო ბატონყმობით, როცა ეს უკანასკნელი იწვევდა მთელი ინტელიგენციის სოლიდარულ პროტესტს და ბრძოლას, ჰქმნიდა ილუზიას ჩვენი ინტელიგენციის განსაკუთრებულ დემოკრატიზმზე, ლიბერალებისა და სოციალისტების იდეებს შორის ღრმა წინააღმდეგობის არარსებობაზე. ახლა, — როცა ეკონომიური განვითარება იმდენად წინ წავიდა, რომ თვით ის ადამიანებიც კი, რომლებიც წინათ უარჰყოფდნენ ნიადაგს კაპიტალიზმისათვის რუსეთში, აღიარებენ, რომ ჩვენ შევდექით სწორედ კაპიტალისტური განვითარების გზაზე, — ახლა ამის შესახებ არავითარი ილუზია აღარ არის შესაძლებელი. «ინტელიგენციის» შემადგენლობა ისევე ნათლად ისახება, როგორც იმ საზოგადოების შემადგენლობა, რომელიც მატერიალურ ღირებულებებს აწარმოებს: თუ ამ უკანასკნელში კაპიტალისტი მეფობს და განაგებს, პირველში ტონს აძლევს სულ უფრო და უფრო სწრაფად მზარდი ხროვა კარიერისტებისა და ბურჟუაზიის დამქაშებისა, — «ინტელიგენცია», რომელიც კმაყოფილია და დამშვიდებული, მოკლებულია ყოველივე ბოდვას და კარგად იცის, რა სურს მას. ჩვენი რადიკალები და ლიბერალები არა თუ არ უარჰყოფენ ამ ფაქტს, არამედ, პირიქით, ენერგიულად ხაზს უსვამენ მას, ძალღონეს არ იშურებენ, რომ ამის უზნეობა დაამტკიცონ, დაჰგმონ, ძალით გაანადგურონ, შეარცხვინონ... და მოსპონ. ეს გულუბრყვილო პრეტენზიები ბურჟუაზიული ინტელიგენციის შ ე რ ც ხ ვ ე ნ ი ს ა მისი ბურჟუაზიულობისათვის ისევე სასაცილოა, როგორც მეშჩანური ეკონომისტების მისწრაფება — დაიფრთხონ ჩვენი ბურჟუაზია («უფროსი ძმების» გამოცდილების დამოწმებით) იმით, რომ იგი იწვევს ხალხის გაჩანაგებას, მასების გაღატაკებას, უმუშევრობასა და შიმშილს; ეს გასამართლება ბურჟუაზიისა და მისი იდეოლოგებისა მოგვაგონებს ორაგულის იმ გასამართლებას, რომლის შედეგადაც მას მდინარეში გადაგდება მიესაჯა. ამ საზღვრებს იქით იწყება ლიბერალური და რადიკალური «ინტელიგენცია», რომელიც ანთხევს ურიცხვ ფრაზებს პროგრესის, მეცნიერების, სიმართლის, ხალხისა და სხვათა შესახებ, რომელიც მისტირის 60-იან წლებს, როცა არ იყო არც

შუღლი, არც დაცემულობა, გულგატეხილობა და აპათია, და ყველას გული დემოკრატიზმით იყო აღგზნებული.

ამ ვაჟბატონებს, მათთვის დამახასიათებელი გულუბრყვილობით, არასგზით არ სურთ გაიგონ, რომ იმდროინდელი სოლიდარობა გამოწვეული იყო იმდროინდელი მატერიალური პირობებით, რომელნიც ვეღარ დაბრუნდებიან: ბატონყმობა ყველას ერთნაირად ავიწროებდა — ყმა-ბურმისტრსაც, რომელსაც ფული დაეგროვებინა და საამური ცხოვრება უნდოდა, ყაირათიან გლეხსაც, რომელსაც ბატონი სძულდა ბეგარისა, მის მეურნეობაში ჩარევისა და გაცდენისათვის, პროლეტარ-შინაყმასაც და გაღატაკებულ გლეხსაც, რომელსაც დასამონებლად ყიდდნენ ვაჭარზე; მისგან იტანჯებოდა ვაჭარი-მეფაბრიკეც, მუშაც, შინამრეწველიც და ხელოსანიც. ყველა ამ ადამიანთა შორის მხოლოდ ის კავშირი იყო, რომ ყველა ისინი მტრულად უყურებდნენ ბატონყმობას: ამ სოლიდარობის საზღვრებს იქით უმძაფრესი სამეურნეო ანტაგონიზმი იწყებოდა. რამდენად გაბრუებული უნდა იყო ტკბილი ოცნებით, რომ დღემდეც ვერ დაინახო ეს ანტაგონიზმი, რომელიც ასე დიდად განვითარდა; რომ ცრემლს აფრქვევდე და ნატრობდე სოლიდარობის დროის დაბრუნებას, როცა სინამდვილე მოითხოვს ბრძოლას, მოითხოვს, რომ ყველა, ვისაც არ სურს ბურჟუაზიის ნებსითი თუ უნებლიე დამქაში გახდეს, პროლეტარიატის მხარეზე დადგეს.

თუ თქვენ არ დაიჯერებთ ცარიელ მაღალფარდოვან ფრაზებს «სახალხო ინტერესებზე» და შეეცდებით უფრო ღრმად ჩაიხედოთ საქმეში, — დაინახავთ, რომ თქვენს წინაშე დგანან ნამდვილი იდეოლოგები წვრილი ბურჟუაზიისა, რომელიც ოცნებობს სხვადასხვა გულუბრყვილო პროგრესებით თავისი მეურნეობის («სახალხო მეურნეობისა», მათი ენით რომ ვთქვათ) გაუმჯობესებასა, განმტკიცებასა და აღდგენაზე და რომელსაც აბსოლუტურად არ ძალუძს გაიგოს, რომ არსებულ წარმოებით ურთიერთობათა ნიადაგზე ყველა ეს პროგრესი მხოლოდ უფრო და უფრო გააპროლეტარებს მასებს. შეუძლებელია მადლობა არ ვუთხრათ «ხალხის მეგობრებს» იმისათვის, რომ მათ დიდად შეუწყეს ხელი ჩვენი ინტელიგენციის კლასობრივი ხასიათის გამოაშკარავებას

და მით დაადასტურეს მარქსისტების თეორია ჩვენი წვრილი მწარმოებლების წვრილბურჟუაზიულობის შესახებ; მათ აუცილებლად უნდა დააჩქარონ იმ ძველი ილუზიებისა და მითების გადაშენება, რომლებიც ასე დიდხანს აკრთობდნენ რუს სოციალისტებს. «ხალხის მეგობრებმა» ისე გათელეს, შებღალეს და გასვარეს ეს თეორიები, რომ იმ რუსი სოციალისტების წინაშე, რომლებიც ამ თეორიებს მისდევდნენ, აუცილებლად დადგება დილემა — ან ხელახლა გადასინჯონ ეს თეორიები, ან სრულიად უკუაგდონ ისინი და განსაკუთრებულ სარგებლობაში გადასცენ იმ ვაჟბატონებს, რომლებიც თვითკმაყოფილებით აღსავსე ზეიმით აუწყებენ urbi et orbi *, რომ მდიდარი გლეხები გაუმჯობესებულ იარაღებს ყიდულობენო, — რომლებიც სერიოზული გამომეტყველებით გარწმუნებენ თქვენ, რომ საჭიროა მივესალმოთ იმ ადამიანებს, რომლებსაც მოსწყინდათ მწვანე მაგიდასთან ჯდომაო. და ამავე აზრით მსჯელობენ ისინი «სახალხო წყობილებასა» და «ინტელიგენციაზე» არა მარტო სერიოზულად, არამედ პრეტენციოზული უზარმაზარი ფრაზებით ფართო იდეალებზე, ცხოვრების საკითხების იდეალურად დაყენებაზე!..

სოციალისტურ ინტელიგენციას მხოლოდ მაშინ შეუძლია ნაყოფიერი მუშაობის იმედი იქონიოს, როცა ბოლოს მოუღებს ილუზიებს და დასაყრდენის ძებნას დაიწყებს რუსეთის არა სასურველ, არამედ ნამდვილ განვითარებაში, არა შესაძლებელ, არამედ ნამდვილ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ურთიერთობებში. მისი თეორიული მუშაობა ამასთან მიმართულ უნდა იქნას რუსეთში ეკონომიური ანტაგონიზმის ყველა ფორმის კონკრეტული შესწავლისაკენ, მათი კავშირისა და თანმიმდევრული განვითარების შესწავლისაკენ; მან უნდა გამოააშკარავოს ეს ანტაგონიზმი ყველგან, სადაც ის დაფარულია პოლიტიკური ისტორიით, უფლებრივი წესების თავისებურებებით, ფესვგადგმული თეორიული ცრურწმენებით. მან უნდა მოგვცეს ჩვენი სინამდვილის მთლიანი სურათი, როგორც წარმოებით

* — მთელ მსოფლიოს. რედ.

ურთიერთობათა განსაზღვრული სისტემისა, დაგვანახვოს მშრომელთა ექსპლოატაციისა და ექსპროპრიაციის აუცილებლობა ამ სისტემის დროს, გვიჩვენოს ის გამოსავალი ამ წესწყობილებიდან, რომელზედაც ეკონომიური განვითარება მიგვითითებს.

ამ თეორიამ, რომელიც რუსეთის ისტორიისა და სინამდვილის დეტალურ და დაწვრილებითს შესწავლაზეა დამყარებული, უნდა უპასუხოს პროლეტარიატის მოთხოვნილებებს, — და თუ ის დააკმაყოფილებს მეცნიერულ მოთხოვნებს, მაშინ პროლეტარიატის პროტესტის მატარებელი აზრის ყოველგვარი გაღვიძება აუცილებლად სოციალ-დემოკრატიზმის კალაპოტში ჩააყენებს ამ აზრს. რამდენადაც წინ წავა ამ თეორიის გამომუშავება, იმდენად უფრო სწრაფად გაიზრდება სოციალ-დემოკრატიზმი, რადგან თანამედროვე წესების ყველაზე გამობრძმედილ დამცველებსაც არ ძალუძთ ხელი შეუშალონ პროლეტარიატის აზრის გაღვიძებას, არ ძალუძთ იმიტომ, რომ თვით ეს წესები აუცილებლად და გარდუვალად იწვევენ მწარმოებელთა სულ უფრო გაძლიერებულ ექსპროპრიაციას, პროლეტარიატისა და მისი სარეზერვო არმიის სულ უფრო მეტ ზრდას — და ეს ხდება საზოგადოებრივი სიმდიდრის პროგრესსა, საწარმოო ძალთა უდიდეს ზრდასა და კაპიტალიზმის მიერ შრომის განსაზოგადოებასთან ერთად. თუმცა ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი ასეთი თეორიის შესამუშავებლად, მაგრამ სოციალისტები რომ ამ მუშაობას შეასრულებენ, ამის თავდებია მატერიალიზმის, ამ ერთადერთი მეცნიერული მეთოდის, გავრცელება მათ შორის, მეთოდის, რომელიც მოითხოვს, რომ ყოველი პროგრამა ნამდვილი პროცესის ზუსტი ფორმულირება იყოს, ამის თავდებია წარმატება სოციალ-დემოკრატიისა, რომელიც აღიარებს ამ იდეებს, — წარმატება, რამაც იმდენად შეაშფოთა ჩვენი ლიბერალები და დემოკრატები, რომ მათი სქელი ჟურნალები, ერთი მარქსისტის შენიშვნით, წინანდებურად მოსაწყენნი აღარ არიან.

თუ მე ხაზგასმით აღვნიშნავ სოციალ-დემოკრატების თეორიული მუშაობის აუცილებლობას, მნიშვნელობასა და სიდიდეს,

ამით სრულიადაც არ მინდა იმის თქმა, რომ ეს მუშაობა პირველ ადგილზე იქნას დაყენებული პრაქტიკულ მუშაობასთან შედარებით *, — მით უმეტეს არ მინდა იმის თქმა, რომ ეს უკანასკნელი გადაიდოს პირველის გათავებამდე. ასეთი დასკვნის გამოტანა შეუძლიათ მხოლოდ «სოციოლოგიაში სუბიექტური მეთოდის» თაყვანისმცემლებს ან უტოპიური სოციალიზმის მიმდევრებს. რასაკვირველია, თუ სოციალისტების ამოცანა ის უნდა იყოს, რომ ქვეყნის «განვითარების სხვა (ნამდვილის გარდა) გზები» ეძებონ, მაშინ ბუნებრივია, რომ პრაქტიკული მუშაობა შესაძლებელი ხდება მხოლოდ მაშინ, როცა გენიალური ფილოსოფოსები ამ «ახალ გზებს» აღმოაჩენენ და გვიჩვენებენ; და პირიქით, თუ ეს გზები აღმოჩენილი და ნაჩვენებია, — თეორიული მუშაობა თავდება, და იწყება იმათი მუშაობა, ვინც «სამშობლო» «ახლად აღმოჩენილი» «სხვა გზით» უნდა წაიყვანოს. სულ სხვანაირად არის საქმე, როცა სოციალისტების ამოცანა იმაში გამოიხატება, რომ პროლეტარიატის იდეური ხელმძღვანელები გახდნენ მის ნამდვილ ბრძოლაში ნამდვილი ახლანდელი მტრების წინააღმდეგ, რომლებიც არსებული საზოგადოებრივ-ეკონომიური განვითარების ნ ა მ დ ვ ი ლ გზაზე დგანან. ასეთ პირობებში თეორიული და პრაქტიკული მუშაობა ერთიანდება ერთ მუშაობაში, რომელიც ასე მოსწრებულად დაახასიათა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ვეტერანმა ლიბკნეხტმა სიტყვებით:

Studieren, Propagandieren, Organisieren **.

შეუძლებელია ადამიანი იდეური ხელმძღვანელი იყოს, თუ ზემოაღნიშნული თეორიული მუშაობა არ აწარმოვა, ისევე როგორც შეუძლებელია ის ასეთი ხელმძღვანელი იყოს, თუ ეს მუ-

* პირიქით, პირველ ადგილას აუცილებლად ყოველთვის ისმება პროპაგანდისა და აგიტაციის პრაქტიკული მუშაობა იმ მიზეზის გამო, რომ, ჯერ-ერთი, თეორიული მუშაობა მხოლოდ პასუხს იძლევა იმ კითხვებზე, რომლებსაც პრაქტიკა აყენებს. მეორეც, სოციალ-დემოკრატები ძალიან ხშირად, მათგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო, იძულებულნი არიან დაკმაყოფილდნენ მხოლოდ თეორიული მუშაობით, რადგან დიდად აფასებენ ყოველ მომენტს, როცა პრაქტიკული მუშაობაა შესაძლებელი.

** — შესწავლა, პროპაგანდის წარმოება, ორგანიზაციის მოწყობა. რ ე დ.

შაობა არ წარმართა საქმის მოთხოვნილების მიხედვით, თუ მუშებში ამ თეორიის შედეგების პროპაგანდა არ გასწია და მათს ორგანიზაციას არ დაეხმარა.

საკითხის ამგვარად დასმა სოციალ-დემოკრატიას უზრუნველჰყოფს იმ ნაკლოვანებათაგან, რაც ასე ხშირად ემჩნევათ სოციალისტების ჯგუფებს, — დოგმატიზმისა და სექტატორობისაგან.

არ შეიძლება დოგმატიზმი იყოს იქ, სადაც დოქტრინის უმაღლეს და ერთადერთ კრიტერიუმად წამოყენებულია მისი შესაბამისობა საზოგადოებრივ-ეკონომიური განვითარების ნამდვილ პროცესთან; არ შეიძლება სექტატორობა იყოს იქ, სადაც ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ხელი შეეწყოს პროლეტარიატის ორგანიზაციას, როცა, მაშასადამე, «ინტელიგენციის» როლი იმაში მდგომარეობს, რომ ზედმეტი გახადოს განსაკუთრებული, ინტელიგენტი ხელმძღვანელები.

ამიტომ, მიუხედავად მარქსისტებს შორის არსებული უთანხმოებისა სხვადასხვა თეორიულ საკითხში, მათი პოლიტიკური მოღვაწეობის მეთოდები უცვლელი რჩებოდა ჯგუფის დაარსებიდანვე და ასეთივე რჩება დღემდე.

სოციალ-დემოკრატების პოლიტიკური საქმიანობა იმაში მდგომარეობს, რომ ხელი შეუწყონ რუსეთში მუშათა მოძრაობის განვითარებასა და ორგანიზაციას, მის გარდაქმნას დღევანდელ განცალკევებულ, სახელმძღვანელო იდეას მოკლებულ პროტესტის, «ბუნტებისა» და გაფიცვების ცდათა მდგომარეობიდან მთელი რუსეთის მუშათა კლასის ორგანიზებულ ბრძოლად, რომელიც მიმართულია ბურჟუაზიული რეჟიმის წინააღმდეგ და მიისწრაფვის ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაციისაკენ, იმ საზოგადოებრივი წესწყობილების მოსპობისაკენ, რომელიც მშრომელის ჩაგვრაზეა დამყარებული. ამ საქმიანობის საფუძველია მარქსისტების საერთო რწმენა იმისა, რომ რუსი მუშა ერთადერთი და ბუნებრივი წარმომადგენელია რუსეთის მთელი მშრომელი და ექსპლოატირებული მოსახლეობისა *.

* მომავლის ადამიანი **რუსეთში** — **გლეხიაო, ფიქრობდნენ გლეხური** სოციალიზმის **წარმომადგენლები, ნაროდნიკები ამ სიტყვის ყველაზე ფარ-**

ბუნებრივი — იმიტომ, რომ მშრომელის ექსპლოატაცია რუსეთში ყველგან თავისი არსებით კაპიტალისტურია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბატონყმური მეურნეობის მომაკვდავ ნაშთებს; ოღონდ მწარმოებელთა მასის ექსპლოატაცია წვრილმანია, დაქსაქსული, განუვითარებელი, მაშინ როდესაც საფაბრიკო-საქარხნო პროლეტარიატის ექსპლოატაცია დიდი მასშტაბისაა, განსაზოგადოებული და კონცენტრირებულია. პირველ შემთხვევაში—ამ ექსპლოატაციას კიდევ ახვევია გარს საშუალოსაუკუნეობრივი ფორმები, სხვადასხვაგვარი პოლიტიკური, იურიდიული და ყოფაცხოვრებითი დანამატნი, ფანდები და ყალთაბანდობა, რაც ხელს უშლის მშრომელსა და მის იდეოლოგს დაინახონ იმ წესწყობილების არსი, რომელიც სულს უხუთავს მშრომელს, დაინახონ, თუ სად და როგორ შეიძლება მისგან თავის დაღწევა. პირიქით, უკანასკნელ შემთხვევაში ექსპლოატაცია უკვე სრულიად განვითარებულია და თავისი ნამდვილი სახით გამოდის ყოველგვარ, საქმის გამართულებელ წვრილმანთა გარეშე. მუშას უკვე აღარ შეუძლია არ დაინახოს, რომ მას სჩაგრავს კაპიტალი, რომ ბრძოლის წარმოება მას უხდება ბურჟუაზიის კლასის წინააღმდეგ. და ეს მისი ბრძოლა, მიმართული უახლოეს ეკონომიურ საჭიროებათა დაკმაყოფილებისაკენ, თავისი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ, — აუცილებლად მოითხოვს მუშებისაგან ორგანიზაციას, აუცილებლად იქცევა ომად არა პიროვნების, არამედ **კლასის** წინააღმდეგ, სწორედ იმ კლასის წინააღმდეგ, რომელიც არა მარტო ფაბრიკებსა და ქარხნებში, არამედ ყველგან და საყოველთაოდ სჩაგრავს და სულს უხუთავს მშრომელს. აი იმიტომ ფაბრიკა-ქარხნის მუშა სხვა არა არის რა, თუ არ მოწინავე წარმომადგენელი მთელი ექსპლოატირებული მოსახლეობისა, და იმისთვის, რომ მან თავისი წარმომადგენლობა განახორციელოს ორგანიზებულ, შეუდრეკელ ბრძოლაში, — სრულიადაც საჭირო

თო მნიშვნელობით. მომავლის ადამიანი რუსეთში — მუშაო, ფიქრობენ სოციალ-დემოკრატები. ასე იყო ფორმულირებული ერთ ხელნაწერში მარქსისტების თვალსაზრისი.

არ არის მისი გატაცება რაიმე «პერსპექტივებით»; ამისთვის საჭიროა მხოლოდ უბრალოდ აუხსნა მას მისი მდგომარეობა, აუხსნა იმ სისტემის პოლიტიკურ-ეკონომიური წყობილება, რომელიც მას სჩაგრავს, აუხსნა ამ სისტემის დროს კლასობრივი ანტაგონიზმის აუცილებლობა და გარდუვალობა. ფაბრიკა-ქარხნის მუშის ასეთი მდგომარეობა კაპიტალისტურ ურთიერთობათა საერთო სისტემაში ერთადერთ მებრძოლად ხდის მას მუშათა კლასის განთავისუფლების საქმეში, იმიტომ რომ კაპიტალიზმის განვითარების მხოლოდ უმაღლესი საფეხური, მსხვილი მანქანური ინდუსტრია, ჰქმნის მატერიალურ პირობებსა და სოციალურ ძალებს, რომლებსაც ეს ბრძოლა საჭიროებს. ყველა დანარჩენ ადგილზე, კაპიტალიზმის განვითარების დაბალი ფორმების არსებობისას, ეს მატერიალური პირობები არ არის: წარმოება დაქსაქსულია ათას უწვრილეს მეურნეობად (რომელნიც დაქსაქსულ მეურნეობებად რჩებიან სათემო მიწათმფლობელობის უაღრესად გამათანაბრებელი ფორმების დროსაც), ექსპლოატირებული უმრავლეს შემთხვევაში კიდევ ჰფლობს პაწია მეურნეობას და ამრიგად იგი მიჯაჭვული ხდება იმ ბურჟუაზიულ სისტემაზე, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა აწარმოოს: ეს აფერხებს და აძნელებს იმ სოციალური ძალების განვითარებას, რომელთაც შეუძლიათ კაპიტალიზმის დამხობა. დაქსაქსული, განცალკევებული, წვრილი ექსპლოატაცია ერთ ადგილზე აბამს მშრომელებს, სთიშავს მათ, შესაძლებლობას ართმევს შეიგნონ თავიანთი კლასობრივი სოლიდარობა, შესაძლებლობას არ აძლევს გაერთიანდნენ, გაიგონ, რომ ჩაგვრის მიზეზი ესა თუ ის პიროვნება კი არ არის, არამედ მთელი სამეურნეო სისტემაა. პირიქით, მსხვილი კაპიტალიზმი აუცილებლად სწყვეტს მუშის ყოველგვარ კავშირს ძველ საზოგადოებასთან, გარკვეულ ადგილსა და გარკვეულ ექსპლოატატორთან, აერთიანებს მას, აიძულებს იაზროვნოს და ისეთ პირობებში აყენებს, რომ შესაძლებელი ხდება ორგანიზებული ბრძოლის დაწყება. სოციალ-დემოკრატებიც მუშათა კლასისაკენ მიმართავენ მთელ თავიანთ ყურადღებასა და მთელ თავიანთ მოღვაწეობას. როდესაც ამ კლასის მოწინავე წარ-

მომადგენლები შეითვისებენ მეცნიერული სოციალიზმის იდეებს, რუსი მუშის ისტორიული როლის იდეას, როდესაც ეს იდეები ფართოდ გავრცელდება და მუშებს შორის შეიქმნებიან მტკიცე ორგანიზაციები, რომლებიც მუშების დღევანდელ დაქსაქსულ ეკონომიურ ომს გარდაჰქმნიან შეგნებულ კლასობრივ ბრძოლად, — მაშინ რუსი მუშა აღსდგება და სათავეში ჩაუდგება ყველა დემოკრატიულ ელემენტს, დაამხობს აბსოლუტიზმს და წაიყვანს რუსეთის პროლეტარიატს (ყველა ქვეყნის პროლეტარიატთან ერთად) აშკარა პოლიტიკური ბრძოლის პირდაპირი გზით ძლევამოსილი კომუნისტური რევოლუციისაკენ.

დასასრული.

1894.

ными хозяйствами при самыхъ уравнительныхъ формахъ общиннаго землевладѣнія), эксплуатируемый большею частью владѣетъ еще прочнымъ хозяйствомъ и ткк. обр. привязывается къ той самой буржуазной системѣ, противъ к-рой должемъ вести борьбу: это задерживаетъ и затрудняетъ развитіе тѣхъ соціальныхъ силъ, к-рыя способны ниспровергнуть капитализмъ. Раздробленная, единичная, мелкая эксплуатація привязываетъ трудящихся къ мѣсту, разобщаетъ ихъ, не даетъ имъ возможности уразумѣть своей классовой солидарности, не даетъ возможности объединиться, понявъ, что причина угнетенія — не та или другая личность, — а вся хозяйственная система. Напротивъ, крупный капитализмъ неизбѣжно разрываетъ всякую связь рабочаго со старымъ обществомъ, съ опредѣленнымъ мѣстомъ и опредѣленнымъ эксплуататоромъ, объединяетъ его, заставляетъ мыслить и ставитъ въ условія, дающія возможность начать организованную борьбу. На классъ рабочихъ и обращаютъ соціалъ-демократы все свое вниманіе и всю свою дѣятельность. Когда передовые представители его усвоятъ идеи научнаго соціализма, идеи объ исторической роли русскаго рабочаго, когда эти идеи получатъ широкое распространеніе и среди рабочихъ создадутся прочныя организаціи, преобразующія теперешнюю разрозненную экономическую войну рабочихъ въ сознательную классовую борьбу, — тогда русскій РАБОЧІЙ, поднявшись во главѣ всѣхъ демократическихъ элементовъ, свалитъ абсолютизмъ и поведетъ РУССКІЙ ПРОЛЕТАРІАТЪ (рядомъ съ Пролетаріатомъ ВСѢХЪ СТРАНЪ) прямой дорогой открытой политической борьбы къ ПОБѢДОНОСНОЙ

КОММУНИСТИЧЕСКОЙ РЕВОЛЮЦІИ.

Конецъ.

1894.

უკანასკნელი გვერდი ვ. ი. ლენინის წიგნის — «რანი არიან «ხალხის მეგობრები» და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?» — ჰექტოგრაფიული გამოცემის III ნაკვეთისა. — 1894 წ.
დაპატარავებულია

დამატება I

მომყავს აქ ცხრილში ცნობები იმ 24 ბიუჯეტის შესახებ, რაზედაც ტექსტშია ლაპარაკი.

შეჯამებითი ცნობები ოსტროგოჟსკის მაზრის 24 ტიპიური გლეხური მეურნეობის შემადგენლობისა და ბიუჯეტების შესახებ.

ცხრილის განმარტება.

1) პირველი 21 სვეტი მთლიანად კრებულიდან არის ამოღებული. 22-ე სვეტში შეერთებულია კრებულის სვეტები: ჭვავისა, ხორბლისა, შვრიისა და ქერისა, ფეტვისა და უგრეხელისა, დანარჩენი პურეულისა, კარტოფილისა, ბოსტნეულისა და თივისაგან (8 სვეტი). თუ როგორ არის გამოანგარიშებული პურეულის შემოსავალი (23-ე სვეტი), ნამჯისა და ჩალის გამოკლებით. ამის შესახებ ტექსტშია ნათქვამი. შემდგომ 24-ე სვეტში შეერთებულია კრებულის სვეტები: ცხენებისა, რქიანი პირუტყვისა, ცხვრისა, ღორისა, ფრინველისა, ტყავეულისა და მატყლისა, ქონისა და ხორცისა, რძის პროდუქტებისა და ერბო-კარაქისაგან (9 სვეტი). 25 — 29 სვეტები მთლიანად კრებულიდან არის ამოღებული. 30 — 34 სვეტებში შეერთებულია კრებულის სვეტები: ჭვავის, ხორბლის, ბურღულისა და უგრეხელის, კარტოფილის, ბოსტნეულის, მარილის, ერბო-კარაქის, ქონისა და ხორცის, რძის პროდუქტების, არაყისა და ჩაის ხარჯები (12 სვეტი). 35-ე სვეტში შეერთებულია კრებულის სვეტები: საპნის, ნავთის, სანთლის, ტანსაცმლისა და ჭურჭლეულის ხარჯები (4 სვეტი). დანარჩენი სვეტები გასაგებია.

2) მე-8 სვეტი შემდეგნაირად არის შედგენილი: იჯარით აღებული მიწის დესეტინათა რიცხვს მივუმატეთ ნადელის შემადგენლობაში შემავალი სახნავი მიწის დეს. რიცხვი (კრებულში არის ასეთი სვეტი).

3) ქვემო ციფრები სვეტებში: «შემოსავლისა და გასავლის განაწილება» აღნიშნავენ ხარჯებისა და შემოსავლის ფულადს ნაწილს. 25 — 28 და 37 — 42 სვეტებში მთელი შემოსავალი (ხარჯები) ფულადია. ფულადს ნაწილს (ავტორი მას ცალკე არ გამოჰყოფს) შემდეგნაირად ვარკვევდით: მთელ შემოსავალს ვაკლებდით იმას, რაც საკუთარ მეურნეობაში იყო მოხმარებული.

	მეურნეთა ჯგუფები და მათი რიცხვი	ორივე სქესის სულთა რიცხვი	მომუშავეთა რიცხვი (მამრ. სქესისა)	მოჯამაგირეები	
				მოჯამაგირეებიანი კომლი	მათი რიცხვი (ორივე სქესისა)
		1	2	3	4
6 შეძლებული მეურნე	ჯამი	47	11	6	8
	საშუალო ერთ მეურნეობაზე . .	7,83	1,8	—	—
11 საშუალო შეძლების მეურნე	ჯამი	92	26	2	2
	საშუალო ერთ მეურნეობაზე . .	8,36	2,4	—	—
7 ღარიბი მეურნე	ჯამი . .	37	10	2	2
	საშუალო ერთ მეურნეობაზე . .	5,28	1,4	—	—
სულ 24 მეურნე	ჯამი	176	47	10	12
	საშუალო ერთ მეურნეობაზე . .	7,33	1,9	—	—
2 მოჯამაგირე (რომელნიც ღარიბთა რიცხვში შედიან)	ჯამი	9	2	—	—
	საშუალო ერთ მეურნეობაზე . .	4,5	1	—	—

სანადგურო მიწა დესეტინ.	იჯარა		სულ სახნავი მიწა	შენობათა რიცხვი	საბრუნველი საწარმოთა რიცხვი	საბრუნველ. იარაღების რიცხვი	პირუტყვი (სული)	
	კომლი	დესეტინა					მუშა-პირუტყვი	სულ მსხვილფ. გადაყვან.
5	6	7	8	9	10	11	12	13
132,6	6	52,8	123,4	52	4	224	35	81
22,1	—	8,8	20,6	8,6	—	37,3	5,8	13,5
101,2	10	85,5	140,2	70	—	338	40	89,1
9,2	—	7,7	12,7	6,4	—	30,7	3,6	8,1
57,8	4	19,8	49,8	31	—	108	7	15,3
8,5	—	2,8	7,1	4,4	—	15,4	1	2,2
291,6	20	158,1	318,4	153	4	670	82	185,4
12,1	—	6,6	13	6,4	—	27,9	3,4	7,7
14,4	—	—	6,8	6	—	11	—	1,1
7,2	—	—	3,4	3	—	5,5	—	0,5

მეურნეთა ჯგუფები და მათი რიცხვი		ხარჯებულება მანეთებში						
		შენობები	დანარჩენი უძრავი ქონება	ინვენტარი	ავეჯი	ტანისამოსი	პირეული და ფეტკარი	სულ
		14	15	16	17	18	19	20
6 შეძლებული მეურნე	ჯამი	2 696	2 237	670,8	453	1 294,2	3 076,5	10 427,5
	საშუალო ერთ მეურნეობაზე . .	449,33	372,83	111,80	75,5	215,7	512,75	1 737,91
11 საშუალო შეძლების მეურნე	ჯამი	2 362	318	532,9	435,9	2 094,2	2 907,7	8 650,7
	საშუალო ერთ მეურნეობაზე .	214,73	28,91	48,44	39,63	190,38	264,33	786,42
7 ღარიბი მეურნე	ჯამი	835	90	112,3	254	647,1	605,3	2 543,7
	საშუალო ერთ მეურნეობაზე .	119,28	12,85	16,04	36,29	92,45	86,47	363,38
სულ 24 მეურნე	ჯამი	5 893	2 645	1 316	42,9	4 035,5	6 589,5	21 621,9
	საშუალო ერთ მეურნეობაზე . .	245,55	110,21	54,83	47,62	168,14	274,56	900,91
2 მოჯამაგირე (რომელნიც ღარიბთა რიცხვში შედიან)	ჯამი	155	25	6,4	76,8	129,3	9,1	401,6
	საშუალო ერთ მეურნეობაზე . .	77,5	12,5	3,2	38,4	64,65	4,55	200,8

ჯამი საკრედიტო ნარჩენები-სა. მანეთები	ზემოხსენიერ განაწილება							
	მიწათმოქმედებისაგან		მეცხოველეობისაგან	მეფუტკრეობისა და მებაღეობისგ.	სარეწებისაგან	საწარმოებისაგან	სხვადასხვა ფეზლსაგან	ს ულ მან.
	ს ულ	მათ რიცხვ. პურ.						
21	22	23	24	25	26	27	28	29
80	61,2% 3 861,7 1 774,4	2 598,2 1 774,4	15,4% 972,6 396,5	4,3% 271	6,5% 412	5% 320	7,6% 482,2	100% 6 319,5 3 656,1
13,3	643,6	—	162,1	45,2	68,6	53,3	80,4	1 053,2 609,3
357	60,7% 3 163,8 899,9	2 203,8 899,9	16,1% 837,5 423,2	0,7% 36,1	18,8% 979,3	—	3,7% 195,5	100% 5 212,2 2 534
32,4	287,7	—	76,1	3,2	89	—	17,8	473,8 230
233,6	48,7% 689,9 175,25	502,08 175,24	22,9% 324,2 216,6	1,9% 27	23,8% 336,8	—	2,7% 39	100% 1 416,9 794,64
33,4	98,5	—	46,3	3,9	48,1	—	5,5	202,4 113,5
670,6	59,6% 7 715,4 2 849,54	5 304,8 2 849,54	16,5% 2 134,3 1 036,3	2,6% 334,1	13,3% 1 728,1	2,5% 320	5,5% 716,7	100% 12 948,6 6 984,74
27,9	321,5	—	88,9	13,9	72	13,3	29,9	539,5 291,03
50	59,5 3	—	5,7 4,8	—	128,8	—	4	198 140,6
25	29,75	—	2,85	—	64,4	—	2	99 70,3

მეურნეთა ჯგუფები და მათი რიცხვი		გასავლის					
		საკვები					ტანსაცმელი და ოჯახური საჭიროებანი
		სულ	მცენარეული	დანარჩენი	მათ შორის		
					რძე, ხორცი და სხ.	მარ., არაყი, ჩაი	
		30	31	32	33	34	35
6 შეძლებული მეურნე	ჯამი	29,2% 1 500,6 218,7	823,8	676,8	561,3 108,2	115,5	8,2% 423,8 58,6
	საშუალო ერთ მეურნეობაზე . .	250,1	—	—	—	—	70,63
11 საშუალო შეძლების მეურნე	ჯამი . . .	37,6% 1 951,9 257,7	1 337,3 33,4	614,6	534,3 144	80,3	10,6% 548,1 49,5
	საშუალო ერთ მეურნეობაზე .	177,45	—	—	—	—	49,83
7 ღარიბი მეურნე	ჯამი	42,1% 660,8 253,46	487,7 160,96	173,1	134,4 53,8	38,7	14,6% 229,6 26,8
	საშუალო ერთ მეურნეობაზე . .	94,4	—	—	—	—	32,8
სულ 24 მეურნე	ჯამი	34,6% 4 113,3 729,86	2 648,8	1 464,5	1 230	234,5	10,1% 1 201,5 134,9
	საშუალო ერთ მეურნეობაზე .	171,39	110,37	61,02	51,25	9,77	50,06
2 მუშაკი (რომელნიც ღარიბთა რიცხვში შედიან)	ჯამი	81,7 50,7	72,1 42,5	9,6	6,1 4,7	3,5	14,9 4,6
	საშუალო ერთ მეურნეობაზე .	40,85	—	—	—	—	7,45

გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა								წმინდა შემოსავალი + დეფიციტი —
პირუტყვის შენახვა	ინვენტარი ცოცხალი და მკვდარი	მუშებსა და მწყემსებზე	იჯარა	გადასახადი	ხუცებს	სხვადასხვა ხარჯი	სულ გან i	
36	37	38	39	40	41	42	43	44
24,9% 1 276,6	9,4% 484,5	13,5% 691,7	6,5% 332	4,9% 253,5	1,1% 56	2,3% 116,5	100% 5 135,2 2 211,5	+ 1 184,3
212,76	80,75	115,29	55,63	42,25	9,33	19,42	855,86 368,6	+ 197,34
21,2% 1 098,2	5% 256	0,9% 47,6	6,8% 351,7	4,9% 254,9	1,3% 69,9	11,7% 609,4	100% 5 187,7 1 896,7	+ 24,5
99,84	23,27	4,33	31,97	23,17	6,35	55,4	471,6 172,5	+ 2,19
15,6% 243,7	7,1% 110,6	1,6% 24,3	6% 94,5	6,5% 101,8	1,8% 28	4,7% 73,2	100% 1 566,5 712,66	— 149,6
34,81	15,8	3,47	13,5	14,54	4	10,46	223,78 101,8	— 21,38
22,2% 2 618,5	7,1% 851,1	6,4% 763,6	6,5% 778,2	5,1% 610,2	1,3% 153,9	6,7% 799,1	100% 11 889,4 4 820,86	+ 1 059,2
109,1	35,46	31,82	32,43	25,43	6,41	33,29	495,39 200,87	+ 44,11
8	53,2	0,4	—	22,6	2,8	3,3	186,9 137,6	+ 11,1
4	26,6	0,2	—	11,3	1,4	1,65	93,45 68,8	+ 5,55

დამატება II

ბ-ნი სტრუვე ნიკ.—ონის კრიტიკის ქვაკუთხედად სავსებით სამართლიანად აღიარებს იმ დებულებას, რომ «მარქსის მოძღვრება კლასობრივ ბრძოლასა და სახელმწიფოზე სრულებით უცხოა რუსი პოლიტიკო-ეკონომისათვის». მე არა მაქვს ბ-ნ კრივენკოს გამბედაობა, რომ ბ-ნ სტრუვეს მარტო ამ ერთი პატარა (4-სვეტიანი) შენიშვნის მიხედვით ვიმსჯელო მის შეხედულებათა სისტემაზე (სხვა მისი სტატიები ჩემთვის უცნობია); არ შემიძლია აგრეთვე არ ვთქვა, რომ მის მიერ გამოთქმულ ყველა დებულებას როდი ვეთანხმები, ამიტომ შემიძლია დავიცვა არა მისი სტატია მთლიანად, არამედ მხოლოდ ზოგიერთი მის მიერ მოყვანილი ძირითადი დებულება. მაგრამ ყოველ შემთხვევაში აღნიშნული გარემოება მეტად სწორად არის შეფასებული: მართლაც, ბ-ნ ნიკ.—ონის ძ ი რ ი თ ა დ ი შ ე ც დ ო მ ა ისაა, რომ მას არ ესმის კლასობრივი ბრძოლა, რომელიც კაპიტალისტურ საზოგადოებას ახასიათებს. მარტო ამ შეცდომის გასწორება საკმაო იქნებოდა იმისათვის, რომ თვით მისი თეორიული დებულებებიდან და გამოკვლევებიდან აუცილებლად სოციალ-დემოკრატიული დასკვნები გამოგვეტანა. მართლაც, კლასობრივი ბრძოლის უყურადღებოდ დატოვება მოწმობს მარქსიზმის უხეშ გაუგებლობას,—გაუგებლობას, რაც მით უფრო სასაყვედუროა ბ-ნ ნიკ.—ონისათვის, რომ მას საერთოდ სურს მარქსის პრინციპების ბეჯით თაყვანისმცემლად გაასაღოს თავი. მაგრამ შეუძლია განა ვინმეს, ვინც თუნდ ცოტათი მაინც იცნობს მარქსს, უარჰყოს, რომ მის

შეხედულებათა მთელი სისტემის სიმძიმის ცენტრი არის მოძღვრება კლასობრივი ბრძოლის შესახებ?

ბ-ნ ნიკ.—ონს, რასაკვირველია, შეეძლო მიეღო მარქსის თეორია ამ პუნქტის გამოკლებით, თუნდაც იმის გამო, რომ ის არ შეესაბამება, ვთქვათ, რუსეთის ისტორიისა და სინამდვილის ფაქტებს, — მაგრამ მაშინ ხომ, ჯერ-ერთი, შეუძლებელი იქნებოდა იმის თქმა, რომ მარქსის თეორია განმარტავს ჩვენს წყობილებას, შეუძლებელი იქნებოდა თვით ამ თეორიასა და კაპიტალიზმზე ლაპარაკი, რადგან მოგვიხდებოდა თეორიის გადაკეთება და წარმოდგენის შემუშავება სხვაგვარ კაპიტალიზმზე, რომელსაც არ ახასიათებს ანტაგონისტური ურთიერთობანი და კლასთა ბრძოლა. ყოველ შემთხვევაში, საჭირო იყო ამის შესახებ წინასწარ დაწვრილებითი შენიშვნების მოცემა, განმარტება, თუ რატომ მოხდა, რომ ავტორს, როცა ის მარქსიზმის ანს ამბობს, ბანის თქმა არა სურს. ბ-ნი ნიკ.—ონი არც კი ცდილა რაიმე ამის მსგავსი მოეხდინა.

და ბ-მა სტრუვემ სრულიად სამართლიანად დაასკვნა, რომ კლასობრივი ბრძოლის გაუგებლობა ბ-ნ ნიკ.—ონს უტოპისტად ხდის, ვინაიდან, ვინც კაპიტალისტურ საზოგადოებაში კლასობრივ ბრძოლას უგულვებელჰყოფს, ის eo ipso * ამ საზოგადოების საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების მთელ ნამდვილ შინაარსსაც უგულვებელჰყოფს და თავისი დეზიდერატების განხორციელების დროს მან აუცილებლად გულუბრყვილო ოცნებათა სფეროში უნდა ინავარდოს. ეს გაუგებლობა მას რეაქციონერად ხდის, ვინაიდან მოწოდებას «საზოგადოებისა» და «სახელმწიფოსადმი», ე. ი. ბურჟუაზიის იდეოლოგებისა და პოლიტიკოსებისადმი, შეუძლია მხოლოდ გზა-კვალი აუბნიოს სოციალისტებს, მოკავშირეებად მიიღოს პროლეტარიატის უბოროტესი მტრები, შეუძლია მხოლოდ შეაფერხოს მუშების ბრძოლა განთავისუფლებისათვის იმის მაგიერ, რომ ხელი შეუწყოს ამ ბრძოლის გაძლიერებას, გარკვევას და ორგანიზაციულად უკეთ ჩამოყალიბებას.

---

* — ამით. რედ.

რაკი ლაპარაკი ჩამოვარდა ბ-ნ სტრუვეს სტატიაზე, არ შეიძლება არ შევეხოთ აქ ბ-ნ ნიკ.—ონის პასუხსაც «რ. ბოგატსტვოს» № 6-ში *.

«თურმე — მსჯელობს ბ-ნი ნიკ.—ონი, მოჰყავს რა ცნობები ფაბრიკა-ქარხნების მუშების რიცხვის ნელი ზრდის შესახებ, რომელიც ჩამორჩება მოსახლეობის ზრდას, — თურმე კაპიტალიზმი ჩვენში არა თუ არ ასრულებს თავის «ისტორიულ მისიას», არამედ თვითვე უდებს საზღვარს თავის საკუთარ განვითარებას. აი, სხვათა შორის, რატომ არიან ათასჯერ მართალნი ისინი, ვინც ეძებს «თავისი სამშობლოსათვის განვითარების გზას, განსხვავებულს იმ გზისაგან, რომლითაც მიდიოდა და ახლაც მიდის დასავლეთი ევროპა»». (და ამას სწერს ადამიანი, რომელიც აღიარებს, რომ რუსეთი იმავე კაპიტალისტური გზით მიდის!) ამ «ისტორიული მისიის» შეუსრულებლობას ბ-ნი ნიკ.—ონი იმაში ხედავს, რომ «სამეურნეო მიმდინარეობა, რომელიც ეწინააღმდეგება თემს (ე. ი. კაპიტალიზმი), ანგრევს თვით მისი არსებობის საფუძვლებს და არ მოაქვს გამაერთიანებელი მნიშვნელობის ის წილი, რომელიც ასე დამახასიათებელია დასავლეთ ევროპისათვის და განსაკუთრებული სიძლიერით იჩენს თავს ჩრდილო ამერიკაში».

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენს წინაშეა ის გაცვეთილი საბუთი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ, რომელიც გამოიგონა ცნობილმა ბ-მა ვ. ვ., — ეს უკანასკნელი ხომ კაპიტალიზმს დეპარტამენტის იმ მოხელის თვალსაზრისით უყურებდა, რომელიც სახელმწიფოებრივ საკითხს «სახალხო ცხოვრებაში კაპიტა-

* საზოგადოდ თავისი სტატიებით «რ. ბოგატსტვოში» ბ-ნი ნიკ.—ონი, გვგონია, თავგამოდებით ცდილობს დაამტკიცოს, რომ ის სრულიადაც არ არის ისე დაშორებული მეშჩანურ რადიკალიზმს, როგორც შეიძლებოდა გვეფიქრა; რომ მასაც შეუძლია გლეხური ბურჟუაზიის ზრდაში (№ 6, გვ. 118 — «გლეხებში» გაუმჯობესებული იარაღების, ფოსფორიტების etc. (et cetera — და ასე შემდეგ. რ ე დ.) გავრცელება) დაინახოს იმის ნიშნები, რომ «თვით გლეხობას» (იმას, რომლის მასობრივი ექსპროპრიაცია ხდება?) «ესმის აუცილებლობა იმ მდგომარეობიდან თავის დაღწევისა, რომელშიც იგი იმყოფება».

ლიზმის შემოღების» შესახებ ასე სწყვეტს: თუ «მისიას» ასრულებს—შემოშვება შეიძლება, თუ არ ასრულებს — «არ შემოუშვა». ამ გონებამახვილი მსჯელობის ყველა სხვა თვისებათა გარდა, თვით კაპიტალიზმის «მისია» ბ-ნ ვ. ვ-ს ამასთან წარმოუდგენლად, საშინლად ვიწროდ და უმართებულოდ ესმოდა, ხოლო ბ-ნ ნიკ. — ონს, როგორც სჩანს, დღესაც ასე ესმის; და, რა თქმა უნდა, თავიანთი გაგების სივიწროვეს ეს ვაჟბატონები აქაც უცერემონიოდ სოციალ-დემოკრატებს ახვევენ თავს: მათ, როგორც მკვდრებს, შეიძლება ცილი დავწამოთ, — მით უმეტეს, რომ მათ ლეგალურ პრესაში არ უშვებენო!

მარქსი კაპიტალიზმის პროგრესულ, რევოლუციურ მუშაობას იმაში ხედავდა, რომ იგი, შრომას რომ ასაზოგადოებს, იმავე დროს, თვით პროცესის მექანიზმით «წვრთნის, აერთიანებს და ორგანიზაციულად რაზმავს მუშათა კლასს», ასწავლის ბრძოლას, აწესრიგებს მის «აღშფოთებას», აერთიანებს «ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაციისათვის», პოლიტიკური ძალაუფლების დასაპყრობად და იმისათვის, რომ წარმოების საშუალებანი ჩამოერთვას «მცირერიცხოვან უზურპატორებს» მთელი საზოგადოებისათვის გადასაცემად («კაპიტალი», 650) [70].

აი ასეთია მარქსის ფორმულირება.

«ფაბრიკა-ქარხნის მუშების რიცხვზე», რასაკვირველია, სიტყვაც არ არის ნათქვამი: ლაპარაკია მხოლოდ წარმოების საშუალებათა კონცენტრაციასა და შრომის განსაზოგადოებაზე. ცხადია, ამ კრიტერიუმებს არაფერი აქვთ საერთო «ფაბრიკა-ქარხნის მუშების რიცხვთან».

მაგრამ მარქსის ჩვენმა თავისებურმა განმმარტებლებმა ეს სწორედ ისე გადაასხვაფერეს, თითქოს შრომის განსაზოგადოება კაპიტალიზმის დროს ამოიწურებოდეს ფაბრიკისა და ქარხნის მუშების ერთ შენობაში მუშაობით და ამიტომ კაპიტალიზმის პროგრესული მუშაობის დონე თითქოს განიზომებოდეს... ფაბრიკა-ქარხნის მუშების რიცხვით!!! თუ ფაბრიკა-ქარხნის მუშების რიცხვი მატულობს — მაშასადამე, კაპიტალიზმი კარგად ასრულებს პროგრესულ სამუშაოს; თუ კლებულობს — მაშასადამე, ის «ცუდად ასრულებს თავის ისტორიულ დანიშნულებას»

(ბ-ნ ნიკ.—ონის სტატიის 103 გვ.), და «ინტელიგენციამ» «სხვა გზები» უნდა «ეძებოს თავისი სამშობლოსათვის».

და აი რუსეთის ინტელიგენცია იწყებს «სხვა გზების» ძებნას. უკვე პირველი ათეული წელი როდია, რაც იგი ამ გზებს ეძებს და პოულობს, ამასთანავე მთელი ძალღონით ამტკიცებს *, რომ კაპიტალიზმი «არასწორ» განვითარებას ნიშნავს, ვინაიდან უმუშევრობასა და კრიზისებს იწვევსო. აი 1880 წელს კრიზისის წინაშე ვიდექით; იგივე მოხდა 1893 წელს: დროა ეს გზა დავტოვოთ, ვინაიდან ცხადია, რომ ჩვენი საქმე ცუდად არისო.

რუსეთის ბურჟუაზია კი «ისმენს, მაგრამ ყურებს არ იბერტყს»: მართლაც, «ცუდად» არის საქმე, როცა შეუძლებელი ხდება ზღაპრული მოგების მიღება; და იგი გუნდად ბანს აძლევს ლიბერალებსა და რადიკალებს და თავგამოდებით იწყებს განთავისუფლებული და უფრო იაფი კაპიტალების შემწეობით ახალი რკინიგზების გაყვანას. «ჩვენ» ცუდ მდგომარეობაში ვართ, იმიტომ რომ ძველ ადგილებზე «ჩვენ» უკვე სავსებით გავფცქვენით ხალხი და იძულებული ვართ მივმართოთ ინდუსტრიულ კაპიტალს, რომელსაც არ შეუძლია ისე გაგვამდიდროს, როგორც სავაჭროს: «ჩვენ» წავალთ ევროპის რუსეთის აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ განაპირა რაიონებში, სადაც ჯერ კიდევ შესაძლებელია «პირვანდელი დაგროვება», რომელიც რამდენიმე ას პროცენტს მოგებას იძლევა, სადაც გლეხობის ბურჟუაზიული დაშლა ჯერ კიდევ სრულიადაც არ დამთავრებულაო. ინტელიგენცია ხედავს ყოველივე ამას და განუწყვეტლივ იმუქრება — «ჩვენ» კვლავ კრახი

* ეს მტკიცებანი იმიტომ კი არ იკარგება უნაყოფოდ, რომ თითქოს სწორი არ იყოს: ხალხის გაპარტახება, გაღატაკება და შიმშილი კაპიტალიზმის აუცილებელი და გარდუვალი თანამგზავრებია, არამედ იმიტომ, რომ ეს მტკიცებანი მიმართულია ჰაერში. «საზოგადოება» — იგი დემოკრატიზმის საფარველითაც კი პლუტოკრატიულ ინტერესებს ახორციელებს, და, რა თქმა უნდა, პლუტოკრატია როდი გამოვა კაპიტალიზმის წინააღმდეგ. «მთავრობა»... — მოვიყვან მოწინააღმდეგის, ბ-ნ ნ. კ. მიხაილოვსკის აზრს:— თუმცა ცოტა ვიცით ჩვენი მთავრობის პროგრამის შესახებო, — სწერდა ის ერთხელ — მაგრამ იმდენი კი ვიცით, რათა დარწმუნებული ვიყოთ, რომ «შრომის განსაზოგადოება» მათს პროგრამაში არ შედისო.

მოგველისო. და მართლაც ახალი კრახი იწყება. უამრავ წვრილ კაპიტალისტებს მსხვილი კაპიტალისტები ამარცხებენ, უამრავ გლეხებს ერეკებიან მიწათმოქმედებიდან, რომელიც სულ უფრო და უფრო გადადის ბურჟუაზიის ხელში; უზომოდ იზრდება სილატაკე, უმუშევრობა, შიმშილით ამოწყდომა — და «ინტელიგენცია» დამშვიდებული სინიდისით იმოწმებს თავის წინასწარმეტყველებას და კვალად მოსთქვამს არასწორი გზის შესახებ, ამტკიცებს, რომ ჩვენი კაპიტალიზმი მტკიცე არ არის, რადგან საგარეო ბაზრები არ აქვსო.

რუსეთის ბურჟუაზია კი «ისმენს, მაგრამ ყურებს არ იბერტყს». სანამ «ინტელიგენცია» ახალ გზებს ეძებს, ბურჟუაზია იწყებს თავის კოლონიებში გიგანტური რკინიგზების შენებას, ჰქმნის იქ ბაზარს, შეაქვს ახალგაზრდა ქვეყანაში ბურჟუაზიული წყობილების სიმშვენიერენი, იქაც განსაკუთრებული სიჩქარით ზრდის სამრეწველო და სამიწათმოქმედო ბურჟუაზიას, ხოლო მწარმოებელთა მასას მუდამ მშიერ უმუშევართა რიგებში ისვრის.

ნუთუ სოციალისტები კვლავაც დასჯერდებიან მოთქმას არასწორ გზებზე და მტკიცებას, რომ კაპიტალიზმი მტკიცე არ არის, რადგან... ფაბრიკა-ქარხნის მუშების რიცხვი ნელა იზრდებაო!!?

სანამ ამ ბავშვურ იდეას * განვიხილავდეთ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ბ-ნ ნიკ.—ონს მეტად არასწორად აქვს გადმოცემული სათანადო ადგილი ბ-ნ სტრუვეს სტატიიდან. სტრუვეს სტატიაში სიტყვა-სიტყვით შემდეგია ნათქვამი:

«თუ ავტორი (ე. ი. ბ-ნი ნიკ. —ონი) აღნიშნავს განსხვავებას რუსეთის და ამერიკის მოსახლეობის შემადგენლობაში მოსაქმე-

* მართლაც, როგორ არ უნდა ვუწოდოთ ამ იდეას ბავშვური, როცა კაპიტალიზმის პროგრესული მუშაობის გამოსარკვევად აღებულია არა შრომის განსაზოგადოების დონე, არამედ ასეთი მერყევი მაჩვენებელი სახალხო შრომის მარტო ე რ თ ი დარგის განვითარებისა! ყველამ იცის, რომ მუშების რიცხვი არ შეიძლება მეტად ცვალებადი არ იყოს წარმოების კაპიტალისტური წესის დროს, რომ ის დამოკიდებულია მრავალ მეორეხარისხოვან ფაქტორზე, როგორიცაა კრიზისები, სარეზერვო არმიის ოდენობა, შრომის ექსპლოატაციის დონე, მისი დაძაბულობის ხარისხი და სხვ. და სხვ.

ობის მიხედვით, — თუ სცნობს, რომ რუსეთში 80% სამეურნეო საქმიანობაში ჩაბმული (erwerbsthätigen) მთელი მოსახლეობისა სოფლის მეურნეობას მისდევს, ხოლო შეერთებულ შტატებში მხოლოდ 44%, — იგი ამავე დროს ვერ ამჩნევს, რომ რუსეთის კაპიტალისტური განვითარება სწორედ რომ ხელს შეუწყობს ამ განსხვავების (80 — 44) შემცირებას: შეიძლება ითქვას, რომ ამაშია მისი ისტორიული მისია».

შეიძლება სთქვათ, რომ ს ი ტ ყ ვ ა «მისია» აქ მეტად უხერხულადაა დასმული, მაგრამ ბ-ნ სტრუვეს აზრი ნათელია: ბ-მა ნიკ. —ონმა ვერ შეამჩნია, რომ რუსეთის კაპიტალისტური განვითარება (იგი თვითონ აღიარებს, რომ ეს განვითარება მართლაც კაპიტალისტურია) შეამცირებს სოფლის მოსახლეობას, მაშინ როდესაც ეს კაპიტალიზმის ზოგადი კანონია. მაშასადამე, ბ-ნ ნიკ. —ონს ამ მოსაზრების გასაბათილებლად უნდა ეჩვენებინა ა ნ 1) რომ მას მხედველობიდან არ გაუშვია კაპიტალიზმის ეს ტენდენცია, ა ნ 2) რომ კაპიტალიზმს არა აქვს ეს ტენდენცია.

ამის მაგივრად ბ-ნი ნიკ. — ონი შესდგომია ჩვენი ფაბრიკის მუშების რიცხვის მონაცემთა გამორკვევას (ეს რიცხვი მისი ანგარიშით მოსახლეობის 1%-ს უდრის). მაგრამ განა ბ-ნი სტრუვე ფაბრიკის მუშებზე ლაპარაკობს? განა მოსახლეობის 20% რუსეთში და 56% ამერიკაში — ფაბრიკის მუშები არიან? განა ცნებანი: «ფაბრიკის მუშები» და «სოფლის მეურნეობაში ჩაუბმელი მოსახლეობა» — ერთი და იგივეა? განა შეიძლება იმის უარყოფა, რომ რუსეთშიც მცირდება სოფლის მეურნეობაში ჩაბმული მოსახლეობის წილი?

ამ შესწორების შემდეგ, რომელიც მით უფრო აუცილებლად მიმაჩნია, რომ ბ-მა კრივენკომ ამავე ჟურნალში ერთხელ უკვე ყალბად გადმოსცა ეს ადგილი, გადავიდეთ თვით ბ-ნ ნიკ. —ონის იდეაზე, რომ «ჩვენი კაპიტალიზმი ცუდად ასრულებს მისიას».

ჯერ-ერთი, უაზრობაა ფაბრიკა-ქარხნის მუშების რიცხვის გაიგივება იმ მუშების რიცხვთან, რომელნიც კაპიტალისტურ წარმოებაში არიან ჩაბმულნი, როგორც ამას «ნარკვევების»[71] ავტორი შვრება. ეს იმას ნიშნავს, რომ გაიმეორო (მ ე ტ ი ც — გ ა დ ა ა ჭ ა რ ბ ო) რუსეთის იმ მეშჩან ეკონომისტების შეცდომა,

რომლებიც კაპიტალიზმს პირდაპირ მსხვილი მანქანური ინდუსტრიიდან იწკებენ. განა მილიონობით რუსი შინამრეწველნი, რომლებიც ვაჭრებისათვის მუშაობენ მათი მასალით და ჩვეულებრივს ხელფასს ღებულობენ, — კაპიტალისტურ წარმოებაში არ არიან დაბანდებულნი? განა მოჯამაგირეები და დღიური მუშები მიწათმოქმედებაში მეპატრონეებისაგან ხელფასს არ ღებულობენ და მათ ზელირებულებას არ აძლევენ? განა მუშები, რომლებიც სამშენებლო მრეწველობაში მუშაობენ (იგი სწრაფად განვითარდა ჩვენში რეფორმის შემდეგ) — კაპიტალისტურ ექსპლოატაციას არ განიცდიან? და სხვ. *.

---

* მე აქ ვკმაყოფილდები იმით, რომ კრიტიკას ვუკეთებ ბ-ნ ნიკ. —ონის ხ ე რ ხ ს — «კაპიტალიზმის გამაერთიანებელი მნიშვნელობის» დაფასებას ფაბრიკის მუშების რიცხვის მიხედვით. არ შემიძლია ციფრების გარჩევას შევუდგე, რადგან ხელთ არა მაქვს ის წყაროები, რომელთაც ბ-ნი ნიკ. — ონი იყენებს. მაგრამ არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ ეს წყაროები ბ-ნ ნიკ. —ონის მიერ ვერ არის ხეირიანად არჩეული. ის ჯერ იღებს ცნობებს «სამხედრო-სტატისტიკური კრებულიდან» 1865 წლისათვის და 1894 წლის «ფაბრიკებისა და ქარხნების მაჩვენებლიდან» — 1890 წლისათვის. გამოდის მუშების რიცხვი (სამთამადნო მუშების გამოკლებით) 829 573 და 875 764. მატება უდრის 5,5%-ს, რაც ბევრად ნაკლებია, ვიდრე მოსახლეობის ზრდა (91 და 61,42 მლნ. — 48,1%). შ ე მ დ ე გ გ ვ ე რ დ ზ ე უკვე სხვაგვარი ცნობებია მოყვანილი: 1865 და 1890 წლებისათვის — 1893 წლის «მაჩვენებლიდან». ამ ცნობების მიხედვით მუშების რიცხვი 392 718 და 716 792-ს უდრის; მატება — 82%. მაგრამ ეს აქციზდებული მრეწველობის გამოკლებით; ამ მრეწველობაში კი მუშების რიცხვი (გვ. 104) 1865 წელს იყო 186 053, ხოლო 1890 წელს — 144 332. თუ ამ ციფრებს წინათ მოყვანილს მივუმატებთ, მივიღებთ მუშების საერთო რიცხვს (სამთამადნო მუშების გამოკლებით) 1865 წლისათვის — 578 771, ხოლო 1890 წლისათვის — 861 124. მატება 48,7%-ს უდრის, მაშინ როცა მოსახლეობამ 48,1%-ით იმატა. ამრიგად, ხუთი გვერდის მანძილზე ავტორს მოჰყავს ცნობები, რომლებიდანაც ზოგიერთნი 5% მატებას უჩვენებენ, ხოლო ზოგიერთნი— 48%! და ასეთი ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნობების მიხედვით მას ის დასკვნა გამოჰყავს, რომ ჩვენი კაპიტალიზმი მტკიცე არ არის!!

შემდეგ კიდევ, რატომ არ აიღო ავტორმა ის ცნობები მუშების რიცხვის შესახებ, რომლებიც მას მოყვანილი აქვს «ნარკვევებში» (ცხრილი XI და XII) და რომელთა მიხედვითაც ჩვენ ვხედავთ მუშების რიცხვის ზრდას ს ა მ ი წ ლ ი ს გ ა ნ მ ა ვ ლ ო ბ ა შ ი (1886 — 1889) 12 — 13%-ით,

მეორეც, უაზრობაა ფაბრიკის მუშების რიცხვის (1 400 000) შედარება მთელ მოსახლეობასთან და ამ შეფარდებას გამოხატვა პროცენტით. ეს ნიშნავს პირდაპირ თანაშეუზომვად სიდიდეთა შედარებას: შრომისუნარიანი მოსახლეობისა არაშრომისუნარიანთან, მატერიალურ ღირებულებათა მწარმოებელი მოსახლეობისა «იდეოლოგიურ მდგომარეობასთან» და სხვ. განა ფაბრიკა-ქარხნის თვითეული მუშა ოჯახის არამუშა წევრთა განსაზღვრულ რაოდენობას არა ჰკვებავს? განა ფაბრიკის მუშები — თავიანთი მეპატრონეებისა და ვაჭრების მთელი გუნდის გარდა — არ ჰკვებავენ მთელ გროვა ჯარისკაცებს, მოხელეებსა და სხვა ვაჟბატონებს, რომელთაც თქვენ მიწათმოქმედ მოსახლეობას უმატებთ და მთელ ამ დომხალს საფაბრიკო-საქარხნო მოსახლეობას უპირისპირებთ? შემდეგ, განა რუსეთში არ არის ისეთი სარეწები, როგორიცაა მეთევზეობა და სხვ., რომელთა საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობასთან დაპირისპირება და მიწათმოქმედებასთან შეერთება ისევე უაზროა? თუ თქვენ გინდოდათ წარმოდგენა გქონოდათ რუსეთის მოსახლეობის შემადგენლობაზე მისი მოსაქმეობის მიხედვით, მაშინ საჭირო იყო, ჯერ-ერთი, ცალკე გამოგეყოთ მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც მატერიალურ ღირებულებათა წარმოებას მისდევს (მაშასადამე, გამოგეკლოთ არამშრომელი მოსახლეობა, ერთი მხრით, და ჯარისკაცები, მოხელეები, ხუცები და სხვ. —

ე. ი. ისეთ ზრდას, რომელმაც სწრაფად გაუსწრო მოსახლეობის ზრდას? ავტორმა, შეიძლება, სთქვას — მეტად მცირე დრო გავიდაო. მაგრამ, სამაგიეროდ, ეს ცნობები ხომ ერთგვაროვანია, შესადარისი და მეტი სისწორით განირჩევა; ეს — ერთი. მეორეც, განა თვით ავტორი ამავე ცნობებით არ სარგებლობდა, მიუხედავად მცირე დროისა, საფაბრ.-საქ. მრეწველობის ზრდის გამოსარკვევად?

გასაგებია, რომ ცნობები სახალხო შრომის მხოლოდ ერთი დარგის შესახებ არ შეიძლება მერყევი არ იყოს, როცა ამ დარგის მდგომარეობის ისეთ ცვალებად მაჩვენებელს მიმართავენ, როგორიცაა მუშების რიცხვი. ერთი დაუფიქრდით, როგორ უსაზღვროდ გულუბრყვილო მეოცნებე უნდა იყოს ადამიანი, რომ ასეთი ცნობების მიხედვით იმის იმედი იქონიოს, რომ ჩვენი კაპიტალიზმი დაიშლება, თვითონვე გაცამტვერდება, მედგარი, თავგანწირული ბრძოლის გარეშე! — ასეთი ცნობები რომ დაუპირისპიროს კაპიტალიზმის უეჭველ ბატონობას და განვითარებას სახალხო შრომის ყოველ დარგში!

მეორე მხრით), და მეორეც, ცდილიყავით გაგენაწილებინათ ის სახალხო შრომის სხვადასხვა დარგების მიხედვით. თუ ამისათვის სათანადო ცნობები არ აღმოჩნდებოდა, ხელიც არ უნდა მოგეკიდათ ამგვარი გაანგარიშებისათვის * და აბდაუბდა არ გელა-

* ბ-ნი ნიკ. —ონი შეეცადა ასეთი გაანგარიშება მოეყვანა «ნარკვევებში», მაგრამ მეტად უხეიროდ გამოუვიდა. 302 გვერდზე ვკითხულობთ:

«უკანასკნელ დროს სცადეს გამოერკვიათ ყველა თავისუფალი მუშის რიცხვი ევრ. რუსეთის 50 გუბერნიაში (ს. ა. კ ო რ ო ლ ე ნ კ ო. «თავისუფლად-დაქირავებული შრომა». სპბ. 1892). სასოფლო-სამეურნეო დეპარტამენტის გამოკვლევის მიხედვით სოფლის შრომისუნარიანი მოსახლეობის მთელი რიცხვი ევრ. რუსეთის 50 გუბერნიაში განისაზღვრება 35 712 ათასი კაცით, მაშინ როცა საერთო რიცხვი მუშებისა, რომლებიც სოფლის მეურნეობას, დამმუშავებელ, მომპოვებელ, სატრანსპორტო და სხვ. მრეწველობას სჭირდება, სულ 30 124 ათასი კაცით ისაზღვრება. ამრიგად, სრულიად ზედმეტი მუშების სიჭარბე უდრის მეტად დიდ რიცხვს — 5 588 ათას კაცს, რაც ოჯახებიანად, მიღებული ნორმით, შეადგენს არანაკლებ 15 მილიონი სულისა». (განმეორებულია ერთხელ კიდევ 341 გვერდზე.)

თუ ამ «გამოკველევას» მივმართავთ, დავინახავთ, რომ იქ «გამოკვლეულია» მხოლოდ თავისუფლად-დაქირავებული შრომის გამოყენება მემამულეების მიერ, და ამ გამოკვლევას ბ-მა ს. კოროლენკომ დაურთო ევრ. რუსეთის «მიმოხილვა» «სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის მხრივ». ამ მიმოხილვაში ავტორი შეეცადა (არა რომელიმე «გამოკველევის», არამედ არსებული ძველი ცნობების მიხედვით) მოსაქმეობის მიხედვით გაენაწილებინა ევრ. რუსეთის მუშა მოსახლეობა. ბ-მა ს. ა. კოროლენკომ შემდეგი შედეგი მიიღო: სულ ევრ. რუსეთის 50 გუბერნიაში არის 35 712 000 მუშა. აქედან მათს მოსაქმეობას შეადგენს:

მიწათმოქმედება	27 435,4	ათასი	30 124 ათ.
სპეციალურ მცენარეთა კულტურა. .	1 466,4	„	
საფაბ.-საქარხ. და სამთო მრეწვ. . .	1 222,7	„	
ებრაელები.	1 400,4	„	
ტყის სარეწები . . . . . დაახლ.	2 000	„	
მეცხოველეობა . . . . „	1 000	„	
რკინიგზის მოძრაობა . . . „	200	„	
მეთევზეობა . . . . . „	200	„	
ადგილობრივი და გარესარეწები, ნადირობა, ნადირთბერა და სხვ. დანარჩენნი	787,2	„	
სულ. . .	35 712,1	ათასი.	

პარაკნათ მოსახლეობის 1%-ზე (??!!), რომელიც საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობაშია ჩაბმული.

მესამეც — და ეს არის ყველაზე მთავარი და ყველაზე საზიზღარი დამახინჯება მარქსის თეორიისა კაპიტალიზმის პროგრესული, რევოლუციური მუშაობის შესახებ — საიდან აიღეთ თქვენ, რომ კაპიტალიზმის «გამაერთიანებელი მნიშვნელობა» გამოიხატება მხოლოდ ფაბრიკის მუშების გაერთიანებაში? თქვენი წარმოდგენა მარქსიზმის შესახებ ხომ არ გისესხნიათ «ოტეჩესტვენიე ზაპისკის» სტატიებიდან შრომის განსაზოგადოებაზე? თქვენც ხომ არ გგონიათ, რომ ეს არის მუშაობა ერთ შენობაში — და მეტი არაფერი?

მაგრამ არა. თითქოს შეუძლებელია ნიკ. — ონისათვის ამის დაყვედრება, იმიტომ რომ ის ზედმიწევნით ახასიათებს შრომის განსაზოგადოებას კაპიტალიზმის მიერ თავისი სტატიის მეორე გვერდზე «რ. ბოგატსტვოს» № 6-ში და სწორად აღნიშნავს ამ განსაზოგადოების ორივე თვისებას: 1) მუშაობას მთელი საზოგადოებისათვის და 2) ცალკეული მუშების გაერთიანებას საერთო შრომის პროდუქტის მისაღებად. მაგრამ, თუ ეს ასეა, რა საჭირო იყო კაპიტალიზმის «მისიაზე» მსჯელობა ფაბრიკის მუშების რიცხვის მიხედვით, როცა ამ «მისიას» ასრულებს კაპიტალიზმის განვითარება და შრომის განსაზოგადოება საერთოდ, პრო-

---

ამრიგად, ბ-მა კოროლენკომ (ცუდად თუ კარგად) ყ ვ ე ლ ა მუშები გაანაწილა მოსაქმეობის მიხედვით, ბ-მა ნიკ. — ონმა კი თვითნებურად აიღო პირველი სამი დარგი და ლაპარაკობს 5 588 ათას «სრულიად ზედმეტ» (??) მუშაზე!

ამ მარცხის გარდა, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ბ-ნ კოროლენკოს ანგარიში მეტად ტლანქი და არაზუსტია: სამიწათმოქმედო მუშების რიცხვი ერთი საერთო ნორმითაა განსაზღვრული მთელი რუსეთისათვის, გამოყოფილი არ არის არამწარმოებელი მოსახლეობა (ბ-მა კოროლენკომ, ხელისუფალთა ებრაელთმოძულეობის გავლენით, ამათ რიცხვში შეიტანა... ე ბ რ ა ე ლ ე ბ ი! არამწარმოებელი მუშების რიცხვი 1,4 მილიონზე მეტი უნდა იყოს: ვაჭრები, მათხოვრები, მაწანწალები, დამნაშავენი და სხვ.), უგვანოდ შემცირებულია შინამრეწველთა რიცხვი (უკანასკნელი დარგი — ადგილობრივი და გარესარეწები) და სხვ. უკეთესი იქნებოდა ასეთი გაანგარიშება სულ არ ყოფილიყო მოყვანილი.

ლეტარიატის შექმნა საერთოდ, — რომლის მიმართ ფაბრიკა-ქარხნის მუშები მხოლოდ მოწინავე რიგების, ავანგარდის როლს ასრულებენ. უცილობელია, რა თქმა უნდა, რომ პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობა დამოკიდებულია ამ მუშების რიცხვზეც, მათს კონცენტრაციაზეც, მათი განვითარების დონეზეც და სხვ., მაგრამ ყოველივე ეს არავითარ უფლებას არ გვაძლევს — კაპიტალიზმის «გამაერთიანებელი მნიშვნელობა» მხოლოდ ფაბრიკა-ქარხნის მუშების **რიცხვში** დავინახოთ. ეს ნიშნავს მარქსის იდეის წარმოუდგენლად შეგიწროებას.

მოვიყვან მაგალითს. თავის ბროშურაში: «Zur Wohnungsfrage» * ფრიდრიხ ენგელსი ლაპარაკობს გერმანიის მრეწველობაზე და აღნიშნავს, რომ არცერთს სხვა ქვეყანაში, გარდა გერმანიისა, — ის ლაპარაკობს მხოლოდ დასავლეთ ევროპაზე — არ არის ისეთი რაოდენობის დაქირავებული მუშები, რომელნიც ბაღს ან სახნავი მიწის ნაჭერს ჰფლობდნენო. «სოფლის შინამრეწველობა, შეერთებული მებაღეობასთან ან სოფლის მეურნეობასთან, — ამბობს იგი, — შეადგენს გერმანიის ახალგაზრდა მსხვილი მრეწველობის ფართო საფუძველს». ეს შინამრეწველობა, გერმანიის წვრილი გლეხობის გაჭირვების ზრდისდაკვალად, სულ უფრო და უფრო იზრდება (ისევე როგორც რუსეთში — დავუმატებთ ჩვენ), მაგრამ ამავე დროს მრეწველობის **შეერთება** მიწათმოქმედებასთან შინამრეწველის **კეთილდღეობის** პირობას კი არ წარმოადგენს, არამედ პირიქით — კიდევ მეტი **ჩაგვრისას**. ერთს ადგილზე მიმაგრებული, ის იძულებულია აიღოს რა ფასიც არ უნდა შესთავაზონ და ამიტომ კაპიტალისტს აძლევს არა მარტო ზეღირებულებას, არამედ ხელფასის დიდ ნაწილსაც (ისევე როგორც რუსეთში, სადაც უაღრესად არის განვითარებული მსხვილი წარმოების შინაური სისტემა). «ეს საქმეთა ვითარების ერთი მხარეა, — განაგრძობს ენგელსი, — მაგრამ მას მეორე მხარეც აქვს... შინამრეწველობის

* — «საბინაო საკითხისათვის». რ ე დ.

გავრცელებასთან ერთად სხვადასხვა ადგილის გლეხობა თანდათან ებმება თანამედროვე ეპოქის სამრეწველო მოძრაობაში. შინამრეწველობის შემწეობით სამიწათმოქმედო რაიონების ასეთი გარეევოლუციურება ბევრად უფრო ფართო ტერიტორიაზე ავრცელებს სამრეწველო რევოლუციას გერმანიაში, ვიდრე ეს ინგლისსა და საფრანგეთში მოხდა... ეს გვიხსნის, თუ რატომ მოხდა, რომ გერმანიაში, წინააღმდეგ ინგლისისა და საფრანგეთისა, რევოლუციური მუშათა მოძრაობა ასე ძლიერ გავრცელდა ქვეყნის ფართო ტერიტორიაზე, იმის მაგივრად, რომ მხოლოდ საქალაქო ცენტრებით დაკმაყოფილებულიყო. იგივე გარემოება გვიხსნის ამ მოძრაობის შეუშფოთებელ, მტკიცე, შეუჩერებელ ზრდას. გერმანიაში თავისთავად ცხადია, რომ ძლევამოსილი აჯანყება სატახტო ქალაქსა და სხვა დიდ ქალაქებში მხოლოდ მაშინ გახდება შესაძლებელი, როცა წვრილი ქალაქების უმრავლესობაც და სოფლის ოლქების მეტი ნაწილიც მომწიფდება გადატრიალებისათვის»[72].

აი შეხედეთ: არა თუ «კაპიტალიზმის გამაერთიანებელი მნიშვნელობა», არამედ მუშათა მოძრაობის წარმატებაც დამოკიდებული ყოფილა არა მარტო ფაბრიკის მუშების რიცხვზე, არამედ... შინამრეწველთა რიცხვზედაც! ხოლო ჩვენი თვითმყოფობის მოტრფიალენი უგულვებელჰყოფენ რუსეთის შინამრეწველურ სარეწთა უდიდესი უმრავლესობის წმინდა კაპიტალისტურ ორგანიზაციას, კაპიტალიზმს უპირისპირებენ მათ, როგორც რაღაც «სახალხო» მრეწველობას, და იმ «მოსახლეობის პროცენტზე, რომელიც კაპიტალიზმის უშუალო განკარგულებაში იმყოფება», მსჯელობენ ფაბრიკის მუშების რიცხვის მიხედვით! ეს უკვე მოგვაგონებს ბ-ნ კრივენკოს ასეთ მსჯელობას: მარქსისტებს სურთ მთელი ყურადღება ფაბრიკის მუშებს მიაქციონ, მაგრამ რადგან მათი რიცხვი მხოლოდ ერთი მილიონია ას მი-

ლიონში, ამიტომ ეს — ცხოვრების მხოლოდ პატარა კუთხეა, და აქ მუშაობა იმასვე ნიშნავს, რომ წოდებრივ ან საქველმოქმედო დაწესებულებებში მუშაობით დაკმაყოფილდე («რ. ბ—ვო», № 12). ფაბრიკები და ქარხნები ისეთივე პატარა კუთხე ყოფილა ცხოვრებისა, როგორც წოდებრივი და საქველმოქმედო დაწესებულებანი!! ჰოი, გენიალურო ბ-ნო კრივენკო! ალბათ, სწორედ წოდებრივი დაწესებულებანი ჰქმნიან პროდუქტებს მთელი საზოგადოებისათვის? ალბათ, სწორედ წოდებრივ დაწესებულებათა წესები ხსნიან მშრომელთა ექსპლოატაციასა და ექსპროპრიაციას? ალბათ, სწორედ წოდებრივ დაწესებულებებში უნდა ვეძებოთ პროლეტარიატის მოწინავე წარმომადგენლები, რომელთაც ძალუძთ აღმართონ მუშათა განთავისუფლების დროშა?

გასაკვირველი როდია ასეთი სიტყვები, როცა ამას პატარა ბურჟუაზიული ფილოსოფოსები ამბობენ, მაგრამ როცა რაღაც ამისი მსგავსი ბ-ნ ნიკ. —ონისაგან გესმის, — მაშინ როგორღაც საწყენად გრჩება ეს.

«კაპიტალის» 393 გვერდზე[73] მარქსს მოჰყავს ცნობები ინგლისის მოსახლეობის შემადგენლობის შესახებ. სულ ინგლისსა და უელსში 1861 წელს იყო 20 მილიონი სული. საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის მთავარ დარგებში ჩაბმული ყოფილა 1 605 440 მუშა *. ამავე დროს შინამოსამსახურე ყოფილა 1 208 648 კაცი; მეორე გამოცემის შენიშვნაში მარქსი მიუთითებს ამ უკანასკნელი კლასის განსაკუთრებით ჩქარ ზრდაზე. ახლა წარმოიდგინეთ, რომ ინგლისში აღმოჩნდნენ ისეთი «მარქსისტები», რომლებიც იმისთვის, რომ «კაპიტალიზმის გამაერთიანებელი მნიშვნელობის» შესახებ იმსჯელონ, 1,6 მილიონს გაჰყოფდნენ 20-ზე!! გამოდის

* 642 607 კაცი მუშაობს საფეიქრო მრეწველობაში, წინდებისა და მაქმანის წარმოებაში (ჩვენში ათიათასობით ქალები, რომელნიც წინდებსა და მაქმანზე მუშაობენ, წარმოუდგენელ ექსპლოატაციას განიცდიან «ვაჭარ ქალთაგან», რომელთათვისაც ისინი მუშაობენ. ხელფასი ზოგჯერ ს ა მ კაპიკამდე (sic!) ჩამოდის დღეში! ნუთუ ისინი, ბ-ნო ნიკ. —ონ, «კაპიტალიზმის უშუალო განკარგულებაში» არ «იმყოფებიან»?), შემდეგ 565 835 კაცი ქვანახშირისა და ლითონის მაღაროებში მუშაობს, ხოლო 396 998 — ყველა ლითონის წარმოებებსა და მანუფაქტურებში.

8% — ერთ მეთორმეტედ ნაწილზე ნაკლები!!! როგორლა შეიძლება კაპიტალიზმის «მისიაზე» ლაპარაკი, როცა მან მოსახლეობის ერთი მეთორმეტედიც კი ვერ გააერთიანა! ამასთან უფრო სწრაფად იზრდება «შინაური მონების» კლასი, — ესაა «სახალხო შრომის» უქმი დანაკლისი, რაც მოწმობს, რომ «ჩვენ», ინგლისელები, «უმართებულო გზით» მივდივართ! განა ცხადი არ არის, რომ «ჩვენ» მოგვიხდება «ჩვენი სამშობლოსათვის სხვა», არაკაპიტალისტური «განვითარების გზების ძებნა»?!

ბ-ნ ნიკ.—ონის არგუმენტაციაში დარჩა კიდევ ერთი მუხლი: როცა ის ამბობს, რომ ჩვენს კაპიტალიზმს არ მოაქვს ის გამაერთიანებელი მნიშვნელობა, რაც «ასე დამახასიათებელია დასავლეთ ევროპისათვის და განსაკუთრებული სიძლიერით იჩენს თავს ჩრდილო ამერიკაში», მას, ალბათ, მხედველობაში აქვს მუშათა მოძრაობა. ამრიგად, ჩვენ სხვა გზები უნდა ვეძებოთ, რადგან ჩვენს კაპიტალიზმს არ მოაქვს მუშათა მოძრაობა. ეს საბუთი, მგონია, უკვე გამოყენებულია ბ-ნ მიხაილოვსკის მიერ. მარქსს მხედველობაში ჰყავდა მზამზარეული პროლეტარიატი — ასწავლიდა ის მარქსისტებს. და როცა მას ერთმა მარქსისტმა შენიშნა, რომ ის სილატაკეში მხოლოდ სილატაკეს ხედავს, მან ასე უპასუხა: ეს შენიშვნა, ჩვეულებისამებრ, მთლიანად მარქსიდან არის ამოღებულია. მაგრამ თუ «ფილოსოფიის სილატაკის» ამ ადგილს მივმართავთ, — დავინახავთ, რომ ჩვენს საქმეებს ის არ მიუდგება, რომ ჩვენი სილატაკე — მხოლოდ სილატაკეაო. — ნამდვილად კი «ფილოსოფიის სილატაკიდან» ჯერ კიდევ ვერაფერს ვერ დავინახავთ. მარქსი იქ ძველი სკოლის კომუნისტების შესახებ ლაპარაკობს, რომ ისინი სილატაკეში მხოლოდ სილატაკეს ხედავენ და ვერ ამჩნევენ მის რევოლუციურ, გამანადგურებელ მხარეს, რომელიც დაამხობს კიდევაც ძველ საზოგადოებას[74]. ცხადია, რომ იმის მტკიცების საფუძველს, თითქოს ეს გამოუსადეგარი იყოს ჩვენი მდგომარეობისათვის, ბ-ნ მიხაილოვსკისთვის წარმოადგენს მუშათა მოძრაობის «გამოხატულების» არარსებობა. ამ მსჯელობის გამო შევნიშნავთ, ჯერ-ერთი, რომ მხოლოდ ფაქტების სულ ზერელე გაცნობას შეუძლია იმ იდეის ჩაგონება, თითქოს მარქსს მხედველობაში ჰყავ-

და მზამზარეული პროლეტარიატი. მარქსმა თავისი კომუნისტური პროგრამა ჯერ კიდევ 1848 წლამდე შეიმუშავა. რა მუშათა მოძრაობა* იყო მაშინ გერმანიაში? მაშინ პოლიტიკური თავისუფლებაც კი არ ყოფილა, და კომუნისტების მუშაობა განისაზღვრებოდა ფარული წრეებით (როგორც ახლა ჩვენთანაც). სოციალ-დემოკრატიული მუშათა მოძრაობა, რომელმაც ყველას თვალსაჩინოდ დაანახვა კაპიტალიზმის რევოლუციური და გამაერთიანებელი როლი, ორი ათეული წლის შემდეგ დაიწყო, როცა მეცნიერული სოციალიზმის დოქტრინა საბოლოოდ შემუშავდა, როცა უფრო ფართოდ გავრცელდა მსხვილი ინდუსტრია და გამოჩნდნენ ამ დოქტრინის მთელი რიგი ნიჭიერი და ენერგიული გამავრცელებელნი მუშათა წრეებში. გარდა იმისა, რომ უკულმართად აშუქებენ ისტორიულ ფაქტებს, ივიწყებენ უამრავ შრომას, რაც სოციალისტებმა დახარჯეს მუშათა მოძრაობაში შეგნებულობისა და ორგანიზებულობის შესატანად, ჩვენი ფილოსოფოსები ამის გარდა მარქსს ყოვლად უაზრო ფატალისტურ შეხედულებებს მიაწერენ. თითქოს, მისი აზრით, მუშების ორგანიზაცია და განსაზოგადოება თავისთავად ხდება და, მაშასადამე, თუ ჩვენ კაპიტალიზმს ვხედავთ, ხოლო მუშათა მოძრაობას ვერ ვამჩნევთ, ეს იმიტომ ხდება, რომ კაპიტალიზმი ვერ ასრულებს თავის მისიას, და არა იმიტომ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ სუსტად ვმუშაობდეთ მუშებს შორის ამ ორგანიზაციასა და პროპაგანდაზეო. არც კი ღირს ჩვენი თვითმყოფი ფილოსოფოსების ამ მეშჩანური ლაჩრული ოინის უარყოფა: მას უარჰყოფს ყველა ქვეყნის სოციალ-დემოკრატების მთელი მოღვაწეობა, მას უარჰყოფს რომელიც გნებავთ მარქსისტის ყოველი საჯარო სიტყვა. სოციალ-დემოკრატიაო — სრულიად სამართლიანად ამბობს კაუტსკი — ეს არის მუშათა მოძრაობის შეერთება სოციალიზმთან. და იმისათვის, რომ კაპიტალიზმის პროგრესულმა მუ-

* თუ რამდენად მცირერიცხოვანი იყო მაშინ მუშათა კლასი, შეიძლება დავასკვნათ იქიდან, რომ 27 წლის შემდეგ, 1875 წელს, მარქსი სწერდა: «მშრომელი ხალხი გერმანიაში უმთავრესად გლეხებისაგან შესდგება და არა პროლეტარებისაგან» [75]. აი რას ნიშნავს «მხედველობაში გყავდეს (??) მზამზარეული პროლეტარიატი»!

შაობამ ჩვენშიც «იჩინოს თავი», ჩვენმა სოციალისტებმა მთელი ენერგიით ხელი უნდა მოჰკიდონ თავიანთ მუშაობას; მათ უფრო დაწვრილებით უნდა შეიმუშაონ რუსეთის ისტორიისა და სინამდვილის მარქსისტული გაგება, უფრო კონკრეტულად უნდა მიჰყვნენ კვალდაკვალ კლასობრივი ბრძოლისა და ექსპლოატაციის ყველა ფორმას, რომლებიც განსაკუთრებით დახლართული და დაფარულია რუსეთში. მათ უფრო პოპულარული უნდა გახადონ ეს თეორია, მიუტანონ ის მუშას, დაეხმარონ მუშას მის შეთვისებაში და შეიმუშაონ ჩვენი პირობებისათვის ყველაზე უფრო შესაფერისი ფორმა ორგანიზაციისა სოციალ-დემოკრატიზმის გასავრცელებლად და მუშების შესაკავშირებლად პოლიტიკურ ძალად. ხოლო რუს სოციალ-დემოკრატებს არა თუ არასოდეს არ უთქვამთ, რომ მათ უკვე დაამთავრეს, შეასრულეს ეს მუშაობა მუშათა კლასის იდეოლოგებისა (აქ მუშაობას დასასრულიც არ უჩანს), არამედ, პირიქით, ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ საქმეს მხოლოდ ახლა იწყებენ, რომ ჯერ კიდევ საჭიროა მრავალ პირთა თავგამოდება, რათა რაიმე მაინც მკვიდრი შეიქმნას.

გარდა მარქსის თეორიის არადამაკმაყოფილებელი და საშინლად ვიწრო გაგებისა, ეს გაცვეთილი პასუხი, თითქოს ჩვენი კაპიტალიზმი პროგრესულ მუშაობას არ ასრულებდეს, დაყრდნობილია, მგონი, კიდევ მითური «ხალხური წყობილების» უაზრო იდეაზე.

როცა «გლეხი» ყბადაღებულ «თემში» ითიშება ბოგანოდ და მდიდრად, პროლეტარიატისა და კაპიტალის წარმომადგენლებად (განსაკუთრებით სავაჭრო კაპიტალისა), — მაშინ აქ არ სურთ დაინახონ ჩანასახოვანი, საშუალოსაუკუნეობრივი კაპიტალიზმი, გვერდს უვლიან სოფლის პოლიტიკურ-ეკონომიურ სტრუქტურას და «სამშობლოსათვის სხვა გზების» გამოსაძებნად ლაყბობენ გლეხების მიწათმფლობელობის იმ ფორმის სახეცვლილებაზე, რასაც მიუტევებლად ურევენ ეკონომიური ორგანიზაციის ფორმაში, თითქოს თვით «გამათანაბრებელ თემში» ფართოდ არ ხდებოდეს ჩვენში გლეხობის წმინდა ბურჟუაზიული დაშლა. ხოლო როდესაც ეს კაპიტალიზმი ვითარდება, ლახავს საშუალო-

საუკუნეობრივი, სოფლის კაპიტალიზმის ვიწრო ფორმებს, ამსხვრევს მიწის ბატონყმურ ძალაუფლებას და აიძულებს კარგა ხანია უკვე პირწმინდად გაძარცულ და მშიერ გლეხს მიატოვოს მიწა, ჩაუგდოს ის ხელში საზოგადოებას გამარჯვებულ კულაკთა შორის გათანაბრებითი განაწილების მოსახდენად, გადაიხვეწოს სხვა მხარეს, დიდხანს იხეტიალოს უმუშევრად მთელ რუსეთში, დღეს მემამულეს მიექირაოს, ხვალ — რკინიგზის მოიჯარეს, შემდგომ შავ მუშად წავიდეს ქალაქში ან მოჯამაგირედ დადგეს მდიდარ გლეხთან და ა. შ.; როდესაც ეს «გლეხი» იცვლის მეპატრონეებს მთელ რუსეთში და ხედავს, რომ ყველგან, სადაც კი მივიდა, მას ყოვლად უსირცხვილოდ სძარცვავენ, ხედავს, რომ მის გვერდით სძარცვავენ ისეთივე ბოგანოებს, როგორიც თვითონაა, ხედავს, რომ სძარცვავს არა აუცილებლად «ბატონი», არამედ «მისი თანამოძმე-გლეხიც», თუ კი მას აქვს ფული სამუშაო ძალის საყიდლად, ხედავს, რომ მთავრობა ყველგან მის მეპატრონეებს ემსახურება, ავიწროებს მუშების უფლებებს და «ბუნტის» სახით ახშობს მათს ყოველგვარ ცდას თავიანთ ელემენტარულ უფლებათა დაცვისას, ხედავს, თუ დღითი-დღე როგორ სულ უფრო დაძაბული ხდება რუსი მუშის შრომა, სულ უფრო სწრაფად იზრდება სიმდიდრე და ფუფუნება, — მაშინ როდესაც მუშის მდგომარეობა სულ უფრო უარესდება, ექსპროპრიაცია ძლიერდება და უმუშევრობა ნორმად ხდება, — ამ დროს მარქსიზმის ჩვენი კრიტიკოსები სხვა გზებს ეძებენ სამშობლოსათვის, ამ დროს სწყვეტენ ისინი ღრმააზროვან საკითხს: შეიძლება თუ არა აქ კაპიტალიზმის პროგრესული მუშაობა ვცნოთ, როცა ვხედავთ ფაბრიკის მუშების რიცხვის ნელ ზრდას, და საჭირო ხომ არ არის ჩვენი კაპიტალიზმის უარყოფა და მისი აღიარება უმართებულო გზად იმიტომ, რომ ის ასე «ცუდად, ძალიან, ძალიან ცუდად ასრულებს თავის ისტორიულ მისიას».

მართლაც, რა ამაღლებული, ფართო-ჰუმანური საქმიანობაა, — არა?

და რა ვიწრო დოქტრინიორები არიან ეს ბოროტი მარქსისტები, როცა ამბობენ, რომ სამშობლოსათვის სხვანაირი გზების ძიება რუსეთში ყველგან მშრომელის კაპიტალისტური ექსპლოა-

ტაციის არსებობის დროს — ნიშნავს სინამდვილისათვის ზურგის შებრუნებას და უტოპიების სფეროში დამალვას, როცა მათ მიაჩნიათ, რომ თავის მისიას ცუდად ასრულებს არა ჩვენი კაპიტალიზმი, არამედ რუსი სოციალისტები, რომელთაც არ სურთ გაიგონ, რომ რუსეთის საზოგადოების ანტაგონისტური კლასების საუკუნეობრივი ეკონომიური ბრძოლის შენელებაზე ოცნებობა — ეს ნიშნავს მანილოვშჩინას, არ სურთ გაიგონ, რომ უნდა ვცდილობდეთ ორგანიზებულობისა და შეგნებულობის ხასიათი მივცეთ ამ ბრძოლას და ამისათვის ხელი მოვკიდოთ სოციალ-დემოკრატიულ მუშაობას.

დასასრულ არ შეიძლება არ აღინიშნოს კიდევ ერთი გამოტყვრომა ბ-ნ ნიკ. —ონისა ბ-ნ სტრუვეს წინააღმდეგ «რ. ბოგატსტვოს» იმავე № 6-ში.

«არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ — ამბობს ბ-ნი ნიკ. —ონი — ბ-ნ სტრუვეს პოლემიკის ერთგვარ თავისებურებას. ის სწერდა გერმანიის საზოგადოებისათვის, გერმანულ სერიოზულ ჟურნალში, ხერხებს კი თითქოს სრულიად შეუფერებელს ხმარობდა. უნდა ვიფიქროთ, რომ არა მარტო გერმანიის, არამედ თვით რუსეთის საზოგადოებაც იმდენად გაიზარდა — «მოწიფული ადამიანის ზომისად», რომ საეჭვოა მისი სტატიის სხვადასხვაგვარმა «საფრთხობელებმა» რაიმე შთაბეჭდილება მოახდინონ. «უტოპია», «რეაქციული პროგრამა» და სხვა ამგვარი გამოთქმები ყოველ სვეტში გვხვდება. მაგრამ, დახეთ, ეს «საშინელი სიტყვები» სრულებითაც აღარ ახდენენ იმ შთაბეჭდილებას, რომლის იმედი, როგორც სჩანს, ბ-ნ სტრუვეს აქვს» (გვ. 128).

ვცადოთ გავერკვეთ, არის თუ არა ბ-ნ ნიკ. —ონისა და ბ-ნ სტრუვეს ამ კამათში «შეუფერებელი ხერხები» და თუ არის, — ვინ ხმარობს მათ.

ბ-ნ სტრუვეს «შეუფერებული ხერხების» ხმარებას აბრალებენ იმიტომ, რომ ის სერიოზულ სტატიაში საზოგადოებას «საფრთხობელებით» და «საშინელი სიტყვებით» აფრთხობს.

«საფრთხობელათა» და «საშინელი სიტყვების» ხმარება — ეს ნიშნავს მოწინააღმდეგის ისეთ დახასიათებას, რომელიც სასტი-

კად უარყოფითია, მაგრამ ამავე დროს არ არის ნათლად და გარკვეულად დასაბუთებული, აუცილებლობით არ გამომდინარეობს დამწერის თვალსაზრისიდან (გარკვეულად გადმოცემული თვალსაზრისიდან) და მხოლოდ გალანძღვის, განადგურების სურვილს მოწმობს.

ცხადია, რომ მხოლოდ ეს უკანასკნელი თვისება აქცევს სასტიკად უარყოფითს ეპითეტებს «საფრთხობელებად». ბ-მა სლონიმსკიმ ხომ მკაცრად გაილაშქრა ბ-ნ ნიკ.—ონის წინააღმდეგ, მაგრამ რადგან ამასთანავე მან ნათლად და ზუსტად ჩამოაყალიბა თავისი თვალსაზრისი, როგორც ჩვეულებრივი ლიბერალისა, რომელიც აბსოლუტურად უძლურია გაიგოს თანამედროვე წყობილების ბურჟუაზიულობა, სავსებით გარკვეულად ჩამოაყალიბა თავისი ფენომენალური მოსაზრებები, — ამიტომ მას ყველაფერში შეიძლება ბრალი დავდოთ, მაგრამ არა «შეუფერებელ ხერხებში». ბ-მა ნიკ.—ონმაც მკაცრი პასუხი გასცა ბ-ნ სლონიმსკის, — სხვათა შორის, ჭკუისსასწავლად და დასარიგებლად მოუყვანა მარქსის სიტყვები, «რომელნიც ჩვენშიც გამართლდნენ» (ბ-ნ ნიკ.—ონის აღიარება), წვრილი შინამრეწველობისა და წვრილი გლეხური მიწათმფლობელობის იმ დაცვის რ ე ა ქ ც ი უ ლ ო ბ ი ს ა და უ ტ ო პ ი უ რ ო ბ ი ს შესახებ, რომელიც სურს ბ-ნ სლონიმსკის, შემდეგ მას «სივიწროვე» და «გ უ ლ უ ბ რ ყ ვ ი ლ ო ბ ა» დააბრალა და სხვ. შეხედეთ, ბ-ნ ნიკ.—ონის სტატია «აღსავსეა» ისეთივე ეპითეტებით (ხაზგასმულებით), როგორც ბ-ნ სტრუვეს სტატიაც, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია «შეუფერებელ ხერხებზე» ვილაპარაკოთ, ვინაიდან ყველაფერი ეს დასაბუთებულია, ყველაფერი ეს გამომდინარეობს გარკვეული თვალსაზრისიდან და ავტორის შეხედულებათა სისტემიდან, რომლებიც შეიძლება სწორი არ იყოს, მაგრამ თუ ეს შეხედულებანი მივიღეთ, სხვანაირად ვერ მოვეპყრობით მოწინააღმდეგეს, თუ არ როგორც გულუბრყვილო, ვიწრო, რეაქციონერ უტოპისტს.

ახლა ვნახოთ, როგორია საქმის ვითარება ბ-ნ სტრუვეს სტატიაში. როდესაც ბ-ნ ნიკ.—ონს აბრალებს უტოპისტობას, რომლისგანაც უნდა წარმოიშვას რეაქციული პროგრამა, და გულუბრყვილობას, იგი სავსებით ნათლად აღნიშნავს იმ საფუძვლებს,

რომელთა მიხედვით ამ შეხედულებამდე მივიდა. პირველი: როცა ბ-ნ ნიკ.—ონს «წარმოების განსაზოგადოება» სურს, ის «მიმართავს საზოგადოებას (sic!) და სახელმწიფოს». ეს «ამტკიცებს, რომ მარქსის მოძღვრება კლასობრივ ბრძოლასა და სახელმწიფოზე სრულიად უცხოა რუსი პოლიტიკო-ეკონომისათვის». ჩვენი სახელმწიფო «მმართველი კლასების წარმომადგენელია».—მეორე: «თუ ნ ა მ დ ვ ი ლ კ ა პ ი ტ ა ლ ი ზ მ ს წ ა რ მ ო ს ა ხ ვ ი თ ს სამეურნეო წყობილებას დავუპირდაპირებთ, რომელიც უ ნ დ ა გაჩნდეს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ჩვენ გ ვ ს უ რ ს, სხვა სიტყვებით, თუ წარმოების განსაზოგადოებას მოვისურვებთ კაპიტალიზმის გარეშე, ეს მხოლოდ ჩვენი გულუბრყვილო, ისტორიის შეუფერებელი გაგების მაჩვენებელი იქნება». კაპიტალიზმის განვითარებასა, ნატურალური მეურნეობის განდევნასა, სოფლის მოსახლეობის შემცირებასთან ერთად, «თანამედროვე სახელმწიფო გამოვა იმ ბინდისაგან, რომელშიც ჯერ კიდევ იმყოფება ჩვენს პატრიარქალურ დროში (ჩვენ ვლაპარაკობთ რუსეთზე), გამოვა აშკარა კლასობრივი ბრძოლის მკვეთრ სინათლეზე, და წარმოების განსაზოგადოებისათვის სხვა ძალებისა და ფაქტორების მოძებნა მოგვიხდება».

მერე რა, განა ეს საკმაოდ ნათელი და გარკვეული დასაბუთება არ არის? განა შეიძლება ბ-ნ სტრუვეს მიერ ავტორის აზრზე ფაქტიურ მითითებათა სისწორის უარყოფა? განა ბ-მა ნიკ.—ონმა მართლა მიიღო მხედველობაში კლასობრივი ბრძოლა, რომელიც კაპიტალისტურ საზოგადოებას ახასიათებს? არა. იგი ლაპარაკობს საზოგადოებასა და სახელმწიფოზე და ივიწყებს ამ ბრძოლას, გამორიცხავს მას. მაგალითად, ის ამბობს, რომ სახელმწიფო ეხმარებოდა კაპიტალიზმს, იმის მაგივრად, რომ შრომა განესაზოგადოებინა თემის შემწეობითო და სხვ. ცხადია, იგი ფიქრობს, რომ სახელმწიფოს შეეძლო ასეც მოქცეულიყო და ისეც, რომ, მაშასადამე, სახელმწიფო კ ლ ა ს ე ბ ი ს გ ა რ ე შ ე დგას. განა ცხადი არ არის, რომ დ ი დ ი უსამართლობაა ბ-ნ სტრუვესთვის «დამაფრთხობელი სიტყვების» ხმარების დაბრალება? განა ცხადი არ არის, რომ ადამიანს, რომელიც ჩვენს სახელმწიფოს კლასობრივ სახელმწიფოდ სთვლის, არ შეუძლია გულუბრყვილო და რეაქციონერ უტოპისტად არ ჩასთვალოს ის, ვინც ამ

სახელმწიფოს მიმართავს შრომის განსაზოგადოების მიზნით, ე. ი. მმართველი კლასების მოსპობის მიზნით? ეს კიდევ ცოტაა. როცა მოწინააღმდეგეს «დამაშინებელი სიტყვების» ხმარებას აბრალებენ, ხოლო სდუმან მის იმ შეხედულებაზე, რომლიდანაც ეს მისი შეფასება გამომდინარეობს, მიუხედავად იმისა, რომ მან ნათლად გამოსთქვა ეს შეხედულება, როცა, ამასთანავე, ამ ბრალდებას უყენებენ ცენზურას დაქვემდებარებულ ჟურნალში, სადაც მისი შეხედულება გზას ვერ გაიკვლევს, — ნუთუ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს — «სრულიად შეუფერებელი ხერხია»?

განვაგრძოთ. ბ-ნ სტრუვეს მეორე მოსაზრება არანაკლებ ნათლად არის გამოთქმული. უეჭველია, რომ შრომის განსაზოგადოება კაპიტალიზმის გარეშე, თემის შემწეობით — ფანტაზიაში არსებული წყობილებაა, ვინაიდან იგი სინამდვილეში არ არსებობს. ამ სინამდვილეს თვით ბ-ნი ნიკ.—ონი ასე გვიხატავს: 1861 წლამდე მწარმოებელი ერთეულები იყო «ოჯახი» და «თემი» («ნარკვევები», გვ. 106 — 107). ეს «წვრილი, დაქსაქსული, თვითმყოფი წარმოება შესამჩნევად ვერ განვითარდებოდა, ამიტომაც ის დამახასიათებელია, როგორც მეტად რუტინული და ნაკლებ პროდუქტიული». შემდგომი ცვლილება იმაში მდგომარეობდა, რომ «შრომის საზოგადოებრივი დანაწილება სულ უფრო და უფრო ღრმავდებოდა». მაშასადამე, კაპიტალიზმმა გაარღვია წინანდელი საწარმოო ერთეულების ვიწრო საზღვრები და შრომა განასაზოგადოვა მთელ საზოგადოებაში. ბ-ნი ნიკ.—ონიც სცნობს შრომის ამ განსაზოგადოებას ჩვენი კაპიტალიზმის მიერ. ამიტომ, როცა მას შრომის განსაზოგადოებისათვის სურს დაეყრდნოს არა კაპიტალიზმს, რომელმაც უკვე განასაზოგადოვა შრომა, არამედ თემს, რომლის დარღვევამ **პირველად** მოგვცა შრომის განსაზოგადოება **მთელ საზოგადოებაში,** ის რეაქციული უტოპისტია. აი ბ-ნ სტრუვეს აზრი. შეიძლება ეს აზრი სწორად ან შემცდარად მივიჩნიოთ, მაგრამ არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ამ შეხედულებიდან ლოგიკური აუცილებლობით გამომდინარეობს მკაცრი შეფასება ბ-ნ ნიკ.—ონისა, და ამიტომ «დამაშინებელ სიტყვებზე» ლაპარაკი ზედმეტია.

ეს კიდევ ცოტაა. როცა ბ-ნი ნიკ.—ონი თავის კამათს ბ-ნ სტრუვესთან ამთავრებს იმით, რომ მოწინააღმდეგეს მიაწერს გლეხობის გაბოგანოების სურვილს («თუ პროგრესულ პროგრამად გლეხობის გაბოგანოება ვიგულისხმეთ,... მაშინ «ნარკვევების» ავტორი კონსერვატორია»),—მიუხედავად ბ-ნ სტრუვეს პირდაპირი განცხადებისა, რომ მას შრომის განსაზოგადოება სურს, სურს ეს კაპიტალიზმის შემწეობით, რისთვისაც სურს იმ ძალებს დაეყრდნოს, რომელნიც გამოჩნდებიან «აშკარა კლასობრივი ბრძოლის მკვეთრ სინათლეზე»,—არ შეიძლება ამას ჭეშმარიტების დიამეტრულად საწინააღმდეგო გადმოცემა არ ვუწოდოთ. ხოლო თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ცენზურას დაქვემდებარებულ პრესაში ბ-ნ სტრუვეს არ შეეძლო ელაპარაკნა იმ ძალებზე, რომელნიც კლასობრივი ბრძოლის მკვეთრ სინათლეზე გამოდიან, რომ, მაშასად., ბ-ნ ნიკ.—ონის მოწინააღმდეგეს პირში ბურთი ჩასჩარეს,—მაშინ შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ ბ-ნ ნიკ.—ონის ხერხი უკვე ყოვლად «შეუფერებელი ხერხია».

დამატება III

როცა მარქსიზმის ვიწრო გაგებაზე ვლაპარაკობ, მე თვით მარქსისტებს ვგულისხმობ. არ შეიძლება ამის გამო არ აღინიშნოს, რომ მარქსიზმი უსაძაგლეს შევიწროებასა და დამახინჯებას განიცდის, როცა ჩვენი ლიბერალები და რადიკალები იწყებენ მის გადმოცემას ლეგალური პრესის ფურცლებზე. რა გადმოცემაა ეს! თვით განსაჯეთ, როგორ უნდა დაამახინჯო ეს რევოლუციური დოქტრინა, რათა ის რუსეთის ცენზურის პროკრუსტეს სარეცელზე მოთავსდეს! ჩვენი პუბლიცისტები ადვილად ახდენენ ამ ოპერაციას: მარქსიზმი მათს გადმოცემაში, თითქოს, იქცევა მოძღვრებად იმის შესახებ, თუ როგორ ხდება კაპიტალისტური წყობილების დროს დიალექტიკური განვითარება იმ ინდივიდუალური საკუთრებისა, რომელიც მესაკუთრის შრომაზეა დაფუძნებული, როგორ იქცევა ის თავის უარყოფად და შემდეგ როგორ ხდება მისი განსაზოგადოება. და სერიოზულად ჰგონიათ, რომ მარქსიზმის მთელი შინაარსი ამ «სქემაშია», გვერდს უვლიან მისი სოციოლოგიური მეთოდის მთელ თავისებურებას, კლასობრივი ბრძოლის მოძღვრებას, გვერდს უვლიან კვლევა-ძიების პირდაპირ მიზანს — ანტაგონიზმისა და ექსპლოატაციის ყველა ფორმის გამოაშკარავებას, რათა პროლეტარიატს დაეხმარო მათს დამხობაში. გასაკვირალი არ არის, რომ გამოდის რაღაც ისეთი უფერული და ვიწრო რამ, რომ ჩვენი რადიკალები იწყებენ საბრალო რუსი მარქსისტების გამოტირებას. რატომაც არა! რუსული აბსოლუტიზმი და რუსეთის რეაქცია აბსოლუტიზმი და

რეაქცია არ იქნებოდა, მათი არსებობის დროს რომ შესაძლებელი ყოფილიყო მარქსიზმის სრულად, ზედმიწევნით და ყოველმხრივ გადმოცემა და ყველა მისი დასკვნის ბოლომდე აშკარად გამოთქმა! და ჩვენს ლიბერალებს და რადიკალებს რომ ხეირიანად სცოდნოდათ მარქსიზმი (თუნდაც გერმანული ლიტერატურის მიხედვით), მათ შერცხვებოდათ და ასე არ დაამახინჯებდნენ მას ლეგალურ პრესაში. თუ თეორიის გადმოცემა არ შეიძლება — გაჩუმდით ან სთქვით, რომ ყველაფერს ვერ ამბობთ, რომ სტოვებთ ყველაზე არსებითს, მაგრამ როცა ნაწყვეტებს იძლევით, რატომ ყვირით სივიწროვეზე?

მხოლოდ ამ გზით შეიძლება წარმოსდგეს ისეთი კურიოზები, რაც მარტო რუსეთშია შესაძლებელი, როდესაც მარქსისტებს აკუთვნებენ ადამიანებს, რომელთაც წარმოდგენაც კი არა აქვთ კლასობრივ ბრძოლაზე, აუცილებელ ანტაგონიზმზე, რაც კაპიტალისტურ საზოგადოებას ახასიათებს, და ამ ანტაგონიზმის განვითარებაზე, — ადამიანებს, რომელთაც წარმოდგენაც კი არა აქვთ პროლეტარიატის რევოლუციურ როლზე; როდესაც მარქსისტებს აკუთვნებენ იმ ადამიანებსაც კი, რომელნიც პირდაპირ ბურჟუაზიული პროექტებით გამოდიან, ოღონდ კი ნახმარი ჰქონდეთ ისეთი სიტყვები, როგორიცაა «ფულადი მეურნეობა», მისი «აუცილებლობა» და სხვა ამგვარი გამოთქმები, რომელთა სპეციალურად მარქსისტულ გამოთქმებად აღიარებისათვის საჭიროა ბ-ნ მიხაილოვსკის გონებამახვილობის მთელი სიღრმე.

მარქსი კი თავისი თეორიის მთელ ღირსებად სთვლიდა იმას, რომ ის «თვით თავისი დედაარსით კრიტიკული* და

---

* მიაქციეთ ყურადღება, რომ მარქსი აქ ლაპარაკობს მატერიალისტურ კრიტიკაზე, რომელსაც ის ერთადერთ მეცნიერულ კრიტიკად სთვლის, ე. ი. ისეთ კრიტიკაზე, რომელიც პოლიტიკურ-იურიდიულ, სოციალურ, საყოფაცხოვრებო და სხვ. ფაქტებს უფარდებს ეკონომიკას, წარმოებით ურთიერთობათა სისტემას, იმ კლასების ინტერესებს, რომელნიც აუცილებლად ყალიბდებიან ყველა ანტაგონისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის ნიადაგზე. რუსეთის საზოგადოებრივი ურთიერთობანი რომ ანტაგონისტურია, ამაში არა გვგონია შეეძლოს ვისმე ეჭვის შეტანა. მაგრამ ჯერ ჯერობით უცდია ა ს ნ ე თ ი - კრიტიკის საფუძვლად გაეხადა ეს ურთიერთობანი.

რევოლუციური თეორიაა»[76]. და ეს უკანასკნელი თვისება მართლაც ახასიათებს მარქსიზმს მთლიანად და უცილობლად, იმიტომ რომ ეს თეორია პირდაპირ ამოცანად ისახავს გამოააშკარაოს ანტაგონიზმისა და ექსპლოატაციის ყველა ფორმა თანამედროვე საზოგადოებაში, შეისწავლოს მათი ევოლუცია, დაამტკიცოს მათი გარდამავალი ხასიათი, მათი სხვა ფორმაში გადასვლის აუცილებლობა და ამრიგად პროლეტარიატს ემსახუროს იმ მხრივ, რომ მან რაც შეიძლება ჩქარა და რაც შეიძლება ადვილად მოუღოს ბოლო ყოველგვარ ექსპლოატაციას. უძლეველი მიმზიდველი ძალა, რომელიც ამ თეორიისაკენ ყველა ქვეყნის სოციალისტებს იზიდავს, სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ის უმკაცრეს და უმაღლეს მეცნიერულობას (როგორც საზოგადოებრივი მეცნიერების უკანასკნელი სიტყვა) აერთებს რევოლუციონერობასთან, და აერთებს არა შემთხვევით, არა მარტო იმიტომ, რომ დოქტრინის დამფუძნებელი პირადად მეცნიერიც იყო და რევოლუციონერიც, არამედ აერთებს თვით თეორიაში შინაგანად და განუყრელად. მართლაც, თეორიის ამოცანად, მეცნიერების მიზნად აქ პირდაპირ დასახულია ჩაგრულთა კლასისათვის ხელის შეწყობა მის ნამდვილად წარმოებულ ეკონომიურ ბრძოლაში.

> «ჩვენ არ ვეუბნებით ქვეყანას: თავი დაანებე ბრძოლას — მთელი შენი ბრძოლა არარაობაა. ჩვენ მას მხოლოდ ბრძოლის ჭეშმარიტ ლოზუნგს ვაძლევთ»[77].

მაშასადამე, მეცნიერების პირდაპირი ამოცანა, მარქსის აზრით, არის ბრძოლის ჭეშმარიტი ლოზუნგის მოცემა, ე. ი. ობიექტურად ამ ბრძოლის წარმოდგენა, როგორც წარმოებით ურთიერთობათა განსაზღვრული სისტემის პროდუქტისა, ამ ბრძოლის აუცილებლობის, მისი შინაარსის, მსვლელობისა და განვითარების პირობების გაგება. შეუძლებელია «ბრძოლის ლოზუნგის» მოცემა ისე, თუ დაწვრილებით არ შეისწავლე ამ

ბრძოლის თვითეული ცალკე ფორმა, თვალყური არ ადევნე მის ყოველ ნაბიჯს, მის ერთი ფორმიდან მეორეში გადასვლისას, რათა ყოველ მოცემულ მომენტში შეგეძლოს მდგომარეობის შეფასება, მაგრამ, ამასთანავე, უყურადღებოდ არ დაგრჩეს ბრძოლის საერთო ხასიათი, მისი საერთო მიზანი — ყოველგვარი ექსპლოატაციისა და ყოველგვარი ჩაგვრის სავსებით და საბოლოოდ მოსპობა.

სცადეთ შეადაროთ მარქსის «კრიტიკულ და რევოლუციურ» თეორიას ის უფერული აბდაუბდა, რომელსაც თავის «კრიტიკაში» გადმოსცემდა და ებრძოდა «ჩვენი ცნობილი» ნ. კ. მიხაილოვსკი, — და თქვენ გაოცდებით: მართლაც, როგორ შეიძლება ქვეყანაზე იყონ ადამიანები, რომელნიც თავიანთ თავს «მშრომელი კლასის იდეოლოგებად» სთვლიან და კმაყოფილდებიან... იმ «ბრტყელი წრით», რადაც აქცევენ მარქსის თეორიას ჩვენი პუბლიცისტები, აცლიან რა მას ყველაფერს, რაც კი ცხოველმყოფელია.

სცადეთ შეადაროთ ამ თეორიის მოთხოვნებს ჩვენი ნაროდნიკული ლიტერატურა, რომელსაც აგრეთვე სურს მშრომელთა იდეოლოგობა იკისროს, ლიტერატურა, მიძღვნილი საერთოდ ჩვენი ეკონომიური წესწყობილების და კერძოდ გლეხობის ისტორიისა და თანამედროვე მდგომარეობისადმი, — და თქვენ სახტად დარჩებით: როგორ შეეძლოთ სოციალისტებს დაკმაყოფილებულიყვნენ ასეთი თეორიით, რომელიც ისაზღვრებოდა უბედურებათა შესწავლით და აღწერით და მორალური მსჯელობით ამ უბედურებათა გამო. ბატონყმობა წარმოდგენილია არა როგორც სამეურნეო ორგანიზაციის განსაზღვრული ფორმა, რომელიც ამა თუ იმ ექსპლოატაციას, ამა თუ იმ ანტაგონისტურ კლასებს, ამა თუ იმ პოლიტიკურ, იურიდიულ და სხვ. წესებს ჰქმნიდა, — არამედ მხოლოდ როგორც მემამულეების ბოროტმოქმედება და უსამართლობა გლეხების მიმართ. საგლეხო რეფორმა წარმოდგენილია არა როგორც გარკვეული სამეურნეო ფორმებისა და გარკვეული ეკონომიური კლასების შეჯახება, არამედ როგორც ღონისძიება მთავრობისა, რომელმაც, საუკეთესო განზრახვათა მიუხედავად, შეცდომით «არასწორი

გზა» «აირჩია». რეფორმის შემდეგდროინდელი რუსეთი წარმოდგენილია როგორც ჭეშმარიტი გზიდან გადაცდენა, რასაც თან სდევს მშრომელის უბედურება, და არა როგორც ანტაგონისტურ წარმოებით ურთიერთობათა ერთგვარი სისტემა, რომელსაც განსაზღვრული განვითარება აქვს.

მაგრამ ახლა, უეჭველია, ამ თეორიამ ნდობა დაჰკარგა, და რაც უფრო ადრე გაიგებენ რუსი სოციალისტები, რომ თანამედროვე ცოდნის პირობებში შეუძლებელია რევოლუციური თეორიის არსებობა მარქსიზმის გარეშე, რაც უფრო ადრე მიმართავენ მთელ თავიანთ ძალებს ამ თეორიის გამოსაყენებლად რუსეთისათვის, როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად, — მით უფრო უტყუარი და ჩქარი იქნება რევოლუციური მუშაობის წარმატება.

იმის თვალსაჩინოდ საილუსტრაციოდ, თუ რა გახრწნა შეაქვთ ბბ. «ხალხის მეგობრებს» თანამედროვე «ღარიბ რუსულ აზროვნებაში» თავიანთი მოწოდებით, რომ ინტელიგენციამ კულტურული ზეგავლენა მოახდინოს «ხალხზე» წესიერი, ნამდვილი მრეწველობის «შესაქმნელად» და სხვ., — მოვიყვანთ ისეთი ადამიანების აზრს, რომელთა შეხედულებანი მკვეთრად განსხვავდებიან ჩვენი შეხედულებებისაგან, — «ნაროდოპრავცების», ნაროდოვოლცების ამ პირდაპირი, უშუალო მემკვიდრეების, აზრს. იხ. ბროშურა: «საარსებო საკითხი», 1894. «ნაროდნოე პრავოს» პარტიის გამოცემა.

ნაროდოპრავცები ჩინებულ პასუხს აძლევენ იმ ჯურის ნაროდნიკებს, რომელნიც ამბობენ, «რომ არავითარ შემთხვევაში, თვით ფართო თავისუფლების გულისთვის, რუსეთმა არ უნდა დასთმოს თავისი ეკონომიური ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველჰყოფს (!) მშრომელის დამოუკიდებელ მდგომარეობას წარმოებაში», რომელნიც ამბობენ: «ჩვენთვის საჭიროა არა პოლიტიკური, არამედ სისტემატური, გეგმაშეწონილად გატარებული ეკონომიური რეფორმები», და შემდეგ განაგრძობენ:

«ჩვენ არა ვართ ბურჟუაზიის დამცველები, მით უმეტეს — მისი იდეალების თაყვანისმცემლები; მაგრამ ბოროტ ბედს რომ ხალხისათვის ეთქვა, აირჩიე — ან «გეგმაშეწონილი ეკონომიური რეფორმები» საერობო უფროსების მფარველობით, რომელნიც თავგამოდებით იცავენ მათ ბურჟუაზიის თავდასხმისაგან, ან ბურჟუაზია პოლიტიკური თავისუფლების ნიადაგზეო, ე. ი. იმ პირობებში, რ ო მ ლ ე ბ ი ც უ ზ რ უ ნ ვ ე ლ ჰ ყ ო ფ ე ნ ხალხისათვის მისი ინტერესების ორგანიზებულ დაცვას, — ჩვენ ვფიქრობთ, რომ ხალხი აშკარად მოიგებდა, თუ უკანასკნელს აირჩევდა. ჩვენ ახლა არა გვაქვს «პოლიტიკური რეფორმები», რომლებიც ხალხს მის ვითომდა-დამოუკიდებელ ეკონომიურ ორგანიზაციას წაართმევდა, — და გვაქვს ის, რაც ყველას მიერ და ყველგან ბურჟუაზიულ პოლიტიკად არის მიჩნეული და ხალხის შრომის უაღრესად ტლანქ ექსპლოატაციაში გამოიხატება. დღეს ჩვენ არა გვაქვს არც ფართო და არც ვიწრო თავისუფლება, მაგრამ გვაქვს წოდებრივი ინტერესების დაცვა, რის შესახებ აღარ ოცნებობენ კონსტიტუციური ქვეყნების აგრარიები და კაპიტალისტები. დღეს ჩვენ არა გვაქვს «ბურჟუაზიული პარლამენტარიზმი», საზოგადოებას თოფის სასროლ მანძილზე არ უშვებენ მმართველობასთან, — და გვყვანან ბბ. ნაიდენოვები, მოროზოვები, კაზები და ბელოვები, რომელნიც ჩინურ კედელს მოითხოვენ თავიანთი ინტერესების დასაცავად, «ჩვენი ერთგული თავადაზნაურობის» იმ წარმომადგენლებთან ერთად, რომელნიც იქამდე მიდიან, რომ უფასო კრედიტს მოითხოვენ 100 მანეთის რაოდენობით დესეტინაზე. მათ იწვევენ კომისიებში, მათ მოწიწებით უსმენენ, მათს ხმას გადამ-

ყვეტი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაჭრის დროს. ამავე დროს კი, ვინ და სად გამოდის ხალხის დასაცავად? ისინი ხომ არა, ეს საერობო უფროსები? განა ხალხისათვის არ ადგენენ სასოფლო-სამეურნეო მუშათა ასეულებს? განა ცინიკური გულახდილობით არ იყო ახლა განცხადებული, რომ ხალხს ნადელი მხოლოდ იმისთვის მიეცა, რომ გადასახადი გადაიხადოს და ბეგარა მოიხადოსო, როგორც ეს ვოლოგდის გუბერნატორმა

სთქვა თავის ცირკულარში? მან მხოლოდ ჩამოაყალიბა და ხმამაღლა სთქვა ის, რასაც თავის პოლიტიკაში თვითმპყრობელობა ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ბიუროკრატიული აბსოლუტიზმი ფატალურად ახორციელებს».

რარიგ ბუნდოვანიც არ უნდა იყოს ჯერ კიდევ ნაროდოპრავცების წარმოდგენანი იმ «ხალხზე», რომლის ინტერესების დაცვა მათ სურთ, იმ «საზოგადოებაზე», რომელშიც ისინი კვლავ შრომის ინტერესების დამცველ საიმედო ორგანოს ხედავენ, — ყოველ შემთხვევაში არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ «ნაროდნოე პრავოს» პარტიის დაარსება წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს, ნაბიჯს იქითკენ, რომ საბოლოოდ უკუვაგდოთ ილუზიები და ოცნებანი «სამშობლოსათვის სხვა გზების» შესახებ, რომ უშიშრად აღიარებულ იქნას ნამდვილი გზები და მათ ნიადაგზე მოიძებნოს ელემენტები რევოლუციური ბრძოლისათვის. აქ აშკარავდება მისწრაფება დემოკრატიული პარტიის შექმნისაკენ. ვლაპარაკობ მხოლოდ «მისწრაფებაზე», იმიტომ რომ ნაროდოპრავცები, სამწუხაროდ, თანმიმდევრულად არ ატარებენ თავიანთ ძირითად თვალსაზრისს. ისინი კიდევ მსჯელობენ სოციალისტებთან გაერთიანებასა და კავშირზე, არ სურთ გაიგონ, რომ მუშების ჩათრევა უბრალო პოლიტიკურ რადიკალიზმში — ეს ნიშნავს მხოლოდ მუშა ინტელიგენტების გამოთიშვას მუშათა მასისაგან, ნიშნავს მუშათა მოძრაობის დაუძლურებას, იმიტომ რომ ის შეიძლება ძლიერი იყოს მხოლოდ მუშათა კლასის ინტერესების სრული და ყოველმხრივი განხორციელების ნიადაგზე, კაპიტალთან ეკონომიური ბრძოლის ნიადაგზე, რაც განუყრელად შეერთებულია პოლიტიკურ ბრძოლასთან კაპიტალის დამქაშების წინააღმდეგ. მათ არ სურთ გაიგონ, რომ ყველა რევოლუციური ელემენტის «გაერთიანება» გაცილებით უფრო კარგად შეიძლება მოხდეს ცალკე ინტერესების წარმომადგენელთა განსაკუთრებული ორგანიზაციის* და ამა თუ იმ პარტიების გან-

* თვით ისინი კი პროტესტს აცხადებენ იმ რწმენის წინააღმდეგ, რომ ინტელიგენცია სასწაულმოქმედიაო, თვით ისინი ლაპარაკობენ, რომ აუცილებლად საჭიროა თვით ხალხის ჩაბმა ბრძოლაში. ამისათვის ხომ საჭიროა ამ ბრძოლის დაკავშირება განსაზღვრულ ყოველდღიურ ინტერესებთან, სა-

საზღვრულ პირობებში შეთანხმებული მოქმედების შემწეობით. ისინი თავიანთ პარტიას ჯერ კიდევ «სოციალურ-რევოლუციურს» უწოდებენ (იხ. «ნაროდნოე პრავოს» პარტიის მანიფესტი, დათარიღებული 1894 წ. 19 თებერვ.), თუმცა იმავე დროს კმაყოფილდებიან მხოლოდდამხოლოდ პოლიტიკური რეფორმებით და უაღრესი სიფრთხილით გვერდს უვლიან ჩვენს «წყეულ» სოციალისტურ საკითხებს. იმ პარტიას, რომელიც ასე მხურვალედ მოგვიწოდებს ილუზიების წინააღმდეგ საბრძოლველად, სხვებში არ უნდა გამოეწვია ილუზიები თავისი «მანიფესტის» პირველივე სიტყვებით; საჭირო არ იყო სოციალიზმზე ლაპარაკი იქ, სადაც არაფერია გარდა კონსტიტუციონალიზმისა. მაგრამ, ვიმეორებ, არ შეიძლება ნაროდოპრავცების შეფასება, თუ უყურადღებოდ დავტოვებთ მათს წარმოშობას ნაროდოვოლცებისაგან. ამიტომ არ შეიძლება არ ვცნოთ, რომ ისინი ნაბიჯს სდგამენ წინ, როცა მხოლოდდამხოლოდ პოლიტიკურ ბრძოლას, რომელსაც სოციალიზმთან დამოკიდებულება არა აქვს, მხოლოდდამხოლოდ პოლიტიკურივე პროგრამით ასაბუთებენ. სოციალ-დემოკრატები ნაროდოპრავცებს სულით და გულით უსურვებენ წარმატებას, მათი პარტიის ზრდასა და განვითარებას, უსურვებენ უფრო მჭიდრო კავშირის დაჭერას იმ საზოგადოებრივ ელემენტებთან, რომელნიც არსებული ეკონომიური წესების * ნიადაგზე დგანან და რომელთა ყოველდღიური ინტერესები მართლაც უაღრესად მჭიდროდ არის დაკავშირებული დემოკრატიზმთან.

დიდხანს ვერ გასძლებს «ხალხის მეგობრების» შემარიგებლური, მხდალი, სანტიმენტალურ-მეოცნებე ნაროდნიკობა, როცა

ჭიროა, მაშასადამე, ცალკე ინტერესების გარჩევა და მათი ცალკე ჩაბმა ბრძოლაში... ხოლო თუ ამ ცალკე ინტერესებს პირწმინდა პოლიტიკური მოთხოვნილებებით დავფარავთ, რაც მხოლოდ ინტელიგენციისთვისაა გასაგები, განა ეს კვლავ უკანდახევა არ იქნება, მხოლოდ იმ ინტელიგენციის ბრძოლით დაკმაყოფილება არ იქნება, რომლის უძლურება ამ წუთში იქნა აღიარებული?

* (ესე-იგი კაპიტალისტურის) — და არა ამ წესების აუცილებელი უარყოფისა და მათ წინააღმდეგ ულმობელი ბრძოლის ნიადაგზე.

მას ორივე მხრით დაესხმიან თავს: პოლიტიკური რადიკალები იმისთვის, რომ ისინი ნდობას უცხადებენ ბიუროკრატიას, რომ მათ არ ესმით პოლიტიკური ბრძოლის აუცილებელი საჭიროება; ხოლო სოციალ-დემოკრატები — იმისთვის, რომ ისინი ცდილობენ თითქმის სოციალისტებად მოგვეჩვენონ, როცა არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ სოციალიზმთან, არავითარი წარმოდგენა არა აქვთ მშრომელთა ჩაგვრის მიზეზებსა და მიმდინარე კლასობრივი ბრძოლის ხასიათზე.

ნაროდნიკობის ეკონომიური შინაარსი და მისი კრიტიკა ბ-ნ სტრუვეს წიგნში

(მარქსიზმის ასახვა ბურჟუაზიულ ლიტერატურაში)

პ. სტრუვეს წიგნის გამო: «კრიტიკული შენიშვნები რუსეთის ეკონომიური განვითარების საკითხისათვის». ს.-პეტერბურგი. 1894 წ. [78]

დაწერილია 1894 წლის დამლევს — 1895 წლის დამდეგს.

პირველად დაიბეჭდა კ. ტულინის ხელმოწერით კრებულში: «მასალები ჩვენი სამეურნეო განვითარების დახასიათებისათვის». ს.-პეტერბურგი. 1895 წ.

იბეჭდება კრებულის — «მასალები ჩვენი სამეურნეო განვითარების დახასიათებისათვის» — ტექსტის მიხედვით

МАТЕРІАЛЫ

КЪ ХАРАКТЕРИСТИКѢ

НАШЕГО ХОЗЯЙСТВЕННАГО РАЗВИТІЯ.

СБОРНИКЪ СТАТЕЙ.

С.-ПЕТЕРБУРГЪ
Типографія П. П. Сойкина, Стремянная ул., № 12
1895

თავფურცელი კრებულისა, რომელშიც დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის ნაშრომი «ნაროდნიკობის ეკონომიური შინაარსი და მისი კრიტიკა ბ-ნ სტრუვეს წიგნში». — 1895 წ.

ბ-ნ სტრუვეს დასახელებული წიგნი წარმოადგენს ნაროდნიკობის სისტემატურ კრიტიკას, ამასთან ნაროდნიკობა გაგებულია ფართოდ — როგორც თეორიული დოქტრინა, რომელიც გარკვევით სჭრის უმნიშვნელოვანეს სოციოლოგიურ და ეკონომიურ საკითხებს, და როგორც «ეკონომიური პოლიტიკის დოგმატების სისტემა» (VII გვ.). ამგვარი ამოცანის მარტო დაყენებას შეეძლო თვალსაჩინო ინტერესი მიეცა წიგნისათვის; მაგრამ ამ მხრივ უფრო მნიშვნელოვანია ის თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც კრიტიკა სწარმოებს. ამაზე ავტორი წინასიტყვაობაში შემდეგს ამბობს:

«ემხრობა რა ზოგიერთ ძირითად საკითხზე ლიტერატურაში სავსებით ჩამოყალიბებულ შეხედულებებს, იგი (ავტორი) სრულიადაც არ სთვლიდა თავს შებოჭილად რომელიმე დოქტრინის ანბანით და კოდექსით. ორთოდოქსიით იგი არ არის შეპყრობილი» (IX).

წიგნის მთელი შინაარსიდან აშკარავდება, რომ ამ, «ლიტერატურაში სავსებით ჩამოყალიბებულ შეხედულებებად» იგულისხმება მარქსისტული შეხედულებები. საკითხავია, მარქსიზმის სახელდობრ რომელ «ზოგიერთ ძირითად» დებულებას იწყნარებს ავტორი და რომელს უარჰყოფს? — რატომ და რამდენად? ავტორი არ იძლევა პირდაპირ პასუხს ამ კითხვაზე. ამიტომ, იმის გასარკვევად, თუ სახელდობრ რა შეიძლება ამ წიგნში მიეკუთვნოს მარქსიზმს, — დოქტრინის რომელ დებულებებს იწყნარებს ავტორი და რამდენად თანმიმდევრულია ამ

მხრივ, — რომელს უარჰყოფს და რა გამოდის ამ შემთხვევაში,—ყოველივე ამის გასარკვევად საჭიროა წიგნის დაწვრილებით გარჩევა.

მისი შინაარსი მეტისმეტად მრავალფეროვანია: ავტორი, ჯერ-ერთი, გადმოგვცემს ჩვენი ნაროდნიკების მიერ მიღებულ «სუბიექტურ მეთოდს სოციოლოგიაში», აკრიტიკებს მას და უპირისპირებს «ისტორიულ-ეკონომიური მატერიალიზმის» მეთოდს. შემდეგ იგი იძლევა ნაროდნიკობის ეკონომიურ კრიტიკას, ჯერ-ერთი, «ზოგად-კაცობრიული გამოცდილების» საფუძველზე (გვ. IX) და, მეორეც, რუსეთის ეკონომიური ისტორიისა და სინამდვილის მონაცემთა საფუძველზე. გზადაგზა მოცემულია ნაროდნიკული ეკონომიური პოლიტიკის დოგმატების კრიტიკაც. შინაარსის ეს მრავალფეროვნება (ყოვლად აუცილებელი ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების უდიდესი მიმდინარეობის კრიტიკის დროს) განსაზღვრავს გარჩევის ფორმასაც: საჭირო ხდება კვალდაკვალ მივსდიოთ ავტორის გადმოცემას და შევჩერდეთ მისი არგუმენტების ყოველ წყებაზე.

მაგრამ, ვიდრე წიგნის გარჩევას შევუდგებოდე, საჭიროდ მიმაჩნია უფრო დაწვრილებით შევჩერდე ზოგიერთ წინასწარ განმარტებაზე. ამ სტატიის ამოცანაა — ბ-ნ სტრუვეს წიგნის კრიტიკა იმ ადამიანის თვალსაზრისით, რომელიც «ემხრობა ლიტერატურაში სავსებით ჩამოყალიბებულ შეხედულებებს» ყ ვ ე ლ ა (და არა მარტო «ზოგიერთ») «ძირითად საკითხში».

ეს შეხედულებები, კრიტიკის მიზნით, არა ერთხელ ყოფილა უკვე გადმოცემული ლიბერალურ-ნაროდნიკული პრესის ფურცლებზე, და ამ გადმოცემამ საძაგლად გააბუნდოვანა ისინი, — მეტიც: დაამახინჯა, რადგან მათ მიატმასნეს ის, რასაც საერთო არაფერი აქვს ამ შეხედულებებთან: ჰეგელიანობა, «რწმენა, რომ ყოველმა ქვეყანამ აუცილებლად უნდა გაიაროს კაპიტალიზმის ფაზა», და ბევრი სხვა უკვე წმინდა «ნოვოე ვრემიასებური» სისულელე.

განსაკუთრებით ამახინჯებდნენ დოქტრინის პრაქტიკულ მხარეს, მის შეფარდებას რუსეთის საქმეებთან. არ სურდათ

რა გაეგოთ, რომ რუსული მარქსიზმის დოქტრინის გამოსავალ წერტილს შეადგენს სულ სხვა წარმოდგენა რუსეთის სინამდვილეზე, ჩვენი ლიბერალები და ნაროდნიკები დოქტრინას ადარებდნენ თავიანთ ძველ შეხედულებას ამ სინამდვილეზე და არათუ სრულიად შეუსაბამო დასკვნები გამოჰყავდათ, არამედ ამასთანავე ყოვლად უხამს ბრალდებებსაც კი უყენებდნენ მარქსისტებს.

ამიტომ შეუძლებლად მიმაჩნია შევუდგეთ ბ-ნ სტრუვეს წიგნის გარჩევას, თუ დანამდვილებით არ გავარკვიეთ ჩვენი დამოკიდებულება ნაროდნიკობისადმი. გარდა ამისა, ნაროდნიკულ და მარქსისტულ თვალსაზრისთა წინასწარი შედარება საჭიროა ამ წიგნის ბევრი ადგილის განსამარტებლად, რომელიც დოქტრინის ობიექტური მხარით კმაყოფილდება და თითქმის სულ განზე სტოვებს პრაქტიკულ დასკვნებს.

ეს შედარება დაგვანახვებს, რა საერთო გამოსავალი პუნქტები აქვთ ნაროდნიკობას და მარქსიზმს, და რაშია მათი ძირითადი განსხვავება. ამასთან უფრო მოსახერხებელია ავიღოთ ძველი რუსული ნაროდნიკობა, რადგან იგი, ჯერ-ერთი, თანმიმდევრობისა და გარკვეულობის მხრივ განუზომლად უფრო მაღლა დგას თანამედროვე ნაროდნიკობაზე (რომელსაც წარმოადგენენ ისეთი ორგანოები, როგორიც «რუსსკოე ბოგატსტვოა») და, მეორეც, უფრო მთლიანად გვიჩვენებს ნაროდნიკობის საუკეთესო მხარეებს, რომლებსაც ზოგიერთ შემთხვევაში მარქსიზმიც ემხრობა.

ავიღოთ ძველი რუსული ნაროდნიკობის ერთ-ერთი ასეთი professions de foi * და გავყვეთ ავტორს კვალდაკვალ.

---

* — მრწამსი. რ ე დ.

თავი I

სიტყვა-სიტყვითი კომენტარი ნაროდნიკული PROFESSION DE FOI-სი

«ოტეჩესტვენნიე ზაპისკის» CCXLII ტომში* მოთავსებულია, ავტორის სახელის აღუნიშნავად, სტატია: «ახალი ჯეჯილი სახალხო ყანაში», სადაც, რუსული ლიბერალიზმის საწინააღმდეგოდ, გარკვევით არის აღნიშნული ნაროდნიკობის პროგრესული მხარეები.

ავტორი იწყებს იმით, რომ «ახლა» პროტესტის განცხადება «იმ ადამიანების წინააღმდეგ, რომელნიც ხალხის წრიდან გამოიყოფიან და მაღალ საზოგადოებრივ საფეხურზე დგებიან», «თითქმის ღალატად» ითვლებაო.

«დიდი ხანი არ არის, რაც ერთმა ლიტერატურულმა ვირმა «ოტეჩესტვენნიე ზაპისკი» დაწიხლა ხალხისადმი პესიმიზმისათვის, რა გამოთქმაც მან იხმარა ზლატოვრატსკის იმ წიგნის შესახებ მოთავსებული პატარა რეცენზიის გამო, სადაც, გარდა პესიმიზმისა მევახშეობისადმი და ფულის გამხრწნელი გავლენისადმი საზოგადოდ, არაფერი პესიმისტური არ ყოფილა; ხოლო შემდეგ, როდესაც გლ. უსპენსკიმ კომენტარები დაუწერა თავის უკანასკნელ ნარკვევებს («ოტეჩ. ზაპისკი», № 11, 1878 წ.), ლიბერალური ჭაობი, ზღაპრისა არ იყოს, შეირხა..... და, სრულიად მოულოდნელად, ხალხს იმდენი დამცველი გაუჩნდა, რომ ჩვენ, ჭეშმარიტად, გაგვაოცა იმ გარემოებამ, რომ ჩვენს ხალხს ამდენი მეგობარი ჰყოლია..... მე არ შემიძლია არ თანავუგრძნო... საკითხის დასმას მზეთუნახავ სოფელზე და იმაზე, თუ როგორი დამოკიდებულება აქვთ მასთან ლიტერატურულ ჭაბუკებს ან, უკეთ, არა ჭაბუკებს, არამედ მოხუც მუსუსებს ბბ. თავადაზნაურებისა და ლაქიების წრიდან, და ახალგაზრდა

* 1879 წლისა, № 2, «თანამედროვე მიმოხილვა», გვ. 125 — 152.

ვაჭრებს..... სოფლისთვის სერენადების მღერა და «თვალის ჩაკვრა» სრულიადაც არ ნიშნავს მის სიყვარულს და პატივისცემას, სწორედ ისევე, როგორც მისი ნაკლის აღნიშვნა სრულიადაც არ მოასწავებს, თითქოს მის მიმართ მტრულად იყო განწყობილი. თუ თქვენ იმავე უს პენსკის შეეკითხებით,... საითკენ უფრო მიუწევს გული, სად უფრო ხედავს მომავლის საწინდარს — სოფელში თუ ძველ-თავადაზნაურულ და ახალ-მეშჩანურ ფენებში? — განა რაიმე ეჭვის შეტანა შეიძლება იმაში, რომ იგი იტყვის: «სოფელშიო»».

ეს ადგილი მეტად დამახასიათებელია. ჯერ-ერთი, იგი თვალნათლივ გვიჩვენებს, რა შეადგენს ნაროდნიკობის დედაარსს: პროტესტი ბატონყმობისა (ძველ-თავადაზნაურული ფენა) და ბურჟუაზიულობის (ახალ-მეშჩანური ფენა) წინააღმდეგ რუსეთში გ ლ ე ხ ი ს, წ ვ რ ი ლ ი მ წ ა რ მ ო ე ბ ლ ი ს თ ვ ა ლ ს ა ზ რ ი ს ი თ. მეორეც, ის გვიჩვენებს იმავე დროს ამ პროტესტის უნიადაგობას, მის მიერ ფაქტების უგულვებელყოფას.

განა «სოფელი» არსებობს სადმე «ძველ-თავადაზნაურული» ან «ახალ-მეშჩანური» წესების გ ა რ ე შ ე? განა სწორედ «სოფელს» არ აშენებდნენ და აშენებენ თავისებურად ერთისა და მეორის წარმომადგენლებიც? სწორედ სოფელი წარმოადგენს ნაწილობრივ «ძველ-თავადაზნაურულ», ნაწილობრივ «ახალ-მეშჩანურ» «ფენას». როგორც არ უნდა ატრიალოთ სოფელი, — თუ კი დასჯერდებით სინამდვილის აღნიშვნას (ლაპარაკიც მხოლოდ ამაზეა) და არა შესაძლებლობებს, იქ ვერაფერს სხვას, ვერავითარ მესამე «ფენას» ვერ ნახავთ. და თუ ნაროდნიკები პ ო უ ლ ო ბ ე ნ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ხეებს იქით ვერ ხედავენ ტყეს, ცალკეული გლეხური თემების მიწათმ ფ ლ ო ბ ე ლ ო ბ ი ს ფორმებს იქით ვერ ხედავენ რუსეთის მთელი საზოგადოებრივი მეურნეობის ეკონომიურ ორგანიზაციას. ეს ორგანიზაცია გლეხს საქონელმწარმოებლად აქცევს, რითაც მას წვრილ ბურჟუად ხდის, — ბაზრისათვის მომუშავე წვრილ განკერძოებულ მეპატრონედ; ამის გამო იგი შეუძლებელს ხდის «მომავლის საწინდარი» ვეძებოთ უ კ ა ნ და გვაიძულებს ვეძებოთ იგი წ ი ნ — არა «სოფელში», სადაც «ძველ-თავადაზნაურული» და «ახალ-მეშჩანური» ფენების შეხამება

საშინლად აუარესებს შრომის მდგომარეობას და ართმევს მას «ახალ-მეშჩანური» წესების მეუფეთა წინააღმდეგ ბრძოლის შესაძლებლობას, რადგან თვით წინააღმდეგობა მათს ინტერესებსა და შრომის ინტერესებს შორის საკმაოდ არ არის განვითარებული, — არამედ სავსებით განვითარებულ, სულ ბოლომდე მიყვანილ «ახალ-მეშჩანურ» ფენაში, რომელიც სავსებით გაწმენდილია «ძველ-თავადაზნაურულ» სიმშვენიერეთაგან და რომელმაც განასაზოგადოვა შრომა, დაამთავრა და გამოარკვია ის სოციალური წინააღმდეგობა, რაც სოფლად ჯერ კიდევ ჩანასახოვან, ჩახშულ მდგომარეობაშია.

ახლა საჭიროა დავსახოთ ის თეორიული განსხვავებანი, რაც არსებობს იმ დოქტრინებს შორის, რომელთაც მ ი ვ ყ ე ვ ა რ თ ნაროდნიკობისა და მარქსიზმისაკენ, რუსეთის სინამდვილისა და ისტორიის გ ა გ ე ბ ა თ ა შორის.

გავყვეთ ქვევით ავტორს.

იგი «ბატონთ სულით აღშფოთებულთ» არწმუნებს, რომ თანაშეფარდება ხალხის სიღარიბესა და ხალხის ზნეობას შორის უსპენსკის ესმის

«უფრო კარგად, ვიდრე სოფლის ბევრ თაყვანისმცემელს, ვისთვისაც... სოფელი არის... რაღაც ლიბერალური პასპორტის მსგავსი რამ, რომელსაც ისეთ ხანაში, როგორსაც ჩვენ განვიცდით, ჩვეულებრივ წინასწარ შოულობს ყველა ჭკუათამყოფელი და პრაქტიკული ბურჟუა».

როგორ ფიქრობთ, ბ-ნო ნაროდნიკო, იმ კაცს, რომელსაც სურს შრომის ინტერესები წარმოადგინოს, რატომ ემართება ისეთი სამწუხარო და საწყენი რამ, როგორიც არის «ლიბერალურ პასპორტად» გადაქცევა იმისა, რაშიც ის «მომავლის საწინდარს» ხედავს? ამ მომავალში ადგილი არ უნდა ჰქონდეს ბურჟუაზიას, — იმას კი, რითაც თქვენ ამ მომავლისაკენ გინდათ იაროთ, «პრაქტიკული და ჭკუათამყოფელი ბურჟუა» არათუ მტრულად არ ხვდება, არამედ, პირიქით, სიამოვნებით იღებს და იღებს როგორც «პასპორტს».

როგორ ფიქრობთ, განა წარმოსადგენი იქნებოდა ასეთი სკანდალური რამ, თქვენ რომ «მომავლის საწინდარზე» მიგეთითებინათ არა იქ, სადაც ისეთი წყობილების დამახასიათებელი

სოციალური წინააღმდეგობები, რომელშიც «პრაქტიკული და ჭკუათამყოფელი ბურჟუები» ბატონობენ, ჯერ კიდევ განუვითარებელ, ჩანასახოვან მდგომარეობაში იმყოფებიან, არამედ იქ, სადაც ისინი განვითარებულნი არიან ბოლომდე, nec plus ultra-მდე *, სადაც, მაშასადამე, არ შეიძლება დაკმაყოფილება პალიატივებით და ნახევარზომებით, სადაც არ შეიძლება მშრომელთა desiderata-ს ** თავის სასარგებლოდ გამოყენება, სადაც საკითხი გადაჭრით არის დაყენებული.

განა თქვენ თვითონ არ ამბობთ ქვემოთ ასეთ რამეს:

«ხალხის პასიურ მეგობრებს არ სურთ გაიგონ ის უბრალო რამ, რომ საზოგადოებაში ყველა მოქმედი ძალა, ჩვეულებრივ, ეწყობა ორ ტოლქმედ, ურთიერთმოპირდაპირე ძალად, და რომ პასიური ძალები, რომელნიც თითქოს მონაწილეობას არ იღებენ ბრძოლაში, მხოლოდ იმ ძალას ემსახურებიან, რომელიც იმ მომენტში სჯარბობს» (გვ. 132).

განა სოფელს არ მიუდგება ეს დახასიათება, განა სოფელი რაღაც განსაკუთრებული სამყაროა, სადაც არ არსებობს ეს «ურთიერთმოპირდაპირე ძალები» და ბრძოლა, რომ შეიძლებოდეს მასზე ხელაღებით ილაპარაკო და ამასთან არ გეშინოდეს სამსახური გაუწიო იმ «ძალას, რომელიც სჯარბობს»? განა, რახან ლაპარაკი უკვე ბრძოლაზე ჩამოვარდა, საფუძვლიანია დავიწყოთ იქიდან, სადაც ამ ბრძოლის შინაარსი დატვირთულია მრავალი გარეშე გარემოებით, რომლებიც ხელს უშლიან ამ ურთიერთმოპირდაპირე ძალების მტკიცედ და საბოლოოდ განცალკევებას ერთმანეთისაგან, ხელს უშლიან მთავარი მტრის ნათლად დანახვას? განა აშკარა არ არის, რომ იმ პროგრამას, რომელიც ავტორმა სტატიის ბოლოში წამოაყენა — განათლება, გლეხთა მიწათმფლობელობის გაფართოება, ბეგარა-გადასახადების შემცირება — არ შეუძლია იოტისოდენად მაინც შეეხოს იმას, ვისაც მოჭარბებული ძალა აქვს, ხოლო პროგრამის უკანასკნელი მუხლი — «სახალხო მრეწველობის ორგანიზაცია» — ხომ გულისხმობს უკვე, რომ ბრძოლა არა მარტო მოხდა, არამედ,

* — უკანასკნელ საზღვრამდე. რ ე დ.

** — სურვილები, მოთხოვნანი. რ ე დ.

ამას გარდა, გამარჯვებითაც დამთავრდა? თქვენი პროგრამა თავს არიდებს იმ ანტაგონიზმს, რომლის არსებობაც თქვენ თვითონ აღიარეთ. ამიტომაც არ არის იგი საშიში «ახალ-მეშჩანური ფენის» მეპატრონეთათვის. თქვენი პროგრამა წვრილბურჟუაზიული ოცნებაა. აი რატომ არის იგი გამოსადეგი მხოლოდ «ლიბერალურ პასპორტად».

«ის ადამიანები, რომელთათვის სოფელი განყენებული ცნებაა, ხოლო გლეხი — განყენებული ნარცისი, უხეიროდაც ფიქრობენ, როდესაც ამბობენ: სოფელი მარტო უნდა აქო და ამტკიცო, რომ იგი საუცხოოდ გაუმკლავდება ყველა მის დამარღვეველ გავლენასო. თუ სოფელი ისეთ პირობებშია ჩაყენებული, რომ მან ყოველდღე თავი უნდა იმტვრიოს კაპიკისათვის, თუ მას ძარცვავენ მევახშეები, ატყუებენ კულაკები, ავიწროებენ მემამულეები, თუ მას ზოგჯერ წკეპლავენ კიდევაც თემის სამმართველოში, — განა შეიძლება ამან გავლენა არ მოახდინოს მის ზნეობრივ მხარეზე?.. თუ მანეთი, ეს კაპიტალისტური მთვარე, სოფლის ლანდშაფტის პირველ ადგილზე დასცურავს, თუ მისკენ მიპყრობილია ყველას თვალი, ყველას აზრი და სულიერი ძალა, თუ იგი ხდება ცხოვრების მიზნად და პიროვნების ნიჭთა საზომად, — განა შეიძლება ამ ფაქტის დამალვა და თქმა, რომ გლეხი ისეთი უანგარო არსებაა, რომელსაც ფული სულ არ სჭირდებაო? თუ სოფლად სჩანს განკერძოებისაკენ მისწრაფება, თუ იქ ყვავილივით იშლება და იფურჩქნება კულაკობა და ცდილობს უსუსტესი გლეხობის მოჯამაგირეებად დამონებას, თემის დარღვევას და სხვ., — განა შეიძლება, გეკითხებით მე, ყველა ამ ფაქტის დამალვა?! ჩვენ შეგვიძლია ვისურვოთ ამ ფაქტების უფრო საფუძვლიანი და ყოველმხრივი გამოკვლევა, შეგვიძლია ავხსნათ ისინი სიღარიბის მჩაგვრელი პირობებით (შიმშილის გამო ადამიანები ქურდობენ, მკვლელობას სჩადიან, უკიდურეს შემთხვევაში სჭამენ კიდეც ერთმანეთს), მაგრამ სავსებით მათი დაფარვა შეუძლებელია. მათი დაფარვა ნიშნავს status quo-ს * დაცვას, ნიშნავს ყბადაღებული laissez faire, laissez aller-ის ** დაცვას, ვიდრე სამწუხარო მოვლენები საშინელ ფარგლებს არ მიაღწევენ. ჭეშმარიტების შელამაზება საზოგადოდ ყოველთვის ზედმეტია».

კიდევ და კიდევ: რა საუცხოოა სოფლის ეს დახასიათება და რა წვრილმანი დასკვნებია აქედან გამოყვანილი! რა სისწორით არის შენიშნული ფაქტები და რა უმნიშვნელოა მათი განმარტება, მათი გაგება! აქ კვლავ ვხედავთ უზარმაზარ

* — წინანდელი, უცვლელი მდგომარეობა. რ ე დ.

** — დაე მოვლენებმა თავისი გზით იაროს. რ ე დ.

უფსკრულს შრომის დაცვის საქმის desiderat-ებსა და მათი განხორციელების საშუალებებს შორის. კაპიტალიზმი სოფლად — ავტორისათვის «სამწუხარო მოვლენაა» მხოლოდ და სხვა არაფერი. მიუხედავად იმისა, რომ იგი ასეთსავე კაპიტალიზმს ქალაქშიც ხედავს დიდი მასშტაბით, ხედავს; როგორ დაიმორჩილა კაპიტალიზმმა არა მარტო სახალხო შრომის ყველა დარგი, არამედ «პროგრესული» ლიტერატურაც, რომელიც ხალხის სახელით და ხალხისათვის ბურჟუაზიულ ზომებს გვთავაზობს, — მიუხედავად ამისა, მას არ სურს აღიაროს, რომ აქ საქმე ჩვენი საზოგადოებრივი მეურნეობის განსაკუთრებულ ორგანიზაციაშია, და თავს ინუგეშებს იმ ოცნებით, რომ ეს მხოლოდ «მჩაგვრელი პირობებით» გამოწვეული სამწუხარო მოვლენაა. ხოლო თუ არ დავადგებით ჩაურევლობის თეორიას, მაშინ შესაძლებელი გახდება ამ პირობების თავიდან აცილებაო. დიახ, თუ და კიდევ თუ! მაგრამ ჩაურევლობის პოლიტიკა ჯერ არასოდეს არ ყოფილა რუსეთში; ყოველთვის იყო ჩარევა... ბურჟუაზიის სასარგებლოდ, და მხოლოდ «ნასადილევის სიმშვიდით» გამოწვეულ ტკბილ ოცნებებს შეუძლიათ წარმოშვან ამის შეცვლის იმედი «კლასთა შორის სოციალური ძალის გადაუნაწილებლად», როგორც ამბობს ბ-ნი სტრუვე.

«გვავიწყდება, რომ ჩვენს საზოგადოებას იდეალები — პოლიტიკური, სამოქალაქო და სხვა — უმთავრესად იმისათვის ესაჭიროება, რომ მან, ამ იდეალებით აღჭურვილმა, აღარაფერზე იფიქროს, რომ ეს საზოგადოება იდეალებს დაეძებს არა ჭაბუკური მოუსვენრობით, არამედ ნასადილევის სიმშვიდით, რომ იგი ამ იდეალებზე გულის გატეხის დროს განიცდის არა სულიერ ტანჯვას, არამედ ისეთ სიმშვიდეს, როგორიც არკადიის პრინცს სჩვევია. ასეთია, ყოველ შემთხვევაში, ჩვენი საზოგადოების უდიდესი უმრავლესობა. თუ ნამდვილი გნებავთ, მას არც სჭირდება რაიმე იდეალი, იმიტომ რომ იგი მაძღარია და სავსებით კმაყოფილდება სტომაქის პროცესებით».

საუცხოო დახასიათებაა ჩვენი ლიბერალურ-ნაროდნიკული საზოგადოებისა.

საკითხავია, ვინ უფრო თანმიმდევრულია ახლა: «ნაროდნიკები», რომელნიც განაგრძობენ ამ «საზოგადოების» ლოლიაო-

ბას და გადიობას, უმასპინძლდებიან მას «მომავალი» კაპიტალიზმის საშინელებათა დახატვით, კაპიტალიზმის, რომელიც «ბოროტებით იმუქრება»*, როგორც სტატიის ავტორი ამბობს, მოუწოდებენ მის წარმომადგენლებს — ჩამოშორდნენ იმ შემცდარ გზას, რომელზედაც «ჩვენ» გადავუხვიეთ და სხვ., — თუ მარქსისტები, რომელნიც იმდენად «ვიწრონი» არიან, რომ მკვეთრად ემიჯნებიან საზოგადოებას და საჭიროდ სთვლიან მიმართონ მხოლოდდამხოლოდ იმათ, ვინც არ «კმაყოფილდება» და ვერც დაკმაყოფილდება «სტომაქის პროცესებით», ვისთვისაც იდეალები საჭიროა, ვისთვისაც ეს ყოველდღიური ცხოვრების საკითხია.

ეს ინსტიტუტელი ქალის შეხედულებაა, — განაგრძობს ავტორი. ეს

«მოწმობს აზრისა და გრძნობის ღრმა შერყვნას... ჯერ არასოდეს არ ჰქონია ადგილი ასეთ კეთილსახოვან, გამოწკეპილ, ასეთ უმანკო და იმავე დროს ღრმა გარყვნილებას. ეს გარყვნილება მთლიანად კუთვნილებაა ჩვენი უახლესი ისტორიისა, კუთვნილებაა მეშჩანური კულტურისა [ე. ი., უფრო სწორად თუ ვიტყვით, ბურჟუაზიული, კაპიტალისტური წესებისა. კ. ტ.**], რომელიც განვითარდა ბატონკაცობის, თავადაზნაურული სანტიმენტალიზმის, უვიცობისა და სიზარმაცის ნიადაგზე. მეშჩანობამ ცხოვრებაში მოიტანა თავისი მეცნიერება, თავისი ზნეობრივი კოდექსი და თავისი სოფიზმები».

ავტორმა თითქოს იმდენად სწორად შეაფასა სინამდვილე, რომ ერთადერთი შესაძლებელი გამოსავალიც დაენახა. თუ მთელი საქმე ჩვენს ბურჟუაზიულ კულტურაშია, — მაშასადამე, შეუძლებელია სხვა «მომავლის საწინდარი», გარდა ამ ბურჟუაზიის «ანტიპოდისა», იმიტომ რომ მარტოდმარტო ის არის საბოლოოდ «დიფერენცირებული» ამ «მეშჩანური კულტურისაგან», საბოლოოდ და სამუდამოდ მისი მტერია და არ შეუძლია წავიდეს რაიმე კომპრომისებზე, რომელთაგანაც ასე მოსახერხებელია «ლიბერალური პასპორტების» გამოჭრა.

* ემუქრება რას? სტომაქის პროცესებს? კაპიტალიზმი მათ არათუ არ «ემუქრება», არამედ, პირიქით, საუცხოო და ნაირ-ნაირ საჭმელებსაც ჰპირდება.

** კ. ტ. (კ. ტულინი) — ვ. ი. ლენინი. რ ე დ.

მაგრამ არა. ჯერ კიდევ შეიძლება ოცნება. «კულტურა» — მართლაც მარტო «მეშჩანობაა», მარტო გარყვნილებაა. მაგრამ ეს ხომ მხოლოდ შედეგია ძველი ბატონკაცობისა (აკი ეს-არის ახლა თვითონვე აღიარა, რომ იგი შექმნილია უახლესი ისტორიის მიერ, იმ ისტორიის მიერ, რომელმაც მოსპო სწორედ ძველი ბატონკაცობა) და სიზარმაცისა, — მაშასადამე, რაღაც შემთხვევითია, რასაც მტკიცე ფესვები არა აქვს და სხვ. და სხვ. იწყება ფრაზები, რომელთაც არავითარი აზრი არა აქვთ, გარდა ერთისა: ზურგი შეაქციო ფაქტებს და სანტიმენტალურად იოცნებო, თვალი დახუჭო «ურთიერთმოპირისპირე ძალების» ა რ ს ე ბ ო ბ ა ზ ე. მოისმინეთ:

«მას (მეშჩანობას) სურს დაამკვიდროს ისინი (მეცნიერება, ზნეობრივი კოდექსი) კათედრაზე, ლიტერატურაში, სასამართლოში და ცხოვრების სხვა პუნქტებში. [ზემოთ დავინახეთ, რომ მეშჩანობამ უ კ ვ ე დ ა ა მ კ ვ ი დ რ ა ი ს ი ნ ი «ცხოვრების» ისეთ ღრმა «პუნქტში», როგორიც არის სოფელი. კ. ტ.] იგი უწინარეს ყოვლისა ვერ პოულობს ამისთვის საკმაოდ გამოსადეგ ადამიანებს და იძულებულია მიმართოს სხვა ტრადიციების ხალხს. [ხედავთ, რუსეთის ბურჟუაზია «ვერ პოულობს ადამიანებს»?! არც კი ღირს ამის უარყოფა, მით უმეტეს, რომ ავტორი ქვემოთ თვითონ უარჰყოფს თავის თავს. კ. ტ.] ამ ადამიანებმა საქმე არ იციან [რუსმა კაპიტალისტებმა?! კ. ტ.], მათი ნაბიჯები გამოუცდელია, მოძრაობა უხეში [იმდენად «იციან საქმე», რომ მოგება ათი და ასი პროცენტობით მიიღონ; იმდენად «გამოცდილნი» არიან, რომ ყველგან truck-system-ი[16] შემოიღონ; იმდენად მოხერხებულნი, რომ მფარველობითი ბაჟები მიიღონ. მხოლოდ იმას, ვინც უ შ უ ა ლ ო დ დ ა პ ი რ დ ა პ ი რ არ განიცდის თავის თავზე ამ ადამიანების მხრივ ჩაგვრას, მხოლოდ წვრილ ბურჟუას შეიძლებოდა მოსჩვენებოდა ასეთი ფანტაზია. კ. ტ.]; ისინი ცდილობენ მიბაძონ დასავლეთ-ევროპის ბურჟუაზიას, იწერენ წიგნებს, სწავლობენ [აი ავტორი უკვე თვითონ აღიარებს მის მიერ ეს-არის ახლა შეთხზული ოცნების ფანტასტიკურობას: თითქოს «მეშჩანური კულტურა» ჩვენში უ ვ ი ც ო ბ ი ს ნიადაგზე განვითარებულიყოს. ტყუილია. სწორედ მ ა ნ მოუტანა რეფორმისშემდგომი დროის რუსეთს მისი კულტურულობა, «განათლება». «ჭეშმარიტების შელამაზება», მტრის დასახვა უღონოდ და უნიადაგოდ «საზოგადოდ ყოველთვის ზედმეტია». კ. ტ.]; ზოგჯერ ისინი სინანულით იგონებენ წარსულს, ზოგჯერ კი მომავალზე ფიქრს ეძლევიან, რადგან საიდანღაც ისმის ხმები, რომ მეშჩანობა მხოლოდ თავხედი მედროვეა, რომ მისი მეცნიერება კრიტიკას ვერ უძლებს, მისი ზნეობრივი კოდექსი ხომ სრულიადაც უვარგისია».

ხედავთ, რუსეთის ბურჟუაზია სცოდავს იმით, რომ «სინანულით იგონებს წარსულს» და «მომავალზე ფიქრს ეძლევა»?! როგორ მოგწონთ? და არიან ადამიანები, რომელნიც სიამოვნებით იტყუებენ თავს და ასე უზომოდ სწამებენ ცილს რუსეთის საწყალ ბურჟუაზიას, თითქოს მას აკრთობდა ხმები «მეშჩანობის უვარგისობის» შესახებ! იქნებ პირიქით მოხდა: იქნებ ეს «ხმები» «შეკრთნენ», როცა ისინი კარგად დატუქსეს, იქნებ მათ იწყეს «ფიქრი მომავალზე»?..

და ასეთი ვაჟბატონები კიდევ გაკვირვებას ეძლევიან და თავს იკატუნებენ — არ გვესმის, რისთვის გვიწოდებენ რომანტიკოსებსო!

«ამავე დროს კი საჭიროა თავის გადარჩენა. მეშჩანობა როდი გთხოვს, არამედ გიბრძანებს სამუშაოზე წასვლას, წინააღმდეგ შემთხვევაში დაღუპვა მოგელისო *. არ წახვალ — დარჩები ულუკმაპუროდ, დადგები შუა ქუჩაში და დაიწყებ ყვირილს: «დაეხმარეთ გადამდგარ შტაბს-კაპიტანს!»; შეიძლება შიმშილით სულაც ფეხები გასჭიმო. და აი იწყება მუშაობა, ისმის ღრჭიალი, ჭრაჭუნი, ჩხარაჩხური, ამტყდარია აურზაური. სამუშაო სასწრაფოა, გადაუდებელი. ბოლოს, მექანიზმი ამუშავდა. ღრჭიალი და მკვეთრი ხმები თითქოს მინელდა, ნაწილები თითქოს მოეწყვნენ, ისმის მხოლოდ რაღაც მოუხეშავის გუგუნი. მაგრამ მით უფრო საშინელია: ფიცრები უფრო და უფრო იღუნებიან, ხრახნები ლაყლაყებენ, უყურებ და გგონია — საცაა ყველაფერი დაიშლება და გაიფანტებაო».

ეს ადგილი მით არის განსაკუთრებით დამახასიათებელი, რომ აქ რელიეფურად, სხარტად და ლამაზად არის მოცემული იმ მსჯელობის სქემა, რომლის მეცნიერული ფორმით შემოსვა ასე უყვართ რუსეთის ნაროდნიკებს. გამოდიან რა უდავო, სრულიად უცილობელი ფაქტებიდან, რომლებიც ამტკიცებენ წინააღმდეგობათა არსებობას კაპიტალისტური წყობილების დროს, ჩაგვრის, გადაშენების, უმუშევრობისა და სხვ.

* დაიხსომეთ, მკითხველო, ეს. როდესაც ნაროდნიკი ამბობს — ჩვენში, რუსეთში, «სამუშაოზე წასვლას ბრძანებს მ ე შ ჩ ა ნ ო ბ ა ო »,— მაშინ ეს მართალია. ხოლო როდესაც მარქსისტი იტყვის — ჩვენში წარმოების კაპიტალისტური წესი ბატონობსო, — მაშინ ბ-ნი ვ. ვ. ყვირილს მორთავს, რომ მარქსისტი ცდილობს «დემოკრატიული (sic!!) (ასე!! რ ე დ.) წყობილების შეცვლას კაპიტალისტურითო».

არსებობას, ნაროდნიკები ცდილობენ დაამტკიცონ, რომ კაპიტალიზმი ძალიან ცუდი და «მოუხეშავი» რამაა [შეად. ვ. ვ., კ ა ბ ლ უ კ ო ვ ი («მუშების საკითხი სოფლის მეურნეობაში»), ნ ა წ ი ლ ო ბ რ ი ვ ბ-ნი ნიკოლაი—ონი], რასაც «უყურებ და გგონია»—საცაა დაიშლება და გაიფანტებაო.

ვუყურებთ, აი უკვე მრავალი წელია ვუყურებთ, და ვხედავთ, რომ ეს ძალა, რომელიც რუს ხალხს სამუშაოზე წასვლას უბრძანებს, უფრო და უფრო მაგრდება და იზრდება, მას თავი მოაქვს მთელი ევროპის წინაშე მ ი ს მიერ შექმნილი რუსეთის სიძლიერით და უხარია, რა თქმა უნდა, ის, რომ «ისმის ხმები»—საჭიროა მხოლოდ იმის იმედი იქონიო, რომ «ხრახნები მოიშლებიანო».

«სუსტ ადამიანებს შიშისაგან გული ულონდებათ. «მით უკეთესი», ამბობენ თავზეხელაღებულნი. «მით უკეთესი», ამბობს ბურჟუაზიაც: — «უფრო მალე გამოვიწერთ ახალ მექანიზმს საზღვარგარეთიდან, უფრო მალე მოვამზადებთ ბაქნებს, ფიცრებს და სხვა ტლანქ ნაწილებს შინაური მასალისაგან, უფრო ჩქარა გავიჩენთ დახელოვნებულ მემანქანეებს». საზოგადოების ზნეობრივი მხარე კი მთელი ამ ხნის განმავლობაში მეტად ცუდ მდგომარეობაშია. ზოგს ჭკუაში უჯდება ახალი საქმიანობა და რაც ძალი და ღონე აქვს ცდილობს, ზოგი უკან რჩება და ცხოვრებაზე გული უტყდება».

რუსეთის საწყალი ბურჟუაზია! «რაც ძალი და ღონე აქვს» ცდილობს მიითვისოს ზეღირებულება! ზნეობრივადაც ცუდად გრძნობს თავს! (ნუ დაგავიწყდებათ, რომ ერთი გვერდით წინ მთელი ეს ზნეობა სტომაქის პროცესებით და გარყვნილებით განისაზღვრებოდა.) გასაგებია, რომ ასეთ პირობებში უკვე სრულიად საჭირო აღარ არის მასთან ბრძოლა, — მით უფრო რაღაც კლასობრივი ბრძოლა, — საკმაოა კარგად დატუქსო — და ისიც თავს ძალას აღარ დაატანს.

«ხალხზე ამ დროს თითქმის აღარავინ ფიქრობს; ამავე დროს, ბურჟუაზიის წესების მიხედვით, ყველაფერი კეთდება ხალხისათვის, მის ანგარიშში; ამავე დროს, ყოველი საზოგადო მოღვაწე და ლიტერატურა თავიანთ მოვალეობად სთვლიან იმჭევრმეტყველონ ხალხის კეთილდღეობაზე... ამ ლიბერალურ-კეკლუცურმა მიმართულებამ ყველა დანარჩენი დაჩრდილა და პირველი ადგილი დაიჭირა. ჩვენს დ ე მ ო კ რ ა ტ ი ულ ს ა უ კ უ ნ ე ში

არათუ ბ-ნი სუვორინი აცხადებს საჯაროდ თავის სიყვარულს ხალხისადმი და ამბობს: «ყოველთვის ერთი რამ მიყვარდა — ხალხი, და მოვკვდები ამ სიყვარულით გამსჭვალული, მე თვითონ ხალხიდან გამოვედი» (რაც ჯერ კიდევ სრულებით არაფერს არ ამტკიცებს), — არამედ თვით «მოსკოვსკიე ვედომოსტიც» კი როგორღაც სულ სხვანაირად ეპყრობა ხალხს... და როგორღაც, თავისებურად, რასაკვირველია, ზრუნავს მის კეთილმოწყობაზე. ამჟამად აღარ მოიპოვება განსვენებული «ვესტის» [80] მსგავსი არცერთი ბეჭდვითი ორგანო, ე. ი. ისეთი ორგანო, რომელიც ხალხს აშკარად მტრული თვალით უყურებდეს. მაგრამ აშკარად მტრული დამოკიდებულება უკეთესი იყო, იმიტომ რომ მაშინ მტერს თვალდათვალ ხედავდი, როგორც ხელის გულზე: სჩანდა, რომელი მხრიდან იყო იგი სულელი და რომლიდან გაიძვერა. ახლა კი ყველა მეგობარია და იმავე დროს ყველა — მტერი; ყველაფერი აირდაირია საერთო ქაოსში. ხალხი, როგორც უსპენსკი ამბობს, სწორედ რომ გახვეულია რაღაც ნისლში, რომელიც თავგზას უბნევს გამოუცდელ კაცს. წინათ ის თავის წინაშე ხედავდა მარტოოდენ გულწრფელ უკანონობას. ახლა კი ეუბნებიან, რომ იგი ისევე თავისუფალია, როგორც მემამულე, ეუბნებიან, რომ იგი თვით განაგებს თავის საქმეებს, ეუბნებიან, რომ მას არარაობიდან ეწევიან და ფეხზე აყენებენ, ნამდვილად კი მთელ ამ მზრუნველობას გასდევს, გარს ერტყმის რა მას წვრილი, მაგრამ მაგარი ძაფით, მარტო დაუსრულებელი სიყალბე და პირმოთნეობა».

რაც მართალია — მართალია!

«მაშინ ყველა როდი მისდევდა შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათა დაარსებას, რომელნიც კულაკობას ხელს უწყობდნენ, ნამდვილ ღარიბებს კი უკრედიტოდ სტოვებდნენ».

პირველად შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ ავტორი, რომელსაც ესმის კრედიტის ბურჟუაზიულობა, სრულებით არ უნდა გაეკაროს არავითარ ამგვარ ბურჟუაზიულ ზომებსო. მაგრამ წვრილი ბურჟუას დამახასიათებელი და ძირითადი თვისება ის არის, რომ ბურჟუაზიულობას ბურჟუაზიული საზოგადოებისავე საშუალებებით ებრძოლოს. ამიტომ ავტორიც, როგორც ნაროდნიკებიც საზოგადოდ, ა ს წ ო რ ე ბ ს ბურჟუაზიულ საქმიანობას და მოითხოვს უფრო ფართო კრედიტს, კრედიტს ნამდვილი ღარიბებისათვის!

„...«არას ამბობდნენ ინტენსიური მეურნეობის საჭიროებაზე, მეურნეობის, რომელსაც ხელს უშლის მინდვრების გადანაწილება და თემი (?); არ ლაპარაკობდნენ სულობრივ გადასახადთა სიმძიმეზე და არ ურჩევდნენ საშემოსავლო გადასახადის შემოღებას, ამასთან სულ არ იხსენიებდნენ

არაპირდაპირ გადასახადებსა და იმას, რომ საშემოსავლო გადასახადი სინამდვილეში ჩვეულებრივ ისეთ გადასახადად გადაიქცევა ხოლმე, რომელიც ღარიბებსავე აწვება კისერზე; არაფერს ამბობდნენ იმაზე, რომ საჭიროა საადგილმამულო კრედიტი მემამულეებისაგან მეტად მაღალ ფასებში მიწების შესაძენად გლეხების მიერ და სხვ... ასევე იყო საზოგადოებაშიც: იქაც ხალხს იმდენი მეგობრები აღმოუჩნდა, რომ მხოლოდ გაკვირვებას ეძლევი... მალე, ალბათ, ხალხისადმი სიყვარულზე ლაპარაკს დამგირავებელნიც და მიკიტნებიც დაიწყებენ».

პროტესტი ბურჟუაზიულობის წინააღმდეგ საუცხოოა; მაგრამ დასკვნები უმნიშვნელო: ბურჟუაზია მეფობს ცხოვრებაშიც და საზოგადოებაშიცო. თითქოს, უნდა ჩამოშორდე საზოგადოებას და წახვიდე ბურჟუაზიის ანტიპოდთან.

არა, საჭიროა კრედიტის პროპაგანდა «ნამდვილი ღარიბებისათვის»!

«ვინ არის უფრო დამნაშავე ასეთი არეული მდგომარეობისათვის— ლიტერატურა თუ საზოგადოება, — ძნელი გასარკვევია, და გარკვევაც ყოველად უსარგებლო იქნება. ამბობენ, თევზი თავიდან იხრწნებაო, მაგრამ ამ წმინდა კულინარულ დაკვირვებას მე არავითარ მნიშვნელობას არ ვაძლევ».

იხრწნება ბურჟუაზიული საზოგადოება — აი, მაშასადამე, ავტორის აზრი. საჭიროა ხაზი გაესვას იმას, რომ სწორედ ასეთია მარქსისტების გამოსავალი წერტილი.

«ამავე დროს კი, როდესაც სოფელს ველაციცებით და თვალს ვუშვრებით, ისტორიის ბორბალი ტრიალებს, სტიქიური ძალები მოქმედებენ, ანდა, თუ უფრო გასაგებად და მარტივად ვიტყვით, ცხოვრებას ეტმასნებიან ყოველგვარი გაიძვერები და მას თავისებურად გარდაჰქმნიან ხოლმე. ვიდრე ლიტერატურა კამათობს სოფელზე, გლეხის კეთილ გულზე და იმაზე, რომ მას ცოდნა არა აქვს, ვიდრე პუბლიცისტიკა ზღვა მელანს მოანდომებს თემის და მიწათმფლობელობის ფორმების საკითხებს, ვიდრე საგადასახადო კომისია განაგრძობს საგადასახადო რეფორმის განხილვას, — სოფელი საბოლოოდ გაუბედურებული აღმოჩნდება».

აი თურმე რა ყოფილა! «ვიდრე ჩვენ ვლაპარაკობთ — ისტორიის ბორბალი ტრიალებს, სტიქიური ძალები მოქმედებენ»!

რა აურზაურს ასტეხდით თქვენ, მეგობრებო, ეს რომ მე მეთქვა!

როდესაც მარქსისტები ლაპარაკობენ «ისტორიის ბორბალსა და სტიქიურ ძალებზე» და თან ზუსტად განმარტავენ, რომ

ეს «სტიქიური ძალები» განვითარების გზაზე მდგომი ბურჟუაზიის ძალებია, — ბბ. ნაროდნიკები ამჯობინებენ კრინტი არ დასძრან იმ საკითხზე, სწორია თუ არა და სწორად არის თუ არა შეფასებული ამ «სტიქიურ ძალთა» ზრდის ფაქტი, და ილაყბონ სულელური აბდაუბდა იმის შესახებ, თუ რა «მისტიკოსები და მეტაფიზიკოსები» არიან ის ადამიანები, რომელთაც «ისტორიის ბორბალსა» და «სტიქიურ ძალებზე» ლაპარაკი შეუძლიათო.

განსხვავება — და ფრიად არსებითი განსხვავებაც — ნაროდნიკის ზემომოყვანილ აღიარებასა და მარქსისტების ჩვეულებრივ დებულებას შორის მხოლოდ ისაა, რომ მაშინ როდესაც ნაროდნიკისათვის ამ «სტიქიურ ძალებს» წარმოადგენენ «გაიძვერები», რომელნიც «ცხოვრებას ეტმასნებიან», მარქსისტისათვის სტიქიური ძალები განსახიერებულია ბურჟუაზიის კ ლ ა ს ი, რომელიც საზოგადოებრივი «ცხოვრების» ნაყოფი და გამოხატულებაა; ეს საზოგადოებრივი ცხოვრება წარმოადგენს კაპიტალისტურ საზოგადოებრივ ფორმაციას, და ის შემთხვევით ან საიდანღაც გარედან კი არ არის «მიტმასნებული ცხოვრებასთან». ნაროდნიკი, რომელიც დგას სხვადასხვა კრედიტის, გადასახადის, მიწათმფლობელობის ფორმების, გადანაწილების, გაუმჯობესების და სხვ. ნიადაგზე, ვერ ხედავს, რომ ბურჟუაზიას ღრმა ფესვები აქვს გადგმული რუსეთის წარმოებითს ურთიერთობებში, და ამიტომ თავს ბავშვური ილუზიებით ინუგეშებს — ეს მხოლოდ «გაიძვერები» არიანო. ბუნებრივია, რომ ა ს ე თ ი თვალსაზრისით, მართლაც, ყოვლად გაუგებარი იქნება, რა შუაშია აქ კლასობრივი ბრძოლა, როცა მთელი საქმე «გაიძვერების» თავიდან მოშორება ყოფილა! ბუნებრივია, რომ ბბ. ნაროდნიკები, როცა მარქსისტები განუწყვეტლივ და მრავალჯერ მიუთითებენ ამ ბრძოლაზე, გაჩუმებულან იმ კაცის მსგავსად, რომელსაც არაფერი არ გაეგება, რომელიც ვერ ხედავს კლასს და ხედავს მხოლოდ «გაიძვერებს».

კლასთან ბრძოლა შეუძლია მხოლოდ ს ხ ვ ა კ ლ ა ს ს, ამასთან აუცილებლად ისეთს, რომელიც უკვე სავსებით «დიფე-

რენცირებულია» თავისი მტრისაგან, სავსებით უპირისპირდება მას, «გაიძვერებთან» საბრძოლველად კი, რასაკვირველია, საკმაოა მარტო პოლიცია, უკიდურეს შემთხვევაში — «საზოგადოება» და «სახელმწიფო».

თუმცა მალე იმასაც დავინახავთ, თვით ნაროდნიკის დახასიათებით, რა ხალხია ეს «გაიძვერები», რამდენად ღრმად აქვთ მათ ფესვები გადგმული, რამდენად ყოვლისმომცველია მათი საზოგადოებრივი ფუნქციები.

«ხალხის პასიური მეგობრების» შესახებ ზემოთ ამოწერილი სიტყვების შემდეგ ავტორი უშუალოდ განაგრძობს:

«ეს — რაღაც უფრო ცუდია, ვიდრე შეიარაღებული ნეიტრალიტეტი პოლიტიკაში, უფრო ცუდია იმიტომ, რომ აქ ყველაზე ძლიერს ყოველთვის აქტიურ დახმარებას უწევენ. რაც უნდა გულწრფელი იყოს გრძნობით პასიური მეგობარი, რაც უნდა ცდილობდეს იგი უჩინარი და წყნარი მდგომარეობა დაიკავოს ცხოვრების სარბიელზე, იგი მაინც ზიანს მიაყენებს მეგობრებს»...

... «ცოტად თუ ბევრად მთლიანი ბუნების და ხალხის გულწრფელად მოყვარული ადამიანებისათვის * ასეთი მდგომარეობა, ბოლოსდაბოლოს, აუტანელი და გულისამმღვრევი ხდება. მათ რცხვენიათ და ეზიზღებათ, როცა განუწყვეტლივ ესმით ასეთი გულისამრევი სიყვარულის გამოცხადება, რაც წლითი-წლობით ყოველდღე მეორდება, მეორდება კანცელარიებშიც, მაღალი საზოგადოების სალონებშიც, სამიკიტნოებშიც, როცა კლიკოს შამპანურს შეექცევიან, საქმედ კი არასოდეს არ იქცევა. აი, ბოლოსდაბოლოს, რატომ ხდება, რომ ისინი ხელაღებით უარჰყოფენ მთელ ამ დომხალს».

ლიბერალებისადმი წინანდელი რუსი ნაროდნიკების დამოკიდებულების ეს დახასიათება თითქმის სავსებით მიუდგებოდა მარქსისტების დამოკიდებულებას ახლანდელი ნაროდნიკებისადმი. მარქსისტებისთვისაც «აუტანელი» გახდა იმის მოსმენა, რომ «ხალხს» უნდა დაეხმარო კრედიტებით, მიწების ყიდვით,

* რა გაურკვეველია აქ «პასიური მეგობრებისაგან» განმასხვავებელი ნიშნები! ისინიც ხომ «მთლიანი ბუნების» ადამიანები არიან და, უეჭველია, «გულწრფელად» «უყვართ ხალხი». წინა დაპირისპირებიდან ცხადად სჩანს, რომ პასიურს უნდა დაუპირისპირო ის, ვინც მონაწილეობას იღებს «ურთიერთმოწინააღმდეგე» ს ა ზ ო გ ა დ ო ებ რ ი ვ ძ ალ თ ა ბრძოლაში. Hier liegt der Hund begraben (აი სად მარხია ძაღლის თავი. რ ე დ.).

ტექნიკური გაუმჯობესებებით, არტელებით, საზოგადოებრივი მოხვნით * და სხვ. ისინიც მოითხოვენ იმ ადამიანებისაგან, რომელთაც სურთ იდგნენ... არა «ხალხის», არა, — არამედ იმათ მხარეზე, ვისაც ბურჟუაზია უბრძანებს სამუშაოდ წავიდეს,— მთელი ამ ლიბერალურ-ნაროდნიკული დომხალის «ხელაღებით უარყოფას». მათ ჰგონიათ, რომ ეს «აუტანელი» პირმოთნეობაა — ლაყბობა რუსეთისათვის გზების არჩევაზე, «კარსმომდგარი» კაპიტალიზმის უბედურებაზე, «სახალხო მრეწველობის საჭიროებებზე», როცა ამ სახალხო მრეწველობის ყველა დარგში კაპიტალია გაბატონებული, ინტერესთა ყრუ ბრძოლა სწარმოებს, და საჭიროა მისი არა მიფუჩეჩება, არამედ გამოაშკარავება, — არა ოცნება: «უკეთესი იქნებოდა უბრძოლველად» **, არამედ მისი გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა სიმტკიცის, მონაცვლეობის, თანმიმდევრობისა და, რაც უმთავრესია, იდეურობის მხრით.

«აი, ბოლოსდაბოლოს, რატომ ჩნდებიან ცნობილი სამოქალაქო მცნებები, რიგიანობის ცნობილი კატეგორიული მოთხოვნები, სასტიკი და ზოგჯერ ვიწრო მოთხოვნები, რისთვისაც ისინი განსაკუთრებით არ მოსწონთ ფრთაგაშლილ ლიბერალებს, რომელთაც უყვართ სიხალვათე წყვდიადში და ავიწყდებათ ამ მოთხოვნების ლოგიკური წარმოშობა».

საუცხოო სურვილია! აუცილებლად საჭიროა სწორედ «სასტიკი» და «ვიწრო» მოთხოვნები.

მაგრამ უბედურება ის არის, რომ ნაროდნიკების ყველა საუცხოო განზრახვა «გულუბრყვილო სურვილების» ფარგლებს არ სცილდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ისინი გრძნობდნენ ასეთი მოთხოვნების საჭიროებას, მიუხედავად იმისა, რომ მათ მეტად საკმაო დრო ჰქონდათ ამ მოთხოვნების განსახორციელებლად, — მათ დღემდე ვერ შეუმუშავებიათ ეს მოთხოვნები, ისინი მთელი რიგი თანდათანობითი გადასვლებით მუდამ

* ბ-ნი იუჟაკოვი «რ. ბ — ვოს» № 7-ში, 1894 წ.

** ბ-ნ კრივენკოს გამოთქმა («რ. ბ.» 1894, № 10) პასუხად ბ-ნ სტრუვეს სიტყვებისა «საზოგადოებრივ კლასთა ულმობელი ბრძოლის» შესახებ.

უერთდებოდნენ რუსეთის ლიბერალურ საზოგადოებას და ამ შეერთებას დღემდეც განაგრძობენ *.

ამიტომ — დაე თავიანთ თავს დაემდურონ, თუ ახლა მარქსისტები მათ წინააღმდეგ აყენებენ მართლაც მეტად «სასტიკ» და მეტად «ვიწრო» მოთხოვნებს — განსაკუთრებული სამსახური გაუწიონ მხოლოდ დამხოლოდ ერთ კლასს (სახელდობრ იმას, რომელიც «დიფერენცირებულია ცხოვრებისაგან»), მის დამოუკიდებელ განვითარებასა და აზროვნებას, მოთხოვნებს — ყოველივე კავშირი გასწყვიტონ რუსეთის «რიგიანი» ბურჟუების «სამოქალაქო» «რიგიანობასთან».

«რაც უნდა ვიწრო იყოს, მართლაც, ამ მცნებათა წვრილმანები, საერთო მოთხოვნის წინააღმდეგ ყოველ შემთხვევაში ვერაფერს იტყვი: «ორში ერთი: ან იყავით ნამდვილი მეგობრები, ან გადაიქეცით აშკარა მტრებად!»

ჩვენ ამჟამად განვიცდით მეტად მნიშვნელოვან ისტორიულ პროცესს — მესამე წოდების ჩამოყალიბების პროცესს. ჩვენს თვალწინ ხდება იმ ახალი საზოგადოებრივი ძალის წარმომადგენელთა შერჩევა და ორგანიზაცია, რომელიც ცხოვრების მართვა-გამგეობისათვის ემზადება».

ნუთუ მხოლოდ «ემზადება»? ვინღა «განაგებს»? რომელი სხვა «საზოგადოებრივი ძალა»?

ის ხომ არა, რომელსაც à la ** «ვესტ»-ის ორგანოები გამოხატავდნენ? — შეუძლებელია. ჩვენ ვცხოვრობთ არა 1894 წელს, არამედ 1879 წელს, «გულის დიქტატურის»[81] წინ, —

* ზოგიერთი გულუბრყვილო ნაროდნიკი, რომელსაც თავისი მიამიტობის გამო არ ესმის, რომ თავისი თავის წინააღმდეგ სწერს, ტრაბახობს კიდეც ამით:

«ჩვენი ინტელიგენცია საზოგადოდ და ლიტერატურა კერძოდ, — სწერს ბ-ნი ვ. ვ. ბ-ნ სტრუვეს წინააღმდეგ, — ყველაზე ბურჟუაზიულ მიმდინარეობათა წარმომადგენლებიც კი, ატარებენ, ასე ვთქვათ, ნაროდნიკულ ხასიათს» («ნედელია», 1894 წ., № 47, გვ. 1506).

როგორც ცხოვრებაში წვრილი მწარმოებელი მთელი რიგი შეუმჩნეველი გადასვლებით უერთდება ბურჟუაზიას, — ისე ლიტერატურაში ნაროდნიკების გულუბრყვილო სურვილები «ლიბერალურ პასპორტად» ხდებიან სტომაქის პროცესების შემცველთათვის, მჭაფავთათვის და სხვ.

** — მსგავსი. რ ე დ.

როდესაც, სტატიის ავტორის თქმით, «უკიდურეს კონსერვატორებს ქუჩაში თითით აჩვენებენ», «ძალზე დასცინიან» მათ.

ან იქნებ «ხალხი», მშრომელები? — ავტორის მთელი სტატია უარყოფითს პასუხს იძლევა.

და იგი მაინც გაიძახის: «ემზადება მართვა-გამგეობისათვის»?! არა, ეს ძალა დიდი ხანია «მოემზადა», დიდი ხანია «განაგებს»; «ემზადებიან» კი მარტო ნაროდნიკები — რუსეთისათვის უკეთესი გზების ასარჩევად, და ამ მზადებაში იქნებიან ისინი, ალბათ, იმ დრომდე, ვიდრე კლასობრივ წინაალმდეგობათა თანმიმდევრული განვითარება უკან არ დაახევინებს, შორს არ გასტყორცნის ყველა იმას, ვინც მათ გვერდს უვლის.

«ამ პროცესმა, რომელიც ევროპაში ჩვენსაზე ბევრად ადრე დაიწყო, მრავალ სახელმწიფოში უკვე თავის დასასრულს მიაღწია *; სხვა სახელმწიფოებში მას ჯერ კიდევ აფერხებენ ფეოდალიზმის ნამსხვრევები და მუშათა კლასის წინაალმდეგობა, მაგრამ ისტორიული ბორბალი აქაც წლითიწლობით სულ უფრო და უფრო მეტად აქუცმაცებს ამ ნამსხვრევებს და ტკეპნის ცხოვრებას ახალი წესებისათვის».

აი რამდენად არ ესმით ჩვენს ნაროდნიკებს დასავლეთ-ევროპის მუშათა მოძრაობა! ხედავთ, იგი «აფერხებს» კაპიტალიზმსო, — და მას, როგორც «ნამსხვრევს», ფეოდალიზმის გვერდით აყენებენ!

ეს თვალსაჩინო დამამტკიცებელია იმისა, რომ ჩვენს ნაროდნიკებს არ შეუძლიათ გაიგონ ის, თუ როგორ შეიძლება არათუ რუსეთში, არამედ დასავლეთშიც კაპიტალიზმთან ბრძოლა არა მისი განვითარების «შეჩერებით», არამედ დაჩქარებით, არა უკანიდან, არამედ წინიდან, არა რეაქციულად, არამედ პროგრესულად.

---

* ესე-იგი რას ნიშნავს: «დასასრულს მიაღწია»? იმას ხომ არა, რომ უკვე მოსჩანს მისი დასასრული, რომ უკვე იკრიბება «ახალი ძალა»? — მაშინ იგი ჩვენშიც აღწევს დასასრულს. ან იქნებ იმას, რომ იქ მესამე წოდების წარმოშობა უკვე აღარ ხდება?—ეს არ არის სწორი, იმიტომ რომ იქაც არიან ჯერ კიდევ წვრილი მწარმოებლები, რომელნიც გამოჰყოფენ ერთ მუჭა ბურჟუაზიას და პროლეტარიატის მასებს.

«საერთოდ, ეს პროცესი შემდეგში გამოიხატება; თავადაზნაურობასა და ხალხს შორის ჩნდება ახალი საზოგადოებრივი ფენა იმ ელემენტებისაგან, რომელნიც ეშვებიან ზევიდან, და იმ ელემენტებისაგან, რომელნიც ამოდიან ქვევიდან, რომელთაც თითქოს ერთნაირი ხვედრითი წონა აქვთ, თუ შეიძლება ასე ითქვას; ეს ელემენტები მჭიდროდ უკავშირდებიან ერთიმეორეს, ერთდებიან, ღრმა შინაგან ცვლილებას განიცდიან და იწყებენ როგორც ზედა, ისე ქვედა ფენის შეცვლას, თანაც ცდილობენ შეუგუონ ისინი თავიანთ მოთხოვნილებებს. ეს პროცესი დიდად საინტერესოა თავისთავად, ხოლო ჩვენთვის მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ჩვენთვის აქ იბადება მთელი რიგი საკითხები: წარმოადგენს თუ არა მესამე წოდების ბატონობა ყოველი ხალხის ცივილიზაციის საბედისწერო და აუცილებელ საფეხურს?...»

რა აბდაუბდაა?! საიდან-სადაო და რა შუაშია აქ «საბედისწერო აუცილებლობა»? განა თვით ავტორმა არ აგვიწერა — და ქვევით უფრო დაწვრილებითაც აგვიწერს — მესამე წოდების ბატონობას ჩ ვ ე ნ შ ი, კურთხეულ რუსეთში, 70-იან წლებში?

ავტორი, აშკარაა, იღებს იმ თეორიულ საბუთებს, რომელთაც ჩვენი ბურჟუაზიის წარმომადგენლები ეფარებოდნენ.

განა ოცნებური ზერელობა არ არის ეს — ხალას ჭეშმარიტებად მიიჩნიო ამგვარი ზღაპრები? ვერ გაიგო, რომ ამ «თეორიულ» მსჯელობათა უკან იმალება ი ნ ტ ე რ ე ს ე ბ ი, იმ საზოგადოების ინტერესები, რომელიც ეს-არის ახლა ასეთი სისწორით იქნა შეფასებული, ბურჟუაზიის ინტერესები?

მხოლოდ რომანტიკოსს თუ შეუძლია იფიქროს, რომ ინტერესებთან ბრძოლა სილოგიზმებით შეიძლება.

...«იქნებ შეიძლება სახელმწიფო ერთი საფეხურიდან პირდაპირ მეორეზე გადავიდეს, ამასთან ისე, რომ არ მიმართოს არავითარ სალტო-მორტალეს, რომელიც მეტისმეტად წინდახედულ ფილისტერებს ყოველ ნაბიჯზე ელანდებათ, და ყური არ ათხოვოს ფატალისტებს, რომელნიც ისტორიაში მხოლოდ საბედისწერო წესრიგს ხედავენ, რის გამოც მესამე წოდების ბატონობა ისევე აუცილებელია სახელმწიფოსათვის, როგორც ადამიანისათვის აუცილებელია სიბერე ან სიყმაწვილე?...»

აი რა ღრმა გაგება აქვთ ჩვენი სინამდვილისა ნაროდნიკებს! თუ სახელმწიფო ხელს უწყობს კაპიტალიზმის განვითარებას, — ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ ბურჟუაზიას მოე-

პოვება ისეთი მატერიალური ძალა, რომ იგი ხალხს «სამუშაოზე გზავნის» და პოლიტიკას თავისკენ ხრის. სრულიადაც არა. საქმე იმაშია მხოლოდ, რომ პროფესორები ვერნადსკები, ჩიჩერინები, მენდელეევები და სხვები შემცდარ თეორიებს მისდევენ «საბედისწერო» წესრიგის შესახებ, სახელმწიფო კი მათ «უსმენს».

...«იქნებ, დასასრულ, შევანელოთ მომავალი წესრიგის უარყოფითი მხარეები, როგორმე შევცვალოთ იგი ან შევამოკლოთ მისი ბატონობის დრო? ნუთუ, მართლაც, სახელმწიფო რაღაც ისეთი ინერტული, უნებისყოფო და უძლური რამაა, რომ არ შეუძლია გავლენა იქონიოს თავის ბედზე და შესცვალოს იგი; ნუთუ, მართლაც, სახელმწიფო განგების მიერ ამოძრავებული რაღაც ბზრიალაა, რომელიც მოძრაობს მხოლოდ განსაზღვრული მიმართულებით, მხოლოდ განსაზღვრულ დროს და განსაზღვრული რაოდენობის ბრუნს აკეთებს, ან ისეთი ორგანიზმია, რომელსაც მეტად შეზღუდული ნებისყოფა აქვს? ნუთუ, მართლაც, მას განაგებს რაღაც თუჯის უზარმაზარი ბორბლის მსგავსი რამ, რომელიც სრესს ყველას, ვინც გაბედავს და შეეცდება კაცობრიობის ბედნიერებისაკენ მახლობელი გზების გამოძებნას?!»

ეს მეტისმეტად დამახასიათებელი ადგილია, რომელიც განსაკუთრებული სიცხადით გვიჩვენებს უშუალო მწარმოებლების ინტერესთა იმ წარმომადგენლობის რ ე ა ქ ც ი ო ს ლ ო ბ ა ს, წ ვ რ ი ლ ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ს ლ ო ბ ა ს, რომელსაც რუსეთის ნაროდნიკები იძლეოდნენ და იძლევიან. კაპიტალიზმის წინააღმდეგ მტრულად განწყობილი წვრილი მწარმოებლები წარმოადგენენ ბურჟუაზიასთან დაკავშირებულ გარდამავალ კლასს, და ამიტომ მათ არ შეუძლიათ გაიგონ, რომ მათთვის არასასიამოვნო მსხვილი კაპიტალიზმი არის არა შემთხვევითი მოვლენა, არამედ პირდაპირი პროდუქტია მთელი თანამედროვე ეკონომიური (სოციალური, პოლიტიკური და იურიდიული) წყობილებისა, რომელიც იქმნება ურთიერთმოწინააღმდეგე საზოგადოებრივ ძალთა ბრძოლაში. მხოლოდ ამის გაუგებლობას შეუძლია მოჰყვეს ისეთი აბსოლუტური უაზრობა, როგორიც არის «სახელმწიფოსადმი» მიმართვა, — თითქოს პოლიტიკური წესები ეკონომიურიდან არ გამომდინარეობდნენ, მათ არ გამოხატავდნენ, მათ არ ემსახურებოდნენ.

ნუთუ სახელმწიფო რაღაც ინერტული რამაა? — კითხულობს სასოწარკვეთილებით წვრილი მწარმოებელი, როცა ხედავს, რომ სახელმწიფო მისი ინტერესების მიმართ, მართლაც, საოცარ ინერტულობას იჩენს.

არა, — შეგვეძლო გვეპასუხნა მისთვის, — სახელმწიფო არავითარ შემთხვევაში არ არის რაღაც ინერტული რამ, იგი ყოველთვის მოქმედებს და მოქმედებს მეტად ენერგიულად, ყოველთვის აქტიურია და არასოდეს — პასიური, — და ავტორი ერთი გვერდით ზემოთ თვით ახასიათებდა სახელმწიფოს ამ აქტიურ მოქმედებას, მის ბურჟუაზიულ ხასიათს, მის ბუნებრივ ნაყოფს. ცუდია მხოლოდ ის, რომ მას არ სურს დაინახოს კავშირი მის ასეთს ხასიათსა და რუსეთის საზოგადოებრივი მეურნეობის კაპიტალისტურ ორგანიზაციას შორის, ამიტომაც ასეთი ზერელეა მისი მსჯელობა.

ნუთუ სახელმწიფო ბზრიალაა, ნუთუ იგი თუჯის ბორბალია? კითხულობს Kleinbürger-ი *, როცა ხედავს, რომ «ბორბალი» სრულიადაც ისე არ ტრიალებს, როგორც მას სურს.

სრულიადაც არა, — შეგვეძლო გვეპასუხნა მისთვის, — ეს არ არის ბზრიალა, არც ბორბალი, არც ბედისწერის კანონი და არც განგების ნება: მას ამოძრავებენ «ცოცხალი პიროვნებანი» «დაბრკოლებათა მწკრივის გადალახვით» ** (მსგავსად, მაგალითად, უშუალო მწარმოებელთა ან ძველი თავადაზნაურული ფენის წარმომადგენელთა წინააღმდეგობისა), სწორედ ის «ცოცხალი პიროვნებანი», რომელნიც უძლიერეს საზოგადოებრივ ძალას ეკუთვნიან. ამიტომ, ბორბალი რომ ვაიძულოთ მეორე მხარეს იტრიალოს, ამისთვის «ცოცხალ პიროვნებათა» წინააღმდეგ (ე. ი. იმ საზოგადოებრივი ელემენ-

* — წვრილი ბურჟუა. რ ე დ.

** ბ-ნი ნ. მიხაილოვსკი, ბ-ნ სტრუვეს წიგნში, გვ. 8: «ცოცხალი პიროვნება მთელი თავისი განზრახვებითა და გრძნობებით თავისი პასუხისმგებლობით ხდება ისტორიის მოღვაწე. იგი, და არა რაიმე მისტიკური ძალა, ისახავს მიზნებს ისტორიაში და ამოძრავებს მათკენ მოვლენებს იმ დაბრკოლებათა მწკრივის გადალახვით, რომლებსაც უყენებენ მას ბუნებისა და ისტორიული პირობების სტიქიური ძალები».

ტების წინააღმდეგ, რომელნიც იდეოლოგიურ მდგომარეობას კი არ ეკუთვნიან, არამედ პირდაპირ გამოხატავენ საარსებო ეკონომიურ ინტერესებს) უნდა მივმართოთ «ცოცხალსავე პიროვნებებს», კლასის წინააღმდეგ — კლასსვე უნდა მივმართოთ. ამისთვის სრულიადაც არ არის საკმაო კეთილი და უბრალო სურვილები «მახლობელი გზების» შესახებ, — ამისთვის საჭიროა «სოციალური ძალის გადანაწილება კლასთა შორის», ამისთვის საჭიროა გახდე არა იმ უშუალო მწარმოებლის იდეოლოგი, რომელიც განზე დგას ბრძოლისაგან, არამედ იმისი, ვინც ცხარე ბრძოლის შუაგულშია, ვინც საბოლოოდ «დიფერენცირებულია» ბურჟუაზიული საზოგადოების «ცხოვრებისაგან». ეს ერთადერთი და ამიტომაც უახლოესი «გზაა კაცობრიობის ბედნიერებისაკენ», გზა, რომელზედაც შეიძლება საქმეთა ვითარების უარყოფითი მხარეების არა მარტო შენელება, არა მარტო მისი არსებობის შემოკლება მისი განვითარების დაჩქარებით, არამედ მისი სრული მოსპობაც და (უკვე არა სახელმწიფოებრივი, არამედ სოციალური ძალების) «ბორბლის» ატრიალება სულ სხვა მხრით.

...«ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ მესამე წოდების ორგანიზაციის პროცესი, თითქმის მარტო ის ადამიანები, რომელნიც ხალხის წრიდან გამოდიან და მესამე წოდების რიგებში დგებიან. ეს ადამიანები ღირსშესანიშნავნი არიან: ისინი უაღრესად მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ფუნქციებს ასრულებენ, და ბურჟუაზიული წესების ინტენსივობა პირდაპირ მათზეა დამოკიდებული. ისინი აუცილებელნი იყვნენ ყველა ქვეყნისათვის, სადაც კი ასეთი წესები მყარდებოდა. თუ ისინი არ არიან ან ნაკლებად არიან რომელიმე ქვეყანაში, საჭიროა მათი გამოწვევა ხალხიდან, საჭიროა ხალხის ცხოვრებაში ისეთი პირობების შექმნა, რომელნიც ხელს შეუწყობდნენ მათს გაჩენას და გამოყოფას, საჭიროა, დასასრულ, მათი დაცვა და მათი ზრდისათვის დახმარების გაწევა იმ დრომდე, ვიდრე მომაგრდებიან. აქ ჩვენ საქმე გვაქვს ისტორიულ ბედისწერაში პირდაპირ ჩარევასთან ყველაზე უფრო ენერგიული ადამიანების მხრივ, რომელნიც სარგებლობენ გარემოებით და მომენტით თავიანთი ინტერესებისათვის. ეს გარემოება, უმთავრესად, იმაში მდგომარეობს, რომ საჭიროა სამრეწველო პროგრესი (შინამრეწველური წარმოების შეცვლა მანუფაქტურულით, მანუფაქტურულისა — საფაბრიკოთი, მემინდვრეობის ერთი სისტემის შეცვლა მეორით, უფრო რაციონალურით), ურომლისოდაც სახელმწიფოს, მოსახლეობის განსაზღვრული სიმჭიდროვისა და საერთაშორისო ურთიერთობის დროს, მართლაც არ შეუძლია არსებობა, — და პოლიტიკუ-

რი და ზნეობრივი გათიშვა, რასაც იწვევს როგორც ეკონომიური ფაქტორები, ისე იდეათა ზრდა. აი სწორედ ამ, სახელმწიფო ცხოვრებაში აუცილებელ, ცვლილებებს უკავშირებენ ჩვეულებრივ მოხერხებული ადამიანები თავიანთ თავს და განსაზღვრულ წესებს; ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ამ ადამიანების შეცვლაც სხვებით ყოველთვის შეიძლება, თუ სხვა ადამიანები უფრო ჭკვიანი და ენერგიული იქნებიან, ვიდრე აქამდე იყვნენ».

ამრიგად, ავტორს არ შეუძლია არ აღიაროს, რომ ბურჟუაზია «მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ფუნქციებს» ასრულებს, — ფუნქციებს, რომელთა გამოხატვა ზოგადად შეიძლება ასე: სახალხო შრომის დამორჩილება, მისი ხელმძღვანელობა და მისი ნაყოფიერების გადიდება. ავტორს არ შეუძლია არ დაინახოს, რომ ეკონომიური «პროგრესი» მართლაც «დაკავშირებულია» ამ ელემენტებთან, ე. ი. რომ ჩვენს ბურჟუაზიას მართლაც თან მოაქვს ეკონომიური, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ტექნიკური პროგრესი.

მაგრამ სწორედ აქ იწყება ძირითადი განსხვავება წვრილი მწარმოებლის იდეოლოგსა და მარქსისტს შორის. ნაროდნიკი ამ ფ ა ქ ტ ს (ბურჟუაზიისა და პროგრესის კავშირს) ხსნის იმით, რომ «მოხერხებული ადამიანები» «თავიანთი ინტერესებისათვის სარგებლობენ გარემოებით და მომენტით», — სხვა სიტყვებით: ამას შემთხვევით მოვლენად სთვლის და ამიტომ გულუბრყვილო სითამამით დაასკვნის: «ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ამ ადამიანების შეცვლა ყოველთვის (!) შეიძლება სხვებით», რომელნიც აგრეთვე მოგვცემენ პროგრესს, მაგრამ პროგრესს არა ბურჟუაზიულს.

მარქსისტი ამ ფაქტს ხსნის ადამიანთა იმ საზოგადოებრივი ურთიერთობით მატერიალურ ფასეულობათა წარმოების დარგში, რომელიც იქმნება სასაქონლო მეურნეობაში, აქცევს შრომას საქონლად, კაპიტალის მორჩილად ხდის მას და ამაღლებს მის ნაყოფიერებას. მარქსისტი ხედავს აქ არა შემთხვევითს მოვლენას, არამედ ჩვენი საზოგადოებრივი მეურნეობის კაპიტალისტურად მოწყობის აუცილებელ ნაყოფს. ამიტომ იგი ხსნას ხედავს არა ზღაპრებში იმის შესახებ, თუ რის გაკეთებას «შესძლებენ, უცილობლად», ადამიანები, რო-

მელნიც ბურჟუებს შესცვლიან (ჯერ ხომ «შეცვლა» უნდა მოხდეს, — ამისთვის კი არ კმარა ცარიელი სიტყვები ან მიმართვა საზოგადოებისა და სახელმწიფოსადმი), არამედ არსებული ეკონომიური წესების კლასობრივ წინააღმდეგობათა განვითარებაში.

ყველას ესმის, რომ ეს ორი განმარტება დიამეტრულად ეწინააღმდეგება ერთიმეორეს, რომ მათგან გამომდინარეობს მოქმედების ორი ერთმანეთის გამომრიცხველი სისტემა. ნაროდნიკი ბურჟუაზიას შემთხვევით მოვლენად სთვლის, ვერ ხედავს მის კავშირს სახელმწიფოსთან და «ალალ-მართალი გლეხის» მიმნდობლობით მიმართავს დახმარებისათვის იმას, ვინც სწორედ ბურჟუაზიის ინტერესებს იცავს. მისი საქმიანობა დაყვანილია იმ ზომიერ და წესიერ, კაზიონურ-ლიბერალურ საქმიანობამდე, რომელიც სავსებით უდრის ფილანტროპიას, ვინაიდან «ინტერესებს» სერიოზულად არ ბღალავს და სრულიადაც არ არის მათთვის საშიში. მარქსისტი ზურგს აქცევს ამ აბდაუბდას და ამბობს, რომ შეუძლებელია «მომავლის» სხვა «საწინდარი», გარდა «ეკონომიურ კლასთა სასტიკი ბრძოლისა».

გასაგებია აგრეთვე, რომ თუ მოქმედების სისტემათა ეს სხვადასხვაობა უშუალოდ და აუცილებლად გამომდინარეობს ჩვენი ბურჟუაზიის ბატონობის ფაქტის ახსნის სხვადასხვაობიდან, — მარქსისტი, როცა თეორიულ კამათს ეწევა, სჯერდება ამ ბურჟუაზიის საჭიროებისა და აუცილებლობის (საზოგადოებრივი მეურნეობის არსებული ორგანიზაციის დროს) დამტკიცებას (ეს მოუვიდა სწორედ ბ-ნ სტრუვეს წიგნს), და თუ ნაროდნიკი გვერდს უვლის ახსნის ამ სხვადასხვა ხერხის საკითხს და ერთობა ლაპარაკით ჰეგელიანობასა და «პიროვნებისადმი სისასტიკეზე» *, — ეს აშკარად მხოლოდ მის უძლურებას მოასწავებს.

«მესამე წოდების ისტორია დასავლეთ ევროპაში მეტად გრძელია... ჩვენ, რა თქმა უნდა, ფატალისტების მოძღვრების წინააღმდეგ, მთელ ამ

* ბ-ნი მიხაილოვსკი «რ. ბ.»-ს № 10-ში, 1894 წ.

ისტორიას არ გავიმეორებთ; თავიანთი მიზნების მისაღწევად არც ჩვენი მესამე წოდების განათლებული წარმომადგენელნი მიმართავენ, რა თქმა უნდა, ყველა იმ საშუალებას, რომელთაც წინათ მიმართავდნენ, და მათგან აიღებენ მხოლოდ იმას, რაც უფრო შეეფერება და შეესაბამება ადგილისა და დროის პირობებს. გლეხობის უმიწაწყლოდ დასატოვებლად და საფაბრიკო პროლეტარიატის შესაქმნელად ისინი, რა თქმა უნდა, არ მიმართავენ უხეშ სამხედრო ძალას ან მამულების არა ნაკლებ უხეშ გაწმენდას»...

«არ მიმართავენ»...?!! მხოლოდ მოთაფლული ოპტიმიზმის თეორეტიკოსებს შორის შეხვდებით წარსულისა და აწყმოს ფ ა ქ ტ ე ბ ი ს ასე განზრახ დავიწყებას, რომელთაც თავიანთი «ჰო» უკვე სთქვეს, — და ოპტიმისტურ სასოებას, რომ მომავალში, რა თქმა უნდა, «არა» იქნება. რა თქმა უნდა, ეს სიცრუეა.

...«არამედ შეუდგებიან სათემო მიწათმფლობელობის მოსპობას, ფერმერობის, შეძლებულ გლეხთა მცირერიცხოვანი კლასის შექმნას * და საზოგადოდ მიმართავენ ისეთ საშუალებებს, რომლების დროსაც ეკონომიურად სუსტი თავისთავად იღუპება. ისინი ახლა არ შეუდგებიან ამქრების შექმნას, მაგრამ მოაწყობენ საკრედიტო, ნედლეულის, სამომხმარებლო და საწარმოო ასოციაციებს, რომლებიც, საერთო ბედნიერების შეპირების მიუხედავად, მხოლოდ ძლიერს დაეხმარებიან უფრო გაძლიერდეს, ხოლო სუსტს— უფრო დასუსტდეს. ისინი არ შეეცდებიან პატრიმონიალური სასამართლოს დაარსებას, მაგრამ იზრუნებენ კანონმდებლობის შემოღებაზე შრომისმოყვარეობის, სიფხიზლისა და განათლების წასაქეზებლად, სადაც იმოქმედებს მხოლოდ ახალგაზრდა ბურჟუაზია, რადგან მასა წინანდებურად განაგრძობს ლოთობას, იქნება უვიცი და იშრომებს სხვის ხარჯზე».

რა კარგად არის აქ დახასიათებული ყველა ეს საკრედიტო, ნედლეულის და ყოველგვარი სხვა ასოციაციები, ყველა ეს ზომა შრომისმოყვარეობის, სიფხიზლისა და განათლების წასაქეზებლად, რასაც ასე მგრძნობიარედ ეკიდება ჩვენი ახლანდელი ლიბერალურ-ნაროდნიკული პრესა და მათ შორის «რ. ბ — ვო». მარქსისტს მხოლოდ ისღა დარჩენია, რომ ხაზი გაუსვას ნათქვამს, სავსებით დაეთანხმოს, რომ მართლაც ყ ო ვ ე ლ ი ვ ე ეს მ ხ ო ლ ო დ მ ე ს ა მ ე წ ო დ ე ბ ი ს წ ა რ მ ო მ ა დ-

* ეს ჩინებულად ხორციელდება თემის მოუსპობლადაც; როგორც საერობო სტატისტიკამ დაამტკიცა, თემი სრულებითაც ვერ სპობს გლეხობის გათიშვას.

გენლობაა, და, მაშასადამე, ის ადამიანები, რომლებიც ამაზე ზრუნავენ, მხოლოდ პატარა ბურჟუები არიან და მეტი არაფერი.

ეს ციტატა საკმაო პასუხია თანამედროვე ნაროდნიკებისათვის, რომელნიც იქიდან, რომ მარქსისტები ზიზღით ექცევიან ასეთ ზომებს, დაასკვნიან, რომ მათ სურთ «მაყურებლები» იყვნენ, სურთ გულხელდაკრეფილნი ისხდნენ. დიახ, რა თქმა უნდა, ბურჟუაზიულ საქმიანობას მარქსისტები არასოდეს არ დააკარებენ ხელს, ამ მხრივ ისინი ყოველთვის «მაყურებლებად» დარჩებიან.

«როლი ამ კლასისა (ხალხიდან გამოსულების, წვრილი ბურჟუაზიისა), რომელიც იძლევა ბურჟუაზიული არმიის სადარაჯო რაზმებს, მოწინავე მსროლელებსა და ავანგარდს, სამწუხაროდ, ნაკლებად აინტერესებდა ისტორიკოსებსა და ეკონომისტებს; მისი როლი კი, ვიმეორებთ, ფრიად მნიშვნელოვანია. როდესაც ხდებოდა თემის დანგრევა და გლეხობის უმიწაწყლოდ დატოვება, ამას მარტო ლორდები და რაინდები კი არ სჩადიოდნენ, არამედ თავისივე ძმა, ე. ი. ისევ-ისე ხალხიდან გამოსულნი, ისინი, რომელნიც დაჯილდოებულნი იყვნენ პრაქტიკული ალღოთი და მოქნილი ზურგით, რომელთაც ნაბოძები ჰქონდათ ბატონის წყალობა, მოეპოვებოდათ მღვრიე წყალში დაჭერილი ან ძარცვით შეძენილი მცირედი კაპიტალი; ხალხიდან გამოსულნი, რომელთაც ხელს უწვდიდა უმაღლესი წოდება და კანონმდებლობა. მათ უწოდებდნენ ხალხის ყველაზე უფრო მუყაით, ნიჭიერ და ფხიზელ ელემენტებს»...

ეს დაკვირვება ფაქტიური მხრით ძალიან სწორია. მართლაც, უმიწაწყლოდ სტოვებდა უმთავრესად «თავისივე ძმა», წვრილი ბურჟუა. მაგრამ ნაროდნიკის მიერ ამ ფაქტის გაგება დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვლება. იგი ვერ არჩევს ერთმანეთისაგან ორ ანტაგონისტურ კლასს, ფეოდალებს და ბურჟუაზიას, «ძველ-თავადაზნაურული» და «ახალ-მეშჩანური» წესების წარმომადგენლებს, ვერ არჩევს სამეურნეო ორგანიზაციის სხვადასხვა სისტემას, ვერ ხედავს მეორე კლასის პროგრესულ მნიშვნელობას პირველთან შედარებით. ეს ერთი მხრით. მეორეც, ბურჟუაზიის ზრდას ის მიაწერს ძარცვა-გლეჯას, ალღოს, ლაქიობას და სხვ., მაშინ როდესაც წვრილი მეურნეობა სასაქონლო წარმოების ნიადაგზე წვრილ ბურჟუად აქცევს ყველაზე ფხიზელ, მშრომელ მეპატრონეს: მას უჩნდება

«დანაზოგი», და გარშემო არსებული ურთიერთობის წყალობით ეს «დანაზოგი» კ ა პ ი ტ ა ლ ა დ იქცევა. წაიკითხეთ ამაზე ჩვენი ბელეტრისტ-ნაროდნიკების ნაწარმოებნი, სადაც აწერილია საშინამრეწველო სარეწები და გლეხური მეურნეობა.

...«ეს, თუ გნებავთ, მოწინავე მსროლელნი და ავანგარდი კი არ არის, ეს არის მთავარი ბურჟუაზიული არმია, რაზმებად შეერთებული მწყობრის ჯარისკაცები, რომელთაც მბრძანებლობენ შტაბ- და ობერ-ოფიცრები, ცალკეული ნაწილების უფროსები და გენერალური შტაბი, შემდგარი პუბლიცისტებისა, ორატორებისა და სწავლულებისაგან *. ამ არმიის გარეშე ბურჟუაზია ვერაფერს გააწყობდა. განა ინგლისელი ლენდლორდები, რომელთა რიცხვი 30 ათასსაც ვერ აღწევს, შესძლებდნენ უფერმერებოდ იმ მშიერ მასაზე ბატონობას, რომელიც რამდენიმე ათეული მილიონისაგან შესდგება?! ფერმერი პოლიტიკურად ნამდვილი მებრძოლი ჯარისკაცია, ხოლო ეკონომიურად — პატარა უჯრედი, რომელიც სხვების ექსპროპრიაციას ეწევა... ფაბრიკებში ფერმერების როლს ასრულებენ ოსტატები და ქარგლები, რომელნიც ძალიან კარგ ჯამაგირს იღებენ არა მარტო ოსტატური მუშაობისათვის, არამედ იმისთვისაც, რომ თვალყური ადევნონ მუშებს, რომ უკანასკნელად მოშორდნენ ჩარხს, რომ არ დაუშვან მუშების მხრივ ხელფასის მომატებისა ანდა სამუშაო საათების შემცირების მოთხოვნა და საშუალება მისცენ მეპატრონეებს მიუთითონ მათზე და სთქვან: «აბა შეხედეთ, რამდენს ვაძლევთ იმათ, ვინც მუშაობს და ვისაც ჩვენთვის სარგებლობა მოაქვს»; შემდეგ, მედუქნეები, რომელნიც უახლოეს დამოკიდებულებაში არიან მეპატრონეებთან და ქარხნის ადმინისტრაციასთან; კანტორის მოსამსახურეები, სხვადასხვა სახის ზედამხედველები და მსგავსი წვრილი ჭიაღუგბი, რომელთა ძარღვებშიც ჯერ კიდევ სჩქეფს მუშის სისხლი, მაგრამ სულს კი სრულიად დაუფლებია კაპიტალი. [სრული ჭეშმარიტებაა! კ. ტ.] რასაკვირველია, რასაც ინგლისში ვხედავთ, ესევეა საფრანგეთსა, გერმანიასა და სხვა ქვეყნებშიც. [სრული ჭეშმარიტებაა! აგრეთვე რუსეთშიც. კ. ტ.] ზოგიერთ შემთხვევაში მხოლოდ წვრილმანები თუ იცვლება, მაგრამ მეტწილად ისინიც უცვლელნი რჩებიან. საფრანგეთის ბურჟუაზიამ, რომელმაც წარსული საუკუნის დამლევს თავადაზნაურობაზე გაიმარჯვა ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ისარგებლა ხალხის გამარჯვებით, გამოჰყო ხალხიდან წვრილი ბურჟუაზია, რომელმაც ხელი შეუწყო ხალხის გაფცქვნას და თვითონაც გაფცქვნა იგი და ხელში ჩაუგდო ავანტურისტებს... იმ დროს, როდესაც ლიტერატურაში ჰიმნებს უმღეროდნენ ფრანგ ხალხს, როდესაც ცამდე აჰყავდათ მისი სიდიადე, დიდსულოვნება

* საჭიროა დაემატოს: ადმინისტრატორებისა და ბიუროკრატიისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში «გენერალური შტაბის» შემადგენლობა მეტისმეტად არასრული იქნება, — განსაკუთრებით რუსეთის პირობების მიხედვით.

და თავისუფლებისადმი სიყვარული, როდესაც მთელი ეს გუნდრუკის კმევა ბურუსივით იდგა საფრანგეთის თავზე, ბურჟუაზიული კატა არხეინად შეექცეოდა ვარიას და თითქმის მთლად შესანსლა იგი, ხალხს კი ძვლებილა დაუტოვა. ნაქები სახალხო მიწათმფლობელობა მიკროსკოპული აღმოჩნდა, იგი მეტრობით იზომებოდა და ხშირად გადასახადთა აკრეფის ხარჯებსაც კი ვერ უძლებდა»...

შევჩერდეთ ამაზე.

ჯერ-ერთი, საინტერესოა ვკითხოთ ნაროდნიკს: ჩვენში ვინ «ისარგებლა გამარჯვებით ბატონყმობაზე», «ძველ-თავადაზნაურულ ფენაზე»? ალბათ, არა ბურჟუაზიამ. რა ხდებოდა აქ «ხალხში» მაშინ, როცა «ლიტერატურაში ჰიმნებს უმღეროდნენ», როგორც ავტორმა ეს-არის ახლა სთქვა, ხალხს, ხალხისადმი სიყვარულს, მის დიდსულოვნებას, მის თემურ თვისებებსა და ღირსებებს, «სოციალურ ურთიერთშეგუებას და სოლიდარულ მოქმედებას» თემის შიგნით, იმას, რომ რუსეთი ერთიანი არტელია, რომ თემი — «ყველაფერია, რაც კი სოფლის ხალხის აზრსა და მოქმედებაში მოიპოვება», etc.* etc. etc., რასაც ახლაც მღერიან (თუმცა სევდიანი კილოთი) ლიბერალურ-ნაროდნიკული პრესის ფურცლებზე? მიწა, რა თქმა უნდა, არ ჩამოურთმევიათ გლეხობისთვის; ბურჟუაზიული კატა როდი შეექცეოდა ვარიას, როდი შესანსლა თითქმის მთლიანად; «ნაქები სახალხო მიწათმფლობელობა» როდი «აღმოჩნდა მიკროსკოპული», მასში გადასახადი როდი სჭარბობდა შემოსავალს?** — არა, მხოლოდ «მისტიკოსებს და მეტაფიზიკოსებს» შეუძლიათ ამტკიცონ ეს, ჩასთვალონ ეს ფაქტად, აიღონ ეს ფაქტი გამოსავალ წერტილად ჩვენს საქმეებზე მსჯელობის დროს, თავიანთი საქმიანობის დროს, რომელიც მიმართულია არა «სამშობლოსათვის სხვა გზების» ძიებისაკენ, არამედ მუშაობისაკენ არსებულ, უკვე სავსებით გარკვეულ, კაპიტალისტურ გზაზე.

---

* — et cetera — და სხვ. რ ე დ.

** და არა თუ «ხშირად», როგორც საფრანგეთში იყო, არამედ როგორც საერთო წესი, ამასთან გადაჭარბება შეადგენს არა ათეულ, არამედ ასეულ პროცენტებსაც კი.

მეორეც. საინტერესოა შევადაროთ ავტორის მ ე თ ო დ ი მარქსისტების მ ე თ ო დ ს. მათი განსხვავების გარკვევა გაცილებით უფრო მოსახერხებელია კონკრეტული მსჯელობის დროს, ვიდრე განყენებულ მოსაზრებათა შემწეობით. რატომ ამბობს ავტორი საფრანგეთის «ბურჟუაზიის» შესახებ, რომ მან წარსული საუკუნის დამლევს თავადაზნაურობაზე გაიმარჯვაო? რატომ უწოდებს იგი ბურჟუაზიულს იმ საქმიანობას, რომელიც უმთავრესად და თითქმის მხოლოდდამხოლოდ ინტელიგენციის საქმიანობას წარმოადგენდა? და შემდეგ, როდესაც გლეხობას მიწას ართმევდნენ, დიდ გადასახადებს აწესებდნენ და სხვ., ხომ მთავრობა მოქმედებდა? დასასრულ, ეს მოღვაწეები ხომ ხალხისადმი სიყვარულზე, თანასწორობასა და საყოველთაო ბედნიერებაზე ლაპარაკობდნენ ისევე, როგორც ლაპარაკობდნენ და ლაპარაკობენ რუსეთის ლიბერალები და ნაროდნიკები? განა შეიძლება ასეთი პირობების დროს ყველაფერში მარტოოდენ «ბურჟუაზია» დავინახოთ? განა «ვიწრო» არ არის ეს შეხედულება, რომელსაც პოლიტიკური და იდეური მოძრაობა Plus-macherei-მდე * დაჰყავს? — გახსოვდეთ, ყველაფერი ეს იგივე საკითხებია, რომლებსაც რუს მარქსისტებს სეტყვასავით აყრიან, როდესაც ისინი ამგვარადვე ლაპარაკობენ საგლეხო რეფორმაზე ჩვენში (განსხვავებას მხოლოდ «წვრილმანებში» ხედავენ), რეფორმისშემდგომი დროის რუსეთზე საზოგადოდ. ვიმეორებ, მე აქ ვლაპარაკობ ჩვენი შეხედულების არა ფაქტიურ სისწორეზე, არამედ იმ მ ე თ ო დ ზ ე, რომელსაც ამ შემთხვევაში ნაროდნიკი ხმარობს. იგი იღებს კ რ ი ტ ე რ ი უ მ ა დ — შედეგებს («აღმოჩნდა», რომ სახალხო მიწათმფლობელობა მიკროსკოპულია, კატა ვარიას «შეექცეოდა» და მთლად «შესანსლა» იგი), ამასთან მხოლოდდამხოლოდ ეკონომიურ შ ე დ ე გ ებ ს.

იბადება კითხვა: რატომ იყენებს ის ამ მ ე თ ო დ ს მხოლოდ საფრანგეთის მიმართ და არ სურს იგი რუსეთსაც მიუყენოს? მეთოდი ხომ ყველგან ერთი უნდა იყოს. თუ თქვენ საფრანგეთში მ თ ა ვ რ ო ბ ი ს ა და ი ნ ტ ე ლ ი გ ე ნ ც ი ი ს მოქმედების

* — მოგების, გამდიდრების გამოდევნება. რ ე დ.

ზურგს უკან ი ნ ტ ე რ ე ს ე ბ ს დაეძებთ, რატომ ა რ დ ა ე ძ ე ბ თ მათ კურთხეულ რუსეთში? თუ ი ქ თქვენი კრიტერიუმი სვამს საკითხს იმის შესახებ, თუ როგორი «ა ღ მ ო ჩ ნ დ ა» სახალხო მიწათმფლობელობაო, რატომ ისმება ა ქ კრიტერიუმი იმის შესახებ, თუ როგორი «შეიძლება» აღმოჩნდეს იგი? თუ ი ქ ფრაზები ხალხსა და მის დიდსულოვნებაზე იმ დროს, როცა «ვარიის შესანსვლა» ხდება, სამართლიან ზიზღს იწვევს თქვენში, — რატომ ა ქ ზურგს არ შეაქცევთ, როგორც ბურჟუაზიულ ფილოსოფოსებს, იმათ, ვისაც უცილობელი, თქვენ მიერვე აღიარებული «შესანსვლის» დროს შეუძლია ლაპარაკი «სოციალურ ურთიერთშეგუებაზე», «სახალხო თემობრივობაზე», «ს ა ხ ა ლ ხ ო მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ი ს ს ა ჭ ი რ ო ე ბ ე ბ ს ა» და სხვა ამისთანებზე?

პასუხი ერთია: იმიტომ, რომ თქვენ წვრილი ბურჟუაზიის იდეოლოგი ბრძანდებით, იმიტომ რომ თქვენი იდეები, ე. ი. საერთოდ ნაროდნიკული იდეები, და არა ივანეს, პეტრეს, სიდორის იდეები, — წვრილი მწარმოებლის ინტერესებისა და თვალსაზრისის გავლენის შედეგია და სრულიადაც არა «წმინდა»* აზროვნების შედეგი.

«მაგრამ ჩვენთვის ამ მხრივ განსაკუთრებით საგულისხმოა გერმანია, რომელმაც ბურჟუაზიული რეფორმით ჩვენსავით დაიგვიანა და ამიტომ ისარგებლა სხვა ხალხთა გამოცდილებით, რა თქმა უნდა, არა დადებითი, არამედ უარყოფითი აზრით». გლეხობის შემადგენლობა გერმანიაში — გადმოგვცემს ავტორი ვასილჩიკოვის სიტყვებს — ერთგვაროვანი არ იყო: გლეხები ერთმანეთისაგან განირჩეოდნენ უფლებებითაც, მფლობელობითაც, ნადელების სიდიდითაც. მთელ პროცესს მოჰყვა «გლეხური არისტოკრატიის», «არათავადაზნაურული წარმოშობის წვრილ მიწათმფლობელთა წოდების» გაჩენა, მასის გადაქცევა «მეკომურეებიდან შავ მუშებად». «დასასრულ, საქმე დააგვირგვინა და მუშების მდგომარეობის გაუმჯობესებას ყოველივე ლეგალური გზა გადაუჭრა 1849 წლის ნახევრად-არისტოკრატიულმა, ნახევრად-მეშჩანურმა კონსტიტუციამ, რომელმაც ხმის უფლება მიანიჭა მხოლოდ თავადაზნაურობას და შეძლებულ მეშჩანობას».

ორიგინალური მსჯელობაა. კონსტიტუციამ ლეგალური გზა «გ ა დ ა უ ჭ რ ა»?! ეს ანარეკლია რუსეთის ნაროდნიკების იმ

* გამოთქმა ეკუთვნის ბ-ნ ვ. ვ-ს. იხ. «ჩვენი მიმართულებანი», აგრეთვე «ნედელია» 1894 წლისა, №№ 47 — 49.

ძველი დალოცვილი თეორიისა, რომლის მიხედვითაც «ინტელიგენციას» მოუწოდებდნენ შეეწირა «თავისუფლება», ვინაიდან თავისუფლება მხოლოდ ინტელიგენციისათვის იქნებოდა გამოსადეგი, ხალხს კი «შეძლებულ მეშჩანობას» ჩაუგდებდა ხელშიო. ჩვენ არ დავიწყებთ დავას ამ უაზრო და რეაქციული თეორიის წინააღმდეგ, იმიტომ რომ მასზე ხელი აიღეს თანამედროვე ნაროდნიკებმა საერთოდ და ჩვენმა მახლობელმა მოწინააღმდეგეებმა, «რუსსკოე ბოგატსტვოს» ბბ. პუბლიცისტებმა — კერძოდ. მაგრამ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ ამ ნაროდნიკებმა, უარჰყვეს რა ეს იდეა, გადადგეს რა ნაბიჯი რუსეთის ა რ ს ე ბ უ ლ ი გზების აშკარა აღიარებისაკენ, ნაცვლად სხვა გზების შესაძლებლობაზე ლაყბობისა, — ამით საბოლოოდ დაადასტურეს თავიანთი წვრილბურჟუაზიულობა, რადგან წვრილი, მეშჩანური რეფორმების მოთხოვნა კლასობრივი ბრძოლის აბსოლუტურ გაუგებლობასთან დაკავშირებით, ნაროდნიკებს ლიბერალების მხარეზე აყენებს იმათ წინააღმდეგ, ვინც «ანტიპოდის» მხარეზე დგება, ხედავს რა მასში იმ სიკეთეთა ერთადერთ, ასე ვთქვათ, დესტინატერს *, რომელთა შესახებაც არის ლაპარაკი.

«იმ დროს გერმანიაშიც ბევრი იყო ისეთი ადამიანი, რომელნიც მხოლოდ აღტაცებულნი იყვნენ ემანსიპაციით, აღტაცებულნი იყვნენ ათი წლის, ოცი წლის, ოცდაათი წლისა და მეტი ხნის განმავლობაში; ადამიანები, რომელნიც ყოველგვარ სკეპტიციზმს, რეფორმით ყოველგვარ უკმაყოფილებას რეაქციის სასარგებლო საქმედ სთვლიდნენ და წყევლა-კრულვით იხსენიებდნენ მათ. მათგან უფრო გულუბრყვილოებს ხალხი წარმოედგინათ იალაღზე გაშვებულ ცხენად, რომლის საჯინიბოში დაბმა და საფოსტო ეტლში შებმა კვლავ შეიძლება (რაც სრულიადაც არ არის ყოველთვის შესაძლებელი). მაგრამ იყვნენ იქ გაიძვერებიც, რომელნიც ხალხის წინაშე მლიქვნელობდნენ, ხმაურში კი სხვა ხაზს ატარებდნენ, გაიძვერები, რომელნიც ხალხის იმ გულწრფელად მოყვარულ დოყლაპიებს ეტმასნებოდნენ, რომელთა მოტყუება და ექსპლოატირება შეიძლებოდა. ოჰ, ეს გულწრფელი დოყლაპიები! როდესაც სამოქალაქო ბრძოლა იწყება, ყველა როდია მისთვის მომზადებული და ყველა როდია საამისო უნარით აღჭურვილი».

საუცხოო სიტყვებია, რომლებიც კარგად აჯამებენ ძველი რუსული ნაროდნიკობის საუკეთესო ტრადიციებს და რომლე-

* — შემქმნელს. რ ე დ.

ბიც ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ იმის დასახასიათებლად, თუ როგორ უყურებენ რუსი მარქსისტები თანამედროვე რუსულ ნაროდნიკობას. ასეთი გამოყენებისათვის საჭირო არ არის ამ სიტყვებში ბევრი რამის შეცვლა: იმდენად ერთგვაროვანია ორივე ქვეყნის კაპიტალისტური განვითარების პროცესი; იმდენად ერთგვაროვანნი არიან საზოგადოებრივ-პოლიტიკური იდეები, რომლებიც ამ პროცესს ასახავდნენ.

ჩვენშიც «მოწინავე» ლიტერატურაში ბატონობენ და განაგებენ ისეთი ადამიანები, რომლებიც ლაპარაკობენ «ჩვენი საგლეხო რეფორმის არსებითს განსხვავებაზე დასავლეთურისაგან», «სახალხო (sic!) წარმოების სანქციაზე», «მიწის დარიგების» დიად საქმეზე (გამოყიდვა დიადი საქმე ყოფილა!!) და სხვ. და ამიტომ ელოდებიან მთავრობისაგან იმ სასწაულის გარდმოვლენას, რასაც «შრომის განსაზოგადოება» ეწოდება, ელოდებიან «ათი წლის, ოცი წლის, ოცდაათი წლისა და მეტი ხნის განმავლობაში», ხოლო კატა — რომელზედაც ახლა ვლაპარაკობდით — შეექცევა ვარიას, თანაც მაძღარი და დამშვიდებული ნადირის ალერსიანობით შეჰყურებს «გულწრფელ დოყლაპიებს», რომლებიც ლაყბობენ სამშობლოსათვის სხვა გზის არჩევის საჭიროებაზე, «მოსალოდნელი» კაპიტალიზმის მავნებლობაზე, ხალხისადმი კრედიტით, არტელებით, საზოგადოებრივი მოხვნით და სხვა ამგვარი უწყინარი საქმიანობით დახმარების გაწევაზე. «ოჰ, ეს გულწრფელი დოყლაპიები!»

«მესამე წოდების წარმოშობის აი ამ პროცესს განვიცდით ახლა ჩვენც, უმთავრესად კი ჩვენი გლეხობა. რუსეთი ამ საქმეში ჩამორჩა მთელ ევროპას, ჩამორჩა თავის ინსტიტუტელ ამხანაგსაც კი ან, უკეთ, პეპინიერას — გერმანიას. მესამე წოდების მთავარი სანერგე და დუღილის ადგილი ყველგან ევროპაში ქალაქები იყვნენ. ჩვენში კი, პირიქით», — ქალაქის მცხოვრებნი გაცილებით ნაკლებია... «ამ განსხვავების მთავარი მიზეზია ჩვენი სახალხო მიწათმფლობელობა, რომელიც მოსახლეობას სოფელში აჩერებს. ქალაქის მოსახლეობის გადიდება ევროპაში მჭიდროდ არის დაკავშირებული ხალხის უმიწაწყლოდ დატოვებასა და საფაბრიკო მრეწველობასთან, რომელიც, წარმოების კაპიტალისტური პირობების დროს, საჭიროებს იაფ შრომას და მისი მიწოდების სიჭარბეს. იმ დროს, როცა სოფლებიდან განდევნილი ევროპელი გლეხობა ქალაქებისაკენ მიეშურებოდა საშოვრისათვის, ჩვენი გლეხობა, ვიდრე ძალა და ღონე შესწევს, მიწას ებღაუჭება.

სახალხო მიწათმფლობელობა მთავარი სტრატეგიული პუნქტია, გლეხობის პოზიციის მთავარი გასაღებია, რომლის მნიშვნელობაც ჩინებულად ესმით მეშჩანობის მეთაურთ, ამიტომაც მთელ თავიანთ ოსტატობას, მთელ თავიანთ ძალას ისინი აქეთკენ მიმართავენ. აი აქ არის სათავე ყოველგვარი თავდასხმისა თემზე, აი აქედან გამომდინარეობს უამრავი სხვადასხვა პროექტი მიწისაგან მიწათმოქმედის მოწყვეტის შესახებ, და ამას სჩადიან რაციონალური აგრონომიისათვის, მრეწველობის აყვავებისათვის, ნაციონალური პროგრესისა და სახელისათვის!»

აქ კი ცხადად მოსჩანს ზერელობა ნაროდნიკული თეორიისა, რომელიც, «სხვა გზებზე» ოცნებობის გამო, სრულიად უმართებულოდ აფასებს სინამდვილეს: «მთავარ პუნქტს» ხედავს ისეთს ძირითადი როლის არმქონე იურიდიულ ინსტიტუტებში, როგორიც არის საგლეხო მიწათმფლობელობის ფორმები (სათემო ან საკომლო); ჩვენს წვრილ გლეხურ მეურნეობაში ხედავს რაღაც განსაკუთრებულს, თითქოს იგი წვრილ მწარმოებელთა ჩვეულებრივი მეურნეობა არ იყოს, სრულიად იმგვარივე, — თავისი პოლიტიკურ-ეკონომიური ორგანიზაციის ტიპით — როგორიც არის დასავლეთ-ევროპელ ხელოსანთა და გლეხთა მეურნეობა, თითქოს იგი რაღაც «სახალხო» (!?) მიწათმფლობელობა იყოს. ჩვენს ლიბერალურ-ნაროდნიკულ პრესაში დამკვიდრებული ტერმინოლოგიით, სიტყვა «სახალხო» ნიშნავს ისეთს, რომელიც უარჰყოფს მშრომელის ექსპლოატაციას, — ასე რომ ავტორი თავისი დახასიათებით პირდაპირ აფუჩეჩებს იმ უეჭველ ფაქტს, რომ ჩვენს გლეხურ მეურნეობაში ზეღირებულების ისეთივე მითვისება ხდება, ისეთივე შრომა სხვის ხარჯზე, როგორიც გაბატონებულია «თემის» გარეთაც, და ფართოდ უღებს კარებს სანტიმენტალურ და მოთაფლულ ფარისევლობას.

«მცირემიწიანი და გადასახადებით დატვირთული ჩვენი ახლანდელი თემი მაინცდამაინც ვერაფერს გარანტიას წარმოადგენს. მიწა გლეხს უიმისოდაც ცოტა ჰქონდა, ახლა კი, მოსახლეობის ზრდისა და მიწის ნაყოფიერების გაუარესების გამო, კიდევ უფრო ნაკლები გახდა; საგადასახადო ტვირთი კი არ კლებულობს, არამედ მატულობს; სარეწები ცოტაა; ადგილობრივი საშოვრები — კიდევ უფრო ნაკლები; ცხოვრება სოფლად იმდენად სამძიმო ხდება, რომ გლეხობა მთელი სოფლობით ეიდის შორს საშოვრებზე, შინ კი მარტო ცოლებსა და ბავშვებს სტოვებენ. ამრიგად, მთელი მაზრები ცარიელდება... ერთი მხრით, ცხოვრების აი ამ მძიმე პირობების გავლენით

გლეხობიდან გამოიყოფა ადამიანთა განსაკუთრებული კლასი — ახალგაზრდა ბურჟუაზია, რომელიც ცდილობს შეიძინოს მიწა განზე, საკუთრივ თავისთვის, ცდილობს ხელი მოჰკიდოს სხვა საქმეს — ვაჭრობას, მევახშეობას, მუშათა არტელების შექმნას თავისივე მეთაურობით, სხვადასხვა იჯარის აღებას და სხვა ამგვარ წვრილ აფიორას».

ღირს აქ უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ.

აქ ჩვენ ვხედავთ, ჯერ-ერთი, განსაზღვრული ფაქტების აღიარებას; მათი გამოხატვა ორი სიტყვით შეიძლება: გლეხები გარბიან; მეორე, მათ შეფასებას (უარყოფითად) და, მესამე, მათ ახსნას, საიდანაც უშუალოდ გამომდინარეობს მთელი პროგრამაც, რომელიც აქ არ არის მოყვანილი, მაგრამ ძალიან კარგად არის ცნობილი (მიწის მომატება, გადასახადების შემცირება; სარეწების «ფეხზე დაყენება» და «განვითარება»).

საჭიროა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ მარქსისტის თვალსაზრისით სავსებით და უეჭველად სამართლიანია (მხოლოდ, როგორც ახლავე დავინახავთ, გამოხატულია მეტად არადამაკმაყოფილებლად) პირველიც და მეორეც. მაგრამ მესამე უკვე სრულიად არაფრად არ ვარგა *.

განვმარტავ. სამართლიანია პირველი. სამართლიანია ის ფაქტი, რომ ჩვენი თემი გარანტიას არ წარმოადგენს, რომ გლეხობა სოფელს თავს ანებებს, მიწას სტოვებს; უნდა ეთქვა: ხდება მისი ექსპროპრიაცია, — იმიტომ რომ გლეხობა ჭფლობდა (კერძო საკუთრების უფლებით) წარმოების განსაზღვრულ საშუალებებს (აქედან მიწას — განსაკუთრებული უფლებით, მაგრამ ეს მას ანიჭებდა მიწის კერძო ექსპლოატაციის უფლებასაც,— მიწის, რომლის გამოყიდვასაც თემი ახდენს) და ჰკარგავს მათ. სამართლიანია, რომ შინამრეწველობა «ეცემა», — ე. ი. აქაც ხდება გლეხების ექსპროპრიაცია, ისინი ჰკარგავენ წარმოების საშუალებებსა და იარაღებს, თავს ანებებენ შინაურ ფეიქრობას და დაქირავებულ მუშებად მიდიან რკინიგზების გაყვანაზე, კალატოზებად, შავ მუშებად და სხვ. წარმოების ის საშუალებები, რომლებისგანაც თავისუფლდებიან გლეხები, ხელში

* აი რატომ აქცევენ ასეთ ყურადღებას მარქსიზმის თეორეტიკოსები, ნაროდნიკობასთან ბრძოლის დროს, ახსნას, გაგებას, ობიექტურ მხარეს.

უვარდება უმნიშვნელო უმცირესობას და ხდება მუშა-ხელის ექსპლოატაციის წყაროდ, — კ ა პ ი ტ ა ლ ა დ. ამიტომ მართალია ავტორი, რომ წარმოების ამ საშუალებათა მფლობელნი ხდებიან «ბურჟუაზიად», ე. ი. ისეთ კლასად, რომელსაც საზოგადოებრივი მეურნეობის კაპიტალისტური ორგანიზაციის დროს ხელში უჭირავს «სახალხო» შრომა. ყველა ეს ფაქტი სწორად არის აღნიშნული, მათი ექსპლოატატორული მნიშვნელობა სისწორით არის შეფასებული.

მაგრამ მოყვანილი აღწერიდან მკითხველი, რა თქმა უნდა, უკვე ხედავს, რომ მარქსისტი ამ ფაქტებს სულ სხვანაირად ხ ს ნ ი ს. ამ მოვლენების მიზეზებს ნაროდნიკი იმაში ხედავს, რომ «მიწა ცოტაა», რომ გადასახადები სამძიმოა, «საშოვრები» შემცირებულია — ე. ი. პ ო ლ ი ტ ი კ ი ს — საადგილმამულო, საგადასახადო, სამრეწველო პ ო ლ ი ტ ი კ ი ს თავისებურებებში, და არა წ ა რ მ ო ე ბ ი ს ი მ ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ი ს თავისებურებებში, რომლიდანაც უკვე აუცილებლად გამომდინარეობს ე ს პოლიტიკა.

მიწა ცოტაა, — მსჯელობს ნაროდნიკი, — და უფრო და უფრო მ ც ი რ დ ე ბ ა. (მე ვიღებ სტატიის ავტორის არა უთუოდ ამ განცხადებას, არამედ ნაროდნიკული დოქტრინის საერთო დებულებას.) — სრული სიმართლეა, მაგრამ რატომ ამბობთ მხოლოდ, რომ მიწა ც ო ტ ა ა, და არ უმატებთ: ც ო ტ ა ს ჰ ყ ი დ ი ა ნ. თქვენ ხომ იცით, რომ ჩვენი გლეხები აწარმოებენ თავისი ნადელების გ ა მ ო ყ ი დ ვ ა ს მემამულეებისაგან. რად აქცევთ თქვენ მთავარ ყურადღებას იმას, რომ ც ო ტ ა ა, და არა იმას, რომ ჰ ყ ი დ ი ა ნ?

თვით ეს ფაქტი — გაყიდვის, გამოყიდვისა — გვიჩვენებს უკვე ისეთი პრინციპების (წარმოების საშუალებათა შეძენა ფულით) ბატონობას, რომლების დროსაც მშრომელებს მაინც არ ექნებათ წარმოების საშუალებები, სულ ერთია—ცოტას გაჰყიდიან მათ თუ ბევრს. ამ ფაქტის მიჩქმალვით თქვენ ჩქმალავთ წარმოების იმ კაპიტალისტურ წესს, რომლის ნიადაგზედაც შესაძლებელი იყო მხოლოდ ასეთი გაყიდვის წარმოშობა. თვით მისი მიჩქმალვით თქვენ უკვე დგებით ამ ბურჟუაზიული საზოგადოების ნიადაგზე

და ხდებით უბრალო პოლიტიკანად, რომელიც მსჯელობს იმაზე, ცოტა თუ ბევრი მიწა უნდა გაიყიდოს. თქვენ ვერ ხედავთ, რომ თვით გამოყიდვის ეს ფაქტი ამტკიცებს, რომ იმათ «სულში», რომელთა ინტერესებმაც «დიადი» რეფორმა განახორციელეს, ვინც ეს რეფორმა გაატარა, «სავსებით დაიბუდა კ ა პ ი ტ ა ლ მ ა», რომ მთელი ამ ლიბერალურ-ნაროდნიკული «საზოგადოებისათვის», რომელიც რეფორმის მიერ შექმნილ წესებს ეყრდნობა და მათს სხვადასხვა გაუმჯობესებაზე პოლიტიკანობს, — მხოლოდ «კაპიტალისტური მთვარე» ანათებს. სწორედ ამიტომ ილაშქრებს ნაროდნიკი ასეთი სიძულვილით იმათ წინააღმდეგ, ვინც თანმიმდევრულად დგას პრინციპულად სხვა ნიადაგზე. იგი ყვირის, რომ ისინი ხალხისათვის არ ზრუნავენ, რომ მათ სურთ უმიწაწყლოდ დასტოვონ გლეხები!

ეს კი, ნაროდნიკი, ხალხზე ზრუნავს, მას არ სურს გლეხობის უმიწაწყლოდ დატოვება, მას სურს, რომ გლეხობას მეტი მიწა ჰქონდეს (მ ი ყ ი დ უ ლ ი). იგი პატიოსანი მედუქნეა. მართალია, იგი სდუმს იმაზე, რომ მიწას მუქთად არ იძლევიან, რომ ის იყიდება, — მაგრამ განა დუქანში ამბობს ვინმე, რომ საქონელში ფული უნდა მისცე? ეს ყველამ ისეც იცის.

გასაგებია, რომ ნაროდნიკს სძულს მარქსისტები, რომელნიც ამბობენ: უნდა მიმართო მხოლოდდამხოლოდ იმათ, ვინც უკვე «დიფერენცირებულია» ამ მედუქნეთა საზოგადოებისაგან, ვინც «გარისხულია» მისგან, — თუ შესაძლებელია ვიხმაროთ ბ-ნ მიხაილოვსკებისა და იუჟაკოვების ეს ფრიად დამახასიათებელი წვრილბურჟუაზიული გამოთქმები *.

ჩავყვეთ ქვევით. «სარეწები ცოტაა» — აი ნაროდნიკის თვალსაზრისი შინამრეწველობაზე. იმის შესახებ, თუ როგორია ამ სარეწების ორგანიზაცია, იგი კვლავ სდუმს. ის გულკეთილად თვალს ხუჭავს იმაზე, რომ ის სარეწებიც, რომელნიც «ეცემიან»,

---

* გარდა იმისა, რომ ბბ. ნაროდნიკები ჩქმალავენ გამოყიდვის კაპიტალისტურ ხასიათს და მათ არ ესმით იგი, ისინი მორიდებით გვერდს უვლიან იმ ფაქტსაც, რომ გლეხთა «მცირემიწიანობას» თან ერთვის ის, რომ მიწის მეტად კარგ ნაჭრებს ჰფლობენ «ძველ-თავადაზნაურული» ფენის წარმომადგენლები.

და ისინიც, რომელნიც «ვითარდებიან», — თანაბრად მოწყობილი არიან კაპიტალისტურად, და აქ შრომა სავსებით ემონება შემყიდველების, ვაჭრების და სხვ. კაპიტალს; იგი სჯერდება პროგრესების, გაუმჯობესებების, არტელების და სხვ. მეშჩანურ მოთხოვნებს, თითქოს ასეთ ზომებს შეეძლოთ ოდნავ მაინც შეარყიონ კაპიტალის ბატონობის ფ ა ქ ტ ი. როგორც მიწათმოქმედების, ისე დამუშავებითი მრეწველობის დარგში იგი დგება მათი ამ ორგანიზაციის ნიადაგზე და იბრძვის არა თვით ამ ორგანიზაციის წინააღმდეგ, არამედ მისი სხვადასხვა ნაკლის წინააღმდეგ. — რაც შეეხება გადასახადებს, აქ უკვე ნაროდნიკმა თვითონ უარჰყო თავისი თავი იმით, რომ მკვეთრად წამოაყენა ნაროდნიკობის დამახასიათებელი ძირითადი თვისება — კომპრომისების უნარი. ზემოთ ის თვითონ ამტკიცებდა, რომ ზეღირებულების მითვისების სისტემის არსებობის დროს ყოველგვარი გადასახადი (საშემოსავლოც კი) მუშა-ხელს დააწვება ტვირთადო, — მაგრამ მიუხედავად ამისა იგი სრულიადაც უარს არ ამბობს მოელაპარაკოს ლიბერალურ საზოგადოებას იმაზე, დიდია თუ მცირე გადასახადები, და, «მოქალაქეობრივი რიგიანობით» აღჭურვილი, მზად არის სათანადო რჩევა მისცეს გადასახადთა და გამოსაღებთა დეპარტამენტს.

ერთი სიტყვით, მიზეზი, მარქსისტის აზრით, არის არა პოლიტიკა, არა სახელმწიფო და არა «საზოგადოება», — არამედ რუსეთის ეკონომიური ორგანიზაციის არსებული სისტემა; საქმე იმაში კი არ არის, რომ «მოხერხებული ადამიანები» ან «გაიძვერები» მღვრიე წყალში თევზს იჭერენ, არამედ იმაში, რომ «ხალხი» შესდგება ორი, ურთიერთის მოწინააღმდეგე, ურთიერთის გამომრიცხავი, კლასისაგან: «საზოგადოებაში ყველა მოქმედი ძალა ეწყობა ორ ტოლქმედ, ურთიერთ-მოპირისპირე ძალად».

«ბურჟუაზიული წესების დამყარებაში დაინტერესებული ადამიანები, ხედავენ რა თავიანთი პროექტების ჩაშლას *, ამაზე არ ჩერდებიან: ისინი

* ამრიგად, თემის მოსპობის პროექტის ჩაშლა ნიშნავს გამარჯვებას «ბურჟუაზიული წესების დამყარების» ინტერესებზე!!

მუდამ ჟამს ჩასჩიჩინებენ გლეხობას, რომ ყველაფერში დამნაშავეა თემი და ურთიერთთავდებობა, მიწების გადანაწილება და სოფლის წესები, რომლებიც მფარველობენ ზარმაცებს და ლოთებსო; შეძლებული გლეხებისათვის ისინი აარსებენ შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობებს და მეცადინეობენ წვრილი საადგილმამულო კრედიტის მოსაწყობად წვრილი მიწათმფლობელობისათვის; ქალაქებში ისინი აწყობენ ტექნიკურ, სახელოსნო და ყოველნაირ სხვა სასწავლებლებს, რომლებშიც ისევ-ისე ხვდებიან მხოლოდ შეძლებულთა ბავშვები, მასა კი უსკოლოდ რჩება; მდიდარ გლეხებს ისინი შველიან პირუტყვის გაუმჯობესებაში გამოფენებით, პრემიებით, ჯიშიანი მწარმოებლებით, რომლებსაც დეპოებიდან ჭირით უთმობენ და სხვ. ყველა ეს წვრილმანი ღონისძიება ერთდება ერთ მნიშვნელოვან ძალად, რომელიც არღვევს სოფელს და უფრო და უფრო სთიშავს გლეხობას ორად».

«წვრილმანი ღონისძიებანი» კარგად არის დახასიათებული. სრულიად სამართლიანია ავტორის აზრი იმის შესახებ, რომ ყველა ეს წვრილმანი ღონისძიება (რომელთაც ახლა ასე გულმოდგინედ ებღაუჭება «რუსსკოე ბოგატსტვო» და მთელი ჩვენი ლიბერალურ-ნაროდნიკული პრესა) ნიშნავს, გამოხატავს და ახორციელებს «ახალ-მეშჩანურ» დანაშრევებს, კაპიტალისტურ წესებს.

სწორედ ეს გარემოება არის იმის მიზეზი, რომ მარქსისტები უარყოფითად ეპყრობიან ამგვარ ღონისძიებებს. ის ფაქტი

ნაროდნიკი, რომელმაც «თემისაგან» მეშჩანური უტოპია შეჰქმნა, სინამდვილის ისეთ ოცნებითს უგულვებელყოფამდე მიდის, რომ თემის საწინააღმდეგო პროექტში ხედავს მთელი ბურჟუაზიული წყობილების დამყარებას, ნამდვილად კი ეს სავსებით უკვე «დამყარებული» ბურჟუაზიული წყობილების ნიადაგზე აღმოცენებული უბრალო პოლიტიკანობაა.

მისთვის ყველაზე გადამჭრელი საბუთი მარქსისტის წინააღმდეგ არის კითხვა, რომელსაც იგი საბოლოო გამარჯვების კილოთი იძლევა: არა, თქვენ ბრძანეთ, გინდათ თუ არა თემის გაუქმება? ჰო თუ არა? — მისთვის აქ მთელი საკითხია, მთელი «დამყარება». მას აბსოლუტურად არ უნდა გაიგოს, რომ მარქსისტის თვალსაზრისით «დამყარება» — უკვე დიდი ხნის და უცილობელი ფაქტია, რომელსაც ვერაფერს დააკლებს ვერც თემის მოსპობა და ვერც მისი გამაგრება, — ისე როგორც ახლა კაპიტალი ერთნაირად ბატონობს როგორც თემურ, ისე საკომლო სოფელში.

ნაროდნიკი ცდილობს უფრო ღრმა პროტესტი «დამყარების» წინააღმდეგ წამოაყენოს დამყარების აპოლოგიად. წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო.

კი, რომ ეს «ღონისძიებანი» უცილობლად წარმოადგენენ წვრილ მწარმოებელთა უახლოეს desiderata-ს, — მარქსისტების აზრით, ამტკიცებს მათი ძირითადი დებულების სისწორეს: არ შეიძლება გლეხი შრომის იდეის წარმომადგენლად ჩაითვალოს, რადგან იგი, როგორც წვრილი ბურჟუა მეურნეობის კაპიტალისტური ორგანიზაციის დროს, ამის გამო არსებული წესების ნიადაგზე დგება, ამის გამო თავისი ცხოვრების (და თავისი იდეების) ზოგიერთი მხარეებით ბურჟუაზიას ემხრობა.

მეტი არ იქნება ვისარგებლოთ ამ ადგილითვე, რომ ხაზი გავუსვათ შემდეგს. ბატონ ნაროდნიკების განსაკუთრებულ უკმაყოფილებას იწვევს ის, რომ მარქსისტები უარყოფითად ეკიდებიან «წვრილმან ღონისძიებებს». როცა ნაროდნიკებს მათს წინაპრებს გავახსენებთ ხოლმე, ამით ვუჩვენებთ, რომ იყო დრო, როცა ნაროდნიკები სხვანაირად უყურებდნენ ამას, როცა ისინი ასეთი ხალისით და ასე გულმოდგინედ არ მიდიოდნენ კომპრომისებზე [თუმცა კომპრომისებს არც მაშინ გაურბოდნენ, როგორც ამტკიცებს ესევე სტატია], როცა მათ — არ ვიტყვი: ესმოდათ, — მაგრამ ყოველ შემთხვევაში ისინი გრძნობდნენ ყოველ ამგვარ ღონისძიებათა ბურჟუაზიულობას, როცა მათს უარყოფას მხოლოდ ყველაზე გულუბრყვილო ლიბერალები ჰკიცხავდნენ როგორც «ხალხისადმი პესიმიზმს».

ამ უკანასკნელების, როგორც «საზოგადოების» წარმომადგენლების, სასიამოვნო ურთიერთობამ ბატონ ნაროდნიკებთან, ეტყობა, სასარგებლო ნაყოფი გამოიღო.

ბურჟუაზიული პროგრესის «წვრილმანი ღონისძიებებით» დაკმაყოფილების უუნარობა სრულიადაც არ ნიშნავს კერძო რეფორმების აბსოლუტურად უარყოფას. მარქსისტები სრულიადაც არ უარჰყოფენ ამ ღონისძიებათა ერთგვარ (თუმცა მეტად უმნიშვნელო) სარგებლობას: მათ შეუძლიათ ერთგვარად (თუმცა მეტად უმნიშვნელოდ) გააუმჯობესონ მშრომელთა მდგომარეობა; ისინი დააჩქარებენ კაპიტალის ყველაზე უფრო ჩამორჩენილი ფორმების, მევახშეობის, კაბალისა და სხვ. მოსპობას, დააჩქარებენ მათ გადაქცევას ევროპული კაპიტალიზმის უფრო თანამედროვე და ადამიანურ ფორმებად. ამიტომ მარქ-

სისტები, თუ მათ ჰკითხავენ: საჭიროა თუ არა ასეთი ზომების მიღებაო, რა თქმა უნდა, უპასუხებენ: საჭიროა, მაგრამ ამასთანავე განმარტავენ საერთოდ თავიანთ დამოკიდებულებას იმ კაპიტალისტური წყობილებისადმი, რომელიც ამ ზომებით უმჯობესდება, — ამასთან თავიანთ თანხმობას დაასაბუთებენ სურვილით — დაჩქარდეს ამ წყობილების განვითარება და, მაშასადამე, მისი ფინალიც *.

«თუ ყურადღებას მივაქცევთ იმას, რომ ჩვენში, ისევე როგორც გერმანიაში, გლეხობა უფლებებისა და მფლობელობის მიხედვით დაყოფილია სხვადასხვა კატეგორიად (სახელმწიფო გლეხები, საუფლისწულო, ყოფილი საბატონო, ხოლო ამათგან ისეთები, რომელთაც მიღებული აქვთ სრული, საშუალო და სამეოთხედო, საკომლო ნადელები); რომ თემური ყოფა-ცხოვრება არ წარმოადგენს ჩვენში საერთო ყოფა-ცხოვრებას; რომ სამხრეთ-დასავლეთ მხარეში პირად მიწათმფლობელობასთან ერთად კვლავ ვხვდებით მუშა-პირუტყვის მყოლ, უმუშაპირუტყვო **, მებოსტნე, მოჯამაგირე, უვადო მემკვიდრეობით მოიჯარე გლეხებს, რომელთაგან ზოგს 100 და მეტი დესეტინა აქვს, ზოგს კი ერთი გოჯა მიწაც არ მოეპოვება; რომ ბალტიის გუბერნიებში აგრარული წყობილება გერმანული აგრარული წყობილების სრულ ასლს წარმოადგენს და სხვ., — დავინახავთ, რომ ბურჟუაზიისათვის ნიადაგი ჩვენშიც მოიპოვება».

არ შეიძლება არ აღინიშნოს აქ თემის მნიშვნელობის ის უნიადაგო გაზვიადება, რომლითაც ნაროდნიკები ყოველთვის სცოდავდნენ. ავტორი ისეთი ენით ლაპარაკობს, თითქოს «თემური ყოფა-ცხოვრება» უარჰყოფდეს ბურჟუაზიას, უარჰყოფდეს გლეხების დაქუცმაცებას! ეს ხომ ყოველივე სიმართლეს მოკლებულია!

ყველამ იცის, რომ თემის გლეხებიც დაქუცმაცებული არიან უფლებებისა და ნადელების მიხედვით; რომ ყოველ უაღრესად თემურ სოფელშიც გლეხები დაქუცმაცებული არიან «უფლებების» მხრივაც (უმიწაწყლონი, ნადელის მქონენი, ყოფილი შინა-

---

* ეს ეხება არა მარტო «ტექნიკურ და სხვა სასწავლებლებს», გლეხთა და შინამრეწველთა ტექნიკის გაუმჯობესებას, არამედ «გლეხთა მიწათმფლობელობის გაფართოებასაც», «კრედიტსაც» და სხვ.

** იხ. ეს ტომი, გვ. 40. რ ე დ.

ყმანი, ისეთები, რომლებმაც ნადელები განსაკუთრებული შესატანებით გამოიყიდეს, მიწერილნი etc. etc.), და «მფლობელობის მიხედვითაც»: გლეხები, რომლებმაც ნადელები გასცეს, რომელთაც ეს ნადელები ჩამოართვეს გადასახადების ნარჩენებისთვის, იმისთვის, რომ მიწას არ ამუშავებენ და უპატრონოდ სტოვებენ, — და რომელთაც სხვისი ნადელები აქვთ იჯარით აღებული; გლეხები, რომლებსაც აქვთ «სამუდამო» მიწა ან რომლებიც «ყოველწლიურად ყიდულობენ» რამდენიმე დესეტინას; დასასრულ, უსახლკარო, უსაქონლო, უცხენო და მრავალცხენიანი გლეხები. ყველამ იცის, რომ ყოველ უაღრესად თემურ სოფელში მეურნეობრივი დაქუცმაცებისა და სასაქონლო მეურნეობის ამ ნიადაგზე საუცხოოდ იფურჩქნება სავახშო კაპიტალი და ყოველგვარი ფორმის კაბალა. ნაროდნიკები კი კვლავ განაგრძობენ თავიანთ გულისამრევ ზღაპრებს რაღაც «თემურ ყოფა-ცხოვრებაზე»!

«და ახალგაზრდა ბურჟუაზია ჩვენში, მართლაც, იზრდება არა დღითი-დღე, არამედ საათობით, იზრდება არა მარტო ებრაელებით დასახლებულ განაპირა მხარეებში, არამედ შიდა რუსეთშიც. მისი რიცხვობრიობის გამოხატვა ციფრებით ჯერჯერობით მეტად ძნელია, მაგრამ მიწათმფლობელთა რიცხვის გადიდება, სავაჭრო მოწმობების რიცხვის გამრავლება, სოფლად საჩივრების ზრდა კულაკობაზე და სოფლის ბობოლებზე და სხვა ნიშნები * გვაფიქრებინებენ, რომ ბურჟუაზია უკვე საგრძნობლად გაზრდილა».

სრული სიმართლეა! აი ეს ფაქტი, სწორი 1879 წლისათვის და უდავო, ბევრად უფრო განვითარებული სახით, 1895 წლისათვის, წარმოადგენს სწორედ რუსული სინამდვილის მარქსისტული გაგების ერთ-ერთ საფუძველს.

ამ ფაქტისადმი დამოკიდებულება ერთნაირად უარყოფითი გვაქვს; ჩვენ ორივენი თანახმანი ვართ, რომ იგი გამოხატავს ისეთ მოვლენებს, რომელნიც ეწინააღმდეგებიან უშუალო მწარ-

---

* რომელთაც უნდა დაემატოს: ყიდვა საგლეხო ბანკის შემწეობით, «პროგრესული მიმდინარეობანი გლეხურ მეურნეობაში» — ტექნიკისა და კულტურის გაუმჯობესება, გაუმჯობესებულ იარაღთა შემოღება, ბალახთესვა და სხვ., წვრილი კრედიტის განვითარება და შინამრეწველთათვის გასაღების საქმის მოწყობა და სხვ.

მოებელთა ინტერესებს, — მაგრამ ჩვენ სულ სხვადასხვანაირად გვესმის ეს ფაქტები. ამ განსხვავების თეორიული მხარე მე უკვე დავახასიათე ზევით, ახლა კი პრაქტიკულ მხარეს მივმართავ.

ბურჟუაზია — განსაკუთრებით სოფლისა — ჩვენში **ჯერ კიდევ** სუსტია; იგი ეს-არის ახლა ისახებაო, ამბობს ნაროდნიკი. ამიტომ მასთან ბრძოლა **ჯერ კიდევ** შესაძლებელია. ბურჟუაზიული მიმართულება ჯერ სრულებითაც არ არის ძლიერი— ამიტომ **ჯერ კიდევ** შეიძლება უკან დახევა. დრო არ წასულაო.

მხოლოდ მეტაფიზიკოს-სოციოლოგს (რომელიც პრაქტიკულად მშიშარა რეაქციულ რომანტიკოსად გადაიქცევა ხოლმე) შეუძლია ამგვარად მსჯელობა. აღარას ვიტყვი იმაზე, რომ სოფლის ბურჟუაზიის «სისუსტე» აიხსნება მისი უფრო ძლიერი ელემენტების, მისი მაღალი ფენების ქალაქებისკენ ლტოლვით,— რომ სოფლებში მხოლოდ «ჯარისკაცები» არიან, ქალაქებში კი უკვე ზის «გენერალური შტაბი»; — აღარას ვიტყვი ნაროდნიკების მხრივ ფაქტის ყველა ამ, ფრიად აშკარა დამახინჯებაზე. ამ მსჯელობაში არის სხვა შეცდომაც, რომელიც მას მეტაფიზიკურად ხდის.

ჩვენს წინაშეა ერთგვარი საზოგადოებრივი ურთიერთობა, ურთიერთობა სოფლის წვრილ ბურჟუასა (მდიდარ გლეხს, ჩარჩს, კულაკს, სოფლის ბობოლას და სხვ.) და «მშრომელ» გლეხს შორის, რომელიც მშრომელია, რასაკვირველია, «სხვის ხარჯზე».

ეს ურთიერთობა არსებობს — ნაროდნიკი ვერ უარჰყოფს, რომ იგი საყოველთაოდ გავრცელებულია. მაგრამ იგი სუსტიაო, — ამბობს ნაროდნიკი, — და ამიტომ **ჯერ კიდევ** შეიძლება მისი გამოსწორებაო.

ისტორიას «ცოცხალი პიროვნებები» ჰქმნიან, ვეტყვით ჩვენ ამ ნაროდნიკს მისივე სიტყვებით. საზოგადოებრივი ურთიერთობის გამოსწორება, შეცვლა, რა თქმა უნდა, შესაძლებელია, მაგრამ შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა იგი მომდინარეობს თვით ამ გამოსასწორებელ ან შესაცვლელ საზოგადოებრივ ურთიერთობათა წევრებისაგან. ეს ნათელია ისევე, როგორც გაბრწყინებული მზიანი დღე. საკითხავია,

შეუძლია თუ არა «მშრომელ» გლეხს შესცვალოს ეს ურთიერთობა? რაში მდგომარეობს იგი? — იმაში, რომ ორი წვრილი მწარმოებელი მეურნეობას ეწევა სასაქონლო წარმოების სისტემის დროს, რომ ეს სასაქონლო მეურნეობა «ორად» ჰყოფს მათ, რომ იგი ერთს აძლევს კ ა პ ი ტ ა ლ ს, ხოლო მეორეს აიძულებს იმუშაოს «სხვის ხარჯზე».

როგორ შესცვლის ჩვენი მშრომელი გლეხი ამ ურთიერთობას, როდესაც თვითონ ის ცალი ფეხით სწორედ იმ ნიადაგზე დგას, რომელიც უნდა შეიცვალოს? როგორ შეუძლია მას გაიგოს განკერძოებულობისა და სასაქონლო მეურნეობის უვარგისობა, როდესაც თვითონ ის განკერძოებულია და მეურნეობას ეწევა საკუთარი პასუხისმგებლობით, ბაზრისათვის? როდესაც ცხოვრების ეს პირობები მასში ისეთ «აზრებსა და გრძნობებს» იწვევენ, როგორიც შეესაბამება იმას, ვინც ბაზრისათვის მარტოხელა მუშაობს? როდესაც ის დაქუცმაცებულია თვით მატერიალური პირობებით, თავისი მეურნეობის სიდიდითა და ხასიათით, და ამის გამო მისი დაპირისპირება კაპიტალისადმი ჯერ კიდევ იმდენად არ არის განვითარებული, რომ მას ვერ გაუგია, რომ ეს სწორედ — კ ა პ ი ტ ა ლ ი ა და არა მარტო «გაიძვერები» და მოხერხებული ადამიანები?

განა აშკარა არ არის, რომ პირი უნდა ვიბრუნოთ იქითკენ, სადაც ე ს ა ვ ე (nota bene*) საზოგადოებრივი ურთიერთობა განვითარებულია ბ ო ლ ო მ დ ე, სადაც ამ საზოგადოებრივი ურთიერთობის წევრები, უშუალო მწარმოებლები, უკვე თვითონ საბოლოოდ «დიფერენცირებული» და «გარისხული» არიან ბურჟუაზიული წესებისაგან, სადაც წინააღმდეგობა იმ ზომამდეა უკვე განვითარებული, რომ თავისთავად აშკარაა, სადაც უკვე შეუძლებელია საკითხის ოცნებითად და ნახევრულად დაყენება? და როდესაც უშუალო მწარმოებელნი, ამ მოწინავე პირობებში ჩაყენებულნი, ბურჟუაზიული საზოგადოების «ცხოვრებისაგან დიფერენცირებული» იქნებიან არა მარტო ფ ა ქ ტ ი თ, არამედ თ ა ვ ი ს ი შ ე გ ნ ე ბ ი თ ა ც, — მაშინ ჩამორჩენილ,

* — დაიხსომეთ. რ ე დ.

უფრო ცუდ პირობებში ჩაყენებული მშრომელი გლეხობაც დაინახავს, «როგორ კეთდება ეს», და მიემხრობა «სხვის ხარჯზე-ვე» მომუშავე თავის ამხანაგებს.

«როდესაც ჩვენში ლაპარაკობენ გლეხების მიერ მიწის ყიდვის ფაქტებზე და განმარტავენ, რომ გლეხობა მიწას ყიდულობს როგორც პირად საკუთრებად, ისე სასოფლოდ, თითქმის არასოდეს არ უმატებენ, რომ სასოფლოდ ნაყიდი მიწა პირად საკუთრებად ნაყიდთან შედარებით მხოლოდ იშვიათ და უმნიშვნელო გამონაკლისს შეადგენს».

შემდეგ, ავტორს მოჰყავს ცნობები იმის შესახებ, რომ კერძო მიწათმფლობელთა რიცხვი 1861 წელს 103 158-ს აღწევდა, მაშინ როცა 60-იანი წლების ცნობებით მათი რიცხვი 313 529 აღმოჩნდაო, და ამბობს, ეს იმით აიხსნება, რომ მეორედ აღრიცხულ იქნენ წვრილი მესაკუთრე გლეხები, რომელნიც ბატონყმობის დროს არ აღურიცხავთო; ავტორი განაგრძობს:

«აი ეს არის სწორედ ჩვენი სოფლის ახალგაზრდა ბურჟუაზია, რომელიც უშუალოდ ემხრობა და უერთდება წვრილმამულიან თავადაზნაურობას».

სიმართლეა, — ვიტყვით ჩვენ ამაზე, — სრული სიმართლე, — განსაკუთრებით ის, რომ იგი «ემხრობა» და «უერთდება»! სწორედ ამიტომაც წვრილი ბურჟუაზიის იდეოლოგებს ვაკუთვნებთ ჩვენ ი ნ ა თ, ვინც «გლეხთა მიწათმფლობელობის გაფართოებას» სერიოზულ მნიშვნელობას აძლევს (უშუალო მწარმოებელთა ინტერესების თვალსაზრისით), ე. ი. ჩვენს ავტორსაც, რომელიც ამას 152-ე გვერდზე ამბობს.

ამიტომაც მიგვაჩნია ჩვენ პოლიტიკანებად ის ადამიანები, რომელნიც მიწის პირადად და სასოფლოდ ყიდვის საკითხს იხილავენ ისე, თითქოს ბურჟუაზიული წესების «დამყარება» ოდნავ მაინც იყოს მასზე დამოკიდებული. ჩვენ პირველ და მეორე შემთხვევასაც ბურჟუაზიულობას ვაკუთვნებთ, ვინაიდან ორივე შემთხვევაში ყიდვა ყიდვაა და ფული ფულია, ე. ი. ისეთი საქონელი, რომელიც ხელში უვარდება მხოლოდ წვრილ ბურ-

ჟუას *, სულ ერთია — გაერთიანებულია იგი სოფლის მიერ «სოციალურად ურთიერთშეგუებისა და სოლიდარული საქმიანობისათვის», თუ დაქუცმაცებულია წვრილი მიწათმფლობელობით.

«მაგრამ მას (სოფლის ახალგაზრდა ბურჟუაზიას) მარტო ესენი როდი შეადგენენ. «სოფლის ბობოლა» — ეს სიტყვა, რა თქმა უნდა, ახალი არ არის რუსეთისათვის, მაგრამ მას არასოდეს არ ჰქონია ის მნიშვნელობა, როგორიც ახლა მიიღო, არასოდეს ისეთ ზეგავლენას არ ახდენდა თანასოფლელებზე, როგორსაც ახლა ახდენს. სოფლის ბობოლა, ახლანდელთან შედარებით. რაღაც პატრიარქალური პიროვნება იყო, რომელიც, ყოველთვის სოფელს ემორჩილებოდა, ზოგჯერ უბრალო ზარმაცი, რომელიც მოსაგებს აგრე რიგად არც მისდევდა. — ამჟამად სიტყვას «სოფლის ბობოლა» სხვა მნიშვნელობა აქვს, ხოლო გუბერნიების უმრავლესობაში იგი უკვე მხოლოდ გვაროვნულ ცნებად გადაიქცა, შედარებით ნაკლებად იხმარება და მის ნაცვლად მიღებულია სიტყვები: კულაკი, წურბელი, ვაჭარი, მიკიტანი, მეკატე, მოიჯარე, დამგირავებელი და სხვ. ეს დანაწევრება ერთი სიტყვისა რამდენიმე სიტყვად, ამასთან ისეთ სიტყვებად, რომელთაგან ზოგი ძველია, ზოგიც სულ ახალია ან დღემდე არ იხმარებოდა გლეხობაში, გვიჩვენებს უპირველეს ყოვლისა იმას, რომ ხალხის ექსპლოატაციაში მოხდა შრომის დანაწილება, ხოლო შემდეგ — მტაცებლობის ფართოდ გავრცელებას და მის სპეციალიზაციას. თითქმის ყოველ სოფელსა და ყოველ დაბაში ერთი ან რამდენიმე ასეთი ექსპლოატატორია».

უდავოა, რომ მტაცებლობის ზრდის ეს ფაქტი სწორად არის შენიშნული. ოღონდ ტყუილად არ უნდა ავტორს, ისე როგორც ყველა ნაროდნიკს, ამ ფაქტების მიუხედავად, გაიგოს, რომ ეს სისტემატური, საყოველთაო, მართებული (შრომის დანაწილებითაც კი) კულაკობა არის კაპიტალიზმის გამოხატულება მიწათმოქმედებაში, კაპიტალის ბატონობა მის პირველ-დელ ფორმებში; ეს კაპიტალი, ერთი მხრით, მუდამ გამოსწურავს ხოლმე იმ ქალაქის, საბანკო, საზოგადოდ ევროპულ კაპიტალიზმს, რომელიც ნაროდნიკებს რაღაც შემონატანად მიაჩნიათ, ხოლო მეორე მხრით — მაგრდება და იკვებება ამ კაპიტალიზ-

* ლაპარაკია, რასაკვირველია, არა ისეთ ფულზე, რომლითაც მხოლოდ აუცილებელ მოხმარების საგნებს იძენენ, არამედ თავისუფალ ფულზე, რომლის დაზოგვა შეიძლება წარმოების საშუალებათა საყიდლად.

მით; ერთი სიტყვით, ეს — რუსეთის სახალხო მეურნეობის კაპიტალისტური ორგანიზაციის ერთ-ერთი მხარეა.

გარდა ამისა, სოფლის ბობოლას «ევოლუციის» დახასიათება საშუალებას მოგვცემს ვამხილოთ ნაროდნიკი სხვა რამეშიც.

1861 წლის რეფორმაში ნაროდნიკი ხედავს სახალხო წარმოების სანქციას, ხედავს მასში არსებითს განსხვავებას დასავლეთის რეფორმისაგან.

ის ღონისძიებანი, რომლებსაც ნაროდნიკი ახლა ნატრობს, გულისხმობენ ასეთსავე «სანქციას» — თემს და სხვ., ასეთსავე «უზრუნველყოფას ნადელით» და საზოგადოდ წარმოების საშუალებებით.

რატომღა მოხდა, ბ-ნო ნაროდნიკო, რომ რეფორმამ, რომელმაც «სახალხო (და არა კაპიტალისტურ) წარმოებას სანქცია მისცა», მიგვიყვანა მხოლოდ იქამდე, რომ «პატრიარქალური ზარმაციდან» მივიღეთ შედარებით ენერგიული, მოძრავი, ცივილიზაციის ელფერით შემოსილი მტაცებელი? მიგვიყვანა მხოლოდ მტაცებლობის ფ ო რ მ ი ს შეცვლამდე, ისევე როგორც სათანადო დიდმა რეფორმებმა დასავლეთ ევროპაში?

რატომ ფიქრობთ თქვენ, რომ «სანქციის» შემდგომ ნაბიჯებს (სავსებით შესაძლებელს გლეხთა მიწათმფლობელობის გაფართოების, გადასახლების, იჯარის მოწესრიგების და სხვა უეჭველი პროგრესების, ოღონდ კი ბურჟუაზიული პროგრესების სახით), — რატომ ფიქრობთ თქვენ, რომ მათ მოჰყვება სხვა რამე და არა მარტო ფ ო რ მ ი ს შემდგომი შეცვლა, კ ა პ ი ტ ა ლ ი ს შემდგომი გაევროპულება, მისი გარდაქმნა საკაჭროდან პროდუქტიულ კაპიტალად, საშუალოსაუკუნეობრივი კაპიტალიდან — უახლეს კაპიტალად?

სხვანაირად შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ც ა რ ი ს — იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ამგვარი ზომები სრულიად ვერ შეარყევენ კ ა პ ი ტ ა ლ ს, ე. ი. ადამიანთა იმ ურთიერთობას, რომლის დროსაც ზოგის ხელში გროვდება ფული — სასაქონლო მეურნეობის მიერ მოწყობილი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი შრომის პროდუქტი, — ზოგს კი არაფერი გააჩნია, გარდა თავისუფალი

«ხელისა»*, თავისუფალის სწორედ იმ პროდუქტისაგან, რომელიც თავმოყრილია წინა თანრიგში.

...«მათგან (ამ კულაკებისა და სხვათაგან) კაპიტალის არმქონე წვრილფეხობა ჩვეულებრივ ემხრობა მსხვილ ვაჭრებს, რომელნიც აწვდიან მას კრედიტს ან ავალებენ თავიანთი ხარჯით ყიდვას; უფრო შეძლებულნი დამოუკიდებლად აწარმოებენ საქმეს, თვითონ იჭერენ ურთიერთობას დიდ სავაჭრო და სანავსადგურო ქალაქებთან, გზავნიან იქ თავიანთი სახელით ვაგონებს და თვითონ მიდიან ადგილობრივ საჭირო საქონლის შესაძენად. ჩაჯექით რომელიმე რკინიგზის მატარებელში და იქ მესამე კლასში (იშვიათად მეორეში) უსათუოდ ათობით შეხვდებით ამ ხალხს, რომელიც თავისი საქმეებისთვის სადმე მიდის. იცნობთ მათ როგორც განსაკუთრებული ტანისამოსით, ისე უაღრესად დაურიდებელი ქცევით, უკმეხი ხარხარით რომელიმე მანდილოსნის სიტყვებზე, რომელიც სთხოვს მათ—თამბაქოს ნუ მოსწევთო, ან სადმე საშოვარზე გამგზავრებული გლეხუჭას [სწორედ ასე სწერია: „გლეხუჭას". კ. ტ.] დანახვაზე, რომელიც «გაუნათლებელია», იმიტომ რომ კომერციისა არაფერი გაეგება და ქალამნები აცვია. იცნობთ მათ ლაპარაკითაც. ისინი ჩვეულებრივ ლაპარაკობენ «კრავის ტყავზე», «საჭმელ ზეთზე», ტყავზე, თევზზე, ფეტვზე და სხვ. ამასთანავე თქვენ გაიგონებთ ცინიკურ ამბებს მათს თაღლითობაზე, საქონლის ფალსიფიკაციაზე: იმაზე, თუ როგორ «გაასაღეს ფაბრიკაში» შაშხი, რომელსაც «მაგარი სუნი» ასდიოდა; იმაზე, რომ «ჩაის შეღებვას ყველა შესძლებს, თუ კი ერთხელ აჩვენებ», რომ «ერთ თავ შაქარს წყლის შერევით შეიძლება სამი გირვანქა წონა შეჰმატო ისე, რომ მყიდველმა ვერაფერი გაიგოს» და სხვ. ყოველივე ამას ისეთი გულახდილობით და დაურიდებლობით ლაპარაკობენ, რომ აშკარად ატყობ, ეს ადამიანები ბუფეტში კოვზებს არ იპარავენ და სადგურზე გაზის სანათურებს არ იჯიბავენ მხოლოდ იმიტომ, რომ ეშინიათ საპყრობილეში არ ამოჰყონ თავი. ამ ახალი ხალხის ზნეობრივი მხარე ვერავითარ ელემენტარულ მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს, მთელი მათი ზნეობა ფულზეა დამყარებული და ამოიწურება აფორიზმებით: ვაჭარი მონადირეა; ეცადე მღვრიე წყალში თევზი დაიჭირო; იმარჯვე; ხელი სტაცე იმას, რაც ცუდად დევს; ისარგებლე იმ წუთით, როცა არავინ გიყურებს; სუსტს ნუ დაინდობ; როცა საჭიროა, თავი დაიმდაბლე და მუხლის თავებზე იცოცე». შემდეგ გაზეთის კორესპონდენციიდან მოყვანილია მაგალითი, ერთმა მიკიტანმა და მევახშემ, ვოლკოვმა, როგორ წაუკიდა ცეცხლი დიდ თანხაში დაზღვეულ თავის

* «მ ა ს ა კ ვ ლ ა ვ ი ნ დ ე ბ უ რ ა დ... იშრომებს ს ხ ვ ი ს ხ ა რ ჯ ზ ე» (აღნიშნული სტატია, გვ. 135): იგი რომ «თავისუფალი» არ იყოს (de facto, — de jure ** კი, შეიძლება, «ნადელითაც უზრუნველყოფილი იყოს»), — ეს, რასაკვირველია, შეუძლებელი იქნებოდა.

** — de facto — ფაქტიურად, საქმით; de jure — იურიდიულად. რ ე დ.

სახლს. ეს ვაუბატონი «მასწავლებელს და ადგილობრივ მღვდელს ყველაზე პატივსაცემ ნაცნობად მიაჩნიათ», ერთი «მასწავლებელი არაყის გულისთვის უწერს მას ყოველგვარ საშარო ქაღალდს». «სოფლის მწერალი ჰპირდება ქსელში გააბას მდაბიო ხალხი». «ერობის ერთი აგენტი და იმავე დროს ერობის გამგეობის წევრი 1 000 მანეთში უზღვევს მას ძველ სახლს» და სხვ. «ვოლკოვი ერთეული მოვლენა როდია, — იგი ტიპია. არ არის ადგილი, სადაც არ მოიპოვებოდეს თავისი ვოლკოვები, სადაც არ გაგეგონოთ ამბავი არა მარტო გლეხების ამგვარადვე გაფცქვნისა და დამონებისა, არამედ ამგვარივე ცეცხლის წაკიდების შემთხვევებისაც»...

...«მაგრამ როგორ ეპყრობა ასეთ ადამიანებს გლეხობა? თუ ისინი ვოლკოვსავით სულელი, უხეშობამდე უგულო და წვრილმანი ადამიანები არიან, — გლეხობას არ უყვარს ისინი, ეშინია კიდეც მათი, ეშინია იმიტომ, რომ მათ შეუძლიათ ყოველგვარი სისაძაგლე ჩაიდინონ მის მიმართ, გლეხობა კი სამაგიეროს ვერაფრით გადაუხდის; მათი სახლები დაზღვეულია, მათ ჰყავთ ფეხმარდი ცხენები, ავი ძაღლები, აქვთ მაგარი ურდულები და კავშირურთიერთობა ადგილობრივ ხელისუფლებასთან. მაგრამ თუ ასეთი ხალხი ვოლკოვზე უფრო ჭკვიანია და ეშმაკი, თუ ისინი გლეხობის გაფცქვნას და დამონებას კეთილშობილი სამოსით მოსავენ, თუ, მანეთის ჩაჯიბვის დროს, ყველას გასაგონად გროშს უკლებენ, არ იშურებენ ორიოდე ბოთლ არაყს ან ცოტაოდენ ფეტვს გადამწვარი სოფლისათვის, — მაშინ ისინი გლეხებს შორის სახელით, ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობენ, როგორც ღარიბთა მოამაგენი და მოჭირნახულენი, ურომლებისოდაც ისინი, შეიძლება, კიდეც დაღუპულიყვნენ. გლეხები მათ ჭკვიან ადამიანებად სთვლიან, ბავშვებსაც კი აბარებენ გასაწაფავად და სასახელოდ მიაჩნიათ, რომ ბავშვი დუქანში ზის, თანაც დარწმუნებული არიან, რომ ის კაცი გახდება».

მე განგებ იმისთვის ამოვწერე ავტორის მსჯელობა რაც შეიძლება დაწვრილებით, რომ მომეყვანა ჩვენი ახალგაზრდა ბურჟუაზიის დახასიათება, მოცემული იმ დებულების მოწინააღმდეგის მიერ, რომელიც რუსეთის საზოგადოებრივი მეურნეობის ბურჟუაზიულ ორგანიზაციას აღიარებს. მისი გარჩევა ბევრ რამეს აგვიხსნის რუსული მარქსიზმის თეორიაში, თანამედროვე ნაროდნიკობის მხრით მასზე გაცვეთილ თავდასხმათა ხასიათში.

ამ დახასიათების დასაწყისიდან სჩანს, რომ ავტორს თითქოს ესმის ამ ბურჟუაზიის ღრმა ფესვები, ესმის მისი კავშირი მსხვილ ბურჟუაზიასთან, რომელსაც «ემხრობა» წვრილი ბურჟუაზია, მისი კავშირი გლეხობასთან, რომელიც მას «ბავშვებს

გასაწაფავად» აბარებს, — მაგრამ ავტორის მაგალითები გვიჩვენებენ, რომ იგი სრულიადაც ვერ აფასებს საკმარისად ამ მოვლენის ძალასა და სიმკვიდრეს.

მის მაგალითებში ლაპარაკია სისხლის სამართლის დანაშაულობებსა, გაიძვერობასა, ცეცხლის წაკიდებაზე და სხვ. ისეთ შთაბეჭდილებას იღებ, თითქოს გლეხობის «გაფცქვნა და დამონება» რაღაც შემთხვევითი მოვლენა იყოს, შედეგი იყოს (როგორც ზემოთ თვით ავტორმა სთქვა) ცხოვრების მძიმე პირობებისა, «ზნეობრივი იდეების უხეშობისა», «ლიტერატურის» იმდენად შეზღუდვისა, რომ იგი «ხალხამდე ვერ აღწევს» (გვ. 152) და სხვ. — ერთი სიტყვით, თითქოს ყველაფერი ეს აუცილებლობით არ გამომდინარეობდეს ჩვენი საზოგადოებრივი მეურნეობის თანამედროვე ორგანიზაციიდან.

მარქსისტი სწორედ ამ უკანასკნელ აზრს ემხრობა; იგი ამტკიცებს, რომ ეს აუცილებლობაა, და სრულიადაც არა შემთხვევითი მოვლენა, აუცილებლობა, რომელსაც იწვევს რუსეთში გაბატონებული წარმოების კაპიტალისტური წესი. რაკი გლეხი საქონლის მწარმოებელი ხდება (ასეთ მწარმოებლებად კი ყველა გლეხი გახდა უკვე), — მისი «ზნეობა» აუცილებლად უნდა «დაემყაროს ფულს», და ამისათვის მისი გამტყუნება არ შეიძლება, რადგან თვით ცხოვრების პირობები აიძულებენ ამ ფულის გამოსაჩხრეკად ყოველგვარ ვაჭრულ ხრიკს მიმართოს*. ამ პირობებში «გლეხობიდან» გამოიყოფიან მდიდრები და ღარიბები, და ამისათვის საჭირო არ არის არც სისხლის სამართლის დანაშაული, არც ლაქიობა, არც რაიმე ფალსიფიკაცია. ძველი თანასწორობა ვერ გაუმაგრდება ბაზრის მერყეობას. ეს მსჯელობა როდია; ეს ფაქტია. ფაქტია ისიც, რომ მცირედთა «სიმდიდრე» ამ პირობებში კ ა პ ი ტ ა ლ ი ხდება, ხოლო მასის «სიღარიბე» აიძულებს მას საკუთარი მარჯვენა გაჰყიდოს, სხვის ხარჯზე იმუშაოს. ამრიგად, მარქსისტის თვალსაზრისით, კაპიტალიზმი უკვე მტკიცედ დამკვიდრდა, იგი საკუთარ გამოირკვა და ჩამოყალიბდა არა მარტო საფაბრიკო-საქარხნო

* შეად. უ ს პ ე ნ ს კ ი[62].

მრეწველობაში, არამედ სოფლადაც და საზოგადოდ ყველგან მთელ რუსეთში.

ახლა შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რა გონებამახვილობას იჩენენ ბბ. ნაროდნიკები, როდესაც მარქსისტის იმ არგუმენტაციის პასუხად, რომ სოფლად ამ «სამწუხარო მოვლენების» მიზეზი არის არა პოლიტიკა, არა მიწის სიმცირე, არა გადასახადები, არა ცუდი «პიროვნებანი», არამედ კაპიტალიზმი, რომ ყველაფერი ეს ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი და გარდუვალია წარმოების კაპიტალისტური წესის არსებობის დროს, ბურჟუაზიის კლასის ბატონობის დროს, — როდესაც ამის პასუხად ნაროდნიკი გაჰკივის, რომ მარქსისტებს სურთ გლეხობის უმიწაწყლოდ დატოვება, რომ ისინი პროლეტარს «ამჯობინებენ» «დამოუკიდებელ» გლეხს, რომ ისინი იჩენენ, — როგორც ამბობენ პროვინციელი ქალიშვილები და ბ-ნი მიხაილოვსკი ბ-ნ სტრუვეს პასუხად, — «ზიზღსა და სიმკაცრეს» «პიროვნებისადმი»!

სოფლის ამ სურათის მიხედვით, რომელიც საინტერესოა იმით, რომ მოწინააღმდეგეს მოჰყავს, ნათლად შეგვიძლია დავინახოთ მარქსისტების წინააღმდეგ წამოყენებულ გაცვეთილ მოსაზრებათა სისულელე, მათი მონაჩმახობა, — და ამას სჩადიან ფაქტების გვერდის ავლით, თავიანთ წინანდელ განცხადებათა დავიწყებით, — ყოველივე ეს კი იმისთვის ხდება, რომ გადაარჩინონ, coûte que coûte *, ოცნებობისა და კომპრომისების ის თეორიები, რომელთაც ახლა, საბედნიეროდ, ველარავითარი ძალა ველარ იხსნის.

რუსეთის კაპიტალიზმზე მსჯელობის დროს მარქსისტებს გადმოაქვთ მზამზარეული სქემები, დოგმებსავით იმეორებენ სულ სხვა პირობებში წარმოშობილ დებულებებს. განვითარებისა და მნიშვნელობის მხრივ უბადრუკს რუსეთის კაპიტალისტურ წარმოებას (ჩვენს ფაბრიკებსა და ქარხნებში მუშაობს სულ 1 400 ათასი კაცი) ისინი ავრცელებენ გლეხობის მასაზე, რომელიც ჯერ კიდევ ჰფლობს მიწას. ასეთია ლიბერალურ-ნაროდნიკული ბანაკის ერთ-ერთი საყვარელი საწინააღმდეგო მოსაზრება.

* — რადაც არ უნდა დაჯდეს. რ ე დ.

და აი სოფლის იგივე პატარა სურათი გვიჩვენებს, რომ ნაროდნიკს, როდესაც იგი «მეთემურ» და «დამოუკიდებელ» გლეხთა წესებს აგვიწერს, არ შეუძლია გვერდი აუქციოს იმავე, განყენებული სქემებიდან და სხვათა დოგმებიდან ნასესხებს ბურჟუაზიის კატეგორიას, არ შეუძლია არ აღნიშნოს, რომ იგი — სოფლური ტიპია და არა ერთეული შემთხვევა, რომ იგი მაგარი ძაფებით არის დაკავშირებული ქალაქების მსხვილ ბურჟუაზიასთან, რომ იგი დაკავშირებულია გლეხობასთანაც, რომელიც «მას ბავშვებს აბარებს გასაწაფავად», რომლიდანაც, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გამოდის სწორედ ეს ახალგაზრდა ბურჟუაზია. ჩვენ ვხედავთ, მაშასადამე, რომ ეს ახალგაზრდა ბურჟუაზია იზრდება ჩვენში «თემის» შიგნით და არა მის გარეთ, რომ მას თვით საზოგადოებრივი ურთიერთობანი წარმოშობენ ხოლმე საქონელმწარმოებლად გადაქცეული გლეხობის წრეშივე; ჩვენ ვხედავთ, რომ არა მარტო «1 400 ათასი კაცი», არამედ რუსი სოფლელი ხალხის მთელი მასა მუშაობს კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ა თ ვ ი ს, იმყოფება მის «გამგებლობაში». — მაშ ვის გამოჰყავს სწორი დასკვნები ამ ფაქტებიდან, რომლებიც აღნიშნა არა რომელიმე «მისტიკოსმა და მეტაფიზიკოსმა», «ტრიადების» რწმენით გამსჭვალულმა მარქსისტმა, არამედ თვითმყოფმა ნაროდნიკმა, რომელსაც ეხერხება რუსული ყოფაცხოვრების თავისებურებათა დაფასება? ნუთუ ნაროდნიკს, როდესაც იგი ლაპარაკობს უკეთესი გზის არჩევაზე, თითქოს კაპიტალს უკვე არ მოეხდინოს არჩევანი, — როდესაც იგი ლაპარაკობს სხვა წყობილებისაკენ მობრუნებაზე, რაც მოსალოდნელია «საზოგადოებისა» და «სახელმწიფოსაგან», ე. ი. ისეთი ელემენტებისაგან, რომლებიც სწორედ ამ არჩევანის ნიადაგზე და მ ი ს თ ვ ი ს წარმოიშვნენ? თუ მარქსისტს, რომელიც ამბობს, რომ სხვა გზებზე ოცნება გულუბრყვილო რომანტიკოსობაა, რადგან სინამდვილე უაღრესად ცხადად გვიჩვენებს, რომ «გზა» უკვე არჩეულია, რომ კაპიტალის ბატონობა ფაქტია, რომელსაც საყვედურებით და გაკიცხვით თავიდან ვერ ავიცილებთ, — ფაქტია, რომელსაც ანგარიშს უწევენ მხოლოდ უშუალო მწარმოებელნი?

მეორე გაცვეთილი საყვედური. მარქსისტებს მსხვილი კაპიტალიზმი რუსეთში პროგრესულ მოვლენად მიაჩნიათ. ისინი, ამრიგად, «დამოუკიდებელ» გლეხთან შედარებით უპირატესობას აძლევენ პროლეტარს, თანაუგრძნობენ ხალხის უმიწაწყლოდ დატოვებას და, იმ თეორიის თვალსაზრისით, რომელიც იდეალად აყენებს წარმოების საშუალებათა გადასვლას მუშების ხელში, თანაუგრძნობენ მუშის მოწყვეტას წარმოების საშუალებებისაგან, ე. ი. შეურიგებელ წინააღმდეგობაში ვარდებიანო.

დიახ, მარქსისტებს მსხვილი კაპიტალიზმი პროგრესულ მოვლენად მიაჩნიათ, — არა იმიტომ, რა თქმა უნდა, რომ ის «დამოუკიდებლობას» სცვლის არადამოუკიდებლობით, არამედ იმიტომ, რომ იგი ჰქმნის პირობებს არადამოუკიდებლობის მოსასპობად. რაც შეეხება რუსი გლეხის «დამოუკიდებლობას», — ეს მხოლოდ ნაროდნიკული მოთაფლული ზღაპარია და სხვა არაფერი; სინამდვილეში ეს დამოუკიდებლობა არ არსებობს. ამ ფაქტს (რომ სინამდვილეში დამოუკიდებლობა არ არსებობს) ადასტურებს მოყვანილი სურათიც (აგრეთვე ყველა სხვა თხზულებაც და გამოკვლევა გლეხობის ეკონომიური მდგომარეობის შესახებ): გლეხობაც, ისევე როგორც მუშები, «სხვის ხარჯზე» მუშაობს. ამას აღიარებდნენ ძველი რუსი ნაროდნიკები. მაგრამ მათ არ ესმოდათ ამ ა რ ა დამოუკიდებლობის მიზეზები და ხასიათი, არ ესმოდათ, რომ ესეც — კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ი არადამოუკიდებლობაა, რომელიც ქალაქის არადამოუკიდებლობისაგან განირჩევა ნაკლები განვითარებით, კაპიტალის საშუალოსაუკუნეობრივი, ნახევრად-ბატონყმური ფორმების მეტი ნაშთებით, და სხვა არაფრით. შევადაროთ ფაბრიკას თუნდაც ის სოფელი, რომელიც ნაროდნიკმა დაგვიხატა. განსხვავება (დამოუკიდებლობის მხრივ) მხოლოდ იმაშია, რომ სოფლად ჩვენ ვხედავთ «წვრილ ჭიაღუას», ფაბრიკაში კი — მსხვილს, იქ — სათითოო ექსპლოატაციას, ნახევრად-ბატონყმური ხერხებით; აქ კი — მასების ექსპლოატაციას, და უკვე წმინდა კაპიტალისტურს. გასაგებია, რომ მეორე პროგრესულია: იგივე კაპიტალიზმი, რომელიც სოფლად გა-

ნუვითარებელია და ამიტომ შეზავებულია მევახშეობით etc., აქ — განვითარებულია; იგივე წინააღმდეგობა, რომელსაც სოფელში ვხედავთ, აქ სავსებით გამოხატულია; აქ უკვე სრული გათიშვაა, და შეუძლებელია საკითხის ისე ორჭოფულად დასმა, როგორსაც სჯერდება წვრილი მწარმოებელი (და მისი იდეოლოგი), რომელსაც შეუძლია გაჰკიცხოს, დატუქსოს და დასწყევლოს კაპიტალიზმი, მაგრამ არ შეუძლია უარი სთქვას თვით ამ კაპიტალიზმის ნიადაგზე *, მის მსახურთადმი ნდობაზე, საამოოცნებაზე იმის შესახებ, რომ «უკეთესი იქნება უბრძოლველად», როგორც სთქვა დიდებულმა ბ-მა კრივენკომ. აქ ოცნება უკვე შეუძლებელია, — და მარტო ესეც წინგადადგმული გიგანტური ნაბიჯია; აქ უკვე ნათლად სჩანს, ვის მხარეზეა ძალა, და არ შეიძლება ლაყბობა გზის არჩევაზე, ვინაიდან ცხადია, რომ ჯერ ამ ძალის «გადანაწილება» უნდა მოხდეს.

«მოთაფლული ოპტიმიზმი» — ასე დაახასიათა ბ-მა სტრუვემ ნაროდნიკობა, და ეს — სრული ჭეშმარიტებაა. ოპტიმიზმია, მაშ რა არის, როდესაც კაპიტალის სრულ ბატონობას სოფლად უგულვებელჰყოფენ, ჩქმალავენ, შემთხვევით მოვლენად სახავენ? როდესაც გვაჩეჩებენ სხვადასხვა კრედიტებს, არტელებს, საზოგადოებრივ ხვნა-თესვას, თითქოს ყველა ამ «კულაკებს», წურბელებს, ვაჭრებს, მიკიტნებს, მოიჯარეებს, დამგირავებლებს» და სხვებს, თითქოს მთელ ამ «ახალგაზრდა ბურჟუა-

---

* გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად განვმარტავ, რომ კაპიტალიზმის «ნიადაგად» ვგულისხმობ იმ საზოგადოებრივ ურთიერთობას, რომელიც, სხვადასხვა ფორმით, გაბატონებულია კაპიტალისტურ საზოგადოებაში და რომელიც მარქსმა გამოხატა ფორმულით: ფული — საქონელი — ფული პლუსით.

ნაროდნიკული ზომები ა'რ ე ხ ე ბ ი ა ნ ამ ურთიერთობას, არ არყევენ არც სასაქონლო წარმოებას, რომელიც კერძო პირთ უგდებს ხელში ფულს = საზოგადოებრივი შრომის პროდუქტს, არც «ხალხის» გათიშვას ამ ფულის მფლობელებად და ღარიბ-ღატაკებად.

მარქსისტი მიმართავს ამ ურთიერთობის ყველაზე განვითარებულ ფორმას, რომელიც ყველა დანარჩენი ფორმის კვინტ-ესენციას წარმოადგენს, და მწარმოებელს მიუთითებს ამოცანასა და მიზანს: მოსპოს ეს ურთიერთობა, შესცვალოს იგი სხვა ურთიერთობით.

ზიას» უკვე «ხელში» არ ეჭიროს «თვითეული სოფელი»?— მოთაფვლაა, მაშ რა არის, როდესაც ადამიანები განაგრძობენ ლაპარაკს «ათი წლის, ოცი წლის, ოცდაათი და მეტი წლის განმავლობაში»: «უკეთესი იქნება უბრძოლველად» — და ეს მაშინ, როდესაც ბრძოლა უკვე სწარმოებს, მაგრამ ყრუ, შეუგნებელი, იდეით გაუშუქებელი.

«გადახედეთ ახლა, მკითხველო, ქალაქს. აქ თქვენ შეხვდებით უფრო მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან ახალგაზრდა ბურჟუაზიას. ყველა, ვინც წერა-კითხვის მცოდნე ხდება და თავის თავს ვარგისად სთვლის უფრო კეთილშობილი საქმიანობისათვის, ყველა, ვისაც თავისი თავი უკეთესი ხვედრის ღირსად მიაჩნია, ვიდრე ჩვეულებრივი გლეხის უბადრუკი ხვედრია, დასასრულ, ყველა, ვინც ამ პირობებით სოფელში ვერ ეტევა, — ახლა ქალაქებისაკენ მიისწრაფვის»...

და მიუხედავად ამისა ბბ. ნაროდნიკები ტკბილად ლაყბობენ ქალაქის კაპიტალიზმის «ხელოვნურობაზე», იმაზე, რომ ის «ნაზი მცენარეა», რომელიც, თუ თავს არ შემოევლე, თავისთავად დაიღუპებაო და სხვ. საკმაოა უბრალოდ შეხედოთ ფ ა ქ ტ ე ბ ს, და ცხადი გახდება, რომ ეს «ხელოვნური» ბურჟუაზია ქალაქში გადასახლებული სოფლის წურბელები არიან, რომელნიც სრულიად თვითნებურად იზრდებიან «კაპიტალისტური მთვარით» გაშუქებულ იმ ნიადაგზე, რომელიც ყოველ ჩვეულებრივ გლეხს აიძულებს — იაფად იყიდოს, ძვირად გაჰყიდოს.

...«აქ თქვენ ხვდებით: ნოქრებს, კანტორის მოსამსახურეებს, წვრილ ვაჭრებს, დამტარებლებს, მრავალგვარ მოიჯარეებს (მებათქაშეებს, ხუროებს, კალატოზებს და სხვ.), კონდუქტორებს, უფროს მეეზოვეებს, პოლიციელებს, ბირჟის მეარტელეებს, გადასაზიდი საშუალებების, სანოვაგისა და სასტუმრო ბაკების, სხვადასხვა სახელოსნოს პატრონებს, ფაბრიკის ოსტატებს და სხვ. და სხვ. ყველა ეს — ნამდვილი ახალგაზრდა ბურჟუაზიაა, მთელი თავისი დამახასიათებელი ნიშნებით. მისი მორალის კოდექსი აქაც ფრიად არაფართოა: მთელი საქმიანობა დამყარებულია შრომის ექსპლოატაციაზე*, ხოლო ცხოვრების ამოცანას შეად-

* ზუსტი არ არის. წვრილი ბურჟუა სწორედ იმით განირჩევა მსხვილისაგან, რომ თვითონაც შრომობს, — ისევე როგორც შრომობენ ავტორის

ბენს დიდი თუ მცირე კაპიტალის შეძენა გონების დამაჩლუნგებელი დროსტარებისათვის»... ...«ვიცი, რომ ბევრი სიხარულს განიცდის ამ ადამიანების დანახვაზე; მათში ხედავენ ჭკუას, ენერგიას, თავგზიანობას, მათ სთვლიან ხალხიდან გამოსულ ყველაზე უფრო პროგრესულ ელემენტებად, მათში ხედავენ მშობლიური ცივილიზაციის პირდაპირ და ბუნებრივ ნაბიჯს, — ცივილიზაციის, რომლის უსწორმასწორობაც დროთა მსვლელობაში გამოსწორდება. დიახ, მე უკვე დიდი ხანია ვიცი, რომ ჩვენში შეიქმნა უმაღლესი ბურჟუაზია განათლებული ადამიანებისაგან, ვაჭრებისა და თავადაზნაურობისაგან, რომელთაგან ზოგი ვერ გაუმაგრდა 1861 წლის კრიზისს და დაქვეითდა, ზოგი კი თანამედროვე სულით გაიმსჭვალა, რომ ამ ბურჟუაზიამ უკვე შეჰქმნა მესამე წოდების კადრები და რომ მას აკლია მხოლოდ ის ელემენტები ხალხიდან, ურომლებოდაც იგი ვერაფერს გააწყობს და რომლებიც ამიტომაც მოსწონს მას»...

აქაც დატოვებულია გასაძრომი «მოთაფლული ოპტიმიზმისათვის»: მსხვილ ბურჟუაზიას «აკლია მხოლოდ» ბურჟუაზიული ელემენტები ხალხში!! მერე, საიდან გამოვიდა მსხვილი ბურჟუაზია, თუ არ ხალხიდან? ხომ არ დაიწყებს ავტორი იმის უარყოფას, რომ ჩვენს «ვაჭრებს» კავშირი აქვთ გლეხობასთან?

აქ გამოსჭვივის ავტორის მისწრაფება: ახალგაზრდა ბურჟუაზიის ეს ზრდა წარმოგვიდგინოს შემთხვევით საქმედ, პოლიტიკის შედეგად და სხვ. მეტისმეტად ტიპიურია ნაროდნიკისათვის საქმის გაგების ეს ზერელობა, რომლის გამო იგი ვერ ხედავს მოვლენის ფესვებს თვით საზოგადოების ეკონომიურ სტრუქტურაში; იგი მეტად დაწვრილებით ჩამოსთვლის წვრილი ბურჟუაზიის ცალკეულ წარმომადგენლებს, მაგრამ ვერ გაუგია,

---

მიერ ჩამოთვლილი თანრიგები. შრომის ექსპლოატაცია, რა თქმა უნდა, არსებობს, მაგრამ არა მხოლოდდამხოლოდ ექსპლოატაცია.

ერთი პატარა შენიშვნაც: იმათი ცხოვრების ამოცანა, ვინც უბრალო გლეხის ხვედრით არ კმაყოფილდება, — კაპიტალის შეძენაა. ასე ამბობს (სიფხიზლის წუთებში) ნაროდნიკი. — რუსი გლეხობის ტენდენციას შეადგენს არა თემური, არამედ წვრილბურჟუაზიული წყობილება. ასე ამბობს მარქსისტი.

რა განსხვავებაა ამ დებულებებს შორის? იქნებ მარტო ის, რომ ერთი ემპირიულ ყოფა-ცხოვრებითს დაკვირვებას იძლევა, ხოლო მეორე — შენიშნულ ფაქტებს (რომელნიც რეალურ «ცოცხალ პიროვნებათა» რეალურ «ზრახვებსა და გრძნობებს» გამოხატავენ) პოლიტიკურ-ეკონომიურ კანონად განაზოგადებს?

რომ არსებული ეკონომიური წესების დროს გლეხისა და შინამრეწველის თვით ეს დამოუკიდებელი წვრილი მეურნეობა სულაც არ არის რაღაც «სახალხო» მეურნეობა, არამედ წ ვ რ ი ლ ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი მეურნეობაა.

...«მე ვიცი, რომ ძველი მოდგმის ბევრმა ჩამომავალმა უკვე ხელი მოჰკიდა არაყის გამოხდას და სამიკიტნოებს, რკინიგზის კონცესიებს და ძიებებს, მოიკალათა სააქციო ბანკების გამგეობებში; ისინი ლიტერატურაშიც კი მოეწყვნენ და ახლა ახალ ჰანგებზე მღერიან. მე ვიცი, რომ ბევრი ლიტერატურული ჰანგი მეტისმეტად ნაზი და გრძნობიერია, რომ მათში ხალხის საჭიროებებსა და სურვილებზეა ლაპარაკი; მაგრამ მე ისიც ვიცი, რომ რიგიანი ლიტერატურის მოვალეობაა გამოააშკარაოს განზრახვა — ხალხისთვის, პურის ნაცვლად, ქვის მიწოდებისა».

რა წარმტაცი იდილიაა! ჯერ მხოლოდ «გ ა ნ ზ რ ა ხ უ ლ ი» ჰქონიათ მიაწოდონ?!

მერე, როგორ არის შეხამებული: «იცის», რომ «უკვე დიდი ხანია» შეიქმნა ბურჟუაზია, — მაგრამ თავის ამოცანას ჯერ ისევ ბურჟუაზიის შექმნის «განზრახვის გამოაშკარავებაში» ხედავს!

აი ამას ეწოდება «გულუბრყვილობა», როდესაც უკვე მობილიზებული არმიის, ჩამწკრივებული «ჯარისკაცების» წინაშე, როცა ისინი «უკვე დიდი ხანია» გაერთიანებული არიან შექმნილი «გენერალური შტაბის» მიერ, — კვლავ განაგრძობენ ლაპარაკს «განზრახვის გამოაშკარავებაზე», და არა უკვე საკვლევით გამოაშკარავებულ ინტერესთა ბრძოლაზე.

...«საფრანგეთის ბურჟუაზიასაც ხალხად მოჰქონდა თავი და იგი თავის მოთხოვნებს მუდამ ხალხის სახელით აყენებდა, მაგრამ მუდამ ატყუებდა მას. ბურჟუაზიული მიმართულება, რომელსაც ჩვენი საზოგადოება უკანასკნელი წლების განმავლობაში დაადგა, ჩვენ მავნედ და საშიშად მიგვაჩნია ხალხის ზნეობისა და კეთილდღეობისათვის».

ამ ფრაზაში, შეიძლება ითქვას, ყველაზე ნათლად გამოაშკარავდა ავტორის წვრილბურჟუაზიულობა. ბურჟუაზიულ მიმართულებას იგი «მავნედ და საშიშად» აცხადებს ხალხის ზნეობისა და კეთილდღეობისათვის! რომელი «ხალხისა», პატივცემულო ბ-ნო მორალისტო? — იმ ხალხისა, რომელიც ბატონყმობის დროს მემამულეებისათვის მუშაობდა, ამაგრებდა «ოჯახურ

კერას», «ბინადრობას» და «შრომის წმინდა მოვალეობას»?*, თუ იმისა, რომელიც შემდეგში გამოსასყიდი ფულის საშოვნელად მიდიოდა? თქვენ კარგად იცით, რომ ამ ფულის გადახდა «განთავისუფლების» მთავარი და ძირითადი პირობა იყო და რომ გლეხს მისი შოვნა სხვაგან არსად შეეძლო, თუ არ ბატონ-კუპონთან[83]. აკი თქვენ თვითონ აგვიწერეთ, როგორ პატრონობდა ეს ვაჟბატონი, როგორ «მოიტანა მეშჩანობამ ცხოვრებაში თავისი მეცნიერება, თავისი ზნეობრივი კოდექსი და თავისი სოფიზმები», როგორ შეიქმნა უკვე ლიტერატურა, რომელიც ბურჟუაზიის «ჭკუას, თავგზიანობას და ენერგიას» უმღერის. ცხადია, აქ მთელი საქმე იმაშია, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციის ერთმა ფორმამ მეორე შესცვალა: მიწაზე ჩიმაგრებულ ყმა-გლეხთა ზედმეტი შრომის მითვისების სისტემამ შეჰქმნა ბატონყმური ზნეობა; «თავისუფალი შრომის» სისტემამ, «სხვის ხარჯზე», ფულის პატრონისათვის რომ მუშაობს, — მის ნაცვლად შეჰქმნა ბურჟუაზიული ზნეობა.

მაგრამ წვრილ ბურჟუას ეშინია საგანს პირდაპირ თვალებში შეხედოს და მას თავისი სახელი უწოდოს: ის ზურგს აქცევს ამ უდავო ფაქტებს და ოცნებას იწყებს. «ზნეობრივად» მას მიაჩნია მხოლოდ წვრილი დამოუკიდებელი მეურნეობა (ბ ა ზ რ ი ს ა თ ვ ი ს — ამაზე იგი მორცხვად სდუმს), ხოლო დაქირავებული შრომა — «უზნეობად». მათ შორის არსებული კავშირი — ამასთან ურღვევი კავშირი — მას არ ესმის და ჰგონია, რომ ბურჟუაზიული ზნეობა — რაღაც შემთხვევითი ავადმყოფობაა და არა სასაქონლო მეურნეობიდან (რის საწინააღმდეგოც მას, არსებითად, არაფერი არა აქვს) წარმომდგარი ბურჟუაზიული წესების პირდაპირი ნაყოფი.

და აი ისიც იწყებს დედაბრულ ქადაგებას: «მავნე და საშიშიაო».

ის არ ადარებს ექსპლოატაციის უახლეს ფორმას წინანდელს, ბატონყმურს, ყურადღებას არ აქცევს იმ ცვლილებებს, რომლებიც შეიტანა მან მწარმოებლისა და წარმოების საშუალებათა

* ბ-ნ იუჟაკოვის სიტყვებია.

მესაკუთრის ურთიერთობაში, — ის ექსპლოატაციის ამ ფორმას ადარებს უაზრო, მეშჩანურ უტოპიას: ისეთ «წვრილ დამოუკიდებელ მეურნეობას», რომელიც, როგორც სასაქონლო მეურნეობა, არ უნდა იწვევდეს იმას, რასაც ის იწვევს (შეად. ზემოთ: «საუცხოოდ იფურჩქნება კულაკობა, ცდილობს უსუსტესის დამონებას მოჯამაგირედ» და სხვ.). ამიტომ მისი პროტესტი კაპიტალიზმის წინააღმდეგ (როგორც ასეთი, როგორც პროტესტი — სრულიად კანონიერი და სამართლიანი) რეაქციულ წუწუნად იქცევა.

მას არ ესმის, რომ «ბურჟუაზიული მიმართულება» სასარგებლო საქმეს აკეთებდა, როდესაც ექსპლოატაციის იმ ფორმას, რომელიც მშრომელს ერთ ადგილზე ამაგრებდა, სცვლიდა ისეთი ფორმით, რომელიც მას ქვეყნის ერთი ადგილიდან მეორეზე გადაისვრის ხოლმე; რომ, როდესაც ექსპლოატაციის ისეთი ფორმის ნაცვლად, რომლის დროსაც ზედმეტი პროდუქტის მითვისებას ართულებდა ექსპლოატატორისა და მწარმოებლის პირადი ურთიერთობა, საურთიერთო სამოქალაქო პოლიტიკური ვალდებულებანი, «ნადელით უზრუნველყოფა» და სხვ.,— შემოაქვს ისეთი ფორმა, რომელიც ყოველივე ამის ადგილას აყენებს «უსულგულო ნაღდ ფულს», უთანასწორებს მუშა-ხელს ყველა სხვა საქონელს, ნივთს, რომ ამით «ბურჟუაზიული მიმართულება» ექსპლოატაციას აშიშვლებს ყოველგვარი შენიღბვისა და ილუზიისაგან, ხოლო მისი გაშიშვლება — უკვე დიდი დამსახურებაა.

შემდეგ მიაქციეთ კიდევ ყურადღება განცხადებას, რომ ბურჟუაზიულ მიმართულებას ჩვენი საზოგადოება დაადგა «უკანასკნელ წლებში». — ნუთუ მხოლოდ «უკანასკნელ წლებში»? განა ეს მიმართულება 60-იან წლებშიც არ გამომჟღავნდა სავსებით ცხადად? განა იგი მთელ 70-იან წლებშიც არ ბატონობდა?

წვრილი ბურჟუა აქაც ცდილობს შეანელოს საქმე, რაღაც დროებით გატაცებად, მოდად წარმოგვიდგინოს ბურჟუაზიულობა, რომელიც ჩვენს «საზოგადოებას» ახასიათებდა მთელი რეფორმისშემდგომი ხანის განმავლობაში. ხეებს იქით ტყის არ-

შემჩნევა — ეს წვრილბურჟუაზიული დოქტრინის ძირითადი თვისებაა. ბატონყმობის წინააღმდეგ პროტესტისა და მასზე გაშმაგებული თავდასხმის იქით — ის (წვრილი ბურჟუაზიის იდეოლოგი) ვერ ამჩნევს ბურჟუაზიულობას, იმიტომ რომ ეშინია პირდაპირ თვალებში შეხედოს იმ წესების ეკონომიურ საფუძვლებს, რომლებიც ამ გაშმაგებული ყვირილის დროს შენდებოდნენ. მთელი მოწინავე («ლიბერალურ-კეკლუცური», გვ. 129) ლიტერატურა ლაყბობს კრედიტების, შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობების, გადასახადების სიმძიმის, მიწათ-მფლობელობის გაფართოების შესახებ და «ხალხის» დახმარების სხვა ამგვარ ზომებზე — და ამ ლაყბობის იქით იგი ხედავს მხოლოდ «უკანასკნელი წლების» ბურჟუაზიულობას. დასასრულ, «რეაქციის» გამო დრტვინვისა და «60-იანი წლებისთვის» გოდების იქით — იგი სულ ვეღარ ხედავს ბურჟუაზიულობას, რომელიც საფუძვლად ედო ყოველივე ამას, და ამიტომ სულ უფრო და უფრო უერთდება ამ «საზოგადოებას».

ნამდვილად კი — რეფორმისშემდგომი დროის ისტორიის მთელი ამ სამი პერიოდის განმავლობაში გლეხობის ეს ჩვენი იდეოლოგი მუდამ «საზოგადოების» გვერდით და მასთან იდგა; მას არ ესმოდა, რომ ამ «საზოგადოების» ბურჟუაზიულობა ყოველ ძალას უკარგავდა მის პროტესტს ბურჟუაზიულობის წინააღმდეგ, ხოლო თვითონ მას გარდუვალად ან ოცნების გზაზე აყენებდა, ან აიძულებდა უბადრუკ წვრილბურჟუაზიულ კომპრომისებზე წასულიყო.

ჩვენი («პრინციპულად» ლიბერალიზმისადმი მტრული) ნაროდნიკობის ეს სიახლოვე ლიბერალურ საზოგადოებასთან გულს უჩვილებდა ბევრს და დღესაც კი გულს უჩვილებს ბ-ნ ვ. ვ-ს (შეად. მისი სტატია «ნედელიაში», 1894 წ., №№ 47—49). აქედან გამოჰყავთ ჩვენში ბურჟუაზიული ინტელიგენციის სისუსტე ან მისი არარსებობაც კი, რასაც რუსული კაპიტალიზმის უნიადაგობას უკავშირებენ. ნამდვილად კი სწორედ ამის საწინააღმდეგო ხდება: ეს სიახლოვე უძლიერესი საბუთია ნაროდნიკობის წინააღმდეგ, პირდაპირი დადასტურებაა მისი წვრილბურჟუაზიულობისა. როგორც ცხოვრებაში წვრილი

მწარმოებელი უერთდება ბურჟუაზიას ბაზრისათვის საქონლის განკერძოებული წარმოებით, იმით, რომ მას შანსები აქვს გზა გაიკვლიოს და მსხვილ მეურნედ გადაიქცეს, — ისე წვრილი მწარმოებლის იდეოლოგი უერთდება ლიბერალს და მასთან ერთად არჩევს სხვადასხვა კრედიტის, არტელის etc. საკითხებს; როგორც წვრილი მწარმოებელი მოკლებულია ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლის უნარს და თავის სასოებას ამყარებს დახმარების ისეთ ზომებზე, როგორიც არის გადასახადების შემცირება, მიწის გადიდება და სხვ., — ისე ნაროდნიკი ენდობა ლიბერალურ «საზოგადოებას» და მის «დაუსრულებელი სიყალბით და პირმოთნეობით» აღსავსე ლაყბობას «ხალხზე». თუ ნაროდნიკი ზოგჯერ შეუკურთხებს კიდეც «საზოგადოებას», არ დააყოვნებს და მაშინვე დაუმატებს, რომ საზოგადოება მხოლოდ «უკანასკნელ წლებში» გაფუჭდა, თორემ საერთოდ და თავისთავად იგი ცუდი არ არისო.

««სოვრემენნიე იზვესტია», მსჯელობდა რა ამასწინათ ახალ, ჩვენში რეფორმის შემდეგ ჩამოყალიბებულ, ეკონომიურ კლასზე, ასე კარგად ახასიათებ და მას: «თავმდაბალი და წვერმოშვებული, გაპოხილი ჩექმებით, ძველი დროის მილიონერი, რომელიც დაბალი პოლიციელის წინაშე ქედმოხრილი დადიოდა, სწრაფად გადაიქცა ევროპულად თამამ, თითქმის მოურიდებელ და ქედმაღალ ანტრეპრენიორად, რომელიც ზოგჯერ ფრიად თვალსაჩინო ორდენითა და მაღალი ხარისხითაა დამშვენებული. როცა აკვირდები ამ მოულოდნელად ამაღლებულ ხალხს, გაოცებული ამჩნევ, რომ ამ დღევანდელი დღის მნათობთა უმრავლესობას შეადგენენ გუშინდელი მიკიტნები, მოიჯარეები, ნოქრები და სხვ. ახლად მოსულებმა გამოაცოცხლეს ქალაქის ცხოვრება, მაგრამ ვერ გააუმჯობესეს ის. მათ შეიტანეს ქალაქში მოუსვენარი მოძრაობა და ცნებათა საოცარი არევ-დარევა. ბრუნვათა გაძლიერებამ, მოთხოვნილებამ კაპიტალზე განავითარა საწარმოთა გაფაციცებით დაარსება, რაც გაცხარებულ თამაშად იქცა. უცბად და მოულოდნელად მოპოვებულმა უამრავმა ქონებამ შეძენის მადა მოუთმენლობის უმაღლეს წერტილამდე აიყვანა» და სხვ. ...

«უეჭველია, რომ ასეთი ადამიანები უაღრესად დამღუპველ გავლენას ახდენენ ხალხის ზნეობაზე [აი თურმე რაშია უბედურება: ზნეობის წარყვნა და სრულიადაც არა კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობა! კ. ტ.], და თუ ეჭვს არ შევიტანთ იმ ფაქტში, რომ ქალაქელი მუშები სოფლელ მუშებზე უფრო გარყვნილი არიან, მაშინ, რა თქმა უნდა, არც იმაში უნდა შევიტანოთ ეჭვი, რომ ეს იმაზეა დამოკიდებული, რომ აქ მათ გაცილე-

ბით მეტად ახვევიათ გარშემო ამგვარი ადამიანები, სუნთქავენ მათი ჰაერით და ცხოვრობენ მათ მიერ შექმნილი ცხოვრებით».

ეს ცხადი დადასტურებაა ბ-ნ სტრუვეს აზრისა ნაროდნიკობის რეაქციულობის შესახებ. ქალაქელი მუშების «გარყვნილება» აშინებს წვრილ ბურჟუას, რომელიც ამჯობინებს «ოჯახურ კერას» (რძალთან კავშირითა და კეტით), «ბინადრობას» (დაბეჩავებითა და ველურობით) და ის კი არ ესმის, რომ «ცხენად ქცეული» ადამიანის გაღვიძებას, რასაც ისეთი გიგანტური, მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვს, რომ მისთვის ყოველივე მსხვერპლი კანონიერია, — არ შეუძლია მძვინვარე ფორმები არ მიიღოს საერთოდ კაპიტალისტურს და განსაკუთრებით რუსეთის პირობებში.

«თუ რუს მემამულეს ველურობა ახასიათებდა, და საკმაო იყო მისი ოდნავ გადაფხეკა, რომ მასში თათარი დაგენახა, — რუს ბურჟუას გადაფხეკაც არ სჭირია. თუ ძველმა რუსმა ვაჭრებმა წყვდიადით მოცული სამეფო შეჰქმნეს, — ახლა ისინი ახალ ბურჟუაზიასთან ერთად ისეთ წყვდიადს შეჰქმნიან, რომელშიც ჩაიღუპება ყოველი აზრი, ყოველი ადამიანური გრძნობა».

ავტორი სასტიკად ცდება. აქ უნდა იყოს ნამყო და არა მყობადი დრო, უნდა ყოფილიყო მაშინაც, 70-იან წლებში.

«ახალ დამპყრობელთა ხროვა ყოველ კუთხეს მოედო, და არსად და არავინ მათ წინააღმდეგობას არ უწევს. მემამულეები მათ მფარველობენ და სიხარულით ეგებებიან, ერობის წარმომადგენელნი დიდ საზღვევ პრემიებს აძლევენ, სახალხო მასწავლებლები სადავიდარაბო საჩივრებს უწერენ, სამღვდელოება მათთან სადარბაზოდ დაიარება, ხოლო სოფლის მწერლები შეელიან იმაში, რომ მდაბიო ხალხი ქსელში გააბან».

სავსებით სწორი დახასიათებაა! «არათუ არავინ მათ წინააღმდეგობას არ უწევს», არამედ «საზოგადოების» და «სახელმწიფოს» ყველა წარმომადგენელი, — რომელნიც ავტორმა ესარის ახლა სანიმუშოდ ჩამოსთვალა, — ეხმარებიან კიდეც. ამიტომ — თავისებური ლოგიკაა! — საქმის გამოსასწორებლად საჭიროა ვურჩიოთ სხვა გზა აირჩიონ, ვურჩიოთ სწორედ «საზოგადოებასა» და «სახელმწიფოს».

«მაინც, რა ზომების მიღებაა საჭირო ამგვარ ადამიანთა წინააღმდეგ?»

...«მოლოდინი იმისა, რომ ექსპლოატატორები გონებრივად განვითარდებიან და საზოგადოებრივი აზრი გაუმჯობესდება, — შეუძლებელია როგორც სამართლიანობის თვალსაზრისით, ისე იმ ზნეობრივი და პოლიტიკური თვალსაზრისით, რომელზედაც სახელმწიფო უნდა დადგეს».

ხომ ხედავთ: სახელმწიფო უნდა დადგეს «ზნეობრივ და პოლიტიკურ თვალსაზრისზე»! ეს კი ცარიელი სიტყვების რახარუხია. განა «სახელმწიფოს» ზემოჩამოთვლილი წარმომადგენლები და აგენტები (სოფლის მწერლებით დაწყებული და ზევით) არა დგანან უკვე «პოლიტიკურ» [შეად. ზემოთ: «ბევრი სიხარულს განიცდის... მათ სთვლიან ხალხიდან გამოსულ ყველაზე უფრო პროგრესულ ელემენტებად, მათში ხედავენ მშობლიური ცივილიზაციის პირდაპირსა და ბუნებრივ ნაბიჯს»] და «ზნეობრივ» [შეად. იქვე: «ჭკუა, ენერგია, თავგზიანობა»] თვალსაზრისზე? რაღად ჩქმალავთ ზნეობრივი და პოლიტიკური იდეების გათიშვის ფაქტს, — იდეების, რომლებიც იმდენადვე მტრულნი არიან, როგორც ცხოვრებაში უეჭველად მტრულია «ახალი ჯეჯილი» — იმათ მიმართ, «ვისაც უბრძანებს ბურჟუაზია სამუშაოზე წასვლას»? რად აფუჩეჩებთ ამ იდეების ბრძოლას, რომელიც მხოლოდ საზოგადოებრივ კლასთა ბრძოლის ზედნაშენია?

ყოველივე ეს წვრილბურჟუაზიული თვალსაზრისის ბუნებრივი და აუცილებელი შედეგია. წვრილი მწარმოებელი ძალზე შევიწროებულია თანამედროვე წესებით, მაგრამ ის განზე დგას პირდაპირ, საესებით გაშიშვლებულ წინააღმდეგობათაგან, ეშინია მათი და თავს ინუგეშებს გულუბრყვილო-რეაქციული ოცნებით, თითქოს «სახელმწიფო უნდა დადგეს ზნეობრივ თვალსაზრისზე», ამასთან სწორედ იმ ზნეობის თვალსაზრისზე, რომელიც წვრილ მწარმოებელს მოსწონს.

არა, თქვენ მართალი არა ხართ. სახელმწიფო, რომელსაც თქვენ მიმართავთ, — თანამედროვე, არსებული სახელმწიფო უ ნ დ ა დადგეს იმ ზნეობის თვალსაზრისზე, რომელიც მაღალ ბურჟუაზიას მოსწონს, უ ნ დ ა დადგეს იმიტომ, რომ ასეთია სოციალური ძალის განაწილება საზოგადოების არსებულ კლასთა შორის.

თქვენ აღშფოთებული ხართ. თქვენ იწყებთ ყვირილს იმაზე, რომ მარქსისტი, როცა ამ «მართებულობას», ამ აუცილებლობას აღიარებს, ბურჟუაზიას იცავსო.

ტყუილია. თქვენ გრძნობთ, რომ ფაქტი თქვენს წინააღმდეგ მეტყველებს, და ამიტომ თვალთმაქცობთ: ბურჟუების დაცვის სურვილს აწერთ იმას, ვინც ბურჟუაზიის ბატონობის ფ ა ქ ტ ზ ე მითითებით უარჰყოფს თქვენს მეშჩანურ ოცნებას უბურჟუაზიოდ გზის არჩევის შესახებ; — ვინც ბურჟუაზიის წინააღმდეგ მიმართული თქვენი წვრილმანი, უმნიშვნელო ზომების ვარგისობას უარჰყოფს იმაზე მითითებით, რომ ბურჟუაზიას ღრმად აქვს ფესვები გადგმული საზოგადოების ეკონომიურ სტრუქტურაში, რომ სწარმოებს კლასთა ეკონომიური ბრძოლა, რომელიც «საზოგადოების» და «სახელმწიფოს» საძირკველშია ჩატანებული; — ვინც მშრომელი კლასის იდეოლოგებისაგან მოითხოვს ყოველივე კავშირის გაწყვეტას ამ ელემენტებთან და სამსახურის გაწევას მარტოოდენ იმათთვის, ვინც ბურჟუაზიული საზოგადოების «ცხოვრებისაგან დიფერენცირებულია».

«ჩვენ, რა თქმა უნდა, ლიტერატურის გავლენა არ მიგვაჩნია მთლად უძლურად, მაგრამ ამისთვის მას: ჯერ-ერთი, უკეთ უნდა ესმოდეს თავისი დანიშნულება და არ უნდა სჯერდებოდეს კულაკობის მხოლოდ (sic!!!) აღზრდას, არამედ საზოგადოებრივ აზრსაც უნდა აღვიძებდეს».

აი ეს გახლავთ წმინდა წყლის petit bourgeois! * თუ ლიტერატურა კულაკობის აღზრდას მისდევს, ეს იმიტომ, რომ მას ცუდად ესმის თავისი დანიშნულებაო!! და ამ ვაჟბატონებს კიდევ უკვირთ, როცა მათ გულუბრყვილოებს უწოდებენ, როცა მათზე ამბობენ — რომანტიკოსები არიანო!

პირიქით, პატივცემულო ბ-ნო ნაროდნიკო: «კულაკობა» ** ეწევა ლიტერატურის აღზრდას — იგი აწვდის მას იდეებს (ჭკუის, ენერგიის, თავგზიანობის შესახებ, მშობლიური ცივილიზაციის ბუნებრივი ნაბიჯის შესახებ), იგი აძლევს მას სახსარს. თქვენი მიმართვა ლიტერატურისადმი ისევე სასაცილოა, როგორც

* — წვრილი ბურჟუა. რ ე დ.

** ეს მეტად ვიწრო სიტყვაა. საჭირო იყო უფრო ზუსტად და გარკვევით თქმა: ბურჟუაზია.

სასაცილო იქნებოდა ის, რომ ვინმეს პირისპირ მდგომი მტრების ორი არმიის წინაშე მოწინააღმდეგე ჯარის ფელდმარშლის ადიუტანტისათვის მიემართა უმორჩილესი თხოვნით: «უფრო ერთსულოვნად იმოქმედეთო». სავსებით იგივეა.

ამგვარივეა სურვილი — «საზოგადოებრივი აზრის გაღვიძებისა». — იმ საზოგადოების აზრისა, რომელიც «იდეალებს ნასადილევის სიმშვიდით დაეძებს»? ეს არის ბბ. ნაროდნიკების ჩვეულებრივი საქმიანობა, რომელსაც ისინი ასეთი ბრწყინვალე წარმატებით მისდევენ «ათი წლის, ოცი წლის, ოცდაათი და მეტი წლის განმავლობაში».

ეცადეთ კვლავ, ბატონებო! ნასადილევის ძილით დამტკბარი საზოგადოება ზოგჯერ ღმუის — ალბათ, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი მოემზადა ერთსულოვნად იმოქმედოს კულაკობის წინააღმდეგ. ერთხელ კიდევ მოელაპარაკეთ მას. Allez toujours! *

...«ხოლო, მეორე, მას უნდა ჰქონდეს სიტყვის მეტი თავისუფლება და უფრო ადვილად უნდა შეეძლოს ხალხთან მისვლა».

კარგი სურვილია. «საზოგადოება» თანაუგრძნობს ამ «იდეალს». მაგრამ რადგან იგი ამ იდეალსაც ნასადილევის სიმშვიდით «დაეძებს» და რადგან მას ყველაზე მეტად ამ სიმშვიდის დარღვევისა ეშინია, ამიტომ... ამიტომ იგი ჩქარობს კიდეც ძალიან ნელა, წინ მიდის ისე ბრძნულად, რომ წლითი-წლობით უფრო და უფრო უკან რჩება. ბბ. ნაროდნიკები ფიქრობენ, რომ ეს შემთხვევითობაა, რომ ამ წუთში ნასადილევის ძილი გათავდება და ნამდვილი პროგრესი დაიწყება. ელოდეთ!

«ჩვენ სწორედ ასევე სავსებით ამაოდ არ მიგვაჩნია აღზრდისა და განათლების გავლენა, მაგრამ ვფიქრობთ, უპირველეს ყოვლისა: 1) რომ განათლება უნდა მიეცეს ყველას და თვითეულს, და არა მარტო განსაკუთრებულ პიროვნებებს; არ უნდა ხდებოდეს მათი საერთო წრიდან გამოყოფა და კულაკებად გადაქცევა»...

«ყველას და თვითეულს»... — სწორედ ეს სურთ მარქსისტებს. მაგრამ ისინი ფიქრობენ, რომ ამის მიღწევა შეუძლებელია არსებული საზოგადოებრივ-ეკონომიური ურთიერთობის ნიადაგზე,

* — განაგრძეთ! განაგრძეთ! რ ე დ.

იმიტომ რომ უფასო და სავალდებულო სწავლების დროსაც კი «განათლებას» ფული სჭირია, ფული კი მხოლოდ «გამოსულებს» მოეპოვებათ. ისინი ფიქრობენ, რომ აქაც, მაშასადამე, «საზოგადოებრივ კლასთა სასტიკი ბრძოლის» გარეშე ხსნა არ არის.

...«2) რომ სახალხო სკოლის კარი ღია უნდა იყოს არა მარტო გადამდგარი მედავითნეებისა, მოხელეებისა და სხვადასხვა ლოთიბაშებისათვის, არამედ მართლაც წესიერ ადამიანთათვის და ხალხის გულწრფელად მოყვარულთათვის».

გულის ამაჩუყებელია! მაგრამ ისინიც ხომ, ვინც «ჭკუას, თავგზიანობასა და ენერგიას» «ხალხიდან გამოსულებში» ხედავს,—ირწმუნებიან (და ზოგჯერ გულწრფელადაც), რომ «ხალხი უყვართ», მათში, ალბათ, ბევრი «მართლაც წესიერი» ადამიანია. ვინღა უნდა განსაჯოს? კრიტიკულად მოაზროვნე და ზნეობრივად განვითარებულმა პიროვნებებმა? მაგრამ განა თვითონ ავტორმა არა სთქვა, რომ ზიზღით შეუძლებელია ამ გამოსულებზე იმოქმედოო? *

ჩვენ, დასასრულ, კვლავ ვდგევართ ნაროდნიკობის იმავე ძირითადი თვისების წინაშე, რომელიც თავში აღვნიშნეთ; ეს თვისებაა ფაქტებისათვის ზურგის შექცევა.

როდესაც ნაროდნიკი ფაქტებს ასწერს, — ყოველთვის თვითონვე იძულებული ხდება აღიაროს, რომ სინამდვილე კაპიტალს ეკუთვნის, რომ ნამდვილი ჩვენი ევოლუცია — კაპიტალისტურია, რომ ძალა ბურჟუაზიის ხელშია. ეს ახლა აღიარა, მაგ., ჩვენმა ავტორმაც, რომელმაც აღნიშნა, რომ ჩვენში შეიქმნა «მეშჩანური კულტურა», რომ ხალხს სამუშაოზე წასვლას უბრძანებს ბურჟუაზია, რომ ბურჟუაზიული საზოგადოება მხოლოდ სტომაქის პროცესებით და ნასადილევის ძილით არის გართული, რომ «მეშჩანობამ» წარმოშვა ბურჟუაზიული მეცნიერება, ბურჟუაზიული ზნეობა, პოლიტიკის ბურჟუაზიული სოფიზმები, ბურჟუაზიული ლიტერატურაც კი.

---

* გვ. 151: «...იქნებ მათ უფრო ადრე შეეზიზღათ (კარგად დაიხსომეთ ეს «უფრო ადრე») ისინი, ვისაც შეუძლია მათი შეზიზღება?»

და მიუხედავად ამისა მთელი ნაროდნიკული მსჯელობა ყოველთვის ამის საწინააღმდეგო მოსაზრებაზეა დამყარებული: რომ ძალა ბურჟუაზიის მხარეზე კი არა, «ხალხის» მხარეზეა. ნაროდნიკი ლაყბობს გზის არჩევაზე (და ამავე დროს აღიარებს ნამდვილი გზის კაპიტალისტურ ხასიათს), შრომის (რომელიც ბურჟუაზიის «გამგებლობაშია») განსაზოგადოებაზე, იმაზე, რომ სახელმწიფო ზნეობრივ და პოლიტიკურ თვალსაზრისზე უნდა დადგეს, რომ ხალხს ჭკუა სწორედ ნაროდნიკებმა უნდა ასწავლონ და სხვ., თითქოს ძალა უკვე მშრომელებს ან მათს იდეოლოგებს ეპყრათ, და ისღა დაგვრჩენოდეს, რომ მივუთითოთ ამ ძალის გამოყენების «მახლობელი», «მიზანშეწონილი» და სხვ. ზომები.

ყოველივე ეს ერთიანი გულისამრევი სიცრუეა. შეიძლებოდა კიდევ ასეთი ილუზიებისათვის raison d'être* წარმოგვედგინა ნახევარი საუკუნის წინათ, იმ დროს, როდესაც პრუსიელი რეგირუნგსრატი[81] რუსეთში «თემის» აღმოჩენას შეუდგა, — მაგრამ დღეს, «თავისუფალი» შრომის 30 წელზე მეტი ხნის ისტორიის შემდეგ, ეს ან დაცინვაა, ანდა ფარისევლობა და მოთაფლული პირმოთნეობა.

მარქსიზმის ძირითადი თეორიული ამოცანა ამ კეთილგანზრახული და გულუბრყვილო სიცრუის დარღვევაში მდგომარეობს. იმათი უპირველესი მოვალეობა, ვისაც სურს მოძებნოს «გზები კაცობრიობის ბედნიერებისაკენ», არის არა თავისი თავის გაბიაბრუება, არამედ იმის გაბედულად და გულახდილად აღიარება, რაც არის.

და როდესაც მშრომელი კლასის იდეოლოგები გაიგებენ და შეიგრძნობენ ამას, — მაშინ ისინი აღიარებენ, რომ «იდეალებს» უნდა შეადგენდეს არა უკეთესი და მახლობელი გზების გამოძებნა, არამედ «საზოგადოებრივ კლასთა» იმ «სასტიკი ბრძოლის» ამოცანისა და მიზნების ჩამოყალიბება, რომელიც სწარმოებს ჩვენს თვალწინ ჩვენს კაპიტალისტურ საზოგადოებაში; რომ საკუთარ მისწრაფებათა წარმატება განიზომება არა

* — საფუძველი. რედ.

რჩევათა გამომუშავებით «საზოგადოებისა» და «სახელმწიფოსათვის», არამედ საზოგადოების განსაზღვრულ კლასში ამ იდეალების გავრცელების ოდენობით; რომ თვით უდიდესი იდეალები გროშად არ ღირს იმ დრომდე, ვიდრე განუყრელად არ შეგიერთებია ისინი თვით ეკონომიური ბრძოლის მონაწილეთა ინტერესებთან, არ შეგიერთებია ამა თუ იმ კლასის იმ «ვიწრო» და წვრილმან ყოველდღიურ საკითხებთან, როგორიცაა «შრომის სამართლიანი გასამრჯელოს» საკითხი, რომელთაც ასეთი ქედმაღლური ათვალწუნებით უყურებს მრავლისაღმთქმელი ნაროდნიკი.

...«მაგრამ ეს ცოტაა; გონებრივი განვითარება, როგორც ამას, სამწუხაროდ, ყოველ ნაბიჯზე ვხედავთ, კიდევ არ უზრუნველჰყოფს ადამიანს მტაცებლური მიდრეკილებისა და ინსტინქტებისაგან. ამიტომ დაუყოვნებლივ მიღებულ უნდა იქნას ზომები სოფლის დასაცავად მტაცებლობისაგან, უპირველეს ყოვლისა, მიღებულ უნდა იქნას ზომები ჩვენი თემის, როგორც საერთო ცხოვრების ისეთი ფორმის დასაცავად, რომელიც ხელს უწყობს ადამიანის არასრულყოფილ ზნეობრივ ბუნებას. თემი ერთხელ და სამუდამოდ უზრუნველყოფილ უნდა იქნას. მაგრამ ესეც ცოტაა: თემს არ შეუძლია არსებობა დღევანდელ მის ეკონომიურ პირობებში და მძიმე გადასახადების გამო, ამიტომ საჭიროა ზომების მიღება გლეხთა მიწათმფლობელობის გასაფართოებლად, გადასახადთა შესამცირებლად, სახალხო მრეწველობის მოსაწყობად.

აი ის საშუალებები კულაკობის წინააღმდეგ, რომლებზედაც მთელი რიგიანი ლიტერატურა უნდა შეთანხმდეს და დაიცვას ისინი. ეს საშუალებები, რა თქმა უნდა, ახალი არ არის; მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს ერთადერთი თავისდაგვარი საშუალებებია, რაშიც ჯერ კიდევ ყველა არ არის დარწმუნებული». (დასასრული.)

აი ამ მრავლისაღმთქმელი ნაროდნიკის პროგრამაც! ფაქტების აღწერილობიდან დავინახეთ, რომ ყველგან ეკონომიურ ინტერესთა სრული წინააღმდეგობა მჟღავნდება, — «ყველგან» არა მარტო იმ აზრით, რომ ქალაქადაც და სოფლადაც, თემის შიგნითაც და მის გარეთაც, საფაბრიკო-საქარხნო და «სახალხო» მრეწველობაშიც, არამედ სამეურნეო მოვლენათა გარეთაც — ლიტერატურაშიც და «საზოგადოებაშიც», ზნეობრივ, პოლიტიკურ, იურიდიულ იდეათა სფეროში და სხვ. ჩვენი რაინდი-Kleinbürger-ი კი მწარე ცრემლს ღვრის და გაჰკივის: «დაუ-

ყოვნებლივ მიღებულ იქნას ზომები სოფლის დასაცავად». აქ მთელი სიცხადით მჟღავნდება საქმის გაგების მეშჩანური ზერელობა და კომპრომისებზე წასვლის მზადყოფნა. თვით ეს სოფელი, როგორც დავინახეთ, წარმოადგენს გათიშვასა და ბრძოლას, წარმოადგენს მოწინააღმდეგე ინტერესთა წყობილებას, — მაგრამ ნაროდნიკი ბოროტების ფესვებს ხედავს არა თვით ამ წყობილებაში, არამედ მის კერძო დეფექტებში, თავის პროგრამას აშენებს არა იმაზე, რომ არსებულ ბრძოლას იდეურობა მისცეს, არამედ იმაზე, რომ «დაიცვას» სოფელი შემთხვევითი, უკანონო, გარედან მოვლენილი «მტაცებლებისაგან»! მერე, ვინ უნდა მიიღოს, დიდად პატივცემულო რომანტიკოსო, ზომები დასაცავად? იმ «საზოგადოებამ» ხომ არა, რომელიც სჯერდება სტომაქის პროცესებს სწორედ იმათ ხარჯზე, ვინც დაცულ უნდა იქნას? ან იქნებ ერობის, თემის და სხვა აგენტებმა, რომელნიც ზედმეტი ღირებულების წილით ცხოვრობენ და ამიტომ, როგორც ახლა დავინახეთ, წინააღმდეგობას კი არ უწევენ, არამედ დახმარებას?

ნაროდნიკს ჰგონია, რომ ეს — სამწუხარო შემთხვევაა, «თავისი დანიშნულების ცუდად გაგების» შედეგია და სხვა არაფერი; რომ საკმაოა მოვუწოდოთ «შეთანხმებისა და ერთსულოვანი მოქმედებისაკენ», რომ ყველა ამგვარი ელემენტი «შემცდარ გზას ჩამოშორდეს». მას არ სურს დაინახოს, რომ თუ ეკონომიურ ურთიერთობაში ჩამოყალიბდა Plusmacherei-ს სისტემა, ჩამოყალიბდა ისეთი წესები, რომ სახსარი და დრო განათლების მისაღებად შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ «ხალხიდან გამოსულს», «მასა» კი უნდა «დარჩეს უვიცი და სხვისთვის იმუშაოს», — ამის პირდაპირი და უშუალო შედეგი ისაა, რომ ამ «საზოგადოებაში» გზას იკვლევენ მხოლოდ პირველთა წარმომადგენელნი, რომ მხოლოდ ამავე «საზოგადოებასა» და «ხალხიდან გამოსულებს» შეუძლიათ მოგვცენ სოფლის მწერალნი, ერობის აგენტები და სხვ., რომლებიც ნაროდნიკს გულუბრყვილოდ რაღაც ეკონომიურ ურთიერთობათა და კლასთა მ ა ღ ლ ა მდგომ, მათ ზ ე მ ო თ მდგომ ადამიანებად მიაჩნია.

ამიტომაც მის მოწოდებას: «დაიცავით» — მისამართი არეული აქვს.

ნაროდნიკი გულს იმშვიდებს ან მეშჩანური პალიატივებით (ბრძოლა კულაკობასთან — იხ. ზემოთ შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობებზე, კრედიტზე, კანონმდებლობაზე სიფხიზლის, შრომისმოყვარეობისა და განათლების წასაქეზებლად; გლეხთა მიწათმფლობელობის გაფართოება — იხ. ზემოთ საადგილმამულო კრედიტსა და მიწის ყიდვაზე; გადასახადთა შემცირება — იხ. ზემოთ საშემოსავლო გადასახადზე), ან ინსტიტუტელის წარმტაცი ოცნებით — «უნდა მოეწყოს სახალხო მრეწველობა».

განა იგი უკვე მოწყობილი არ არის? განა მთელმა ამ ზემოაწერილმა ახალგაზრდა ბურჟუაზიამ არ მოაწყო უკვე ეს «სახალხო მრეწველობა» თავისებურად, ბურჟუაზიულად? სხვაგვარად როგორ შეეძლო მას «ყოველი სოფლის ხელში ჩაჭერა»? როგორ შეეძლო მას «ებრძანებინა ხალხისთვის სამუშაოზე წასვლა» და ზელირებულების მითვისება?

ნაროდნიკის ზნეობა უაღრესად და უდიდესად აღშფოთებულია. უზნეობაა — ყვირის იგი — კაპიტალიზმი აღიარო «ორგანიზაციად», როდესაც იგი აგებულია წარმოების ანარქიასა, კრიზისებსა, მასების მუდმივ, ნორმალურ და გაღრმავების გზაზე მდგომ უმუშევრობაზე, მშრომელთა მდგომარეობის უზომო გაუარესებაზე.

პირიქით. უზნეობაა ჭეშმარიტების შელამაზება, იმ წესების რაღაც შემთხვევით, უცაბედ მოვლენად დახატვა, რომელნიც მთელს რეფორმისშემდგომი დროის რუსეთს ახასიათებენ. რომ ყოველ კაპიტალისტურ ერს ტექნიკური პროგრესი და შრომის განსაზოგადოება მწარმოებლის დაშავებისა და დასახიჩრების საფასურით მოაქვს, — ეს დიდი ხანია უკვე დადგენილია. მაგრამ ამ ფ ა ქ ტ ი ს გამოყენება «საზოგადოებასთან» მორალურ თემაზე საუბრების მასალად, თვალის დახუჭვა გაჩაღებულ ბრძოლაზე და ნასადილევის სიმშვიდით ბუტბუტი: «დაიცავით», «უზრუნველჰყავით», «მოაწყეთ» — მოასწავებს იმას, რომ რომანტიკოსი იყო, გულუბრყვილო, რეაქციული რომანტიკოსი.

მკითხველს, ალბათ, ეგონება, რომ ამ კომენტარს არავითარი კავშირი არა აქვს ბ-ნ სტრუვეს წიგნის გარჩევასთან. ჩემი აზრით კი აქ მხოლოდ გარეგნული კავშირის უქონლობაა.

ბ-ნ სტრუვეს წიგნს სრულიად არ აღმოუჩენია რუსული მარქსიზმი. მან მხოლოდ პირველად გამოიტანა ჩვენს პრესაში ის თეორიები, რომლებიც უფრო ადრე იყო ჩამოყალიბებული და გადმოცემული*. ამ გამოტანას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წინ უძღოდა მაქსიზმის გააფთრებული კრიტიკა ლიბერალურ-ნაროდნიკულ პრესაში, — კრიტიკა, რომელმაც არივ-დარია და დაამახინჯა საქმის ვითარება.

ამ კრიტიკაზე პასუხის გაუცემლად შეუძლებელი იქნებოდა, ჯერ-ერთი, საკითხის თანამედროვე მდგომარეობასთან მიდგომა; მეორე, შეუძლებელი იქნებოდა ბ-ნ სტრუვეს წიგნის, მისი ხასიათისა და დანიშნულების გაგება.

ძველი ნაროდნიკული სტატია აღებულ იქნა პასუხის გასაცემად იმიტომ, რომ საჭირო იყო პრინციპული სტატია და, ამას გარდა, ისეთი, სადაც დაცულია ძველი რუსული ნაროდნიკობის ზოგიერთი მცნება მაინც, რომლებიც მარქსიზმისათვის ძვირფასნი არიან.

ამ კომენტარით ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა ლიბერალურ-ნაროდნიკული პოლემიკის გაცვეთილი ხერხების ნაძალადეობა და უაზრობა. მსჯელობა იმ თემაზე, რომ მარქსიზმი დაკავშირებულია ჰეგელიანობასთან**, რომ მას სწამს ტრიადები, აბსტრაქტული დოგმები და სქემები, რომელნიც ფაქტებით შემოწმებას არ საჭიროებენ, რომ მას სავალდებულოდ მიაჩნია ყველა ქვეყნისთვის კაპიტალიზმის ფაზის გავლა და სხვ.,— ცარიელი ლაყბობა გამოდგა.

მარქსიზმი თავის კრიტერიუმს ხედავს საზოგადოებრივ კლასთა და ეკონომიურ ინტერესთა ჩვენს თვალწინ მიმდი-

---

* შეად. ვ. ვ. «თეორიული ეკონომიის ნარკვევები», სპბ., 1895 გვ. 257—258 [85].

** მე, რა თქმა უნდა, ვლაპარაკობ მარქსიზმის არა ისტორიულ წარმოშობაზე, არამედ მის თანამედროვე შინაარსზე.

ნარე ბრძოლის ჩამოყალიბებასა და თეორიულ განმარტებაში.

მარქსიზმი რუსეთის ისტორიისა და სინამდვილის ფაქტებს ემყარება მხოლოდ და სხვას არაფერს; მარქსიზმიც მშრომელთა კლასის იდეოლოგიას წარმოადგენს, მაგრამ ის სულ სხვანაირად განმარტავს რუსეთის კაპიტალიზმის ზრდისა და გამარჯვებათა საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებს, მას სულ სხვანაირად ესმის ის ამოცანები, რომელთაც ჩვენი სინამდვილე უშუალო მწარმოებლების იდეოლოგებს უყენებს. ამიტომ, როცა მარქსისტი ლაპარაკობს რუსეთის კაპიტალიზმის აუცილებლობასა, გარდუვალობასა და პროგრესულობაზე, — იგი გამოდის საყოველთაოდ დადგენილი ფაქტებიდან, რომლებიც ყოველთვის არ მოგვყავს სწორედ იმიტომ, რომ ისინი საყოველთაოდ დადგენილი არიან, რომ ისინი ახალ რამეს არ წარმოადგენენ; მარქსისტი სხვანაირად ხსნის იმას, რაც ნაროდნიკულ ლიტერატურაში მრავალჯერაა ნაამბობი, — და თუ ნაროდნიკი ამის პასუხად გაჰკივის — მარქსისტი ფაქტებს ანგარიშს არ უწევსო, მაშინ მის სამხილებლად საკმაოა უბრალო დამოწმება 70-იანი წლების რომელიმე პრინციპული ნაროდნიკული სტატიისა.

გადავიდეთ ახლა ბ-ნ სტრუვეს წიგნის გარჩევაზე.

თავი II

ნაროდნიკული სოციოლოგიის კრიტიკა

ნაროდნიკობის «დედაარსს», მის «ძირითად იდეას» ავტორი ხედავს «რუსეთის თვითმყოფი ეკონომიური განვითარების თეორიაში». ამ თეორიას, მისი სიტყვით, აქვს «ორი ძირითადი წყარო: 1) განსაზღვრული მოძღვრება პიროვნების როლის შესახებ ისტორიულ პროცესში და 2) უშუალო რწმენა, რომ რუს ხალხს სპეციფიკური ნაციონალური ხასიათი, სული და განსაკუთრებული ისტორიული ბედი აქვს» (2). ამ ადგილის შენიშვნაში ავტორი აღნიშნავს, რომ «ნაროდნიკობისათვის დამახასიათებელია სავსებით გარკვეული სოციალური იდეა-

ლები»*, და დასძენს, რომ ნაროდნიკების ეკონომიური მსოფლმხედველობა ქვემოთ მაქვს გადმოცემულიო.

ნაროდნიკობის დედაარსის ამგვარ დახასიათებას, ვგონებ, ერთგვარი შესწორება ესაჭიროება. ეს დახასიათება მეტად განყენებული, იდეალისტურია; იგი მიგვითითებს ნაროდნიკობის გაბატონებულ თეორიულ იდეებზე, მაგრამ არ გვიჩვენებს არც მის «დედაარსს» და არც მის «წყაროს». სრულიად გაურკვეველი რჩება, რატომ მოხდა აღნიშნული იდეალების შეერთება თვითმყოფი განვითარების რწმენასთან, განსაკუთრებულ მოძღვრებასთან პიროვნების როლის შესახებ, რატომ გადაიქცნენ ეს თეორიები ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების «ყველაზე გავლენიან» მიმდინარეობად. თუ ავტორი «ნაროდნიკობის სოციოლოგიურ იდეებზე» (პირველი თავის სათაური) ლაპარაკის დროს ვერ დაკმაყოფილდა წმინდა სოციოლოგიური საკითხებით (მეთოდი სოციოლოგიაში) და შეეხო ნაროდნიკების შეხედულებებსაც რუსეთის ეკონომიურ სინამდვილეზე, მას უნდა ეჩვენებინა ამ შეხედულებათა დედაარსიც. აღნიშნულ შენიშვნაში კი ეს მხოლოდ სანახევროდ არის შესრულებული. ნაროდნიკობის დედაარსს შეადგენს მწარმოებელთა ინტერესების წარმომადგენლობა წვრილი მწარმოებლის, წვრილი ბურჟუას თვალსაზრისით. ბ-მა სტრუვემ თავის გერმანულ სტატიაში ბ-ნ ნ. —ონის წიგნის შესახებ («Sozialpolitisches Centralblatt», 1893, № 1) ნაროდნიკობას «ნაციონალური სოციალიზმი» უწოდა («რუსსკოე ბოგატსტვო», 1893, № 12, გვ. 185). «ნაციონალურის» ნაცვლად საჭირო იყო თქმა «გლეხური» — ძველი რუსული ნაროდნიკობის მიმართ და «მეშჩანური» — თანამედროვე ნაროდნიკობის მიმართ. ნაროდნიკობის «წყაროს» შეადგენს წვრილ

* რა თქმა უნდა, გამოთქმა: «სავსებით გარკვეული იდეალები» არ შეიძლება სიტყვა-სიტყვით გავიგოთ, ე. ი. იმ აზრით, თითქოს ნაროდნიკებმა «სავსებით გარკვეულად» იციან, რა სურთ. ეს სრულებით არ იქნებოდა სწორი. «სავსებით გარკვეულ იდეალებად» უნდა ვიგულისხმოთ მხოლოდ უშუალო მწარმოებელთა იდეოლოგია, თუნდაც ეს იდეოლოგია უაღრესად ბუნდოვანი იყოს.

მწარმოებელთა კლასის სიჭარბე რეფორმისშემდგომი დროის კაპიტალისტურ რუსეთში.

საჭიროა ამ დახასიათების განმარტება. გამოთქმას «მეშჩანურს» მე ვხმარობ ამ სიტყვის არა ჩვეულებრივი, არამედ პოლიტიკურ-ეკონომიური მნიშვნელობით. წვრილი მწარმოებელი, რომელიც სასაქონლო მეურნეობის სისტემის დროს მეურნეობს, — აი ორი ნიშანი, რომლებიც შეადგენენ «წვრილი ბურჟუას», Kleinbürger-ის ან, რაც იგივეა, მეშჩანის ცნებას. ამრიგად, ამ ცნებას მიუდგება როგორც გლეხი, ისე შინამრეწველი, რომელთაც ნაროდნიკები მუდამ ერთმანეთს უტოლებდნენ — და სრულიად სამართლიანადაც, რადგან ორივე ისეთი მწარმოებლებია, რომელნიც ბაზრისათვის მუშაობენ, და მხოლოდ სასაქონლო მეურნეობის განვითარების დონით განირჩევიან. შემდეგ, მე განსხვავებას ვხედავ ძველსა* და თანამედროვე ნაროდნიკობას შორის იმ მოსაზრებით, რომ ძველი ნაროდნიკობა წარმოადგენდა რამდენადმე მწყობრ დოქტრინას, რომელიც ჩამოყალიბდა იმ ეპოქაში, როდესაც რუსეთში კაპიტალიზმი ჯერ კიდევ მეტად სუსტად იყო განვითარებული, როდესაც გლეხური მეურნეობის წვრილბურჟუაზიული ხასიათი ჯერ კიდევ სავსებით არ იყო გამომჟღავნებული, როდესაც დოქტრინის პრაქტიკული მხარე წმინდა უტოპიას წარმოადგენდა, როდესაც ნაროდნიკები სასტიკად გაურბოდნენ ლიბერალურ «საზოგადოებას» და «ხალხში მიდიოდნენ». ახლა კი ასე არ არის: რუსეთის განვითარების კაპიტალისტურ გზას უკვე აღარავინ უარჰყოფს, სოფლის დაშლა უდავო ფაქტია. ნაროდნიკობის მწყობრი დოქტრინიდან «თემისადმი» ბავშვური რწმენით ნაფლეთები-ღა დარჩა. პრაქტიკულად — უტოპიის ნაცვლად წამოყენებულია წვრილბურჟუაზიული «პროგრესების» სრულებითაც არა უტოპიური პროგრამა, და მხოლოდ მაღალფარდოვანი ფრაზები მოგვაგონებენ ამ უბადრუკი კომპრომისების ისტორიულ

* ძველ ნაროდნიკებად ვგულისხმობ არა იმათ, ვინც, მაგ., «ოტეჩესტვენნიე ზაპისკის» ხელმძღვანელობდა, არამედ იმათ, ვინც «ხალხში მიდიოდა».

კავშირს ოცნებასთან სამშობლოს საუკეთესო და თვითმყოფი გზების შესახებ. ნაცვლად ლიბერალური საზოგადოებისაგან გამიჯვნისა, ჩვენ ვხედავთ უაღრესად გულთბილ დაახლოებას მასთან. აი სწორედ ეს ცვლილება გვაიძულებს განვასხვაოთ გლეხობის იდეოლოგია წვრილი ბურჟუაზიის იდეოლოგიისაგან.

ეს შესწორება ნაროდნიკობის ნამდვილი შინაარსის შესახებ მით უფრო საჭიროდ უნდა ჩაითვალოს, რომ ბ-ნ სტრუვეს გადმოცემის აღნიშნული აბსტრაქტულობა — მისი ძირითადი ნაკლია; ეს — ერთი. მეორეც, «ზოგიერთი ძირითადი» დებულება იმ დოქტრინისა, რომლითაც ბ-ნი სტრუვე არ არის შებოჭილი, მოითხოვს სწორედ საზოგადოებრივი იდეების დაყვანას საზოგადოებრივ-ეკონომიურ ურთიერთობამდე.

და ჩვენ ახლა შევეცდებით ნათელვყოთ, რომ უამისოდ შეუძლებელია გაგება ნაროდნიკობის თვით წმინდა თეორიული იდეებისა, როგორიც არის, მაგ., მეთოდის საკითხი სოციოლოგიაში.

ბ-ნი სტრუვე აღნიშნავს, რომ ნაროდნიკული მოძღვრება სოციოლოგიაში განსაკუთრებული მეთოდის შესახებ ყველაზე უკეთ გადმოცემული აქვთ ბბ. მირტოვსა [86] და მიხაილოვსკის, და ამ მოძღვრებას ახასიათებს როგორც «სუბიექტურ იდეალიზმს»; ამის დასამტკიცებლად აღნიშნულ პირთა თხზულებებიდან მას მოჰყავს მთელი რიგი ადგილები, რომლებზედაც ღირს შეჩერება.

ორივე ავტორს ქვაკუთხედად მიაჩნიათ დებულება, რომ ისტორიას ჰქმნიდნენ «განმარტოებული მებრძოლი პიროვნებები». «პიროვნებები ჰქმნიან ისტორიას» (მირტოვი). კიდევ უფრო გარკვევით გადმოგვცემს ბ-ნი მიხაილოვსკი: «ისტორიის მოქმედად ხდება ცოცხალი პიროვნება მთელი თავისი ზრახვებითა და გრძნობებით — საკუთარი პასუხისმგებლობით. იგი, და არა რომელიმე მისტიკური ძალა, ისახავს ისტორიაში მიზნებს და ამოძრავებს მოვლენებს ამ მიზნებისაკენ იმ დაბრკოლებათა მწკრივის გადალახვით, რომელთაც უქმნიან მას ბუნებისა და ისტორიული პირობების სტიქიური ძალები» (8). ეს დებულება — რომ ისტორიას პიროვნებები ჰქმნიან — თეორიულად სრუ-

ლიად უშინაარსოა. მთელი ისტორია სწორედ პიროვნებათა მოქმედებათაგან შესდგება, და საზოგადოებრივი მეცნიერების ამოცანაა — ახსნას ეს მოქმედებანი, ასე რომ «მოვლენათა მსვლელობაში ჩარევის უფლებაზე» (ბ-ნ მიხაილოვსკის სიტყვები, მოყვანილი ბ-ნ სტრუვეს მიერ, გვ. 8) მითითება — ცარიელი ტავტოლოგიაა. განსაკუთრებით ცხადად ააშკარავებს ამას ბ-ნ მიხაილოვსკის უკანასკნელი ტირადა. ცოცხალი პიროვნება — მსჯელობს იგი — ამოძრავებს მოვლენებს იმ დაბრკოლებათა მწკრივის გადალახვით, რომელთაც უქმნიან მას ისტორიული პირობების სტიქიური ძალები. მერე რაში მდგომარეობს ეს «ისტორიული პირობები»? ავტორის ლოგიკით — ისევ და ისევ სხვა «ცოცხალ პიროვნებათა» მოქმედებაში. ხედავთ, ისტორიის რა ღრმა ფილოსოფიაა: ცოცხალი პიროვნება ამოძრავებს მოვლენებს იმ დაბრკოლებათა მწკრივის გადალახვით, რომელთაც სხვა ცოცხალი პიროვნებანი უქმნიან! და რატომ არის ეს, რომ ზოგიერთი ცოცხალი პიროვნების მოქმედებას სტიქიური ეწოდება, ხოლო სხვებზე ნათქვამია, რომ ისინი «მოვლენებს ამოძრავებენ» წინასწარ დასახული მიზნებისაკენ? ცხადია, უიმედო საქმედ უნდა მივიჩნიოთ აქ რაიმე თეორიული შინაარსის გამონახვა. საქმე კი იმაშია, რომ ის ისტორიული პირობები, რომელნიც ჩვენს სუბიექტივისტებს «თეორიისათვის» მასალას აძლევდნენ, წარმოადგენდნენ (როგორც ახლაც წარმოადგენენ) ანტაგონისტურ ურთიერთობას, წარმოშობდნენ მწარმოებლის ექსპროპრიაციას. სუბიექტივისტები ვერ ახერხებდნენ ამ ანტაგონისტური ურთიერთობის გაგებას, ვერ პოულობდნენ მ ა ს შ ი ვ ე ისეთ საზოგადოებრივ ელემენტებს, რომლებისადმი მიმხრობა ამ «განმარტოებულ პიროვნებებს» შესძლებოდათ, და კმაყოფილდებოდნენ ისეთი თეორიების შეთხზვით, რომელნიც «განმარტოებულ» პიროვნებებს ანუგეშებდნენ იმით, რომ ისტორიას «ცოცხალი პიროვნებები» ჰქმნიანო. განთქმული «სუბიექტური მეთოდი სოციოლოგიაში» გარდა კეთილი სურვილისა და ცუდი გაგებისა სრულებით არაფერს არ გამოხატავს. ამას აშკარად ადასტურებს ავტორის მიერ მოყვანილი შემდგომი მსჯელობა ბ-ნ მიხაილოვსკისა.

ევროპის ცხოვრება, — ამბობს ბ-ნი მიხაილოვსკი, — «ეწყობოდა ისევე უაზროდ და უზნეოდ, როგორც ბუნებაში მდინარე მიდის ან ხე იზრდება. მდინარე უმცირესი წინააღმდეგობის გეზით მიიმართება, წალეკავს, რის წალეკვაც შეუძლია, თუნდაც ეს ალმასის მადანი იყოს, გვერდს უვლის იმას, რის წალეკვაც არ შეუძლია, თუნდაც ეს ნეხვის გროვა იყოს. რაბები, ჯებირები, მისაშვები და გადასაგდები არხები ადამიანის გონებისა და გრძნობის ინიციატივით შენდება. ეს გონება და ეს გრძნობა, შეიძლება ითქვას, არ დასწრებიან (? ბ. ს.) თანამედროვე ეკონომიური წყობის წარმოშობას ევროპაში. ისინი ჩანასახ მდგომარეობაში იყვნენ, და მათი ზეგავლენა მოვლენათა ბუნებრივ, სტიქიურ მსვლელობაზე უმნიშვნელო იყო» (9).

ბ-ნი სტრუვე კითხვის ნიშანს სვამს, მაგრამ ვერ გაგვიგია, რატომ დაუსვა მან ეს ნიშანი ერთს და არა ყველა სიტყვას: იმდენად უშინაარსოა მთელი ეს ტირადა! მართლაც, რა სისულელეა, თითქოს კაპიტალიზმის წარმოშობას გონება და გრძნობა არ დასწრებოდეს! მაშ, რა არის კაპიტალიზმი, თუ არა ადამიანთა განსაზღვრული ურთიერთობა, ხოლო ისეთ ადამიანებს, რომელთაც გონება და გრძნობა არა ჰქონდეთ, ჩვენ ჯერ არ ვიცნობთ. და რა სიყალბეა იმის მტკიცება, თითქოს მაშინდელ «ცოცხალ პიროვნებათა» გონებისა და გრძნობის ზეგავლენა «საქმეთა ვითარებაზე» «უმნიშვნელო» იყო? სრულიად პირიქით. მაშინ ადამიანები საღი გონებითა და მტკიცე მეხსიერებით აგებდნენ მეტად ოსტატურ რაბებსა და ჯებირებს, რომელთა მეოხებითაც ურჩ გლეხს კაპიტალისტური ექსპლოატაციის კალაპოტში მიერეკებოდნენ; ისინი ჰქმნიდნენ პოლიტიკურ და ფინანსიურ ღონისძიებათა მეტად ეშმაკურ მისაშვებ არხებს, და ამ არხებით მიიმართებოდნენ კაპიტალისტური დაგროვება და კაპიტალისტური ექსპროპრიაცია, რომელნიც მარტოოდენ ეკონომიური კანონების მოქმედებით არ კმაყოფილდებოდნენ. ერთი სიტყვით, ბ-ნ მიხაილოვსკის ყველა ეს განცხადება ისე საშინლად უმართებულოა, რომ მარტო თეორიული შეცდომებით მათ ვერ ახსნი. მათი ახსნა სავსებით შეიძლება იმ მეშჩანური თვალსაზრისით, რომელზედაც ეს მწერალი დგას.

კაპიტალიზმმა უკვე სავსებით ცხადად გამოააშკარავა თავისი ტენდენციები, მან ბოლომდე განავითარა მისთვის ჩვეული ანტაგონიზმი, ინტერესთა წინააღმდეგობა უკვე გარკვეული ფორმების მიღებას იწყებს და თვით რუსეთის კანონმდებლობაშიც კი იხატება, — მაგრამ წვრილი მწარმოებელი ამ ბრძოლის გარეშე დგას. იგი თავისი მეტად პატარა მეურნეობით ჯერ კიდევ ძველ ბურჟუაზიულ საზოგადოებაზეა მიჯაჭვული და ამიტომ, კაპიტალისტური წყობილებით დაჩაგრული, ვერ მიმხვდარა თავისი ჩაგვრის ნამდვილ მიზეზებს და კვლავ ინუგეშებს თავს ილუზიებით — ყოველივე უბედურება იქიდან წარმოსდგება, რომ ადამიანთა გონება და გრძნობა ჯერ კიდევ «ჩანასახ მდგომარეობაში» იმყოფებაო.

«რა თქმა უნდა, — განაგრძობს ამ წვრილი ბურჟუას იდეოლოგი, — ადამიანები ყოველთვის ცდილობდნენ ასე თუ ისე გავლენა მოეხდინათ საქმეთა ვითარებაზე».

«საქმეთა ვითარება» კი გამოიხატება ადამიანთა მოქმედებასა და «გავლენაში» და სხვა არაფერში, ასე რომ ესეც ცარიელი ფრაზაა.

«მაგრამ ამასთან ისინი ხელმძღვანელობდნენ მეტად მცირე გამოცდილების მითითებებით და უაღრესად უხეში ინტერესებით; ამიტომ გასაგებია, რომ ამ ხელმძღვანელებს მეტისმეტად იშვიათად და ისიც შემთხვევით შეეძლოთ ეჩვენებინათ ის გზა, რომელსაც თანამედროვე მეცნიერება და თანამედროვე ზნეობრივი იდეები მიგვითითებენ» (9).

ეს არის მეშჩანური მორალი, რომელიც გმობს «ინტერესთა უხეშობას», რადგან არ იცის, როგორ დაუახლოოს თავისი «იდეალები» რომელიმე საარსებო ინტერესებს; ეს არის მეშჩანურად თვალის დახუჭვა უკვე მომხდარ გათიშვაზე, რომლის დაღი აშკარად აზის თანამედროვე მეცნიერებასაც და თანამედროვე ზნეობრივ იდეებსაც.

გასაგებია, რომ ბ-ნ მიხაილოვსკის მსჯელობის ყველა ეს თვისება უცვლელი რჩება მაშინაც, როდესაც იგი რუსეთზე გადადის. ის «სულითა და გულით მიესალმება» ვინმე ბ-ნ იაკოვლევის ასეთსავე უცნაურ ზღაპრებს, რომ რუსეთი არის tabula

rasa *, რომ მას შეუძლია თავიდან დაიწყოს, აიცდინოს სხვა ქვეყნების შეცდომები და სხვ. და სხვ. და ყოველივე ამას ამბობენ იმის სრული შეგნებით, რომ ამ tabula rasa-ზე ჯერ კიდევ მეტად მტკიცედ დგანან უზარმაზარი მიწის საკუთრების მქონე და უდიდესი პოლიტიკური პრივილეგიებით აღჭურვილი «ძველთავადაზნაურული» წყობის წარმომადგენელნი, რომ მასზე სწრაფად იზრდება კაპიტალიზმი თავისი ყოველგვარი «პროგრესებით». წვრილი ბურჟუა მხდალად თვალს ხუჭავს ამ ფ ა ქ ტ ე ბ ზ ე და გულუბრყვილო ოცნებას ეძლევა იმის შესახებ, რომ «ჩვენ ცხოვრებას ვიწყებთ ახლა, როდესაც მეცნიერებას უკვე მოეპოვება ერთგვარი ჭეშმარიტებანიც და ერთგვარი ავტორიტეტიც».

ამრიგად, უკვე ბ-ნ მიხაილოვსკის იმ მსჯელობიდან, რომელიც ბ-ნ სტრუვეს მოჰყავს, ნათლად სჩანს ნაროდნიკობის სოციოლოგიური იდეების კლასობრივი წარმოშობა.

ვერ დავტოვებთ უპასუხოდ ბ-ნ მიხაილოვსკის წინააღმდეგ მიმართულ ბ-ნ სტრუვეს ერთ შენიშვნას. «მისი შეხედულებით — ამბობს ავტორი — არ არსებობს დაუძლეველი ისტორიული ტენდენციები, რომლებიც, როგორც ასეთნი, ერთი მხრით, უნდა წარმოადგენდნენ გამოსავალ წერტილს, ხოლო, მეორე მხრით— სავალდებულო ფარგლებს პიროვნებისა და საზოგადოებრივი ჯგუფების მიზანშეწონილი მოქმედებისათვის» (11).

ეს არის ობიექტივისტის და არა მარქსისტის (მატერიალისტის) ენა. ამ ცნებებს (შეხედულებათა სისტემებს) შორის განსხვავებაა, რაზედაც ღირს შეჩერება, რადგან ბ-ნ სტრუვეს წიგნის ძირითად ნაკლს სწორედ ის წარმოადგენს, რომ მას სავსებით არა აქვს შეგნებული ეს განსხვავება, რაც მისი მსჯელობიდან ძალიან ხშირად გამოსჭვივის.

ობიექტივისტი ლაპარაკობს ამა თუ იმ ისტორიული პროცესის აუცილებლობაზე; მატერიალისტი სისწორით აღნიშნავს ამა თუ იმ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციას და მისგან წარმოშობილ ანტაგონისტურ ურთიერთობას. როცა ობიექტი-

* — სუფთა ადგილი. რ ე დ.

ვისტი ამა თუ იმ ფაქტთა წყების აუცილებლობას ამტკიცებს, მას ყოველთვის შეიძლება ფეხი დაუსხლტეს და აღნიშნული ფაქტების აპოლოგეტის თვალსაზრისზე დადგეს; მატერიალისტი ააშკარავებს კლასობრივ წინააღმდეგობებს და ამით განსაზღვრავს თავის თვალსაზრისს. ობიექტივისტი ლაპარაკობს «დაუძლეველ ისტორიულ ტენდენციებზე»; მატერიალისტი ლაპარაკობს იმ კლასზე, რომელიც «განაგებს» ამა თუ იმ ეკონომიურ წესებს და ჰქმნის სხვა კლასთა წინააღმდეგობის ამა თუ იმ ფორმებს. ამრიგად, მატერიალისტი, ერთი მხრით, ობიექტივისტზე უფრო თანმიმდევარია და უფრო ღრმად, უფრო სრულად ატარებს თავის ობიექტივიზმს. ის არ კმაყოფილდება პროცესის აუცილებლობაზე მითითებით, არამედ არკვევს, სახელდობრ რომელი საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაცია აძლევს შინაარსს ამ პროცესს, სახელდობრ რომელი კლასი განსაზღვრავს ამ აუცილებლობას. ამ შემთხვევაში მატერიალისტი, მაგალითად, არ დაკმაყოფილდებოდა «დაუძლეველი ისტორიული ტენდენციების» აღნიშვნით, არამედ მიგვითითებდა იმ განსაზღვრულ კლასთა არსებობაზე, რომელნიც განსაზღვრავენ ამა თუ იმ წესების შინაარსს და შეუძლებელს ხდიან ხსნას თვით მწარმოებელთა გამოსვლის გარეშე. მეორე მხრით, მატერიალიზმი შეიცავს, ასე ვთქვათ, პარტიულობას, რაც მოვლენათა ყოველი შეფასების დროს სავალდებულოს ხდის პირდაპირ და აშკარად დადგომას განსაზღვრული საზოგადოებრივი ჯგუფის თვალსაზრისზე *.

ბ-ნ მიხაილოვსკიდან ავტორი გადადის ბ-ნ იუჟაკოვზე, რომელიც თავისთავად არაფერს ორიგინალურს და საინტერესოს არ წარმოადგენს. ბ-ნი სტრუვე სავსებით სამართლიანად შენიშნავს მის სოციოლოგიურ მსჯელობაზე, რომ ეს — «ყოველგვარ შინაარსს მოკლებული» «მაღალფარდოვანი სიტყვებია». ღირს შევჩერდეთ ბ-ნ იუჟაკოვსა და ბ-ნ მიხაილოვსკის შორის არსე-

* კონკრეტულ მაგალითებს იმისას, რომ ბ-ნ სტრუვე მატერიალიზმს სავსებით არ ატარებს და კლასობრივი ბრძოლის თეორიას ბოლომდე არ იცავს, მოვიყვანთ ქვემოთ, ყოველ კერძო შემთხვევაში.

ბულ ფრიად დამახასიათებელ (ნაროდნიკობისათვის საერთოდ) განსხვავებაზე. ბ-ნი სტრუვე აღნიშნავს ამ განსხვავებას და ბ-ნ იუჟაკოვს «ნაციონალისტს» უწოდებს, მაშინ როდესაც თითქოს ბ-ნ მიხაილოვსკისთვის «ყოველგვარი ნაციონალიზმი მუდამ სრულიად უცხო იყო»; ბ-ნ მიხაილოვსკისთვის, მისივე საკუთარი სიტყვებით, «ხალხის სიმართლის საკითხი შეეხება არა მარტო რუს ხალხს, არამედ მთელი განათლებული მსოფლიოს მთელ მშრომელ ხალხს». მე ვფიქრობ, ამ განსხვავებაში მოსჩანს აგრეთვე იმ წვრილი მწარმოებლის ორჭოფული მდგომარეობის ანარეკლი, რომელიც პროგრესული ელემენტია, რამდენადაც იგი, ბ-ნ იუჟაკოვის შეუგნებლად მოხდენილი თქმით, იწყებს «საზოგადოებისაგან დიფერენციაციას», — და რეაქციული ელემენტია, რამდენადაც იბრძვის თავისი, როგორც წვრილი მეპატრონის, მდგომარეობის შენარჩუნებისათვის და ცდილობს შეაჩეროს ეკონომიური განვითარება. ამიტომ ახერხებს რუსული ნაროდნიკობა დოქტრინის პროგრესული, დემოკრატიული თვისებების შეხამებას რეაქციულთან, რაც «მოსკოვსკიე ვედომოსტის» თანაგრძნობას იწვევს. რაც შეეხება ამ რეაქციულ თვისებებს, ვფიქრობთ, ძნელია მათი უფრო მკაფიოდ გამოფენა, ვიდრე ეს ბ-მა იუჟაკოვმა ჩაიდინა შემდეგ ტირადაში, რომელიც ბ-ნ სტრუვეს მოჰყავს.

«მხოლოდ გლეხობა იყო ყოველთვის და ყველგან შრომის წმინდა» იდეის მატარებელი. ეტყობა, იგივე იდეა თანამედროვე ისტორიის ასპარეზზე გამოიტანა ეგრეთწოდებულმა მეოთხე წოდებამ, ქალაქის პროლეტარიატმა, მაგრამ ის ცვლილებები, რაც მისმა შინაარსმა განიცადა, ამავე დროს იმდენად თვალსაჩინოა, რომ საეჭვოა გლეხმა მასში თავისი ჩვეულებრივი ყოფა-ცხოვრების საფუძველი იცნოს. შრომის უ ფ ლ ე ბ ა და არა შრომის წმინდა მ ო ვ ა ლ ე ო ბ ა, ოფლითა თვისითა პურის მოპოვების მოვალეობა [აი, თურმე, რა იმალებოდა «შრომის წმინდა იდეის» უკან! წმინდა ბატონყმური იდეა გლეხის «მოვალეობისა» — მოიპოვოს პური... თავის ბეგარათა მოსახდელად? ამ «წმინდა» მოვალეობაზე უჩიჩინებენ მისგან დაბე-

ჩავებულ და წელში გაწყვეტილ სატვირთე ცხენს!! *]; შემდეგ, შრომის გამოყოფა და მისი საზღაური, მთელი ეს აგიტაცია შრომის სამართლიანი საზღაურის შესახებ, თითქოს თვით შრომა თავისი ნაყოფით არა ჰქმნიდეს ამ საზღაურს; [«რა არის ეს?» — კითხულობს ბ-ნი სტრუვე — «sancta simplicitas ** თუ სხვა რაღაც?» კიდევ უარესი. ეს არის მიწაზე მიმაგრებული იმ მოჯამაგირის მორჩილების აპოთეოზი, რომელიც დაჩვეულია სხვებისთვის თითქმის უსასყიდლოდ მუშაობას]; ცხოვრებისაგან შრომის დიფერენციაცია რაღაც განყენებულ (?! ბ. ს.) კატეგორიად, რომელიც გამოიხატება ამდენი და ამდენი საათის მუშაობით ფაბრიკაში; რომელსაც არავითარი სხვა (?! ბ. ს.) დამოკიდებულება, არავითარი კავშირი არა აქვს მუშაკის ყოველდღიურ ინტერესებთან [ეს წმინდა მეშჩანური სილაჩრეა წვრილი მწარმოებლისა, რომელიც ზოგჯერ უზომო სიდუხჭირეს განიცდის თანამედროვე კაპიტალისტური ორგანიზაციისაგან, მაგრამ რომელსაც ამ ქვეყნად ყველაზე მეტად ეშინია ამ ორგანიზაციის წინააღმდეგ სერიოზული მოძრაობისა იმ ელემენტების მხრივ, რომელთაც მასთან ყოველგვარი კავშირის საბოლოო «დიფერენციაციას» მიაღწიეს]; დასასრულ, უბინადრობა, შინაური, შრომით შექმნილი კერის, უქონლობა, შრომის ასპარეზის ცვალებადობა, — ყოველივე ეს სრულიად უცხოა გლეხური შრომის იდეისათვის. შრომით შექმნილი, მამა-პაპათაგან ნაანდერძევი კერა, შრომა, რომელიც თავისი ინტერესებით ავსებს მთელ ცხოვრებას და ჰქმნის მის მორალს — სიყვარულს მრავალი თაობის ოფლით მორწყული ჯეჯილისადმი, — ყოველივე ეს, რაც გლეხური ყოფა-ცხოვრების განუყრელ განმასხვავებელ თვისებას შეადგენს, სრულიად უცნობია მუშა პროლე-

* ავტორმა, — როგორც პატარა ბურჟუას შეჰფერის, — ალბათ, არ იცის, რომ დასავლეთ ევროპის მშრომელმა ხალხმა დიდი ხანია გადალახა განვითარების ის სტადია, როცა იგი «შრომის უფლებას» მოითხოვდა, და ახლა იგი მოითხოვს «ზარმაცობის უფლებას», დასვენების უფლებას გადაჭარბებული მუშაობისაგან, რომელიც მას ასახიჩრებს და მძიმე ლოდივით აწვევს.

** — წმინდა უბრალოება. რ ე დ.

ტარიატისათვის; ამიტომ, იმ დროს, როცა ამ უკანასკნელის ცხოვრება, თუმცა შრომითი ცხოვრება, შენდება ბურჟუაზიულ (ინდივიდუალისტურ და მოპოვებული უფლების პრინციპზე დაყრდნობილ) მორალზე, ხოლო უკეთეს შემთხვევაში განყენებულ-ფილოსოფიურ მორალზე, გლეხურ მორალს საფუძვლად უდევს სწორედ შრომა, მისი ლოგიკა და მისი მოთხოვნანი» (18). აქ უკვე აშკარავდება წვრილი მწარმოებლის წმინდა წყლის რეაქციული ბუნება, მისი დაბეჩავება, რომელიც აიძულებს მას ირწმუნოს, რომ მას სამუდამოდ ცხენად ყოფნის «წმინდა მოვალეობა» უწერია; მისი «მამა-პაპათაგან ნაანდერძევი» სერვილიზმი; მისი სიყვარული განკერძოებული პაწაწკინტელა მეურნეობისადმი, რომლის დაკარგვის შიში აიძულებს მას უარი სთქვას «სამართლიანი საზღაურის» ყოველგვარ ფიქრზედაც კი და მტრად გამოვიდეს ყოველი «აგიტაციისა», — რომელიც, შრომის დაბალი ნაყოფიერების და მშრომელის ერთ ადგილზე მიმაგრების გამო, ველურად ხდის მას და, მარტოოდენ სამეურნეო პირობების გამო, აუცილებლად წარმოშობს მის დაბეჩავებას და სერვილიზმს. ამ რეაქციული თვისებების დარღვევა ჩვენს ბურჟუაზიას უეჭველ დამსახურებად უნდა ჩაეთვალოს; ბურჟუაზიის პროგრესული მუშაობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან გასწყვიტა მშრომელის ყოველივე კავშირი ბატონყმურ წესებთან, ბატონყმურ ტრადიციებთან. ექსპლოატაციის საშუალოსაუკუნეობრივი ფორმები, რომლებიც დაფარული იყვნენ ბატონის პირადი ურთიერთობით მის ქვეშევრდომთან, ადგილობრივი კულაკისა და შემყიდველისა ადგილობრივ გლეხებთან და შინამრეწველებთან, პატრიარქალური «თავმდაბალი და წვეროსანი მილიონერისა» მის «ბიჭებთან», და რომელნიც ამის გამო ულტრარეაქციულ იდეებს ჰბადებდნენ, — ეს საშუალოსაუკუნეობრივი ფორმეაი ბურჟუაზიამ შესცვალა და დღესაც განაგრძობს შეცვლას «ევროპულად თამამი ანტრეპრენიორის» ექსპლოატაციით, უპიროვნო, შიშველი, სრულიად დაუფარავი ექსპლოატაციით, რომელიც უკვე მარტო ამით არღვევს უაზრო ილუზიებსა და ოცნებებს. ბურჟუაზიამ დაანგრია იმ გლეხის წინანდელი განკერძოებულობა

(«ბინადრობა»), რომელსაც არ უნდოდა და არც შეეძლო სცოდნოდა რაიმე, გარდა თავისი მიწის ნაკვეთისა, იგი განასაზოგადოებდა შრომას, მეტისმეტად ამაღლებდა მის ნაყოფიერებას და ძალად ერეკებოდა მწარმოებელს საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე.

ბ-ნ იუჟაკოვის ამ მსჯელობის გამო ბ-ნი სტრუვე ამბობს: «ამრიგად, ბ-ნი იუჟაკოვი სრული სიცხადით ასაბუთებს ნაროდნიკობის სლავოფილურ ფესვებს» (18) და ქვემოთ, აჯამებს რა ნაროდნიკობის სოციოლოგიური იდეების გადმოცემას, დასძენს, რომ რწმენა «რუსეთის თვითმყოფი განვითარებისადმი» შეადგენს «ისტორიულ კავშირს სლავოფილობასა და ნაროდნიკობას შორის» და რომ ამიტომ მარქსისტების დავა ნაროდნიკებთან წარმოადგენს «სლავოფილობასა და «ზაპადნიჩესტვოს» შორის არსებული უთანხმოების ბუნებრივ გაგრძელებას» (29). ეს უკანასკნელი დებულება, ვფიქრობ, შეზღუდვას მოითხოვს. უდავოა, რომ ნაროდნიკებს მეტად დიდი ბრალი მიუძღვით უაღრესად მდარე ხარისხის მჟავე პატრიოტიზმის განმტკიცებაში (ბ-ნ იუჟაკოვს, მაგალითად). უდავოა ისიც, რომ უგულვებელყოფა მარქსის სოციოლოგიური მეთოდისა და მის მიერ იმ საკითხების დაყენებისა, რომლებიც უშუალო მწარმოებლებს ეხება, უდრის დასავლეთის «ცივილიზაციისაგან» სრულ გამიჯვნას იმ რუსი ადამიანების მხრივ, ვისაც ამ უშუალო მწარმოებელთა ინტერესების წარმომადგენლობა სურს. მაგრამ ნაროდნიკობის დედაარსი უფრო ღრმაა: ის მდგომარეობს არა თვითმყოფობის მოძღვრებასა და სლავოფილობაში, არამედ რუსი წვრილი მწარმოებლის ინტერესებისა და იდეების წარმომადგენლობაში. სწორედ ამიტომ ნაროდნიკებს შორის იყვნენ ისეთი მწერლები (და ესენი საუკეთესო ნაროდნიკები იყვნენ), რომელთაც, როგორც ეს ბ-მა სტრუვემაც აღიარა, სლავოფილობასთან საერთო არაფერი არა ჰქონდათ, რომელნიც აღიარებდნენ კიდეც, რომ რუსეთი იმავე გზას დაადგა, რასაც დასავლეთი ევროპა ადგია. ისეთი კატეგორიებით, როგორიც არის სლავოფილობა და «ზაპადნიჩესტვო», ყოვლად შეუძლებელია რუსული ნაროდნიკობის საკითხებში გარკვევა. ნაროდნიკობამ

ასახა რუსეთის ცხოვრების ისეთი ფაქტი, რომელიც ჯერ კიდევ თითქმის არ არსებობდა იმ ხანაში, როცა სლავოფილობა და «ზაპადნიჩესტვო» ყალიბდებოდა, სახელდობრ: შრომისა და კაპიტალის ინტერესთა წინააღმდეგობა. მან ეს ფაქტი ასახა წვრილი მწარმოებლის საარსებო პირობებისა და ინტერესების თვალსაზრისით, და ამიტომ ასახა დამახინჯებულად, ლაჩრულად, შეჰქმნა რა თეორია, რომელმაც წამოაყენა არა საზოგადოებრივ ინტერესთა წინაალმდეგობანი, არამედ განვითარების სხვაგვარი გზის უნაყოფო იმედები, და ჩვენი ამოცანაა — გამოვასწოროთ ნაროდნიკობის ეს შეცდომა, ცხადვყოთ, რომელ საზოგადოებრივ ჯგუფს შეუძლია გახდეს უშუალო მწარმოებლების ინტერესთა ნამდვილი წარმომადგენელი.

გადავდივართ ახლა ბ-ნ სტრუვეს წიგნის მეორე თავზე.

ავტორს გადმოცემის შემდეგი გეგმა აქვს: ის ჯერ აღნიშნავს იმ ზოგად მოსაზრებებს, რომელთა მიხედვით მატერიალიზმი საზოგადოებრივი მეცნიერების ერთადერთ სწორ მეთოდად უნდა ჩაითვალოს; შემდეგ გადმოსცემს მარქსისა და ენგელსის შეხედულებებს და, ბოლოს, მიღებულ დასკვნებს უფარდებს რუსეთის ცხოვრების ზოგიერთ მოვლენას. ამ თავის საგნის განსაკუთრებული მნიშვნელოვანობის გამო, შევეცდებით უფრო დაწვრილებით გავარჩიოთ მისი შინაარსი და აღვნიშნოთ ყველა ის მუხლი, რომელნიც დავას იწვევენ.

ავტორი იწყებს სრულიად სამართლიანი მითითებით იმაზე, რომ თეორია, რომელსაც საზოგადოებრივი პროცესი იმ «ცოცხალი პიროვნებების» მოქმედებამდე დაჰყავს, რომელნიც «მიზნებს ისახავენ» და «მოვლენებს ამოძრავებენ», — გაუგებრობის შედეგიაო. რა თქმა უნდა, არავის არასოდეს არ უფიქრნია იმაზე, რომ «სოციალურ ჯგუფს თვითმყოფი, მის შემადგენელ პიროვნებათაგან დამოუკიდებელი, არსებობა» მიაკუთვნოს (31). მაგრამ საქმე ისაა, რომ «პიროვნება, როგორც კონკრეტული ინდივიდუალობა, წარმოებულია ყველა წინათ მცხოვრები და მისი თანამედროვე პიროვნებებისა, ე. ი. სოციალური ჯგუფი-

სა» (31). განვმარტოთ ავტორის აზრი. ისტორიას ჰქმნის — მსჯელობს ბ-ნი მიხაილოვსკი — «ცოცხალი პიროვნება მთელი თავისი ზრახვებითა და გრძნობებით». ეს სავსებით მართალია. მაგრამ რით ისაზღვრებიან ეს «ზრახვები და გრძნობები»? განა შეიძლება სერიოზულად იმ აზრის დაცვა, რომ ისინი შემთხვევით ჩნდებიან და არა აუცილებლად გამომდინარეობენ ამა თუ იმ საზოგადოებრივი წრიდან, რომელიც წარმოადგენს პიროვნების სულიერი ცხოვრების მასალას, ობიექტს და რომელიც დადებითი თუ უარყოფითი მხრით იხატება მის «ზრახვებსა და გრძნობებში», ამა თუ იმ საზოგადოებრივი კლასის ინტერესთა წარმომადგენლობაში? შემდეგ: რა ნიშნების მიხედვით უნდა ვიმსჯელოთ რ ე ა ლ უ რ პიროვნებათა რ ე ა ლ უ რ «ზრახვებსა და გრძნობებზე»? ცხადია, ასეთი ნიშანი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი: ამ პიროვნებათა მ ო ქ მ ე დ ე ბ ა, — ხოლო რადგან ლაპარაკია მხოლოდ საზოგადოებრივ «ზრახვებსა და გრძნობებზე», ამიტომ უნდა დაემატოს კიდევ: პიროვნებათა ს ა ზ ო გ ა დ ო ებ რ ი ვ ი მ ო ქ მ ე დ ე ბ ა, ე. ი. ს ო ც ი ა ლ უ რ ი ფ ა ქ ტ ე ბ ი. «როცა სოციალურ ჯგუფს ვაცალკევებთ პიროვნებისაგან, — ამბობს ბ-ნი სტრუვე, — ჩვენ პირველით ვგულისხმობთ პიროვნებათა შორის არსებულ ყველა იმ მრავალგვარ ურთიერთდამოკიდებულებას, რომელნიც სოციალური ცხოვრების ნიადაგზე ჩნდებიან და ობიექტურდებიან ადათებსა და სამართალში, ზნეჩვეულებებსა და ზნეობაში, რელიგიურ წარმოდგენებში» (32). სხვანაირად: სოციოლოგი-მატერიალისტი, რომელიც თავის შესწავლის საგნად ადამიანთა განსაზღვრულ საზოგადოებრივ ურთიერთობას იღებს, ამით უკვე თვით იმ რეალურ პ ი რ ო ვ ნ ე ბ ებ ს ა ც სწავლობს, რომელთა მოქმედებისაგან სდგება ეს ურთიერთობა. სოციოლოგი-სუბიექტივისტი თავის მსჯელობას თითქოს «ცოცხალი პიროვნებებით» იწყებს, ნამდვილად კი იწყებს იმით, რომ ამ პიროვნებებს აკუთვნებს ისეთ «ზრახვებსა და გრძნობებს», რომელნიც მას რაციონალურად მიაჩნია (იმიტომ რომ თავისი «პიროვნებების» კონკრეტული საზოგადოებრივი გარემოსაგან იზოლაციით მან თვითონვე მოისპო მათი ნ ა მ დ ვ ი ლ ი ზრახვებისა და გრძნობების შესწავლის საშუალება), ე. ი.

«იწყებს უტოპიით», როგორც ეს ძალაუნებურად თვითონ ბ-მა მიხაილოვსკიმაც აღიარა *. ხოლო რადგან, შემდეგ, ამ სოციოლოგის საკუთარი წარმოდგენანი რაციონალურზე თვით ასახავენ (მისდა შეუცნობლად) ამა თუ იმ სოციალურ წრეს, ამიტომ მისი მსჯელობის საბოლოო დასკვნები, რომელნიც მას «თანამედროვე მეცნიერებისა და თანამედროვე ზნეობრივი იდეების» «წმინდა» ნაყოფად აქვს წარმოდგენილი, ნამდვილად მხოლოდ... მეშჩანობის თვალსაზრისსა და ინტერესებს გამოხატავენ.

ეს უკანასკნელი პუნქტი, — ე. ი. ის, რომ განსაკუთრებული სოციოლოგიური თეორია პიროვნების როლის ანუ სუბიექტური მეთოდის შესახებ უტოპიას აყენებს კრიტიკული მატერიალისტური კვლევის ადგილას, — განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და, რადგან იგი ბ-ნ სტრუვეს გამოუტოვებია, საჭიროა მასზე ცოტა ხნით შეჩერება.

საილუსტრაციოდ ავიღოთ გაცვეთილი ნაროდნიკული მსჯელობა შინამრეწველზე. ნაროდნიკი ასწერს ამ შინამრეწველის უბადრუკ მდგომარეობას, მისი წარმოების სიმცირეს, მის უსაშინელეს ექსპლოატაციას შემყიდველის მიერ, რომელიც ჯიბეში იდებს პროდუქტის უდიდეს ნაწილს, მწარმოებელს კი დღეში 16 — 18 საათის მუშაობისათვის გროშებს უტოვებს, — და დაასკვნის: შინამრეწველის წარმოების ლატაკური დონე და მისი შრომის ექსპლოატაცია — არსებული წესების ცუდი მხარეებია. მაგრამ შინამრეწველი დაქირავებული მუშა არ არის; ეს — კარგი მხარეა. კარგი მხარე უნდა შევინარჩუნოთ და ცუდი მოვსპოთ, ამისათვის კი უნდა მოვაწყოთ შინამრეწველთა არტელიო. აი დასრულებული ნაროდნიკული მსჯელობა.

მარქსისტი სხვანაირად მსჯელობს. სარეწის მდგომარეობის გაცნობა, გარდა იმ კითხვისა, კარგია ეს თუ ცუდი, მასში იწვევს კიდევ კითხვას, თუ როგორია ამ სარეწის ორგანიზაცია, ე. ი. როგორ და რატომ მაინცდამაინც ასეთი და არა სხვანაირი ურთიერთობა მყარდება შინამრეწველთა

* თხზულებანი, ტ. III, გვ. 155: «სოციოლოგიამ ერთგვარი უტოპიით უნდა დაიწყოს».

შორის განსაზღვრული პროდუქტის წარმოების საქმეში. და იგი ხედავს, რომ ეს ორგანიზაცია არის სასაქონლო წარმოება, ე. ი. განკერძოებულ, ერთმანეთთან ბაზრით დაკავშირებულ მწარმოებელთა წარმოება. ცალკეული მწარმოებლის პროდუქტი, სხვის მოსახმარებლად გათვალისწინებული, მომხმარებლამდე მივა და მწარმოებელს სხვა საზოგადოებრივი პროდუქტის მიღების უფლებას მისცემს მხოლოდ ფულის ფორმის მიღების შემდეგ, ე. ი., როცა ის წინასწარ განიცდის საზოგადოებრივ აღრიცხვას როგორც თვისობრივი, ისე რაოდენობრივი მხრით. ხოლო ეს აღრიცხვა ხდება მწარმოებლის ზურგს უკან, საბაზრო მერყეობათა საშუალებით. მწარმოებლისათვის ამ უცნობმა, მისგან დამოუკიდებელმა საბაზრო მერყეობამ არ შეიძლება არ წარმოშვას უთანასწორობა მწარმოებელთა შორის, არ შეიძლება არ გააძლიეროს ეს უთანასწორობა, — იგი ზოგს აღატაკებს, ზოგის ხელში კი აგროვებს ფულს = საზოგადოებრივი შრომის ნაყოფს. აქედან ნათელი ხდება ფულის პატრონის, შემყიდველის ძლიერების მიზეზიც: ეს უკანასკნელი იმაში მდგომარეობს, რომ შინამრეწველთა შორის, რომელთაც დღიდან დღემდე, სულ დიდი — კვირიდან კვირამდე ძლივს გააქვთ თავი, მარტო მას აქვს ფული, ე. ი. წინანდელი საზოგადოებრივი შრომის პროდუქტი, რომელიც მის ხელში ხდება კაპიტალად, სხვა შინამრეწველთა ზედმეტი პროდუქტის მითვისების იარაღად. ამიტომ, დაასკვნის მარქსისტი, საზოგადოებრივი მეურნეობის ასეთი მოწყობის დროს მწარმოებლის ექსპროპრიაცია და მისი ექსპლოატაცია სრულიად აუცილებელია, სრულიად აუცილებელია შეძლებულთა მიერ შეუძლოთა დამორჩილება და მათი ინტერესების ის წინააღმდეგობა, რომელიც შინაარსს აძლევს კლასთა ბრძოლის მეცნიერულ ცნებას. მაშასადამე, მწარმოებლის ინტერესს შეადგენს სრულიადაც არა ამ მოწინააღმდეგე ელემენტების შერიგება, არამედ, პირიქით, წინააღმდეგობის განვითარება, ამ წინააღმდეგობის შეგნების განვითარება. ჩვენ ვხედავთ, რომ სასაქონლო მეურნეობის ზრდას ჩვენშიც, რუსეთშიც, წინააღმდეგობის ასეთ განვითარებამდე მივყევართ: ბაზრის გადიდებისა და წარმოების გაფართოებისდა მიხედვით სავაჭრო კაპი-

ტალი ინდუსტრიულ კაპიტალად იქცევა. მანქანური ინდუსტრია საბოლოოდ ანგრევს წვრილ განკერძოებულ წარმოებას (იგი უკვე ძირფესვიანად შერყეულია შემყიდველის მიერ) და ახდენს შრომის განსაზოგადოებას. Plusmacherei-ს სისტემა, რომელიც შინამრეწველობაში დაფარულია შინამრეწველის მოჩვენებითი დამოუკიდებლობით და შემყიდველის ბატონობის მოჩვენებითი შემთხვევითობით, — ახლა აშკარა და დაუფარავი ხდება. «შრომა», რომელიც შინამრეწველობაშიც მხოლოდ იმით «სცოცხლობდა», რომ ზედმეტ პროდუქტს მუქთად აძლევდა შემყიდველებს, ახლა საბოლოოდ «ეთიშება» ბურჟუაზიული საზოგადოების «ცხოვრებას». ეს საზოგადოება სრულიად დაუფარავად აძევებს მას, ბოლომდე გამოსთქვამს იმ პრინციპს, რომელიც მას საფუძვლად უდევს: რომ მწარმოებელს მხოლოდ მაშინ შეუძლია საარსებო სახსარი მოიპოვოს, როცა იპოვის ფულის პატრონს, რომელიც ინებებს მისი შრომის ზედმეტი პროდუქტის მითვისებას; და ის, რაც შინამრეწველმა [და მისმა იდეოლოგმა — ნაროდნიკმა] ვერ გაიგო — სახელდობრ: ზემოაღნიშნული წინააღმდეგობის ღრმა, კლასობრივი ხასიათი, — თავისთავად ნათელი ხდება მწარმოებლისათვის. აი ამიტომაც შინამრეწველის ინტერესები მხოლოდ ამ მოწინავე მწარმოებელმა შეიძლება წარმოადგინოს.

შევადაროთ ახლა ერთმანეთს ეს მსჯელობანი მათი სოციოლოგიური მეთოდის მხრით.

ნაროდნიკი გვარწმუნებს, რომ ის რეალისტია. «ისტორიას ცოცხალი პიროვნებები ჰქმნიან», და აი მეც ვიწყებ თანამედროვე წესებისადმი მტრულად განწყობილი შინამრეწველის «გრძნობებით» და უკეთესი წესების შექმნისაკენ მიმართული მისი ზრახვებით, მარქსისტი კი რაღაც გარდუვალობასა და აუცილებლობაზე მსჯელობს; იგი მისტიკოსი და მეტაფიზიკოსიაო.

მართლაც, — უპასუხებს ეს მისტიკოსი, — ისტორიას «ცოცხალი პიროვნებები» ჰქმნიან, — და მე, როცა ვარკვევდი საკითხს, თუ რად დამყარდა შინამრეწველობაში ასეთი და არა სხვანაირი საზოგადოებრივი ურთიერთობა (თქვენ ეს კითხვა არც კი დაგისვამთ!), ამით სწორედ იმას ვარკვევდი, თუ რ ო გ ო რ შე-

ჰ ქ მ ნ ე ს «ცოცხალმა პიროვნებებმა» თ ა ვ ი ა ნ თ ი ი ს ტ ო რ ი ა და როგორ ჰქმნიან ისინი ახლაც ამ ისტორიას. და მე ხელთ მქონდა საიმედო კრიტერიუმი იმისა, რომ «ცოცხალ», ნამდვილ პიროვნებებთან, ნამდვილ ზრახვებთან და გრძნობებთან მაქვს საქმე: ეს კრიტერიუმი იმაში მდგომარეობდა, რომ მათი «ზრახვები და გრძნობები» უკვე გამოისახნენ მოქმედებაში, მათ შეჰქმნეს განსაზღვრული საზოგადოებრივი ურთიერთობა. მართალია, მე არასოდეს არ ვამბობ, რომ «ისტორიას ცოცხალი პიროვნებები ჰქმნიან» (იმიტომ რომ, ჩემის აზრით, ეს უშინაარსო ფრაზაა), მაგრამ, როცა ნ ა მ დ ვ ი ლ საზოგადოებრივ ურთიერთობას და მის ნ ა მ დ ვ ი ლ განვითარებას ვიკვლევ, მე სწორედ ცოცხალ პიროვნებათა მოქმედების ნაყოფს ვიკვლევ. თქვენ კი ლაპარაკით ლაპარაკობთ «ცოცხალ პიროვნებებზე», ნამდვილად კი გამოსავალ წერტილად იღებთ არა «ცოცხალ პიროვნებას» იმ «ზრახვებითა და გრძნობებით», რომელნიც მართლაც იქმნებიან მისი ცხოვრების პირობებით, წარმოებითი ურთიერთობის ამა თუ იმ სისტემით, — არამედ ტიკინას, და საკუთარი «ზრახვებითა და გრძნობებით» უტენით მას თავს. ცხადია, რომ ასეთ მოქმედებას მოსდევს მხოლოდ გულუბრყვილო ოცნებანი; ცხოვრება განზე გრჩებათ, თქვენ კი — ცხოვრებას განზე რჩებით*. ეს კიდევ არაფერი: აბა ერთი დაუკვირდით, რ ი თ ი უტენით თავს ამ ტიკინას და რა ზომებს ჰქადაგებთ. როცა მშრომელებს არტელს ურჩევთ, როგორც «თანამედროვე მეცნიერებისა და თანამედროვე ზნეობრივი იდეების მიერ ნაჩვენებ გზას», თქვენ გავიწყდებათ ერთი პატარა გარემოება: ჩვენი საზოგადოებრივი მეურნეობის მთელი ორგანიზაცია. თქვენ არ გესმით, რომ ეს კაპიტალისტური მეურნეობაა, ვერ ამჩნევთ, რომ ა მ ნ ი ა დ ა გ ზ ე აღმოცენებული ყოველგვარი არტელები სულ უმნიშვნელო პალიატივები იქნება, რომელნიც სრულიადაც ვერ მოსპობენ

* «პრაქტიკა დაუნდობლად ჰკვეცს მას» («ახალი ისტორიული გზის შესაძლებლობას»); «იგი, შეიძლება ითქვას, დღითი-დღე კლებულობს» (ბ-ნ მიხაილოვსკის სიტყვებია, პ. სტრუვეს წიგნში, გვ. 16). კლებულობს, რა თქმა უნდა, არა «შესაძლებლობა», რომელიც არასოდეს არ ყოფილა, არამედ ილუზია. და კარგსაც შვრება, რომ კლებულობს.

ვერც წარმოების საშუალებების — და მათ შორის ფულის — კონცენტრაციას უმცირესობის ხელში (ეს კონცენტრაცია — უცილობელი ფაქტია), ვერც მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის სრულ გაღატაკებას, — პალიატივები, რომელნიც უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ ერთ მუჭა ცალკეულ შინამრეწველთ გადაიყვანენ წვრილი ბურჟუაზიის რიგებში. მშრომელის იდეოლოგიდან თქვენ წვრილი ბურჟუაზიის იდეოლოგი ხდებით.

მაგრამ დავუბრუნდეთ ბ-ნ სტრუვეს. აღნიშნავს რა «პიროვნების» შესახებ ნაროდნიკების მსჯელობათა უშინაარსობას, იგი განაგრძობს: «სოციოლოგია რომ მართლაც მუდამ ცდილობს ინდივიდუალობის ელემენტები სოციალურ წყაროებამდე დაიყვანოს, ამას ამტკიცებს ისტორიული ევოლუციის ამა თუ იმ დიდი მომენტის ახსნის ყოველი ცდა. როდესაც საქმე «ისტორიულ პიროვნებას», «დიდ ადამიანს» ეხება, ყოველთვის ვცდილობთ იგი განსაზღვრული ეპოქის სულისკვეთების «მატარებლად», თავისი დროის წარმომადგენლად დავსახოთ, — მისი მოქმედება, მისი წარმატებანი და მარცხი მთელი ადრინდელი საქმეთა ვითარების აუცილებელ შედეგად წარმოვიდგინოთ» (32). ეს საერთო ტენდენცია ყოველგვარი ცდისა — ა ი ხ ს ნ ა ს სოციალური მოვლენები, ე. ი. შეიქმნას საზოგადოებრივი მეცნიერება, — «ნათლად გამოიხატა კლასობრივი ბრძოლის, როგორც საზოგადოებრივი ევოლუციის ძირითადი პროცესის, მოძღვრებაში. რაკი პიროვნება გამოირიცხა, საჭირო გახდა სხვა ელემენტის გამონახვა. ასეთი ელემენტი აღმოჩნდა სოციალური ჯგუფი» (33). ბ-ნი სტრუვე სავსებით მართალია, როცა აღნიშნავს, რომ კლასობრივი ბრძოლის თეორია აგვირგვინებს, ასე ვთქვათ, სოციოლოგიის საერთო მისწრაფებას — «ინდივიდუალობის ელემენტები სოციალურ წყაროებამდე დაიყვანოს». ეს კიდევ ცოტაა: კლასობრივი ბრძოლის თეორია ამ მისწრაფებას პირველად ატარებს ისეთი სისრულით და თანმიმდევრობით, რომ სოციოლოგია მეცნიერების ხარისხში აჰყავს. მიღწეულ იქნა ეს «ჯგუფის» ცნების მატერიალისტური განსაზღვრით. თავისთავად ეს ცნება ჯერ კიდევ მეტად გაურკვეველი და თვითნებითია: «ჯგუფთა» განსხვავების კრიტერიუმი შეიძლება დავინახოთ რელიგიურ, ეთ-

ნოგრაფიულ, პოლიტიკურ, იურიდიულ და სხვა მოვლენებშიც-არ არსებობს მტკიცე ნიშანი, რომლის მიხედვითაც თვითეულ ამ დარგში შეიძლებოდეს ამა თუ იმ «ჯგუფების» განსხვავება. ხოლო კლასობრივი ბრძოლის თეორია სწორედ იმიტომ არის საზოგადოებრივი მეცნიერების უდიდესი შენაძენი, რომ იგი ინ-დივიდუალურის სოციალურამდე დაყვანის წესებს სრული სის-წორით და გარკვეულობით ამყარებს. ჯერ-ერთი, ამ თეორიამ შეიმუშავა საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმა-ციის ცნება. მან გამოსავალ წერტილად აიღო ადამიანთა ყოველგვარი თანაცხოვრების ძირითადი ფაქტი — საარსებო სა-შუალებათა მოპოვების წესი, მას დაუკავშირა ის ურთიერთობა ადამიანთა შორის, რომელიც მყარდება საარსებო საშუალება-თა მოპოვების განსაზღვრული წესების გავლენით, და ამ ურ-თიერთობის («წარმოებითი ურთიერთობის» — მარქსის ტერმი-ნოლოგიით) სისტემაში აღნიშნა საზოგადოების ის საფუძვე-ლი, რომელიც პოლიტიკურ-იურიდიულ ფორმებსა და საზოგა-დოებრივი აზროვნების განსაზღვრულ მიმდინარეობათა სახეს იღებს. მარქსის თეორიით, წარმოებითი ურთიერთობის ყოველი ასეთი სისტემა წარმოადგენს განსაკუთრებულ სოციალურ ორ-განიზმს, რომელსაც თავისი ჩასახვის, მოქმედებისა და უმაღლეს ფორმაში გადასვლის, სხვა სოციალურ ორგანიზმად გადაქცევის განსაკუთრებული კანონები აქვს. ამ თეორიამ სოციალური მეც-ნიერებისათვის გამოიყენა განმეორებადობის ის ობიექტური, ზო-გად-მეცნიერული კრიტერიუმი, რომლის სოციოლოგიის მიმართ გამოყენების შესაძლებლობას სუბიექტივისტები უარჰყოფდნენ. ისინი სწორედ ისე მსჯელობდნენ, თითქოს სოციალურ მოვლე-ნათა დიდი სირთულისა და მრავალგვარობის გამო მათი შესწავ-ლა შეუძლებელია მნიშვნელოვანი მოვლენების უმნიშვნელოთაგან გამოუყოფლად; ხოლო ასეთი გამოყოფისათვის აუცილებელია «კრიტიკულად მოაზროვნე» და «ზნეობრივად განვითარებული» პიროვნების თვალსაზრისი, — ამრიგად საზოგადოებრივი მეცნიე-რება მათ ხელში გადაიქცა მეშჩანური მორალის მთელ რიგ და-რიგებებად, რისი ნიმუშებიც უკვე მოგვცა ბ-მა მიხაილოვსკიმ, რომელიც ფილოსოფოსობდა ისტორიის მიზანშეუწონლობის და

«მეცნიერების ლამპარით» გაშუქებული გზის შესახებ. აი ასეთ მსჯელობას გამოუთხარა ძირი მარქსის თეორიამ. მნიშვნელოვანისა და უმნიშვნელოს განსხვავების ადგილას წამოყენებულ იქნა განსხვავება საზოგადოების ეკონომიურ სტრუქტურასა, როგორც შინაარსსა, და პოლიტიკურ და იდეურ ფორმას შორის: თვით ეკონომიური სტრუქტურის ცნება ზუსტად იქნა განმარტებული იმ წინანდელ ეკონომისტთა შეხედულების უარყოფით, რომელნიც ბუნების კანონებს ხედავდნენ იქ, სადაც მხოლოდ წარმოებითი ურთიერთობის განსაკუთრებული, ისტორიულად განსაზღვრული სისტემის კანონების ადგილია. ნაცვლად სუბიექტივისტების მსჯელობისა საერთოდ «საზოგადოებაზე», უშინაარსო და არსებითად მეშჩანურ-უტოპიური მსჯელობისა (ვინაიდან არ გამოურკვევიათ თვით შესაძლებლობა სულ სხვადასხვა სოციალური წესების განზოგადებისა სოციალურ ორგანიზმთა განსაკუთრებულ სახეებად) — წამოყენებულ იქნა საზოგადოების წყობის განსაზღვრული ფორმების გამოკვლევა. მეორე, «ცოცხალ პიროვნებათა» მოქმედება ყოველი ასეთი საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციის ფარგლებში, — მოქმედება, რომელიც უსაზღვროდ მრავალგვარია და თითქოს არავითარ სისტემატიზაციას არ ემორჩილება, — განზოგადებულ და დაყვანილ იქნა პიროვნებათა იმ ჯგუფების მოქმედებამდე, რომელნიც ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ მათი როლით წარმოებითი ურთიერთობის სისტემაში, წარმოების პირობებისა და, მაშასადამე, მათი საარსებო ვითარების პირობების მიხედვით, იმ ინტერესების მიხედვით, რომელნიც ამ ვითარებით ისაზღვრებოდნენ, — ერთი სიტყვით, დაყვანილ იქნა იმ კლასთა მოქმედებამდე, რომელთა ბრძოლაც საზღვრავდა საზოგადოების განვითარებას. ამით უარყოფილ იქნა სუბიექტივისტების ბავშვურად-გულუბრყვილო, წმინდა მექანიკური შეხედულება ისტორიაზე, — იმ სუბიექტივისტების, რომელნიც კმაყოფილდებოდნენ უშინაარსო დებულებით, რომ ისტორიას ცოცხალი ადამიანები ჰქმნიან, და რომელთაც არ სურდათ გარკვეულიყვნენ, რა სოციალური გარემოებით და სახელდობრ როგორ ისაზღვრება მათი მოქმედება. სუბიექტივიზმის ნაცვლად წამოყენებულ იქნა

შეხედულება სოციალურ პროცესზე, როგორც ბუნებრივ-ისტორიულ პროცესზე,—შეხედულება, ურრმლისოდაც, რა თქმა უნდა, შეუძლებელი იქნებოდა საზოგადოებრივი მეცნიერების არსებობა. ბ-ნი სტრუვე მეტად სამართლიანად აღნიშნავს, რომ «სოციოლოგიაში პიროვნების უგულვებელყოფა ან, უფრო სწორად, სოციოლოგიიდან მისი გაძევება არსებითად მეცნიერული შემეცნებისადმი მისწრაფების კერძო შემთხვევაა» (33), რომ «ინდივიდუალობანი» არსებობენ არა მარტო სულიერ, არამედ ფიზიკურ სამყაროშიც. მთელი საქმე იმაშია მხოლოდ, რომ «ინდივიდუალობათა» დაქვემდებარება განსაზღვრული ზოგადი კანონებისადმი დიდი ხანია დასრულდა ფიზიკური სამყაროსათვის, ხოლო სოციალური დარგისათვის იგი მტკიცედ მხოლოდ მარქსის თეორიამ დაამყარა.

ბ-ნ სტრუვეს შემდგომი პასუხი რუსეთის სუბიექტივისტების სოციოლოგიური თეორიის წინააღმდეგ იმაში მდგომარეობს, რომ გარდა ყველა ზემომოყვანილი არგუმენტისა — «სოციოლოგიას არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია პირველად ფაქტად აღიაროს ის, რასაც ჩვენ ინდივიდუალობას ვუწოდებთ, ვინაიდან თვით ცნება ინდივიდუალობისა (რომლის შემდგომი ახსნა შეუძლებელია) და მისი შესატყვისი ფაქტი ხანგრძლივი სოციალური პროცესის შედეგია» (36). ეს ძალიან სწორი აზრია, რომელზედაც მით უფრო უნდა შევჩერდეთ, რომ ავტორის არგუმენტაცაა სავსებით სწორი არ არის. იგი იმოწმებს ზიმელს, რომელმაც თავის თხზულებაში: «სოციალური დიფერენციაციის შესახებ» დაამტკიცა პირდაპირი დამოკიდებულება ინდივიდუალობის განვითარებასა და იმ ჯგუფის დიფერენციაციას შორის, რომელშიც ეს პიროვნება შედისო. ბ-ნი სტრუვე ამ დებულებას უპირისპირებს ბ-ნ მიხაილოვსკის თეორიას უკუქცევითი დამოკიდებულების შესახებ ინდივიდუალობის განვითარებასა და საზოგადოების დიფერენციაციას («მრავალგვარობას») შორის. «უდიფერენციაციო წრეში — უპასუხებს მას ბ-ნი სტრუვე — ინდივიდუმი «ჰარმონიულად მთლიანი» იქნება... თავისი «ერთგვარობით და უსახურობით». «რეალური პიროვნება არ შეიძლება წარმოადგენდეს «საზოგადოდ ადამიანთა ორგა-

ნიზმის ყველა დამახასიათებელი თვისების ერთობლიობას» იმიტომ, რომ შინაარსის ასეთი სისრულე რეალური პიროვნების ძალღონეს აღემატება» (38—39). «პიროვნება რომ დიფერენცირებულ იქნას, ის დიფერენცირებულ წრეში უნდა იმყოფებოდეს» (39).

აქედან ნათლად არა სჩანს, სახელდობრ როგორ აყენებს საკითხს ზიმელი და როგორ ასაბუთებს მას. მაგრამ ბ-ნ სტრუვეს გადმოცემაში საკითხის დაყენებას ისეთივე ნაკლი აქვს, როგორც ბ-ნ მიხაილოვსკის ნაწერებში. განყენებული მსჯელობა იმაზე, თუ რა დამოკიდებულებაა ინდივიდუალობის განვითარებასა (და კეთილდღეობასა) და საზოგადოების დიფერენციაციას შორის, — მეცნიერული სრულიად არ არის, იმიტომ რომ არ შეიძლება არავითარი ისეთი თანაშეფარდების დამყარება, რომელიც გამოსადეგი იყოს საზოგადოების წყობის ყოველი ფორმისათვის. თვით «დიფერენციაციის», «მრავალგვარობის» და სხვ. ცნებას სულ სხვადასხვა მნიშვნელობა ეძლევა იმისდა მიხედვით, თუ სახელდობრ რომელი სოციალური გარემოსთვის იხმართ მას. ბ-ნ მიხაილოვსკის ძირითადი შეცდომა სწორედ მისი მსჯელობის განყენებულ დოგმატიზმში მდგომარეობს, — მსჯელობის, რომელიც ამა თუ იმ კონკრეტული საზოგადოებრივი ფორმაციის კონკრეტული «პროგრესის» შესწავლის ნაცვლად ცდილობს საზოგადოდ მთელ «პროგრესს» მოხვიოს ხელი. როდესაც ბ-ნი სტრუვე ბ-ნ მიხაილოვსკის წინააღმდეგ თავის ზოგად (ზემოთ ამოწერილ) დებულებებს აყენებს, ის მის შეცდომას იმეორებს,— კონკრეტული პროგრესის გამოხატვას და გარკვევას შორდება და ბუნდოვანი და დაუსაბუთებელი დოგმების სფეროში ექცევა. ავიღოთ მაგალითი: «თავისი შინაარსით ინდივიდუუმის ჰარმონიული მთლიანობა ისაზღვრება ჯგუფის განვითარების, ე. ი. დიფერენციაციის დონით», — ამბობს ბ-ნი სტრუვე და ამ ფრაზას ხაზს უსვამს. მაგრამ, როგორ უნდა გავიგოთ აქ ჯგუფის «დიფერენციაცია»? ბატონყმობის გაუქმებამ ეს «დიფერენციაცია» გააძლიერა თუ შეასუსტა? ბ-ნი მიხაილოვსკი საკითხს სწყვეტს უკანასკნელი აზრით («რა არის პროგრესი?»); ბ-ნი სტრუვე, ალბათ, მას გადაწყვეტდა პირველი აზრით და დაიმოწ-

მებდა შრომის საზოგადოებრივი დანაწილების გაძლიერებას. ერთს მხედველობაში ჰქონდა წოდებრივ განსხვავებათა მოსპობა; მეორეს — ეკონომიურ განსხვავებათა შექმნა. როგორც ხედავთ, ტერმინი იმდენად გაურკვეველია, რომ იგი თანაბრად ეზომება ურთიერთის საწინააღმდეგო რამეებს. კიდევ მაგალითი. კაპიტალისტური მანუფაქტურიდან მსხვილ მანქანურ ინდუსტრიაზე გადასვლა შეიძლება «დიფერენციაციის» შემცირებად ვაღიაროთ, ვინაიდან შრომის დეტალური დანაწილება დასპეციალებულ მუშებს შორის სწყდება. ნამდვილად კი ყოველ ეჰვს გარეშეა, რომ ინდივიდუალობის განვითარების პირობები (მუშისთვის) გაცილებით უფრო ხელსაყრელია სწორედ უკანასკნელ შემთხვევაში. აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ თვით საკითხის დაყენება არ არის სწორი. ავტორი თვითონ აღიარებს, რომ ანტაგონიზმი არსებობს აგრეთვე პიროვნებასა და ჯგუფს შორის (რაზედაც მიხაილოვსკიც ლაპარაკობს). «მაგრამ ცხოვრება — დასძენს იგი — არასოდეს არ იქმნება ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ წინააღმდეგობათაგან: მასში ყოველივე მ ი მ დ ი ნ ა რ ე და შ ე ფ ა რ დ ე ბ ი თ ი ა, და ამავე დროს ყველა ცალკეულ მხარეს შორის მუდმივი ურთიერთდამოკიდებულება არსებობს» (39). თუ ასეა, — რაღა საჭირო იყო აბსოლუტური თანაშეფარდების წამოყენება ჯგუფსა და პიროვნებას შორის? — თანაშეფარდების, რომელიც არ ეხება განსაზღვრული საზოგადოებრივი ფორმაციის განვითარების მკაცრად განსაზღვრულ მომენტს? რატომ არ შეიძლებოდა მთელი არგუმენტაციის გადატანა რუსეთის ევოლუციის კონკრეტული პროცესის საკითხზე? ავტორი ცდილობს ამნაირად დასვას საკითხი, და იგი რომ ბოლომდე თანმიმდევარი ყოფილიყო, მისი არგუმენტაცია ბევრს მოიგებდა. «მხოლოდ შრომის დანაწილებამ, — ბ-ნ მიხაილოვსკის მოძღვრებით, კაცობრიობის ამ ცოდვით დაცემამ, — შეჰქმნა იმ «პიროვნების» განვითარების პირობები, რომლის გამოც ბ-ნი მიხაილოვსკი სამართლიანად აცხადებს პროტესტს შრომის დანაწილების თანამედროვე ფორმების წინააღმდეგ» (38). ეს საუცხოოდ არის ნათქვამი; ოღონდ «შრომის დანაწილების» ნაცვლად უნდა ეთქვა «კაპიტალიზმი» და უფრო ვიწროდაც: რ უ ს ე თ ი ს კ ა პ ი ტ ა ლ ი ზ მ ი. კაპიტა-

ლიზმის პროგრესული მნიშვნელობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან დაარღვია ადამიანის ცხოვრების ძველი ვიწრო პირობები, რომლებიც გონებას აჩლუნგებდნენ და საშუალებას არ აძლევდნენ მწარმოებლებს თვითონვე გასძღოლოდნენ თავიანთ ბედს. სავაჭრო ურთიერთობისა და მსოფლიო გაცვლა-გამოცვლის უდიდესმა განვითარებამ, მოსახლეობის უზარმაზარი მასების მუდმივმა გადასვლა-გადმოსვლამ გასწყვიტა გვარის, ოჯახის, ტერიტორიული თემის ძველისძველი დროიდან არსებული კავშირი და შეჰქმნა განვითარების ის სხვადასხვაობა, «ნიჭთა სხვადასხვაობა, საზოგადოებრივი ურთიერთობის მრავალგვარობა» *, რაც ასეთ დიდ როლს თამაშობს დასავლეთ ევროპის უახლეს ისტორიაში. რუსეთში ამ პროცესმა სრული სიძლიერით იჩინა თავი რეფორმისშემდგომ ხანაში, როცა შრომის ძველი ფორმები უდიდესი სისწრაფით ირღვეოდა და პირველი ადგილი დაიკავა სამუშაო ძალის ყიდვა-გაყიდვამ, რაც გლეხს სწყვეტდა პატრიარქალურ ნახევრად-ბატონყმურ ოჯახს, სოფლის დამაჩლუნგებელ პირობებს და ზეღირებულების მითვისების ნახევრად-ბატონყმურ ფორმებს სცვლიდა წმინდა კაპიტალისტური ფორმებით. ეს ეკონომიური პროცესი სოციალურ დარგში გამოიხატა «პიროვნების გრძნობის საერთო აღმავლობით», უაზნოთა მიერ მემამულეთა კლასის გაძევებით «საზოგადოებიდან», ცხარე ლიტერატურული ბრძოლით პიროვნების უაზრო საშუალოსაუკუნეობრივი შევიწროების წინააღმდეგ და სხვ. რომ სწორედ რეფორმისშემდგომი დროის რუსეთმა მოგვცა პიროვნების გრძნობის, საკუთარი ღირსების გრძნობის ესაღმავლობა, — ამას, ალბათ, ნაროდნიკები ვერ უარჰყოფენ. მაგრამ ისინი არ ეკითხებიან თავიანთ თავს, რა მატერიალურმა პირობებმა გამოიწვიეს ეს. ბატონყმობის დროს, რასაკვირველია, მსგავსი რამ შეუძლებელი იყო, — და აი ნაროდნიკი მიესალმება «განმათავისუფლებელ» რეფორმას და ვერ ამჩნევს, რომ იგი ისეთსავე ბეცოპტიმიზმში ვარდება, როგორც ბურჟუაზიული ისტორიკოსები,

* K. Marx. «Der achtzehnte Brumaire», S. 98 u. s. w.[87] (კ. მარქსი. «თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა», გვ. 98 და შემდ. რედ.).

რომელთა შესახებაც მარქსმა სთქვა, რომ ისინი საგლეხო რეფორმას «ემანსიპაციის» clair-obscur-ით * უცქერიან და ვერ ამჩნევენ, რომ ეს «ემანსიპაცია» მოასწავებდა მხოლოდ ერთი ფორმის შეცვლას მეორით, ფეოდალური ზედმეტი პროდუქტის შეცვლას ბურჟუაზიული ზედმეტი ღირებულებით. სწორედ ასევე მოხდა ჩვენშიც. პიროვნების დაბეჩავებას ჰქმნიდა სწორედ «ძველ-თავადაზნაურული» მეურნეობის სისტემა, რომელიც მოსახლეობას განსაზღვრულ ადგილზე ამაგრებდა და მას ცალკეული მემამულეების ქვეშევრდომთა პატარ-პატარა ჯგუფებად აქუცმაცებდა. და შემდეგ, — პიროვნების გრძნობის აღმავლობა გამოიწვია სწორედ კაპიტალიზმმა, რომელმაც მოჰგლიჯა პიროვნება ყოველგვარ ბატონყმურ ურთიერთობას, ჩააყენა ბაზრის მიმართ დამოუკიდებელ მდგომარეობაში, გადააქცია იგი საქონლისმფლობელად (და როგორც ასეთი — გაუთანასწორა ყველა სხვა საქონლისმფლობელს). თუ ბ. ნაროდნიკები ფარისევლურად გვიჩვენებენ თავს შეძრწუნებულად, როდესაც მათ რუსეთის კაპიტალიზმის პროგრესულობაზე ჩამოუგდებენ ლაპარაკს, — ეს ხდება მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი არ უფიქრდებიან «პროგრესის» იმ «სიკეთეთა» მატერიალური პირობების საკითხს, რომელნიც რეფორმისშემდგომი დროის რუსეთს ახასიათებენ. თუ ბ-ნი მიხაილოვსკი თავის «სოციოლოგიას» იწყებს «პიროვნებით», რომელიც პროტესტს უცხადებს რუსეთის კაპიტალიზმს, როგორც რუსეთის სწორი გზიდან შემთხვევითს და დროებითს გადახვევას, — ამით იგი უკვე იმათრახებს თავს, რადგან არ ესმის, რომ მხოლოდ კაპიტალიზმმა შეჰქმნა ის პირობები, რომლებმაც შესაძლებელი გახადეს პიროვნების ეს პროტესტი. — ამ მაგალითით კიდევ ერთხელ ვხედავთ, რა ცვლილებას საჭიროებს ბ-ნ სტრუვეს არგუმენტაცია. საკითხი ერთიანად უნდა გადაგვეტანა რუსეთის სინამდვილის ნიადაგზე, იმის გარკვევის ნიადაგზე, რაც არის, და რატომ არის სახელდობრ ასე და არა სხვანაირად: ნაროდნიკები მთელ თავიანთ სოციოლოგიას ტყუილად კი არ აგებდნენ იმაზე, რომ სინამდვილის ანალიზის ნაცვლად მსჯე-

* — პირბადის ჩამოფარება. რ ე დ.

ლობდნენ იმის შესახებ, თუ რა «შეიძლება იყოს»; მათ არ შეეძლოთ არ დაენახათ, რომ სინამდვილე დაუნდობლად ამსხვრევს მათს ილუზიებს.

«პიროვნებათა» თეორიის განხილვას ავტორი ასეთი ფორმულირებით ამთავრებს: «სოციოლოგიისათვის პიროვნება გარემოს ფუნქციაა», «პიროვნება აქ წარმოადგენს იმ ფორმალურ ცნებას, რომლის შინაარსსაც სოციალური ჯგუფის გამოკვლევა იძლევა» (40). უკანასკნელი დაპირისპირება განსაკუთრებით კარგად უსვამს ხაზს სუბიექტივიზმისა და მატერიალიზმის წინააღმდეგობას: «პიროვნებაზე» მსჯელობისას სუბიექტივისტები ამ ცნების შ ი ნ ა ა რ ს ს (ე. ი. ამ პიროვნების «ზრახვებსა და გრძნობებს», მის სოციალურ მოქმედებას) a priori საზღვრავდნენ, ე. ი. «სოციალური ჯგუფის გამოკვლევის» ნაცვლად თავიანთ უტოპიებს გვაჩეჩებდნენ.

მატერიალიზმის მეორე «მნიშვნელოვანი მხარე» — განაგრძობს ბ-ნი სტრუვე — «იმაში მდგომარეობს, რომ ეკონომიური მატერიალიზმი იდეას უმორჩილებს ფაქტს, შეგნებასა და ვალდებულებას — ყოფიერებას» (40). ამ შემთხვევაში «უმორჩილებს», რა თქმა უნდა, ნიშნავს: საზოგადოებრივ მოვლენათა ახსნაში დაქვემდებარებულ ადგილს აკუთვნებს. სუბიექტივისტი-ნაროდნიკები კი სწორედ წინააღმდეგ იქცევიან: თავიანთ მსჯელობაში ისინი «იდეალებიდან» გამოდიან და სულაც არ უფიქრდებიან იმას, რომ ეს იდეალები შეიძლება მხოლოდ ერთგვარი ანარეკლი იყვნენ სინამდვილისა, რომ, მაშასადამე, საჭიროა მათი შემოწმება ფაქტებით, მათი დაყვანა ფაქტებამდე. — მაგრამ ეს უკანასკნელი დებულება ნაროდნიკისათვის განუმარტებლად გაუგებარი იქნება. ეს როგორ შეიძლება? — ფიქრობს ის, — იდეალებმა უნდა დაჭგმონ ფაქტები, უნდა მიუთითონ, როგორ შეიცვალონ ისინი, უნდა შეამოწმონ ფაქტები და არა თვით იქნენ შემოწმებული ფაქტებითო. ეს უკანასკნელი ნაროდნიკს, რომელიც მიჩვეულია ოცნების სფეროებში ნავარდს, ფაქტთან შერიგებად ეჩვენება. განვმარტოთ.

«სხვის ხარჯზე მეურნეობის წარმოება», ექსპლოატაციის არსებობა როგორც თვით ექსპლოატირებულებში, ისე «ინტელი-

გენციის» ცალკეულ წარმომადგენლებში ყოველთვის წარმოშობს ამ სისტემის საწინააღმდეგო იდეალებს.

ეს იდეალები მეტისმეტად ძვირფასია მარქსისტისათვის; იგი მხოლოდ ამ იდეალების ნიადაგზე ეკამათება ნაროდნიკობას, იგი მხოლოდდამხოლოდ ამ იდეალების აგებისა და მათი განხორციელების საკითხის გამო კამათობს.

ნაროდნიკისათვის კი საკმაოა აღნიშნოს ასეთი იდეალების წარმომშობი ფაქტი, შემდეგ მოიყვანოს მითითება იდეალის კანონიერებაზე «თანამედროვე მეცნიერების და თანამედროვე ზნეობრივი იდეების» თვალსაზრისით [ამასთან მას არ ესმის, რომ ეს «თანამედროვე იდეები» მოასწავებენ მხოლოდ დასავლეთ ევროპის «საზოგადოებრივი აზრის» დათმობას ახლად-წარმოშობილი ძალის წინაშე] და მერე მოუწოდოს «საზოგადოებას» და «სახელმწიფოს»: უზრუნველჰყავით, დაიცავით, მოაწყეთო!

მარქსისტი იმავე იდეალიდან გამოდის, მაგრამ მას ადარებს არა «თანამედროვე მეცნიერებას და თანამედროვე ზნეობრივ იდეებს» *, არამედ ა რ ს ე ბ უ ლ კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ე ბ ს, — ამიტომ მას აყალიბებს არა როგორც «მეცნიერების» მოთხოვნას, არამედ როგორც ამა და ამ კლასის მოთხოვნას, რომელსაც ასეთი და ასეთი საზოგადოებრივი ურთიერთობა (რაც ობიექტურად გამოსაკვლევია) წარმოშობს და რომლის მიღწევა შეიძლება მხოლოდ ასე და ასე ამ ურთიერთობის ასეთი და ასეთი თვისებების გამო. თუ ა მ ნ ა ი რ ა დ არ დაიყვანეთ იდეალები ფაქტებამდე, ეს იდეალები გულუბრყვილო სურვილებად დარჩებიან, და არავითარი იმედი არ იქნება, რომ მასა ამ იდეალებს მიიღებს და, მაშასადამე, მათ განხორციელება ეღირსებათ.

აღნიშნავს რა ამრიგად ზოგად თეორიულ დებულებებს, რომლებიც გვაიძულებენ მატერიალიზმი საზოგადოებრივი მეცნიერე-

* ენგელსმა თავის წიგნში «Herrn E. Dührings Umwälzung der Wissenschaft» («გადატრიალება მეცნიერებაში, მოხდენილი ბ-ნ ე. დიურინგის მიერ» («ანტი-დიურინგი»). რ ე დ.) საუცხოოდ შენიშნა, რომ ეს არის ძველი ფსიქოლოგიური მეთოდი: შენი ცნება შეადარო არა ფაქტს, რომელსაც ის ასახავს, არამედ სხვა ცნებას, სხვა ფაქტის ასლს [88].

ბის ერთადერთ სწორ მეთოდად ვაღიაროთ, ბ-ნი სტრუვე გადადის მარქსისა და ენგელსის შეხედულებათა გადმოცემაზე და მოჰყავს ციტატები უმთავრესად უკანასკნელის თხზულებებიდან. წიგნის ეს ნაწილი მეტისმეტად საინტერესო და საგულისხმიეროა.

უაღრესად სამართლიანია ავტორის შენიშვნა, რომ «ვერსად ვერ შეხვდები მარქსის ისეთ გაუგებლობას, როგორც რუს პუბლიცისტებს შორის» (44). მაგალითისათვის მოყვანილია პირველ ყოვლისა ბ-ნი მიხაილოვსკი, რომელიც მარქსის «ისტორიულ-ფილოსოფიურ თეორიაში» მხოლოდ «კაპიტალისტური წყობილების გენეზისის» გარკვევას ხედავს. ბ-ნი სტრუვე სრული უფლებით აცხადებს პროტესტს ამის წინააღმდეგ. მართლაც, ეს უაღრესად დამახასიათებელი ფაქტია. ბ-ნ მიხაილოვსკის ბევრჯერ დაუწერია მარქსის შესახებ, მაგრამ არასოდეს კრინტიც არ დაუძრავს მ ა რ ქ ს ი ს მ ე თ ო დ ი ს დამოკიდებულებაზე «სოციოლოგიის სუბიექტური მეთოდისადმი». ბ-ნი მიხაილოვსკი სწერდა «კაპიტალის» შესახებ, «სოლიდარობას» (?) უცხადებდა მარქსის ეკონომიურ დოქტრინას, მაგრამ სრული დუმილით უვლიდა გვერდს საკითხს — მაგალითად — იმის შესახებ, უდგებიან თუ არა რუსეთის სუბიექტივისტები პრუდონის მეთოდს, პრუდონის, რომელსაც სასაქონლო მეურნეობა სამართლიანობის თავისი იდეალის მიხედვით უნდოდა გადაეკეთებინა? * რით განსხვავდება ეს კრიტერიუმი (სამართლიანობისა — justice éternelle) ბ-ნ მიხაილოვსკის კრიტერიუმისაგან: «თანამედროვე მეცნიერება და თანამედროვე ზნეობრივი იდეები»? და რატომ არ შეეკამათა ბ-ნი მიხაილოვსკი, რომელიც მუდამ ასე ენერგიულად აცხადებდა პროტესტს საზოგადოებრივ მეცნიერებათა მეთოდისა და ბუნების მეცნიერებათა მეთოდის გაიგივების წინააღმდეგ, მარქსის იმ განცხადებას, რომ პრუდონის ამგვარი მეთოდი სავსებით ისეთივე უაზრობაა, როგორც ის, ქიმიკოსს რომ «ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლის ნამდვილი კანონების შესწავლის» ნაცვლად ამ გაცვლა-გამოცვლის გარდაქმნა მოესურვებინა «თვისობის»

* «Das Kapital», I. B., 2-te Aufl., S. 62, Anm. 38 («კაპიტალი», ტ. I. გამ. მე-2, გვ. 62, შენიშ. 38. რ ე დ.)[99].

კანონების მიხედვით? რატომ არ შეეკამათა მარქსის იმ შეხედულებას, რომ სოციალური პროცესი «ბუნებრივ-ისტორიული პროცესია»? ლიტერატურის გაუცნობლობით ამას ვერ ახსნი: აშკარაა, აქ სრული გაუგებლობაა ან გაგების სურვილის უქონლობა. ბ-მა სტრუვემ ჩვენს ლიტერატურაში, ვგონებ, პირველმა განაცხადა ეს, — და ამაშია მისი დიდი დამსახურება.

გადავიდეთ ახლა ავტორის იმ განცხადებებზე მარქსიზმის შესახებ, რომელნიც კრიტიკას იწვევენ. «არ შეგვიძლია არ ვაღიაროთ,— ამბობს ბ-ნი სტრუვე, — რომ ამ მოძღვრების წ მ ი ნ დ ა ფ ი ლ ო ს ო ფ ი უ რ ი დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა ჯერ კიდევ არ არის მოცემული, და რომ მას ჯერ კიდევ ვერ დაუძლევია ის უზარმაზარი კონკრეტული მასალა, რომელსაც მსოფლიო ისტორია წარმოადგენს. აშკარაა, საჭიროა ფაქტების გადასინჯვა ახალი თეორიის თვალსაზრისით; საჭიროა თეორიის კრიტიკა ფაქტების მიხედვით. შეიძლება, ბევრი ცალმხრივობა და მეტად ნაუცბათევი განზოგადება უკუგდებულ იქნას» (46). სავსებით ნათლად არა სჩანს, რას გულისხმობს ავტორი «წმინდა ფილოსოფიურ დასაბუთებად»? მარქსისა და ენგელსის თვალსაზრისით, ფილოსოფიას არავითარი უფლება არა აქვს ცალკე დამოუკიდებელი არსებობისა, და მისი მასალა ნაწილდება პოზიტიური მეცნიერების სხვადასხვა დარგს შორის. ამრიგად, ფილოსოფიურ დასაბუთებად შეიძლება ვიგულისხმოთ ა ნ მისი დებულებების შეფარდება სხვა მეცნიერებათა მტკიცედ დადგენილ კანონებთან [და ბ-მა სტრუვემ თვითონ აღიარა, რომ ფსიქოლოგია უკვე იძლევა ისეთ დებულებებს, რომელნიც გვაიძულებენ უარვყოთ სუბიექტივიზმი და მივიღოთ მატერიალიზმი], ა ნ ამ თეორიის გამოყენების ცდა. ამ მხრივ კი ჩვენ გვაქვს თვით ბ-ნ სტრუვეს განცხადება, რომ «მატერიალიზმს ყოველთვის დარჩება ის დამსახურება, რომ მან მოგვცა მთელი რიგი (ეს NB) დიდად მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტების ღრმად მეცნიერული, ჭეშმარიტად ფ ი ლ ო ს ო ფ ი უ რ ი (ხაზგასმა ავტორისაა) განმარტება» (50). ავტორის უკანასკნელი განცხადება შეიცავს იმის აღიარებას, რომ მატერიალიზმი სოციოლოგიის ერთადერთი მეცნიერული მეთოდია, და ამიტომ,

რა თქმა უნდა, საჭიროა «ფაქტების გადასინჯვა» ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით გადასინჯვა რუსეთის ისტორიის და სინამდვილის ფაქტებისა, რომელთაც ასე გულმოდგინედ ამახინჯებდნენ რუსეთის სუბიექტივისტები. რაც შეეხება უკანასკნელ შენიშვნას შესაძლებელ «ცალმხრივობათა» და «მეტად ნაუცბათევ განზოგადებათა» შესახებ, — ჩვენ არ შევჩერდებით ამ ზოგად და ამიტომ ბუნდოვან შენიშვნაზე და პირდაპირ მივმართავთ ერთ-ერთ იმ შესწორებას, რომელიც «ორთოდოქსიით შეუპყრობელ» ავტორს შეაქვს მარქსის «მეტად ნაუცბათევ განზოგადებებში».

საქმე შეეხება სახელმწიფოს. უარჰყოფდნენ რა სახელმწიფოს, «მარქსი და მისი მიმდევრები» «მეტად გაიტაცა თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს გაკრიტიკებამ», და ისინი «ცალმხრივობაში» გადავარდნენ. «სახელმწიფო — ასწორებს ამ გატაცებას ბ-ნი სტრუვე — პირველ ყოვლისა წ ე ს რ ი გ ი ს ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა ა; (კლასობრივი) ბატონობის ორგანიზაციას კი იგი იმ საზოგადოებაში წარმოადგენს, სადაც ერთი ჯგუფის დამორჩილება მეორის მიერ მისი ეკონომიური სტრუქტურიდან გამომდინარეობს» (53). ავტორის აზრით, გვაროვნულმა ყოფამ იცოდა სახელმწიფო, რომელიც კლასთა მოსპობის შემდეგაც დარჩება, ვინაიდან სახელმწიფოს ნიშნეულობა — იძულებითი ძალაუფლებაა.

საკვირველია, რომ ავტორი თავისი პროფესორული თვალსაზრისით ასე საოცრად უსაბუთოდ აკრიტიკებს მარქსს. უპირველეს ყოვლისა, ის სრულიად შემცდარია, როცა სახელმწიფოს განმასხვავებელ ნიშნეულობას იძულებითს ძალაუფლებაში ხედავს: იძულებითი ძალაუფლება არსებობს ადამიანთა ყოველგვარ თანაცხოვრებაში, გვაროვნულ წყობილებაშიც, ოჯახშიც. მაგრამ სახელმწიფო იქ არ იყო. «სახელმწიფოს არსებითს ნიშნეულობას — ამბობს ენგელსი სწორედ იმ თხზულებაში, საიდანაც ბ-მა სტრუვემ ამოიღო ციტატა სახელმწიფოს შესახებ, — შეადგენს საჯარო ხელისუფლება, რომელიც გამოყოფილია ხალხის მასისაგან» [«Ursprung der Familie u. s. w.», 2-te

Aufl., S. 84 *; რუს. თარგმ., გვ. 109], და ცოტა უფრო ზევით იგი ლაპარაკობს ნავკრარიების[90] დაწესების შესახებ, რომ იგი «ორნაირად უთხრიდა ძირს გვაროვნულ წყობილებას: ჯერ-ერთი, იგი ჰქმნიდა საჯარო ხელისუფლებას (oeffentliche Gewalt — რუსულ თარგმანში შეცდომით არის გადმოცემული: საზოგადოებრივი ძალა), რომელიც უკვე აღარ ეთანაბრებოდა შეიარაღებული ხალხის კრებულს» (ib. **, S. 79; რუს. თარგმ., გვ. 105) [91]. ამრიგად, სახელმწიფოს ნიშნეულობა არის არსებობა პიროვნებათა განსაკუთრებული კლასისა, რომლის ხელშიც თავმოყრილია ძ ა ლ ა უ ფ ლ ე ბ ა. იმ თემს, სადაც «წესრიგის ორგანიზაციას» რიგრიგობით უძღვება ყ ვ ე ლ ა მისი წევრი, რასაკვირველია, ვერავინ ვერ უწოდებდა სახელმწიფოს. შემდეგ, თანამედროვე სახელმწიფოს მიმართ ბ-ნ სტრუვეს მსჯელობა კიდევ უფრო უსუსურია. სახელმწიფოზე თქმა, რომ იგი «უპირველეს ყოვლისა (sic!?!) წესრიგის ორგანიზაციაა» — ნიშნავს მარქსის თეორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პუნქტის გაუგებლობას. ის განსაკუთრებული ფენა, რომელსაც თანამედროვე საზოგადოებაში ძალაუფლება უპყრია, არის ბიუროკრატია. ამ ორგანოს უშუალო და უმჭიდროესი კავშირი თანამედროვე საზოგადოებაში გაბატონებულ ბურჟუაზიის კლასთან აშკარავდება როგორც ისტორიიდან (ბიუროკრატია იყო ბურჟუაზიის პირველი პოლიტიკური იარაღი ფეოდალების წინააღმდეგ, საზოგადოდ «ძველ-თავადაზნაურული» წყობის წარმომადგენელთა წინააღმდეგ, ის იყო პირველი გამოსვლა პოლიტიკური ბატონობის ასპარეზზე არა დიდგვაროვანი მიწათმფლობელებისა, არამედ უაზნოებისა, «მეშჩანობისა»), ისე თვით ამ კლასის წარმოშობისა და შევსების პირობებიდან; ამ კლასში თავისუფლად შესვლა შეუძლიათ მხოლოდ «ხალხიდან გამოსულ» ბურჟუაზიულ ელემენტებს, ამ ბურჟუაზიასთან იგი ათასი მაგარი ძაფით არის შეკავშირებული ***. ავტორის შეცდომა მით უფრო

* — «ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა», მე-2 გამოც., გვ. 84. რ ე დ.

** — ibidem — იქვე. რ ე დ.

*** შეად. K. M a r x, «Bürgerkrieg in Frankreich», S. 23 (Lpz. 1876) (კ. მ ა რ ქ ს ი. «სამოქალაქო ომი საფრანგეთში», გვ. 23. ლეიპციგი. 1876.

სამწუხაროა, რომ სწორედ რუსეთის ნაროდნიკებს, რომელთა წინააღმდეგ გალაშქრების ასეთი კარგი აზრი დაებადა მას, წარმოდგენა არა აქვთ იმაზე, რომ ყოველი ბიუროკრატია თავისი ისტორიული წარმოშობითაც, თავისი თანამედროვე წყაროთიც და თავისი დანიშნულებითაც წარმოადგენს წმინდა და განსაკუთრებულ ბურჟუაზიულ დაწესებულებას, რომელსაც შეუძლიათ მიმართონ მწარმოებლის ინტერესების თვალსაზრისით მხოლოდ წვრილი ბურჟუაზიის იდეოლოგებმა.

ღირს ცოტა შევჩერდეთ კიდევ მარქსიზმის დამოკიდებულებაზე ეთიკისადმი. ავტორს 64 — 65-ე გვერდზე მოჰყავს ენგელსის საუცხოო განმარტება თავისუფლების დამოკიდებულებისა აუცილებლობისადმი: «თავისუფლება აუცილებლობის შეგნებაა» [93]. დეტერმინიზმი არათუ არ გულისხმობს ფატალიზმს, არამედ, პირიქით, სწორედ ის იძლევა ნიადაგს გონივრული მოქმედებისათვის. არ შეიძლება არ დავძინოთ ამას, რომ რუსეთის სუბიექტივისტები ვერ გაერკვნენ ისეთ ელემენტარულ საკითხშიც კი, როგორიცაა ნებისყოფის თავისუფლების საკითხი. ბ-ნი მიხაილოვსკი უმწეოდ იბნეოდა, — ერთმანეთში ურევდა დეტერმინიზმსა და ფატალიზმს და გამოსავალს პოულობდა... ორ სკამზე ჯდომაში: არ სურდა რა უარეყო კანონზომიერება, იგი ამტკიცებდა, რომ ნებისყოფის თავისუფლება — ჩვენი შეგნების ფაქტიაო (ნამდვილად ეს მირტოვის იდეაა, გადმოღებული ბ-ნ მიხაილოვსკის მიერ) და ამიტომ იგი შეიძლება საფუძვლად დაედოს ეთიკასო. ცხადია, სოციოლოგიისათვის ამ იდეებს არაფრის მიცემა არ შეეძლოთ, გარდა უტოპიისა თუ უშინაარსო მორალისა, რომელიც უგულვებელჰყოფს საზოგადოებაში წარმოებულს კლასთა ბრძოლას. ამიტომ არ შეიძლება სამართლიანად

რ ე დ.) და «Der achtzehnte Brumaire», S. 45 — 46 (Hmb. 1885) [92] («თვრამეტი ბრიუმერი», გვ. 45 — 46, ჰამბურგი. 1885. რ ე დ.): «საფრანგეთის ბურჟუაზიის მატერიალური ინტერესი მჭიდროდ არის გადახლართული ამ ფართო და დიდად განშტოებული მექანიზმის დაცვასთან [ლაპარაკია ბიუროკრატიაზე]. აქ ასაღებს ის თავის ჭარბ მოსახლეობას და სახაზინო ჯამაგირის სახით ივსებს იმას, რის მიღებაც ვერ მოახერხა მოგების, პროცენტების, რენტისა და ჰონორარის სახით».

არ ჩავთვალოთ ზომბარტის მტკიცება, რომ «თვით მარქსიზმში თავიდან ბოლომდე არ არის ეთიკის ნატამალი»: თეორიულად იგი «ეთიკურ თვალსაზრისს» უმორჩილებს «მიზეზობრივობის პრინციპს», ხოლო პრაქტიკულად — ის კლასობრივ ბრძოლამდე დაჰყავს.

მატერიალიზმის გადმოცემას ბ-ნი სტრუვე თან ურთავს «ორი ფაქტორის» შეფასებას მატერიალისტური თვალსაზრისით — «ინტელიგენციისა» და «სახელმწიფოსი», «რომელნიც მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ნაროდნიკების ყველა აზრთწყობაში» (70). ამ შეფასებასაც ემჩნევა ავტორის იგივე «არაორთოდოქსალურობა», რომელიც ზევით აღვნიშნეთ მისი ობიექტივიზმის გამო. «თუ... საერთოდ ყველა საზოგადოებრივი ჯგუფი რეალურ ძალას წარმოადგენს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც... ისინი საზოგადოებრივ კლასებს უდგებიან ან ემხრობიან, მაშინ, ცხადია, «უწოდებრივო ინტელიგენცია» არ არის რეალური საზოგადოებრივი ძალა» (70). აბსტრაქტული თეორიული აზრით ავტორი, რა თქმა უნდა, მართალია. ის ნაროდნიკებს, ასე ვთქვათ, სიტყვაში იჭერს. თქვენ ამბობთ, რომ რუსეთი ინტელიგენციამ «სხვა გზებზე» უნდა დააყენოს, მაგრამ არ გესმით, რომ, თუ იგი კლასს არ ემხრობა, მაშინ ის ნულია. თქვენ ტრაბახობთ, რომ რუსეთის უწოდებრივო ინტელიგენცია ყოველთვის განირჩეოდა იდეათა «სიწმინდით» — სწორედ ამიტომ იყო იგი ყოველთვის უძლურიო. ავტორის კრიტიკა კმაყოფილდება იმით, რომ უაზრო ნაროდნიკულ ი დ ე ა ს ინტელიგენციის ყოვლისშემძლებლობაზე უპირისპირებს თავის სრულიად სამართლიან ი დ ე ა ს «ინტელიგენციის უძლურებაზე ეკონომიურ პროცესში» (71). მაგრამ ასეთი დაპირისპირება არ კმარა. მსჯელობა რომ ვიქონიოთ რუსეთის «უწოდებრივო ინტელიგენციაზე», როგორც რუსეთის საზოგადოების განსაკუთრებულ ჯგუფზე, რომელიც ასე ახასიათებს მთელ რეფორმისშემდგომ ეპოქას,—უაზნოს მიერ აზნაურის საბოლოო გაძევების ეპოქას,— რომელმაც, უეჭველად, ითამაშა და დღესაც თამაშობს ერთგვარ ისტორიულ როლს, — ამისათვის საჭიროა ჩვენი «უწოდებრივო ინტელიგენციის» იდეები და უფრო მეტად მისი პროგრა-

მები დავუპირისპიროთ რუსეთის საზოგადოების ამა თუ იმ კლასთა მდგომარეობასა და ინტერესებს. რათა მიკერძება არავინ დაგვწამოს, ჩვენ თვითონ კი არ მოვახდენთ ამ დაპირისპირებას, არამედ დავკმაყოფილდებით იმ ნაროდნიკის დამოწმებით, რომლის სტატიაც განმარტებული იყო პირველ თავში. ყველა მისი შენიშვნიდან სრულიად გარკვეული დასკვნა გამომდინარეობს: რუსეთის მოწინავე, ლიბერალური, «დემოკრატიული» ინტელიგენცია ბურჟუაზიული ინტელიგენცია იყო. «უწოდებრივობა» სულაც არ უარჰყოფს ინტელიგენციის იდეების კლასობრივ წარმოშობას. ბურჟუაზია ფეოდალიზმის წინააღმდეგ ყველგან და ყოველთვის უწოდებრივობის გულისთვის გამოდიოდა; ჩვენშიც ძველ-თავადაზნაურული, წოდებრივი წყობილების წინააღმდეგ უწოდებრივო ინტელიგენცია გამოვიდა. ბურჟუაზია ყველგან და ყოველთვის დრომოჭმული წოდებრივი ჩარჩოებისა და სხვა საშუალოსაუკუნეობრივი დაწესებულებების წინააღმდეგ გამოდიოდა მთელი «ხალხის» გულისთვის, რომელშიც კლასობრივი წინააღმდეგობანი ჯერ კიდევ არ იყო განვითარებული, — და ბურჟუაზია როგორც დასავლეთ ევროპაში, ისე რუსეთშიც, მართალი იყო, რადგან მის მიერ გაკრიტიკებული დაწესებულებები მართლაც ყველას ავიწროებდა. როგორც კი რუსეთში წოდებრივობას გადამჭრელი ლახვარი ჩაეცა (1861), — «ხალხში» მაშინვე იჩინა თავი ანტაგონიზმმა, ხოლო ამასთან ერთად და ამის გამო ანტაგონიზმმა თავი იჩინა აგრეთვე უწოდებრივო ინტელიგენციაში ლიბერალებსა და გლეხობის იდეოლოგებს—ნაროდნიკებს შორის (გლეხობაში უშუალო მწარმოებლების პირველი რუსი იდეოლოგები ვერ ხედავდნენ, და ვერც დაინახავდნენ, მოწინააღმდეგე კლასთა გაჩენას). შემდგომმა ეკონომიურმა განვითარებამ უფრო ნათლად გამოააშკარავა სოციალური წინაალმდეგობანი რუსეთის საზოგადოებაში, მან ცხადი გახადა ფაქტი გლეხობის დაშლისა სოფლის ბურჟუაზიად და პროლეტარიატად. ნაროდნიკობა თითქმის სავსებით წვრილი ბურჟუაზიის იდეოლოგიად გადაიქცა და გაემიჯნა მარქსიზმს. ამიტომ რუსეთის «უწოდებრივო ინტელიგენცია» «რეალურ საზოგადოებრივ ძალას» წარმოადგენს, რამ-

დენადაც იგი საერთო-ბურჟუაზიულ ინტერესებს ესარჩლება*. თუ, მიუხედავად ამისა, ამ ძალამ ვერ შესძლო შეექმნა შესაფერი დაწესებულებანი იმ ინტერესებისათვის, რომლებსაც იგი იცავს, ვერ გარდაქმნა «რუსეთის თანამედროვე კულტურის ატმოსფერო» (ბ-ნი ვ. ვ.), თუ «პოლიტიკური ბრძოლის ეპოქაში აქტიური დემოკრატიზმი» შეიცვალა «საზოგადოებრივი ინდიფერენტიზმით» (ბ-ნი ვ. ვ. «ნედელიაში», 1894 წ., № 47), — ამის მიზეზი იმალება არა მარტო მშობლიური «უწოდებრივო ინტელიგენციის» მეოცნებე ხასიათში, არამედ უმთავრესად იმ კლასთა მდგომარეობაში, რომელთაგან იგი გამოდიოდა, და რომელთაგანაც ძალღონეს იკრებდა, მათს ორპირობაში. უდავოა, რომ რუსეთის «ატმოსფერო» მათთვის ბევრ მინუსს წარმოადგენდა, მაგრამ იგი მათ ზოგიერთ პლუსსაც აძლევდა.

რუსეთში განსაკუთრებით დიდია იმ კლასის ისტორიული როლი, რომელიც, ნაროდნიკების აზრით, არ არის «შრომის წმინდა იდეის» მატარებელი; მის «აქტიურობას» ვერ მოადუნებთ «საწებლიანი თართის» შეჭამადით. ამიტომ მარქსისტების მხრით ამ კლასზე მითითება არათუ არ «სწყვეტს დემოკრატიულ ძაფს», როგორც ირწმუნება ბ-ნი ვ. ვ., რომელიც დახელოვნებულია ყოვლად წარმოუდგენელი აბდაუბდის გამოგონებაში მარქსისტების შესახებ, არამედ, პირიქით, იჭერს ამ «ძაფს», რომელსაც ხელიდან უშვებს გულგრილი «საზოგადოება», და მოითხოვს მის განვითარებას, განმტკიცებას და ცხოვრებასთან მიახლოებას.

---

* ნაროდნიკულ სურვილთა დიდი ნაწილის წვრილბურჟუაზიული ხასიათი აღნიშნული იყო პირველ თავში. იმ სურვილებს, რომელნიც ამ დახასიათებას არ უდგებიან (მაგ., «შრომის განსაზოგადოება»), თანამედროვე ნაროდნიკობაში სულ უმნიშვნელო ადგილი უკავიათ. «რუსსკოე ბოგატსტვოც» (1893 წ., № 11 — 12, იუჟაკოვის სტატია: «რუსეთის ეკონომიური განვითარების საკითხები») და ბ-ნი ვ. ვ-ც («თეორიული ეკონომიის ნარკვევები», სპბ. 1895) პროტესტს უცხადებენ ბ-ნ ნ. —ონს. რომელიც «მკაცრად» (ბ-ნ იუჟაკოვის გამოთქმაა) შეეხო კრედიტების, მიწათმფლობელობის გაფართოების, გადასახლებების და სხვ. გაცვეთილ პანაცეას.

ინტელიგენციის არასრულ შეფასებასთან დაკავშირებით ბ-ნ სტრუვეს შრომაში არის შემდეგი დებულება, რომლის ფორმულირება სავსებით დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვლება. «უნდა დავამტკიცოთ, — ამბობს იგი, — რომ ძველი ეკონომიური წყობის დაშლა აუცილებელია» (71). ჯერ-ერთი, რას გულისხმობს ავტორი «ძველ ეკონომიურ წყობად»? ბატონყმობას? — მაგრამ მისი დაშლის მტკიცება საჭიროც აღარ არის. — «სახალხო წარმოებას»? — მაგრამ ქვევით ხომ თვითონვე ამბობს და სავსებით სამართლიანადაც ამბობს, რომ ეს სიტყვათშეხამება «არავითარ რეალურ ისტორიულ წესწყობას არ შეეფერება» (177), რომ ეს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მითია, ვინაიდან «ბატონყმობის» გაუქმების შემდეგ ჩვენში სწრაფად იწყო განვითარება სასაქონლო მეურნეობამ. ალბათ, ავტორი გულისხმობდა კაპიტალიზმის განვითარების იმ სტადიას, როცა იგი ჯერ კიდევ არ არის სავსებით განთავისუფლებული საშუალოსაუკუნეობრივ დაწესებულებათაგან, როცა ჯერ ისევ ძლიერია სავაჭრო კაპიტალი და წვრილი წარმოება ჯერ კიდევ არსებობს მწარმოებელთა დიდი ნაწილისათვის. მეორე, რაში ხედავს ავტორი ამ აუცილებლობის კრიტერიუმს? ამა და ამ კლასთა ბატონობაში? წარმოებითი ურთიერთობის ამა თუ იმ სისტემის თვისებებში? ორივე შემთხვევაში საკითხი ეხება ამა თუ იმ (კაპიტალისტური) წესების ა რ ს ე ბ ო ბ ი ს დ ა დ ა ს ტ უ რ ე ბ ა ს; საკითხი ეხება ფ ა ქ ტ ი ს დ ა დ ა ს ტ უ რ ე ბ ა ს, და იგი არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადატანილიყო მომავალზე მსჯელობის სფეროში. ამგვარი მსჯელობის მონოპოლიური მფლობელობა უნდა დავულოცოთ ბ-ნ ნაროდნიკებს, რომელნიც «სამშობლოსათვის სხვა გზებს» ეძებენ. ავტორი შემდეგსავე გვერდზე თვითონვე ამბობს, რომ ყოველი სახელმწიფო არის «განსაზღვრულ საზოგადოებრივ კლასთა ბატონობის გამოხატულება», რომ «საჭიროა სოციალური ძალის გადანაწილება ცალკეულ კლასებს შორის იმისთვის, რომ სახელმწიფომ ძირფესვიანად შესცვალოს თავისი გეზი» (72). ყოველივე ეს სავსებით მართალია და ძალიან მოსწრებულად არის მიმართული ნაროდნიკების წინააღმდეგ, და ამისდა მიხედვით საჭი-

რო იყო საკითხის სხვანაირად დასმა: უნდა დავამტკიცოთ (არა «დაშლის აუცილებლობა» და სხვ.), რომ რუსეთში არსებობს კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობა; უნდა დავამტკიცოთ, რომ რუსეთის მონაცემებითაც მართლდება ის კანონი, რომ «სასაქონლო მეურნეობა კაპიტალისტური მეურნეობაა», ე. ი. რომ ჩვენშიც სასაქონლო მეურნეობა ყველგან კაპიტალისტურ მეურნეობად იქცევა; უნდა დავამტკიცოთ, რომ ყველგან არსებითად ბურჟუაზიული წესები ბატონობენ, რომ სწორედ ამ კლასის ბატონობა, და არა ყბადაღებული ნაროდნიკული «შემთხვევითობანი» თუ «პოლიტიკა» და სხვ., იწვევს მწარმოებლის განთავისუფლებას წარმოების საშუალებებისაგან და მის მიერ ყველგან მეურნეობის წარმოებას სხვის ხარჯზე.

ამით დავასრულოთ ბ-ნ სტრუვეს წიგნის პირველი, ზოგადი ხასიათის მქონე, ნაწილის განხილვა.

თ ა ვ ი III

როგორ აყენებენ ეკონომიურ საკითხებს ნაროდნიკები და ბ-ნი სტრუვე

სოციოლოგიის საკითხს რომ მორჩა, ავტორი გადადის უფრო «კონკრეტულ ეკონომიურ საკითხებზე» (73). ამასთან მას «ბუნებრივად და კანონიერად» მიაჩნია დაიწყოს «ზოგადი დებულებებითა და ისტორიული ცნობებით», «უდავო, ზოგადკაცობრიული ცდით დადგენილი, დებულებებით», — როგორც იგი წინასიტყვაობაში ამბობს.

არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ ამ ხერხს ახლავს იგივე აბსტრაქტულობა, რომელიც თავიდანვე აღვნიშნეთ, როგორც განსახილველი წიგნის ძირითადი ნაკლი. იმ თავებში, რომლებზედაც ახლა გადავდივართ (მესამე, მეოთხე და მეხუთე), ამ ნაკლს ორგვარი არასასურველი შედეგი მოჰყვა. ერთი მხრით, მან შეასუსტა ის გარკვეული თეორიული დებულებები, რომელნიც ავტორმა ნაროდნიკების წინააღმდეგ წამოაყენა.

ბ-ნი სტრუვე მსჯელობს საზოგადოდ, ასურათებს ნატურალური მეურნეობიდან სასაქონლო მეურნეობაზე გადასვლას, აღნიშნავს, რომ ქვეყნად მეტწილად ასე და ასე ხდებოდაო, ამასთან ცალკეული, გაკვრითი შენიშვნებით გადადის რუსეთზე და მასზედაც ავრცელებს «სამეურნეო ყოფის ისტორიული განვითარების» ზოგად პროცესს. უდავოა, რომ ასეთი გავრცელება სრულიად კანონიერია, რომ ავტორის «ისტორიული ცნობები» სავსებით აუცილებელია ნაროდნიკობის გასაკრიტიკებლად, რომელსაც შემცდარად აქვს წარმოდგენილი არა მარტო რუსეთის ისტორია. მაგრამ საჭირო იყო ავტორს ეს დებულებები უფრო კონკრეტულად გამოეთქვა, უფრო გარკვეულად დაეპირისპირებინა ისინი ნაროდნიკების საბუთებისათვის, რადგან ნაროდნიკები უარჰყოფენ რუსეთზე საერთო პროცესის გავრცელების სისწორეს; საჭირო იყო ნაროდნიკების მიერ რუსეთის სინამდვილის ესა თუ ის გაგება დაეპირისპირებინა მარქსისტების მხრით იმავე სინამდვილის სხვაგვარი გაგებისათვის. მეორე მხრით, ავტორის მსჯელობათა აბსტრაქტულ ხასიათს მოსდევს მისი დებულებების დაუბოლოვებლობა, ის, რომ ავტორი, სისწორით აღნიშნავს რა ამა თუ იმ პროცესის არსებობას, ვერ არკვევს, ამასთან ერთად რა კლასები ჩამოყალიბდნენ, რა კლასები იყვნენ ამ პროცესის მატარებელნი, რომელნიც ჩრდილავდნენ მოსახლეობის სხვა, მათდამი დამორჩილებულ ფენებს; ერთი სიტყვით, ავტორის ობიექტივიზმი აქ არ მიდის მატერიალიზმამდე — ამ ტერმინების ზემოთ აღნიშნული მნიშვნელობით *.

---

* ობიექტივიზმისა და მატერიალიზმის ასეთი თანაშეფარდება, სხვათა შორის, აღნიშნული აქვს მარქსს თავისი თხზულების «Der achtzehnte Brumaire des Louis Bonaparte»-ს («თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა». რ ე დ.) წინასიტყვაობაში. მარქსი ამბობს, რომ იმავე ისტორიულ ამბავზე სწერდა პრუდონი (Coup d'état), და მის თვალსაზრისს, თავის შეხედულებასთან დაპირისპირებით, შემდეგნაირად ახასიათებს:

«პრუდონი, თავის მხრით, ცდილობს სახელმწიფო გადატრიალება [2 დეკემბრის] წარმოგვიდგინოს ადრინდელი ისტორიული განვითარების შედეგად. მაგრამ სახელმწიფო გადატრიალების ისტორიული კონსტრუქცია

ბ-ნ სტრუვეს თხზულების ხსენებული თავების ასეთი შეფასების დამამტკიცებელ საბუთებს მოვიყვანთ ახლავე, ცალკეული, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი დებულებების განხილვის დროს.

უაღრესად სწორია ავტორის შენიშვნა, რომ «რუსეთის ისტორიაში თითქმის პირველ ფურცლებიდანვე გვხვდება უშუალო მწარმოებლების დამოკიდებულება (იურიდიული და ეკონომიური) ბატონებისაგან, როგორც «სახალხო წარმოების» იდილიის ისტორიული თანამგზავრი» (81). ნატურალური მეურნეობის ხანაში გლეხი დამონებული ჰყავდა მიწათმფლობელს, იგი მუშაობდა არა თავისთვის, არამედ ბოიარინისა, მონასტრისა, მემამულისათვის, — და ბ-ნი სტრუვე სრულიად სამართლიანად უპირისპირებს ამ ისტორიულ ფაქტს ჩვენი თვითმყოფი სოციოლოგების ლაყბობას, ვითომ «წარმოების საშუალებები მწარმოებელს ეკუთვნოდა» (81). ასეთი ლაყბობა რუსეთის ისტორიის ერთი იმ დამახინჯებათაგანია მეშჩანური უტოპიის საამებლად, რაშიც ნაროდნიკები ყოველთვის ასეთ სიუხვეს იჩენდნენ. მათ ეშინოდათ პირდაპირ შეეხედნათ სინამდვილისათვის, ეშინოდათ ამ ჩაგვრისათვის თავისი ნამდვილი სახელი ეწოდებინათ, და მიმართავდნენ ისტორიას, — საქმის ვითარებას ისე ხატავდნენ, თითქოს მწარმოებელს წარმოების საშუალებანი «ძველთაგანვე» ეკუთვნოდა, თითქოს ეს იყო გლეხის შრომის «საუკუნოვანი ბურჯი» და თითქოს გლეხობის თანამედროვე ექსპროპრიაცია ამიტომ აიხსნება არა იმით, რომ ფეოდალური ზედმეტი პროდუქტი ბურჟუაზიულმა ზეღირებულებამ შესცვალა, არა ჩვენი საზოგადოებრივი მეურნეობის კაპიტალისტური ორგანიზაციით, არამედ უხეირო პოლიტიკის შემთხვევითობით, დროებით «გადახვევით იმ გზისა-

---

მის ხელში გადაიქცა ამ გადატრიალების გმირის ისტორიულ აპოლოგიად. ამრიგად, იგი ჩვენი ეგრეთწოდებული ობიექტური ისტორიკოსების შეცდომაში ვარდება. მე, პირიქით, ვაამკარავებ, როგორ შეჰქმნა კლასობრივმა ბრძოლამ საფრანგეთში ისეთი პირობები და გარემოებანი, რომლებმაც ჩვეულებრივს და სასაცილო პიროვნებას საშუალება მისცეს გმირის როლი ეთამაშნა» (Vorwort) [94].

გან, რომელსაც ერის მთელი ისტორიული ცხოვრება გვიკარნახებს» (ბ-ნი იუჟაკოვი, მოყვანილი აქვს პ. სტრუვეს, გვ. 15). და აი ამ სულელურ ზღაპრებს გაუწითლებლად გვიამბობდნენ იმ ქვეყანაზე, რომელშიც მხოლოდ ახლახან მოისპო* გლეხობის ბატონყმური ექსპლოატაცია მეტად უხეშ, აზიურ ფორმებში, როდესაც არათუ წარმოების საშუალებანი არ ეკუთვნოდა მწარმოებელს, არამედ თვით მწარმოებელნიც ძალიან ნაკლებად განირჩეოდნენ რომელიმე «წარმოების საშუალებისაგან». ბ-ნი სტრუვე ამ «მოშაქრულ ოპტიმიზმს» ძალიან მოსწრებულად უპირისპირებს სალტიკოვის მკვეთრ აზრს «სახალხო წარმოებასა» და ბატონყმობას შორის არსებულ კავშირზე, იმაზე, თუ როგორ «უვარდებოდათ ხელში» «საუკუნოვან ბურჯთა» ეპოქის «სიუხვე» «მხოლოდ [ეს დაიხსომეთ] ლეიბ-კამპანელთა[95] მემკვიდრეებს და სხვა მოლაშქრეებს» (83).

შემდგომ, აღვნიშნოთ ბ-ნ სტრუვეს შემდეგი შენიშვნა, რომელიც გარკვეულად ეხება რუსეთის სინამდვილის გარკვეულ ფაქტებს და რომელიც უაღრესად სწორ აზრს შეიცავს. «როდესაც მწარმოებლები მუშაობას იწყებენ არა ადგილობრივი, ზუსტად განსაზღვრული, არამედ შორეული და გაურკვეველი ბაზრისათვის, და როდესაც ვითარდება კონკურენცია, ბრძოლა ბაზრისათვის, — ეს პირობები ტექნიკურ პროგრესს იწვევენ... რაკი შრომის დანაწილება შესაძლებელია, იგი რაც შეიძლება ფართოდ უნდა გატარდეს, მაგრამ, ვიდრე წარმოების ტექნიკური რეორგანიზაცია მოხდებოდეს, გაცვლა-გამოცვლის (გასაღების) ახალი პირობების გავლენა იმაში იჩენს თავს, რომ მწარმოებელი ვაჭრის (შემყიდველის) ეკონომიურ დამოკიდებულებაში ჩავარდება, ამ მომენტს კი სოციალურად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ეს მხედველობიდან ეპარებათ ბ-ნ ვ. ვ-ის

* ჯერჯერობით არც კი შეიძლება ითქვას, რომ საბოლოოდ მოისპო. ერთი მხრით, ჩვენ გვაქვს გამოსაყიდი გადასახდელები (ხოლო ყველამ ვიცით, რომ მათში შევიდა არა მარტო მიწის ფასი, არამედ ბატონყმური უფლების გამოყიდვაც); მეორე მხრით, მაგალითად, გლეხების საბატონო სამუშაოები «ჩამონაჭერი მიწებისათვის»—წარმოების ფეოდალური წესის პირდაპირი ნაშთი.

მსგავს ჩვენს «ჭეშმარიტ მარქსისტებს», რომელნიც დაბრმავებულნი არიან წმინდა ტექნიკური პროგრესის მნიშვნელობით» (98). შემყიდველის გაჩენის გადამწყვეტი მნიშვნელობის ეს აღნიშვნა მეტად სწორია. იგი გადამწყვეტია იმ აზრით, რომ უსათუოდ ამტკიცებს უკვე წარმოების კაპიტალისტური ორგანიზაციის არსებობას, ამტკიცებს, რომ რუსეთსაც შეეფარდება ის დებულება, რომ «სასაქონლო მეურნეობა — ფულადი მეურნეობა — კაპიტალისტური მეურნეობაა» და ჰქმნის მწარმოებლის იმ დამორჩილებას კაპიტალისადმი, საიდანაც სხვა გამოსავალი არ არის, გარდა მწარმოებლის თვითმოქმედებისა. «იმ მომენტიდან, რაც მომხმარებელსა და მწარმოებელს შორის მეწარმე-კაპიტალისტი დგება, — ეს კი აუცილებელია ფართო და გაურკვეველი ბაზრისათვის წარმოების დროს,—ჩვენს წინაშეა კაპიტალისტური წარმოების ერთ-ერთი ფორმა». და ავტორი სამართლიანად დასძენს, რომ, «თუ შინამრეწველურ წარმოებად ვიგულისხმებთ ისეთ წარმოებას, რომლის დროსაც მწარმოებელი მუშაობს გაურკვეველი და შორეული ბაზრისათვის და სრული ეკონომიური დამოუკიდებლობით სარგებლობს, — მაშინ აღმოჩნდება, რომ ასეთი ნამდვილი შინამრეწველობა რუსეთის სინამდვილეში, შეიძლება, არც კი არსებობდეს». ტყუილად არის მხოლოდ ნახმარი აქ სიტყვა «შეიძლება» და მომავალი დრო: მსხვილი წარმოების საშინაო სისტემის უპირატესობა და შემყიდველთა მიერ შინამრეწველების სრული დამონება—ჩვენი შინამრეწველური სარეწების ნამდვილი ორგანიზაციის საყოველთაოდ გავრცელებული და გაბატონებული ფაქტია. ეს ორგანიზაცია არა მარტო კაპიტალისტურია, არამედ, ავტორის სწორი თქმით, «ძალიან ხელსაყრელიცაა კაპიტალისტებისათვის», იგი უზრუნველჰყოფს მათს გიგანტურ მოგებას, საძაგლად დაბალ ხელფასს და უაღრესად აფერხებს მუშების დარაზმვასა და განვითარებას (გვ. 99 — 101). არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ჩვენს შინამრეწველურ სარეწებში კაპიტალისტური ექსპლოატაციის უპირატესობის ფაქტი დიდი ხანია ცნობილია, მაგრამ ნაროდნიკები სრულიად მოურიდებლად უგულვებელჰყოფენ მას. მათი ჟურნალებისა და გაზეთების

თითქმის ყოველ ნომერში, სადაც კი ლაპარაკია ამ საგანზე, შეხვდებით წუწუნს, რომ მთავრობა «ხელოვნურად» უწყობს ხელს მსხვილ კაპიტალიზმს [რომლის მთელი «ხელოვნურობა» იმაში მდგომარეობს, რომ იგი მსხვილია და არა წვრილი, საფაბრიკოა და არა შინამრეწველური, მექანიკურია და არა ხელისშრომითი] და არაფერს არ აკეთებს «ს ა ხ ა ლ ხ ო მრეწველობის საჭიროებათათვის». აქ მთელი სიცხადით აშკარავდება იმ წვრილი ბურჟუას შეზღუდულობა, რომელიც იბრძვის წვრილი კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ა თ ვ ი ს მსხვილის წინააღმდეგ და დაჟინებით ხუჭავს თვალს იმ უდავოდ დადგენილ ფაქტზე, რომ ამ «სახალხო» მრეწველობაშიც არსებობს ინტერესთა ასეთივე წინააღმდეგობა და რომ, მაშასადამე, გამოსავალს უბადრუკი კრედიტები და სხვ. როდი წარმოადგენენ. რადგან წვრილ მეურნეს, რომელიც მიჯაჭვულია თავის მეურნეობაზე და მუდამ მისი დაკარგვის შიშშია, ყოველივე ეს ეჩვენება რაღაც საშინელებად, რაღაც «აგიტაციად» «შრომის სამართლიან სასყიდელზე, თითქოს თვით შრომა არ ჰქმნიდეს თავისი ნაყოფით ამ სასყიდელს», — ამიტომ ცხადია, რომ შინამრეწველთა მშრომელი მასის ერთადერთი წარმომადგენელი შეიძლება იყოს მხოლოდ მწარმოებელი, რომელიც საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის «ხელოვნურ», «სათბურისებურ» პირობებში იმყოფება *.

შევჩერდეთ კიდევ ბ-ნ სტრუვეს მსჯელობაზე მიწათმოქმედების შესახებ. ორთქლის ტრანსპორტი გვაიძულებს გადავიდეთ გაცვლითს მეურნეობაზე, იგი სასოფლო-სამეურნეო წარმოებას სასაქონლო წარმოებად აქცევს. წარმოების სასაქონლო ხასიათი კი აუცილებლად მოითხოვს «მის ეკონომიურ და ტექნიკურ რაციონალობას» (110). ეს დებულება ავტორს მიაჩნია განსაკუთრებით მნიშვნელოვან არგუმენტად ნაროდნიკების წინააღმდეგ, რომელნიც სიხარულით აღნიშნავენ მიწათმოქმე-

---

* «მთელი პროცესი იმაში გამოიხატება, რომ წვრილი წარმოება (ხელოსნობა) ზოგი თავისი ელემენტით «კაპიტალიზმს» უახლოვდება, ზოგით — დაქირავებულ შრომას, რომელიც თავისუფალია წარმოების საშუალებათაგან» (გვ. 104).

დებაში მსხვილი წარმოების უპირატესობის (ვითომდა) დაუმტ-კიცებლობას. «მათ, ვინც მარქსის მოძღვრებას ეყრდნობა, — უპასუხებს მათ ავტორი, — არ შეჰფერით უარჰყონ მნიშვნელობა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიური და ტექნიკური თავისებურებებისა, რომელთა მეოხებითაც ზოგიერთ შემთხვევაში წვრილ საწარმოებს, მსხვილთან შედარებით, ეკონომიური უპირატესობა აქვთ, — თუნდაც თვითონ მარქსი უარჰყოფდეს კიდეც ამ თავისებურებათა მნიშვნელობას» (111). ძალიან ბუნდოვანი ადგილია. რა თავისებურებებზე ლაპარაკობს ავტორი? რატომ არ აღნიშნავს მათ ზუსტად? რატომ არ აღნიშნავს, სად და როგორ გამოსთქვამდა მარქსი თავის აზრს ამაზე და რა საბუთებით ხდება საჭირო ამ აზრის შესწორება?

«წვრილმა სამიწათმოქმედო წარმოებამ — განაგრძობს ავტორი — სულ უფრო და უფრო სასაქონლო ხასიათი უნდა მიიღოს, და იმისთვის, რომ ცხოველმყოფელ ს ა წ ა რ მ ო ე ბ ა დ გადაიქცნენ, წვრილმა სამიწათმოქმედო მეურნეობებმა ეკონომიური და ტექნიკური რაციონალობის საერთო მოთხოვნები უნდა დააკმაყოფილონ» (111). «საქმე სრულიადაც იმაში არ არის, წვრილ სამიწათმოქმედო საწარმოებს მსხვილი საწარმოები ჩაყლაპავენ თუ არა — ეკონომიური ევოლუციის ასეთი შედეგი მოსალოდნელი არც კია, — საქმე იმ მეტამორფოზშია, რომელსაც გაცვლა-გამოცვლის ზეგავლენით მთელი სახალხო მეურნეობა განიცდის. ნაროდნიკები მხედველობიდან უშვებენ, რომ ნატურალური მეურნეობის გაძევება გაცვლითი მეურნეობის მიერ, ზემოთ აღნიშნულ «მრეწველობის გაფანტვასთან» დაკავშირებით, სრულებით სცვლის საზოგადოების მთელ სტრუქტურას. წინანდელი შეფარდება (სოფლის) სამიწათმოქმედო და (ქალაქის) არასამიწათმოქმედო . მოსახლეობას შორის ირღვევა უკანასკნელის სასარგებლოდ. სამეურნეო ცხოვრების ახალი პირობების ზეგავლენით ძირფესვიანად იცვლება თვით სასოფლო-სამეურნეო მწარმოებელთა ეკონომიური ტიპი და ფსიქიკური წყობა» (114).

მოყვანილი ადგილი განგვიმარტავს, რა უნდოდა ავტორს ეთქვა თავისი ტირადით მარქსის შესახებ, და ამავე დროს

ცხადად ასურათებს ზემოაღნიშნულ შენიშვნას, რომ გადმოცემის დოგმატური წესი, რომელიც არ ემყარება კონკრეტული პროცესის გამოხატვას, ავტორის აზრს აბნელებს და დაუმთავრებელ ხასიათს აძლევს მას. მისი დებულება ნაროდნიკულ შეხედულებათა მცდარობის შესახებ სავსებით სწორია, მაგრამ სრული არ არის, იმიტომ რომ მას თან არ ახლავს კლასობრივი ანტაგონიზმის იმ ახალი ფორმების აღნიშვნა, რომლებიც ვითარდებიან არარაციონალური წარმოების რაციონალური წარმოებით ამ შეცვლის დროს. ავტორი, მაგალითად, ნხოლოდ გაკვრით იხსენიებს იმას, რომ «ეკონომიური რაციონალობა» ნიშნავს «უმაღლეს რენტას» (110), მაგრამ მას ავიწყდება დაუმატოს, რომ რ ე ნ ტ ა გულისხმობს მ ი წ ა თ მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა ს, ე. ი., ჯერ-ერთი, მის სავსებით დამორჩილებას ბაზრისადმი და, მეორეც, მიწათმოქმედებაში ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის იმავე კლასთა გაჩენას, რომელნიც კაპიტალისტურ ინდუსტრიასაც ახასიათებენ.

როცა ნაროდნიკები ჩვენი მიწათმოქმედების ვითომდა არაკაპიტალისტურ ორგანიზაციაზე მსჯელობენ, ისინი საკითხს საშინლად ვიწროდ და უმართებულოდ სვამენ, რადგან ყოველივეს უკავშირებენ წვრილ მეურნეობათა გაძევებას მსხვილ მეურნეობათა მიერ, — ეს არის და ეს. ბ-ნი სტრუვე სრულიად სამართლიანად ეუბნება მათ, რომ ასეთი მსჯელობის დროს ისინი ვერ ამჩნევენ სამიწათმოქმედო წარმოების საერთო ხასიათს, რომელიც შეიძლება ბურჟუაზიული იყოს (და ნამდვილადაც არის ჩვენში) წვრილი წარმოების დროსაც, როგორც ბურჟუაზიულია დასავლეთ ევროპის გლეხთა მეურნეობა. ის პირობები, რომლებშიც წვრილი დამოუკიდებელი (რუსეთის ინტელიგენციის ტერმინოლოგიით — «სახალხო») მეურნეობა ბურჟუაზიული ხდება, ცნობილია: ეს არის, ჯერ-ერთი, ბატონობა სასაქონლო მეურნეობისა, რომელიც მწარმოებელთა განკერძოებულობის დროს* კონკურენციას ჰბადებს მათ

* ცხადია, ლაპარაკია ს ა მ ე უ რ ნ ე ო განკერძოებულობაზე. სათემო მიწათ მ ფ ლ ო ბ ე ლ ო ბ ა მას სულაც არ სპობს. რაც უნდა «გამთანაბრებელი»

შორის და, აღატაკებს რა მასას, ამდიდრებს მცირეოდენთ; მეორე — ეს არის სამუშაო ძალის გადაქცევა საქონლად, ხოლო წარმოების საშუალებებისა — კაპიტალად, ე. ი. მწარმოებლის განთავისუფლება წარმოების საშუალებათაგან და მრეწველობის უმნიშვნელოვანეს დარგთა კაპიტალისტური ორგანიზაცია. ამ პირობებში წვრილი დამოუკიდებელი მწარმოებელი განსაკუთრებულ მდგომარეობაში ვარდება მწარმოებელთა მასის მიმართ, — როგორც ჩვენშიც დღეს ნამდვილად დამოუკიდებელი მეურნენი გამონაკლისს წარმოადგენენ იმ მასაში, რომელიც სხვის ხარჯზე მუშაობს და რომელსაც არა აქვს არათუ «დამოუკიდებელი» მეურნეობა, არამედ ერთი კვირის საარსებო საშუალებაც კი. დამოუკიდებელი მეურნის მდგომარეობა და ინტერესები აცალკევებენ მას მწარმოებელთა მასისაგან, რომელნიც უმთავრესად ხელფასით ცხოვრობენ. მაშინ როდესაც ეს უკანასკნელნი აყენებენ «სამართლიანი სასყიდლის» საკითხს, რომელიც აუცილებელი შესავალია საზოგადოებრივი მეურნეობის სხვანაირი მოწყობის ძირითადი საკითხისა, — პირველს გაცილებით უფრო მეტად სულ სხვა აინტერესებს: კრედიტი, განსაკუთრებით კი წვრილი «სახალხო» კრედიტი, გაუმჯობესებული და გაიაფებული იარაღები, «გასაღების ორგანიზაცია», «მიწათმფლობელობის» გაფართოება» და სხვ.

თვით კანონი მსხვილ მეურნეობათა უპირატესობისა წვრილთა მიმართ მხოლოდ სასაქონლო წარმოების კანონია და, მაშასადამე, იგი არ შეიძლება მივუყენოთ იმ მეურნეობებს, რომელნიც ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არიან ჩაბმულნი სასაქონლო წარმოებაში, არ ექვემდებარებიან ბაზარს. ამიტომ ის არგუმენტაცია (რომელშიც, სხვათა შორის, ბ-ნი ვ. ვ-იც ვარჯიშობდა), ვითომ რეფორმის შემდგომ თავადაზნაურთა მეურნეობების დაცემა და გლეხების მიერ კერძომფლობელური მიწების

გადაყოფა მოხდეს, გლეხი მაინც ცალკე ეწევა მეურნეობას თავის ნაჭერ მიწაზე, მაშასადამე, იგი განკერძოებულ, განცალკევებულ მწარმოებელს წარმოადგენს.

იჯარით აღება აქარწყლებს ჩვენი მიწათმოქმედების კაპიტალისტური ევოლუციის აზრს, — ეს არგუმენტაცია ამტკიცებს მხოლოდ საქმის სრულ გაუგებლობას იმათ მხრივ, ვინც მას მიმართავდა. ცხადია, იმ ბატონყმურ ურთიერთობათა დარღვევამ, როცა კულტურა გლეხების ხელში იყო, გამოიწვია მემამულეთა კრიზისი. მაგრამ გარდა იმისა, რომ ამ კრიზისმა გამოიწვია მხოლოდ მოჯამაგირეთა და დღიურ მუშათა შრომის უფრო და უფრო ფართოდ გამოყენება, რამაც შესცვალა ნახევრად-ფეოდალური შრომის დრომოჭმული ფორმები (სამუშაო ბეგარა), — გარდა ამისა, თვით გლეხურმა მეურნეობამ არსებითად იწყო თავისი ხასიათის შეცვლა: იგი იძულებული გახდა ბაზრისათვის ემუშავა, რასაც მალე მოჰყვა გლეხობის გათიშვა სოფლის წვრილ ბურჟუაზიად და სოფლის პროლეტარიატად. ეს გათიშვა საბოლოოდ სწყვეტს რუსეთში კაპიტალიზმის არსებობის საკითხს. ბ-ნი სტრუვე აღნიშნულ პროცესს არკვევს V თავში, სადაც იგი შენიშნავს: «ხდება წვრილი მიწათმოქმედის დიფერენციაცია: ერთი მხრით, ვითარდება «ეკონომიურად ღონიერი» [უნდა ეთქვა: ბურჟუაზიული] გლეხობა, მეორე მხრით — პროლეტარული ტიპის გლეხობა. სახალხო წარმოების თვისებები უერთდებიან კაპიტალისტურს, და იქმნება ერთი სურათი, რომელსაც გარკვევით აწერია: ბობოლა მოდის» (გვ. 177).

აი საქმის ამ მხარეს, ახალი, «რაციონალური» მიწათმოქმედების ბურჟუაზიულ ორგანიზაციას უნდა მიქცეოდა ყურადღება. უნდა დაგენახვებინათ ნაროდნიკებისათვის, რომ აღნიშნული პროცესის უგულვებელყოფით ისინი გლეხობის იდეოლოგებიდან წვრილი ბურჟუაზიის იდეოლოგებად იქცევიან. «სახალხო წარმოების ამაღლება», რომელიც მათ ასე სწადიათ, გლეხური მეურნეობის ასეთი ორგანიზაციის დროს მხოლოდ წვრილი ბურჟუაზიის «ამაღლებას» ნიშნავს. პირიქით, ისინი, ვინც უფრო განვითარებულ კაპიტალისტურ ურთიერთობაში მყოფ მწარმოებელზე უთითებს, სწორად გამოხატავენ არა მარტო ამ მწარმოებლის, არამედ «პროლეტარული» გლეხობის მთელი უზარმაზარი მასის ინტერესებსაც.

ბ-ნ სტრუვეს გადმოცემის არადამაკმაყოფილებლობამ, მისმა არასისრულემ და ბოლომდე გამოუთქმელობამ ის გამოიწვია, რომ, რაციონალურ მიწათმოქმედებაზე ლაპარაკის დროს, მას არ დაუხასიათებია მისი საზოგადოებრივ-ეკონომიური ორგანიზაცია, — რომ იმის აღნიშვნის დროს, თუ ორთქლის ტრანსპორტი როგორ სცვლის არარაციონალურ წარმოებას რაციონალურით, ნატურალურ წარმოებას — სასაქონლო წარმოებით, მას არ დაუხასიათებია კლასობრივი ანტაგონიზმის ის ახალი ფორმა, რომელიც ამასთან ერთად ჩნდება.

საკითხების დასმის იგივე ნაკლი ახასიათებს მსჯელობის დიდ ნაწილს აღნიშნულ თავებში. საილუსტრაციოდ რამდენიმე მაგალითს კიდევ მოვიყვან. სასაქონლო მეურნეობა — ამბობს ავტორი — და შრომის ფართო საზოგადოებრივი დანაწილება «თავიანთ განვითარებაში ემყარებიან კერძო საკუთრების ინსტიტუტს, ეკონომიური თავისუფლების პრინციპებს და ინდივიდუალიზმის გრძნობას» (91). ნაციონალური წარმოების პროგრესი დაკავშირებულია «საზოგადოებაზე კერძო საკუთრების ინსტიტუტის გაბატონების ზომასთან». «შეიძლება, ეს სამწუხაროც იყოს, მაგრამ სინამდვილეში ასე ხდება, ეს — ემპირიულად, ისტორიულად დამყარებული თანაარსებობაა. ამჟამად, როცა ასე ზერელედ აბუჩად იგდებენ XVIII საუკუნის იდეებსა და პრინციპებს, არსებითად კი ამავე საუკუნის შეცდომას იმეორებენ, — ძალიან ხშირად ივიწყებენ ეკონომიური პროგრესის ამ კულტურულ-ისტორიულ კავშირს კერძო საკუთრების ინსტიტუტთან, ეკონომიური თავისუფლების პრინციპებთან და ინდივიდუალიზმის გრძნობასთან. მხოლოდ ამ კავშირის უგულვებელყოფით შეიძლება იმის იმედი იქონიოთ, რომ ეკონომიურად და კულტურულად განუვითარებელი საზოგადოებისათვის სამეურნეო პროგრესი შესაძლებელია ხსენებულ საწყისთა განუხორციელებლად. ჩვენ არავითარ განსაკუთრებულ სიმპათიას არა ვგრძნობთ ამ საწყისებისადმი და კარგადაც გვესმის მათი ისტორიულად-გ ა რ დ ა მ ა ვ ა ლ ი ხასიათი, მაგრამ ამავე დროს ჩვენ არ შეგვიძლია არ დავინახოთ მათში უდიდესი — არა მარტო უარყოფითი, არამედ დადებითი — კულტურული ძალა.

მისი არდანახვა შეუძლია მხოლოდ იდეალიზმს, რომელსაც ჰგონია, რომ თავის აზროვნებაში სრულიად თავისუფალია ყოველგვარი ისტორიული მონაცვლეობისაგან» (91).

ავტორი სავსებით მართალია «ისტორიული თანაარსებობის» თავის «ობიექტურ» აღნიშვნაში, მაგრამ მით უფრო საწყენია მისი არგუმენტაციის დაუბოლოოებლობა. პირდაპირ გინდა უთხრა: სთქვით ბოლომდე! შეუფარდეთ ეს ზოგადი დებულებანი და ისტორიული ცნობები ჩვენი რუსეთის ისტორიის განსაზღვრულ პერიოდს, ჩამოაყალიბეთ ისინი იმგვარად, რომ დავინახოთ, სახელდობრ რატომ და რით განსხვავდება თქვენი გაგება ნაროდნიკული გაგებისაგან, დაუპირისპირეთ ისინი სინამდვილეს, რომელიც კრიტერიუმად უნდა ჰქონდეს რუს მარქსისტს, გამოააშკარავეთ კლასობრივი წინააღმდეგობანი, რომლებსაც ყველა ეს პროგრესი და კულტურა აფუჩეჩენ *.

ის «პროგრესი» და ის «კულტურა», რომელიც რეფორმისშემდგომი დროის რუსეთმა მოგვიტანა, უეჭველად, «კერძო საკუთრების ინსტიტუტთან» არის დაკავშირებული, — ის პირველად არა მარტო გატარებულ იქნა მთელი სისრულით ახალი «საპაექრო» სამოქალაქო პროცესის შექმნით, რაც სასამართლოში ისეთსავე «თანასწორობას» უზრუნველჰყოფს, როგორიც განსახიერებული იყო ცხოვრებაში «თავისუფალი შრომით» და მისი მიყიდვით კაპიტალისათვის; იგი გავრცელდა როგორც ყოველგვარ სახელმწიფო ბეგარა-მოვალეობისაგან თავისუფალ მემამულეთა, ისე იმ გლეხთა მიწათმფლობელობაზე, რომელნიც მ ე ს ა კ უ თ რ ე-გლეხებად გადაიქცნენ; იგი საფუძვლადაც კი დაედო «მოქალაქეთა» პოლიტიკურ უფლებებს ადგილობრივ თვითმმართველობაში მონაწილეობის მისაღებად (ცენზი) და

* Contra principia negantem disputari non potest (ძირითად დებულებათა უარმყოფელთან დავა შეუძლებელია. რ ე დ.) — ამბობს ავტორი ნაროდნიკებთან კამათის შესახებ. ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ ჩამოვაყალიბებთ ამ principia-ს, — როგორც ზოგად დებულებებს და ცნობებს, თუ როგორც რუსეთის ისტორიისა და სინამდვილის ამა და ამ ფ ა ქ ტ ე ბ ი ს სხ ვ ა გ ვ ა რ გ ა გ ე ბ ა ს.

სხვ. კიდევ უფრო უეჭველია ჩვენი «პროგრესის» «კავშირი» «ეკონომიური თავისუფლების პრინციპებთან»: ჩვენ უკვე მოვისმინეთ პირველ თავში ჩვენი ნაროდნიკისაგან, რომ ეს «თავისუფლება» იმაში მდგომარეობდა, რომ რუსეთის მიწა-წყლის «თავმდაბალ და წვეროსან» შემკრებელთ თავი აღარ უნდა «დაემდაბლებინათ პოლიციის დაბალი მოხელის წინაშე». ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ იმაზე, როგორ ჰქმნიდა «ინდივიდუალიზმის გრძნობას» სასაქონლო მეურნეობის განვითარება. თუ მშობლიური პროგრესის ყველა ამ თვისებას თავ'ს მოვუყრით, არ შეიძლება არ მივიდეთ იმ დასკვნამდე (რომელიც 70-იანი წლების ნაროდნიკმაც გამოიტანა), რომ ეს პროგრესი და კულტურა ერთიანად ბურჟუაზიული იყო. თანამედროვე რუსეთი ბევრად უკეთესია რეფორმისწინადროინდელ რუსეთზე, მაგრამ რადგან მთელი ეს გაუმჯობესება მთლიანად და მხოლოდდამხოლოდ ბურჟუაზიის, მისი აგენტებისა და იდეოლოგების წყალობით მოხდა, მწარმოებლებმა ამ გაუმჯობესებით ვერც კი ისარგებლეს. მათთვის ეს გაუმჯობესება მხოლოდ ზედმეტი პროდუქტის ფორმის გამოცვლას ნიშნავდა, მხოლოდ იმ წესების გაუმჯობესებას და სრულყოფას ნიშნავდა, რომლებიც მწარმოებელს წარმოების საშუალებათაგან ათავისუფლებდნენ. ამიტომ ბბ. ნაროდნიკები წარმოუდგენელ «ფუქსავატობას» და გულმავიწყობას იჩენენ, როცა რუსეთის კაპიტალიზმისა და ბურჟუაზიულობის საწინააღმდეგო პროტესტით იმათ მიმართავენ, ვინც სწორედ მათი მატარებელი და გამტარებელი იყო. სწორედ მათ შესახებ შეიძლება ითქვას: «ძაღლი პატრონს ვერა სცნობსო».

თანამედროვე ნაროდნიკს არ ძალუძს დაეთანხმოს რეფორმისშემდგომი დროის რუსეთისა და «საზოგადოების» ამგვარ კვალიფიკაციას. ხოლო თუ ამას გამოედავება, მან უნდა უარჰყოს რეფორმისშემდგომი დროის რუსეთის ბურჟუაზიული ხასიათი, უარჰყოს სწორედ ის, რისთვისაც იბრძოდა მისი შორეული წინაპარი, 70-იანი წლების ნაროდნიკი, და «ხალხში მიდიოდა» «მომავლის საწინდრის» საძებნელად თვით უშუალო მწარმოებელთა შორის. რა თქმა უნდა, შეიძ-

ლება, თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე ნაროდნიკმა გაბედოს და არათუ უარჰყოს ეს, არამედ იმის მტკიცებაც კი დაიწყოს, რომ ამ მხრივ ერთგვარი გაუმჯობესება მოხდაო; მაგრამ ამით ის მხოლოდ ყველას დაანახვებდა, ვინც ჯერ კიდევ ვერ ხედავს ამას, რომ იგი მხოლოდ ჩვეულებრივ პ ა ტ ა რ ა ბ ურ ჟ უ ა ს წარმოადგენს და სხვას არაფერს.

როგორც მკითხველი ხედავს, მე მიხდება მხოლოდ დავასრულო ბ-ნ სტრუვეს დებულებანი, სხვანაირად ჩამოვაყალიბო ისინი, — «ვთქვა იგივე სიტყვა, მხოლოდ სხვანაირად». საკითხავია, საჭიროა თუ არა ეს? ღირს თუ არა ასე დაწვრილებით შეჩერება ამ დამატებებსა და დასკვნებზე? განა ისინი თავისთავად არ იგულისხმებიან?

მე მგონია, — ღირს, ორი მოსაზრებით. ჯერ-ერთი, ავტორის ვიწრო ობიექტივიზმი ძალიან საშიშია, რადგან იმ საზღვრის დავიწყებამდე მიდის, რომელიც არსებობს ძველს, ჩვენს ლიტერატურაში ასე ფესვგადგმულს, სამშობლოს სვე-ბედისა და გზების შესახებ პროფესორულ მსჯელობასა, — და ამა და ამ კლასთა მიერ ამოძრავებული ნამდვილი პროცესის სწორ დახასიათებას შორის. ეს ვიწრო ობიექტივიზმი, ეს მერყეობა მარქსიზმის გატარების საქმეში — ბ-ნ სტრუვეს წიგნის ძირითადი ნაკლია, და მასზე საჭიროა განსაკუთრებით დაწვრილებით შევჩერდეთ იმის დასანახვებლად, რომ იგი გამომდინარეობს სწორედ არა მარქსიზმიდან, არამედ მისი არასაკმაოდ გატარებიდან; არა იქიდან, რომ ავტორი, სინამდვილის გარდა, თავისი თეორიის სხვა კრიტერიუმს ხედავდეს, რომ მას სხვა პრაქტიკული დასკვნები გამოჰყავდეს დოქტრინიდან (ვიმეორებ, ეს შეუძლებელია, წარმოუდგენელია მისი ყველა მთავარი დებულების დაუმახინჯებლად), არამედ იქიდან, რომ ავტორი დაკმაყოფილდა თეორიის ერთი, ყველაზე უფრო ზოგადი, მხარით და არ გაატარა იგი სრული თანმიმდევრულობით. მეორე, არ შეიძლება არ დავეთანხმოთ იმ აზრს, რომელიც ავტორს წინასიტყვაობაში აქვს გამოთქმული: ვიდრე ნაროდნიკობას გავაკრიტიკებდით კერძო საკითხებში, საჭირო იყო «უთანხმოების თვით საფუძვლების გამოაშკარავება» (VII)

«პრინციპული პოლემიკის» საშუალებითო. მაგრამ სწორედ იმისთვის, რომ ავტორის ეს მიზანი მიულწეველი არ დარჩეს, საჭიროა თითქმის ყველა მის დებულებას უფრო კონკრეტული აზრი მიეცეს, საჭიროა მისი მეტად ზოგადი მითითებანი დაყვანილ იქნას რუსეთის ისტორიისა და სინამდვილის კონკრეტულ საკითხებზე. ყველა ამ საკითხში რუს მარქსისტებს ჯერ კიდევ დიდი მუშაობა მოუხდებათ «ფაქტების გადასინჯვის» მხრით მატერიალისტური თვალსაზრისით, — კლასობრივ წინააღმდეგობათა გამოაშკარავება «საზოგადოებისა» და «სახელმწიფოს» მოქმედებაში, «ინტელიგენციის» თეორიებზე, — ბოლოს, მუშაობა მოუხდებათ იმისთვის, რომ კავშირი დაამყარონ რუსეთის «სახალხო» წარმოებაში შექმნილი ზედმეტი პროდუქტის მითვისების ყველა ცალკეულ, უსაზღვროდ მრავალგვარ ფორმასა და ამ მითვისების იმ მოწინავე, ყველაზე უფრო განვითარებულ კაპიტალისტურ ფორმას შორის, რომელიც შეიცავს «მომავლის საწინდარს» და წინ აყენებს ამჟამად «მწარმოებლის» იდეას და ისტორიულ ამოცანას. ამიტომ, რაც უნდა გაბედულად სჩანდეს ამ საკითხთა გადაჭრის მითითების ცდა, რამდენი ცვლილება და შესწორებაც არ უნდა გამოიწვიოს მათმა შემდეგმა, დეტალურმა შესწავლამ, — მაინც ღირს შრომის გაწევა კონკრეტული საკითხების დასახვაზე, რათა მათი რაც შეიძლება უფრო ზოგადი და ფართო განხილვა გამოიწვიო.

ბ-ნ სტრუვეს იმ ვიწრო ობიექტივიზმის კულმინაციურ წერტილს, რომელიც მასში იწვევს საკითხების უმართებულოდ დასმას, წარმოადგენს მისი მსჯელობა ლისტზე, მის «შესანიშნავ მოძღვრებაზე» «ნაციონალურ საწარმოო ძალთა კონფედერაციის» შესახებ, სოფლის მეურნეობისათვის საფაბრიკო მრეწველობის განვითარების მნიშვნელობაზე, მანუფაქტურულ-სამიწათმოქმედო სახელმწიფოს უპირატესობაზე სამიწათმოქმედო სახელმწიფოს მიმართ და სხვ. ავტორი ფიქრობს, რომ ეს «მოძღვრება» მეტისმეტად «დამაჯერებლად ლაპარაკობს კაპიტალიზმის ისტორიულ აუცილებლობასა და კანონიერებაზე

ამ სიტყვის ფართო აზრით» (123), «გამარჯვებული სასაქონლო წარმოების კულტურულ-ისტორიულ ძალოვნებაზე» (124).

ავტორის, მსჯელობათა პროფესორული ხასიათი აქ განსაკუთრებით აშკარავდება; ავტორი თითქოს მაღლა დგება ყოველგვარ განსაზღვრულ ქვეყნებსა, განსაზღვრულ ისტორიულ პერიოდებსა და განსაზღვრულ კლასებზე. როგორადაც უნდა შეხედოთ ამ მსჯელობას, — წმინდა თეორიული თუ პრაქტიკული მხრით, — ასეთი შეფასება ერთნაირად მართებული იქნება. დავიწყოთ პირველით. განა უცნაური არ არის ვიფიქროთ, ვითომ აბსტრაქტული, დოგმატური დებულებებით საფაბრიკო მრეწველობის მნიშვნელობის შესახებ შეიძლება ვისიმე «დარწმუნება» განსაზღვრული ქვეყნისათვის «კაპიტალიზმის ისტორიულ აუცილებლობასა და კანონიერებაში»? განა შეცდომა არ არის საკითხის დასმა ამ ნიადაგზე, რომელიც ასე მოსწონთ «რუსსკოე ბოგატსტვოს» ლიბერალურ პროფესორებს? განა სავალდებულო არ არის მარქსისტისათვის მთელი საქმე იმის გამორკვევამდე დაიყვანოს, რაც არის და სახელდობრ რატომ არის ასე და არა სხვანაირად?

ნაროდნიკებს ჩვენი კაპიტალიზმი ხელოვნურ, სათბურის მცენარედ მიაჩნიათ, იმიტომ რომ არ ესმით მისი კავშირი ჩვენი საზოგადოებრივი მეურნეობის მთელ სასაქონლო ორგანიზაციასთან, ვერ ხედავენ მის ფესვებს ჩვენს «სახალხო წარმოებაში». დაანახვეთ მათ ეს კავშირი და ფესვები, დაანახვეთ, რომ კაპიტალიზმი ყველაზე ნაკლებ განვითარებული და ამიტომ უარესი ფორმით სახალხო წარმოებაშიც ბატონობს, — და თქვენ დაამტკიცებთ რუსეთის კაპიტალიზმის «აუცილებლობას». დაანახვეთ, რომ ეს კაპიტალიზმი, ადიდებს რა შრომის ნაყოფიერებას და განასაზოგადოებს მას, ავითარებს და არკვევს იმ კლასობრივ, სოციალურ წინააღმდეგობას, რომელიც ყველგან დამყარდა «სახალხო წარმოებაში», — და თქვენ დაამტკიცებთ რუსეთის მსხვილი კაპიტალიზმის «კანონიერებას». რაც შეეხება ამ მსჯელობის პრაქტიკულ მხარეს, რომელიც სავაჭრო პოლიტიკის საკითხს უკავშირდება, ამაზე შეიძლება შემდეგი ითქვას. რუსი მარქსისტები, როცა

უწინარეს ყოვლისა და ყველაზე ძლიერ ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ვაჭრობის თავისუფლებისა და პროტექციონიზმის საკითხი კაპიტალისტური საკითხია, ბურჟუაზიული პოლიტიკის საკითხია, — უნდა იცავდნენ ვაჭრობის თავისუფლებას, რადგან რუსეთში განსაკუთრებული სიძლიერით აშკარავდება რეაქციული ხასიათი პროტექციონიზმისა, რომელიც აფერხებს ქვეყნის ეკონომიურ განვითარებას, ემსახურება ბურჟუაზიის არა მთელი კლასის ინტერესებს, არამედ ერთ მუჭა ოლიგარქ-ბობოლებს, — რადგან ვაჭრობის თავისუფლება მოასწავებს იმ პროცესის დაჩქარებას, რომელსაც მოაქვს კაპიტალიზმისაგან თავის დასაღწევი საშუალებანი.

III თავის უკანასკნელი პარაგრაფი (XI) ეძღვნება «კაპიტალიზმის» ცნების გარჩევას. ავტორი მეტად სამართლიანად აღნიშნავს, რომ ეს სიტყვა «ფრიად თავისუფლად» იხმარება, მოჰყავს მისი «ძალიან ვიწრო» და «ძალიან ფართო» გაგების მაგალითები, მაგრამ არავითარ ზუსტად გარკვეულ ნიშნებს არ იძლევა; ცნება — «კაპიტალიზმი», მიუხედავად ავტორის მიერ განხილვისა, განუხილველი დარჩა. ამავე დროს კი ეს, თითქოს, განსაკუთრებულ სიძნელეს არ უნდა წარმოადგენდეს, იმიტომ რომ ეს ცნება მეცნიერებაში მარქსმა შემოიღო და მანვე დაასაბუთა ფაქტიურად. მაგრამ ბ-ნ სტრუვეს აქაც არა სურს «ორთოდოქსიით» იყოს შეპყრობილი. «თვითონ მარქსს — ამბობს იგი — პროცესი ს ა ს ა ქ ო ნ ლ ო წარმოების გადაქცევისა ს ა ს ა ქ ო ნ ლ ო-კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ წარმოებად, შეიძლება, წარმოდგენილი ჰქონდა უფრო სწრაფ და სწორხაზოვან მოვლენად, ვიდრე ნამდვილად არის» (გვ. 127, შენიშ.). შეიძლება. მაგრამ ვინაიდან ეს ერთადერთი მეცნიერულად დასაბუთებული და კაპიტალის ისტორიით დადასტურებული წარმოდგენაა, ვინაიდან სხვაგვარ, «შეიძლება» ნაკლებად «სწრაფ» და ნაკლებად «სწორხაზოვან», წარმოდგენას ჩვენ არ ვიცნობთ, ამიტომ მივმართოთ მარქსს. მისი მოძღვრების მიხედვით კაპიტალიზმის არსებითს ნიშნეულობას შეად-

გენს (1) სასაქონლო წარმოება, როგორც წარმოების ზ ო გ ა-
დ ი ფორმა. პროდუქტი საქონლის ფორმას ღებულობს უაღრე-
სად სხვადასხვაგვარ საზოგადოებრივ საწარმოო ორგანიზმში,
მაგრამ შრომის პროდუქტის ასეთი ფორმა მხოლოდ კაპიტა-
ლისტურ წარმოებაში ხდება ზ ო გ ა დ ი და არა განსაკუთრე-
ბული, არა ერთეული, არა შემთხვევითი. კაპიტალიზმის მეორე
ნიშნეულობას შეადგენს (2) ის, რომ საქონლის ფორმას ღებუ-
ლობს არა მარტო შრომის პროდუქტი, არამედ თვით შრო-
მაც, ე. ი. ადამიანის სამუშაო ძალა. სამუშაო ძალის სასაქონ-
ლო ფორმის განვითარების დონე ახასიათებს კაპიტალიზმის
განვითარების დონეს*. — ამ განსაზღვრის შემწეობით ადვი-
ლად გავერკვევით იმ მაგალითებში, რომლებიც ბ-ნ სტრუვეს
მოჰყავს როგორც ამ ტერმინის შემცდარი განმარტება. აშკა-
რაა, რომ რუსული წესების დაპირისპირება კაპიტალიზმი-
სადმი, დამყარებული ჩვენი სახალხო მეურნეობის ტექნიკურ
ჩამორჩენილობაზე, ხელოსნური წარმოების სიჭარბეზე და
სხვ., დაპირისპირება, რასაც ასე ხშირად იმოწმობენ ნაროდ-
ნიკები, — სრული უაზრობაა, ვინაიდან კაპიტალიზმი არსე-
ბობს როგორც დაბალი, ისე დიდად განვითარებული ტექნიკის
დროს, და მარქსი «კაპიტალში» მრავალჯერ აღნიშნავს ხაზ-
გასმით, რომ კაპიტალი ჯერ წარმოებას იმორჩილებს იმ სახით,
რა სახითაც იგი მას ხვდება, და მხოლოდ შემდგომ იწყებს
მის ტექნიკურად გარდაქმნასო. აშკარაა, რომ გერმანული
Hausindustrie, რუსული «მსხვილი წარმოების საშინაო სის-
ტემა» წარმოადგენს მრეწველობის კაპიტალისტურ ორგა-
ნიზაციას, ვინაიდან აქ არა მარტო სასაქონლო წარმოება
ბატონობს, არამედ ფულის პატრონიც ბატონობს მწარმოე-
ბელზე და ითვისებს ზეღირებულებას. აშკარაა, ნაროდნიკების

* «Das Kapital», II. Band (1885), S. 93 [«კაპიტალი», ტ. II (1885), გვ. 93. რ ე დ.). — უნდა შევნიშნოთ, რომ აღნიშნულ ადგილას მარქსი სულაც არ იძლევა კაპიტალიზმის დ ე ფ ი ნ ი ც ი ა ს (ფორმალურ განსაზღვრას. რ ე დ.). იგი საზოგადოდ დეფინიციებს არ მისდევდა. აქ აღნიშნულია მხოლოდ სასაქონლო წარმოების დამოკიდებულება კაპიტალისტური წარმოებისადმი, რის შესახებაც არის სწორედ ლაპარაკი ტექსტში [96].

სანუკვარი დაპირისპირება რუსეთის «მიწისმფლობელი» გლეხობისა დასავლეთ-ევროპის კაპიტალიზმისადმი გვიჩვენებს აგრეთვე მხოლოდ იმის გაუგებლობას, თუ რა არის კაპიტალიზმი. როგორც სრულიად სამართლიანად შენიშნავს ავტორი, აქა-იქ დასავლეთ ევროპაშიც შენარჩუნებულია «გლეხთა ნახევრად-ნატურალური მეურნეობა» (124), მაგრამ ეს ფაქტი არც დასავლეთში და არც რუსეთში არ სპობს არც სასაქონლო წარმოების სიჯარბეს, არც მწარმოებელთა დიდი უმრავლესობის დამორჩილებას კაპიტალისადმი, — დამორჩილებას, რომელიც თავის უმაღლეს, ზღვრულ განვითარებამდე მრავალ საფეხურს გადის, რასაც ნაროდნიკები ჩვეულებრივ უგულვებელჰყოფენ, მიუხედავად იმისა, რომ მარქსს საქმის ვითარება ძალიან ზუსტად აქვს განმარტებული. ეს დამორჩილება იწყება ს ა ვ ა ჭ რ ო და ს ა ვ ა ხ შ ო კ ა პ ი ტ ა ლ ი თ, მერე გადადის ინდუსტრიულ კაპიტალიზმში, რომელიც თავის მხრივ პირველხანს ტექნიკურად სავსებით პრიმიტიულია და არაფრით არ განსხვავდება წარმოების ძველი სისტემებისაგან, შემდგომ აწყობს მანუფაქტურას, — რომელიც ჯერ ისევ ხელოსნობაზეა დამყარებული, გაბატონებულ შინამრეწველურ სარეწებს ეყრდნობა, არ არღვევს დაქირავებული მუშის კავშირს მიწასთან, — და განვითარებას აგვირგვინებს მსხვილი მანქანური ინდუსტრიით. მხოლოდ უკანასკნელი, უმაღლესი სტადია წარმოადგენს კაპიტალიზმის განვითარების მწვერვალს, მ ხ ო ლ ო დ ი გ ი ჰქმნის სავსებით ექსპროპრიირებულ, ფრინველივით თავისუფალ მუშას *, მ ხ ო ლ ო დ ი გ ი ჰბადებს (მატერიალურადაც და სოციალურადაც) კაპიტალიზმის იმ «გამაერთიანებელ მნიშვნელობას», რომელსაც ნაროდნიკები ჩვეულებისამებრ საზოგადოდ კაპიტალიზმს უკავშირებენ, მ ხ ო ლ ო დ ი გ ი უპირისპირებს კაპიტალიზმს მისსავე «ღვიძლ პირმშოს».

---

* ნაროდნიკები ყოველთვის ისე გვიხატავენ საქმეს, თითქოს უმიწაწყლო მუშა აუცილებელი პირობა იყოს ს ა ზ ო გ ა დ ო დ კაპიტალიზმისა და არა მხოლოდ მანქანური ინდუსტრიისა.

წიგნის მეოთხე თავი: «ეკონომიური პროგრესი და სოციალური პროგრესი» მესამე თავის პირდაპირი გაგრძელებაა და წიგნის იმ ნაწილს ეკუთვნის, რომელიც ნაროდნიკების წინააღმდეგ «ზოგადკაცობრიული გამოცდილების» საბუთებს აყენებს. აქ ჩვენ დაწვრილებით უნდა შევჩერდეთ, ჯერ-ერთი, ავტორის ერთ შემცდარ შეხედულებაზე [თუ უხეირო გამოთქმაზე?] მარქსის მიმდევართა შესახებ და, მეორე, ნაროდნიკობის ეკონომიური კრიტიკის ამოცანების ჩამოყალიბებაზე.

ბ-ნი სტრუვე ამბობს, რომ მარქსს კაპიტალიზმიდან ახალ საზოგადოებრივ წყობილებაში გადასვლა წარმოდგენილი ჰქონდა კაპიტალიზმის უცბად დამხობის, მსხვრევის სახითო. (ბ-ნი სტრუვე ფიქრობს, რომ ამ აზრის საბუთს იძლევა მარქსის თხზულებათა «ზოგიერთი ადგილი», მაშინ როდესაც სინამდვილეში ეს შეხედულება მარქსის ყ ვ ე ლ ა თ ხ ზ უ ლ ე ბ ა შ ი ა გატარებული.) მისი მიმდევრები რ ე ფ ო რ მ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს იბრძვიან. მარქსის 40-იანი წლების თვალსაზრისში «შეტანილ იქნა საყურადღებო კორექტივი»: იმ «უფსკრულის» ნაცვლად, რომელიც კაპიტალიზმს ახალი წყობილებისაგან ჰყოფს, აღიარებულ იქნა «მთელი რიგი გარდამავალი საფეხურები».

ჩვენ ვერაფრის გულისთვის ვერ ჩავთვლით ამას მართებულად. «მარქსის მიმდევრებს» მის თვალსაზრისში არავითარი «კორექტივი» (შ ე ს წ ო რ ე ბ ა), არც საყურადღებო და არც არასაყურადღებო, არ შეუტანიათ. რეფორმებისათვის ბრძოლა სრულიადაც არ მოასწავებს «კორექტივს», სრულიადაც არ ასწორებს მოძღვრებას უფსკრულის და უცბად დამხობის შესახებ, ვინაიდან ეს ბრძოლა სწარმოებს აშკარად და გარკვეულად აღიარებული მიზნით — სწორედ «დამხობამდე» მისასვლელად; ხოლო ამისთვის რომ აუცილებელია «მთელი რიგი გარდამავალი საფეხურები» — ბრძოლის ერთი ფაზისიდან, ერთი საფეხურიდან შემდგომზე გადასვლა, — ამას მარქსიც აღიარებდა 1840-იან წლებში, როცა «მანიფესტში» სწერდა, რომ შეუძლებელია ახალი წყობილებისაკენ მიმართული მოძრაობა მუშათა მოძრაობისაგან (მაშასადამე, რეფორმებისათვის ბრძო-

ლისაგან) გ ა მ ო ვ ყ ო თ ო; დასასრულ, მან თვითონვე წამოაყენა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი [97].

თუ ბ-ნ სტრუვეს სურდა აღენიშნა მარქსის თვალსაზრისის გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა, იგი, რა თქმა უნდა, მართალია. მაგრამ მაშინ აქ იქნება არა «კ ო რ ე ქ ტ ი ვ ი ს» შეტანა მის შეხედულებებში, არამედ სწორედ პირიქით: ამ შეხედულებათა გ ა ტ ა რ ე ბ ა, გ ა ნ ხ ო რ ც ი ე ლ ე ბ ა.

არ შეგვიძლია აგრეთვე დავეთანხმოთ ავტორის დამოკიდებულებას ნაროდნიკობისადმი.

«ჩვენმა ნაროდნიკულმა ლიტერატურამ — ამბობს იგი — ხელი ჩასჭიდა იმ დაპირისპირებას, რომელიც არსებობს ნაციონალურ სიმდიდრესა და ხალხის კეთილდღეობას, სოციალურ პროგრესს, განაწილების პროგრესს შორის» (131).

ნაროდნიკობამ ხელი კი არ «ჩასჭიდა» ამ დაპირისპირებას, არამედ მხოლოდ ა ღ ნ ი შ ნ ა, რომ რეფორმისშემდგომი დროის რუსეთშიც არსებობს იგივე წინააღმდეგობა პროგრესსა, კულტურასა, სიმდიდრესა და — წარმოების საშუალებათაგან მწარმოებლის განთავისუფლებას, სახალხო შრომის პროდუქტში მწარმოებლის ხვედრის შემცირებას, სიღატაკისა და უმუშევრობის ზრდას შორის, რომელმაც ეს დაპირისპირება დასავლეთ ევროპაშიც შეჰქმნა.

...«თავისი ჰუმანური, ხალხისმოყვარული ხასიათის გამო, ამ ლიტერატურამ საკითხი ერთბაშად ხალხის კეთილდღეობის სასარგებლოდ გადასჭრა, და რადგან ზოგიერთი სახალხოეკონომიური ფორმა (თემი, არტელი), თითქოს, ასახიერებდა ეკონომიური თანასწორობის იდეალს და ამრიგად უზრუნველჰყოფდა ხალხის კეთილდღეობას, ხოლო წარმოების პროგრესი გაძლიერებული გაცვლა-გამოცვლის ზეგავლენით სრულიად არ იძლეოდა იმის იმედს, რომ ხელს შეუწყობდა ამ ფორმებს, მოუსპობდა რა მათ ეკონომიურ და ფსიქიკურ საფუძვლებს, ამიტომ ნაროდნიკებმა, აღნიშნეს რა დასავლეთის წარმოებითი პროგრესის სამწუხარო გამოცდილება, პროგრესის, რომელიც კერძო საკუთრებას და ეკონომიურ თავისუფლებას ეყრდნობოდა, სასაქონლო მეურნეობას — კაპიტალიზმს

დაუპირისპირეს ხალხის კეთილდღეობის უზრუნველმყოფელი ეგრეთწოდებული «სახალხო წარმოება», როგორც საზოგადოებრივ-ეკონომიური იდეალი, რომლის დაცვისა და შემდგომი განვითარებისათვის უნდა იბრძოლონ რუსმა ინტელიგენციამ და რუსმა ხალხმა».

ამ მსჯელობაში სრული სიცხადით მოსჩანს ბ-ნ სტრუვეს გადმოცემის ნაკლი. ნაროდნიკობა წარმოდგენილია «ჰუმანურ» თეორიად, რომელმაც «ხელი ჩასჭიდა» ნაციონალური სიმდიდრისა და ხალხის სიღარიბის დაპირისპირებას და «საკითხი გადასჭრა» განაწილების სასარგებლოდ, ვინაიდან «დასავლეთის გამოცდილება» ხალხის კეთილდღეობის «იმედს არ იძლეოდა». და ავტორი იწყებს კამათს საკითხის ამგვარი «გადაჭრის» წინააღმდეგ; იგი ვერ ამჩნევს, რომ ებრძვის მხოლოდ ნაროდნიკობის იდეალისტურ და მასთან გულუბრყვილო-ოცნებურ სამოსელს და არა მის შინაარსს, ვერ ამჩნევს, რომ იგი დიდ შეცდომას სჩადის მარტო იმითაც, რომ იწყნარებს საკითხის პროფესორულად დასმას, როგორც ეს ბ-ნ ნაროდნიკებს სჩვევიათ. — როგორც უკვე აღნიშნული იყო, ნაროდნიკობას შინაარსს აძლევს რუსეთის წვრილი მწარმოებლის თვალსაზრისისა და ინტერესების ანარეკლი. თეორიის «ჰუმანურობა და ხალხისმოყვარულობა» შედეგი იყო იმ ჩვენი წვრილი მწარმოებლის შევიწროებული მდგომარეობისა, რომელიც საშინელ უბედურებას განიცდიდა როგორც «ძველთავადაზნაურული» წესებისა და ტრადიციებისაგან, ისე მსხვილი კაპიტალის უღლისაგან. ნაროდნიკობის დამოკიდებულება «დასავლეთისადმი» და რუსეთზე მისი გავლენისადმი განისაზღვრა, რა თქმა უნდა, არა იმით, რომ მან «ხელი ჩასჭიდა» დასავლეთის ამა თუ იმ იდეას, არამედ წვრილი მწარმოებლის ცხოვრების პირობებით: წვრილი მწარმოებელი თავის წინააღმდეგ ხედავდა მსხვილ კაპიტალიზმს, რომელსაც დასავლეთ-ევროპის ტექნიკა გადმოჰქონდა *, და, მისგან დაჩაგრული, თხზავდა გულუბრყვილო თეორიებს, რომლებიც კაპიტა-

* შეად. ზემოდასახელებული სტატია «ოტეჩესტვენნიე ზაპისკიდან».

ლისტურ პოლიტიკას კი არ ხსნიდნენ კაპიტალისტური მეურნეობით, არამედ კაპიტალიზმს — პოლიტიკით, და რომლებიც მსხვილ კაპიტალიზმს აცხადებდნენ რუსეთის ცხოვრებისათვის რაღაც უცხო, გარედან მოტანილ მოვლენად. თავის განცალკევებულ პატარა მეურნეობაზე მიმაგრება საშუალებას უსპობდა მას გაეგო სახელმწიფოს ნამდვილი ხასიათი,—და ისიც მიმართავდა ამ უკანასკნელს და სთხოვდა ხელი შეეწყო წვრილი («სახალხო») წარმოების განვითარებისათვის. კლასობრივი წინააღმდეგობის განუვითარებლობას, რომელიც რუსეთის კაპიტალისტურ საზოგადოებას ახასიათებს, მოჰყვა ის, რომ მეშჩანობის ამ იდეოლოგთა თეორია საზოგადოდ შრომის ინტერესების წარმომადგენლის როლში გამოვიდა.

ნაცვლად იმისა, რომ ეჩვენებინა ნაროდნიკების მიერ თვით საკითხის დასმის უაზრობა და მათ მიერ ამ საკითხის «გადაჭრა» აეხსნა წვრილი მწარმოებლის ცხოვრების მატერიალური პირობებით, ავტორი საკითხის დასმაში თვითონვე იჩენს დოგმატიზმს, რომელიც მოგვაგონებს ნაროდნიკულ «а р ч е в а н ს» ეკონომიურსა და სოციალურ პროგრესს შორის.

«ნაროდნიკობის ეკონომიური საფუძვლების კრიტიკის ამოცანაა... დაამტკიცოს შემდეგი:

1) ეკონომიური პროგრესი აუცილებელი პირობაა სოციალური პროგრესისა; ეს უკანასკნელი ისტორიულად გამომდინარეობს პირველიდან, და განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე ორივე პროცესს შორის უნდა მოხდეს და ნამდვილადაც ხდება ორგანული გავლენა ურთიერთზე, ურთიერთის განპირობება» (133).

საზოგადოდ რომ ვთქვათ, ეს დებულება, რასაკვირველია, სრულიად სამართლიანია. მაგრამ იგი ითვალისწინებს უფრო ნაროდნიკობის სოციოლოგიურ, ვიდრე ეკონომიურ საფუძველთა კრიტიკის ამოცანებს: არსებითად ეს სხვანაირი ჩამოყალიბებაა იმ მოძღვრებისა, რომლის მიხედვითაც საზოგადოების განვითარება ისაზღვრება საწარმოო ძალთა განვითარებით და რომლის შესახებაც ლაპარაკი იყო I და II თავში. «ნაროდნიკობის ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი ს ა ფ უ ძ ვ ლ ე ბ ი ს» კრიტიკი-

სათვის ეს არა კმარა. საჭიროა საკითხის უფრო კონკრეტულად ჩამოყალიბება, მისი გადატანა საზოგადოდ პროგრესიდან რუსეთის კაპიტალისტური საზოგადოების «პროგრესზე», იმ შეცდომებზე ამ პროგრესის გაგებაში, რომლებმაც წარმოშვეს სასაცილო ნაროდნიკული ზღაპრები tabula rasa-ს, «სახალხო წარმოების», რუსეთის კაპიტალიზმის უნიადაგობისა და სხვ. შესახებ. ნაცვლად იმისა, რომ ვთქვათ: ეკონომიურმა და სოციალურმა პროგრესმა ურთიერთზე გავლენა უნდა მოახდინონო, — საჭიროა აღვნიშნოთ (ან დავსახოთ მაინც) რუსეთში არსებული სოციალური პროგრესის განსაზღვრული მოვლენები, რომლებშიც ნაროდნიკები ვერ ხედავენ სწორედ ასეთს ეკონომიურ ფესვებს *.

«2) ამიტომ წარმოების ორგანიზაციისა და შრომის ნაყოფიერების დონის საკითხი ისეთი საკითხია, რომელსაც უპირატესობა აქვს განაწილების საკითხის წინაშე; განსაზღვრულ ისტორიულ პირობებში, როდესაც სახალხო შრომის ნაყოფიერება აბსოლუტურადაც და შეფარდებითაც ძალიან დაბალია, წარმოებითი მომენტის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა განსაკუთრებული სიმკვეთრით იჩენს თავს».

ავტორი აქ ემყარება მარქსის მოძღვრებას განაწილების დაქვემდებარებული მნიშვნელობის შესახებ. IV თავის ეპიგრაფად აღებულია მარქსის სიტყვები გოთას პროგრამის შენიშვნებიდან[98], სადაც მარქსი ვულგარულ სოციალიზმს უპირისპირებს მეცნიერულ სოციალიზმს, რომელიც არსებითს მნიშვნელობას არ აძლევს განაწილებას და საზოგადოებრივ წყობილებას ხსნის წარმოებითი ურთიერთობის ორგანიზაციით, ამასთან ფიქრობს, რომ ეს ორგანიზაცია უკვე

* შეიძლება გვიპასუხონ, რომ მე წინ გავრბივარ: ავტორმა ხომ სთქვა — ზოგადი საკითხებიდან თანდათან გადავალ კონკრეტულ საკითხებზეო, რომლებსაც არკვევს კიდეც VI თავში. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ბ-ნ სტრუვეს კრიტიკის აღნიშნული აბსტრაქტულობა ნიშანდობლივი თვისებაა მთელი მისი წიგნისა, როგორც VI თავის, ისე ბოლო ნაწილისაც კი. შესწორებას მის წიგნში ყველაზე უფრო სწორედ საკითხების დაყენება საჭიროებს.

შეიცავს განაწილების განსაზღვრულ სისტემას. როგორც ავტორი სრულიად სამართლიანად შენიშნავს, ამ იდეით გამსჭვალულია მარქსის მთელი მოძღვრება, და მას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ნაროდნიკობის მეშჩანური შინაარსის გასაგებად. მაგრამ ბ-ნ სტრუვეს ფრაზის მეორე ნახევარი ძლიერ აბუნდოვანებს მას, განსაკუთრებით გაურკვეველი ტერმინის — «წარმოებითი მომენტის» მეოხებით. შეიძლება გაუგებრობაც კი დაიბადოს, თუ რა აზრით უნდა გავიგოთ ეს ტერმინი. ნაროდნიკი დგას წვრილი მწარმოებლის თვალსაზრისზე, მწარმოებლის, რომელიც თავის უბედურებას მეტად ზერელედ ხსნის: იმით, რომ ის «ღარიბია», მეზობელი შემყიდველი კი — «მდიდარი», იმით, რომ «ხელისუფლება» მხოლოდ მსხვილ კაპიტალს ეხმარება და სხვ., ერთი სიტყვით, ხსნის განაწილების თავისებურებებით, პოლიტიკის შეცდომებით და სხვ. რა თვალსაზრისს უპირისპირებს მას ავტორი: თვალსაზრისს მსხვილი კაპიტალისას, რომელიც ზიზღით უყურებს გლეხ-შინამრეწველის უბადრუკ მეურნეობას და ამაყობს თავისი წარმოების მაღალი განვითარებით, თავისი «დამსახურებით», რაც მდგომარეობს სახალხო შრომის დაბალი ნაყოფიერების როგორც აბსოლუტურად, ისე შეფარდებით გადიდებაში? თუ თვალსაზრისს მისი ანტიპოდისას, რომელიც იმდენად განვითარებულ ურთიერთობაში ცხოვრობს, რომ არ შეუძლია დაკმაყოფილდეს პოლიტიკაზე და განაწილებაზე მითითებით, რომელიც უკვე იწყებს იმის შეგნებას, რომ მიზეზი იმალება უფრო ღრმად — თვით წარმოების (საზოგადოებრივ) ორგანიზაციაში, თვით საზოგადოებრივი მეურნეობის მოწყობაში ინდივიდუალური საკუთრების საფუძვლებზე — ბაზრის კონტროლით და ხელმძღვანელობით? ასეთი კითხვა შეიძლება ბუნებრივად დაებადოს მკითხველს, მით უმეტეს, რომ ავტორი ზოგჯერ გამოთქმას «წარმოებითი მომენტი» ხმარობს გამოთქმა «ყაირათიანობასთან» ერთად (იხ. გვ. 171: ნაროდნიკების მხრით «წარმოებითი მომენტის უგულვებელყოფა», «რომელიც ყოველგვარი ყაირათიანობის უარყოფამდე მიდის»), მით უმეტეს, რომ ავტორი ხანდახან «არარაციონალური» და

«რაციონალური» წარმოების თანაშეფარდებით ჩრდილავს წვრილი მწარმოებლის და იმ მწარმოებლის ურთიერთობას, რომელმაც უკვე საბოლოოდ დაჰკარგა წარმოების საშუალებანი. უდავოა, რომ ავტორის გადმოცემის სისწორე ობიექტური მხრით ამით არ მცირდება; რომ საქმის ვითარების წარმოდგენა უკანასკნელი ურთიერთობის თვალსაზრისით ადვილია ყველასთვის, ვისაც კი ესმის კაპიტალისტური წყობილების ანტაგონისტურობა. მაგრამ ვინაიდან საყოველთაოდ ცნობილია, რომ სწორედ ბატონ რუს ნაროდნიკებს არ ესმით ეს, ამიტომაც მათთან კამათში სასურველია დავინახოთ სწორედ მეტი გარკვეულობა და სიცხადე და რაც შეიძლება ნაკლები მეტად ზოგადი განყენებული დებულებები.

როგორც პირველ თავში კონკრეტული მაგალითით ვცდილობდით დაგვენახვებინა, ნაროდნიკობის მთელი განსხვავება მარქსიზმისაგან მდგომარეობს რუსეთის კაპიტალიზმის კრიტიკის ხასიათში. ნაროდნიკს კაპიტალიზმის კრიტიკისათვის საკმარისად მიაჩნია აღნიშნოს ექსპლოატაციის არსებობა, ურთიერთმოქმედება ექსპლოატაციასა და პოლიტიკას შორის და სხვ. მარქსისტი აუცილებლად სთვლის ახსნას და ერთმანეთს გადააბას ექსპლოატაციის ეს მოვლენები, როგორც განსაზღვრული წარმოებითი ურთიერთობის სისტემა, როგორც განსაკუთრებული საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაცია, რომლის მოქმედებისა და განვითარების კანონები ობიექტურად უნდა იქნას შესწავლილი. ნაროდნიკს კაპიტალიზმის კრიტიკისათვის საკმარისად მიაჩნია — დაჰგმოს იგი თავისი იდეალების თვალსაზრისით, «თანამედროვე მეცნიერებისა და თანამედროვე ზნეობრივი იდეების» თვალსაზრისით. მარქსისტს აუცილებლად მიაჩნია დაწვრილებით შეისწავლოს ის კლასები, რომელნიც ჩნდებიან კაპიტალისტურ საზოგადოებაში, მას საფუძვლიანად მიაჩნია მხოლოდ კრიტიკა განსაზღვრული კლასის თვალსაზრისით, — კრიტიკა, დამყარებული არა «პიროვნების» მორალურ მსჯელობაზე, არამედ ნამდვილად არსებული საზოგადოებრივი პროცესის სწორ ჩამოყალიბებაზე.

თუ აქედან გამოვალთ და შევეცდებით ნაროდნიკობის ეკონომიური საფუძვლების კრიტიკის ამოცანათა ჩამოყალიბებას, ისინი დაახლოებით ასეთ გამოხატულებას მიიღებდნენ:

უნდა დავამტკიცოთ, რომ რუსეთში მსხვილ კაპიტალიზმსა და «სახალხო წარმოებას» შორის ისეთივე შეფარდებაა, როგორიც არსებობს სავსებით განვითარებულ და განუვითარებელ მოვლენებს შორის, კაპიტალისტური საზოგადოებრივი ფორმაციის განვითარების უმაღლეს და უდაბლეს სტადიებს შორის *; — რომ მწარმოებლის განთავისუფლება წარმოების საშუალებებისაგან და მისი შრომის პროდუქტის მითვისება ფულის პატრონის მიერ უნდა აიხსნას როგორც ფაბრიკაში, ისე უკანასკნელ, თუნდ სათემო სოფელში არა პოლიტიკით, არა განაწილებით, არამედ წარმოების იმ ურთიერთობით, რომელიც აუცილებლად მყარდება სასაქონლო მეურნეობაში, იმ თავისი ინტერესებით მოწინააღმდეგე კლასთა გაჩენით, რაც კაპიტალისტურ საზოგადოებას ახასიათებს **; — რომ ის სინამდვილე

* რასაკვირველია, ეკონომიური მხარის ანალიზი უნდა შეივსოს სოციალურ, იურიდიულ-პოლიტიკურ და იდეურ ზედნაშენთა ანალიზით. ნაროდნიკებს არ ესმოდათ კაპიტალიზმსა და «სახალხო წარმოებას» შორის არსებული კავშირი, და ეს გარემოება ჰბადებდა მათში იდეებს საგლეხო რეფორმის, სახელმწიფო ხელისუფლების, ინტელიგენციისა და სხვ. ა რ ა კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი ხასიათის შესახებ. მატერიალისტურმა ანალიზმა, რომელიც ყველა ამ მოვლენას კლასობრივი ბრძოლით ხსნის, კონკრეტულად უნდა დაგვანახვოს, რომ ჩვენი რუსული რეფორმისშემდგომი დროის «სოციალური პროგრესი» მხოლოდ კაპიტალისტური «ეკონომიური პროგრესის» შედეგი იყო.

** რუსეთის ეკონომიური სინამდვილის «ფაქტების გადასინჯვამ», განსაკუთრებით იმ სინამდვილისა, რომლიდანაც ნაროდნიკები მასალას იღებენ თავიანთ ინსტიტუტურ ოცნებათათვის, ე. ი. გლეხური და შინამრეწველური მეურნეობისა, — უნდა გვიჩვენოს, რომ მწარმოებლის დაჩაგრული მდგომარეობის მიზეზია არა განაწილება («გლეხი ღარიბია, შემყიდველი მდიდარი»), არამედ თვით წარმოებითი ურთიერთობა, თვით თანამედროვე გლეხური და შინამრეწველური მეურნეობის საზოგადოებრივი ორგანიზაცია. აქედან გამოირკვევა, რომ «სახალხო» წარმოებაშიც «წარმოების ორგანიზაციის საკითხს უპირატესობა აქვს განაწილების საკითხის წინაშე».

(წვრილი წარმოება), რომელსაც ნაროდნიკები კაპიტალიზმის გვერდის ავლით უპირებენ უმაღლეს საფეხურზე აყვანას, უკვე შეიცავს კაპიტალიზმს და იმას, რაც კაპიტალიზმს სჩვევია: კლასთა წინააღმდეგობას და მათს შეჯახებებს, — მხოლოდ მის უცუდეს ფორმაში, რომელიც აფერხებს მწარმოებლის დამოუკიდებელ საქმიანობას, და რომ ამიტომ ნაროდნიკები უკვე შექმნილი სოციალური წინააღმდეგობის უგულვებელყოფით და «სამშობლოს სხვა გზებზე» ოცნებობით უტოპისტ-რეაქციონერები არიან, რადგან მსხვილი კაპიტალიზმი ᲫᲮᲝᲚᲝᲓ ავითარებს, სწმენდს და არკვევს ამ წინააღმდეგობათა შინაარსს, რომელნიც რუსეთში ყველგან და ყოველ კუთხეში არსებობენ.

ნაროდნიკობის ეკონომიური კრიტიკის ამოცანების მეტის-მეტად განყენებულ ფორმულირებასთან უშუალოდ დაკავშირებულია ავტორის შემდგომი მსჯელობაც; ავტორი ამტკიცებს არა რუსეთის, არამედ დასავლეთ-ევროპის კაპიტალიზმის «აუცილებლობას» და «პროგრესულობას». ეს მსჯელობა უშუალოდ არ ეხება ნაროდნიკული დოქტრინის ეკონომიურ შინაარსს, მაგრამ იგი ბევრს საინტერესოსა და საგულისხმიეროს შეიცავს. ჩვენს ნაროდნიკულ ლიტერატურაში არაერთხელ გამოუთქვამთ უნდობლობა დასავლეთ-ევროპის მუშათა მოძრაობისადმი. განსაკუთრებით მკვეთრად ეს გამოიხატა მარქსისტების წინააღმდეგ მიმართულ ბ-ნ მიხაილოვსკისა და კომპ. უკანასკნელი პოლემიკის დროს («რუსსკოე ბოგატსტვო», 1893—1894). კაპიტალიზმისაგან ჩვენ ჯერ არაფერი კარგი არ გვინახავსო, — სწერდა მაშინ ბ-ნი მიხაილოვსკი *. ამ მეშჩანურ შეხე-

* არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ბ-ნ სტრუვეს პასუხში ბ-ნი მიხაილოვსკი «თავისი თავის მოყვარულობას» ხედავს ენგელსის მხრით, რომელიც ამბობს, რომ თანამედროვეობის გაბატონებული, გიგანტური ფაქტი, რაც ამ თანამედროვეობას ყველა სხვა ეპოქაზე უკეთესად ხდის, რაც ამართლებს მისი წარმოშობის ისტორიას, არის დასავლეთის მუშათა მოძრაობა. ეს, პირდაპირ აღმაშფოთებელი, საყვედური ენგელსისადმი მეტად დამახასიათებელია რუსეთის თანამედროვე ნაროდნიკობის შესაფასებლად.

ᲐᲛ ვაᲒᲑᲐᲢᲝᲜᲔᲑᲘ შეუძლიათ ლაᲧᲑᲝᲑᲐ «ᲮᲐᲚᲮᲘᲡ სიმართლეზე», შეუძლიათ ლაპარაკი ჩვენს «საზოგადოებასთან», შეუძლიათ მისი დატუქსვა სამშობ-

დულებათა უაზრობას მშვენივრად უარჰყოფენ ბ-ნ სტრუვეს ცნობები, მით უმეტეს, რომ ეს ცნობები ამოღებულია უახლესი ბურჟუაზიული ლიტერატურიდან, რომელსაც ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავწამებთ გაზვიადებას. ავტორის მიერ მოყვანილი ციტატები გვიჩვენებენ, რომ დასავლეთში ყველანი, ბურჟუებიც კი, ხედავენ, რომ აუცილებელია კაპიტალიზმის გადასვლა ახალ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციაში.

კაპიტალიზმმა იმდენად განასაზოგადოვა შრომა, რომ ბურჟუაზიულ ლიტერატურაშიც კი ხმამაღლა ლაპარაკობენ «სახალხო მეურნეობის გეგმაშეზომილი ორგანიზაციის» აუცილებლობაზე. ავტორი სავსებით მართალია, როცა ამბობს, რომ ეს — «დროის ნიშანია», ნიშანია კაპიტალისტური წესების სრული დაშლისა. მეტად საინტერესოა მის მიერ მოყვანილი განცხადებები არა მარტო ბურჟუაზიული პროფესორების, არამედ კონსერვატორებისაც, რომელნიც იძულებულნი არიან აღიარონ ის, რასაც დღემდე უარჰყოფენ რუსეთის რადიკალები,— სახელდობრ, რომ მუშათა მოძრაობა შეჰქმნეს იმ მატერიალურმა პირობებმა, რომლებიც კაპიტალიზმმა წარმოშვა, და არა «უბრალოდ» კულტურამ ან სხვა პოლიტიკურმა პირობებმა.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ვგონებ, საჭირო აღარ არის შევჩერდეთ ავტორის მსჯელობაზე იმის შესახებ, რომ განაწილება მხოლოდ მაშინ წავა წინ, თუ რაციონალურ წარმოებას დაეყრდნობაო. ცხადია, ამ დებულების აზრი ის არის, რომ მხოლოდ რაციონალურ წარმოებაზე დამყარებული მსხვილი კაპიტალიზმი აყენებს მწარმოებელს ისეთ პირობებში, რომელნიც საშუალებას აძლევენ მას თავი მაღლა ასწიოს, იფიქროს და იზრუნოს თავის თავზეც და იმათზეც, ვინც ჩამორჩენილი წარმოების წყალობით ამავე პირობებში არ იმყოფება.

ლოსათვის შემცდარი გზის არჩევისათვის, შეუძლიათ ტკბილი გალობა იმაზე, რომ «ან ახლავე, ან არასოდეს», და გალობენ ამას «ათი, ოცი, ოცდაათი წლის და მეტი ხნის განმავლობაში», — მაგრამ მათ აბსოლუტურად არ შეუძლიათ გაიგონ, თუ რა ყოვლისშემცველი მნიშვნელობა აქვს იმათ დამოუკიდებელ გამოსვლას, ვისაც ამ ტკბილ სიმღერებს უგალობდნენ.

ჩვენ მხოლოდ ორიოდე სიტყვას ვიტყვით ბ-ნ სტრუვეს ასეთი ფრაზის გამო: «მეტად უთანაბრო განაწილება, რომელიც ეკონომიურ პროგრესს აფერხებს, კაპიტალიზმს არ შეუქმნია: იგი მემკვიდრეობით გადმოეცა მას» იმ ეპოქიდან, რომელშიც რომანტიკოსები რძის მდინარეებსა და თაფლის ნაპირებს ხედავენ (გვ. 159). ეს სწორია, თუ ამასთანავე ავტორს სურს სთქვას მხოლოდ ის, რომ კაპიტალიზმამდეც არსებობდა უთანაბრო განაწილება, რის დავიწყებაც სჩვევიათ ბ-ნ ნაროდნიკებს. მაგრამ ეს სწორი არ არის, თუ უარვყოფთ კაპიტალიზმის მიერ უთანაბრობის გაძლიერებას. ბატონყმობის დროს არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო ისეთი მკვეთრი უთანასწორობა სრულიად გაღატაკებულ გლეხსა თუ მაწანწალას, — და ბანკის, რკინიგზისა თუ მრეწველობის ბობოლას შორის, რაც წარმოშვა რეფორმისშემდგომი დროის კაპიტალისტურმა რუსეთმა.

გადავიდეთ V თავზე. ავტორი აქ ზოგადად ახასიათებს «ნაროდნიკობას, როგორც ეკონომიურ მსოფლმხედველობას». ბ-ნ სტრუვეს აზრით, «ნაროდნიკები ნატურალური მეურნეობისა და პირველყოფილი თანასწორობის იდეოლოგები არიან» (167).

ასეთ დახასიათებას ვერ დავეთანხმებით. ჩვენ აქ აღარ გავიმეორებთ პირველ თავში მოყვანილ საბუთებს იმის სასარგებლოდ, რომ ნაროდნიკები წვრილი მწარმოებლის იდეოლოგები არიან. იქ უკვე ნაჩვენები იყო, თუ წვრილი მწარმოებლის ცხოვრების სწორედ მატერიალური პირობები, მისი გარდამავალი, შუათანა მდგომარეობა «მეპატრონეებსა» და «მუშებს» შორის, — როგორ იწვევენ ნაროდნიკების მიერ როგორც კლასობრივი წინააღმდეგობის გაუგებლობას, ისე მათი პროგრამის პროგრესული და რეაქციული პუნქტების უცნაურ ნარევს.

აქ დავუმატებთ მხოლოდ, რომ რუსული ნაროდნიკობა თავისი პირველი, ე. ი. პროგრესული, მხარით უახლოვდება დასავლეთ ევროპის დემოკრატიზმს, ამიტომ მას მთლიანად

მიუდგება დემოკრატიზმის ის გენიალური დახასიათება, რომელიც 40 წელზე მეტია მოცემულია საფრანგეთის ისტორიის ამბების გამო:

«დემოკრატს, რომელიც წარმოადგენს წვრილ ბურჟუაზიას, ე. ი. გარდამავალ კლასს, სადაც ორი კლასის ინტერესები ერთმანეთს აჩლუნგებენ, — ჰგონია, რომ იგი საზოგადოდ კლასობრივ ანტაგონიზმზე მაღლა დგას. დემოკრატების აზრით, მათ წინააღმდეგ დგას პრივილეგიური კლასი, მაგრამ ერის მთელ დანარჩენ მოსახლეობასთან ერთად ისინი ხალხს შეადგენენ. ისინი ხალხის უფლებას იცავენ; ისინი ხალხის ინტერესებს წარმომადგენლობენ. ამიტომ მათ არც ესაჭიროებათ გამოიკვლიონ სხვადასხვა კლასის ინტერესები და მდგომარეობა. მათ არ ესაჭიროებათ მეტისმეტად მკაცრად ასწონ-დასწონონ თავიანთი საკუთარი საშუალებანი *... თუ აღმოჩნდება, რომ მათი ინტერესები ინტერესს არ იწვევენ, რომ მათი ძალა უძლურებაა, ამაში დამნაშავენი არიან ან მავნე სოფისტები, რომელნიც ერთიან ხალხს სთიშავენ სხვადასხვა მტრულ ბანაკად **,... ან ყოველივე ჩაიფუშა რაღაც წვრილმანის შეუსრულებლობის გამო, ანდა, ბოლოს, ამჯერად მარცხი გაუთვალისწინებელმა შემთხვევამ გამოიწვია. ყოველ შემთხვევაში დემოკრატი უაღრესად სამარცხვინო და-

* სწორედ ისე, როგორც რუსეთის ნაროდნიკებს. ისინი არ უარჰყოფენ, რომ რუსეთში არსებობენ მწარმოებლისადმი ანტაგონისტური კლასები, მაგრამ თავს იტყუებენ იმაზე მსჯელობით, ვითომ ეს «მტაცებლები» «ხალხთან» შედარებით სრულიად უმნიშვნელო ძალას წარმოადგენენ, მათ არ უნდათ სისწორით გამოიკვლიონ თვითეული ცალკე კლასის მდგომარეობა და ინტერესები, არ უნდათ გაარკვიონ, ერთმანეთში გადახლართული ხომ არ არის მწარმოებელთა ერთი წყების ინტერესები «მტაცებელთა» ინტერესებთან და ხომ არ სუსტდება ამით პირველთა წინააღმდეგობის ძალა უკანასკნელთა მიმართ.

** რუსეთის ნაროდნიკების აზრით — დამნაშავენი არიან ბოროტი და მავნე მარქსისტები, რომელნიც კაპიტალიზმს და მის კლასობრივ ანტაგონიზმებს ხელოვნურად ნერგავენ იმ ნიადაგზე, რომელზედაც ასე დიდებულად იფურჩქნებიან «სოციალური ურთიერთშეგუებისა» და «სოლიდარული მოქმედების» ყვავილნი (ბ-ნი ვ. ვ., სტრუვეს წიგნში, გვ. 161).

მარცხებიდან გამოდის იმდენადვე ჩირქმოუცხებელი, რამდენადაც უმანკო შევიდა შიგ, გამოდის განმტკიცებული რწმენით, რომ მან უნდა გაიმარჯვოს, რომ თვით მან და მისმა პარტიამ კი არ უნდა დასტოვონ ძველი თვალსაზრისი, არამედ, პირიქით, თვით გარემოებანი უნდა მომწიფდნენ მისთვის» (ihm entgegenzureifen haben. «Der achtzehnte Brumaire u. s. w.», S. 39 *).

თვით ავტორის მიერ მოყვანილი მაგალითები მოწმობენ, რომ სწორი არ არის ნაროდნიკების ის დახასიათება, რომელიც მათში ხედავს ნატურალური მეურნეობისა და პირველყოფილი თანასწორობის იდეოლოგებს. «როგორც კ უ რ ი ო ზ ი უნდა აღინიშნოს, — ამბობს ბ-ნი სტრუვე, — რომ ბ-ნი — ონი ვასილჩიკოვს დღემდე ლიბერალურ ეკონომისტს უწოდებს» (169). თუ ამ სახელწოდებას ა რ ს ე ბ ი თ ა დ ავიღებთ, იგი კურიოზული სულაც არ არის. ვასილჩიკოვს თავის პროგრამაში შეაქვს იაფი და ფართოდ გავრცელებული კრედიტი. ბ-ნ ნიკოლაი — ონს არ შეუძლია არ დაინახოს, რომ ისეთი კაპიტალისტური საზოგადოების ნიადაგზე, როგორიც რუსეთისაა, კრედიტი მხოლოდ გააძლიერებს ბურჟუაზიას, გამოიწვევს «კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებასა და განმტკიცებას» («ნარკვევები», გვ. 77). ვასილჩიკოვი, როგორც ყველა ნაროდნიკი, თავისი პრაქტიკული ღონისძიებებით მარტოოდენ წვრილი ბურჟუაზიის ინტერესებს წარმოადგენს. კურიოზად აქ ის შეიძლება მხოლოდ ჩაითვალოს, რომ ბ-ნ — ონს, რომელიც «რუსსკოე ბოგატსტვოს» პუბლიცისტების გვერდით წამოჭიმულა, «დღემდე» ვერ დაუნახავს, რომ ისინი ისეთივე პატარა «ლიბერალური ეკონომისტები» არიან, როგორც თავადი ვასილჩიკოვი. უტოპიზმის თეორია სინამდვილეში ადვილად ურიგდება მეშჩანურ პროგრესებს. ნაროდნიკობის ასეთ კვალიფიკაციას კიდევ უფრო მეტად ადასტურებს გოლოვაჩევი, რომელიც აღიარებს ნადელების ყველასთვის დარიგების უაზრობას და გვირჩევს «იაფ კრედიტს მუშა ხალხისათვის». ბ-ნი

* კ. მ ა რ ქ ს ი. «18 ბრიუმერი და სხვ.», გვ. 39. რ ე დ.

სტრუვე აკრიტიკებს ამ «განსაცვიფრებელ» თეორიას და ყურადღებას აქცევს მხოლოდ მის თეორიულ უსაფუძვლობას, მაგრამ მის წვრილბურჟუაზიულ შინაარსს თითქოს ვერ ამჩნევს.

V თავთან დაკავშირებით არ შეიძლება არ შევჩერდეთ აგრეთვე ბ-ნ შჩერბინას «საშუალო მოთხოვნილებათა კანონზე». ეს საყურადღებოა ბ-ნ სტრუვეს მალტუზიანობის შესაფასებლად, რაც მკაფიოდ აშკარავდება VI თავში. «კანონი» იმაში მდგომარეობს, რომ ნ ა დ ე ლ ი ს მიხედვით გლეხების დაჯგუფების დროს ვღებულობთ გლეხის ოჯახის მოთხოვნილებათა (ე. ი. სხვადასხვა საჭიროების დასაკმაყოფილებელ ხარჯთა) ძალიან მცირედ მერყევ (ჯგუფების მიხედვით) საშუალო ოდენობას, ამასთან ბ-ნი შჩერბინა ხარჯებს ანგარიშობს მოსახლეობის ერთ სულზე.

ბ-ნი სტრუვე სიამოვნებით აღნიშნავს, რომ ამ «კანონს» «უდიდესი მნიშვნელობა აქვს», რადგან იგი ადასტურებს მალტუსის «საყოველთაოდ ცნობილ» კანონს, რომ «მოსახლეობის კეთილდღეობა და გამრავლება ისაზღვრება მისთვის ხელმისაწვდომი საარსებო საშუალებებითო».

არ გვესმის, რად გაახარა ამ კანონმა ბ-ნი სტრუვე. ვერ გაგვიგია, როგორ შეიძლება ბ-ნ შჩერბინას გაანგარიშებაში «კანონი» დაინახო და ისიც «უდიდესი მნიშვნელობის» კანონი. მეტად ბუნებრივია, რომ, თუ გლეხებს ჯგუფებად დავყოფთ, როცა გლეხთა ცალკეული ოჯახების ცხოვრების პირობებს შორის მაინცდამაინც დიდი განსხვავება არ არსებობს, ვიღებთ ოდნავ მერყევ საშუალო სიდიდეებს; მით უფრო, თუ ჯგუფებად დაყოფას საფუძვლად დავუდებთ ნადელის სიდიდეს, რომელიც უშუალოდ არ საზღვრავს ოჯახის კეთილდღეობას (რადგან ნადელი შეიძლება გაცემულ იქნას, შეიძლება იჯარითაც იყოს კიდევ მიწა აღებული) და რომელიც ერთნაირად ხვდება როგორც მდიდარ, ისე ღარიბ გლეხს, რომელთაც მობეგრე ერთეულთა ერთნაირი რაოდენობა ჰყავთ. ბ-ნ შჩერბინას გაანგარიშება იმას ამტკიცებს მხოლოდ, რომ მას დაჯგუფების უხეირო წესი აურჩევია. თუ ბ-ნი შჩერბინა აქ რაღაც მის მიერ აღმოჩენილ კანონს ხედავს, — ეს ხომ სულ უცნაურია.

არანაკლებ უცნაურია ამაში დავინახოთ მალტუსის კანონის დადასტურება, თითქოს ნადელის სიდიდის მიხედვით შეიძლებოდეს მსჯელობა «გლეხისათვის ხელმისაწვდომ საარსებო საშუალებებზე» და არ მივიღოთ მხედველობაში არც იჯარა, არც «საშოვრები», არც გლეხის ეკონომიური დამოკიდებულება მემამულისა და შემყიდველისაგან. — ბ-ნ შჩერბინას ამ «კანონის» გამო (მისი განმარტება ბ-ნ შჩერბინას ნაწერებში გვიჩვენებს, რომ თვით «კანონის» ავტორი წარმოუდგენლად დიდ მნიშვნელობას აძლევს თავის საშუალო ციფრებს, რომელნიც სრულიად არაფერს არ ამტკიცებენ) ბ-ნი სტრუვე ამბობს: «ამ შემთხვევაში «სახალხო წარმოება» ნიშნავს მხოლოდ მეურნეობას დაქირავებული შრომის გამოუყენებლად. უდავოა, რომ მეურნეობის ასეთი ორგანიზაციის დროს «ზედმეტი ღირებულება» მწარმოებლის ხელში რჩება» (176). და ავტორი აღნიშნავს, რომ შრომის დაბალი ნაყოფიერების დროს ეს ხელს არ უშლის ასეთი «სახალხო წარმოების» წარმომადგენელს მუშაზე უარესად იცხოვროსო. მალტუზიანობით გატაცების გამო ავტორი ვერ გვაძლევს ამოწერილი დებულების ზუსტ ფორმულირებას. სავაჭრო და სავაჭრო კ ა პ ი ტ ა ლ ი შრომას იმორჩილებს ყოველ რუსულ სოფელში და — თუმცა მწარმოებელს დაქირავებულ მუშად არ ხდის — იმაზე ნაკლებ ზედმეტ ღირებულებას არ ართმევს მას, რასაც ინდუსტრიული კაპიტალი მუშისაგან იღებს. ზემოთ ბ-მა სტრუვემ სამართლიანად აღნიშნა, რომ კაპიტალისტური წარმოება იწყება იმ მომენტიდან, როცა მწარმოებელს შორის კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ ი დგება, თუნდაც იგი დამოუკიდებელი (გარეგნულად) მწარმოებლისაგან მხოლოდ ყიდულობდეს მზა საქონელს (გვ. 99 და შენიშ. 2), და რუს «დამოუკიდებელ» მწარმოებელთა შორის არც ისე ადვილია ისეთების პოვნა, რომელნიც არ მუშაობდნენ კაპიტალისტისათვის (ვაჭრისა, შემყიდველისა, კულაკისა და სხვებისათვის). ნაროდნიკების ერთ-ერთი უდიდესი შეცდომა ის არის, რომ ისინი ვერ ხედავენ უმჭიდროეს და განუყრელ კავშირს რუსეთის საზოგადოებრივი მეურნეობის კაპიტალისტურ ორგანიზაციასა და სოფლად სავაჭრო კაპიტალის სრულუფლებიან

ბატონობას შორის. ამიტომ სრულიად სამართლიანად ამბობს ავტორი, რომ «თვით სიტყვათშეხამება «სახალხო წარმოება» იმ აზრით, როგორც ამას ბ-ნი ნაროდნიკები ხმარობენ, არავითარ რეალურ ისტორიულ წესწყობას არ შეეფერება. ჩვენში, რუსეთში, 1861 წლამდე «სახალხო წარმოება» მჭიდროდ იყო დაკავშირებული ბატონყმურ წყობილებასთან, ხოლო მერე, 1861 წლის შემდგომ, აჩქარებული ტემპით ვითარდებოდა სასაქონლო მეურნეობა, რომელსაც არ შეეძლო არ შეებღალა სახალხო წარმოების სიწმინდე» (177). როდესაც ნაროდნიკი ამბობს, რომ რუსეთის ყოფა-ცხოვრების ძველისძველ სათავეს შეადგენს ის, რომ მწარმოებელს წარმოების საშუალებანი ეკუთვნოდაო, — იგი ისტორიას პირდაპირ ამახინჯებს თავისი უტოპიის გულისთვის, ამახინჯებს სიტყვიერი ყალთაბანდობით: ბატონყმობის დროს წარმოების საშუალებებს მემამულე მწარმოებელს აძლევდა ი მ ი ს თ ვ ი ს, რ ო მ მწარმოებელს ემუშავა საბატონო ბეგარის მოსახდელად; ნადელი იყო თავისებური ნატურალური ხელფასი, — ზედმეტი პროდუქტის მითვისების «ძველისძველი» საშუალება. ბატონყმობის დარღვევა სულაც არ ნიშნავდა მწარმოებლის «განთავისუფლებას»; იგი მოასწავებდა მხოლოდ ზედმეტი პროდუქტის ფ ო რ მ ი ს შ ე ც ვ ლ ა ს. თუ სადმე ინგლისში ბატონყმობის დაცემამ შეჰქმნა მართლაც დამოუკიდებელი და თავისუფალი გლეხები, — ჩვენი რეფორმა «სამარცხვინო» ბატონყმური ზედმეტი პროდუქტიდან ერთბაშად გადავიდა «თავისუფალ» ბურჟუაზიულ ზეღირებულებაზე.

თ ა ვ ი IV

რუსეთის რეფორმისშემდგომი დროის ეკონომიკის ზოგიერთი ნიშნის ახსნა ბ-ნ სტრუვეს მიერ

ბ-ნ სტრუვეს წიგნის უკანასკნელი (მეექვსე) თავი ეხება ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს — რუსეთის ეკონომიურ განვითარებას. მისი თეორიული შინაარსი შეიცავს შემდეგ ნაწილებს: 1) ჭარბმოსახლეობა სამიწათმოქმედო რუსეთში, მისი ხასიათი და მიზეზები; 2) გლეხობის დაშლა, მისი მნიშვნელო-

ბა და მიზეზები; 3) სამრეწველო კაპიტალიზმის როლი გლეხობის გაღატაკებაში; 4) კერძომფლობელური მეურნეობა; მისი განვითარების ხასიათი და 5) ბაზრების საკითხი რუსეთის კაპიტალიზმისათვის. ვიდრე ბ-ნ სტრუვეს არგუმენტაციას განვიხილავდეთ თვითეულ ამ საკითხზე, შევჩერდეთ მის შენიშვნებზე საგლეხო რეფორმის შესახებ.

ავტორი პროტესტს აცხადებს ამ რეფორმის «იდეალისტური» გაგების წინააღმდეგ და მიუთითებს სახელმწიფოს მოთხოვნილებებზე, რომელნიც მოითხოვდნენ შრომის ნაყოფიერების აღმავლობას, გ ა მ ო ყ ი დ ვ ა ზ ე, «ქვევიდან» ზეგავლენაზე. სამწუხაროა, რომ ავტორმა ბოლომდე არ მიიყვანა თავისი კანონიერი პროტესტი. ნაროდნიკები რეფორმას ხსნიან «საზოგადოებაში» «ჰუმანური» და «განმათავისუფლებელი» იდეების განვითარებით. ეს ფაქტი უეჭველია, მაგრამ ამით რეფორმის ა ხ ს ნ ა ნიშნავს უშინაარსო ტავტოლოგიას და «განთავისუფლების» დაყვანას «განმათავისუფლებელ» იდეებამდე. მატერიალისტისათვის საჭიროა იმ ღონისძიებათა შ ი ნ ა ა რ ს ი ს განსაკუთრებული განხილვა, რომლებიც იდეების გულისთვის იქნენ განხორციელებულნი. არ ყოფილა ისტორიაში არცერთი მნიშვნელოვანი «რეფორმა», თუნდაც კლასობრივი ხასიათის მატარებელი, რომლის სასარგებლოდაც მაღალი სიტყვები და მაღალი იდეები არ მოეყვანოთ. ასევე მოხდა საგლეხო რეფორმაშიც. თუ ყურადღებას მივაქცევთ მის მიერ გამოწვეული ცვლილებების ნამდვილ შინაარსს, აღმოჩნდება, რომ მათი ხასიათი ასეთია: გლეხების ნაწილი უმიწაწყლოდ დარჩა, და — რაც მთავარია — დანარჩენი გლეხები, რომელთაც მათი მიწის ნაწილი დაუტოვეს, იძულებული გახდნენ გ ა მ ო ე ყ ი დ ა თ იგი მემამულეებისაგან, როგორც სრულიად სხვისი ნივთი, და გამოეყიდათ ხელოვნურად აწეულ ფასებში. ასეთი რეფორმები არა მარტო ჩვენში, რუსეთში, დასავლეთშიც «თავისუფლებისა» და «თანასწორობის» თეორიებით იმოსებოდნენ, და «კაპიტალში» უკვე ნაჩვენებია, რომ სწორედ სასაქონლო წარმოება იყო ის ნიადაგი, რომელმაც წარმოშვა თავისუფლებისა და თანასწორობის იდეები. ყოველ შემთხვევაში, რაც უნდა რთუ-

ლი ყოფილიყო ის ბიუროკრატიული მექანიზმი, რომელმაც რუსეთში რეფორმა ჩაატარა, რაც უნდა დაშორებული ყოფილიყო, თითქოს*, იგი თვით ბურჟუაზიისაგან, — უცილობელია, რომ მხოლოდ ასეთი რეფორმის ნიადაგზე შეიძლებოდა ბურჟუაზიული წესები აღმოცენებულიყვნენ. ბ-ნი სტრუვე სრულიად სამართლიანად აღნიშნავს, რომ რუსეთის საგლეხო რეფორმის და დასავლეთ-ევროპული რეფორმების გაცვეთილი დაპირისპირება შემცდარია: «სრულებით არ არის მართალი მტკიცება (ესოდენ ზოგადი ფორმით), თითქოს დასავლეთ ევროპაში გლეხები საკანონმდებლო გზით იქნენ უმიწოდ განთავისუფლებულნი ან, სხვანაირად, უმიწაწყლოდ დატოვებულნი» (196). მე ხაზს ვუსვამ სიტყვებს: «ესოდენ ზოგადი ფორმით», რადგან საკანონმდებლო გზით გლეხების უმიწაწყლოდ დატოვება — უდავო ისტორიული ფაქტია ყველგან, სადაც კი საგლეხო რეფორმა მოხდა, მაგრამ ეს ფაქტი საყოველთაო არ არის, ვინაიდან გლეხების ნაწილმა, ბატონყმობისაგან განთავისუფლების დროს, მიწა გამოიყიდა მემამულეებისაგან დასავლეთში, და ასევე ხდება ჩვენშიც. მხოლოდ ბურჟუებს შეუძლიათ მიჩქმალონ გამოყიდვის ეს ფაქტი და ილაყბონ იმაზე, თითქოს «გლეხების მიწიანად განთავისუფლებამ** რუსეთისაგან tabula rasa შეჰქმნა» (ვინმე ბ-ნ იაკოვლევის სიტყვები, რომელთაც ბ-ნი მიხაილოვსკი «სულითა და გულით მიესალმება» — იხ. პ. სტრუვეს შრომის მე-10 გვ.).

* სინამდვილეში, როგორც ზევით იყო აღნიშნული, თავისი შემადგენლობითაც და თავისი ისტორიული წარმოშობითაც ამ მექანიზმს შეეძლო სამსახური გაეწია მხოლოდ ბურჟუაზიისათვის.

** სიმართლე თუ გნებავთ, ასე უნდა ითქვას: გლეხების ნაწილისათვის მემამულეებისაგან მათი სანადელო მიწის ნაწილის ორმაგ ფასში გამოყიდვის უფლების მიცემა. არც გამოთქმა «უფლების მიცემა» ვარგა, იმიტომ რომ ამგვარ «ნადელით უზრუნველყოფაზე» უარისთქმისათვის გლეხს სათემო სამმართველოში გაწკეპლვა მოელოდა.

I

გადავიდეთ ბ-ნ სტრუვეს თეორიაზე «სამიწათმოქმედო რუსეთში ჭარბმოსახლეობის ხასიათის» შესახებ. ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პუნქტია, რომელშიც ბ-ნი სტრუვე მარქსიზმის «დოქტრინიდან» მალტუზიანობის დოქტრინისაკენ იხრება. მის იმ შეხედულებათა დედაარსი, რომელთაც იგი ბ-ნ ნ.—ონის წინააღმდეგ მიმართულ პოლემიკაში ავითარებს, იმაში მდგომარეობს, რომ ჭარბმოსახლეობა სამიწათმოქმედო რუსეთში არის, თურმე, «არა კაპიტალისტური, არამედ, ასე ვთქვათ, უბრალო, ნატურალური მეურნეობის შესაბამისი» *.

რადგან ბ-ნი სტრუვე ამბობს, რომ მისი პასუხი ბ-ნ —ონისადმი «საკუთარი ეთანხმება ფ.-ა. ლანგეს საერთო პასუხს მარქსის შეფარდებითი ჭარბმოსახლეობის თეორიის წინააღმდეგ» (183, შენ.), ამიტომ პირველად მივმართოთ ლანგეს ამ «საერთო პასუხს» მის შესამოწმებლად.

ლანგე თავის «მუშათა საკითხის» V თავში (რუს. თარგმანი, გვ. 142—178) მსჯელობს მოსახლეობის კანონზე. იგი იწყებს მარქსის ძირითადი დებულებით, რომ «საზოგადოდ წარმოების ყოველ ისტორიულად განსაკუთრებულ წესს შეეფერება მოსახლეობის ზრდის თავისი საკუთარი კანონი, რომელსაც მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა აქვს. გამრავლების აბსტრაქტული კანონი არსებობს მხოლოდ მცენარეებისა და ცხოველებისათვის» [100]. ლანგე ამაზე ამბობს:

«ნება გვიბოძეთ ჯერ შევნიშნოთ, რომ არსებითად არც მცენარეთა და ცხოველთათვის არსებობს გამრავლების რაიმე «აბსტრაქტული» კანონი, რადგან აბსტრაქცია საზოგადოდ ნიშნავს ზოგადის გამოყოფას ერთგვაროვან მოვლენათა მთელი წყებიდან» (143), — და ლანგე დაწვრილებით განუმარტავს მარქსს, თუ რა არის აბსტრაქცია. აშკარაა, მან ვერ გაიგო მარქსის განცხადების აზრი. მარქსი ამ შემთხვევაში ადამიანს

* ასე ამბობს ბ-ნი სტრუვე «Sozialpolitisches Centralblatt»-ში (1893, № 1, 2 ოქტ.) მოთავსებულ თავის სტატიაში. იგი დასძენს, რომ ამ შეხედულებას «მალტუზიანურ» შეხედულებად არ სთვლის.

უპირისპირებს მცენარეებს და ცხოველებს იმის საფუძველზე, რომ პირველი ცხოვრობს სხვადასხვა, ისტორიულად ცვალებად, სოციალურ ორგანიზმებში, რომელთაც განსაზღვრავს საზოგადოებრივი წარმოების და, მაშასადამე, განაწილების სისტემა. ადამიანის გამრავლების პირობები უშუალოდ დამოკიდებულია სხვადასხვა სოციალური ორგანიზმის აგებულებაზე, ამიტომ მოსახლეობის კანონი ყოველი ასეთი ~~ორგანიზმისთ~~ვის უნდა შევისწავლოთ ცალკე და არა «აბსტრაქტულად», საზოგადოებრივი წყობილების ისტორიულად სხვადასხვა ფორმის დამოუკიდებლად. ლანგეს განმარტება, რომ აბსტრაქცია არის ზოგადის გამოყოფა ერთგვაროვანი მოვლენებიდან, მთლად მისივე წინააღმდეგ არის მიმართული: ერთგვაროვანად ჩვენ შეგვიძლია ჩავთვალოთ მხოლოდ ცხოველთა და მცენარეთა და სრულიადაც არა ადამიანის არსებობის პირობები, რახან ვიცით, რომ იგი ცხოვრობდა თავისი ორგანიზაციის ტიპის მიხედვით სხვადასხვა სოციალურ კავშირში.

შემდეგ, გადმოგვცემს რა მარქსის თეორიას შეფარდებითი ჭარბმოსახლეობის შესახებ კაპიტალისტურ ქვეყანაში, ლანგე ამბობს: «პირველი შეხედვით შეიძლება გვეჩვენოს, რომ ეს თეორია სწყვეტს იმ გრძელ ზოლს, რომელიც გატარებულია მთელ ორგანულ ბუნებაში თვით ადამიანამდე, რომ ის მუშათა საკითხის საფუძვლებს ისე ხსნის, თითქოს ზოგადი კვლევა-ძიება ადამიანთა მოდგმის არსებობის, გამრავლებისა და სრულყოფის შესახებ ჩვენი მიზნისათვის, ე. ი. მუშათა საკითხის გასაგებად, სრულიად ზედმეტი იყოს» (154)*.

მარქსის თეორია სულაც არ სწყვეტს იმ ზოლს, რომელიც გატარებულია მთელ ორგანულ ბუნებაში თვით ადამიანამდე: იგი მოითხოვს მხოლოდ, რომ «მუშათა საკითხი» — რადგან ეს საკითხი მხოლოდ კაპიტალისტურ საზოგადოებაში არსებობს —

* რაში შეიძლება მდგომარეობდეს ეს «ზოგადი კვლევა-ძიება»? თუ იგი უგულვებელჰყოფს ადამიანთა საზოგადოების განსაკუთრებულ ეკონომიურ ფორმაციებს, — ბანალობა გამოვა. ხოლო თუ იგი უნდა შეიცავდეს რამდენიმე ფორმაციას, მაშინ მას, ცხადია, წინ უნდა უსწრებდეს განსაკუთრებული კვლევა-ძიება ყოველ ფორმაციაზე ცალ-ცალკე.

გადაწყდეს არა ადამიანის გამრავლების «ზოგადი კვლევა-ძიების» საფუძველზე, არამედ კაპიტალისტურ ურთიერთობათა კანონების განსაკუთრებული კვლევა-ძიების საფუძველზე. მაგრამ ლანგე სხვა აზრისაა: «სინამდვილეში კი — ამბობს იგი — ეს ასე არ არის. უწინარეს ყოვლისა ცხადია, რომ საფაბრიკო შრომა უკვე პირველ თავის ჩანასახშივე გულისხმობს ს ი ღ ა ტ ა კ ე ს» (154). და ლანგე გვერდნახევარს ანდომებს ამ დებულების დამტკიცებას, რომელიც თავისთავად ცხადია და რომელიც ერთი ბეწოთიც არ გვწევს წინ: ჯერ-ერთი, ჩვენ ვიცით, რომ კაპიტალიზმი თვითონ ჰქმნის სიღატაკეს თავისი განვითარების იმ საფეხურზე უფრო ადრე, ვიდრე წარმოება საფაბრიკო ფორმას მიიღებდეს, იმაზე ადრე, ვიდრე მანქანები ჭარბ მოსახლეობას შეჰქმნიდნენ; მეორე, კაპიტალიზმამდე არსებული საზოგადოებრივი წყობილების ფორმაც — ფეოდალური, ბატონყმური — თვითონ ჰქმნიდა თავის განსაკუთრებულ სიღატაკეს, რომელიც მან კაპიტალიზმს მემკვიდრეობით გადასცა კიდეც.

«მაგრამ პირველი მეწარმე, მიუხედავად ასეთი ძლიერი თანაშემწისა [ე. ი. გაჭირვებისა], მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში ახერხებს მუშა-ხელის მნიშვნელოვანი რაოდენობის გადაბირებას საქმიანობის ახალ ასპარეზზე. ჩვეულებრივ საქმე ასე ხდება. იმ ადგილიდან, სადაც საფაბრიკო მრეწველობამ უკვე მოიპოვა მოქალაქეობრივი უფლება, მეწარმეს თან მოჰყავს მუშათა კონტინგენტი; ამას იგი უერთებს რამდენიმე ბოგანოს *, რომელნიც ამ დროს უსაქმოდ არიან დარჩენილნი; შემდეგში კი არსებული საფაბრიკო კონტინგენტი ივსება უკვე მ ო ზ ა რ დ ი ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ო ბ ი ს წ რ ი დ ა ნ» (156). ორ უკანასკნელ სიტყვას ლანგე ხაზს უსვამს. ცხადია, «ადამიანთა მოდგმის არსებობის, გამრავლებისა და სრულყოფის ზოგადი კვლევა-ძიება» სწორედ იმ დებულებაში გამოიხატა, რომ მეფაბრიკე ახალ მუშებს აგ-

* სხვათა შორის: საიდან გაჩნდნენ ეს «ბოგანოები»? ალბათ, ლანგეს აზრით, ეს არის არა ბატონყმური წესწყობილების ნაშთი და კაპიტალის ბატონობის ნაყოფი, არამედ იმის შედეგი, რომ «ხალხის ზნე-ჩვეულებებში არ განმტკიცდა დაბადებათა ნებაყოფლობითი შეზღუდვის მიდრეკილება» (გვ. 157)?

როვებს «მოზარდი ახალგაზრდობიდან» და არა მიმქრალ მოხუცთაგან. კეთილი ლანგე კიდევ მთელ გვერდზე (157) განაგრძობს ამ «ზოგად კვლევა-ძიებას», — იგი მოუთხრობს მკითხველს, რომ მშობლები ცდილობენ უზრუნველჰყონ თავიანთი შვილები, — რომ მოცლილი მორალისტები ამაოდ ჰკიცხავენ ადამიანის მისწრაფებას — თავი დააღწიოს იმ მდგომარეობას, რომელშიც დაბადებულა, რომ საკუთარ საშოვარზე შვილების მოწყობის ცდა სრულიად ბუნებრივია. მხოლოდ ყველა ამ საანბანო მსჯელობის გადალახვის შემდგომ ვუახლოვდებით საქმის ვითარებას:

«სამიწათმოქმედო ქვეყანაში, რომლის ნიადაგი წვრილ და მსხვილ მფლობელებს ეკუთვნის, აუცილებლად ჩნდება, თუ ხალხის ზნე-ჩვეულებებში განმტკიცებული არ არის დაბადებათა ნებაყოფლობითი შეზღუდვის მიდრეკილება, მუდმივი ჭარბი მუშა-ხელი და მომხმარებელნი, რომელთაც სურთ იარსებონ განსაზღვრული ტერიტორიის ნაწარმოებით» (157 — 158). ეს წმინდა მალტუზიანური დებულება ლანგემ უბრალოდ, სრულიად დაუმტკიცებლად წამოაყენა. იგი ამას ხშირად იმეორებს და ამბობს, რომ «ყოველ შემთხვევაში ასეთი ქვეყნის მოსახლეობა, თუნდაც იგი აბსოლუტურად ძალიან თხელიც იყოს, ჩვეულებრივ შეფარდებითი ჭარბმოსახლეობის ნიშნებს წარმოადგენს», რომ «ბაზარზე მ უ დ ა მ ს ჭ ა რ ბ ო ბ ს შრომის მიწოდება, მოთხოვნილება კი უმნიშვნელო რჩება» (158), — მაგრამ ყოველივე ეს სრულიად დაუსაბუთებელია. საიდან გამომდინარეობს, რომ «მუშათა სიჭარბე» მართლაც «აუცილებლად» ჩნდება? საიდან სჩანს ამ სიჭარბის კავშირი ხალხის ზნე-ჩვეულებებში დაბადებათა ნებაყოფლობითი შეზღუდვის მიდრეკილების უქონლობასთან? განა უმჯობესი არ იქნებოდა, «ხალხის ზნე-ჩვეულებებზე» მსჯელობის დაწყებამდე, დავკვირვებოდით იმ წარმოებითს ურთიერთობას, რომელშიც ეს ხალხი ცხოვრობს? წარმოვიდგინოთ, მაგალითად, რომ ის წვრილი და მსხვილი მფლობელნი, რომლებზედაც ლანგე ლაპარაკობს, მატერიალურ ფასეულობათა წარმოების მხრივ შემდეგნაირად იყვნენ შეერთებულნი: წვრილი მფლობელები თავიანთ გამოსაკვებად მსხვი-

ლებისაგან იღებდნენ მიწის ნადელებს და სამაგიეროდ მსხვილებისათვის იხდიდნენ საბატონო ბეგარას — ამუშავებდნენ მათს მიწებს. წარმოვიდგინოთ შემდგომ, რომ ეს ურთიერთობა დაირღვა, რომ ჰუმანურმა იდეებმა იმდენად დაასხა თავბრუ მსხვილ მფლობელებს, რომ მათ «თავიანთი გლეხები გაათავისუფლეს მიწით», ე. ი. ჩამოუჭრეს მათ, მაგალითად, ნადელის 20%, ხოლო დანარჩენ 80%-ში გადაახდევინეს მიწის ორჯერ გადიდებული ნაყიდობის ფასი. ცხადია, ამ გლეხებმა, რომელნიც ამრიგად უზრუნველყოფილნი გახდნენ «პროლეტარიატის წყლულისაგან», რათა არსებობა შესძლონ, წინანდებურად უნდა იმუშაონ მსხვილ მფლობელთათვის, მაგრამ ისინი ახლა მუშაობენ არა ყმა ბურმისტრის განწესებით, როგორც წინათ, არამედ თავისუფალი ხელშეკრულებით — მაშასადამე, სამუშაოსათვის ერთმანეთს ეცილებიან, რადგან ახლა ისინი ერთად აღარ არიან შეკავშირებულნი და ყოველი მათგანი საკუთარ ხარჯზე ეწევა მეურნეობას. მუშაობის ერთმანეთისთვის ხელიდან გამოცლის ეს წესი აუცილებლად გამოაძევებს ზოგიერთ გლეხს: რადგან ისინი ნადელის შემცირებისა და გადასახდელთა გადიდების გამო მემამულის მიმართ დასუსტდნენ, მათი კონკურენცია გაადიდებს ზედმეტი პროდუქტის ნორმას, და მემამულეც გლეხების ნაკლები რაოდენობით დაკმაყოფილდება. რაც უნდა განმტკიცდეს ხალხის ზნე-ჩვეულებებში დაბადებათა ნებაყოფლობითი შეზღუდვის მიდრეკილება, — «ნაჭარბის» წარმოშობა მაინც აუცილებელია. ლანგეს მსჯელობა, რომელიც უგულვებელჰყოფს საზოგადოებრივ-ეკონომიურ ურთიერთობას, თვალნათლივ ამტკიცებს მხოლოდ მისი ხერხების უვარგისობას. ლანგე კი ჯერჯერობით ამგვარ მსჯელობათა გარდა არაფერს იძლევა. მისი თქმით, მეფაბრიკეებს სიამოვნებით გადააქვთ წარმოება მივარდნილ სოფლებში, იმ მიზეზით, რომ იქ «ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი ს ა ქ მ ი ს ა თ ვ ი ს მ უ დ ა მ მ ზ ა დ ა ა ბ ა ვ შ ვ თ ა შ რ ო მ ი ს ს ა ჭ ი რ ო რ ა ო დ ე ნ ო ბ ა» (161), და იმას კი არ იკვლევს, საზოგადოებრივი წარმოების რა ისტორია, რა წესი ჰქმნის მშობლების ამ «მზადყოფნას» შვილების მონობაში მისაცემად. ლანგეს ხერხი ყველაზე რელიეფურად აშკარავდება მისი

ასეთი მსჯელობით: მას მოჰყავს სიტყვები მარქსისა, რომელიც ამბობს, რომ მანქანური ინდუსტრია, საშუალებას აძლევს რა კაპიტალს იყიდოს ქალებისა და ბავშვების შრომა, მუშას «მონათმოვაჭრედ» ხდისო.

«აი თურმე რაში ყოფილა საქმე!» — ძლევამოსილად აცხადებს ლანგე. — «მაგრამ განა შეიძლება ვიფიქროთ, რომ მუშა, რომელიც გაჭირვების გამო თავის საკუთარ სამუშაო ძალას ჰყიდის, ასე ადვილად გადავიდეს აგრეთვე ცოლითა და შვილებით ვაჭრობაზე, მას რომ, ერთი მხრით, გაჭირვება, ხოლო მეორე მხრით, ცთუნება არ აიძულებდეს ასეთი ნაბიჯი გადადგას?» (163).

კეთილი ლანგე თავისი გულმოდგინებით იქამდე მივიდა, რომ მუშას მარქსისაგან იცავს და უმტკიცებს მარქსს, რომ მუშას «გაჭირვება აიძულებს».

...«და არსებითად სხვას რას წარმოადგენს ეს დღითი-დღე გაძლიერებული გაჭირვება, თუ არ არსებობისათვის ბრძოლის მეტამორფოზს?» (163).

აი როგორ აღმოჩენამდე მივყევართ «ადამიანთა მოდგმის არსებობის, განრავლებისა და სრულყოფის ზოგად კვლევა-ძიებას»! განა გავიგებთ რასმე «გაჭირვების» მიზეზებზე, მის პოლიტიკურ-ეკონომიურ შინაარსსა და განვითარების მსვლელობაზე, როცა გვეუბნებიან — ეს არის არსებობისათვის ბრძოლის მეტამორფოზიო? ეს ხომ ყველაფერზე შეიძლება ითქვას, რაზედაც გნებავთ, — კაპიტალისტისადმი მუშის დამოკიდებულებაზეც, მეფაბრიკისადმი და ყმა-გლეხისადმი მიწათმფლობელის დამოკიდებულებაზეც და სხვ. და სხვ. ლანგეს ცდა მარქსის შესწორებისა არაფერს არ გვაძლევს, გარდა ასეთი უშინაარსო ბანალობის თუ გულუბრყვილობისა. ახლა ვნახოთ, რას იძლევა ამ შესწორების დასასაბუთებლად ლანგეს მიმდევარი, ბ-ნი სტრუვე — კონკრეტულ საკითხზე — სახელდობრ, სამიწათმოქმედო რუსეთის ჭარბმოსახლეობის საკითხზე მსჯელობაში.

სასაქონლო წარმოება — იწყებს ბ-ნი სტრუვე — ადიდებს ქვეყნის ტევადობას. «ასეთ მოქმედებას გაცვლა-გამოცვლა ამჟღავნებს არა მარტო წარმოების სრული, ტექნიკური და ეკო-

ნომიური, რეორგანიზაციის გზით, არამედ იმ შემთხვევებშიც, როცა წარმოების ტექნიკაც წინანდელ საფეხურზე რჩება და, მოსახლეობის საერთო ეკონომიაში, ნატურალური მეურნეობაც წინანდელ უპირატეს როლს ინარჩუნებს. მაგრამ ამ შემთხვევაში ხანმოკლე გაცხოველების შემდეგ აუცილებლად ჩნდება «ჭარბმოსახლეობა»; თუ ამაში სასაქონლო წარმოებას ბრალი მიუძღვის, მხოლოდ: 1) როგორც ა ღ მ ძ ვ რ ე ლ ს, 2) როგორც გამართულებელ მომენტს» (182). ჭარბმოსახლეობა სასაქონლო მეურნეობის გარეშეც გაჩნდებოდა: იგი არაკაპიტალისტურ ხასიათს ატარებს.

აი ის დებულებები, რომელთაც ავტორი აყენებს. ეს დებულებები თავიდანვე გვაოცებენ ისეთივე დაუსაბუთებლობით, როგორიც ლანგეს ახასიათებს: ამტკიცებენ, რომ ნატურალურ-სამეურნეო ჭარბმოსახლეობა აუცილებელია, მაგრამ არ არის განმარტებული, სახელდობრ რა პროცესი ჰქმნის მას. მივმართოთ იმ ფაქტებს, რომლებშიც ავტორი თავის შეხედულებათა დადასტურებას პოულობს.

1762 — 1846 წლების ცნობები გვიჩვენებენ, რომ მოსახლეობა საზოგადოდ სრულიადაც სწრაფად არ გამრავლებულა: წლიური ნამატი 1,07 — 1,5%-ს უდრის. ამასთან, არსენიევის სიტყვით, უფრო სწრაფად მრავლდებოდა იგი «ხვნა-თესვის» გუბერნიებში. ეს «ფაქტი», — ასკვნის ბ-ნი სტრუვე, — «მეტისმეტად დამახასიათებელია სახალხო მეურნეობის პრიმიტიული ფორმებისათვის, სადაც გამრავლება უშუალოდ დამოკიდებულია ბუნებრივ ნაყოფიერებაზე და, ასე ვთქვათ, ხელით შეხება შეიძლება ამ დამოკიდებულებისა». ეს არის «მოსახლეობის გამრავლებისა და საარსებო საშუალებების შესაბამისობის კანონის» მოქმედება (185). «რაც უფრო ფართოა მიწის სივრცე და რაც უფრო დიდია მიწის ბუნებრივი ნაყოფიერება, მით უფრო მეტია მოსახლეობის ბუნებრივი ნამატი» (186). დასკვნა სრულიად დაუსაბუთებელია: მარტო იმ ფაქტის მიხედვით, რომ ევროპის რუსეთის ცენტრალური ოლქის გუბერნიებიდან მოსახლეობა 1790-დან 1846 წლამდე ყველაზე ნაკლებ გაიზარდა ვლადიმირის და კალუგის გუბერნიებში, შენდება მთელი კანონი,

მოსახლეობის გამრავლებისა და საარსებო საშუალებების შესაბამისობის შესახებ. განა «მიწის სივრცის» მიხედვით შეიძლება მოსახლეობის საარსებო საშუალებებზე მსჯელობა? (თუნდაც რომ დავუშვათ, რომ ესოდენ მცირერიცხოვანი ცნობები ზოგადი დასკვნების გამოყვანის ნებას იძლევიან.) ეს «მოსახლეობა» პირდაპირ თავისთვის ხომ არ ხმარობდა «ბუნებრივი ნაყოფიერების» გამო მოპოვებულ პროდუქტებს: იგი მათ უნაწილებდა მემამულეებს, სახელმწიფოს. განა აშკარა არ არის, რომ მემამულური მეურნეობის ესა თუ ის სისტემა, — ღალა თუ საბატონო ბეგარა, ბეგარათა ოდენობა და მათი გადახდევინების წესები და სხვ. — გაცილებით უფრო მოქმედებდა მოსახლეობის კუთვნილ «საარსებო საშუალებათა» სიდიდეზე, ვიდრე მიწის სივრცე, რომელიც მწარმოებელთა განსაკუთრებულ და თავისუფალ მფლობელობაში არ იმყოფებოდა? ეს კიდევ ცოტაა. იმ საზოგადოებრივ ურთიერთობათა დამოუკიდებლად, რომელნიც ბატონყმობაში იხატებოდნენ, მოსახლეობა მაშინაც შეზღუდული იყო აღებ-მიცემობით: «დამუშავებითი მრეწველობის გამოყოფა მიწათმოქმედებისაგან, — სამართლიანად ამბობს ავტორი, — ე. ი. შრომის საზოგადოებრივი, ნაციონალური დანაწილება არსებობდა რეფორმის წინადროინდელ ხანაშიც» (189). იბადება კითხვა, ამ შემთხვევაში რატომ უნდა ვიფიქროთ, რომ «საარსებო საშუალებანი» ჭაობში მცხოვრებ ვლადიმირელ შინამრეწველს თუ დალალს უფრო ნაკლები ჰქონდა, ვიდრე ტამბოველ უბრალო მიწათმოქმედს მთელი მისი «მიწის ბუნებრივი ნაყოფიერებით»?

შემდგომ ბ-ნ სტრუვეს მოჰყავს ცნობები ბატონყმური მოსახლეობის შემცირების შესახებ განთავისუფლების წინ. ეკონომისტები, რომელთა აზრსაც იგი გვაცნობს, ამ მოვლენას «კეთილდღეობის დაცემას» აწერენ (189). ავტორი ასკვნის:

«ჩვენ შევჩერდით ბატონყმური მოსახლეობის რაოდენობის შემცირების ფაქტზე განთავისუფლების წინ, იმიტომ რომ იგი — ჩვენის აზრით — ნათელს ჰფენს რუსეთის ეკონომიურ მდგომარეობას იმ ხანაში. ქვეყნის მნიშვნელოვანი ნაწილი... ავსილი იყო მოსახლეობით არსებულ ტექნიკურ-ეკონომიურ და სოცია-

ლურ-იურიდიულ პირობებში: ეს უკანასკნელი პირობები პირდაპირ ხელსაყრელი არ იყო მთელი მოსახლეობის თითქმის 40%-ის რამდენადმე სწრაფი გამრავლებისათვის» (189). რა შუაშია აქ მალტუსის «კანონი» გამრავლებისა და საარსებო საშუალებების შესაბამისობის შესახებ, როდესაც ბატონყმური საზოგადოებრივი წესები ამ საარსებო საშუალებებს ერთ მუჭა მსხვილ მიწათმფლობელებს უყრიდნენ ხელში და ცარიელზე სტოვებდნენ მოსახლეობის მასას, რომლის გამრავლებაც შესწავლის საგნად არის გამხდარი? განა შეიძლება რაიმე ფასი მივცეთ, მაგალითად, ავტორის იმ მოსაზრებას, რომ უმცირესი ნამატი აღმოჩნდა ან მცირემოსავლიან, მრეწველობის მხრივ სუსტად განვითარებულ გუბერნიებში, ან მჭიდროდ დასახლებულ წმინდა სამიწათმოქმედო გუბერნიებშიო? ბ-ნ სტრუვეს სურს ამაში დაინახოს «არაკაპიტალისტური ჭარბმოსახლეობის» გამოხატულება, რომელიც წარმოიშვებოდა სასაქონლო მეურნეობის გარეშეც, რომელიც «ნატურალურ მეურნეობას შეესაბამება». მაგრამ ასეთივე უფლებით, თუ მეტით არა, შეიძლება ითქვას, რომ ეს ჭარბი მოსახლეობა შეესაბამება ბატონყმურ მეურნეობას, რომ მოსახლეობის ნელი ზრდა ყველაზე მეტად დამოკიდებული იყო გლეხთა შრომის ექსპლოატაციის იმ გაძლიერებაზე, რაც მოჰყვა სასაქონლო წარმოების ზრდას მემამულურ მეურნეობებში იმის გამო, რომ მათ დაიწყეს საბატონო-საბეგრო შრომის გამოყენება გასაყიდი პურის მოსაყვანად და არა მარტო თავის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ავტორის მაგალითები მის წინააღმდეგ ლაპარაკობენ: ისინი მოწმობენ, რომ შეუძლებელია მოსახლეობის აბსტრაქტული კანონის აგება გამრავლების და საარსებო საშუალებათა შესაბამისობის ფორმულის მიხედვით, თუ უგულვებელვყოფთ საზოგადოებრივი ურთიერთობის ისტორიულად განსაკუთრებულ სისტემებს და მათი განვითარების სტადიებს.

გადადის რა რეფორმისშემდგომ ხანაზე, ბ-ნი სტრუვე ამბობს: «მოსახლეობის ისტორიაში ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ ჩვენ იმავე ძირითად თვისებას ვხედავთ, რაც განთავისუფლებამდე იყო. გამრავლების ენერგია საერთოდ პირდაპირ

დამოკიდებულია მიწის სივრცესა და მიწის ნადელზე» (198). ეს მტკიცდება პატარა ცხრილით, რომელიც გლეხებს ნადელის სიდიდის მიხედვით აჯგუფებს და გვიჩვენებს, რომ მოსახლეობის ნამატი მით უფრო დიდია, რაც უფრო დიდია ნადელის ოდენობა. «და ეს არც შეიძლება სხვანაირად იყოს ნატურალურ, «თვითმმხმარებელ»... მეურნეობაში, რომელიც პირველ ყოვლისა თვით მწარმოებლის საჭიროებათა უშუალო დაკმაყოფილებას ემსახურება» (199).

მართლაც, ეს რომ ასე იყოს, ნადელს რომ პირველ ყოვლისა მწარმოებლის საჭიროებანი დაეკმაყოფილებინა უშუალოდ, იგი რომ ამ საჭიროებათა დაკმაყოფილების ერთადერთი წყარო ყოფილიყო, — მაშინ და მხოლოდ მაშინ შეგვეძლო ამგვარი ცნობებიდან გამოგვეყვანა გამრავლების ზოგადი კანონი. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ეს ასე არ არის. ნადელი «უპირველეს ყოველისა» მემამულეებისა და სახელმწიფოს საჭიროებათა დაკმაყოფილებას ემსახურება: იგი ერთმევა მფლობელთ, თუ ეს «საჭიროებანი» დროზე არ კმაყოფილდება; იგი იბეგრება გადასახადით, რომელიც აღემატება მის შემოსავლიანობას. შემდგომ, ეს გლეხის ერთადერთი წყარო როდია. მეურნეობის დეფიციტი — ამბობს ავტორი — გავლენას უნდა ახდენდეს მოსახლეობაზე პრევენტიულად და რეპრესიულად. გარესაშოვრები იზიდავს მოწიფულ მამრობითს მოსახლეობას და გარდა ამისა ეს აფერხებს გამრავლებას (199). მაგრამ თუ სანადელო მეურნეობის დეფიციტი იჯარით ან სასარეწო შემოსავლით იფარება, გლეხის საარსებო საშუალებანი შეიძლება სავსებით საკმარისი აღმოჩნდეს «ენერგიული გამრავლებისათვის». უდავოა, რომ ასე ხელსაყრელად პირობები შეიძლება მოეწყოს მხოლოდ გლეხების უმცირესობისათვის; მაგრამ — გლეხობაში არსებული წარმოებითი ურთიერთობის სპეციალური განხილვის მოუხდენლად — არსაიდან არა სჩანს, რომ ეს მატება თანაბრად ხდებოდეს, რომ მას არ იწვევდეს უმთავრესად უმცირესობის კეთილდღეობა. დასასრულ, თვით ავტორს თავისი დებულების დამამტკიცებლობის პირობად მიაჩნია — ნატურალური მეურნეობა, ხოლო რეფორმის შემდგომ, მისივე აღიარებით, წინანდელ

ცხოვრებაში ფართო ტალღად შეიჭრა სასაქონლო წარმოება. ცხადია, გამრავლების ზოგადი კანონის დასადგენად ავტორის ცნობები სრულიადაც არ არის საკმარისი. ეს კიდევ ცოტაა: განყენებული «სიმარტივე» ამ კანონისა, რომლის მიხედვითაც წარმოების საშუალებანი არსებულ საზოგადოებაში «პირველ ყოვლისა თვით მწარმოებლის საჭიროებათა უშუალო დაკმაყოფილებას ემსახურებიან», სრულიად შემცდარად, დაუსაბუთებლად აშუქებს უაღრესად რთულ ფაქტებს. მაგალითად: განთავისუფლების შემდეგ — ამბობს ბ-ნი სტრუვე — მემამულეებისთვის ხელსაყრელი იყო გლეხებისთვის მიწები იჯარით მიეცათ. «ამრიგად, გლეხობისათვის ხელმისაწვდომი გამოსაკვები ფართობი, ე. ი. მისი საარსებო საშუალებანი, გაიზარდა» (200). მთელი იჯარის ეს პირდაპირი გადატანა «გამოსაკვები ფართობის» ანგარიშზე სრულიად დაუსაბუთებელი და შემცდარია. ავტორი თვითონ აღნიშნავს, რომ მემამულეებს მათს მიწაზე მოყვანილი პროდუქტის უდიდესი ნაწილი თვითონვე მიჰქონდათ (200), ასე რომ საკითხავია კიდევ, ასეთი იჯარა (მაგ., შრომითი ბეგარისათვის) ხომ არ აუარესებდა მოიჯარეთა მდგომარეობას, ხომ არ აკისრებდა მათ ისეთ მოვალეობებს, რომელნიც ბოლოსდაბოლოს თანდათან ამცირებდნენ გამოსაკვებ ფართობს. შემდეგ, ავტორი თვითონვე აღნიშნავს, რომ იჯარით აღება მხოლოდ შეძლებულ (216) გლეხებს შეუძლიათ, რომელთა ხელშიც იგი უნდა გადაიქცეს უფრო სასაქონლო მეურნეობის გაფართოების, ვიდრე «თვითმომხმარებელი» მეურნეობის განმტკიცების საშუალებად. თუნდაც რომ დამტკიცდეს, რომ საერთოდ იჯარამ გააუმჯობესა «გლეხობის» მდგომარეობა, — რა მნიშვნელობა ექნებოდა ამ გარემოებას, როცა, თვით ავტორისავე სიტყვით, ღარიბებს იჯარა აღატაკებდა (216) — ე. ი. ეს ზოგიერთისთვის გაუმჯობესება მოასწავებდა გაუარესებას სხვებისთვის? ცხადია, საგლეხო იჯარაში ერთმანეთზეა გადახლართული ძველი, ბატონყმური, და ახალი, კაპიტალისტური, ურთიერთობა; ავტორის განყენებული მსჯელობა, რომელიც უყურადღებოდ სტოვებს ერთ-

საც და მეორესაც, არათუ არ გვეხმარება გავერკვეთ ამ ურთიერთობაში, არამედ, პირიქით, აბნევს საქმეს.

დაგვრჩა კიდევ ავტორის ერთი მითითება ისეთ მონაცემებზე, რომელნიც ვითომ ადასტურებენ მის შეხედულებებს. ეს არის სახელდობრ მითითება იმაზე, რომ «ძველი სიტყვა მ ც ი რ ე მ ი წ ი ა ნ ო ბ ა მხოლოდ ცხოვრებაში გავრცელებული ტერმინია იმ მოვლენისათვის, რომელსაც მეცნიერება ჭარბმოსახლეობას უწოდებს» (186). ამრიგად, ავტორი თითქოს ემყარება მთელ ჩვენს ნაროდნიკულ ლიტერატურას, რომელმაც უდავოდ დაადგინა ის ფაქტი, რომ საგლეხო ნადელები «საკმარისი არ არის», რომელმაც ათასჯერ «დაასაბუთა» თავისი სურვილები «საგლეხო მიწათმფლობელობის გაფართოების» შესახებ ასეთი «მარტივი» მოსაზრებით: მოსახლეობა გაიზარდა — ნადელები დაქუცმაცდნენ — ბუნებრივია, რომ გლეხები ღატაკდებიანო. მაგრამ საეჭვოა, რომ ამ გაცვეთილ ნაროდნიკულ მსჯელობას «მცირემიწიანობის» შესახებ რაიმე მეცნიერული * მნიშვნელობა ჰქონდეს, საეჭვოა იგი გამოდგეს სხვა რამისთვის, თუ არ «კეთილგანზრახული სიტყვების» წარმოსათქმელად სამშობლოს სწორი გზით უმტკივნეულო მსვლელობის საკითხის გამომრკვევ კომისიაში. ამ მსჯელობაში ხეებს იქით ტყე აღარსად სჩანს, მოვლენის გარეგანი კონტურების გამო არა სჩანს სურათის ძირითადი საზოგადოებრივ-ეკონომიური ფონი. ერთი მხრით, უზარმაზარი საადგილმამულო ფონდი ეკუთვნით «ძველ-თავადაზნაურული» წყობის წარმომადგენლებს, მეორე მხრით, მიწის შეძენა ყიდვით — აი ის ძირითადი ფონი, რომლის დროს ყოველგვარი «მიწათმფლობელობის გაფართოება» უბადრუკ პალიატივად დარჩება. როგორც ნაროდნიკული მსჯელობა მცირემიწიანობაზე, ისე მალტუსის «კანონები» გამრავლებისა და საარსებო საშუალებების შესაბამისობის შესახებ სცოდავენ სწორედ თა-

* ესე-იგი ეს მსჯელობა სრულებით გამოუსადეგარია გლეხობის გაღატაკებისა და ჭარბმოსახლეობის ა ს ა ხ ს ნ ე ლ ა დ, თუმცა თვით «უკმარობის» ფაქტი, ისე როგორც მისი გამწვავება მოსახლეობის ზრდის გამო, უდავოა. საჭიროა არა ფაქტის აღნიშვნა, არამედ ახსნა, თუ საიდან წარმოსდგა იგი.

ვიანთი განყენებული «სიმარტივით», რომელიც უგულვებელ-ჰყოფს არსებულ, კონკრეტულ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ურთიერთობას.

ბ-ნ სტრუვეს არგუმენტების ამ მიმოხილვას იმ დასკვნამდე მივყევართ, რომ მისი დებულება, თითქოს ჭარბმოსახლეობა სამიწათმოქმედო რუსეთში გამრავლებისა და საარსებო საშუალებების შეუსაბამობით აიხსნებოდეს, სრულიად არაფრით არ არის დამტკიცებული. თავის არგუმენტებს ის ამნაირად დაასკვნის: «და აი — ჩვენს წინაშე გადაშლილია სურათი ნატურალურ-სამეურნეო ჭარბმოსახლეობისა, რომელიც გართულებულია სასაქონლო-სამეურნეო მომენტებით და სხვა მნიშვნელოვანი, ბატონყმობის ხანის სოციალური წყობის მემკვიდრეობით გადმონაცემი ნიშნებით» (200). რა თქმა უნდა, იმ ქვეყანაში, რომელიც «ნატურალური» მეურნეობიდან «სასაქონლო» მეურნეობაზე გადადის, ყოველი ეკონომიური ფაქტის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ის არის «ნატურალურ-სამეურნეო» მოვლენა, «გართულებული სასაქონლო-სამეურნეო მომენტებით». შეიძლება პირიქითაც ითქვას: «სასაქონლო-სამეურნეო მოვლენა, გართულებული ნატურალურ-სამეურნეო მომენტებით», — მაგრამ ყოველივე ეს არათუ «სურათს», არამედ ვერავითარ წარმოდგენასაც ვერ მოგვცემს იმაზე, თუ ს ა ხ ე ლ დ ო ბ რ რ ო გ ო რ ჩნდება ჭარბმოსახლეობა ა რ ს ე ბ უ ლ ი ს ა ზ ო გ ა დ ო ებ რ ი ვ-ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი უ რ თ ი რ თ ო ბ ი ს ნიადაგზე. ავტორის საბოლოო დასკვნა ბ-ნ ნ. — ონისა და მისი რუსეთში არსებული კაპიტალისტური ჭარბმოსახლეობის თეორიის წინააღმდეგ ამბობს: «ჩვენი გლეხები არ ამზადებენ საკმარის საზრდოს» (237).

გლეხთა სამიწათმოქმედო წარმოება დღემდე პროდუქტებს იძლევა მემამულეებისათვის, რომელნიც სახელმწიფოს მეშვეობით გამოსაყიდ გადასახდელებს იღებენ, — ეს წარმოება სავაჭრო და სავახშო კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ოპერაციების მუდმივ ობიექტს წარმოადგენს, — კაპიტალის, რომელიც პროდუქტის უდიდეს წილს ართმევს გლეხობის მასის უმეტეს ნაწილს, — დასასრულ, ეს წარმოება თვით «გლეხობაში» ისე რთულად არის განაწილებული, რომ საერთო და საშუალო პლუსი (იჯარა) მასისათვის მი-

ნუსს იძლევა, და საზოგადოებრივ ურთიერთობათა მთელ ამ ქსელს ბ-ნი სტრუვე აბსტრაქტულად და ლიტონი სიტყვებით სჭრის, როგორც უძნელეს კვანძს: «წარმოება არასაკმარისიაო». არა, ეს თეორია ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს: იგი მხოლოდ ართულებს იმას, რაც გამოსაკვლევია, — წარმოებითს ურთიერთობას გლეხთა სამიწათმოქმედო მეურნეობაში. მალტუზიანური ფორმულა საქმეს ისე გვიხატავს, თითქოს ჩვენს წინაშე იყოს tabula rasa და არა რუსეთის გლეხური მეურნეობის თანამედროვე ორგანიზაციაში გადახლართული ბატონყმური და ბურჟუაზიული ურთიერთობანი.

რა თქმა უნდა, ჩვენ ვერასგზით ვერ დავკმაყოფილდებით ბ-ნ სტრუვეს შეხედულებათა მარტო კრიტიკით. ჩვენ უნდა დავსვათ კიდევ კითხვა: რაშია ბ-ნ სტრუვეს შეცდომების საფუძველი? და მოწინააღმდეგეთაგან (ბ-ნი ნ. — ონი და ბ-ნი სტრუვე) რომელია მართალი ჭარბმოსახლეობის განმარტებაში?

ბ-ნი ნ. — ონი თავის განმარტებას ჭარბმოსახლეობის საკითხში ამყარებს მუშათა მასის «განთავისუფლების» ფაქტზე, რაც შედეგად მოსდევს სარეწების კაპიტალიზაციას. ამასთან მას ცნობები მოჰყავს მხოლოდ მსხვილი საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის ზრდის შესახებ და უყურადღებოდ სტოვებს შინამრეწველური სარეწების ზრდის პარალელურ ფაქტს, რაც შრომის საზოგადოებრივი დანაწილების გაღრმავების გამომხატველია*. ბ-ნ ნ. — ონს თავისი განმარტება გადააქვს მიწათმოქმედებაზე და არც კი ცდილობს ზუსტად დაგვიხატოს მისი საზოგადოებრივ-ეკონომიური ორგანიზაცია და მ ი ს ი გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს დ ო ნ ე.

ბ-ნი სტრუვე ამის პასუხად შენიშნავს, რომ «კაპიტალისტური ჭარბმოსახლეობა მარქსის გაგებით მჭიდროდ არის

* ცნობილია ის ფაქტი, რომ რეფორმის შემდეგ ჩვენი შინამრეწველური სარეწები გაიზარდა და მრავალი ახალი სარეწი გაჩნდა. ცნობილია აგრეთვე სხვა სარეწების კაპიტალიზაციასთან ერთად ამ ფაქტის თეორიული ახსნა-განმარტება, მოცემული მარქსის მიერ «სამრეწველო კაპიტალისათვის შინაური ბაზრის შექმნის» ახსნის დროს [«Das Kapital», 2. Aufl., S. 776 u. ff.] («კაპიტალი», მე-2 გამოც., გვ. 776 და შემდ. რ ე დ.)[101].

დაკავშირებული ტექნიკის პროგრესთან» (183), და რადგან იგი, ბ-ნ ნ.—ონთან ერთად, სცნობს, რომ გლეხური «მეურნეობის ტექნიკას თითქმის არავითარი პროგრესი არ განუცდია» (200),—მას ჭარბმოსახლეობა სამიწათმოქმედო რუსეთში კაპიტალისტურ ჭარბმოსახლეობად არ მიაჩნია და სხვა ახსნა-განმარტებებს ეძებს.

ბ-ნ სტრუვეს შენიშვნა ბ-ნ ნ.—ონის საპასუხოდ სწორია. კაპიტალისტურ ჭარბმოსახლეობას ჰქმნის ის გარემოება, რომ კ ა პ ი ტ ა ლ ი ეუფლება წარმოებას და, ამცირებს რა მუშების საჭირო (პროდუქტების ამა თუ იმ რაოდენობის საწარმოებლად) რიცხვს, ჰქმნის ჭარბმოსახლეობას. მარქსი კაპიტალისტურ ჭარბმოსახლეობაზე მიწათმოქმედებაში ამბობს შემდეგს:

«როგორც კი კაპიტალისტური წარმოება ხელთ იგდებს სოფლის მეურნეობას ან იმისდა მიხედვით, რამდენადაც ის ხელთ იგდებს მას,—ამ დარგში მოქმედი კაპიტალის დაგროვებასთან ერთად აბსოლუტურად კლებულობს მოთხოვნილება სოფლის მუშებზე, ამასთან მუშების გაძევება არ იწვევს მათი უფრო მეტი რიცხვის მოზიდვას, როგორც ეს არასამიწათმოქმედო მრეწველობაში ხდება. ამიტომ სოფლის მოსახლეობის ნაწილი მუდამ მზად არის შეუერთდეს ქალაქის ან სამანუფაქტურო მოსახლეობას *. (მანუფაქტურა აქ იგულისხმება როგორც ყოველი არასამიწათმოქმედო მრეწველობა.) შეფარდებითი ჭარბმოსახლეობის ეს წყარო ამგვარად მუდმივად მდინარებს. მაგრამ მისი მუდმივი მდინარება უკვე გულისხმობს სოფლად მუდმივ ფარულ ჭარბმოსახლეობას, რომლის რაოდენობაც დასანახი ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც გადასაგდები არხები არაჩვეულებრივად ფართოდ იხსნებიან. ამის გამო სოფლის

* სხვათა შორის. ამ ფაქტის შემჩნევამ მისცა, ალბათ, ლანგეს საბაბი — შეეთხზა შესწორება მარქსის თეორიისადმი, რომელიც მან საკმაოდ ვერ გაიგო. ნაცვლად იმისა, რომ ამ ფაქტის ანალიზის დროს გამოსავალ წერტილად აეღო საზოგადოებრივი წარმოების არსებული (კაპიტალისტური) წესი და თვალი ედევნებინა მისი გამოაშკარავებისთვის მიწათმოქმედებაში, მან განიზრახა შეეთხზა «ხალხის ზნე-ჩვეულებათა» სხვადასხვა თავისებურებანი.

მუშა იძულებულია დასჯერდეს ხელფასის მინიმუმს და ცალი ფეხით მუდამ პაუპერიზმის ჭაობში დგას» («Das Kapital», 2. Aufl., S. 668)[102].

ბ-მა ნ.—ონმა ვერ დაამტკიცა ჭარბმოსახლეობის კაპიტალისტური ხასიათი სამიწათმოქმედო რუსეთში იმიტომ, რომ არ დაუკავშირა იგი კაპიტალიზმს მიწათმოქმედებაში: დაკმაყოფილდა რა გაკვრითი და ზერელე მითითებით კერძო-მფლობელური მეურნეობის კაპიტალისტურ ევოლუციაზე, მან სრულიად გაუშვა მხედველობიდან გლეხური მეურნეობის ორ-განიზაციის ბურჟუაზიული ნიშნები. ბ-ნ სტრუვეს უნდა შე-ესწორებინა ბ-ნ ნ.—ონის გადმოცემის ეს ნაკლი, რომელსაც მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან კაპიტალიზმის უგულვებელყოფას მიწათმოქმედებაში, მისი ბატონობის და იმავე დროს ჯერ კიდევ სუსტი განვითარების უგულვებელყო-ფას ბუნებრივად უნდა წარმოეშვა შინაური ბაზრის არარსე-ობის ან შემცირების თეორია. ნაცვლად იმისა, რომ ბ-ნ ნ.—ონის თეორია დაეკავშირებინა ჩვენი სამიწათმოქმედო კაპიტა-ლიზმის კონკრეტულ ცნობებთან, ბ-ნი სტრუვე მეორე შეცდო-მაში ჩავარდა: მან სრულებით უარჰყო ჭარბმოსახლეობის კაპიტალისტური ხასიათი.

რეფორმისშემდგომი დროის მთელი ისტორია ხასიათდება კაპიტალის შეჭრით სამიწათმოქმედო მეურნეობაში. მემამუ-ლეები გადადიოდნენ (ნელა თუ სწრაფად,—ეს სხვა საკითხია) ნებით დაქირავებულ შრომაზე, რომელიც მეტად ფართოდ გავრცელდა და რომელმაც განსაზღვრა გლეხთა საშოვრების დიდი ნაწილის ხასიათიც კი; ისინი ამაღლებდნენ ტექნიკას და ხმარებაში შემოჰქონდათ მანქანები. მეურნეობის თვით სასიკვდილოდ განწირული ბატონყმური სისტემაც—მიწების გაცემა გლეხებზე საბატონო სამუშაოსათვის—ბურჟუაზიულ გარდაქმნას განიცდიდა გლეხების კონკურენციის გამო, რასაც მოჰყვა მიწის ამღებთა მდგომარეობის გაუარესება, უფრო მძიმე პირობები* და, მაშასადამე, მუშების რიცხვის შემცირებაც.

* იხ., მაგალითად, კარიშევი («საერობო სტატისტიკის შედეგები», ტ. II, გვ. 266)—კრებულის მითითება დონის-როსტოვის მაზრაში გლე-

გლეხურ მეურნეობაში სავსებით ნათლად გამოაშკარავდა გლეხობის დაშლა სოფლის ბურჟუაზიად და პროლეტარიატად. «შეძლებულნი» აფართოებდნენ ნახნავს, აუმჯობესებდნენ მეურნეობას [შეად. ვ. ვ. «პროგრესული მიმდინარეობანი გლეხურ მეურნეობაში»] და იძულებულნი ხდებოდნენ დაქირავებული შრომისთვის მიემართნათ. ყოველივე ეს დიდი ხნის დადასტურებული, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტებია, რომელთაც თვითონ ბ-ნი სტრუვეც აღნიშნავს (როგორც ახლავე დავინახავთ). საილუსტრაციოდ ავიღოთ კიდევ რუსული სოფლისათვის მეტად ჩვეულებრივი შემთხვევა: «კულაკი» ართმევს «თემს», უკეთ, პროლეტარული ტიპის თანამოთემეებს, სანადელო მიწის საუკეთესო ნაკვეთს და მეურნეობას ეწევა მასზე იმავე «ნადელით უზრუნველყოფილი» გლეხების შრომით და ინვენტარით, რომელნიც, ნაროდნიკების მიერ ასე მოწონებული სათემო საწყისების გამო, გახლართულნი არიან ვალებსა და ვალდებულებებში, მიჯაჭვულნი არიან თავიანთ კეთილისმყოფელზე— სოციალური ურთიერთშეგუებისა და სოლიდარული მოქმედებისათვის. კულაკის მეურნეობას, რა თქმა უნდა, უკეთ უძღვებიან, ვიდრე გაღატაკებული გლეხების მეურნეობას, და მას გაცილებით ნაკლები მუშა სჭირდება იმ დროსთან შედარებით, როცა ეს ნაკვეთი რამდენიმე წვრილი მეპატრონის ხელში იყო. ასეთი ფაქტები რომ საყოველთაოა და არა ერთეული, — ამას ვერცერთი ნაროდნიკი ვერ უარჰყოფს. მათი თეორიების თვითმყოფობას შეადგენს მხოლოდ ის, რომ მათ არ სურთ ამ ფაქტებს მათი ნამდვილი სახელი უწოდონ, არ სურთ დაინახონ, რომ ეს ნიშნავს კაპიტალის ბატონობას მიწათმოქმედებაში. მათ ავიწყდებათ, რომ კაპიტალის პირვანდელი ფორმა ყოველთვის და ყოველგან იყო სავაჭრო, ფულადი კაპიტალი, რომ კაპიტალი წარმოების ტექნიკურ პროცესს მუდამ იმ სახით იღებს, რა სახითაც იგი დახვდება, და მხოლოდ შემდეგში ახდენს მის ტექნიკურ გარდაქმნას. ამიტომ ნაროდნიკები ვერ

ხების წილის თანდათან შემცირებაზე «სკოპშჩინაში»[103]. იქვე, თავი V. § 9 — საზიარო იჯარის დროს დანაკლისის შევსება გლეხების შრომით.

ხედავენ, რომ, როდესაც ისინი თანამედროვე სამიწათმოქმედო წესებს «იცავენ» (მხოლოდ სიტყვიერად, რასაკვირველია) «მომავალი» (?!) კაპიტალიზმისაგან, ამით ისინი იცავენ მხოლოდ კაპიტალის საშუალოსაუკუნეობრივ ფორმებს მისი უახლესი, წმინდა ბურჟუაზიული ფორმების იერიშისაგან.

ამრიგად, შეუძლებელია რუსეთში ჭარბმოსახლეობის კაპიტალისტური ხასიათის უარყოფა, როგორც შეუძლებელია კაპიტალის ბატონობის უარყოფა მიწათმოქმედებაში. მაგრამ სრული უაზრობაა, რასაკვირველია, კაპიტალის განვითარების დონის უგულვებელყოფა, როგორც ამას სჩადის ბ-ნი ნ.—ონი, რომელსაც გატაცების გამო იგი სავსებით დამთავრებულად წარმოუდგენია და რომელიც ამიტომ თხზავს თეორიას შინაური ბაზრის შემცირების ან არარსებობის შესახებ, მაშინ როდესაც სინამდვილეში კაპიტალი, თუმცა უკვე ბატონობს, მაგრამ შედარებით მეტად განუვითარებელი ფორმით; მის სრულ განვითარებამდე, წარმოების საშუალებებისაგან მწარმოებლის სავსებით გამოყოფამდე ჯერ კიდევ მრავალი შუალედი საფეხურია, და სამიწათმოქმედო კაპიტალიზმის ყოველი წინგადადგმული ნაბიჯი ნიშნავს შინაური ბაზრის ზრდას, ბაზრის, რომელსაც, მარქსის თეორიის მიხედვით, სწორედ სამიწათმოქმედო კაპიტალიზმი ჰქმნის და რომელიც რუსეთში კი არ მცირდება, არამედ, პირიქით, ეწყობა და ვითარდება.

შემდეგ, ჩვენი სამიწათმოქმედო კაპიტალიზმის* ეს მეტად ზოგადი დახასიათებაც კი გვიჩვენებს, რომ იგი ვერ ფარავს სოფლად ყველა საზოგადოებრივ-ეკონომიურ ურთიერთობას. მის გვერდით ჯერ კიდევ ვხედავთ ბატონყმურ ურთიერთობას — სამეურნეო სფეროშიც (მაგალითად, ჩამონაჭერი მიწების გაცემა საბატონო სამუშაოს შესრულებისა და ნატურით გადახდის პირობით — აქ ჩვენს თვალწინ ბატონყმური მეურნეობის ყველა ნიშანია: «ურთიერთსამსახურიც» ნატურალური სახით მწარმოებელსა და წარმოების საშუალებათა პატრონს შორის,

* მასზე უფრო დაწვრილებით ქვემოთ გვექნება ლაპარაკი, გლეხებისა და მემამულეების მიმართ ცალ-ცალკე.

მწარმოებლის ექსპლოატაციაც მისი მიწაზე მიმაგრების და არა წარმოების საშუალებათაგან ჩამოშორების გზით), და კიდევ უფრო მეტად სოციალურ და იურიდიულ-პოლიტიკურ სფეროში (სავალდებულო «უზრუნველყოფა ნადელით», მიწაზე მიმაგრება, ე. ი. თავისუფალი მიმოსვლის აღკვეთა, გამოსაყიდ გადასახდელთა გასტუმრება, ე. ი. იმავე ღალის გადახდა მემამულის სასარგებლოდ, სასამართლოს და მართვა-გამგეობის სფეროში პრივილეგიურ მიწათმფლობელთადმი მორჩილება და სხვ.); ამ ურთიერთობასაც უთუოდ მოსდევს გლეხების გაღატაკება და უმუშევრობა, მიწაზე მიმაგრებული ბოგანოების «ჭარბი მოსახლეობა». თანამედროვე ურთიერთობათა კაპიტალისტურმა საფუძველმა არ უნდა მიჩქმალოს «ძველ-თავადაზნაურული» დანაშრევის ეს ჯერ კიდევ მძლავრი ნაშთები, რომლებიც კაპიტალიზმმა დღემდე ვერ დაანგრია სწორედ თავისი განუვითარებლობის გამო. კაპიტალიზმის განუვითარებლობა, «რუსეთის ჩამორჩენილობა», რომელიც ნაროდნიკებს «ბედნიერებად»* მიაჩნიათ, «ბედნიერებაა» მხოლოდ კეთილშობილი წოდების ექსპლოატატორთათვის. თანამედროვე «ჭარბმოსახლეობა» ძირითად კაპიტალისტურ ნიშნებს გარდა, მაშასადამე, ბატონყმურ ნიშნებსაც შეიცავს.

თუ ამ უკანასკნელ დებულებას შევადარებთ ბ-ნ სტრუვეს იმ დებულებას, რომ «ჭარბმოსახლეობა» შეიცავს ნატურალურ-სამეურნეო და სასაქონლო-სამეურნეო ნიშნებს, დავინახავთ, რომ პირველი არ უარჰყოფს მეორეს, არამედ, პირიქით, შედის მასში: ბატონყმობა მიეკუთვნება «ნატურალურ-სამეურნეოს» მოვლენებს, ხოლო კაპიტალიზმი — «სასაქონლო-სამეურნეოს». ბ-ნ სტრუვეს დებულება, ერთი მხრით, ზუსტად არ აღნიშნავს, სახელდობრ რომელი ურთიერთობებია ნატურალურ-სამეურნეო და რომელი სასაქონლო-სამეურნეო, ხოლო, მეორე მხრით, გვაბრუნებს უკან მალტუსის დაუსაბუთებელ და უშინაარსო «კანონებისაკენ».

---

* ბ-ნი იუჟაკოვი «რუსსკოე ბოგატსტვოში».

ამ დეფექტებს ბუნებრივად მოჰყვა შემდგომი არადამაკმაყოფილებელი გადმოცემა. «მაშ რანაირად, — კითხულობს ავტორი, — რა საფუძველზე შ ე ი ძ ლ ე ბ ა ჩვენი სახალხო მეურნეობის რეორგანიზაცია?» (202). უცნაური კითხვაა, ფორმულირებული კვლავ სრულიად პროფესორულად, სავსებით ისე, როგორც მიჩვეულნი არიან კითხვების დასმას ბბ. ნაროდნიკები, რომელნიც აღნიშნავენ აწმყოს არადამაკმაყოფილებლობას და უკეთეს გზებს ირჩევენ სამშობლოსათვის. «ჩვენი სახალხო მეურნეობა» კაპიტალისტური მეურნეობაა, და მის ორგანიზაციას და «რეორგანიზაციას» განსაზღვრავს ბურჟუაზია, რომელიც ამ მეურნეობას «განაგებს». შესაძლებელი რეორგანიზაციის საკითხის ნაცვლად უნდა დასმულიყო საკითხი ამ ბურჟუაზიული მეურნეობის განვითარების თანმიმდევრული საფეხურების შესახებ, — უნდა დასმულიყო სწორედ იმ თეორიის თვალსაზრისით, რომლის გულისთვისაც ავტორი ასეთ მშვენიერ პასუხს აძლევს ბ-ნ ვ. ვ-ს; ბ-ნი ვ. ვ. ბ-ნ ნ.—ონს გვაცნობს «უეჭველ მარქსისტად», ამ «უეჭველ მარქსისტს» კი წარმოდგენაც არა აქვს კლასობრივ ბრძოლაზე და სახელმწიფოს კლასობრივ წარმოშობაზე. საკითხის დასმაში ამგვარი ცვლილების შეტანა თავიდან ააცილებდა ავტორს «გლეხობაზე» ისეთ არეულ მსჯელობას, როგორსაც 202 — 204-ე გვ. ვკითხულობთ.

ავტორი იწყებს იმით, რომ გლეხობას სანადელო მიწა არა ჰყოფნისო, რომ თუმცა იგი ამ დანაკლისს იჯარით ივსებს, მაგრამ «მის თვალსაჩინო ნაწილს» მაინც მ უ დ ა მ დეფიციტი აქვს; გლეხობაზე ლაპარაკი, როგორც მთლიან რამეზე, არ შეიძლება, ვინაიდან ეს ფიქციაზე ლაპარაკს* ნიშნავსო (გვ. 203). და აქედან უშუალოდ გამოჰყავს:

«ყოველ შემთხვევაში, წარმოების ნაკლებობა — ჩვენი სახალხო მეურნეობის ძ ი რ ი თ ა დ ი, უ პ ი რ ა ტ ე ს ი ფაქტია» (გვ. 204). სრულიად დაუსაბუთებელი აზრია, რომელსაც არა-

* «ბ-ნ გოლუბევის მსჯელობის მთავარი ნაკლი მის შესანიშნავ სტატიებში სწორედ ის არის, რომ მას ამ ფიქციისთვის ვერაფრით ვერ დაულწევია თავი» (203).

ვითარი კავშირი არა აქვს წინათ ნათქვამთან: რატომ «ძირითად, უპირატეს ფაქტად» არ უნდა ჩაითვალოს ის, რომ გლეხობა, როგორც მთლიანი რამ, ფიქციაა, ვინაიდან მის შიგნით იქმნებიან მტრული კლასები? ავტორს თავისი დასკვნა გამოჰყავს ისე, რომ არავითარ ცნობებს არ ეყრდნობა, არავითარ ანალიზს არ უკეთებს იმ ფაქტებს, რომლებიც ეხებიან «წარმოების ნაკლებობას» [რაც ხელს არ უშლის უმცირესობას ქონება შეიძინოს უმრავლესობის ხარჯზე] ან გლეხობის დაქუცმაცებას, — და სჩადის ამას ისე, მალტუზიანობის სასარგებლოდ რაღაც წინასწარ აკვიატებული რწმენის გამო. — «ამიტომ, — განაგრძობს იგი, — სამიწათმოქმედო შრომის ნაყოფიერების გადიდება პირდაპირ ხელსაყრელია და საკეთილო რუსი გლეხობისათვის» (204). გაოცებულნი ვართ: ავტორმა მხოლოდ ეს-იყო ახლა წამოაყენა ნაროდნიკების წინააღმდეგ სერიოზული (და ყოვლად სამართლიანი) ბრალდება «ფიქციაზე» — საერთოდ «გლეხობაზე» მსჯელობისათვის და ახლა თვითონ შეაქვს თავის ანალიზში ეს ფიქცია! თუ ურთიერთობა ამ «გლეხობის» შიგნით ისეთია, რომ უმცირესობა «ეკონომიურად ღონიერდება», ხოლო უმრავლესობა პროლეტარდება, თუ უმცირესობა აფართოებს მიწათმფლობელობას და მდიდრდება, ხოლო უმრავლესობა მუდამ დეფიციტს განიცდის და ღატაკდება, როგორღა შეიძლება ლაპარაკი იმაზე, რომ პროცესი საერთოდ «ხელსაყრელია და საკეთილო»? ალბათ, ავტორს უნდოდა ეთქვა, პროცესი ხელსაყრელია გლეხობის როგორც ერთი, ისე მეორე ნაწილისთვისო. მაგრამ მაშინ მას, ჯერ-ერთი, უნდა განეხილა და განსაკუთრებულად გამოერკვია ყოველი ცალკეული ჯგუფის მდგომარეობა და, მეორე, თუ ჯგუფებს შორის ანტაგონიზმი აღმოჩნდებოდა, გარკვევით დაედგინა — რ ო მ ე ლ ი ჯგუფის თვალსაზრისით არის ლაპარაკი იმაზე, რომ პროცესი «ხელსაყრელია და საკეთილო». ეს მაგალითი კვლავ და კვლავ ადასტურებს, რომ ბ-ნ სტრუვეს ობიექტივიზმი არ არის დამაკმაყოფილებელი და ბოლომდე მიყვანილი.

რადგან ბ-ნი ნ. — ონი ამ საკითხში საწინააღმდეგო აზრისაა, რადგან იგი ამტკიცებს, რომ «სამიწათმოქმედო შრომის ნაყო-

ფიერების გადიდება *, თუ პროდუქტები საქონლის სახით იქ-ნება დამზადებული, ვერ აამაღლებს ხალხის კეთილდღეობას» («ნარკვევები», გვ. 266), — ამიტომ ახლა ბ-ნი სტრუვე ამ აზრის უარყოფაზე გადადის.

ჯერ-ერთი, — ამბობს ის, — იმ გლეხს, რომელსაც თანამედ-როვე კრიზისი მთელი თავისი სიმძიმით დაატყდა, პური მო-ჰყავს საკუთარი მოხმარებისათვის; ის პურს არ ჰყიდის, პირ-იქით, დანაკლისს ყიდულობს კიდეც. ასეთი გლეხისათვის — მათი რიცხვი კი 50%-ს უდრის (ერთცხენიანი და უცხენო გლე-ხები), 25%-ზე (უცხენონი) ნაკლები მაინც არ არის — შრომის ნაყოფიერების გადიდება, მიუხედავად პურის ფასის დაკლები-სა, ყოველ შემთხვევაში ხელსაყრელია.

დიახ, რა თქმა უნდა, ნაყოფიერების გადიდება ასეთი გლე-ხისათვის ხელსაყრელი იქნებოდა, თუ კი იგი შესძლებდა თავისი მეურნეობის შენარჩუნებას და მის აყვანას მაღალ საფეხურზე. მაგრამ სწორედ ეს პირობები არ მოეპოვებათ ერთცხენიან და უცხენო გლეხებს. მათ არ ძალუძთ არათუ ტექნიკის ამაღლე-ბა, ახლანდელი მეურნეობის შენარჩუნებაც კი თავიანთი პრი-მიტიული იარაღებით, მიწის დაუდევრად დამუშავებით და სხვ. ტექნიკის ეს ამაღლება სასაქონლო მეურნეობის ზრდის შედეგია. და თუ სასაქონლო წარმოების განვითარების დღე-ვანდელ საფეხურზე პურის გაყიდვა აუცილებელია იმ გლეხე-ბისთვისაც კი, რომელთაც დანაკლისი პურის ყიდვა უხდებათ, შემდგომი საფეხური ამ გაყიდვას უფრო მეტად სავალდებუ-ლოდ გახდის (ავტორი თვით აღიარებს ნატურალური მეურნე-ობიდან სასაქონლო მეურნეობაზე გადასვლის აუცილებლობას), და იმ მეპატრონეების კონკურენცია, რომელნიც თავიანთ კულ-ტურას აამაღლებენ, აუცილებლად და დაუყოვნებლივ ბოლომ-დე მიიყვანს ზემოხსენებული გლეხის ექსპროპრიაციას და გა-დააქცევს მას მიწაზე მიმაგრებულ პროლეტარიდან ფრინველივით თავისუფალ პროლეტარად. მე სრულიადაც არ მინდა ვთქვა; რომ ასეთი ცვლილები მისთვის ხელსაყრელი არ იყოს.

* «რაც უნდა სასურველი და საჭიროც იყოს» ეს,—უმატებს ბ-ნი ნ.—ონი.

პირიქით, რაკი მწარმოებელი უკვე ჩაუვარდა კაპიტალს კლანჭებში — ეს კი უდავოდ მომხდარი ფაქტია გლეხობის ხსენებული ჯგუფის მიმართ — მისთვის ფრიად «ხელსაყრელი და საკეთილოა» სრული თავისუფლება, რაც ხელს გაუხსნის მას და საშუალებას მისცემს გამოიცვალოს მეპატრონეები. მაგრამ ბ-ნ სტრუვესა და ბ-ნ ნ. —ონის პოლემიკა ა მ გ ვ ა რ მოსაზრებებს სულ არ ეხება.

მეორე, — განაგრძობს ბ-ნი სტრუვე, — ბ-ნ ნ. —ონს «ავიწყდება, რომ სამიწათმოქმედო შრომის ნაყოფიერების გადიდება შესაძლებელია მხოლოდ მეურნეობის ან მემინდვრეობის ტ ე ქ ნ ი კ ა ს ა და ს ი ს ტ ე მ ა შ ი ცვლილებათა შეტანით» (206). ბ-ნ ნ. —ონს მართლაც ავიწყდება ეს, მაგრამ ეს მოსაზრება მხოლოდ გააძლიერებს დებულებას ხელმოკლე გლეხების, «პროლეტარული ტიპის» გლეხების, საბოლოო ექსპროპრიაციის აუცილებლობის შესახებ. გაუმჯობესების მხრივ ტექნიკის შესაცვლელად საჭიროა თავისუფალი ფულადი სახსრები, ამ გლეხებს კი სასურსათო სახსრებიც არ გააჩნიათ.

მესამე, — დაასკვნის ავტორი, — ბ-ნი ნ. —ონი მართალი არ არის, როდესაც ამტკიცებს, რომ სამიწათმოქმედო შრომის ნაყოფიერების გადიდება აიძულებს მეტოქეებს ფასი დაუკლონო. ასეთი დაკლებისათვის — სამართლიანად ამბობს ბ-ნი სტრუვე — საჭიროა, რომ ჩვენი სამიწათმოქმედო შრომის ნაყოფიერება არათუ დაეწიოს დასავლეთ-ევროპის ნაყოფიერებას [ამ შემთხვევაში პროდუქტს გავყიდით საზოგადოებრივ-აუცილებელი შრომის დონის მიხედვით], არამედ გაუსწროს კიდეც მას. — ეს პასუხი სავსებით საფუძვლიანია, მაგრამ იგი ჯერ კიდევ არაფერს ამბობს იმაზე, ტექნიკის ეს გადიდება «გლეხობის» სახელდობრ რომელი ნაწილისათვის და რა მოსაზრებით იქნება ხელსაყრელი.

«საერთოდ ბ-ნ ნ. — ონს ტყუილად ეშინია ასე სამიწათმოქმედო შრომის ნაყოფიერების გადიდებისა» (207). ბ-ნ სტრუვეს აზრით, ბ-ნ ნ. —ონს იმიტომ ეშინია ამის, რომ სოფლის მეურნეობის პროგრესი მას ვერ წარმოუდგენია სხვანაირად, თუ არ ექსტენსიური მიწათმოქმედების პროგრესის სახით, რომელსაც

თან სდევს მუშების სულ უფრო და უფრო მეტი რიცხვის გაძვ-ევება მანქანების მიერ.

ავტორი ხმარობს სიტყვას «შიშს» და ამით მეტად მოსწრებულად ახასიათებს ბ-ნ ნ.—ონის დამოკიდებულებას სამიწათ-მოქმედო ტექნიკის ზრდისადმი; იგი სავსებით მართალია, რომ ეს შიში — უაზრობაა. მაგრამ მისი არგუმენტაცია, ვფიქრობთ, ბ-ნ ნ. — ონის ძირითად შეცდომას არ ეხება.

ბ-ნი ნ. — ონი, რომელიც თითქოს მტკიცედ ადგია მარქსიზ-მის დოქტრინას, მაინც მკვეთრად განასხვავებს მიწათმოქმედ-ების კაპიტალისტურ ევოლუციას კაპიტალისტურ საზოგადოებაში დამუშავებითი მრეწველობის ევოლუციისაგან, — განასხვავებს იმ მხრივ, რომ ამ უკანასკნელისათვის იგი აღიარებს კაპიტალიზმის პროგრესულ მუშაობას, შრომის განსაზოგადოებას, პირველისა-თვის კი — არა. ამიტომ დამუშავებითი მრეწველობისათვის მას «არ ეშინია» შრომის ნაყოფიერების გადიდებისა, ხოლო მიწათმო-ქმედებისათვის — «ეშინია», თუმცა საქმის საზოგადოებ-რივ-ეკონომიური მხარე და ამ პროცესის გავლ-ენა საზოგადოების სხვადასხვა კლასზე ორივე შემთხვევაში სავსებით ერთნაირია... მარქსმა ეს დებულება განსაკუთრებით ცხადად გამოხატა შემდეგ შენიშვნაში: «ფილანტროპი ინგლისელი ეკონომისტები, როგორიცაა მილი, როჯერსი, გოლდვინ სმიტი, ფაუსეტი და სხვ., და ლიბერალი მეფაბრიკეები — ჯონ ბრაიტი და კომპ., ეკითხებიან ინგლისელ მიწათმფლობელ არისტოკრატებს, როგორც ღმერთი ეკითხებო-და კაენს მის ძმა აბელზე: რა იქნა მრავალი ათასი ჩვენი გლეხი? — როგორ გაჩნდით თვითონ თქვენ? ამ გლეხების მოსპობით. და რატომ არ კითხულობთ, სად გაქრნენ დამოუკიდებელი ფეიქრები, მრთველები, ხელოსნები?» («Das Kapital», I, S. 780, Anm. 237 *). უკანასკნელი ფრაზა ნათლად აიგივებს წვრილი მწარმოებლების ბედს მიწათმოქმედებაში და მათს ბედს დამუ-შავებითს მრეწველობაში, ხაზს უსვამს ბურჟუაზიული საზო-გადოების კლასების წარმოშობას ორსავე შემთხვევაში**. ბ-ნ

* — «კაპიტალი», ტ. I, გვ. 780, შენ. 237. [104] რედ.

** იხ. განსაკუთრებით XXIV თავის მე-4 §: «კაპიტალისტური მოჯარეების გენეზისი». გვ. 773—776. [105]

ნ.—ონის ძირითადი შეცდომა სწორედ ის არის, რომ იგი უგულვებელჰყოფს ამ კლასებს, მათს წარმოშობას ჩვენს გლეხობაში, მიზნად არ ისახავს მთელი სიზუსტით თვალი გაადევნოს ამ კლასების წინააღმდეგობის განვითარების ყოველ თანმიმდევრულ საფეხურს.

მაგრამ ბ-ნი სტრუვე საკითხს სრულიადაც არ აყენებს ასე. ის არათუ არ ასწორებს ბ-ნ ნ.—ონის აღნიშნულ შეცდომას, არამედ, პირიქით, თვითონვე იმეორებს მას, და იმ პროფესორის თვალსაზრისით, რომელიც კლასებზე მაღლა დგას, მსჯელობს პროგრესის «ხელსაყრელობაზე» «გლეხობისათვის». კლასებზე მაღლა დადგომის ეს ცდა საშინელ ბურუსში ახვევს ავტორის დებულებებს, რაც იქამდე მიდის, რომ მათგან ბურჟუაზიული დასკვნების გამოყვანა შეიძლება: იმ უდავოდ სწორი დებულების წინააღმდეგ, რომ კაპიტალიზმი მიწათმოქმედებაში (ისევე, როგორც კაპიტალიზმი ინდუსტრიაში) აუარესებს მწარმოებლის მდგომარეობას,—იგი აყენებს დებულებას საერთოდ ამ ცვლილებათა «ხელსაყრელობის» შესახებ. ეს იმასა ჰგავს, ვინმემ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში მანქანების მნიშვნელობაზე მსჯელობის დროს უარჰყოს ეკონომისტ-რომანტიკოსის თეორია, რომ მანქანები მშრომელთა მდგომარეობას აუარესებენ, იმ მოსაზრებით, რომ პროგრესი საზოგადოდ «ხელსაყრელია და საკეთილო».

ბ-ნ სტრუვეს მოსაზრებაზე ნაროდნიკი, ალბათ, მიუგებს: ბ-ნ ნ.—ონს ეშინია არა შრომის ნაყოფიერების გადიდების, არამედ ბურჟუაზიულობისაო.

რომ ჩვენი კაპიტალისტური წესების დროს ტექნიკის პროგრესი მიწათმოქმედებაში დაკავშირებულია ბურჟუაზიულობასთან,—ეს უეჭველია, მაგრამ «შიში», რომელსაც ნაროდნიკები იჩენენ, რა თქმა უნდა, სრული უაზრობაა. ბურჟუაზიულობა—უკვე ნამდვილი ცხოვრების ფაქტია, შრომა მიწათმოქმედებაშიც უკვე ემორჩილება კაპიტალს,—და უნდა «გვეშინოდეს» არა ბურჟუაზიულობის, არამედ იმისა, რომ მწარმოებელი არ იყოს მოკლებული ამ ბურჟუაზიულობის შეგნებას, არ იყოს მოკლე-

ბული მისგან თავისი ინტერესების დაცვის უნარს. ამიტომ უნდა ვისურვოთ არა კაპიტალიზმის განვითარების შეჩერება, არამედ, პირიქით, მისი სრული განვითარება, განვითარება ბოლომდე.

რათა უფრო დაწვრილებით და უფრო ზუსტად გამოვააშკარაოთ ბ-ნ სტრუვეს მიერ დაშვებული შეცდომის საფუძვლები კაპიტალისტურ საზოგადოებაში მიწათმოქმედებაზე მსჯელობის დროს, შევეცდებით დავასურათოთ (სულ ზოგადად) კლასების წარმოშობის პროცესი და ის ცვლილებები ტექნიკაში, რომლებმაც მსჯელობა გამოიწვიეს. ბ-ნი სტრუვე სასტიკად არჩევს ერთმანეთისაგან ექსტენსიურ და ინტენსიურ მიწათმოქმედებას და ბ-ნ ნ. —ონის შეცდომის ფესვებს ხედავს იმაში, რომ ის ექსტენსიური მიწათმოქმედების გარდა არაფერს არ სცნობს. ჩვენ შეეცდებით დავამტკიცოთ, რომ ბ-ნ ნ. —ონის ძ ირ ი თ ა დ ი შეცდომა ეს არ არის, რომ ინტენსიურ მიწათმოქმედებაზე გადასვლის დროს ბურჟუაზიული საზოგადოების კლასების წარმოშობა არსებითად ისევე ხდება, როგორც ექსტენსიური მიწათმოქმედების განვითარების დროს.

ექსტენსიურ მიწათმოქმედებაზე ბევრი ლაპარაკი არ მოგვიხდება, რადგან ბ-ნი სტრუვეც აღიარებს, რომ აქ ბურჟუაზიის მიერ «გლეხობის» გამოძევება ხდებაო. აღვნიშნავთ მხოლოდ ორ პუნქტს. პირველი. ტექნიკის პროგრესს სასაქონლო მეურნეობა იწვევს; მის განსახორციელებლად საჭიროა, რომ მეპატრონეს ჰქონდეს თავისუფალი, ჭარბი [მისი მოხმარებისა და მის წარმოების საშუალებათა კვლავწარმოების მიმართ] ფ უ ლ ა დ ი სახსარი. საიდან შეიძლება გაჩნდეს ეს სახსარი? ცხადია, მის გასაჩენად ერთადერთი გზაა ის, რომ ბრუნვა: საქონელი — ფული — საქონელი გადაიქცევა ბრუნვად: ფული — საქონელი — ფული პლუსით. სხვა სიტყვებით, ამ სახსარს აჩენს მხოლოდ-დამხოლოდ კაპიტალი, ს ა ვ ა ჭ რ ო და ს ა ვ ა ხ შ ო კ ა პ ი ტ ა ლ ი, სწორედ ის «ბობოლები, კულაკები, ვაჭრები» და სხვ., რომელთაც რუსეთის გულუბრყვილო ნაროდნიკები აკუთვნებენ ა რ ა კაპიტალიზმს, ა რ ა მ ე დ «მტაცებლობას» (თითქოს კაპიტალიზმი მტაცებლობა არ იყოს! თითქოს რუსეთის სინამდვილე არ გვიჩვენებდეს ამ «მტაცებლობის» ყოველგვარი ფორმის —

დაწყებული უაღრესად პრიმიტიული და პირველყოფილი კულაკობით და გათავებული უახლესი, რაციონალური მეწარმეობით — ურთიერთკავშირს!) *. მეორე, აღვნიშნოთ ბ-ნ ნ. —ონის უცნაური დამოკიდებულება ამ საკითხისადმი. 233-ე გვერდზე მეორე შენიშვნაში იგი უარჰყოფს «სამხრეთ-რუსეთის გლეხური მეურნეობის» ავტორის ვ. ე. პოსტნიკოვის აზრს; ვ. ე. პოსტნიკოვი აღნიშნავს, რომ მანქანებმა სწორედ ერთიორად გაადიდეს გლეხის კომლის სამუშაო ფართობი, აიყვანეს იგი 10-დან 20 დესეტინამდე ერთ მუშაზე, და რომ ამიტომ «რუსეთის სიღარიბის» მიზეზი «გლეხური მეურნეობის მცირე მოცულობაა». სხვა სიტყვებით: ტექნიკის ზრდა ბურჟუაზიულ საზოგადოებაში წვრილ და ჩამორჩენილ მეურნეობათა ექსპროპრიაციას იწვევს. ბ-ნი ნ. —ონი ამის საწინააღმდეგოდ ამბობს: ხვალ ტექნიკას შეუძლია ერთისამად გაადიდოს სამუშაო ფართობი. მაშინ 60-დესეტინიანი მეურნეობები უნდა გადავაქციოთ 200 და 300-დესეტინიან მეურნეობებადო. — ასეთი საბუთი ჩვენი მიწათმოქმედების ბურჟუაზიულობის წინააღმდეგ ისევე სასაცილოა, როგორც ის, საფაბრიკო კაპიტალიზმის სისუსტისა და უძლურების შტკიცება რომ დაეწყო ვინმეს იმ მოსაზრებით, რომ დღევანდელი ორთქლის მანქანის ნაცვლად «ხვალ» შეიძლება ელექტრონის მანქანის შემოღება მოგვიხდესო. «ასევე გაუგებარია,

* ბბ. ნაროდნიკებს მოეპოვებათ კიდევ ერთი, ფრიად ღრმა, ხერხიც «სახალხო წარმოებაში», ე. ი. «სახალხო» მევახშეობასა და კულაკობაში ჩვენი სამრეწველო კაპიტალიზმის ფესვების მისაფუჩეჩებლად. კულაკს თავისი «დანაზოგი» მიაქვს სახელმწიფო ბანკში; მისი ანაბარები საშუალებას აძლევს ბანკს დაეყრდნოს სახალხო სიმდიდრის, სახალხო დანაზოგთა, სახალხო თავგზიანობის, სახალხო კრედიტუნარიანობის ზრდას და ისესხოს ფული ინგლისელისაგან. ნასესხებ ფულს «სახელმწიფო» ახმარს... — რა წინდაუხედავი პოლიტიკაა! რა სამწუხარო უგულვებელყოფაა «თანამედროვე მეცნიერებისა» და «თანამედროვე ზნეობრივი იდეებისა»! — ...კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ ე ბ ს. საკითხავია ახლა, სახელმწიფომ რომ ეს (კაპიტალისტების) ფული მოახმაროს არა კაპიტალიზმს, არამედ «სახალხო წარმოებას», ნუთუ ცხადი არ არის, რომ ჩვენში, რუსეთში, მაშინ იქნებოდა არა კაპიტალიზმი, არამედ «სახალხო წარმოება»?

ყად მიდის მილიონობით განთავისუფლებული მუშა-ხელი»— დასძენს ბ-ნი ნ. —ონი, საბრალდებულო სკამზე სვამს რა ბურჟუაზიას, და ავიწყდება, რომ მისი გასამართლება, თვით მწარმოებლის გარდა, არავის შეუძლია. უმუშევართა სათადარიგო არმიის გაჩენა ისეთივე აუცილებელი შედეგია მანქანების გამოყენებისა ბურჟუაზიულ მიწათმოქმედებაში, როგორც ბურჟუაზიულ ინდუსტრიაშიც.

ამრიგად, ექსტენსიური მიწათმოქმედების განვითარების მიმართ ეჭვს გარეშეა, რომ ტექნიკის პროგრესი სასაქონლო მეურნეობის დროს იწვევს «გლეხის» გადაქცევას, ერთი მხრით, ფერმერად (ფერმერად იგულისხმება მეწარმე, კაპიტალისტი მიწათმოქმედებაში), ხოლო, მეორე მხრით, — ბოგანოდ და დღიურ მუშად. ავიღოთ ახლა ისეთი შემთხვევა, როცა ექსტენსიური მიწათმოქმედება ინტენსიურში გადადის. ბ-ნი სტრუვე სწორედ ამ პროცესისაგან მოელის «სარგებლობას» «გლეხისათვის». რათა თავიდან ავიცილოთ კამათი იმ მასალის ვარგისობის შესახებ, რომლის მიხედვითაც ამ გადასვლას ავწერთ, ვისარგებლოთ ბ-ნ ა. ი. სკვორცოვის* თხზულებით: «ორთქლის ტრანსპორტის გავლენა სოფლის მეურნეობაზე», სკვორცოვის, რომელსაც ბ-ნი სტრუვე ასე უზომო ხოტბას ასხამს.

თავისი წიგნის IV განყოფილების მე-3 თავში ბ-ნი ა. სკვორცოვი განიხილავს «ორთქლის ტრანსპორტის გავლენით მიწათმოქმედების ტექნიკის შეცვლას» ექსტენსიურ და ინტენსიურ ქვეყნებში. ავიღოთ ამ ცვლილების აწერა მ ჰ ი დ რ ო დ დ ა ს ა ხ ლ ე ბ უ ლ ე ქ ს ტ ე ნ ს ი ო ს ქ ვ ე ყ ნ ე ბ ი ს. შე-

---

* ჩვენს ლიტერატურაში ბ-ნ სკვორცოვს მარქსისტად სთვლიან. ეს ისევე უსაფუძვლოა, როგორც ბ-ნ ნ. —ონის მარქსისტად ჩარიცხვა. არც ბ-ნი ა. სკვორცოვი იცნობს მოძღვრებას კლასობრივი ბრძოლისა და საზელმწიფოს კლასობრივი ხასიათის შესახებ. მისი პრაქტიკული წინადადებები «ეკონომიურ ეტიუდებში» არაფრით არ განირჩევიან ჩვეულებრივი ბურჟუაზიული წინადადებებისაგან. თუ ის ბ-ნ ნაროდნიკებზე ბევრად უფრო ფხიზლად უყურებს რუსულ სინამდვილეს, მაშინ მ ა რ ტ ო ო დ ე ნ ამ მოსაზრებით მარქსისტად უნდა ჩაგვერიცხა ბ-ნი ბ. ჩიჩერინიც და მრავალი სხვაც.

იძლება ვიფიქროთ, რომ ევროპის რუსეთის ცენტრალური ნაწილი მიუდგება ასეთ დახასიათებას. ბ-ნი სკვორცოვი ასეთ ქვეყანას იმავე ცვლილებებს უწინასწარმეტყველებს, რაც, ბ-ნ სტრუვეს აზრით, აუცილებლად უნდა მოხდეს რუსეთშიც, სახელდობრ: მის გადაქცევას ინტენსიური მიწათმოქმედების ქვეყნად განვითარებული საფაბრიკო წარმოებით.

გავყვეთ ბ-ნ ა. სკვორცოვს (§§ 4—7, გვ. 440—451).

ექსტენსიური ქვეყანა*. მოსახლეობის დიდად საგრძნობი ნაწილი მიწათმოქმედებას მისდევს. საქმიანობის ერთფეროვნება ბაზრის უქონლობას იწვევს. მოსახლეობა ღარიბია, ჯერერთი, მეურნეობათა მცირე მოცულობის გამო და, მეორეც, გაცვლა-გამოცვლის უქონლობის გამო: «საკვების გარდა, რომელიც თვით მიწათმოქმედს მოჰყავს, დანარჩენ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება ხდება, შეიძლება ითქვას, მხოლოდდამხოლოდ პირველყოფილი ხელობის, ჩვენში ეგრეთწოდებული შინამრეწველობის, ნაწარმოებთა ხარჯზე».

რკინიგზის გაყვანა ადიდებს სამიწათმოქმედო პროდუქტების ფასს და, მაშასადამე, ამაღლებს მოსახლეობის მყიდველობითს უნარს. «რკინიგზასთან ერთად ქვეყანა ივსება მანუფაქტურებისა და ფაბრიკების იაფი ნაწარმოებებით», რაც აღატაკებს ადგილობრივ შინამრეწველებს. ეს არის «ბევრი მეურნეობის დაღუპვის» პირველი მიზეზი.

ამავე მოვლენის მეორე მიზეზია მოუსავლობა. «მიწათმოქმედებასაც დღემდე ეწეოდნენ პირველყოფილი საშუალებით, ე. ი. ყოველთვის არარაციონალურად, და, მაშასადამე, მოუსავლობა არაიშვიათი მოვლენაა, ხოლო რკინიგზის გაყვანის შემდეგ პროდუქტის გაძვირებას, რაც წინათ მოუსავლობის შედეგი იყო, ან სულ აღარ აქვს ადგილი, ან, ყოველ შემთხ-

* ბ-ნი ა. სკვორცოვი აღნიშნავს, რომ ექსტენსიურ ქვეყნად ჩვეულებრივ გულისხმობენ მცირედ დასახლებულ ქვეყანასო (გვ. 439, შენ.). მას ეს განმარტება მართებულად არ მიაჩნია და მოჰყავს ექსტენსივობის შემდეგი ნიშნები: 1) მოსავლის ძლიერი მერყეობა; 2) კულტურების ერთფეროვანება და 3) უქონლობა შინაური ბაზრებისა, ე. ი. დიდი ქალაქებისა, რომელნიც თავს უყრიან დამუშავებითს მრეწველობას.

ვევაში, იგი საგრძნობლად მცირდება. ამიტომ პირველსავე მოუსავლობას აქ ბუნებრივად მოსდევს მრავალი მეურნეობის განადგურება. ასეთი შედეგი მით უფრო ჩქარა ჩნდება, რაც უფრო ნაკლები იყო საერთოდ ნორმალურ მოსავალთა ნაჭარბი და რაც უფრო მეტი იმედი უნდა ჰქონოდა მოსახლეობას იმ საშოვრისა, რასაც შინამრეწველობა იძლევა».

რათა მოსახლეობამ ინტენსიურ (რაციონალურ) მიწათმოქმედებაზე გადასვლით თავი დაანებოს შინამრეწველობას და უზრუნველჰყოს თავი მოუსავლობისაგან, — საჭიროა, ჯერ-ერთი, ფულად სახსართა დიდი ნაჭარბი (სამიწათმოქმედო პროდუქტების უფრო დიდ ფასში გაყიდვით) და, მეორე, — მოსახლეობის ინტელიგენტური ძალა, ურომლისოდაც შეუძლებელია რაციონალობისა და ინტენსივობის ამაღლება. მოსახლეობის მასას, რა თქმა უნდა, ეს პირობები არ მოეპოვება: ამ პირობებს მხოლოდ უმცირესობა აკმაყოფილებს *.

«ამრიგად წარმომდგარ [ე. ი. ბევრი მეურნეობის «ლიკვიდაციის» გამო, რომელთა გაღატაკება გამოიწვია შინამრეწველობის დაცემამ და მიწათმოქმედებისადმი უფრო დიდი მოთხოვნების წაყენებამ] ჭარბ მოსახლეობას ნაწილობრივ შთანთქამენ ის მეურნეობები, რომელნიც უფრო წარმატებით გამოვლენ ამ მდგომარეობიდან და რომელთაც შესაძლებლობა ექნებათ გაადიდონ წარმოების ინტენსივობა» (ე. ი., რა თქმა უნდა, «შთანთქამენ» როგორც დაქირავებულ მუშებს, ბოგანოებს და დღიურ მუშებს. ბ-ნი ა. სკვორცოვი არ ამბობს ამას, შეიძლება, იმიტომ, რომ ფიქრობს — ეს მეტისმეტად ცხადიაო). საჭირო იქნება დიდი ცოცხალი ძალის დახარჯვა, ვინაიდან მიმოსვლის საშუალებათა გაუმჯობესებით მიღწეული სიახლოვე ბაზრისა შესაძლებელს ხდის ძნელად გადასაზიდი პროდუქტების წარმოებას, «რომელთა წარმოება მეტწილად

* «ასეთი ქვეყნისათვის (რომელიც სამეურნეო კულტურულობის განსაზღვრულ დონეზე სქლად არის დასახლებული) უნდა დავუშვათ, რომ, ერთი მხრით, ნაჭარბის სიმცირე, მეორე მხრით—მოსახლეობის განათლების დაბალი საფეხური ბევრ მეურნეობას, შეცვლილი პირობების დროს, აიძულებს ლიკვიდაციამდე მივიდეს» (442).

საგრძნობი ცოცხალი მუშა-ძალის მოხმარებას მოითხოვს». «მაგრამ რღვევის პროცესი, — განაგრძობს ბ-ნი სკვორცოვი, — ჩვეულებრივ ბევრად უფრო სწრაფად მიმდინარეობს, ვიდრე გადარჩენილ მეურნეობათა გაუმჯობესების პროცესი, და გა-ღატაკებულ მეპატრონეთა ნაწილი იძულებული ხდება გადა-სახლდეს თუ ქვეყნიდან არა, ქალაქებში მაინც. აი ეს ნაწილი შეადგენს ევროპის ქალაქების მოსახლეობის ნამატის მთავარ კონტინგენტს რკინიგზების გაყვანის დროიდან».

შემდეგ. «ჭარბი მოსახლეობა ნიშნავს იაფ მუშა-ხელს». «როცა ნიადაგი ნაყოფიერია (და ჰავაც ხელს უწყობს...), მო-ცემულია ყველა პირობა მცენარეთა კულტურისათვის და სა-ზოგადოდ სამიწათმოქმედო პროდუქტების წარმოებისათვის,— პროდუქტების, რომელნიც მუშა-ხელის დიდ ხარჯვას საჭიროე-ბენ სივრცის ერთეულზე» (443), მით უმეტეს, რომ მეურნეობათა მცირე მოცულობა («თუმცა ისინი, წინანდელთან შედარებით, შეიძლება, გადიდდეს კიდეც») აძნელებს მანქანების შემოღებას. «ამასთან ერთად უცვლელი არ დარჩება ძირითადი კაპიტალიც, და პირველ ყოვლისა მკვდარმა ინვენტარმა უნდა შეიცვალოს თავისი ხასიათი». მანქანებს გარდა «ნიადაგის უკეთ დამუშა-ვების აუცილებლობას მოჰყვება წინანდელი პირველყოფილი იარაღების შეცვლა უფრო გაუმჯობესებული იარაღებით, ხის შეცვლა რკინითა და ფოლადით. ეს გარდაქმნა აუცილებლად გამოიწვევს აქ ისეთი ფაბრიკების შექმნას, რომლებმაც ამგვარი იარაღები უნდა დაამზადონ, ვინაიდან შინამრეწველური გზით მათი ცოტად თუ ბევრად ხეირიანად დამზადება შეუძლებელია». მრეწველობის ამ დარგის განვითარებას ხელს უწყობენ შემდეგი პირობები: 1) მანქანის ან მისი ნაწილის სწრაფად მიღების საჭიროება; 2) «აქ მუშა-ხელის სიმრავლე და სიიაფეა»; 3) სათ-ბობი, შენობები და მიწა იაფია; 4) «სამეურნეო ერთეულების სიპატარავეს მოსდევს ის, რომ იარაღების მოხმარება იზრდება, ვინაიდან ცნობილია, რომ წვრილ მეურნეობებს შედარებით მეტი ინვენტარი სჭირდებათ». ვითარდება სხვაგვარი წარმოე-ბანიც. «საერთოდ ვითარდება ქალაქის ცხოვრება». აუცილებ-ლობის გამო ვითარდებიან ს ა მ თ ა მ ა დ ნ ო ს ა რ ე წ ე ბ ი,

«რადგან, ერთი მხრით, მრავლად ჩნდება თავისუფალი მუშახელი, ხოლო, მეორე მხრით, რკინიგზებისა და გადამუშავებითი სამანქანო და სხვა მრეწველობის განვითარების მეოხებით ძლიერდება მოთხოვნილება სამთამადნო სარეწის პროდუქტებზე.

ამრიგად, ასეთი რაიონი, რომელიც რკინიგზის გაყვანამდე ექსტენსიური მიწათმოქმედების მჭიდროდ დასახლებული რაიონი იყო, ასე თუ ისე სწრაფად გადაიქცევა ხოლმე მეტად ინტენსიური მიწათმოქმედების რაიონად ცოტად თუ ბევრად განვითარებული საფაბრიკო წარმოებით». ინტენსივობის გაძლიერებას ააშკარავებს მემინდვრეობის სისტემის შეცვლა. სამმინდვრიანი სისტემა შეუძლებელია მოსავლის მერყეობის გამო. აუცილებელია გადასვლა «მემინდვრეობის მცენარეთა ცვლის სისტემაზე», რომელიც სპობს მოსავლის მერყეობას. რა თქმა უნდა, ერთბაშად არ შეიძლება სრული მცენარეთა ცვლის სისტემის* შემოღება, რომელიც ძალიან მაღალ ინტენსივობას მოითხოვს. ამიტომ ჯერ შემოღებული იქნება ხორბლეულის მცენარეთა ცვლის თესლბრუნვა [მცენარეების წესიერი მონაცვლეობა], განვითარდება მეცხოველეობა, საკვები ბალახების თესვა.

«ბოლოსდაბოლოს, მაშასადამე, ჩვენი მჭიდროდ დასახლებული ექსტენსიური რაიონი ცოტად თუ ბევრად სწრაფად, მიმოსვლის საშუალებათა განვითარებისდა მიხედვით, გადაიქცევა მაღალ-ინტენსიური მეურნეობის რაიონად, ამასთან მისი ინტენსივობა, როგორც ვთქვით, პირველ ყოვლისა გაიზრდება ცვალებადი კაპიტალის გადიდების ხარჯზე».

ინტენსიური მეურნეობის განვითარების პროცესის ეს დაწვრილებითი აწერა ნათლად გვიჩვენებს, რომ ამ შემთხვევაშიც ტექნიკის პროგრესს სასაქონლო მეურნეობის დროს მივყევართ ბურჟუაზიული მეურნეობისაკენ, უშუალო მწარმოებელს იგი ჰშლის ფერმერად, რომელიც სარგებლობს ინტენსივობის,

* მისი ნიშნებია: 1) მთელი მიწა სახნავად იქცევა; 2) ნასვენი, რამდენადაც შესაძლებელია, ისპობა; 3) თესლბრუნვაში მცენარეები წესიერად მონაცვლეობენ; 4) რაც შეიძლება გულმოდგინე დამუშავება; 5) პირუტყვის ბაგაზე ყოლა.

იარაღების გაუმჯობესების და სხვ. მთელი სიკეთით, — და მუშად, რომელიც თავისი «თავისუფლებით» და «სიიაფით» უაღრესად «ხელსაყრელ პირობებს» ჰქმნის «მთელი სახალხო მეურნეობის პროგრესული განვითარებისათვის».

ბ-ნ ნ. — ონის ძირითადი შეცდომა ის კი არ არის, რომ იგი უგულვებელჰყოფს ინტენსიურ მიწათმოქმედებას და მარტო ექსტენსიურს სჯერდება, არამედ ის, რომ რუსეთის სამიწათმოქმედო წარმოების სფეროში არსებულ კლასობრივ წინააღმდეგობათა ანალიზის ნაცვლად მკითხველს სთავაზობს უშინაარსო ლამენტაციებს, რომ «ჩვენ» შემცდარი გზით მივდივართო. ბ-ნი სტრუვე იმეორებს ამ შეცდომას, «ობიექტური» მსჯელობებით ჩრდილავს კლასობრივ წინააღმდეგობებს და ასწორებს ბ-ნ ნ. — ონის მხოლოდ მეორეხარისხოვან შეცდომებს. ეს მით უფრო უცნაურია, რომ თვითონ ის სრულიად სამართლიანად უსაყვედურებს ამ «უეჭველ მარქსისტს» კლასობრივი ბრძოლის თეორიის გაუგებლობას. მით უფრო სამწუხაროა ეს, რომ ბ-ნი სტრუვე ასეთი შეცდომით ასუსტებს თავისი სავსებით სამართლიანი აზრის დამამტკიცებელ მნიშვნელობას, — იმ აზრის, რომ მიწათმოქმედებაში ტექნიკური პროგრესის «შიში» უაზრობაა.

რათა დავამთავროთ მსჯელობა კაპიტალიზმის საკითხზე მიწათმოქმედებაში, შევაჯამოთ ზემონათქვამი. როგორ აყენებს საკითხს ბ-ნი სტრუვე? ჭარბმოსახლეობას ის აპრიორულად, დაუსაბუთებლად ხსნის გამრავლებასა და საარსებო საშუალებებს შორის არსებული შეუსატყვისობით; შემდეგ აღნიშნავს, რომ ჩვენს გლეხს საკვები «საკმაოდ ვერ მოჰყავს», და საკითხს იმით სწყვეტს, რომ ტექნიკის პროგრესი ხელსაყრელია «გლეხობისათვის», რომ «მიწათმოქმედების ნაყოფიერება უნდა გადიდდეს» (211). როგორ უნდა დაეყენებინა საკითხი ბ-ნ სტრუვეს, ის რომ მარქსიზმის «დოქტრინით შებოჭილი» ყოფილიყო? მას უნდა დაეწყო რუსეთის მიწათმოქმედებაში არსებული წარმოებითი ურთიერთობის ცნობების ანალიზით და — როცა დაგვანახვებდა, რომ მწარმოებლის ჩაგვრა აიხსნება არა შემთხვევითი მოვლენით და არა პოლიტიკით, არამედ კაპიტალის

ბატონობით, რომელიც აუცილებლობის გამო იქმნება სასაქონლო მეურნეობის ნიადაგზე, — შემდეგ თვალი გაედევნებინა, როგორ ანგრევს ეს კაპიტალი წვრილ წარმოებას და ამავე დროს რა ფორმებს იღებენ კლასობრივი წინააღმდეგობანი. მერე უნდა ეჩვენებინა, როგორ მივყევართ შემდგომ განვითარებას იქამდე, რომ სავაჭრო კაპიტალი ინდუსტრიულ კაპიტალად გადაიზრდება (იღებს რა ამა და ამ ფორმებს ექსტენსიური და ამა და ამ ფორმებს ინტენსიური მეურნეობის დროს), როგორ ავითარებს და ამწვავებს იგი იმ კლასობრივ წინააღმდეგობას, რომელსაც საფუძველი სავსებით ჯერ ისევ ძველი ფორმის დროს ჩაეყარა, როგორ უპირისპირებს საბოლოოდ ერთიმეორეს «თავისუფალ» შრომას და «რაციონალურ» წარმოებას. მაშინ საკმაო იქნებოდა ბურჟუაზიული წარმოების და ბურჟუაზიული ექსპლოატაციის ამ ორი თანმიმდევრული ფორმის უბრალო დაპირისპირება, რომ ცვლილების «პროგრესული» ხასიათი, მისი «ხელსაყრელობა» მწარმოებლისათვის სრული სიცხადით გამოაშკარავებულიყო: პირველ შემთხვევაში შრომის დაქვემდებარებას კაპიტალისადმი ჰფარავს საშუალოსაუკუნეობრივ ურთიერთობათა ათასობით ნამსხვრევი, რაც ხელს უშლის მწარმოებელს დაინახოს საქმის დედაარსი და მის იდეოლოგს უნერგავს უაზრო და რეაქციულ იდეებს «საზოგადოებისაგან» დახმარების მოლოდინის შესაძლებლობის და ს ხ ვ. შესახებ; მეორე შემთხვევაში ეს დამორჩილება სრულიად თავისუფალია საშუალოსაუკუნეობრივი ხუნდებისაგან, და მწარმოებელს საშუალება ეძლევა და ესმის აუცილებლობა დამოუკიდებელი, შეგნებული მოქმედებისა თავისი «ანტიპოდის» წინააღმდეგ. ნაცვლად მსჯელობისა კაპიტალიზმზე «ძნელი, მტკივნეული გადასვლის» შესახებ, ჩვენს წინ გადაიშლებოდა თეორია, რომელიც არა მარტო გვამცნობდა კლასობრივ წინააღმდეგობებს, არამედ ნამდვილადაც გამოააშკარავებდა მათ «არარაციონალური» და «რაციონალური» წარმოების, «ექსტენსიური» და «ინტენსიური» მეურნეობის ყოველ ფორმაში.

ის შედეგი, რომელიც მოგვცა ბ-ნ სტრუვეს წიგნის VI თავის პირველი ნაწილის განხილვამ, რომელიც ეხება «ჭარბმოსახ-

ლეობის ხასიათს სამიწათმოქმედო რუსეთში», შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ: 1) ბ-ნ სტრუვეს მალტუზიანობა არ არის დასაბუთებული არავითარი ფაქტიური ცნობებით და დამყარებულია მეთოდოლოგიურად შემცდარ დოგმატურ დებულებებზე. — 2) ჭარბმოსახლეობა სამიწათმოქმედო რუსეთში აიხსნება კაპიტალის ბატონობით და არა მოსახლეობის გამრავლებისა და საარსებო საშუალებების შეუსატყვისობით. — 3) ბ-ნ სტრუვეს დებულება ჭარბმოსახლეობის ნატურალურ-მეურნეობრივი ხასიათის შესახებ სწორია მხოლოდ იმ აზრით, რომ სამიწათმოქმედო კაპიტალი, ბატონყმური ურთიერთობის ნაშთების წყალობით, იგვიანებს განუვითარებელი და ამიტომ მწარმოებლისათვის განსაკუთრებით მძიმე ფორმებიდან გამოსვლას. — 4) ბ-მა ნ. —ონმა ვერ დაამტკიცა რუსეთის ჭარბმოსახლეობის კაპიტალისტური ხასიათი იმიტომ, რომ არ გამოიკვლია კაპიტალის ბატონობა მიწათმოქმედებაში. — 5) ბ-ნ ნ. —ონის ძირითადი შეცდომა, რომელსაც ბ-ნი სტრუვეც იმეორებს, იმაში მდგომარეობს, რომ მან ანალიზი არ გაუკეთა იმ კლასებს, რომელნიც ბურჟუაზიული მიწათმოქმედების განვითარების დროს იქმნებიან. — 6) ბ-ნ სტრუვეს მხრივ კლასობრივ წინააღმდეგობათა ამ უგულვებელყოფას ბუნებრივად მოჰყვა ის, რომ სრულიად სწორი დებულება ტექნიკურ გაუმჯობესებათა პროგრესულობისა და სასურველობის შესახებ მეტად უხეირო და ბუნდოვან ფორმაში იყო გამოხატული.

II

გადავიდეთ ახლა VI თავის მეორე ნაწილზე, რომელიც ეხება გლეხობის დაშლის საკითხს. ამ ნაწილს პირდაპირი და უშუალო კავშირი აქვს წინა ნაწილთან, — იგი დამატებაა იმ საკითხისა, რომელიც ეხება კაპიტალიზმს მიწათმოქმედებაში.

ბ-ნი სტრუვე, აღნიშნავს რა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასების გადიდებას პირველი 20 წლის განმავლობაში რეფორმის შემდეგ, სასაქონლო წარმოების გაფართოებას მი-

წათმოქმედებაში, სრულიად სამართლიანად ამბობს, რომ ამით «უმთავრესად მოიგეს მიწათმფლობელებმა და შეძლებულმა გლეხებმა» (214). «დიფერენციაცია გლეხურ მოსახლეობაში უნდა გაძლიერებულიყო, და მისი პირველი წარმატებანი ამ ხანას ეკუთვნის». ავტორს მოჰყავს ადგილობრივ მკვლევართა მითითებანი, რომ რკინიგზების გაყვანამ ასწია გლეხობის მხოლოდ შეძლებული ნაწილის კეთილდღეობა, რომ იჯარა გლეხებში ჰბადებს «ნამდვილ ბრძოლას», რომელიც ყოველთვის ეკონომიურად ღონიერი ელემენტების გამარჯვებით თავდება (216—217). მას მოჰყავს ციტატები ვ. პოსტნიკოვის გამოკვლევიდან, რომლის მიხედვით შეძლებულ გლეხთა მეურნეობა უკვე იმდენად ემორჩილება ბაზარს, რომ ნათესი ფართობის 40% გასაყიდ პროდუქტს იძლევა; შემდეგ იგი დასძენს, რომ მოპირდაპირე პოლუსზე გლეხები «ჰკარგავენ თავიანთ ეკონომიურ დამოუკიდებლობას, ჰყიდიან თავიანთ სამუშაო ძალას და გაბოგანოების მიჯნაზე იმყოფებიან», — და სამართლიანად დაასკვნის: «მხოლოდ გაცვლითი მეურნეობის შემოჭრით აიხსნება ის ფაქტი, რომ ეკონომიურად ღონიერ გლეხურ მეურნეობებს შეუძლიათ ისარგებლონ სუსტ მეკომურთა გაღატაკებით» (223). «ფულადი მეურნეობის განვითარებას და მოსახლეობის ზრდას — ამბობს ავტორი — მოსდევს ის, რომ გლეხობა ორად იყოფა: ერთია ეკონომიურად ღონიერი, რომელიც შესდგება ახალი ძალის, ყოველი სახის და ხარისხის კაპიტალის წარმომადგენლებისაგან, ხოლო მეორე არის ის, რომელიც შესდგება ნახევრადდამოუკიდებელ მიწათმოქმედთა და ნამდვილ ბოგანოთაგან» (239).

თუმცა ავტორის შენიშვნები ამ «დიფერენციაციის» შესახებ მეტად მოკლეა, მაგრამ მიუხედავად ამისა ისინი საშუალებას გვაძლევენ აღვნიშნოთ ამ პროცესის შემდეგი მნიშვნელოვანი ნიშნები: 1) საქმე არ ისაზღვრება მარტოოდენ ქონებრივი უთანასწორობის წარმოშობით: იქმნება «ახალი ძალა» — კ ა პ ი ტ ა ლ ი. 2) ამ ახალი ძალის შექმნას თან სდევს გლეხურ მეურნეობათა ახალი ტიპების წარმოშობა: ესაა, ჯერ-ერთი, შეძლებული, ეკონომიურად ღონიერი მეურნეობა, რომელიც ეწევა განვითარებულ სასაქონლო წარმოებას, ართმევს იჯარას ღარიბებს, მიმართავს

სხვისი შრომის ექსპლოატაციას *; — მეორე, მეურნეობა «პროლეტარული» გლეხობისა, რომელიც თავის სამუშაო ძალას კაპიტალს მიჰყიდის ხოლმე. 3) ყველა ეს მოვლენა პირდაპირ და უშუალოდ აღმოცენდა სასაქონლო მეურნეობის ნიადაგზე. ბ-მა სტრუვემ თვითონვე აღნიშნა, რომ სასაქონლო წარმოების გარეშე მათი აღმოცენება შეუძლებელი იყო, მისმა შემოჭრამ კი ისინი აუცილებელი გახადაო. 4) ეს მოვლენები («ახალი ძალა», გლეხობის ახალი ტიპები) მიეკუთვნებიან წ ა რ მ ო ე ბ ი ს დარგს და არ კმაყოფილდებიან გაცვლა-გამოცვლის, საქონლის მიმოქცევის დარგით: კაპიტალი თავს იჩენს ხოლმე სამიწათმოქმედო წ ა რ მ ო ე ბ ა შ ი; ასევე ხდება სამუშაო ძალის გაყიდვაც.

პროცესის ეს თვისებები, თითქოს, პირდაპირ ააშკარავებენ, რომ ჩვენ საქმე გვაქვს წმინდა კაპიტალისტურ მოვლენასთან, რომ გლეხობაში იქმნებიან ისეთი კ ლ ა ს ე ბ ი, რომელნიც კაპიტალისტურ საზოგადოებას ახასიათებენ, — ბურჟუაზია და პროლეტარიატი. ეს კიდევ ცოტაა: აღნიშნული ფაქტები მოწმობენ არა მარტო კაპიტალის ბატონობას მიწათმოქმედებაში, არამედ იმასაც, რომ კაპიტალმა, თუ შეიძლება ასე ითქვას, მეორე ნაბიჯიც გადადგა. სავაჭრო კაპიტალიდან იგი ხდება ინდუსტრიულ კაპიტალად, ბაზარზე გაბატონებული კაპიტალიდან — წარმოებაში გაბატონებულ კაპიტალად; მდიდარი-შემყიდველის და ღარიბი გლეხის კლასობრივი წინააღმდეგობა იქცევა რაციონალური ბურჟუაზიული მეპატრონის და თავისუფალი მარჯვენის თავისუფლად გამყიდველის წინააღმდეგობად.

მაგრამ ბ-მა სტრუვემ აქაც ვერ დააღწია თავი მალტუზიანობას; აღნიშნულ პროცესში, მისი აზრით, გამოიხატება საქმის ვითარების მხოლოდ ე რ თ ი მ ხ ა რ ე («მხოლოდ პროგრესული

* ბ-ნი სტრუვე არ იხსენიებს ამ თვისებას. იგი გამოიხატება როგორც დაქირავებული შრომის გამოყენებაში, რაც მცირე როლს როდი თამაშობს შეძლებულ გლეხთა მეურნეობაში, ისე მათ მიერ წარმოებულს სავაჭრო და სავაჭრო კაპიტალის ოპერაციებში, — კაპიტალის, რომელიც მწარმოებელს ასევე ართმევს ზეღირებულებას. ამ ნიშნის გარეშე «კაპიტალზე» ლაპარაკიც შეუძლებელია.

მხარე»), რომლის გვერდით არის მეორეც: «მთელი გლეხური მეურნეობის ტექნიკური არარაციონალობა»: «მასში გამოიხატება, ასე ვთქვათ, მთელი პროცესის რეგრესული მხარე», იგი «ათანაბრებს» გლეხობას, სპობს უთანასწორობას, მოქმედებს «მოსახლეობის ზრდასთან დაკავშირებით» (223 — 224).

ამ საკმაოდ ბუნდოვანი მსჯელობიდან სჩანს მხოლოდ ის, რომ ავტორი უპირატესობას აძლევს უკიდურესად აბსტრაქტულ დებულებებს და არა კონკრეტულ მითითებებს, რომ იგი ყველგან სჩხირავს გამრავლების და საარსებო საშუალებების შესაბამისობის «კანონს». ვამბობ: სჩხირავს, — იმიტომ რომ, თუნდაც რომ არ გავცილდეთ თვით ავტორის მიერ მოყვანილი ფაქტების ფარგლებს, შეუძლებელია მითითების პოვნა პროცესის ისეთ კონკრეტულ ნიშნებზე, რომლებიც არ უდგებოდნენ მარქსიზმის «დოქტრინას» და მოითხოვდნენ მალტუზიანობის აღიარებას. აღვნიშნოთ ერთხელ კიდევ ეს პროცესი: ჯერ არიან ნატურალური მწარმოებლები, შედარებით ერთგვაროვანი გლეხები *. სასაქონლო წარმოების შემოჭრით ცალკეული კომლის სიმდიდრე დამოკიდებული ხდება ბაზრისაგან; ამრიგად, ბაზრის მერყეობის გამო იგი ჰქმნის და ამწვავებს უთანასწორობას, ზოგიერთთა ხელში აგროვებს თავისუფალ ფულს, ხოლო სხვებს აღატაკებს. ეს ფული, რომელიც, ცხადია, ხელმოკლეთა ექსპლოატაციას ხმარდება, კაპიტალად იქცევა. სანამ გაღატაკების გზაზე შემდგარი გლეხები თავიანთ მეურნეობებს ებღაუჭებიან, კაპიტალს შეუძლია მათი ექსპლოატაცია: გლეხები მეურნეობას განაგრძობენ ძველ, ტექნიკურად არარაციონალურ საფუძველზე, ხოლო კაპიტალი თავის ექსპლოატაციას ამყარებს მათი შრომის პროდუქტის ყიდვაზე. მაგრამ გაღატაკება, ბოლოს, განვითარების ისეთ დონეს აღწევს, რომ

* რ ო მ ე ლ ნ ი ც მ ე მ ა მ უ ლ ი ს ა თ ვ ი ს მ უ შ ა ო ბ ე ნ. ამ მხარეს ნაკლები ყურადღება ექცევა, რათა უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ ნატურალური მეურნეობიდან სასაქონლო მეურნეობაზე გადასვლა. — «ძველთავადაზნაურული» ურთიერთობის ნაშთები რომ აუარესებენ მწარმოებლის მდგომარეობას და განსაკუთრებით მძიმე ფორმებს აძლევენ გაღატაკებას, — ამაზე უკვე იყო ლაპარაკი.

გლეხი იძულებული ხდება სულ თავი მიანებოს მეურნეობას: მას აღარ შეუძლია უკვე თავისი შრომის პროდუქტი გაჰყიდოს, მას ისღა დარჩენია, რომ თავისი შრომა გაჰყიდოს. მაშინ კაპიტალი მეურნეობას თვითონ ჰკიდებს ხელს, მაგრამ უკვე — კონკურენციის გამო — იძულებული ხდება რაციონალურად მოაწყოს იგი; ამის შესაძლებლობა მას ეძლევა წინათ «შემონახული» თავისუფალი ფულადი სახსრების მეოხებით; იგი ახლა ექსპლოატაციას უწევს არა მეპატრონეს, არამედ ბოგანოს, დღიურ მუშას. საკითხავია, რომელ ორ მხარეს ხედავს ავტორი ამ პროცესში? როგორ გამოჰყავს მას ასეთი გასაოცარი მალტუზიანური დასკვნა: «მეურნეობის ტექნიკური არარაციონალობა, და არა კაპიტალიზმი [დაიხსომეთ ეს «და არა»] — აი ის მტერი, რომელიც ჩვენს გლეხობას არსობის პურს ართმევს» (224). თითქოს ეს პური არსობისა მწარმოებელს ოდესმე მთლიანად მიეღოს, თითქოს იგი არ ნაწილდებოდა აუცილებელ პროდუქტად და ზედმეტ პროდუქტად, რომელსაც იღებდა მემამულე, კულაკი, «ღონიერი» გლეხი, კაპიტალისტი!

მაგრამ არ შეიძლება არ დავძინოთ, რომ «გათანაბრების» საკითხზე ავტორი შემდეგში ზოგიერთ განმარტებას იძლევა. იგი ამბობს, რომ «ზემოაღნიშნული გათანაბრების შედეგს» წარმოადგენს «გ ლ ე ხ უ რ ი მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ი ს ს ა შ უ ა ლ ო ფ ე ნ ი ს შ ე მ ც ი რ ე ბ ა ან გ ა ქ რ ო ბ ა ც კ ი, რაც ბევრ ადგილას არის აღნიშნული» (225). მოჰყავს რა ციტატა საერობო გამოცემიდან, რომელიც აღნიშნავს იმ «მანძილის კიდევ უფრო მეტად გადიდებას, რომელიც სოფლელ მდიდრებს აშორებს უმიწაწყლო და უცხენო პროლეტარიატს», იგი დაასკვნის: «გ ა თ ა ნ ა ბ რ ე ბ ა ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, იმავე დროს დ ი ფ ე რ ე ნ ც ი ა ც ი ა ც არის, მაგრამ ა მ გ ვ ა რ ი დიფერენციაციის ნიადაგზე ვითარდება მარტოოდენ კ ა ბ ა ლ ა, რომელიც მხოლოდ შემფერხებელია ეკონომიური პროგრესისა» (226). — ამრიგად, ახლა უკვე ისე სჩანს, რომ სასაქონლო მეურნეობის მიერ შექმნილი დიფერენციაცია უნდა დაეუპირისპიროთ არა «გათანაბრებას», არამედ ისევ დიფერენციაციას, ოღონდ ს ხ ვ ა გ ვ ა რ დიფერენციაციას, სახელდობრ — კაბალას.

და რადგან კაბალა «აფერხებს» «ეკონომიურ პროგრესს», ამიტომ ავტორი ამ «მხარეს» — «რეგრესულს» უწოდებს.

მსჯელობა აგებულია მეტად უცნაურ, ყოველ შემთხვევაში არა მარქსისტულ ხერხზე. ერთმანეთს ადარებენ «კაბალას» და «დიფერენციაციას», როგორც რაღაც ორ დამოუკიდებელ, განსაკუთრებულ «სისტემას»; ერთს ხოტბას ასხამენ იმისათვის, რომ ხელს უწყობს «პროგრესს»; მეორეს ჰკიცხავენ იმისათვის, რომ აფერხებს პროგრესს. სად გაქრა ბ-ნ სტრუვეს ის მოთხოვნა კლასობრივ წინააღმდეგობათა ანალიზისა, რომლის აუსრულებლობასაც იგი ასე სამართლიანად უკიჟინებდა ბ-ნ ნ.—ონს, ის მოძღვრება «სტიქიური პროცესის» შესახებ, რომელზედაც იგი ასე კარგად ლაპარაკობდა? ეს კაბალა ხომ, რომელიც მან რეგრესულობისათვის ეს-არის ახლა მიწასთან გაასწორა, სხვას არას წარმოადგენს, თუ არ კაპიტალიზმის თავდაპირველ გამოვლინებას მიწათმოქმედებაში, სწორედ იმ კაპიტალიზმისა, რომელსაც შემდგომ ტექნიკის პროგრესული აღმავლობისაკენ მივყევართ. მართლაც-და, რა არის კაბალა? ეს არის წარმოების საკუთარი საშუალებების მქონე მეპატრონის (რომელიც იძულებულია ბაზრისათვის იმუშაოს) დამოკიდებულება ფულის პატრონისაგან, — დამოკიდებულება, რომელსაც, სხვადასხვა გამოხატულების მიუხედავად (სავახშო კაპიტალი თუ კაპიტალი შემყიდველისა, რომელმაც გასაღების საქმე მონოპოლიად გაიხადა), — ყოველთვის იქამდე მივყევართ, რომ შრომის პროდუქტის უდიდესი ნაწილი ხვდება არა მწარმოებელს, არამედ ფულის პატრონს. მაშასადამე, მისი დედაარსი — წმინდა კაპიტალისტურია *, და მთელი მისი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ კაპიტალისტური ურთიერთობის ეს პირველადი,

* აქ ჩვენს წინაშე ყველა ნიშანია: სასაქონლო წარმოება, როგორც ნიადაგი, — საზოგადოებრივი შრომის პროდუქტის მონოპოლიზაცია ფულის სახით, როგორც შედეგი, — და ამ ფულის გადაქცევა კაპიტალად. — მე სრულიადაც არ მავიწყდება, რომ კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ეს პირველადი ფორმები ცალკეულ შეთხვევებში კაპიტალისტურ წესებამდეც არსებობდნენ. მაგრამ საქმე სწორედ იმაშია, რომ ისინი რუსეთის თანამედროვე გლეხურ მეურნეობაში წარმოადგენენ არა ერთეულ შემთხვევებს, არამედ წესს, ურთიერთობის გაბატონებულ სისტემას. ისინი უკვე დაუკავშირდნენ (სა-

ჩანასახური ფორმა მთლიანად გახვეულია წინანდელი, ბატონყმური ურთიერთობის ქსელში: აქ არის არა თავისუფალი ხელშეკრულება, არამედ იძულებითი გარიგება (ზოგჯერ «უფროსების» ბრძანებით, ზოგჯერ მეურნეობის შენარჩუნების სურვილით, ზოგჯერ ძველი ვალების გამო და სხვ.); მწარმოებელი აქ მიჯაჭვულია განსაზღვრულ ადგილსა და განსაზღვრულ ექსპლოატატორზე: წინააღმდეგ სასაქონლო გარიგების უპიროვნო ხასიათისა, რაც წმინდა კაპიტალისტური ურთიერთობის თვისებას შეადგენს, აქ გარიგება ატარებს უსათუოდ «დახმარების», «წყალობის» პირად ხასიათს, — და გარიგების ამგვარი ხასიათი მწარმოებელს აუცილებლად აყენებს პირად, ნახევრად-ბატონყმურ დამოკიდებულებაში. ავტორის ისეთი გამოთქმები, როგორიცაა «გათანაბრება», «პროგრესის შეფერხება», «რეგრესულობა», — მხოლოდ იმას მოასწავებს, რომ კაპიტალი პირველ ხანებში წარმოებას ეუფლება ძველ საფუძველზე, იმორჩილებს ტექნიკურად ჩამორჩენილ მწარმოებელს. ავტორის ის აზრი, რომ კაპიტალიზმის არსებობა ჯერ კიდევ არ გვაძლევს უფლებას მივიჩნიოთ იგი «დამნაშავედ ყველა უბედურებაში», სწორია იმ მხრივ, რომ სხვებისთვის მომუშავე ჩვენი გლეხი იჩაგრება არა მარტო კაპიტალიზმისაგან, არამედ კაპიტალიზმის ნაკლებად განვითარებისგანაც. სხვა სიტყვებით: გლეხობის უზარმაზარ მასაში თითქმის სრულებით აღარა აქვს ადგილი დამოუკიდებელ წარმოებას საკუთარი თავისთვის; «რაციონალური» ბურჟუაზიული მეპატრონეებისათვის მუშაობასთან ერთად ჩვენ ვხედავთ მხოლოდ მუშაობას ფულადი კაპიტალის პატრონებისათვის, ე. ი. ვხედავთ იმავე კაპიტალისტურ ექსპლოატაციას, მხოლოდ განუვითარებელს, პრიმიტიულს, რომელიც ამის გამო, ჯერ-ერთი, ათკეცად აუარესებს მშრომელის მდგომარეობას, ახვევს მას განსაკუთრებულ, დამატებით შევიწროებათა ქსელში, და, მეორე, ართმევს მას (და მის იდეო-

ვაჭრო ბრუნვებით, ბანკებით) მსხვილ საფაბრიკო-საქარხნო სამანქანო კაპიტალიზმს და მით დაგვანახვეს თავიანთი ტენდენცია; — დაგვანახვეს, რომ ამ «კაბალის» წარმომადგენელნი ბურჟუაზიის ერთიანი და განუყოფელი არმიის მხოლოდ მებრძოლი ჯარისკაცები არიან.

ლოგს — ნაროდნიკს) საშუალებას შეიგნოს მის წინააღმდეგ მიმართულ «უსიამოვნებათა» კლასობრივი ხასიათი და თავისი მოქმედება შეუფარდოს მათს ასეთ ხასიათს. მაშასადამე, «დიფერენციაციის» «პროგრესული მხარე» (ბ-ნ სტრუვეს ენით თუ ვიტყვით) იმაში მდგომარეობს, რომ იგი ააშკარავებს იმ წინააღმდეგობას, რომელიც კაბალის სახით იმალება, და აცლის მას «ძველ-თავადაზნაურულ» ნიშნებს. «რეგრესულობა» ნაროდნიკობისა, რომელიც იცავს გლეხობის გათანაბრებას (...კულაკთან), იმაში გამოიხატება, რომ მას სურს შეუნარჩუნოს კაპიტალს მისი საშუალოსაუკუნეობრივი ფორმები, რომელთა მეოხებითაც ექსპლოატაცია გადახლართულია დაქუცმაცებულ, ტექნიკურად ჩამორჩენილ წარმოებასთან, მწარმოებელზე პირად ზეგავლენასთან. ორსავე შემთხვევაში («კაბალის» შემთხვევაშიც და «დიფერენციაციის» შემთხვევაშიც) ჩაგვრის მიზეზი კ ა პ ი ტ ა ლ ი ზ მ ი ა, და ავტორის წინააღმდეგი განცხადება — საქმე «კაპიტალიზმში კი არა», «ტექნიკურ არარაციონალობაშიაო», «გლეხობის სიღატაკის მიზეზი კაპიტალიზმი არ არისო» და სხვ., — მხოლოდ იმას გვიჩვენებს, რომ ბ-მა სტრუვემ თავი ვერ შეიკავა გადაჭარბებული გატაცებისაგან, როცა იცავდა სწორ აზრს განუვითარებელ კაპიტალიზმთან შედარებით განვითარებული კაპიტალიზმის უპირატესობის შესახებ, და თავის დებულებათა აბსტრაქტულობის წყალობით პირველი და მეორე ერთმანეთს დაუპირისპირა არა როგორც ამა თუ იმ მოვლენის ორი თანმიმდევრული სტადია, არამედ როგორც განსაკუთრებული შემთხვევები *.

* მკითხველმა, შეიძლება, იკითხოს: რატომ მიეკუთვნება ეს მხოლოდ ბ-ნ სტრუვეს გ ა ტ ა ც ე ბ ა ს ო? — იმიტომ, რომ ავტორი კაპიტალიზმს სავსებით გარკვევით აღიარებს იმ ძირითად ფონად, რომელზედაც იშლება ყველა აწერილი მოვლენა. მან სრულიად ნათლად მიგვითითა, ერთი მხრით, სასაქონლო მეურნეობის სწრაფ ზრდაზე, გლეხობის დაშლაზე, «გაუმჯობესებული იარაღების გავრცელებაზე» (245) და სხვ., მეორე მხრით — «მიწისაგან გლეხთა განთავისუფლებაზე, სოფლის პროლეტარიატის შექმნაზე» (238). თვითონ მან, ბოლოს, დაახასიათა ეს, როგორც ახალი ძალის — კ ა პ ი ტ ა ლ ი ს შექმნა, და აღნიშნა მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის კაპიტალისტის გაჩენის გადამწყვეტი მნიშვნელობა.

III

გატაცების ბეჭედი აზის ავტორის შემდგომ მსჯელობასაც იმაზე, რომ გლეხობის გაღატაკების მიზეზად არსებითად მსხვილი სამრეწველო კაპიტალიზმი ვერ ჩაითვლება. აქ ის იწყებს პოლემიკას ბ-ნ ნ. —ონთან.

ფაბრიკის პროდუქტების იაფმა წარმოებამ — ამბობს ბ-ნი ნ.—ონი ფაბრიკულ ტანისამოსზე — გამოიწვია მათი შინაური დამზადების შემცირება (ბ-ნ სტრუვეს წიგნის 227-ე გვ.).

«საქმის ვითარება აქ სულ პირუკუღმაა წარმოდგენილი, — ამბობს ბ-ნი სტრუვე, — და ამის ჩვენება არც ისე ძნელია. გლეხობაში სართავი მასალის დამზადების შემცირებამ გამოიწვია ბამბეულის კაპიტალისტური მრეწველობის პროდუქტთა წარმოებისა და მოხმარების გადიდება, და არა პირიქით» (227).

ავტორი ხეირიანად ვერ სვამს საკითხს და მეორეხარისხოვანი წვრილმანებით ტვირთავს საქმის ვითარებას. თუ გამოსავალ წერტილად ავიღებთ საფაბრიკო მრეწველობის განვითარების ფაქტზე დაკვირვებას (ბ-ნი ნ. — ონი კი სწორედ ამ ფაქტის დაკვირვებიდან გამოდის), შეუძლებელია უარვყოთ, რომ ფაბრიკის პროდუქტების სიიაფეც აჩქარებს სასაქონლო მეურნეობის ზრდას, აჩქარებს შინაური პროდუქტების გაძევებას. როდესაც ბ-ნი სტრუვე ილაშქრებს ბ-ნ ნ. — ონის ასეთი განცხადების წინააღმდეგ, იგი ამით მხოლოდ ასუსტებს თავის არგუმენტაციას ამ ავტორის წინააღმდეგ, რომლის ძირითადი შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ცდილობს «ფაბრიკა» წარმოიდგინოს რაღაც «გლეხობისაგან» მოწყვეტილად, რაც შემთხვევით, გარედან დაატყდა მას, მაშინ როდესაც სინამდვილეში «ფაბრიკა» წარმოადგენს (როგორც იმ თეორიის მიხედვით, რომელსაც ბ-ნი ნ. —ონი ცდილობს სისწორით დაადგეს, ისე რუსეთის ისტორიის ცნობების მიხედვითაც) მხოლოდ მთელი საზოგადოებრივი მეურნეობის, — მაშასადამე, გლეხური მეურნეობისაც, — სასაქონლო ორგანიზაციის განვითარების დაგვირგვინებას. მსხვილბურჟუაზიული წარმოება

«ფაბრიკაში» პირდაპირი და უშუალო გაგრძელებაა წვრილ-ბურჟუაზიული წარმოებისა სოფლად, ყბადაღებულ «თემში» ან შინამრეწველობაში. «იმისთვის, რომ «საფაბრიკო ფორმა» «უფრო გაიაფდეს», — სრულიად სამართლიანად ამბობს ბ-ნი სტრუვე, — გლეხი უნდა დადგეს ეკონომიური რაციონალობის თვალსაზრისზე ფულადი მეურნეობის პირობებში». «გლეხობა რომ... ნატურალურ მეურნეობას მისდევდეს, ვერავითარი ჩითეულები... ვერ შეაცდენდა მას».

სხვა სიტყვებით: «საფაბრიკო ფორმა» — ეს მხოლოდ გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ უ ლ ი სასაქონლო წარმოებაა და სხვა არაფერი, ხოლო განვითარდა იგი იმ გ ა ნ უ ვ ი თ ა რ ე ბ ე ლ ი სასაქონლო წარმოებიდან, რომელიც გლეხურ და შინამრეწველურ მეურნეობაში გვაქვს. ავტორს სურს ბ-ნ ნ. — ონს დაუმტკიცოს, რომ «ფაბრიკა» და «გლეხობა» დაკავშირებული არიან ერთმანეთთან, რომ მათი წესების სამეურნეო «საწყისები» არიან არა ანტაგონისტურნი*, არამედ იგივნი. ამისთვის მას საკითხი უნდა გაეიგივებინა გლეხური მეურნეობის ეკონომიურ ორგანიზაციასთან, წამოეყენებინა ბ-ნ ნ. — ონის წინააღმდეგ ის დებულება, რომ ჩვენი წვრილი მწარმოებელი (მიწათმოქმედი-გლეხი და შინამრეწველი) წვრილი ბურჟუაა. საკითხის ამგვარად დასმით მას შესაძლებლობა ექნებოდა უკუეგდო მსჯელობა იმის შესახებ, თუ რა «უნდა» იყოს, რა «შეიძლება» იყოს და სხვ., და შესდგომოდა ი მ ი ს ახსნას, რ ა ც ა რ ი ს, და იმის განმარტებას, რ ა ტ ო მ ა რ ი ს ე ს ს ა ხ ე ლ დ ო ბ რ ა ს ე დ ა ა რ ა ს ხ ვ ა ნ ა ი რ ა დ. ამ დებულების გასაბათილებლად ნაროდნიკები იძულებული გახდებოდნენ ან უარეყოთ საყოველთაოდ ცნობილი და უდავო ფაქტები სასაქონლო მეურნეობის ზრდისა და გლეხობის დაშლის შესახებ [ეს ფ ა ქ ტ ე ბ ი კ ი გლეხობის წვრილბურჟუაზიულობას ამ-

* ნაროდნიკები ამას აშკარად და პირდაპირ ამბობდნენ, «უეჭველი მარქსისტი» ბ-ნი ნ. — ონი კი ამავე უაზრობას ახვევს ბუნდოვან ფრაზებში «სახალხო წყობილების» და «სახალხო წარმოების» შესახებ, თანაც აზავებს ამ ფრაზებს ციტატებით მარქსის ნაწერებიდან.

ტკიცებენ], ან უარეყოთ პოლიტიკური ეკონომიის საანბანო ჭეშმარიტებანი. ამ დებულების მიღება ნიშნავს იმას, რომ «კაპიტალიზმისა» და «სახალხო წყობილების» დაპირისპირების უაზრობა აღიარო, აღიარო რეაქციულობა პროექტებისა— «სამშობლოსათვის სხვა გზები ეძებო» და «განსაზოგადოების» სურვილებით მიმართო ბურჟუაზიულ «საზოგადოებას» ან ჯერ კიდევ სანახევროდ «ძველ-თავადაზნაურულ» «სახელმწიფოს».

ხოლო ბ-ნი სტრუვე თავიდან დაწყების ნაცვლად* ბოლოდან იწყებს: «ჩვენ უარვყოფთ — ამბობს ის — რუსეთის ეკონომიური განვითარების ნაროდნიკული თეორიის ერთ-ერთ ყველაზე ძირითად დებულებას, — დებულებას, რომ მსხვილი დამუშავებითი მრეწველობის განვითარება აღატაკებს მიწათმოქმედ-გლეხს» (246). ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ, როგორც გერმანელები ამბობენ, აბაზანიდან გადაღვრილ წყალს ბავშვიც გადააყოლო! «მსხვილი დამუშავებითი მრეწველობის განვითარება» ნიშნავს და გამოხატავს კაპიტალიზმის განვითარებას. ხოლო გლეხს რომ სწორედ კაპიტალიზმი აღატაკებს — ეს ძირითადი დებულებაა სრულიადაც არა ნაროდნიკობის, არამედ მარქსიზმისა. ნაროდნიკები წარმოების საშუალებებისაგან მწარმოებლის განთავისუფლების მიზეზებს ხედავდნენ და ხედავენ რუსეთის საზოგადოებრივი მეურნეობის არა იმ სპეციფიკურ ორგანიზაციაში, რომელიც კაპიტალიზმის სახელწოდებას ატარებს, არამედ მთავრობის პოლიტიკაში, რომელიც უხეირო იყოო («ჩვენ» შემცდარი გზით მივდიოდითო და სხვ.), საზოგადოების უძრაობაში, რომელიც საკმაოდ ვერ დაირაზმა მტაცებლებისა და გაიძვერების წინააღმდეგ და სხვ. ამიტომ მათი «ღონისძიებებიც» «საზოგადოებისა» და «სახელმწიფოს» საქმიანობას უტრიალებდნენ. პირიქით, ექსპროპრიაციის მიზეზების გამოყვანას საზოგადოებრივი მეურნეობის კაპიტალისტური ორგანიზაციის არსებობიდან აუცილებლად მივყევართ კლასთა ბრძოლის მოძღვრებამდე (შეად.

* ვ. ი. უნდა დაეწყო «მიწათმოქმედ-გლეხის» წვრილბურჟუაზიულობიდან, რათა მსხვილი კაპიტალიზმის «აუცილებლობა და კანონიერება» დაემტკიცებინა.

სტრუვეს წიგნში, გვ. 101, 288 და მრავ. სხვ.). ავტორის გამოთქმის უმართებულობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ლაპარაკობს საერთოდ «მიწათმოქმედზე» და არა ბურჟუაზიული მიწათმოქმედების მოწინააღმდეგე კლასებზე. ნაროდნიკები ამბობენ, რომ კაპიტალიზმი ღუპავს მიწათმოქმედებას, ამიტომ მას არ ძალუძს გასწვდეს ქვეყნის მთელ წარმოებას და ეს წარმოება სწორი გზით არ მიჰყავსო; მარქსისტები ამბობენ, რომ კაპიტალიზმი როგორც დამუშავებითს მრეწველობაში, ისე მიწათმოქმედებაში ავიწროებს მწარმოებელს, მაგრამ, აჰყავს რა წარმოება უმაღლეს საფეხურზე, ჰქმნის პირობებს და ძალებს «განსაზოგადოებისათვის»*.

ბ-ნ სტრუვეს დასკვნა ამ საკითხის გამო ასეთია: «ბ-ნ ნ.—ონის ერთ-ერთ ძირითად შეცდომას შეადგენს ის, რომ მან თანამედროვე გლეხურ მეურნეობაზე, რომელიც დღემდე უფრო ნატურალურია, ვიდრე ფულადი, მთლიანად გადაიტანა ჩამოყალიბებული კაპიტალისტური წყობილების წარმოდგენები და კატეგორიები» (237).

ზემოთ ჩვენ დავინახეთ, რომ რუსეთის სამიწათმოქმედო კაპიტალიზმის კონკრეტული ცნობების სრულმა უგულვებელყოფამ სასაცილო შეცდომამდე მიიყვანა ბ-ნი ნ.—ონი, რომელიც შინაური ბაზრის «შემცირებაზე» მსჯელობს. მაგრამ ეს შეცდომა მოხდა არა იმიტომ, რომ მან კაპიტალიზმის ყველა კატეგორია გლეხობაზე გადაიტანა, არამედ იმიტომ, რომ მან კაპიტალიზმის არცერთი კატეგორია მიწათმოქმედების ცნობებს არ მიუყენა. კაპიტალიზმის უმნიშვნელოვანეს «კატეგორიას» შეადგენენ, რა თქმა უნდა, ბურჟუაზიისა და

* «წარმოების კაპიტალისტური წესის დიდ დამსახურებას შეადგენს, ერთი მხრით, რაციონალიზაცია მიწათმოქმედებისა, რომლის საზოგადოებრივი გაძღოლის შესაძლებლობას ჰქმნის წარმოების მხოლოდ ეს წესი, — მეორე მხრით კი, მიწის საკუთრების დაყვანა აბსურდამდე. როგორც ყველა სხვა მისი ისტორიული პროგრესი, ესეც კაპიტალიზმმა იყიდა უშუალო მწარმოებლის სრული გაღატაკების საფასურით» («Das Kapital», III. B., 2. Th., გვ. 157) («კაპიტალი», ტ. III, ნაწ. მე-2, გვ. 157. რ ე დ.) [106].

პროლეტარიატის კლასები. ბ-მა ნ.—ონმა არათუ არ «გადაიტანა» ისინი «გლეხობაზე» (ე. ი. არ მოახდინა იმის ანალიზი, თუ სახელდობრ გლეხობის რომელ ჯგუფებს ან თანრიგებს მიუდგებიან ეს კატეგორიები და რამდენად არიან ისინი განვითარებულნი), არამედ, პირიქით, გააბა მსჯელობა წმინდა ნაროდნიკულად, უგულვებელჰყო «თემის» შიგნით არსებული მოწინააღმდეგე ელემენტები და ლაპარაკი დაიწყო საერთოდ «გლეხობაზე». სწორედ ამან გამოიწვია ის, რომ მისი დებულება ჭარბმოსახლეობის კაპიტალისტურ ხასიათზე, კაპიტალიზმზე, როგორც მიწათმოქმედის ექსპროპრიაციის მიზეზზე, დაუმტკიცებელი დარჩა და ხელსაყრელი გამოდგა მხოლოდ რეაქციული უტოპიისათვის.

IV

მეექვსე თავის § VIII-ში ბ-ნი სტრუვე გადმოგვცემს თავის აზრებს კერძომფლობელობითი მეურნეობის შესახებ. იგი სრულიად სამართლიანად აღნიშნავს, რომ ის ფორმები, რომლებსაც ეს მეურნეობა იღებს, მჭიდროდ და უშუალოდ არის დამოკიდებული გლეხთა გაღატაკებისაგან. გაღატაკებული გლეხი ვეღარ «აცთუნებს» უკვე მემამულეს «საზღაპრო საიჯარო ფასებით», და მემამულეც მოჯამაგირის შრომაზე გადადის. ამის დასამტკიცებლად მოყვანილია ადგილები რასპოპინის სტატიიდან, სადაც დამუშავებულია საერობო სტატისტიკის ცნობები მემამულეთა მეურნეობის შესახებ, და აგრეთვე ერობის მიერ გამოცემული მიმდინარე სტატისტიკიდან, სადაც აღნიშნულია ეკონომიების ნახნავის გადიდების «იძულებითი» ხასიათი. პასუხად ბბ. ნაროდნიკებისა, რომელნიც კაპიტალიზმის ბატონობის ფაქტს აწმყოში ესოდენი ხალისით ამძიმებენ მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმის «მომავალსა» და მის «შესაძლებლობაზე» მსჯელობით,—ავტორი სისწორით აღნიშნავს სინამდვილეს.

ჩვენ აქ უნდა შევჩერდეთ მხოლოდ იმაზე, თუ როგორ აფასებს ამ მოვლენას ავტორი, რომელიც ამბობს, რომ ეს—«პროგრესული მიმდინარეობებია კერძომფლობელობითს

მეურნეობაში» (244), რომ ეს მიმდინარეობანი იქმნებიან «ეკონომიური ევოლუციის ულმობელი ლოგიკით» (240). ვშიშობთ, რომ ეს სავსებით სწორი დებულებანი, თავისი აბსტრაქტულობის გამო, ვერაფერს ჩააგონებენ იმ მკითხველს, რომელიც მარქსიზმს არ იცნობს; რომ მკითხველი ვერ მიხვდება, — თუ გარკვევით არ იქნება აღნიშნული მეურნეობის განსაზღვრული სისტემების, კლასობრივი წინააღმდეგობის განსაზღვრული ფორმების შენაცვლება, — რატომ არის ეს არსებული მიმდინარეობა «პროგრესული» (განსაზღვრული კლასის თვალსაზრისით, იმ თვალსაზრისით, რასაკვირველია, რომლის მიხედვითაც მხოლოდდამხოლოდ შეუძლია მარქსისტს საკითხის დასმა), რაშია სახელდობრ «ულმობელობა» მიმდინარე ევოლუციისა. ამიტომ შევეცადოთ დავასურათოთ აღნიშნული შენაცვლება (თუნდაც სულ ზოგადად) იმის პარალელურად, როგორც გვიხატავენ საქმის ვითარებას ნაროდნიკები.

ნაროდნიკი მოჯამაგირეზე დამყარებული მეურნეობის განვითარების პროცესს გვიხატავს როგორც გადასვლას «დამოუკიდებელი» გლეხური მეურნეობიდან იძულებითს მეურნეობაზე, და — ბუნებრივია — ამ პროცესს სთვლის რეგრესად, დაცემად და სხვ. პროცესის ამგვარად დახატვა ფ ა ქ ტ ი უ რ ა დ პირდაპირ შ ე მ ც დ ა რ ი ა, სრულებით არ შეესაბამება სინამდვილეს, ამიტომ აქედან გამოყვანილი დასკვნებიც უაზროა. როცა ნაროდნიკი პროცესს ასე ოპტიმისტურად (წარსულისა და აწმყოს მიმართ) გვიხატავს, იგი ზ უ რ გ ს ა ქ ც ე ვ ს თვით ნაროდნიკული ლიტერატურის მიერ დადასტურებულ ფ ა ქ ტ ე ბ ს და პირს იბრუნებს უტოპიებისა და შესაძლებლობებისაკენ.

ავიღოთ გამოსავალ პუნქტად რეფორმის წინადროინდელი ბატონყმური მეურნეობა.

წარმოებითი ურთიერთობის ძირითადი შინაარსი იმ დროს ასეთი იყო: მემამულე გლეხს აძლევდა მიწას, სამშენებლო ხე-ტყეს, საერთოდ წარმოების საშუალებებს (ზოგჯერ პირდაპირ საარსებო საშუალებებსაც) ყოველი ცალკეული

კომლისათვის, ნებას აძლევდა გლეხს თვითონ ეზრუნა საკუთარი სარჩოს მოპოვებისათვის, მაგრამ ამასთანავე აიძულებდა მთელი ზედმეტი დრო ემუშავა ბატონისათვის, ბეგარაზე. ხაზს ვუსვამ: «მთელი ზედმეტი დრო», რათა აღვნიშნო, რომ ამ სისტემის დროს ლაპარაკიც კი შეუძლებელია გლეხის «დამოუკიდებლობაზე» *. «ნადელი», რომლითაც მემამულე «უზრუნველჰყოფდა» გლეხს, წარმოადგენდა მხოლოდ ნატურალურ ხელფასს, წარმოადგენდა მთლიანად და მხოლოდდამხოლოდ იმ იარაღს, რომლითაც მემამულე გლეხის ექსპლოატაციას ეწეოდა და რომელიც «უზრუნველჰყოფდა» მემამულისათვის მუშა-ხელს; არასოდეს «ნადელი» გლეხის ნამდვილ უზრუნველყოფას არ ემსახურებოდა **.

მაგრამ აი შემოიჭრება სასაქონლო მეურნეობა. მემამულე პურის წარმოებას იწყებს არა თავისთვის, არამედ გასაყიდად. ეს იწვევს გლეხის შრომის ექსპლოატაციის გაძლიერებას, — შემდგომ, სიძნელეს ნადელების სისტემაში, რადგან მემამულისათვის უკვე ხელსაყრელი აღარ არის ახალი ნადელები აძლიოს გლეხების მოზარდ თაობას, და ჩნდება ფულით გასტუმრების შესაძლებლობაც. უფრო ხელსაყრელი ხდება ერთხელ და სამუდამოდ გამოჰყო გლეხთა მიწები მემამულეთა მიწებისაგან (განსაკუთრებით თუ ამასთანავე ნადელების ნაწილს ჩამოსჭრი და «სამართლიან» გამოსაყიდს მიიღებ) და ისარგებლო იმავე გლეხების შრომით, რომელნიც მატერიალურად უარეს პირობებში არიან ჩაყენებულნი და იძულებულნი არიან მეტოქეობა გაუწიონ ყოფილ შინაყმებსაც, «ნაბოძართაც» [107], უფრო უზრუნველყოფილ ყოფილ სახელმწიფო და საუფლისწულო გლეხებსაც და სხვ.

ბატონყმობა ეცემა.

იცვლება მეურნეობის სისტემა,—მეურნეობა უკვე ბაზრისათვის არის გათვალისწინებული (ესაა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი),

* მე ვეხები საქმის მხოლოდ დამხოლოდ სამეურნეო მხარეს.

** ამიტომ ერთიანი სიყალბეა ბატონყმურ «სანადელო მიწებზე» მითითება იმის დასამტკიცებლად, რომ მწარმოებელს წარმოების საშუალებანი «ძველთაგანვე» ეკუთვნოდა.

შაგრამ იცვლება არა ერთბაშად. ძველ თვისებებსა და «საწყისებს» ემატება ახალი. ეს ახალი თვისებები იმაში მდგომარეობს, რომ Plusmacherei-ს საფუძვლად ხდება უკვე არა გლეხის მომარაგება წარმოების საშუალებებით, არამედ, პირიქით, მისი «განთავისუფლება» წარმოების საშუალებებისაგან, ის, რომ გლეხი ფულს საჭიროებს; საფუძვლად ხდება უკვე არა ნატურალური მეურნეობა, არა ნატურალური გაცვლა-გამოცვლა «სამსახურისა» (მემამულე გლეხს აძლევს მიწას, ხოლო გლეხი — ზედმეტი შრომის პროდუქტებს: პურს, ტილოს და სხვ.), არამედ სასაქონლო, ფულადი «თავისუფალი» ხელშეკრულება. მეურნეობის სწორედ ეს ფორმა, რომელშიც შეთავსებულია ძველი და ახალი თვისებები, გაბატონდა რუსეთში რეფორმის შემდგომ. სესხის ძველებურ ხერხებს — მუშაობაში მიწის მიცემას (მაგ., მეურნეობა ჩამონაჭერი მიწებისათვის) მიემატა «დაქირავება ზამთარში» — სესხის მიცემა მუშაობისათვის ისეთ დროს, როცა გლეხს ძალიან უჭირს ფული და თავის შრომას სამჯერ უფრო იაფად ჰყიდის; პურის სესხება მუშაობისათვის და სხვ. ყოფილ «მამულ-დედულში» არსებული საზოგადოებრივ-ეკონომიური ურთიერთობანი, როგორც ხედავთ, დავიდა სულ ჩვეულებრივ ს ა ვ ა ხ შ ო გარიგებამდე: ეს ოპერაციები სავსებით ანალოგიურია იმ ოპერაციებისა, რომლებიც შემყიდველმა მოახდინა შინამრეწველებთან.

უდავოა, რომ რეფორმის შემდგომ სწორედ ასეთი მეურნეობა გადაიქცა ტიპიურ მეურნეობად, და ჩვენმა ნაროდნიკულმა ლიტერატურამ საუცხოო ა წ ე რ ი ლ ო ბ ა ნ ი მოგვცა Plusmacherei-ს ამ ყველაზე ნაკლებად მიმზიდველი ფორმისა, რომელიც შეერთებული იყო ბატონყმურ ტრადიციებთან და ურთიერთობასთან, თავისი «ნადელით» შებოჭილი გლეხის სრულ უმწეობასთან.

მაგრამ ნაროდნიკებს არ სურდათ და არც სურთ დაინახონ, რაში მდგომარეობს ამ ურთიერთობის ეკონომიური საფუძველი?

ბატონობის საფუძველს აქ შეადგენს უკვე არა მარტო მიწის ფლობა, როგორც ძველად, არამედ ფლობა ფულისაც, რომელიც გლეხს ესაჭიროება (ხოლო ფული სასაქონლო მეურ-

ნეობის მიერ მოწყობილი საზოგადოებრივი შრომის პროდუქტია), — და გლეხის «თავისუფლება» საცხოვრებელ სახსართაგან. აშკარაა, რომ ეს კაპიტალისტური, ბურჟუაზიული ურთიერთობაა. «ახალ» თვისებებად აქ გვევლინება მხოლოდ მიწათმოქმედებაში კაპიტალის ბატონობის პირველადი ფორმა, რომელიც ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულა «ძველ-თავადაზნაურული» ხუნდებისაგან, ფორმა, რომელმაც შეჰქმნა, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ განამტკიცა, კაპიტალისტური საზოგადოების დამახასიათებელი კლასობრივი წინააღმდეგობა.

მაგრამ აი სასაქონლო მეურნეობის განვითარებასთან ერთად ნიადაგი ეცლება კაპიტალის ბატონობის ამ პირვანდელ ფორმას: გლეხობის გაღატაკება, რამაც ახლა უკვე სრულ კრახს მიაღწია, ნიშნავს გლეხების მიერ თავისი ინვენტარის დაკარგვას, — ინვენტარის, რომელზედაც დაყრდნობილი იყო შრომის როგორც ბატონყმური, ისე კაბალური ფორმა, — და ეს აიძულებს მემამულეს გადავიდეს საკუთარ ინვენტარზე, ხოლო გლეხს — გახდეს მოჯამაგირე.

რომ რეფორმისშემდგომი დროის რუსეთში სწორედ ასეთი გადასვლა დაიწყო, — ესეც უდავო ფაქტია. ეს ფაქტი გვიჩვენებს იმ კაბალური ფორმის ტენდენციას, რომელსაც ნაროდნიკები წმინდა მეტაფიზიკურად განიხილავენ — წარსულთან დაუკავშირებლად, განვითარებისადმი მისწრაფების გარეშე; ეს ფაქტი გვიჩვენებს კაპიტალიზმის შემდგომ განვითარებას, იმ კლასობრივი წინააღმდეგობის შემდგომ განვითარებას, რომელიც ჩვენს კაპიტალისტურ საზოგადოებას მოსდგამს და რომელიც წინა ხანაში გამოიხატებოდა «კულაკისა» და გლეხის ურთიერთობაში, ხოლო ახლა გამოხატვას იწყებს რაციონალური მეპატრონის ურთიერთობაში მოჯამაგირისა და დღიური მუშისადმი.

და აი სწორედ ეს უკანასკნელი ცვლილება იწვევს სასოწარკვეთილებას და ელდას ნაროდნიკში, რომელიც იწყებს ყვირილს «უმიწაწყლოდ დატოვებაზე», «დამოუკიდებლობის დაკარგვაზე», «კაპიტალიზმის დამკვიდრებაზე», მისგან «მოსალოდნელ» უბედურებებზე და სხვ. და სხვ.

შეხედეთ ამ მსჯელობებს მიუდგომლად, — და თქვენ დაინახავთ იქ, ჯერ-ერთი, ს ი ც რ უ ე ს, თუნდაც კეთილი სურვილით გამოწვეულს, რადგან ამ მოჯამაგირიან მეურნეობას წინ უძღოდა არა გლეხის «დამოუკიდებლობა», არამედ ზედმეტი პროდუქტის სხვა ფორმებით მიცემა იმისთვის, ვისაც მონაწილეობა არ მიუღია ამ პროდუქტის შექმნაში. მეორეც, დაინახავთ ნაროდნიკული პროტესტის ზერელობას, წვრილმანობას, რაც ამ პროტესტს, ბ-ნ სტრუვეს მოსწრებული თქმით, ვულგარულ სოციალიზმად ხდის. რატომ ხედავენ «დამკვიდრებას» მხოლოდ მეორე ფორმაში და არა ორთავეში? რატომ არის პროტესტი მიმართული არა იმ ძირითადი ისტორიული ფაქტის წინააღმდეგ, რომელმაც «კერძო მიწათმფლობელთა» ხელში თავი მოუყარა წარმოების საშუალებებს, არამედ ამ მონოპოლიის უტილიზაციის მხოლოდ ერთ-ერთი ხერხის წინააღმდეგ? რატომ ხედავენ ბოროტების საფუძველს არა ინ წარმოებითს ურთიერთობაში, რომელიც შრომას ყველგან ფულის პატრონს უმორჩილებს, არამედ მხოლოდ განაწილების იმ უთანაბრობაში, რომელიც ასე მკვეთრად გვევლინება ამ ურთიერთობათა უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ფორმაში? სწორედ ეს ძირითადი გარემოება — პროტესტი კაპიტალიზმის წინააღმდეგ, რომელიც კაპიტალისტური ურთიერთობის ნიადაგზე რჩება,— ხდის ნაროდნიკებს იმ წვრილი ბურჟუაზიის იდეოლოგებად, რომელსაც ეშინია არა ბურჟუაზიულობის, არამედ მისი გამწვავებისა, რომელიც მარტოდმარტო იწვევს ძირითად ცვლილებას.

V

გადავდივართ ბ-ნ სტრუვეს თეორიულ მსჯელობათა უკანასკნელ პუნქტზე, «ბაზრების საკითხზე რუსეთის კაპიტალიზმისათვის» (245).

ნაროდნიკების მიერ აგებული იმ თეორიის გარჩევას, რომელიც შეეხება ბაზრების უქონლობას ჩვენში, ავტორი იწყებს კითხვით: «რას გულისხმობს ბ-ნი ვ. ვ. კაპიტალიზმად?» ასეთი კითხვა მეტად დროულია, რადგან ბ-ნი ვ. ვ. (და საერთოდ

ყველა ნაროდნიკი) რუსეთის წესწყობილებას ყოველთვის ადარებდნენ კაპიტალიზმის რომელიმე «ინგლისურ ფორმას» (247), და არა მის ძირითად თვისებებს, რომლებიც ყოველ ქვეყანაში სახეს იცვლიან. სამწუხაროა მხოლოდ, რომ ბ-ნი სტრუვე არ იძლევა კაპიტალიზმის სრულ განსაზღვრას და საზოგადოდ აღნიშნავს «გაცვლითი მეურნეობის ბატონობას» [ეს — ერთი ნიშანია; მეორეა ზედმეტი ღირებულების მითვისება ფულის პატრონის მიერ, ამ უკანასკნელის ბატონობა შრომაზე], «იმ წყობილებას, რომელსაც ჩვენ დასავლეთ ევროპაში ვხედავთ» (247), «ყველა თავისი შედეგით», «სამრეწველო წარმოების კონცენტრაციით, კაპიტალიზმით ამ სიტყვის ვიწრო აზრით» (247).

«ბ-ნი ვ. ვ. — ამბობს ავტორი — «კაპიტალიზმის» ცნების ანალიზს არ შესდგომია; მან იგი ისესხა მარქსისაგან, რომელსაც მხედველობაში ჰქონდა, უმთავრესად, ვიწროდ გაგებული კაპიტალიზმი, როგორც უკვე სავსებით ჩამოყალიბებული პროდუქტი იმ ურთიერთობისა, რომელიც ვითარდება გაცვლა-გამოცვლისადმი წარმოების დაქვემდებარების ნიადაგზე» (247). ამას შეუძლებელია დავეთანხმოთ. ჯერ-ერთი, ბ-ნ ვ. ვ-ს რომ თავისი წარმოდგენა კაპიტალიზმზე მართლაც მარქსისაგან ესესხნა, მას სწორი წარმოდგენა ექნებოდა კაპიტალიზმზე და ვერ აურევდა ერთმანეთში «ინგლისურ ფორმას» და კაპიტალიზმს. მეორეც, სრულიად უსამართლოა ის, რომ მარქსს უმთავრესად მხედველობაში ჰქონდა «სამრეწველო წარმოების ცენტრალიზაცია ან კონცენტრაცია» [ამას გულისხმობს ბ-ნი სტრუვე ვიწროდ გაგებულ კაპიტალიზმად]. პირიქით, მან განიხილა სასაქონლო მეურნეობის განვითარება მისი პირველი ნაბიჯებიდან, ანალიზი გაუკეთა კაპიტალიზმს, როცა იგი გამოსახული იყო მარტივი კოოპერაციისა და მანუფაქტურის პრიმიტიულ ფორმებში, რომლებიც მთელი საუკუნეებით არიან დაშორებულნი მანქანური წარმოების კონცენტრაციას,— მან გვიჩვენა სამრეწველო კაპიტალიზმის კავშირი სამიწათმოქმედო კაპიტალიზმთან. ბ-ნი სტრუვე თვითონ ავიწროებს კაპიტალიზმის ცნებას, როცა ამბობს: «...ბ-ნ ვ. ვ-ის შესწავლის ობიექტს შეადგენდა სახალხო მეურნეობის ის პ ი რ ვ ე ლ ი ნა-

ბიჯები, რომლებიც მან ნატურალური ორგანიზაციიდან სასაქონლოსაკენ გადასდგა». უნდა ეთქვა: უკანასკნელი ნაბიჯები. ბ-ნ ვ. ვ-ის შესწავლის საგანს, რამდენადაც ვიცით, შეადგენდა მხოლოდ რეფორმისშემდგომი დროის რუსეთის მეურნეობა. სასაქონლო მეურნეობის დასაწყისი მიეკუთვნება რეფორმის წინა ხანას, როგორც თვით ბ-ნი სტრუვე აღნიშნავს (189—190); ბამბეულის მრეწველობის კაპიტალისტური ორგანიზაციაც კი გლეხთა განთავისუფლებამდე ჩამოყალიბდა. რეფორმამ ამ მხრივ მხოლოდ ბიძგი მისცა საბოლოო განვითარებას; მან პირველ ადგილზე შრომის პროდუქტის სასაქონლო ფორმა კი არ წამოსწია, არამედ სამუშაო ძალის სასაქონლო ფორმა; მან დაადასტურა არა სასაქონლო, არამედ უკვე კაპიტალისტური წარმოების ბატონობა. იმ გარემოებამ, რომ ნათლად არ არის გარკვეული განსხვავება ფართოდ და ვიწროდ გაგებულ კაპიტალიზმს შორის*, ბ-ნი სტრუვე იქამდე მიიყვანა, რომ იგი, როგორც სჩანს, რუსეთის კაპიტალიზმს უყურებს როგორც რაღაც მომავალს და არა ახლა არსებულს, უკვე სავსებით და საბოლოოდ ჩამოყალიბებულს. ის ამბობს, მაგალითად:

«ვიდრე ბ-ნი ვ. ვ. დასვამდა კითხვას: გარდუვალია თუ არა რუსეთისათვის ინგლისური ფორმის კაპიტალიზმი, მას უნდა დაესვა და გადაეჭრა მეორე, უფრო ზოგადი და ამიტომ უფრო მნიშვნელოვანი კითხვა: გარდუვალია თუ არა რუსეთისათვის გადასვლა ნატურალური მეურნეობიდან ფულად მეურნეობაზე და როგორი დამოკიდებულება აქვს კაპიტალისტურ წარმოებას sensu stricto** სასაქონლო წარმოებასთან საზოგადოდ?» (247). საეჭვოა, რომ კითხვის ასე დასმა მოხერხებული იყოს. თუ გამორკვეული იქნება წარმოებითი ურთიერთობის

* არა სჩანს, რა ნიშნით განასხვავებს ავტორი ამ ცნებებს? თუ ვიწროდ გაგებულ კაპიტალიზმად ვიგულისხმებთ მარტო მანქანურ ინდუსტრიას, მაშინ გაუგებარია, რატომ მანუფაქტურაც არ უნდა გამოვყოთ ცალკე? თუ ფართოდ გაგებულ კაპიტალიზმად ვიგულისხმებთ მარტო სასაქონლო მეურნეობას, მაშინ აქ კაპიტალიზმი არ არის.

** — ვიწრო გაგებით. რ ე დ.

მონაცემი, ამჟამად რუსეთში არსებული, სისტემა, მაშინ ამა თუ იმ განვითარების «აუცილებლობის» საკითხი უკვე eo ipso * გადაწყვეტილი იქნება. ხოლო თუ იგი გამორკვეული არ იქნება, მაშინ მისი გადაწყვეტა შეუძლებელია. მომავალზე მსჯელობის ნაცვლად (რაც ასე უყვართ ბბ. ნაროდნიკებს), საჭიროა აწმყოს ა ხ ს ნ ა. რეფორმისშემდგომი დროის რუსეთში უდიდეს ფაქტად იქცა კაპიტალიზმის გარეგანი, თუ შეიძლება ასე ითქვას, გამოვლინება, ე. ი. გამოვლინება მისი «მწვერვალებისა»» (საფაბრიკო წარმოების, რკინიგზების, ბანკებისა და სხვ.), და თეორიული აზროვნებისათვის იმავე წუთს დაისვა კაპიტალიზმის საკითხი რუსეთში. ნაროდნიკები ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ ეს მწვერვალები შემთხვევითია, ისინი დაკავშირებული არ არიან მთელ ეკონომიურ წყობილებასთან, უნიადაგონი და ამიტომ უძლურნი არიანო; ამასთან ისინი იღებდნენ «კაპიტალიზმის» მეტად ვიწრო ცნებას, მათ ავიწყდებოდათ, რომ კაპიტალის მიერ შრომის დამონებამ მეტად გრძელი და სხვადასხვა სტადია უნდა გაიაროს სავაჭრო კაპიტალიდან «ინგლისურ ფორმამდე». მარქსისტებმაც სწორედ ის უნდა დაამტკიცონ, რომ ეს მწვერვალები სასაქონლო მეურნეობის განვითარების უკანასკნელი ნაბიჯია მხოლოდ, — იმ სასაქონლო მეურნეობის, რომელიც დიდი ხანია ჩამოყალიბდა რუსეთში და ყ ვ ე ლ გ ა ნ, წარმოების ყველა დარგში, ჰბადებს შრომის დამორჩილებას კაპიტალისადმი.

ბ-ნ სტრუვეს შეხედულება რუსეთის კაპიტალიზმზე, როგორც რაღაც მომავალზე და არა აწმყოზე, განსაკუთრებული სიცხადით გამოაშკარავდა შემდეგ მსჯელობაში: «ვიდრე იარსებებს თანამედროვე თემი, კანონის მიერ განმტკიცებული და გამაგრებული, მის ნიადაგზე განვითარდებიან ისეთი ურთიერთობანი, რომელთაც «ხალხის კეთილდღეობასთან» საერთო არაფერი აქვთ. [ნუთუ ჯერ მხოლოდ «განვითარდებიან» და უკვე არ განვითარებულან ისე დიდი ხნის წინათ, რომ მთელი ნაროდნიკული ლიტერატურა, თავისი წარმოშობის დროიდანვე,

* — ამით. რ ე დ.

მეოთხედ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ, ასწერდა ამ მოვლენებს და პროტესტს აცხადებდა მათ წინააღმდეგ?] დასავლეთ ევროპაში ჩვენს გვაქვს იმის რამდენიმე მაგალითი, რომ პარცელური მეურნეობა მსხვილი კაპიტალისტური მეურნეობის გვერდით არსებობს. ჩვენი პოლონეთი და ჩვენი სამხრეთ-დასავლეთი მხარე ამავე რიგის მოვლენას წარმოადგენს. შეიძლება ითქვას, რომ საკომლო და სათემო რუსეთიც ამ ტიპს უახლოვდება, რამდენადაც გაღატაკებული გლეხობა მიწაზე რჩება და მის წრეში გამთანაბრებელი გავლენა უფრო ძლიერია, ვიდრე დიფერენციაციის მომხდენი» (280). ნუთუ მხოლოდ უახლოვდება და არ წარმოადგენს უკვე ახლავე სწორედ ასეთ ტ ი პ ს? «ტიპის» გამოსარკვევად უნდა ავიღოთ, რა თქმა უნდა, წესების ძირითადი ეკონომიური თვისებები და არა იურიდიული ფორმები. თუ რუსული სოფლის ეკონომიკის ამ ძირითად თვისებებს დავაკვირდებით, დავინახავთ გლეხთა კომლების განკერძოებულ მეურნეობას მიწის წვრილ ნაკვეთებზე, დავინახავთ მზარდ სასაქონლო მეურნეობას, რომელიც უკვე ახლავე უპირველეს როლს თამაშობს. ეს სწორედ ის თვისებებია, რომელნიც შინაარსს აძლევენ ცნებას: «პარცელური მეურნეობა». შემდგომ ჩვენ ვხედავთ გლეხების იმავე დავალიანებას მევახშეების მიმართ, იმავე ექსპროპრიაციას, რასაც დასავლეთ ევროპის ცნობები მოწმობენ. მთელ განსხვავებას წარმოადგენს იმ ჩვენი იურიდიული წესების თავისებურება (გლეხთა მოქალაქეობრივი უთანასწორობა; მიწათმფლობელობის ფორმები), რომელნიც კაპიტალიზმის უფრო სუსტი განვითარების გამო ჩვენში უფრო ხელუხლებლად ინარჩუნებენ «ძველი რეჟიმის» ნიშნებს. მაგრამ ჩვენი გლეხური და დასავლეთ-ევროპული წესების ტ ი პ ს ერთგვარობას ეს თავისებურებანი სრულებით არ არღვევენ.

გადადის რა თვით ბაზრების თეორიაზე, ბ-ნი სტრუვე შენიშნავს, რომ ბბ. ვ. ვ. და ნ. —ონი გამოუვალ წრეში ტრიალებენ: კაპიტალიზმის განვითარებისათვის საჭიროა ბაზრის ზრდა, კაპიტალიზმი კი მოსახლეობას აღატაკებსო. ავტორი თავისი მალტუზიანობით მეტად უხეიროდ ასწორებს ამ გამოუვალ წრეს; მას გლეხობის გაღატაკების მიზეზად მიაჩნია არა კაპი-

ტალიზმი, არამედ «მოსახლეობის ზრდა»!! აღნიშნული ავტორების შეცდომა სულ სხვანაირია: კაპიტალიზმი არა მარტო აღატაკებს, არამედ ჰშლის კიდეც გლეხობას ბურჟუაზიად და პროლეტარიატად. ეს პროცესი კი არ ზღუდავს, არამედ ჰქმნის შინაურ ბაზარს: სასაქონლო მეურნეობა იზრდება დაშლის პროცესში მყოფი გლეხობის ორივე პოლუსში, «პროლეტარულშიც», რომელიც იძულებულია გაჰყიდოს «თავისუფალი შრომა», და ბურჟუაზიულშიც, რომელიც ამაღლებს თავისი მეურნეობის ტექნიკას (მანქანები, ინვენტარი, სასუქი და სხვ. შეად. ბ-ნ ვ. ვ-ის «პროგრესული მიმდინარეობანი გლეხურ მეურნეობაში») და ანვითარებს მოთხოვნილებებს. მიუხედავად იმისა, რომ პროცესის ასეთი გაგება უშუალოდ დამყარებულია მარქსის თეორიაზე ინდუსტრიული და სამიწათმოქმედო კაპიტალიზმის თანაშეფარდების შესახებ, ბ-ნი სტრუვე უგულვებელჰყოფს მას, — შეიძლება, იმიტომ, რომ ბ-ნ ვ. ვ-ის «ბაზრების თეორიით» შეცდომაშია შეყვანილი. ამ უკანასკნელმა, ვითომდა მარქსზე დაყრდნობით, რუსეთის საზოგადოებას მიუძღვნა «თეორია», თითქოს განვითარებულ კაპიტალისტურ საზოგადოებაში «საქონლის სიჭარბე» აუცილებელია; თითქოს შინაური ბაზარი საკმარისი არ არის და საჭიროა საგარეო ბაზარი. «ეს თეორია სწორია (?!), — აცხადებს ბ-ნი სტრუვე, — რამდენადაც იგი აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ზედმეტი ღირებულების რეალიზაცია შეუძლებელია როგორც კაპიტალისტების, ისე მუშების მოხმარების საშუალებით და გულისხმობს მესამე პირთა მოხმარებას» (251). ყოვლად შეუძლებელია დავეთანხმოთ ამ განცხადებას. ბ-ნ ვ. ვ-ის «თეორია» (თუ კი შეიძლება აქ თეორიაზე ლაპარაკი) მხოლოდ უგულვებელჰყოფს პირად და პროდუქტიულ მოხმარებას შორის, წარმოების საშუალებებსა და მოხმარების საგნებს შორის არსებულ იმ განსხვავებას, ურომლისოდაც კაპიტალისტურ საზოგადოებაში შეუძლებელია მთელი საზოგადოებრივი კაპიტალის რეპროდუქციის გამორკვევა. მარქსმა დაწვრილებით დაგვანახვა ეს «კაპიტალის» მეორე ტომში (მესამე განყოფილება: «მთელი საზოგადოებრივი კაპიტალის რეპროდუქცია და მიმოქცევა»), და გარკვევით აღნიშნა პირველ ტომშიც, სადაც გააკრიტიკა კლა-

სიკური პოლიტიკური ეკონომიის ის დებულება, რომლის მიხედვითაც კაპიტალის დაგროვება წარმოადგენს ზეღირებულების გადაქცევას მხოლოდ ხელფასად და არა მუდმივ კაპიტალად (წარმოების საშუალებანი) პლუს ხელფასი. ბ-ნ ვ. ვ-ის თეორიის ასეთი დახასიათების დადასტურებისათვის დავკმაყოფილდებით ორი ციტატით ბ-ნ სტრუვეს მიერ დასახელებული სტატიებიდან.

«ყოველი მუშა — ამბობს ბ-ნი ვ. ვ. სტატიაში»: «საქონლით ბაზრის მომარაგების ნაჭარბი» — ამზადებს იმაზე მეტს, ვიდრე თვითონ ხმარობს, და მთელი ეს ნაჭარბი გროვდება მცირედთა ხელში; ამ ნაჭარბის მფლობელნი თვითონ მოიხმარენ მას, რისთვისაც სცვლიან მას ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ მრავალგვარ აუცილებელ და ფუფუნების საგნებზე; მაგრამ რამდენიც არ უნდა სვან, სჭამონ და იცეკვონ (sic!!) — მთელ ზედმეტ ღირებულებას მაინც ვერ გამოლევენ» («ოტეჩესტვენნიე ზაპისკი», 1883 წ., № 5, გვ. 14), და «მეტი თვალსაჩინოებისათვის» ავტორი «განიხილავს» კაპიტალისტის «მთავარ ხარჯებს», როგორიცაა სადილები, მიმოსვლა და სხვ. კიდევ უფრო თვალნათლივაა ეს გამოთქმული სტატიაში «მილიტარიზმი და კაპიტალიზმი»: «მრეწველობის კაპიტალისტური ორგანიზაციის ყველაზე სუსტ მხარეს შეადგენს ის, რომ მეწარმეს არ ძალუძს თვითონვე მოიხმაროს მთელი თავისი შემოსავალი» («რუსსკაია მისლ», 1889 წ., № 9, გვ. № 80). «როტშილდი ვერ შესძლებს მოიხმაროს თავისი შემოსავლის მთელი ნამატი... იმიტომ, რომ ეს... ნამატი მოხმარების საგანთა ისეთ მნიშვნელოვან მასას შეიცავს, რომ როტშილდს, რომლის ყოველი წადილი უიმისოდაც სრულდება, ძალზე გაუჭირდებოდა» და სხვ.

მთელი ეს მსჯელობა, როგორც ხედავთ, დამყარებულია იმ გულუბრყვილო აზრზე, თითქოს კაპიტალისტს მიზნად ჰქონდეს პირადი მოხმარება და არა ზეღირებულების დაგროვება, — იმ შეცდომაზე, თითქოს საზოგადოებრივი პროდუქტი ნაწილდება $v + m$-ად (ცვალებადი კაპიტალი პლუს ზეღირებულება), როგორც გვასწავლიდა ა. სმიტი და მთელი პოლიტიკური ეკონომია მარქსამდე, და არა $c + v + m$-ად (მუდმივი კაპიტალი,

წარმოების საშუალებები, და მხოლოდ ამის შემდეგ ხელფასი და ზეღირებულება), როგორც მარქსმა გვიჩვენა. რაკი შევასწორეთ ეს შეცდომები და მხედველობაში მივიღეთ ის გარემოება, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში უდიდეს და მუდმივად მზარდ როლს თამაშობენ წარმოების საშუალებანი (საზოგადოებრივი პროდუქტების ის ნაწილი, რომელიც იხარჯება არა პირად, არამედ პროდუქტიულ მოხმარებაზე, არა ადამიანთა, არამედ კაპიტალის მოხმარებაზე),— მთლად ირღვევა ეს ყბადაღებული «თეორიაც». II ტომში მარქსმა დაამტკიცა, რომ კაპიტალისტური წარმოება საკუთარი წარმოსადგენია საგარეო ბაზრების უქონლადაც, სიმდიდრის მზარდი დაგროვებით და იმ «მესამე პირთა» სრულიად დაუხმარებლად, რომელთაც ბ-ნი სტრუვე მეტად უხეიროდ იშველიებს. ბ-ნ სტრუვეს მსჯელობა ამ საგანზე მით უფრო გვაოცებს, რომ თვითონვე აღნიშნავს შინაური ბაზრის უპირატეს მნიშვნელობას რუსეთისათვის და ბ-ნ ვ. ვ-ს იჭერს «რუსეთის კაპიტალიზმის განვითარების პროგრამაზე», კაპიტალიზმის, რომელიც «ღონიერ გლეხობას» ეყრდნობა. ამ «ღონიერი» (ე. ი. ბურჟუაზიული) გლეხობის შექმნის პროცესი, რომელიც ამჟამად ჩვენს სოფელში ხდება, პირდაპირ გვიჩვენებს კაპიტალის წარმოშობას, მწარმოებლის გაპროლეტარებას და შ ი ნ ა უ რ ი ბ ა ზ რ ი ს ზ რ დ ა ს: მაგ., «გაუმჯობესებულ იარაღთა გავრცელება» ნიშნავს სწორედ კაპიტალის დაგროვებას წარმოების საშუალებათა ხარჯზე. ამ საკითხის გამო განსაკუთრებით საჭირო იყო «შესაძლებლობათა» გადმოცემის ნაცვლად გადმოეცა და აეხსნა ის ნამდვილი პროცესი, რომელიც გამოიხატება რუსეთის კაპიტალიზმისათვის შინაური ბაზრის შექმნაში *.

ამით ვამთავრებთ ბ-ნ სტრუვეს წიგნის თეორიული ნაწილის გარჩევას; ახლა შეგვიძლია შევეცადოთ მისი მსჯელობის ძირითადი ხერხების ზოგადი, ასე ვთქვათ, დასკვნითი დახასიათება გავაკეთოთ და ამრიგად მივუდგეთ თავიდანვე წამოყენებული შემდეგი კითხვების გადაჭრას: «სახელდობრ რა შეიძლება ამ

---

* რადგან ეს საკითხი მეტად მნიშვნელოვანია და რთული, ამიტომ განზრახული გვაქვს მას ცალკე სტატია მივუძღვნათ [108].

წიგნში მიეკუთვნოს მარქსიზმს?», «(მარქსიზმის) დოქტრინის რომელ დებულებებს უარჰყოფს, ავსებს ანდა ასწორებს ავტორი, და რას ვიღებთ ამ შემთხვევაში?»

ავტორის მსჯელობის ძირითადი თვისება, რაც თავიდანვე აღვნიშნეთ, ეს არის მისი ვიწრო ობიექტივიზმი, რომელიც კმაყოფილდება პროცესის აუცილებლობისა და გარდუვალობის დამტკიცებით და არ ცდილობს ამ პროცესის ყოველ კონკრეტულ სტადიაზე გამოააშკარაოს მისი დამახასიათებელი ფორმა კლასობრივი ანტაგონიზმისა, — ობიექტივიზმი, რომელიც ახასიათებს საზოგადოდ პროცესს და არა კერძოდ იმ ანტაგონისტურ კლასებს, რომელთა ბრძოლისაგან იქმნება პროცესი.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ ავტორს, როცა იგი თავის «შენიშვნებს» ზღუდავდა მარტო «ობიექტური» და ამასთან ყველაზე ზოგადი ნაწილით, თავისი მოსაზრებანი ჰქონდა: ჯერ-ერთი, მას სურდა ნაროდნიკებისათვის დაეპირისპირებინა მოწინააღმდეგეთა შეხედულებების საფუძვლები, ამიტომ იგი გადმოგვცემდა მარტო principia-ს *, ხოლო ამ პრინციპების განვითარებას და უფრო კონკრეტულად გარკვევას იგი უტოვებდა პოლემიკის შემდგომ მსვლელობას; მეორეც, I-ლ თავში ჩვენ შეეცადეთ გვეჩვენებინა, რომ ნაროდნიკობის მ თ ე ლ ი განსხვავება მარქსიზმისაგან მდგომარეობს რუსეთის კაპიტალიზმის კ რ ი ტ ი კ ი ს ხ ა ს ი ა თ ‍ ‍ შ ი, მის სხვაგვარ ა ხ ს ნ ა - გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა შ ი, — საიდანაც ბუნებრივად გამომდინარეობს ის, რომ ზოგჯერ მარქსისტები კმაყოფილდებიან მარტო ზოგადი «ობიექტური» დებულებებით, მთავარ ყურადღებას აქცევენ მხოლოდდამხოლოდ იმას, რაც განასხვავებს ჩვენს გაგებას (ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო დ ც ნ ო ბ ი ლ ი ფ ა ქ ტ ე ბ ი ს ა ს) ნაროდნიკული გაგებისაგან.

მაგრამ ბ-ნი სტრუვე, ვფიქრობთ, ამ მხრივ ერთობ შორს წავიდა. გადმოცემის აბსტრაქტულობა ხშირად ისეთ დებულებებს იძლეოდა, რომლებსაც არ შეეძლოთ გაუგებრობა არ გამოეწვიათ; საკითხის დასმის დროს გამოყენებული იყო იგივე გაცვეთილი, ჩვენს ლიტერატურაში გაბატონებული ხერხი პროფესორუ-

* — პრინციპებს. რ ე დ.

ლად, ზევიდან მსჯელობისა — სამშობლოს გზებსა და ბედზე და არა ამა და ამ გზით მიმავალ ცალკეულ კლასებზე; რაც უფრო კონკრეტული ხდებოდა ავტორის მსჯელობა, თუ ზოგად აბსტრაქტულ დებულებათა სიმაღლეზე დარჩებოდა, მით უფრო შეუძლებელი ხდებოდა მარქსიზმის principia-ს ახსნა-განმარტება, მით უფრო აუცილებელი იყო განსაზღვრულ მითითებათა მოცემა რუსული საზოგადოების ამა და ამ კლასების ასეთსა და ასეთს მდგომარეობაზე, Plusmacherei-ს სხვადასხვა ფორმის ასეთსა და ასეთს თანაშეფარდებაზე მწარმოებელთა ინტერესებისადმი.

ამიტომ იყო, რომ არცთუ უადგილოდ მივიჩნიეთ ჩვენ — გვეცადა შეგვევსო და აგვეხსნა ავტორის დებულება, გავყოლოდით კვალდაკვალ მის გადმოცემას, რათა აღგვენიშნა საკითხთა სხვაგვარად დასმის საჭიროება, კლასობრივ წინააღმდეგობათა თეორიის მეტი თანმიმდევრობით გატარების საჭიროება.

რაც შეეხება ბ-ნ სტრუვეს პირდაპირ გადახვევას მარქსიზმისაგან — სახელმწიფოს, ჭარბმოსახლეობის, შინაური ბაზრის საკითხებზე — ამაზე ზემოთ საკმარისად იყო ნათქვამი.

VI

ბ-ნ სტრუვეს წიგნში ნაროდნიკობის თეორიული შინაარსის კრიტიკის გარდა მოთავსებულია, სხვათა შორის, კიდევ ზოგიერთი შენიშვნა ნაროდნიკული ეკონომიური პოლიტიკის შესახებაც. თუმცა ეს შენიშვნები აქა-იქ არის გაფანტული და ავტორის მიერ არ არის განვითარებული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც, ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, არ შეგვიძლია არ შევეხოთ მათ.

ეს შენიშვნები შეიცავენ მითითებებს ნაროდნიკულ პოლიტიკასთან შედარებით ლიბერალური, ე. ი. ბურჟუაზიული, პოლიტიკის «რაციონალობასა», პროგრესულობასა და «გონივრულობაზე» და სხვ. *.

---

* აღვნიშნავთ ამ შენიშვნების ნიმუშებს: «თუ სახელმწიფოს... სურს გაამაგროს არა მსხვილი, არამედ წვრილი .მიწათმფლობელობა, იგი

აშკარაა, ავტორს სურდა დაეპირისპირებინა ორი, არსებული ურთიერთობის ნიადაგზე მდგომი, პოლიტიკა, — და ამ აზრით მან სრულიად სამართლიანად აღნიშნა, რომ «გონიერია» ის პოლიტიკა, რომელიც კაპიტალიზმს ავითარებს და არა აფერხებს, — «გონიერია», რა თქმა უნდა, არა იმიტომ, რომ ბურჟუაზიას ემსახურება და უფრო და უფრო ძლიერ უმორჩილებს მას მწარმოებელს [როგორც ლამობენ ამის განმარტებას სხვადასხვა «გულუბრყვილონი» ან «ჯამბაზები»], არამედ იმიტომ, რომ კაპიტალისტური ურთიერთობის გამწვავებით და გაწმენდით გონებას უნათლებს და ხელებს უხსნის იმას, ვისგანაც მხოლოდდამხოლოდ დამოკიდებულია ცვლილება.

მაგრამ არ შეგვიძლია არ შევნიშნოთ, რომ ეს სრულიად სწორი დებულება ბ-მა სტრუვემ გამოხატა უხეიროდ, გამოსთქვა მისთვის ჩვეული აბსტრაქტულობით ისე, რომ ზოგჯერ გინდა უთხრა: დაე მკვდრებმა თვით დაასაფლაონ თავიანთი მკვდრებიო. რუსეთში არასოდეს არ ყოფილა ისეთ ადამიანთა ნაკლებობა, რომელნიც თავს სდებდნენ ისეთი თეორიებისა და პროგრამების შესაქმნელად, რომელნიც გამოხატავენ ჩვენი ბურჟუაზიის ინტერესებს, გამოხატავენ ძლიერი და მეხვილი კაპიტალის მთელ ამ «აუცილებლობას» — გასრისოს წვრილი კაპიტალი და დაანგრიოს მისი პრიმიტიული და პატრიარქალური ხერხები ექსპლოატაციისა.

ავტორს რომ აქაც ზედმიწევნით დაეცვა მარქსიზმის იმ «დოქტრინის» მოთხოვნები, რომელიც გვავალებს გადმოცემა დავიყვანოთ ნამდვილი პროცესის ფორმულირებამდე, გვავალებს

ამ მიზანს არსებულ ეკონომიურ პირობებში მიაღწევს არა იმით, რომ გამოუდგება განუხორციელებელ ეკონომიურ თანასწორობას გლეხობას შორის, არამედ მხოლოდ მისი ცხოველმყოფელი ელემენტების მხარდაჭერით, მათგან ეკონომიურად ღონიერი გლეხობის შექმნით» (240). «არ შემიძლია არ დავინახო, რომ ის პოლიტიკა, რომელიც დაადგება ასეთი (სახელდობრ: «ეკონომიურად ღონიერი, სასაჭონლო წარმოებასთან შეგუებული») გლეხობის შექმნის გზას, ერთადერთი გონიერი და პროგრესული პოლიტიკა იქნება» (281). «რუსეთი ღარიბი კაპიტალისტური ქვეყნიდან უნდა გადაიქცეს მდიდარ კაპიტალისტურივე ქვეყნად» (250) და სხვ. თვით უკანასკნელ ფრაზამდე: «წავიდეთ სასწავლად კაპიტალიზმთან».

«ბონიერი», «რაციონალური» და პროგრესული პოლიტიკის ყოველ ფორმაში კლასობრივი წინააღმდეგობანი გამოვააშკარაოთ, — მაშინ თავის აზრს იგი სხვანაირად გამოსთქვამდა, საკითხს სხვანაირად დააყენებდა. იმ ფაქტიური ცნობების პარალელურად, რომლებიც შეეხებიან კაპიტალიზმის განვითარებას რუსეთში, ის მოიყვანდა ლიბერალიზმის, ე. ი. ბურჟუაზიის, იმ თეორიებსა და პროგრამებს, რომლებიც დიდი რეფორმის შემდეგ ისე იზრდებოდნენ, როგორც სოკოები ნაწვიმევს. ამრიგად რუსეთის მაგალითზე ის დავვანახვებდა საზოგადოებრივი იდეების იმ კავშირს ეკონომიურ განვითარებასთან, რომელსაც იგი პირველ თავებში გვიმტკიცებდა და რომლის საბოლოო დადგენაც შეიძლება მხოლოდ რუსეთის ცნობების მატერიალისტური ანალიზით. ამრიგად იგი დაგვანახვებდა, მეორე, იმას, თუ როგორ გულუბრყვილონი არიან ნაროდნიკები, რომელნიც თავიანთ ლიტერატურაში ისე ომობენ ბურჟუაზიული თეორიების წინააღმდეგ, თითქოს ეს თეორიები მხოლოდ შემცდარ მსჯელობებს წარმოადგენდნენ და არა ძლიერი კლასის ინტერესებს, — კლასის, რომლის სინიდისში ჩაგდება სისულელეა, რომლის «დარწმუნებაც» შეიძლება მხოლოდ სხვა კლასის საგრძნობი ძალით. ამრიგად, მესამე, იგი დაგვანახვებდა, რომელი კლასი განსაზღვრავს ნამდვილად ჩვენში «აუცილებლობას» და «პროგრესს», და რა სასაცილონი ჰრიან ნაროდნიკები, რომლებიც იმაზე მსჯელობენ, თუ რომელი «გზა» «აირჩიონ».

ბბ. ნაროდნიკებმა განსაკუთრებული სიამოვნებით ჩასჭიდეს ხელი ბ-ნ სტრუვეს ამ გამოთქმებს; ისინი ნიშნისგებით ამბობდნენ, რომ ამ გამოთქმების უხეირო ფორმულირებამ საშუალება მისცა სხვადასხვა ბურჟუაზიულ ეკონომისტებს (როგორიცაა ბ-ნი იანჟული) და ბატონყმობის მოტრფიალეებს (როგორიცაა ბ-ნი გოლოვინი) ჩაბლაუჭებოდნენ აზრის საერთო მიმდინარეობიდან ამოგლეჯილ ცალკეულ ფრაზებს. ჩვენ უკვე დავინახეთ, რაში მდგომარეობს ბ-ნ სტრუვეს ნაკლი, რამაც მოწინააღმდეგეებს ასეთი იარაღი მისცა ხელში.

ბ-ნი სტრუვე შეეცადა გაეკრიტიკებინა ნაროდნიკობა როგორც მხოლოდ ისეთი თეორია, რომელიც სამშობლოს სწორ

გზას ვერ უჩვენებს *, და ამან ავტორი იქამდე მიიყვანა, რომ გარკვეულ ფორმულაში ვერ ჩამოაყალიბა თავისი დამოკიდებულება ნაროდნიკობის «ეკონომიური პოლიტიკისადმი». აქ, შეიძლება, ვინმემ დაინახოს დაუსაბუთებელი უარყოფა ამ პოლიტიკისა და არა მარტო მისი ერთი ნახევრისა. ამიტომ საჭიროა შევჩერდეთ ამ პუნქტზე.

ფილოსოფოსობა «სამშობლოსათვის სხვა გზების» შესაძლებლობაზე, ეს მხოლოდ ნაროდნიკობის გარეგანი სამოსია. მის შინაარსს კი შეადგენს რუსი წვრილი მწარმოებლის, წვრილი ბურჟუას ინტერესებისა და თვალსაზრისის წარმომადგენლობა. ამიტომ ნაროდნიკი თეორიაში სწორედ ისეთივე იანუსია, რომელიც ერთი სახით წარსულისაკენ იცქირება, მეორეთი კი — მომავლისაკენ, როგორც ცხოვრებაში იანუსია წვრილი მწარმოებელი, რომელიც ერთი სახით წარსულისაკენ იყურება, სურს რა გაამაგროს თავისი წვრილი მეურნეობა, არაფერი იცის და არც სურს იცოდეს საერთო ეკონომიურ წყობილებაზე და იმაზე, რომ აუცილებელია ანგარიშის გაწევა გამგე კლასისთვის, — ხოლო მეორე სახით იცქირება მომავლისაკენ, მტრულად განწყობილი მისი გამაღატაკებელი კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

აქედან გასაგებია, რომ ნაროდნიკული პროგრამის უარყოფა მთლიანად, განურჩევლად, აბსოლუტურად უმართებულო იქნებოდა. ამ პროგრამაში მკაცრად უნდა გავარჩიოთ მისი რეაქციული და პროგრესული მხარეები. ნაროდნიკობა რეაქციულია, რამდენადაც იგი გვთავაზობს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც გლეხს ამაგრებენ მიწაზე და წარმოების ისეთ ძველ წესებზე, როგორიცაა «ნადელების» განუსხვისებლობა და სხვ. **, რამდენადაც მას სურს შეაფერხოს ფულადი მეურნეობის განვი-

* «კრიტიკული შენიშვნების» ავტორი მიგვითითებს ნაროდნიკობის ეკონომიურ ნიადაგზე (გვ. 166—167), მაგრამ მის მითითებას საკმარისად ვერ მივიჩნევთ.

** სრულ სიმართლეს ამბობს ბ-ნი სტრუვე, რომ ამ ზომებს შეეძლოთ მხოლოდ «განეხორციელებინათ დასავლეთ-ევროპისა და რუსეთის ზოგიერთი მიწათმფლობელის მხურვალე ოცნება მიწის მუშა ღონიერი მოჯამაგირეების შესახებ» (279).

თარება, რამდენადაც ის მოელის არა ნაწილობრივ გაუმჯობესებებს, არამედ გზის გამოცვლას «საზოგადოებისაგან» და ბიუროკრატიის წარმომადგენლების ზეგავლენისაგან (მაგალითს წარმოადგენს ბ-ნი იუჟაკოვი, რომელიც «რუსსკოე ბოგატსტვოში», 1894, № 7, მსჯელობდა ერობის ერთი უფროსის პროექტზე მიწების საზოგადოებრივი დამუშავების შესახებ, და რომელსაც შესწორებები შეჰქონდა ამ პროექტში). ნაროდნიკული პროგრამის ასეთ პუნქტებს, რა თქმა უნდა, აუცილებლად ომი უნდა გამოეცხადოს. მაგრამ ნაროდნიკებს მოეპოვებათ სხვა პუნქტებიც, რომლებიც შეეხებიან თვითმმართველობას, «ხალხში» ცოდნის თავისუფლად და ფართოდ გავრცელებას, «სახალხო» (ე. ი. წვრილი) მეურნეობის «ამაღლებას» იაფი კრედიტებით, ტექნიკის გაუმჯობესებით, გასაღების საქმის მოწესრიგებით და სხვ. და სხვ. და სხვ. რომ ასეთი, საერთო-დემოკრატიული, ღონისძიებები პროგრესულია, — ამას, რა თქმა უნდა, თვით ბ-ნი სტრუვეც სავსებით აღიარებს. ეს ღონისძიებები კი არ შეაჩერებენ, არამედ დააჩქარებენ რუსეთის ეკონომიურ განვითარებას კაპიტალისტური გზით, დააჩქარებენ შინაური ბაზრის შექმნას, დააჩქარებენ ტექნიკისა და მანქანური ინდუსტრიის ზრდას მშრომელის მდგომარეობის გაუმჯობესებით და მის მოთხოვნილებათა დონის ამაღლებით, დააჩქარებენ და გააადვილებენ მის დამოუკიდებელ აზროვნებასა და მოქმედებას.

აქ შეიძლება მხოლოდ წარმოიშვას კითხვა: ვინ უფრო მართებულად და უკეთესად უჩვენებს ამგვარ, უეჭველად სასურველ, ზომებს: ნაროდნიკები თუ ბ-ნ ა. სკვორცოვის მსგავსი პუბლიცისტები, — იმ სკვორცოვისა, რომელიც აგრეთვე თავგამოდებულია ტექნიკური პროგრესისათვის და რომლის მიმართ ბ-ნი სტრუვე ასე უზომო თანაგრძნობით არის გამსჭვალული? მე მგონია, მარქსისტული თვალსაზრისით შეუძლებელია ამ მხრივ აბსოლუტური უპირატესობა ნაროდნიკობას არ მივანიჭოთ. ბბ. სკვორცოვების ღონისძიებანი ისევე ეხებიან წვრილ მწარმოებელთა, წვრილი ბურჟუაზიის მთელი კლასის ინტერესებს, როგორც «მოსკოვსკიე ვედომოსტის» პროგრამა — მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესებს. აღნიშნული ღონისძიებები გათვალის-

წინებულია არა ყველასთვის *, არამედ მხოლოდ ცალკეულ რჩეულთათვის, რომელნიც უფროსთა ყურადღებას დაიმსახურებენ. დასასრულ, ეს ღონისძიებები საშინლად უხეშია, რადგან გულისხმობენ პოლიციის ჩარევას გლეხთა მეურნეობაში. ერთობლივად აღებული, ეს ზომები «გლეხური მეურნეობის წარმოებითი პროგრესისათვის» არავითარ სერიოზულ გარანტიებს და შანსებს არ იძლევიან.

ნაროდნიკებს ამ მხრივ განუზომლად უფრო სწორად ესმით და წარმოადგენენ წვრილი მწარმოებლების ინტერესებს, და მარქსისტებმა, მათი პროგრამის მთელი რეაქციული ნიშნების უკუგდების შემდეგ, არათუ უნდა მიიღონ საერთოდემოკრატიული პუნქტები, არამედ კიდევაც უნდა გაატარონ ისინი ცხოვრებაში უფრო ზუსტად, ღრმად და გაფართოებულად. რაც უფრო გადაჭრით გატარდება ასეთი რეფორმები რუსეთში, რაც უფრო აამაღლებენ მშრომელთა მასების საარსებო დონეს, — მით უფრო მკვეთრად და წმინდად იჩენს თავს რუსეთის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი და ძირითადი (უკვე ახლა) სოციალური წინააღმდეგობა. მარქსისტები არათუ არ «სწყვეტენ დემოკრატიულ ძაფს» თუ მიმდინარეობას, როგორც მათ ცილს სწამებს ბ-ნი ვ. ვ., — არამედ, პირიქით, მათ სწადიათ ამ მიმდინარეობის განვითარება და გაძლიერება, სწადიათ მისი დაახლოება ცხოვრებასთან, სწადიათ აიღონ ის «ძაფი», რომელსაც «საზოგადოება» და «ინტელიგენცია» ხელიდან უშვებს **.

---

* ესე-იგი, რა თქა უნდა, ყველასთვის, ვისთვისაც ტექნიკური პროგრესი ხელმისაწვდომია.

** «ნედელია», 1894 წ., № 47, ბ-ნი ვ. ვ.: «ჩვენი ისტორიის რეფორმისშემდგომ ხანაში სოციალური ურთიერთობანი ზოგიერთი ხაზით დაუახლოვდნენ დასავლეთ ევროპულს; მათ ახასიათებდათ აქტიური დემოკრატიზმი პოლიტიკური ბრძოლის ხანაში და საზოგადოებრივი ინდიფერენტიზმი მომდევნო დროის განმავლობაში». I თავში ჩვენ შევეცადეთ დაგვენახვებინა, რომ ეს «ინდიფერენტიზმი» იყო არა შემთხვევითი მოვლენა, არამედ იმ კლასის მდგომარეობისა და ინტერესების აუცილებელი შედეგი, რომლიდანაც «საზოგადოების» წარმომადგენელნი გამოდიან და რომელიც თანამედროვე ურთიერთობისაგან მინუსებთან ერთად მეტად მნიშვნელოვან პლუსებსაც ღებულობს.

ეს მოთხოვნა—ხელიდან კი არ გაუშვან «ძაფი», არამედ, პირიქით, გაამაგრონ იგი — შემთხვევით კი არ გამომდინარეობს ამა თუ იმ «მარქსისტის» პირადი განწყობილებიდან, არამედ მას აუცილებლობით განსაზღვრავს იმ კლასის მდგომარეობა და ინტერესები, რომლის სამსახურსაც მარქსისტები მიზნად ისახავენ, ამას უკარნახებს აუცილებლად და უსათუოდ მათი «დოქტრინის» ძირითადი მოთხოვნები. ადვილად გასაგები მიზეზების გამო მე არ შემიძლია შევჩერდე აქ ამ დებულების პირველი ნაწილის გარჩევაზე, «მდგომარეობისა» და «ინტერესების» დახასიათებაზე; ეგეც არ იყოს, ვგონებ, საქმე თავისთავადაც ცხადია. შევეხები მხოლოდ მეორე ნაწილს, სახელდობრ იმას, თუ როგორ უყურებს მარქსისტული დოქტრინა ისეთ საკითხებს, რომლებიც ამ «გაწყვეტაზე მიმდგარ ძაფს» გამოხატავენ.

მარქსისტებმა ს ხ ვ ა ნ ა ი რ ა დ უნდა დ ა ს ვ ა ნ ეს საკითხები, ვიდრე ამას ბბ. ნაროდნიკები სჩადიოდნენ და სჩადიან დღესაც. ეს უკანასკნელნი საკითხს სვამენ «თანამედროვე მეცნიერების, თანამედროვე ზნეობრივი იდეების» თვალსაზრისით; საქმეს გვიხატავენ ისე, თითქოს მსგავსი რეფორმების განხორციელებას არ ელობებოდნენ რაიმე ღრმა, თვით წ ა რ მ ო ე ბ ი თ ს ურ თ ი ე რ თ ო ბ ა შ ი მდებარე მიზეზები, თითქოს მათ აბრკოლებდეს მხოლოდ გრძნობათა უხეშობა: «გონებრივი სინათლის» სისუსტე და სხვ., თითქოს რუსეთი tabula rasa იყოს, რომელზედაც საჭიროა მხოლოდ მართებულად დახატო სწორი გზები. ს ა კ ი თ ხ ი ს ა მ გ ვ ა რ ა დ დ ა ყ ე ნ ე ბ ი ს დ რ ო ს, რა თქმა უნდა, მისთვის უზრუნველყოფილი იყო «სიწმინდე», რომლითაც ბ-ნი ვ. ვ. ასე ტრაბახობს და რომელიც ნამდვილად ნიშნავს მხოლოდ ინსტიტუტურ ოცნებათა «სიწმინდეს», რაც ნაროდნიკულ მსჯელობებს ასე გამოსაყენებლად ხდის კაბინეტებში საუბრებისათვის.

მარქსისტები ამავე საკითხებს აუცილებლად სხვანაირად უნდა აყენებდნენ *. რაკი ისინი მოვალენი არიან საზოგადოებ-

* თუ ისინი თანმიმდევრულად გაატარებენ თავიანთ თეორიას. ჩვენ უკვე ბევრი ვილაპარაკეთ იმაზე, რომ ბ-ნ სტრუვეს არადამაკმაყოფილებელი

რივი მოვლენების ფესვები წარმოებითს ურთიერთობაში ეძებონ, რაკი მოვალენი არიან ეს ურთიერთობანი განსაზღვრულ კლასთა ინტერესებამდე დაიყვანონ, მათ იგივე desiderata უნდა ჩამოაყალიბონ ისე, როგორც ამა და ამ საზოგადოებრივი ელემენტების «სურვილები», რომელთაც ეწინააღმდეგებიან სხვა ესა და ეს ელემენტები და კლასები. საკითხის ამგვარი დაყენება უკვე აბსოლუტურად მოსპობს იმის საშუალებას, რომ მათი «თეორიები» გამოიყენონ პროფესორული, ზეკლასობრივი მსჯელობებისთვის, რაიმე პროექტებისა და მოხსენებებისთვის, რომელნიც «ბრწყინვალე წარმატებას» * გვიქადიან. ეს, რა-საკვირველია, თვალსაზრისის აღნიშნული ცვლილების მხოლოდ არაპირდაპირი ღირსებაა, მაგრამ ესეც დიდი რამ არის, თუ მხედველობაში მივიღებთ, რა ძალზე დახრილი სიბრტყით მიექანება ოპორტუნიზმის ჭაობისაკენ თანამედროვე ნაროდნიკობა. მაგრამ საქმე მარტო არაპირდაპირი ღირსებით როდი განისაზღვრება. თუ იმავე საკითხებს კლასობრივი ანტაგონიზმის თეორიას მივუყენებთ [რისთვისაც საჭიროა, რა თქმა უნდა, რუსეთის ისტორიისა და სინამდვილის «ფაქტების გადასინჯვა»], — მაშინ მათზე მიღებული პასუხები მოგვცემენ ამა და ამ კლასების საარსებო ინტერესების ფორმულირებას, — ამ პასუხებს ის დანიშნულება ექნებათ, რომ მათ პრაქტიკულად გამოიყენებენ ** ეს და მარტოოდენ ეს დაინტერესებული კლასები, — ისინი, როგორც საუცხოოდ სთქვა ერთმა მარქსისტმა, თავგამოდებით შეეცდებიან თავი დააღწიონ «ინტელიგენციის

გადმოცემა სწორედ იმისგან წარმოსდგა, რომ მან მთელი სიმტკიცით ვერ დაიცვა ეს თეორია.

* ბ-ნ იუჟაკოვის გამოთქმა.

** რა თქმა უნდა, ამ «გამოყენებისათვის» საჭიროა უდიდესი მოსამზადებელი მუშაობა, ამასთან ისეთი მუშაობა, რომელიც, თავისი არსებით, უჩინარია. ამ გამოყენებამდე შეიძლება ცოტად თუ ბევრად საგრძნობმა დრომ განვლოს, რომლის განმავლობაშიც ჩვენ პირდაპირ ვიტყვით, რომ ჯერ კიდევ არ მოიპოვება ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს სამშობლოსთვის უკეთესი გზის მოცემა, — წინააღმდეგ·· ბბ. ნაროდნიკების «მოთაფლული ოპტიმიზმისა», რომელნიც გვარწმუნებენ, რომ ძალები არიან და საჭიროა მხოლოდ ვურჩიოთ მათ «ჩამოშორდნენ შემცდარ გზას».

ვიწრო კაბინეტს» და გაეშურონ თვით უფრო განვითარებული და წმინდა სახის წარმოებითი ურთიერთობის მონაწილეებისკენ, იმათკენ, ვისზედაც «ძაფის გაწყვეტა» ყველაზე მეტად მოქმედებს, ვისაც «იდეალები» «ესაჭიროება», იმიტომ რომ უამიდეალოდ მათ ცუდი დღე ადგიათ. საკითხის ამგვარი დაყენება ახალ სულს ჩაუდგამს ყველა ამ ძველ საკითხს — გადასახადების, პასპორტების, გადასახლების, სათემო სამმართველოების და სხვ. შესახებ, — საკითხებს, რომლებიც ჩვენს «საზოგადოებას» ათასჯერ განუხილავს და განუმარტავს, დაუღეჭია და გადაუღეჭია, ათასჯერ გადაუწყვეტია, და რომლებისადმიც მას ახლა ყოველივე ხალისი ეკარგება.

ამრიგად, როგორც არ უნდა მივუდგეთ საკითხს, — გავარჩევთ რუსეთში გაბატონებული ეკონომიურ ურთიერთობათა სისტემის შინაარსს და ამ სისტემის სხვადასხვა ფორმას მათი ისტორიული დაკავშირებით და მშრომელთა ინტერესებისადმი მათი დამოკიდებულებით, — თუ გავარჩევთ საკითხს «ძაფის გაწყვეტის» და ამ «გაწყვეტის» მიზეზების შესახებ, — ორსავე შემთხვევაში ერთ დასკვნამდე მივდივართ, იმ დასკვნამდე, რომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს «ცხოვრებისაგან დიფერენცირებული შრომის» იმ ისტორიულ ამოცანას, რომელსაც აყენებს თანამედროვე ეპოქა, იმ დასკვნამდე, რომ ამ კლასის იდეას ყოვლისმომცველი მნიშვნელობა აქვს.

შენიშვნები

1 სტატია «ახალი სამეურნეო მოძრაობანი გლეხთა ცხოვრებაში» წარმოადგენს ყველაზე ადრინდელს ლენინის ჩვენამდე მოღწეულ ყველა ნაშრომთაგან. ის დაწერილია სამარაში 1893 წლის გაზაფხულზე და დანიშნული იყო ლეგალური პრესისათვის. ლენინი ფიქრობდა დაებეჭდა ის ჟურნალ «რუსსკაია მისლში». მაგრამ რედაქციამ სტატია არ მიიღო «როგორც ჟურნალის მიმართულებისადმი შეუფერებელი».

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებულ მარქს—ენგელს—ლენინის ინსტიტუტში არის ამ სტატიის ორი ლენინისეული ხელნაწერი. პირველი (შავი) ხელნაწერი მიღებულია ლენინის პირადი არქივიდან; მეორე ხელნაწერი აღმოჩენილ იქნა მოსკოვის სასამართლო პალატის არქივში; იგი წარმოადგენს აღნიშნული სტატიის ავტორის მიერ საბოლოოდ გაკეთებულ რედაქციას. ამ გამოცემაში სტატია «ახალი სამეურნეო მოძრაობანი გლეხთა ცხოვრებაში» იბეჭდება ლენინის ამ უკანასკნელი ხელნაწერის მიხედვით.

მარქს—ენგელს—ლენინის ინსტიტუტში ინახება აგრეთვე ვ. ე. პოსტნიკოვის წიგნი «სამხრეთ-რუსეთის გლეხური მეურნეობა» ლენინის შენიშვნებით. ეს შენიშვნები (აგრეთვე ვ. ი. ლენინის ორი წერილი, რომლებიც წარმოადგენენ ნაშრომის «ახალი სამეურნეო მოძრაობანი გლეხთა ცხოვრებაში» ძირითადი შინაარსის კომენტარიებს) დაბეჭდილია «ლენინის კრებულის» XXXIII წიგნის პირველ განყოფილებაში.

აღნიშნული სტატიის ძირითადი მასალები ლენინის მიერ გამოყენებულია მისი წიგნის «კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში» მეორე თავში. — 1.

2 საერობო სტატისტიკა. საგუბერნიო და სამაზრო საერობო გამგეობებთან (რომლებიც შეიქმნა 1861 წლის რეფორმის შემდეგ) არსებული საერობო სტატისტიკური ორგანოები ატარებდნენ სტატისტიკურ

გამოკვლევებს (გლეხთა და სარეწაო მეურნეობათა საკომლო აღწერებს, გლეხთა ბიუჯეტების შესწავლას და სხვ.) და უშვებდნენ მრავალრიცხოვან მიმოხილვასა და სტატისტიკურ კრებულს მაზრებისა და გუბერნიების მიხედვით, რომლებიც მდიდარ ფაქტიურ მასალას შეიცავდნენ. მაგრამ ეროვნის სტატისტიკოსები, რომელთა შორის ნაროდნიკები სჭარბობდნენ, ხშირად ტენდენციურად ამუშავებდნენ და უმართებულოდ აჯგუფებდნენ სტატისტიკურ ცნობებს, რითაც მნიშვნელოვნად აუფასურებდნენ მათ. ციფრების სვეტებში ჰქრებოდა გლეხობის იმ ცალკეულ ჯგუფთა არსებითი განსხვავებანი და ნიშნები, რომლებიც წარმოიშვნენ კაპიტალიზმის განვითარების მსვლელობაში. ლენინი ყოველმხრივ სწავლობს, ზედმიწევნით ამოწმებს და დამოუკიდებლად ამუშავებს საერობო სტატისტიკის ცნობებს. იგი თვითონ ახდენს გაანგარიშებებს, ადგენს ნაკრებ ცნობებს და ცხრილებს, მარქსისტულ ანალიზს უკეთებს და მეცნიერულად აჯგუფებს გლეხურ და სარეწაო მეურნეობათა შესახებ მიღებულ ცნობებს. ლენინი იყენებს საერობო სტატისტიკის მდიდარ მასალას და გვიჩვენებს რუსეთის ეკონომიური განვითარების ნამდვილ სურათს. საერობო სტატისტიკის დამუშავებულ მასალებს ლენინი ფართოდ იყენებს აგრეთვე ნაროდნიკების წინააღმდეგ ბრძოლაში. — 3.

3 დასახელებული თხზულებანი შევიდა კრებულში «რუსეთის ეკონომიური გამოკვლევის შედეგები საერობო სტატისტიკის ცნობების მიხედვით»: ტომი I — ვ. ვ. «გლეხური თემი», მოსკოვი, 1892 წ.; ტომი II—ნ. კ ა რ ი შ ე ვ ი. «გლეხთა ნადელსგარეშე იჯარები», დორპატი, 1892 წ. ორივე ნაშრომი ლიბერალურ-ნაროდნიკული მიმართულებისაა.

ვ. ვ. — ვ. პ. ვორონცოვის, XIX საუკუნის 80 — 90-იანი წლების ლიბერალური ნაროდნიკობის ერთ-ერთი იდეოლოგის ფსევდონიმია. — 4.

4 «რ ე ვ ი ზ ი ო ნ თ» ა ღ რ ი ც ხ უ ლ ი ს უ ლ ე ბ ი — ბატონყმური რუსეთის მამაკაცთა მოსახლეობა, რომელიც იბეგრებოდა სულადობრივი გადასახადით (უმთავრესად გლეხები და მეშჩანები) და ამ მიზნით აღირიცხებოდა განსაკუთრებული აღწერებით (ეგრეთწოდებული «რევიზიებით»). რუსეთში ასეთი «რევიზიები» ტარდებოდა 1718 წლიდან; 1858 წელს ჩატარდა უკანასკნელი, მეათე, «რევიზია». მთელ რიგ რაიონებში სარევიზიო სულების მიხედვით ხდებოდა მიწების გადანაწილება სოფლის თემთა შიგნით. — 11.

5 მ ე ნ ო ნ ი ტ ე ბ ი — სექტანტები, დასავლეთ ევროპიდან გადმოსახლებულნი, რომლებიც XVIII საუკუნის დამლევს დასახლდნენ, უმთა-

ვრესად, ეკატერინოსლავისა და თავრიდის გუბერნიებში. მენონიტთა კოლონისტური მეურნეობები უმთავრესად შეძლებული, კულაკური მეურნეობები იყო. — 26.

6 ს ო ფ ლ ი ს ს ა მ ს ჯ ა ვ რ ო—სპეციალური სასამართლო სახელმწიფო გლეხებისთვის, რომელიც მეფის რუსეთში დაარსდა 1838 წლის დებულებით; სასამართლოს სათავეში იდგა სოფლის მამასახლისი. სასოფლო და სათემო სამსჯავროები განიხილავდნენ სხვადასხვა სამოქალაქო საქმეებსა და დანაშაულობათ, უსჯიდნენ ჯარიმებს, იძულებითს სამუშაოებს და გაშოლტვას. — 44.

7 «რ უ ს ს კ ა ი ა მ ი ს ლ» — ლიბერალურ-ნაროდნიკული მიმართულების ყოველთვიური ჟურნალი, გამოდიოდა 1880 წლიდან. 1905 წლის რეკოლუციის შემდეგ ჟურნალი იქცა კადეტთა პარტიის ორგანოდ და გამოდიოდა პ. სტრუვეს რედაქციით. — 51.

8 გ ლ ე ხ თ ა ს ა ქ მ ე ე ბ ი ს ს ა მ ა ზ რ ო ს ა კ რ ე ბ უ ლ ო ე ბ ი შეიქმნა 1874 წელს «გლეხთა საზოგადოებრივი სამმართველოს» სასოფლო და სათემო ორგანოების მეთვალყურეობისთვის. საკრებულოებს სათავეში ედგნენ თავადაზნაურთა სამაზრო წინამძღოლნი და მათს შემადგენლობაში შედიოდნენ ისპრავნიკები, მომრიგებელი მოსამართლეები და სამაზრო საერობო გამგეობათა თავმჯდომარეები. გლეხთა საქმეების სამაზრო საკრებულოები ემორჩილებოდნენ საგუბერნიო საკრებულოებს, რომელთა სათავეში იდგნენ მეფის გუბერნატორები. — 65.

9 ლენინის ნაშრომი «ე გ რ ე თ წ ო დ ე ბ უ ლ ი ბ ა ზ რ ე ბ ი ს ს ა კ ი თ ხ ი ს გ ა მ ო» დაწერილია მის მიერ პეტერბურგში 1893 წლის შემოდგომაზე.

აღნიშნულ ნაშრომში განვითარებული ძირითადი დებულებები ლენინმა თავდაპირველად გამოსთქვა პეტერბურგის მარქსისტთა წრის («მოხუცთა» წრე) კრებაზე გ. ბ. კრასინის რეფერატის — «ბაზრების საკითხის» განხილვისას.

თავის გამოსვლაში წრის სხდომაზე და შემდგომ დაწერილ რეფერატში სახელწოდებით «ეგრეთწოდებული ბაზრების საკითხის გამო» ლენინმა მიუთითა გ. ბ. კრასინის შეცდომებზე და ამასთანავე მკაცრად გააკრიტიკა ლიბერალური ნაროდნიკების შეხედულებანი კაპიტალიზმის ბედზე რუსეთში, აგრეთვე ჩასახვის პროცესში მყოფი «ლეგალური მარქსიზმის» ბურჟუაზიულ-აპოლოგეტური შეხედულებანი.

ლენინის ნაშრომი ძლიერი იარაღი აღმოჩნდა ნაროდნიკობისა და «ლეგალური მარქსიზმის» წინააღმდეგ ბრძოლაში; იგი ვრცელდებოდა პეტერბურგისა და სხვა ქალაქების სოციალ-დემოკრატიულ წრეებში.

ამ ნაშრომის ხელნაწერი, რომელიც სამუდამოდ დაკარგულად ითვლებოდა, მარქს—ენგელს—ლენინის ინსტიტუტის განკარგულებაში მოხვდა მხოლოდ 1937 წელს. ნაშრომი პირველად დაიბეჭდა ჟურნალ «ბოლშევიკში» № 21, 1937 წელს; 1938 წელს მარქს—ენგელს—ლენინის ინსტიტუტმა გამოუშვა ცალკე გამოცემად. — **75.**

10 ზ ე ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა — ზედმეტი ღირებულება (მარქსის მიხედვით Mehrwert). 90-იანი წლების თავის ნაშრომებში ლენინი ტერმინს «ზეღირებულება» ხმარობს ტერმინ «ზედმეტ ღირებულებასთან» ერთად. შემდგომ ხანებში იგი ხმარობს მხოლოდ ტერმინს «ზედმეტი ღირებულება». — **81.**

11 ლენინი ციტატებს კ. მარქსის «კაპიტალის» მეორე ტომიდან იძლევა საკუთარი თარგმანით (1885 წლის გერმანული გამოცემის მიხედვით). იხ. «კაპიტალი», ტ. II, 1935, გვ. 318, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVIII, 1939, გვ. 469 — 470. — **91.**

12 ლენინს ციტატა მოჰყავს კ. მარქსის «კაპიტალის» პირველი ტომიდან (1872 წლის მეორე გერმანული გამოცემის მიხედვით). იხ. «კაპიტალი», ტ. I, 1935, გვ. 59, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVII, 1937, გვ. 119. — **105.**

13 ნ ი კ. — ო ნ ი ანუ ნ. — ო ნ ი — ნ. ფ. დანიელსონის—XIX საუკუნის 80 — 90-იანი წლების ლიბერალური ნაროდნიკობის ერთ-ერთი იდეოლოგის ფსევდონიმი. ნიკოლაი — ონის აქ მოყვანილ ნაწარმოებს ეწოდება «ჩვენი რეფორმისშემდგომი დროის საზოგადოებრივი მეურნეობის ნარკვევები», სპბ, 1893 წ. — **106.**

14 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. II, 1935, გვ. 222 (შენიშვ. 33), ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVIII, 1939, გვ. 335. — **112.**

15 ლენინის წიგნი «რ ა ნ ი ა რ ი ა ნ «ხ ა ლ ხ ი ს მ ე გ ობ რ ე ბ ი» დ ა რ ო გ ო რ ო მ ო ბ ე ნ ი ს ი ნ ი ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ე ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ?» დაწერილია მის მიერ 1894 წელს (პირველი ნაკვეთი დამთავრებულ იქნა აპრილში, მეორე და მესამე — ზაფხულში). წიგნზე მუშაობა ლენინმა ჯერ კიდევ სამარაში დაიწყო 1892 — 1893 წლებში. მარქსისტების სამარის წრეში იგი კითხულობდა რეფერატებს, რომლებშიც სასტიკად აკრიტიკებდა მარქსიზმის მოწინააღმდეგეებს — ლიბერალურ ნაროდნიკებს: ვ. ვ-ს (ვორონცოვს),

მიხაილოვსკის, იუჟაკოვს, კრივენკოს. ეს რეფერატები მოსამზადებელ მასალად იქცა წიგნისათვის «რანი არიან ხალხის მეგობრები».

ლენინის წიგნი გამოდიოდა ცალკე ნაკვეთებად. პირველი ნაკვეთი დაიბეჭდა 1894 წლის გაზაფხულზე პეტერბურგში ჰექტოგრაფზე და არალეგალურად გავრცელდა პეტერბურგსა და სხვა ქალაქებში. 1894 წლის ივლისში გამოვიდა პირველი ნაკვეთის მეორე გამოცემა, რომელიც იმავე წესით დაიბეჭდა. პირველი და მეორე ნაკვეთების დაახლოებით 100 ეგზემპლარი დაბეჭდა ა. ა. განშინმა აგვისტოში გორკაში (ვლადიმირის გუბ.). დასასრულ, იმავე წლის სექტემბერში ა. ა. ვანეევმა პეტერბურგში ჰექტოგრაფზე დაბეჭდა კიდევ პირველი ნაკვეთის 50 ეგზემპლარი (ეს იყო მეოთხე გამოცემა) და მესამე ნაკვეთის დაახლოებით ამდენივე ეგზემპლარი. წიგნის ამ გამოცემას გარეკანზე ჰქონდა შენიშვნა: «გამოკვემა სოციალ-დემოკრატების პროვინციული ჯგუფისა». შენიშვნა გაკეთებულა იყო კონსპირაციის მიზნით. ადგილობრივი ორგანიზაციები ლენინის ნაშრომს ამრავლებდნენ სულ სხვადასხვაგვარი წესებით: ცალკეულ ნაკვეთებს გადასწერდნენ ხოლმე ხელით. ბეჭდავდნენ საბეჭდ მანქანაზე და სხვ. ჩერნიგოვის გუბ. ბორზენსკის მაზრაში სოციალ-დემოკრატების ჯგუფმა «რანი არიან ხალხის მეგობრები» დაბეჭდა ჰექტოგრაფზე.

წიგნი გავრცელებულ იქნა პეტერბურგში, მოსკოვში, ვილნოში, კიევში, ჩერნიგოვში, პოლტავაში, ვლადიმირში, პენზაში, დონის-როსტოვში, თბილისში, ტომსკსა და სხვა ქალაქებში.

ამხანაგი სტალინი და მისი წრეების წევრები თბილისის სასულიერო სემინარიაში ლენინის ნაშრომს «რანი არიან ხალხის მეგობრები» გაეცნენ 1897 — 1898 წლებში.

ლენინის წიგნს კარგად იცნობდა «შრომის განთავისუფლების» ჯგუფი და აგრეთვე სხვა რუსული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები საზღვარგარეთ.

წიგნის პირველი და მესამე ნაკვეთების ჰექტოგრაფიული გამოცემა ნახულ იქნა 1923 წლის დამდეგს ბერლინის სოციალ-დემოკრატიულ არქივში და თითქმის იმავდროულად ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკაში.

ვ. ი. ლენინის თხზულებათა პირველ, მეორე და მესამე გამოცემებში ეს ნაშრომი **იბეჭდებოდა** 1923 წელს ნახული ჰექტოგრაფიული გამოცემების მიხედვით.

ამ გამოცემაში «რანი არიან ხალხის მეგობრები» იბეჭდება 1936 წელს მარქს—ენგელს—ლენინის ინსტიტუტში შემოსული ჰექტოგრაფიული გამოცემის ახალი ეგზემპლარის მიხედვით. ეს ეგზემპლარი შეიცავს მრავალ სარედაქციო შესწორებას, რომლებიც,

როგორც სჩანს, გაკეთებულია ლენინის მიერ წიგნის საზღვარგარეთ ნაბეჭდი სახით გამოსაცემად მომზადების დროს. ყველა ეს შესწორება შეტანილია ამ გამოცემაში. წიგნის «რანი არიან ხალხის მეგობრები» პირველი ნაკვეთის ჰექტოგრაფიულ გამოცემებში კურსივი, დაყოფა ან ხაზგასმები გამოყენებული არ ყოფილა. სათანადო ტექსტის გამოყოფა ხდებოდა ბრჭყალების შემწეობით. ამ გამოცემაში, ავტორიზებული ეგზემპლარის მიხედვით, ბრჭყალები შესაფერ ადგილებში შეცვლილია დაყოფით, ხოლო ძირითად ტექსტში ფრჩხილებში მოცემული მთელი რიგი ჩამატებები გადატანილია სქოლიოებში. იბეჭდება აგრეთვე ლენინის განმარტება ცხრილისადმი (I წიგნის დამატება), რომელიც ვ. ი. ლენინის თხზულებათა წინა გამოცემებში გამოტოვებული იყო. ამრიგად, ამ გამოცემაში მოცემულია ლენინის ამ უმნიშვნელოვანესი ნაშრომის ზუსტი ტექსტი.

წიგნის მეორე ნაკვეთი, რომელშიც ვ. ი. ლენინმა გააკრიტიკა ლიბერალური ნაროდნიკის ს. ნ. იუჟაკოვის პოლიტიკურ-ეკონომიური შეხედულებები, ჯერჯერობით ნახული არ არის. — **137**.

16 «რ უ ს ს კ ო ე ბ ო გ ა ტ ს ტ ვ ო» — ყოველთვიური ჟურნალი, რომელიც გამოდიოდა 1876 წლიდან 1918 წლის შუახანებამდე. 90-იანი წლების დამდეგიდან ჟურნალი ლიბერალური ნაროდნიკების ორგანო გახდა და მას რედაქტორობდნენ კრივენკო და მიხაილოვსკი. ჟურნალი ჰქადაგებდა მეფის მთავრობასთან შერიგებას და მის წინააღმდეგ ყოველგვარ რევოლუციურ ბრძოლაზე ხელის აღებას, გააფთრებულ ბრძოლას ეწეოდა მარქსიზმის წინააღმდეგ და სდევნიდა რუს მარქსისტებს. — **141**.

17 იგულისხმება ნ. კ. მიხაილოვსკის სტატია «კ. მარქსი ბ-ნ ი. ჟუკოვსკის სამსჯავროს წინაშე», რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ «ოტეჩესტვენნიე ზაპისკის» № 10-ში, 1877 წლის ოქტომბერში. — **144**.

18 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. I, 1935. წინასიტყვაობა პირველი გერმანული გამოცემისათვის, გვ. XV, ან კ. მარქსი. რჩეული ნაწერები, ტ. I, 1940, გვ. 305 — 306. — **145**,

19 ლენინს ციტატა მოჰყავს ნაშრომის — «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის»—წინასიტყვაობიდან. იხ. კ. მარქსი. რჩეული ნაწერები, ტ. I, 1940, გვ. 327 — 328, სადაც მოყვანილი ნაწყვეტი მოცემულია ლენინის 1914 წლის ახალი თარგმანის მიხედვით სტატიიდან «კარლ მარქსი». — **149**.

20 «Contrat social» («საზოგადოებრივი ხელშეკრულება») — ჟან-ჟაკ რუსოს ერთ-ერთი ძირითადი ნაშრომი (გამოქვეყნდა 1762 წელს); ამ ნაშრომში გატარებულია ის იდეა, რომ ყოველი საზოგადოებრივი წყობილება უნდა წარმოადგენდეს ადამიანთა შორის თავისუფალი შეთანხმების, ხელშეკრულების შედეგს. «საზოგადოებრივი ხელშეკრულების» თეორია, XVIII საუკუნის საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის წინა ხანებში წამოყენებული, ძირითადად იდეალისტური იყო, მაგრამ მან მაინც რევოლუციური როლი შეასრულა. იგი წარმოადგენდა ბურჟუაზიული თანასწორობის მოთხოვნის გამოხატულებას, მოწოდებას ფეოდალური წოდებრივი პრივილეგიების მოსპობისა და ბურჟუაზიული რესპუბლიკის დამყარებისაკენ. — **149.**

21 იხ. კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. I, 1935, გვ. 281, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVII, 1937, გვ. 410. — **158.**

22 კ. მ ა რ ქ ს ი ს წ ე რ ი ლ ი «ო ტ ე ჩ ე ს ტ ვ ე ნ ნ ი ე ზ ა პ ი ს კ ი ს» რ ე დ ა ქ ც ი ი ს ა დ მ ი დაწერილია 1877 წლის დამლევს ნ. კ. მიხაილოვსკის სტატიასთან დაკავშირებით «კ. მარქსი ბ-ნ ი. ჟუკოვსკის სამსჯავროს წინაშე». ეს წერილი გადასწერა და რუსეთში გაგზავნა ენგელსმა მარქსის გარდაცვალების შემდეგ. ენგელსის თქმით, ეს წერილი «დიდხანს ვრცელდებოდა რუსეთში ფრანგული ორიგინალიდან გადაღებული ხელნაწერი ასლების სახით, შემდეგ კი გამოქვეყნდა მისი რუსული თარგმანი «ვესტნიკ ნაროდნოი ვოლი»-ში (№ 5. რ ე დ.), 1886 წ., ჟენევაში, ხოლო შემდეგ თვით რუსეთშიც. ამ წერილმა, ისე როგორც ყოველივემ, რაც მარქსის კალამს ეკუთვნოდა, დიდი ყურადღება მიიქცია რუსულ წრეებში» (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVI, ნ. II, 1936, გვ. 396). რუსეთში მარქსის წერილი პირველად დაიბეჭდა ჟურნალ «იურიდიჩესკი ვესტნიკის» № 10-ში 1888 წელს. იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XV, 1933, გვ. 375 — 378. — **159.**

23 იხ. ფ. ენგელსი. «ანტი-დიურინგი» (განყოფილება მეორე. პოლიტიკური ეკონომია. საგანი და მეთოდი), 1938, გვ. 123, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XIV, 1931, გვ. 152. — **159.**

24 აქ მოხსენიებული თხზულებაა «გერმანული იდეოლოგია». იგი დაწერილია მარქსისა და ენგელსის მიერ 1845 — 1846 წლებში და ათეული წლობით უმოძრაოდ იდო გერმანიის სოციალ-დემოკრატიის არქივებში. ეს ნაწარმოები სრულად პირველად გამოქვეყნდა გერმანულ ენაზე 1932 წელს მარქს—ენგელს—ლენინის ინსტიტუტის გამოცემით.

1894 წლის 4 თებერვალს დაბეჭდილ ფელიტონში ბურენინი ქება-დიდებას ასხამდა ნ. კ. მიხაილოვსკის მარქსისტების წინააღმდეგ მისი ბრძოლის გამო. — **175.**

31 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVI, ნ. I, 1937, გვ. 7. — **178.**

32 იხ. კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. I, 1935, გვ. XVII, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVII, 1937, გვ. 11. — **178.**

33 ლენინს ციტატა მოჰყავს კ. მარქსის მიერ რუგესადმი გაგზავნილი იმ წერილიდან (1843 წლის სექტემბერი), რომელიც პირველად გამოქვეყნდა «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის ლიტერატურულ-პოლიტიკურ მიმოხილვაში — «სოციალ-დემოკრატი», წიგნი მეოთხე, ჟენევა, 1892 წ. (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. I, 1938, გვ. 351 — 352). — **180.**

34 მარქსისტული დიალექტიკური მეთოდის სისტემატური გადმოცემა და შემდგომი განვითარება მოცემულია ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ნაშრომებში. იხ. განსაკუთრებით ვ. ი. ლენინის ნაშრომი «მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი» და ი. ბ. სტალინის ნაშრომი «დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ» («ლენინიზმის საკითხები», გამ. მე-11, ან «საკ. კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი», თავი IV). — **184.**

35 «ვ ე ს ტ ნ ი კ ე ვ რ ო პ ი» — ყოველთვიური ჟურნალი, გამოდიოდა პეტერბურგში 1866 წლიდან 1918 წლის ზაფხულამდე. ჟურნალი ატარებდა რუსული ლიბერალური ბურჟუაზიის შეხედულებებს; 90-იანი წლების დასაწყისიდან სისტემატურ ბრძოლას ეწეოდა მარქსიზმის წინააღმდეგ. — **184.**

36 შენიშვნის ავტორია (ი. კ — ნი) — პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ი. ი. კაუფმანი. შენიშვნა მარქსმა შეაფასა როგორც დიალექტიკური მეთოდის ერთ-ერთი საუკეთესო გადმოცემა. იხ. «კაპიტალის» I ტომის მე-2 გამოც. «ბოლოსიტყვაობა». — **184.**

37 ლენინს ქვემოთ ტექსტში (ამ ტომის 188 — 194 გვ.) მოჰყავს მის მიერ ნათარგმნი ნაწყვეტები ფ. ენგელსის ნაშრომიდან «ანტი-დიურინგი» (განყოფილება პირველი. ფილოსოფია; თავი მეცამეტე: დიალექტიკა. უარყოფის უარყოფა). იხ. მარქს—ენგელს—ლენინის ინსტიტუტის გამოცემა, 1938, გვ. 107 — 111. — **188.**

38 «ო ტ ე ჩ ე ს ტ ვ ე ნ ნ ი ე ზ ა პ ი ს კ ი» — ჟურნალი, რომელშიც 1839 წლიდან მონაწილეობას იღებდა ბ. ბელინსკი. 1868 წლიდან ჟურნალს ხელმძღვანელობდნენ მწერლები ნეკრასოვი, სალტიკოვ-შჩედრინი, ელისეევი და სხვ.; ამ პერიოდში ჟურნალს თავის გარშემო შემოკრებილი ჰყავდა რევოლუციურ-დემოკრატიული ინტელიგენცია. ჟურნალს განუწყვეტლივ სდევნიდა ცენზურა; 1884 წელს დახურა მეფის მთავრობამ. — **196.**

39 გ ა რ ე შ ე — ნ. კ. მიხაილოვსკის ფსევდონიმი. — **196.**

40 იგულისხმება მარქსისა და ენგელსის მიერ «კომუნისტური პარტიის მანიფესტში» ფორმულირებული შემდეგი დებულებები:

«კომუნისტების თეორიული დებულებანი სრულიადაც არ ემყარებიან ისეთ იდეებს, პრინციპებს, რომლებიც გამოუგონია თუ აღმოუჩენია მსოფლიოს ამა თუ იმ რეფორმატორს.

ისინი მხოლოდ არსებული კლასობრივი ბრძოლის ფაქტიური ვითარების, ჩვენს თვალწინ წარმოებული ისტორიული მოძრაობის საყოველთაო გამოხატულებას წარმოადგენენ» (კ. მარქსი. რჩეული ნაწერები, ტ. I, 1940, გვ. 150). — **200.**

41 იხ. ფ. ენგელსი. «ანტი-დიურინგი» (განყოფილება პირველი. ფილოსოფია, თავი მეცხრე: მორალი და სამართალი. მარადიული ჭეშმარიტებანი), 1938, გვ. 77. — **202.**

42 იგულისხმება ნ. კ. მიხაილოვსკის სტატიები: «კ. მარქსის წიგნის რუსული გამოცემის გამო» («ოტეჩესტვენნიე ზაპისკი» № 4, 1872 წლის აპრილი) და «კ. მარქსი ბ-ნ ი. ჟუკოვსკის სამსჯავროს წინაშე» («ოტეჩესტვენნიე ზაპისკი» № 10, 1877 წ. ოქტომბერი). — **205.**

43 ლენინს ციტატა მოჰყავს კ. მარქსის წერილიდან რუგესადმი (1843 წ. სექტემბერი). იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. I, 1938, გვ. 352. — **209.**

44 ლენინს მხედველობაში ჰყავს ს. ნ. იუჟაკოვი — ნაროდნიკობის ერთ-ერთი იდეოლოგი და ჟურნალ «რუსსკოე ბოგატსტვოს» ხელმძღვანელთაგანი; ამ ნაროდნიკის პოლიტიკურ-ეკონომიური შეხედულებანი (რუსეთის ეკონომიური სინამდვილის შეფასების შესახებ, რუსეთის კაპიტალიზმის ბედის, გლეხობის დაშლის შესახებ და სხვ.) ლენინმა გააკრიტიკა წიგნის «რანი არიან ხალხის მეგობრები» მეორე ნაკვეთში. ჯერჯერობით ნახული არ არის მეორე ნაკვეთის არც ხელნაწერი და არც ჰექტოგრაფიული გამოცემა (1894 წ.). — **210.**

45 იგულისხმება «შ რ ო მ ი ს გ ა ნ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს» ჯგუფი — პირველი რუსული მარქსისტული ჯგუფი, მოწყობილი გ. ვ. პლეხანოვის მიერ ჟენევაში 1883 წელს, რომელმაც დიდი მუშაობა ჩაატარა რუსეთში მარქსიზმის გავრცელების საქმეში. ამ ჯგუფის საქმიანობისა და მისი ისტორიული როლის შეფასება იხ. «საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის» პირველ თავში, გვ. 11 — 20, 31 — 32. — **220.**

46 «გ ა მ ო მ ც ე მ ლ ე ბ ი ს ა გ ა ნ» — ბოლოსიტყვაობა ლენინის ნაშრომის «რანი არიან «ხალხის მეგობრები» და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?» პირველი ნაკვეთის პირველი გამოცემისთვის. ბოლოსიტყვაობაში მოხსენიებული «მე-2 და მე-3 გამოცემანი, რომლებიც მზადდება», ნიშნავს ამ ნაშრომის მეორე და მესამე ნაკვეთებს. — **229.**

47 «წ ი ნ ა მ დ ე ბ ა რ ე გ ა მ ო ც ე მ ი ს ა თ ვ ი ს» — ბოლოსიტყვაობა ნაშრომის «რანი არიან «ხალხის მეგობრები» და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?» პირველი ნაკვეთის მეორე გამოცემისათვის, დაწერილი 1894 წლის ივლისში. — **230.**

48 «ი უ რ ი დ ი ჩ ე ს კ ი ვ ე ს ტ ნ ი კ» — ბურჟუაზიულ-ლიბერალური მიმართულების ყოველთვიური ჟურნალი, გამოდიოდა მოსკოვში 1867 წლიდან 1892 წლამდე. — **237.**

49 **იხ.** ნ. ფ. ანენსკი. «მოხსენება პავლოვის რაიონის შინამრეწველთა მდგომარეობის შესახებ» («ნიჟეგოროდსკი ვესტნიკ პაროხოდსტვა ი პრომიშლენნოსტი» №№ 1, 2 და 3, 1891 წ.). — **238.**

50 იგულისხმება ე. მ. დემენტიევის ნაშრომი «ფაბრიკა, რას აძლევს იგი მოსახლეობას და რა მიაქვს მას მისგან» (მოსკოვი, 1893). — **241.**

51 ლენინის მიერ მოხსენიებული «რამდენიმე მაზრის ცნობები» გლეხობის დაშლის შესახებ შევიდა წიგნის «რანი არიან ხალხის მეგობრები» მეორე ნაკვეთში (რომელიც ჯერჯერობით არ არის ნაპოვნი).

გლეხობის დაშლის საკითხი დაწვრილებით აქვს დამუშავებული ლენინს ნაშრომში «კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში» (თხზულებანი, ტ. 3); იხ. განსაკუთრებით მეორე თავი: «გლეხობის დაშლა» — **258.**

52 ს ა მ ე ო თ ხ ე დ ო გ ლ ე ხ ე ბ ს მეფის რუსეთში უწოდებდნენ ყოფილი სახელმწიფო გლეხების, XV—XVII საუკუნეებში მოსკოვის სახელმწიფოს განაპირა მხარეებში დასახლებული წვრილი მსახურეული ხალხის ჩამომავალთა თანრიგს. საზღვრების დაცვის სამსახურისთვის ახალ მოსახლეთ (კაზაკებს, სტრელცებს, ჯარისკაცებს)

დროებით ან სამემკვიდრეო სასარგებლოდ ეძლეოდათ მიწის მცირე ნაკვეთები, რომლებიც მ ე ო თ ხ ე დ ო ბ ი თ (დესეტინის ნახევარი) იზომებოდნენ. 1719 წლიდან სახაზინო ახალ მოსახლეთ დაერქვათ ე რ თ კ ო მ ლ ე ლ ნ ი. ერთკომლელნი წინათ სხვადასხვა პრივილეგიებით სარგებლობდნენ, უფლება ჰქონდათ გლეხები ჰყოლოდათ. XIX საუკუნის მანძილზე ერთკომლელნი უფლებრივად თანდათან გაუთანაბრეს გლეხებს. 1866 წლის დებულებით ერთკომლელთა მიწა (ს ა მ ე ო თ ხ ე დ ო თ ა მ ი წ ა) აღიარებულ იქნა მათ კერძო საკუთრებად და მემკვიდრეობით გადადიოდა ყოფილ ერთკომლელთა (სამეოთხედო გლეხთა) ოჯახის წევრებზე. — **261**.

53 აქ და ამ ტომის სხვა ადგილებში ლენინი იძლევა მის მიერ ნათარგმნ ციტატებს ი. ა. გურვიჩის წიგნიდან «რუსული სოფლის ეკონომიური მდგომარეობა», რომელიც ინგლისურ ენაზე გამოვიდა ნიუ-იორკში 1892 წელს; რუსულ ენაზე ეს წიგნი გამოიცა 1896 წელს. წიგნი შეიცავს ძვირფას ფაქტიურ მასალას; მან ლენინის მაღალი შეფასება მიიღო. — **262**.

54 ლენინს მოჰყავს ციტატა კ. მარქსის ნაშრომიდან «ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის». იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. I, 1938, გვ. 386. — **274**.

55 «მოსკოვის გუბერნიის სტატისტიკურ ცნობათა კრებული», ტ. V, ნაკვ. 1, 1879 წ. და ტ. II, 1878 წ. — **288**.

56 იგულისხმება: ვ. ნ. გრიგორიევის წიგნი «პავლოვის რაიონის შინამრეწველური ბოქლომ-დანის წარმოება» (1881 წ.) და ნ. ფ. ანენსკის ნაშრომი, მოხსენიებული 49-ე შენიშვნაში. — **290**.

57 გ ლ ა დ ს ტ ო ნ ი ს ლ ა ნ დ ბ ი ლ ე ბ ი — საადგილმამულო კანონები, რომლებიც ინგლისის ლიბერალურმა სამინისტრომ, გლადსტონის მეთაურობით, გაატარა XIX საუკუნის 70-იან და 80-იან წლებში. იმ მიზნით, რომ შეერბილებინა ბრძოლა მოიჯარეთა და მიწათმფლობელ-ლენდლორდთა შორის და მოიჯარეთა ხმები გადმოებირებინა, გლადსტონის მთავრობამ გაატარა იმ ლენდლორდების თვითნებობის ზოგიერთი უმნიშვნელო ხასიათის შეზღუდვა, რომლებიც მასობრივად ასახლებდნენ მოიჯარეებს. მთავრობა შეეპირდა აგრეთვე, რომ მოაწესრიგებდა მოიჯარეების მხრივ გადასახდელ ნარჩენთა საკითხს, შეჰქმნიდა განსაკუთრებულ საადგილმამულო სასამართლოებს «სამართლიანი» საიჯარო ქირის დასაწესებლად (15 წლის ვადით) და სხვ. გლადსტონის ლანდბილები ლიბერალური ბურჟუაზიის სოციალური დემაგოგიის ნიმუშია. — **302**.

58 ბ ი ს მ ა რ კ ი ს ე უ ლ ი მ უ შ ა თ ა დ ა ზ ღ ვ ე ვ ა — მუშათა სოციალური დაზღვევა დასახიჩრების, ავადმყოფობის, ინვალიდობისა და მოხუცებულობის შემთხვევისათვის, შემოღებული გერმანიაში ბისმარკის მთავრობის მიერ XIX საუკუნის 80-იან წლებში. ბისმარკისეული დაზღვევა ვრცელდებოდა მხოლოდ მუშების ერთ ნაწილზე, ამასთან საავადმყოფო სალაროების სახსრები $^2/_3$-ით შესდგებოდა თვით მუშების მხრივ შენატანთაგან და მხოლოდ $^1/_3$ შეჰქონდათ მეწარმეებს. ვერ შესძლო რა მუშათა მოძრაობის ჩახშობა სოციალისტების საწინააღმდეგო მძვინვარე კანონებით, ბისმარკი ცდილობდა მუშათა მოძრაობა ვაეხრწნა მუშებისათვის მცირე წყალობათა ბოძებით. როგორც ვიცით, ეს პოლიტიკაც მარცხით დამთავრდა. — **302.**

59 იხ. სალტიკოვ-შჩედრინი — ზღაპარი «ლიბერალი» (რჩეული ნაწერები, 1937, გვ. 195 — 198). — **304.**

60 «ნ ე დ ე ლ ი ა» — ყოველკვირეული ლიბერალურ-ნაროდნიკული გაზეთი, რომელიც გამოდიოდა პეტერბურგში 1866-დან 1901 წლამდე. გაზეთი წინააღმდეგი იყო თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლისა, ჰქადაგებდა ეგრეთწოდებულ «მცირე ს»ქმეთა» თეორიას, ე. ი. ინტელიგენციას მოუწოდებდა უარი ეთქვა რევოლუციურ ბრძოლაზე და ხელი მოეკიდა «კულტურულობისთვის». — **307.**

61 იგულისხმება ა. ი. გერცენი. იხ. კ. მარქსის წერილი «ოტეჩესტვენნიე ზაპისკის» რედაქციისადმი (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XV, 1933, გვ. 375 — 376). — **311.**

62 «S o z i a l p o l i t i s c h e s C e n t r a l b l a t t» («ცენტრალური სოციალურ-პოლიტიკური მოამბე») — გერმანიის სოციალ-დემოკრატიის მემარჯვენე ფრთის ჟურნალი. გამოდიოდა 1891 წლიდან. — **318.**

63 პ ობ ე დ ო ნ ო ს ც ე ვ ი კ. პ. — სინოდის ობერ-პროკურორი, უკიდურესი რეაქციონერი, ალექსანდრე III ბატონყმური პოლიტიკის სულისჩამდგმელი. — **320.**

64 რ ე პ ტ ი ლ ი ე ბ ი (ქვემძრომნი) ეწოდებოდათ ბეჭდვითი სიტყვის სინდისგარეცხილ ორგანოებს — მეფის მთავრობის მიერ მოსყიდულ და მის წინაშე ქვემძრომ ჟურნალებსა და გაზეთებს. — **322.**

65 ე რ მ ო ლ ო ვ ი ა. ს. — მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრი 1893 — 1905 წლებში; ატარებდა ბატონყმობის ნაშთების დაცვის პოლიტიკას, გამოდიოდა როგორც მებატონე-მემამულეთა ინტერესების გამომხატველი.

ვ ი ტ ე ს. ი. — მეფის რუსეთის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი მინისტრი; დიდხანს (1892 — 1903 წლები) იყო ფინანსთა მინისტრად. თავისი ღონისძიებებით ფინანსების დარგში, საბაჟო პოლიტიკაში, სარკინიგზო მშენებლობაში და სხვ., რომელთაც მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესების სასარგებლოდ ატარებდა, ხელს უწყობდა კაპიტალიზმის განვითარებას რუსეთში. — **323.**

66 იგულისხმება სოციალისტ-ნაროდნიკების ჯგუფი რუსული რევოლუციური ემიგრაციიდან ნ. ი. უტინის მეთაურობით. ეს ჯგუფი ჟენევაში სცემდა თავის ჟურნალს «ნაროდნოე დელოს». 1870 წლის დამდეგს მან შეჰქმნა მუშათა საერთაშორისო ამხანაგობის (I ინტერნაციონალის) რუსული სექცია. 1870 წლის 22 მარტს ინტერნაციონალის გენერალურმა საბჭომ რუსული სექცია მიიღო ინტერნაციონალის შემადგენლობაში. სექციის თხოვნით მისი წარმომადგენლობა გენერალურ საბჭოსთან იკისრა კ. მარქსმა. «მე სიამოვნებით ვკისრულობ საპატიო მოვალეობას, რომელსაც თქვენ მაკისრებთ, თქვენს წარმომადგენლად ვიყო მთავარ საბჭოსთან», — სწერდა მარქსი 24 მარტს რუსული სექციის წევრებს. I ინტერნაციონალის რუსული სექციის წევრები მხარს უჭერდნენ მარქსს ანარქისტ-ბაკუნისტების წინააღმდეგ ბრძოლაში, ეწეოდნენ ინტერნაციონალის იდეების რევოლუციურ პროპაგანდას, ცდილობდნენ განემტკიცებინათ კავშირი რუსეთის რევოლუციურ მოძრაობასა და დასავლეთ-ევროპის რევოლუციურ მოძრაობას შორის. — **327.**

67 ე ნ გ ე ლ გ ა რ დ ტ ი ა. ნ. — ნაროდნიკული პუბლიცისტი, რომელმაც ფართოდ გაითქვა სახელი საზოგადოებრივ-აგრონომიული მოღვაწეობითა და თავის საკუთარ მამულში, ბატიშჩევოში, სმოლენსკის გუბერნიაში, რაციონალური მეურნეობის მოწყობის ცდით (იხ. მისი წერილები «სოფლიდან», 1882 წ.; გამოცემა სოც.-ეკონომ. სახელმწიფო გამომც., 1937 წ.). ამ მეურნეობის დახასიათება მოცემულია ლენინის მიერ წიგნში «კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში», თავი მესამე, § VI (თხზულებანი, ტ. 3). — **329.**

68 «ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი» — ლიტერატურულ-პოლიტიკური მიმოხილვა, რომელსაც სცემდა «შრომის განთავისუფლების» ჯგუფი საზღვარგარეთ 1890 — 1892 წლებში; სულ გამოვიდა ოთხი წიგნი. ლენინს ციტატა მოჰყავს პლეხანოვის სტატიიდან «ნ. გ. ჩერნიშევსკი», რომელიც დაიბეჭდა «სოციალ-დემოკრატის» პირველ წიგნში 1890 წელს, გვ. 138 — 139. — **330.**

69 იგულისხმება «ნ ა რ ო დ ნ ო ე პ რ ა ვ ო ს» პარტია — დემოკრატიული ინტელიგენციის არალეგალური ორგანიზაცია, დაარსებული ყოფილ ნაროდოვოლცების მონაწილეობით 1893 წელს; 1894 წლის გაზაფხულზე ის განადგურებულ იქნა მეფის მთავრობის მიერ. ამ ორგანიზაციამ გამოუშვა ორი საპროგრამო დოკუმენტი: «საარსებო საკითხი» და «მანიფესტი». ნაროდოპრავცების, როგორც პოლიტიკური პარტიის, შეფასება ლენინის მიერ იხ. ამ ტომის 391 — 395 გვ. და ბროშურაში «რუსი სოციალ-დემოკრატების ამოცანები» (თხზულებანი, ტ. 2). ნაროდოპრავცების უმრავლესობა შემდგომ ესერების პარტიაში შევიდა. — **344.**

70 ლენინს ციტატა მოჰყავს კ. მარქსის «კაპიტალის» I ტომის 1872 წლის რუსული გამოცემიდან. იხ. კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. I, 1935, გვ. 612 — 613, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVII, 1937, გვ. 834. — **367.**

71 იგულისხმება ნიკ. —ონის (ნ. ფ. დანიელსონის) ნაშრომი «ჩვენი რეფორმისშემდგომი დროის საზოგადოებრივი მეურნეობის ნარკვევები», სპბ, 1893. — **370.**

72 ლენინს მოჰყავს მის მიერ თარგმნილი ციტატები ენგელსის ნაშრომიდან «საბინაო საკითხისათვის» (წინასიტყვაობა მეორე გამოცემისათვის). იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVI, ნ. I, 1937, გვ. 278, 281 — 282. — **376.**

73 ლენინს ციტატა მოჰყავს კ. მარქსის «კაპიტალის» I ტომის 1872 წლის რუსული გამოცემიდან. იხ. კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. I, 1935, გვ. 343 — 344, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVII, 1937, გვ. 490. — **377.**

74 ლენინს მხედველობაში აქვს ის დებულებანი, რომელთაც მარქსი გამოსთქვამს «ფილოსოფიის სიღატაკის» მეორე თავში. იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. V, 1929, გვ. 377. — **378.**

75 ლენინს ციტატა მოჰყავს კ. მარქსის ნაშრომიდან «გოთას პროგრამის კრიტიკა». იხ. კ. მარქსი. რჩეული ნაწერები, ტ. II, 1940, გვ. 459. — **379.**

76 იხ. «ბოლოსიტყვაობა» «კაპიტალის» პირველი ტომის მეორე გამოცემისათვის, — კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. I, 1935, გვ. XXIII, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVII, 1937, გვ. 20. — **389.**

77 ლენინს ციტატა მოჰყავს კ. მარქსის წერილიდან რუგესადმი (1843 წლის სექტემბერი). იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. I, 1938, გვ. 352. — **389.**

78 სტატია «ნ ა რ ო დ ნ ი კ ო ბ ი ს ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი შ ი ნ ა ა რ ს ი დ ა მ ი ს ი კ რ ი ტ ი კ ა ბ-ნ ს ტ რ უ ვ ე ს წ ი გ ნ შ ი» ლენინის მიერ დაწერილია პეტერბურგში 1894 წლის დამლევს — 1895 წლის დამდეგს. იგი მიმართულია «ლეგალური მარქსიზმის» წინააღმდეგ.

ლენინის ბრძოლას «ლეგალური მარქსიზმის» წინააღმდეგ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

«როგორც ყოველთვის ხდება ისტორიაში, — ნათქვამია საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში, — დიდ საზოგადოებრივ მოძრაობას ჩვეულებრივ ეტმასნებიან დროებითი «თანამგზავრები». ასეთი «თანამგზავრები» იყვნენ ეგრეთწოდებული «ლ ე გ ა ლ უ რ ი მ ა რ ქ ს ი ს ტ ე ბ ი ც». მარქსიზმმა იწყო ფართოდ გავრცელება რუსეთში. და აი, ბურჟუაზიულმა ინტელიგენტებმა იწყეს მარქსისტულ სამოსელში გაბვევა. ისინი ბეჭდავდნენ თავის სტატიებს ლეგალურ, ესე-იგი მეფის მთავრობის მიერ ნებადართულ გაზეთებსა და ჟურნალებში. სწორედ ამიტომ უწოდეს მათ «ლეგალური მარქსისტები».

ისინი თავისებურად ეწეოდნენ ბრძოლას ნაროდნიკობასთან. მაგრამ ისინი ცდილობდნენ ეს ბრძოლა და მარქსიზმის დროშა გამოეყენებინათ იმისთვის, რომ მუშათა მოძრაობა დაემორჩილებინათ და შეეგუებინათ ბურჟუაზიული საზოგადოების ინტერესებისადმი, ბურჟუაზიის ინტერესებისადმი. მარქსის მოძღვრებიდან ისინი უკუაგდებდნენ ყველაზე მთავარს — მოძღვრებას პროლეტარულ რევოლუციაზე, პროლეტარიატის დიქტატურაზე. ყველაზე გამოჩენილი ლეგალური მარქსისტი პეტრე სტრუვე ხოტბას ასხამდა ბურჟუაზიას და კაპიტალიზმის წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლის ნაცვლად, მოუწოდებდა — «ვაღიაროთ ჩვენი უკულტურობა და სასწავლად კაპიტალიზმთან წავიდეთო».

ნაროდნიკების წინააღმდეგ ბრძოლაში ლენინს დასაშვებად მიაჩნდა დროებითი შეთანხმება «ლეგალურ მარქსისტებთან», რათა გამოეყენებინა ისინი ნაროდნიკების წინააღმდეგ, მაგალითად, ნაბეჭდი კრებულის ერთად გამოშვება ნაროდნიკების წინააღმდეგ. მაგრამ ამავე დროს ლენინი მთელი სიმკაცრით აკრიტიკებდა «ლეგალურ მარქსისტებს», ამხილებდა მათს ლიბერალურ-ბურჟუაზიულ ბუნებას.

ბევრნი ამ «თანამგზავრთაგანი» შემდგომში გახდნენ კადეტები (რუსეთის ბურჟუაზიის მთავარი პარტია), სამოქალაქო ომის დროს კი — პირწავარდნილი თეთრგვარდიელები» («საკ. კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი», გვ. 26 — 27).

ლენინმა მაშინვე გამოიცნო «ლეგალურ მარქსისტთა» ლიბერალურ-ბურჟუაზიული ბუნება და უკვე 1894 წლის შემოდგომაზე მარქსისტთა პეტერბურგის წრეში გამოვიდა რეფერატით თემაზე

«მარქსიზმის ანარეკლი ბურჟუაზიულ ლიტერატურაში», რომელშიც მკაცრად აკრიტიკებდა სტრუვეს და სხვა «ლეგალური მარქსისტების» შეხედულებებს.

სწორედ ეს რეფერატი დაედო საფუძვლად სტატიას «ნაროდნიკობის ეკონომიური შინაარსი და მისი კრიტიკა ბ-ნ სტრუვეს წიგნში», რომელიც დაიბეჭდა (კ. ტ უ ლ ი ნ ი ს ფსევდონიმით) კრებულში «მასალები ჩვენი სამეურნეო განვითარების დახასიათებისათვის».

კრებული დაიბეჭდა 2000 ეგზემპლარის რაოდენობით ლეგალურ სტამბაში 1895 წლის აპრილში. მეფის მთავრობამ მისი გავრცელება აკრძალა და მთელი წლის განმავლობაში ყადაღადადებულ კრებულს კონფისკაცია გაუკეთა და დასწვა იგი. მოხერხდა მხოლოდ 100 ეგზემპლარის გადარჩენა, რომლებიც საიდუმლოდ ვრცელდებოდა სოციალ-დემოკრატებს შორის პეტერბურგსა და სხვა ქალაქებში, მათ შორის თბილისშიც.

როდესაც ამხანაგი სტალინი 1898 წელს, ჯერ კიდევ თბილისის სასულიერო სემინარიაში ყოფნის დროს, გამოვიდა «ლეგალური მარქსიზმის» პოზიციებზე მდგომი და ბურჟუაზიული ნაციონალიზმისაკენ გადახრილი «მესამე დასის» უმრავლესობის მეთაურთა კრიტიკით, — იგი უკვე იცნობდა ლენინის ნაშრომებს, კერძოდ მის სტატიას «ნაროდნიკობის ეკონომიური შინაარსი». ამ ნაშრომმა ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ამხანაგ სტალინზე. «რადაც არ უნდა დაჯდეს უნდა ვნახო იგი», — სთქვა ამხანაგმა სტალინმა, როდესაც კ. ტულინის (ლენინის) ნაშრომი წაიკითხა, — იგონებს ერთ-ერთი ამხანაგი, რომელიც ახლოს იცნობდა ამხანაგ სტალინს იმ დროს.

1907 წლის დამლეგს ლენინმა ეს სტატია მოათავსა კრებულში «12 წლის მანძილზე» ქვესათაურით «მარქსიზმის ანარეკლი ბურჟუაზიულ ლიტერატურაში». კრებულის წინასიტყვაობაში ლენინმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმას, რომ სტატია წარმოიშვა იმ რეფერატიდან, რომელიც მან 1894 წლის შემოდგომაზე წაიკითხა. ლენინი აგრეთვე აღნიშნავს, რომ ეს სტატია ბევრი მხრივ წარმოადგენს მის შემდგომ ეკონომიურ ნაშრომთა კონსპექტს (განსაკუთრებით წიგნისა «კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში»). — **397**.

79 T r u c k-s y s t e m — მუშებისათვის ხელფასის მეფაბრიკეთა კუთვნილი საფაბრიკო დუქნებიდან საქონლით გადახდის სისტემა. მეპატრონენი მუშებს აიძულებენ ხელფასის ფულად მიღების ნაცვლად ამ დუქნებიდან მიიღონ ცუდი ხარისხის მოხმარების საგნები მაღალ ფასებში. ეს სისტემა, რომელიც მუშათა ექსპლოატაციის დამატებითს საშუალებას წარმოადგენდა, რუსეთში განსაკუთრებით გავრცელებული იყო შინამრეწველურ სარეწთა რაიონებში. — **411**.

80 «მ ო ს კ ო ვ ს კ ი ე ვ ე დ ო მ ო ს ტ ი» — უძველესი რუსული გაზეთი, რომელსაც თავდაპირველად (1756 წლიდან) სცემდა მოსკოვის უნივერსიტეტი მცირე ზომის ფურცლის სახით; XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან თავისი მიმართულებით — მონარქისტულ-ნაციონალისტური ორგანო, რომელიც ატარებდა მემამულეებისა და სამღვდელოების ყველაზე რეაქციული ფენების შეხედულებებს; 1905 წლიდან — შავრაზმელთა ერთ-ერთი მთავარი ორგანო. გამოდიოდა 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამდე.

«ვ ე ს ტ» — რეაქციულ-ბატონყმური გაზეთი, რომელიც გამოდიოდა XIX საუკუნის 60 — 70-იან წლებში. — **414.**

81 «გ უ ლ ი ს დ ი ქ ტ ა ტ უ რ ა ს» ირონიულად უწოდებდნენ მეფის დიდი მოხელის — ლორის-მელიქოვის — ლიბერალებთან ლაქუცის ხანმოკლე პოლიტიკას; ლორის-მელიქოვი 1880 წელს ჯერ დაინიშნა «არეულობასთან» მებრძოლი «უმაღლესი განმკარგულებელი კომისიის» უფროსად, ხოლო შემდგომ — შინაგან საქმეთა მინისტრად. ამ პოლიტიკის მიზანი იყო — ცარიზმის მხარეზე გადაებირებინა ლიბერალური ბურჟუაზია და მოესპო მის წრეში ოპოზიციური განწყობილებანი, რამაც თავი იჩინა ჩვენს ქვეყანაში განვითარებული რევოლუციური მოძრაობის ზეგავლენით. — **419.**

82 იხ. გ. უსპენსკის თხზულებანი, განსაკუთრებით მოთხრობები და ნარკვევები: «სოფლის დღიურიდან», «საჩეკო წიგნაკი», «წერილები გზიდან», «გაუწყვეტელი კავშირი», «ცოცხალი ციფრები». — **451.**

83 «ბ ა ტ ო ნ ი კ უ პ ო ნ ი» — მხატვრული გამოთქმა, რომელიც 80-იანი და 90-იანი წლების ლიტერატურაში მიღებული იყო კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ა და კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ ე ბ ი ს აღსანიშნავად. გამოთქმა «ბატონი კუპონი» იხმარა მწერალმა გლებ უსპენსკიმ ნარკვევში «მძიმე ცოდვანი» (პირველად დაიბეჭდა ჟურნალ «რუსსკაია მისლში», 1883, წიგნი მე-12). — **459.**

84 პ რ უ ს ი ე ლ ი რ ე გ ი რ უ ნ გ ს რ ა ტ ი (სამოქალაქო მრჩეველი) — ლაპარაკია გერმანელ ეკონომისტზე — ბარონ ა. ჰაკსტჰაუზენზე, რომელმაც XIX საუკუნის 40-იან წლებში რუსეთი ინახულა და თავის წიგნში — «რუსეთის ხალხის ცხოვრების შინაურ ურთიერთობათა და განსაკუთრებით სასოფლო დაწესებულებათა გამოკვლევანი» — დაწვრილებით ასწერა რუსული გლეხური თემი. ენგელსის თქმით, ჰაკსტჰაუზენმა «რუსეთში აღმოაჩინა მიწის სათემო საკუთრება»; ამავე დროს იგი ხოტბას ასხამდა ნიკოლოზის რუსეთს და დასავლეთ ევროპასთან შედარებით მის უპირატესობას ხედავდა იქ «პროლეტარიატობის წყლულის» არარსებობაში. — **468.**

85 ცენზურული მოსაზრებებით ლენინს არ შეეძლო პირდაპირ დაესახელებინა «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის მიერ გამოცემული მარქსისტული ნაშრომები. იგი მკითხველს მიუთითებს ვ. ვ-ს (ვორონცოვის) ნაშრომს «თეორიული ეკონომიის ნარკვევები» (პეტერბურგი, 1895), სადაც 257 — 258 გვ. დიდი ციტატაა მოყვანილი პლეხანოვის სტატიიდან «შინაური მიმოხილვა», რომელიც დაიბეჭდა «სოციალ-დემოკრატში», წიგნი მეორე, 1890 წ. აგვისტო (იხ. გ. ვ. პლეხანოვი. თხზულებანი, ტ. III, გვ. 258 — 259). — **472.**

86 მ ი რ ტ ო ვ ი — პ. ლ. ლავროვის (1823 — 1900) ფსევდონიმი; XIX საუკუნის 70-იანი წლების ნაროდნიკობის ერთ-ერთი იდეოლოგი; ფარული ნაროდნიკული საზოგადოების «ზემლია ი ვოლიას», ხოლო შემდეგ «ნაროდნაია ვოლიას» პარტიის წევრი; 70-იან წლებში ჰქადაგებდა «ხალხში სიარულს»; სოციოლოგიის იდეალისტური «სუბიექტური სკოლის» მამამთავარი. — **476.**

87 ლენინი აქ იმოწმებს კ. მარქსის ბროშურის «თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა» გერმანულ გამოცემას (ჰამბურგი, 1885). იხ. კ. მარქსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1940, გვ. 331. — **498.**

88 იხ. ფ. ენგელსი. «ანტი-დიურინგი», 1938, გვ. 79. — **501.**

89 იხ. კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. I, 1935, გვ. 41 — 42 (შენიშ. 38-ე), ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVII, 1937, გვ. 95. — **502.**

90 ნ ა ვ კ რ ა რ ი ე ბ ი — მცირე ტერიტორიული ოლქები ძველი ათენის რესპუბლიკაში. თვითეული ნავკრარია ვალდებული იყო აეშენებინა, შეეიარაღებინა და ეკიპაჟით მოემარაგებინა ერთი სამხედრო გემი და ორი ცხენოსანი გამოეყვანა სახელმწიფოს სამხედრო საჭიროებისათვის. — **505.**

91 ლენინს ციტატა მოჰყავს ფ. ენგელსის ნაწარმოებიდან «ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა»; რუსული თარგმანის გვერდებს ლენინი მიუთითებს 1894 წლის გამოცემის მიხედვით. იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVI, ნ. I, 1937, გვ. 97 და 93. — **505.**

92 იხ. კ. მარქსი. «სამოქალაქო ომი საფრანგეთში» (რჩეული ნაწერები, ტ. II, 1940, გვ. 398) და «თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა» (იქვე, გვ. 287). — **506.**

93 იხ. ფ. ენგელსი. «ანტი-დიურინგი», 1938, გვ. 94. — **506.**

94 ლენინს ციტატა მოჰყავს კ. მარქსის წინასიტყვაობიდან ბროშურის «თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა» მეორე გამოცემისადმი. იხ. კ. მარქსი. რჩეული ნაწერები, ტ. II, 1940, გვ. 250.

ლენინის მიერ ტექსტში მოხსენებულ პრუდონის თხზულებას ეწოდება «სოციალური რევოლუცია, დემონსტრირებული სახელმწიფო გადატრიალებით». — **518.**

95 ლ ე ი ბ კ ა მ პ ა ნ ე ლ ე ბ ი — წარმოსდგება «ლეიბ-კომპანიისგან», — გვარდიის პრეობრაჟენსკის პოლკის გრენადერთა ასეულის საპატიო სახელწოდება, რომელიც მას ებოძა 1741 წელს ელისაბედ პეტრეს-ასულის მიერ სამეფო ტახტზე მისი აყვანის გამო. ჯილდოდ ლეიბკამპანელებმა მიიღეს მამულები, ყოველგვარი შეღავათები და პრივილეგიები. სახელწოდება «ლეიბკამპანელები» იხმარა ცნობილმა რუსმა მწერალმა-სატირიკოსმა სალტიკოვ-შჩედრინმა თავის «პოშეხონურ მოთხრობებში». — **514.**

96 იხ. კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. II, 1935, გვ. 69, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVIII, 1939, გვ. 119. — **528.**

97 იხ. კ. მარქსი. რჩეული ნაწერები, ტ. I, 1940, გვ. 156 — 157. — **531.**

98 ლენინს მხედველობაში აქვს კ. მარქსის ცნობილი ნაშრომი «გოთას პროგრამის კრიტიკა». იხ. კ. მარქსი. რჩეული ნაწერები, ტ. II, 1940, გვ. 443 — 465.

გ ო თ ა ს პ რ ო გ რ ა მ ა — გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამა, მიღებული 1875 წელს გოთაში შემდგარ ყრილობაზე გერმანიის ორი, მანამდე ცალ-ცალკე არსებული, სოციალისტური პარტიის — ეიზენახელებისა (რომელთაც ბებელი და ლიბკნეხტი ხელმძღვანელობდნენ და რომელნიც მარქსისა და ენგელსის იდეური გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ) და ლასალიანელთა გაერთიანების დროს. პროგრამა ერთიანად ოპორტუნისტული იყო, რადგან ეიზენახელებმა ყველა უმნიშვნელოვანეს საკითხში დაუთმეს ლასალიანელებს და ლასალიანელთა ფორმულირებანი მიიღეს. მარქსმა და ენგელსმა გამანადგურებელი კრიტიკა გაუკეთეს გოთას პროგრამას. — **534.**

99 ლენინს მოჰყავს მის მიერ თარგმნილი ციტატა მარქსის ნაწარმოებიდან «თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა». იხ. კ. მარქსი. რჩეული ნაწერები, ტ. II, 1940, გვ. 281. — **542.**

100 იხ. კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. I. 1935, გვ. 502, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVII, 1937, გვ. 694. — **548.**

101 ლენინს მხედველობაში აქვს «კაპიტალის» პირველი ტომის ოცდა-მეოთხე თავი (§ 5 — «მიწათმოქმედებაში მომხდარი რევოლუციის უკუგავლენა მრეწველობაზე. შინაური ბაზრის შექმნა სამრეწველო კაპიტალისთვის»). იხ. კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. I, 1935, გვ. 598, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVII, 1937, გვ. 815. — **561**.

102 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. I, 1935, გვ. 512, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVII, 1937, გვ. 705 — 706. — **563**.

103 ს კ ო პ შ ჩ ი ნ ა — ასე ეწოდებოდა მეფის რუსეთის მთელ რიგ რაიონებში ნატურალურ, კაბალურ იჯარას, როდესაც მოიჯარე მიწათმფლობელს მოსავლიდან «ურმეულის» ნახევარს უხდიდა, ზოგჯერ კი მეტსაც და დამატებით კიდევ თავისი შრომის ნაწილს აძლევდა სხვადასხვა სამუშაოს შესრულების სახით. — **564**.

104 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. I, 1935, გვ. 601, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVII, გვ. 819. — **571**.

105 იხ. კ. მარქსი. «კაპიტალი» ტ. I, 1935, გვ. 596—597, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVII, 1937, გვ. 812 — 814. — **571**.

106 ლენინს მოჰყავს მის მიერ თარგმნილი ციტატა კ. მარქსის «კაპიტალის» მესამე ტომიდან (1894 წლის გერმანული გამოცემიდან). იხ. კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. III, 1936, გვ. 545. — **593**.

107 «ნ ა ბ ო ძ ა რ ნ ი» ანუ ნაბოძარი გლეხები — ყოფილი მემამულეთა გლეხების ნაწილი, რომელთაც 1861 წლის რეფორმის დროს მემამულისაგან ებოძათ მუქთად (გამოუსყიდველად) ღატაკური მიწის ნაკვეთი, რაც სულ შეადგენდა ამა თუ იმ ადგილის ეგრეთწოდებული «უმაღლესი» ანუ «ბრძანებულებით», ე. ი. კანონით დაწესებული, გლეხთა მიწის ნაკვეთის ერთ მეოთხედს. გლეხთა წინანდელი მიწის ნაკვეთის მთელ დანარჩენ ნაწილს ხელში იგდებდა მემამულე, რომელსაც თავისი «ნაბოძარი», ძალით გაბოგანოებული, გლეხები კაბალურ მდგომარეობაში ჰყავდა ბატონყმობის გაუქმების შემდეგაც. — **596**.

108 ეს საკითხი ლენინმა ვრცლად დაამუშავა თავის ნაშრომში «კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში» (თხზულებანი, ტ. 3). — **606**.

ვ. ი. ლენინის
ცხოვრებისა და მოღვაწეობის თარიღები
(*1870 — 1894* წლები)

1870

აპრილი, 10 (22). სიმბირსკში (ამჟამად ულიანოვსკი) დაიბადა ბოლშევიზმის ფუძემდებელი ვ. ი. ულიანოვი (ლენინი).

1879

აგვისტო. ლენინი შედის სიმბირსკის კლასიკურ გიმნაზიაში.

1886

იანვარი, 12 (24). ლენინის მამის — ი. ნ. ულიანოვის გარდაცვალება.

1887

მარტი, 1 (13). ლენინის უფროსი ძმის — ა. ი. ულიანოვის დაპატიმრება ალექსანდრე III თავდასხმაში მონაწილეობისათვის.

მაისი, 8 (20). ალექსანდრე III თავდასხმის საქმეზე ა. ი. ულიანოვას და სხვა მსჯავრდებულთა სიკვდილით დასჯა.

ივნისი, 10 (22). ლენინმა ოქროს მედლით დაამთავრა სიმბირსკის გიმნაზია.

ივნისის დამლევი. ულიანოვების ოჯახი გადმოდის ყაზანში.

აგვისტო, 13 (25). ლენინი შედის ყაზანის უნივერსიტეტში.

სექტემბერი — ნოემბერი. ლენინი ყაზანში მონაწილეობას იღებს სტუდენტთა რევოლუციურ წრეში.

დეკემბერი, 4 (16). ლენინი მონაწილეობას იღებს ყაზანის უნივერსიტეტში მომხდარს სტუდენტთა კრებაში.

დეკემბერი, 5 (17). ლენინის დაპატიმრება სტუდენტთა რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობის მიღებისათვის.

ლენინს რიცხავენ უნივერსიტეტიდან.

დეკემბერი, 7 (19). ლენინს ყაზანიდან ასახლებენ სოფ. კოკუშკინოში პოლიციის ფარული მეთვალყურეობის ქვეშ.

1888

სექტემბერი, 23 (ოქტომბერი, 5). პოლიციის დეპარტამენტი ლენინს უარს ეუბნება «სწავლის განსაგრძობად» საზღვარგარეთ წასვლის ნებართვაზე.

ოქტომბრის დამდეგი. ლენინს ნებას რთავენ სოფ. კოკუშკინოდან დაბრუნდეს ყაზანში, სადაც გადასახლდა ულიანოვების მთელი ოჯახი.

შემოდგომა. ლენინი სწავლობს კ. მარქსის «კაპიტალს», შედის ნ. ე. ფედოსეევის მიერ მოწყობილ მარქსისტულ წრეში.

1889

მაისი, 3 — 4 (15 — 16). ლენინი ყაზანიდან გადადის სამარის გუბერნიაში, ფერმაში სოფ. ალაკაევკის ახლოს.

ივნისი, 14 (26). ლენინი ღებულობს ცნობას, რომ მას უარს ეუბნებიან საზღვარგარეთ წასვლაზე «სამკურნალოდ».

ივლისი, 13 (25). აპატიმრებენ ნ. ე. ფედოსეევსა და მის მიერ ყაზანში მოწყობილი მარქსისტული წრეების წევრთ, მათ შორის იმ წრის წევრებსაც, რომლის მონაწილეც იყო ლენინი.

ოქტომბერი, 11 (23). ლენინი სოფელ ალაკაევკის ახლოს მდებარე ფერმიდან გადადის სამარაში.

1890

1889 წლის დასასრული — 1890 წელი. სამარაში ლენინი განაგრძობს მარქსისა და ენგელსის ნაწარმოებთა შესწავლას, სთარგმნის «კომუნისტური პარტიის მანიფესტს», რომელსაც შემდგომ კითხულობენ სამარის არალეგალურ წრეებში (ეს თარგმანი არ შენა-

ხულა). ლენინი ეცნობა ა. პ. სკლიარენკოს და მარქსიზმის პროპაგანდას ეწევა სამარის ახალგაზრდობაში.

მაისი, 19 (31). ლენინს ნებას რთავენ სახელმწიფო გამოცდა ჩააბაროს ექსტერნად იურიდიულ ფაკულტეტზე პეტერბურგის უნივერსიტეტთან.

აგვისტოს დამლევი (სექტემბრის დამდეგი). ლენინის პირველი წასვლა პეტერბურგში — პეტერბურგის უნივერსიტეტში სახელმწიფო გამოცდების ჩაბარებასთან დაკავშირებით.

აგვისტო, 26—სექტემბერი, 1 (სექტემბერი, 7 — 13). პეტერბურგში მიმავალი ლენინი ჩერდება ყაზანში.

ოქტომბერი, 24 (ნოემბერი, 5). პეტერბურგიდან ლენინი ბრუნდება სამარაში.

1891

აპრილი, 4 — 24 (აპრილი, 16 — მაისი, 6). ლენინი სახელმწიფო გამოცდებს აბარებს პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე (საგაზაფხულო სესია).

მაისი, 17 (29). ლენინი პეტერბურგიდან მიემგზავრება სამარაში.

ზაფხული—სექტემბრის დამდეგი. ლენინი ცხოვრობს სამარაში და ფერმაში სოფელ ალაკაევკის ახლოს.

სექტემბერი, 10 (22)—ნოემბერი, 9 (21). ლენინი ამთავრებს სახელმწიფო გამოცდების ჩაბარებას პეტერბურგის უნივერსიტეტთან (საშემოდგომო სესია).

ნოემბერი, 12 (24). ლენინი პეტერბურგიდან ბრუნდება სამარაში.

1892

იანვარი, 14 (26). ლენინი პეტერბურგის სასწავლო ოლქის სამმართველოდან ღებულობს უნივერსიტეტის პირველი ხარისხის დიპლომს.

იანვარი, 30 (თებერვალი, 11). სამარის საოლქო სასამართლოს დადგენილებით ლენინი შეაქვთ ნაფიც ვექილთა თანაშემწეების სიაში.

ივლისი, 23 (აგვისტო, 4). ლენინი უფლებას იღებს სასამართლო საქმეები აწარმოოს.

1892 წლის ზაფხული—1892 — 1893 წლების ზამთარი. ლენინი სწერს რეფერატებს, რომლებშიც აკრიტიკებს ნაროდნიკების შეხედულებებს, და კითხულობს მათ არალეგალურ წრეებში. ეს რეფერატები მოსამზადებელ მასალად იქცნენ ნაშრომისთვის «რანი არიან «ხალხის მეგობრები» და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?»

1893

გაზაფხული — ზაფხული. ლენინის გარშემო ყალიბდება სამარელ მარქსისტთა პირველი წრე (ა. პ. სკლიარენკო, ი. ხ. ლალაიანცი). ლენინი ამზადებს და წრეში კითხულობს სტატია-რეფერატს «ახალი სამეურნეო მოძრაობანი გლეხთა ცხოვრებაში (ვ. ე. პოსტნიკოვის წიგნის გამო)».

აგვისტოს დამლევი (სექტემბრის დამდეგი). სამარიდან პეტერბურგში მიმავალი ლენინი ჩერდება ნიჟნი-ნოვგოროდში და ეცნობა ადგილობრივ მარქსისტებს.

აგვისტო, 31 (სექტემბერი, 12). ლენინი ჩადის პეტერბურგში.

სექტემბერი, 3 (15). ლენინი ჩარიცხეს ნაფიცი ვექილის თანაშემწედ მ. ფ. ვოლკენშტეინთან.

სექტემბერი, 25 (ოქტომბერი, 7). ლენინი ჩამოდის ვლადიმირში ნ. ე. ფედოსეევთან შეხვედრად. შეხვედრა არ შესდგა, რადგან ფედოსეევი ამ დროისთვის ჯერ კიდევ არ იყო განთავისუფლებული საპყრობილიდან.

შემოდგომა. ლენინი პეტერბურგში შედის სტუდენტ-ტექნოლოგთა (ს. ი. რადჩენკო, ვ. ვ. სტარკოვი, პ. კ. ზაპოროჟეცი, გ. მ. კრჟიჟანოვსკი და სხვ.) მარქსისტულ წრეში, რომლის კრებაზე აკრიტიკებს გ. ბ. კრასინის რეფერატს «ბაზრების საკითხი».

ლენინი სწერს რეფერატს «ეგრეთწოდებული ბაზრების საკითხის გამო» და კითხულობს მას მარქსისტულ წრეში.

1893 — 1894 წლების შემოდგომა და ზამთარი. ლენინი კავშირურთიერთობას ამყარებს **პეტერბურგის** ფაბრიკა-ქარხნების მოწინავე მუშებთან (ვ. ა. შელგუნოვთან, ი. ვ. ბაბუშკინთან და სხვებთან).

ლენინის გამოსვლები ძლიერ შთაბეჭდილებას **ახდენენ** პეტერბურგის მარქსისტული წრეების მონაწილეებზე. მარქსის მოძღვრების არაჩვეულებრივი ღრმა **ცოდნა,** მარქსიზმის შემოქმედებითი გამოყენება რუსეთის **ეკონომიური** და **პოლიტიკური** ვითარებისადმი, **მხურვალე,** ურყევი რწმენა მუშათა საქმის გამარჯვებისადმი, **შესაწიშნავი** ორგანიზაციული **ტალანტი** — ყოველივე **ამან** ლენინი გახადა პეტერბურგის მარქსისტთა ცნობილ **ხელმძღვანელად.**

1894

თებერვის დამდეგი. ზამთრის არდადეგებზე ლენინი ჩამოდის მოსკოვში.

თებერვარი, 9 (21). ლენინი გამოდის არალეგალურ კრებაზე მოსკოვში ნაროდნიკ ვ. ვ-ს (ვ. პ. ვორონცოვის) წინააღმდეგ და გამანადგურებლად აკრიტიკებს მის შეხედულებებს.

თებერვარი. ლენინი ჩამოდის ნიჟნი-ნოვგოროდში და ადგილობრივ მარქსისტულ წრეში გამოდის რეფერატით ვ. ვ-ს წიგნის შესახებ — «კაპიტალიზმის ბედი რუსეთში».

ლენინი ბრუნდება პეტერბურგში, სადაც ხელმძღვანელობას უწევს სოციალ-დემოკრატების პეტერბურგის ჯგუფს და მუშათა ცენტრალურ წრეს, მეცადინეობას აწარმოებს მუშათა წრეებში ნევის სადარაჯოს იქით და სხვა რაიონებში.

მარტი — აპრილი. ლენინი სწერს ნაშრომს «რანი არიან «ხალხის მეგობრები» და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?», რომლის პირველი ნაკვეთი გამოდის პეტერბურგში გაზაფხულზე.

წლის პირველი ნახევარი. პეტერბურგის მარქსისტთა წრეში ლენინი კითხულობს რეფერატს, რომელშიც კრიტიკულად განიხილავს ნაროდნიკ ნ. კარიშევის წიგნს «გლეხთა ნადელსგარეშე იჯარები».

ივნისი, 14 (26).	ლენინი საზაფხულოდ მიდის თავისიანებთან მოსკოვში და რამდენიმე ხნით სამარაში.
ივლისი.	პეტერბურგში გამოდის მეორე გამოცემა ლენინის ნაშრომის — «რანი არიან «ხალხის მეგობრები» და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?» — პირველი ნაკვეთისა.
აგვისტო, 27 (სექტემბერი, 8).	ლენინი მოსკოვიდან ბრუნდება პეტერბურგში.
აგვისტოს დამლევი (სექტემბრის პირველი ნახევარი).	გამოდის ლენინის ნაშრომის — «რანი არიან «ხალხის მეგობრები» და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?» მეორე ნაკვეთის პირველი გამოცემა და პირველი ნაკვეთის მესამე გამოცემა (გორკაში, ვლადიმირის გუბ.).
სექტემბერი.	პეტერბურგში გამოდის ლენინის ნაშრომის — «რანი არიან «ხალხის მეგობრები» და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?» მესამე ნაკვეთის პირველი გამოცემა და პირველი ნაკვეთის მეოთხე გამოცემა.
ოქტომბერი.	ლენინი პეტერბურგის მარქსისტთა წრეში კითხულობს თავის ნაშრომს «რანი არიან «ხალხის მეგობრები» და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?»
შემოდგომა.	ლენინი პეტერბურგის მარქსისტთა წრის კრებაზე კითხულობს რეფერატს «მარქსიზმის ანარეკლი ბურჟუაზიულ ლიტერატურაში», რომელშიც სასტიკად აკრიტიკებს მარქსიზმის ბურჟუაზიულ დამახინჯებებს სტრუვეს წიგნში «კრიტიკული შენიშვნები რუსეთის ეკონომიური განვითარების საკითხისათვის».
24 დეკემბერზე (5 იანვარზე) უფრო გვიან.	ლენინი მუშა ი. ვ. ბაბუშკინის აქტიური მონაწილეობით ადგენს ფურცელს სემიანიკოვის ქარხნის მუშებისადმი იქ დაწყებულ მღელვარებათა გამო — რუსი მარქსისტების პირველ სააგიტაციო ფურცელს.
1894 წლის დამლევი — 1895 წლის დამდეგი.	ლენინი სწერს ნაშრომს «ნაროდნიკობის ეკონომიური შინაარსი და მისი კრიტიკა ბ-ნ სტრუვეს წიგნში».

შინაარსი

წინასიტყვაობა მეოთხე გამოცემისათვის IX
წინასიტყვაობა პირველი ტომისათვის XVII

1893 წ.

ახალი სამეურნეო მოძრაობანი გლეხთა ცხოვრებაში (ვ. ე. პოსტნიკოვის წიგნის გამო — «სამხრეთ-რუსეთის გლეხური მეურნეობა») . . . . . 1 — 74

I 3
II 8
III 24
IV 38
V 69

ეგრეთწოდებული გაზრების საკითხის გამო . . 75 — 134

I 79
II 80
III 85
IV 92
V 96
VI 104
VII 114
VIII 131

1894 წ.

რანი არიან «ხალხის მეგობრები» და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ? (პასუხი «რუსსკოე ბოგატსტვოს» სტატიებზე მარქსისტების წინააღმდეგ) . . . . . 137 — 395

ნაკვეთი I 139

გამომცემლებისაგან 229
წინამდებარე ვამოცემისათვის . . 230

ნაკვეთი III 233

დამატება I 357
დამატება II 364
დამატება III 387

ნაროდნიკობის ეკონომიური შინაარსი და მისი კრიტიკა ბ-ნ სტრუვეს წიგნში (მარქსიზმის ასახვა ბურჟუაზიულ ლიტერატურაში) (ვ. სტრუვეს წიგნის გამო: «კრიტიკული შენიშვნები რუსეთის ეკონომიური განვითარების საკითხისათვის». ს.-პეტერბურგი. 1894 წ.) . . . 397 — 616

თავი I. სიტყვა-სიტყვითი კომენტარი ნაროდნიკული profession de foi-სი 404
თავი II. ნაროდნიკული სოციოლოგიის კრიტიკა . 473
თავი III. როგორ აყენებენ ეკონომიურ საკითხებს ნაროდნიკები და ბ-ნი სტრუვე . . . 511
თავი IV. რუსეთის რეფორმისშემდგომი დროის ეკონომიკის ზოგიერთი ნიშნის ახსნა ბ-ნ სტრუვეს მიერ 545
I 548
II 582
III 590
IV 594
V 599
VI 608

შენიშვნები . . . . . 617 — 640

ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის თარიღები . . . . . 641 — 649

ILLUSTRACIEBI

ვ. ი. ლენინის პორტრეტი — 1918 წ. . . . . II — III
ვ. ი. ლენინის პორტრეტი — 1890 — 1891 წწ. . . . XVIII — 1
პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა: «ახალი სამეურნეო მოძრაობანი გლეხთა ცხოვრებაში». — 1893 წ. . 2 — 3

პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა «ეგრეთწოდებული ბაზრების საკითხის გამო». — 1893 წ. 77

უკანასკნელი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა «ეგრეთწოდებული ბაზრების საკითხის გამო». — 1893 წ. . . 135

გარეკანი ვ. ი. ლენინის წიგნის — «რანი არიან «ხალხის მეგობრები» და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?» — ჰექტოგრაფიული გამოცემის III ნაკვეთისა. — 1894 წ. . . . . 234 — 235

უკანასკნელი გვერდი ვ. ი. ლენინის წიგნის — «რანი არიან «ხალხის მეგობრები» და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?» — ჰექტოგრაფიული გამოცემის III ნაკვეთისა. — 1894 წ. . . . . 356 — 357

თავფურცელი კრებულისა, რომელშიც დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის ნაშრომი «ნაროდნიკობის ეკონომიური შინაარსი და მისი კრიტიკა ბ-ნ სტრუვეს წიგნში». — 1895 წ. 399

ტირაჟი 20.000.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/IV-1948.
უე 01905. ნაბეჭდ ფორმათა რაოდ. 41⁷/₈.
ფასი 8 მან.

*

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან
არსებული პოლიგრაფიისა და გამომცემ-
ლობის საქმეთა სამმართველოს 1-ლი
სტამბა. თბილისი. ორჯონიკიძის ქ. № 50.
შეკვეთის № 1402.